ლიტერატურის მუზეუმი
Literature Museum

1910–1920-იანი წლების ჟურნალები

მეოთხე წიგნი

გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ლიტერატურა და სხვა, მემარცხენეობა, მოქმედება, არიფიონი

თბილისი
2011

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი 2011

www.literaturemuseum.ge
ტელ.: +995 32 293-20-45
info@literaturemuseum.ge

იდეის ავტორები:	**იზა ორჯონიკიძე, თამაზ ჩხენკელი**
გამომცემელი:	**ლაშა ბაქრაძე**
რედაქტორი:	**თეა თვალავაძე**
შემდგენელი:	**მარინა ხუბულური**
კორექტორები:	**კახი ორჯონიკიძე, ეკა გრიგოლია**
ფოტორეპროდუქციები:	**მირიან კილაძე**
კომპიუტერული მომსახურება:	**ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი**

დაიბეჭდა სტამბაში *ფორმა*

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია *მაგთიკომს* გამოცემის დაფინანსებისთვის

ISBN 978-99940-28-59-7 (ყველა წიგნი)
ISBN 978-99940-28-63-4 (მეოთხე წიგნი)

მაგთი
MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ბალაკირონ ტაბიძის ყუბნალი

№ 1

ტფილისი

1922

ჟურნალი გამოდის ყოველკვირეულად.

№№1—8 — ტფილისი.
№9 — ბათომი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, №5.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 3 დეკემბერი, №1

ისევ მრისხანე და დაუსვენებელი ენერგიით მიეშურება წინ ჩვენი პლანეტა. თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანჭებში ახრჩობს ძველს, ახალგაზრდა კბილებით იგი ღრნღის მარმარილოების საფეხურებს წარსულისას. ამ საბედისწერო მკვლელობას გადარჩება მხოლოდ ის, რაც ძლიერია არა მარტო დღეს, არამედ საუკუნეებში. შეხედეთ, როგორი სისწრაფით ეცემიან ტახტები, რამდენი მონარხი მოყვა ქვეშ სასახლეების ნანგრევებს. შფოთით და გრგვინვით მიანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიაღვრები: ისინი მარხავენ ძველს ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას. მისა უკანასკნელ საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას. მისმა სურვილებმა, რომ გამოზომილ იქნას სივრცეთა უფსკრულები უშორეს მზეების და ცისარტყელების სპეკტრის საფუძველზე, მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგიამდე. თქვენ: პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო, შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერი ხელოვნება, რომ პოეზია სამუდამო გამოცანაა, რომ ჩვენს დროში პოეზია, რომელიც არ მიდის უფსკრულის პირად, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყოველივე, რაც კი ამ უფსკრულში ჩაიჩეხება. უდიდებულეს რითმებში ეხლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება, ომები ვარსკლავეთის რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი, ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ დროს. იხედებით თქვენ დაუკმაყოფილებელი, მაგრამ დამორჩილებული თვალებით, დაკარგული მიზნებით და ერთიმეორის მოწინააღმდეგე აზრებით. გაიძახით თქვენ, რომ საბრალო მენესტრელისთვის დღეს საქართველოში ადგილი არ არის. თქვენ გაიარეთ ქარიშხლიანი ღამე, თქვენ გწყუროდათ ბრძოლა, როდესაც პროჟექტორების შუქი აპობდა ღრუბელს — ღამის მოღუშული ჩრდილები აწვა სასახლეებს და შორით ისმოდა ზარბაზნების გრიალი. სისხლში მცურავმა მძიმედ დაჭრილმა ჯარისკაცმა თოფის ლულაზე ააფრიალა თეთრი ჩვარი. მას შემდეგ თქვენ რაღაც სამუდამოდ დაჰკარგეთ, ძვირფასო ძმებო, ამაოდ ეძებთ მას მშობლიურ ქალაქებში, სახლებში, ქუჩებში. მე ვამბობ გადაჭრით: საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით, აირჩიეთ ორში — ერთი: განახლება ან სიკვდილი. და ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები. გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას. მომავალი საქართველოს წინაშე ჩვენ წარვსდგებით ამაყნი იმით, რომ ამ პლანეტების კივილში და ქვეყანათა მსხვრევის გრიალში ჩვენი ძახილია: სიკვდილი ან განახლება.

გალაკტიონ ტაბიძე

ტფილისი, ხელოვანთა სასახლე

1922, ნოემბერი

გალაკტიონი

ლექსები, ღვინო და გაქანება,
ლურჯა ცხენებს შემოჰკარ დეზი, —
გტანჯავს დემონის აქაქანება
და პოეზია უპირატესი.

დის, პერგამენტის ძველი სურნელი,
საფლავთან დგება სიცოცხლე ყალხზე:
ტკბილია დარდიც განუკურნელი,
როცა იმარჯვებ უამრავ ხალხზე.

მთვრალ ფერადებში ქარით და ზარით,
ფერად სიზმრებათ მუსიკა შორი: —
გადარეული ფიქრით დასძარი
და მრავალთ სულთან მიდის ამბორი.

ყველგან გამეფთა ჯადო, თილისმა,
ფარდებს იქით ჰქრის ფიქრი არწივი, —
გარდასულ სულთა შესანდობელს სვამ
გავარჯიშებულ მაღალ ბარძიმით.

და სისხლიანი სიკვდილის ჩრთილი,
დასაშხამავათ როს გიწვდის ენებს, —
სივრცეს შორეულს ხელებ გაშლილი
ეძებ პლანეტებს და განსასვენებს.

მაგრამ ლექსები ღვინო გადაკრულს,
გფარავს და დარდებს დაახჩობ თრობით:
პოეტს ლეგენდას, ჯვარზედა გაკრულს —
შენ გიგონებენ გძელი მოთხრობით.

ირაკლი ტოფაძე

ხელოვანთა სასახლე

1922

მე კვლავ თქვენთან ვარ

(ქართველ მუშებს)

მე კვლავ თქვენთან ვარ, თქვენი მღერალი,
მო, ცრელთა ზღვაზე გადავდვათ ხიდი,
რად გვინდა გული, გვერდში მძგერალი,
თუ მწუხარების დაჩრდილავს ბინდი?!
ჩვენ ბრძოლამ გვშობა, ბრძოლამ აგვზარდა,
ახლაც ის იყოს ჩვენი მინდია:
მომავლის კარებს ჩამოვხსნათ ფარდა, —
დე, დაინახონ, რომ წინ მივდივართ!
ჩვენ კარგად ვიცნობთ რკინას და ფოლადს,
ორთქლის ყოფილიც ხშირად გვსმენია
და ქარხანაშიც ვყოფილვარ მოლად, —
გამოგვივლია ტანჯვის გენია,
ჩვენშიც ფერადობს ფიქრი წითელი...
ვის შეუძლია, რომ დაგვაყვედროს?!
ვართ ძმობის დროშის მუდამ მტირთველი,
და ვითხოვთ: სხვებმაც ის დაგვახვედრონ,

ვ. რუხაძე

დაუბეჭდავი ლექსი

(სახსოვრად ვალიკოს)

შენს ალბომში ყველა მუზებს მოუყრიათ თავი,
და საცოდავ აპოლოსთვის გაუძვრიათ ტყავი,
სადაც იყო და არ იყო სისულელის ბოდვა,
ყველა იქ ჩაუნთხევიათ, როგორც ძველი ცოდვა...

მე რა გითხრა, რა გიმღერო, ჩემო მეგობარო,
რომ ამ უღვთო სიმღერისგან გიხსნა, მოგეხმარო?
გირჩევ მხოლოდ: შრომა, ბრძოლა, ძმობა, სიყვარული —
მიზნად გრწამდეს, თუ გსურს ჰპოვო ქვეყნად სიხარული!

როგორც მონას, ნუ მოგხიბლავს ფული და ქონება, —
რადგან ფულზე მაღალია აზრი და გონება,
და სრულ — ყოფას თუ დაეძებ, მხოლოდ მაშინ ნახავ:
თუ დევიზათ, პატიოსან შრომას დაისახავ.

ეს სოფელი უკულმართად არის აგებული,
მაგრამ მუდამ ბოროტება რჩება წაგებული,
ის-კი, ვინც რომ შემეცნებით ჰპოვობს აზრთა შვებას,
თავის თავში დაიმკვიდრებს სრულ ქმნას, უკვდავებას!

შენ თუმც, ძმაო, სხვა გზისა ხარ, მაგრამ რადა ჰგონებ,
რომ სიკეთე-სათნოებას ვერვის ჩააგონებ?
არა! გქონდეს ვაჭრის ხელი, მაგრამ სათნო გული
და მარადის შიგ ჰყვაოდეს წმინდა სიყვარული!

და როდესაც, ჯერ ჭაბუკი, განვლი დუხჭირ გზასა,
მაგრამ მაინც არ უმუხთლებ შენს დაჩაგრულ ძმასა,
მაშინ მოვალ და გიმღერებ უკვდავების ნანას
და გაიგებ ახალ-ყოფნის ახალ გამოცანას!..

ნ. ჩხიკვაძე

1918

ბედი პოეტის

(გალაკტიონს)

საქართველოში ბედი პოეტის
გასაკვირია და სავალალო.
მას უნუგეშო ყოფა მოელის.
დღიურ ზრუნვაში ფიქრობს საბრალო.
და აქ პოეტი რჩება ქართველად.
თანაგრძნობისთვის ძმასთან არ მიდის.
ილტვის, პირიქით, ფიქრთ გასართველად,
ვით ყრმა ყაბახის, მწირი მთაწმინდის...
არის სიცხოვლე მარტოობაში —
და შვება ჩვენი ტანჯვის ემბაზში...
სილამაზეა სულის ლტოლვაში
და გამარჯვება თვით წამებაში...

იასამანი

16 იანვ., 1922, ტფილისი

„ლექსი ანდერძიდან“

ჩემს პროცესიას ამშვენებდეს **გალაკტიონი**
გვარათ — **ტაბიძე** და ტიტულით მეფე-მგოსანი.
მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი
და მწუხარებით დაიბუროს მზე სხივოსანი.

გიორგი ქუჩიშვილი
1921

გალაკტიონ ტაბიძეს

მოგესალმები, პოეზიის დიდო გრიგალო,
გაცისკროვნდება საქართველო შენის ხსენებით;
დგეხარ ისე, ვით თვალუწვდენი კლდენი პიტალო,
მიექანები ზეცისაკენ „ლურჯა ცხენებით“.

იფრინე ლაღად... გადალახე ვარსკვლავთ კრებული,
ახალი ქვეყნის მოგვასმინე ჰანგი მზიური,
შენი სახელი, უკვდავებას ზიარებული,
მარად იქნება მაღალი და ტიტანიური.

ლ. ძიძიგური
1922, ივნისის 19

გალაკტიონ ტაბიძეს

დროს მოსაკლავად სახლიდან გარეთ!
შენ ხიდეებზე მიდიხარ კენტად,
ნერვიულ სახეს ჩვენ უნდა ვენდოთ,
მერის ხსენება გატირებს მწარედ.

შენი გვირგვინი მგოსნებმაც ვნახეთ,
ცოდვილი ხელით რომ გაგიმეტეს,
მაგრამ მფარველი მრავალ იმედის
მრავალი დარდი გულში ჩამარხე.

შენ მოიტანე შავი წიგნები..
არარაობით სამყარო გზარავს
ჩვენთვის ძვირფასი მუდამ იქნები —
დაგდაფნავთ ისე, როგორც არავის!

ქნარი

ენტუზიაზმი

დამზეურდა ზვირთთა ლები,
ქრება, დნება მური
ახავერდდა სიმთა ხმები,
ცეკვავს ჭიანური,
დაცვარნამდა ვარდის კონა,
უნაზესი კონა,
შავი თეთრსა დაემონა:
ხარობს იუნონა.
ფერად ფერის პერსპეკტივა,
ვით უდრეკი სვეტი,
სდგას და მტრულად ვერვინ მივა
თვითონ ღმერთის მეტი
ერთხელც იყო: დაიჭექა,
ამას აღარ გვანდა,
სხივთა რაშის ფეხთა თექა
გაქან-გამოქანდა.

სანდრო რიმანელი

ფანტასმაგორია

მოხუცდა ყოფნა, აღარ არის იგი ყამირი.
დაძველდა სიტყვა ერთნაირი ამეტყველებით,
გზა მოიჭურვა პირბადიან მშხამავ გველებით.
იმზადებს თოკებს დასახრჩობი ამირთ ამირი.
ღამე მოელის უზარმაზარ ფრთიან ვამპირებს:
იწყება როკვა ცეცხლიანი მთების ენების,
უფსკრული ფარავს იმედიან დღის გათენებას
და ქარტეხილი დაწყნარებას აღარ აპირებს.

გრძელი ყოფობა გადაყლაპავს ბევრ საუკუნეს:
გადაშლილია მილიონი წლების მითები:
იეროგლიფი, პირამიდა და სემიტები
ჟამთა გარდაცვლის მირიადებს დააგუგუნებს.
მარსი, ვენერა და მნათობთა შორი კრებული
გადაქცეული გამოუცნობ ამოცანებათ,
მზის დიდებული, განუწყვეტი ამობრძანება
და დედამიწა და დარვინი ჩაფიქრებული.
ბნელით მოცულა ამ დიადი სახის დაწყება
და ეს საკითხი კოსმიური და უშველები,
ნაკიდობნევი გონიერი არსის ხელებით.
ნისლს მოიფარებს და უფსკრულში გადაეშვება...

ადონისი

21/ IX. 22

პრელუდიები

რიჟრაჟი თითებს ვიოლინს დაკრავს,
ცა ერითმება ფიქრთა ლიანებს.
ბობოქარ ზღვაში ავუშვებ აფრას,
თუ შენი ნავი დაიგვიანებს.
მაგრამ სიცოცხლის ჭრაქი თუ ჩაქრეს
და გამიტაცოს ჰარონმა შორა,
მაშინ მიტირე, ვით მელეაგრა
სტიროდა თავის ჰელიოდორას.

შენ იმ გზით წახვალ... მე ამ გზით... ასე...
წინლტოლვის სურვილს ნუ დამაყვედრი
და თუ კვლავ შევხვთეთ ცხოვრების გზაზე,
ჩვენც შევირიგოთ ჩვენ-ჩვენი ხვედრი.
თუ დამეწევი შენგან წინ წასულს,
არ დაიბნევი, არ შეფერხდები
დაგადგამ გვირგვინს დაფნისგან დაწნულს
და ჯვარს გადაგვწერს თვითონ ღმერთები.

საფო მგელაძე

უცხო ჩვენებას

შენ გამოაპობ მწუხრის საღამოს
ვარსკვლავთ ციმციმით და ანარეკლით;
გადმიშლი ყოფნას დაუსაბამოს
და გზას მიჩვენებ მოცულს ნარ-ეკლით...

ლტოლვით აღსავსეს შორით მიხმობენ
შენი ლეჩაქის ჭრელი ფოჩები,
მაგრამ ღრიალით გზას დამიხშობენ
სისხლში მოსვრილი ოჩო-კოჩები.

დაუწყნარებლად ამიშლის დარდებს
ღრიალი მდევთა მთელი თემისა —
შიგ შუა ტვინში გაინავარდებს
შავი მახვილი პოლითემისა...

ცივ სარეცელზე ღამით მეტის-მეტ
მტანჯავს, მაწამებს ფიქრი, ანთება...
და ამ ტანჯვაში მოამეტისტე
მე შენი სახე მომელანდება.

ს. ურუშაძე

მავრა

I. ძიება

ვუხმობ შენს სახელს, ვეძებ შენ სახეს
შვებას გულისას, სულის ორეულს,
მივდევ შენს ლანდებს, გიწოდებ კვლავ ხელს.
გეტრფი, გაღმერთებ ძვირფას შორეულს.
დღე მეჩვენება ღამის სიზმარათ
და სიზმარეთი მგონია გლოვა,
ნეტავ შენს სულში მამყოფა, მავრა,
ნეტავ შენს გულთან დამაახლოვა.

II. აგონია ბუხართან

ზამთრის ღამეში ავადმყოფი და შეუძლები
ბუხრის ნაპირთან მარტო ვზივარ მწუხარი სკამზე
და ჩემს სხეულში სათითაოდ სტირიან ძვლები,
სტირიან ძვლები შენს სიშორეს, ჩემო მზეთა-მზე.
ჩემს მარტოობას არ ეღირსა მზის ელვარება
და მდუმარ მინებს მხოლოდ არხევს ფრთა ცივი ქარი;

იყო ზღაპარი: ყრმობა, შვება და შეყვარება
და ახლა მცივა: სიცოცხლის ცამ დახურა კარი.
ო, მავრა, მავრა! როგორც ზეცას ღრუბლის კავები,
ისე მიბურავს მიმწუხრულ თვალს შენი ხსენება,
კვლავ მაგონდება სიჭაბუკის ნაიგავები:
შენთვის სიცოცხლე, შენთან ყოფნა და განსვენება.
მე მცივა... ღვინო, ღვინო მალე! ღვინო მსახურო!
ო, რა მწუხარეთ, რა მწუხარეთ ზუზუნებს ქარი,
მე მცივა, გესმის!.. მცივა! კარი ისევ დახურე!
იყო სიზმარი... ვარ სიზმარი, ქრება სიზმარი...

სიმონ წეველი
ბათომი

„საღამოს ლოცვები“-დან

სადგურში ვარღვევ მგზავრებს დაზვირთულს,
შენს მობრძანებას ზარი მაგონებს,
მაგრამ ვღებულობ სევდით დატვირთულს
შენს გამოგზავნილს სავსე ვაგონებს.

ისე ჩუმი ხარ ჩემს წერილებზე,
ვით ორ საათზე ღამით ტფილისი,
შენ არ გაწუხებს ჩემს ტკივილებზე
არც სიბრალული, — არც სინიდისი.

ი. ხინველი

ალზიორა

კახეთში დაწერილი ლექსები

I

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართენ კოშკები
ცისა და ნესტანისა.

გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა?“

მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით
მიდის გზა საყვარელი.

სჩანს შორეულ ჩრდილების
კიდეებზე მონთება
და ომ-გადახდილების
ოხვრა მომაგონდება.

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
ეცემიან კოშკები
ცისა და ნესტანისა.

II

ეს მშობლიური ქარია,
ეს სოფელია მძინარე.
არ ვიცი, რად მიხარია
ვაზი, ყანები, მდინარე.

დღემ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია,
ის — ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.

წინანდალს ვაზი აშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი.
როგორ რთავს, როგორ აშენებს
აკიდოების მკიდელი.

იქ ტყეა მთვარით ქსოვილი
ვით ლოენგრინეს სიზმარი,
ლაჟვარდით გადათოვილი
და ვერცხლით ნათილისმარი.

III

შუქი გაიშალა,
წყალი დაიფერა,
სიო დაიბერა,
ჩალა გაიჩალა.

სიზმარს აბარია
ველი შენაფერი,
ეხლა ყველაფერი
ოქროს ზღაპარია.

არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა — მინაგნები
თვალებ-დალურჯული
თრთიან იალქნები.

ძილი მეგონება,
უცებ ქაოსიდან
მთვარემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

გალაკტიონ ტაბიძე
აგვისტო, 1922

ანელებული ლეგენდა

გადაეკიდა ცეცხლი,
ფიქრების მოაჯირებს.
იპოვეს ოქრო-ვეცხლი;
ველარ გაუძლეს ჭირებს.
გატეხეს ოქროს ჭაღი,
შებილწეს ხატი მამის,
დაეცა... დაეჯახა...
დაეცა მსხვერპლი სამის...
და სამუმს მისცა აფრად,
სასახლის წმინდა ფერფლი,
ამ ადგილს ჩაესაფრა
სულების წმიდა მსხვერპლი.
და როგორც ერთი სული
იხრჩობენ ყველა თავებს...
საღამო გადასული
ლეგენდას დაამთავრებს.
მოფრინდა ასე სწრაფად
ცეცხლის ქრობელი რაზმი,
სასახლეს დაეწაფა...

ირაკლი ყანჩელი
1921

ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვუძღვნა „ლურჯა ცხენების“ და „მე და ღამის“ მგოსანს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს ათეულ წლებში გამოსულ მგოსანთა და ახალგაზრდა კლამოსანთა შორის გამგონე ძალიან ცოტაა (იმიტომ, რომ ასეთია თვისება რევოლიუციონურ ხანისა), — ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვა ის, რაც არა ერთხელ მითქვამს: ხელოვნება არის ერთ-ერთი საშუალებათაგანი ხალხთა ურთიერთობისა. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს თითოეული ჩვენთაგანის დაახლოებას, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარებას, გულისთქმის გაფაქიზებას და ნებისყოფის განმტკიცებას. ხელოვნებამ უნდა მოჰკლას მხეცი კაცში და აამაღლოს, გააღმერთოს განკაცებული იგი ადამიანი;

ხელოვნება იგივე მეცნიერებაა, მაგრამ მეცნიერება არა მშრალი, მათემატიკურისა და სტატისტიკური ფორმულებით აჭრელებული, არამედ, ხელოვნება არის მეცნიერება აგებული გრძნობათა შადრევანობაზე და ამოხატული წმინდა სულთასწრაფვის მარადისობაზე.

უმაღლესი სახება ხელოვნებისა არის პოეზია, საზოგადოთ, და მგოსნობა კერძოდ. პოეზია არის ფსალმუნება ამაღლებული სულისა და ღაღადისი ქვენა გრძნობათაგან განწმენდილი გულისა. პოეზია არის მსხვერპლი შეწირული კაცთმოყვარეობის საკურთხეველზე და ზვარაკი, უკვდავების ტაძრად მიყვანილი. პოეზია არის სიყვარულისა და სათნოების ცეცხლზე დამწვარი ცრემლი და მწუხარება. პოეზია არის მალამო წყლულებისა და ამოხშობა ყოველგვარი ბოროტებისა. პოეზია ღმერთ-კაცობაა, სისხლის მსმელთა და მტაცებელთა ხელ-ფეხის შეკვრაა. პოეზია სიმია უკვდავებისა და ჩანგია მოძმეთათვის თავგანწირვისა. ასეთია ჩემი საზომი პოეტისათვის, რომელთა რაოდენობა ჩვენში დღეს ბევრზე ბევრეულია და უამრავზე უამრავესია, მაგრამ რომელ საზომსაც მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძე და კიდევ ერთი ორი თუ ამართლებს...

გალაკტიონ ტაბიძე მე მაგონებს ხეხილთა შორის განმარტოებით მდგარ ძეწნას, საოცნებოთ რომ იწვევს ხოლმე ადამიანს, აშორებს რა ყოველგვარ სიგლახეს და მიწიერ ჭუჭყიანობას.

მაშ, გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ოცნების ამ წყაროს, თუ არ გინდათ მსხვერპლი შეიქმნეთ დაწყევლილი დღის სიცხადისა!

ია ეკალაძე

გალაკტიონ ტაბიძე[1]

...იანვარში 1915 წ., როცა აკაკი გარდაიცვალა, სულ ახალგაზრდა მგოსანმა ჩემს ჟურნალ „განთიადში“ დასტამბა ფრიად შესანიშნავი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“. ამ ძლიერს და დიდი ენტუზიაზმით აღსავსე ლექსში, რომელიც თავიდან ბოლომდი ერთიანი სიცოცხლე, გრაცია, გრძნობა და აზრია, მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე ანუგეშებდა ამ დიდი ეროვნული უბედურებით გულმოკლულ ქართველობას, რომ აკაკიმ

უცვლელი უკდავება ირგვლივ დაამყარა...
საქართველო! ის აკაკი
არ მომკვდარა, არა!.. და სხვ.

1. ამოღებულია დაუბეჭდავი სტატიიდან „გალაკტიონ ტაბიძე“.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ფეოდალიზმი ძირფესვიანად ამოაგდო და ამ გარემოებასთან ერთად სოფელსაც უნდა საქართველოში დაეკარგა ჰეგემონია და პირველ ადგილზე დამდგარიყო ქალაქი... ლიტერატურასაც ქალაქი დაეუფლა. ეს მთელი ეპოქაა დღეს ჩვენში და ამ ეპოქის ფილოსოფოსი, მიუცილებლად, უნდა დაბადოს სალიტერატურო კრიტიკამ... ჯერ ქართულ ლირიკაში პირველი მერცხალი ასეთი ახალი ლიტერატურისა შეიქნა გალაკტიონ ტაბიძე და ამაშია მისი განსაკუთრებული ინდივიდუალური მნიშვნელობა. ამის უტყუარი საბუთია მისი ლექსების მეორე წიგნი. აქ სრულიათ განსხვავებულია მგოსნის რიტმიც, რითმაც, სტილიც წერის მანერაც, გრძნობა და აზრიც. კარგ გუნებაზე მოყავხართ პოეტის მღელვარე, დაუცხრომელ გრძნობათა აღმაფრენას და გულწრფელობას, საკუთარი ტემპერამენტით განცდათა სიტურფეს, რითმათა მრავალგვარობასა და მშვენიერებას, სალიტერატურო ფორმათა ნაირნაირობას და სილამაზეს, ლექსთა მუსიკალობასა და სინაზე-სინარნარეს... ამ ლექსებში გალაკტიონ ტაბიძე — ნამდვილი და ჭეშმარიტი იმპრესიონისტია.

სად შეუძლია დღეინდელი ეპოქის მგოსანს, რომელიც ცხოვრებამ მწარე ყოფაში ჩააგდო, დიდხანს შეჩერდეს ერთ აზრზე, ერთ გრძნობაზე და ერთი და იგივე შთაბეჭდილება აგუნდაოს. დღეინდელ ცხოვრებაში ქარიშხალივით მიქრის და მიფრენს პოეტის მიერ ნახული და განცდილი სანახაობა, სურათები, შთაბეჭდილებანი. მგოსანი ვერც ასწრებს საფუძვლიანათ, ასეთი პოეზია დაბადა ჩვენი დიდი ქალაქის აზვირთებულმა, აჭრელებულმა ცხოვრების ნაირნაირობამა და გამწარებამა...

ახლანდელ ქართველ მგოსანს არცა სცალია შთაბეჭდილებასა და გრძნობათა დიდის მხატვრობით და პოემებით გამოთქმას დაუწვრილმანდეს. პოეტმა ერთ საათში, ან უკეთა ვთქვათ, ერთ წამში რამდენიმე შთაბეჭდილება მიიღო და ეს შთაბეჭდილებანიც ელვის სისწრაფით გაქრენ და ადგილი დაუთმეს ახალ-ახალ სხვა სანახაობას, სხვა სახე სურათებს... დღევანდელი პოეტიც, ამ ჟამად ვთქვათ, გალაკტიონიც მიყვება ამათ და სწერს ნაწყვეტებს, მსუბუქ და ცელქ ნიავათ, მძივებათ ასხმულ და დაუსრულებელ, მოკლე-მოკლე შთაბეჭდილებებს. ესაა ძებნის გზა: რამდენათ მართალი, მიხვედრილად უტყუარი გამოვლენ მის მიერ განცდილი შთაბეჭდილებანი? პოეტს უნდა დახატოს ის, რაც ნახა ამ წამში, რაც თვით განიცადა და ხელოვნურად დახატოს საგანი შთაბეჭდილება, სწორი, ნამდვილ ისეთი, ამისთვის როგორიც არის განცდილიც საგანი პსიხოლოგიურად. დღეინდელი მგოსანი — იმპრესიონისტი ასე ფიქრობს, ასე წვალობს, ასე დარდობს...

გალაკტიონ ტაბიძისთვის მის საკუთარ, ინდივიდუალურ შთაბჭდილებებს, გრძნობებსა და განცდათა საკუთარ სილუზიებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აი, მაგალითად, პოეტმა რევოლიუციის დროს ნახა პეტროგრადი. თქვენ გგონიათ, მან მიაქცია ყურადღება რაიმე ისტორიულს ან თანამედროვე პოლიტიკურ პეტერბურღისას? აი, თქვენ თვით წაიკითხეთ (გვ.109), თუ რაზე სწერს პოეტი და ლამაზათაც სწერს. მე კი ადგილის ეკონომიისათვის ამ ლექსს აქ არ მოვიყვან.

გალაკტიონ ტაბიძის ლაზათიანი სტილი და აშფოთებული სული მშვენიერი, ნაზი ლირიზმით გადატანილია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ტფილისზედ, როელსაც ბედმა არგუნა საქართველოს პარიზათ იქცეს. დიადი მგოსნების, ნ. ბარათაშვილის და აკაკის შემდეგ, კლასიკურმა მთაწმინდამ კიდევ შესძლო გალაკტიონის ლამაზ ლირიკაში გაღვიძება — „მთაწმინდა მთვარეში“ (გვ. 54) ნერვებ დაქანცულ მგოსანს დედაქალაქის გაჩირაღდნებულ თეატრში ხშირად მოაგონდება საქართველოს სოფლებიც... არაგვი (გვ. 80).

ხანდახან კი ჩვენი მგოსანი ქალაქის სასახლეებიდან მიეშურება უმანკო ჩასახების მამათა სავანისაკენ... სიონის კრებისაკენ მიეშურება და თვალწინ დაეხატება მას მშვენიერ ყვავილებში ჩაფლული სოფელი.

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიქრით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს...

(„ატმის ყვავილები“, გვ.37).

რა მშვენიერებაა! აქ რითმები შიგ შუა სტრიქონების გულშიაც არის...

მშვენიერია ლექსები: პირიმზე, მარმარილო, ის, ლურჯა ცხენები, თოვლი და სხვა. გალაკტიონ ტაბიძემ ამ ლექსებით ჩვენში შექმნა საკუთარი, ინდივიდუალური ესთეტიკა. და თუმცა პოეტს „ბედით დაწყევლილ გზაზე სიკვდილის ლანდი მოეჩვენება, მარა მან იცის ფასი სიცოცხლისა, მოდერნისტივით სიკვდილს ჰიმნს არ უგალობს და გულმხიარული მღერის:

ამაღლდი სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი...
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან შენი შემრიგებელი!!.

ბოლოს, ნება მიბოძეთ, გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის მოკლე კრიტიკული დახასიათება დავასრულო ერთი უმშვენიერესი მისი ლექსის აქ მოტანით (აკაკის ლანდი, გვ. 67). ლექსი დაწერილია 8 წლის წინად:

მდუმარე მხარეს შორი მთებისას,
დახარის ღამე და ანდამანტი.
იქ როგორც ლანდი მწუხარებისა
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!
თეთრი ჭაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით,
და მოხიბლული იყო მთიები
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.
მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი,
და მოძრაობდა ღამის მნათობთა
აღელვებული ელიზიუმი,
გრძნობდა თანაბარ მოახლოებას
გაცვიფრებული დიადი მთები,
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.
მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,
შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა.
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი
ნაპერწკლის დროშით ააელფერა
და საიდუმლო შუქით შემოსა
მიწყნარებული გზა იშვიათი:
ჩუმად, დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.

ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,
რომ არ აანთოს ისევ სანთელი
დავიწყებული ხატის მახლობლად.
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენის სიზმრების სიდიადეში
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავ-ქარად.
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის მაღლით ანთება,
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება...

ხომლელი

ვასილ ბარნოვი

„რა კარგია სიცოცხლე, რა ტკბილია არსებობა რა მშვენიერია ეს ქვეყანა“ — აი ის აზრი, რომელიც გატარებულია ვას. ბარნოვის ყველა ნაწერებში. „რა ლამაზად შეუქნია ეს ქვეყანა განგებას“ — აი ის ტკბილი და ნაზი განცდა რომელიც უხვად გაბნეულია მწერ-ლის ლამაზ, ხორც-შესხმულ აღმოსავლეთურ წარმართულ შემოქმედებაში.

„რა ძალიან მომწონს ხორცის მშვენიერება“, „მშვენიერება უაღრესი ნიჭია ამ ქვეყ-ნად, ყოველივე ხარისხს აღემატება იგი“ — აი ის ურყევი რწმენა, რომელიც ასაზრდოებს მხატვრის მსოფლ-მხედველობას. „ეს ქვეყანა კარგია, ნათელი და აზრიანი“ — აი მისი სიცოცხლე-არსებობის ფილოსოფია!

ამ წვრილ ფრაზებიდანაც სჩანს, რომ ვ. ბარნოვი თვისი რწმენა-მოქმედებით ელლი-ნია, კლასიკოსია, წარმართია: სიმშვენიერის, შენივთებულ სიმშვენიერის მომღერალია!

არსთა სილამაზე-სიმშვენიერის და არსებობის სიტკბოების სიმღერით დაიწყო მან თავისი შემოქმედება (იხ. „სოკო, სოკო!“) და დღესაც, როდესაც ადამიანმა დაჰკარგა მოს-ვენება, სულის სიმშვიდე, გადაეჩვია სიმშვენიერით უანგაროთ დატკბობას, როდესაც იგი ანგარება-შეძენის ჟინით არის შეპყრობილი და არ ამჩნევს — ცხოვრების სატანა-მეფის-ტოფელს, თუ როგორ ქაქანით მიყავს იგი სამარისკენ და იქ კი შემზარავ ხარხარს დააყ-რის თავს, — დღესაც ვ. ბარნოვი დაჟინებით მოითხოვს, არავინ შეაგუბოს ადამიანისაკენ მოჩანჩქარი ნაკალი ლხენისა („საფლავის ქვაზე“); გვარწმუნებს, რომ ხილვაუებრო მშვე-ნიერებისა დაუშრეტელს სიხარულს ბადებს ადამიანის გულში („სევდის საგუბარი“); რომ ადამიანი უნდა დასტკბეს არსებობით — ამ უძვირფასეს განძით: იგი უნდა შეტრფოდეს ცას და ქვეყანას, უნდა შეფრიფინებდეს მზის სხივებს და ილოცავდეს ტურფა შემკულ სამყაროს („საფლავის ქვაზე“). ვ. ბარნოვის შეურყეველი რწმენაა, რომ ბუნების ამოძრა-ვებული საიდუმლო ძალები ააფერადოვნებს ადამიანებსაც, გაახალისებს, აგრძნობინებს სიცოცხლის დენას და წაასწრაფებს უშრეტ წყაროსკენ არსებობისა. „საკვირველიც იქნე-ბოდა, გატაცებით ამბობს მწერალი, რომ ამ უზარ-მაზარ დუნიაზე ცხოვრების გარეშე

მოუწერელ ოკეანეში, რომელსამე ქმნილებას, თუნდაც მახინჯს და უსახოს, არა ჰქონდეს თავისი შესახამი ადგილი და საქანი“ („ყვავილები“). ან რად არ უნდა მოწყვიტოს ადამიანმა ცხოვრების ყვავილი? განა მეორად გაჩნდება ამ ქვეყნად? ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ჩაებას ცხოვრების ტკბილ სიმღერაში და მწყობრ რხევა-ცეკვაში სხვა ქმნილებასთან ერთად. რაც გინდ გასაჭირში ჩავარდეს იგი, რაც გინდ არ დაასახიჩროს და არ დაჰქროლოს ბედმა, ადამიანს მაინც არ შეუძლია შორიდგან უმზიროს ცხოვრებას, როგორ დანავარდობენ სიცოცხლის ყვავილოვან წალკოტში სხვები; მას ყოველთვის ენანება გაშორდეს ცხოვრებას, მოსთვალოს თვისი სიცოცხლის ყვავილები. მახინჯი ბუნების გერიც ჰპოულობს საკუთარ ბილიკს ცხოვრებისას, თავისებურ სიტბკოებას არსებობისას, ვინაიდან დამბადებელს ისე უხვად აქვს თვისი კალთა ბუნებაში დაბერტყილი, რომ არავინ გადარჩება უნუგეშოდ, მთლად უნამცეცოდ...

აი, მხნე და ლაზათიანი ცხოვრება — არსებობის ფილოსოფია ვ. ბარნოვისა! ეს ფილოსოფია, რასაკვირველია, არ არის ძველი და ახალ ეპიკურელების უსაზღვრო, უმიზნო და ქვე-ხორცულ ვნებათა ჭარბათ დაკმაყოფილების ქადაგება. მწერალი იდეიური ოპტიმისტია, ცხოვრებასთან შერიგების, სულ-ხორცის ჰარმონიის, გრძნობა-გონების შეხმატკბილების ფილოსოფოს-ლირიკოსია. ეს ლამაზი და ტკბილ შინაარსიანი ფილოსოფია ავორს შემდეგ მკვეთრ, მოელვარე და ფერადოვან ფრაზებში აქვს გახვეული: „რა ძალიან მომწონს ხორცის მშვენება! რატომ არ ვაქებ! ნივთიერი ვარ ხორციელი, ხვთით ჯერ დედა-მიწაზე მიდგა ფეხი და თაყვანსა ვცემ ნივთში მომწყვდეულ უკვდავ სიცოცხლეს. სული! სული! რა იცით, რომ სული იგივე ხორცი არ არის, მხოლოდ წმინდა, განსპეტაკებული, გამშვენებული, ნათელ-ქმნილი?“ ასეთი აღზნებული თაყვანისცემა გამშვენებულ, ნათელქმნილ სულ-ხორცისა ვ. ბარნოვს ანათესავებს ელლინთა უკვდავ წარმართ ფილოსოფოსებს და მხატვრებს.

ჩვენი მწერალი, როგორც წარმართ-კლასიკოსი ჰომიროსი და ჩვენი მთის არწივი ვაჟა, ბუნებას აცოცხლებს, აადამიანებს, თავისებურ მგრძნობიარებით აჯილდოვებს. ყოველივე ქმნილება, მხატვრის წარმოდგენით, უსულოა იგი, თუ სულიერი, გრძნობს მისდამი მონიჭებულს არსებობის სიკეთეს, ნეტარებას ამ სიკეთით: მაგ: მცენარე შეტრფის და შეჰხარის ცხოველ-მყოფელ მზეს, მისკენ იწვდის ტოტებს, მისკენ მიილტვის მთელი თვისისი არსებით; იგი დაჰხარის ჩახჩახა ნაკადს და მადლობითა სვამს მაცოცხლებელ ნამს, იგი სურვილით გადუხსნის გულს უცხოთ შეკაზმულ ჰაერს და ჩუხჩუხებს მის სიწმინდეში („სოკო, სოკო„). აი ახოვან წიფელას ცამდის აღუპყვრია ტოტები, ჩაჰკონებია დედა-მიწას ფესვებით და ნეტარებს! შრიალა ფოთლებიც დანატრიან თავს, რომ არსებობენ, რომ თბებიან მზის სხივებზე, რომ სუნთქავენ ტურფად შეზავებულ ჰაერით, რომ სვამენ ზეციურ ნამს. ჟუჟუნა ნიავიც სურვილით ჰკოცნის დედა-მიწას, რომელიც აძლევს საზრდოს ყოველ არსს. აგერ მწყაზარი ირემი, მშვენერი ქმნილება ხვთისა, ნეკერ-ბალახი, ჰაერი და წყალი — სხვა არაფერი უნდა მას, რომ დაამშვენოს ტყე. საზოგადოდ მშვენიერია ქვეყანა! მზე დიდებულად მისცურავს ლაჟვარდ ცის კამარაზე და განმაცოცხლებელ ნათელს ჰფენს სამყაროს; დედა-მიწის გადაშლილ გულ-მკერდზე აღმოცენებულა ყოველივე მდელო ხასხასი და მოქარგულა იგი სურნელოვან ყვავილებით. ფრინველთა გუნდი შესწირავს ქებას ზეცას, ხოლო ქვე-დედამიწას; მოჩუხჩუხე ნაკადები მიიტყვიან და მიიმღერიან დიდებას გამჩენისასა („კერძო ბედზე„), დიახ, მშვენიერი და მომხიბლაიავია ბუნება, მაგრამ ვ. ბარნოვის აზრით, მაინც, შედარებით, ძლიერ ცოტა მშვენიერება დაუტანებია შემოქმედს დედამიწისათვის, სიტურფე მხოლოდ დაუსხურებია მისთვის და თითოეულს უსულ-ქმნილებას ცვარი რამ თუ ატყვია იმ ციური სიტურფისა.

ვ. ბარნოვის აზრით, სილამაზე-სიმშვენიერე მხოლოდ ადამიანშია განხორციელებული: ადამიანზე ლამაზი და მომხიბლავი არა არს რა დედა-მიწაზე: ხატობა ხვთისა, განსაკუთრებით, ადამიანის ხორცშია ჩასახული, ტანშია ჩაქსოვილი. განსაკუთრებული მშვენება გამოკრთის ადამიანში, — ამ გამჩენის ხატებაში. მშვენება იგივე ნათელია შენივთებული, ხორცქმნილი და კაცთა სანუგეშოთ მოვლინებული ამ ქვეყანაში. იგი ნათელია, თვით საუკუნო ნათლისაგან გამოსული და ჩვენდა სალხენად წარმოგზავნილი. მშვენიერების თაყვანისცემა და მისდამი მისწრაფება ერთი გზათაგანია კაცთა ნათესაობის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისა. ამრავლე მშვენიერება და გაუმჯობესდება კაცთა მოდგმა, განათლდება არსებობის შარავანდედი, მიემატება სიამე. სიმშვენიერეს შეჰხარის და შესტრფის ყოველივე სულდგმული, მისკენ მიისწრაფის მთელი არსი, რომ განსპეკტავდეს, ემზგავსოს, შეუერთდეს შემომქმედს. საზოგადოდ სიმშვენიერე დამტკბობია, მაგრამ განსაკუთრებით იგი გვატკბობს და ცისკენ გვახედებს, როდესაც ადამიანშია განსახიერებული.

მწერლის მოთხრობებში აუარებელი ფერად-ფერადი მასალაა გაბნეული მშვენიერ არსთა უკვდავ სახის გამოსაქანდაკებლად. ჩვენ აქ ამოვკრეფთ ზოგიერთ ამ პოეტურ მარგალიტებს.

მშვენიერების სიმბოლოა სარო-ტანიანი, მოხთენილად ნაგები, მხარ-ბეჭ გაშლილი, ფუჩფუჩი, მყაზარით სავსე შახი ჟინჟღილივით ჭაბუკი; მის ჯანმრთელ და ლამაზ სხეულში სიტურფე და სიმამაცეა შენივთებული („ქუდ-ბედიანი“).

არსთა სიმშვენიერის ემბლემაა სახე ჯადოსნური ქალწულისა: მისი თეთრ-ყირმიზათ გამომჭირვალი სახე ირგვლივ სიტურფის სხივებს აფრქვევს; ნაზ კან ქვეშ ჯერ დაუდუღებელი სსიხლი სჩქეფს, ნაზ-წკრიალა ხმა საალერსო სიტყვებისთვისაა გაჩენილი; სავსე მკლავები და ბროლის თითები გადასახვევად ემზადებიან; ტურფის კილოიანი დიდრონი, ჟუჟუნა თვალების ფსკერზე ცისარტყელად აციმციმებულა გრძნობის ნასახი, როგორც რამ სხივთა ნატეხი ანკარა საგუბარში („სევდის საგუბარი“).

მშვენიერთა ხელმწიფის მთელს არსებას ძლიერად სცემს სიცოცხლის ტალღა, სდუღს ღელავს, მხურვალე ნაშხეფს აფრქვევს გარშემო და გაგიჟებამდის მიყავს ამ შხეფებით ნაპკურევი ჭაბუკი.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს სიცოცხლით მფშვინავი და აღგზნებული სახე მშვენიერის ქალწულისა, ბარნოვის ლაღი ფანტაზიით შექმნილი, ეს ქებათაქება და ჰიმნი ხორცის სიმშვენიერისა უსულგულო მორალისტ-მქადაგებელთ და განყენებულ-აბსტრაქტულ მშვენიერების თეორეტიკოსებს ქვენა გრძნობათა ამშლელ და სქესობრივ ინსტიქტების გამღიზიანებელ თვისებად მოეჩვენებად. მართლაც, ბევრს ტრადიციულ აზროვნების ზედგავლენით მშვენიერება ისეთი რამ განყენებულ და უსისხლხორცოთ წარმოუდგენიათ, რომელსაც არ აქვს არც ერთი წყალვარდნი, სადაც მარგალიტებად იშლება ნაკადი ცხოვრებისა, არც ერთი ჩანჩქერი, სადაც დუღს, იბრძვის, ქაფქაფებს, სიცოცხლე („სევ. საგ.“). მორალისტთა დასამშვიდებლად ჩვენ ვაბობთ, რომ ვ. ბარნოვი, მიუხედავად მისი სიმშვენიერის აღწერის განსაკუთრებულ ხორცშესხმულობისა, ნათელქმნილ, წმიდა სილამაზის მქადაგებელია; იგი იმ ხორცის აპოლოგეტია, რომელსაც მფარველობდა პირველყოფილი, შეურყვნელი, ნორჩი ქრისტიანობა და რომელიც მერე, ვიტყვით ვ. როზანოვის სიტყვით, ქრისტეს მოციქულებმა და შემდეგ წმიდა მამებმა ასკეტიზმის მოწამლულ ჰაერში ჩაახჩვეს, ჩაჰკლეს. დიდათ ორიგინალ რუს მოაზროვნე როზანოვთან ერთად, ვ. ბარნოვი ინსტიქტიურად მტერია არსებობის მომწამვლელ ბერულ ასკეტიზმისა.

როგორც ვიცით, რუს ფილოსოფოსების ერთი ჯგუფი, ეგრეთ წოდებული „ბოგოისკატელები“ ამტკიცებენ, რომ ისტორიულმა ეკლესიამ, წმიდა მამებისაგან დაწესებულმა,

შთაკლა სიმშვენიერე ხორცისა, სამარცხვინოთ და ცოდვათ ჩასთვალა ალღო გამრავლებისა — ეს უწმიდესი და უფაქიზესი აქტი ადამიანის არსებობისა. ამისათვის ისინი მოითხოვდნენ ხორცს მისცემოდა თავისუფლება, ფართეთ გადაშლილიყო სიცოცხლის ყვავილი, ძირითად აქტს ადამიანის არსებობისა, აქტს არსთა გამრავლებისა უნდა დათმობოდა თვით ეკლესიაში ადგილი და მომხთარიყო ეკლესიის მსახურთა თანდასწრებით და ლოცვა კურთხევით.

როგორც ხედავთ, ასკეტიზმის გულწრფელნი და სამართლიანი უარისმყოფელნი თვითონ მივიდნენ მეორე უკიდურესობადე: მთლად გააღმერთეს ხორცი და მისი ნიჭი არსთა გამრავლებისა.

ვ. ბარნოვმა კი თავის მხატვრულ თეორიით სინტეზი გაუკეთა ორ უკიდურეს შეხედულებას: იგი თაყვანსა სცემს ხორცს იმდენად, რამდენადაც მასში მომწყვდეულია უკვდავი სიტურფე, ე.ი. იგი ეთაყვანება განსპეტაკებულ, ნათელქმნილ, გამშვენიერებულ ხორცს და არა ვნებით აღსავსე ხორცის ტლანქ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იგი უარსყოფს განყენებულს, მშრალს მცნებას სულზე, ბერ-ასკეტების მტკიცებას, რომ სული და სიმშვენიერე არსებობს გარეშე ხორცისა. „სული, სული! რა იცით, რომ სული იგივე ხორცი არ არის“ — ამბობს მწერალი. ამ მხრივ ბარნოვი თავისი მხატვრული შეგნება-ინტუიციით, როგორც ზემოთ ვსთქვით, უფრო ელლინ-კლასიკოსი, წარმართია, ვინემ ისტორიულ ეკლესიის შვილი. იგი თვისი მსოფლმხედველობით უფრო პლატონს ენათესავება, ვინემ იანნე ოქროპირს და იანნე ღვთისმეტყველსა. ვ. ბარნოვი ერთად-ერთი მწერალია ჩვენში, რომელიც ასე ფართედ, ღრმად და დაჟინებით არკვევს თავის ნაწერებში არსებობის უდიდეს პრობლემებს. ასეთი პრობლემების დასმით მან შეიტანა ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობაში ძლიერი ნაკადი ფილოსოფიურ აზრთა დენისა. ეს მისი ფილოსოფიური აზრ-შეხედულობა ბუნებაზე, საზოგადოდ არსებობაზე, რომელიც გაბნეულია მრავალ მის ნაწერებში, შეიძლება შემდეგ მხატვრულ ტეზის-დებულებებში გამოიხატოს: ყოველი არსი, ქმნილება თავისებურად სულდგმულობს, ცოცხლობს, ტკბება არსებობით. ნუ მოუსპობთ მათ სანეტარო არსებობას, შესთხოვს მწერალი ადამიანს, ნუ ატირებთ. იცით, როგორ შეჰხარის იგი თავის არსებობას?! ნუ ინებებთ სისხლის მწოველ მხეცს... ადამიანო, ნუ თუ არ კმარობ, რომ ხარ, არსებობ, დადიხარ ამ მშვენიერს ქვეყანაზე და შეგიძლია მისი მზერა? გგონია, ეს ცოტაა? განუწყვეტელი ზრუნვა ამაოებაზე, უაზრო ბრძოლა გიბამს თვალებს, გიშლის დაინახო, რა დიდი ზღვაა ეს ნეტარება? ნუ თუ შენ გული არ გეღება სიხარულით, როცა ხედავ, რომ შენც არსთა ნაწილს შეადგენ, რომ შენც ურევიხარ ქმნილებათა ფერხულში. ნუ თუ არ გინდა, სხვებიც დასტკბენ თავისი არსებობით და უმღეროდეთ გული? ნუ თუ არ გენატრება, რომ განუწყვეტლივ იმყოფებოდენ უმწიკვლო არსთა შორის? ბუნების კანონების დასარღვევად შენ, ადამიანო, სამწუხაროთ, მხეცივით აღარ გეკიდება ძღომა, ფლეთ დაუცხრომლად, სრუტავ სისხლს, ისე ბრდღვნი და ხვეჭამ გარშემო, თითქო ათასი წლის სიცოცხლე მოგკლებოდეს. ისე არ ინდობ არავის, თითქოს დედამიწა შენთვის იყოს დაარსებული. გსურს, ყველა სურვილები დაიკმაყოფილო, თითქოს შეიძლებოდეს ნდომის დაოკება. ნდომა ხომ ჭიაკოკონაა, რომელიც უფრო ძლიერდება, რაც მეტს აყრით ჩალა-კაჭაჭას („სოკო, სოკო“).

ამ საუცხოვო და ჰუმანიურ აზრთა ლირიზმში, ამ აღზნებულ სიხარულ-სიბრალულის ჰიმნში ღრმა ფილოსოფიური შეხედულებაა ჩაქსოვილ-ჩაბწნილი. ზოგიერთ დიდათ ორიგინალურ ევროპიელ ფილოსოფოსებთან ერთად ბარნოვი არ თანაუგრძნობს, თითქმის უარყოფს მეცნიერებაში დღესაც კანონად მიღებულს დარვინის თეორიას არსებობისათვის სასტიკ და ულმობელ ბრძოლისას. ბარნოვის აზრით, ძირითადი კანონი არსებო-

ბისა უნდა იყოს პრინციპი ურთიერთის დახმარებისა, სხვისთვის თავის განწირვისა, სიბრალულ-შენდობისა: კაცი კაცისთვის მგელი კი არ უნდა იყოს, არამედ თანამგრძნობი შემწე-დამხმარე, ძმა და ამხანაგი.

ევროპაში და ევროპიელებში, სადაც მიუხედავად მათის გარეგნული კულტუროსნობისა, არსებობისათვის ბრძოლის ნიადაგზე, ადამიანი ადამიანისათვის მგელი გამხთარა და სადაც ეკონომიურ-პოლიტიკური მონობის უღელი დღესაც გულმოდგინეთ იჭედება კაცობრიობის სუსტ ნაწილებისათვის, რასაკვირველია, პრინციპი, კანონი სხვისთვის თავგანწირვისა ევროპაში გახთებოდა პოპულიარული, მაგრად ფეხს ვერ მოიკიდებდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეცნიერებაში და ფილოსოფიაში დარვინის კანონის საწინააღმდეგოთ გამოთქმულმა, მართლაც, ადამიანურმა და უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიის პრინციპმა ფართე სკოლა ვერ შექმნა, მეცნიერულ-ფილოსოფიურ საფუძვლიან ახსნა-დამტკიცებას ვერ ეღირსა. პატარა საქართველოში ევროპაშიაც ობლად დარჩენილ თეორიას მხურვალე და დარწმუნებული ქომაგ-მქადაგებელი გამოუჩდა — ეს არის ვ. ბარნოვი. პოეტიურის ინტუიციით იგი იმავე დასკვნამდი მიდის, რაც ევროპიელმა მეცნიერებმა ლოღიკურის მტკიცებით და განყენებულ მსჯელობით დაადასტურეს. ეს დასკვნები ჩვენის მწერლისა იდეიურად, პრინციპიალურად ყველასათვის მისაღები და გასაგებია. „ქვეყნიერებაზე ყველაფერი მრავალი მოუმადლებია გამჩენს და ყველასათვის საკმაო, — ამბობს მხატვარი, — რად უნდა ადამიანს დაუხშოს ვინმეს უხვად მონიჭებული კეთილი ან შეუმღვრიოს ეს სიმდიდრე, ან შეუბღალოს?“.

როგორც მოყვანილ სიტყვებიდგან სჩანს, ბარნოვი ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ ოპტიმიზმის მომხრეა, ვინაიდან ლეიბნიცთან ერთად ამტკიცებს, რომ მშვენიერად და კეთილად გაჩენილია ეს ქვეყანა, ყველა არსი ჰპოებს სიტკბოებას არსებობისას, თუ კი ადამიანმა თვისის მხეცურ ეგოზიმით და მგლურის ინსტიქტებით არ შერყვნა იგი. ამ აზრს, როგორც ვიცით, დაწვრილებით ამტკიცებს ლეიბნიცი თვის „თეოდიცეიაში„; ამ აზრს მხატვრულის სახეებით გვისურათებს ბარნოვიც თავის მოთხრობებში. დეე, ამ მშვენიერმა და ლამაზმა აზრებმა და სახეებმა დღეს, ეგოიზმის ვაკხანალიის ხანაში მაინც გაგვინათოს შავ-ბნელით და ჭირ-ვარამით მოცული ჩვენი ცხოვრების სავალი გზა, დეე, ერთხელ მაინც აგვახედოს ზეცისკენ და გვაგრძნობინოს სიტკბოება არსებობისა, რათა პოეტთან ერთად გატაცებით წარმოვსთქვათ: „რა კარგია სიცოცხლე, რა ტკბილია არსებობა, რა მშვენიერია ქვეყანა!“

იპოლიტე ვართაგავა

ექსკურსია მცხეთაში

პირველი ექსკურსია 36 კაცის შემადგენლობით შესდგა 8—11 ივლისს 1922 წელს ქართული სამხატვრო აკადეკმიის სტუდენტების მიერ პატივცემული პროფესსორების: გ. ნ. ჩუბინაშვილის, გ. ა. სარკსიანის, ბ. ა. ფოგელის, გ. ფ. გრინევსკის და გ. ლ. ხმელევსკის მეთაურობით. ექსკურსიამ თავისი შედეგებით, როგორც ბუნების კალთაზე დასვენების მხრით, ისე იმ მცირე მასალებით, რომელიც ჩვენ შევაგროვეთ — გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს და გაამდიდრა ყველა მონაწილეები განცდათა და შთაბეჭდილებათა მრავალფეროვნებით.

საქმე დაწყებულია: პირველი ცდა გამარჯვებით დასრულდა და შემდეგი ექსკურსიები უეჭველად უფრო საინტერესონი იქნებიან და მოგვცემენ მდიდარ მასალას მორიგი გამოფენებისათვის. არქიტეკტურულ სიძველეთა დათვალიერების დროს პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილი იძლეოდა განმარტებებს მოკლე ლექციებისა და საუბრის სახით. ჩვენს თვალწინ გადაიშალა ყველა თავისებურებათა ნათელი და სრული სურათი როგორც მთლიანად, ისე დეტალებით.

რკინისგზის სადგურის მცხეთის მოშორებით გაშენებულია პატარა სოფელი, უწინდელი სატახტო ქალაქი საქართველოსი. სატახტო ქალაქისაგან მოგონება-ღა დარჩა, მხოლოდ ორი ტაძარი მოგვაგონებს ოდესმე აქ მჩქეფარე სიცოცხლის ნიშან-წყალს. საქართველოს სამხედრო გზისაგან ოდნავ მოშორებით უზარმაზარ ეზოში აღმართულია უდიდებულესი ტაძარი სვეტი-ცხოველისა, რომელიც დაარსებულია ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღების სულ ცოტა ხნის შემდეგ. შემოვლებული ციხისებური, საკმარისად კარგად შენახული კედელით, ეს ტაძარი უნებურად იწვევს ფიქრებს, რომ ერთ დროს აქ მართლა სჩქეფდა სიცოცხლე, სულ სხვა ჩვეულების, სხვანაირი ხასიათისა და მიმართულების. თავისი ადგილ-მდებარეობით ძველი მცხეთა იჭერდა ცენტრალურ ადგილს გზა-ჯვარედინზე, სამი მხრით მომავალი გზების შეერთების ადგილას: ჩრდილოეთი გზა კავკასიის მთებიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით — კახეთიდან, სომხეთიდან და სპარსეთიდან, დასავლეთის მხრით — ქართლიდან, შედეგ მესხეთისა და კოლხიდისაგან.

მე აქ არ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას მცხეთის ტაძრის ისტორიაზე, არც მის შესახებ შენახულ ლეგენდებსა და თქმულებებზე, არც მისი აშენების ამბავზე. მე მხოლოდ მოკლეთ აღვნიშნავ დედა-ქალაქის დაფუძნებისა და შემდეგ დაცემის ისტორიას.

მე ყოველთვის მაოცებდა ის გარემოება, რომ საქართველოში უმეტესად მოიპოება ნაშთები საეკლესიო არხიტექტურისა უფრო, ვინემ საეროსი, როგორც მაგალითად: სამეფო სასახლეები და კერძო სახლები სრულიად გაჰქრენ, ან არსებობენ მხოლოდ მათი ნანგრევები, რომლებიც ოდნავ თუ იძლევიან წარმოდგენას საცხოვრებელ ადგილზე.

უნდა ითქვას, რომ სატახტო ქალაქის მცხეთის წარმოშობის პერიოდში ქართველები იმყოფებოდენ მცირე აზიაში შექმნილ პერტრუბაციებს გარეშე. ისინი ეყრდნობოდენ თავიანთ თავს. ადგილობრივნი მცხოვრებნი (აბორიგენები) ქართველთა გადმოსახლების ეპოქისა, ნაწილი დამორჩილდა უკანასკნელთ, ნაწილმა გაქცევა და მთებში თავის შეფარება არჩია. ამ ორმა გარემოებამ საშუალება მისცა ქართველთ ტომს ცოტათი მშვიდობიანათ ამოესუნთქათ და დაევიწყებიათ ის გაჭივრებანი, რომელიც თან სდევს ყოველ გადასახლებულ ხალხს. იგი შეუდგა ახალ ტერიტორიაზე ახალი ცხოვრების მოწყობას, ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, ჰავასთან და ზეადაგთან შეფარდებით.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქართველთა ტომი გაიბნა, შეავიწროვა აბორიგენები ან დაიკავა თავისუფალი ადგილები. რომ უზრუნველჰყო თავისი თავი უცხოელების შემოსევის დროს, მათ გაიშენეს მრავალი ძლიერი და მიუვალი ციხე-სიმაგრე. გაამაგრეს მათ მცხეთა, როგორც უმთავრესი ქალაქი, თუმცა პატარა, მაგრამ გამბედავი და სამხედრო სულით ძლიერი ქართველი ტომისა. დროთა სვლასთან ერთად მთელი საქართველო მოიფინა ციხე-სიმაგრეებით და კოშკებით და ეს გარემოება მჭერმეტყველურად ამტკიცებს, თუ რამდენ თავდასხმას და შემოსევას ჰქონდა ადგილი საქართველოში. თუ როგორი თავგანწირულებით იცავდენ ქართველები თავის სიცოცხლეს, ქალაქებსა და მთელ მხარეს.

საზღვრების გაფართოებასთან ერთად, მაგრდებოდა ძლიერება ტომისა და ამისდამიხედვით ძლიერდებოდა მცხეთის გავლენაც. აქ იყო თავმოყრილი და შეკავშირებული მთე-

ლი ძალა-უფლება, აქეთკენ მოდიოდენ მეზობელი ერები სავაჭროდ, მოდიოდენ ვაჭრები შორეული კუთხეებიდანაც და ამტკიცებდენ სატახტო ქალაქს; იზრდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა — იზრდებოდა ქალაქიც. ვაჭრები აღარ კმაყოფილდებოდენ აქ საქონლის შემთხვევითი გაცვლა-გამოცვლით, არამედ მოაწყვეს წესიერი ვაჭრობა მთელს საქართველოში.

მცხეთაში მოწყობილი იყო დიდი საწყობები, სადაც მოჰქონდათ დიდძალი საქონელი აღმოსავლეთისა: ფართლეულობა, ხალიჩები, იარაღი, ჭურჭელი და სხვა მოთხოვნილების საგნები; უნდა ვიგულისხმოთ: რომ ასეთი ექსპერიმენტები შესაძლებელია მაშინ, როდესაც უცხოელი ვაჭრები დარწმუნებული არიან თავიანთი საქონლის ხელუხლებლობასა და მის წესიერად გასაღებაში. ორივე პირობა შესაძლებელია მხოლოდ ერის კულტურულ დონეზე ყოფნის დროს, და ქართველი ერი სავსებით უპასუხებდა ამ მოთხოვნილებას.

ის ისტორიული ფაკტი, რომ ქართველთა ტომი გადმოსახლების პირველივე დღეებიდან იყო მმართველობა უხუცესისა („მამასახლისი„) ამტკიცებს ჩემს დებულებებს შემდეგის შესახებ: ახალ ტერიტორიაზე დასახლების დროს ტომის უხუცესი, ყველას მიერ პატივცემული, როგორც უფროსი, გამოცდილი და გონიერი, თავის თავში აერთებდა რა წინაპართა ყველა პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებს და იყო არა მარტო მთავარი პირი ოჯახისა და გვარის, არამედ ფაკტიურად ავრცელებდა თავის ძალა-უფლებას ყველა დანარჩენ მამასახლისებზე და მმართველობდა მთელ ტომს განუსაზღვრელად. ასეთ ერთი პიროვნების მიერ მართვას, აქვს უარყოფითი მხარეები, როგორც მაგ. მასსების მონობაში ყოფნაა, მაგრამ საქართველოში მან შექმნა მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია და ხელი-ხელ მიცემით წინააღმდეგობის გაწევა შემოსეული მტრისადმი.

ამნაირად ქართველთა ტომს მართავდა მამასახლისი, დიდი ხნის განმავლობაში და, თანდათან, მამისაგან შვილზე გადასახული უფლებების მიხედვით, უფლება ჩამოქნილ იქნა, სამემკვიდრეო, საპრივილეგიო ფორმაში. თანდათან შთამომავლობა აგრეთვე მთელი ტომი შეეჩვია და მეტი პატივისცემით ებყრობა ხალხის მეთაურს, როგორც ქართველთა ტომის პირველთაგან წარომოშობილ ადამიანს. იზრდებოდა ტომი, მძლავრდებოდა, მაგრდებოდა და ეფინებოდა გარემოს, მთებს, და ამისდა მიხედვით იცვლებოდა ცხოვრებაც. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მამასახლისიც ვეღარ წვდებოდა ყველა საქმეებს, და იგი ირჩევდა თანაშემწეებს — უფროსებს თემში: ისინიც თავისი მხრივთ ირჩევდენ თანაშემწეებს, ძალაუფლება ძლიერდებოდა და დაბოლოს გამოისახა სახალხო უფლების უმაღლეს სამეფო, სახელმწიფო ფორმაში.

ცხადია: მამასახლისი იგივე იყო, რაც ბოლონდელი მეფე, გამაგრებული დინასტიის, რომელიც მეფობდა საქართველოში გადმოსახლებამდე და მართავდა — ურარტუს. თავის საანდერძო უკანაკსკნელ წერილს მეფე მირიანი იწებს ასე: „მე, მე-36 პირველი ქრისტიანი მეფე საქართველჲოსა[1]... ვახუშტის ქრონოლოგიით კი, ფარნაოზიდან დაწყებით, მეფე მირიანი სდგას მე-24-დ, მაშასადამე ფარნაოზამდე მეფობდა კიდევ 12 მეფე, მამასახლისად წოდებული.

ვ. წილოსანი

(შემდეგი იძნება)

1. À. Õàõàí î â. È ñòî ÷í è êè ï î âàâàäåí èþ õðèñòèàí ñòâà â Ãðóçèè.

ძეგლები ტფილისში

მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის სამარეს ამშვენებს მეტად პოეტური ძეგლი: მწუხარე საქართველო. ეს ისეთი ძეგლია, რომლის მსგავსი ჩვენ სხვა არ მოგვეპოება, ისეთ ადგილს დგას, რომელიც მალე უკვდავთა პანთეონად უნდა გადაიქცეს, ისეთი პიროვნების სახსოვარია, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე. ეს ძეგლიც ისეთ მოქანდაკეს უნდა დაედგა — როგორიც იაკობ ნიკოლაძეა, ჩვენი შესანიშნავი, ჩვენი ერთად ერთი მოქანდაკე, საყვარელი „იაკოპონე“, მოწაფე როდენისა საფრანგეთში, ჩვენთვის კი არც მეტი, არც ნაკლები — პირდაპირ როდენი, მიქელ-ანგელოც თუ გნებავთ.

მთაწმინდა — უნდა მოიფინოს ასეთი მშვენიერი ძეგლებით. ამ ძეგლს შენახული აქვს განსაზღვრული აზრი, განსაზღვრული იდეია: იგი საქართველოს ცხოვრების ერთი სამგლოვიარო ფურცელთაგანია. მემატიანე თითქო იქვე, უდაბურ მამადავითის მთაზე აგებულ სენაკში სწერს ქართლის ცხოვრების სისხლითა სავსე სტრიქონებს, ხოლო მომავალ საუკუნეთათვის იგი ჩამოკვეთილია ჩვენი მაესტრის მიერ დამაფიქრებელ და ცრემლების მომგვრელ „მწუხარე საქართველო“ და სხვაგან არ შეიძლებოდა დადგმულიყო ასეთი ძეგლი, თუ არა მთაწმინდაზე. უკნასკნელ ხანებში ტფილისის ქუჩებს მოეფინა ალაბასტრის ბიუსტები, ძეგლების სახელით. გამვლელ-გამომვლელნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ. მრავალი ათასი ქალი და კაცი გაივლის, არავის კი აზრადაც არ მოდის, ერთი წამით მაინც შეჩერდეს და დასტკბეს ასეთი ბიუსტებით. ეტლები ავტომობილები, გულგრილად მიჰქრიან. ტრამვაის კანდუკტორებმა ისე ცოტა იციან ამ ძეგლების, როგორც მნიშვნელობა ქუჩის სახელების: გოლოვინის პროსპეკტი, მიხაილოვის პროსპეკტი, ტერ-გუკასოვი; ალებასტრის ძეგლებს მალე აფუჭებს წვიმა და ქარი და საზოგადოთ ასეთი ბიუსტები დაწესებულებებში უკეთესია დასდგან, ვინემ ქუჩაში. ასეთი ფიგურები გარდა იმისა, რომ შეურაცხყოფის გრძნობას ბადებენ, არასდროს არ ეგუებიან გარშემორტყმულ სახლებს, ყოველთვის არა სასიამოვნოდ განცალკევდებიან. „ბოდლერს არ აქვს ძეგლი, — სწერს კამილ მოკლერი, — და რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს თვითონ როდენმა, — ვისი მგრძნობიარე გული გაიხარებდა, რომ დაენახა „ბოროტების ყვავილები“-ს ავტორი ბეღურების თავთ საყუდელად და ქუჩის ხმაურობით დამტვერიანებული“. სულ სხვაა ძეგლი განმარტოებულ ადგილას, მთაწმინდაზე, ხეებში. იგი იქ ინახავს ღირსებას და მშვენიერებას, იქ მას გარს ახვევია კეთილშობილი დუმილი. ქანდაკება იქ უკვე დამთავრებული ხეოვნური ნაწარმოებია.

პირველი ქართველი მოქანდაკე ღირსეულად ატარებს სახელს მოქანდაკისას. იგი გენიალური როდენის სამშობლოდან დაბრუნდა თავის სამშობლოში აღჭურვილი ევროპიული ცოდნით, დატვირთული მრავალ შთაბეჭდილებებით; ბუნების თანდაყოლილი გრძნობა მშვენიერებისა უფრო გასპეტაკდა ლუვრით, საფრანგეთის ატელიებით, პარიზის შფოთიანი მხატვრული ცხოვრებით.

მას შემდეგ საუკუნის მეოთხედმა განვლო და იაკობ ნიკოლაძე თავდადებით ებრძოდა მარმარილოს. გამოფენებზე ყურადღებას იქცევდა მისი დასრულებული სახეების რიგი, მისი პოეტური ფანტაზიის ხშირად მკაცრი და საერთოდ უნაზესი კოლორი. პორტრეტებში იყო სისაღე: ნელი აკვარელი სხვა ნაწარმოებებში („ქარი„) ჯერ დაუმთავრებელი „სალომეა“ უთუოდ იქნება შედევრი (დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც „დიდების ტაძარში„გამოფენილი იყო ეს ნაწარმოები და ყველას ყურადღებას იქცევდა. იაკობ ნიკოლაძის ატელიები ვერაზე. თქვენ ნახავთ არა ერთსა და ორს ბიუსტს მასკებს. პროექტებს ძეგლებისას, დამთავრებულს და დაუმთავრებელ მარმარილოებს.

მაგრამ ფაკტი ფაკტად რჩება: ამდენი ხნის განმავლობაში საშუალება არ მიეცა ჩვენს მოქანდაკეს, თავისი არა ერთი და ორი გრანდიოზული ძეგლების დადგმისა. ტფილისი უფრო სხვა სახეს მიიღებდა, რომ სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი მისი იდეები. კერძოდ, იაკობ ნიკოლაძის შესახებ მალე უფრო ვრცლად მოგვიხდება ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ ხელოვანთა კომიტეტი მოკლე ხანში აწყობს მის იუბილეჲს.

ეხლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ: საჭიროა მეტი ესტეტიური გეოვნებისა და კულტურის გამოჩენა; ისეთი ბიუსტების გამოფენა, რომლითაც ამჟამად ივსება ტფილისი, ყოველი მხრით მიუღებელია. საჭიროა ამ საქმეს სათავეში ჩაუდგენ ცნობილი და აღიარებული მოქანდაკეები, ამას გვავალებს აზრი ტფილისის გამშვენიერებისა.

ნ. ზედგინიძე

ბიბლიოგრაფია

I

გლეხის დარბაზი დიღომში. საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამოცემა. ტფილისი, 1922.

საქართველოს სამხატვრო აკადემიის პირველი გამოცემა გვიშლის სასიამოვნო პერსპეკტივებს: უთუოდ გამოცემულ იქნება მთელი რიგი ძვირფასი სამეცნიერო-სამხატვრო წიგნების, რომელიც შეეწირება ამა თუ იმ დარგს ქართული ხელოვნებისას.

ეს გამოცემა თავისი გარეგნობით ახდენს მეტად კარგ შთაბეჭდილებას. ყდა, ილჲუსტრაციები და ნაზომები შესრულებულია არქიტეკტორის ნ. პ. სევეროვის მიერ, სატიტულო ფურცელის შესრულება ეკუთვნის აკადემიის სტუდენტ ქალს კ. კლემნტიევას. ტექსტი დაწერილია აკადემიის რეკტორის გ. ნ. ჩუბინაშვილის მიერ; არქიტეკტურული ფორმა დარბაზისა ძირითადი ტიპია აღმოსავლეთ საქართველოის საცხოვრებელი სახლის, რომელიც თანდათან იკარგება, ქრება და კერძოდ ამ გარემოებამ მისცა საბაბი გლეხური დარბაზის გამოზომისა და გამოცემისათვის. ეს დარბაზი შენახულია სოფელ დიღომში ტფილისის ახლო. თავისი კონსტრუკციით და პლანით ყველა ეს სახლები არ წარმოადგენენ რაიმეს რთულს. აშენებულნი არიან 100 წლის წინად, ასე, ერთ ბოძზე ამოჭრილია წარწერა: „1850 წ. ავაშენე სიმონ ხუტიაშვილმა“.

სივრცით ხუთივე დარბაზი თითქმის ერთნაირია და ნახევრამდე მიწაში იმალება, წინაკარები აღმოსავლეთის მხრით აქვს. ცენტრში კვადრატია, რომელზედაც აღმართულია გუმბათისებური ხის შეშენება; იგი თანდათან ვიწროვდება მაღლით და მთელი სიმძიმით აწვება (ორ დვიროზე) კედლიდან კედლამდე გადებულს, ცენტრში მიბჯენილ სვეტებს. შესავალი კარების პირდაპირ მთელი კედელი შეიცავს ორ რიგს ზემოდან მორგვალებულის ნიშისას, ზედა ნიშები უფრო პატარაა, ვინემ ქვედა. ნიშების პირველ რიგს ზემოდ მოწყობილია თარო. როგორც ნიშები, ისე თარო მოსახმარისია სხვადასხვა ნივთებისა და ჭურჭლეულობის შესანახავად. გვერდის კედლებზედაც არის ოთხკუთხიანი თაროები, რომელსაც „წალო“-ს უწოდებენ, იქ დღით ქვეშსაგები ინახება; ქვევით უმეტესად ძველებური ტახტებია მოწყობილი.

პირველი ილუსტრაცია ტეკსტის წინ გამოსახავს დარბაზის შიგნითა მხარეს; იგი განათებულია სინათლით, რომელიც ჩამოდის სახურავის ჭუჭრუტანიდან.

შემდეგ ფურცლებზე არის ზომა პლანისა. შუა-ჭრა ყველა დეტალებით იძლევა მთლიან სურათს როგორც დარბაზის კონსტრუქციისას, ისე შიგნითა კედლების ყოველნაირი ნიმუშებისას, და ცენტრალური ბოძისას მთელი თავისი ამოჭრებით ერთნაირი შელამაზებით. მეხუთე და მეექვსე ფურცლებზე გარდიგარდმო გაჭრაა დარბაზისა, სხვადასხვანაირი მოტივები ხეზე ამოჭრისა, აგრეთვე ფასადი.

ყველა ილუსტრაციები და ნაზომები შესრულებულია მკაფიოდ, ნათლად და დაბეჭდილია დიდის სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით (ლიტოგრაფია უთუოდ მალე უკეთესად მოეწყობა და ამით შემდეგი გამოცემები უფრო სრული და უდეფეკტონი იქნებიან). ეს წიგნი სულ დაიბეჭდა 100 ეკზემპლიარი; და, უეჭველია, ეს გამოცემა მოკლე ხანში იქცევა ბიბლიოგრაფიულ ძნელ საშოვარ წიგნათ.

ვლადიმერ წილოსანი

II

„კანდელი“. ყოველთვიური სამხატვრო-სალიტარატურო ჟურნალი ბათომში. ივნისი, ივლისი, №№1, 2.

აღვნიშნავთ რა ამ ჟურნალის გამოსვლას, რომელიც მიეწერება ერთის მხრით დ. კასრაძის ენერგიას, და მეორე მხრით თანამშრომელთა ერთსულოვნებას, ჩვენი გულწრფელი სურვილია სისტემატიურად გამოდიოდეს ეს ჟურნალი, როგორც ნიმუში მეტად კულტურული საქმიანობისა ბათუმში. ეს იქნება მისაბაძი მაგალითი საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის, სადაც კი თავმოყრილნი არიან ქართველი მწერლები. პირველი ნომერი იხსნება გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტით და ლექსით: ვილანელი (ვილანელი წყობაა ძველი ფრანგული, ძველი იტალიანური და პროვონსალური პოეზიისა, სადაც დაიბადა როგორც რონდო, ისე სონეტი. ფორმა ვილანელისა გადმოცემულია პირველად ზემოხსენებულ ლექსით ქართულ ენაზე). მოგვყავს ნომერში მოთავსებულ ნაწარმოებთა სარჩევი: გალაკტიონ ტაბიძე — ვილანელი, ს. აბაშელი — პოემიდან, გიორგი ქუჩიშვილი — უსათაურო ლექსი, შ. ჯანბერიძე — დიანა, ალექსანდრ ბლოკი, ობოლი მუშა — უძილო ღამე, შორეულს, Candide — დაჭრილი მხედარი, პ. აბრამია — წერილი სულის სალოცავს, დარიალი — მეძავი, თ. სიხარულიძე — პოზიტიკური ესტეტიკის ფსიხოლოგიიდან, დ. კასრაძე — ყანწები. ჟურნალში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრ ბლოკის, ს. აბაშელისა და ობოლი მუშის პორტრეტები. მეორე ნომერიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „კოშკში“ (ლექსი დაწერილია რევოლუციის წინათგრძნობით 1914 წელს). ავტორები: კიკნა-ფშაველა, დავით ცვარნამი, შალვა ჯანბერიძე. ფრაგმენტები: მანველი, პოლიო აბრამია, დოლიძე, ოკტავ მირბო გრ. ნუცუბიძის, წერილი ოსვალდ შპენგლერის შესახებ თ. სიხარულიძისა, და მეტად ღირის აღსანიშნავი წერილი დავით კასრაძის „ახალი მწერლობის მკვეთრი გამიჯვნა“. მოვიყვანთ ადგილს, რომელიც ეხება 7 მაისის მანიფესტს „პოეზიის დღეში“. 7 მაისის „პოეზიის დღე“ ასეთ სურათს გვიდგენს, სწერს პატივცემული ავტორი — აქ ჩვნ ვხედათ ჩვენი მწერლობის თამამ retouofesis-ს. გალაკტიონ ტაბიძის მეთაური წერილი „პოეზიის დღე“ ერთგვარი მანიფესტია ჩვენი უახლოეს მწერლობის ახალი მრწამსისა“. მოყვანილია ადგილები გალაკტიონ ტაბიძის მეთაური წერილიდან („პოეზიის დღე“, 1922. სრულიად სქართველოს მწერალთა გამოცემა). შენიშვნების ავტორი სავსებით გამართლებულად თვლის პოეტის დებულებებს თანამედროვე-

ობას ქართული პოეზიის შესხებ. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართული პოეზიის „ისტორია მალე დაგვანახვებს მიმართულებებში რომელს უწერია დღეგრძელობა და რომელს ჭლექიანი სიკვდილი, რომელსაც ჭირისუფალი არც ეყოლება დასატირებლად“. ჟურნალი გამოცემულია სუფთად, შეიცავს: 1—32 გვ. 2—16.

შალვა რომანიშვილი

დადაისტები

Dada ne signifie rien (Dada 3, 918) Dilettanten, erhebt euch gegen die Kunst

(დადაისტების გამოფენის პლაკატი ბერლინში, 1920 წ. ივნისი)

შეიძლება მეზღვაურები იმიტომაც არიან რევოლიუციონერები რომ მათ არ აქვთ სამშობლო, საკუთარი ჭერი, კერა და ისინი ყველგან და თანაბრად იმყოფებიან ცჰეზ სუი? შეზღუდვას სივრცეში ეთანაბრება შეზღუდვა დროშიაც რომლისთვისაც მატერიალია — დღევანდელი დღე. მაგრამ ეხლა, მიუხედავად იმისა, რომ ვიზებით, ვალიუტებით, სხვადასხვა ხარისხის კორდონებით ევროპა გადაიქცა მრავალ განყენებულ წერტილად, დეე წიგნები და სურათები ნუ გაივლიან გზას, გარშემორტყმული სახელმწიფო საზღვრების ვალიუტების. დღეს თუ სანოვაგის ფასმა აიწია, მშიერი მოქალაქე „განიცდის“ მსოფლიო პოლიტიკას... ხანაა დირიჟაბლებისა: რა ეთანაბრება ამნაირ ეპოქას სამეცნიერო ცხოვრებაში? „ათას ერთი მაგალითის“ მეცნიერებას, რომელიც აუცილებელია „ასე იყო, ასე იქნება“-ს ფორმულის დღეებში, როდესაც ხვალინდელი დღე მოვალე იყო მსგავსებოდა დღევანდელ დღეს, და პატიოსან ადამიანს ჰქონოდა chez soi, იწყება მეცნიერება შესახები. გუშინ ფიზიკოსისთვის თუ ჩვენი დედამიწა არა, ჩვენი სივრცე, ჩვენი დრო იყო ერთად ერთი და ყველაფერი ეხლა ყოველივე გამოცხადებულია კერძო შემთხვევებად. ძველი ფიზიკის ნაშთიც აღარსად არის, ძველს ფიზიკოსებს მხოლოდ ერთი არგუმენტი დარჩათ: „საღ მოსაზრებას მოკლებული“ და სხვ. უდიდესი ისტორიკოსი ოსვალდ შპენგლერი თავის ცნობილ წიგნში „დაღუპვა დასავლეთისა“ (მიუნხენი, 1920[1]) ამბობს: ისტორია, როგორც მეცნიერება არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, და უპირველეს ყოვლისა არ იყო შეგნება პროპორციის. ასე ზანგი ყოფს დედამიწას: თავისი სოფელი და „დანარჩენი“, მთვარე უფრო პატარაა, ვინემ მისი დამფარველი ღრუბლები, შპენგლერის მიხედვით როდესაც კანტი ფილოსოფოსობს ნორმებზე, იგი დარწმუნებულია თავის დებულებების სიმართლეში ყოველი დროის და ყველა კუთხის ადამიანისათვის, მაგრამ იგი არ გამოსთქვამს ამას, რადგანაც მისთვის და მისი მკითხველებისათვის ეს თავისთავად იგულისხმება, ამავე დროს კი მის მიერ შემუშავებული ნორმები სავალდებულოა მხოლოდ დასავლეთის აზროვნებისათვის.

დამახასიათებლია: თორმეტი წლის წინად ვიკტორ ხლებნიკოვი სწერდა: „კანტი ფიქრობდა განესაზღვრა ადამიანის აზროვნება, მაგრამ მან გვიჩვენა საზღვრები გერმანული გონებისა. აი სადაა ცოტაოდენი დაბნეულობა მეცნიერის. შპენგლერი ადარებს თავის

1. შპენგლერის წიგნი „დასავლეთის დაღუპვა“ პირველ წელს გამოიცა 32, ხოლო სამი წლის განმავლობაში 53-ჯერ.

რელატივისტურ სისტემას კოპერნიკის აღმოჩენას. უფრო სწორი იქნებოდა ამ სისტემის ეინშტეინთან შედარება: კოპერნიკის სისტემას უფრო შეფერის ქრისტიანობის ისტორიიდან კაცობრიობის ისტორიაზე გადასვლა. შპენგლერის წიგნმა დიდი კორიანტელი დააყენა. „ფოსსიშე ცაიტუნგ“-მა გამოიყვანა: „ახ, რელატივიზმი, რად გინდათ ეგ სამწუხარო ამბები!“ გამოქვეყნდა ვრცელი წიგნი, შპენგლერის სისტემის წინააღმდეგ... ეს საწინააღმდეგო სიტყვა გაისმა ეკლესიის კედლებიდან — ეს: იზრდება ვატიკანის ძალა არასდროს პაპას არ ჰყოლია იმდენი ნუნციები. უბრალოდ კი არ გამოაცხადა ამასწინად საფრანგეთის მთავრობამ, რომ როგორც იქნა საფრანგეთმა თავი დააღწია რევოლუციონურ დიდებასო და ხაზს უსვამდა თავის ღვთისმოშიშეობას.

მეცნიერების ყველა დარგებში იგივე განადგურებაა, უარყოფა ადგილობრივი პერსპეკტივებისა: ანბანური მოსაზრებანი, სულ ცოტა ხნის წინად ურყევნი, ნათლად ამჟღავნებენ თავის დროებით ხასიათს. ბუხარინი თავის წიგნში „Ýêî í î ì èêà ïåðåõîä íàãî âðåì åí è“ — ხსნის უაზრობად გახდომას მარქსისტული შემეცნებისას: „ღირებულება“, „საქონელი“ და სხვ., მათ გამოუყენებლობას თანამედროვეობაში.

აქედანვე სურთ გამოიყვანონ ფუტურიზმის ესტეტიკა, რომელმაც მოითხოვა სწერონ მშვენიერება და ხელოვნება დიდი ანბანებით, მაგრამ დასავლეთის ფუტურიზმი ორსახიანია: ერთის მხრით მათ ესმისთ ტავტოლოგია მომავალი ფორმულის: — ჩვენ შვენიერების სახელით ვარღვევთ ყოველგვარ კანონებს, საიდანაც გამოდის, რომ ისტორია ყოველი ახალი მიმდინარეობისა წინანდელთან შეფარდებით არის დაკანონება უკანონობისა და ამიტომაც ცხადია, არ შეიძლება იყოს რაიმე სანქცია. რა კი გამოცხადებული ახალი მშვენიერების ნაცვლად რჩება შეგნება განკერძოების, ეპიზოდიურობისა. თითქო ცხადია — პირველად მეცნიერ-ისტორიულ ფუტურისტებს სახელდობრ ისტორიულობის ძალით გადაჭრით უარმყოფელთ წარსულისა, არ შეუძლიათ შექმნან ახალი კანონი, მაგრამ მეორე მხრით დასავლეთის ფუტურიზმი ცდილობს გახდეს მხატვრულ მიმართულებადი (1001-ად). „ფუტურიზმის კლასიკოსები“ — ეს ოკსიუმორონია — თუ ფუტურიზმის პირველი კონცეპციიდან გამოვალთ. ამისდა მიუხედავად, იგი კლასიკებთან ან მათით საჭიროებასთან მივიდა. „ერთი უამრავი იზმ-თაგანია“ — სთქვა კრიტიკამ და იპოვა აქილესის ქუსლი. საჭირო გახდა ახალი გამოყოფა — „მიმდინარე მომენტის რელატივისტური ფილოსოფიების პარალელური გამოსახულება, „არააქსიომა“ — როგორც განაცხადა ერთმა ლიტერატორთაგანმა გიულზენბეკმა. „მე წინააღმდეგი ვარ სისტემის; ყველაზე უფრო მისაღები სისტემაა — არც ერთი მათგანის არქონა“ — დაუმატა მეორემ, საფრანგეთის რუმინელმა ცარამ. ამას მოყვება საომარი ხმები, რომლებიც იმეორებენ მარინეტტის. „ძირს ყველაფერი, რაც მუმიას ჰგავს, რაც მკვიდრად და შეურყევლად ზის“. აქედან „ანტიკულტურული“ პროპაგანდა. თუ თქვენ გაკანკალებთ ზრუნვა, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი ცოლების მორალი, თქვენი მზარეული ქალების მშვიდობიანობა, თქვენი სახელმწიფოს შიშისაგან უზრუნველყოფა, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ რა უნდა ჰქნათ? თქვენ ხედავთ, რომ ცეცხლი გაჩაღდა“ (Ribemont-Dessaignes). „მე ვანადგურებ, — გაიძახის ცარა დიდი პათოსით — თავის ქალა კოლოფებს და სოციალურ ორგანიზაციას. ყველაფერი დაემორჩილება დემორალიზაციას“.

საჭირო იყო მონათვლა ამ „უსისტემო“ ესტეტიური შფოთისა, ამ „უდიდეს საერთაშორისო მხატვრულ მიმდინარეობათა ფრონდისა“ — როგორც სთქვა გ. ულზენბეკმა. 1916 წელს დაარქვეს — „დადა“. ამ სახელწოდებამ მოყოლებულ კომენტარიებით ერთბაშად გამოაცალა კრიტიკოსებს უმთავრესი იარაღი — ბრალდება შარლატანობასა და გაიძვერობაში. ფუტურიზმი უმღერის — სწერდა მარინეტტი — და ჩამოთვლიდა საგნებს რა-

საც უმღერის ფუტურიზმი. კრიტიკოსი აიღებდა ფუტურო-ალმანახს, ფურცლავდა და გაიძახოდა — ვერა ვხედავ! ფუტურიზმი დაასკვნის, ფუტურიზმს მოაქვს, წერდენ იდეოლოგები. სიმვოლისტური ეკზოტერიკით დასნეულებულნი:— ვერა ვხედავ! მატყუარები! — უპასუხებდა კრიტიკოსი. ფუტურიზმი — ხელოვნებაა მომავლის, — ფიქრობდა იგივე — რა უსინდისობაა! ექსპრესიონიზმი, სახეთა ხელოვენებაა — სტყუით! მაგრამ „დადა“ — რას ნიშნავს „დადა“? — „დადა“ არაფერს არ ნიშნავს — ერთმანეთს არ აცლიან დადაისტები — არაფრის სუნი არ აქვს, არაფერს არ ნიშნავს — ამბობს დადა — მხატვარი პინაშეა. დადაისტების მანიფესტი წინადადებას აძლევს მოქალაქეებს შექმნან მითები დადას შესახებ. „დადა აღიზიანებს აზრს, ამიტომაც თვითეული ქმნის ამის გამო თავის დრამატიულ ინტრიგას“. „მანიფესტი აცნობებს ეტიმოლოგიის მოყვარულებს, რომ ზანგები „დადა“-ს უწოდებენ საღვთო ძროხის კუდს, იტალიის რომელიღაც ოლქში „დადა“ ნიშნავს დედას, ისე, როგორც საქართველოში, რუსულად „და“ ნიშნავს „ჰო“-ს, „დიაღ“-ს და სხვ. ასეთი. მაგრამ „დადა“ არ ნიშნავს არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს. ეს ევროპის ორომ-ტრიალში გადასროლილი უმნიშვნელო და უაზრო სიტყვაა, რომლითაც შეიძლება ჟონგლერობა გასწიო à l’aise, მოუმატო რაიმე აზრი, მიუმატო სუ$\hat{0}$ $\hat{0}$იქსი, შექმნა რთული სიტყვები, რომლებიც თავის მხრით შექმნიან საგნობრივობის ილიუზიას. დადასო$\hat{0}$, დადაჲამა და სხვ. „სიტყვა დადა ნიშნავს მოძრაობის ინტერნაციონალობას, სწერს გიულენბეკი; თვით კითხვა, — რა არის დადა — „არა დადაისტურია — ამბობს იგივე, „მაშ რა სურს დადას?“ — დადას არაფერი არ სურს. „მე ვსწერ მანიფესტს და არა მინდა რა. მე პრინციპის გამო წინააღმდეგი ვარ მანიფესტების, და საერთოდ უნდა ვთქვა, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი პრინციპების“ — ასე ამბობს ტრისტან ცარა.

მაგრამ უსინდისობას და წვრილმანებზე თამაშს ვერ დასწამებთ დადაისტებს, დადა სინდისიერად აღნიშნავს „თავისი არსებობის მეტად მცირე ხანს“ აი ისტორიული რელატივიზმი. ამავე დროს პირველი შედეგი ყოველივე ამისა არის ყვირილი: „ძველი ხელოვნება მოკვდა“ ან „ხელოვნება მოკვდა“ — მოყვირალის ტეპერამენტის-და მიხედვით. პირველი ძახილი ასტეხეს ფუტურისტებმა Vive le futur, მათ მიცვივდენ დადაისტები, — რა საქმე აქვთ მათ, **მომავლამდის** მყოფ მხატვრებს, à bas le futur ფუტურ, დილეტანტებო, აღსდექით ხელოვნებისა და პირველივე სიტყვის პოეტიკის წინააღმდეგ“. ვინაა **დადა** პროფესიით? მოსკოვის სამხატვრო არგოს თქმით, ისინი არიან „სიტყვის მხატვრები“. დეკლარაციები მათ უფრო მეტი აქვთ, ვინემ ლექსები და სურათები და საკუთარი რამ, თავისი მათ ლექსებსა და სურათებში არა მოეპოება რა რუსულ და იტალიანურ ფუტურიზმთან შედარებით. მსოფლიო პოემები ხმოვან ასოთაგან, საგუნდო ლექსები (სიმულტანიზმი) მუსიკა ხმაურობის, პრიმიტივები, თავისებური პოეტური ბერლიცი: დასასრულ, პაროქსიზმები გულუბრყვილო რეალიზმისა! „დადა აღჭურვილია საღი აზროვნებით — მაგიდაში ხედავს მაგიდას და ქლიავში ქლიავს“.

მაგრამ ამაში როდია საქმე. და დადას ეს ესმის. „დადა მხატვრული მიმართულება არაა — ამბობენ ისინი. „შვეიცარიაში დადა აბსტრაქტიული (უსაგნო) ხელოვნებაა, ბერლინში კი წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ იშორებენ უშინაარსო ფორმის და შინაარსის ლეგენდარულ კოალიციის პრინციპებს, მხატვრულ ფორმებზე ძალადობას იქით ფერის, უსაგნოფაკტურის, კუთზკ, ფანატიური სიტყვის იქით დასავლეთი მივიდა არაორაზროვან დადაისტურ ფორმულამდე: „nous voulons, nous voulons, nous voulons... pisser en couleurs diverse — შეფერადება როგორც ასეთი, მხოლოდ ტილოა შეცვლილი, როგორც უკვე მოსაწყენი ნომერი ატრაქციონისა. ატრაქციონის ერთ ნომრად გადიქცა დადასათვის პოეზია და მხატვრობა, სხვები აბობენ, რომ ისინი იკავებენ ჩვენს შეგნებაში უზომოდ მაღალ ადგილს, მხო-

ლოდ ტრადიციის გამო. ინგლისელები ისე დარწმუნებული არიან შექსპირის გენიალობაში, რომ საჭიროდ აღარ თვლიან მის წაკითხვასაც კი“ — სთქვა ობრი ბერდსლეიმ. ჩვენ მზადა ვართ პატივი ვსცეთ კლასიკოსებს, მაგრამ ვამჯობიებთ ვიკითხოთ ვაგონური დეტეკტიური, ადულტერული ლიტერატურა, ე. ი. სიტყვიერება, სადაც სიტყვა ნაკლებათ გამოისახება. დოსტოევსკი აქა-იქ სტრიქონებით რომ იკითხო, სულ ადვილია მისი ბულვარულ რომანად გადაქცევა, ეხლაც დასავლეთში მის კინოებში ნახვას უფრო ეტანებიან თუ თეატრები სავსეა, ეს უფრო ტრადიციის ბრალია, ვინემ დაინტერესების. თეატრი კვდება და ცოცხლდება ელექტრო. ეკრანი თანდათან ცილდება სცენას, თავისუფლება თეატრალური მთლიანობათაგან, თეატრალურ mise en scène-ისაგან; უთუოდ თანამედროვეა აფორიზმი თადა მერინგისა: იდეიის პოპულიარობა გამომდინარეობს მისი ანეკდოტიური შინაარსის ფილმზე გადატანის შესაძლეობისაგან. მრავალფეროვნებისათვის დასავლეთის მკითხველი იღებს ცოტაოდენ სიტყვიერ პილპილს. ჩვენ გვინდა ამნაირი ლიტერატურა — სწერს პარიზის Le siècle. სამხატვრო ბაზარზე არასდროს იმდენი ძველი ხარა-ხურა არ გამოტანილა, რამდენიც გამოიტანეს წარსულის უარისმყოფლებმა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, რაღაც ეკლეკტიკოსებია, მაგრამ ეს არ არის მუზეუმური ეკლეკტიზმი პატივისცემისა და მოწიწების, არამედ აჭრელება შანტანური პროგრამისა (თადა — პირველად ჩაისახა ციურიხის კაბარეში), მაორიის სიმღერა იცვლება პარიზის შანსონეტკით, ლირიკაზე მოხსენებული ფერალების ეფეკტებით. „ძველი მისაღებია თავისი სიახლით, და კონტრასტი ჩვენ გვაკავშირებს წარსულთან“, ხსნის ცარა.

ბავშური ანტი-ფრანგული გამოსვლები საფრანგეთის დადაისტების, და ასეთივე ანტი-გერმანული გერმანელების, ათის წლის წინად გულუბრყვილო და უმიზნო გამოსვლებად ჩაითვლებოდენ. მაგრამ ეხლა, როდესაც ანტანტის ქვეყნებში გამძვინვარებულია, ლბილად რომ ვსთქვათ, ზოოლოგიური ნაციონალიზმი და საპასუხოდ გერმანიაში იზრდება ნაციონალური სიამაყე დამონებული ერისა, როდესაც ბრიტანეთის სამეფო საზოგადოება ფიქრობს ეინშტეინისათვის მედალის მიცემას, რათა გერმანიაში არ იქნას ოქრო გატანილი. როდესაც საფრანგეთის გაზეთები აშფოთებული არიან კნუტ ჰამსუნისათვის ნობელის პრემიის მიცემით, რადგან მას გერმანოფილობას სწამებენ; როდესაც იმავე გაზეთებს პოლიტიკურად უმანკო დადა გერმანული მახინაციები და ინტრიგა ჰგონია, — დადაისტური ფრონდა ადვილი გასაგებია, და — ერთი იმ არამრავალთგანია დღევანდელ მომენტში — როდესაც სამეცნიერო კავშირებიც კი დაირღვა, იგი ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინტერნაციონალის კავშირია. ბაუენი სწერს: „დადა ინტერნაციონალური სასტუმროების ნაყოფია.

წრე, რომელმაც ასაზრდოვა დადა, ესაა სამხედრო ავანტიურისტული ბურჟუაზია, სპეკულიანტები, ნუვორიშები, ნეტჲსები, და რაღაც ამნაირი სახელები. მათმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა ტყუპებმა ძველს ისპანიაში წარმოშვეს ეგრეთ წოდებული ეშმაკური ნოველლა. მათ არ იციან ტრადიცია (Je ne veux même pas savoir s’il y a eu des hommes avant moi) მათი მომავალი საეჭვოა (à bas le futur) ისინი ისწრაფიან წაიღონ თავისი („Nimm und Gib dich. Lebe und stirb“) ისინი განსაკუთრებულად მოქნილი და შემგუებელი არიან (man kann mit einem einzigen frischen Sprung entgegengesetzte Handlungen gleichzeiting begehen) მხატვრები თავიანთი საქმის (Geschäfte sind auch poetische Elemente) ომის დროს მოხსენებას არ აკეთებენ (leute noch für den Krieg) დასასრულ ისინი ძალიან მაძღრები არიან და ჯერჯერობით არჩევენ კაფეებს (es hält den Krieg und den Frieden in seiner Toga, aber es entscheidet sich für den Cherry Brandy Flip). (B. T.). ასეთნი არიან დასავლეთის დადაისტები.

რ. ი.

მატიანე

იაკობ ნიკოლაძის იუბილეჲ

იუბილეჲ გაიმართება 11 დეკემბერს. გაზეთებში დაბეჭდილია საიბულეო კომიტეტის მოწოდება: არ ყოფილა საქართველოში სხვა იუბილეჲ ისე საჭირო, როგორც ამ შემთხვევაში, რადგან ხელოვნების ყველა სფეროში კიდევ გვეგულებიან სახელები, ქანდაკებაში კი ი. ნიკოლაძე ერთადერთია, რომელიც 25 წელი მუნჯად ებრძოდა ქვას, და მის სიღრმეში ეძებდა საქართველოს გენიის აღმოჩენას. ი. ნიკოლაძე მთელ საუკუნეთა ტვრთის მზივდველია, რადგან იგი გვაერთებს იმ შორეულ ქვის შემოქმედებასთან, რომლის ნაშთებითაც ქართული ტაძრები არიან მორთულნი. მან ერთმა შეინახა ქართული ქანდაკების კერაში ცეცხლი, და ამით მან გმირული პერიოდი გამოიარა. იგი ქვით და მარმარილოთი ამტკიცებდა ქართულ ინდივიდუალობის ფესვებს, და დიდი მსხვერპლით ელოდა ქართულ კულტურის ამაღლებას. ალყა შემორტყმულ საქართველოში, ყველაფერი გმირულ ამტანობას მოითხოვდა, და თუ ხელოვნების სხვა სფეროში ეს სიძნელე თაობებმა გადაიტანეს, ქანდაკებაში ამ ერთად ერთი კაცის ქედს აწვებოდა მძიმე შემოქმედების აუტანელი ტვირთი. და ი. ნიკოლაძემ ეს ეროვნული მისია სახელოვანად მოიტანა დღევანდლამდე. ი. ნიკოლაძემ გაამთელა საქართველოს ხელოვნება. და ეს მაშინ, როცა შემოქმედებისათვის თავ-შესაფარიც არ ჰქონდა. დრო არის დაფასდეს ამ იშვიათი შემომქმედის ღვაწლი. ხელოვანთა კომიტეტი იუბილეს უმართავს ი. ნიკოლაძეს. ამ იუბილეს ის აზრი აქვს რომ კონკრეტ პიროვნების სახით ხმა მაღლა მიმართოს გვარეულ კულტურას. ი. ნიკოლაძის სახით, საქართველომ უნდა მოიგონოს ქართული ქანდაკება. ქართველმა ხალხმა უნდა მთელი ენერგია გამოიჩინოს, რომ ი. ნიკოლაძეს შეოქმედების აუცილებელი პირობები შეექმნას. ი. ნიკოლაძეს უნდა მიეცეს ქვისა და მარმარილოსათვის თავ-შესაფარი. ეს იქნება საქართველოს ქანდაკების პირველი ქოხი, რომელიც ქართველმა ხალხმა მალე სასახლედ უნდა გადააქციოს, ვისაც უყვარს საქართველოს კულტურა, ვინც სდგას ამ ფრონტზე და ცდილობს დაიცვას ქართულ კულტურის შტანდარტი, მათდამი არის ეს მოწოდება მიმართული.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სიტყვა გახმიანდება მთელ საქართველოში, რაც ახალ ძალას შეჰმატებს ჩვენს მოქანდაკეს, რომ უფრო მეტი ენერგიით განაგრძოს ძნელი გზა, ქართული ხელოვნების დიდებისაკენ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კონფერენცია

საქართველოს მწერალთა კავშირის წლიური კონფერენცია მოწვეული უნდა ყოფილიყო ოკტომბერში, მაგრამ მაშინ იგი საბჭოს მიერ გადადებული იქნა განუსაზღვრელი დროისთვის. ეხლა კავშირის საბჭომ დაადგინა მოწვეულ იქნას კონფერენცია ა. წ. დეკემბრის 29, რაც გამოცხადდა გაზეთებშიაც. ვის რად დასჭირდა, გაზეთ „Çàðÿ Âî ñòî êà“-სთვის მიეცა ცნობა, თითქო კონფერენცია გაიხსნება ამა წლის 15 დეკებერს? წესდების ძალით[1] კონფერენციის გახსნის დღე გაზეთებში უნდა გამოცხადდეს ერთი თვით ადრე. იმავე გაზეთში

1. კიდევ: იმავე რუსული გაზეთის უკანასკნელ ნომერში კონფერენციის დღედ აღნიშნული იყო 25 დეკემბერი.

მოყვანილია დღის წესრიგიც: ახალი გამგეობის არჩევა და წლიური ანგარიშები, ხოლო მწერალთა კავშირის ოფიციალურ ორგანოში, რომელიც იმავე დღეს გამოვიდა (26 ნოებერს, კვირას), მხოლოდ ნათქვამია, რომ წესრიგის გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

მახლობელ №-ში ჩვენ გავაშუქებთ მწერალთა კავშირის გამგეობის მოღვაწეობას, რომელსაც აქვს ბევრი დადებითი, მაგრამ უფრო მეტი უაროფითი მხარეები. ჩვენი სურვილია, თვითეული ქართველი მწერალი დაინტერესდეს ამ კონფერენციით, მიიღოს მასში მხურვალე მონაწილეობა და ამით საშუალება მისცეს მომავალ გამგეობას უფრო ნორმალური მუშაობისა.

სახალხო განათლების კომისარიატი

გაზეთ „კომუნისტ“-ში № 256 — მოთავსებულია წერილი მარიამ ორახელაშვილის „სახალხო განათლება ოქტომბრის რევოლჲუციის ხუთი წლის თავზე“. მოგვყავს ადგილები: „...სახ. განათლების კომისარიატმა ბევრ რამეს მიაღწია და მუშაობის ეს პერიოდი დაგვირგვინდა **თეორეტჲული მონაპოვარით,** რაც დახმარებას გაუწევს და გაუადვილებს უშაობას მსოფლიო პედაგოგიკას“. შემდეგ: „...დასასრულ კინო-წარმოება, რომელმაც გამოუშვა სურათები. ეს სურათები თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ კინემატოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებათ, როგორც შინაარსით აგრეთვე ფორმით, როგორიც არის მაგ. „სურამის ციხე“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ და სხვ.“.

საზოგადოთ, წერილი იძლევა სწორ ანგარიშს, თუ რა გააკეთა სახ. განათლების კომისარიატმა, მაგრამ ძლიერ მიზანშეწონილი იქნებოდა ეჩვენებიათ კინემატოგრაფიულ ხელოვნების გარდა ხელოვნების სხვა დარგებში გაკეთებული საქმეები... აგრეთვე კარგი იქნებოდა იქვე მოთავსებულიყო პენსიონერების სიაც, ვაჟა-ფშაველას და ნიკოლოზ ბარათაშვილის წიგნების გამოცემა და სხვ.

ქართველ მხატვართა კავშირის ახალი გამგეობა

ოქტომბრის 29 დასრულდა ქართველ მხატვართა კონფერენცია. კონფერენციამ შეიმუშავა ახალი წესდება ქართველ მხატვართა საზოგადოების, რომელიც იწყებს საქართველოს ფარგლებში მხატვრობის მკვიდრ საფუძველზე დაყენებას ფართე მაშტაბით. კავშირის ახალ გამგეობაში არჩეული იქნა თავმჯდომარედ მოსე თოიძე მის ამხანაგათ ალ. მრევლიშვილი, მდივნათ ირაკლი ტოფაძე, მოლარეთ გ. სესიაშვილი, გამგეობის წევრად ელენე ახვლედიანი. კანდიდატებათ: დავით წერეთელი, ირ. თოიძე, მიხ. ბილანიშვილი. სარევიზიო კომისიაში დიმიტრი შევარდნაძე და შალვა მამალაძე. კავშირის გამგეობა შეუდგა მუშაობას: ხელოვანთა სასახლეში მოეწყობა კვირეული, სამხატვრო საღამოები ლექცია-მოხსენებებით და ჟურფიქსებით. გამგეობას აზრად აქვს თფილისში გამოსცეს სამხატვრო ჟურნალი.

სამწუხარო მარტიროლოგი

ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულია ასეთი ცნობები: 917 და 918 წელი საბედისწერო გახდა მონარქებისათვის. ჩამოთვლილია სახელები: ნიკოლოზ II, ვილგელმი, კარლ ფერდინანდ. მაგრამ უფრო საბედისწეროა 920 და 921 წელი მეფეთათვის. გარდაიცვალა მეფე რუსეთის პოეტების — ალექსანდრ ბლოკი. გარდაიცვალა მეფე რუსული ფელეტონის—

ვ. დოროშევიჩი. გარდაიცვალა მეფე ფელეტონური რუსული კრიტიკის — ა. იზმაილოვი, მეფე რუსეთის სინდისის — ვლადიმერ კოროლენკო. მეფე რუსი აქტიორების — პრავდინი, მეფე საფრანგეთის კომპოზიტორების — სენ-სანსი, მეფე მსოფლიო დირიჟორებისა — ა. ნიკიში. მეფე ტენორებისა — კარუზო, მეფე ვოკალისტების, ბატისტინი, მეფე გერმანიის დრამატიული არტისტებისა — პოსსარტი.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, თქვენს პატივცემულ ჟურნალში ადგილი მისცეთ ჩემს განცხადებას. მე ვმუშაობ მონოგრაფიაზე, რომელიც შეეწირება ლეონიდ ანდრეევის ცხოვრებასა და შემოქმედებას. განსვენებული მწერლის ნათესავებმა მე მომანდეს ლ. ნ. ანდრეევის წერილების მთელი რიგი, აგრეთვე საგულისხმო მოგონებები მის შესახებ. გარდა ამისა, მე ხელში ჩამივარდა მწერლის ბიოგრაფიისთვის საჭირო და მეტად საყურადღებო ზოგიერთი დოკუმენტი, რათა ჩემი შრომა იქნეს სრული და ღირსებით სავსე, მე მივმართავ განსაკუთრებით მწერლის ყველა ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს. აგრეთვე სხვადასხვა გამოცემათა რედაქციებს, დაწესებულებებს და სხვ. საერთოდ ყველას, ვისაც მოეპოება ლ. ანდრეევის წერილები, რაიმენაირი ხელნაწერები, დოკუმენტები და სხვა გადმომცენ მე; ასლის გადაღებისა და შემოწმების შემდეგ, ყოველი ასეთი წერილი დაბრუნებული იქნება, მთლიანად და საფოსტო ხარჯების გადახდით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთების გადმოგზავნა შეუძლებელია, გთხოვთ, გადმომიგზავნოთ ნამდვილი, სწორი ასლი, ორგინალის მართლწერის შენახვით და სათანადო აღწერით. პატივისცემით **ნ. ფატოვი.** ჩემი მისამართი: Ì î ñêâà, Òðóáèí èêî âñêèé ï åð. ä. 26 ï ðî ô. Í . Í . Ôàòî âó. P. S. ვთხოვ სხვა ჟურნალებსა და გაზეთებს, განსაკუთრებით საზღვარ-გარეთისას, გადაბეჭდონ ჩემი წერილი. **ნ. ფ.**

ფოსტა

ტფილისი. NN-ს

რედაქციისადმი წერილში თქვენ გაინტერესებთ გაზელა. გაზელა — როგორც ფორმა ეკუთვნის სპარსეთის პოეზიას, და ითვლება მის ერთ დამახასიათებელ ფორმად: მთელი პოეზია სპარსეთისა — განსაკუთრებით მეორე პერიოდი (1106-1203), ერთი განუწყვეტელი დიფირამბია უნაზესი გრძნობების, იგი ასეთი იყო დიდი ხნიდან, და ეძებდა ფორმას, რომელიც ყველაზე უფრო შეძლებდა გამოხატვას ამ გრძნობებისას. როდესაც სპარსელები ლაპარაკობენ საზგადოთ მათი პოეზიის და კერძოთ გაზელის წარმოშობის შესახებ, ისინი უჩვენებენ სასანიდების დინასტიის ერთ სახელგანთქმულ წარმომადგენელზე ბეჰრამგურაზე, რომელიც შემდეგ მთელ აღმოსავლეთში შეიქმნა იდეალი რაინდის, მონადირისა და გულთამხიბლავის. მან, როგორც ამტკიცებს გადმოცემა, პირველმა მოიგონა მეტრიული სიტყვა. ამის მიზეზი იყო მისი საყვარელი მონა-ქალი — სახელად დილარამი (გულის სიმშვიდე). აღფრთოვანებული ღრმა სიმპატიით თავისი ბატონის პოეტურ სიტყვებზე იგი უპასუხებდა ბოლო სიტყვების თანაბარი ახმოვანებით. განა წარმოსადგენია ამაზე უფრო უმშვენიერესი წარმოშობა პირველი ლექსისა და გაზელისა?

საკმარისია ზოგიერთი სახელის ჩამოთვლა: ჯალალ-ედინ-რუმჲი, ნიზამი, ომარ ხეჲამი, საადი, სავსე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას.

შვენება შირაზის პოეტი ჰაფიზი (1300—1389) მსოფლიოში განთქმული ლირიკოსი, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის ლიტერატურაზე, და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გიოტემ თავისი „დასავლეთის დივანი“[1], იყო უდიდესი პატრიოტი გაზელის. გიოტეს შემდეგ მთელს გერმანიას მოეფინა სასიყვარულო-ლირიული ლექსები — გაზელების სახელწოდებით, რომლებიც ხშირად შეცდომით იწოდებოდენ გაზელებად: მათში დაცული არ იყო ის თავისებურება, რომელიც სპარსულმა პოეზიამ დააკანონა გაზელისათვის. ასეთი ხშირი შეცდომებისთვის გერმანელი პოეტი კარლ იმმერმანი (1796—1840) ეპიგონი რომანტიზმის, ცნობილი პლატენთან კამათით, — მწარედ დასცინის გაზელის მწერლებს: „Von den, Früchten von Schiras stehlen“ საქართველოშიაც გაზელის მსგავსად დაიწერა ძალიან ბევრი ლექსი (ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, საიათნოვასი), მაგრამ მხოლოდ მსგავსად. არც ერთი ლექსი არ მოიპოება ქართულად „გაზელა“. გასაოცარია, რომ ჩვენში, სადაც ასეთი გატაცება იყო სპარსული პოეზიით ოდესმე, არ არსებობდა ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო გადმოღება უცხო ფორმის და იქ ქართული სულის ჩანერგვა. მაგრამ გადმოტანა სულის, ტემპერამენტის, და ანგარიშის არ გაწევა ფორმასთან... უმთავრესად ასეთი იყო ძვირფასი ბესიკი, ასეთი იყო მეორე ხარისხოვანი საიათნოვა. გაზელას (რუსები შეცდომით ხმარობენ: გაზელლა) ერთი და იგივე სიტყვა ან გამოთქმა მეორდება ყოველი მეორე სტრიქონის ბოლოში, რის გამოც იგი დაყრუებულია უნაზესი სენტეციებით. ეს განმეორება სიტყვებისა არის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება გაზელის, ჰიუისმანის გმირი ცნობილ რომანში „íàîáîðîò“ უზომოდ აღტაცებულია გაზელით. უადგილობის გამო ვერ მოგვყავს ადგილები რომანიდან. ზედმეტი რამ შელამაზება გაზელასთვის სავალდებულო არ არის, გარდა იმისა, რომ მას უნდა ჰქონდეს არა ნაკლები ხუთის და არა უმეტესი შვიდი ორ სტრიქონიანი ტაეპისა. ამითი განირჩევა გაზელა სხვა სპარსულ წყობისაგან, როგორც მაგალითად „მესნევი“, „ყასითი“ და სხვ. აი ნიმუში სპარსულიდან ნათარგმნი გაზელისა:

არა ზეცა, არა ლანდი, არა ფერია,
შენ მიყვარდი მაგრამ კარგი... არაფერია.

ძველისძველი მეგობარი, ღამის მთეველი,
ისევ მოვა დანაკარგი... არაფერია.

გაიშლება მწუხარება შეულეველი
შენის ხელით დანაქარგი... არაფერია.

შორეული ხომალდები, მთა და ტყე-ველი
იყოს ჩემი სულის სარკე... არაფერია.

მომკლას ღვინომ, მომკლას ღამემ, ყოფნა მტვერია,
მეტი ძებნა... მეტი ბარგი... არაფერიაა.

1. ამ წიგნს ტეობილ გოტიე უწოდებს „ოაზისს, სადაც რეკავდა ქნარი“.

რუსთაველის თეატრი

სეზონი 1922—1923 წლის.

სახელმწიფო აკადემიური დრამა

კვირას დეკემბრის 3, **ლოკე-დე-ვეგა**

(ფუენტე ოვეხუნა) **ცხვრის წყარო** (ფუენტე ოვეხუნა)

თარ კ. მაყაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი

დადგმა **კ. მარჯანიშვილის** რეჟ. თანაშემწე: **ალ. გველესიანი,** მუსიკა კომპოზიტორის **თ. ვახვახიშვილისა,** სიმფონიურ ორკესტრის ხელმძღვანელი **ა. ჩუგუნავა,** ახალი დეკორაციები მხატვარ **ვალ. სიდამონ—ერისთავისა,** ბალეტი **ვ. ფუტლინისა.**

მეორე ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.—კასა ღიაა დილით 11—2 საათ. და საღამოთი 6—10 საათ.— დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ანონსი: ხუთშაბათს, დეკემბრის 7 პრემიერა **„ორი ჯიგგერი“** **ანონსი:**

რეჟ. **მ. ქორელი.** **თეატ. ადმინისტრაცია.**

ოპერის სახელმწიფო თეატრი

კვირას, 3 დეკემბერს

ჰერინის საბალეტო სტუდიის

საღამო

გეკსგეგოვის ხელმძღვანელობით.

„ოლეილდორ“

საუკეთესო ტფილისში

ყვავილების მაღაზია

ერევნის მოედანზე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ

„ᲝᲠᲘᲐᲜᲢᲘ“ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.

საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის ვანათება, ტელეფონი, ევროპიული და აზიური სამზარეულოთა,

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ

საუკეთესო მბარეულთა მედამხედველობით.

ხაუზმე, სადილი, ვახშამი. სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2 – 5½ საათამდე. ფასები დაკლებულია.



„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 10 დეკემბერი, №2

იაკობ ნიკოლაძეს ჩემი გულწრფელი სალამი! ჩვენს ქვეყანაში დღეს იბადება იდეა მიქელ ანჯელოსი, უდიდესი იდეა მთიური, გიგანტური ლანდშაფტის შექმნისა, ზღვისპირად, ბუნებრივი კლდეებისაგან, რომ მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი... ტიტანიური მთების ლანდშაფტი, ზღვის პირად! აი დევიზი დღევანდელი დღის. თანამედროვეობაც იმ ზღვას ჰგავს, იმ მბრუნავ მალსტრომს, რომელზედაც დაუვიწყარ ლეგენდებს ქმნიდენ: ედგარ პო, არტურ რემბო, ბოდლერი. რამდენი მთვრალი ხომალდი დაიღუპება ამ უსივრცო ოკეანეში, და რანაირი ნუგეში იქნებოდა მათთვის შორიდან მაინც მოეკრათ თვალი უდიდესი ქანდაკებებისათვის. მე მახსოვს ტიტანიური გემი „დალანდი“, — იგი მოარღვევდა შავი ზღვის აბობოქრებულ ტალღებს, მე ვბრუნდებოდი რევოლუციიდან, მომქონდა კაპიტალური რომანები და წიგნი „Crâne aux fleurs“ და კიდევ ერთი იდეა: განახლება ან სიკვდილი. მე ვიცოდი, რომ ადამინებს შორის აღარ არის არავითარი კავშირი უსულო და უგულო ანგარიშებს გარდა, რომ ამაოდ წყუროდათ ამ ადამიანებს იდეალი და ჰარმონია, რომ ეგოისტურმა ანგარიშებმა სრულიად წალეკეს ლტოლვა არაქვეყნიურ ოცნებისადმი. გაჰქრა მწუხარება ვაკენროდერის, გაჰქრა ზმანებები ნოვალისის. ფანტასტიური გემი დაუსჯელად ვერ მივიდოდა ოცნების სამეფოში: ქარიშხალი მეტად მძლავრად სცემდა მას, ზღვაში დახეტიალობდენ ნაღმები და არა ერთი და ორი ხომალდი ჩვენს წინ საუდამოდ დაიმარხა ზღვის ტალღებში. ეხლაც იქ აჩვენებენ საბედისწერო ადგილს, გემთა სასაფლაოს. მათთვის, ვინც არ იცოდა ბრძოლა, ეს სიკვდილის მომასწავებელი ბრუნვა იყო, მექანიკურად გაქანებული ისტორიის გრიგალი ზღვაში ისროდა იმ მოხეტიალე ჟონგლერებს, რომელთა ნაზი სიმღერით შფოთდებოდა გრაფინია იზორას სული.

ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამნაცრებელმა დრომ. ყველას გამხნევება სჭირდება; მათთვის ჩვენ უნდა განვახორციელოთ მიკელ-ანჯელოს იდეა, უდიდესი იდეა გიგანტიური მთის ლანდშაფტისა, რომ იდუმალებისა და სასწაულის მოლოდინში მყოფმა მენავეებმა და მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი. ჩემი გულწრფელი სალამი იაკობ ნიკოლაძეს!

გალაკტიონ ტაბიძე
ხელოვნების სასახლე
ტფილისი

შორეული ფიქრები წვიმაში

წვმის. ქარია. ცივა.
ფერწასული მესსა
მოღლილ ბაღთან მივა.
და მარტო ვარ დღესაც.
წვიმს... ქარია... ცივა...

მწუხრს ფოთლებად ცვივა
მოლანდება ფარდის.
ობოლ ვერხვებს ცივათ.
და სიფითრე დადის.
წვიმს. ქარია. ცივა...

მოგონების რკალი.
ცრემლიანი მინა.
და ოცნება მქრალი,
დაკარგული წინად.
წვიმს. ქარია. ცივა...

დაეცემა ბინდი
სინანულის ვარდათ...
ო, არ მინდა წვიმდეს
ჩემი ფიქრის გარდა.
წვიმს. ქარია. ცივა...

უცნაურად გასტანს
აგონია ზარის.
და მწუხარე დასთან
ჩაფიქრდება ქარიც.
წვიმს. მარტო ვარ. ცივა...

გადატეხა შუქმა
სევდიანი გეზი.
მე კი ვნანობ უქმად
შეწუხებულ დღეზე,
წვიმს. ქარია. ცივა...

ო, პრინცესსა! მალე
შენი ლანდი წავა,
და ცისფერი ქალი
გამოჩნდება შავად.
წვიმს. ქარია. ცივა...

წვიმს. ქარია. ცივა.
ფერწასული მესსა
მოღლილ ბაღთან მივა.
და მარტო ვარ დღესაც.
წვიმს... ქარია... ცივა...

გობრონ აგარელი

ნატვრა

(გალაკტიონ ტაბიძეს)

ნეტავი ვიყო ნიავი
ლამაზი გაზაფხულისა,
რომ შემოვევლო ყვავილებს
როგორც სურვილი გულისა.

ან ვიყო წმინდა ცვარ-ნამი,
ვარდზედ დაყრილი დილისა,
წამლად სახმარი, მკურნალი
სუყველა დავრდომილისა.

ან ვიყო კიდევ ოცნება
უმანკო სიყვარულისა,
ყველგან მავალი ვით სხივი
ცხრა თვალა მზეთა გულისა.

რომ შემოვევლო ქვეყანას,
მთა-ბარი შემოვიარო,
ყველას დარდი და ვარამი
შუაზედ გავიზიარო...

შიო მღვიმელი

ჩემი გზა ვრცელი

იყო ანთება. გზა. უცხოეთი.
გადასახლება ჩემი ბრძანებით.
გაგიჟებაში გავხდი პოეტი —
ცოდვების ბოდვით და მონანებით.

ადგნენ ქარები გძელი ქუდებით
(უდაბნოებში უფრო ხშირია...
მზის დაღამება და გამრუდება)
და გზები ასჯერ გადაირია.

მივყავდი ტალღებს გზა დაბუდრული —
და მდევდა კვლავ თან ბედის მწერალი.
მიმაქანებდა როგორც შურდული
ფიქრი ღმერთებთან ნაქიმერალი.

გადავიფარე ბინდის ზეწარი.
ყოველი წუთით განცდა სხვაობდა.
და დავსხლტი ისევ. და უეცარი
ბედი ოხერი ამიჭაობდა.

...და ეხლა ჩემთვის არც უცხოეთი
სამშობლოც ჩემთვის ბნედას მოუნდა
უძილო ქართან ჰბოდავს პოეტი: —
ღმერთი გაგიჟდა და გაკლოუნდა.

ი. მოსაშვილი

ალილო ღამეს

დაეფარება ცას ნაცარი ნავულკანარი.
ღამე მშვიდობით. დაბინდებამ ფანჯარაზე იკლოს.
ჩაქრება ადრე ორღობეში ჭრაქი ფანარი.
და წელს ზამთარი სათამადოდ დარჩება ციკლონს.

ჭაობებიდან ამოაძრობს ყანჩა კვიპაროსს.
და ალილოზე წავა ჯოხით კვლავ დეკემბერი.
დავრაზავ კარებს რომ ბეჭდები არ მოიპაროს —
ხშირია ღამით ფანჯარასთან ქარი ბებერი.

ო, დედა ჩემო, კვლავ მიამბე მამაზე ძველი —
ახალგაზრდობის ნაგიჟარი... ნაარაკალი.
ბზიალებს ჯარა ბუხრის პირას და უდარდელი,
დიდხანს აომებს ჭერში თაგვებს კენტი კაკალი.

მერე მამაჩემს გაუგზავნით — საჩუქარს ტაბლას.
ესეც უყვარდა. ღვინოს დალევს იმ საიქიოს.
ძვირფასი ლანდი დაფარულად ჩამოდის დაბლა,
რომ გარდაცვლილმა სიცოცხლეზე შური იძიოს.

კოჭლი მთხოვარა კარზე ოთხ სიმს ააფანდურებს.
გრძელი ალილო და ბიჭები, — ასველებს მამალს.
დედას ჩასთვლიმა და ჯარასთან თავს აკანტურებს,
გამთბარი კატა დაიხურავს დედის ფესტამალს.

დაეფარება ოთახს ძილი. გამიამარებს
მამის სურათი მაგიდაზე მარტო მტირალი.
წავალ, ვიგლოვებ და კვლავ ვტოვებ ძვირფას სამარეს
და დავალ გარედ, როგორც ქურდი, ნაჯიბგირალი.

ი. მოსაშვილი

ღამე ჩემს სოფელში მუდამ ერთნაირი

მთების სილუეტი შავად ჩამოთლილი
სიო ხეივანის მუდამ მსახურია.
ბაღი აივნის წინ მუქად გაფოთლილი,
სოფელს აბრეშუმის ღამე ახურია...

როგორც კედლის სვეტზე მიკრული აული,
შორი და ლამაზი ვით ძველი ფაშულა.
ეზოში, ჭიშკართან ღამის ყარაული. —
თათებზე უძილო ძაღლი დანამულა.

იყივლებს მამალი. კისერს მოიღერებს,
ფრთებში თავს დაჰფარავს, ამიოკაკვება.
გვიანი გამვლელი ძაღლებს მოიგერებს
და ყეფა შარა გზას თოკივით გაჰყვება.

და ძილი ყაჩაღურ ნებით მობძანდება
ეშლება მოლოზნის და ბერის მანტია.
სივრცეში დადიან უსახო ლანდები
და გზაზე ზედაშის სანთლები ანთია.

ირგვლივ სიწყნარე და მკვდარი სიუჩუმეა.
მთვარე ყვითელ ფარჩით მთებზე დაქანდება.
მალე გაიღვიძებს მძინარე მუმია,
მოვა გათენება... დახანდება.

ი. მოსაშვილი

* * *

რაკი უცეცხლოდ ვერ გამიძლია,
ამ შენობაში ენთოს ხანძარი!
მთელი ქონება ბევრად იძლია
და მეც ნამწვავი ერთობ დავძარი.

მაყურებელმა არც ერთი ბადლით
უბადლესობა აღარ იცოდა.
ვენთები, თუკი ასეთი ადლით
აღარ გაჩნდება ახალი ცოდვა!

ბაბილინა
25/XI.1922

* * *

ამეღამ მთვარეს აკლია სხივი —
ვაი, მიჯნურებს, რა ეშველება!..
განშორების ჟამს სული მაქვს ცივი...
ოჰ, რა ძნელია მზის დაბნელება!..

მე დავრჩი მარტო, ოდეს შენ წადი:
ფიქრი წითელი როგორ დავსტოვო?!.
შენ იყავ ჩემთან ეგ წელიწადი —
და განშორება ვით არ ვიგლოვო!..

აწ არ გვექნება ჩემს ფანჯარასთან
გაკვეთილები საღამოს ჟამის;
არ იცეკვებენ ტრფობის ჯარასთან
სხივები შენი თვალთა წამწამის...

მოგონებანი დაფარვენ ჩემს სულს,
ისე, ვით მგოსანს გედის სიმღერა.
გაეცინება საზიზღარ ავსულს
ჩემი ერთგულათ სარკეში ცქერა...

დღეს სახალისოდ ვერ დამიღამებს
ლურჯი ფრინველი, ღამის დობილი,
უთვალავს მასმევს ყოველდღე შხამებს
მემატიანე დაუნდობელი.

ს. ურუშაძე
აგვისტო, 1921

როლი ნიაღვარში

წალეკავს ქალაქის ქუჩებს,
ეს ნიაღვარი ავი
და დავაკვდები ტუჩებს,
როგორც უვნებო კრავი.

არ არის ვნება ისე,
როგორც წუხანდელ ღამეს.
ამ ნიაღვარში მისანს,
ბევრი გაუგებს გამმებს...

მე ვიცი მხოლოდ ერთი,
ეს ნიაღვარი დიდი,
მდინარეს ხიდში ერთვის.
ქალაქიც მძიმედ მიდის...

და დავაკვდები ტუჩებს,
როგორც უვნებო კრავი.
და ყველას დავაყუჩებ,
ყრუ მოგონების ზვავით.

ირაკლი ყანჩელი

კაენი

(ბალლადა)

მაღრიბს ჩაქრება ცეცხლის მადანი,
კუპრი დაახრჩობს მიწის ნაპრალებს;
აფირუზდება ცის კაბადონი
და გამოაჭყეტს მილიონ თვალებს...

უცებ შეიძვრის მიწის ნაპირი
და გადასკვნილი მთებისა წყება
ჩამოინგრევა და გულ-ნატირი,
სადღაც უფსკრულში ჩაინარცხება...

ქვეყნისა პირი გახდება სწორი:
თითქოს ღვთის რისხვით გადაითელა.
დარჩება მხოლოდ ერთი კენწორი
ევერესტისა ვეებერთელა...

ჯოჯოხეთური დარეკავს ზარი,
მთა ნაპრალებით დაიხლართება:
და შავი კაცი უზარ მაზარი
მის კენწეროზე აღიმართება.

გაბურძგვნილ თმა წვერს ცეცხლში არებენ
შავი თვალები დანაფეთები;
ძარღვულ თითებით მოწანწკარობენ
ლალით ნაფერი სისხლის წვეთები...

მკერდს შეიკუმშავს, როგორც საბერველს,
კუნთებს და ნერვებს დასჭიმავს ჰალზე,
და მის გარშემო გაშლილ მინდორ-ველს
ერთს შეუკივლებს საოცარ ხმაზე...

წამოიშლება ბოროტ სულთ კრება:
ქაჯნი, ჭინკები და ძმის მკვლელები...
სისხლის ნაკადით დაიფერება
მთელი მსოფლიოს მინდორ-ველები...

ყველგან იწყება ქაჯთა ქორწილი,
სისხლით გავსებულ ყანწთა ტრიალი...
ხითხითებს ჭინკა ტანდალორწილი,
მიდამოს იკლებს მდევთა ღრიალი...

შავი რაინდი მაღლით დასცქერის
ამ გასაოცარ სანახაობას,
და კმაყოფილი იმ ხმაზე მღერის,
რომ არ სმენია არც ერთ თაობას...

მაგრამ უეცრად: ცა ანთებული...
საგანთიადო სხივთა შეხება...
მიწას მოსწყდება ქაჯთა კრებული,
სადღაც უფსკრულში გადიჩეხება...

შეკრთება კაენ მწვერვალზე მდგარი:
სახე მრისხანედ დაექუფრება:
კბილების ღრჭენით, ვით გარეწარი,
ზეცას მუშტებით დაემუქრება.

შემდეგ მოსწყდება მწარედ მგმინავი,
გადაეშვება შავ ნაპრალებში,
და მისი კვნესა გულგამგმინავი
დიდხანს მოისმის მთის ღარღამებში.

ს. ურუშაძე

ტფილისი, 6 დეკ., 1922

მსხვრევა

რამ აღაგზნო ეს ვაჟკაცი, ან ის ქალი რამ მოთენთა!
რად ამოთქვეს ურთიერთად: — ჩემო ღმერთო! — ჩემო ღმერთა!
ასეთ ყოფნის აქ საზღვარი ვერავინ ვერ გადალახა. —
ახარხარდა ძირს სატანა: — ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ხა, ხა, ხა, ხა!..
ზეციდან კი ანგელოსმა მიწას ცრემლი დააფრქვია...
ამაოა არსებობა, თუ სიცოცხლე ამას ჰქვია.

ბაბილინა

9 დეკემბ.

* * *

ახ, ამცდებოდა უბედურობა,
რომ მე მქონოდა ზედ ამულეტი;
კარგად დაუჯდა ჩემთან ხუმრობა
მუზას, — მივუძღვენ, ხედავთ, კუპლეტი!

ბაბილინა
ნოემბ.10

პრელიუდიები

I

ტყე სევდიანობს, შრიალებს, შფოთავს,
მდინარე ჩუმი ხმაურით გოდებს,
სუსტი ენთელა ეკვრის მათოთას
და სუნთქვა არხევს ჩინარის ტოტებს.
აქ შუა ღამის გაისმის გლოვა
არია კრძალვით ციმციმებს, მოგვდევს,
მგონია, ტყიდან ვინმე გამოვა,
და ცოცხლებს გულზე დაგვადებს ლოდებს.

II

ხვეულ წავარნებს რად ამოვყევით?
რაზედ ვეძლევით მჭრელ ასპალადებს,
ჩავიდეთ კარგო იმ ხევში ქვევით
და ჩამოვშორდეთ ამ მმოძრავ ლანდებს.
სახეთა მწკრივი ამოუცნობი
ბუნდოვან ტოკვით არ გაგვახარებს.
წამოდი ლექსებს გიმღერებ გრძნობით
და გაგიტაცებ ოცნების მხარეს.

III

„ეს საიდუმლო ლოდად მადვია,
ვერ გამიგია, რად მტოვებ, რადა?!
გახთი გაბედულ, ამაყ მედეათ
და მომავალსაც ახადე ფარდა,
მე შენთან მინდა“. — სთქვი და თვალები
ვერცხლისა ნამმა აგიელვარა,
შუბლზე შემეხე თლილი ლალებით
და გულზე თავი დამადევ წყნარა.

IV

ო, როგორ ვსწუხთი გუშინ ამ დროზე,
რომ ვერსად შეგხვდი და ვერა გნახე
დღეს კი არ ვიცი ჩავჩუმდი რაზე?
და ჩემ გულის თქმას რად მალავს სახე.
რატომ არ ძალმიძს ბაგე გავხლიჩო
და ჩავაჩუმო ეგ სიამაყე,
ოცნება ზეცას ჩამოვაგლიჯო,
თუ ამ ოცნებას ზევით თან ავყვე?!

V

შენ პასუხს ითხოვ, რა გიპასუხო?
მე ხომ მონა ვარ. მონა და ეგ მლევს
შეფოთლილ კოკრებს ბედი დასუსხავს
და იმედებსაც დაადებს ძეგლებს.
მაგრამ თუ ერთხელ შენი თვალები
კვლავ ვერცხლის ნამმა შეასოველა,
ვერ შევსძლებ ბრძოლას, დავიღალები,
და დამეკარგვის შენს გარდა ყველა.

VI

ნაზი თითებით ფრთხილად, სულ ფრთხილად,
ოდნავ შევეხე შენ გრძელ წამწამებს,
შენ კვალად ზიხარ თვალებ დახრილი
და მე კი ვკინძავ საამურ წამებს.
მაგრამ უეცრად მახლობელ ხევში
ჭოტმა შავ სიკვდილს უმღერა შესხმა.
აჰ, ყვავილები მაჭკნება ხელში
და მტანჯავს ღამე. ცრემლს და... ეს ხმა...

VII

აქ ყველაფერი გადარეულა,
აქ ყველაფერი გამხთარა არვად,
ღრუბლები თავზე დაგვყურებს მტრულად
და დაძრწის მთვარე ავადმყოფ ქარვად.
სამრეკლოს თავზე ეშვება ქორი
და იალქნურად ფრთებს ათამაშებს
აქ ამ საყდართან სამარეთ შორის
ჩვენ წავაგავართ დაბნეულ ბავშებს.

VIII

შენ ამბობ: „ეს ხომ ნამდვილად გჯერა,
რომ ჩვენც ოდესმე დავსამარდებით
ჰო, მოვა, დაკრავს სიკვდილის ჯერი
და ჩვენც მოგვრთამენ ფერ მკრთალ ვარდებით.
ამ სხეულს მიწა სულ შემოგვაცლის,
ასხმულ ძვლებს დაჰყრის ის უსუდაროთ
და მოკლე ჟამი ჩვენი სიცოცხლის
მწუხარებაში რად გავატაროთ?!“

IX

ძვირფასო ჩემო, დამტოვე მარტოთ,
მარტოთ დამტოვე ჩემს უდაბნოში,
აქ ჰორიზონტი იშლება ფართოთ
და ველ ბუჩქნარში დავდივარ ქოშით.
დღით ნისლის კაბას ცა გადამაცვამს
ყვავილებს მხურავს, როცა ღამეა,
გიჯობს, ნუ მიხმობ, თორემ გადაგწვავ
ვით პოლიორკეტს სწვავდა ლამია.

საფო მგელაძე
1920

ელეგია

არ ვიცი, ზეცა რად არ იქუხებს,
რად არ იქუხებს, არ წამოვა ცეცხლის ქარები;
რისთვის არ დასწვავს ტბებს შენაგუბებს,
რად არ იმსხვრევა ბოროტების ბნელი კარები...

მე — ვით მცენარე, ფესვებ გამხმარი,
თითქო გვალვაში ველი წვიმას, ველი ნიაღვარს;
როდის დაწყნარდეს მწუხრისა ზარი?
როდის წასკდება შვების ღიმი მგლოვიარე ქნარს?..

დღეს განდევნილი დაბურულ მთებში,
გაწირულებით, გესლით, სიავით;
ვტრიალებ უნდო, გიჟ ცხოვრების ლაბირინტებში,
ველი: იცვლება ქარტეხილი წყნარი ნიავით?..

ა. ნაქერალელი
15 თებ., 1922
დედა-ქალაქი

შუაღამე ქალაქში

ქუჩა. შუაღამე. ელექტრონის აფერადება:
ქალაქის ძილი, იდუმალი ხელით ნაბანდი.
ცის ამბიონზე გადარეულ ღრუბლის ნაბადი.
შავ სასახლეში სილუეტთა გამარადება.
ქუჩა. შუაღამე. ელექტრონის აფერადება.

ო, როგორი ხარ შუაღამევ ძველი ქალაქის!
მოწყენილ ქუჩებს გუშაგობენ მხოლოდ ძაღლები.
ამ სიბნელიდან ვარსკვლავებთან გადასახლებით
შემოისუდრა მდუმარება ცრემლით ნალაქი.
ო, როგორი ხარ, შუაღამევ, ძველი ქალაქის.

მერამდენეა ამ ქუჩებში ასეთი ღამე,
ან რამდენია გათენება მოსალოდნელი?
როდის მოკვდება პროცესია უაზრო ბნელი,
ვინ გადაირბენს ამ ეკლებით დახლართულ გამებს,
მერამდენეა ამ ქალაქში ასეთი ღამე?

ა. მაღულარია

ჩემი წამება იწყება ღამე

(პატარა შვილის — დუჯოს ხსოვნას)

შეუმჩნეველი არ დარჩა არვის,
რომ მარტოდ მარტო დავალ ერთავად.
სახის ფერი მაქვს ყვითელი ქარვის,
არავინ იცის, რათ გავხდი ავად.

მომაგონდება ათასი რამე
და გული დარდით დამეხურება.
ჩემი წამება იწყება ღამე,
დუჯო რომ ტკბილად არ მეხუტება.

აღარც აკვანი, აღარც ნანინა...
გამეფებული სიჩუმე მკვდრული!..
ჩემსავით ელდა-ნაკრავი ბინა
და სიმწრით დედა პირ მოკუმული!..

ო, ვინ რა იცის, რათ გავხდი ავად!..
ან რისთვის დავალ ობლად ერთავად?
ჩემი ოთახი დაცარიელდა!
ღია დასტოვა კარები ელდამ...

ქნარი

შემოდგომის ფრაგმენტი

დავენარცხები ყრუ სარეცელზე,
მხედართ-მთავარი მიგზავნის რაშებს,
ველური ქარი გაირბენს ველზე
და გამხმარ ფოთლებს აათამაშებს.

წინ შემომხვდება ჩემი მეგზური
დემონი, ჭლექი და შემოდგომა,
ვიღაც მიძახის; „რისთვის მემდური“
და გადამკოცნის მე შერელომა.

მივალ, მახველებს, მისკდება გული,
ყვითელ მინდორზე დაჰქრის ქიმერა;
მიძახის: — „მე ვარ შენი ერთგული“
და ყვავ-ყორნების მესმის სიმღერა.

გამჭირვალეა ეზო და ბაღი,
თვალი ვერ შთანთქავს ცარიელ სივრცეს...
ძალით ამხადეს ფარ-იარაღი...
მე მიღალატეს... და სიკვდილს მიმცეს.

ი. ხინველი

ღამურა

მომაკვდავ მზის სხივებზე ნიავს სურდა ეფრინა
ყვავილთათვის შიქასტა ერთხელ კიდევ ესმინა.
ბინდმა სიოს სურვილი შავფიქრებით გამურა —
ზედ ვით ქოლგა გაშლილი აფარფატდა ღამურა!
ჰე, მწუხარე ოცნება, ზოგჯერ სევდისა ამშლელო,
გერო მზიურ სიცხოვლის უკუმეთის დამცველო!
ვინ გიხილოს, რომ არ სთქვას წყევა ზიზღით ნაფარი,
ვის რად უნდა უბედო სიმახინჯე მაგვარი!..
მაგრამ ზოგჯერ ვოცნებობ შენს გაბედულს ნავარდზე,
მრცხვენის, რომ მხდალ სიცოცხლეს ვლექსავ ცრემლთა ჯავარზე
ვამბობ; ისევ შენ სჯობხარ ერთ დროს მთაზე ნაყივლსა,
დღეს კაცის ხელს შეჩვეულს მოლაქუცე არწივსა.

მ. უზნაძე
ქ. ტფილისი
1922

ნესტიან ოთახიდან

ნესტიან ოთახში ტიროდა როიალი,
სახლის სახურავს ათრობდა მზის სიელვარე...
მივდიოდი ქუჩაზე მარტო ფიქრებით მთვრალი.
„ეს ქვეყანა შენ გქონდეს“ — მეუბნებოდა სული.
მე უარით უპასუხებდი...
ჩემს წინ იღიმებოდა შუა სარკმელზე დაყრდნობილი ქალი.
მისი ღიმილი მძიმე იყო — ვით ცივი რკინა.
მისი სახე ჩემს სახის სიყვითლეს გვანდა.
მე ჟინით მთვრალმა ჩავუარე მას.
„ეს ქვეყანა თქვენ გქონდეს ჩემთვის უგემურია“...
როიალის ტირილი...
როიალის ხმებმა მე შემაჩერეს,
ვით უსინათლო ჩვეულ ინსტიკტით ქვებით არეულს
ტროტუარზე.
ხა! ხა! ხა! გაგიჟებულა საბრალო!
ქალის ირონია.
გიჟი შენთვის ვარ — ჩემთვის ჭკუიანი...
ვუპასუხე მე თამამად.
ქალს ეწყინა ჩემი სიამაყე.
მე მოღრუბლული გადავიარე დაღმართი;
როგორც ზღვის მუქარა თმა გაწეწილ ქარში.
მის შემდეგ შემძულდა როიალის ხმა
ნესტიან ოთახიდან.
შემიყვარდა ბნელ ქუჩაზედ მარტოდ ხეტიალი.
— გიჟია, გიჟი! უბედური, ხა! ხა! ხა! —
კვირაში ერთხელ ირონიით ჩამძახებს იმ ქალის ლანდი,
მაშინ, რომ ვნახე სარკმელთან დაყრდნობილი,
ვით კეთილი ბერი სამლოცველოს კარებთან.
მე გავბოროტდი...
მალე უნდა უარვყო სააქაო.
მასში ჩემი ყოფნა ტანჯვაა.
ო, როგორ მინდა საკუთარ ცრემლებით ავავსო ქალაქი
და ის ქალი დახრჩობისას შველას მთხოვდეს,
მე უარით ვუპასუხებდე.
ცრემლების მეფე.
ღმერთი ჩემი ბოროტებისა...

შალვა ჯანბერიძე
22 წ., ნოემბერი
დედაქალაქი

ო, ანგელოსნო, იყავით დები

ზამთრის ცრემლები სარკმლებზე დაღვრილი.
სიცივე მზისა ქვიან კედლებთან —
ღამე ყინვებში მეტად დაღლილი,
დილის კუბოში დნება ლანდებად:

დიდი ხანია, რაც მე უარვყავ
სისხლნარევ წყალით დაბანა პირის.
სასტიკი მტერი კიდევ ძმურად მყავს,
აშკარი გული ხომ კვნესს და სტირის...

გადასვენებამ მე შემოდგომის,
ზამთართან შური დამათესია,
მზის სიელვარე და ქარის ომი,
ჩემს ცხოვრებაზე უკეთესია.

ზამთარს არას დროს — შევურიგდები.
მე ზაფხულს ვგლოვობ სიცილით შენთან!..
ო, ანგელოსნო, იყავით დები
და ამიყვანეთ უშიშარ ღმერთთან!..

შალვა ჯანბერიძე
22 წ., დეკემბერი
დედაქალაქი

ჰედის დღეობა

არის ნაზი მზეობა
ღამის ჟინით მთვრალი.
ჰედი, თქვენი დღეობა
მოდის როიალით!..
მძიმე წამი ნელდება,
ამ ლოდინის თრთოლებით.
გულიც არ გიბერდებათ
თქვენი დღის მოგონებით!..
ვით პეპელას ყვავილი:
ეს დღე თქვენ გიხარიათ;
დაბადების წამია,
და სიკვდილის ტირილი.
მეგობრები მოდიან
ვაზებით და ვარდებით.
უქალობა როდია?

მოდის ლალი დებით!..
არის ნაზი მზეობა.
ღამის ჟინით მთვრალი.
ჰედი, თქვენი დღეობა
მოდის როიალით...

შალვა ჯანბერიძე
22 წ., ნოემბერი
დედაქალაქი

ჰერმან და დოროთე

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

პროლოგი

მაშ ეს ბრალად მიძს, რომ ერთხელ მე პროპორციომ აღმაგზნო,
რომ მარციალოც, თამამი, შემომიერთდა აგრეთვე?
რომ ძველნი მე არ დავტოვე ჩემს უკან დაცვად სკოლისა,
რომ ცხოვრებაშიც თან მომყვენ ლიციუმიდან ისინი?
რომ ხელოვნების, ბუნების სწორად განჭვრეტად მივილტვი,
რომ სხვის სახელი არ მაკრთობს, რომ რამე დოგმა ვერ მზღუდავს?
რომ იწროებამ ცხოვრების მე, კაცი, სულ ვერ შეცვალა,
რომ ავიძულე ნიღაბი მდაბალი პირმოთნეობის?
ამ ნაკლით, რომელთ შენ, ო მუზა, ულოლოებდი გულდასმით,
ბრბო მე ბრალად მდებს, ჩემს შორის ოდენ სიავეს იგი ჰმზერს.
დიაღ, თვით საუკეთესოს, ალალ-მართალს და სახიერს
სწადს შევიცვალო, მაგრა შენ მარტოდენ, მუზა, გმორჩილებ:
რადგან შენ ერთადერთი ხარ, ვინც სიჭაბუკე სულისა
კვლავ დამიბრუნე და იგი სიკვდიმდე მე განმიკუთნე.
მაგრამ ან გააორკეცე, ო ღმერთო, წმიდა ზრუნვაჲ!
ახ, საფეთქლებსა ხუჭუჭნი სიხშირით ველარ ამკობენ:
მაშ საჭიროა გვირგვინი თვის და სხვის სატყუებელად:
თვით კეისარიც იდგამდა მას, მხოლოდ რადგან სჭიროდა.
თუ მეც მარგუნე დაფნის რტო, დე, იგი თავის ტოტზედა,
კვალად მწვანობდეს, და მერმე სხვას მიეც, უფრო ღირსეულს.
მხოლოდ ვარდები დამიწნენ ოჯახურ წრისთვის საყოფად;
მალე ისე, ვით ზამბახი, ვერცხლის თმა ჩაიბლარდნება!
დააგუზგუზოს მეუღლემ ცეცხლი და კერძი მოხარშოს!
წკნელი შეუწყოს ბიჭიკომ თამაშით, თანაც გულდასმით!
კათხაში ღვინო არ აკლდეს მოლაყბე ე მეგობრებო,
თანამაზრველნო აქეთკენ! გვირგვინნო, თქვენ მოგელიან.

ჯერ სადღეგრძელო იმისი, ჰომიროს ვინც სახელისაგან
გაბედვით თავისუფალ გვყო, ჩვენც გვიხმო დიდ ასპარეზზე.
თუ არ ეს, ვინ გაბედავდა ღმერთებს შებმოდა, თუნდ ერთსა?
ჰომერიდე კი რომ იყო, უკანასკნელიც, კარგია.
მაშ ყური უგდეთ ახალ ლექსს! ჯერ ერთხელ კიდევ დავლიოთ:
ღვინო, ძმობა და ტრფიალი: ეს მოისყიდის თქვენს ყურსა!
თვით გერმანელებს მოვიყვან მე თქვენთან მყუდრო ოჯახში,
სად კვლავ ბუნების ახლოსა კაცი კაცურად იზრდება;
სული თან გვდევდეს პოეტის, რომელმაც თვისი ლუიზა
უცებ, ჩვენს აღსატაცებლად, შერთო ღირსეულ მეგობარს.
წარსულ დროთაგან გარდგიშლით სურათებს სამწუხაროსაც;
მაგრამ დე, საღ მოდგმას შორის მხნე სულმა გაიმარჯვოს
სიმღერით თუ მოგადინეთ თვალს ცრემლი, მოგაფინეთ
გულს სიხარული, მოდით და გულს ჩამეკარით გულითა!
ბრძნულ იყოს მაშინ უბნობა; სიბრძნესა ჩვენ საუკუნე
გვასწავლის ბოლოს; ვინ იყო, რომ ბედმა არ გამოსცადა?
აწ მეტი მხიარულებით, შეჰხედეთ წარსულ ტკივილებს,
თუ სიხარულით შეიცნოთ ბევრი რამ ამაოებად!
ადამის მოდგმას, ნაციებს ვეცნობით; მაშ მო; აწ ჩვენის
საკუთარ გულის გაცნობით გავიხართომცა ჩვენ იგი.

კალიოპე

ბედი და თანაგრძნობა

მე ბაზარი და ქუჩები ასე ყრუდ ჯერ არ მინახავს
ქალაქი გამოხვეტილს ჰგავს თითქო გამწყდარა! ხუთათიც,
მგონია, არ დარჩენილა აქ ყველა ჩვენი მცხოვრებთაგან.
ცნობისა მოყვარეობა რას არ იქს! ყველა ისწრაფვის,
რათა გარება მწუხარე საწყალ ლტოლვითა იხილოს.
ხრეშ გზამდე, სადაც დევნილნი გარდაივლიან, მანძილი
ერთი საათის სავალი მაინც იქნება და მაინც.
მაგრამ ხალხი კი ამ შვადღეს ცხელს სილნარებში იქ მირბის.
მე იმად ვერ დავიძვროდი, რომ განმეცადა ვაება
კეთილ ლტოლვილთა, რომელნიც გადარჩენილი ქონებით
აწ სამწუხაროდ, რაინის ტურფა გაღმა-მხარს მოშორდენ
და ჩვენკენ გადმოხვეწილნი ამ ნაყოფიერ დალობის
ნეტარ კუთხეში და იმის ხვეულებს შორის გადიან.
კარგად ჰქენ ეგი, ო ქალო, რომ გულუხვებით ჩვენი ძე
გაგზავნე იქ ძველ ტილოთი, სასმელ-საჭმელით, რომ საწყლებს
ეს დაურიგოს; რადგანაც გაცემა მდიდრის საქმეა.
რა მოაქანებს ყმაწვილი! თავს რა უკავებს ბედაურთ!
ლამაზად მოჩანს ეტლიცა ახალი; მოხერხებულად
მოთავსდებოდა შიგ ოთხი და კოფოზედა მეეტლე.

ახლა ის მარტო გაქანდა! კუთხე რა მარჯვედ შემოვლო! —
ასე ეტყოდა ბაზრის პირს სახლის ჭიშკარზე მჯდომარე
სათნოიანი თავის ცოლს „ოქროს ლომისა“ პატრონი.
და ეს მიუგო ამაზე ჭკვიანმა დიასახლისმა:
მამა, მე არ-წადილითა ვარიგებ ნაცვეთ ტილოსა;
ის ბევრ რამეში იხმარვის და ფულით არ იშოვნება,
თუ კაცს როგორმე დაგჭირდა. დღეს კი სიამით გავეცი
ბევრი რამ კარგი ნაჭერი საურად თუ პერანგებად;
რადგან დღეს ბევრი რამ მესმა ყმათა და მოხუცთ შესახებ,
რომელნიც შიშვლად დადიან. მაგრამ შენ ხომ მაპატიებ?
რადგანაც შენი განჯინაც აგრეთვე დარბეულია.
მეტადრე, შენი ხალათი ინდურ-ყვავილებიანი,
ნაზი ჩითისა, თივთიკის ნაზი შალის სარჩულით,
გავეც მე; იგი თხელია და ძველი, მოდით გასული.
ამაზე გაიცინა და სთქვა კარგმა სახლის პატრონმა:
მაინც ვშორდები მას წყენით, იმ ძველსა ჩითის ხალათსა,
ნამდვილ ოსტინდურ საქონელს; მსგავსს კაცი ვეღარ იშოვნი.
კეთილი! მას არც ვხმარობდი. დღეს, მართლა, ყველა გვარწმუნებს,
რომ კაცი მხოლოდ სერთუკში უნდა ვიდოდეს და ხალხში
ბეკეშით უნდა ჩნდებოდეს, მუდამ ჩექმებში მავალი,
რადგანაც ყალაფაკი და ტუფლები განდევნილია.
დახე! — სთქვა ქალმა, — აგერა ზოგ-ზოგი უკვე ბრუნდება.
მათაც ნახეს ხალხის გარება, რომელმაც ალბათ განვლო გზა.
დახეთ რა ყველას ბაშმაკი დამტვერიათ და სახენი
დასწითლებიათ! სულ ყველა ცხვირსახოცითა იხოცს ოფლს.
ვერ ვინდომებდი ამ ბუღში მე ამგვარ სცენის სახილვად
გაქცევას და გაწვალებას! სწორედ ეყოფა ნაამბიც.
და კარგმა მამამ ამაზე ეს უთხრა დაბეჯითებით:
მსგავსი ამინდი ძვირად თუ შესწრია მსგავსსა მოსავალს,
აწ შევიტანოთ ჩვენი პური, ვით უკვე თივაც, სიმშრალით.
ზევით ცა მოწმენდილია; ღრუბლის ნაჭერიც არსად ჩანს,
და დილიდანვე ქარი ქრის რამ საამური სიგრილით.
ეს ამინდია უცვლელი! და პურიც უკვე მწიფეა;
ხვალვე დავიწყოთ ჩვენ მომკა ხვავიან მოსავალისა.
როს ასე ლაპარაკობდა, თანდათან იქ მატულობდენ
კაცთა და ქალთა გუნდები და ბაზრით შინ მიდიოდენ.
უკანვე ეტლით მიჰქროდა თავისი ასულებითურთ
ბაზრის მეორე მხარეზე თვის გაახლებულ სახლებში
მდიდარი მეზობელიცა, ამ კუთხის თავი ვაჭარი,
ღია ეტლითა (ეს იყო ქალაქ ლანდაუს ხელობა).
ქუჩები სულ გამოცოცხლდა, რადგან პატარა ქალაქი
მჭიდროდ ესახლა; აქ დიდძალს ქარხნებს და საქმეს უძღოდენ.
და ასე ორი მოკეთე, ჭიშკარზე მჯდომი, ირთობდა
გამვლელებზე და თავის თავს სხვადასხვა შენიშვნებითა
ხოლო დასასარულ დაიწყო ღირსეულ დიასახლისმა:

დახეთ, ეგერა მოძღვარი მოდის და მეზობელიცა,
მეაფთიაქე, მასთანვე. მათ უნდა გვამცნონ ყოველი,
რაც განიცადეს გარეთ და რის განცდაც კაცს არ ახარებს.
ორივ მეგობრულ მივიდენ და ცოლ-ქმარს მიესალმენ.
ჩამოსხდენ ხის მერხებზე ჭიშკრის ქვეშ, ფეხთა მტვრის რეკვით
და თანვე ცხვირსახოცებით სახეზე სიოს ქიქინით.
მაშინ დაიწყო პირველად, შემდგომ ურთერთის სალამის,
მეაფთიაქემ უბნობა და სთქვა თითქმის რომ წყენითა:
ასეა მართლა კაცის ძე! და ერთი მიჰგავს მეორეს,
რომ მიჩერება უხარის, თუ მოძმეს ავი შეემთხვა!
ყველა ხომ ილტვის, რომ ნახოს ცეცხლი შთამთქმელად ზე-მცემი,
ან ავაზაკი საწყალი, რომ მიჰყავსთ სასიკვდილოდა.
ან ყველა გარეთ სეირნობს, რომ ნახოს დევნულთ ვაება
და არავინ კი არ ფიქრობს, რომ მასაც ბედი იგივე
შესაძლო არის ეწიოს სულ მალე, ან მყოობადში.
მიუტევებლად მიჩანს მე ასეთი განუსჯელობა,
მაგრამ ის არის თვისება ბუნებით კაცის შორისი.
და ეს სთქვა შემდგომ ჭკვიანმა, კეთილშობილმა პასტორმა,
მან, ქალაქისა შვენებამ, ჭაბუკმა დაკაცებულმა.
ამან იცოდა ცხოვრება, იცოდა მსმენელთ წადილნი,
იყო ცა საღმრთო წერილის მაღალ ღირსებით გამჭვალულ,
რაიც კაცთა ბედს ამჟღავნებს და ყოველთ მათთა ზრახვათა;
და მან კარგადვე იცოდა წერილნიც საერონია.
ამან სთქვა: მე არ სიამით ვძრახვ მას, რაჲც კაცის ძეს
უვნებელ მიდრეკილებად აკუთვნა დედა ბუნებამ.
რადგან რაც ჭკუას, გონებას არ ძალუძს, ხშირად ძალუძდა
ბედნიერ მიდრეკილებას, რაც ჩვენ მძლეობით წარგვმართავს.
თუ ცნობის მოყვარებასა ძლიერი მიმზიდველობით
არ მიეტყუა კაცი, სთქვით! ოდესმე ის შეიცნობდა,
თუ ვითარითა შნოებით ამა ქვეყნისა ნივთები
ურთერთში განიწყობიან? რადგან ის პირველ მოითხოვს
ახალს და შემდგომ ეძიებს სასარგებლოსა ბეჯითად;
ბოლოს სწყურის მას კეთილი, რაც მას ამაღლებს, ღირსად ჰყოფს,
სიჭაბუკეში იმისი ხალისიანი მგზავრია
განუსჯელობა, რაიც მას საფრთხეს უფარავს თვალთაგან,
მწვავე ვაების კვალს უქრობს კეთილმყოფელი სისწრაფით,
როგორც კი უბედურება, ოდნავაც არის, გაივლის.
უცილოდ საქებარია ის, კაცი ვისაც სიბერეში
ეს სიხალისე ბუნების დამჯდარ გონებად ეცვლება,
ვინც ბედს და უბედობაში მხნედ და გარჯილად წინ ილტვის;
რადგან ის კეთილს წარმოშობს და ზარალს ანაზღაურებს.

ვარლამ დონდუა

(შემდგომი იქნება)

კარა დარვიში.

ვინ ვარ მე

მე დაბნეული მეოცნებე ვარ — მთვარე და ვარსკვლავებია ჩემი ოცნება.
მე მკვდარი ვარ მიწიერი ვარ — მიწა და — ბუნებაა ჩემი ფესვები.
მე ფხიზელი დარაჯი ვარ — ყოველ ღირებულების მცველი-მეთვალყურე.
მე მხოლოდ მოქალაქე ვარ — მსოფლიოა ჩემი სამშობლო.
მე ადამიანი ვარ და ადამიანია ჩემი მეგობარი — ჩემი მოძმე.
მე სატრაპი ვარ — თვითმპყრობელი — ყოველ ორპირთ, ფარისეველთა სულთამხუთავი ვარ.
მე ყრმა ვარ, ბატკანი, მტრედი და ბავშვი — ყოველ მართალთა ხუნდი, მათ სურვილთ აღმასრულებელი. მე ამპარტავანი გოროზი არქანაშის ძე ვარ — პირველი სომეხი, რომელსაც მიყვარს სომხის ერი, როგორც ორმოცი ათასი გმირი ძმანი.
მე ბოლშევიკი ვარ — ფეხის ფრჩხილებიდან დაწყებული თავის თმის წვერამდის დემოკრატი-სოციალისტი.
მე ანარხისტი ვარ — რისხვა და სიკვდილი ყოველ ქვეუგრძნო გულებისა.
მე მაქსიმალისტი ვარ — ფესვიანად ვგლიჯავ, ვიღებ, რაც რომ დამპალი, დაძველებული და გამცვდარია.
მე ფუტურისტი ვარ — ამპარტავან კერპტთა დამსხვრევი, წმინდა ძეგლთა მქცევი-ვანდალი.
მე გაგიჟებული საყვარელი ვარ — მწველი ამბორებით ვრუჟავ სატრფოს მკერდს და ბრაზ მორეული მკლავებით ვიკრავ ქარიშხლიან გულ-უბე მკერდში.
მე ყველაფერი ვარ და არაფერი ვარ.
მე კარა დარვიში ვარ.

მთარგმნელი ანტონ აუშტროვი

საუბარი ძაღლთან

როგორ ჰკივის ოქტომბერი. თვე დაზამთრების.
ჰო რა მთვრალი ვარ ღვინით, ღამით და შემოდგომით.
მყუდრო ოჯახი! (? ჰმ!) ქართული სუფრა. დიასახლისის ვნებით ჩურჩული:
— ცოტა დალიე, ჩემო ძვირფასო და როს სტუმრები დაიშლებიან...
მაგრამ ღვინოს მომაწვდიდენ და არ დავლევდი?
თამადა შემეჯიბრა — გავექცეოდი?
და მთვრალი ვარ ეხლა.
მთვრალი ვარ — არ მეძინება.
როგორ გავათიო ღამე ცბიერი ვით მონაზონი?
ეჰ, რა ატირებს ნეტავ ქუჩაში საცოდავ ძაღლს?
შესაფარს ეძებს? აკანკალებს ოქტომბრის ქარი?
კეთილო ძაღლო, წამომყე მთებში.
დავიკრავ ფეხზე თხილამურებს. წავიდეთ მთებში.

შენ არ იცი, იქ მთებში, ქალთა მონასტერში, როგორ აწამებს ერთ მონაზონს ქუთუთოთ ირგვლივ მონახაზი წლები დროების?

არ იცი, რომ მას უყვარს ლოცვა ნელი ზმორებით და სიზმრები გაზაფხულის?

მას ქმარი მოუკლეს ომში და ლოცვებით სურდა დაეთრო მწუხარება.

მაგრამ ქალი მონაზნობაშიც რომ ქალად რჩება?

და ეხლა შესაძლოა მას აღარც კი სურს, იყვეს სასძლო ქრისტესი და ჩემზე ოცნებობდეს ჟინმორეული?

ვინ იცის. სიყმაწვილეში მე ვუყვარდი მას. გათხოვდა იმიტომ რომ ქალი იყო, მონაზნათ წავიდა იმიტომ რომ... რა ვიცი, რატომ...

მე მსურს ვიყვე ეხლა მის სენაკში ჯვარცმის წინაშე და ვუთხრა:

ქრისტე მხოლოდ ოცი საუკუნე იყო გაკრული ჯვარზე.

სული ჩემი კი წამებულია დასაბამიდან.

მას ერთ ღამეს სცემეს ყვრიმალში, ჩემს სულს კი

დასაბამიდან ფლეთენ მარწუხებით, იგი ღვთაებრივ

მოკრძალებას ეზიარა, მე მონის უფლებაც ამხადეს,

მას მეუფე უწოდეს, მე ადამიანის სახელიც წამართვეს.

მან დასწყევლა იერუსალიმი და ქვა ქვაზე არ დარჩა იქ.

მეც დავსწყევლე ჩემი სამშობლო, როცა ბებერი ტფილისი დაეცა ბრძოლაში,

მაშ, ვინ უფრო ღირსია სიბრალულის, ეკლის გვირგვინის?

მაგდალინელი ნელსაცხებლით ჰბანდა და თავის სურნელოვან თმით უმშრალებდა ფეხებს იესოს. შენ კი, კეთილო დაო, თხილამურების თასმაც არ გსურს შემომხსნა?

კეთილო ძაღლო შენ ისევ სტირი?

არა! მე არ მიყვარს ის მონაზონი. იმიტომ რომ მისი სახე არ მომაგონებს აპრილის მზით გადამწვარ სახეს საბრძოლველად გამზადებულ ამორძალისას, იმიტომ რომ მისი მკლავები, დანამული მაისის წვიმით არას დროს არ აღიმართება ცივ მრისხანებით.

მაგრამ მე დღეს დავითვერ.

ყური არ ვუგდე დიასახლისის ვნებიან ჩურჩულს და აღარ ამისრულა დანაპირევი.

აღარ თენდება.

და სარკიდან მემუქრება მთვრალი ლანდი ჩემი სახების.

კეთილო ძაღლო! ნუ წავალთ მთებში.

მაშ, როგორ გავათიო ეს ღამე ცბიერი ვით მონაზონი?

შენ არაფრის გეშინია?

მაშ, რად შეჰყეფ ბნელით მთვრალ ღამეს?

მიხ. ბოჭორიშვილი

უხილავი საქართველო

ნამდვილი საქართველო — კოშმარია. ხილული საქართველო — უსულოა, გაუტანელი და შაბლონური გრძნობებით სავსე. ნეკროზი უმაღლესი ფიქრების. პოეზიის მიგნება ან მისტიური გაგება საგნების — ისევე იშვიათია, როგორც მეორე მადონა. და ხშირად, ძალიან ხშირად, ეს მეტად ნაცრისფერი სურათი რეალური საქართველოსი — იწვევს დიდ ჩაფიქრებას...

მაგრამ ამ ბურუსში ჩვენ ყოველთვის გვანუგეშებს მეორე სამშობლო — ფარული საქართველო, მცირერიცხოვანი პიროვნებებით, მაგრამ მით უფრო ძვირფასი ჩვენთვის. რკალი, სადაც სული იღლება მწუხარე მირაჟებით და ქრება სიხარულის ლანდივით.

აქ არის დაღონება შორეულზე და სიჩუმე. **უღრმესი ინტუიცია, მწუხარება და წვა ბოლომდის** — ეს აერთებს მარტოობის რაინდებს. და ჩვენი სული ყოველთვის არის მათთან, ვისაც უყვართ ეს უხილავი საქართველო, — ფარული სარკე, სადაც სევდიანი ფოთლებივით ჩნდებიან **პოეზიის თანამგზავრნი, ლურჯა ცხენები,** და უდიდესი სიმფონია **გამოუცნობ ქიმერების,** გადატეხილი მრავალ მოლანდებად; — ისმის აგონია **უხილავი ზარების** და **უცნობი ტირილი,** რომელიც ნაზია შემოდგომის ქალივით; — და ისახება ლაჟვარდი **სული ამართული ვით ეშაფოტი,** და **სამარადისო მწუხარება** შორეული მეგობრების...

გობრონ აგარელი

ექსკურსია მცხეთაში[1]

მცხეთის უკანასკნელ მამასახლისათ, როგორც ამას მოწმობს საქართველოს მატიანე იყო სამარ, რომელიც დაიღუპა ალექსანდრე მაკედონელის ჯართან ომში. ამ მომენტიდან ძალაუფლება მამასახლისების იცვლება დინასტიურ ძალაუფლებით. ბერძნების წინამძღოლმა ოზონმა: გარეკა საქართველოს საზღვრებიდან ქართველ მართველთა წარმომადგენლები, გაამაგრა მცხეთა და დაჰყო 20 წელი (IV ს. ქრ. დ.).

ფარნაოზი, რომელიც გაიქცა დედასთან ერთათ სპარსეთს — ნახა თავშესაფარი თავის ბიძის (დედიდგან) დარიუს III-ის კოდომონის სახლში — მიჰყო ხელი აღმოსავლეუთურ მეცნიერებათა შესწავლას, რამაც მიანიჭა შესაფერი განათლება. სპარსელთა დახმარებით ფარნაოზი დაბრუნდა სამშობლოში, დაამარცხა ოდონის მომხრეები — და დაიჭირა მცხეთის ტახტი, რომელზედაც დაჰყო მან 35 წელი. იმ დროისათვის დიდათ განათლებული ფარნაოზი გვევლინება ჩვენ, როგორც პირველი რეფორმატორი საქართველოსი.

მისცა პატარა სახელწიფოს ყოფა ცხოვრების სწორი მიმდინარეობა და იგი ერთი საუკუნით წინ წასწია. დაიკავა თუ არა ტახტი ფარნაოზმა: თვის რეზიდენციათ გახადა ქალაქი ქართლოსისა, შემოიღო ზოროასტრიის სარწმუნოება და შეუდგა თვის ქვეყნის საქმეების მოწყობას. ფარნაოზს თან ჩამოჰყვნენ მცხეთაშიდ: მაგები, აღმშენებლები და სხვა მოხელეები. ყველასფერს ამას ჰქონდა მცხეთისათვის დიდი მნიშვნელობა, როგორც ეკონომიურს ისე სასულიერო დამოკიდებულებისათვის. მცხეთამ მიაღწია განსაკუთრებულ განვითარებას ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (IV ს. ქრ. შ.). ბიზანტიიდან და სირიიდან ჩამოდიან: სასულიერო პირნი, სხვა და სხვა მეცნიერების დარგში სწავლულნი, როგორც მაგალითათ: მხატვრები, ხუროთმოძღვრები, მქსოველები, დურგლები და სხვა მოხელეები. იგზავნება ძვირფასი ძღვნები მონასტრებისათვის და ეკლესიებისათვის. საქართველოს დასახლებულ ადგილებში აშენებენ მონასტრებს და ეკლესიებს, რომლებშიდაც მეცნიერების შესწავლას ჰქონდა საეკლესიო ხასიათი. ბრწყინვალე გვარიშვილები მიემგზავრებიან სწავლის მისაღებათ ბიზანტიაში, იერუსალიმში, ალექსანდრიაში და სხვა ცენტრებში ბიზანტიის იმპერიისა. სწავლას იღებდენ, როგორც საეროს აგრეთვე სასულიეროს. ამასთანავე ერთად გაუნჯობესეს გზები, ააშენენ ქვის ხიდები, გაიყვანენ არხები, რომლითაც საშვალება მიეცათ მიწის განაყოფიერებისა.

1. იხ. „ჟურნალი“, №1.

აღორძინდა ვაჭრობა ეს პულსი ცხოვრებისა — აღმოცენდენ მთელ საქართველოში ქალაქები, შენდება შიგ სასახლეები,საქონლის საწყობები. მაგრამ ცენტრი ყოველიფრის იყო მცხეთა, სადაც ცხოვრება სდუღდა.

ასე ამრიგათ მიმდინარეობდა ყოფა-ცხოვრება საქართველოს სახელმწიფოს სატახტო ქალაქისა 469 წლამდე, სანამ ვახტანგ გორგასლანი გადიტანდა სატახტო ქალაქს ტფილისში. მიუხედავათ სატახტო ქალაქის გადატანისა მცხეთას არ დაუკარგავს თვისი მნიშვნელობა და ის ითვლებოდა, როგორც ცენტრი საეკლესიო ცხოვრებისა. საეკლესიო კულტურამ საერო ცხოვრებისაგან განთავისუფლებულმა მიაღწია თვის განვითარების უმაღლეს წერტილს.

VII საუკუნეში ორიგინალური ლიტერატურა გაიფურჩქნა, ლიტერატურულ ნაწარმოებების თარგმნა და ისტორია კი უფრო განვითარდა. ხელთნაწერების, წიგნების თარგმნა მინდობილი ჰქონდა ბერებს და მათგანვე ხელოვნურათ იხატებოდა სახარება პერგამენტებზე და მონასტრის კედლები მხატრულათ. XI საუკუნე არის ღირსშესანიშნავი საქართველოს მატიანის ისტორიაში დავით აღმაშენებლით და მისგან საქართველოს გაერთიანებით. ცენტრი სასულიერო კულტურისა მას გადააქვს გელათში ალბათ დროებით, რადგანაც ტფილისი არაბებისგან იყო დაკავებული და მცხეთას საშიშროება მოელოდა მათგან. XI-XII ს.ს. არის ღირსშესანიშნავი საქართველოს ცხოვრებისათვის, ძველ კლასიკთა თარგმნებით და საერო ლიტერატურულ ნაწარმოების განვითარებით. ამ პერიოდში საქართველო აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს არა მარტო ქართულ სიტყვიერების განვითარებით, არამედ მის საზღვრების გადიდებითაც. თვის სიძლიერით და შინაგან კეთილდღეობით ის არ ჩამორჩება დანარჩენ მასთან მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოებს.

ვ. წილოსანი

(შემდეგი იქნება)

იაკობ ნიკოლაძე

საქართველოს შემოქმედის ბედი მუდამ საცეხველის ქვეშ იყო მოქცეული. საქართველოში შემოქმედება მუდამ მოცლილთა საქმედ ითვლებოდა და აი ამ დაუდევრობის ბრალია, რომ დღეს აუარებელ პოეტების, მხატვრების და სხვათა სახელები ჩინური კედელივით გაურღვეველ ლეგენდებით არის მოცული. ჩვენ მუდამ დავიწყებას ვაძლევთ ხოლმე ჩვენს ძვირფას სახელებს, რომელნიც აუცილებლად დაამშვენებდნენ უცხო ერის პანთეონებს. ახირებული ხალხი ვართ ჩვენ. ან გადაგვარებულნი ან ველურნი. სხვისი ზიზილ პიპილები ჩვენში მუდამ მოწიწებას იწვევენ და ჩვენ, კი არაფერი გვრწამს, მუდამ ეჭვის თვალით უცქერით.

საფრანგეთში რასინსა და კორნელს დღესაც აღმერთებენ, იკვლევენ და ეძებენ მეორე და მესამე ხარისხოვან პოეტებს და ჩვენში კი გენიოსებიც შეუფასებელნი არიან.

ჩვენ მოგვწყინდება ასეთ უბედოთა სახელების ჩამოთვლა. კმარა ასეთი დაუდევრობა.

ჩვენ წინ დღეს დგას მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. ეს გმირი ქვისა და მარმარილოსი. 25 წლის განმავლობაში იგი ჰფიქრობდა, ოცნებობდა მარმარილოთი და ბრინჯაოთი და მას ხეირიანი ატელიეც კი არ ჰქონდა, რომ გულდადებით ემუშავა.

ეს იყო სასოწარკვეთილება დიდი მხატვრისა, მაგრამ მან ამას გაუძლო და დაბრუნდა ქვების სამყაროში, დაბრუნდა თავის საკურთხეველში და იწყო ლოცვა.

საქართველოში საუკუნოებით განმტკიცებული ტრადიცია მოქანდაკეობისა თითქოს უნდა მომკვდარიყო, თითქოს ლოდი უნდა გადმოსწოლოდა ქართულ ქანდაკებით შემოქ-

მედებას და მოექცია ქვეშ, გაესრისა იგი, მაგრამ ამ დროს მოიჭრა ანთებული კაცი და შეებრძოლა ამ ლოდებს და დაიმორჩილა იგი. 25 წლის განავლობაში ებრძოდა იგი ქვას, ეძებდა უსახო მასაში უხილავს ხაზებს და მის შემოქმედების ჩაქუჩის ქვეშ ჰკვნესოდნენ ლოდები.

მან მონახა მეფური სახე „აკაკისა“.

მან იპოვნა „საქართველოს მწუხარება“ ადუღებულ ბრინჯაოში და აადუღა იგი ცრემლებით.

მან ამოზიდა საუკუნეებით გაცივებული რუსთველის ღვთიური სახე.

მან ააშხუილა ქვაში „თმაგაწეწილი ქარი“.

მან „სალომეს“ ნებით დასწვა ცივი მარმარილო.

ასეთი იყო იაკობ ნიკოლაძე, ასე დგას იგი გამარჯვებული ფარაონივით იარაღ აყრილ ქვასთან და ჩვენც პატივისცემით და მოწიწებით უნდა მივიდეთ მასთან და თაყვანი ვცეთ მის 25 წლის ბრძოლას მუნჯ ქვებთან.

დემნა შენგელაია

გალაკტიონ ტაბიძე

(სილუეტი)

მთელი საუკუნის განმავლობაში ჰკვდებოდა საქართველო. იყო ბარათაშვილი და მისმა სათუთმა სულმა იგრძნო მძიმე ავადმყოფ დედოფლის, სასიკვდილო აგონიის დასაწყისი. ბედით დაჩაგრული, მოხელეობით დაწყევლილი გენია დასტიროდა ქართლის ბედს.

უკუნეთი...

ხსნა არსით სჩანდა. არ იყო გზა. იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი, მონობაში ორგია და თავდავიწყებაში გადავარდნა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრაღიკული სიკვდილი. გრ. ორბელიანი სადღეგრძელოებში და ლოპიანას მუხამბაზებში იკლავდა პატრიოტულ ჟინს.

„დავლიეთ გაგიხარია...
ვამაყობ საქართველოთი“ (გ. ტაბიძე).

იყო უდაბნოება.

„ბარაბანითა და მუზიკით კვდება საქართველო!“ — ამბობდა მწუხარედ პატრი ნიკოლა.

„რა კარგი გამოგონებაა სასაფლაო!“ — ამბობდა დამტვრეულ რუსულით ბარათაშვილი.

შემდეგ ერთი საუკუნის უდაბნო აქა-იქ ოდნავ ნაღვლიანად მბჟუტავ კელაპტრებით.

მივიწყებულ მონასტრის კედლებში ნაღვლიანი ცეკვა სამაიისა.

საუკუნეებით დაბინდული სახე ქართველ ქალებისა...

ქართული სულის ინტერესი სამზარეულოს სიბრძნით დამთავრდა.

რუსთველიდან და ბესიკიდან კნ. ჯორჯაძემდის.

„ვეფხის ტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ცისკრის“ რედაქციამდის მივიდა, სადაც გულმოდგინეთ სწავლობდენ კომბოსტოს დამჟავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილლჲუზია ლიტერატურულ რევოლჲუციისა.

თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილი გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა.
ბანკობია და აპელაცია.
კრილოვის იგავ-არაკებით თავის გართობა.
და ასე უდაბნოება და უდაბნოება...
შემდეგ შეიქმნა ახალი გაჭენებული ცხოვრება...
პროპელლერმა დააფრთხო ზეცის იდუმალობა.
სივრცე აცახცახდა რადიოს ტოკვით.
დრო გაფრინდა ელვის სისწრაფით.
მანქანების ქარიშხალმა გაანიავა წარსული.

და აი მოვიდა ვაჟი დათენთილი ამ სასტიკ ქარიშხლით, დათენთილი ქალაქის შემოდგომიან დღეებით, დაწეწილი სულით. მოვიდა იგი „დაღლილ ქალივით“ და მას შორეულად ეალერსებოდნენ წარსულიდან თეთრი პარიკებით, მაღალ წინდებიანი და თეთრ ხელთათმანიანი პაჟების გვერდით პირი მზის სამაია თავისი ოქროს ბალთიან ქოშით და ამდგარი ცამეტი სვეტი.

მოვიდა იგი ნაზი, მოქანცული და დაემხო შემოდგომის ფოთლებით დაფურცლულ, ანიავებულ ჟამთა ვითარების გამო გამოყვითლებულ, მივიწყებულ მარმარილოს თლილ კიბეებზე და აქვითინდა უცხო ხმაზე.

საგნებმა და მოვლენებმა უღალატეს ადამიანს.

ისინი არ იძლეოდნენ ჩვეულებრივ სახეებს. ისინი არ ეგებებოდნენ ჩვეულებრივად მოსიყვარულე ქალივით შემოქმედს. და პოეტი დაიბნა, პოეტმა იგრძნო ღალატი სამყაროჲსა.

იგივე იჭერს ჩვეულებრივ გამოსახვას საგანთა შინაგან არსისას და სასოწარკვეთილი იმწყვდევა თავის სულში. და ნაღვლიანი აქვითინდა პოეტი. ჯერ არავის ეგრძნო ასეთი ღალატი სამყაროისა და სმენა მიაპყრეს პოეტს.

ჯერ არავის გაეგონა ასეთი ქვითინი, ასეთი ნაზი ტიტინი აკვნესებულ სულისა.

ჰქვითინებდა იგი თეთრ ვერსალზე, საუკუნეების ქარიშხლით დალეწილ ძველ მცხეთაზე და თეთრ სვეტიცხოველზე.

მოვიდა იგი და მას მტრულად განწყობილი ცხოვრება დახვდა ბროლის ვაზებისა და წერწეტ დედოფლის მაგიერ. მათ უკვე კარგა ხანია სცენა დასტოვეს. სცენა ცარიელია. იგი კი ისე შემოიჭრა კულისებიდან ნეტარ მოლოდინით აღსავსე, მაგრამ სიცარიელე და ათითხნილი, ბინძური დეკორაციები დაჰხვდა ლეგენდების მაგიერ.

მას მეტად დააგვიანდა გამოსვლა. იგი დაგვიანებული გრძნობების მაყარია მივარდნილ აივნებისა, რომელზედაც კევიღეჭია, ხავერდისფერ თვალებიანი, დამწველი თავდახურული ქალები რომ გადმოეფინებოდნენ ხოლმე ჭრელ ნოხებივით. მოვიდა იგი ნაზი, სათუთი და მოიტანა თავისი გამხდარი, გრძნობებით დათენთილი ნერვები.

მოვიდა და ჰკითხულობს უმანკო გულუბრყვილობით:

„შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!..“

იგი ჭიანურის კვნესასავით ნაზია. ჰშიშობ, რომ გრძნობათა ამონთხევაში სული არ დალიოს წყნარად, ნაზად როგორც უიმედო სიყვარულით დაჭლექებული ასული, გაეპარება ხოლმე ერთ მოქათქათე ღამეში სიცოცხლეს.

მეცხრამეტე საუკუნის სულის დალევაში არიჟრაჟდა ანთებული მე-XX საუკუნე.

გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი. და პანაშვიდი იგი მიაგავს ხანდახან ლიუციფერის შავბნელ მესსას, შავს მესსას ფარულ ღვთის გმობით გალაკტიონი შევიდა ძველ პარკში და დაიძირა მის ნოტიო ბინდების მტევნებში. მთვარე ოდნავ ანათებს უნუგეშო მათხოვარ ქალის მკლავებივით დაძონძილ ხეებს.

ოქროს ფერია ყველგან თავადათ.

მივიწყებული, ნახევრად დანგრეული და ჩამშრალი აუზი. დაცარიელებულ და თაღებ ჩამოქცეულ ძველ სრა-სასახლეებში დადის ლანდებთან ერთად ნაღვლიანი პაჟი ნელა. და აქ გ. ტაბიძე ჯადოქრობს ძველ კარაბადინით. ამოძრავდებიან მარიონეტები, ცოცხლდებიან ნიღაბები:

„ღამეა. მთვარე. ხეივანი.
— ოჰ, მეგობარო!
მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი
გუშინ რუსუდანს.
— მაშ ახლა უნდა მოგილოცო.
თუ გსურს მართალი,
მე მშვენიერი მირჩევნია
ყველას თამარი!
რაც შეეხება ლამაზ ნინოს...
(დაბოლოება წარმოითქმის
სავსებით წყნარად:
ხელი მეგობრის დაეყრდნობა
მოსაუბრის ხელს.)
— დე, იყოს ასე! მაგრამ შერიფს!..
ოჰ, ეს შერიფი!
(ლურჯდება ჰაერი.
ენთება ღამე)“.

ასეთია საუბარი ძველ პარკში.

საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში. ყველაფერი მოულოდნელია და თეთრი საშინელება იპყრობს შენს სულს, საშინელება თენებისა, როდესაც ჰგრძნობ სიცრუეს, ჰგრძნობ შეჯგუფებულ კოშმარებს დღისას.

მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად. მისი ნაღველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებთ. უმწეობა და ირონია.

არ არის ხსნა. არ შეიძლება გამოხლართვა იმ წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვრების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა თანამედროვე თვალებს.

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი
არ არის, არ არის, არ არის“.

მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს. იგი იპოვნის სულს საგნისას, სულს გარემოისას. ხანდახან მისმა სულმაც იცის მოლოდინი და იმედი.

„როგორმე ქარმა თუ მიმატოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!..“

ჰკივის იგი აწივილებული სულით, მაგრამ ლურჯა ცხენები მიჰქრიან. „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები

„უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!“

ასეთია გ. ტაბიძე. მერის სახელი არ ასვენებდა მის სულს, სახელი, რომელიც ისე სასტიკად აკვნესებდა შელლისაც. სახელი, რომელიც ლეგენდად გადაიქცა. დადგა ბებერი როკაპივით ავი ზამთარი.

თოვლით დაიბინდა ყველაფერი.

ლამაზია ზამთარი, მაგრამ ნაღვლიანი.

ალვები დაყუწული არიან თოვლის ბრილიანტებით.

„ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი!..“

ნატრობს პოეტი.

„ათოვდა ზამთრის ბაღებს.
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმა გაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური.
უსახო, უპირქუბო,
მიჰქონდათ კიდევ კუბო.
ყორნების საუბარი;
დარეკე!.. დაუბარე!..
ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

გალაკტიონი დათენთილია ტფილისით.

მას უყვარს იგი და მას ელანდება მისი მოჩვენებანი. მოსვენებას არ აძლევს მის სულს მადათოვი, მამადავითი, არსენალი. მას უყვარს ტფილისი და სულის კანკალით შესცქერის ყორნის მადათოვზე გადმოფრენას, სადაც მიყრუებული რესტორანი ანათებს ტივებიან ნაპირებს.

იგი მოვიდა დატვირთული ძველ სახეებით, ძველ, ძვირფას ნივთებით, მაგრამ თანამედროვეობას არ ესმის ამ ნივთების მნიშვნელობა. თანამედროვე სასძლოს არ უნდა იგი. და იგი დადის მარტო, დადის თავისთვის.

თამაშობს ამ ძვირფას ქვებთან...

ეალერსება მათ... იტანჯება მათთან ერთად — და ცრემლით დატვირთულს ისვრის ზღვაში თაგორეს მეზღვაურივით.

მეტად სასტიკია, ავი ქარიშხალი დაუნდობელი.

პოეტის სული კი მეტად ნაზია, რომ მას გაუძლოს. იგი სასაფლაოზე აშოლტილ კიპაროსის წელივით იზნიქება ქარიშხალიან ღამეში და მისი ტოტები სტვენენ, ჰქვითინებენ ზამთრის სისასტიკეს. და მწვავეა ეს ქვითინი, მწვავე. პოეტმა არ იცის, სად მიიტანოს იგი, ვის სულში დაასვენოს, რადგან მეტად უყვარს წამება და ეძნელება, რომ ანდოს იგი ვისმეს.

პოეტმა სულიდან ამოიგლიჯა მოფართქალე გული. ჯერ კიდევ მოცახცახე არტერიებით და სწურავს იგი თავისსავე გულს, სწურავს და შიში გიპყრობს, რომ იგი დაიცლება სისხლისაგან და დაეცემა პაჟი დედოფლის ფეხრთით უსულო.

და დედოფლის თვალთაგან რამდენიმე მდუღარე ცრემლი ჩამოვარდება და მარგალიტად გაყინული მკერდზე დაებნევა პაჟს. გათავდება პიერო, სულს დალევს იგი და ნაზი კოლომბინა დაიტირებს მას.

გათავდება ყველაფერი, გათავდება...

ფარდა...

პარტერი დაიცლება.

და დარჩება ცარიელი სცენა და ცარიელი პარტერი, ნაღვლიანი, დასევდიანებული ნაზ მოგონებათა და იდუმალ ფუსფუსით.

იქ მძიმე ვარდის ფოჩტებ ქვეშ პატარა ჯუჯა გამოძვრება მშვილდისრით და პატარა რუხ თაგვს უდარაჯებს მოსაკლავად.

ნიღაბები კედელზე ჰკიდია და ელიან ხელახლად მგოსანს.

ნიღაბები ელიან პოეტს განუსაზღვრელი სურვილით ამეტყველებას მოსურვებულნი.

საათი კი კაკუნობს, კაკუნობს.

ნიღაბები ხელახლა გაცოცხლდებიან და იტყვიან ახალ სიტყვას, იტყვიან...

ნიღაბები ელიან მგოსანს...

დემნა შენგელაია

(ჟურნალი „ილიონი“, №2)

ხელოვნება და წამება

წამება ჰქმნის სილამაზეს. ცხოვრება წამებაა. ადამიანი წამებით იბადება და წამებით კვდება. წამებაა ცხოვრების შინაარსი. წამებამ წარმოშობა ხელოვნება. ეს უდიდესი სულის-სწრაფვა კაცობრიობის. სოფოკლემ ადამიანის უდიდესი წამება გამოჰხატა თავის „ჰოიდიპოს მეფე“-ში. მსოფლიო ლიტერატურაში ამაზე დიდი წამება არავის მოუთხრობია. საშინელი გულშემზარავი აკკორდებით აახმაურა საბერძნეთის მწერალმა თავისი დიდებული ტრაგედია. და ვინ იტყვის, რომ ეს დიდებული გოდება მახინჯი სულის გამოხატვა იყოს.

სოფოკლემ გარდასახნა ფარდა იდუმალების და დაგვანახვა სილამაზე ჭეშმარიტების.

ადამიანის აზრი წამებით იშვება. ადამიანის ინტელექტი უდიდეს სანქციას წამებით მიახწევს. ეს ემპირიულ ფილოსოფოსს აუცილებელ აქსიომად მიაჩნია.

რაც უფრო განვითარებულია ადამიანის გონება, მით უფრო წამებულია მისი აზრი. გონება დამძიმებული ღრმა მეცნიერებით — დამძიმებულია ტანჯვით.

ხელოვნება და წამება — ეს ერთი და იგივე ცეცხლის რგოლია. მაგრამ რა არის თვით ხელოვნება — როგორც ასეთი? ხელოვნება — ეს ფილოსოფიაა. ეს ბევრს პარადოქსათ ეჩვენება. მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა. მხოლოდ ნუ გაურევთ მჭლე და გამოფიტულ ფილოსოფიას. მართალი იყო შოპენჰაუერი, როდესაც იტყოდა: „ფილოსოფია — ეს აზროვნების მხატვრული ნაწარმოებია. ფილოსოფიას ასე დიდხანს იმიტომ ეძებდნენ, რომ მას ეძებდნენ მეცნიერების საფუძველზე, მაშინ როდესაც ფილოსოფია უნდა ეძებნათ ხელოვნების გზაზეო“.

ნამდვილი ხელოვნება — მოძღვრებაა, რომელიც განცალკევებული ფილოსოფიაზე არის აშენებული.

ხელოვნება — ეს კერპთთაყვანისცემაა. ეს უკანასკნელი კი წარმოიშვა დიდი ბუნების იდუმალებით. უპირველესად წარმართმა ქვეყანამ — წარმოშვა ხელოვნება. პირველი ღმერთები — ხელოვნების წინასწარი განჭვრეტა იყო და წინასწარი — აღტაცებით დაუდო საფუძველი ხელოვნებას პირველ ყოფილმა ხალხმა, აქედან იწყება სიყვარული და ღვთის მსახურება და აქედანვე დაიწყო მსხვერპლთ შეწირვაც. ხელოვნება კი მხოლოდ მსხვერპლთ შეწირვაა, და ვინც მსხვერპლათ არ შეეწირება, თავის სულს არ ჩასწვამს ხელოვნების ღვთიურ ცეცხლში, ახლოს ვერვინ მიეკარება და ვერ ეზიარება მსოფლიო იდუ-

მალებას. ჯერ მთელი რიტუალი უნდა გაიარო, განიცადო დიდი ქარ-ცეცხლი და მერე ისე დაუახლოვდე უდიდეს კატარზისს, სულიერ განწმენდას და განფაქიზებას. ამ ერუდიციის გზით უნდა წავიდეს ყოველი ხელოვანი.

ტანჯვით უნდა იხილო სილამაზე.

ყოველივე უნდა დაჰგმო. ინდივიდი უნდა ჩაიკლას, მიტომ რომ უფრო გააღმერთო ინდივიდი. „მე“ უნდა დაიმარხოს მაგრამ იგი ისევ უნდა აღსდგეს „სასწაულებრივ“.

ხელოვანი თავის თავს არც უნდა ეკუთვნოდეს. ნამდვილი ხელოვანი — მოგვია და ის ადამიანთა ჩვეულებრივ ცხოვრებიდან უნდა განდგეს და ჩამოშორდეს. სხვისთვის უხილავი მისთვის ხილული უნდა იყოს და კაცთაშორის მაშინ იქნება ხელოვანი რჩეულთაგანი.

ბედნიერება? სისულელეა! — ეს ხომ ზღაპარია ბალღებს რომ ეუბნებიან და ფანტასტიურ ელფერით უღებავენ ყველაფერს.

სიტკბოება? — დედის ძუძუდან წამონადენი რძეა მხოლოდ ტკბილი!

სიმწარე! — აი, უდიდესი სიტკბოება.

სიმდიდრე! — ეს კიდევ ბოროტ-მოქმედებაა!

ბოლოს და ბოლოს ისევ ტანჯვაა ცხოვრების მიზანი.

ხელოვნებაც და მისი მსახურნიც წამებით იკაფავენ გზას ეკლით მოსილს და ქვაღორღით მფენი. ბედნიერება ადამიანს ტალახში სვრის — წამება კი ამაღლებს, ადიდებს სულიერად და აფაქიზებს. ამის მშვენიერ მაგალითს გვიშლის იტალიელი პოეტი დანუნციო „ჯიოკონდა“-ში.

ბედნიერი იყო მოქანდაკე ლუჩიო სეტალლა. მაგრამ მისი ბედნიერება მალე დაირღვა. ხელოვანმა გაიმარჯვა ადამიანზე. გამარჯვება კი ძვირად უჯდება მას. ადამიანმა თვისი ტანჯვა ხელოვანს გამოატანა. მარტო არც ტანჯვა ყოფილა საკმარისი ხელოვანის შემოქმედებისთვის. საჭირო ყოფილა კიდევ სხვა მსხვერპლი, რომელიც არი სიმბოლო სიმშვენიერის. და სილვია სეტალლამ ამის ნიშნად ხელოვნების საკურთხევლის წინაშე მსხვერპლად თავისი ლამაზი ხელები. ლუჩიას ქმნილებამ მოფშვნიტა ეს ხელები. მხატვრის შემოქმედება გადარჩა, არ დაიღუპა — მაგრამ რა ფასით?!. მაშინ გასძღა ლუჩიას პიროვნება და ხელოვანმა დაჰგმო ჩვეულებრივი ხაზები. ახალ გზას დაადგა: უარჰყო ოჯახი, შვილი და ყოველივე მშვენიერებას შესწირა.

აქ აღიმართა ტრაგედია ხელოვანის. და აქვე მოხდა ხელოვანის გამართლება იმ ნიშნის ქვეშ, რომ ხელოვანს მარტო ერთი რამ უნდა სწამდეს; სილამაზე ან ჰარმონიული უკვდავება. მაგრამ უფრო მეტი სიმკაცრით ახადა ფარდა ამ საკითხს მეორე დიდმა ინგლისის პოეტმა ოსკარ უაილდმა თავის „დორიან გრეის სურათში“.

ვინ იყო ოსკარ უაილდი?

ეს იყო სილამაზის მოციქული. ადამიანი — რომელსაც სილამაზის მეტი არა სწამდარა. პოეტი, რომელმაც გარეგნული ფორმა ააღმერთა და უკიდურეს კულტამდის აიყვანა. ხელოვანი, რომელმაც დაჰგმო ყოველივე სიკეთე და სათნოება და მხოლოდ ერთი სილამაზე და სიმშვენიერე იწამა. დასწვა ყველაფერი თვის გაწმენდილ ფრჩხილებით.

თავით ფეხამდე ამაყ არისტოკრატმა და ესტეტიკის ტორკვემადომ შეირიგა ყოველივე უშნო და მახინჯი — მხოლოდ იმიტომ რომ სილამაზისთვის დიდების გუნდრუკი ეკმია.

ესტეტიკოსის პიროვნება დიდხანს იდგა ამ პლატფორმაზე. მაგრამ უაილდი ცალმხრივი და ერთფეროვანი მწერალი არ გამოდგა. პოეტის აზროვნება მალე გადატყდა. დიდებული მწერალი ბრმა ფანატიკოსად არ გარდაიქცა და მის დიად სულში დიადმა ქარიშხალმა დაისადგურა და მალე რედინგის ციხიდან პოეტმა ამცნო მთელ ქვეყნიერებას, რომ გარეგნული სილამაზის გარდა არსებობს უფრო დიადი მშვენიერება — რომელსაც ეწოდება ტანჯვა სულიერი და თვის „დორიან გრეის სურათში“ გადუშალა ხელოვანთ ტანჯვა ფილოსოფიური.

„დორიან გრეის სურათში“ პოეტმა სასტიკი კალმით მოგვითხრო ხელოვანის და ცხოვრების ურთიერთობა და შეჰქმნა ტანჯვის მთელი ფილოსოფია. დორიან გრეი — ეს ყრმა ადონაისი, რომლის ყოველი ნაკვთი თითქო სპილოს ძვლიდან იყოს ჩამოსხმული — მშვენიერების განსახიერებაა.

მას შეიყვარებს მხატვარი ბეზილი, შეიყვარებს მის ლამაზ სახეს, რათა დორიან გრეის სილამაზე გარდიქცეს მხატვარის მასალად როგორც რამ კარგი მოდელი. დორიან გრეის სილამაზე ბეზილისთვის — იდეალია.

აქედან დაიწყო ხელოვანთ ტანჯვა.

მხატვარი გაიმარჯვებს, შეჰქმნის დიდებულ სურათს — დორიანის სახეთ და ხელოვნება გამოამჟღავნებს ცხოვრების იდუმალებას.

როდესაც მხატვარი ჰქმნიდა დიდებულ სურათს, დორიანი თითქო სიშურით უყურებდა ბეზილის ხელოვნებას და მწარედ ფიქრობდა: „სურათი უნდა დარჩეს სამუდამოთ — მე კი უნდა მოვკვდე, დავბერდე. სურათი მუდამ მშვენიერი იქნება, მუდამ ახალგაზდა, მე კი დავჭკნები“ და აქედან უაილდმა დასვა შავი წერტილები, რომელიც შემდეგში უცნაური სახით გარდიშალნენ და მისსამოსელით გვიამბეს ადამიანის მარადიულ ტანჯვაზე. წამების ჯვარზე გააკრა უაილდმა — ესტეტიკოსმა ბეზილიც და დორიანიც. თვით პოეტმაც განიცადა ეს ხაზები, ეზიარა წმინდა წამებას და ფილოსოფიური თვალსაზრისით კონტროლი გაუკეთა ადამიანის სულის ყოველ გვარს ბგერას და სუნთქვას. და აქვე აღიარა უაილდმა: ხელოვნების უკვდავება და ცხოვრების წამიერება — არარაობა.

უაილდმა თავის ხელოვნება გადააქცია თავის წამებად და ტანჯვით მიახწია იმას, რასაც წინად გედონიზმის გზით უნდოდა მიხწევა.

მხატვარმა-ესტეტიკოსმა დილლემა დააყენა წინ: ან წამება და უკვდავება, ან ბედნიერება და თავის თავის მოსპობა და ხელოვანმა ისევ ტანჯვა ირჩია. ტანჯვით უნდა მოხდეს ხელოვანის შემოქმედების განდიდება. ხელოვანი არ არი ჩვეულებრივი ადამიანი და რაც ჩვეულებრივ ადამიანს სჩვევია, ის ხელოვანისთვის მიუღებელია.

ხელოვანმა უნდა უარჰყოს თვისი პირადი ცხოვრება სრულიად, რომ იგი დაუახლოვდეს ჭეშმარიტ ხელოვნებას. ხელოვანი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ხელოვანი რამდენადაც დაშორებული იქნება ცხოვრებასთან, იმით უფრო ახლო იქნება ხელოვნებასთან.

და ამის მშვენიერი დასაბუთება ისევ ოსკარ უაილდმა იკისრა თავის „დორიან გრეის სურათში“.

სიბილლა ვენ არის ნიჭიერი მსახიობი. დორიან გრეი მოიხიბლება მისი ხელოვნებით და შეუყვარდება მსახიობ-ქალი.

სიბილლა ვენ ბედნიერია. მაგრამ მისი ნიჭი, ხელოვანის შემოქმედება ჩაიზნიქება სიყვარულის ქარცეცხლში. ცხოვრების სინამდვილემ ფრთები შეახო სიბილდას და ძირს დასცა მისი ხელოვნება და როდესაც ერთხელ დორიანმა ლორდი გენრი და ბეზილი წაიყვანა თეატრში სიბილლა ვენის სანახავად, დორიანის აღტაცებას დამბლა დაეცა. სიბილლას მშვენიერი ხელოვნების მაგივრად დორიანმა იხილა ტლანქი სინამდვილე, გაცრეცილი, გაშიშვლებული ადამიანის სული. დორიანისთვის ეს საკვირველება იყო, მაგრამ სიბილლამ ამ საკვირველებას კი ფარდა აჰხადა.

„დორიან, დორიან! ვიდრე გაგიცნობდით თქვენ — ჩემი ხელოვნება ყველაფერი იყო ჩემთვის. მე მხოლოდ თეატრში ვცხოვრობდი. მე ეს ყველაფერი მართალი მეგონა. თეატრის ბედნიერება — ჩემი ბედნიერება იყო, კორდელიას ტანჯვა, შეთხუპნული დეკორაციები — ჩემთვის მთელი ქვეყნიერება იყო. მე სხვას ვერაფერს ვხედავდი აჩრდილების მეტს, მაგრამ ყველა სინამდვილეთ მეჩვენებოდა“.

სიბილლა ვენმა ამით აღსარება სთქვა: თუ წინად ჩემთვის ხელოვნება ყველაფერი იყო, დღეის იქით მის ადგილს ნამდვილი სინამდვილე იჭერს, ნამდვილი ბედნიერება, ხორ-

ცშესხმული ცხოვრების სიტკბოება და ეს შენი სახით მომეხდინოს და აქედან უაილდმა მწარედ დასცინა ხელოვანს, როგორც ადამიანს და სთქვა: ხელოვანს არა აქვს უფლება — პირადი ბედნიერებისო!

ხელოვანის სინამდვილე — უსათუოდ ხელოვნებაა. სიბილდა ვენმა რაწამს იხილა სინამდვილე იმ სახით, რა სახითაც არის, იგი როგორც ადამიანი გახდა ბედნიერი, მაგრამ როგორც ხელოვანი გაუბედურდა.

ან ხელოვნება, — ან ცხოვრება. ორში ერთი: თუ ხელოვნებას ემსახურები, ყველაფერი ხელოვნებას უნდა ასხურო: სიყვარულიც, ოჯახიც, მეგობრობაც და ყველა ის, რაც უბრალო მომაკვდავ ადამიანს თავის საუნჯედ მიაჩნია. არ გაიღებ ამ მსხვერპლს, ვერც შეხვალ ხელოვნების ტაძარში და ვერ იმსახურებ, დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი სჭირია.

ცხოვრების კანონის მუხრუჭს ვერ გაუძლო სიბილლა ვენმა. ცხოვრებამ სძლია ხელოვანს.

აი აქ არის ხელოვანის უდიდესი ტანჯვა როგორც ადამიანის.

ნუ თუ ხელოვანს, როგორც ადამიანს, არ უნდა ჰქონდეს უფლება პირადი ბედნიერების ისე, როგორც ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს. მაგრამ საქმეც ამაშია, რომ ხელოვანის ცხოვრება ვერ მოეწყობა ჩვეულებრივ ადამიანის მასშტაბით. ხელოვანი არავის ეკუთვნის გარდა თავის ნიჭისა და ამ ნიჭს უნდა შესწიროს მან ყველაფერი.

ნამდვილი ხელოვანი სწირავს კიდეც ყოველივეს და სთმობს ყველა იმას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ბედნიერებას ეძახის.

ღვთიურ ცეცხლში ხელოვანი სწვავს და ფერფლავს თავის სულს.

კოსმიური ელვით და ქარტეხილით ესწრაფვის მარადიულ სამყაროსკენ და მთლად დატვირთული თავის მიზნით და მოვალეობით მარტო ახსოვს თავისი ხელოვნება და წამება — ფილოსოფიურ თვალსაზრისით გამართლებული.

ვახტანგ გარრიკი

ეფემერა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდენ ეფემერული და ფერადი ქარებით.
იყვენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთად ერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კარფაგენები,
ბედი ქროლის გარეშე ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰეჲ! ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ეხლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.
რამდენი ქარავანი მთებზე გადამართული
გაიშლება მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის.
წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის.
ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი შვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტერვალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები!
აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი.
ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული
უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.
კიდეები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას.
სულს წყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს წყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.
სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი — არსაიდან.
ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,
დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით.
კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
და იქ მიექანება სული განწირულებით.
ნეტა ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
სადაც ვარდებს ბაღისას მაისობა უქრება.

მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.
როგორც უხვი მემკვიდრე ვისვრი სავსე პეშვებით
ფანტასტიურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის.
წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
რომ ძეგლები ავმართო მღვრიე შვენებათათვის.
თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი
ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,
წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი,
შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.
დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული
ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.
დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეჭემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო.

გალაკტიონ ტაბიძე
ხელოვნების სასახლე
1922, ტფილისი

თეთრი რონდელი

მიმქრალი გედების თოვა
სარკეში გაჩნდება ვარდით.
ჩაივლის მწუხარე ბარდი.
არია. ფოთლების გლოვა.

პრინცესსა ლანდივით მოვა
და ღიმილს მოიტანს ფარდით..
მიმქრალი გედების თოვა
სარკეში გაჩნდება ვარდით.

ეცემა ზამბახთა გროვად
ტირილი. სიფითრე. დარდი.
ბევრია უცნობი ლანდი:
გრიგალში — კ-ა-რ-მ-ი-ნა ნ-ო-ვა..

შორეულ გედების თოვა...

გობრონ აგარელი

სიჩუმის დღეებიდან

მწუხარე გალაკტიონს

გული წაიღო იმან —
ისევ უმწეო დავრჩი,
როგორც ფოთლების წვიმა
და ფერმიხდილი ბავში.

მალე ჩამოვა ღამე —
ჩემი სიჩუმის დედა,
როცა უღონო წამებს
შეშინებული ვხედავ.

მკრთალი დღეების ფიქრით
ახალ ზმანებას ხვდები..
მინდა სიცოცხლის იქით
გადაფრენილი დები.

მე გამომყვება გარეთ
ლურჯი წუხილი ბედზე.
და შემოდგომის ქარით
სხვა მოგონებას ვეძებ.

ასე ვიქნები, თურმე,
მელანქოლიის ბაღში:
სასომიხდილი, ჩუმი
და უცნაური ბავში...

გობრონ აგარელი

სინანული ჩემზე

ო, დღეს ფიქრებით ვარ მოქანცული:
სადმე შეკრთება ჩუმი მადონა.
ოდნავ ნაცნობი ნაზი ქალწული
უღონო შუქმა მე მომაგონა.

თანდათან ვქრები ცივი ღიმილით
და ყვითელ ბაღში არ ვიხედები.
ო, მწუხარება, — ვიცი, მიმელით,
როგორც აჩრდილი შავი გედების.

შორიდან მოსჩანს გზები უვალი.
ჩამოღამება. გლოვა ფარული.
მკვდარი დღეების მძიმე ვუალი
და უცნაური ბედის პაროლი.

მსურდა ტრიუმფი გასაოცარი
და სიხარულის თეთრი შანსები.
ეხლა ღამეა... სტირის მოცარტი.
და სინანულით მოვიქანცები.

ისევ წამების ლურჯი მორევი —
ფერდაკარგული ხსოვნის ტარება
და გამოვჩნდებით მეტეორივით:
მე, პანაშვიდი, და მწუხარება...

გობრონ აგარელი

მკრთალი მელანქოლია

მოვა მსუბუქი დარდი
და გაოცება ჩემი.
ნისლი ჩამოწვა ადრე
შენი დაღლილი ცრემლით.

კვდება საღამო ნელა,
ვით შორეული დამა.
ასე ჩაივლის ყველა:
ფიქრი — ლანდები — თამარ...

გობრონ აგარელი

*** * ***

შენსკენ ვისწრაფი, არაფერი არ გადამარჩენს,
და ამისათვის მსურს ვეჩხუბო, კარგად, მამაჩემს:
ვეტყვი, — მამილო, მიტომ შემქმენ მე შენი მზგავსი,
რომ შემხვედროდა იმ ვაჟკაცთან, იქვე, ის ნავსი?!

შენ რომ გამზგავსა, მისთვისა მძულს მე დედაშენი, —
რომ გამირბიხარ და მიზიდავ, ეგრე რას ჰშვენი?!
აეგ სიცოცხლე, რომ მეძახის დაფდაფით, როკვით...
მაცდური, გინდა მოვშთო, მოვშთო, კანაფის თოკით!

ბაბილინა
12 დეკემბ.

პოემიდან: „მარაბდა“

...და, აბინდულ ველებით მზერდა გულქვა მარაბდა.
მღერდა სარს წამოცმული ქალა კბილებ დაკრეჭით;
და მთვარე შუბლ-აკრეფით სწერდა რომანს... მარა... ყბა
მოღრეცილი, შავ-ნაბდა, იცინოდა დაღრეჯით.

*

და, უამრავ ცხრა ძმათა საფლავზე უამინდო
იდგა ხმალ გადანამტვრი, თვალებ სისხლით ნაბერი:
და გარანდვით შორს მყურე ბორიომ თუ არ ინდო —
სანიმუშოდ აჰკაფა შიში ნისლით ნაფერი...

*

„...და, ო, ჩემო სამშობლო! რა ვარ მე სააკაძე,
თუ ცეცხლით არ ავზიდე ჯვარი წმიდა მწვერვალის!
და თავხედი აქნევით მარადი სიავკაცე
ამაყად არ ავკეცე შენს წინ ნიშნად მწველ ვალის?!

*

და, ლეგა-ფრთა განდობით აღმართული ბოძები,
ასანთლული თოკი და... ზე უშენო რაობა;
და ნთხეული პირობა, — უცნობის ნაბოძები, —
ჯერაც გადუთელავი შენი არარაობა!..

*

და, ვიღაც არ გასვენებს... მძლეობა ეშურება.
შენდა მოდის მუქარით: ჭრელი დანა, ხელები...
და აღმართულ ყურებით წყევად მოეშურება,
რომ შადრევნად განთხიოს ჭლექის დანახველები.

*

და, ძმათ ურთ-ერთის შური, რომელიც გიღებს ბოლოს:
უნდა აიჭრას! თორემ ... იძარცვი უქამარო:
და შენმა შარავანდმა თუ არ ყველგან იბოლოს —
მაშინ რაღაა ყოფნა? — უფლება უკამარო!..

*

და, იქნებ, სჯობდეს კიდეც: ამა ქვეყნით აღიგვე,
ვიდრე დაშთე მახინჯი — სულით აელმებული!
და შენს ნანგრევზე თვითვე სარჩობელა აღიგე,
რომ ამ სიკვდილით მაინც ჰშვა ყრმა აელვებული...

*

და, რაა ის სიცოცხლე — ვერა ნახო აშვება? —
აწყვეტილი სიმღერა, ყიჟინა უძლევ ნებით!..
და სიგიჟის ძახილით წითელ აფრა, რაშება,
სამყაროს გაქანება ჭირვეულ ულევ ვნებით?!

*

და, იქნებ, ათას წლებით ვერ ავენაზღაურო, —
ჩემი იდუმალება ერს ლეგენდათ აებას?!
და მშვიდობის ნაპირას, ნავი უმეზღვაურო
ვინ შესძლოს მიაცუროს, — გზა კონცხზე არ აებნას?!

*

და, დიდხანს იდგომები კიდევ გზა-ჯვარედინზე,
ვიდრე მთლიანი კალთა შენი არ დაიჭექავს;
და აიშლება უნდო სახით ბზა ჯართ მერდინზე —
ბევრი ავი ზმორებით ულირს ტანს აიქექავს...

*

და, აბნეულ თავებზე ეშაფოტი იდგმოდა.
სამაჯურად ეხვია გიორგის მკლავზე გველი...
და არწივის ყივილით რკინის სიტყვა ითქმოდა,
რომ სიკვდილს დააყარა დაცინვა უზოგველი.

*

და, უპატრონო ლურჯას აეწყვიტა უზანგო!
აეკიდა ცრემლები მძივად გირლიანდებზე...
და აფლეთილ კალთება დროშა, დროით უჰანგო,
ალმოდებულ სიჩუმით დასობოდა ლანდებზე!..

სეზმან ერთაწმინდელი

სამშობლოს ხილვით აღტაცებული

სეიფოლა იოსელიანის ხოტბა სამშობლოში[1]

სამას ორმოც წელს უკან
სამშობლოზე მოვსულვარ ეხლა!
ფეხი დავდგი სამშობლო ცხელი
თოლებსა-ყე წამოვიდა ცრემლი.
გულო რა გინდა ეხლა?
ფეთქავ სულითა ეხლა!.
თავო ფიქრი რა გაქ შენ ეხლა
ყოფილიყავ ოჯახით ეხლა!
ვეღარ დავთმობდი გულსა
გადავაბიჯო ეგეთ ალაგსა,
თოლო ხედავ რასაცა
ყოფილა ჩონ გვარისა.

1. სეიფოლა იოსელიანი ეხლახან გვესტუმრა სპარსეთიდან. ვათავსებთ მის ლექსს მართლწერის შენახვით.

ყურო რა გესმის შენა?
მე მესმის ქართული ენა!
სამშობლოზე გა, ვართო
ჩვენ ძმებთანა ვართ ახლო.
გულო არამც დაგაკლდეს,
ფერო არამც მეგეხმოს,
კიდევ იმედი არი.
სამშობლოსი ვართ ერთ!..
გული მქონდა მე ცხელი,
საქართველოს მოველი,
თუ კი შევიძელ ეხლა
კავშირს შევკრავ მე ეხლა,
ხელი არ აიღებისა.
სამშობლოსი ძმებისა:
ხელი როგორ ავიღოთ
ძმებათ უნდა მივიღოთ.
როგორც ყოფილა წინათ.
ყოფილა ჩონი მიწა!..

სეიფოლა იოსელიანი
4 დეკემბერი
სასტუმრო „ნოე“

ჩემს მაესტროს

იაკობ ნიკოლაძეს

პარიზში, უთვისტომო, უბინაო, მშიერი,
შეგხვდი... გაცრეცილიყავ, დაგკარგოდა იერი.
სნეულს მოგეხმატკბილე, მიგაცილე ბინამდე,
ფალგიერის ქუჩაზე, ფართე ატელიამდე.
იქ პირველად ვიხილე სამსხვერპლო რამ ღვთიური,
დამავიწყდა შიმშილი, საზრუნავი დღიური.
უცხო სიომ მიმბერა, რა იყო — ვერ გამეგო...
ბოლოს მივხვდი; ანჯელოს ჩემთვის მახე დაეგო.
ძმრით და ხინით დაგზილე, მახსოვს, ოფლიც გადინე,
ჩაგათბუნე ლოგინში და ტკბილად მიგაძინე.
ორი ფისო კრუტუნით ნანინას გიმღეროდა,
მე კი... ძილი გამიკრთა... ფიქრები ირეოდა.
რიჟრაჟ განთიადისას ფეხაკრეფით ავდექ... და
თიხას წავეპოტინე... თითონ გამოქანდაკდა,
ჩემს წინ იდგა მეტივე, გარიბალდ ქუდიანი.
თითქო სიზმარში ვიყავ, — დღე კი იყო მზიანი.

შენც უკვე ამდგარიყავ საღი, საღსალამანი,
გაოცებით უმზერდი მეტივეს ყალამაჩი.
მკითხე: — ხატვა ხომ იცი? — არა, ჩემო მაესტრო!
— მაშ ეს როგორ მოხერხდა, მაშ ეს როგორ მოესწრო?!
— არ ვიცი, თუმცა გული უცნაურად მიტოკავს,
თიხა და ატელიე თითქოს სულსაც მითოკავს.
კბილნი თეთრად აკვესე, მელნის ტბა გაელვარდა,
ფიქრს მიეცი... გული კი საშინლად მიღელავდა.
— დარჩი ჩემთან! — მეც დავრჩი. ვუმზერდი ქართლის დედას,
დამწუხრებულს, სქელ ჩადრში, მომტირალს, ცოცხალ სევდას,
სული აფორიაქდა, გამოვძერწე სხვა თავი,
დედის ნაზი ნუგეში, ხელქვეით ჩასართავი.
იმერელი, კახელი, ხევსურმაც კი წამძლია,
ეს სულ ერთ თვეში მოხდა, სხვა დრო არ დამკარგვია,
ილიას „განდეგილი“, აკაკის „გლეხის დედა“,
თუშის ქალი მანდილით, წიწოლას მწარე სევდა...
ფართე ატელიეში დაზგები სულ გაივსო,
გული კი დამელია, უტყვი ნაღვლით აივსო:
ჩემსა და კუჭის შორის კატამ გადაირბინა,
სასუსნავი არ გახლდათ... და მყის ვიცვალე ბინა!
ის ჩემი ქულფათობა ჩავკეტე ბნელს ოთახში,
უპატრონოთ, უნაფქვოთ, მომზირალნი ყრუ თაღში.
სამშობლოს დავუბრუნდი, უდაბურს, უღრან ტყეში,
და უაზროდ ვათრიე დღემდე ეს ჩემი ლეში!
თუმცა თავი ძილშიაც ფალგიერზე მგონია,
იქ შიმშილიც, იქ ტანჯვაც ტკბილი მოსაგონია.
ფალგიერი შენთვისაც ძვირფასი საუნჯეა,
ვერ შეხვდება, ვინც სულით, გულით ყრუ და მუნჯია,
აქაც შენ გამომიჩნდი, მომიწოდე, გეახელ,
და ახლა ამ დაფარულს სასიყვარულოდ ვამხელ.
მტკბარი მოსაგონია ეს წარსული ზმანება,
მაგრამ ჩვენი მერმისი, ნეტა, რას ემგვანება?
ღმერთმა ადამს თიხისას თვისი სული ჩაჰბერა,
არ მჯეროდა აქამდე, მაგრამ ეხლა კი — მჯერა:
თუ თიხა იმეტყველებს, თუ ქვა აღაღადდება,
ნუ თუ მის შემოქმედი ვეღარ გაუკვდავდება?!
შენი სალომეა, მარმარილოს ნაკვეთი,
მთელი მთრთოლვარე ტანით ბროლად გამონაკვეთი,
შენი შოთა — მზეთა-მზე — ის კი არა, რაც არი,
ღვთაებრივი რამ ძეგლი დიდ მოედანზე მდგარი,
საქართველოს ვენერა — თამარის ქანდაკება,
ოდეს შოთას პროსპეკტზე ფიფქად აიმართება,
და სხვაც ბევრი, სხვაც ბევრი, რაც შენს სულს დასწოლია,
ეგ სული კი ზრახვებით ამირანის სწორია.
შენი შუბლი გრაგნილი, ნისლი რო დასდებია,
შენი კუშტი შეხედვაც მომავლის თავდებია!

დღეს კი გიმზერ სევდიანს, დაღადრულ გულის ბსკერში,
დეე, დღევანდელი დღე იყოს თქვენი ნუგეში,
სცოცხლობდეს — შენი შვილი — ჩვენი აკადემია!
თუმცა ჩვენთვის ამის თქმაც სათუოთ, საკდემია,
მაგრამ როს მოგიწოდებს ოგიუსტ როდენის მზეთა,
ჩვენც იქ მოვალთ, — ვისწავლით, ვინ როგორ გამოჰკვეთა!

ნარკანი

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

კალიოპე

მყისვე მეგობრულ დაიწყო უთმენმა დიასახლისმა:
გვითხარით, თუ რა იხილეთ; რადგან ეს მწადდა გამეგო.
ძნელად, ამაზე ეგი სთქვა მეაფთიაქემ დაბეჭვდით, —
რომ მალე მე გავიხარო მის შემდგომ, რაც განვიცადე.
და ან კი ვინ დაგიხატოთ იმდენი უბედურება!
უკვე შორიდან ვიხილეთ ჩვენ მტვერი, სანამ კორდიდან
ძირს ვეშვებოდით; დევნულნი გორით-გორს შორე სივრცეში
იკარგებოდენ, კაცს მხოლოდ ოდნავ შეეძლო გარჩევა.
ხოლო როს იმ გზას ვეწიეთ, რომელიც მინდორს ცერზე სჭრის,
მგზავრთა და ეტლთა ჟღლეტამ და ჩოჩქოლმა უფრო იმატა.
ვაგლახ, ჩვენ კიდევ საკმაოდ ვიხილეთ საწყალთ გარება.
განწვლილვით შევძლეთ მის განცდა, თუ რა ძნელია სივლტოლა,
და რა ამოა შეგრძნობა მსწრაფლ გადარჩენილ სიცოცხლის!
საწყენი იყო დანახვა სხვა-და-სხვა გვარი ქონების,
რასაც შეიცავს მარტოდენ ერთი რამ სახლი მდიდრული
და რაც კარგ პატრონს უწყვია ირგვლივ თავთავის ალაგზე
სულ მომზადილი სახმარად (რადგან ყველა ეს სჭირდება),
აწ ყველა ამის დანახვა სხვა-და-სხვა ეტლს და ურმებზე
ერთმანეთზედა წყობილად, ხელდახელ გადარჩენილად.
აგერ შკაფზე ძევს საცერი და იქვე მატყლის საბანი,
ვარცლშია ერთი ბუმბული და სარკეზედა ზეწარი.
ახ, ართმევს ხომ კი შიში კაცს გონიერებას ერთიან,
რაიც ჩვენ ოცი წლის წინად კარგათ ვიხილეთ ცეცხლის დროს.
ასე რომ ხელს რამ უბრალოს დასტაცებს, ძვირფასს კი სტოვებს.
ეგრეთვე ეზიდებოდენ უანგარიშო ზრუნვითა,
რას ამძიმებდენ ხარს და ცხენს, უვარგის ნივთებს ისინიც,
ძველ-ძველ ფიცრებს და ვედროებს, საბატე სახლს და გალიას.
ეგრეთვე ხვნეშდენ ქალნი და ბავშნი ფუთების თრევითა

1. იხ. „ჟურნალი“ №2.

უვარგისი რამ ნივთებით სავსე კალათებ-კასრებ ქვეშ,
რადგანაც კაცი არ-ნდომით სტოვებს ქონების ნატამალს.
და ასე მტკვრიან შარაზე ხალხი მსწრაფლ მიიწეოდ,
უწესრიგოდ და არევით. ზოგ-ზოგს მჭვლე ცხოველებითურთ
უნდოდა ნელა მგზავრობა, ზოგს ფაციფუცით გასწრება.
აქ ატყდა გამოჭყლეტილთა ქალთა და ბავშთა ყვირილი,
პირუტყვთ ღმუილი და თანაც შერევით ყეფა ძაღლების,
და კვნესა მოხუცთ, სნეულთა, რომელნიც მაღლა დატვირთულს
მძიმე ეტლზედა ლოგინზე ისხდენ და ირწეოდენცა.
მაგრამ კვალს დაცილებული გარდაიხარა ბორბალი
ჭრიალით შარა გზის პირზე; ეტლი ღელეში ჩავარდა,
რა გადაბრუნდა, და შემდგომ სწრაფლ გადმოცვივდა მინდორზე
ხალხი შემზარავ ყვირილით, მაგრამ მაინც კი ბედზედა
შემდგომ დაცვივდა ყუთები და დაიყარა ეტლთანა.
ალბად ის, ვინაც იხილა ხალხი ძირს გადმოცვევნისას,
ელოდა, რომ მას ნახავდა ყუთთა და შკაფთ ქვეშ გასრესილს.
და ასე ეგდო მსხვრეული ეტლი, და ხალხი უმწეოდ;
რადგანაც სხვანი საჩქაროდ ისევ წინ მიისწრაფოდენ,
მხოლოდ თავისთვის მზრუნველნი, ხალხისგან წარტაცებულნი.
და ჩვენ გავქანდით იქითკენ; ვნახეთ სნეულნი, მოხუცნი,
რომელნიც შინ და ლოგინში უკვე ძლივს თუ გაიტანდენ
თვის ხანგრძლივ ტანჯვას, მიწაზე აქ კვნესდენ დაშავებულნი
და მზით დამწვარნი გოდებდენ, გამდგარი მტვერით დამხრჩვალნი
და ეს სთქვა შემდგომ ღელვილმა შემბრალე სახლის პატრონმა:
რომ შეხვდებოდეს მათ ჰერმან, მოაცოცხლებდეს, შემოსდეს!
მე მათ გულით ვერ ვნახავდი, რადგან მწყლავს ტანჯვის სურათი.
ჩვენ აღძრულთ ამ დიდ ვაების პირველი შეტყობისთანვე
გავგზავნეთ ფიცხლავ მცირედი რამ წვლილი ჩვენი ჭარბისგან
ზოგთა-ღა გასამაგრებლად და, ჰგავდა, რომ მით დავმშვიდდით.
მაგრამ ნუ განვაცხოველებთ ჩვენ მეტად ტანჯვის სურათებს!
რადგანაც შეეპარება კაცთა გულს შიში სულ მალე,
და ზრუნვა, რაიც უფრორე მძაგს მე, ვიდრე თვით ვაება.
მობრძანდით უკან ოთახში, პატარა გრილ სასტუმროში!
იქ მზე აროდეს აცხუნებს, ცხელი ჰაერი ვერ ატანს
დიდს ქვის კედლებში: და დედი მოგვართმევს თითო ჭიქასა
ოთხმოცდასამი წლისასა, და ჭმუნვა მით გავიქარვოთ.
აქ არ ეწყობა დალევა; ბუზები ჭიქებს უბზუის.
და გაეშურენ იქითკენ და შეჰხაროდენ სიგრილეს.
ზრუნვით მოართვათ მათ დედამ ანკარა უცხო რამ ღვინო
კუთხოვან ბოთლით კალისა კრიალა რგვალსა ლანგარზე
მწვანე სირჩებით, ნამდვილი რაინვაინის კვანჩხებით.
და ასე მჯდომნი გარს ერტყენ საციმციმოდა გასანთლულს
მრგვალს დარინჩისფერ მაგიდას, ძალუმ ფეხებზე რომ იდგა.
მყის არაწკუნდა მოლხენით ჭიქები მღვდლის და მასპინძლის:
ხოლო თავისი უძრავად ეპყრა მესამეს დანაფიქრს,
და მასპინძელი მას ასე მეგობრულ შეეპატიჟა:

ე, მეზობელო, სვი მარჯვედ! რადგან დაგვიცვა ჩვენ ღმერთმა
ავისგან მოწყალებითა და კვლავაც ასე დაგვიცავს.
ხომ ყველამ უწყის, რომ იგი საშინელ ცეცხლის დღიდანა,
როდესაც მკაცრად დაგვსაჯა, მარადჟამ გვაფენს სიხარულს
და მუდამ გვფარავს, ვით ვინმე თვალის ჩინს იცავს თავისას,
რაიც მას უღირს უძვირეს დანარჩენ ასოებისა.
ნუთუ მერმისშიც არ უნდა გვფარვიდეს იგი, მწე გვეყოს?
რადგან ავ დროში უფრო გრძნობს კაცი მის ძალოვანებას.
განა მან აყვავებული ქალაქი, რაც მან პირველად
ბეჯითთა მოქალაქეთა მეშვეობითა ნაცრიდან
კვლავ აღადგინა და შემდგომ უხვად დალოცა, ახლა კვლავ
უნდა დაამხოს და მთელი ნაშრომი გაატიალოს?
ხალისითა და სიმშვიდით სთქვა შემდგომ კარგმა პასტორმა:
ებრჯინე მტკიცედ ამ რწმენას და ამა შეხედულებას!
რადგან შენ, მყოფსა კარგ ბედში, გხდის იგი ბრძენს და მტკიცესა,
ავ ბედში გაძლევს ტკბილ ნუგეშს, გიცხოვლებს კეთილ იმედებს.
აქ მასპინძელმა მიუგო თამამ ჭკვიანი ზრახვითა:
რა ხშირად გაოცებული მივსალმებივარ მე რაინს,
როს განამგზავრი საქმეზე კვლავ მივდგომივარ მას ახლო!
ის მარად მიჩნდა დიადად და მიმაღლებდა ფიქრს და სულს,
მაგრამ მას ვერ ვიფიქრებდი, რომ მალე მისი ნაპირნი,
წარმტაცნი, გარდიქცეოდენ ზღუდედ ფრანგთ მოსაგერებლად,
და მისი ფართო საწოლი ავისგან მფარველ სიმაგრედ.
ნახეთ, ბუნება მცველს გვეყო, და გერმანელნიც გულადნი,
ამრიგად გვიცავს ჩვენ ღმერთი; სასოს ბრიყვულ ვინ წარიკვეთს?
უკვე მოღლილა მხედრობა, და ზავს გვაუწყებს ყოველი.
ო, ნეტავ მაშინ, როდესაც დღესასწაული სანუკვი
ზეიმით გარდაიხდება ამ ჩვენს საყდარზე დიდებით, —
ამ დროს ზარები საამოდ ორღანოს ეხმატკბილება,
და ბგერებითა დაფდაფი ხმას აძლევს „შენ ღმერთს გაქებთ“-სა.
ო, ჩემი ჰერმან, ნეტავი ამავ დღეს, პასტორ-ბატონო,
თამამად წარმოდგებოდეს თქვენს წინ ტრაპეზთან სძალითურთ,
და დიდი დღესასწაული, რაც ყველგან იზეიმება,
მექმნებოდეს მე მყოფადში მოვლინებულად აგრეთვე
ვით სახსოვარი წლისთავი ოჯახურ სიხარულისაც.
გარნა კი უკმაყოფილო შევყურებივარ მე ყმაწვილს,
რომელიც ჩემთან ოჯახში ყოველთვის ასე მხნედ იღვწის,
გარეთ კი გარჯილობაში არის ზანტი და მკრთომარე.
მცირესა ჰპოვებს სიამეს ხალხს შორის გამოჩენითა;
დიაღ, გაურბის ის თითქმის ცირათ წრეს ახალგაზრდულსა
და სახალისო ცეკვასა, რაც სწყურის ყმაწვილობასა.
ის ასე ლაპარაკობდა და დააყურა; მოესმათ
ცხენების შორს თქართქარი ახლოვდებოდა; მოესმათ
ხმა მომგორავის ეტლისა, რომელიც დიდი სისწრაფით
შემორიხინდა ამჟამად ალაყაფისა კარებში.

ვარლამ დონდუა

სამრეკლო უდაბნოში

(კრიტიკული ესკიზი)

ალბად კიდევ მრავალი საუკუნეები გაივლის და მაინც კაცობრიობის ყოფნის წყვდიადოვან ლაბირინტში შეუწყვეტელად მოგვესმება ძახილი: „ყოფნა არ ყოფნა“ და დონ კიხოტის ძველი აბჯრის რახუნი და როსინანტის გაძვალტყავებული ფეხების შემაწუხებელი წანწალი.

...ისევ სიბნელე. ისევ ისე კოშმარები და ქიმერები უხუთავს სულს წამებულ ადამის ძეს.

შეიძლება თანამედროვე კულტურა ერთი წუთით მომხიბლელი მირაჟი იყოს; მიზანი კი მისი.. იქნებ ხელოვანის ხელოვნური სალტეა, შემოვლებული პიროვნების ნებისყოფაზე, და მის დაუდგრომელ სულზე.

მთრთოლვარე სული, რომელიც შორით მოკიაფე სიმბოლოებში ქმნის წარმტაც და ჯადოსნურ სახეებს, ისევ ისე უდაბნოშია; ისევ ისე მისტიურ საშიშროებაშია.

და ასე გრძელდება. და როდემდის — აუხსნელია.

არის იდეალები, გატაცება, აღმაფრენა, მიღწევა მხოლოთ ოცნებით და მიუღწევლობა, ღონის მიხდა.

...და ასეთს დროს ძნელია უდარდელი ღიმილი, მკვირცხლი კისკისი.

პათოსები მწუხრის მანტიებით არის შესუდრული.

ყოფნის განსაზღვრული საუკუნეები აპოთეოზებია სევდის და კაეშნის.

ნაზარეველის გაფითრებული, გაფერმკრთალებული სახე, კიდევ იწვევს რომანტიულ ქვითინს.

და „ბარძიმი წამების“ ისევ ისევ დაუშრეტელია. და უაჲლდის სიტყვები, კიდევ ისევ ღრმა საიდუმლოებითაა მოცული.

— სადაც ტანჯვაა, იქ წმინდა ადგილია — სთქვა მანვე: — სიმწუხარეში გარდა სიმწუხარისა, მუდამ იფარება სულიც.. და როგორ გვესალბუნება ჩვენ ეს სიტყვები!...

ჩვენ გვაქვს ეს „წმინდა ადგილი“,

ჩვენ გვაქვს „დაფარული სული„

და აქ, ამ მწუხრის სარბიელზე სევდიანი სახით, მაგრამ მთრთოლვარე ნერვებით და მშფოთარე სულით დგას გალაკტიონი.

და მის სევდას აქვს „სული“ — იდეა.

გალაკტიონი, სათუთი ლირიზმით, გამომხატველია როგორც არსებული სოციალურ მოვლენათა ცვალებადობის — ფორმათა შენების, ისე მისი დინამიკის — მისი სულის დაუდგრომელ დუღილისა.

სევდა კოსმიური წვის გენიაა. ის რამდენათაც უსაზღვროა და ყველა არსის სულთან უხილავი ძაფებით გადაქსოვილი, იმდენად ძნელი განსაცდელია.

და თუ გინდა მას მოუნახო ჭეშმარიტი სახე და განცდითი ბგერა, ეს უფრო რთული და უჩვეულოა. შემომქმედს — სევდის გამომხატველს, მარტო ოხვრა, ცრემლიანი თვალები, სახის ნაოჭები და სხვა, ვერ გახთის სხვის სულში მოსაუბრედ; საჭიროა მელოდიები, ყოველი მხრივ სრული, რომ იყვე ამტირებელი მეორესი, საჭიროა მაგიური ინტუიცია, რომ შენს სულში შვებული სურათები, სახეები და აზრები სხვას შეაყვარო.

და საჭიროა ითქვას სიტყვა ხალასი: გალაკტიონი აქ არის ორიგინალობა და განუმეორებელი.

გალაკტიონი გამოჩენის დღიდან, თავისი უჩვეულო ლექსებით, მარმარილოს ნაჭრებათ სჩანდა.

დღეს ეს ნაჭრები გამთლიანებულია. და ლამაზი მშვენებით აღმართულია ერის პარნასის მწვერვალზე. და ეს მწვერვალი ისე მაღალია და კიდევ მაღლდება, რომ მასზე მდგომი მგოსანი ამაყი პროფილით მისჩერებია, მსოფლიო კაეშნის ტიტანებას, და მით, ასეთი

დამეგობრებით რეალურ საზღვრებს შლის, და საერთო ელიოსის ქნარზე ერთ სიმათ ევლინება, რომელიც აკორდში არას დროს დისჰარმონიას არ შეიტანს.

შეიძლება ეს გაგება ფართოა, ასეთია ჩემი აზრი. და ვიტყვი თუგინდ აზრს კადნიერს:

ამ მხრივ გალაკტიონი არ არის სავსებით გაგებული.

მწამს მას გაიგებენ, მაგრამ საჭიროა იქნებ ტრაგედია — მისი სიკვდილი. რა საშინელია, მაგრამ სინამდვილეა!..

შეიძლება მას მიაკუთვნეს ნ. ბარათაშვილის მივიწყებული სავარძელი, და სწამთ, როგორც უაღრესად მომცემი სათუთ განცდათა.

მაგრამ მართალია ბელინსკი: არ არის საკმარისი, პოეტი მოიწონო ან არ მოიწონო, ის უნდა გაიგო. და გალაკტიონი მოწონებულია, მაგრამ არ არის გაგებული.

პოეტის სულის ლირიკა, თავის ორიგინალურ ცვალებადობით არ შეიძლება შედარებით კანონს დაემორჩილოს. არის გავლენები, აქ იტანჯება შემოქმედება.

ყველა ნიჭი, მაშინ არის ორიგინალური, როცა იგი სრულქმნილი და თვითარსია.

და ასეთს სრულ ქმნილებას აყალიბებს ეპოქის სული, და ამ სულის ხერხემლის იდეის სწორი შემეცნება. ბაირონი თავისი ეპოქის შვილი იყო, და მისი ტიტანიური სულის კვეთება ეპოქის კარნახია. და თუ ეს სულისკვეთება ეპოქის საზღვრებს გასცილდა, ეს იმისთვის, რომ თვით ბაირონის ეპოქას ქონდა დიდი ტეხილები, დიდი შინაარსი და მრავალი დეტალები ამ ტეხილებისა იმდენად დიადი იყო და მრავალფეროვანი, რომ მისგან გამოწვეული განცდები მარადიულ განმეორებებს იძლევა.

ასეთი გაგება დღემდი მეთოდად უძევს გენიალობის ახსნას.

იგივე ითქმის ბარათაშვილზე, მისი სევდის საგუბარი ერის ტრაღიული ბედისწერის ცვალებადობაა.

„ქართლის ბედის“ უკუღმართობამ გარდაქმნა იგი ობოლ სულად, რომელიც ეძიებდა „ტაძარს“, სადაც წმინდა სანთელს აანთებდა, უღთოდ ქრებოდა მისი „ლამპარი“.

და მისი ოცნება — მერანი უსაზღვრო იყო, მისი „ჭენების“ ასპარეზი უნაპირო.

და აქ ერის ტრაგედიამ, მისმა უშინაარსობამ, მოაძებნინა, გაქანების და დაუდგრომლობის მერანი, და მით ყველასათვის საერთო გასაგები გახთა იგი.

და გალაკტიონიც ილტვის თავისი „ლურჯათი“ ამ უსაზღროებაში.

ჩანგია მსოფლიო. სიმები: ბაირონი, ბარათაშვილი, კიდევ და მათთან გალაკტიონი, იქმნება მთლიანი აკკორდი. და თუ მოვალთ ეხლა, დავინახავთ სევდას ერთგვარი ძგერით, მაგრამ ცალცალკე ისინი შლიან გულს და გვაჩვენებენ მრავალ ფეროვან მიზეზთა რგოლებს, რომელიც ჰოაზისია განცდათა გამოწვევისა.

გალაკტიონი ორიგინალობაა იმდენად, რამდენათაც ის თავისი ეპოქის პირმშოა.

მისი შემოქმედების მთლიანი ქანდაკება მოზაიკურია.

ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან თვით საშო ეპოქაა.

მის სულზე მისი დროის ყველა კითხვები აღბეჭდილია, და მშვენიერად გაშლილი.

და თუ საჭიროა სწორი კრიტერი მის გასაგებათ, აქ საჭიროა გაგება ეპოქის და მერე მისი მოძრაობის მხატრულად გამომხატველის.

როგორც ვთქვით, გალაკტიონი ეპოქის გამთლიანებული სულის კვეთებაა.

მის სულის პარტიტურაზე ყველა ის ტაკტებია გადატანილი, რომელიც დღეს სევდის მუსიკად ევლინება განაწამებ კაცობრიობას.

დღევანდელი კაცობრიობის ყოფნა საშინელ ჯადოსნურ რკალშია მომწყვდეული, თანამედროვე ეპოქა — ეს ლითონის, რკინის, ფოლადის ეპოქაა.

მისი მაღალი ყორე, რომელსაც თავისი გულის სიღრმეში „უდაბნო“ შეუქმნია და მოუკლავს სიყვარული სიცოცხლისადმი — კაპიტალიზმია.

გალაკტიონი, ამ უდაბნოს ყოველ მხრიობის და მისი კოშმარების შვილია.

ის ამ რკალის შიგნითაა მომწყვდეული, და მისი სულის ტრაგედია უფრო მძიმე და რთულია, რადგან მან იცის რკალის იქით არის ქვეყანა, ქვეყანა განახლებისა და ახალი სიცოცხლისა.

და რა უსაზღვრო ხაოსია! და მტანჯველი დუალიზმი!..

ამ ხაოსში წუთიერი სიცოცხლეც არ არის დაზღვეული.

მოსალოდნელია სიკვდილი უმზგავსო, შეიძლება უაილდის ტრაგედია განმეორდეს, რამდენიმე ადამიანმა მიგაცილოთ საფლავამდი.

და გალაკტიონი შიშით არის შეპყრობილი. მას ეშინია, მისი გრძნობათა სისათუთე არ წავიდეს ამ ხაოსიდან მახინჯი სიკვდილით.

მას სურს ლამაზი სიკვდილი.

და სიკვდილი განა ლამაზი შესაძლებელია? ეს სურვილი ერთი მთავარი შტრიხია მისი, რადგან სიცოცხლემ დაჰკარგა სილამაზე.

და ეს სიცოცხლეც ხან მოკლე, ზვარაკთა შემოქმედების სამსხვერპლოზე.

გალაკტიონის ლოცვა — მისი შემოქმედება — კი არ არის მარტო მიძღვნა ამ სამსხვერპლოზე, არამედ თვით გალაკტიონი თავისი არსებით და განცდებით მსხვერპლია.

და ასეთი სინტეზი ბევრ საუკუნეების შორეულ გრეხილებსაც გვიახლებს, და ამ უდაბნოში ცოტა დროა ყოფნის, ეს მაშინ, როცა ბევრია სათქმელი.

და გალაკტიონი თუ სევდიანობს, მუდამ ცრემლიანი თვალებით გვევლინება, თრთოლავს, ეს იმისთვის, რომ მან იცის არსებობა „უდაბნოსი“ შემდეგ სამოთხისა და ის ასე, თავისი „ლურჯათი“ მიქრის ტანჯვის ქვეყნიდან და სიზმარიული სახით ეალერსება „შუქთა კამარას“, რომელიც მისი ინტუიციისთვის „ვერაფერმა დაფარა“.

გალაკტიონი საბედისწეროთ გაჭიმული სიმია აღნიშნულ რკალზე, და მთელი ფუს-ფუსი, მოძრაობა, რომელიც ხთება ქვევით ნაპრალში, ამ სიმს მსუსხავ-ქარიშხლიან სრბოლით ხვდება. და ასეთი რხევა მისი გრძნობის სიმებისა უმთავრესად მელოდიურია. ერთხელ იქნება გაწყდება ეს სიმი და ნაპრალი მას შეუბრალებელი ტრადიციით გულში შეიხვევს.

ის ვერ აცდება ამას, მისი სიცოცხლის სამარე დღევანდელი ცხოვრებაა — ცხოვრება „უდაბნო“.

და ეს გრძნობა გულს უთანაღრებს და მით იქნება საერთო კოსმიური სევდა „შიში“.

გალაკტიონი მოწამე იყო ისეთი მომენტების, რომელიც მას იმედს აძლევდა და ინახავდა ახალ ქვეყანას, მაგრამ... ეს თითქოს მოხდა იმისთვის, რომ მისი სევდა უფრო გაბასრებულიყო. „მე მესიზმრება, რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა. სადღაც, ოდესღაც ზმანებული „ერთხელ ნახული“ და ეს ერთხელ ნახული ახსოვს მას, მაგრამ მისი იმედები ისევ შეისუდრა.

ვეშაპმა მოისუნთქა, „დალანდი“ ნამსხვრევად იქცა.

„მქონდა მიზანი, ბრძოლა იყო ცა მისი მცნების...„

მაგრამ გრძნობიერ სულს აღარ გაწვდა „ღონე“, ის „მოესმინა“, „გესლით დაუძლურდა“. მიიხედა ირგვლივ და ისევ საშინელი რკალი, ისევ საშინელი „უდაბნო“.

მას შეებრძოლა თავის თავი, მან შეიმეცნა თავისი უმშვენიერესი სულის სევდიანი კვეთება. მიმოიხედა... თავი იგრძნო შეუბრალებელ „ბრბოში“, აცრემლდა, დასუსხულმა ნელი. კანკალით იპოვა „წმინდა ადგილი„

„მე მივყვები მწუხარებას, შეყვარებული და ქარვის ფერი...
პოეტი ბრბოში, სულ ერთია, ვიქნები ზრდილი“.

პოეტმა ამ „მწუხარებაში“, „უდაბნოში“ „დაინახა თოვლი“, რომელიც გულზე აწევს ნაპრალში მყოფთ, და ის მაინც აქ არის. წავიდა, მაგრამ მაინც მოვიდა და ნელი სევდით აღმოხდა გულიდან, რომ მას უყვარს „იისფერი თოვლი“ და მას ასე „მწუხარე გრძნობით“ მოუხდა „სიყვარულის ასე მოთმენა“ .

გალაკტიონი ამ „თოვლში“ ხედავს მშვენიერებას, მისი სათუთი პოეტური ინტუიცია იგონებს განვლილ სახეებს „ძვირფასო! ვხედავ... შენს ხელებს უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში. **„იელვებს ქრება, კიდევ იელვებს შენი მანდილი ამ უდაბნოში“.**

გალაკტიონი ასეთს უსაზღვრო სევდების ტეხილებში ატარებს იმედის სიდიადესაც.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“...

ის არას დროს არ ივიწყებს, თავის ტიტანიურ სულის კვეთების დიად მნიშვნელობასაც. ის „სამრეკლოა ამ უდაბნოში“.

„მერი“ წავიდა მის სევდიანი ცხოვრებიდან, რადგან ვერ მიწვდა პოეტის ცვალებად სულს. პოეტი დამშვიდებულია, მაგრამ განცდით აღნიშნავს: „სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის“.. ეს მაშინ, როცა „ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა“.

ვინ იქნება ბედნიერი, ეს ერთხელ მოსული სიყვარული მიიღოს, არავინ! და გალაკტიონიც უსიყვარულოთ არის. ჩვეულებრივ სახეებში მან ვერ იპოვა, რომ მისი სული მოეთავსებია, და აქ მასზედაც გამართლდა ნიცშეს შეხედულება შორეულის სიყვარულისა და პოეტი გადაექსოვა შორეულ ხატების სახეებს.

ის ცხოვრების ბნელ ხვეულებში მრავალ „მერის“ გამოიტირებს. ეს იმისთვის, რომ გალაკტიონი არ შეიძლება რომელიმე ერთის ჭირისუფალი გახდეს. მან იცის, რომ „მერის“ ჯვარის წერა „დღესასწაულს არ გავდა“.. პოეტი ყველას შემცნობი აღნიშნავს, „როგორ ღუპავს გრძნობა“.

ის საშინელ ქარიშხლიან დღეებში დადის „ვით მეფე ლირი ყველასგან მიტოვებული“ და ეს მაშინ, როცა „ქუჩაში მძაფრი დაქროდა ქარი და განუწყვეტლივ წვიმდა და წვიმდა“. ასეთს მაშინ სევდიან ამიდში პოეტი გულში მაინც ატარებს „ფიქრს შეუწყვეტელს“ და გაკივის „მცივა! მომეცით ჭერი!..„

და ეს ძახილი, ის სამრეკლოა, რომელიც ისმის პარნასიდან, მაგრამ —

„ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში.
სძინავს ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!..“
და „სწუხს ჩემი სული ვით სამრეკლო ცის უდაბნოში..“

გალაკტიონი გასცქერის საშინელ სივრცეს, ხედავს ადამიანებს. ესენი მისი მზგავსებია, მას ერთ წუთს სწამს, რომ ისინიც იბრძვიან და შეურიგებლობის სტიქიას ატარებენ, მაგრამ... მათ თვალებში „ცეცხლი არ კრთის“, კითხულობს: „ესენი ცოცხლებია?“ „არა! გზაზე მიდიან მკვდრები და სამარისებურ უდაბნოში ტოვებენ ქალაქს...„

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში, სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა“ და გალაკტიონი ისევ ისე, თავის საშინელი კაეშნის ამარა რჩება.

ის მუდამ ევლინება ქუჩებს, ათვალიერებს, ეძიებს შინაარსს და როცა ხედავს ადამიანის გულს, კითხულობს „ცოცხლებია?“ კითხულობთ პოეტის „მგლოვიარე სერაფიმებს“ და თქვენ წინასწარათ იგებთ მის წინათ გრძნობას თავის თავზე, შეიძლება ეს ასე არ იყოს, არ მოხდეს მაგრამ, როცა წარმოიდგენს მკვდრებს, ეშინია მათი. არ სწამს ისინი.

როგორ გრძნობს პოეტი თავს „ქიმერების“ ქვეყანაში?

„ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;
ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე,
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილებით დაეცი გზაზე“.

უაილდის ტრაგედია მას სიმბოლოთ ევლინება და ფიქრობს, რომ წყვდიადოვან ყოფნაში „ბრბოში“ ასეთს ბედს პოეტი უნდა მოელოდეს, მაგრამ მაინც სწამს, რომ ოდესმე გამოჩნდებიან „პოეზიის თანამგზავრები“ და იტყვიან — „აი ეს არის!..„

პოეტს უკვირს, რომ ასეთ საშინელებაში „დღემდე გასძლო“.

„სასახლეც გავყიდე... სათიბიც ავცელე“..

განმარტოვდა მისი სული, გადაეწნა ქარს, დაფრინავს ყველგან „ოცნების მზეზე“ დადის ცხოვრების ყველა ხვეულებში, მოუსვენრობს, და ეს ყოველმხრივობა გალაკტიონის პოეზიას აძლევს არა მარტო ინდივიდუალობის ელფერს და შინაარსს, არამედ ის უაღრესად სოციალური და ფილოსოფიური შინაარსის მატარებალია.

გალაკტიონის მეორე წიგნი აღსანიშნავია, როგორც სიმბოლიზმის ახალი და სამაგალითო ნიმუშები.

ჩემი აზრით, ჩვენში სიმბოლიზმის გაგება ორგვარია. ამ ორგვარ გაგებას ამ უკანასკნელად ერთგვარი ფიგურალობაც აქვს.

მე ვგულისხმობ მეორე კატეგორიაში, ეგრედ წოდებულ ახალ მწერალთა ჯგუფს, თუ ერთ წუთს ასეთს განსაზღვრებას მივიღებთ, მაშინ მე მინდა, გალაკტიონი დავაყენო ერთ მხარეზე დამოუკიდებლად. გალაკტიონის სიმბოლიზმი მეორე წიგნით გაგებული ეს ერთგვარი მანიფესტია ქართულ ლიტერატურაში, აქ არენა ფართოა იმდენად რამდენათაც მკვეთრი შტრიხები თითქმის ეპოქის ყველა კითხვებს უდგება. არის ერთი დამტკიცებული მოვლენა შემოქმედებაში, ხანა შობს პოეტს, რომლის ბუნება თავისი ჭეშმარიტი განცდით პოეზიის სამოსით იძლევა მრავალ კონსპეკტებს. პოეტურ ხაზებით, რომელიც თავისი მთლიანი სახით შემდეგ ფართო მრავალფეროვან ფორმებში იშლება, დასამტკიცებლად გავიხსენოთ პუშკინის მოვლენა რუსეთის ცხოვრებაში, პუშკინის შტრიხები შემდეგ დიდმა გენიალებმა ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ გაშალეს.

ახალი ჯგუფის დიდი პრეტენზიები, ეს მხოლოდ განმეორებათა აპოგეია, და მათში თუ ჭეშმარიტი შემოქმედება ვერ იკიდებს ფეხს, ეს იმისთვის, რომ ცივი მიმბაძველობა მტერია შემოქმედების.

გალაკტიონის პოეზიის გამართლება, შეიძლება გავიგოთ პუშკინის და ლერმონტოვის გაგების თანახმად.

გალაკტიონ ტაბიძის ინდივიდუალიზმი, ეს ისეთი მაგიური ფოკუსია, ისეთი „განწმენდის კარებია“, რომელშიც ყველა კითხვა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური შტრიხების კანონებით პოეტურ ფარგლებში იშლება. და მე მწამს: შესაძლებელია ჩვენი ერის საუკეთესო მერმისში, ერთი პატარა ხაზ გასმა გალაკტიონ ტაბიძისა დიდ ტანიან რომანის იდეიათ და აზრათ გამოდგენ. ამ მდგომარეობის გამართლებას დღესაც ვხედავთ, გალაკტიონის გზაზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გხვდება. შეიძლება ისინი თავის ორიგინალობას ააშკარებდენ მაგრამ იდეიური და სულიერი ხერხემალი გალაკტიონიდან იწყება.

არიან ჩვენს მწერლობაში ბევრი ისეთი ჯგუფების „იდეოლოგები“, რომლებიც ვითომც გალაკტიონ ტაბიძის მომსპობი პოლიუსია. მე ვეტყვი ასეთებს, რომ ოდესმე, როცა დადგება დრო ჩვენში წმინდა კრიტიკის ჭიდილის ხანა იქნებ ამ მადლიონებმა აღმოაჩინონ ის, რომ მემკვიდრეობითი ბიძაშვილობა პოეზიაშიც ნახონ, დღეს ნიღაბების ხანაა, ფარდის ახთამდი ყველაფერი ითქმება.

გალაკტიონ ტაბიძე, როგორც დაჯილდოებული პოეტური ინტუიცით, სავსებით ჩამოყალიბებულია.

მისი რითმიული და რიტმიული მუსიკალობა ძვირფასი სამოსია დიდი პრობლემების, რომლითაც ასე სავსეა მისი პოეზია.

და გალაკტიონი მაშინ უფრო დაფასდება, როცა მისი ბრჭყალები გაიხსნება, და ჩვენში დაიწყება ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. და მოკვდება ის ლიტერატორობია, რომელიც თავის ინტიმოებით მიუღებელია.

აქ არ შემიძლია არ ავღნიშნო ერთი მთავარი კითხვა.

ამ უკანასკნელად დიდი ძახილია ქალაქის პოეზიაზე, ქალაქის სულის გაშლაზე. ვერჰარნი კერპად ხთება. მის მიბაძველობას ბევრი ცდილობს, მაგრამ ვერჰარნის ქართულ ფონზე გადმოტანა მიმბაძველობითი კარიკატურაა. ასეთი მასალა ბევრია დაგროვილი.

ვერჰარნი ბელგიის განვითარებულ ინდუსტრიალური ქალაქების შვილია.

მისი გაგება ბელგიასთან დაკავშირებით შეიძლება.

მე ეს მდგომარეობა აქ იმისთვის მოვიგონე, რომ ქალაქის სულის პოეზიის ბუნებრივი სურათები გალაკტიონ ტაბიძეს თავის მეორე წიგნში საგრძნობლად მოეპოვება.

გალაკტიონის მიერ ქალაქის პოეზიის ხელშეხება იმისთვის მიმაჩნია საჭიროდ, რომ ყველა ნივთები არიან დაწერილი არა იმისთვის, რომ ვიღაც ქალაქის სულზე წერდა, არამედ ყველა ეს ლექსები განცდის ჭეშმარიტი კარნახია.

თუ გალაკტიონი ფართედ არ შლის ქალაქის სულს მის ნაწარმოებში, ეს ზემოდ ნათქვამის მიხედვით ბუნებრივია.

აღსანიშნავია ამ მხრივ მისი ლექსები „ი. ა.“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ და „შიში“.

საერთოდ ლირიკა მკვეთრი თქმის დარგია, შტრიხების სახით. ის ნაზია და მიმზიდველი თავისი ფერადებით და სურათებით. გალაკტიონის ქალაქის სულის გამომხატველი ლექსები, მოკვეთილი ხაზები, ცოცხალი მთრთოლვარე სიმბოლოებია, და როცა მას ვშლით, ჩვენ წინაშე იშლება მთელი არენა ნახულთა, მოვლენათა, მოძრაობათა და სხვა.

ლექსი „რამდენიმე დღე პეტერბურგში“ ეს მთელი ეპოპეიაა. აქ ყოველი წინადადება საშინალ ტრაგედიებს გვიშლის თვალწინ, რომელიც რევოლიუციის გულის სიღრმეში არის ჩაქსოვილი.

მე არ მინდა, ჩვენში იყოს ესეთი, რომელსაც ეს ლექსი არ წაეკითხოს.

მაგალითად თუ გინდ შემდეგი:

„ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა,
თან მეფიცება ძმობას და დობას —
და ყორანივით უცნობი სკრიპკა
ჩემს მხართან სტირის უამიდობას.
...
მე, ნოემბერი და პეტროგრადი
ასეთი კარგი და უდაბური.
...
მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძე გაქრა, როგორც ასეთი!
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი.
სიკვდილი ერთი და უცაბედი.
თან ასე ვფიქრობ **ეს ბავშვი ტირის,**[1]
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ან და რევორველს დავიცლი გულში“.

1. მოიგონეთ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და იქ „ბავშვის“ ფილოსოფიური გაგება თავის სინამდვილეში.

განმარტება მეტია. აქ სიმბოლიზმი ისეთის ბუნდოვანებით არის მოცული, რომ მკვეთრი და ღრმა შინაარსიანი შტრიხები რეალისტური სახით გაუგებარი დარჩეს. ლექსი „შიში“ ეს რიტმით დაწერილი განცდა შეუდარებელია თავისი სურათებით და შინაარსით.

„შიში დაღუპვის ყველგან მიწვდა
თეთრი ეტლები მიქრიან,
ღრნის მიწას....
იძახის....
ვინ ისმენს?..
არავინ, არავინ...
ის იღუპება!...
წინ მიქრის კუბო,
ქალაქი ფითრდება.
მან შეამჩნია, რომ ბერდება.
...
ნიავი სავსეა ხოლერით
მთვარეს ედება ბაცილა!
ხოლერა...
ის...“

საშიშროება ახალი ყოფნის მოახლოების დროს.

შემოქმედის სული, ზოგჯერ სავსებით განიცდის იმ მოვლენას, რომელიც მის მიერ წარმოდგენილ ტიპში ხთება, და თვით ხთება ბუნებრივი აღმასრულებელი მისი ტანჯვისა.

ასეთი აღსრულება სხვისი ტანჯვისა მსახიობის განცდების საზღვრებს სავსებით შორდება. ეს მიმღებიანობა სხვისი ტანჯვისა უდიდესი საიდუმლოების მატარებელია.

თქვა ისე — სხვა აატირო, აამოძრავო, და ამასთან თქვა ის, რასაც სხვა განიცდის, აი, ახსნა შემოქმედების კანონებისა. და გალაკტიონი აქ სრულ უფლებიანია. გალაკტიონს სმენაც უჩვეულო აქვს, აქ — სმენაც კი მისტიურ ხასიათს ატარებს.

„ჰო! მე მომესმის შეყვარებულ წამწამთ კანკალი (სამრეკლო უდაბნოში) მის მგრძნობიარე სულს თუ ესმის „წამწამთა კანკალი“ მაშინ წარმოიდგინეთ მთელი საშინელება ჩვენი ეპოქის ხმაურისა, ჟრიამული, ჯოჯოხეთი... და ამ დროს ჩვენ სავსებით გავიგებთ, თუ პოეტის გულში რა „აჭკნობს ნაადრევ იებს“ და ყველგან მუდამ დგას თავის სამრეკლოზე უდაბნოში, და იძახის „სწუხს ჩემი სული — ვით სამრეკლო ცის უდაბნოში..“

მაგრამ სად არის პასუხი!

მხოლოდ **„იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს...“**

და ასე მხოლოდ გაიელვებს ყრუ ძახილი, დიდი ნაპრალი ბობოქრობს, დაღუპვა, სიკვდილის სიყვარული, სიცოცხლის სიძულვილი, და ასეთს საშინელებაში ყველა, ყველა ყრუ ქვითინით გავიძახით: ცხოვრობდა ვინმე... გულში ფარული უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:

ამ ქვეყნათ სურდა მას სიყვარული, მაგრამ არავინ არ შეიყვარა.

და ასეთი ძახილის სევდიანი ოხვრის საპასუხოდ მხოლოდ „იელვებს, ქრება“... „ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?..“

როცა: ტკივილებით გამწარებული ღრღნის მიწას...

იძახის...

და ამ ძახილს ყველაზე უფრო გარკვევით გალაკტიონი ისმენს, და მისთვისაა, რომ მას ასე „ღუპავს გრძნობა“...

ნ. გერგესელი

8 დეკემბერი, 1922

მწერლობისათვის

იცოდეს ყველამ, რომ დღეს ცათამდე მაღლდება მწერლობის მნიშვნელობა, მიუწდომელია მისი ძალა. იგი ასულდგმულებს ეროვნულ სხეულს, აცისკროვნებს მის სულთასწრაფვას და მიუძღვის მთელს ცხოვრებას მკვდრეთით აღდგომისაკენ. მწერლობა საზოგადოებრივ წყვდიადს კვეთს და სინათლის ბრწყინვალეებას ამკვიდრებს ქვეყნის სულსა და გულში.

„ცხოვრებას დაჰკივის ხმა — ცოცხალი უნდა ვიყოთო“.

ეს ხმა პირველყოვლისა მწერლობამ უნდა გაიგონოს და უნდა გააუკვდავოს ჩვენი საღვთო ლტოლვები.

ამიტომ ადვილად გასაგები და ბუნებრივია, როცა ამ მწერლობის უუმშვენიერესი დარგის — პოეზიის ერთი დიდი თანამედროვე ქურუმთაგანი — გალაკტიონ ტაბიძე. თავის ნაზი, მომხიბვლელი ხმით გაკივის სამშობლოსათვის —

„საქართველო უპირველეს ყოვლისა!„

ამით სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ საერთოდ ხელოვნება, პოეზია და კერძოდ მირონცხებული პოეტი, როგორც მისი უმწიკვლო რაინდი, უბრალო „გარემოების საყვირია“ და მიზნად ისახავს **სამარადღეო** ჭირ-ვარამის სამსახურს. ხელოვნება თავის შინაგან მიზნებს ემორჩილება. მას საკუთარი თვითმყოფობა ახასიათებს. მაგრამ იგი ამავე დროს უაღრესად სოციალური მოვლენაა და წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეროვნული ორგანიზმის **უდიდეს და უფაქიზეს ფუნქციას.**

ხელოვნება ადამიანთა საზოგადოების აუცილებელი საჭიროებაა, ეროვნული ცხოვრების გარდაუვალი მოთხოვნილებაა. და რამდენადაც ხელოვანი ინდივიდუალურად სავსებით აკმაყოფილებს ამ უმაღლეს მოთხოვნილებას, იმდენად იგი ხდება საზოგადოების გულთმისანი, ერის დიდების მომღერალი და მისი უკვდავების მოციქული.

რაც უნდა „წმინდა“ პოეზიის წარმომადგენელი იყოს პოეტი, თუ კი იგი ჭეშმარიტად პოეტია, **თავის დანიშნულების ბუნების ძალით** ყოველთვის გამამტკიცებელი და მადიადებელი იქნება იმ ეროვნული მთლიანობის, რომელსაც იგი ეკუთვნის, მას შეუძლია აგრეთვე სხვა ერთაც, ინტერნაციონალს და კაცობრიობასაც ამაგი დასდოს მხოლოდ და მარტოოდენ ნაციონალური ხელოვნური შემოქმედების, როგორც ნაციონალური ღვდელმოქმედების — სისრულით და ამაღლებით.

ნ. ელიანი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი

ხუთი წელია საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობს. ხუთი წელია საქართველოს მწერლებმა საჭიროდ დაინახეს ერთ ორგანიზაციაში მჭიდროდ შეკავშირება და საზოგადო ასპარეზზე ძლიერი ორგანიზაციული მოქმედება მწერლობის სფეროში. და ამ ხუთ წელში ყოველ წლიურ საზოგადო კრებებზე იყო გაცხოველებული მსჯელობა და თავის მტვრევა მომავალი საქმიანი მუშაობის გეგმების შედგენაზე. იყო დებატები, იყო ბრძოლა და ბოლოს არჩევნები. მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა გარდა ცარიელი დებატებისა. ვინაიდან იყო ხელის შეშლა, იყო ინტრიგანობა იყო ჭორიკანობაც და არ იყო ნამდვილი საქმიანი მუშაობა, — სოლიდარული მოქმედება. რასაკვირველია, ასეთ საქმიანობაში ჩაფლული კავშირი ვერ იქნებოდა თავის სიმაღლეზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი და მისი მაგარი ორგანიზაცია, რომელიც ლაბარატორია უნდა იქნეს ქართული სიტყვის, რომელიც ქარხანა უნდა იყოს ქართული წიგნის — ამ ხნის განმავლობაში მას არ ქონია საკუთარი სახე, საკუთარი ორგანო. არ გამოუცია ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წიგნი, არც ერთი ჟურნალი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ ნომერს, გაზ. „პოეზიის დღეს“, რომელიც წლისა და წლის თავზე გამოდიოდა.

ასეთი უმოქმედო იყო მწერალთა კავშირი მაშინ, როდესაც ამ სფეროში კერძო ინიციატორები და ჯგუფები ყველაფერს ახერხებდენ.

მაგრამ 1922 წელი არის ახალი ერა ქართველი მწერლებისათვის. იმ მხრით, რომ ამ წელს წლიურ კრებაზე გატყდა ჩხირი ხელის შემშლელთა შორის, გაიყო კავშირი ორათ, დაიწყო ურთიერთ შორის ბრძოლა და საკუთარ გზებზე შემოქმედება. და უნდა ითქვას ამ უკანასკნელ წელში გაკეთდა ათჯერ მეტი ვიდრე გარდასულ ოთხ წელიწადს.

რასაკვირველია, ამას ხელს უწყობდა ხელოვანთა სასახლე, სადაც შეჯგუფებულია ქართველ ხელოვანთა ძალები, სრულიათ საქართველოს მწერალთა კავშირმა მხოლოდ ამ წელს შესძლო გამოეჩინა საკუთარი სახე, რამდენათაც მდგომარეობა ხელს უწყობდა. მან გამოსცა გაზ. „პოეზიის დღე“, გამოსცა ჟურნალი „ლომისი“, რომელიც შვიდი ნომრის შემდეგ გადაკეთდა ყოველკვირეულ გაზეთად. მოაწყო ხელოვანთა სასახლეში სალიტერატურო ხუთშაბათები, სადაც სისტემატიურათ იყო ქართულსა და უცხოელ მწერლების განხილვა და მოაწყო დამსახურებულ მწერლის ზ. ჭიჭინაძის იუბილე და სხვა. რასაკვირველია იყო დეფექტებიც, მაგრამ ჩვენ გვახარებს ავად თუ კარგათ უკანასკნელი კავშირი უფრო საქმიანი გამოდგა ვიდრე წარსული წლების.

29 დეკემბერს[1] მოწვეულია ქართველ მწერალთა კონფერენცია. ბევრი საგულისხმიერო საკითხებია დასმული დღიურ წესრიგში, ალბათ ყველა საკითხები გულდასმით იქნება გარჩეული, მაგრამ ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებათ უნდა იქნეს აღიარებული, რომ მწერალთა კავშირი იქნეს თავის ღირსების მებაირახტრე. კონფერენციამ უნდა გამონახოს ახალი ძალები და ახალი გზები თავის არსებობისათვის, და მიიღოს ზომები უფრო გაჯანსაღებისთვის, რათა საქართველოს მწერალთა კავშირი იქნეს ლაბარატორია ქართული სიტყვისა და მშობლიური კულტურის.

ი. ტ.

ცახელი

— ეჰ, ვინ სთქვა, ამ ქვეყნად არღა არისო ედემი საოცნებო და სიამე პირველყოფილი, როგორ არა! კიდევ არსებობს იგი. გარნა ჟამიერად, მხოლოდ წუთიერად.

ვასილ ბარნოვი

უკანასკნელად საოცნებო ადგილს მისწვდა ვინმე მგოსანი და იფიქრა მან:

ბუნებით შემკული მიდამო — წყალწითელას ნაპირებზე, სიხარულის ბუდეთ გარდამექცევა, ფრინველთა ზღაპრული ჟრიამული, მათი დასასვენებელი არე, სადაც საარაკო სავანედ მოვლინებულა!

1. წერილი აწყობილი იყო, როდესაც გავიგეთ, რომ კონფერენცია კიდევ გადაიდო განუსაზღვრელი დროისთვის.

აქ მე დავინახავ თვალთ-წარმტაც ხვევნა-ამბორებას იადონებისას, ცეკვა-ხალისს და სიმღერას ტკბილ ხმაზედ შეწყობილს, ამწვანებული ხეების ფურცელთა ნაზათ რხევისაგან. ყველა ეს წუთიერად მაინც ჩემს სულიერ ვნებას დააწყნარებს და ოდნავად დაამშვიდებს. აქ შევსვამ წითელ ღვინოს, სამშობლოსათვის თავგანწირულთა ვაჟკაცების სადღეგრძელოდ... მაგრამ... ბევრი ხანი არ დასცალდა მგოსანს ევარჯიშა მისი ერთწუთიერი საამო ცხოვრების დასამშვენებლად.

აქაც მას კარს ესტუმრენ ბრჭყვიალა ოქრო-ვერცხლის მონა-მორჩილნი და მისი საამური ნაპერწკლები სისხლის ნაკადათ შესცვალეს.

მაშინ...

ესტუმრა მას ფულის მონა — შურის საძიებლად.

ამ დროს მგოსანი მისი სიხარულის ფურცლებს სწერდა.

მგოსანმა ეს წინათგრძნობებისაგან იგრძნო. აღელვებულმა მიდამოს თვალები მიაპყრო და ფრინველთა გუნდს სამწუხარო საგალობელი მოსთხოვა.

იმ წამსვე გაისმა ხმა მწუხარე ჟრიამულისა:

სტვენავდნენ ერთნი!

ჩხაოდნენ მეორენი!

ჟღურტულობდნენ მესამენი!

ხოლო ხმა შეწყობილად და ნაზად მოსთქვამდნენ სამშვიდობელს უკანასკნელნი.

მგოსანმა ყველა ეს მოისმინა, ჯერ აცრემლიანდა და მერე საუკუნოდ მას თვალებზედ ბინდი გადაეკრა.

სტიროდა მხარე...

ცრემლებს აფენდა თავის ნაპირებს მდინარე წყალწითელა.

მხოლოდ...

შავად მოსილი შვების მსგავსად სიკვდილის ღმერთი გაბატონდა მაშინ იქ.

დ. ღოღობერიძე

ტფილისი

XII, 10

ორი პორტრეტი

...ორთავ ნერვიულები როგორც ვერხვი, ორთავე მთვრალი თავიანთი გრძნობებით, ვით სასმელ მოჭარბებული — ორივე გადარეული თვის ვნებათ რაზმებში ბრძოლის დროს, ვით შეყვარებული. აი, ის სულიერი განცდა, რომელიც ახასიათებს ნიკოლოზ სულხანიშვილს და გალაკტიონ ტაბიძეს. და რათ არის ნეტავ ესეთი მსგავსება სულისა ამ ორ პორტრეტს შორის?

იქნებ გენებოთ მათი მოუსვენრობა და ცახცახი ახსნათ იმითი, რომ ისინი მთელი თავისი სიცოცხლით არ იყვნენ გამთბარნი ადამიანთა ლმობიერებით და ცხოველმყოფელი მზით?!...

იქნებ გსურთ დაიჯეროთ, რომ ამიტომ სულის გათიშვისაგან გადასარჩენად იგინი არიან მუდამ მთვრალნი, ეფექტურ წუთების განსაცდელად.

რომ არამც თუ თვით გადირივნენ, არამედ ჩვენც დაგვათრონ თვის შემოქმედებით, თვის გენიით.

მართლაც და ვინ არ არის ჩვენგანი მთვრალი სულხანიშვილის მუსიკით, გალაკტიონის ლექსით.

და რათ გვიტაცებს, რათ გვაჯადოებს, რათ გვატყვევებს ნეტავ ასე პირველის მუსიკა, მეორის ლექსი?

და ვერც ახსნით ამას ისევე, როგორც ვერ ახსნით იმას, თუ რათ გიტაცებთ მზის ამოსვლა ბახმაროზე! ორთავე სანახაობა კალმით აუწერელია, როგორც ალაზნის მზის — სულხანიშვილის ჩასვენება, ისე ბახმაროს მზის — გალაკტიონის ამოსვლა.

ორივე მზე ერთი და იგივე სულის ნატეხია...

დავით პავლიაშვილი
ანჩისხატი
10 დეკემბერი

მატიანე

რედაქციისაგან

გალაკტიონ ტაბიძე მადლობას უცხადებს ყველას, ვინც პირადათ თუ წერილობით მიესალმა მისი ჟურნალის გამოსვლას. გალაკტიონ ტაბიძე გამხნევებულია ჟურნალის არაჩვეულებრივი გამარჯვებით და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც მას არ მოაკლდება საზოგადოების თანაგრძნობა.

იაკობ ნიკოლაძის იუბილე

დეკემბრის 11, რუსთაველის თეატრში გადახდილ იქნა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის 25 წლის მოღვაწეობის იუბილე. სცენა მორთული იყო იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებებით, თეატრი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ივანე გომართელმა, მეორე ვ. კოტეტიშვილმა, ორთავემ დაახასიათეს იაკობ ნიკოლაძის მოღვაწეობა. იუბილიარს მიესალმა ა. ი. სუმბათაშვილი — ავტორი „ღალატი“-სა; იგი მიესალმა რუსეთის მრავალ სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა სახელით. იუბილიარს მიართვეს საჩუქრები, ხოლო საზოგადოება — გულწრფელად ესალმებოდა მას. შემდეგ კაფე „მეფისტოში“ (მსახიობთა კერა) გაიმართა ბანკეტი იუბილიარის პატივსაცემად.

რედაქციისადმი წერილიდან

ზედმეტად მიგვაჩნია ჩვენ აქ განმარტება იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ სიმღერებს და მათ შეკრებას ყოველი ერის ცხოვრებაში, ამის შესახებ ბევრი თქმულა, როგორც უცხო, ისე ქართულ პერიოდულ და ყოველდღიურ გამოცემებში. ეს საკითხი მკითხველი საზოგადოებისათვის საკმაოდ გარკვეული უნდა იყოს და ჩვენი წერილის მიზანიც ეს არის. ადვილი არაა ამ დარგში მუშაობა და არც მომუშავეს ბედია უზრუნველყოფილი. ამ დარგის მოღვაწე უნდა იყოს განსაკუთრებული ენერგიით შეიარაღებული, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ასეთი დაუშრეტელი ენერგიის მქონე მოღვაწეთა რიცხვში უნდა ჩავთვალოთ ძუკუ ლოლუა, რომელიც მთელი ოცდა ხუთი წელი არაჩვეულებრივი ენერგიით ეწეოდა დასავლეთ-საქართველოში ხალხურ სიმღერების შეკ-

რებას და მის ისევ ხალხში გავრცელებას. ადვილი არ იყო ეს მუშაობა, მაგრამ მისი ენერგია სძლევდა ყოველივე დაბრკოლებას: ძნელათ თუ იპოვნით სამეგრელოში ისეთ კუთხეს, სადაც ძუკუ არ ყოფილიყოს თავისი კულტურული მიზნით და ეს მაშინ, როდესაც ძალიან ძნელი იყო ამ დარგში მოღვაწეობა. ძუკუ ლოლუას აქვს დიდი შრომა და გამოცდილება, ეს იყო პირველი ხალხურ სიმღერათა შემკრები და ხალხშივე გამავრცელებელი. ძველი რეჟიმის დროს ძუკუ ლოლუა ხშირი სტუმარი იყო ციხეებისა თავისი მიზნის გამო. დღეს ეს ადამიანი დასნეულებული ლოგინათ ჩავარდნილია და ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენ დარწმუნებული ვართ ქართველი საზოგადოება გულცივათ არ შეხედავს ამ გარემოებას და ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. საჭიროა ყურადღება მიექცეს მას მთავარი სახელოვნო კომიტეტისაგანაც.

ქართველ მხატვართა შორის

სამშაბათს, დეკემბრის 5, ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ქართველ მხატვართა პირველი საზეიმო სეანსი. მომხსენებლები იყვნენ იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი. დარბაზი სავსე იყო ქართველი მხატვრებით, ბლომათ იყო ქართველი ინტელიგენცია.

სურათების გამოფენა

ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა აცნობებს ყველა ქართველ მხატვრებს: მომავალ გაზაფხულზე გაიმართება ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა ტფილისში. გამოფენა შედგება სამი განყოფილებისაგან: სურათების, ესკიზების და პლაკატებისაგან. შემდეგ ეს გამოფენა გაიმართება პროვინციაშიდაც. ემზადეთ გამოფენისათვის.

მხატვართა ენციკლოპედია

ქართველ მხატვართა გამგეობა ადგენს ქართველ მხატვართა და პლასტიურ ხელოვნების ყველა მოღვაწეთა ენციკლოპედიას.

სამხატვრო საღამო

სამშაბათს, დეკემბრის 20, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. №13) გაიმართება ქართველ მხატვართა მორიგი (მეორე) სეანსი შემდეგი პროგრამით. ხატვა ექსპრომტებათ, პლასტიური მოძრაობა. კარიკატურები დარბაზში, და ექსპრომტათ. მოდელი ტიპიურ ტანსაცმელში და ჩაი. საღამოში შემოქმედების შემოტანა შეუძლია ყველა დამსწრეთ სხვა და სხვა სახით.

აკაკის ბიუსტი

სახელმწიფო ოპერის თეატრის ბაღში დადგმულ იქნა აკაკი წერეთლის ბიუსტი, შესრულებული მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ. ეს ძეგლი იზიდავს დიდძალ საზოგადოებას და ყველას ხიბლავს იმ მეფური სახის ხაზებით, რომლითაც მომჯადოებელი იყო პოეტი აკაკი სიბერის ხნის, ყელის დამბლით მიცემული სილამაზით.

აკაკის ბიუსტი გამოქანდაკებულია უბრალო ქვისაგან.

მწერალთა კავშირის კონფერენცია

მწერალთა კავშირის კონფერენცია, დანიშნული 29 დეკემბრისათვის გადადებულ იქნა განუსაზღვრელ დროისთვის.

შალვა დადიანი

წელს სრულდება 25 წელიწადი, რაც არტისტიულ და ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა შალვა დადიანი. მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა გადასწყვიტა აღნიშნოს მისი მეტად იშვიათი და სიმპატიური მოღვაწეობა შესაფერისი დღესასწაულის გამართვით.

სალიტერატურო საღამოები

დეკემბრის 4-ს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა პოეტის ვარლამ რუხაძის საღამო, ხოლო დეკემბრის 5-ს ხელოვნების სასახლეში საღამო ტერენტი გრანელისა. როგორც პირველის, ისე მეორე საღამოს სალიტერატურო განყოფილება ლექსებით გახსნა გალაკტიონ ტაბიძემ. ორივე საღამოზე პოეტებს დამსწრე საზოგადოება ოვაციებს უმართავდა.

პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში

დეკემბრის თოთხმეტს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ა. კ. გლაზუნოვის მუსიკალური მოღვაწეობის ორმოცი წლის თავზე, კონსერვატორიის პროფესორების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. პროგრამაში შედიოდა: სიმებიანი კვარტეტი ვ. ვილშაუს, გროსსმანის, სტუპელის და მინიარის მონაწილეობით. საფორტეპიანო სონატა — მ. ვინოგრადოვი, პიესები სკრიპკაზე და ვიოლონჩელზე: მ. ვასილიევი, კ. მინიარი და ვ. ლედნიკი. სასიმღერო რომანსები: მიხალსკაია და პანინა, კონცერტის დაწყებამდე სიტყვა გლაზუნოვის შემოქმედების შესახებ ეკუთვნოდა პროფესორს ს. ჩემოდანოვს.

მეორე სახელმწიფო კონსერვატორიაში

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალურად განვითარების მიზნით მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაცია მოკლე ხანში მოაწყობს მთელს რიგს კონცერტებისას ქართველი და ევროპიელი კომპოზიტორების ნაწარმოებთაგან. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ თვით პროფესორები კონსერვატორიისა, აგრეთვე პროფ. გრჟიმალის სახელობის კვარტეტი — და ხორო მოსწავლეთა.

ახალი რომანი

ცნობილმა ქართველმა ბელეტრისტმა ია ეკალაძემ დაამთავრა ახალი რომანი ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან. მანვე დასწერა მეორე ნაწილი ცნობილი პიესისა: ნომერი 21 ჯვრით.

ისევ ეფემერა

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს
ჩუმი შრიალი საიდან არი?
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს:
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.
დუმილი გახდა ვიწრო გალია,
დაუძინარი და უჩინარი
მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,
მარად და მარად ტყდება ჩინარი.
როგორც ჩინარი — ისე პოეტი
მისთვის სიმაღლე არის წამება
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარავს მტერთა ცილისწამება.
ის — მაღალია, დიდია მაინც!
მისთვის მოისმის ზარების ზარი:
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.
ვერლენს მაისის სიზმრების ხილვით
ესარკებოდა პარიზის რკალი.
მაგრამ უეცრად ქარტეხილივით
მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.
დემონიური არევ-დარევით
ყოველი მხრიდან ავარდა ალი.
სულში დაჰქროდა ქალი ქარივით
და შეშლილივით კივოდა ქალი.
ჰო, ლელიანი მაშინ დაქანდა
ვით მწვერვალიდან მერანი მალი.
კუბო მიჰქონდათ, არვინ არ სჩანდა
და არ ტიროდა არც ერთი ქალი.
ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია,
მიეცით წარსულს ელვა ან ხმალი,
რომ ამოკვეთოს ეპიტაფია:
„მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი!“
და პაგანინიც... ორგიის ბადეს...
მაესტრო თასით გადაკრავს ღვინოს:
ესტრადა ნათელ იმედად ბადებს
აშლილ ვალტორნებს და პიანინოს.
ის დანდობილი იღებს ჭიანურს,
და სასახლეებს ჰაერში მოდებს,

რომ მხარეები შეაჭიანოს
და ლეგენდები შორით ისმოდეს.
არა! არაა იმედი სიმათ,
ქალნი ლანდობენ თლილი თითებით
სიმებთან ერთად ატირებს იმათ
თვალების ნაზი ხრიზოლიტებით.
მათ მეოცნებეს რომ ვარდი არგეს,
ის ნებას აძლევს სულს ითარეშოს,
არ ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს
და უიმედო საპირფარეშოს.
როცა ქარხნები ისვრიან დორბლებს,
ვერჰარნი, დროის ახალი დანტე,
თუჯის ხელებით სძრავს მძიმე ბორბლებს.
გიგანტი ცეცხლით მოანდამანტე.
და ტრიალებენ ბორბლები ჩქარა
და, ინთქებიან ორთქლში გვერდებით.
ვერჰარნ! გაისმის მათი ხარხარი
ნუ თუ არასდროს არ შევჩერდებით?
დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა!
ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა,
და სასტიკია როგორც გეენა,
მისი სისწრაფის ულმობელობა.
და ახრჩობს თავის ცხელი თითებით
მასვე, ვინც იმას სული შთაბერა.
მოჰკლეს ვერჰარნი! მაგრამ დიდებით
მას მოიგონებს ბედის სხვა წერა.
და დოსტოევსკიც... მას თითქო ასჯერ
ნისლიან ღამით, ნისლიან ღამით
მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა
და ის ელოდა წამითი-წამით
ჯალათს შემოსულს ციხეში წყნარად,
რაღაც ამაზე ღრმა, უფრო მეტი,
გაუშუქებლად დარჩება მარად,
ასეთი არის მისი პორტრეტი.
იგი არ შინჯავს გამომხსნელ საჭეს,
ეფინებოდა რა სახეს ჩრდილი,
სიკვდილით დასჯა მას მიუსაჯეს,
ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი!
ეშაფოტიდან უყურებს შორს პანს
დღემდე თვალების გამხდარი რეტი,
ასეთი არის მისი პორტრეტი.
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს...

გალაკტიონ ტაბიძე
1922

იქიდანვე

(დედას)

აჰხატე მარად — ოდეს იშვიან — შვილთა მარჯვენა მკლავზე არწივნი, —
რათა აელვდენ გიჟური ვარდნით, დაჰკივლონ ხმანი კვლავ ზე ამწივნი.

* * *

შენს დაჭრილ სხეულს მოვაცილებ ძველ ათანანგებს,
რომ აგაცდინო კარს მომდგარი გადაშენება;
ფერხთ-ქვეშ გაგიშლი საამაყო, მწეველ ათას ჰანგებს.

* * *

რა აინთოს სამყაროს ალ-მოდებულ ჭენება,
შენს მთაგრეხილს აფეთქვის — ელის — გარდა შენებაც;
ასალტული რკინებით მოსჩანს შორი თენება.

* * *

შენს ლალის ტუჩებს და მაყვალა თვალთ აყრის ვიღაცა მაღლით ახელებს;
მე ჩემი კოცნით მოგწმენდ მაგ ჩირქს და... შურის-ძიებით ვახლი მნახველებს.

* * *

მაგარ ხერხემლით მოგიშენებ ახალ ცის ველებს.
არ მსურს, ო, დედა! გაგიბედონ შენ შეგინება;
და ვაი მაშინ, ვინც შენ სისხლში ხელებს ისველებს!

* * *

აეშვი მაღლა! — აფრა-შლილი — აღმართე ანძა.
ეთერს აჭრილმა შესთავაზე მზეს შერკინება;
და გაგიჟებით გადასერე მსოფლიო, ანცად.

* * *

აჰხატე მარად — ოდეს იშვიან — შვილთა მარჯვენა მკლავზე არწივნი —
რათა აელვდენ გიჟური ვარდნით, დაჰკივლონ ხმანი კვლავ ზე არ ცივნი!..

სეზმან ერთაწმინდელი

ღამე

მე მიყვარს ღამე, მწოლიარეს ლექსების წერა,
როგორც ევდოშვილს სიკვდილის წინ დასნეულებულს
მიყვარს კედელზე დიდი შოთას სურათის მზერა.
მისებრ უიღბლო სიყვარულში სევდით დალეულს.

ვისაც ვეტრფოდი, ვისი ნახვაც კვლავ მენატრება,
კიდეც რომ მსურდეს, მას ვერავის ვერ შევადარებ!
ჩემ თვალწინ ბევრი სურათები ჩნდება და ჰქრება,
მაგრამ ერთ სურათს მე ყოველთვის გულში ვატარებ.

ო, ვიცი ღამე ხშირად ფიქრში გამითენდება.
მამა დავითი გამოჩნდება ლურჯათ მინიდან.
მთელი სხეული უძილობით დაითენთება
და მწარე ოხვრა ამომხდება გულის სიღრმიდან.

ქნარი

იშვიათი ხილვა

ღამე:
ლოდინი — ოცნება.
ოცნება — ლოდინი.
ბოლოს?!
იშვიათი ხილვა.
შენ იდექ ესტრადაზე: შიშველი შველივით.
და სიოს ნელ მუსიკას, აყვა მგოსანის ლიბერტო.
ხმის ინტონაცია ხან კვდებოდა, ხან ხელდებოდა.
მაგრამ იყო აშკარა:
წვა. ცეცხლი. სიყვარულის ალი.
შენი ყელი — ყელია, ეგვიპტის უდაბნოში ამართული თლილი ქვის სფინქსის.
შენი ტუჩები — ტუჩებია, ვნებით გაჟღენთილ ადამიანის — სალომეასი.
შენი თვალები — მარგალიტებია, ნილოსის სიღრმიდან ამოკრებილი.
შენი თმები — ნერვებია — შხამიან გველის.
შენი ტანი — ალეწილი ლოტოსია, ცის კაბადონში.
შენი ხელები — ორი გველია.
შენ ხარ — მიწა, მარგალიტი, ნერვები, ადამიანი, მცენარე, გველი...
შენ ხარ — ყველაფერი.
და მინელდა ლიბრეტტო მგოსანის.
და მოწყდა სიოს მუსიკაც.

შენ კი შერჩი ესტრადას ისევ შიშველი შველივით.

მოვალ ახლო: დაგიკოცნი ყელს, ჩავაკვდები შენს ვნებიან ტუჩებს, თვალებს, ვეამბორები შენს თმებს, შენს ტანს და... გავაღიზიანებ.

და შენს ორ ხელს, რომლებიც ორი გველია შენს ტანზე მიბმული. შემოვიხვევ ყელზე, რომ შევიქნე სხვერპლი:

მარმარილოს ქანდაკების.

ირაკლი ყანჩელი

1922, დეკემბერი

განახლების გზით

„...და კიდევ ერთი იდეა: სიკვდილი ან განახლება!“

გალაკტიონ ტაბიძე

მე ყოველთვის ეს სიტყვები მაგონდება, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირზე ვფიქრობ. იმიტომ რომ უეცარი დაღუპვა სჯობია ერთ წერტილზე გაყინვასა და რუტინის გაღმერთებას.

ისეთი უბედური აგონია, რომელიც ემჩნევა მწერალთა კავშირს, ძნელია სხვაგან შეამჩნიოს კაცმა. ალბათ არის ამისი მიზეზებიც; ალბათ სხვა-და-სხვა დაბრკოლებები არსებობდნენ, რომელნიც ხელს უშლიდნენ კავშირის საბჭოს, რომ გაეფართოებინა თავისი სამოქმედო ასპარეზი. თორემ როგორ მოხდა ის, რომ კავშირი, რომლის მუშაობას გრანდიოზული ხასიათი უნდა ჰქონდეს, — დღეს ასეთს უმწეო მდგომარეობაშია. სხვა მიზეზების გამორკვევას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ორი რამ, რაც უსათუოდ მხედველობაში უნდა მიიღოს მწერალთა მომავალმა კონფერენციამ.

ერთი: ვერავინ ვერ დამალავს იმას, რომ ცხოვრება გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. თაობა თაობასა სცვლის, და ერის კულტურული საგანძური ამით მდიდრდება. ჩვენ ამითი არ გვინდა მოვსპოთ უფროსი თაობის ღვაწლი. პირიქით, ჩვენ დიდად ვაფასებთ მათს წარსულს და ეხლანდელ შემოქმედებას და მოღვაწეობას. მაგრამ დროა მუშაობის, და დროა — მოსვენების. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, მაშინ საჭიროა ვთქვათ, რომ მწერალთა კონფერენციის ვალია — გამგეობის მუშაობაში ჩააბას რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ძალები, რათა ახალი გამგეობა მეტის ენერგიით შეუდგეს კავშირის საქმეების გაძღოლის საქმეს. ძველმა რაინდებმა გზა უნდა დაუთმონ და დაულოცონ ახლებს. აქ იქნება სიმბოლო და საფუძველი წინსვლის.

კიდევ ერთი რამ: საბჭოს უნდა ჩამოშორდეს ის ხალხი, რომელიც მუშაობას აფერხებს და მიზნად ინტრიგანობა და პირადი კეთილდღეობა დაუსახავთ. ამგვარ ხალხს შეუძლიან სხვა ხელობას მიჰყოს ხელი.

მხოლოდ ამ ახალი გზით შეუძლიან რამე გააკეთოს მწერალთა კავშირმა.

განახლება, — აი ჩვენი დევიზი დღეს, როცა იშლება ფართო ჰორიზონტი და უშორესი პერსპეკტივები იმ უკანასკნელი იდეალის მისაღწევად, რომელიც არის პოეზია.

მ. რონელი

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

II. ტერპსიქორე

ჰერმანე

აქ, როცა ვაჟმა ტანადმა ოთახში შემოაბიჯა,
წინ მიაგება მოძღვარმა მას გამჭრიახი თვალები
და დააკვირდა მის სახეს და სულ მთელს იმის საქციელს,
ვით გამომცდელი, სახეებს ადვილად რომ გამოიცნობს.
შემდგომ შესცინა და უთხრა: სულ გამოცვლილი კი მოდით!
ჯერ მე თქვენ არ მინახავხართ ესოდენ ხალისიანი
და არც ეგ თქვენი თვალები ასე სიცოცხლით სავსენი.
ეტყობა, დაასაჩუქრეთ საწყლები, და თქვენც დაგლოცესთ.
მშვიდად მიუგო ამაზე ვაჟმა ეს დინჯი სიტყვები:
ნუთუ საქებრად მოვიქეც? არ ვიცი; გულმა კი მითხრა
ის ჩამედინა, რასაც აქ მე თქვენ განწვლილვით გიამბობთ.
დედი, თქვენს ძებნა-ძებნაში იმდენ ხანს იჩხრიკებოდით,
რომ მოგენახათ ძველ-ძველი და რამე გადაგერჩიათ.
და, როდის-როდის, შეიკრა ფუთა; ასევე ნელად
და გულმოდგინედ ვაწყობდით ჩვენ ლუდს და ღვინოს იმათთვის.
დაბოლოს, როცა გავედი ჭიშკარში შარა-გზაზედა
წინ შემხვდენ მოქალაქენი თავის ცოლით და შვილებით,
რომელნიც უკუ მოზღვავდენ აქეთკენ ტალღა-ტალღაზე,
რადგან დევნილთა გუნდებსა უკვე შორს გადაეარათ.
მე აჩქარებით გავსდიე ლტოლვილთ და სოფელს დავადეგ,
სადაც ისინი, როგორც სთქვეს, შეისვენებენ ამაღამ.
როდესაც ამ დროს ჩემს გზაზე შევუყევ ახალს შარა-გზას,
თვალი მოვკარი ერთს ურემს, შეკრულს მაგარი ძელებით.
შიგ ება საზღვარ-გარეთის ზორბა და გამძლე ხარები,
გვერდით კი ადევნებოდა მას მძიმე ნაბიჯებითა
ერთი ასული, რომელიც ორსავ ღონიერ საქონელს
ერეკებოდა სახრითა, რა მიდევნიდა წინისკენ,
ან უკან ახევიებდა; ასე ხელმარჯვედ ჰმართავდა.
როდესაც ქალმა შემხედა, ჩემსკენ მოიქცა გულმშვიდად,
ცხენებთან მოსდგა სულ ახლო და მითხრა: ჩვენ ეს სისაწყლე,
რომელშიც ახლა თქვენ გვიმზერთ, ყოველთვის როდი გვდევნიდა.
მე არ ჩვეულვარ ჯერ კიდევ სხვის მოწყალების თხოვნასა.
რასაც შემხვდური სულ ხშირად იძლევა, მაგრამ უგულოდ,
ოღონდ თავიდან მოსცილდეს საწყალს ყელგადაგდებულსა.

1. იხ. „ჟურნალი“ №2-3.

მაგრამ ამჟამად მავალებს მე გაჭირვება, რომ გითხრათ:
აგერ ჩალაზე წევს ერთი მდიდარი კაცის მეუღლე,
რომელსაც მომჯობინება მხოლოდ ეს არის დაეტყო,
რომელიც ღონემიხდილი ძლივს ვიხსენ დაღუპვისაგან
ურმიან-ხარებიანად, ამოდენ ორომტრიალში.
ჩვენ გზად სხვებს უკან ჩამოვრჩით, და ძლივს გადარჩა ის სიკვდილს.
ახლადშობილი მკლავებზე უწევს მას ბავში ტიტველი,
და მხოლოდ მცირე შეწევნას შესძლებენ მისთვის ჩვენები,
თუ უახლოეს სოფელში, სად ვფიქრობთ ღამის გათევას,
შევხვდით მათ, თუმცა კი ვშიშობ, რომ გავიდოდენ იქიდან.
თუ გეშოვნებათ ზედმეტი ჭინჭი რამ და ხართ ამ კუთხის,
გაუნაწილეთ თქვენ იგი მოწყალე გულით ღარიბებს.
ის ამას მეუბნებოდა, და მშობიარე ფერმკრთალი
სუსტად წამოდგა ჩალიდან და ჩემსკენ გამოიხედა;
მე კი ამაზე ვუთხარი: კეთილსა ადამიანებს
სწორედ რომ ძალნი ციურნი შთააგონებენ მაღლიდან,
რომ იგრძნონ, თუ რა ვაება ხვდება წინ საწყალ მოძმესა;
რადგანაც აგერ მე დედამ, რა წინად-იგრძნო გულითა
თქვენი ვაება, ეს ფუთა გამომატანა თქვენთვისვე,
რომ დავურიგო ახლავე ტიტვლებს და გაჭირვებულებს.
აქ გამოვხსენი მე თოკი და საღამური ხალათი,
მამის-ჩვენის, და ზეწარი პერანგებითურთ მივეცი.
იმან შემწირა მადლობა და აღტაცებით წარმოსთქვა:
ბედნიერს ადამიანებს არ სწამთ, რომ სასწაულები
კვლავ ხდება, რადგან კაცის ძე მხოლოდ ტანჯვაში გამოსცდის
ღვთისა ხელს, რაც კეთილ კაცთა კეთილისაკენ წარმართავს.
რაც თქვენის მეშვეობითა ჩვენ იმან გარდმოგვივლინა
გარდმოგივლინოსთ იმან თქვენც. და მე ვიხილე იქავე,
რომ მშობიარე ხელებში სრესავდა სიხარულითა
ნაირ ტილოებს, ნამეტურ ხალათის რბილსა ფლანელსა.
მაშ გავუჩქაროთ, უთხრა მას ყმაწვილმა ქალმა, სოფლისკენ,
სად ჩვენი თემი ისვენებს და გაატარებს მთელ ღამეს!
იქ გამოვაწყობ მე სწრაფად ბავშის თეთრეულს ყოველგვარს.
ქალი კვლავ გამომესალმა და გულით მიძღვნა მადლობა.
ხარები დაძრა; ურემი წავიდა; მე ვგვიანობდი;
ცხენები კვლავ შევაყენე: ვყოყმობდი, სწრაფი რაშებით
სოფლამდე მივსულიყავი, რომ მიმეტანა ხორაგი,
თუ გადამეცა ხელდახელ აქავე ამ ასულისთვის
მისიანთ შორის ყველაფრის გონივრად დასარიგებლად.
მყის გადავწყვიტე საკითხი ჩემს გულში და ქალს ნელნელა
მივსდიე და დავეწიე და ეს ვუთხარი მალიად:
ცირავ კეთილო, მე დედამ არა მარტოდენ ეს ტილო
დამიდვა ეტლზე იმისთვის, რომ შემემოსა ტიტველი,
არამედ ხორაგეულიც და სასმელები ნაირი.
ბლომად მიწყვია ესენი ამ ჩემი ეტლის ზანდუკში,

მაგრამ ვარჩევ, რომ ახლავე თქვენ ჩაგაბაროთ ყოველი,
და ასე საუკეთესოდ მე სრულვყოფ ჩემს დავალებას;
შენ გაარიგებ როგორც სჯობს, მე კი — ხელს როგორც მოხვდება.
ამაზე ქალმა მომიგო: სრული სინდისით მოვიხმარ
მე თქვენ ბოძებულ საჩუქრებს; ისე, რომ მით გაიხაროს
იმისმა გულმა ნაკლულმა, ვისაც მართლა და კი უჭირს.
ის ასე ლაპარაკობდა და მე სასწრაფოდ ავხადე
ჩემს ყუთებს თავსახურავი, სადაც მელაგა ხორაგი.
შიგ ამოვიღე პური და ლორის დიდ-დიდი ნაჭრები,
ბოთლებით ღვინო და ლუდი და გადავეცი ყველა მას.
გულით მივსცემდი მე მეტსაც, მაგრამ არ იყო ზანდუკში.
ქალმა ყველა ეს ავადმყოფს ფეხთან დაუწყო ურემზე
და თავისი გზა განაგრძო; მე კი საჩქაროდ აქეთკენ
გამოვეშურე ცხენებით უკანვე ქალაქისაკენ.
როს გაათავა ჰერმანემ, სიტყვა ენოვან მეზობელს
ხვდა და მან წამოიძახა: ნეტავი იმას, ვინც ამ დროს,
ლტოლვის, წრიალის დღეებში შინ ზის თავისთვის მარტოკა,
ვისაც ცოლი და შვილები შიშით გვერდზე არ ეკვრიან!
ბედნიერად ვგრძნობ მე ჩემს თავს; ამ პირობებში, დღეს, სწორედ
ვერ ვინდომებდი მე იმას, ათასი ქესით, რომ მამა
დამერქვას და რომ ცოლ-შვილი შემექნეს საზრუნავადა.
მე უკვე ბევრჯერ ვიფიქრე გაქცეულვიყავ აქედან
და კიდეც შევკარ განძები ცხონებულ დედი-ჩემისა,
ძველი ფული და ძეწკვები, რისგანაც სულ არაფერი
ჯერ კიდევ არ მოკლებულა, გაყიდვით არ გაყიდულა.
ცხადია, კიდევ ბევრი რამ მაინც დარჩება ისეთი,
რაც არ კეთდება იოლად; თითქმის ძირკვებს და ბალახებს,
ისე ბეჯითად შეგროვილს, ვსტოვებდი დიდი წყენითა,
თუმცა საქონლის ფასები ჯერ არც თუ ისე გაზრდილა.
თუ პროვიზორი აქ დარჩა, სახლკარს გულმშვიდად დავსტოვებ.
თუ ვიხსენ ნაღდი ფულები და ჩემი თავიც აგრეთვე.
მაშინ ხომ მთელი ცხოვრება მექნება გადარჩენილი.
მარტოხელ კაცსა ყოველთვის ადვილად ძალუძს გაქცევა.
მე, მეზობელო — მიუგო აქ ვაჟმა იმას დაბეჭდვით —
თქვენებრ არ ვმსჯელობ აროდეს და ვკიცხავ ასეთ სიტყვასა.
ღირსეულია განა ის, ვინც ბედს და უბედობაში
ზრუნავს მარტოდენ თავისთვის, არ იცის გაზიარება
ჭირის და ლხინის, ამისთვის სულაც არ ერჩის მას გული?
დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, მე ვისურვებდი მეფიქრა
ქალის მოყვანა; რადგანაც ბევრია კარგი ასული,
რომ ეჭირვება დღეის-დღეს მფარველი ხელი ვაჟკაცის,
და კარგი ვაჟი, რომელსაც სჭირდება მწე-საყოფელად
ქალი სულისა ჩამდგმელი, როს გაჭირვება წინ უდგას.
ამაზე მამამ იმისმა ეს უთხრა პირზე ღიმილით:
სიამოვნებით გიგდებ ყურს და გისმენ მე შენ ამ სიტყვას!

შენ იშვიათად თუ გითქვამს ჩემთვის ეგზომი ბრძნული რამ.
მაგრამ აქ სიტყვა მიართო კეთილმა დედამ სიჩქარით:
შვილო, და მართლაც! სწორი ხარ; შენ მაგალითი ამისი
თვითონ მოგეცით მშობლებმა, რადგანაც ჩვენ ერთმანეთი
ბედნიერების დღეებში, დიაღ, არ აგვირჩევია.
ჩვენ შეგვაერთა, პირიქით, მწუხარებისა მან ჟამმა.
ორშაბათ დილას — ეს მახსოვს, რადგან ის ცეცხლი საშიში,
ჩვენი ქალაქი რომ შთანთქა, მოხდა იმის წინ ერთი დღით —
ოცი წლის თავი სრულდება; კვირა დღე იყო, როგორც დღეს,
ტაროსი ხმელი და ცხელი, წყალი კი ირგვლივ ნაკლებად.
ერი სადღესასწაულოდ მორთული დასეირნობდა,
რა მოსდებოდა ჩვენს სოფლებს, დუქნებს და გინა წისქვილებს.
ქალაქის ბოლოს ერთბაშად აღიგზნო დიდი ხანძარი,
რაც მალე ქუჩებს მოედო, რა აყენებდა ორპირ ქარს
და გადაიწვა ბეღლები უხვად მოწეულ მოსავლით,
გადაიბუგა ქუჩებიც ბაზრამდე, იქვე დაინთქა
მამი-ჩემისა სახლკარიც, და მასთან ერთად ეგიცა.
ცეცხლს გადაგვირჩა მცირე რამ. მთელი ის ღამე გლოვისა
მე ქალაქის წინ ვიჯექი, მინდვრად ვიცავდი დგამ-ლოგინს.
მაგრამ ბოლოს კი წამძლია ძილმა და დილის რიჟრაჟზე,
როს გამაღვიძა სიგრილემ, მზის ამოსვლამდე რომ დგება,
ვნახე ყრჩოლვა და ხურვება, და მოტვლეპილი კედლები,
ზედ ბოლსადენი მილები. და დამეღარა მე გული.
მხოლოდ მზე ისევ წამოდგა უმეტეს სიდიადითა,
ვიდრე ოდესმე; და ძალა, სულის მხნეობა მომგვარა.
აქ წამოვიჭერ მე სწრაფად, გული იქითკენ მიწევდა,
რომ დამენახა ადგილი, სადაც ჩვენ გვედგა სახლკარი,
გამეგო, გაწყდა თუ არა ქათმები, მე რომ მიყვარდა;
რადგან განწყობა სულისა კვლავ შემრჩენოდა ბავშური.
როცა სახლის და გარემოს მყრჩოლავ ნაშთებზე გავედი
და ასე თვალწინ დამიდგა ბინა გატიალებული,
მეორე მხრიდან შენც მოდი, სჩხრეკდი ადგილებს თვალებით,
თავლაში გება შენ ცხენი; მაგრამ ბრიალა ბოძები
და მტვერი ზედ დახურვოდა, პირუტყვი აღარ მოჩანდა.
ასე ვიდექით მე და შენ ერთმანეთის წინ მგლოვარე
და ჩაფლულები ფიქრებში; რადგან ძირს იწვა კედელი,
რომელიც ჩვენსა ეზოებს ერთმანეთისგან მიჯნავდა.
მაშინ ჩამავლე შენ ხელი ხელში და მითხარ: ლიზიკო,
როგორ შეძელი აქ მოსვლა? გაბრუნდი! ლანჩებს დაიწვავ,
რადგან მტვერი ჰხურს ისე, რომ მეც მწვავს ფეხსაცმლის ძირებსა,
თუმც საქონელი მაცვია შენსაზე უფრო მაგარი.
და ამიტატე შენ ხელში და გადმომზიდე აქეთკენ,
რა შენს საკუთარ ეზოზე ხელმარჯვედ გადმომატარე
მაშინაც ისევ ამ სახით, როგორც ახლა დგას სულ კიდევ
გვედგა სახლის წინ ჭიშკარი ზედ თაღით გადახურული.

ეგი-ღა იყო მარტოდენ, რაც ყველაფრისგან გადაგვრჩა.
შენ დამსვი ძირს და მაკოცე. მე ამას არ განებებდი,
მაგრამ შენ მითხარ ამაზე მეგობრობისა გამოთქმით,
დახე, სახლკარი წაგვექცა. აქ დარჩი და დამეხმარე.
რომ აღვადგინო, მაგივრად მეც ვუსაშველებ მამა–შენს:
მაგრამ ვერ მივხვდი მე ვერას, სანამ მამა-ჩემს შენ დედა
არ მოუგზავნე და სანამ არ შევკავშირდით ქორწილით.
დღესაც სიამით ვიგონებ დამწვარ ბოძებს და განვიცდი
მზის ამოსვლაში ყოველთვის იმდღევანდლურსა სიტურფეს.
რადგან მე იმ დღემ მარგუნა მეუღლე თანამავალი,
და იმ ველური აღრევის პირველ დროებმა მაჩუქა
მე ერთი ვაჟიშვილიცა, პირმშო ჩემ სიყმაწვილისა.
ამისთვის გაქებ მე, ჰერმან, კეთილშობილი იმედით
რომ დაისახე შენც ქალი ამ გლოვა-ზარის დროებში,
რომ ჰბედავ დაქორწინებას ომის დროს ნანგრევ ნაშთთ შორის.

ვარლამ დონდუა

(შემდგომი იქნება)

ვილჰე-დელილ ადან.

ბრბოს მოუთმენლობა

მოგ ზაურო! წადი და აუწყე ლაკედემონელთ, რომ ჩვენ აქ დავიღუპენით, ერთგულნი მისი საღმრთო კანონების.

სიმონიდი

ლაკედემონის უმთავრეს ბჭის ღია კარებიდან, რომლის მძიმე ფრთა ისე მიყრდნობოდა კედელს, ვით რკინის ფარი მეომრის მკერდს, მოსჩანდა ტაიგეტი. მზის ჩასვლის ცივი ცეცხლით აწითლებული გორაკის მტვრიანი დაღმართი ჰერაკლის კედლებზე ანარცხებდა იმ სამსხვერპლოს გასისხლიანებულ ნათელს, რომელიც იქ იწირებოდა შეუბრალებელ ღამის იდუმალებაში.

დერეფნის სილუეტზე აღმართულ ქვითკირის თხემზე მოგროვილიყო ბრბო. ადამიანთა სახე, რკინის აბჯრები, შუბთა მწვეტები, ყოველივე წითლად ელვარებდა მზის ჩამავალ სხივებზე და მხოლოდ ბრბოს გამომეტყველება იყო ბნელი. ყველა მთის მწვერვალს შესცქეროდა, იქედგან ელოდნენ საყურადღებო ცნობას.

ორი დღის წინად გავიდა სამასი სპარტანელი მეფის თანხლებით. გვირგვინოსანნი მიისწრაფებოდენ სამშობლოს მიერ გამზადებულ ლხინზე. უკანასკნელად დაივარცხნეს თმები ლიკურგის ტაძარში, დარწმუნებული იყვნენ აიდასთან მოუხდებოდათ სერობა.

თვითეულმა ხელთ აიღო ფარი და ტირტეის ჰიმნით, ხმლების წკრიალით გაიარეს მოცეკვავე ასულთა მწკრივში და განთიადის მეწამულ სხივებში მიეფარნენ თვალთახედვას. ეხლა უკვე ხეობათა მაღალი ბალახი ელამუნება მათ შიშველ ფეხებს. თითქოს იმ ადგილებს, რომლის დასაცავათაც ისინი წავიდნენ სურთ ერთხელ კიდევ მიუალერსონ თავის ერთგულ შვილთ, ვიდრე სამუდამოთ ჩაიკრავდენ თვის საღმრთო წიაღში.

დილით სპარტანელთ ქარის ქროლვაში ხმალთა წკრიალი შემოესმათ და გამარჯვების ყიჟინამ, რომელიც უფრო მკაფიოდ გაიგონეს, სავსებით დაადასტურა მწყემსების მიერ გავრცელებული ხმები.

ორჯერ უკუაქციეს სპარსელნი, რომლის დროსაც მტერმა დაჰკარგა ათი ათასი მეომარი.

ლოკრიდა დღესასწაულობს გამარჯვებას, აღსდგა ფესალია, ô ივაც იღვიძებს. ათინა უკვე გზავნის ლაშქარს — მილტიადის მოწოდებით ყველა აბჯარში სხდება. შვიდი ათასი მეომარი უკვე მზათ არის სპარტელთა მისაშველებლად.

მაგრამ არტემიდის ტაძარში, ლოცვის დროს მოისმინეს რა უკანასკნელ შიკრიკის ცნობა, მსაჯულებმა სასოწარკვეთილებით შეხედეს ერთმანეთს.

ქალაქში დაუყონებლივ სამხედრო წესები გამოცხადდა უხუცესთა საბჭოს განკარგულებით. თუ წინედ ქალაქისათვის საკმარისი იყო ფარი სპარტანელისა, ეხლა სასწრაფოთ იწყეს თხრილების გაჭრაც.

დაითალხა მხიარულება. ვინღა ირწმუნებს მწყემსთა ნაამბობს. ყოველი აღმაფრთოვანებელი ცნობა უბრალო არაკად გარდაიქცა.

შეკრთენ მრისხანე ქურუმნი. სამსხვერპლოს ალზე ათრთოლდა მისანთა აპყრობილი ხელები. სასოებით ევედრებიან უკვდავ ღმერთებს. ნაწყვეტ ნაწყვეტად წარმოთქმულ ხმებში საშინელი აზრი იკვანძება. ქალწულთ უბრძანეს გასულიყვნენ საკურთხევლიდან, რადგან საჭირო შეიქნა მოღალატის დასახელება. ისინი გარბიან სასწრაფოდ, ფეხით ქელავენ გზაზე გაშოლტილ ღვინით დამთვრალ ილოტებს. თავზარდამცემი ცნობა მოვიდა. ფოკიდის გზა-წვრილი უკვე მტრის ხელშია. მესსენელმა მწყემსმა გაჰყიდა ელადა. თვისი საკუთარი დედა დაუთმო კსერკსს აფიალტმა. ოქროს აბჯრებში ჩაცმულმა სპარსელმა მხედრებმა უკვე შემოსდგეს ფეხი ღმერთების მიწაზე და შეუბრალებლად ქელავენ გმირების აღმზრდელ მკერდს. იღუპება ტაძრები, სავანე წინაპართა, იღუპება საღმრთო მინდვრები. ფერმკრთალ შენს ქალწულთ ტყვეობა ელის, ლაკედემონო. ბჭესთან მოგროვილ მოქალაქეთა შორის თვით მთის დანახვა საშინელებას ბადებდა. ქარი საზარლად გმინავს მთის ნაპრალებში. ნაძვები წელში იზნიქება და თითქოს აწეწილ თმას ივარცხნისო, თრთოლით ეტმასნება ტოტები ტოტებს.

ჯოჯოხეთის საშინელება დაჰქრის ჰაერის სივრცეში და თითქოს ღრუბელს სურს დაჰფაროს მისი საზარი სახე. გალავნის დოლაბზე შეჯგუფებულ ბრბოს ცეცხლის შუქით აელვარებულს სასოწარკვეთილებას გვრის ზეცის მუქარა დედამიწისადმი.

მაგრამ ყველა სდუმს ასულთა იქ ყოფნის გამო. არ სურთ ქალწულთა გრძნობების აღელვება. არ სურთ სპარტანელთ მომავალ დედათა წინაშე გამოამჟღავნონ ელლინელთა დანაშაული.

გამოურკვეველი ცნობები. ლოდინი თანდათან უკარგავს ბრბოს მოთმინებას. ყველას სურს, ნათელი წარმოდგენა იქონიოს მომავალზე. ქალაქის დაცემა უკვე აუცილებელ მოვლენად მიაჩნიათ სპარტანელთ.

ოჰ, რა თქმა უნდა მტრის მოწინავე ლაშქარი შებინდებისას შემოიჭრება ქალაქში. თითქოს კიდეც გამოჩნდა ჰორიზონტზე სპარსელ მეომართა ჩრდილი, თითქოს კსერკსის ეტლიც დაინახეს.

მოგვებს თითქოს უცნაური ხმაური მოესმით ჩრდილოეთიდან, ნამდვილათ კი სამხრეთის ზღვის ქარი აგრიალებდა მათ მოსასხამს. ყველა ამოძრავდა, მოაგორებენ საომარ მანქანებს, ეტლებს, გამოაქვთ შუბები, ფისის ასადუღებლათ ქალწულნი აჩაღებენ ცეცხლის კოცონებს. მოხუცმა მეომრებმა ჩაიცვეს ძველი აბჯრები და ხელდაკრებილნი ფიქრობენ, თუ თვითეული მათგანი რამოდენ მტერს დაამარცხებს, ვიდრე თვით დაეცემოდეს უთანასწორო ბრძოლაში.

გალავანი უნდა გაამაგრონ. ქალაქი უომრად არ დანებდება. სურსათის სიმცირის გამო ქალებმა შიმშილით უნდა მოიკლან თავი, ვინაიდან სპარტანელებმა გადასწყვიტეს ღამე გალავანის დოლაბზე გაეთიათ, რათა მძინარეთ არ დასხმოდა თავს მტერი, ნოგაკი, რომელსაც სახელმწიფოსაგან დავალება ქონდა მცველებისათვის სურსათის დამზადება, იქვე საგნებთან აკეთებდა თავის საქმეს. იდგა ჩანახთან და მსხვილი ავანგდასტით ურევდა ხორბალს. მასაც აღელვება ემჩნეოდა და მალმალ იცქირებოდა მთისაკენ. მოთმინება იკარგვის დაუსრულებელ მოლოდინში. უკვე გაისმის ჩუმი საყვედური ლეონიდის ლაშქრის მიმართ. ბრბო სასოწარკვეთილების დროს მზათ არის ცილის წამებისათვის და იმ ხალხის ძმებს, რომელთაც არ შერცხვათ არისტიდის, ფემისტოკლის და მილტიადის გაძევება, შეეძლო ბრაზით არ აღვსილიყო ამ გამოურკვეველ მოლოდინში?

მხოლოდ მოხუც დედებს კიდევ შერჩენოდათ იმედი თავის შვილების.

უეცრივ გამოჩნდა სამხრეთიდან ყვავების გუნდი. მათმა ფრთებმა დააბნელა ცა. მათ ჩხავილში ველური სიხარული გამოკრთოდა.

ისინი თაიგეტის მახლობლად დაფრინდენ სამღვთო წალკოტში და ჩრდილოეთისკენ დაიწყეს ცქერა.

ამ საშინელების მომასწავებელთა დანახვაზე გაისმა ბრბოში დრტვინვა.

ამოძრავდა კატაპულტები. ქვები სტვენითა და წკრიალით სცვივა ტყის ტევრში, მაგრამ ყვავებს ვერაფერი აფრთხობს, თითქოს გაქვავებულან ტოტებზე დაღუპულ მეომართა ლეშის სუნით გაბრუებულნი.

შეკრთა გული დედათა ამ მოჩვენებით. ქალწულთ დაურიგეს საღმრთო ხმლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ხელუხლებათ ეკიდენ ტაძარში.

— ნეტავ, რად გვირიგებენ ამ ხმლებს?

ეკითხებიან მამაკაცთა თვალების ცივ გამოკრთომას და ნაზად დასცქერიან ცივ ლითონთა ელვარებას.

მწუხარე ღიმილით იძლევიან პასუხს მათ შეკითხვაზე. უკანასკნელ წუთამდის არვინ გაამხელს ამ ხმლების დანიშნულებას.

ბავშების მოულოდნელი ჟრიამული იქცევს ყურადღებას, ისინი მიუთითებენ უფროსებს იმ წერტილის მზგავს ლანდზე, რომელიც მოსჩანს შორს, ძლიერ შორს.

ვიღაც ქალაქისაკენ მოეშურება ისე სიჩქარით, თითქოს ქარს მოქონდეს იგი.

მოდის თავდახრით, ყავარჯენზე დაყრდნობილი ეტყობა გზაში გამოუჭრია ყავარჯენი. მგზავრი უკვე შემოიჭრა მზის სხივებით აფერადებულ რკალში და ეხლა უკვე არჩევენ მის ტანზე შემოხვეულ გრძელ მოსასხამს. ეტყობა, ხშირად ეცემა გზაში, ვინაიდან ყავარჯენი და ტანთსამოსი ტალახში ამოსვრია. საეჭვოა იგი ჯარისკაცი იყვეს, ვინაიდან ფარი არა სჩანს მის ტანზე.

ოჰ, რომელ საშინელებით მოცულ ალაგს გამოქცევია იგი? ასეთი სილაჩრე არ შვენის ვაჟკაცს. ნეტავი რა სურს? თავშესაფარი? იქნებ სპარსელნი მოსდევენ?

ალმაცერმა სხივმა გაანათა ლტოლვილი თავით ფეხამდე და მის მოჭედილ საბარკულის დანახვაზე სირცხვილის გრიგალი დატრიალდა მაყურებელთა შორის. რაღაც საშინელება ინაკვთება ასულთა ზამბახივით გაფითრებულ სახეზე.

ლტოლვილი სპარტანელია. ერთი სამასთაგანი! სპარტანელი, რომელმაც დააგდო ფარი. მაშ, გამოექცენ მტერს დანარჩენი რჩეულნიც?

სასოწარკვეთილება ეუფვლის ყველას.

ეს ადამიანი ცოცხალი სურათი იყო დამარცხებისა. უთუოდ ყველანი გამოექცა მტერს, დანარჩენიც მალ გამოჩნდება.

მზარეული შუბლზე ხელმიფარებით გაიცქირება მწვერვალისაკენ და ამბობს, რომ უკვე მოსჩანს ლეონიდის ლაშქარის ჩრდილი.

საერთო ჟრიამულში მკაფიოდ გაისმის გმინვა მოხუც მშობლების. თვის სამუდამოთ შერცხვენილ სახეზე ხელდაფარებით მათ აღმოხდათ მხოლოდ ორი სიტყვა „ჩვენი შვილი“.

და ამ ხმებით გააფთრებული ბრბო მჯიღებს იშვერს ლტოლვილისაკენ.

— სცდები! აქ არ არის ბრძოლის ველი.

— ნუ ჩქარობ!

— რას ფასობს ფარი სპარსელების მოედანზე? რა მოგცეს ხმალში?

— ბევრი ფული აქვს ეფიალტს?

— ჰეი! ნუ უხვევ მარჯვნით! ნუ შეურაცყოფ პელოპის, გერაკლის და პოლიდევკის ძვლებს.

— სულმდაბალო! შენი საქციელი შეაკრთობს ჩრდილს დიდებულ წინაპრისას.

— გერმესმა მოგცა თვისი მფრინავი ფეხსაცმელი?

— ვფიცავარ სტიკსს, იგი პირველობას მიიღებს ოლიმპის გასართობებში, მაგრამ მეომარს თითქოს არ ესმის ეს ხმები, გამალებით მოეშურება ქალაქისაკენ. და ეს უფრო აბოროტებს ბრბოს.

გაისმის ქურუმთა მრისხანე ხმა:

— სულმდაბალო! დახედე შენს თავს, როგორ გასვრილხარ! შენ შეურაცყავ მშობლიური მიწა.

— როგორ? ქალაქში აპირებს შემოსვლას? არასოდეს!

— დაბრუნდი, საბრალო, თვით ბნელი ორმოც კი არ გვსურს შევბღალოთ შენი სისხლით. დაბრუნდი ბრძოლის ველზე. გონს მოდი! გმირთა აჩრდილი იქეთკენ გიხმობს.

— სპარსელებმა განგიმზადეს დაფნის გვირგვინი?

— სულ მდაბალო მონავ, წადი და მათთან ილხინე.

უბიწო ასულნი ხმლებზე დაყრდნობილნი წყნარად სტირიან. მათი კეთილშობილი ცრემლები როგორც მძივები ეფრქვევიან ხმალზე.

ეხლა იციან მათ ამ ხმლების დანიშნულება.

თავი უნდა გასწირონ სამშობლოსათვის.

აი, წინ მიიწევს ერთი მათგანი, იგი საცოლეა ლტოლვილის.

— ნუ, ნუ დაინახავ, სიმეიდა.

ანუგეშებენ მეგობრები, მაგრამ იგი იღებს ქვას და უმიზნებს მოღლილ მგზავრს.

მოახვედრა.

მგზავრი შეჩერდა, თავი მაღლა აიღო, გააჟრჟოლა. თითქოს რაღაცას ამბობს, მაგრამ რას?

ბავშები ცნობის მოყვარეობით უცქერიან გასვრილ ადამიანს, რომელზედაც დედები უთითებენ და რაღაცას ეჩურჩულებიან.

მზარეულმა შესწყვიტა მუშაობა. სცილდება ჩანახს, ჩამოეკიდება დოლაბზე და რაც ძალი შესწევს აფურთხებს ლტოლვილისაკენ. შემთხვევითმა ქარმა, თითქოს თანაუგრძნო მის გულის წყრომას, გაიტაცა ფურთხი და შუბლზე მიაკრა დაღლილ მეომარს.

ტაში დაუკრეს. დიახ! ეს ნამდვილი შურის ძიება იყო, მეომარი კი ყავარჯენზე დაყრდნობილი თვალს არ აშორებს ალყაფის კარებს.

და აი, უფროსის ბრძანებით მძიმედ დაიხურება მის წინ კარები.

და სამუდამოთ დახშულ თვის წმიდათა წმიდის წინ უგრძნობლად დაეცა მეომარი.

მეფდება წყვდიადი, მოფრინავენ ყვავები და ესევიან დაცემულის სხეულს.

ბრბო სიხარულით ეგებება ამ შავ სტუმრების მოსვლას.

განთიადისას მხოლოდ აქა იქ გაფანტული ძვლები სჩანდა ადამიანის.

ასეთი დიდებით, რომელიც შესაძლოა თვით ღმერთებსაც კი შეშურდესთ, მოკვდა მეომარი.

დახუჭა სამუდამოდ წამწამნი, რომ სინამდვილის ცქერას არ შეეკრთო მისთვის სამშობლოს დიადი სახე.

ასე მოკვდა იგი ხმა ამოუღებლივ. ხელში ეჭირა რტო თვისი სისხლით აელვარებული, ნიშანი ერთსა და იმავე დროს სიკვდილისა და გამარჯვებისა.

ასე მოკვდა მეომარი მაუწყებელი სამას მეომარის ბრწყინვალე გამარჯვებისა.

ასე მოკვდა ის, რომელიც სასიკვდილოთ დაჭრილი იყო და მეგობრების რჩევით თერმოპილის მდინარეში გადააგდო ფარ-ხმალი და მოიკრიბა რა უკანასკნელი ძალღონე გამოემგზავრა, რომ სპარტელებისთვის მოეტანა უტყუარი ცნობა.

ასეთი პატივისცემით მოკვდა ლეონიდის შიკრიკი იმათგან, ვისთვისაც იგი დაიღუპა სამუდამოთ.

მიხ. ბოჭორიშვილი

მოთხრობა ე. გაროკურისა.

შურისძიება

ყველა კარგად იცნობდა მდიდარ გოლდენშტეინს, როგორც კარგს მცოდნეს და დამფასებელს ხელოვნებისას. ეს კოლექციონერი და ხელოვნების მოყვარული, რაღაც წინასწარმეტყველის ნიჭით იყო დაჯილდოებული და ისიც უფრო ძვირფასით, ვიდრე ვინმე ფრიად განათლებით აღჭურვილი ადამიანი. იგი, როგორც მონადირის ძაღლი ყნოსვით იგრძნობს ნადირს, ისე იგრძნობდა ხელოვანის შემოქმედების სიდიადეს და მხატვრებს რეპუტაციას უქმნიდა. ვისაც ბედი გაუღიმებდა და დიდებას აღწევდა, უპირველესად მისი ნაწარმოები გოლდენშტეინის გალერიაში მოხვდებოდა. მილიონერმა ვაჭრობა არ იცოდა, ისე იძენდა ნორჩი ნიჭის შემოქმედებას და არც ერთი მხატვარი არ უსაყვედურებდა — მცირე ფასში დაგითმე საუკეთესო სურათიო. გოლდენშტეინისათვის სურათის მიყიდვა დიდ ბედნიერებათ და ქონების შეძენათ ითვლებოდა: ამ ადამიანისაგან შექებული და შეფასებული ნიჭი მიზანს უფრო აღწევდა და სისწორითაც იყო აღნიშნული, ვიდრე დიპლომ მიღებული მხატვარი, მისი შექება აფასებდა მსახიობს, როგორც ბირჟის კურსს.

მისგან ამორჩეულს დიდი მომავალი ჰქონდა და ლონდონის, ბერლინის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოსი და ვენის ვაჭრები თვალყურს ადევნებდენ გოლდენშტეინის ამორჩეულებს. საჭიროების დროს იგი გულუხვი იყო და როცა რომელიმე სასურველ ნაწარმოებს იძენდა, ფასს დაუზოგველად იხდიდა. იგი სპეკულიაციას არ ეწეოდა შეძენილი სურათებით, არასოდეს არ შეუძენია გასაყიდათ და რაც ერთხელ მოხვდებოდა მის გალერიაში, სამუდამოდ იქვე რჩებოდა. გოლდენშტეინი ამაყობდა იმით, რომ მეოცე საუკუნის მუზეუმს ქმნიდა და თავის გალერეიაში თავს უყრიდა მთელ იმ დროის დიდებას, რომელშიდაც თვითონ ცხოვრობდა. კომერსანტის ასეთ გართობას ხელს უწყობდა მისი დიდი ქონება: კონსერვების ვაჭრობით მან მილიარდები შეიძინა და მისი ფირმის მარკა მთელმა მსოფლიომ იცოდა; სახარიდან დედამიწის ორივე პოლიუსებამდი გოლდენშტეინის სახელს კონსერვების თუნუქის კოლოფზე კითხულობდენ და მას თამამად შეეძლო დაეკვეხნა, რომ იგი მთელ მსოფლიოს კვებავდა. არა ერთხელ უთქვამს ეს მას ხმა მაღლა, გულწრფელი სიცილით და ეს სიცილი მშვიდ შეხედულებას აძლევდა, მიუხედავათ იმისა, რომ სიმშვიდის სახელი არა ჰქონია. გოლდენშტეინს ყველანი ფლიდ ადამიანად სთვლიდნენ, მაგრამ იგი სულ იმას ცდილობდა, რომ, რაც უნდა მომხდარიყო, თავი გულწრფელათ და სწორათ ეჩვენებია.

მკაცრი, უგულო, საქმეში შეუბრალებელი, იგი ყალბ მოწმობებს ადგენდა, ფულებს იღებდა, მოვალეებთან ანგარიშს ასწორებდა და მხატვრობის გარდა არც არავინ და არც

არაფერი არ უყვარდა. კონსერვებისა და მუზეუმის წყალობით გოლდენშტეინს „კონსერვატორი“ დაარქვეს. მთელ ქვეყანაზე მარტო სამი რამ იყო მისთვის სათაყვანებელი: თავისი გამოსარჩენი, გალერეია და „კანონი“ ე. ი. თავისი უფლება.

არც სიბრალულით, არც დარდით და არც სიხარულით არავის უნახავს იგი აღელვებული. სიხარულს და მწუხარებას ერთნაირი სიმშვიდით ხვდებოდა, ახლობელის უბედურებას შეუბრალებლად უცქერდა. ადამიანის უძლურება მას არა სწამდა.

საკუთარი პირმშო, შვილი, რომ უკვდებოდა, ამბობდა: „რა ვუყოთ! ასეთია ბუნება!“

ერთმა მისმა საყვარელმა აგენტმა, თანაშემწემ და მეგობარმა ვაჭრობაში, გაჭირვების დროს ყუთიდან ფული წაიღო იმ იმედით, რომ თვის ბოლოში ისევ დაუბრუნებდა. გოლდენშტეინმა ბრძანა დაეჭირათ; იგი პასუხისგებაში მისცეს და მთელი ოჯახი გაუჩანაგეს: „რა ვუყოთ, ასეთია კანონი!“ — ამბობდა გოლდენშტეინი. ცოლმა უღალატა და ერთ ნიჭიერ მხატვარს გაყვა: „რა ვუყოთ? ქალია!“ — ამბობდა გოლდენშტეინი.

ყველა განცვიფრებაში მოდიოდა გოლდენშტეინის ყოფაქცევით. ვინც კი იცნობდა მას — გაკვრივებით ჰკითხავდა თავის თავს, — ბოლოს არ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მასში ძლიერი სული მეფობს? — მდიდარმა მართლაც დიდი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და საქმითაც დაამტკიცა, რომ იგი ხელოვნებას უფრო მაღლა აყენებს თავის პიროვნებაზე; ბირჟაზე იცნობენ მის შეურყევლობას, არა ერთხელ დაუმტკიცებია საქმით მას და ბოლოს სასტიკად იძიებდა შურს იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მისთვის უნდოდათ ექნათ. შურს იძიებდა გააფთრებული დაუნდობელად.

— „რა ვუყოთ, ცხოვრება ბრძოლაა!“ — იტყოდა თან იგი. მაგრამ ცოლმა რომ უღალატა, შურს არ იძიებდა. მხატვარს, რომელმაც შეურაცხყო, რეპუტაციას არ უხდენდა. იგი განაგრძობდა ძველებურად აღფრთოვანებას მისი ნიჭით და მიუხედავათ იმისა, რომ ცოლი მოსტაცა, მასში დიდ შემოქმედებით ნიჭს გრძნობდა. „რა ვუყოთ, კაცია!“ — ამბობდა გოლდენშტეინი. იგი ძველებურად იძენდა, ახალგაზრდა ხელოვანის ნაწარმოებს და უფრო მეტ ფასს იხდიდა, რადგან უკვე სხვისი ხელიდან ყიდულობდა.

მილიონერის ცოლი გარდაიცვალა. მოსაქმემ ამით დრო იხელთა, რომ მხატვარს დაახლოვებოდა, — საუცხოვო კომბინაცია მოაწყო, გადარჩა ვაჭრების ჩარევას! გოლდენშტეინს ეს საქმე ძალიანაც ხელს აძლევდა. იგი შეურიგდა თავის მოპირდაპირეს, საჯაროთ, წრფელი გულით, მოწმეებთან ჩამოართვა ხელი. ეს სცენა უბრალო და თან დიდებულიც იყო; დამნაშავეს სულის სიღრმეში ჩასწვდა ეს სცენა და სინიდისმა ქენჯნა დაუწყო. მხატვარს ძალიან უყვარდა ქალი და სიამოვნებით ჩამოართვა ხელი მის ქმარს, რომლის აქ ყოფნა თავის სატრფოს მოაგონებდა.

გოლდენშტეინი კიდეც შეუყვარდა მას, — ჯერ იმიტომ, რომ ძლიერ უყვარდა განსვენებული მისი ცოლი, მეორე იმიტომ, რომ მასში კეთილშობილური გრძნობა ნახა, მესამე-კი, რადგან მიეჩვია.

განსვენებულზე მოგონების გარდა არაფერი არ აახლოვებდათ ერთმანეთს. გონტოს კეთილშობილური ხასიათი ჰქონდა. არ შეეძლო ორპირობა და განირჩეოდა ენტუზიაზმით. იგი წყნარი, მორცხვი და ხათრიანი იყო, რადგან რამდენად მხატვარი იყო, იმდენად პოეტიც. გონტო თავის შემოქმედებაში მთელ თავის სულს აქსოვდა; ამას მის ტილოებზე ნახავდით და ეს აშუქებდა მათ. რაღაც გაუგებარი სულიერი მღელვარება გამოკრთოდა სურათებიდან და ამით მეტ სიმშვენიერეს მატებდა, ვიდრე დაკვირვებით ნამუშევარი ნახაზი ან და კარგი კოლორიტი. რაღაც მიუხვდომელს, აუხსნელს გრძნობდით მხატვრის ნაწარმოებში; გეგონებოდათ, ფერადებშია შეზავებული მისი სული, მწუხარება და სიყვარული.

ამ პოეზიით განირჩეოდა უმთავრესად, ახალგაზრდა მხატვრის ის სურათები, რომელსაც თავის სატრფოს სიკვდილის შემდეგ ხატავდა. ყველა, ვინც შურით უყურებდა მხატვარს, იძულებული იყვნენ, ქედი მოეხარათ. გონტო ყოველ ეჭვს გარეშე ტალანტის პატრონი იყო. იმ ნაწარმოებში, რომლის შეჰქმნის დროს დიდ მწუხარებას და ობლობას განიცდიდა, გამოიხატა, მთელი მეოცე საუკუნის სინაზე და გონტოს თანამოაზრეებს, როცა მის ნაწარმოებზე ლაპარაკობდენ, თამამად შეეძლოთ ეთქვათ: გონტოს შემოქმედება ეს ძეგლია წმინდა სილამაზისა, მან უნდა დაიკავოს უპირველესი ადგილი ხელოვნების ისტორიაშიო. გოლდენშტეინი კი ფლობდა ამ გენიოსის ყველა ნაწარმოებებს. გარდა ერთი სურათისა, რომელიც ოდესღაც მთავრობამ შეიძინა და რამოდენიმე დაუმთავრებელი ეტიუდებისა, რომელნიც მხატვრის სამუშაო ოთახს ამშვენებდა. გოლდენშტეინმა თავის გალერეიაში მთელი ზალა დაუთმო გონტოს ნაწარმოებებს და დაარქვა „გონტოს ზალა“.

— ძვირფასო მეგობარო, — მიმართა მხატვარს, — მე მინდა, რომ, ყველა თქვენი ქმნილების მფლობელი ვიყო. მე მგონია, საკმაოდ დაგიმტკიცე — როგორი აღფრთოვანებული ვარ თქვენი ტალანტით, ხომ მართალია? თქვენ იმით დამასაჩუქრეთ მე თანაგრძნობისთვის, რომ ყველა თქვენ ნაწარმოებს მხოლოდ მე მომყიდით. მათ ფასზე არასოდეს არ დავიწყებთ ლაპარაკს; თქვენ ყველაფერს მიიღებთ, რასაც მომთხოვთ, იმ პირობით — თუ ყველაფერს ჩემს გალერეიას დაუკავშირებთ.

გოლდენშტეინი ასე მსჯელობდა და კარგად იცოდა, რომ ამით ის არას აგებდა. კარგად იცოდა, რომ იდეალისტი გონტო მისი ნდობით ბოროტებას ვერ ჩაიდენდა, რადგან ამისთვის ხასიათი არ უვარგოდა. და მიუხედავათ ამისა ფრთხილად იყო და ლაპარაკში დაუმატებდა: — დიდი ბედნიერებაა დიდებული შემოქმედისათვის, ნახოს ერთად თავმოყრილი თავისი ქმნილებანი? თქვენ ამ ქვეყანაში დაიბადეთ, როდესაც მოკვდებით, მე დავუტოვებ მას ჩემგან შეკრებილ ქონებას. — გონტოს ზალის ერთ-ერთი ადგილი ცალიერი მოსჩანდა.

როცა გოლდენშტეინს ცოლი მოსტაცა, მხატვარმა იმ ბედნიერ დროს ნამუშევარი ერთი სურათი ამერიკაში გაჰყიდა. სურათი ბიულერ-სმიტს ჰქონდა ჩიკაგოში, სახელად „რკინის მეფე“ და ეს ნაწარმოები შვიდ თუ რვა ათასს დოლლარად ჰქონდა ნაყიდი. სმიტი არ დასთანხმდებოდა, სურათი გოლდენშტეინისათვის მიეყიდა, მაგრამ კომერსანტი არ ეშვებოდა. მან ოცი და ოცდა ათი ათასები შეაძლია, მაგრამ ვერას გახდა. ცალიერი ალაგის ამოსავსებად გონტომ ახალი დაწერილი სურათი შეაძლია, მაგრამ კომერსანტმა გადაჭრით უარი უთხრა: „არა, მეგობარო, მაპატიეთ, რომ გაგახსენეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ალაგის სიცალიერე თქვენი ბრალია. ასე ცალიერი დარჩეს. ამ ადგილს ჩვენ „ჯიუტი“ დავარქვათ“. ამ სიტყვებზე გონტომ თავი დახარა. კომერსანტმა მხარზე ხელი დაადო და განაგრძო:

— კარგად იცით თქვენ, რასაკვირველია, რომ მე დიდი მოხარული ვარ თქვენი ასეთი წინადადებისა, მაგრამ ამ საჩუქრის თქვენგან მიღება არ შემიძლია. ეს იმას ეგვანებოდა, ვითომ წასულ ანგარიშებს მისწორებდეთ და მაშინ ქვით ვიქნებოდით? თუმცა ძალიან ვაფასებ თქვენს შემოქმედებას. მაგრამ ეს მაინც არა კმარა, რომ ამით თქვენი შეცდომები გამოიყიდოთ. — გოლდენშტეინმა ამ სიტყვებში იმდენი ნაღველი ჩააქსოვა, რომ გონტომ თავი ასწია და თვალებში შეხედა: კომერსანტს თვალები ჩაშავებოდა, სახე დაპრანჭოდა, ტუჩები გვერდზე მიქცეოდა. მაგრამ მალე გამოერკვა და მხიარული სიცილით დაუმატა:

— მოთმინება ვიქონიოთ, მეგობარო, სულით ნუ დავეცემით, იმ სურათს ჩამოვიტანთ ამერიკიდან, რამდენსაც ითხოვენ იმდენს მივცემთ, ოღონდ შევიძინოთ.

გოლდენშტეინი არა სტყუოდა. ორი წლის შემდეგ ცალიერი ალაგი სურათმა დაიკავა. „კონსერვების მეფის“ წინადადებამ შეაცდინა „რკინის მეფე“.

— მეგობარო, თქვენ მე უფრო ძვირად მიღირხართ, — მიმართა მხატვარს, — თქვენი ალერსის ბაღში სეირნობა ძვირად ფასობს, ხომ მართალია? მაგრამ სულ ერთია. მე მდიდარი ვარ და კიდეც ვიხდი... კარგი... კარგი... რად აცმაცურებ წარბებს? მე იმისთვის კი არ გეუბნები, რომ გული დაგწყვიტო. მართალია, მე ახლა ცოტა გლახად მომივიდა მსჯელობა. ეს ყველაფერი უცაბედია, და მერწმუნეთ, რომ აღარ გამეორდება. მე მხოლოდ ერთხელ გაგახსენებთ წარსულზე... მხოლოდ ერთხელ და უკანასკნელად... ნურას მკითხავ ან ამის შესახებ, დეე, ეს სიტყვები პატარა საიდუმლოებად დარჩეს ჩემს გულში... მე ამას მტკიცედ დავიცავ... „მტკიცედ“ და რომ მსმენელისათვის არასასიამოვნო შთაბეჭდილება გაეფანტა, რომელიც მისმა გამოუცნობმა აზრმა მოახდინა მასზე, მოფერების კილოთი დაუმატა: — ვერ წარმოიდგენ, როგორს სიამოვნებას განვიცდი ამის გაფიქრებაზე, რომ ბიულერ-სმიტის სურათს ვფლობ. მე ყველა თქვენი ქმნილებანი მაქვს, ყველა!.. — კომერსანტი ხელებს იშმუშნიდა და სახე უწითლდებოდა: — ეს ერთად ერთი მაგალითია მთელს მსოფლიოზე! ოხ, როგორი ბედნიერი იქნებოდენ რუბენსი, რემბრანტი და ველასკეზი, ჩემისთანა ადამიანი რომ შეხვედროდათ, მეორე გოლდენშტეინი! ჩემი ნაშრომებით მე ძლიერ ვამაყობ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ძლიერ ვამაყობ. მე ჩემს დიდებას შენს დიდებასთან ვაერთებ, დიდებულო მხატვარო! ჩემი სახელი და თქვენი ერთად იქნება მოხსენებული საუკუნეთა განმავლობაში, და მგოსნები მოუთხრობენ შთამომავლობას გენიოსი მხატვრის და მდიდარი გოლდენშტეინის ისტორიას.

* * *

სამი წლის განმავლობაში გონტო განაგრძობდა გოლდენშტეინისთვის სურათების მიყიდვას. რადგან ის უხვად იხდიდა ფასს, შემდეგ მუშაობა შესწყვიტა;

გენიოსის სული და ის სიცოცხლე, რომელიც მის ნაწარმოებში იყო ჩაქსოვილი, ჭაბუკ მხატვარს თანდათან ღალატობდა.

ორი წლის განმავლობაში მისი შემოქმედების ცეცხლი თანდათან ქრებოდა, არაფერს არა ქმნიდა, იგი მხოლოდ კურორტიდან — კურორტამდე მოგზაურობდა და მთაში ცხოვრობდა, ხან ეგვიპტეში, ხან კი პროვანსში. გამხდარი, წელში მოხრილი, თვალებ ჩავარდნილი, წამოსასხამში გამოხვეული დაიარებოდა და ბუნების სიმშვენიერით სტკბებოდა.

გოლდენშტეინი მეფური გულუხვობით უგზავნიდა ჩეკებს თავის მომაკვდავ მეგობარს, არ უნდოდა, რომ მის მეგობარს რამეში გაჭირვება ენახა.

გონტომ სიკვდილის წინ მოინდომა თავის სურათების უკანასკნელად ხილვა. გოლდენშტეინი სადგურზე დახვდა მას და შინ წაიყვანა. უნდა მიეცა საშვალება, რომ მშობლიურ ატმოსფერაში მომკვდარიყო, დაელია სული თვისი სურათებით გარემოცულს! მეგობრებმა ერთად შემოიარეს უზარმაზარი ზალა; გონტო თავის კეთილისმყოფელს მკვლავზე ეყრდნობოდა.

— ვხედავ მე, — ამბობდა გონტო, — ყველაფერი ეს კარგია! როდესაც ცალი ფეხი სამარეში გაქვთ, სჯი ყველაფერზე, თითქო შორიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ეს ბედნიერებაა. მე ვტოვებ ჩემს შემდეგ ცოტა რამეს და დამშვიდებული შემიძლია მოვკვდე, — მხატვარმა ჩამოართვა კომერსანტს თავისი გამხდარი ხელი და წაიბუტბუტა: — გმადლობთ!

— მადლობას ნუ მიხდი, ეშმაკის კერძო, ნუ მიხდი მადლობას, — წამოიყვირა მდიდარმა — მე არა მსურს, რომ მადლობა მითხრათ. თქვენ არაფერი გაქვთ ჩემთან სამადლობელი. გოლდენშტეინი თუ კი რამეს აკეთებს, ის მხოლოდ თავისთვის აკეთებს! ჩემი სიხარულიც ეს არის, — წამოიყვირა მან, გაჩერებულიყო შუა ზალაში და კედლებს ათვა-

ლიერებდა: — გონტოს მთელი ქმნილებანი, დიდებული მხატვრის მთელი ქმნილებანი, — და მან მხიარულად გადიხარხარა. შემდეგ მან მომაკვდავი განზრახულ ოთახში შეიყვანა და საწოლში ჩააწვინა. საცოდავი მხატვარი ლოგინზე დაეცა, მისი გამხდარი სახე თეთრ ბალიშზე ყვითელ სანთელივით გეჩვენებოდათ, იგი ორივე ხელებით ზეწარს ჭმუჭნიდა და მარტო მოკაკული თითების ბოლოები მოსჩანდა.

— მე აწი ვეღარ ავდგები. — ამოილაპარაკა მან. გოლდენშტეინი სასთუმალთან მოუჯდა მომაკვდავს.

— მართალი ხართ, დიდო მხატვარო, თქვენ ვეღარ ადგებით! თქვენ ვეღარ შესძლებთ მომჯადოებელ სურათების დახატვას, — წაილაპარაკა თავისთვის, — თქვენ ვეღარ მოსტაცებთ ცოლს თქვენ ახლობელს... ნუ შემედავებით, თქვენ ძლიერ დაიღლებით... მე შეპირებული ვიყავი, რომ გაგახსენებდი ერთხელ ამ სამწუხარო მოვლენას. მე მგონია, დადგა დრო, რომ ჩემი საიდუმლოება გაგიზიარო, ხომ მართალია!.. თქვენ ძლიერ აღელვებული ხართ, გონტო, თქვენ ძლივს სუნთქავთ! დაწყნარდით და გონს მოდით!.. მე კიდევ მოვიცდი. ეშმაკის კერძო! მე იმედი მაქვს, ერთს საათს კიდევ იცოცხლებთ! — ამ სიტყვებზე „კონსერვების მეფე“ ბოროტად შეჰყურებდა მომაკვდავს.

— ახლა უკეთ ხართ, არა?.. — განაგრძო ერთი წუთის შემდეგ, — თქვენ გენიოსი იყავით, მაგრამ იმავ დროს ადამიანიც, მქროლავი სადღაც ღრუბლებში. თქვენ ოქროს ძალას ანგარიშს არ უწევდით. თქვენ ვერ მიცნობთ მე? მაშ, ყური მიგდეთ: მე გონტო ყველა თქვენს ნაწარმოებს ვფლობ, ხომ მართალია? მე ერთი სურათი მაკლია, რომელიც მთავრობამ შეისყიდა; თქვენი ტალანტის შეფასება შეუძლებელია იმ სურათით. სიკვდილის შემდეგ რომ მარტო ის ნაწარმოები დაგრჩესთ, კაცობრიობა საცოდავ მხატვრად ჩაგთვლიდათ. — გოლდენშტეინმა ხმამაღლა გადიხარხარა, ცოტა შეჩერდა და ამოხვნეშით წაილაპარაკა:

— მაშ, იცოდეთ, მეგობარო, რომ, დანარჩენს ყველას, ცეცხლში დავსწვავ. — შეურყეველი და მრისხანე მომაკვდავი პირდაპირ გამოირიცხებოდა. — თქვენ მე ცოლი წამართვით და სტკბებოდით! მე-კი თქვენ ქმნილებას გართმევთ და მეც ვსტკბები. რა ვუყოთ, მეგობარო? ყველა, ყველა შენს ქმნილებას! ცეცხლი და კვამლი! აი, რა დარჩება შენს შემდეგ. მსახურნი ფანჯრებს გააღებენ, გაანიავებენ, ოთახში ჰაერს გასწმენდენ და... აღარაფერიც არ დარჩება... გონტო უძრავად იწვა.

გოლდენშტეინი ადგა, მომაკვდავისაკენ დაიხარა, თვალი თვალში გაუყარა და დემონიურად განაგრძო:

— არ იფიქროთ, მე ვიკვეხნიდე! მე ყველა მიცნობს — ჩემი სიტყვა შეურყეველია; ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გითხარით, ამ საღამოსვე შევუდგები შესრულებას. მე გადვიხადე. თქვენი სურათები მეკუთვნის. მე ისე მოვიქცევი, როგორც მე მსურს... მე დოლლარები გადვიხადე... როგორ შეხედავს ამას ქვეყანა? იტყვიან, რომ გოლდენშტეინი შურს იძიებსო და ჩემი გაკვეთილი — კი სხვისი გაკვეთილი იქნება. — მილიონერმა გაათავა თავისი სიტყვა.

მოშორდა მხატვრის საწოლს და კარებისაკენ გასწია.

— რა ვუყოთ? — დაუმატა მან, — მე ჩემი უფლება მაქვს. — გამოვიდა გარეთ, რომ მის მეგობარს საშუალება ჰქონოდა, სრულ მარტოობაში დაელია სული.

დ. წერეთელი

უკვდავების ხე[1]

(ლეგენდარული მოთხრობა)

ის იყო დებორეს მთელი ოჯახი ძილს აპირებდა და რაბი ტანისამოსს იხდიდა მისთვის მიჩენილს პატარა ოთახში, რომელიც დებორეს სუფთად დაემზადებინა ძვირფასის სტუმრისათვის, რომ შემოიჭრა ივდითი პატარა თიხის სურით ხელში. მისალმების შემდეგ ივდითმა მოიკითხა რახილი და საჩქაროდ მიაშურა იმის ოთახს. რახილი უკვე ლოგინში იწვა და თვლემდა. მხოლოდ ივდითის დანახვაზე სწრაფლ წამოხტა ლოგინიდან და გადაეხვია თავის მეგობარს.

— ასე გვიან რად მოხვედი, რომ კიდევ დღის სულით მიიღე ჩემი ბარათი, შე ცელქო, შენა? — მიახალა რახილმა საყვედური ივდითს.

— არ შემეძლო, გენაცვა, თორემ განა ადრე არ მოვირბენდი! ხომ იცი, სანამ ვახშამი არ დავამზადე, სანამ ჩემი მოხუცნი არ დავაპურე და არ მოვასვენე, თავი ვერ დავაღწიე. და განა ეხლა კი ისე გვიან არის, რომ რაბის ვერ ვნახავ? ეს ხომ შეუძლებელია! რაც უნდა გახდეს, ეხლავე უნდა ვნახო და მოველაპარაკო, თორემ ხვალ დილა ადრიან მაგას აი, იმ მთის ძირში მოელის ხალხი და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ მიემგზავრება. მერე როდისღა უნდა ვნახო?

— მაშ, მიდი და მოელაპარაკე. ის პატარა ოთახშია. ეზოდან თუ მოუვლი, თორემ, ხომ იცი, აქედან შესავალი არა აქვს იმ ოთახს.

ივდითი შვლის ნუკრივით წამოხტა, სურა თან წაიტანა და თვალის დახამხამებაზე მიადგა რაბის ოთახის კარებს.

— მე ვარ, მე, ივდითი... ცოტა სუნნელოვანი ზეთი მოვიტანე შენ ფერხთა წასასმელად. — წაილუღლუღა ივდითიმ და შეიჭრა რაბის ოთახში.

რაბიმ ფეხზე წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ ივდითი დაეშვა მის ფერხთა ქვეშ და საჩქაროდ მოხსნა სურას თავი. სანამ ის ფეხებს დაუზელდა რაბის, მათ შორის გაიმართა ნაზი სასიყვარულო მუსაიფი, საიდანაც სჩანდა, რომ რაბისა და ივდითს პატარაობიდანვე ჰქონიათ მეგობრობა და ერთმანეთის სიყვარული. ფეხების დაზელვის შემდეგ ივდითმა გაიწმინდა ხელები კაბის კალთებზე და ცოტაღა დარჩენილი ზეთი მიიტანა რაბის სასთუმალთან სახეზე წასასმელად. მან თავისი ზეთიანი მარჯვენით, რომლითაც გადუგრიხა კოპწია ულვაშები 22 წლის რაბის და თან დაემხო საკოცნელად მისს გაშლილს, მაღალ შუბლს.

ეს პირველი შემთხვევა იყო რაბის ცხოვრებაში. ჯერ მას არ გამოეცადნა ქალის ტკბილი ალერსი და სიყვარული, თუმცა ეს უკანასკნელი მცნება იყო ქვაკუთხედი იმის სწავლა-ქადაგებისა. მხოლოდ ის სიყვარული იყო არა კერძო კაცთა და ქალთა შორის, არამედ დიდი რამ მცნება, რომელსაც უნდა მოეცო მთელი კაცობრიობა და უფრო მეტი, მთელი ქვეყანა. იმ სიყვარულში, რომელსაც დღემდე ჰქადაგებდა რაბი, გამოიხატებოდა მხოლოდ ბავშური გულუბრყვილო მცნება მოყვასის თავგამოდებითის პატივისცემისა, სამსახურისა, სიყვარულისა. ეს გრძნობა კი რაღაც კერძო ხასიათისა აღმოჩნდა. ამ ალერსში მან ჰპოვა რაღაც პირადი ბედნიერება, რომელსაც ის ვერ განუზიარებს სხვებს, თავისს მოყვასს. მხოლოდ ეს უკანასკნელი გრძნობა იმდენად მძლავრი გახდა, რომ რაბიმ მას

1. ამ ნაწარმოების ერთი მესამედი დაისტამბა გაზეთ „დროების“ 1909 წ. 8 ნოემბრის სურათებიანს დამატებაში, რის გამოც რედაქციამ მიიღო მთავრობის გაფრთხილება და შესწყვიტა მისი დასრულება. სავსებით იგი ისტამბება პირველად. **ავტორი.**

თავი ვერ დააღწია და დავიწყებას მიეცა... ივდითი თავს ევლებოდა დიდის ხნის თავისს სატრფოს და, აგზნებული, მედიდურობდა.

— შენ შამოგევლოს ჩემი თავი, ჩემო სულო, ჩემო სათაყვანებელო! შენ ხომ ამიერიდან ჩემთვის რაბი არა ხარ, შენ ჩემი საყვარელი ამხანაგი ხარ, ჩემი ძვირფასი იეგოშუა! — ასეთი იყო რაბის სახელი. იეგოშუას ვერ მოეხერხებინა ენით ალერსი, თუმცა იგი უკვე დიდი მჭევრმეტყველი რაბი იყო, და მხოლოდ ხელებით ეალერსებოდა თავის სატრფოს. რაბის თითები ივდითის თმის ძირებს ევლებოდა და ტუჩები მის სახეს ჰკოცნიდა. ეს იყო რაბის მჭევრმეტყველობა, ეს იყო იმის ალერსი იმ დროს, როცა ივდითის ენა შადრევანივით დაუდეგრად ალერსობდა, მუსიკობდა.

დრო კი მიდიოდა, შუაღამეს გადასცილებოდა. იმის წინსვლას არა უდგება რა წინ, ვერც სიყვარული და ვერც სიძულვილი. იგი ერთნაირად გულგრილი მოწამეა სიყვარულისა და სიძულვილისა, კარგისა და ავის, დიდისა და მცირედის, სიცოცხლისა და სიკვდილის, რადგან ეს ყველა წარმავალია და თვით კი დაუსრულებელი.

მაისი იდგა. დებორეს სახლი გამწვანებული ხევის მაღლობზედ ჩანდა. იქვე, ქვევით პატარა მდინარე ჩამოსჩუხჩუხებდა, რომლის ხმაურობა ნელის ნიავის შრიალთან ერთად შეზავებულიყო ხეხილის ყვავილებისა და ია-ვარდის სურნელოვანებასთან. ფშვენის და სმენის სიამოვნებაც გაერთებული იყო. ორივე ერთნაირად ტკბილი, ერთნაირად ნერვების გამღიზიანებელი. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ეს შორეული მნათობნი ისე მხიარულად კაშკაშებდნენ, გეგონებოდათ, ზეცას მეჯლისი გაუმართავსო. ძილდამფრთხალი რახილი გულის ფანცქალით მოელოდა ივდითის დაბრუნებას, იეგოშუას ნაამბობის გაგონებას, ივდითის სიხარულის გაზიარებას. კიდევ რამდენიმე ხანი და ივდითიც შემოიჭრა, მაგრამ არა იმ სახით, როგორსაც რახილი მოელოდა. იგი თითქოს დარცხვენილაო, ისე გამოიხედებოდა, და არც კვლავინდებურად გულწრფელად მოექცა ის თავის გულითად მეგობარს.

— შენ კიდევა გღვიძავს! ძილის დროა, შენ დაიძინე და მეც შინისაკენ გავემგზავრები და ხვალ ყოველივეს გიამბობ. — უთხრა ივდითმა მეგობარს, ჩაჰკოცნა და გაუჩინარდა. ალიონის სუნი იდგა. იეგოშუას კიდევ არ ეძინა და არც ეძინებოდა. იმის თავში საოცარის სისწრაფით ელავდენ აზრები. ამ აზრთა სრბოლას თითქოს ხმაურობა გაჰქონდა, იეგოშუა ტვინის მოძრაობასა გრძნობდა. ამ დილით ის მიწვეული იყო სხვა და სხვა საკითხის ასახსნელად, რომელიც აღელვებდა ამ კუთხის მცხოვრებთ. იეგოშუამ კარგად იცოდა თავის ქვეყნის ყოველი კუთხე; იცოდა, სად რას ჰფიქრობდნენ და ვის რა აწუხებდა. ამ კუთხის მკვიდრნი შეძლებულთაგანნი იყვნენ. მათ მოსავალი კარგი ჰქონდათ და გაჭირვებას არა სცნობდნენ. მათ მხოლოდ საღმთო სჯულის საკითხები ეხალისებოდათ და რადგან იეგოშუას შეხედულებანი ბევრად განსხვავდებოდნენ სხვების რწმენისაგან, რაიც აქამდე მიღებული იყო, ამისათვის თვით იეგოშუას პირიდან უნდოდათ ახალი მოძღვრების გაგონება. ეს სურვილი მით უმეტეს კანონიერად მიაჩნდათ იმათაც და რაბისაც, რომ უკანასკნელი თვით ამ კუთხეში იყო დაბადებული და 15 წლამდე აღზრდილი, ბევრი მათგანი რაბისთან ხშირად ყოფილა, უსმენია მისი საუბარი, მხოლოდ არა საჯაროდ.

იმ დროს ჩვეულისამებრ დედაკაცები სოფლის ყრილობაში არ ერეოდნენ, მაშინდელ მამაკაცების დესპოტობა დღევანდელზედ არა ნაკლები იყო... როგორც დღეს, მაშინაც დედაკაცებისგან შეცოდება სამაკვდინო ცოდვა იყო, მხოლოდ მამაკაცებისაგან — არავითარი. რაბის წარმოდგენაში ეს უმაღლესი უსამართლობა იყო. ის ერთგვარად სჯიდა ადამიანს სქესის განურჩევლად. მხოლოდ ამ საგანში იმას თანამოაზრენი ქალების მცირედ ნაწილში ჰყავდა, ისიც გასათხოვრებში, რომელთაც ამაზე საუბარი მამაკაცებთან სმენიათ. დედები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ იეგოშუას ამგვარს მოძღვრებას და ხშირად მამაკაცებსაც აჭარბებდნენ.

ამ ღამის ამბავი მით უფრო უღელვებდა ტვინს იეგოშუას, რომ ამ საქციელის მთელი პასუხისმგებლობა მარტო ივდითს აწვებოდა კისერზე. მაგრამ იეგოშუა რაღა რაბი იყო, რომ ეს ცეცხლი არ ჩაექრო თვისის ლოღიკის სიმძლავრით? იეგოშუა ისე ადვილად იმორჩილებდა სჯა-ბაასის დროს მოპირდაპირეს, ისე ჩააკმედინებდა ხმას, რომ ჰფიქრობდა, ქვეყანა დავაჯერე ჩემს რწმენაშიო და რადგან დღითი-დღე ის სოფლიდან სოფლად დადიოდა, აუდიტორიას იცვლიდა, ყველგან იმარჯვებდა, ამიტომ ვერა ჰხედავდა, რომ იმის წასვლის შემდეგ ქვეყანა ისევე ჰფიქრობდა და მოქმედობდა, როგორც ადრე.

იეგოშუა განყენებული მოაზრე იყო. ცხოვრებას უმორჩილებდა თავის ფილოსოფიას და არა წინააღმდეგ. იმის ქადაგება თუმცა ხიბლავდა მსმენელთ თავის ჭეშმარიტებით, ცხოვრებას განზედ ედგა. ამას ის ვერ ამჩნევდა და არც ეცალა ამისთვის. იეგოშუას ტვინი მუდამ მოძრაობდა, იმის პირადი ცხოვრება მუდამ განკერძოებული იყო. ეს შემთხვევა ივდითისთან პირველი იყო, როცა ის ძირს დაეშვა სხვებისთვის მიუწდომელის სიმაღლიდან. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი მიწიერ ცხოვრებიდან. მას წარმოუდგა თვალწინ ივდითის მომავალი. მისი განყენებული აზრით, ეს მოვლენა არაფრად განსხვანდებოდა სხვა ამგვარ მოვლენისაგან ცხოველთა ცხოვრებაში, მხოლოდ ამ ჟამად, ამ საზოგადოებაში კი სხვა ელფერი და მოვალეობა აწვა კისერზე ამ საკითხს, რამაც ქენჯნა დაუწყო იეგოშუას სინიდისს, მის წარმოდგენათა სრბოლას.

ივდითის გუშინდელი საქციელი რახილს მოსვენებას არ აძლევდა. რას მიჰქვიან ძილი და მოსვენება ამისთანა წამში, როდესაც უფრო მცირე შემთხვევაში მე და ივდითს მთელი ღამეები გაგვითენებია? — ჰფიქრობდა რახილი და ამ ფიქრებით გატაცებული თვით ესტუმრა ივდითის.

ივდითი ხელსაქმობდა. დააგდო ხელსაქმე და გადაეხვია თავის გულითად მეგობარს, მაგრად მიიკრა გულზე და კიდევ დარცხვენილსავით თვალს ვერ უსწორებდა რახილს.

— რა მოხდა, ქალო, რამ ჩაგაფიქრა ამრიგად? — შეეკითხა რახილი ივდითს.

— ვერ გიამბობ ასე ადვილად, რაც მოხდა, ჩემო კარგო. დრო უნდა ყველაფრის დალაგებით თქმასა და მოცალეობა. დამაცადე, თუ გიყვარდე, მე თითონ გიამბობ ყველაფერს, როცა მოვსულიერდები, გული საგულეს მექნება...

განა ივდითს არ უნდოდა საიდუმლოს გაზიარება რახილისათვის, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ გაემჟღავნებინა თვისი საიდუმლო, მით უფრო, რომ ეხლა ის აღარ იყო რახილის ტოლ-ამხანაგი. ის აღარ იყო ქალწული ივდითი, რომელიც ისეთი განუყრელი მეგობარი იყო იმისი. რატომ, რისთვის შესწყდა ეს კავშირი, თითონაც არ იცოდა კარგათ, თითონაც ვერ გამოერკვია ნათლად, მხოლოდ ივდითი ჰგრძნობდა ამას.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, — მოჰყვა ივდითი ცოტა სიჩუმის შემდეგ, — მე და იეგოშუას კავშირი უფრო და უფრო გამაგრდა, ჩვენ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. არა თუ არ ავშლილვართ, უფრო დავმეგობრდით, უფრო შევიყვარეთ ერთმანეთი...

— განა პატარა და დიდი სიყვარული შეიძლება? — გულუბრყვილოდ შეეკითხა რახილი, — სიყვარული ხომ ერთია და მხოლოდ მძლავრი?

— კი, გენაცვალე, მაგრამ ზოგიერთი სიყვარული ნაყოფს გამოიღებს ხოლმე და ზოგიერთი არა. ჩვენმა სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო, იგი განხორციელდა იმდენად, რომ ამიერიდან მე და იეგოშუა ერთნი ვართ, ერთსული და ერთხორცი...

კიდევ ბევრი გადაკრული უამბო ივდითმა რახილს, მაგრამ ამ უკანასკნელის ცნობის მოყვარეობა მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა და ის თავჩაღუნული, თითქოს დაღონებული ივდითის ამრიგი ცვლილებით, შინისკენ დაბრუნდა.

დღე იწურებოდა. ჩამავალი მზე ცალის ყურითღა ისმენდა დედამიწის ამოებას და ცალის თვალითღა უცქერდა თავის მოწითლო სხივებით გაშუქებულ არე-მარეს. დიდს შარა გზაზე მწყემსები პირუტყვს მიერეკებოდნენ. ტყის პატარა ბილიკით ნელის ნაბიჯით მიდიოდა ივდითი. მიდიოდა ტყის განაპირა მდგომ სამ მუხისკენ, სადაც იეგოშუას დაუნიშნა შეხვედრა. არა ჩქარობდა, რადგან ხედავდა, რომ ჯერ ადრე იყო, იეგოშუა შებინდებამდე არ გაჩნდებოდა. ივდითს პირი დასავლეთისაკენ ჰქონდა, საიდანაც ჩამავალი მზეც ოდნავ იცქირებოდა და ნელი ნიავიც გზას იკვლევდა. ივდითის გულმკერდი ღელვისაგან ისე ადი-ჩადიოდა, თითქოს ნიავთან შეთანხმებულად მოძრაობსო. იმის შეწითლებულს თეთრ ლოყებს ამშვენებდა საფეთქლებიდან მომდინარე წაბლისფერი ორი პატარა ნაწნავი. იმის დიდრონ გიშრისფერ თვალებს რაღაც უცნაური გამომეტყველება ემჩნეოდა. ეს თვალები ისეთის სისწრაფით მოძრაობდნენ, თითქოს შიგ რაღაც ძალა ტრიალებსო. აბრეშუმის ფართო თავსაფრის კალთებს ნიავზე ფრიალი გაჰქონდათ სწორედ ისე, როგორც ხშირტოტებიან მუხნარის შტოებსა და ფოთლებს. მისი მოხდენილი, ალვის ხის მსგავსი ტანი ოდნავ ირხეოდა მკლავის ოდენა ორ ნაწნავ ქვეშ. თალხი ფერი კაბის ქვედატანი, ფრიად სადათ შეკერილი, ზედ შემოჰკროდა იმის განიერ თეძოებს და აშკარად ახალისებდა ამ ცხრამეტი წლის ქალის აგებულობის სიმშვენიერეს.

მზისაგან მიტოვებულ დედამიწას სიბნელე დაეპატრონა, მაგრამ ჩასჭიდა ხელი და მხედველობა შეუხუთა. მხოლოდ მაღლიდან გადმომდგარ წვრილ მნათობთა შორეული სხივები ებრძოდნენ ამ წყვდიადს.

იეგოშუა მარჯვენა მხართეძოზე წამოწოლილი იყო.

მუხნარი ნელის ხმით შრიალებდა, თითქოს სიბნელით შეშინებული, ჩვეულებრივს ხმაურობას ვერ ჰბედავსო. იეგოშუას მარცხენა ხელი ივდითის კისერს ევლებოდა. არც ერთს ენა არ ემორჩილებოდა, ორივე ალერსით მჭევრმეტყველობდა. მხოლოდ ვარსკვლავები თვალგაფაციცებით შესცქეროდნენ შეყვარებულთა ყოფას, თორემ სხვა მოწამე მათ არა ჰყავდათ. ცის მნათობნი არა ერთხელ ყოფილან ამგვარ სანახაობის მოწმენი და ერთხელაც არ დაურღვევნიათ სიყვარულის საიდუმლოება, მხოლოდ იმ გრძნობით აღტაცებულნი, რომ იმათ სხივებსაც შეუძლიანთ სიყვარულით აღფრთოვანება, იცინოდნენ, ციმციმებდნენ, ჰხარობდნენ, ლაღობდნენ, თვალებს აპრიალებდნენ. კრებული უკვე მაღალზე იდგა და მგალობელთა გუნდივით ჩამწკრივებული იყო. ხან და ხან ივდითის სმენას მაღლიდან, სადაც ციური ხმები ეწვეთებოდა, თითქოს ვარსკვლავთა კრებაც მონაწილეობას იღებს იმის ბედნიერ წუთებშიო.

უსაზღვრო და განუზომელი დრო თავისს არ იშლიდა, რიგ-რიგად აბარებდა თავის განუშორებელს მგზავრს — ისტორიას ამ სიამტკბილობის წუთებს, რომელნიც არასოდეს, არაფერს შემთხვევაში აღარ განმეორდებიან.

აგერ აღმოსავლეთს ალიონის მკრთალი ნათელი მოეფინა. მხოლოდ მის არე-მარეზე მყოფი სიბნელე კუდამოძუებული უფსკრულისაკენ მიიმალა, რადგან აშკარად ხედავდა თავის დაბრმავებული თვალითაც კი, რომ დიადის მნათობის სინათლის წინ არ დაედგომებოდა. ნიავი ჩადგა. ახლად გაღვიძებულ ჩიტების ჭიკჭიკ-გალობაზე მცენარეებმა ყურები აცქვიტეს. იელ ნაჭამ თხასავით თვალებ გაშტერებულმა ბუმ ერთი გზადაბნეული მესნეულა შესანსლა, „ტუვიიტ“ — დაიძახა და ბებერ მუხის ფუღუროს მიაშურა. მოლაღურმა შტოდან შტოზე ხტუნვით „ბიჭო გოგიელა“ წამოიძახა, კოდალამაც კანაბურძგნულ მუხას ისე დაუკაკუნა, თითქოს შეყვარებულთ ზარი დაურეკა, დროა გზას გაუდგეთო.

მართლაც, იეგოშუა და ივდითი ერთმანეთს ტკბილად ჩაეკონენ და თვალცრემლიანი ივდითი ძველი გზითვე უკან დაბრუნდა, ხოლო იეგოშუა თავის გზას გაუდგა.

ვინ იცის, რა აზრები უტრიალებდა თავში ამ ახლად მოვლენილს დაჯაბნებულის ხალხის წინამძღოლს, ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დაუღალავ მქადაგებელსა და ბატონ-პატრონების დაუძინებელ მტერს?

ვინ იცის, სად რა ხიფათი მოელოდა და რომელს და რა გზით დაგებულს მახეს მოეგდო ხელთ მისი დაუცხრომელი მხნეობა, დაუშრეტელი რწმენა და სასოება?

თითონაც არ იცოდა და ცოდნასაც არა ჰლამობდა.

მხოლოდ იმას აშკარადა სჭვრეტდა თავის გამჭრიახის გონებით და შორს მხედავის თვალებით, რომ მტერიც მოუსვენრად მოძრაობდა, საკანს ამზადებდა.

„დეე, ჩემი პირადი ცხოვრება მტლედ დაედოს გაჭირვებულ ხალხის კეთილდღეობას! ეგებ ჩემს მიწაში მდებარე ძვლებზედ აღმოცენდეს მთელი ახალი თაობა დაჩაგრულ-აწიოკებულ ხალხის გულშემატკივართა და, თუ მე არა, იმათ მაინც აღხოცონ პირისაგან ქვეყანისა სიძულვილი, ბოროტება და ხალხის ძვალ-რბილის მღრღნელი უსწორ-მასწორობა“, — ეტყოდა ხოლმე ის ერთ-ორ გულშემატკივარ გამაფრთხილებელს.

იეგოშუა ნელის ნაბიჯით მიდიოდა.

დღითი-დღე ვრცელდებოდა ურიათა ქვეყანაში იეგოშუას ახალი სწავლა-ქადაგება. დღითი-დღე იკრიბებოდა იმის სახელის ირგვლივ მეტი და მეტი მომხრე და თაყვანისმცემელი. უკვე მრავალი მოწაფე გაუჩნდა. ბევრი თავზე და სინდისზე ხელაღებული ვერაგი მოარჯულა თავის უკვდავისა და ჭეშმარიტის სწავლით. ისეთის გარკვევით, ყველასათვის გასაგების ენით, უბრალოდ, გულუბრყვილოდ და მასთან თავგამეტებით და დაუღალავად ავცრელებდა ის ჭეშმარიტებას, რომ მსმენელთ მყისვე ჰხიბლავდა. ხალხის ნებისა და პიროვნების გამთელველს ჯგუფს ისეთი სიმკაცრითა ჰკიცხავდა, რომ მსმენელთ ტანში ჟრუანტელსა ჰგვრიდა. სულ უბრალო მაგალითებით უმტკიცებდა იეგოშუა ისეთ ჭეშმარიტებას, რომელიც არც ერთს მათგანს აქამდე აზრადაც არ მოსვლია. დღემდე მძლავრად გამეფებულ ძალმომრეობის ხანას ის იყო ბოლო ეღებოდა იეგოშუას მოძღვრების ძალითა და აუცილებლობით. პაპიდან შვილიშვილზე და მამიდან შვილზე გადმონაცემ მორჩილებას უფროსთა წინაშე, ყმობისა და ერთი მუჭა ბატონების თვითნებობის მონურად ატანას დღეიდან იეგოშუას მძლავრის ლოღიკის მეოხებით ბოლო ეღებოდა. მხედართ უფროსების ძალმომრეობა და რჯულის უკუღმართ მოძღვართა ქადაგება უკიდურეს განსაცდელს განიცდიდა. მცნება — „გამგენი ხალხისათვის და არა ხალხი გამგეთათვის“ — პირველად და აშკარად სწვდა დაბეჩავებულის ხალხის გრძნობა-გონებას და ცეცხლივით მოედო მთელს ქვეყანას, რომელმაც ზღვასავით ღელვა დაიწყო და ამ ზღვის ტალღები უფროსებს დღემდე შეუშფოთველ ძილს უფრთხობდა. მაღალი ღვთის სახელით მონობისა და ძალმომრეობის მქადაგებელნი ძრწოდნენ და შფოთავდნენ. მთელის ხალხის წინააღმდეგ მომქმედთა ჯგუფი ზარდაცემული ჰკრთოდა, არ იცოდა, რა წინააღმდეგობა გაეწია ამ მოულოდნელად მოხეთქილს ტალღისათვის და კარჩაკეტილი უიმედობით იტანჯებოდა. ვერ ჩაფიქრებოდნენ, ვერ გამორკვეულიყვნენ, რომ ჯერ კიდევ მძლავრია ამ ხალხში უმეცრების და შეუგნებლობის ნიადაგი, რომ მცირედი ძალ-ღონის მოხმარებაც კმაროდა, რომ ძველებური წეს-რიგი ჩვეულებრივს კალაპოტში ჩამდგარიყო.

ეს მხოლოდ ხალხის ძველმა მოძღვრებმა შეიგნეს და შეჰქმნეს თათბირი.

სჯულის მასწავლებელნი მხედართმთავრებთან ხელჩაკიდულნი შეუდგნენ მეცადინეობას. გამოსძებნეს ცრუმოწმენი და ჭეშმარიტების მოღალატენი, რომელთაც თავს იდვეს იეგოშუას სახელის წაბილწვა, მისი სწავლა-მოძღვრების გათახსირება. იეგოშუა, ღვთისაგან დაწესებულ-ნაანდერძევის უმცროს-უფროსობის წინააღმდეგი, იეგოშუა, თვით მაღალის ღმერთის მგმობელი, რაღაც სინდისს წინ უყენებს თავის მოძღვრებას და ღმერთზე ხალხს ხელს აღე-

ბინებსო. ღვთის მსახური იმის ქადაგებით ეშმაკის მოსამსახურედ იხატება, ქვეყნის მმართველნი ხალხის მტრად და ბატონ-პატრონი მის მგლეჯელადაო. აღარ ჰსუფევენ მისთვის არც წმიდანები და არც წინასწარმეტყველნი. იბილწება ღვთისაგან დაწესებული ოჯახის სიწმინდე. იეგოშუა ჰქადაგებს თავისუფალს სიყვარულს, თითქოს კურო-მოძღვრობა ღვთისაგან დაწესებული იყოსო. იგი შვილების აღზრდასაც რაღაც საზოგადოებას ავალებს და არა მშობელ დედ-მამას. ვისი მსახურიც იქნება ჩემი შვილი, იმანვე იკისროს იმის აღზრდაცაო, — ამბობს იგი. როგორც მე არ მოვსწრებივარ დედ-მამას და აგრეთვე არც ჩვენ მოგვესწრება ჩვენი შვილები და რატომ ჩვენ და არა საზოგადოებამ უნდა ივალოს იმათი აღზრდაო. ამას გარდა, ყოველ დროს თავის მოთხოვნილება აქვს, ჩემი შვილის დროის მოთხოვნილებებს კერძოდ მე ისე ვერ გავითვალისწინებ, როგორც მთელი საზოგადოება და ამიტომაც თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს იმის აღზრდა, რომელიც იმის სამსახურისათვის მზადდებაო, — გაიძახის ახლადმოვლენილი წინასწარმეტყველი. ნუ გინდათ ნურც თორა, ნურც სხვა სალოცავიო. ღმერთი თქვენ გულში ატარეთ და, რასაც წმინდის სინდისით განიზრახავთ და იქმთ, საცა უნდა იყოთ, სალოცავიც იქ გექნებათო. ღმერთთან შუამავალი არაფრად ღირსო და ყოველივე სინდისთან შეთანხმებული მოქმედება თავის თავად ჰღაღადებს ღვთის წინაშეო. იწამეთ ღმერთი, რომელიც არა თხოულობს არც სასყიდელს, არც განსჯას, არც მიტევებას ცოდვათა, არამედ რომელიც მარტოდ-მარტო კაცის სინდისს და მისს წრფელ განზრახვებს განაგებსო. ნუ გინდათ ნურც მსაჯული, ნურც სხვა მოხელე, რომელნიც ძალას ატანენ თქვენს ღვთიურს სინდისს და წაღმა სახნავს უკუღმა გახნევინებთო. ნუ გწამთ იმ მოძღვართა ქადაგებანი, რომელნიც მეცნიერებად აღიარებენ დახავსებულს წიგნებში ნაწერს და დროგადასულ მოძღვრებას მეცნიერებისა და ჭეშმარიტების სახელით ასაღებენო. ნუ დაატანთ ძალას ნურც სხვას, ნურც თქვენს თავს. იმოქმედეთ ისე, რომ თქვენი საქციელი ადამიანის ბუნებას ეთანხმებოდეს და არ იწვევდეს თქვენის სინდისის წინააღმდეგობასო. ისურვეთ მეზობლისათვის ის, რაც თქვენთვისა გსურთ, მოსპეთ ურთიერთ შორის მტრობა, ქიშპობა, თვალთმაქცობა, გაკიცხვა, განკითხვა, წამხედურობა, ღალატი, შური, ღორმუცელობა, მტაცებლობა, განცხრომა და ფუფუნება. შეიყვარეთ მოყვასი, როგორც თავი თვისი. ყოველივე თქვენს ნამოქმედარს სარჩულად სიყვარული დაუდეთ და ღმერთიც თქვენთან იქნებაო. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რადგან ყოველივე დღეის იქითისათვის დამზადებული ლუკმა უთუოდ ზედმეტია და ყოველივე ზედმეტი ერთისათვის მეორის დანაკლისიაო. ზედმეტი ლუკმა ჰრყვნის ხორცსა და სწყმენდს სულსაო. მიწა, წყალი და ჰაერი არ შეადგენს ვისიმე საკუთრებას და ყოველ ამაების მესაკუთრე უთუოდ მონობის მაქადაგებელიაო. ხოლო მონობა დაწყევლილია მაღლა ღვთისაგან და დაბლა კაცთაგანაო. მამა-პაპათა ცხოვრებას პირი უკუაქციეთ, აწმყოს დაუკვირდით და მომავალს პირნათლად შეჰხედეთო. მკვდრებზე ზრუნვა მკვდრებსვე მიუგდეთ და თქვენი ძალა, ღონე და მხნეობა ცოცხლებს მოახმარეთო. თეთრი და შავი ძვალი, წითელი და შავი სისხლი ბოროტის მოგონილია და ღვთის წინაშე ყველა ხორცშესხმული ერთსა და იმავე ბუნების აუცილებელს კანონზეა შექმნილიო. ვინ იცის, კიდევ რა და რა თავხედობას სჩადის ეს ღვთის მგმობელი ცრუ მოციქულიო, — ამბობდნენ სჯულის მასწავლებელნი და მათი მომხრენი...

ყოველივე მათი ნათქვამი უფლებით შემოსილი გულში მახვილად ხვდებოდა და ნაღველს უდიდებდა. იეგოშუა კი თავის გზით მოდიოდა.

ურიათა ქვეყნის უდიდესი თორა მთელი ღამე გაჩირაღდნებული იყო. უწარჩინებულსს რაბინთა, უფროსთა და მხედართმთავართა თათბირმა მთელი ღამე გასტანა. ქანქარის მეოხებით მომქმედ ცრუმოწამეთა რაზმი მთელს მხარეს მოსდებოდა და იეგოშუას ბრალის გამამჟღავნებელ საბუთებსა ჰკრეფდა. ერთი მეორეზედ იყრიდნენ ისინი თავს ამ იდუმალს სამსჯავროში და მთავართ უხუცესი ბრალმდებელ ოქმს თანდათან ავსებდა.

კარში ბნელი ღამე იდგა. ცა შავად დამძიმებული ღრუბლებით მოკუპრულიყო. ჰაერი ისეთის სიმძიმით დასწოლოდა დედამიწას, რომ ღამის ცხოველებიც გარედ ცხვირის გამოყოფას ვერა ჰბედავდნენ. მხოლოდ მონობის მომხრენი და მოსყიდულნი არაწმინდები დაძრწოდნენ ამ სიბნელეში ბნელი საქმის ჩასადენად.

განთიადისას ივდითიც მოათრიეს, რადგან ნებით არ მოდიოდა.

მისს შემოსვლაზე ყველას უნებურად ჟრუანტელმა დაუარა ძვალ-რბილში. ზოგს იმიტომ, რომ იმის პირისახე აშკარად ამცნევდა მის გულუბრყვილობას და მათთვის მიუწდომელს სულის სიმაღლეს და ზოგსაც იმიტომ, რომ მხეცურ გრძნობათ უღვიძებდა თვისის სილამაზითა და მოხდენილობით.

მოკლე ჩვენების ჩამოხდის შემდეგ კრება აიშალა და ივდითი დარაჯებმა მხედართმთავრის სასახლეში წაიყვანეს.

ასეთი იყო კრების დადგენილება.

იეგოშუა კი თავის გზას ადგა.

ორის დღის შემდეგ მხედართმთავრის ქვითკირით შემოღობილ თვალუწვდენელს ეზოში, დიდის ჭანდრის ძირში მდგომ მაგიდას შემოსხდომოდა 13 კაცისაგან შემდგარი მსაჯულთა გუნდი, ოქრომკედით ნაკერ აბრეშუმის ანაფორებში ჩამსხდარნი. თავმჯდომარეობდა მწიგნობართუხუცესი მოშე, 60—62 წლის მოხუცი, ალის ფერის წვერ-ულვაშით, მაღალის ტანისა და განიერის მხარბეჭისა. მოშეს მკაცრ პირისახეს ძლიერ ჰქუშავდა გრძელი ალის ფერისვე წარბები, რომელთა ჩრდილ ქვეშ მიმალულიყო პატარა, გამჭრიახი, კვინიხში ჩამძვრალი ნაცრის ფერი თვალები ძალზე დაწითლებულისა და დასივებულის ქუთუთოებით: ყოველივე სიტყვის წარმოთქმაში მოშე ისე ეშმაკურად იკრიჭებოდა, რომ მთელი პირისახე როგორღაც ცივად და უგულოდ უცინოდა. მისი განიერი პირის გაღების დროს ზემოდან ორი ბრტყელი და ჩამოგრძელებული ყვითელი წინა კბილი ქვედა ბაგეს ედებოდა. თავზე მწვანე ხავერდის რგვალი ქუდი ეხურა და ბეჭებზე ფართოკალთებიანი აბრეშუმის მოსასხამი, რომლის გულისპირი ოქრომკედით იყო მოქარგული და საყელო ოქროს დუგმით შეკრული. მოშეს ბანჯგვლიან ტლანქ ხელებს ამშვენებდა ოქროს მკედით მოქარგული სამაჯურები, რომელთაც იდაყვის მხრით ჩამწკრივებული ჰქონდა დიდის ხელოვნებით მოჭედილი ოქროს ღილები. მოშეს წინ ედვა მკლავის სიმსხო ჯოხზე დახვეული გრძელი პაპირუსი, რომელზედაც რიგრიგად აღნუსხული იყო იეგოშუას გასაკიცხი „ქადაგებანი და ცრუ წინასწართქმულებანი“. ეს პაპირუსი იყო ბრალმდებელი ოქმი, რომლის შინაარსს მხოლოდ იმის დამწერნი სცნობდნენ და რომლის სიმართლე იმათ სინდისს ეთანხმებოდა. ამ მაგიდის მარცხნივ, ორი-სამი ადლის სიშორეზედ იდგა მომცრო მაგიდა, რომელსაც უჯდა ამ ქვეყნის მმართველი და მხედართმთავარი პილატე. პილატე 40—42 წლის ვაჟკაცი იყო, მაღალისა და მოხდენილის ტანისა, შავგვრემანი, ოდნავ ჭაღარა ნარევი. მისი ახალუხის მსგავსი ტანსაცმლის გულმკერდი ერთავად ოქროთი იყო მოჭედილი. მარცხენა თეძოს თავზედ ეკიდა ოქროს ბრტყელს ქამარზედ, ოქროში მოვარაყებული გრძელი ხრმალი, რომლის ბოლო მოხდენილად იდვა მიწაზე. პილატეს თავზედ ადგნენ შეიარაღებულნი ჯარისკაცნი ახოვანის ტანისანი. მას ღელვა ემჩნეოდა, რომელსაც ცხადჰყოფდა პირისახის მკრთალი ფერი და დიდრონ შავ თვალების მოუსვენრად მოძრაობა.

დიდი მაგიდის მარცხენა კუთხის შორიახლოს იდგა ფერმიხდილი ივდითი, რომელსაც ორივე მხარეს უმშვენებდნენ შეიარაღებულნი ჯარის-კაცნი. მოშეს პირდაპირ, დიდ მაგიდიდან 5-6 ადლის სიშორეზედ იჯდა იეგოშუა. მას თავს ადგნენ 12 მოწაფეთაგანი, მიმდევარნი მისი სწავლა-ქადაგებისა და თავდადებულნი მისი მეგობარნი. იქვე, გაშლილს მინდორზე თავი მოეყარა აურაცხელ გუნდს ცრუმოწამეთა და უმეცარ გვამთა. ყველას აშკარათ გამოსა-

ხული მღელვარება და მოუსვენრობა ემჩნეოდა. ხალხი არაჩვეულებრივს მოელოდა და მოუთმენლობას იჩნევდა. მხოლოდ იეგოშუას წყნარი გამოხედულობა, მისი მშვიდი, ზეციურის ძალით აღსავსე თვალები ამცნებდნენ, რომ რაბის სულის-კვეთება შორს იმყოფებოდა ყოველივე იქ მიმდინარე მოვლენიდან, რომ ის, ვისაც განკითხვა და განკიცხვა მოესურვებინათ, იმ ჟამად იქ იმყოფებოდა მხოლოდ თავის გარეგნობით, თვისის მომაკვდავის სხეულით, ხოლო მისი უკვდავი სული, — მისი სწავლა-მოძღვრება, — უკვე მთელს ქვეყანას მოსდებია და იგი არ ექვემდებარება მომაკვდავთა განკითხვასა და განკიცხვას, რადგან ის არ დაიჭირების მომაკვდავთა ხელთაგან და არ დაისჯების ცეცხლითა და მახვილით. ყოველივე ამას ცხადად ჰგრძნობდნენ მსაჯულიცა და მთავარიც. ცრუმოწამეთა ურცხვი გამომეტყველება აშკარა იყო და ისინი ნიშნის მოგებით მედიდურობდნენ იმის წინაშე, ვისაც რამოდენიმე დღის წინეთ თავისა და თავიანთ ცოლშვილის სიყვარულსა და თაყვანისცემას ფიანდაზად ფერხთ ქვეშ უშლიდნენ, მაღალის ნიჭით აღჭურვილ შუბლს უკვდავების გვირგვინით უმკობდნენ და სავალ გზას ყვავილებითა და სუნნელოვან დაფნის ფოთლებით უშვენებდნენ.

იეგოშუას მოწაფეთ რაღაც მათთვის გაუგებარი შიშის ზარი თავს დასცემოდა, რასაც ისინი გაშეშებულის შეხედულობით გამოსახავდნენ და არა მარტო მისს მოწაფეთა, არამედ ყოველსავე იქ მყოფთა გრძნობა-გონება გაშეშებულიყო. მხოლოდ იეგოშუას გრძნობა-გონება კვლავინდებურად მძლავრად მოძრაობდა, კვლავინდებურად ფართო ასპარეზს ითვალისწინებდა, მთელს ქვეყნიერებას თავს ევლებოდა. მარტო იეგოშუას აზრი, ღვთიურის ძალით აღფრთოვანებული, სულ წინისაკენ მიისწრაფვიდა...

— ივდით ბორუხას ქალი, უმაღლესო მთავარო და პატივცემულნო გვამნო, აწ თქვენ წინაშე მდგომარე ამ რამდენსამე წლის განმავლობაში ადგას გარყვნილობისა და კუროზვრობის გზას, რითაც ეს დიაცი ჰრყვნის ჩვენი პატრიარქული ოჯახის სიწმინდეს და სიმშვენიერეს! — დაარღვია საზოგადო მყუდროება თავის ბოხის ხმით მოშემ. — ვინაიდან ეს ცოდვა ყოვლად შეუძლებელია მაღალი ღვთის წინაშე და ფრიად ცუდი და გამრყვნელი მაგალითი ჩვენს ოჯახთათვის, ამიტომ მისს უმაღლესობამ კეთილ ინება საჯაროდ განსჯა ამ როსკიპისა. მხოლოდ, ვიდრე ბრალდებული თავის გასამართლებელ საბუთს წარმოადგენდეს, სამჯავრო წინადადებას აძლევს „ახლადმოვლენილს მოძღვარსა და წინასწარმეტყველს“ იეგოშუას, თვისი მსჯავრი დასდოს ამ დიაცის საქციელს, მით უმეტეს, რომ, როგორც უტყუარის საბუთებიდანა და პატივცემულ მოწმეთა ჩვენებათაგანა სჩანს, თვით ეს ახლად მოვლენილი იეგოშუა არის ამ საბრალო დიაცის დაცემის ჩამდენი — კბილების კრეჭით დაასრულა სიტყვა მოშემ.

— დიახ, მე ვარ აქ დარწმუნებული ბრალდების მკისრებელი და საკვირველიც არ არის, რომ პასუხი მე უნდა ვაგო. მხოლოდ არა თქვენ წინაშე, არამკითხე მსაჯულნო, არამედ ჯერ მაღალი ღვთისა და შემდეგ ჩემი ხალხის წინაშე. — წყნარად და მშვიდად დაიწყო საუბარი იეგოშუამ.

— მსაჯულნო და ხალხო! გესმისთ, რას მოგვითხრობს ეს თავხედი კაცი? ის ამბობს „ჩემი ხალხიო“, თითქოს ეს იყოს ხალხის ბატონ-პატრონი და არა ჩვენი დიდებული მეფე. გთხოვთ, ეს სიტყვები განსაკუთრებით აღნუსხოთ და შემდეგ განსაჯოთ ეს ვაჟბატონი შესაფერის კანონისა და ადათის ძალით. — ბრძანებლობის კილოთი მიმართა პილატემ მსაჯულებს.

— შესაფერისად ყურადვიღებთ, თქვენო უმაღლესობავ, თქვენს ბრძანებას. — ფეხზე წამოდგომით მოახსენა პილატეს მოშემ.

— დიახ, ჩემი ხალხის წინაშე ვარ მე პასუხისმგებელი, — განაგრძო სიტყვა იეგოშუამ, — იმ ხალხის წინაშე, რომელსაც სწამს ჩემი მოძღვრება, მოძღვრება შთაგონებული ჩემთვის მაღალის ღვთისაგან. ვისაც ასხია თვალნი ხილვად, იხილავენ, რომ ჩემი ნება არის ნება ზე-

ციერის მამისა, რომელმაც ურიათა ქვეყანას მოუვლინა თავი ჩემი მხსნელად ცოდვათა მისთა. არა როგორცა მეფე, მოვუხმობ მე ხალხს ჩემად, რადგან უპირველეს ყოვლისა ხალხი ეკუთვნის თავისა თავსა და შემდგომ მაღალსა ღმერთსა და არა მეფეთა და მათ მოადგილეთა, არამედ, როგორც ერთგული და ერთსული ხალხის მოსამსახურე, მისი მოსიყვარულე და მოჭირნახულე მოყვასი, მე მოვალედა ვრაცხ ჩემ თავს ეს ღვთისაგან მონიჭებული ძალ-ღონე და ჩემის პირადის შრომითა და მეცადინეობით შეძენილი სწავლა-განათლება მტლედ დავუდო ჩემს ცხოვრებასთან ერთად უმეცრებისა გამო დაბეჩავებულ ხალხს და ეს ჩემი პირადობის განწირულება ნებას მაძლევს იმ უსაზღვრო სიყვარულთან ერთად, რომლითაც არის გამსჭვალული მთელი ჩემი არსება ხალხისადმი, ვუწოდო მას ჩემად და არა მეფისად. ხოლო ეს მეტ-სიტყვაობა გამოიწვია მთავრის შენიშნვამ და ეხლა შევუდგები წამოყენებულის ბრალდების განხილვას და ვიმეორებ, რომ ბრალი აქ მხოლოდ და მარტო ჩემია, თუ კი ბრალად მიიჩნევის ის, რომ მე მრწამს კურთხევა ღვთისა და არა კაცთა. მხოლოდ მე და ივდითის შორის მყოფ სიყვარულს უთუოდ აქვს კურთხევა ღვთისა, თუ გნებავთ იმიტომ, რომ შევკავშირებულვართ ცოდვილთა და უმეცარ ცრუმოძღვართა ნებართვითა და არსებულის წესრიგის თანახმად. ჩვენი პირადი ცოდვილი ცხოვრება ჰღაღადებს უკვდავებისა და შეუცოდველობის წინაშე და ეს საკმაოა ჩვენის მყუდრო ცხოვრების კავშირად. მხოლოდ ვისაც თავი თვისი უცოდველად მიაჩნია, დეე იმან აიღოს ჩემსა და ივდითის ჩასაქოლად პირველი ქვა და მაშინ ყოვლადზეციური იყოს ჩვენიცა და თქვენიც გამკითხველი.

ზრრრ... იზრიალა ხალხმა, რომელსაც იეგოშუას სიტყვები გულს სწვდა, როგორც მართალი ადამიანისა და იმათაც, ვისაც მისი სიტყვა მიაჩნდა მეფისა და მთავრის შეურაცხყოფად.

— მეც უნდა მომენიჭოს სიტყვა, — აჩქარებითა და, რაც შეეძლო, ხმა მაღლა წამოიძახა ივდითიმ, — მე ვარ აქ ბრალდებული და იეგოშუაც ჩემს გამოა ბრალდების ქვეშ. ჩემს გასამართლებლად მე არას ვიტყვი, რადგან უცოდველი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე — მამაზეციერი. მე მინდა შევეკითხო მსაჯულთა და ხალხს იმის შესახებ, თუ როგორი სახელით უნდა მოინათლოს ის პირი, რომელიც ძალით ჰლამობს სიყვარულის მოპოებას და არა სათნოებითა და ურთიერთობით? რა სახელით უნდა მოინათლოს ის კაცი, რომელიც ძალმომრეობით ჰლამობს წაბილწოს სუსტისა და უღონო ქალის მოსიყვარულე გულის უმანკოება? რა სახელი უნდა დაერქვას იმ ადამიანს, რომელიც მხოლოდ შესახედავად აღიარებს ოჯახის სიწმინდეს და ჩუმად ჰრყვნის მას? მერე იცით, ვინ არის ეს პირი? აი, თქვენი მთავარი...

ივდითს ჯარისკაცნი ძალით წაათრევენ. ხალხში ჩოჩქოლი და ხმაურობა ატყდება. მხოლოდ იეგოშუა აუშფოთებლად განაგრძობს ჯდომას.

ფერმიხდილი პილატე უძრავად ჰზის და უაზროდ ატრიალებს დიდრონ შავ თვალებს.

მოშე და ამხანაგნი მისნი ფეხზე დგანან და შეჯგუფულნი თათბირობენ. ცოტა ხნის შემდეგ მიდიან მთავართან და ნელის ხმით აუწყებენ განაჩენს, რომლითაც, როგორც შემდეგ ხალხსაც უცხადებენ, ივდითი უბრალოდ იქნა ცნობილი, მხოლოდ იეგოშუა ეძლევა სისხლის სამართალში მრავალ შეცოდებათა გამო და უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის ლამობს ურიათა ქვეყანაში ხალხის აჯანყებას, მთავრისა და მეფის ჩამოყენებას და თვით გამეფებას. იყავნ ნება შენი! — წარმოსთქვა იეგოშუამ, რომელიც ამ მოვლენასაც წინადვე გაზომილ-აწონილის თვალსაზრისით უყურებდა.

როცა ურიათა ქვეყნის უმაღლესი სამსჯავრო განიკითხავდა იეგოშუას, ის უკვე 29 წლისა იყო. საპყრობილეში გატარებულს წელიწადს მისთვის მოწამის ელფერი დაედო. გამხდარი, ბეჭებში მოხრილი, ის სხეულის უძლურებას ჰსახავდა. მხოლოდ ვარსკვლავივით ბრწყინვალე თვალები, რაღაც უხილავის ძალით გარემოცულნი, ამტკიცებდნენ იმის

სულის სიმაღლესა და გრძნობა-გონების სიმძლავრესა და სიწმინდეს, იმათში თვით უკვდავება გამოსჭვივოდა.

ჯალათი ბნელ ღამეს ელოდებოდა, რომელსაც არც ისე დაუგვიანებია. პარასკევი კვიმატი დღე დადგა. დილიდან დაწყებული, მთელი დღე ცა განრისხებულ მებატონესა ჰგვანდა. შუაღამისას ჭექა-ქუხილმაც იმატა და კოკისპირულმა წვიმამ იწყო თქიშინი. შემდეგ წვიმა გადაკვეთა, მხოლოდ ქარი ქვეყანას აქცევდა და ჭექა-ქუხილი ყოველს სულდგმულს თავზე შიშის ზარსა სცემდა. მარტო ჯალათის გული არ ემორჩილებოდა ამ განრისხებული ბუნების მოვლენათ და ის აჩქარებულს სამზადისში იყო. უმაღლესის სამსჯავროს საიდუმლო განაჩენისამებრ მან იეგოშუას სიკვდილით დასჯა სისრულეში მოიყვანა.

დიდ ხანს არ გაუვლია მის შემდეგ, რაც იაკომ, — ასეთი იყო ჯალათის სახელი, — ეს საშინელი ცოდვა ჩაიდინა და სწორედ ისეთსავე საღამოს და იმავე დროს მან იეგოშუას ყველასათვის უცნობს საფლავზედ თავის ხელით მახვილით ყელი გამოიჭრა. იაკომ ცოდვა შეინანია, მხოლოდ იეგოშუას სწავლა-მოძღვრება სულ წინ მიდიოდა.

უდაბურს ღრიანკელში, საცა ამ ორ დაღუპულ გვამთა საფლავია, ამბობენ, უკვდავების ხეა ამოსულიო. ის ცოდვილ თვალთათვის ისევე უჩინარია, როგორც ის ანგელოზნი, რომელიც ამ ხის ტოტებზე სცხოვრებენო და მუდმივის ტკბილის გალობით უკვდავჰყოფენ იეგოშუას დიდებულს სახელსაო.

უკვდავების ხესო, ამბობენ, მხოლოდ ის მოჰკრავს თვალსა და ანგელოსთა გალობას ყურს, ვისთვისაც ღმერთს უმაღლესი ნიჭი მიუციაო და ეს გენიოსიც მოვალეა ღვთისა და კაცობრიობის წინაშე იეგოშუას მოძღვრებას ემსახუროსო.

ასე ამბობს ხალხის თქმულება, ასეთია მისი რწმენა.

ივანე ელიაშვილი

მატიანე

მხატვართა მეორე საღამო

სამშაბათს დეკემბრის 19 ხელოვანთა სასახლეში ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით გაიმართა მეორე მხატვრული სეანსი.

საღამო იყო მეტათ საინტერესო. მხატვრების მიერ იხატებოდა ექსპრომტათ სურათები და იმართებოდა გამოფენა.

პოეტები ამბობდენ ლექსებს, მომღერლები მღეროდენ, და იყო ცეკვა, ექსპრომტები, შარჟები. სტუმრები და მასპინძლები ყველანი შემომქმედნი იყვენ. საღამო იყო მეტად ინტიმური.

მხატვართა მესამე საღამო

სამშაბათს დეკემბრის 26 ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. №13) გაიმართება ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით მორიგი მესამე მხატვრული სეანსი:

მოგონება როდენზე. მომხსენებელია იაკობ ნიკოლაძე. შემდეგ ჟურფიქსი. საღამოში შემოქმედების შემოტანა სხვა და სხვა სახით შეუძლია ყველა დამსწრეთ გამგეობის მორიგი წევრის წინასწარი თანხმობით.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 1 იანვარი, №5

ეს იყო ოქტომბრის დამლევს, იმ დროს, როდესაც თვითეული ღრუბელი ცაზე ვერსალსა ჰგავს. დაღალული მზე ვეღარ ათბობს მათ; შემოდგომაა. გარინდებით იდგენ ხეები, ისეთი გარინდებით! თავისით, როგორც ცრემლი, ხანდახან წყდებოდა უიმედო ტოტს ფოთოლი, ყვითელი, ყვითელი, ყვითელი ქარვა. გროვდება ბაღის ბილიკზე გადამხმარი ტოტები და ფოთლები. მათში რაღაცას ფუსფუსებს გველი, და ერთად ერთი: ეს შრიალია, რომ იწვევს მთელს იდუმალებას შემოდგომისას. ბაღში არავინაა და დაცალიერებული ხის სკამები იწვევენ ილიუზიას წარსული ზაფხულისას; აუზიც დაშრა, დაობლებული ბრინჯაოს ამური ამაოდ მოელის შადრევანის აბუტბუტებას. გაჰქრა ზაფხული, ოცნებიანი ახალგაზდა ქალი, ირისისფერი ტანსაცმელით, ოქროსფერი თმით, ვერონიკას სახით და ცისფერ ყდიანი წიგნით ხელში (შელლი, ეწერა წიგნს) ნელი ნაბიჯით მიდის ბილიკზე. ცაცხვებთან მან ჯიბის დანა ამოიღო და ხეზე ამოსჭრა: მერი შერვაშიძე. ეს მისი სახელია. სადღაცა აპობენ შეშას. ჰაერი სპლინითაა გაჟღენთილი. უეცრად ცაზე მელანქოლიურად გაწოლილი ღრუბელი სწრაფად აირია. მზე სრულიად დაიფარა. შეირყა გარინდებით მდგარი ხეები, დატრიალდა ჰაერში ყვითელი ფოთლების სვეტი, ახმაურდენ ხმელი ტოტები. დაწიოკებული გველები იმალებიან, პატარა ბრინჯაოს ამური აუზთან ფოთლებისა და მტვერის ბურუსში გაეხვია. ქარმა გადაშალა პოეტის შელლის წიგნი სწორედ იმ ადგილას, სადაც იწყება საუკეთესო სტრიქონები „გაფრენილი დღეებისა“. ყოველი ახალი წლის ღამეს გამახსენდება ეს, გადმოვიღებ მიუსსეს წიგნს, იქ ერთი სონეტი მეთორმეტე გვერდზე ასე თავდება: „ოჰ, არ ველოდი, ქალბატონო, მე თქვენგან ღალატს!“ განა ეს სტრიქონი არ ღირს მთელ პოემად? მე თვით არ ვიცი, რა მემართება. ვერ ვისწავლე ერთი წამით მაინც დაცხრომა! მინდა გადმიშვას ნისლმოხვეულმა მთებმა, რომ დავინახო ქვეყნის ყველა პოლიუსები; მე მოვითხოვ სიტყვას, მე გადავხედავ ქვეყნებს და ხმამაღლა ვამბობ: უარგყოფ! მიყვარხარ! ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალს ათასცხრაას ოცდასამს წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომმავალს!

გალაკტიონ ტაბიძე

საახალწლო ეფემერა

ღამის წყვდიადში მე შემომესმა
სურნელი ნაზი, თვალგაპობილი.
გრიგალმა ცივმა და უშორესმა
კართან მოაგდო ავტომობილი.
გაჩერდა ორი ყვითელი თვალი
და შეშინებით დაკრთენ ჩრდილები.
კარებთან კივის წარსულის ვალი:
მუსიკა, ღვინო და ყვავილები!

და პოეზიის ნათელი დროშით
იხავერდება ოცნება ჭრელი,
რომ სხვა მოცარტით და დელაროშით
ვიხიბლებოდე მე, მენესტრელი.
აღტაცებების რეკავდეს მინა
და სიხარულის იყოს ღილები,
flor extra fina, flor extra fina!
მუსიკა, ღვინო და ყვავილები.
შიშით ატირდა კლავიში ერთი
კლავიატურის გულში მკივარი,
ოდეს ცეცხლივით დიდი კონცერტი
მოედო თეატრს ვით სატკივარი.
მრავალ წამწამებს და მრავალ ისარს
გრძნობს დაღალული თვალი თეატრში
და ედარები მზეს ნამაისარს
მაღალ ლოჟიდან შენ, ბეატრიჩე!
სული გაქანდა ზღვაში მოტივედ
თითქო ქაოსის ნისლში შეველი.
და ატივტივდა იქ ნაფოტივით
კლავიში ერთი, შეულეველი
რომ დავიწყება შემეძლოს რითმე!
რომ გადაკარგვა შემეძლოს სადმე!
რომ მაპოვნინა მე შენზე რითმა!
რომ ასსონანსი ღიროდეს რადმე!
კვლავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს,
ღამეს, სითეთრეს, ვაზას, მაგიდებს,
კარგი ქალების სიცილს უდარდელს
ელვარე ლალებს და ყელსაკიდებს.
ისევ დენდიზმი! სიტყვის ბროლებით
ეშვება ფარდა. მიდის სტუმარი,
თეატრი ხდება ლურჯ გაზოლებით
უდაბნო ყვავილთ ნასამუმარი.
პატრონი იყო დემონთა წარბის,
ვისაც სარკესთან მოწყდა საყურე,
აბნელებს სანთლებს, ალაგებს დარბაზს
და მშვიდათ მიდის მოსამსახურე.
უკანასკნელი იყო ეს ლხინი,
მის ხსოვნად სული მარად ევნება,
მთვარე — ღრუბლების თეთრი პინგვინი
და ბაღის მძიმე აშადრევნება!
აღტაცებების რეკავდა მინა,
და სიხარულის იყო ღილები,
flor extra fina, flor extra fina!
მუსიკა, ღვინო და ყვავილები!

გალაკტიონ ტაბიძე
1922

ზღვის ეფემერა

სალიუტი,
სალიუტი,
სალიუტი!
აცნობეთ ქაოსს, აცნობეთ ყველას,
რომ დაგვეჯახა ღელვა კვიმატი,
რომ იძირება გემი იმედი
და ვითხოვთ შველას.

ზღვის უდაბნოში ვერც ერთ იალქანს
ვერ ხედავს თვალი,
ცა არის ლურჯი და ლურჯი წყალი,
სალიუტი,
სალიუტი,
სალიუტი!

მეზღვაურებო!
უშიშოდ უნდა შევებათ სიკვდილს
ერთათ, მეზღვაურებო!
გრიგალმა დაწეწა ყველა აფრები
და ჩაძირული ხომალდები
ამოატივტივა.
მივდივართ...
ოდესმე დაღუპული
დრედნოუტები,
კრეისრები
ქარმა სიღრმიდან ამოისროლა.
ზღვა აქანავებს
ხავსიან ფიცრებს
და დაშლილ ანძებს.
ექსპედიცია ეშურებოდა
მამაცი კაპიტნის
დე-ლონგეს
დაკარგული კვალის
საპოვნელად
და ვპოვეთ გემთა ჩაძირულთა
ყრუ სასაფლაო.
ერთად!
უკანასკნელად მოვიგონებთ
სამშობლო მხარეს,
მაგრამ სამშობლო არასოდეს
ჩვენ არ გვქონია,
ჩვენი სამშობლო
ოკეანეა.

ჩვენი სამშობლო
იმედია.
ჩვენ მასთან ერთათ
ვიღუპებით.
ვიმღეროთ ჰიმნი
მეზღვაურთა და მოგზაურთა
ისმოდეს გრგვინვა,
ისმოდეს ზარი,
რომ იღუპება გემი „იმედი“.
უკანასკნელად იგრიალოს
მუსიკამ მარში...
სალიუტი,
სალიუტი,
სალიუტი!
ცხოვრება ჩვენი იყო მარად
გრიგალთან ბრძოლა,
მალსტრომთა ძირით
ვკრეფდით მარგალიტებს.
რამდენი გვახსოვს
ხმაჩახლეჩილი ქუხილი მეხის,
ხარხარი ქარის
სიმძიმე წვიმის
აგუგუნება დემონთა გუნდის
ნგრევა ღრუბლების,
დალეწილი ცა!
მაგრამ როდესაც ცა იყო მშვიდი,
იყო მზიანი,
ჩვენ გვაწუხებდა მელანხოლია
და ელეგია ნელი ზვირთების.
ჩვენი თვალები სივრცეებში
ეძებდენ გრიგალს,
ფრთებს — განიმედებს.
და ის მოვიდა: ძლიერი, მძაფრი —
და დააჯახა ზღვა ჩვენს იმედებს.
სალიუტი, სალიუტი!
გვიყვარდა უცხო ქალაქები
ზღვის ნაპირებზე:
მონტევიდეო,
ბუენოს-აირეს.
გვიყვარდა უდაბური კუნძულები
ალბატროსები.
ღვინით რამდენი სიხარული
გემის ბაქანზე
ჩვენ შეგვხვედრია!
მეზღვაურებო!

რამდენი შეხლა და ომები
მეკობრეებთან
და ეხლა ვიღუპებით
სალიუტი, სალიუტი:
შეხედეთ!
გემი აივსო წყალით...
სალიუტი...
სალიუტი...
სალიუტი.

გალაკტიონ ტაბიძე
1922

უეცარი სინაზე

არ მომასვენებს მკრთალი მიზანი —
თეთრი ფოთლებით ხსოვნის აგება.
თანამგზავრებად მე გავიცანი
ლანდი. სიზმარი. და ქანდაკება.
გზა მწუხარეა... ოდნავ შებინდდა.
საბედისწერო კართან მიველი.
და შორეული მირაჟებიდან
მომელანდება ქალის კივილი.
მე აღარ ვიცი, ვის გავუგონო,
როცა გარშემო მწუხრის თოვლია.
ფიქრი სცენაზე — ცრემლი უღონო, —
ასე ნელდება მელანქოლია.
უფრო ცისფერი და ფერმიხდილი
მოვალ. და ისმის ჩუმი არია.
მოვალ მკვდარივით.. შენ ვერ მიხვდები,
რომ ასეთი ვარ, და მიხარია.
მომენატრება გედის ალერსი
და მთვარეების თეთრი მანტია.
დღეები ჩნდება სულ უარესი,
მაგრამ ფარულად ველი განთიადს.

ალბათ ჩემ ფიქრებს ვინმე დაღლიდა,
რომ ისევ არი სევდა ქალური.
და მოგონების მკრთალი ბაღიდან
უეცრად მოვა სხვა სიხარული...

გობრონ აგარელი

შორეული ყვავილები

მე უფსკრულთან მივედი,
ყოფნა ისევ მომბეზრდა.
ჩემი თეთრი იმედი
დაიკარგა ოდესღაც.

და ცრემლები ფერადი,
დარჩა ღამის უბეში.
სადღაც მიდის ბარათი
დატვირთული ნუგეშით.

ჩამორეკენ ზარები
და ქალწული ატირდა.
ფიქრი ჩადგა ქარივით
შემოდგომის ნაპირთან.

ღამე ასე გაივლის,
და ლანდები სურვილთა.
და ცისფერი ყვავილი
გამოჩნდება სულიდან.

მიდის ჩემი სინაზე,
როგორც ნისლი დილების.
და თბილისის წინაშე
სანთელივით ვილევი.

ტერენტი გრანელი

გალაკტიონ ტაბიძეს

როდესაც სიონს ჩაუვლი გვერდით, თეთრი რაინდი, უყივის მხედრებს
და შორი ლანდი იდუმალ ფერდით ფეერიულად ედება კედლებს.
ო, გალაკტიონ! გიცანი ერთი: ეს მწუხარება მხოლოდ შენია,
შენ მოიტანე გენიის ცეცხლი და ღვთაებრივი ნევრასტენია.
შენ, გალაკტიონ, მთას მომაგონებ გახვეულს ნისლში, ქარში და ბურში.
ნათელ ახალს წელს, ცხრაას ოცდა სამს — შორი მთებიდან გილოცავს თუში.

თუში

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

II. ტერპსიქორე

ჰერმანე

ფიცხლავ მიუგო ამაზე მამამ, რა სთქვა ეს აღგზნებით:
საქები არის ეს აზრი, და სწორი ესე ამბავიც,
დედი, რაიც შენ გვიამბე, რადგან ყველა ეს გადაგვხდა.
მაგრამ სჯობს უუმჯობესი. ყველას ხომ წილად არ ხვდება
სულ თავიდანვე დაწყება არსებობის და ცხოვრების;
ო, რა ნეტარი არის ის, ვისაც მშობელმა დედ-მამამ
მისცა სახლ-კარი, რომელიც უკვე მთლად გამართულია,
ვინც წარმატებით განაგრძობს ამ სამემკვიდროს მოწყობას:
სამძიმო არის ყოველთვის ახალი საქმის დაწყება
და უუძნელეს ყოვლისა დაწყება ოჯახობისა.
ბევრგვარი ნივთი სჭირდება კაცს, და დღე-დღეზე ძვირდება
ესე ყოველი: მაშ იგი ზრუნავდეს ფულის შოვნისთვის
და ასე შენი იმედიც მაქვს, ჩემო ჰერმან, მე გულში,
რომ მალე შინ სძალს მომიყვან მშვენიერითა მზითევით;
რადგანაც ვაჟი ყოჩაღი ღირსია მდიდარ ქალისა.
საამო არის ყოველთვის, თუ სანატრელსა პატარძალს
ზანდუკებსა და ყუთებში რამ სასარგებლო მოჰყვება.
ტყულა, დიაღ, არ უმზადებს მრავალ წელთ განმავლობაში
დედა თავის ქალს ტილოებს, რბილსა და მტკიცედ ნაქსოვსა;
ტყულა დიაღ არ უძღვნიან მას ნათლიები ვერცხლეულს,
ტყულა არ იცავს ბაჯაღლოთ მამა იმისთვის უჯრაში:
რადგანაც თავის დროზედა ქალს ჰმართებს, რომ გაახაროს!
იმისი გული, რომელიც მან სხვებში გამოირჩია.
დიაღ, მე ვიცი, რა კარგად ჰგრძნობს პატარძალი თავის თავს,
რომელიც შინ ოთახებში, გინა სამზარეულოში
თავისს საკუთარს სცნობს ხაბაკს; რომელმაც გადაიფარა
სარეცელი და მაგიდა თავისთვის თავის ხელითა.
ვისურვებდი, რომ მენახა მე პატარძალი ჩემს სახლში
კარგი მზითევის მქონელი, რადგანაც ქალი ღარიბი
ბოლოს-და-ბოლოს ხომ მაინც კაცისგან შეიძულება.
და ის მამაკაცს შერჩება ისე, ვით გოგო მსახური,
რომელიც, როგორც მსახური, შინ მცირე ფუთით მოსულა.
უსამართლონი ხდებიან კაცნი, როს სიყვარულისა
პირველ დროს გადასცდებიან. დიაღ, შენ, ჩემო ჰერმანე,
ჩემს მხცოვანების დღეებსა გამიხარებდი მე ფრიად,
რომ ჩემთან შემოგეყვანა შენ პატარძალი სულ მალე
ამ კუთხე-მეზობლობიდან, ა-იმ მწვანეფერ სახლიდან.

1. იხ. №№2-3-4.

მდიდარი არის სწორედ, რომ ამ დიდ სახლ-კარის პატრონი,
ვის ქარხნები და ვაჭრობა შეიქმს დღითი-დღე, დღითი-დღე
სულ-უფრო მდიდრად, რადგანაც ვაჭარი სად არ შეიძენს?
მხოლოდ სამი ყავს ასული; მთელი ქონებაც მხოლოდ მათ
შეხვდებათ თანასწორობით. უფროსი უკვე, ეს ვიცი,
დანიშნული ყავსთ; და მხოლოდ მეორე, ისე მესამეც,
და ისიც მხოლოდ ვადამდე, შეიძლებოდა გეთხოვა.
მე შენს ადგილზე რომ ვიყო, აქამდე არ მოვიცდიდი,
ერთს გოგოს წამოვიყვანდი, ვით ეს ვუქენი დედა-შენს.
როს ჩააცივდა, მას ვაჟმა ეს უთხრა გაბედულებით:
მართლა-და, ისე, ვით თქვენც გაქვსთ, მეც მქონდა იმის სურვილი,
რომ მეზობლისა ქალთაგან გამომერჩია ერთ-ერთი.
მე მათთან ერთად აღზრდილვარ, ბაზარზე ერთ დროს ჭის ახლოს
ერთადვე გვითამაშია, და მე ისინი ხშირადვე
ბიჭების ველურობისგან თავგამოდებით დამიცავს.
მაგრამ გავიდა დიდი დრო; როს გოგოები მომწიფდენ,
შინ შეეჩვიენ მშვიდს ჯდომას და გაურბოდენ ტლანქ თამაშს.
ისინი, უეჭველია, კარგად არიან აღზრდილი!
მათ, თქვენი სურვილისამებრ, კვლავაც ვწვევივარ ხანდახან,
მაგრამ მათ წრეში, უნდა ვთქვა, სიხარულს ვერ ვპოულობდი,
ისინი მუდამ მკილავდენ, და მე კი უნდა მეთმინა.
მეტად გრძლად მეცვა სერთუკი, მაუდი მქონდა უბრალო,
ფერადაც სადა სრულებით, მასთან თმაც შემოპარსული
უსწორმასწოროდ, არ-სიმრგვლით და ბოლოს ის განვიზრახე,
რომ მორთულვიყავ მეც ისე, როგორც ვაჭარი ბიჭები,
რომელნიც კვირადღეობით ჩნდებიან ქუჩის გადაღმა,
რომელთაც ზაფხულობითა ჰკიდიათ ტანზე ჭინჭები.
მაგრამ საკმაოდ ადრე ვცან, რომ გოგოები მის შემდგომ
უფრო-და-უფრო მცინებდენ, რაც მე გულს მწარედ მიკლავდა;
ჩემს სიამაყეს ამცრობდენ, მაგრამ ის უფრო მტანჯავდა,
რომ სულ ვერ გრძნობდენ ისინი ჩემს კეთილშობილ გულისთქმას,
მათდამი რომ განვიცდიდი, მეტადრე მინიკოსადმი,
უმცროსისადმი; რადგანაც დაბოლოს ერთხელ აღდგომას,
როს გადავედი მე მათთან მორთული ახალ სერთუკში,
რომელიც ზევით კიდია ამჟამად ერთ განჯინაში,
და გაპარსული ვიყავი სხვა ყმაწვილების ყაიდით,
როგორც-კი შევდგი იქ ფეხი, გადიხითხითეს ხმამაღლა,
მაგრამ ეს მაინც ჩემს თავზე დაცინვად არ მიმიღია.
მინიკო პიანინოსთან იჯდა, და მამა-იმისიც,
იქ დამსწრე, თავის ასულის სიმღერას ყურს მიაპყრობდა,
და იყო აღტაცებული, კარგს გუნებაზე რა იდგა.
ზოგი რამ მე ვერ გავიგე სიმღერის შინაარსიდან;
მხოლოდ ბევრი რამ მესმოდა პამინოს და ტამინოსთვის.
მაგრამ მეც აღარ მინდოდა, რომ ყოფილიყავ სულ მუნჯად.
დააბოლოვა თუ არა ქალმა, შევკითხე მე ხელად
შესახებ იმ შინაარსის და იმ ორივე გმირისა.

ამაზე ყველა დაჩუმდა, და გაიცინეს ერთბაშად;
მამამ კი მითხრა მცინარემ: ხომ მართალია, რომ ვიცნობთ
მე და შენ, ჩემო ძვირფასო, მარტოდენ ადამს და ევას?
აქ, რა კვლავ წასკდათ სიცილი, გადიკისკისეს ხმამაღლა
გოგოებმა და აგრეთვე გადიკისკისეს ბიჭებმაც,
მოხუცებულსაც სიცილით ხელში ეჭირა მუცელი.
აქ დაბნევისგან მე ქუდი თვალებზე ჩამოვიფხატე,
და ხარხარება სულ მაინც ისმოდა მეტი და მეტი,
რამდენსაც არ იმღეროდენ და თამაშობდენ ისინი.
შინ წამოვედი მე მყისვე შერცხვენილი და გამწყრალი,
ჩემი სერთუკი გავიძვრე — და განჯინაში მივკიდე,
ჩამოვიწეწე თითებით თმაც და დავდევი აქ ფიცი,
რომ ზღურბლზე ამიერიდან მე ფეხი აღარ დამედგა.
სწორედ მართალიც ვიყავი, რადგან ისინი არიან
ქარაფშუტა და უგულო, მე ვიცი, ახლაც სულ კიდევ
რომ მეძახიან იმათთან ზედმეტ სახელად ტამინოს.
აქ დედამ უთხრა: ბავშებსა შენ, ჰერმან, ასე ხანგრძლივად
არ უნდა ეუბრებოდე, რადგანაც ყველა ისინი
ჯერ ისევ ისე საკმაოდ პატარიკები არიან.
მინიკო მართლაც რომ არის კარგი რამ, იგი კიდევაც
შენ გიყურებდა ყოველთვის თავის წყალობის თვალითა.
ახლახან მან კვლავ გიკითხა, ის უნდა აირჩიო შენ.
ჩაფიქრებულმა ყმაწვილმა ასე მიუგო: არ ვიცი,
იმ წყენამ ჩემს არსებაში ისე ღრმა კვალი დატოვა;
მე სწორედ ვერ ვინდომებდი, ის კვლავაც პიანინოსთან
მენახა, ყური დამეგდო იმისი სიმღერებისთვის.
მაგრამ ავარდა აქ მამა და უთხრა იმას სიბრაზით:
შენგან სიბერის დღეებში განვიცდი მცირე სიხარულს!
მე ხომ სულ ამას ვამბობდი, როცა შენ ხალისს იჩენდი
მარტოდენ საჯინიბო და სამეურნეო საქმეში.
შენ მხოლოდ იმას აკეთებ, რასაც ერთისა მდიდარის
მოსამსახურეც ასრულებს; ამავ დროს უნდა დაკარგოს
მამამ ის ვაჟი, რომელსაც სასიქადულოდ მამისაც
შეეძლო მოქალაქეთ წინ თავისა გამოჩინება.
დედა-შენს, აი, ამოდნად შევყავდი მე შეცდომაში
ცრუ იმედებით, როდესაც შენ წერა-კითხვა და სწავლა
არაოდეს გეხერხებოდა ისე, როგორც სხვა ყმაწვილებს,
და შენ ყოველთვის იყავი უკანასკნელი შეგირდი.
ეს წარმოდგება, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ იქიდან,
თუ ყმაწვილს გულში არ უდევს პატივის მოყვარეობა
და არ წყურია ამავ დროს მას წინსვლა წარმატებული.
რომ მამა-ჩემსა ჩემთვისაც ეზრუნა, ვითა შენზე მე,
რომ გავეგზავნე სკოლაში და დაეჭერა მას ჩემთვის
მასწავლებლები, დიაღაც, შევიქნებოდი არ ოდენ
„ოქროს ლომისა“ პატრონი, არამედ უფრო მეტი რამ.

მაგრამ ყმაწვილი წამოდგა და მიაშურა კარებსა
დადუმებულმა ნელადა, მხოლოდ მამამ კი გამწყრალმა
თან მიაძახა: აბა ჰა, იქ გაუჩქარე! გცნობ ხეპრეს!
წადი და კვლავაც განაგრძე სამეურნეო საქმობა,
რომ არ გაგლანძღო! მაგრამ შენ არ იფიქრო კი, რომ შეძლო
და მომიყვანო ჩემს ჭერქვეშ სძლად დედაკაცი გლეხისა,
სოფლის გომბიო! მე ბევრი მიცხოვრია და მოპყრობა
ვიცი კაცისა, ვიცი მე გამასპინძლება დიდკაცთა
და მანდილოსანთ, ისე რომ წავიდენ ჩემგან ნაამი.
მე ვიცი უცხო პირების თავაზით ლოლიაობა:
მაგრამ ხომ ბოლოს-და-ბოლოს მეც ასე უნდა მომეპყრას
სძალი და ასე დამიტკბოს მან ჩემი შრომა სამძიმო;
მან ჩემთან უნდა დაუკრას აგრეთვე პიანინოცა;
ჩემთან თავს უნდა იყრიდენ ქალაქის დიდიკაცები
უდიდეს სიამოვნებით, როგორც ეს მოხდა კვირა-დღეს
ჩვენი მეზობლის დარბაზში. აქ ვაჟმა ნელა კარის ტარს
ზედ დააჭირა ხელი და ასე დააგდო ოთახი.

ვარლამ დონდუა

(შემდგომი იქნება)

1922 წ. ლიტერატურულ კრიტიკის მიმოხილვა

ჩემს წინაშე დევს ყველა ლიტერატურული გამოცემები (პერიოდული და არაპერიოდული) განვლილ 1922 წლისა.

ადვილია მათი ჩამოთვლა: ადვილია მათი მიმოხილვაც. ვინაიდან მცირეა იგი რიცხვით, და უფრო მცირეა შიგ ისეთი მასალები, რომელნიც ღირდენ მიმოხილვათ. მაგრამ ჩემი სურვილია თვალი გადავავლო მხოლოდ ამ პერიოდულ გამოცემებში გაბნეულ ლიტერატურულ კრიტიკას და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს.

და ამ მხრივ ძალზე მცირეა ჩემს განკარგულებაში მყოფი მასალები.

ვიდრე განხილვას შეუდგებოდე, აღვნიშნავ: განვლილ წელს კრიტიკულ წერილებს, მიმოხილვებს, ლიტერატურულ შეფასებებს იძლეოდენ მხოლოდ და მხოლოდ პოეტები, ბელეტრისტები.

იგრძნეს სიცარიელე, რომელიც ჰქროდა კრიტიკის არედან და თვით შეეცადენ ამ სიცარიელის ამოვსებას.

წინად ჩვენში სჩანდენ კრიტიკოსები „სხვათაშორისი“. ამ წელმა სამუდამოთ დამარხა ისინი. მოკვდა მათი ხმა, გამოაცალა ნიადაგი. ძალიან იშვიათად გვევლინებიან ისინი ამ წელს ლიტერატურის ფონზე. საერთოდ კრიტიკული აზროვნება განვლილი წლისა ვერ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩვენი მწერლობა დღეს გზაჯვარედინზე სდგას და ძნელი გამოსარკვევია, რა გეზს აიღებს იგი.

დავიწყოთ ჟურნალ „ლომისი“-დან, ვინაიდან ამ ჟურნალმა პირველმა შემოაღო 1922 წლის კარები. ეს, ასე ვსთქვათ, ამ წლის „მეფეხურია“. პირველსავე ნომერში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენთვის დიდათ საინტერესოა გალაკტიონ ტაბიძე ამ წლის განმავლობაში იმ მხრით, რომ მის წერილებს, თუ არა ვცდები, ამ წელში პირველად ეცნობა ქართველი საზოგადოება, სადაც გადაჭრით არის ნათქვამი, თუ რა გეზი უნდა აიღოს ქართველმა ხელოვანმა: პოეზია უპირველეს ყოვლისა, დაიწვით პოეზიის კოცონზე, მოუწოდებს იგი ქართველ ხელოვანთ. „ჩვენ უნდა ვიყვეთ ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა დღესასწაულის პლანეტარულ ქაოსის გამომხატველი და მეორე მხრით ნაციონალურ სახეების მძებნელი“.

იგი აღშფოთებულია, რომ ზოგიერთი თანამედროვე პოეტები სცდილობენ, წარსულს გვერდი აუარონ. მოსწყდენ მშობლიურ ხელოვნების ცხოველ ნაკადს. იგი გრძნობს, რომ ეს იქნებოდა დაღუპვა ქართული ხელოვნების და ამბობს: „წარსულს ნურავინ სთვლის უმნიშვნელოდ, დაკარგულად“. იგი უარყოფს აგრეთვე „კაფე-შანტანების პოეზიას“, რაც ასე გაღმერთებულია ერთი ჯგუფის მიერ. „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. საუკუნე მომწიფებულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად და მათთანვე ჩაესვენება“.

და რომანტიზმი, გალაკტიონ ტაბიძის აზრით, „ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებათ“.

თავისი შეხედულებები ხელოვნებაზე გალაკტიონ ტაბიძემ კიდევ უფრო ნათელ ჰყო სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გამოცემულ „პოეზიის დღის“ მოწინავე წერილში. „ჩვენს პოეზიაში ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ცხოვრება წინ მიდის და პოეტი არ შეიძლება ჩამორჩეს მას. ჩვენთვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, რომელნიც შეეფერებიან ჩვენს დროს. საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია, და პოეტებისათვის უპირველეს ყოვლისა საქართველო. უფრო გამძაფრებით აკივლდა დღემდე ნაზი და მისუსტებული ხმა ცისფერ რომანტიკოსის გალაკტიონ ტაბიძისა, მისი სახელწოდებით ჟურნალის პირველ გვერდზე. აქ იგი არა მარტო მსჯელობს პოეზიაზე, აქ იგი უკვე მოწოდებით გამოდის და დევიზით მოაქვს „ან სიკვდილი ან განახლება“. გრძნობს რა, რომ „თანამედროება შეუბრალებელ კლანჭებში ახრჩობს ძველს, ამ საბედისწერო მკვლელობას გადარჩება მხოლოდ ის, რაც ძლიერია არა მარტო დღეს, არამედ საუკუნოებში“.

და აღარ შეიძლება შეჩერება ერთ წერტილზე, აღარ შეიძლება ძველის გადამღერება. „რითმებში ეხლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახებანი ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ დროს“.

და იგი მოუწოდებს თანამოკალმეთ: „სისხლში მცურავ და მძიმედ დაჭრილმა ჯარისკაცმა თოფის ლულაზე ააფრიალა თეთრი ჩვარი. მას შემდეგ თქვენ რაღაც სამუდამოდ დაჰკარგეთ. ძვირფასო ძმებო, ამაოდ ეძებთ მას მშობლიურ ქალაქებში, სახლებში, ქუჩებში, მე ვამბობ გადაჭრით, საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით. აირჩიეთ: „განახლება ან სიკვდილი“.

ამრიგად გალაკტიონ ტაბიძემ შემდეგი დებულებანი წამოაყენა პოეზიის სფეროში: 1) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ხალხში და ხალხთან ერთად, 2) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა თანამგზავრი მეორეს მხრით ნაციონალურ სახეების მძებნელი, 3) ქართველმა ხელოვანმა, უნდა უარყოს კაფეების პოეზია, 4) ქართველი ხელოვანი ვერ დაკმაყოფილდება მარტო წარსულით, ძველი ღმერთებით და 5) ქართველი ხელოვანის დევიზი უნდა იყოს ამ საბედისწერო ხანაში ან სიკვდილი ან განახლება.

იმავე ჟურნალი „ლომისი“-ს №1 ჩვენ გვხვდება კ. გამსახურდიას წერილი „იმპერსიონიზმი თუ ექსპერსიონიზმი“.

ვეცდებით, რაც შეიძლება მიუდგომელი ვიყოთ ყველა ავტორებზე.

კერძოთ გამსახურდიას შესახებ უნდა აღვნიშნო: მთელი წლის განმავლობაში თითქოს კ. გამსახურდია მუშაობდა, თითქოს იწოდა პოეტური წვით, მაგრამ, აი, თვალი გადაავლეთ მისი მთელი წლის ნამუშევარს და დარწმუნდებით, რომ სამწუხაროდ ყველაზე დიდი დამარცხება და ყველაზე უფრო დროს დაკარგვა ამ წლის განმავალობაში წილად მას ჰხვდა და, შესაძლოა, ეს მას არ მოსვლოდა, რომ ერთხელ მაინც ჩაკვირვებოდა თვის მიერვე გადმოსროლილ ფრაზას: „პოპულიარიზატორის მუშაობა სიზიფის მუშაობაა“[1]. მთელი წელი გამსახურდიამ თვისი სახელის პოპულიარობას მოანდომა.

მერე რა საჭიროა ეს? ქართველები ისე ცოტანი ვართ, რომ ფსევდონიმის ქვეშ დამალვაც შეუძლებელი ხდება და ყველამ იცის, ვინ რას სწერს, ვინ რა არის, ვინ რას აკეთებს.

შეცდომა გამსახურდიასი ის არის, რომ იგი ეტანება უცხოეთის და განსაკუთრებით გერმანულ ლიტერატურას, ყველაფერს გერმანული საზომით ზომავს, რაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში სრულებით არ ეგუება ქართულ კულტურის ბუნებას, ვინაიდან ქართული კულტურა როგორც არას დროს, დღეს ლამობს თავის საკუთარი სახით მკვდრეთით აღდგომას. მთელი მისი წერილები ამ წლის განმავლობაში უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა, და ყალბი ეროვნული ფერებით შეღებილი და თუ რამე რჩება მის ნაწერთაგან ხელ ჩასაკიდი ისევ ორი-სამი სტატია: „იმპერსიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, „კრიტიკა და შემოქმედება“, „ილია ჭავჭავაძე“.

ამ წერილებშიდაც უცხოეთის ქარი ჰქრის და ის არ გახალისებს მშობლიურ ნიავის ნაზი ქროლვით. რა თქმა უნდა, ვერ დაეთანხმებით ავტორის დებულებებს ამ წერილებშიც, მაგრამ ისინი მაინც სჯობნის სხვა მის ნაწერებს.

კ. გამსახურდია ჰფიქრობს, რომ „ვიწროვდება ხელოვნების მრევლის გარსი“. ჩვენის აზრით კი იგი დღითი დღე ფართოვდება, ქართველი მკითხველი უფრო მეტის მომთხოვნი ხდება. ადვილად და გულუხვობით ძველებურად ვეღარ სთავაზობს დაფნის ფოთლებს ყველას. და არც თუ ძველებური მოთმინებით აპატიებს ყველას ყველაფერს. ამას ბოლოს „ცისფერ ყანწების“ ჯგუფიც კი ხვდება და გვიკვირს, გამსახურდიას რა მოსდის. მან ყველაზე უფრო კარგათ უნდა იცოდეს, რომ „ჩვენი თანამედროვება გაცილებით მეტ მოთხოვნილებას უყენებს შემოქმედს“ (მისივე სიტყვებით) და რომ „კრიტიკა და შემოქმედება დღეს ერთ პიროვნებაში ეტევა“. ეს გარემოებაც უფრო მეტ დაკვირვებას სთხოვს მოქალაქე გამსახურდიას.

წავიდა ის დრო, როდესაც ქართველ მკითხველის გემოვნებისა და მოთხოვნილების ანგარიშის გაწევა მაინცა და მაინც არ მიაჩნდათ დიდ სავალდებულოდ და, როდესაც ბ-ნი კ. გამსახურდია კადნიერდება და ამბობს: „საქართველოში ჯერ ვერა ვხედავ ისეთ კონტიგენტს მკითხველებისას, რომლის ესთეტიურ გემოვნებას მწერალმა ანგარიში უნდა გაუწიოსო“.

ჩვენ უფლება გვაქვს, გადაჭრით ვუპასუხოთ: ბ-ნო გამსახურდია, სწერე თუნდაც ჩინურ ენაზე, მაგრამ ქართველ (მხოლოდ შენთვის) უვიც მკითხველისათვის რად აცდენ შენს ნიჭს?

გამსახურდიამ უნდა იცოდეს ერთი რამ მაინც. რამოდენათაც მას თავის თავი უყვარს იმისი ნახევარი სიყვარული და წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს იმ ქართველ მკითხველისა, რომლის ენაზედაც ის სწერს.

ჟურნალ „ილიონში“ კონსტანტინე გამსახურდიას გარდა ჩვენ ვხვდებით კრიტიკულ წერილებს გიგო რცხილაძისას, დემნა შენგელაჲასას, ბრუტუსისას და მარუთა შუამდინარელის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს.

დავიწყოთ გ. რცხილაძის „აცდენილი ტიპებით“. წერილის ავტორს ეტყობა, რომ იგი სწერს მხოლოდ იმისთვის, რომ დასწეროს რამე. სწერს ნაჩქარევათ. წერილი სავსეა ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრებით და, რაც უმთავრესია, წერილიდან ცხადათ სჩანს, რომ

1. იხ. „ილიონი“, №2, კრიტიკა და შემოქმედება.

ავტორი აცდენია ქართულ ლიტერატურის განვითარების თვალყურის დევნებას და სწერს მხოლოდ მოგონებით. ასეთი წერილის დასტამბვა ავტორს ეპატიებოდა რამოდენიმე წლის წინად. მაგრამ ეხლა ქართულ ლიტერატურის შესახებ რომ რაიმე დასწერო ამისთვის ჯერ საჭიროა, ღრმად შეიგნო მისი ყოველ-გვარი მხარეები. მართალია, ავტორი თავს იმართლებს: ვისაც ვეძებდი, ვერსად ვნახე, „შესაძლოა ჩემი სალიტერატურო ჩამორჩენის მიზეზი იყოს და არა ქართულ კაზმული მწერლობის“, მაგრამ მკითხველისთვის მიმინდვია, რამდენათ საფუძვლიანია ასეთი თავის მართლება.

„ქართული მწერლობა არ იძლევა იმ ტიპების მხატვრულ ქანდაკებას, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას რომ აჭრელებენ თავის ფერადებით“. მაშ, ვის ტიპებს იძლევა ქართული მწერლობა?

„ილია ჭავჭავაძისა და დავით კლდიაშვილის ცნობილ მოთხრობების გარდა, ქართულ ტიპების განვითარებულ სურათს ვერც ერთ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში ვერ აღმოაჩენთ“, აქედგან ცხადია ავტორს ჭავჭავაძისა და კლდიაშვილის ნაწერებს გარდა არცერთი ქართულ მწერლის ნაწარმოები აღარ ახსოვს, მაგრამ ზევით დასახელებული ავტორები დაბალ სასწავლებლის მოწაფეებმაც კი ზეპირად იციან. „პიროვნების უქონლობა, უპიროვნობა — აი, რას წარმოადგენს ყოვლის უწინარეს ქართული ტიპი“.

და მრავალი ასეთი მარგალიტები მოიპოება ამ წერილში, რომ ღირდეს მაზედ შეჩერება.

დემნა შენგელაჲაც წელს იწყებს დებჲუტს (თუ არა ვცდები) კრიტიკული ეტჲუდებით. მისი ეტჲუდი „ლომისში“ „დაგვიანებული მაყარი“ (შალვა ამირეჯიბი), „ჭოლა ლომთათიძე“ და „ილიონში“ „გალაკტიონ ტაბიძე“ მეტად საყურადღებონი არიან.

ყველა ზევით ჩამოთვლილ წერილების სტრიქონები გამთბარია პოეტური გრძნობით და ინტუიციით. აქ არა სჩანს მუშტრის თვალი, არა სჩანს რაიმე წინასწარი განზრახვა. ავტორი გადმოგცემთ, მას რასაც ისა გრძნობს, რაც მას განუცდია მათი შემოქმედების კითხვის დროს.

შალვა ამირეჯიბის მის მიერ გარჩევა უსათუოდ დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურულ სალაროში. სხვა რომ არა დაეწერა რა შალვა ამირეჯიბზე, საკმარისი იყო მხოლოდ ეს ორი სიტყვა: „დაგვიანებული მაყარი“. ამ სიტყვებში ჯადოქრულად არის ასახული შალვა ამირეჯიბის მთელი პოეზია. საინტერესოა აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის და ლომთათიძის სილუეტებიც. ახალგაზრდა ავტორს ეტყობა უტყუარი ნიჭი და შეფასების ალღო. მხოლოდ საჭიროა მეტი სიდინჯე და აუჩქარებლობა. მეტი დაკვირვება და გავლენათაგან თავის განთავისუფლება, რასაც ავტორი უეჭველია მიაღწევს. ამის თავდებია მისი ახალგაზრდობა, შრომის მოყვარეობა, და სიყვარული პოეზიისადმი. ბრუტუსის „პოეზიის დღის“ გარჩევა ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს. არის ტენდენცია შინაგანი და იქ, სადაც ტენდენციაა — დაჩრდილულია სიყვარული და მიუკერძებლობა პოეზიის შეფასებაში.

მარუთა შუამდინარელი ძალიან ძუნწობს მთელი წლის განმავლობაში. რაც დასწერა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ჩვენ გვახსოვს მისი წინა წლების პოლემიკა, კამათი და ლიტერატურულ მოვლენათა შეფასებანი, ამიტომ ასეთ სიძუნწეს მას ვერ ვაპატიებთ, რადგან ჟურნალ „ილიონში“ მას ყველაზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდა თავის შენიშვნების გამოსამზეურებლად და, თუ გნებავთ, ყველაზე მეტი უფლებაც.

გადაჭარბებული სიფრთხილე ემჩნევა ლიტერატურულ პრობლემების წამოყენებაში, და საერთოდ კრიტიკულ სფეროში ჟურნალ „ხომალდს“. მის ფურცლებზე პოეზიასა და პროზას მეტი ადგილი აქვს დათმობილი.

თვით ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებშიც დიდათ ფრთხილობს „ხომალდი“. იწერება ისე ორ აზროვანად, აღარ იცი, სად იწყება მიღება თუ მიუღებლობა ამა თუ იმ ნაწარმოების, და ეს, ჩვენის აზრით, დადებითად არ ჩაეთვლება ჟურნალს. გამბედაობა, სინიდისიერი

შეფასება ყოველ გვარ ლიტერატურულ მოვლენისა უნდა ახასიათებდეს ჟურნალს, განსაკუთრებით ისეთ პოპულიარულს, როგორიც არის „ხომალდი“.

„ხომალდი“-ს №2 იხსნება წერილით, „ჭეშმარიტი რეალიზმი“ იმდენათ, რამოდენათაც წერილის სივრცეს საშუალება მიუცია ავტორისათვის, საკმაოდ არის გაშუქებული საკითხი. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორის შემდეგ დებულებებს: „სხვადასხვა არის პოეტების გზა, სანამ ისინი მწვერვალებზე ავიდოდენ“.

„ყველაფერი მოძრაობს და შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშით მოძრაობა არის ერთად ერთი რეალობა“.

„სულ წინ და წინ! ყოველთვის ახალ პერსპექტივებისაკენ“.

იმავე ნომერში მოთავსებულია დონალის წერილი „პროლეტარიატი და ხელოვნება“. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ წერილში არის აზრები და შეხედულებანი მხოლოდ უცხოეთის ავტორების და განსაკუთრებით მხოლოდ ერთი მიმართულების. ჩვენის აზრით, პროლეტარიატის სვე-ბედსა და პროლეტარული ხელოვნების პრობლემის გადაჭრაში არ არიან საკმაო ამ წერილში ჩამოთვლილი პირები.

კერძოდ პროლეტარული ხელოვნების პრობლემა რევოლიუციამ მთელი თვისი სიმწვავით დასვა მორიგ საკითხად. და ამის ირგვლივ კიდევ მრავალი სტრიქონები დაიხარჯება. და მართალს ამბობს ავტორი: „პროლეტარულმა ხელოვნებამ უნდა დაჩრდილოს მომავალი ეპოქის შემოქმედება, თუ მას ჰსურს ისტორიული მემკვიდრის გვირგვინი. უფრო საყურადღებოა იმავე ავტორის წერილი №3 — „პოეტი და რითმა“. ამ წერილში სავსებით და ყოველმხრივ გაშუქებულია რითმის მნიშვნელობა პოეზიაში და კერძოთ პოეტისათვის.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ლეო ქიაჩელის რომენ როლანის „ჟან კრისტოფის“ გარჩევაც.

№4 ყველაზე უფრო საყურადღებოა პოეტური მისვლა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებასთან ობოლი მუშის.

უდავო ჭეშმარიტებაა ივ. გომართელის „საქართველო და პოეზია“. უცნობის წერილი „მეთვალყურის დღიური“ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მეტად დაბინდული სათვალეებით ყოფილა შეიარაღებული მეთვალყურე, რაც მტკიცდება იმით, რომ ის ანგარიშს უწევს ს. კლდიაშვილის წერილსაც კი და პოპულიარული საკითხები, რომელიც წამოყენებული იყო განვლილ წლის განმავლობაში სრულებით არ არის აღნიშნული და ან მკრთალად გაშუქებული. დღეს ბევრს შეუძლია თვისი ქვენა განზრახვანი გადაიტანოს პრესის ფურცელზე, მაგრამ ლიტერატურის კეთილშობილმა მეთვალყურემ თვალი უნდა აარიდოს მას. სერგო კლდიაშვილი რა არის, რომ მისი კალმის ნაცოდვილარის ანგარიშის გაწევა რადმე ჰღირდეს. გაზეთ „ლომისი“-ს ფურცლები ბევრ საყურადღებო საკითხებს შეეხო განვლილ წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, საშვალება არა გვაქვს ადგილის უქონლობის გამო ფართედ შევეხოთ ყველა მასში აღძრულ საკითხებს. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია თავის სიახლით: შ. ამირანაშვილის წერილები, სან დიანის „ახალ თეატრზე“, საინტერესოა მიხ. ბოჭორიშვილის „ჭოლა ლომთათიძეზე“ და ხომლელის „მოგონებები“.

აქ ჩვენ შეგვეძლო წერტილის დასმა განვლილ წლის კრიტიკულ წერილების მიმოხილვაზე, მაგრამ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ მოვიხსენიოთ ქუთაისში გამოცემული ჟურნალი „უქიმერონი“ №№1-2, „კრებული“ ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორობით და ბათუმში გამოცემული ჟურნალი „კანდელის“ №№1-2. ქუთათურ გამოცემებში ყურადღებას იპყრობენ ი. ფანცხავას წერილები: „ბუნების აღწერა ქართულ მწერლობაში“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. მეტად საყურადღებოა კაპანელის „ქალი და სიყვარული ქართულ ლიტერატურაში“, მელიტონ კელენჯერიძის „ვეფხის ტყაოსნის ტიპები“ და ილია ფერაძის „ნინოშვილის ისტორიულ ბიოგრაფიული გამოკვლევა“, „სურამის ციხე და ქართველი გლეხი“.

სამწუხაროდ, როგორც ზევით აღვნიშნე, დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს ამ წერილების დეტალურად განხილვისას, დანარჩენი წერილები მოისუსტებენ. დია ჩიანელის „ქუთაისის გიჟები“ ქუთათური გაგებაა ნიცშესი. ჩვენ უფრო კარგი წარმოდგენა გვაქვს ამ წერილის ავტორზე და ვერ ვაპატიებთ მას ნიცშესა და სიმონა ჯღამაძის სიგიჟის ერთმანეთში აღრევას. რაც შეეხება „უქიმერიონში“ მოთავსებულ ბიბლიოგრაფიებს, ეს მართლა და ქუთათური „ძმა ბიჭობაა“.

იყვნენ სხვა გამოცემებიც. ზოგიერთი მათგანის წლიურ ნამოქმედარს და მათ მიერ გამოცემულ ორგანოების შინაარსს ჩვენ არ შევეხებით, იმიტომ რომ ისინი დღემდე ყოველივეს აკეთებენ თავისთვის, დღემდე ვაჭრობენ ქართულ ლიტერატურის სახელით იმდენათ, რამდენათაც ეს მათ სარფათ გამოადგებათ. თავის გარეშე მათ არასფერი სწამთ, ყოველი მათი საკითხის გაშუქება ცალმხრივია. ვინც მათთან არ არის, ის მათთვის არასფერია. მათ გარეშე მათ არ სწამთ ქართული კულტურა, ქართული ლიტერატურა და ამიტომ ჩვენც ნება მივეცით ჩვენს თავს გვერდი აგვევლო მათთვის.

ვინც ქართულ კულტურას თვის პირადულ ინტერესებისთვის ხმარობს მხოლოდ, ჩვენ ყოველთვის გვერდს ავუვლით.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ეს კერიას მოწყვეტილი ხალხი ისევ სცდილობს ეროვნულ კულტურის ნაკადს დაუბრუნდეს. ჩვენც ამას სიხარულით შევეგებებოდით, მაგრამ ეჭვი გვიპყრობს, შესაძლოა, ამასაც ისინი რაიმე წინასწარ განზრახვით სჩადიოდენ, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ პირადი სარგებლობისთვის.

მირბახ

მხატვრობა საქართველოში 1922 წ.

1922 წელი ქართველ მხატვართა მატიანეში ღირსაღსანიშნავი წელია იმ მხრით, რომ ამ წელს მაისის 14 გაიხსნა საქართველოს სამხატვრო აკადემია, რაც ქართველი მხატვრობის დიდი ხნის იდეალი იყო და ძიების საგანი.

აქ შეკრებილია ბევრი ახალგაზდა ქართველი მხატვრები და იწვრთნებიან შემოქმედებისათვის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს: სამხატვრო აკადემია ვერა დგას თავის სიმაღლეზე მას ძველი უჟმური ისევ აწვალებს იმ ნიადაგიდან ამოყოლილი, რაზედაც იშვა და ნორჩი არსება ითხოვს თავის ღირსების ამაღლებას და განმტკიცებას, რომ საქართველოს სამხატვრო აკადემია იქმნეს აკვანი ქართული რენესანსის და ნამდვილი დედა ქართველი მხატვრების.

აღსანიშნავია ამ სფეროში აუცილებლათ მეორე სამხატვრო სტუდია მოსე თოიძის, რომლის ცხოველმა ენერგიამ შექმნა თავშესაფარი და გასაწვრთნელი ახალგაზდა მოზარდი მხატვრების, სადაც დღევანდელ პირობებში სათანადო სიმაღლეზე მეცადინეობა დაყენებულია და მოწაფეების რიცხვიც მრავალია. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში სახვითი ხელოვნება ფეხს იდგამს და მას უნდა ნიადაგის გამაგრება.

და სწორედ ამ დროს მიზანშეწონილია ქართველ მხატვართა საზოგადოების განახლება, რომელიც შეუდგა ქართველი მხატვრების მჭიდროთ შეკავშირებას და მათ კოლექტიურად ამოქმედებას, რომლის მიზანია საქართველოში ხელი შეუწყოს პლასტიური ხელოვნების აღორძინებას და მის განმტკიცებას.

საზოგადოების გამგეობამ უკვე დაიწყო მოქმედება. იგი აკავშირებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ქართველ მხატვრებს და ემზადება საგაზაფხულოთ სურათების

გამოფენისათვის. იგი შეუდგა ქართველ მხატვრებისა და ყველა პლასტიურ მოღვაწეთა ენციკლობედიის შედგენას.

მისივე თაოსნობით ხელოვანთა სასახლეში იმართებოდა ყოველ-კვირეული მხატვრული სეანსები, საღამოები. სადაც იყო მოხსენებები პლასტიურ ხელოვნებებზე და ჟურფიქსები.

ამასთანავე აღსანიშნავია მხატვრების მატიანეში, რომ წელს ჩვენს დედა ქალაქში გაიხსნა ეროვნული სამხატვრო გალერეია, რომელიც არის უსათუოდ მაღალი ღირსების და სადაც შეგროვილია მე-14 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე ძვირფასი მხატვრული განძეულობა თითქმის ყველა ხალხების. აქ არის შესანიშნავი ორიგინალები გამოჩენილი მხატვრების. შკოლა: ქართული, სპარსული, ფრანგული, ფლამანდრიული, ნეაპოლიტანური, გოლანდიური, ბელგიური, ვენეციანური, რუსული და სხვათა მხატვრობა. აქვეა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოება ლიტერატურა ყველა ხალხების და ყველა დროის პლასტიურ ხელოვნებაზე.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ამ წელში იუბილეი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის — ეს პირველი იუბილეა საქართველოში მხატვრის, სახვითი ხელოვანის.

ეს დარგი ჩვენში ფართე საზოგადოებისაგან მუდამ შეუმჩნეველი იყო და მხატვრობა მუდამ უკანასკნელი საკითხთაგანი. ამიტომ ისეთი ფართე ნიადაგი არ ჰქონია მას არასოდეს, როგორც დღეს. ამის საბუთია ის მრავალი რიცხვი ქართველი ახალგაზრდა მხატვრების, რომლებიც დღეს შემოკრებილია სამხატვრო აკადემიაში და სამხატვრო სტუდიაში.

და ამის დამამტკიცებელია ის გრანდიოზული იუბილე მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის, რომელიც მას გაუმართა ხელოვანთა მთავარმა კომიტეტმა, სადაც ქართველი საზოგადოების სიყვარული და ერთგულება გამოჩნდა როგორც იუბილიარისადმი, აგრეთვე ქართული მხატვრობისადმი.

საქართველოში უკვე მოდის ახალი ტალღა, ქართულ მხატვრობას ფართე ასპარეზი ეხსნება. გზა გაუწმინდეთ! მომავალი მისი იქნება.

ირაკლი ტოფაძე

ჩვენი თეატრი

ზოგადი თქმა

ჩვენი ერის ყოფნა მუდამ უჩვეულოა. ბედისწერა დაუსრულებელ ტეხილების ორომტრიალში გვაგდებს.

ჩვენი ბედი მუდამ დავას იწვევს. ამ „ბედის“ ჩამოყალიბების და მისი სახის გამოკვეთის მუშაობა ათასგვარია.

შეიძლება ყველას სურდეს, ჩვენი ერის სრულქმნილობის ხელშეუხებელი ძეგლი დიდების მშვენიერებით აღმართოს, მაგრამ ატელიეში, სადაც იქმნება ეს ძეგლი, ყველა არ შეიშვება. დღეს ხელოვნები და ხელოსნები ერთგვარი კოსტიუმით ირთვებიან, და ვინ უწყს, რამდენი თავხედი შედის ისეთს ალაგზე, სადაც ანგელოზები ვერ ბედავენ შესვლას.

ჩვენი ყოფნა, მომწყვდეული სოციალურ ჭიდილში, მუდამ ბუნდოვანია.

და ჩვენი თეატრიც ამ საერთო ფონზე სჩანს, როგორც სივრცეში ციხის ნანგრევები.

ჩვენ პათოსის ხალხი ვართ, პატარა ცვლილება სიმღერის გუნებაზე დაგვაყენებს. დიდ კრიზისს პატარა მოვლენით ვაქრობთ. სინამდვილე კი ისევ ისეა, ჩვენი თეატრალური ხელოვნება მაინც უნუგეშოა.

რადგან იგი ერთი ფუნქციათაგანია საერთო სხეულზე. ჩვენ უკვე გვაქვს თარიღი „73“. ეს ის სივრცეა, სადაც იწყება და გრძელდება ისტორია ჩვენი თეატრისა. კარგია ასეთი მნიშვნელოვანი წელთ აღრიცხვა. სჩანს, გვქონია ტრადიცია, რასაკვირველია, სადაო არ არის.

მაგრამ ტრადიციით სიცოცხლე იგივე სიკვდილია.

მაგრამ დღეს თუ საჭიროა „73“ თარიღის ფიგურალობა, ესეც შეგვიძლია. მხოლოდ ეხლა მერმისის გაჭვრეტაა საჭირო.

ჩვენ წარსულში და არსებულში მუდამ მომავლის ელემენტებს ვეძებდეთ. „73“ წინ გვიდევს და ჩავყვეთ.

ციტადელი

მისტიკოსის ენით რომ ვსთქვათ, იქნება ჩვენი თეატრის დაწვა სიმბოლიური იყო. დაიწვა ძველი გაგება და ფერფლი საპატიოდ შევინახეთ. მაგრამ ჩვენ თუ ვიცით გაფრენა, ასეთ დროს მძიმე რეალისტებიც ვართ. და როგორ შეეძლო შემთხვევით გაჩენილ ცეცხლს დიდი გადატრიალება მოეხდინა, აქ სამწუხარო ეკონომიურ-ნივთიერი დანაკლისი განვიცადეთ. და ამ მწუხარებით გამოვიტირეთ ეს მოვლენა. და დიდხანს დავეხეტებოდით მშობლიურ უდაბნოში მეორე ნავთსაყუდელის მოსაპოებლად. რაოდენი აყალმაყალი, და ბოლოს აღსრულდა: გავიჩინეთ თეატრი, სცენაც. ყველაფერი, და გადმოვბარგდით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნივთიერ ზარალს, მეტი არაფერი მომხდარა, ძველი მდგმური ახალ ბინაში. იყო ერთი შენობა, გაჩნდა მეორე. სულიც იგივე. რისი ღალატი!.. იყო ერთი პიესა, მოძველდა. დაიწერა მეორე. იდეია ურყევი, მხოლოდ სხვაგვარი კომპოზიცია, ან სხვა გვარი ტიპთა ასახვა.

და ასე ციტადელი — ჩვენი თეატრი ისევ ისე ამოძრავდა.

მოვაღწიეთ რუბიკონს, გაისმა ხმა თითქოს უჩვეულო, იღუპება თეატრი, კვდება ქართული დრამა. შემოკრბა ძალები: ძველი და ახალი. ერთ ადგილს სცემდენ: ვიხსნათ დრამა. მაგრამ ხსნა არსით. თეატრი დაცალიერდა. ფუსფუსი, არევა... თათბირი, დაიკეტოს, ათასგვარი გეგმები, ყველა მოსურნე იყო, გემი დაძრულიყო ადგილიდან.

და უეცრივ მოხდა უჩვეულო ამბავი, პირველ დღეს თუ იყო გოდება, მეორე დღეს მზე ამოვიდა. მოვიდა კაცი, იხსნა ქართული დრამა.

გამართლდა ქორელის სიტყვები: მასალას გაუჩნდა ხელოვანი. მოულოდნელათ ზეიმი. მას უწოდენ მესია და ეს მესია მარჯანიშვილია.

მესია

უთუოდ დიდი მოვლენაა. მარჯანიშვილის მოსვლით გაიჭედა თეატრი.

როგორცა ვთქვით, ჩვენ პათოსიის ხალხი ვართ. ჩვენ აღფრთოვანების დროს არ გვიყვარს პროზა — კორექტურა. და ჩვენი აღფრთოვანებაც მარჯანიშვილის გამოჩენაზე უკორეკტუროა. ვინ იტყვის, ეს დანაშაული იყოს. დიდი მოვლენაა.

იმ დღიდან მუდამ გამწივიან ვაჟას სიტყვები: „შინ ბრუნდებიან ღვთის მადლით, ვინც გაგვირბოდა გარეთა“ და საქართველო თავის პირმშოს მიეგება, გადაეხვია, გულში ჩაიკვრა. შვილმა იგრძნო მშობლიური სითბო და ფიცი დასდო, აკეთოს მშობლიური საქმეები. და აქ უთუოდ პირველი პერიოდი დასრულდა. ამ პირველ პერიოდის ცოცხალი ფაქტი „ცხვრის წყაროს“ დადგმაა. ამ პიესაზე როცა მივდიოდით, ჩვენ ყოველ მხრივ ვიყავით დაინტერესებული: დიდი დრამატურგი, ჩვენი მსახიობები, ახალი სკოლა და აქ ჩვენი მარჯანიშვილი, ყველაფერი გვიზიდავდა. და გაიმარჯვა გამოსვლამ. ამ გამარჯვებაში ჩვენ აუცილებლად ისეთ შტრიხებს დავუწყებთ ძებნას, რომელიც მერმისზე გველაპარაკება.

ეს არის ჩვენ მსახიობთა ნახვა ხელოვან რეჟისორის ხელში და თვით რეჟისორი. ვნახეთ ის ორი და დავასკვენით: საქმე არ დაღუპულა. და როგორც ვთქვით, დასრულდა პირველი პერიოდი. ვიტყვით: დიდება დიდ დრამატურგს, დიდება ახალ შკოლას. შეიძლება არ ვცდებოდეთ, მოვიწონეთ ახალი შკოლა, მაგრამ არ ვიცით, მივიღებთ თუ არა. შეიძლება ერთი დარჩეს, მარჯანიშვილი შედგეს იქ, სადაც ჩვენი თეატრი თავისი ბუნებრივი განვითარებით დგას. და ეს ალბად დამტკიცდება მაშინ, როცა მარჯანიშვილს მშობლიურ ორიგინალობაში ვიხილავთ. იქნება ეს „მზის დაბნელების“ დადგმით მოხთეს. მერე ალბად სკოლაზედაც ვილაპარაკებთ. ეხლა ნაადრევია. სიმბოლიურად რომ ვთქვათ, მესია მოვიდა, რეალურათ თუ ვთარგმნით, ჩვენს თეატრს მოემატა კაცი, რომელსაც შეუძლია მრავალთა შორის იყვეს ხელმძღვანელი. მესიას ყავდა მოწაფენი, და ჩვენს თეატრს ყავს მთელი წყება რეჟისორთა, მხოლოდ საჭიროა მუშაობის განახლება. ყველა ერთად იქნება გაუმკლავდეს საერთო მუშაობას. მარტო მარჯანიშვილი ვერ ასწევს დიდ ტვირთს, მით უმეტეს დღევანდელ თეატრის კრიზისს მართლა „მესია“ ვერ იხსნის, „ბედი ქართლისა“ ასეთი შემთხვევებით ვერ გადაწყდება და თეატრი ხომ ერთი რგოლია. და ჩვენ უთუოდ გვიხარია, რომ აღსრულდა ვაჟას სიტყვები: „შინ ბრუნდებიან“ და სხვა...

სახიერების სფერო

უთუოდ მოხდა, ამ სფეროში დიდი ტეხილი. ჩვენი მსახიობები ეხლა საბოლოოდ დარწმუნდენ იმაში, რომ კვირაში სამი სხვა-და-სხვა პიესის მომზადება შეუძლებელია, დარწმუნდენ იმაშიც, რომ მსახიობი, იმის გარდა, რომ სხვის ხელში მასალაა, ამასთან თვით ეს მასალა ცოცხალი არსებისგან შესდგება, და ყველა ესენი ცალ-ცალკე აღებულნი გარკვეული ინდივიდუალობა უნდა იყვნენ. მაშასადამე, საჭირო ყოფილა მსახიერებელნი ამავე დროს იყვნენ ინტელექტუალური ძალაც. საჭირო ყოფილა შემეცნებით განსახიერება. შეიძლება გაქრეს ის ჩვეულება, როცა ჩვენი მსახიობნი რეცენზიებს მხოლოდ წერილის კუდში კითხულობდენ.

საერთოდ პიესა მთლიანი ოჯახია და ყველა მისი წევრი, მომქმედი მსახიობი მცოდნე უნდა იყვეს, თუ რა ხდება ამ ოჯახში და რისთვის ხდება. ყველა ეს მოითხოვს ნერვების და ტანის პლასტიკის გვერდით შემეცნების — ტვინის ძარღვების პლასტიკასაც და მე მგონია, ჩვენი მსახიობნი ამაში ღრმათ დარწმუნდნენ, და ეს დიად დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

მეტეორები

რა ცუდია, როცა ღვიძლი შვილები ცოტა ხნით შემოივლიან მშობლიურ ჭერქვეშ. სულს ახარებს მათი დანახვა, მაგრამ... გაგონდება ილიას სიტყვები: „თქვენი რაა, რომ ამშვენებთ...“ მაგრამ დიდია ერისთვის თავისი შვილის დიდბუნოვანება.

და ჟამსა წუთებისას გაიხსენებენ „ზურმუხტოვან“ საქართველოს. და აქ იყო დიდი ხელოვანი მჭედლოვი (ჩვენ მჭედლისშვილს ვეძახდით), ინტერვიუები, მოხსენებები. იშლებოდა დიდი პერსპეკტივები. მოეწონა ჩვენი მსახიობთა ტემპერამენტი, და აღზრდის ცენტრად მოსკოვზე მიგვითითა, ეს არ გატარდა. მშობლიური კერა დაუსახელეს, უთხრეს აქაც შეიძლება აღზდა, მაგრამ მერე მეტეორი გადაეშვა — უსაზღვროებაში, გული დაგვწყდა.

მეორე აღფრთოვანება, უფრო დიდი, ჩვენი სუმბათაშვილი. ჩვენ ის გვიყვარს, რადგან მას თურმე მუდამ სწამდა, რომ ვით ზღაპრული გმირი, როცა მიწაზე — ისიც მშობლიურზე — ფეხს დაადგამ, უჩვეულო სიძლიერეს იგრძნობ.

და სწორედ ისეთი ძლიერი წუთების ნაყოფია მისი „ღალატი“, იუჟინმა გაუწყვეტელი სიმი გააბა ერის სულთან ამ საუკეთესო შემოქმედებით.

დიდმა ერმა მას ურიცხვი ხალხის მსახიობი და ხელოვანი უწოდა.

ამის ღირსია სუმბათაშვილი. ჩვენ გვიხარის, რომ ის თავისი ღვაწლისთვის დაფასდა.

და ეს კაცი თავის დიდების დღეს მშობლიურ წიაღში მოვიდა. მივულოცეთ, მივიღეთ პატივისცემა, მისალმება.

და ამ დროს ის გასცქერის უსაზღვროებას, ვით მეტეორი მიქრის. ვაჟა ალბად თავის სიტყვებს კიდევ გაიმეორებს მწუხარე კილოთი, მაგრამ... ზოგი მეტეორები დაუდგრომელია.

დიადი დასაწყისი

დიახ, დიდი დასაწყისია, დიად დასასრულზე ლაპარაკი უადგილოა. ამის მაგალითი ჯერ ჩვენში არ არის. ჯაბადარი ისევ ისე დგას დამაფრთხობელ აჩრდილად. თუმცა გაიძახის: „და გზა უვალი ჩემგან თელილი“, მას უნდა სწამდეს, რომ „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის“. არ ჩაივლის, მგონია. ახალი და დიადი დასაწყისი უთუოდ განსხვავდება პირველისაგან. არის სულ სხვა დამოკიდებულებანი, რომელიც სიცოცხლეზე ლაპარაკობს. ა. ფაღავას ინიციატივა უთუოდ დიდ საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.

მასალა საუკეთესო ძალები, ახალგაზდანი, შეგნებით მოსიყვარულენი, თავდებია მიღწევის. მაგრამ სრული დაზღვევა მაინც არ არის, პირველმა სტუდიამ კოოპერაციას დაუმეგობრდა. დიამეტრალურად ორი შეურიგებლობა იყო, მაგრამ გაქრა უსახოდ პირველი დასაწყისი. მეორეს ლატარეია ასულდგმულებს, რა სახიფათოა!. მაგრამ ბევრის თქმაც სახიფათოა. მხოლოთ სურვილი სიცოცხლის. მეტი საახალწლო მიმოხილვას არ შეუძლია.

მკრთალი სილუეტი

სახალხო სახლი. უთუოდ მკრთალია მისთვის, რომ ის ძველის და ახლის რუბიკონზე დგას. პირველი პერიოდი მისი სიცოცხლისა „პირნათლად შესრულებაა დაკისრებულ მოვალეობისა“, „დაკისრებული მოვალეობანი“ ეხლა სულ სხვა ხასიათს ატარებს. ჩვენი მოტრფიალე და არა სატრფო ქ-ნი მელპომენა სხვაგვარ მოვალეობას უყენებს სახალხო სახლის — დრამატიულ დასს.

და არ შეიძლება დიდი განკიცხვა. განახლების გზაზე შიშით, მაგრამ მაინც შედგა ფეხი.

სიახლის სხივები თანდათანობით იჭრება იქ. შ. დადიანის მრავალი წლების გამოცდილება ამას ხელს უწყობს, და ასე ხდება მოძრაობა, არის წინააღმდეგობანი. უნდა იქნას დაძლეული. და თუ ამ გზით ივლის სახალხო სახლი, იქნებ მისი მკრთალი სახე საერთო ფონზე გარკვევით გამოჩნდეს. მანამდი ასეთი აღნიშვნა ვიკმაროთ.

დრამატურგია

მინდოდა, ამ წელში ვიღაცაზე რაღაცა თქმულიყო. ირგვლივ დუმილია. თუ არის სადმე ცდა, ვინ იცის, როგორ გაიშლება. საერთოდ სისუსტეა, სიცარიელეა ჩვენს ლიტერატორებში. დრამა მაშინ იწერება, როცა ვინმე მოიცლის, ერთი დრამა ერთი ავტორი, მარკა მზათაა, საქართველოს სივრცე ვიწროა, ყველა გაგიცნობს და რა საჭიროა დრამატურგიის მიზნად აღება. უპირველეს ყოვლისა რომელიმე დაწესებულების დირექტორი უნდა იყვე, რაღაც მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი. მერე რამოდენიმე კვირით მოცლა, და დრამა მზათ არის. თუ გინდ პროფესიანალური ტიპები იყოს. ნაცნობი რეჟისორი, ნაცნობი — დირექცია, რეცენზიებიც ნაცნობ-მეგობრები, და გაიჩარხა საქმე. და ასე მე მგონია, ყველა მწერალი თავს ვალდებულად ჩათვლის თითო დრამა დასწეროს. და წარმოიდგი-

ნეთ, ჯერ რეგისტრაციაში ათასი მწერალი იქნება გატარებული (მხედველობაში მაქვს დაბა-სოფლების მწერალთა კავშირები) და თუ ყველა მოიცლის, დრამატურგია აღორძინდება. და ამ გზით მიდიოდა წელსაც ჩვენი დრამატურგიის საქმე. მაგრამ ეხლა ამის დრო არ არის. მე მხოლოდ საერთო უშინაარსობა მოვიგონე.

ნ. გე-ლი

სიტყვა-კაზმული მწერლობა

1922 წელი

ერთი წლის განმავლობაში ეწეოდნენ მუშაობას ქართველი მწერლები თავიანთ სასახლეში. ეს იყო შრომა პატიოსანი და წრფელი და ამ მუშაობამ გაამართლა წარსული წელიწადის არსებობა.

ქართულმა ლიტერატურამ დასვა მრავალი პრობლემები და ეს პრობლემები მოითხოვენ აუცილებლად დიდ მხატვრის თვალებს, რომ ისინი შესაფერისად იქმნან განათებული.

საქართველო სიზმრისა და მწუხარების ქვეყანაა!

საქართველოს ისტორია, ერის მითები განვლილი კოშმარული ღამეებია და ამ ღამეებს ანათებს მეთორმეტე საუკუნე თამარის მწუხარე ნაღვლით დაბინდული ნუშის თვალებით.

მეთორმეტე საუკუნე ანათებს მთელი ერის ისტორიას. ჩვენ ახლა ახალ ეჭვებთან ვართ მისული. აგასფერივით გადავდივართ საუკუნეებიდან საუკუნეებში და ადგილებიდან ადგილებში. იყო ქელდეა, კაპადოკია, კავკასია. განვლეთ ქელდეკელთა კულტურა, განვლეთ მიტრიდატისა და პომპეუსის მიერ დანთებული ქარიშხალი და მივადექით მეთორმეტე საუკუნეს. დღეს ჩვენ შუბლით მიბჯენილნი ვართ კავკასიონის ქედს და აქედან ძვრა უკვე შეუძლებელია. აგასფერმა ნახა დაბრკოლება, მაგრამ იგი უნდა აღიმართოს კავკასიონის ქედის სიმაღლეზე და გაფრინდეს ლურჯთვალებიან სივრცეებით. სიზმრები განაგრძობენ საქართველოზე გულიმედობას. ქართველი ერის ისტორია ეს ათას ერთი ღამეა, სადაც ქართული პოეზიის პალადინი დადის თავისი ჯადოსანი ლამპარით. ედგარ პოე ამბობს: „პოეზია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სიზმარი არსებობსო“. ალბად საქართველოშიც იმიტომ უყვართ პოეზია, რომ მისი სიცოცხლე ხანგრძლივი სიზმარია. საქართველოს მისდევენ ათასეული საუკუნეები, აგლეჯენ სამოსს, მაგრამ იგი ფენიქსივით განახლებული მიდის და მიდის შეუდრეკელად. მემატიანეები იქანცებიან თვალ-ყურის დევნებით. მისი წარსული უხსოვარ სიზმარშია დაკარგული და კიდევ ახალი სიზმრები ელოდება მის თვალებს. საუკუნეები და ქართველები ჰფრენენ მის თავზე და იგი მაინც უტეხი, უსწორებს თვალებს მათს თამამ ქროლვას. საქართველო სავსეა ნანგრევებით, მაგრამ იგი სავსეა აგრეთვე ახალ იმედებით. ქრისტესავით გააკრეს იგი მრავალჯერ ჯვარს, მაგრამ ქრისტესავითვე დგებოდა იგი მესამე დღესა და პოეზია იყო მხოლოდ მისი ერთგული და მეგობარი, მისი ცრემლების შემშრობი. შოთა ლეგენდარულ თეთრ პრინციპივით დადის ახლაც ხალხის ხსოვნაში. და ჩვენ ახლა ახალ ბჭეებს მივადექით. ქართულ სულს უკვე ელანდება ფოლადით გაჭენებული საუკუნეები. რამდენი გზაა! და ყოველი ახალ-ახალი წლები ანმტკიცებდა და ამართლებდა ჩვენს არსებობას და ამან მოგვიყვანა ჩვენ მე-20 საუკუნემდის. იქნებ ეს წლები აღსავსე იყო ჩვენის წამებით, მაგრამ ჩვენ ვმართლდებოდით ამ წამებაშიც.

ლომისისა და ლაშარის მადლი სდარაჯობდა ჩვენს ეროვნულ გენიას. და შარშანდელი წელიწადი გაიხსნა ჟურნალ „ლომისი“-თ. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გალაკტიონ ტაბიძის წინადადებით იანვრის 22-დან აარსებს ჟურნალ „ლომისს“. აქ თავს იყრიან თითქმის ყველა მწერლები.

პირველი ნომერი გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ზამთარი“, ამავე სექტემბრის 1-დან „ლომისი“ გაზეთის სახით განახლდა.

ამავე წელს გამოვიდა მე-2 და მე-3-4 ნომრები ერთი ჯგუფის მწერლობისა ჟურნალ „ხომალდით“. ამ ჟურნალის მე-3-4 ნომრებში იყო მოთავსებული შესანიშნავი მოთხრობა ლომთათიძისა „1-ლი მაისი“.

ზაფხულს გამოვიდა ჟურნალი „ალიონი“.

ამ წელს გამოვიდა წიგნები:

იასამანი — წიგნი ლექსების, ჟურნალ „ხომალდის“ გამოცემა, ტფილისი.

„კრებული“ — ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამოცემა.

ნიკო ბარათაშვილი — 1. ფირცხალავას რედაქტორობით.

ვაჟა ფშაველა — 1. აბაშელის რედაქტორობით.

ი. გრიშაშვილი — ლექსები, ტომი II.

ვ. ბარნოვი — „ხაზართა სასძლო“, ისტორიული რომანი, ტერენტი გრანელის „სულიდან საფლავები“, მიხ. ბოჭორიშვილი — „მეტეხი“, ყდა ირაკლი ტოფაძისა, ტფილისი. შესანიშნავია ეს მოთხრობა თავისი შეკუმშულობით და წერის სულ ახალი მანერით. ამავე მოთხრობის მეორე ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „ხომალდის“ მე-3-4 ნომერში „მწუხრის“ სათაურით, რომელიც მშვენიერია ავტორის დამახასიათებელ სტილითა და ინტიმობით. აღსანიშნავია მისივე მინიატურა „ლოთი“, გაზეთ ლომისის 1-ლ ნომერში მოთავსებული.

გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი №№1, 2, 3 და 4.

ამ ჟურნალში მთავარ ყურადღებას იქცევდა პოეზიით მუდამ ათრთოლებული გალაკტიონი.

„უქიმერიონი“ ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის ჟურნალი გამოვიდა ორი ნომერი. „პოეზიის დღე“ — სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა, №3.

„პოეზიის დღე“ — ახალ მწერლობის კავშირის გამოცემა, №1.

„პოეზიის დღე“ — ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამოცემა, №1.

„პოეზიის დღე“ — ბათომის მწერალთა კავშირის გამოცემა, №1.

ასე წავიდა 1922 წელიწადი და ქართველი მწერლები დიდის მოლოდინით შესცქერიან 1923 წელს. ქარიშხალი ისევ ჰქრის და ჰკივის საქართველოზე, მაგრამ კავკასიონის ქედები ქარიშხალს გაუსწორდებიან. ქართველმა მწერლობამ თვალები უნდა გაუსწოროს ახალ ქროლვებს. მრავალი საუკუნენი და უთვალავი წლები გადმოსთელა ქართველმა გენიამ და ქართული პოეზია მუდამ თავის სიმაღლეზე იყო შერჩენილი. იგი მუდამ მწვერვალებზე ჰგრძნობდა თავის თავს.

გამარჯვება თქვენი, მწვერვალებო!

მოგილოცავთ, ქართველო მწერლებო, აღფრთოვანებულსა და იმედით სავსე ახალ წელიწადს!..

სპონდეჲ

ვალერიან გუნიას სიტყვა არტურ ლეისტის იუბილეიზე

ჯერ ისევ მრავალ საუკუნეთა წინედ აღმოსავლეთი და დასავლეთი გაითიშნენ, ერთმანერთს დაშორდნენ.

დასავლეთი გიჟურის სისწრაფით გაექანა ახალ კულტურისა და მატერიალისტური მეობის საძიებლად, ხოლო აღმოსავლეთი ვითომდა ჩამორჩა მას და წინსვლელობაში გაიყინა.

მკვირცხლი ევროპა მცონარე აზიის ანტიპოდად დაისახა, მაგრამ დრონი წარვიდნენ, წყალნი დაშრნენ, გაუგებრობის ქარ-ბუქი მინელდა და უკვე დიდი ხანია ფხიზელი ევროპა დაუცხრომელის ცნობის მოყვარეობით აკვირდება მძინარე აზიას.

დასავლეთის ფიცხი ჭკუა-გონება დღითი დღე საზრდოს პოულობს აღმოსავლეთის დარბაისლურ სიბრძნეში.

ამბობენ აღმოსავლეთი იღვიძებსო. ტყუილი თქმაა.

აღმოსავლეთს არას დროს არ სძინებია, იგი მარად ფხიზლობდა და დასავლეთივით არ ისწრაფოდა კულტურის კრიზისისაკენ, ცივილიზაციის კატასტროფისაკენ.

ჟინმორეულის ინტერესით, გაუმაძღარის სიხარბით ეტანება დასავლეთი აღმოსავლეთის გაცნობას მის გულსა და სულში ჩაწვდომას.

ევროპის და ამერიკის ყველა დიდ ცენტრებში რა ხანია დაარსებულია მრავალი კათედრები აღმოსავლეთის შესაცნობად.

ყველა განათლებული ქვეყნები და ერები ხარბად ეწაფებიან აღმოსავლეთის ეგზოტიკას, მის პოეზიას, ხელოვნებას და ფილოსოფიას. ამ შემთხვევაში პირველობა ეკუთვნის დიდი კულტურისა და ნების ხალხს — გერმანეთს.

დასავლეთში დღითი დღე იზრდება და მატულობს აღმოსავლეთის მოტრფიალეთა და მეგობართა რიცხვი.

ერთი ასეთი მოტრფიალე და მეგობართაგანი აღმოსავლეთისა არის გერმანეთის ცნობილი მწერალი, საქართველოს გულწრფელი მეგობარი და მოამაგე არტურ ლეისტი.

წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში გერმანეთის სწავლული ცნობილი პოეტი მოხუცი ფრიდრიხ ბოდენშტეტი დააინტერესებს ახალგაზდა ჟურნალისტ არტურ ლეისტს აღმოსავლეთის ეგზოტიკით და განსაკუთრებით საქართველოს თავისებურობით.

არტურ ლეისტმა ჩამოსვლისათანავე სამართლიანად იგრძნო საქართველოს უპირატესობა აზიელ ხალხთა შორის, საქართველოს მაღალი კულტურა და მისი სიახლოვე ევროპასთან უფრო ეთვისებოდა არტურ ლეისტს. საქართველო ხომ ყოველთვის დიდი კარი იყო ევროპისა და აზიის შორის.

და აი, 1882 წელს არტურ ლეისტი ხმა მაღლა საქვეყნოდ გაიძახის საქართველოზე თავის პირველ სიტყვას, რომელსაც ეწოდება „Eine vergessene literatur“ — დავიწყებული მწერლობის თვით სათაურიც კი ლეისტის წერილისა მეტად პოეტური და ნაღვლიანია. „დავიწყებული ლიტერატურა“ არტურ ლეისტის მეოხებით დავიწყების წყვდიადიდან თანდათან შუქზე გამოდიოდა და იგი ინტერესს იწვევს ყველა განახლებულ ხალხში.

ამ შემთხვევაში არტურ ლეისტი ნამდვილი ინტერნაციონალური მუშაკია.

ამ დავიწყებულ საქართველოს ლიტერატურისა, ისტორიისა და კულტურის გაცნობას და მის პრაპაგანდას ევროპის წინაშე არტურ ლეისტმა მოანდომა თავის სიცოცხლის ნახევარზე მეტი დრო, სრული ორმოცი წელიწადი.

ასეთი დიდი შრომა, ასეთი იშვიათი, უანგარო კეთილშობილური ღვაწლი არტურ ლეისტის გვავალებს ყველა ქართველს და არა თუ მარტო ქართველთ, არამედ ყოველ კულტურულ ადამიანს უღრმესი პატივისა და მადლობის ნიშნად თავი დაბლა დავუკრათ და ხმა მაღლა შევძახოთ: ვაშა არტურ ლეისტს! ვაშა მის შრომას! ვაშა ამ დიდებულ ერს, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ვალერიან გუნია

ხელოვნების სასახლე 1922 წ.

განვლილი წლის ლიტერატურული მუშაობის სათავე იყო ხელოვნების სასახლე. იგი აძლევდა ტონს მთელ ლიტერატურას. და 1922 წ. პირველი დღე ხელოვნების სასახლემ გახსნა ჟურნალ „ლომისით“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. ხელოვნების სასახლის ირგვლივ იყო შემოკრებილი მთელი ქართული ლიტერატურული ძალები. აქ განაგრძობდა და განაგრძობს მუშაობას სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. აქვე მუშაობს ქართველ ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი, რომელშიდაც შედიან, როგორც მწერლები, ისე მხატვრები, მუსიკოსები და მსახიობნი.

ხელოვანთა სასახლეში იკრიბებოდენ ჟურნალ „ხომალდის“ თანამშრომლები და არჩევდენ მასალებს ჟურნალისთვის, კითხულობდენ და მსჯელობდენ თავიანთ ჯგუფის წევრთა ახალ ნაწარმოებს. ამგვარადვე განაგრძობდენ აქ მუშაობას ჟურნალ „ილიონი“-ს თანამშრომელნი და სხვა.

ხელოვნების სასახლეში სწარმოებდა მუშაობა ზ. ჭიჭინაძის, არტურ ლეისტის და იაკობ ნიკოლაძის იუბილეების მოსაწყობათ.

ხელოვნების სასახლეშია მოთავსებული ყოველ კვირეულ გაზეთ „ლომისი“-ს რედაქციაც.

მაგრამ ყოველივე ზევით ჩამოთვლილი არის სასახლის უფრო ინტიმური მხარე და ამ მუშაობას ქართველი საზოგადოება ეცნობოდა მხოლოდ მისი შედეგებით თვით პროცესი მუშაობისა კი მისთვის უხილავი იყო.

ამავე დროს მთელი წარსული წლის განმავლობაში ხელოვნების სასახლეში იმართებოდა საჯარო მოხსენებები ლიტერატურულ ხუთშაბათების სახით და აგრეთვე ლიტერატურული კვირეები. ლიტერატურულ ხუთშაბათები იმართებოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით. აკადემიურ წლის განმავლობაში წაკითხულ იქმნა შემდეგი მოხსენებები: „სტეფან გეორგე“, „ჩვენი მწერლობის გზები და მიზნები“, „თომას მანი“, „კრიპტოგრაფია ძველს ქართულ მწერლობაში“, „ეროვნული შემოქმედება“, „ტრაღიკული მხარე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“, „ნიკო ბარათაშვილი“, „პროლეტარული პოეზია“, „ალიგიერი დანტე“, „ჰაზირა“, „თეიმურაზ მეფე“, „ქართული ლიტერატურის ტრიბუნა“, „რომენ როლანი (ჟანკრისტოფ)“, „გრიშაშვილის პოეზია“, „შანშიაშვილის პოეზია“, „რომენ როლანი“, „ოსვალდ შპენგლერი“, „მშვენიერების იდეა პლატონის ფილოსოფიაში“, „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, „ლიტერატურულ ისტორიის პრობლემები“, „ესთეტიური კრიტიკა“, „დიმიტრი ყიფიანი“, „ნიკო დადიანი“, „ქართული ქანდაკება“, „თეატრის პრობლემა“, „ჭოლა ლომთათიძე“, „ტერენტი გრანელის საღამო“, „ქართული რომანი“. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ საღამოებს საზოგადოება ყოველთვის მრავალი ესწრებოდა. სასახლის პატარა დარბაზში ხშირად ვერ ეტევა მსმენელი და მრავალი იძულებული ხდებოდა უკან გაბრუნებულიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ დამსწრე საზოგადოების უმეტესობა ყოველთვის ახალგაზდობისგან შესდგებოდა.

ხელოვნების სასახლეში დრო-გამოშვებით მართავდა თავის მოხსენებებს აგრეთვე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

მხატვართა კავშირმაც დაიწყო თავისი მხატვრული საღამოები სამშაბათობით, რაც მეტად ორგინალურად და ხალისით ტარდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მხატვრებს წაბაძვენ მუსიკოსთა და მსახიობთა კავშირებიც და სასახლეს მიეცემა უფრო მეტი სიცხოველე, მეტი ხალისი, და უფრო დიდძალ ქართულ კულტურულ საზოგადოების საკრებულოდ გარდაიქმნება იგი.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სასახლის მოსაწყობათ, შესამკობათ, რომ იგი მორთულობითა და შეხედულობით დამზგავსებოდა ნამდვილ ხელოვანთა სასახლეს, მთელი წლის განმავლობაში არაფერი არ გაუკეთებია ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რომლის მოვალეობაა სასახლისთვის ზრუნვა. სასახლე დღესაც ისე გამოიყურება, როგორც ეს ჩაიბარა ხელოვანთა კომიტეტმა. არავითარი გადახალისება და მთელი წლის განმავლობაში კომიტეტმა ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ზამთრის ცივ დღეებში სასახლე გაეთბო მაინც. ამ მხრით კომიტეტის მთელი მუშაობა ამოიწურება მხოლოდ იმ ფიცრის შეძენით, რომელიც მიაკრა შესავალ კარების თავზე ფრანგულ და ქართულ წარწერით „ხელოვნების სასახლე“.

იმედი უნდა ვიქონიოთ რომ მომავალ წელს, მეტს ენერგიას გამოიჩენს კომიტეტი. შეამკობს სასახლეს სათანადოთ. შექმნის სურათების გალერეიას ქართველ მოღვაწეებისას და სხვა.

მთვალავი

ახალი წელი

გადაყვა ფიქრებს განვლილი წელი.

მოდის ახალი ჩუმი ლოცვებით.

მემატიანე! გაგიძნელდება ჟამთა სრბოლაში გადაჩეხილ დღეთა აქარგა?

ძვირფასო ძმებო!

არ უჩანს ბოლო ჩვენს გატაცებებს. საბედისწერო უფსკრულის პირს რა შეგვაჩერებს?

ძვირფასო ძმებო! გიყვარდეთ ღვინო, თარის ქვითინი, გაკამათება სადღეგრძელოში და საქართველო.

ჰო, მეგობრებო! ჩვენ აწ ნაცად გზით სიარული არ გაგვიტაცებს, ჩვენს წინ იშლება ბილიკები უფრო ძნელი და მიმზიდველი.

კიდევ მრავალი ფიქრი დასწვავს ქუჩის გონებას, კიდევ მრავალჯერ აინთება ნგრევის ქარცეცხლი.

ბევრი მივიღეთ ჭრილობები განვლილ დროთაგან და სულიც ბევრჯერ დაგიკოდიათ შხამიან ისრით, მაგრამ ავენთოთ სიხალისით ისევ ბრძოლისათვის.

ჰეი! გაშალეთ სუფრა. ძველი ხალისით, ძველ ყაიდაზე.

ვადღეგრძელოთ ნგრევის ღმერთი — შურის ძიება.

აბჯრები ტანზე აღარ გვამძიმებს, თვით გაფოლადდა ჩვენი სხეული.

ახალი წელი!

ჰეი, გვითხარი ძველო ტფილისო! რამდენ ახალ წელს შესწრებიხარ ჩვენო ჭაღარავ! რამდენი ქუსლი მოგვხვედრია მაგ მქშინავ მკერდზე?

ძვირფასო ძმებო!

გადაყვა ფიქრებს განვლილი წელი. გავყვეთ დროთა სვლას, დროთა ნიაღვარს...

სიგიჟის ღმერთი და სითამამე მარად იყოს მფარველი ჩვენი.

მიხ. ბოჭორიშვილი

ზღვა

დიდი, ძლიერი, დიდი ზღვა...

ზღვა დიდი, განუზომელი...

ლურჯი ფერი... ლურჯი ფერი... ლურჯი ფერი... ხრიზანტემათა მტევნების შეშმუშვნა მოზაიკურ ნაპირზე.

მარილიანი ჰაერი.

მზე უზარმაზარი, სისხლისფერი, ჩინურ ფანარივით ატორტმანებული და მეწამული დახეთქილი ნარინჯები. ლიმონის ფერი საღამო.

მწვანე ნაპირი, პლჟაჟი და ბულვარი.

ნაპირზე შიშველი სპილენძის სხეულები.

ბულვარში ორკესტრი და გარინდებული პალმები.

მზისგან აღველფილი ჰაერი და ავარვარებულ სხეულების ვნებით დაკრუნჩხული სილუეტები ცაში.

ზღვის პირად წყვილები:

— ვხედავ, როგორ ზღაპარივით საღამოა!.. — ამბობს ქალი.

— ჰხედავ, და მზე უზარმაზარი სისხლისფერ ციტრონივით ჰკიდია ცაში. — უპასუხებს ვაჟი.

— რა კარგია მიწა, ო, როგორ მიყვარს მიწა!.. — წამოიძახებს ქალი თითქოს ჟინით და ონავარ კატასავით გაინართხება მიწაზე და ჩაეხუტება.

— ო, რა ტკბილია მიწა, მე მიყვარს იგი!.. — უპასუხებს ვაჟი და ისიც მიწაზე ემხობა და სიყვარულით ანთებულ თვალებით უცქერის ქალს.

— შეხედე, შორს, ცის დასალიერში შავი გოროზი ღრუბლები მოსჩანან...

— და ცოტა სიომაც წამოუბერა!.. — ამბობს გამოძახილივით ვაჟი და მან იგრძნო, რომ აცახცახებული ქალი მიეკრო მკერდზე.

— შეხედე, რა საშინელი კაცი მოდის, მე მეშინია, მეშინია!.. იგი მოდის და თითქოს მის ფეხქვეშ მიწა ჰკვნესის!.. — წაიჩურჩულებს ქალი და შიშით აცახცახებული კიდევ უფრო მაგრა ეკრობა ვაჟის მკერდს.

— საშინელია ეს კუზიანი, საშინელი!.. შენ გაკანკალებს ჩემო, წავიდეთ აქედან!.. — და ისინი წელმოწყვეტილნი დგებიან და შიშით აცახცახებულნი ჰშორდებიან ადგილს.

მოდის იგი საშინელი, გულჩათხრობილი.

ნაპირს მიუახლოვდა და ზღვამ თითქოს იგრძნო ამ საშინელ ადამიანის სიახლოვე.

სიოს სუნთქვამ შემოჰკრა მის შუბლს და ზღვა შეტორტმანდა.

დგას იგი, კუზიანი, გულზე ხელდაკრეფილი და იცქირება შორს, ზღვის სივრცეში, სადაც აფრიანი ხომალდები ფარვანებივით ფართქალებენ და გემები უშველებელ სიგარებივით იბოლებიან.

კუზიანი კი დგას გულჩათხრობილი, კუშტი და ამაზრზენი ამ გულჩათხრობილობით.

მისი თვალები გათხრილ, ბნელ სამარეებივით იცქირებიან.

კუზიანი და ზღვა...

ზღვა და კუზიანი...

ზღვა ეალერსება მის უშნო ფეხებს და დამსხვრეულ საფირონებისა და ლალ-ბეჟმენდის ნაჭუჭებად იფანტება.

დაიხედა ფეხზე და მას ჭლექიანის ამონახველივით ლორწოიანი მედუზა ეტმასნება, წაჰკრა ფეხი და ქვებს შეალესა, შებრუნდა და მიდის დინჯად. მიდის...

ნავთსადგურში გემები უზარმაზარ შეღებილ ვეშაპებივით ოხრავენ.

ბეტონი და რკინა.

ბეტონზე შეფრქვეული ამეთვისტოები.

ბლოკისა და კრანების ხმაურობა.

ხრიალით ასრიალდა ზევით უზარმაზარი რქიანი ღუზა და გაისმა რამდენიმე გაუგებარი ბრძანება უფროსისა.

გემი ემგზავრება!

სინოპი...

სტამბოლი...

ქაირი...

კალკუტა...

გემი ემგზავრება...

საყვირის ჩახლეჩილი ხმა.

ცხვირსახოცების ქნევა.

აქ აქვითინებული ქალი.

იქიდან დამამშვიდებელი ხმა.

ირევა ყველაფერი.

გემი დაიძრა.

კუზიანი კი დადის და იღიმება რაღაცაზე, იღიმება.

ასანთის მოვაჭრე ბიჭუნამ მოჰკრა თვალი მის გესლიან ღიმილს, ზარდაცემულმა დაიწივლა, დაჰყარა ასანთი და აკანკალებული გაიქცა.

დადის იგი ხალხში.

დადის და მის ბაგეებზე შხამიანი, მომწამლავი ღიმი ისრისება.

გემი დაიძრა:

სინოპი...

სტამბოლი...

ქაირი...

კალკუტა...

ნარინჯებში ჩაძირული ქალაქი.

ჩადრში გახვეული ვნებააწივლებული სხეულები და რიდეებს ქვემოდან ცეცხლეულ თვალების აელვება.

ყვითელ უდაბნოებით დატვირთული ნაღვლიანი ოქროსფერი აქლემები...

წმინდა განგი და რაჯების იდუმალი შავი ჯადოსნობა და ოქროს ვეფხვებით დამძიმებული ბანანის ტყეები.

მიდის გემი.

მიდის გემი ოცნებებით დატვირთული.

კუზიანი კი იღიმება გესლიანად, იღიმება.

რაღაც იცის კუზიანმა, რაღაც დიდი იცის კუზიანმა და იცინის, იღიმება შხამიან ღიმილით.

მას სასაცილოდ არ ჰყოფნის ეს ამბავი.

მაშ რად შეეშინდა, რად დაიკივლა ასანთის მოვაჭრე ბიჭუნამ.

მან მეტად დიდი იცის რაღაც, რაღაც იცის!..

დასცინის, დასცინის!..

ვის?..

იგი დასცინის!

ოცნებებით დატვირთული გემი კი მისცურავს.

დაიმალა მისი ტანი.

ბუხრის თავიც ჰქრება და მხოლოდ საკმეველივით ავარდნილი კვამლი მოსჩანს. ცოტა ხანს ცის დასალიერში და ზევიდან წამოწოლილი ტყვიისფერ მძიმე ღრუბლებს უერთდება.

კუზიანი კი იცინის...

სიომ უმატა!..

სიომ უმატა!..

სიომ უმატა!..

ბინდდება.

* * *

ღამე.

ალამპრებული ქალაქი.

სძინავს ყველაფერს.

შორს ოდნავ გაისმის გუშაგების გადაძახება და ქარხნის ოხვრა.

უზარმაზარი კანდელი შიშველ ხელებივით იწვდის სინათლის გრძელ ძნებს.

ღამე მთვარით დაღვენთილი.

სიო გველის წიწილივით სისინებს და ცაში ტყვიისფერი ღრუბლები მაკე ვეშაპებივით იზრდებიან და მთვარეს ემუქრებიან, მთვარეს, ოქროს ლარნაკივით რომ ჰკიდია ცაში.

ტალღები ვერცხლის ფაფარივით იფრქვევიან, ტორტმანობენ და ნელინელ მატულობენ.

ღრუბლები იზრდებიან, იზრდებიან, ეპარებიან მთვარეს, ნთქავენ მას და ყარყუმდება ყველაფერი, ბნელდება.

სიწყნარე სამარისებური.

და ამ სიწყნარეში გაისმის აჩქარებული ფეხის ხმა.

ვიღაც მორბის, ვიღაც მორბის ქურდივით, ავაზაკივით. აი, გამოჩნდა, რაღაც შავი კუზიანი სილუეტი და ნაპირთან დასობილივით გაშეშდა.

და იდგა იგი დიდხანს, იდგა...

იდგა კოშმარული ლანდი.

მიუახლოვდა ზღვას, გადაჰხედა, ერთი საზარლად დაიკივლა, მერე პირში თითები ჩაიწყო და გაისმა საშინელი, ტვინის დამაბნელებელი სტვენა ქარისა და ზუზუნი.

რაღაც თმაგაწეწილმა აიტაცა უზარმაზარი ტალღა და მოწყვეტით, ზარდამცემ კივილით მიანარცხა ნაპირს, გაიქცა და კიდევ მეორე ისროლა, მესამე და ასე...

ქარმა იწივლა თავგანწირულებით.

მენავეები ნაპირზე გადაბრუნებულ ნავებ ქვეშ გამოღვიძებულნი შიშით აკანკალდნენ და დაკრუნჩხულ თითებით პირჯვრის გამოსახვას ძლივს ახერხებენ.

კანდელმა უზარმაზარი ჰორილლასავით დაიწყო ბღავილი და მის ბღავილს გემების განწირული კივილიც შეუერთდა.

სადღაც ზეცა გაიპო და ბროლის კვერთხივით გადალეწილი ელვა ისარივით დაესო ზღვის მკერდს.

კუზიანი კი სტვენს, ბუქნავს, ცეკვავს გაგიჟებული, ცეკვავს და ზღვა ირევა, გიჟდება და დორბლ-მორეული ასკდება ნაპირს.

აწანწალებული ქარი წივის, ზუზუნებს და აქოჩრილ ტალღებში ჩამწყვდეული ჰგმინავს და ჰგოდებს.

თოლიების კვნესა ჰსერავს ღამის სივრცეებს.

კოკისპირული წვიმა.

ირევა ყველაფერი.

აბორგებული ზღვა.

თმაგაწეწილი ქარი.

კუზიანი კი ბუქნავს, ბუქნავს, მუცელზე მუშტს იცემს და ცეკვავს ველურ ცეკვას, უსტვენს მთლად კოშმარული თავის სიმახინჯით და ეპილეპსია შეპყრობილი ზღვის ტალღები დორბლ-მორეულნი ინართხებიან მის ფეხრთით და კუზიანი შედგა ტალღაზე, ახტება მათ და მირბის ზღვის ზედაპირზე თმაგაჩეჩილი, გობივით გადმომხობილ ტალღებს უძვრება ქვეშ და გაწუწნული მირბის ზღვის სივრცეში, ელვა ცეცხლის გველივით იგრიხება, ქარი ისტერიულად წივის და წვიმა კოკისპირულად ასხამს.

კუზიანი კი მიფრინავს, მირბის და შუა ზღვაში დატორტმანებულ გემის ანძას წვერზე შეაფრინდება და იქიდან მაიმუნის ლეკვივით გადმოკიდებული ხარხარებს და მისი ხარხარი ჰბზარავს ღამის უკუნეთს.

რამდენი ოცნებები მიჰქონდა ამ გემს!..

ქალები და ბავშები წივიან..

გემი იღუპება.

გოდებით ივსება სივრცეები.

კუზიანი კი ჰხარხარებს, ჰხარხარებს...

მეზღვაურები მუშაობენ.

ნავებს უშვებენ.

უფროსი შემკრთალი ხმით ბრძანებას იძლევა.

მგზავრები შიშით გაპირუტყვებულნი ბღავიან, ლოცულობენ და მათი კივილით იჩრდილება ზღვის ხმაურობა.

კუზიანი უშნო მაიმუნივით ჰკიდია ანძაზე და ხარხარებს, ხარხარებს საზარელი...

ხელაპყრობილი მლოცავები სასოწარკვეთილი აქვითინდებიან, რომ ამ საშინელმა მახინჯმა ზეცაც კი მოუსპო თვალების მისაყრდნობად.

და უეცრად საშინელ გრგვინვით რაღაცამ იფეთქა, ქვაბები დასკდა, გემი სასიკვდილოდ განგმირულივით დატორტმანდა და ბსკერში წავიდა...

კუზიანი კი ხარხარებს, ხარხარებს...

* * *

მთვარით დათოვლილი ღამე.

სიწყნარე სამარისებური.

მთვარის სხივებზე ტალღების ბებუთის ბასრივით აელვარება.

კვიპაროსთა სილუეტების იდუმალი გულჩახვეული როკვა.

კუზიანი კი სდგას ისევ ზღვის პირას, სდგას...

რა უნდა ამ კუზიანს?! მოაშორეთ ეს აბეზარი ამ ქვეყანას. იგი ყველას დასცინის, იგი დასცინის იმედებს, სასოებას და ყველაფერს ძვირფასს ადამიანისას!..

და კი მაინც სდგას და შესცქერის ზღვას, ტალღები მის მახინჯ ფეხებს მოლამუნე ძაღლის ენებივით ეალერსებიან და ლოკავენ.

იგი დგას გოროზი და შავი, დგას მთლად მოკლე, მოკუთხული და საშინელი.

ტალღები კი ზომიერ თანდათანობით შრიალობენ და იფრქვევიან, იფრქვევიან...

უეცრად ერთი ტალღა აიმართა, აიმართა, რაღაცას მოაწვა და გორებით სულ მთლად ლურჯი, ლაინის ფერი დამღრჩვალის გვამი ამოაგდო და დასტოვა ნაპირზე, გასივებული ლურჯი გვამი დამღრჩვალისა. მას მეორე ტალღა აედევნა, მეორეს მესამე და გაივსო ნაპირი გალურჯებულ დამღრჩვალთა გვამებით, დედამიწა გალურჯდა, ფერი დაჰკარგა და გვამები საშინელ, ზარდამცემ იდუმალებით აფუსფუსდნენ, ამოძრავდნენ და უზარმაზარი ლილის ფერი გომბეშოებივით დასივებული ფეხებით, მკლავებით და მუცლით მიხო-

ხავენ, მიხოხავენ ნაპირზე ზარდამცემნი და მთვარის სხივები პატარა ლურჯ ანგელოზებივით იხოცებიან მათს ისედაც გალურჯებულ სხეულზე, იყინებიან.

მიხოხდნენ კუზიანთან, აღაპყრეს ხელები ცაში და გაისმა გოდება:

— მეუფეო, შეხედე ჩვენს დახეთქილ სხეულებს, როგორ დალურჯდნენ ისინი უსაფლავოდ, მოგვეცი მიწა მეუფეო, მოგვეცი მიწა!..

კუზიანი კი დგას და ხარხარებს, ხარხარებს შხამიანად, დედამიწა ზანზარებს, ხევები გუგუნებენ და კლდენი სკდებიან ამ ხარხარზე.

— მიწა!.. მიწა!.. — გაისმის გოდება და სადღაც შეშფოთებული ძაღლი ატირდება ქალაქში მიხურულ დარაბასთან, შეყვარებულებს ავი სიზმარი დააფრთხობს ლოგინში და სიგიჟე დატორტმანდება ასეთ ღამეში.

ლურჯი მკლავების ტყეები ზეცად აპყრობილნი და მუდარა გონების დამაბნელებელი, რომ მიწა დააყარონ მათ გალურჯებულ მკერდებსა და ხელებს.

კუზიანი კი ხარხარებს, ხარხარებს.

ერთი დამღრჩვალი გაცოფებული, დორბლმორეული ჩაეხუტება მიწას და ჰკოცნის, ჰკოცნის მიწას მოწყურებული, საყვარელ მიჯნურივით ეხუტება ნოტიო მიწას.

დედამიწა იკუმშება ბნელ საშოსავით, არ იკარებს მათ და გაისმის გამწარებული გმინვა ვნებიან გვამებისა, დაემხობიან მიწას, ჰფხოჭავენ, სთხრიან, თავს ჰყოფენ შიგ, თითქოს უნდათ შიგ ჩაძვრენ, იყრიან მიწას თავზე, ჰკვნესიან, ხარხარებენ, ჰგოდებენ და დედამიწა დაემსგავსება ლურჯ ჯოჯოხეთს ვნებით აყეფებულს.

კუზიანი კი ხარხარებს, ხარხარებს...

უეცრად გაისმა მამლის ყივილი და გვამები წივილით, გმინვით, უშნოდ მიბობღავენ ზღვაში, ინთქებიან და წყევაკრულვით ივსება და ატორტმანდება სივრცეში...

კუზიანი კი ხარხარებს, ხარხარებს...

* * *

დილა..

მზე ამოდის!..

ასე დამესიზმრა მე...

დემნა შენგელაია

დაქვრივებული სასახლე

საახალწლო ნობათად გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს

იგი ახალგაზდა, მხნე, ტანადი არაბთა ზაადი ყოველთვის მუსიკით და როკვით ერთობოდა. მისი სეფე-ქალები ცისფერ სამოსით თვალებში შეჰყურებდნენ ბრძანებელს და წყლისფერ ფარშავანგის — ფრთებით უნიავებდნენ ირგვლივ, რათა სიცხეს და ზაფხულის მწერებს არ შეეწუხებინათ. იგიც სთვლემდა.

მას თავი აბრეშუმის ჰამაკში ეგონა, როცა მის ოქრო-მკერდის ჩარდახს კოჭაკებზე ჩამოკიდებულს ოდნავ და ნაზათ აქანავებდნენ. გარს შემომსხდარნი მუტრიბნი ცილაობდნენ ზაადის გართობაში.

მუსიკოსნი საკრავების ეშანს აპრიალებდნენ რათა კრიალა და საამტკბილო ხმები გამოეღო. იგიც სტკბებოდა.

მისი სასახლე უღრან ტყეში მდგარი მეტად უზარმაზარ მანქანას მოგაგონებდათ. მოჩუქურთმებულ თაღებში ზაჲდის სადიდებელი იარაღი იყო გამოსახული. კიბეების სამარმარილოს შუაგულში ჩატანებული იყო ოქროხვეული არაბული ქება-დიდება უძლეველ სარდლისა და მმართველისა. დიდი მოძრაობა იყო იმა სასახლეში. ყოველ მსახურისაგან გაიგონებდით: თაყვანი და დიდება ჩვენს უძლეველს! სასახლის მარცხენა მხარეს ოქროს მოვარაყებული ქოშები იკერებოდა, მარჯვენა მხარეს მისი აბრეშუმის ჩასაცმელები იკაზმებოდა ძვირფას თვლებით.

შუა ადგილას კი არაბთა ასულები ილამაზებდნენ სახეს ყოველგვარ წამლებით, თავს იწუწავდნენ მათრობელა, გამაბრუებელ სითხით, ფეხის გულებს იპრიალებდნენ რათა ცეკვით აღეძრათ უძლეველისათვის ვნება აღმოსავლეთური, ვნება გიჟური და მზათ იყვნენ მის ვნების საბურთავად გამხდარიყვნენ. ისინი საბერძნეთის ცხრა ლამაზ მუზასა ჰგავდნენ. ჰაეროვანი მათი ტანთა რხევა, არბენილი როგორც ვარდი ღეროზედ, რაღაც გაუგებარ ჟრუანტელის ბურუსს შლიდა ტანში. მათი ხელების აქნევა ალერსის მადას აქაფებდა. მათი თვალთა ხედვა გრძნობის წყაროს აჩუხჩუხებდა. დახტოდნენ. სცოცხლობდნენ. კისკისობდნენ.

მხოლოდ ერთი არ იძვროდა, არც ემზადებოდა, — არც ლამაზდებოდა.

ის თვით სხივი იყო ზეციდან გადმოწოლილი, ის თვით სიტურფე იყო სამოთხიდან მოფრენილი, ის თვით გაუფურჩქვნელი შეკოკრებული ვარდი იყო. ოჰ, ის ნობათად იყო გაგზავნილი გურჯისტანიდან ნიშნად ერთგულებისა ერთ მონისაგან.

ნიშნად მადლობის ბეჭედი და უნაგირი ებოძა.

მონა მაინც მონად დარჩა და ქალის გამოტაცება არ დაუფასდა ღირსეულად. თვით გურჯი ცივ ყინულის ქანდაკებად იდგა. უხმო... უღიმო.

ვერ შემოისყიდა არაბთა დედოფლობამ, ვერ დაახარბა ზღვის ძირიდან ამოცვინულ მომჯადოებელ განძეულობამ, ვერც ალერსმა მიანაზა. ვერც დამუქრებამ აღუძრა შიში და ვერც თუ აუტანელმა სასჯელმა მინიჭებით. სასახლეში კი დიდი... დიდი მოძრაობა იყო. თითქოს ზეიმია, თითქოს დღეა წყვილის გაბედნიერებისაო.

შეიშმუშნა იგი უძლეველი.

მის ჩანაოჭებულ შუბლზე ოფლის ნაკადული აგორდა თვითეულ მილში ჰგრძნობდა აღმოსავლეთურ სისხლის მოძრაობას.

სიწყნარეს ცდილობდა, მაგრამ არ იყო დამშვიდებული.

ძილის დატკბობაც უნდოდა თვალებზე მაგრამ აწყვეტილი ჰქონდა.

გურჯის ქანდარების აჩრდილი გარს ეხვეოდა და იტანჯებოდა.

აცნობეს ცეკვის დაწყება. ვნების დაოკება. ხმა ვერ გაუგია.

გამეორებული სიტყვები შეესმა და უბრძანა: არავინ... მომგვარეთ ის...

აცნობეს მოცეკვავეთ.

დადუმდნენ. შურის ისარმა დაურბინა მათ, თუმცა ისინი გურჯი სიდინჯით, მის ღვთიურობით, მისი სიტურფით სტკბებოდნენ და გულში გურჯობას ნატრობდნენ.

უძლეველი კი ემზადებოდა.

ლესავდა ბასრ დანის წვერს.

ამზადებდა ალერსს შხამშერეულს. იგი ელოდა მას.

შემოვიდა ამაყად... მედიდურობით და უძლეველს თვალი თვალში გაუყარა, თითქოს ეუბნებოდა! ჯერაც არ შეუწუხებივარ. აბა გაბედე ჩემი შეხება და მაგ ფერმკრთალ სახეს შენივე სისხლით გაგიწითლებო.

უძლეველი შეკრთა.

ტკბილი ნაზი ალერსი დაუწყო შორიდან. ის კი იდგა ვით ცივი ძეგლი, რომელიმე საფლავისა.

მაშინ განრისხდა უძლეველი!

— შენს ტანის ნაწილებს სათითაოდ ჩამოვჭრი ჩემივე ხელით და გოშიებს მიუყრი. შანთებს გავახურებიებ და მაგ ზღვის თვალებს მით დავშრეტავ. საკირეს ავანთებინებ და ჩამოგკიდებ რათა ზედ შეიტრუსო, შეიწვა. შენს გულმკერდს წითელ სისხლს მოვაწველიებ და დავლევ...

...და თრთოდა უძლეველი, ვით შემოდგომის ფოთოლი, გრგვინავდა, ვით ვეფხი, ცოფებს ჰყრიდა, ვით ასპიტი.

იგი კი დიდხანს იდგა უხმოთ და ბოლოს ოდნავი ხმით წარმოსთქვა:

— იყოს ნება ღვთისა. ხელს კი არ შეგახებინებ! — პასუხი იყო ამაყი, მედიდური, სვინდისიანი, სპეტაკი. გაშმაგებამ უმატა უძლეველს. წამოვარდა და როგორც ტყვეობიდან გაშვებული ვეფხი ისე გაექანა ქალისაკენ, მაგრამ მას ქალის სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი მიეგება და უძლეველი ნაზი ქმნილების წინ დაეცა, ვით უღონო, ვით გველეშაპი.

დადუმდა ის არე-მარე. გახმა წალკოტი. შეწყდა სიცილ-კისკისი. განთავისუფლდა მონა. შეჩერდა სამკაულების მზადება. ჩამოეფარა შავი ღრუბელი. დამუნჯდა მეტყველი მხევლობა. დაქვრივდა სასახლე.

ან. ღვინიაშვილი

გალოცვა

(მოგონება)

ჩიჩალაკი... ჩიჩალაკი... რა კარგი ჩიჩალაკის გაკეთება იცის მამამ... ნამდვილი წმინდა ბასილეს წვერებია! — ვუწონებდით მამას მე და ჩემი პატარა ძმები ახლად გაკეთებულ ჩიჩალაკს.

კურკანტელით შევმოსავდით, წითელ ვაშლებს, ფორთოხლებს და ფოჩვიან კამფეტებს გაუკეთებდით და ჩიჩალაკიც მზად გვქონდა. დავკლავდით დიდ ღორს, ათამდე მსუქან დედლებს, დედაჩემი დააცხობდა ხაჭაპურებს, ჩამოქნიდა წმიდა თაფლის სანთლისაგან გრძელ სანთლებს და შეუდგებოდით გასალოცავი გობის მორთვას...

— შვილებო, დილით ადრე უნდა ადგეთ: ჭინჭალამ რომ არ გაჯობოთ, გაიღვიძებთ თუ არა, ხაჭაპურის კიდე პირში უნდა ჩაიდოთ და „მიჯობნია“ უნდა დაიძახოთ, ამ წელში მუდამ გამარჯვებული იქნებით და სწავლაშიც ვერავინ გაჯობებთ.

ჩვენც, ახალ ტანსაცმელს სასთუმალს დავიწყობდით და დედის დაძახებისთანავე ჩაცმული და პირდაბანილი ვიყავით.

— აბა, სიკო, შენ ეს დოქი წამოიღე ღვინით, შენ, სიმონიკო, ქოთანი ღომით და კვერცხით, მაგრამ ფრთხილათ, არ გაგიტყდეთ, დათა კი ჩიჩალაკს დაიჭერს! ჩამოგვირიგებდა მამა, თვითონ კი დიდ გობს დაიჭერდა ორივე ხელში და ჯერ გათენებული არ იყო წავიდოდით მარანში.

რა გინდა, რომ გობზე არ ეწყო: ყველით სავსე დიდი ხაჭაპური, თეთრი ფულები, დედას ნაკეთები აბრეშუმი, ღორის თავი, რგვლათ მოხარშული დედალი; გობს კი გარშემო ანთებული სანთლები ჰქონდა შამოვლებული.

მამა ცოტა ხანს მარანზე ილოცებდა და შემდეგ მივადგებოდით სახლის კარებს.

— კარი გამიღე!

— რა მოგაქვს? — გამოგვძახებდა დედა ჩემი.

— წმინდა ბასილე მობრძანდა, მან მოგვიტანა მისი წყალობა: ოქრო, ვერცხლი, ოქროს საყვირი, კაი წელიწადი, ჯანმრთელობა, სიკეთე და სიხარული.

— კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— წმინდა ბასილე მობრძანდა, მან მოგვიტანა მისი წყალობა: ოქრო, ვერცხლი, სიყვარული და სათნოება, გვექნათ მშვიდობა, თავისუფლება, ჩვენი მტრების და ორგულის დამარცხება, ხალხის გამარჯვება, ჩვენი შვილების გაზრდა-დავაჟკაცება, ჯანმრთელობა. მოგვიტანა კაი ახალი წელიწადი, უხვი პური და ღვინო, სიმშვიდე, მჩაგვრელთა და ავაზაკთა დამხობა, უსამართლობის და ძალმომრეობის განადგურება, ჩვენი ქვეყნის გაჯანსაღება, გაძლიერება და აყვავება.

— კარი გამიღე!

და დედაჩემიც, სამჯერ განმეორების შემდეგ გაგვიღებდა კარს.

— მომილოცნია ახალი წელი, მომილოცნია ახალი წელი! — გვეუბნებოდა დედა ყველას, ჩაგვკოცნიდა და ხელს შეგვავლებდა. მამაჩემი და ჩვენ, ლოცვით სამჯერ შემოუვლიდით დანთებულ კერას. შემდეგ თვითეულათ შემოვიტანდით წინ დღით დამზადებულ რცხილას და დაუდებდით ცეცხლს. ნედლ რცხილას გაქონდა ტკაცა-ტკუცი და გუგუნ-გუგუნი...

შემდეგ მამაჩემი გამოიტანდა წინ დღით გატენილ მაჭახელას და გაუბგიალებდა ძველ წელიწადს...

შენი წასვლა იყოს და მობრუნება არა!.. არამც მენახოს შენისთანა საძაგელი და საძულელი წელიწადი!...

ისმოდა თოფის გრიალი მეზობლებშიაც... ეტყობოდა ძველი წელიწადის მადლიერი არც ისინი იყვნენ.

ჩვენ კი მეტის მეტი სიხარულით აღარ ვიცოდით, რა გვექნა, და ვხტოდით, თოლაბულთას ვთამაშობდით და მხიარულათ გავიძახოდით: ძირს ძველი წელიწადი!..

გაუმარჯოს ახალ წელს!..

ს. რემონიძე

ჩვენი ნაცნობები

1

1918 წელს, ივლისის დამლევს ჩვენი რესპუბლიკის ერთი სათვითმავლო საფარის და ქმოგნური სახელოსნოს გამგის კაბინეტში ზის თვითონ გამგე ამ დაწესებულების, თომა ფულარია და ბუღალტერი, გიორგი გაწერელია.

— იანგარიშეთ რა დაჯდა, N სახელმწიფოს წარმომადგენელმა რომ ჩვენი თვითმავლით ისარგებლა?.. მას უნდა გადახდეს ქირა. — ეუბნება თომა ბუღალტერს.

— შეუძლებელია, რომ ჩვენ რაიმე გადავახდევინოთ N სახელმწიფოს წარმომადგენელს. იმასთან ჩვენ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს. თვითმავალი მთავრობის განკარგულებით მიეცა, და ანგარიშიც, თუ საჭიროება მოითხოვს, მასვე უნდა წარედგინოს.

— რას ჩასჭიდებიხართ ამ მთავრობას!.. რა გაეგებათ სოციალისტებს ანგარიშების. იმათ იციან მხოლოდ, როგორ მოახდინონ რევოლიუცია, როგორ ჩამოართვან მიწა მემამულეებს და სხვა ასეთები... ჩვენ თვითონ უნდა გამოვიჩინოთ თავოსნობა და ხელმომჭირნეობით ხელი შეუწყოთ რესპუბლიკის აღორძინებას.

— ვინც უნდა იყოს მთავრობაში, სულ ერთია, ჩვენ რომ ფული გამოვართვათ N სახელმწიფოს წარმომადგენელს, უფლების გადაჭარბებისთვის მაინც მოგვთხოვენ პასუხს. — მკვახეთ უჭრის სიტყვას გიორგი.

ბუღალტერი სოციალისტია, და უდიერად ხსენება სოციალისტური მთავრობის შეურაცყოფათ მიიღო, წარბები შეიკრა. თომამ შეატყო წყენა და ნათქვამის გამოსწორებას შეეცადა.

— თქვენ, მგონია, სხვანაირად დახსენით ჩემი სიტყვა... მე იმის თქმა მინდოდა, რომ სოციალისტებს არ სცალიათ ანგარიშისთვის, უფრო სერიოზულ სახელმწიფოებრივ საქმეებში არიან ჩაბმულნი.

თომამ სთქვა ეს და გიორგის მალულად დააცქერდა, — მიჯერის თუ არაო, მაგრამ ის როგორ დაუჯერებდა, როცა თავისი გულწრფელობის თვით თომას არ სჯეროდა.

გამგეს ოცი წლის მოხელეობის შკოლა აქვს განვლილი. შუა ხნის კაცია და ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ძველი ადათ-წესები. ქვეყნის დასანახად თუმცა თავდადებული დამცველია დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი თქმით „თვითონაც ძველი სოციალისტია“, მაგრამ ის მაინც ვერ შეგუებია იმას, რომ საჭე სახელმწიფოს მმართველობისა ხელთ უპყრიათ ისეთებს, რომელთაც ერთი წლის წინად საბრძანებლად მეტეხის ციხის ნესტიანი საკანი ჰქონდათ მიჩენილი. თომა ყრუ უკმაყოფილებით შეპყრობილი შემთხვევას არ გაუშვებს, რომ არ ჩაუნისკარტოს აძულებულ მთავრობას, მაგრამ ფრთხილი მოხელე წინდახედულად გადამეტებასაც ერიდება...

— უკვე ნაანგარიშები არის: იმის მგზავრობა დაჯდა 26.000 მანეთი და 53 კაპ. — დაარღვია სიჩუმე გიორგიმ.

— იცი, გიორგი, შენ მართალი სთქვი. — წამოდგა თომა, ხელი დაადო ბუღალტერს მხარზე და ხმის დაწევით განაგრძო: — აქიდან აღებული ფული წიგნებში რომ გავატაროთ, შეიძლება რაიმე შარი მოგვდონ... სჯობია, სანახევროდ... — და წინადადება ხუმრობით საიდუმლო ნიშნების ჩვენებით დაათავა, რაც გამოხატავდა ფულის საამხანაგოდ მითვისებას.

იმდენად გულუბრყვილოდ გადაშალა თომამ თავისი გულის ნადები, რომ გიორგის გაეღიმა და იმის მომართვას დუმილით შეხვდა. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მოისაზრა, რომ მისი შეურაცხმყოფელიც იყო ეს წინადადება; და წამოდგა ფეხზე, გამგეს მიაპყრო თვალები, რომ გაეგო: ხუმრობდა ის, თუ გულით ამბობდა, მაგრამ თომამ ამის გაგების საშუალება არ მისცა, ისიც ადგა და წასასვლელად მოემზადა.

— მე მივდივარ საქმის მწარმოებლის მოსაწვევად, რომ ჩამოგაცალოთ ზედმეტი შრომა... სარდიონ გაბედავას თქვენ იცნობთ, მგონი, საიმედო კაცია. ყოველ ვიგინდარას ხომ ვერ შემოუშვებთ ჩვენს დაწესებულებაში!..

— ქალაქ S-ის პოლიციაში მსახურობდა მწერლად, ის არის?

— მივხვდი... ეხლა აქ უფროს მილიციელად არის.

— პოლიციაში ნამსახური კაცის მე არაფერი მწამს, ის ჩვენ არ გამოგვადგება. ძველ მსუნაგობას ვერ მოიშლის. მახსოვს, საკმარისი იყო მიგეცა მისთვის „ხელის ჭუჭყი“ და, რასაც დაავალებდი კანონიერს თუ უკანონოს, უკან არ დაიხევდა, გაგიკეთებდა. უბნის ზედამხედველის ადგილის მიღება მისთვის უმაღლესი ოცნება იყო.

— მეც მახსოვს, — სიცილით ართმევს სიტყვას თომა, — ის რომ ტრაბახობდა: „მნახავთ ჩქარა, განიერ მხარ-ბეჭზე ვერცხლის პაგონებს რომ გადავიკერებ და პაპისეული მოკაუჭებული ხმლით ვაჟკაცურად დავიმშვენებ გვერდსო“.

— მაგრამ მოულოდნელად კი გაანება სამსახურს თავი; ალბათ, ძალიან შესტოპა, და ბოროტმოქმედებაში დაიჭირეს. ამნაირი კაცის მიღება სახიფათოა.

— ეს მისი ახალგაზრდობის ამბავია, ეხლა ის ჩემი ხნის კაცია. ცხოვრებაში გამოცდილი ფრთხილია და სხვებზე უფრო დასანდობი... მაგრამ, მე შევრჩი ლაპარაკს, მეჩქარება... ჩემს მოსვლამდის ანგარიში დამიმზადეთ. — თომა საქმიანი კაცის მოხდენილი სიარულით გარედ გავიდა...

2

გიორგიმ ვერ მოახერხა კითხვა; და უცნაური წინადადება აკვირვებს, თანაც აშფოთებს. ათი წელი იქნება, რაც მსახურობს სხვა და სხვა დაწესებულებებში და ასეთი მომართვა პირველად ესმის. გიორგის თავი იმით მოაქვს, და ღარიბულ ცხოვრებაში ის აძლევს სულიერ კმაყოფილებას, რომ თავის სამსახურის გრძელი ხანა უმწიკვლოდ ჩაუტარებია, გაოცებულია, საბაბი რომ არ მიუცია ამის, როგორ დასახა გამგემ იმგვარ ზნედაცემულ ადამიანად, რომელსაც შეუძლია ამნაირ ხელანგარების მონაწილე გახდეს?!.

გიორგი დაღვრემილად შედის თავის სამუშაო ოთახში და მოანგარიშეს განკარგულებას აძლევს N სახელმწიფოს წარმომადგენლისთვის ანგარიში დასწეროს. თვითონ მუშაობას განაგრძობს. საშური საქმეები აქვს, მაგრამ აზრები არ ემორჩილება, გულს ვერ უდებს, სულ აურია ნიშები. თომას მიერ გადმონასროლი სიტყვა არ აძლევს მოსვენებას.

— იქნებ, გამოსცადა გამგემ?

და თავის თავზე ბრაზი მოსდის, რომ მაშინვე ცეცხლივით არ აენთო და საკადრისი პასუხი არ გასცა თომას. უნდა ეთქვა:

— თქვენ, ბატონო თომა, საშინლად შეურაცხმყოფთ, ასეთ მდარე ხარისხის ოინებს რომ მიმართავთ ჩემს გამოსაცდელად... იცოდეთ, თუმცა თქვენ მეტი გავლენა გაქვთ საზოგადოებაში, მაგრამ ჩემზე სინდისიერი არც ყოფილხართ, არც იქნებით... თქვენ დენიკინელი ხართ!..

გახსოვთ, ამას წინად რომ სთქვით უფროსებზე გულმოსულმა, ნეტა, დენიკინი დროზე მოვიდეს, რომ წესრიგი დაამყაროსო?.. ჟანდარმული ხრიკებით გინდათ ჩემი შეცდომაში შეყვანა, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ნაფიქრი გაგიცრუვდეთ!.. ეხლა მივხვდი: მე თქვენთვის, როგორც სოციალისტი, არა ვარ სასურველი, იმიტომ მიგებთ მახეს... — უეცრად შესწყვიტა გიორგიმ თავისი მჭერმეტყველობა. იგრძნო, რომ ძალიან შესტოპა. უკანასკნელი მისი აზრი აშკარად არ იყო მართალი. პირიქით, დიდის თხოვნით მიიწვია იგი თომამ სამსახურში, რომ ჰყოლოდა ახლოს ნამდვილი სოციალისტი, რომლისგანაც შეძლება ექნებოდა ახალი დროის შესაფერი მოღვაწეობისთვის რჩევა-დარიგება მიეღო. ხშირად შეიხმობდა თომა მას კაბინეტში და პოლიტიკურ საკითხებზე ხანგრძლივ საუბარს გაუმართავდა ხოლმე..

მოანგარიშემ გამზადებული ანგარიში მიუტანა. ჯამს დააცქერდა გიორგი: 26.000 მან. და 53 კაპ!.. „მერგება მაშ 13.000 მან. და 26 1/2 კაპ.“ — გაუელვა აზრმა მისდა უნებურად და თავის შერცხვა...

ამ ლაპარაკის შემდეგ არ უნდა შეხვდეს უფროსს, რომელიც უკვე დაბრუნდა ქალაქიდან, და ანგარიშს ბიჭის ხელით უგზავნის. თვითონ ჩვეულების წინააღმდეგ.

ასწრებს სამი საათის შესრულებას და შინ მიდის!..

ახალ ნაწვიმარზე საამოდ გრილა. ქუჩის პირას ჩამწკრივებული ხეები, ზაფხულის ჟუჟუნა წვიმით განბანილი, გამოცოცხლებულ სიმწვანით სიჭაბუკის იერს აძლევს მიდამოს. წყალით გამძღარი, კბილებ-დაკრეჭილი ქუჩა გრილ სურნელებას ავრცელებს. გიორგი ნელა მიჰყვება თავის გზას და მშვიდდება ბუნების შეუშფოთველი მდუმარებით: სახელოსნო-საფარე გარე უბანში იყო, და იქ ვერ აღწევდა ქალაქის ხმაური, წვიმის შემდეგ მით უმეტესად, როცა ქალაქის მაჯის ცემა მოდუნებულია. ეხლაც ცამეტი ათასი მანეთის გარშემოა გიორგის ფიქრები, მაგრამ ამ ჟამად გულდამშვიდებულად, შემთხვევით გახსენებულ შორეულ ამბავსავით არჩევს წვრილმანებს... თუ გულით მომცა წინადადება, რომ დავთანხმებულიყავ, მერგებოდა მთელი წლის სარჩო! არ მესაჭიროება თუ?! ახალ ნალოგინები ქალი ამ პაპანაქება — სიცხეში ქალაქში იხარშება. გავგზავნიდი ცოტა ხნით სოფლად, დავასვენებდი; ბავშსაც ვუყიდდი ტანზე, ყველაფერი შემოიფლითა. ჩემი

ჯამაგირი მის ფეხსაცმელსაც ვერ აუთავდა... ვთქვათ, იპოვა ცამეტი ათასი მანეთი! როგორ გაახარებდა თავის „ხვარამზეს“ — მარიკოს: ნელ-ნელა გადაუთვლიდა ათასიანებს!..

მსოფლიო ომის დამდეგს დაიწერა ჯვარი და მას შემდეგ მისთვის არაფერი შეუკერავს... დაუკითხავად ისეთ საუცხოვო საკაბეს უყიდის და შეაპარებს ოთახში, რომ გაიკვიროს, აღფრთოვანდეს, მოულოდნელათ რომ წააწყდება მარიკო საჩუქარს...

— ქალო, მაჭამე რაიმე. ძლიერ მომშივდა. — ქუდი არც კი მოუხდია გიორგის, ოთახში შესვლისთანავე საჭმელი მოითხოვა. — და ერთ გასაოცარ ამბავს გეტყვი.

მარო რომ სუფრის გაწყობას შეუდგა, ჩვილმა აკვანში ტირილი მორთო. დედა ბავშისკენ გაეშურა ძუძუს მისაცემად.

— ამიზეზებულია ბალღი, წუხელის მთელი ღამე არ მაძინა, რაღაცა აწუხებს.

— ნეტავი მაგისთვის ერთი ცალკე ოთახი მოგვცა, რომ იქ, რამდენიც უნდა, იღრიალოს. — ამოოხვრით სთქვა გიორგიმ.

— ბაბალე, გინდა კალგი წითელი კაბა? — ეკითხება გიორგი თავის სამი წლის გოგონას, რომელმაც სუფრაზე საჭმელი დაინახა თუ არა, ხელ-პირ გათხუპნული გამოიქცა შინისაკენ; მიანება თავი ეზოში მარტოკა ხტუნაობას და დაუპატიჟებლად შეუდგა ჭამას.

— მე კი მინდა, დედა კიდე ნუნდა! — ჭადით პირ-გავსებული უპასუხებს პაწია.

— მარიკო, ბაბალე არც შენ გივიწყებს. მოდი, არ დაეძინა ჭყივილას?.. რა გაქვს დღეს სადილათ? წვადი ლობიოს თუ ლობიოს ჩახოხბილი? იქნება, ბატონი ხორცი ბრძანდება ქვაბში?

— ლობიო არაია. — ტიტინებს ბაბალე.

— შენ ვინ გეკითხება, შე ეშმაკო!..

— სულ წყურაა. — არ ცხრება გოგონა.

— წყურია რაღაა? — ეკითხება გიორგი აკვანს მოშორებულ მეუღლეს.

— დამარილებულ თევზს უძახის ასე.

— დამარილებულს?! — ისარ-ნაკრავივით შეხტება გიორგი სკამზე. — ამ სიცხეში ხომ მოჰკლავს კაცს! რამ გადაგრია, ადამიანო, რამ გაყიდინა?!.

— წადი ერთი, შენ წაბრძანდი ბაზარში ვნახავ, რა ტაფამწვარს სჭამ შენი ჯამაგირით!.. დღეს ლობიო ოთხი მანეთია. გულზე შემომეყარა, გავბრაზდი და არ ვიყიდე. ლობიო თავისი საკმაზით ხორცზე ძვირად ჯდება. ხორცს ხომ ვერ მიეკარება კაცი, და არც ვარგა ის... ნუ გეშინია, კიტრიც და პამიდორიც არის, დღეს იოლად გადავიდეთ.

ბაბალე ხმელა ჭადსაც გემრიელად შეექცევა დედ-მამის ლაპარაკში.

— მოდი, შენ და ნუ აიღებ ცამეტი ათას მანეთს, სიმშილისგან კუჭი გიხმება. — წამოიძახებს გულმოსული გიორგი.

სრულიად გადაავიწყდა თავისი განზრახვა, მხატვრულად რომ უნდა ეამბნა მარიკოსთვის...

მოაქვს მარიკოს ღრმა თეფშით ქაშაყი, ძმარ-მოსხმული და ზედ ხახვ-წაჭრილი. ჩაცივებულ კიტრებსა და პამიდორსაც იღებს წყლიდან და საჩქაროდ თლის. სუფრის გაწყობას რომ მორჩება, მერე ჰკითხავს ქმარს:

— ვინ გაძლევს ცამეტი ათას მანეთს?

გიორგი მოუყვება დღევანდელ ამბავს.

— გეხუმრა ალბად, თორემ, თუ გულით გითხრა და არაფერი შეგხვდება, სისულელე იქნება, რომ არ დასთანხმდე... ყველა ქურდობს ან სპეკულიანტობს, თორემ, მიკვირს. ეს ხალხი როგორ სჭამს ნაირ-ნაირებს და იცვამს ფერად-ფერადებს?.. აიღე, მაგალითად, ჩვენი პეტრე: ჯამაგირს შენზე ნაკლებს ღებულობს, სარჩენი კი ორი ჩვენოდენა ჰყავს. შეხედე ეხლა იმის ცხოვრებას?!. საიდან ახერხებს, კაცო, ამას, საიდან!?. ეხლა ბათლომეს ბინის მოწყობილობა ნახე: ოთხი თვალი ოთახი ისე აქვს მოხალიჩ-მოფარდაგებული, იქ რომ შეხ-

ვალ, თვალი აგიჭრელდება. ჩვენ კი ერთ ოთახში ვართ მოკუნტული და შიგ ორი ფეხ-მომ-ტვრეული მაგიდა გვიდგას... გახსოვს: ამ ერთი წლის წინად ბათლომე შენ გთხოვდა გარედ გამოსასვლელ ტანისამოსს?.. ნუთუ ჩვენ გამოვდექით ყველაზე უგლახესი?!. ეს ბავშები რომ არ მყავდეს კისერზე ჩამოკიდებული, მეც დავიწყებდი ვაჭრობას...

გიორგი ნაძალადევად სჭამს, უგემურად... უსმენს ცოლს და სევდიანად იმაზე ფიქრობს, ცხოვრების ორომ-ტრიალი როგორ სცვლის ადამიანს! განა ეს, მის წინ რომა ზის, ის მარიკოა ხუთი წლის წინად რომ გაიცნო, პირმრგვალი, დაუდგრომელი, ცეცხლის მკვესავი შავი თვა-ლებით; ოდნავ მოკაუჭებული კოხტა ცხვირით, რომელიც იმის სახეს ხასიათის სიმტკიცის გამომეტყველებას აძლევდა? სად არის მისი სულიერი სისპეტაკე?.. ეხლა თითქოს კიდეც დადაბლდა! სიყვარულით ანთებული მარიკოს მაყვალა თვალები ჩაბინდებულა!.. წინად სიტყ-ვის ფასი იცოდა, ეხლა კი, რომ მოჰყვება ხან-და-ხან წუწუნს, აღარ გაათავებს.

— ჩვენ რომ პირველად შევხვდით, — დაიწყო მარომ ისევ, — განა იმაზე ვსწუხდით: „სიმინდი სად ვიყიდო“, „ლობიო გათავდა და რა გვეშველება“?.. ჩვენი უმთავრესი საზ-რუნავი განა ეს იყო?.. დაიმარხა ჩემი ოცნება, რომ მსურდა შენი დახმარებით მესწავლა, განვითარებულიყავი... ის დრო სჯობდა, ჭრა-კერვით რომ ვირჩენდი თავს და შენი ხელ-მძღვანელობით ვმეცადინეობდი მუშათა წრეში.

მარიკოს ლაპარაკმა გაახსენა გიორგის მისი მივიწყებული მიზნები, მისწრაფებანი; ცხოვრების ტალღების ამთაგორება და მისი შხუილ-გრიალი აკვნის რწევად და მშობლი-ურ ნანინად რომ ეჩვენებოდა... 1905 წელს გიმნაზიის მეექვსე კლასიდან რომ დაითხოვეს, გული არ გასტეხია. სწავლის გაგრძელება თვითგანვითარების საშუალებით თამამად მი-აჩნდა. ცოდნით აბჯარ-ასხმა უნდოდა, რომ უფრო ნაყოფიერად ემუშავა მუშებში, დაახ-ლოვებოდა ხალხს... ორი წლის განმავლობაში მაგრად ეჭირა ხელში ზე-აღმართულად თავისი მისწრაფების ალამი, მაგრამ შემდეგ დედ-მამის ხელმოკლეობის გამო იძულებუ-ლი შეიქნა სამსახურში ჩამდგარიყო, დაეწყო ბრძოლა ლუკმა-პურისთვის... და მოხვდა მაშინ ცხოვრების ტალახის პირველი შხეფები... გაძნელდა, გაჭირდა ცხოვრება, და შეუმ-ჩნევლად, თანდათანობით ჩაიფერფლა ჭაბუკური ცეცხლი, მის გულში რომ იყო აალებუ-ლი. და ეხლა ნაპერწკალმა რომ იფეთქა მიმქრალ კერაზე და გაანათა შორეულ კუნჭულ-ში მიჩქმალული ოცნების ანგელოზი, გულზე გიორგის გველები შეესია... წლების ქარავ-ნებმა ჩაიარეს. ის დავაჟკაცდა. ტან-დაბალს მუცელიც წამოეზარდა. დაზანტდა. ახალ-გაზდური შერჩენია მხოლოდ გრძელი თმა, უკან გადავარცხნილი, და მაღალი შუბლი...

3

— რა უნდა ამ კაცს ჩემგან? რამ შეაყვარა ასე ჩემი თავი, დაჟინებით რომ მეპატიჟე-ბა საქმის მწარმოებლად? — ეკითხება სარდიონ გაბედავა თავის თავს, სამიკიტნოში სა-დილის ჭამის დროს რომ მოაგონდება დღევანდელი საუბარი თომასთან. სარდიონს უარი არ უთქვამს.

— თუ კომისრობა არ მომცეს ამ ცოტა ხანში, მაშინ გადმოვალ თქვენთან. — შეპირდა.

— მიცადოს, სანამ არ მივიდე... ბედი არ ჰქონია თომას, რაღა მაშინ მიმიწვია, როცა ჩემი სამსახურის სარგებლიანობა ასე თვალსაჩინოა ჩემთვის: დღეს ღალის აკრეფის დღეა!.. — ასე ეძახის სარდიონი იმ ქრთამს, რომელსაც აძლევენ რესტორან-სამიკიტნო-ების პატრონები, რომ მან არ გაამჟღავნოს მათთან მალულად წარმოებული ბანქოს თა-მაშობა. თვიურად ეს შემოსავალი მისი ოთხი თვის ჯამაგირს უდრის... ამის საფასურს თომასთან ის რას მიიღებს?!.

სარდიონი მორჩა სადილობას. დგება და დახლისკენ მიდის. ზანტად მიაქვს ჯიბისკენ ხელი სადილის ფასის გადასახდელად. უგვიანდება ჯიბიდან ფულის ამოღება.

მიკიტანი დახლიდან უცქერის მიჩვეული ასეთ სურათს: სარდიონი, გამძღარი ნაირ-ნაირი საჭმელებით, ყასიდად რომ გაიკრავს ჯიბეს ხელს, ვითომდა ფულის გადასახდელად, შემდეგ კი სხვების გასაგონად ეტყვის მიკიტანს: „დამაწერე, ეხლა მეჩქარება, მერე შემოვივლი და გადაგიხდიო“. გადახდა კი დავიწყებული ამბავი იყო. ამისთვის ამ ზარალთან ერთად სარდიონი რომ უფრო მადლიერი ჰყავდეს, მიკიტანი ეუბნება:

— ბატონო, რას იწუხებთ თავს! დღეს ჩემი დაპატიჟებული იყავით.

სარდიონი, როგორც პურმარილიანი ქართველი, არ ეტყოდა სხვა დროს დაპატიჟებაზე უარს, მაგრამ დღეს ფული ბლომად აქვს და სინდისის გასაწმენდათ იხდის სადილის ფასს.

— განა სულ თქვენ უნდა მპატიჟოთ!.. საღამოსთვის ჩემი საყვარელი საჭმელები დამიმზადე. დღეს შენთან ვქეიფობ ამხანაგებით. — სარდიონს თავის ხარჯზეც უყვარს წაქეიფება და მაშინ ფული არ ენანება, რომ „მხარჯველი“-ს სახელი გაიგდოს. ღამეს გადაათენებს ლხინში და ხმის ჩახრინწიანებამდის „ვასარადა“-ს იმღერებს...

სარდიონი თავმომწონედ გამოდის ქუჩაში. შავ აწკვერტილ ულვაშებზე ხელს გადაისვამს. შეჩერდება. ჰფიქრობს, რომელ მხარეს წავიდეს, რომ ჩქარა მორჩეს „ღალი“-ს აკრეფას. ამხანაგებსაც უნდა შეატყობინოს ქეიფის ამბავი. საცა შევიდა სარდიონი სამიკიტნოში, თითო ჭიქა საუკეთესო ღვინო ყველგან გადააკვრევინეს და მას გული აუმღერდა, ოცნების ყვავილნარში შესცურდა. ქუჩაზე მისთვის მხოლოდ გულმოღიავებული ქალები არსებობენ, რომელთა დატიტვლებული მკლავები ნდომით მღერიან...

სარდიონი ვერ შენიშნავს მისკენ მომავალს ახალგაზრდა კომისარს, სანამ პირდაპირ არ შეეჩეხება. ნაჩქარევად აძლევს სალამს, თითქოს ცუდ საქმეზე დაიჭირესო. კომისარი მარტოდ არ არის. მას ახლავს ლამაზი ქალი, რომელიც კომისარიატთან სცხოვრობს და რომლის ბინასთან არა-ერთხელ ჩაუვლია სარდიონს თავმომწონეთ პატარა გადავერცხლული პაგონებით და განგებ წაყვანილ მილიციელების თანხლებით. ისე ხშირად შეხვედრია სარდიონი ამ ქალს, რომ კარგ ნაცნობსავით, იმასაც კინაღამ სალამი მისცა.

— სარდიონ, გამიხარდა შენი ნახვა! — ეუბნება ახალგაზრდა კომისარი, სარდიონი ელის, რომ უფროსი სასიამოს, თავმოსაწონს ეტყვის...

— ბრძანეთ, ბატონო!

— რესტორან ანონაში, ჩალათა დამრჩა და კომისარიატში ამომიტანე საჩქაროდ, საჭირო საქმეები მაქვს შიგ.

სარდიონი განცვიფრებული და დამცირებული დარჩა. ულვაშებზე ორივე ხელები აისვა გასასწორებლად... უთხრას ამ უზრდელს: თუ დასტოვა, თვითონ წაბრძანდეს და მოიტანოს! ეს ხომ სამსახურს არ შეეხება...

მაგრამ დარდიმანდულად კი უპასუხა:

— ადვილი სამსახურია, იქით მივდიოდი მაინც. — და გაშორდა სარდიონი კომისარს, როგორც უმცროსი უფროსს კი არა, არამედ სწორი სწორს.

— სულ წამიხდინა ხასიათი ამ გაუთლელმა. აბა, რა იქნება, ბალღს რომ დასვამენ კომისრად. მე კი უფროსი მილიციელობის ღირსი ძლივს გამხადეს, პარტიის კაცი არ ხარო. მართალია თომა: არ ღირს მილიციაში სამსახური. საშაროც არის და დამამცირებელიც. ჩემი ხნის კაცი მილიციის უფროსად უნდა იყოს, უბნის კომისრად მაინც. სანამდის უნდა იყოს, ასე კომისრის ხელწამოსაკრავად? ისიც უნდა გაუტოლდეს თუ არა ოდესმე კომისარს, გახდეს მისი ამხანაგი?!. როგორ?.. სამსახურით?.. ქიშვარდიც, ვანოც და სხვები, — ყველა პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. და იმათაც იმედი უნდა ჰქონდეთ კომისრად გახდომის, თუ არა?! არა, სამსახური არ კმარა! ის უნდა გამოირჩეს ამხანაგებისგან, დაუახლოვდეს კომისარს და უფროსებს, რომ მათ შორის თავისიანი გახდეს, რომ, როგორც კი გამოჩნდება ადგილი, ხელი შეუწყონ წარჩინების მიღებაში. დღეს რომ დაეპატიჟებია კომისარი?.. ერთხელ დაპატიჟება რას უშველის! ასეთ პატივსაცემ პი-

რებთან ხშირი ქეიფისთვის მისი თანხები არ კმარა. აუცილებლად უნდა იშოვოს ფული... სისულელეა „ღალი“-ს აკრეფა, თავს ილანძღავს და ბევრიც არაფერია. არ სჯობია, თვითონაც დაიწყოს ბანქოს თამაშობა?!. უფროს მილიციელს, ფულის მოგებას ვინ გაუბედავს!.. რატომ აქამდის არ მოუვიდა ეს აზრად!..

ამ ფიქრებით გართული შედის სარდიონი მახლობელ სამიკიტნოში. დარბაზში არავინ ხვდება პატარა ბიჭის გარდა, და ის პირდაპირ მიმალულ სათამაშო ოთახისკენ მიდის. მოთამაშენი ისე არიან გართულნი თამაშობით, რომ მისი შესვლა ვერ შენიშნეს. ერთმა მოთამაშემ „ბანკი“ დაიძახა. ქაღალდის ფულები სიმინდის ქუჩეჩასავით არის დაზვავებული. თვალებ-დაჭიმულნი შესცქერიან ორი მოთამაშის დაუნდობელ შებმას, რომელნიც ნერვიული სიდინჯით დასცქერიან ბანქოს ქაღალდებს. „ფრიანი“, „ცხრიანი“ — მაყურებელ მოთამაშეთა წამოძახილები არღვევს მოლოდინით შეწუხებულ დუმილს!.. პაპიროსების ხშირი ბოლი გველებივით ირხევა ოთახში ღია ფანჯრიდან შემოჭრილ ნიავის ტალღებზე. ბანკი მოხსნა... მოთამაშენი აჟრიამულდენ... მხოლოდ ეხლა შენიშნეს, რომ თავზე უფროსი მილიციელი ადგათ, რომელიც მედიდურად დასცქეროდა... ერთმანეთს არაფერს ეუბნებიან, ვითომდა შეუმჩნევლად ჰბოჭავენ ფულებს და ჯიბეებისკენ მიაქვთ. მაგიდა მოსწმინდეს... ხველებ-ხველებით იწყეს წამოდგომა და გაპარვა.

სარდიონი გესლიანად უმზერს, როგორ თრთიან მის წინაშე ეს ვაჟკაცები, მტყუან ბავშებივით მიიპარებიან. განგებ არ არღვევს სიჩუმეს, რომ მათი სიგლახაკე უფრო შესამჩნევი გახდეს... წუთის წინ დამცირებული, ეხლა თვითონ სტკბება სხვების დამცირებით.

— როგორ დაფრთხენ! — წაილაპარაკებს ის თავის ძლევა-მოსილების წარმოდგენით და მარტოკა დარჩენილი გაივლ-გამოივლის ოთახში.

— რას ვისიამოვნებ თომასთან ამის მზგავსს! ვაჟკაცი რომ შენ წინ მოიკაკვება, შიშისგან მუხლები დაუწყებს ცახცახს!.. ხა, ხა, ხა!.. შესაბრალისად შეგცქერის თვალებში ბედის გადამწყვეტს...

— კომისარს ჩალათა უნდა მიუტანო!.. — თითქოს ჩასძახა ვიღაცამ ყურში.

რომ იცოდენ, როგორ დასცინებენ მისგან დაჯაბნებულნი, რომ წარმოიდგენენ: ამოდენა ვაჟკაცი პატარა ბიჭივით მიცუნცულებს კომისარის ჩალათის მოსატანად!..

გული გადაუბრუნა ამის წარმოდგენამ.

— ფულები, ფულები, რომ განახორციელოს თავისი მიზანი!.. სად წავიდენ ეს მხდალები?..

ეხლავე გამოსცდის თავის ბედს, ჩაჯდება მოთამაშეებში...

ვინ გაუბედავს, რომ მას წააგებინოს, აჩვენებს სეირს!.. მიკიტანი შემოიხედავს ფრთხილად ოთახში.

— სარდიონ, თქვენა ბრძანდებით?! როგორ ქორივით დარევიხართ ჩემს წიწილებს!..

— მე სათამაშოდ შემოვედი, ისინი კი გაიპარენ. ნუთუ ასე საშინელი ვარ?!.

— ყველანი აქ არიან. სუფთა ჰაერის გადასაყლაპავად გავიდნენ გარედ. თქვენ თუ თამაში გნებავთ, ეხლავე შემოვრეკავ იმ თავხედებს. — ორჭოფი ღიმილით ეუბნება ეშმაკი მიკიტანი.

4

მეორე დღეს თომა მიემგზავრება N სახელმწიფოს წარმომადგენელთან, რომ გამოართვას ქირა თვითმავლის სარგებლობისთვის. სინდისი არ ჰქენჯნის. ის ოცნებობს იმაზე, რომ ანალები თანხით გააფართოვებს თავის ქმოსნურ მასალების მაღაზიას, რუსთაველის ქუჩაზე რომ აქვს. თომას ოდნავ ის აწუხებს, რომ გიორგისაც მოაწერინა ხელი ანგარიშზე და ამიტომ იმასაც წილი უნდა დაუდოს ამ ფულში. ფრთხილობდა, თორემ

მარტო მას კი არ შეეძლო ანგარიშის დამზადება?.. მაგრამ ასეთი გზა სახიფათო იყო: N სახელმწიფოს წარმომადგენელს რომ თავი გამოედო და ეს ანგარიში მთავრობისთვის გადაეგზავნა, მაშინ გამოაშკარავდებოდა საიდუმლოდ გაჩარხული საქმე, და ბუღალტერიც განზე გადგებოდა.

როგორ გაკვირვებით შეხედა გიორგიმ, ფულის მითვისებაზე სიტყვა რომ გადაუკრა?!.

— უცოდველია, ეტყობა, — ჰფიქრობს თომა. — არა მგავს მე, ხელსაყრელ შემთხვევას რომ ხელიდან არ გავუშვებ... ვაი, თუ ივარა გიორგიმ, — სოციალისტი კაცია, — დამიწყო პრინციპებით ლაპარაკი, და მეც ამაღებინა ხელი ამ მოსაგებზე... თუ დასთანხმდა, მაშინ გამოადგება გიორგის „ძველი სოციალისტობა“, ადვილად ვერავინ აიღებს მასზე ეჭვს, და შეხმატკბილებულთ მრავალ სარგებლიან საქმეების მოჭახრაკება შეეძლებათ. — სასიამოვნო წარმოდგენით ხელების თითებს იფშვნეტს თომა. დარწმუნებულია, რომ გიორგის დაითანხმებს...

მიჰქრის თვითმავალი და უახლოვდება თომა N სახელმწიფოს წარმომადგენლის სადგომს, რამოდენიმე წუთის შემდეგ მასთან იქნება. ჩაფიქრდა თომა: ასეთ კაცებთან ჯერ არ ჰქონია საქმე. და სიფრთხილეა საჭირო, რომ ხაფანგს არ მოჰყვეს.

— ფულის გადახდის შემდეგ ხომ არ წავა საჩივლელად?! — მსჯელობს თომა. — აქაური წესების რა იცის იმან?.. ვითომდა, რატომ არ უნდა გადაიხადოს თვითმავლის ხარჯები?!. ორი კვირა აღმა-დაღმა ატარა: საბურავები და კამერები გასცვითა... ეხლა ხალხისაა სახელმწიფო ქონება და მას დაზოგვა უნდა...

ეს საბუთები ფრიად საგულისხმოდ მიაჩნია და წარმომადგენელსაც ასე მოახსენებს.

ახსენდება თომას, რომ წარმომადგენელმა არც ქართული იცის, არც რუსული, არც თომას ესმის ფრანგული ენა, რომ ერთმანეთის გაიგონ. უხერხული მდგომარეობა შეიქნება: მუნჯურათ მოუწევთ ლაპარაკი! ხომ შერცხვა: უმაღლესი ცოდნით აღჭურვილ ადამიანად მოაქვს თავი და ფრანგული კი არ იცის!.. და სწუხს თომა დაკარგულ დროზე, რომ აქამდის არ მოუვიდა აზრად უცხო ენის შესწავლა, მაგრამ თავს იმართლებს:

— არ დამჭირვებია, თორემ ვერ ვისწავლიდი?.. რა გამომყვა სახელოსნო სასწავლებლიდან?.. ჩემი ცოდნით კაცი საზოგადოებაში ვერ გამოვიდოდა, მაგრამ ეხლა არავინ დაიჯერებს, რომ უთხრა, რა მცირე ცოდნით შევუდექი ცხოვრების ჭაპანის წევას. — და ის აღფრთოვანებული ღიმილით იგონებს განსაკუთრებულ უნარს თავის გამოჩენისას, ის რომ ოსტატურად ახერხებდა გამოემზეურებინა თავისი გონებრივი სიმდიდრე, მაგრამ სხვისდა შეუმჩნევლად გვერდი აეხვია იმისთვის, რაც არ ესმოდა, არ გაეგებოდა, რომ შემდეგისთვის აუცილებლად შეევსო ეს დანაკლისი და თავი ისე ლაღად ეგრძნო. ამისთვის იძენდა სხვა და სხვა წიგნებს, ლექსიკონებს...

თომა შედის N სახელმწიფოს წარმომადგენელთან. მას თარჯიმანი დაურჩა, რომელიც უთარგმნის, რისთვის მოვიდა მასთან თომა.

წარმომადგენელი გაკვირვებით გამოართმევს ხელიდან ანგარიშს და უკმაყოფილოდ აცქერდება ნიშებს.

— არ იამა. — ჰფიქრობს თომა და ელის კითხვას. თვითონაც პასუხისთვის ემზადება.

მაგრამ წარმომადგენელი უსიტყვოდ გადის მეორე ოთახში, გამოიტანს ფულს და აძლევს თომას. ანგარიშზედ აწერინებს ხელს ფულის მიღების შესახებ.

ასე ჩუმად, მგლოვიარედ მიღება ფულის არ სიამოვნებს თომას.

— შარი არ მომდოს რაიმე. — შიშობს და გადასწყვეტს, რომ ამ ფულს ჯერ-ჯერობით არ მიითვისებს არც გიორგის ეტყვის, რომ აიღო, დაუცდის ორ-სამ კვირას; და თუ ამ ხნის განმავლობაში წარმომადგენელმა ამის შესახებ არსად განაცხადა, მერე საფრთხილო არაფერი იქნება...

5

სარდიონის მითვლემილი პატივმოყვარეობა გამოაღვიძა თომას წინადადებამ. აღარ შეუძლია მშვიდად ლოდინი იმისა, როდის მოინებებენ უფროსები, რომ დააფასონ მისი მუყაითი და სარგებლიანი შრომა. ის შეპყრობილია მხოლოდ ერთი სურვილით: დააჩქაროს თავისი წარჩინების საქმე... და როგორც კი მოიცლის სამსახურიდან, სამიკიტნოებისკენ მიიპარება ბანქოს სათამაშოდ. ბედი უღიმის: მთელი კვირის განმავლობაში დღე არ გამორევია ისეთი, რომ ფული არ მოეგოს; და უკვე დაუგროვდა იმდენი, რომ შეუძლია სასახელოდ გაუმასპინძლდეს უფროსებს. იტყვის: თითქოს სოფლიდან გამოიწერა ღვინო, სურსათი... მაგრამ უკანასკნელ დღეს სარდიონი ათასიანებს რომ გადადიოდა, დაუპატიჟებლად წაადგა თავზე კომისარი...

მეორე დღეს პაგონებ-აყრილი დასეირნობდა...

მერამდენჯერ არის, რომ უცრუვდება იმედი და წარჩინების კიბეზე ზე-ასვლის მაგიერ გაწბილებული მიწაზე ენარცხება!..

მართალი იყო თომა, რომ უთხრა: პოლიცია–მილიციაში სამსახური საშარო არისო... ეს მეორეჯერ არის, ის რომ აქ შერცხვა, მაგრამ გული მაინც მისკენ რჩება.

რატომ არ დაიქცა ის დღე, მამა-მისმა სამოქალაქო სასწავლებლის გათავების შემდეგ რომ ურჩია პოლიციაში მწერლად შესვლა: „გამოიცდები შვილოო“.. მართლაც გამოიცადა... მაგრამ ერთმა ოქმის დახევამ დააქვეითა სამსახურში. კიდევ კარგი, რომ ვერ დაუმტკიცეს დახევა, თორემ ციხეში გამოალპობდენ...

სარდიონს არ უნდა მაინც თავი მისცეს უბედურებას.

— გამაგდეს, თორემ უადგილოდ დავრჩები!.. ორ კვირაზე მეტია, თომა მეპატიჟება, ავდგები და წავალ მასთან... სარდიონ გაბედავა არ დაბნეულა ცხოვრებაში და არც ეხლა დაიბნევა!... — ასე ამბობს სარდიონი, მხოლოდ გული კი არ მიერჩის, რომ თომასთან იმსახუროს, ახლოს განიცადოს მისი დიდკაცობა საკუთარ უბედობასთან... გრძნობს, რომ მისთვის აუტანელი იქნება თომასთან ხელქვეითად ყოფნა, რომლისთვისაც არა-ერთხელ ჩაუფარებია თავში, შკოლაში რომ ერთად სწავლობდენ... ვერ წავა თომასთან.

დადის უსაქმოდ ქალაქის მტვერიან ქუჩებში. ხან ერთს, ხან მეორე მაღაზიასთან აეტუზება და ვიტრინაში გამოფენილ ნივთებს ათვალიერებს.

დაცარიელდა მისი ცხოვრება. ეხლა სანატრელად ეჩვენება დაკარგული მდგომარეობა. ყურებში უდგას კომისარიატის მოუსვენარი ხმაური, გული მიიწევს იქით, მაგრამ იქ მისასვლელი პირი არა აქვს, და სარდიონ სამიკიტნოში შეუხვევს, რომ განაგრძოს თამაშობა.

სამი დღე მთვრალივით თამაშობდა. გადაათენა ღამეები, რომ დავიწყებოდა თავს დატეხილი მარცხი, მაგრამ, აქნამდის თუ ბანქოს ქაღალდები სწყალობდა, ეხლა მათაც უღალატეს. მთელი მონაგები და საკუთარი თანხაც თოვლივით ჩაადნა ხელში. უკაპეიკოდ დარჩა. მიკიტნებმაც ალმაცერად დაუწყეს ცქერა, რომ შეიტყვეს მისი დათხოვნა სამსახურიდან. სადილ-ვახშამზე არავინ ჰპატიჟებს, სასესხებლადაც ვერ შოულობს ფულს, რომ ხელი გამოიბრუნოს...

ბევრი არ უფიქრია სარდიონს, გაჰყიდა ჩოხა-ახალოხი, უძიროები. იმედი აქვს, ამოიგებს წაგებულს და უკეთესს შეიკერავს.

დაძველებულ ტანისამოსის ამარა რომ დარჩა, რომელსაც მყიდველი არ გამოუჩნდებოდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა სარდიონი, რომ მას ბანქოს თამაში არ სცოდნია, და თუ წინად სწყალობდა ბედი ეს იმიტომ, რომ პროფესიონალ მოთამაშეებს მისი, როგორც უფროსი მილიციელის, ერიდებოდათ, ეშინოდათ; თვითონაც იგებდენ და მასაც უწყობდენ ხელს მოეგო გამოუცდელ მოთამაშეებისგან, რომელნიც ყოველდღე იცვლებოდენ. ბოლოს კი ჟინი ამოიყარეს სარდიონზე.

მოულოდნელად საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა: არც ფული, არც ტანისამოსი! ნაცნობ-ამხანაგებთან მისვლაც არ შეუძლია, რომ ფული ისესხოს!

მშიერს ახსენდება მშობლების მშვენივრად მოწყობილი ოჯახი. მამა-მისი სარდიონისთანას შეუწუხებლად ათს არჩენდა, მაგრამ შვილი სირცხვილობს შინ წასვლას და იქ მაძღრობას, აქ სიმშილს ამჯობინებს, ოღონდ მეზობლებს კი არ დაანახოს თავისი გაჭივრება.

სარდიონ დალხინების დროსაც, თავის სოფლიდან ორი საათის სავალზე რომ იყო, მაშინაც ოთხი-ხუთი წლობით არ ჩავიდოდა სოფელში მშობლების სანახავად.

— ძუნკალ ძაღლივით ხომ არ ჩავალ სოფელში, — იტყოდა ის, — კაცმა რომ ვერ გაიგოს ჩემი მისვლა. მე რომ ჩავბრძანდები მთელი სოფელი ფეხზე უნდა დადგეს... ჩემი ჩოხა-ახალოხის ნახვაზე ყმაწვილებს შურით თვალები უნდა აევსოს... ქეიფს გამართავს ისეთს, რომ საამბობლად დარჩეს საშვილიშვილოდ... და მოაჯადოვებს მის ბედზე გაჩენილს თვალ-ჟუჟუნა გოგოს, ჯვარსაც კი გადაიწერს მასზე!. მაგრამ ეხლა ეს ოცნება სინამდვილისგან ძლიერ დაშორებულია, რომ იგი სოფელში გაემგზავროს. ქალაქშიც კი ერიდება ნაცნობების შეხვედრას, მაგრამ ერთ დღეს თომას პირისპირ შეეჩეხა.

— რატომ არ მოდი, სარდიონ, ჩემთან? ელსმენით გავიგე კომისარიატში, სამსახურისთვის თავი გაგინებებია... ყოველდღე გელოდი.

სარდიონი ჩაფიქრდა, რომ მოეცრუა რაიმე, მაგრამ თომას მისი პასუხისთვის არ დაუცდია, მეგობრულად გაუყარა ხელ ქვეშ ხელი, ჩაისვა თვითმავალში და გააქროლა სახელოსნოსკენ.

6

სამი კვირა გადის, და გამგე კრინტსა არა სძრავს თავის წინადადების შესახებ. გიორგი მშვიდდება იმედ-მოცემული, რომ განსაცდელი აშორდა, მაგრამ გუშინ მუშაობის გათავების წინ თომამ სიტყვა ისროლა, რომ ხვალ გვიან მოვა სახელოსნოში, რადგან N სახელმწიფოს წარმომადგენელთან უნდა შეიაროს ფულის ასაღებად.

თომამ განგებ გააფრთხილა გიორგი, რომ გაეღიზიანებინა მისი ოცნება...

და კვლავ აფორიაქდა სულის სიმშვიდე. ღელვა მისი ეხლა უფრო მტკივნეულია. ხანგრძლივმა ნაფიქრმა დაარწმუნა გიორგი, რომ ცამეტი ათასი მანეთი მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს... დღეს უკანასკნელი ჭიქა გატყდა, და ყიდვის ანგარიში კი არ არის... ყველა დანაკლისებმა წამოჰყო სისინით თავი და მიმჭკნარი თათებით ცამეტი ათას მანეთს წაეპოტინა.

თავი ეზიზღება გიორგის. ვერც მარიკოში ჰპოვა მან გამამხნევებელი, რომ გაბედულად ებრუნებინა პირი მაცდურ წინადადებისგან, ფიქრიც კი ამის შესახებ ამოეფხვრა თავის გულიდან...

დილა-ადრიან გამოდის გიორგი სახლიდან იმ მიზნით, რომ გაუაროს ბინაზე თავის მეგობარს, კოტეს, და ცდუნების თავიდან ასაცილებლად გაუმჟღავნოს მას შეჩენილ ეშმაკის შთანაგონები, რომლის ბოროტი ხელით გამოსკვნილი ყულფი უკვე მოედო კისერზე და ეჭირება წასახრჩობად. გიორგი დარწმუნებულია, რომ, თუ გაუზიარებს კოტეს თავის მოწამლულ ფიქრებს, ის დაუბრუნებს მას ნების სიმტკიცეს, სიმშვიდეს... მაშინ შესძლებს, თავაწეულმა ამაყად ჩაუაროს შესაცდენად გამოწვდილ ხელს. ამ იმედით გულშემსუბუქებულს მიეჩქარება მეგობრისკენ. ზაფხულის დილის სიგრილე კმაყოფილებას ჰმატებს. თავღია, ქუდით ხელში შედის კოტეს ბინაზე, მაგრამ იქ მეზობლისგან გაიგებს, რომ მისი მეგობარი სოფელში გამგზავრებულა...

თითქოს მახლობლის სიკვდილი შეეცხადებინოთ, ისე ეწყინა გიორგის კოტეს წასვლა. თავჩაქინდრული, ხელში ქუდის ჭმუჭვნით ბრუნდება უკან იმედ-გაცრუებული...

ზანტად ადის გიორგი საწერლოს კიბეზე. ამ დილას დაუსწრია მისვლა თომას და მისი კაბინეტიდან ხმა-მაღალი ლაპარაკი მოისმის. გიორგის უნდა, რომ შეუმჩნევლად შევიდეს თავის ოთახში, მაგრამ თომას დაუნახავს და უძახის. უნებურად მიდის ძახილზე. კაბინეტში დახვდა, თომას გარდა, სარდიონი, რომელიც გესლიანად იღიმებოდა, და შოფერი ვანო, მტყუანივით თავჩაღუნული.

— იცით, გუშინ თორმეტ საათზე რომ გავემგზავრე აქიდან, — დაიწყო თომამ, მისალმებას რომ მორჩენ, მაშინვე ამბავი. — ვხედავ ჩვენს საბარგო თვითმავალზე, ეს ბატონი რომ აზის, — მიუთითა შოფერ ვანოზე, — აწყვია მაგიდები, ლოგინები, ქოთნები ყვავილებით!.. ვიღაც უცნობიც უზის ვანოს გვერდით. გავაქროლე ჩემი თვითმავალი და გავაჩერე ვანო.

— ვისია ბარგი? — ვკითხე უცნობ ჯენტლმენს.

— ჩემი არის.

— რამდენს აძლევთ გადატანაში?

— ხუთმეტ თუმანს. — ის მიხვდა, ვანოს შემკრთალი სახე რომ დაინახა, საქმე ცუდად იყო...

იქვე დავაცლევინე თვითმავალი.

— როგორ მოგწონთ?! ჩვენ გვარდიის შტაბის განკარგულებაში გავგზავნეთ, ეს ვაჟბატონი კი ბირჟაზე გამოსულა და სახელმწიფოს ხარჯზე ფულს იგებს. — აღელვებული გაივლის თომა ოთახში და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იტყვის: — ვერა, ასეთი შოფერი ჩემს საფარში ვერ დარჩება!

— ბატონო გამგევ, ჩემი გზით იყო წამოსაღები, იმან შემაცდინა, ცოტა მოყვარეც არის ის კაცი ჩემი, ხათრი ვერ გაუტეხე... სირცხვილის ჭამაც მეყოფა, გუშინ მე რომ ქუჩაში განვიცადე. მაპატიეთ ეს ერთი შეცდომა.

— ყოვლად შეუძლებელია თქვენი დატოვება! — იმედის გამქარწყლებელი სიმტკიცით სთქვა გამგემ. — თქვენ დღეიდან დათხოვილი ხართ, მე რას მემდურით? ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. მე მძიმე მოვალეობა მაწევს: სახელმწიფოს ინტერესების დაცვა!..

შოფერ ვანოს მეტი სიტყვა არ უთქვამს. ის დარწმუნდა, რომ სახელმწიფოს ინტერესები მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. გულმოსული შეტრიალდა კარებისკენ და გარედ გავიდა. ტუჩების ცმაცუნზე ეტყობოდა, რომ თომა ცუდად მოიხსენია.

თომა კი კმაყოფილია თავისი მოქმედებით: ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა მოვალეობის ასრულების დროს! ის მოხდენილად მოუჯდება საწერ მაგიდას და ზე-მდებარე ქაღალდების ფურცვლას დაიწყებს.

გიორგი მოწამე ამ სურათის დარცხვენილად ჰფიქრობს:

სასაცილო ყოფილა მისი შფოთვა, ღელვა!.. თომას უეჭველად ხუმრობით მიუცია წინადადება, თორემ კაცი, რომელიც სხვისგან ასე სასტიკად მოითხოვს სამსახურის შესრულებას, თვითონ როგორ გადასდგამს შემცდარ ნაბიჯს?!. გიორგი თავის შეცდომას იმით ხსნის, რომ ცოტა ხანია, რაც აქ მსახურობს და, ამასთან კიდევ აბნეულ საქმეების გამოსასწორებლად ზრუნვაში ჩაფლულს, არ ჰქონდა საშუალება დაჰკვირვებოდა თომას ხასიათს.

— თქვენ რას იტყვით, გიორგი, რას ჩაფიქრებულხართ? გასაგდები არ არის?

— რასაკვირველია. ეხლა რომ მკაცრად არ მოეპყრათ, ხვალ უარესს ჩაიდენს.

სარდიონს უძახიან. მიდის. გიორგიც აპირებს წასვლას, მაგრამ თომა აჩერებს.

— თქვენთან საქმე მაქვს, მოითმინეთ... ამ სიტყვებით ადგება და კარებს მოიხურავს.

— იცი, გიორგი, მე გამოვართვი ფული N სახელმწიფოს წარმომადგენელს. — „შენობით“ დაუწყო ლაპარაკი, ასეთი ჩვეულება ჰქონდა, როცა მარტონი იყვენ; და ჯიბიდან ამოიღო თომამ ბონების შეკვრა, მაგიდაზე დააწყო. N სახელმწიფოს წარმომადგენელს, შევატყ-

ვე, არ ესიამოვნა ქირის გადახდა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს, ფული გამომიტანა... შენ რას ფიქრობ, გავატაროთ ეს თანხა წიგნებში?.. მე მგონია, არა ღირს. სახელმწიფოს წესთვალის მხილარებმა რომ მიაქციონ ამას ყურადღება, შეიძლება, შარი მოგვდონ! „რატომ და რისთვის გამოართვით“ — სულს შეგვიწუხებენ. ეხლა მეც გეთანხმები, რომ ამ ფულის აღება, მართლაც, უხერხული იყო, მაგრამ ეს უკვე მოხდა, და დაბრუნება ფულის მე არ შემიძლია. სჯობია, ისევ სანახევროდ გავიყოთ... — და თომამ თვალები მიაპყრო ბუღალტერს.

გიორგი გაინაბა საბედისწერო წამი დაუდგა.

— აქ საშიშო არაფერია: ჩვენს დალოცვილ საქართველოში წარმომადგენლები ყოველდღე იცვლებიან. რომც მოხდეს რაიმე, მთელ პასუხისმგებლობას მე ვიდებ თავზე. ისე ავრევ გზა-კვალს, რომ ეშმაკმაც ვერაფერი გაიგოს... მე ვიცი, შენ გიჭირს ეხლა და უნდა ისარგებლო შემთხვევით.

— ჩემს პასუხისმგებლობას მე ვერავინ ამაშორებს თავიდან... შეუძლებელია... გავილანძღებით...

— ეჰ, გიორგი ვინ გაიგებს?! მე საიდუმლოს შენახვაში სამარე ვარ, შენიც არა-ნაკლები იმედი მაქვს.

გიორგი სდუმს და დაბეჯითებით იფშვნეტს ინგლისურ ყაიდაზე შეკრეჭილ შავ ულვაშებს.

— რაა ამდენი საფიქრალი?! — ცოცხლად წამოდგება თომა. — გავიყოთ და გავათავოთ.

უკვირს გიორგის თავისი სიმშვიდე. რად უსმენს ამ მაცდურს?.. უნდა მიაფურთხოს და გავიდეს გარედ. კარები მაგრად მიაბრახუნოს. მაგრამ ის გაყინულა ერთ ადგილას და თვალს აყოლებს, როგორ ითვლის თომა ათასიანებს.

— აი აქ ცამეტი ათასია... მოიტა აქ ჯიბე. — და თომა უდებს გიორგის პიჯაკის ჯიბეში ფულს.

გიორგი ათრთოლდა და ხელი ჯიბისკენ წაიღო გაუბედავად, რომ ამოეღო ფული და თომასთვის ცხვირ-პირში მიეყარა, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და კაბინეტში შემოვიდა ინჟენერი სამმართველოდან.

გიორგი ფულით გავიდა გარედ...

7

თომა კაბინეტში ზის, პაპიროსს აბოლებს და ღია ფანჯრიდან გასცქერის ნაირ-ნაირ შენობებით ამოვსებულ სივრცეს, საიდანაც ქალაქის ნერვიული ხმაური მოისმის; და თომა გრძნობს თავს იმ ჭიდილის მონაწილედ, ქალაქის მტვერიან ქუჩებში რომ სწარმოებს, სადაც გამარჯვებულნი ვარდ-ყვავილებით შემკულნი გულზვიადად დაჰქრიან აბზინებული თვითმავლებით, ქეიფით გატაცებულნი შეჰხარიან თავის დაბადების დღეს. თომა ამ ბედით გალაღებულთა რიცხვს აკუთვნებს თავს.

ის კმაყოფილია მახლობელი დღეებით: სამი საქმე მოაგვარა! ერთი — ფული რომ მიითვისა, მეორე — ამ თანხით ძვირფასი ქონება შეიძინა N ათასეულის მნისგან, რომელიც ეხლავე შეუძლია ოცდაათი ათას მანეთად გაანაღდოს. მაღაზიას ისეთი შნო და ლაზათი მისცა, რომ ადამიანის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს! მესამე, — რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბუღალტერი — ტვინი მთელი დაწესებულების — მოათვინიერა... ეხლა რასაც მოისურვებს, გააკეთებინებს!.. თაფლში მასაც აკვრევინა თითი, და, რაკი ერთხელ იგემა, აწ ვერ მოიშლის...

ოცნებაში გართულს რაღაც აგონდება და შინა-ელსმენით ბუღალტერს გამოიხმობს.

— გიორგი, გესმით? მომეცით დაწვრილებითი ცნობა იმ თვითმავლების შესახებ, ჩვენ რომ ჩავიბარეთ სხვა და სხვა დაწესებულებებისაგან. რამდენია შესაკეთებელი, უვარგისი, კარგ მატარიანი და სხვა.

— ეხლავე მოგიტანთ.

გიორგის გაეხარდა თომას მიერ ამ თვითმავლების გახსენება; ჰფიქრობს: ეხლა კი მოახდენს გამგე განკარგულებას, რომ ამათი სიები გადასინჯული და წესრიგში მოყვანილი იქნეს.

გიორგი გაფაციცებით ეძებს მიღება-ჩაბარების ფურცლებს. ჩქარობს, რომ თომას სხვა საქმე არ გამოუჩნდეს კიდევ, და ეს უბედო თვითმავლები ისევ დავიწყებას არ მიეცეს.

თვითონ შეიტანა თომასთან ქაღალდები. გადასცა და უცდის, როდის მორჩება თომა საბუთების თვალიერებას.

— „რენო“-ს მატარი გვქონია. არაფერი უნდა აკლდეს. თუმცა „ძველი“ შენიშვნად კი აქვს მიწერილი, მაგრამ „ძველს“ მიღების დროს სავარგისო თვითმავალსაც მივაწერდით ხოლმე.

— დიახ. სხვა გაურკვევლობაც არის ამ ფურცლებში. მაგალითად, სწერია: „მატარი ზოგიერთ ნაწილებ-ახსნილი“. შეუძლია, ვისაც აბარია ეს მატარი, კიდევ ახსნას მას ნაწილები და ის კვლავ „ზოგიერთ-ნაწილებ ახსნილი“ დარჩება. გამცარცველს რომ პასუხი ვაგებინოთ, ამის საშუალებაც არ გვექნება.

— ბლომად ყოფილა კიდევ მატარები! — განაგრძობს თომა ფურცლების გადახედვას.

— ამისთვის საჭიროა, ეს ქონება ხელ-ახლად აიწეროს, რომ ვინმე ბოროტმოქმედმა არ გაფლანგოს.

— კარგი, შეგიძლიათ, წაიღოთ.

— მაშ დანიშნავთ კომისიას?

— რის კომისიას?! — გაიოცებს თომა.

— ნუთუ პირველად გესმით? ასჯერ მაინც მომიხსენებია თქვენთვის, რომ ამ თვითმავლებს ხელმეორედ აღწერა სჭირია. — გულმოსული ეუბნება გიორგი.

— ჰო, მართლა, მახსოვს! მაგრამ ეხლა იმისთვის არ მომითხოვია ეს ფურცლები, სხვა ცნობა მჭიროდა. კომისია სხვა დროს იყოს, დღეს არ მცალია.

— მართლა და მართლა, თქვენი მოცლა აქ რა საჭიროა! დანიშნეთ კომისიის წევრები და ისინი უთქვენოთაც გაუძღვებიან საქმეს.

— კარგი, ნუ ცხარობ. წავალ ეხლავე და ხელოსანს მოველაპარაკები, გავიგებ, ვინ არის უფრო მოცლილი, რომ ის დავნიშნო კომისიაში. — ქუდს ხელი მოჰკიდა და წასასვლელად წამოდგა თომა.

— უეჭველად დღესვე უნდა დაინიშნოს კომისია, თორემ უეცრად წესთვალის მხილარები რომ დაგვეცენ თავზე, ორივეს პასუხისმგებლობაში მიგვცემენ.

თვითმავლების აღწერა სრულიად არ აწუხებს თომას, თუ ეს სიები ხანგრძლივად დარჩება ამნაირად, მისთვის უფრო ხელსაყრელია, — სულ სხვა საზრუნვი აქვს. გუშინ ქართულ კლუბში ვახშამზე N ათასეულის მნემ სთხოვა საბარგო თვითმავლის მატარი ეშოვა მისთვის, და თომამ ვერ გააწბილა, რადგან მნისგან მასაც უნახავს სარგებლობა.

თომამ გაიგო, რაც უნდოდა, და ეხლა მნესთან მიეშურება მატარის ფასზე მოსარიგებლად...

მცირე ვაჭრობის შემდეგ შეთანხმდენ. მნე აძლევს თომას „რენო“-ს მატარში თავის უვარგის მატარს და ზედ უთავებს კიდევ თორმეტი ათას მანეთს.

თავის შრომის დასაგვირგვინებლად თომას უნდა ისე მოაწყოს სახელოსნოდან მატარის გატანა, რომ ეჭვი არავინ აიღოს მის ხელმანკიერებაზე.

მგზავრობიდან დაბრუნებისთანავე განკარგულება გასცა:

მისწერონ მთავარ სათვითმავლო სახელოსნოებს, რომ მიიღონ შესაკეთებლად მატარი „რენო“.

— გასაკეთებელი არაფერი უნდა ჰქონდეს ამ მატარს, უფროსმა ოსტატმა მითხრა. — ეუბნება თომას გაკვირვებული გიორგი, რომელიც დაესწრო ამ განკარგულების გაცემას.

ერთი გზობა განიზრახა თომამ გაენდო გიორგისთვის საიდუმლო, მაგრამ თავი შეიკავა და უპასუხა:

— მე თვითონ დავათვალიერე მატარი და ვნახე რამოდენიმე კბილბორბალა აკლია.

გიორგი მიხვდა დაგეშილ ძაღლივით, რომ პატრონი ახალ ნადირობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ეჭვები გულში ჩაიკლა და ჩუმად წავიდა.

თომამ ბუღალტერის გასვლისთანავე გაგზავნა შიკრიკი შოფერ გიგლას დასაძახებლად, რომელმაც მოსვლა არ დააყოვნა.

შემოდის კაბინეტში დაბალი, მაჯაგანი, გაზეთულ ტანისამოსიანი შოფერი გიგლა. თვალები ცელქად უთამაშებს. თავი უტიფრად უჭირავს.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო თომა ვლადიმიროვიჩ!.. მეჩქარება, ბატონო, „მაშინა“ დავტოვე, „რემონტს“ ვუშვრები.

— სხვა დროს როდის ყოფილა კიდევ, ასე რომ აჩქარებულიყვე? — ეკითხება თომა და უფროსის შესაფერი სიდინჯით პაპიროსს იღებს კოლოფიდან და პირში გაიჩხირავს, გიგლასაც მიაწოდებს.

— სხვა პაპიროსებსაც გაგისვრით, — და უჩვენა გიგლამ ზეთში მოთხუპნული ხელები, — თქვენ ამიღეთ ერთი... ბიჭოს „სოლიდნი“ ყოფილა! ამ კვირაში არ მომიწევია „სოლიდნი“, ქესატობა წამომეწია. იფ! — დაჰკრა ნაფაზი.

სკამის საზურგეზე გადაწოლილმა თომამ ნელა გააბოლა პაპიროსი და წყნარი ხმით დაიწყო:

— შენ პატარა საქმე უნდა მოგანდო. მატარი „რენო“, რომელსაც აქიდან წაიღებ, უნდა მიუტანო ერთ კაცს და მისგან სხვა მატარი ამავე ფირმისა წამოიღო.

— კარგი, ბატონო თომა ვლადიმიროვიჩ, დიდი სიამოვნებით! თუ გინდ ემ წუთას... მაგრამ, ეს მითხარით, რამდენს იძლევა, არ მოგვატყვილოს...

უყოყმანოდ დასთანხმდა გიგლა. ეს პირველი საქმე არ იყო, მათ-მიერ ერთად მოჭახრაკებული.

კარგად იცნობდა თომა შოფერ გიგლას, რომ ვერ მიმხვდარიყო, რატომ იწუხებდა ის თავს იმაზე, რომ იგი არ მოტყვილებულიყო.

— ძალიან კარგ ფასს მაძლევს: ძველ მატარს და ხუთი ათას მანეთს. — იცრუა თომამ.

— ყოვლად შეუძლებელია!.. თუ ჩვენი მატარი ვარგა, მოუტყვილებიხართ აშკარად, ბატონო! უარი უთხარით. მე გიშოვით მუშტარს... — განგებ შეიდვა თავზე გიგლამ, თორემ ისიც კარგად არის დარწმუნებული, რომ ასე მუქთად თომა საქონელს ხელიდან არ გაუშვებს.

— საქმე გათავებულია, — შეაწყვეტინა თომამ გიგლას ლაპარაკი. — ხვალ დილას გეტყვი, სად უნდა წაიღო.

— როგორც გსურდეთ, ისე გაჰყიდეთ, მხოლოდ მე კი ამ საქმეში ორასი თუმანი უნდა ავიღო. — მწყრალად ეუბნება გიგლა.

— ნუთუ შენთვის საკმარისი არაა, რომ ყოველდღე ხუთი-ათი გირვანქა ბანჭვინი გრჩება?!. რა გაუმაძღარი ხართ: თითსაც ვერ გაგანძრევინებთ კაცი უფულოდ. მე რომ შენს ადგილას ვიყო, ფულზე სრულიად არ დავიწყებდი ლაპარაკს. მე მოგცემ მაინც ხუთას მანეთს.

— არ შემიძლია.

— პეტრეს წავაღებინებ.

— იცოდეთ, თომა ვლადიმიროვიჩ, პეტრე მე უფრო დამიჯერებს — უარს ვათქმევინებ.

თომა გულს იმშვიდებს. რა საკადრისია მისთვის, რომ თავი გაუყადროს გამურულ შოფერს, მასთან კინკლაობაში ჩაებას. თომა დატკბა. წამოდგა სკამიდან დინჯად, მიუახლოვდა გიგლას, მეგობრულად დაადო მხარზე ხელი და თაფლნარევი, შემპარავი ხმით უთხრა:

— შე, კაი კაცო, ჩვენ წინად როდის გვივაჭრია?!. ასი თუმანი გეყოფა.

გიგლა შუახნის კაცია. ცხოვრებაში საკმაოდ „გამოქექილი“ და ტკბილი ენა ასე ადვილად ვერ აჯადოვებს მის გაქვავებულ გულს.

— ას ორმოცდაათი თუმანი! — გადაჭრით უთხრა გიგლამ და კარებისკენ წავიდა.

— კარგი. — მიაძახა თომამ უკვე გარედ გასულ გიგლას.

თომა, აღელვებული გიგლას თავხედობით, მოუჯდა მაგიდას და გაზეთს მოჰკიდა ხელი, გაახსენდა: წერილი ჰქონდა დასათავებელი, მაგრამ გული ვერ დაუდო და გაგულისებულმა გაზეთი გადაისროლა მაგიდისკენ. გაზეთი ასცდა მიჩენილ გზას და შრიალით იატაკზე გაიშალა.

— ძალიან შევიჩვიე ეს ვირი!.. უყურეთ უმადურს. ფასს წინ-და-წინ მიდებს, არც კი უნდა დაენდოს ჩემს პატიოსნებას. რევოლიუციამ გაათამამა ეს ღორის მწყესები, თორემ წინად გროშს გადაუგდებდი მაგისთანა მსუნაგს და იმითაც კმაყოფილი იყო, — არც გამხელის გეშინოდა... მატარის გასაკეთებლად მიცემა საჭიროებდა წამყოლს, რომელსაც ფორმალური მხარეები უნდა შეესრულებინა. ამ მატარის გადაცვლასაც, — სურვილი აქვს თომას, — ასეთი ხასიათი მისცეს, რომ ეჭვი არავინ აიღოს. კაცი სჭირდება კიდევ... ბუღალტერი გააყოლოს?.. ის მოშინაურებულია!.. ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა და ყურადღებას მიიქცევს... არა და, სხვისი ხელის ჩარევა კიდევ ამ პატარა საქმეში არ სიამოვნებს თომას.

— მაშ, ვის მიანდოს? — სვამს კითხვას და ყველა მოსამსახურეებზე უწინ სარდიონი გაახსენდება.

8

გიგლა რომ გამოდიოდა თომასგან, გიორგიმ ჩაიარა ამ დროს კაბინეტთან და ყური მოჰკრა მათი ლაპარაკის ბოლოს; და ეხლა კი დარწმუნდა, რომ ახალი საქმე იჩარხებოდა... გულ-ამღვრეული მოუჯდა სამუშაო მაგიდას და მიჰყო ხელი ულვაშების ფშვნეტას.

— ბოლო უნდა მოეღოს ამ საზიზღრობას! — აღშფოთებულს ერთი აზრი უტრიალებს თავში.

— გაჩერდი, შენც ხომ მისთაგანი ხარ? — გველმა უკბინა გიორგის გულზე, და ის სამოქმედოდ ამოძრავებული, მოთენთილად მოეშვა.

— როგორ შეებრძოლოს? — უილაჯოდ ეკითხება თავს და უმოძრაოდ განაგრძობს ერთ ადგილას ჯდომას.

გიორგის უკვირს თავისი დაძაბუნება: რამ დაუნელა, წაართვა ის სიმწვავე, სიცხარე, რომლითაც ძველად გამოსთქვამდა თავის აღშფოთებას? ის მზად არის: ძირი ამოუგდოს ამ ბოროტებას, მაგრამ თვით შეცდომილს, ლეღვ-ნაჭამს არ დაჰყვება ის სიმტკიცე და უდრეკლობა, რომელიც სჭირდება სიმართლისთვის მებრძოლს, და შეკვეცილი ფრთები უღონოდ აქვს ძირს დაშვებული.

სიცოცხლეს მისცემს, რომ დაუბრუნდეს ის სულის სიმშვიდე და სისპეტაკე, რომელიც თვის წინად ახლდა. უმწეობა გონებას უბნევს...

ერთ წამს გადასწყვეტს: მივიდეს გამგესთან და პირში მიახალოს, რომ ის ქურდია. მოსთხოვს, მოშორდეს აქაურობას. თორემ... და გიორგის მხოლოდ ერთი საბუთი აქვს მისი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელშიაც თვითონაც მონაწილეა... ამით ვერ შეაშინებს თომას. სხვა ქურდობაზე მითითება კი, რომლის მამხელი ძაფები ხელთ არ უპყრია, თვით მას ჩააგდებს პასუხსაგებ მდგომარეობაში...

გიორგი მიმხვდარია, რომ ლაპარაკი „რენო“-ს მატარს შეეხებოდა. ნუთუ ჰყიდის?.. მაგრამ ის ხომ ჩაწერილია სიაში?!. იქნებ, ნაწილებს აცლის?.. უკანასკნელი უფრო საფიქრებელია... არ დაუშვებს ამას, კმარა!.. უნდა დაჰგლიჯოს ის ჯადო-ქსელი, რომელ-

შიც თომამ განგებ გახლართა, — და ის განიწმინდება, აღმაღლდება... დამცირების წუმპეში ჩაფლულს ისე მოსწყურდა გიორგის სულის გადახალისება, განახლება, ვით ბალღს დედის ალერსი. ბრძოლის ჟინით შეპყრობილმა ტკენამდის მოკუმშა მუშტები...

9

საქმის მწარმოებელი გაბედავა თავის ღარიბულად მოწყობილ ოთახშია, რომლის ავეჯეულობას შეადგენს მოკრიმანჭულე ტახტი, ოდნავი წაკარებით რომ საშინელ ხმაურობას ასტეხს; გაქონილი მაგიდა პურის ნაფცქვენებით და სხვა საჭმლის ნაშთებით; კოჭლი სკამი; მაგიდას ამშვენებს სარკის ნატეხი კბილებ-დამტვრეული სავარცხლით; ოთახის კუთხეში სდგას დაწნული კალათი, რომლის ზემოდ ჰკიდია ჭუჭყიანი პირსახოცი. სარდიონი სამსახურის შემდეგ ისვენებს მყვირალა ტახტზე პირ-აღმა გაწოლილი, გამტვერული ფეხები ზე-დაუწყვია ქვეშაგებზე.

ამ საღამოს შვიდ საათზე თომას უნდა ესტუმროს.

— მარტოკა ვარ, სარდიონ, ოჯახობა სააგარაკოდ მყავს. — უთხრა თომამ. — შემოიარე ჩემთან, ცოტა ხანს ვილაპარაკოთ და შემდეგ ქართულ კლუბში გავისეირნოთ.

საკლუბო ტანსაცმელი სარდიონს არა აქვს და დაღონებულია, თანაც გულ-მოსული. საოცარი ბედი დასჩემდა: მოაწყობს თავის მდგომარეობას ისე, რომ ტანზეც აქვს, ფეხზეც, ფულიც ბლომად უყრია ჯიბეში, — გამოეკრება უცბად მარცხი, და მშვიდობით კეთილ დღეობავ!..

და ეხლა თავმდაბლად თომას უნდა ეახლოს, თომას, რომელიც ვერც სწავლით, ვერც გვარიშვილობით ვერ სჯობია: სარდიონი ძველი აზნაურიშვილია, მათი გვარის ვაჟკაცობა განთქმულია მთელ სამეგრელოში; თომაც აზნაურია, მაგრამ იგი არც კი იხსენიება თავმომწონე აზნაურებში... მაგრამ რა დროს შეესწრო: ეხლა არც აზნაურობა ფასდება!..

— აფსუს, სარდიონ, შენ საწერლოში უნდა იჯდე, საცოდავად აწრიპინებდე კალამს და თომას შორიდან შესცქეროდე, ის ჩალათით ხელში, დიდკაცურად როგორ დააქროლებს თვითმავალს ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროსკენ...

არ დასთანხმდებოდა სარდიონი თომასთან მუშაობას, რომ არ ეგრძნო მისი თავმდაბლობა და მეგობრული მომართვა.

სარდიონმა სამსახურში მისვლის პირველ კვირეებშივე შეამჩნია, რომ სახელოსნოსაფარში ქურდობა ხდებოდა, მაგრამ სდუმდა და თვალ-ყურს ადევნებდა აქაურ ყოფაცხოვრებას, რომ კარგად გარკვეულიყო სინამდვილეში და შემდეგ მან იცოდა!..

სარდიონი აღშფოთებულია, რომ ხედავს: ჯიბეებს ისქელებს თომა და ყოველგან მაინც კარგი პატივი და მიღება აქვს. უნდა თვითონაც ისწავლოს ეს ხერხი, რომ მონაწილე გახდეს ამ სარგებლიან საქმიანობის. ის უცდის ხელსაყრელ შემთხვევას... ორი თვის ლოდინის შემდეგ ძლივს მოვიდა სასურველი წამი: გამგემ დაჰპატიჟა, და სარდიონმა იგრძნო, რომ „საქაფი“ იყო მოსაწყობი...

მეზობლის ოთახში კედლის საათმა ექვსჯერ დარეკა. უნდა გასწიოს, თომასთან რომ დანიშნულ დროზე იყოს. დგება სარდიონი ლოგინიდან, ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს ტანისამოსს, უკმაყოფილოდ წამოავლებს ხელს თავის შეხუნებულ რუსულ ქუდს და მიდის...

შორიდან დაინახა სარდიონმა თომა აივანზე გადმომჯდარი. რომანს ჰკითხულობდა. თომას უყვარდა სიტყვა-კაზმული მწერლობა და დღე დაკარგულად მიაჩნდა, ცოტა რამ მაინც რომ არ წაეკითხა ამ დარგიდან. დიდი სარგებლობა მოუტანა ამ ჩვეულებამ. მისი მცირე ცოდნა გააფართოვა, გადაუშალა ახალ-ახალი ჰორიზონტები, გაუმდიდრა და გაურანდა ენა, მისცა ინტელეგენტის შნო და ლაზათი.

კარების კაკუნზე ძირს იხედება თომა.

— ოჰ, სარდიონ! — ჩასძახებს აივნიდან. — ეხლავ გაგიღებ. მარდად, მაგრამ საკმაო სიდინჯით, რომ თავისი „უფროსობა“ არ შეელახა, წამოდგა თომა კარების გასაღებად.

— შვიდი საათი შესრულდა, და ვიფიქრე, არ მოვა-მეთქი, რომ შენი ხმაც გავიგონე, — სწორედ გერმანელი ყოფილხარ!

მუსაიფით შევიდენ სასადილო ოთახში, სადაც დარაბები დახურული იყო, რომ სიცხისაგან დაეფარათ ოთახი, ბნელოდა შიგ, მაგრამ სარდიონმა მაინც გაარჩია ძვირფასი ჩუქურთმიანი ჭურჭლეულობის განჯინა, გაშლილი სასადილო მაგიდა, ზედ ჩაის მოწყობილობა, ყველი და თეთრი პური...

„ჩინებულად სცხოვრობს!“ — ასკვნის თავისთვის სარდიონი და გადაწმენდილი ტკბილი შეხვედრით ხასიათი ისევ ეღრუბლება.

— მშვენივრად ყოფილხარ მოწყობილი! — გამოსთქვა სარდიონმა თავისი ფიქრი, აივანზე რომ დასხდენ.

უცბად ვერ მოისაზრა თომამ, რა მოწყობაზე ელაპარაკებოდა სარდიონი, მოგვიანებით მიხვდა.

— ხოო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მიკლია. ეხლა პიანინო მაქვს საყიდელი. ბავშვები არ მისვენებენ, სული შემიწუხეს.

„პიანინოს საყიდელი ფულებიც აქვს!“ — შურით გადაჰხედავს სარდიონი ბედით განებივრებულ თომას და მისი გარეგნობა თვალში შეეჩხირება.

„რასა ჰგავს ეს გლახა? — ამცირებს სარდიონი. — ქერა წყალ-წყალა თვალებით. მხრებამდის ძლივს სწვდება. თვითონ მაღლიდან დაანათებს ხოლმე მაყვალივით შავ თვალებს. როგორ ჩამობარდნია ულვაშები? არ უგავს ჩემს ვილგელმივით აწკვერტილ ულვაშებს?“.

— ფრთხილად გაიხედე პირდაპირ ფანჯრისკენ. როგორ მოგწონს ეს გოგონა? — აწყვეტინებს თომა სარდიონს ჩუმ შედარებას.

სარდიონმა დაინახა ფანჯრის ფიტონზე დაყრდნობილი გაფურჩქვნილი კოკორი, 17-18 წლისა, რომლის უმანკოება, ახალგაზრდობა ანდამატივით იზიდავდა კაცის გულს.

— ბედნიერი ხართ, თუ ყოველ-დღე უცქერით მაგ ტურფას!

— მზერაა, კაცო, ბედნიერება?! არა, ამისგან იგი შორს არის... — ვნების ტალღებმა თვალები აუციმციმა თომას და მან თავშეკავებით ჩაიცინა.

— მე რომ ვსთქვა, მეპატივება კიდევ, უცოლშვილო კაცი ვარ, თქვენ კი...

— ცოლშვილიანს, შენი აზრით, პირის გემო არ უნდა ჰქონდეს... მეც ვიყავი ერთგული ქმარი, მაგრამ ამ ბოლო წლებში ავიწყვიტე თოკი... როგორ უნდა გაუძლოს კაცმა ცდუნებას, როცა ასეთი თვალ-ჟუჟუნა უდგას წინ.

— გეტყობათ, თომა, მოსკოვის კაფე-შანტანებში არ ყოფილხართ. გადასარევი გოგოებია! ეს რაა იმათთან!.. მახსოვს, დაშიშვლებულებს წიწილებივით რომ შემოვისხამდი გარშემო... — ნერვიულად ჩაიცინა სარდიონმა და ნდომით გაიწოდინა.

— მოსკოვში შენ რა გინდოდა? — გაკვირვებით ეკითხება თომა.

— ომის პირველ წლებში სპირტს ვზიდავდი მალულად. მოგებიანი საქმე უკეთესი არ იფიქრო! — გამითოვდა ფულები.

— მერე, რატომ გაანებე თავი?

— შიდა-რუსეთში ჩემი წლისანი გაიწვიეს ჯარში, და მე საქართველოსკენ გამოვეშურე თავის გადასარჩენად...

მოგონებამ წაიღო სარდიონის ფიქრი: საქართველოშიც განაგრძობს ვაჭრობას, მაგრამ ეს ისეთ შემოსავალს არ იძლევა, როგორც მოსკოვს მგზავრობა სპირტით. მიჩვეული ფულის ფლანგვას ვერ შეუზომავს მოსაგებს ხარჯსა, და სამოცი ათასი მანეთი, რომელიც ჩამოჰყვა რუსეთიდან, ნელ-ნელა ჩაელევა ხელში... და ის გაჭირვებული მიადგება მილიციის კარებს...

მილიციის გახსენებამ ახალი იარები გაუხსნა. თავის უბედობაზე გულს მოდის. თვალები სიბრაზის ცეცხლით ენთება: ის, რომელსაც უნახავს ცხოვრება, ეხლა თომასთან უნდა იყოს საქმის მწარმოებლად და მის ხუსტურუკს მიჰყვებოდეს?!.

„სარდიონი ყოფილა, და მე კი ვერ მოვახერხე მოსკოვის ნახვა, რომ ერთხელ მაინც გამენავარდა“. — გაიფიქრა უკმაყოფილოდ თომამ და ლამაზისკენ გაიხედა, მაგრამ ის წასულიყო.

— გამოჩნდება გასაღიზიანებლად და იმ წამსვე მიიმალება. — გაწყრა თომა. — მაგრამ ეს ქალი შესადარი არ არის X-თან. — დაასახელა სახელი და გვარი. — მთელ საქართველოში განთქმულია მისი სილამაზე. მრავალი ლექსი დაწერილა და იმღერიან იმის მშვენიერებაზე... ომიანობის პირველ წლებში ფრონტზე ვარ, ვცხოვრობ ერთ მიყრუებულ სადგურზე... — და დაიწყო თომამ გრძელი ამბავი. ის შეხვდა აქ ამ ცნობილ ლამაზს. გაიცნო. უბინოდ დარჩენილს მისცა ბინა. მოთხრობა დაასრულა იმით, რომ მშვენიერი დაიმორჩილა...

უსმენს სარდიონი საინტერესო შემთხვევას და ჰკვირობს, როგორ სწყალობს ზოგიერთს ბედი!.. მისი ღირსებები კი დაუფასებელი რჩება.

შებინდდა, მთების გრილმა სუნთქვამ გადაუარა გახურებულ ქალაქს, და თომა კიდევ იწყებს ამბავს თავის არშიყობის მატიანედან.

სხვა დროს სიამოვნებით მოუსმენდა სარდიონი თომასავით ენაწყლიან მოამბეს, მაგრამ დღეს ამის ხასიათზე ვერ არის. გარკვეული მიზნით წამოვიდა თომასთან, დარწმუნებული, რომ საქმეზე მოელაპარაკებოდა. იგი ზღაპრებს მოუყვა!.. ნუთუ მხოლოდ ამისთვის დაიბარა? განა სხვა ვერავინ ნახა, რომ თავი მასთან გაერთო?.. ცოტა ჰყავს წარჩინებულ პირთა შორის ნაცნობ-მეგობრები, რაღა მასზე მოიცალა?.. თუ თავისი არშიყობის ისტორიის მოსასმენად დაიბარა, სარდიონ ადგება და წავა, თავს ისე არ დაიმდაბლებს, რომ საათობით უსმინოს მის წილადობილას.

თომას სრულიად არ ეტყობა, რომ სურვილი ჰქონდეს საქმეზე მოლაპარაკება დაიწყოს და განაგრძობს ამბავს. სარდიონი ჯერ კიდევ აჩვენებს თავს, თითქოს დიდი ხალისით უსმენდეს, მოუთმენლობით კი სული ყელში ებჯინება, წინადადების დათავებას უცდის, რომ ადგეს და გამოემშვიდობოს...

თომამ დაათავა მოთხრობა და ზედვე მოაბა:

— ეხლა კი დროა, კლუბში წავიდეთ.

სარდიონს თავისი დაკერებული შარვალი და დანგრეული ჩექმები დაუდგა თვალწინ.

— მე არ ვფიქრობდი, კლუბისკენ თუ აპირებდით წასვლას, და შინაურულად ჩავიცვი.

— კარგად გაცვია, კაცო. — სთქვა თომამ და ახედ-დახედა სარდიონს, მაგრამ დათვალიერების შემდეგ მისი დაჯერება არ განუგრძვია.

— მაშ, აქ ახლოს წყნარი რესტორანი მეგულება, იქ შევიდეთ და ცოტა წავივახშმოთ.

ეს დაპატიჟებაც არ სიამოვნობს სარდიონს. თავის მხრით უნდოდა დაევალებინა თომა, რომ შემდეგ სურვილისამებრ ესარგებლა ახალი მდგომარეობით. ეხლა კი უკუღმა ხდება. სარდიონი უარობს, რომ მას არ სცალია, უნდა წავიდეს.

— დამიცადე მაინც, ერთათ გავყვეთ. — ოთახში შედის თომა ტანზე ჩასაცმელად...

რესტორანის ელნათურით განათებულ პატარა ბაღში სხედან განმარტოებით სარდიონი და თომა. მათ მოშორებით ზის უცნობი ქალ-ვაჟი, რომლებსაც საჭმელი ხელუხლებლად უდევთ წინ და წყნარად, გატაცებით საუბრობენ.

ცოცხლად შემწვარ წვადზე დალეულ კახურის შემდეგ სარდიონი ქეიფზე მოვიდა. კარგა ხანია, რესტორანში არ შესულა და მოაგონდა ტკბილი დღეები, ის რომ უფროს მილიციონერად იყო.

— მიკვირს, თომა, შენ როგორ საუცხოოდ წაუძეხ შენს ცხოვრებას. — ამოიბა ენა სარდიონმა და „შენობით“ დაუწყო ლაპარაკი გამგეს. — გახსოვს, სასწავლებელში რომ ვიყავით, წუღებიდან თითებ-გამოვარდნილი დავრბოდით?..

— ყველაფერი მოხერხებაზეა, ჩემო ძმაო, დამოკიდებული. შემთხვევაც ხელიდან არ უნდა გაუშვა.

— ყველაფერს ბედი უნდა, თომა. — გულდაწყვეტით ამბობს სარდიონი.

— აი, ჩვენთან ჰყრია უსარგებლოდ დამტვრეული თვითმავლები. იმის გაკეთების და მოხმარის შნო ჩვენს მთავრობას არა აქვს. შენ რომ კარგმა მეგობარმა გთხოვოს, გადამიცვალე თქვენი მატარი ჩემს მატარზეო, რომელიც მას არ გამოსდგომია, — ეტყვი განა ამაზე უარს?..

— თუ არაფერი დამიშავდება, დიახაც არა. — გამოტეხით უპასუხებს სარდიონი. შეატყო პოლიციური ალღოთი, რომ ეხლა „საქმე“ იწყებოდა.

— ერთი ძმა-კაცი შემომიჩნდა, რომ გადაუცვალო... მეც ვერ უთხარი უარი, ნაპურმარილები ვართ... ხვალ მინდა გაუგზავნო „რენო“-ს მატარი, და ის მაგიერს იძლევა. სხვასაც დავავალებდი ამის შესრულებას, მაგრამ შენ ყველაზე უფრო გამოცდილ ადამიანად მეგულები. მარტო შოფერს რომ გავატანო, არ მინდა... რას იტყვი, სარდიონ?

— ეს, ბატონო, ადვილი სამსახურია! — უპასუხებს შეზარხოშებული სარდიონი. ჯიუტ შოფერივით არ მოუთხოვია ჯილდო. უხვი ვახშმის შემდეგ როგორ აღეძვროდა ამისთვის ენა?.. სხვა დროს ორკეცად აინაზღაურებს თავის ნაშრომს. ჯერჯერობით საკმარისია, რომ გამგესთან „შინაური კაცი“ გახდა. აწ მასაც ეხსნება ხელები და თავშეკავება იმან არ იცის. მის წინ გაშლილ ახალ ასპარეზზე მაინც მოიჯერებს გულს. იმედის ვარდებით მოექარგა მომავალი. გრძნობით აღვსილი სარდიონი იღებს ქარვის ჭიქას და:

— ჩვენი გამარჯვების იყოს! — შესძახებს თომას და ჭიქას ჭიქაზე მიუკაკუნებს.

— კიდევ ბოთლი! — გასძახებს თომა მსახურს.

10

ძლიერ ცუდ გუნებაზე დაბრუნდა თომა მთავარ სამმართველოდან, სადაც დაბარებული იყო. უფროსს მისალმებაზე პასუხიც არ მიუცია, შევიდა თუ არა მასთან, კითხვით მიმართა:

— როგორ გაბედეთ N სახელმწიფოს წარმომადგენლისგან ფულის აღება? ვინ დაგავალათ?..

— ბატონო, მომეცით ნება, მოგახსენოთ, ჩვენი ქვეყნის გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა მამოძრავებდა მე, გადამედგა ასეთი ნაბიჯი.

— თქვენ რა გამოძრავებდათ, ეს ჩემთვის სრულიად საინტერესო არ არის! თქვენი თავის-ნება მოქმედებით მე დღეს სასტიკი შენიშვნა მივიღე მინისტრისგან.

დიდ ხანს ესაუბრა თომა უფროსს, თითქოს დააჯერა კიდეც თავის ნამოქმედარის მიზანშეწონილობაში, მაგრამ უფროსი მაინც ითხოვდა ყველა საბუთებს ამ საქმის შესახებ, რომლებიც ფულთან ერთათ უნდა წარედგინა სამინისტროში.

ელდა დასცა თომას ამ მოთხოვნამ. საიდან მოიტანოს საბუთები, რომლებიც ქვეყნად არ არსებობენ?.. თომა მაინც შეპირდა საბუთების მირთმევას.

ოცი წელია, რაც მსახურობს თომა. ბევრი საქმე მოუჭახრაკებია, მაგრამ ბნელ მუშაობაზე არასოდეს შემოსთენებია. ეხლა კი დაუდგა განკითხვის დღე! ამდენი ხნის ნაშრომი, საზოგადოებაში დამსახურებული პატივისცემა, საქმიანი კაცის სახელი, — ყველაფერი ნიავდება ოციოდე ათასი მანეთის მითვისებით. სიმართლეა ეს?!. სახელოსნოში თომა ისე ჩქარა მოსრიალდა, გზაში ყოფნა არც კი უგრძვნია. აზრთა უიმედო წყვეტებისგან თავში საშინელი ქარბუქი უტრიალდება. ნიადაგი მის გარშემო ცეცხლის ენებით მოიფინა, რომლებიც ხან სად და სად ამოყოფდენ თავს ყაყაჩოსავით და ტანისამოსზე ედებოდენ, ალმურს უნთებდენ. თომა თვალებ-დაჭიმული ეძებდა ბილიკს ცეცხლოვან ყვავილნარიდან თავის დასაღწევათ, მაგრამ ამაოდ, — ვიღაცას ბოროტ ხელს წინდახედულად ყველა გზები შეეკრა.

— რანაირად აღადგინოს საბუთები?.. კიდევ ახალი სიყალბე ჩაიდინოს?.. წიგნებშიც უნდა გატარდეს!

მოუსვენრად ბოლთასა სცემს თომა თავის კაბინეტში. უეცრად ახსენდება, რომ პასუხს მარტო ის კი არ აგებს: ბუღალტერიც თანამოაზრე მისი ბედის და თომას იმედი მოეცა, იქნება, მან მოისაზროს ხსნის საშუალებაო.

გიორგი მხიარულად შემოდის კაბინეტში. იგი დარწმუნებულია, რომ კომისიის დანიშვნის შესახებ მოსალაპარაკებლად მოიხმო თომამ.

— მე გამოვარკვიე, ვინ დავნიშნოთ კომისიაში. — მიახარებს გიორგი.

თომა, რომელიც უმიზნოდ გაიცქირებოდა ფანჯარაში, მოტრიალდება გიორგის ხმაზე.

— კომისიას მე და შენ, მგონი, მეტეხის ციხეში დავნიშნავთ. — თავის მხრითაც აამებს თომა გიორგის და ყველაფერს დაწვრილებით უამბობს.

გიორგი უსმენს და გაგონილს არ უჯერებს. თავი სიზმარში ჰგონია.

— მართალს ამბობ? — ეკითხება გაშტერებული.

დუმილია. პასუხს თავის დახრით აძლევს თომა.

— თავი დაიღუპე და მეც დამღუპე!

— ერთი მეორეზე ჩივილის დრო არ არის. უნდა გამოვნახოთ ღონისძიება, რომ უსიამოვნო მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ფულის გადახდას მე ვკისრულობ, შენ იმ წიგნებს მოუხერხე რაიმე.

— წიგნებს?! — ეკითხება გიორგი, ამოიოხრებს და ღრმად ჩაფიქრდება.

თომა სულ-განაბული ადევნებს თვალს მისი სახის გამომეტყველებას, იჩქარის, გიორგის თქმამდის ამოიკითხოს სახეზე მისი გადაწყვეტილება.

გიორგისთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამ ოპერაციების წიგნებში გატარება ეხლა შეუძლებელია: და ის ამაზე სულ არ ჰფიქრობს. დამღუპველი ცამეტი ათასი მანეთის გასუქებული ნიშები ეჩხირება მის სივრცეში მიპყრობილ თვალებს. იმ ფულით ნაყიდი შარვალი, რომელიც აცვია, გახურებულ შანთივით ედება ტანზე. ლურჯი ფერის წელზედა, ცოლს ხომ უყიდა, დაფრიალებს მის ცხვირ-წინ.

— პირველად რომ გაგიცანი, ლურჯი წელზედა გეცვა, მარიკო. როგორ გიხდება!.. პირველ ჩვენს შეხვედრას მაგონებს.

— ეხლა რას გაგონებს? — ეკითხება ნიშნის გებით თავს. — ღირსების ახდას, ამხანაგების დაკარგვას, გარიყვას ცხოვრებისგან!.. უმძიმს გული. დე, გასკდეს მიწა და ჩაიტანოს! — აქედან გასვლა არ შეუძლია. უნებლიედ სკამისკენ მიიწევს და დაღლილი ჩამოჯდება ზედ, გარეტიანებულ თავს იდაყვებს აყრდნობს.

თომა შესცქერის გაფაციცებით. ელის გიორგისგან იმედის სხივს, მხოლოდ წყარო იმედისა საიმედო ნიშან-წყალსაც არ ატარებს.

— გიორგი, ამოიღებ შენ ხმას? — გულმოსულად ეკითხება მოთმინება დაკარგული თომა.

— ეს საქმე შენ ისე დაიწყე, რომ მე არ დამკითხებიხარ: ეხლაც იმნაირადვე დაასრულე.

— შენ გინდა ხელი დაიბანო?! — ამ შესაძლებლობამ მთლად აუბნია გონება თომას.

— რომ შემეძლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ანგარიშზე მეც მიწერია ხელი. — თომას გულს მოეშვა, თითქოს ამაზე ყოფილიყოს დამოკიდებული მისი ხსნა.

— მაშ რა ვქნათ?.. წიგნებში არსად ჩაიწერება?

— მთავარი დავთრები, მოგეხსენება, სახელმწიფო წეს-თვალის-მიერ ფურცლებდათვლილი, ძაფზე აცმული და მათი ბეჭდით დალუქულია. არც ამოხევა, არც ჩამატება ფურცლის არ მოხერხდება.

— მივაწეროთ, კაცო, როგორმე სადმე დავთარში... — არ ჰკარგავს თომა იმედს.

— დღევანდელი რიცხვით შეიძლება.

ორივე პირშეთქმულებივით იღებენ მაგიდაზე მდებარე ვერცხლის სათუთუნედან პაპიროსებს და ნაფაზს ნაფაზზე დაჰკრავენ... გიორგი განაგრძობს ჯდომას და სათუთუნეს ნაკეთობას ათვალიერებს. თომა ტოკავს ოთახში. ბაგეებს იკვნეტს.

— უფროსმა მკითხა, რატომ არ არის ეს ფული წარდგენილი სამმართველოში... ამ დღეებში წესთვალის მხილარებიც გვეწვევიან. მხილარმა გივიშვილმა გადმომილაპარაკა ქართულ კლუბში: „გადაღმა კვირაში თქვენი სტუმრები ვართო“... რას გაჩუმებულხარ? მაშ ხსნა არ არის?

— სანამდის ბუღალტერიის წიგნები არსებობს, ხსნა არ არის!

— წიგნები!? — იმეორებს თომა და... რაღაცა აზრმა სახე გაუცისკროვნა. უცბად მოჰყვა ისტერიულ სიცილს.

— რა მოგივიდა, კაცო?.. დამცინი, თუ რა ამბავია? — ეკითხება გაოცებული გიორგი.

— დავთრები საწერლოსთან ერთად დაიწვება! — ყურში უჩურჩულებს თომა და კვლავ ხარხარს მოჰყვება.

გიორგი თვალებ-დაჭყეტილი უცქერის თომას სულთქმა შეკავებული. ვერაფერი მოუსაზრებია... იმასაც ჰფიქრობს, რომ იქნებ, ხუმრობს თომა, და არავითარი საფრთხე არ მოელის მათ, ასეთ კარგ გუნებაზე რომ დადგა. ის არ შეარჩენს თომას ამნაირ ოინს!..

თომა დამშვიდდა. არავის რჩევა-დარიგებას აწ აღარ საჭიროებს. უკვე მზადა აქვს სამოქმედო გეგმა, რომელსაც განახორციელებს. ვინ დაუდგება წინ?!. თომამ ყოყმანი არ იცის!

— გიორგი. — ხელმეორედ ეძახის თომა თავჩაქინდრულ ბუღალტერს. — კაცო, ასწიე თავი. არც ისე საშინელია ჩვენი მდგომარეობა, შენ რომ გეჩვენება. ხსნის ჯვარი უკვე ხელთა მაქვს. დამიგდე ყური. — სკამს წაიღებს და პირისპირ დაუჯდება გიორგის და ჩუმად დაუწყებს ლაპარაკს:

— წარმოიდგინე, შენ ანგარანში მუშაობ საღამოობით. ვთქვათ, საჩქაროდ უნდა შეადგინო საავანსო ანგარიში. აქვე დგას ორფუთიანი ბანჭვინიანი ბიდონი. ბანჭვინის ანგარანში შენახვა არავის გაუკვირდება. სამ საათს შემდეგ, როცა საწყობი იკეტება, აქ ხშირად დაგვიდგამს ბანჭვინი სათადარიგოდ, მოულოდნელ საჭიროებისთვის. მუშაობის დროს ნავთის ნათური აფეთქდება. იმას მაგიდიდან გადმოვაგდებთ. უცბად გაგვახსენდება, რომ აქ ბანჭვინი არის. ალი ედება ბიდონს, რომელსაც ქაღალდი ხურავს თავზე. ბანჭვინს რომ ცეცხლი გაუჩნდეს, დაღუპვა აუცილებელია. შენ გარბიხარ გარედ ყვირილით: „ცეცხლი, ცეცხლი!..“ ჩვენ საყვარელ დავთრებს კი ედება ალი! — ჩურჩულით ათავებს აღფრთოვანებული თომა და ხელს ჰკიდებს გიორგის მაჯაზე, რომელიც არც კი ჰფიქრობს ხელი გაუწოდოს.

— მოშორდი აქედან! — თომას ხელის მოკიდებისგან გველ-ნაკბენივით წამოვარდება გიორგი ფეხზე. — მე მონაწილე ამ ახალ ბოროტმოქმედების, იცოდე, არა ვარ... არ მაკმარებ, რაც ჩავიდინე, და ეხლა გინდა, სულიან-ხორციანად ეშმაკს მივსცე ჩემი თავი?!. გაიგე, არ მინდა!.. განა მიეცემა კი დასასრული შენს ბოროტმოქმედებას?.. ხვალ ის გამოჩნდება, რომ „რენო“-ს მატარი გაიტანე სახელოსნოდან სარდიონის დახმარებით, ვითომდა გასაკეთებლად წაიღეთ და უკან კი დააბრუნეთ იმის მაგივრად სრულიად უვარგისი!.. ვერ შევნიშნე, გგონია?.. ისარგებლე იმით, რომ მატარის რიცხვადი არც სიაში, არც დავთარში იყო აღნიშნული. გათავდეს ეს თამაში!.. მეც დავიღუპები, მაგრამ შენც თან გადაგიყოლებ... ბატონო თომა, მე ესეც შემიძლია. — და გიორგიმ ისე ღონივრად დაჰკრა მაგიდაზე მუშტი, რომ ზე-მდებარე ყველა ნივთები ააცეკვა.

თომა გარინდებული უცქერის გიორგის სისხლმორეულ თვალებს და ატყობს, რომ გიორგი ისეა აღტყინებული, რომ, თუ ის კიდევ გააღიზიანა, საქვეყნოდ აღიარებს საიდუმლოს, გამოკეთებულ საქმეს ჩაუფუშავს. თომამ გიორგის დასამშვიდებლად ამჯობინა თვალიდან მოშორებოდა.

11

გიორგი გონება-აფორიაქებული ვეღარ განაგრძობს მუშაობას და სახლში მიდის. მახლობელ ქუჩის მოსახვევიც არა აქვს გავლილი, რომ შინ წასვლასაც გადაიფიქრებს. მარიკო რომ დაინახავს მის აშლილ სახეს, დაუწყებს გამოკითხვას, ჩაძიებას: „რა მოუვიდა, რა დაემართა?“ გიორგის კი მუსაიფის თავი არა აქვს... ქალაქის განაპირა უბნისკენ გადაუხვია, რომ მარტოკა დარჩენილიყო დაუდგრომელ ფიქრთა ხროვასთან...

შემოდგომის ქარი შეწუხებულად ჰქრის. ხან ქოხის სახურავზე გაუსვამს ლეკურს, ხან ღმუილით ბუხარში ჩაიყურყუმელავებს. გიორგის რომ დაინახავს პალტოში გახვეულს, თავზე ქუდ-ჩამოფხატულს, ჩქარად მიმავალს, — გაშლის ფრთებს და რუხ ქუჩაზე ძალგულოვნად გაფრიალდება, ობოლ მგზავრს თან წაიტაცებს, მაგრამ მსწრაფლ სტოვებს, თითქოს სურს დაასწროს მყუდრო ბინის მონახვა და მტვერის სვეტს უკან გაიყოლებს. უცბად შესდგება მინდვრის პირად და შეშლილივით დაიწყებს ტრიალს. უჩინარ ხელებზე ფერ-დაკარგულ ქაღალდის ნაგლეჯებს ააცეკვებს... ჩამობნელებულ ცაზე მოპირქუშული უზარმაზარი მდევები მიილტვიან შურის საძიებლად თვალში ამოღებულ უცნობ მხარისკენ. შუადღე არის, ისე კი ბნელა, თითქოს ახალ-შეღამება იყოს.

სევდიანი ბუნების ცქერამ მთლად დაუხურა გიორგის გული, თავი უმძიმს ფიქრთა ორომ-ტრიალით. ელვარე აზრი აზრს სცვლის და ცეცხლის სავარცხლად ტვინსა ედება, და ვეღარ არჩევს ავსა კარგისგან. ვეღარა მსჯელობს. სურათები სურათებსა სცვლის შეუჩერებლად:

...ცეცხლი მოედო საწერლოს. ავარდა ალი და თავისი ცხელი ენით ფანჯრის მინები ალოკა. მუშები გამოსცვივდენ სახელოსნოდან. შეიქნა ირგვლივ ყვირილ-ხრიალი. ყველა იძლევა განკარგულებას: „წყალი, გვიშველეთ“, „ე, კიბე აქეთ“, „გამოიტანეთ ჩქარა ქონება“...

...ვეღარ მოასწრეს დაწვა. ხვალ დილით მოდიან სახელმწიფოს წესთვალის თანამშრომლები... ძლიერ ცდილობს თომაც, თვითონაც, რომ დაუბნიონ იმათ გზა-კვალი, დრო გაიყვანონ, მაგრამ ვერას გახდენ, ვერ მოატყუეს... აღმოაჩინეს ფულის მითვისება, ოქმს უყენებენ. თომა ხრიკებს მიმართავს: „აქ რაღაც შეცდომაა!.. დღეს დაღლილი ხართ, ხვალ დალაგებით განვაგრძოთ ძებნა და კვლევა საბუთების“. არ გადის ხერხი... თომა გაიხმობს გივიშვილს გარედ. სურს გადიბიროს თავის მხარეზე... მეორესაც ჩუმად რაღაცას ესაუბრება... ყოველი ცდა უნაყოფოა, — ვეღარ მიჩქმალა მან ბოროტება... ოქმი შესდგა.

თომა უარობს ხელის მოწერას. მხილარები მიდიან აღშფოთებულნი... დავიღუპეთ!..

...გიორგის იჭერს მილიციელი. ჩასვეს უკანასკნელად თვითმავალში და გააქანეს მეტეხისკენ თომასთან ერთად... და მარიკო სტირის ცხარედ, გულამოსკვნილი, ისე მწუხარედ, როგორც მაშინ, როცა შეიტყო, რომ მისმა ქმარმა ფულები მიითვისა: იგი მოსთქვამდა მაშინ ისე, თითქოს მიცვალებული ჰყოლოდეს სახლში, რომლის დამარხვასთან ერთად იმარხებოდა მისი რწმენა და იმედები...

...ცეცხლმა ანგარანის სახურავში ამოჰყო წითელი ენა და ნიავზე გველივით დაიწყო თავის ქიცინი. ჰხედავს კარიდან საშიშარ წიგნებს, რომ იფერფლება და იმარხება მათი საიდუმლო... თვალთმაქცობს გიორგი: ღელავს, დარბის, ჰყვირის, რკინის ჯოხს ეძებს, რომ დავთრები, საბუთები გადაარჩინოს. უნდა ცეცხლში შეიჭრას იმათ გამოსატანად, — არ უშვებენ. ის ილანძღება... ხა, ხა, ხა! როგორ ატყუილებს მაყურებლებს! გამოიტანს კი არა, პირიქით ცეცხლს შეუკეთებს...

...გიორგი არ ანებებს თომას დაწვას. უდარაჯებს, უშლის ხელს, რომ არ წაუკიდოს შენობას ცეცხლი... ვერ წარმოუდგენია, როგორ დაეცეს, გათახსირდეს იგი ამრიგად, რომ ერთი ბოროტების დასაფარავად ჩაიდინოს მეორე, პირველზე უარესი... პირველი შეცდომაც ლოდად აწევს გულზე და რომ აგონდება, სირცხვილის ოფლში იწურება. თავი ეზიზღე-

ბა, ფეხ-ქვეშ რომ გასთელა მან სისხლ-ხორცში შეზრდილი პრინციპები, რომლებითაც ამაყობდა, თავი მოჰქონდა... ის რომ უყურებდა ძველი მოხელეების მექრთამეობას, მტაცებლობას, — შხამი ედებოდა გულზე. ძველი რეჟიმის დროს ერთი თანამოსამსახურეთაგანი დაათხოვნია მან ამისთვის... ეხლა კი თვითონ მოიმოქმედოს საშინელი ბოროტება: ცეცხლს მისცეს სახალხო ქონება, რომ თავი გადაირჩინოს!.. ჩაეფლოს მთლად ცხოვრების წუმპეში?! არა! მასში ჯერ კიდევ ღვივის ღვთიური ნაპერწკალი. შესწევს ძალ-ღონე, — ზურგს აიკიდოს წამების ჯვარი... ის აღიარებს საქვეყნოდ თავის ცოდვას, მოიწმენდს ლაქას, სინდისს რომ ადევს და შეიმსუბუქებს დამძიმებულ სულს... და შეეძლება განწმენდილს, თვალები გაუსწოროს ამხანაგებს, შუბლ-გახსნილად, გაუწითლებლად აწარმოვოს მათთან ერთად ძველებურად პარტიული მუშაობა... ახლად დაიბადება მაშინ!..

— ფუჭი ოცნებაა! აღსარება მოგიტანს განა სიმშვიდეს?.. არ აგითვალისწუნებენ, არ გაგრიყავენ შენი ამხანაგები, რომლებთანაც თანამშრომლობას ინატრი?.. გიშველიან, ციხეში რომ ჩაგკეტავენ ქურდ-ავაზაკებთან?.. შეგესევა მკბენარები... სიბინძურე, სიმყრალე!.. სახადი... ვის დაუტოვებ, ვინ დაეხმარება შენს მშიერსა და მწყურვალს ოჯახს?..

პატარა ბაბალე დაუდგა გიორგის თვალ-წინ, რომ ეტყვის: „მამა, ჭამა ნუნდა“...

— რა სურელური აზრები მოგდის!.. აქ დარჩი, მიჰყევი თომას კარნახს და ყველაფერი ჩინებულად მოეწყობა.

— არასოდეს!.. ის გველი უნდა გაისრისოს... მისი კაი კაცობა მთელმა ქვეყანამ გაიგოს... — გიორგი გაჰფანტავს იმ შარავანდედს, თომას უღირსად რომ დასდგომია თავზე და საზოგადოებას თვალებს უბნელებს. ბოლოს მოუღებს იმის უპასუხისმგებლო პარპაშს. ნუთუ ეხლაც ვერ შეასრულოს თავისი მოქალაქობრივი ვალი და ვერ მოიშოროს ზურგიდან ის ნაგვიანი კალათი, თომამ რომ აჰკიდა იმას საზიდად?!

ტვინი დაუმძიმდა. სახეზე ალმური ასდის. დაღლილობას გრძნობს ომ-გადახდილ ჯარისკაცივით... უკან იხედება, რამდენიმე ვერსით დაშორებია ქალაქს, წინ კიდევ დაუსრულებელი გზაა, ტრიალი მინდორი, სადაც ქარი ფაფარ-აყრილი გადაუქროლებს, გადმოუქროლებს წელსუსტ ხმელ ბალახ-ბულახს, საცოდავად აპროწიალებს; მელოტ კაცივით აქა-იქ ყვითელ ფოთლებ-შერჩენილ ბუჩქებს გვერდს შეაფხანს და იმათ ჩონჩხს უსიცოცხლოდ აამოძრავებს... ყვავთა შავი წვეულება ტყვიისფერ ღრუბელს ფეხდაფეხ მისდევს, უბედურ კაცის ქელეხზე მიეშურება...

გიორგი მიადგა ჯვარედინ გზას და შეჩერდა... მოაგონდა ბავშობისას გაგონილ ზღაპრის ნაწყვეტი:

„...მიადგა იგი გზა-ჯვარედინს. მარცხნივ წავა — გველეშაპი ჩაჰყლაპავს, მარჯვნივ — მდევებს ჩაუვარდება ხელში, უკან დაბრუნდება — ცეცხლში დაიღუპება“. მაგრამ ზღაპრის გმირი მაინც აღწევს თავს სამივე ხიფათს და ბოლოს გამარჯვებული რჩება, გიორგის ტანჯვას კი დასასრული არ უჩანს, წინ კიდევ დამარცხება, დამცირება მოელის...

გიორგი ანგარიშ-მიუცემლად ჩამოჯდა გზა-ჯვარედინს მდებარე ქვაზე... მის არსებაში კვლავ გუზგუზებს რყევის ცეცხლი და წითელი ენები, საითაც არ გადაიწევს, აუტანელ ტკივილს აყენებს. აზროვნების სალარო გამოეფიტა და შიგ დაფარფატობენ მხოლოდ ფიქრთა ლანდები... მას სწყურია სიმშვიდე, ვით ნასიცხარ ავადმყოფს. სწადის უზომოდ: შესწყვიტოს დენა შეუჩერებელ ტანჯვის მდინარის, და ის გრძნობს, რომ შვების მომნიჭებელი მხოლოდ ერთად ერთი გზა არის: აღიაროს დანაშაული და სამუდამოდ დაიხსნას თავი ყალბ მდგომარეობისგან...

არ დაანებებს თომას ცეცხლის გაჩენას და მასთან ერთად წარსდგება სამსჯავროს წინაშე პასუხსაგებად. ეს გარდაწყვეტილება უწყნარებს გიორგის დაღლილს, მოთენთილ არსებას. თავგანწირვა აკეთილშობილებს, ამაღლებს და აღარ აშინებს მას მომავალი სასჯელი — გაჭირვება...

ღამდება...

გიორგი ქალაქისკენ დაბრუნებას იჩქარის, რომ უკუნეთ ღამეში გზა არ დაჰკარგოს.

12

დრო არ ითმენს. ხიფათი კარებშია მოდარაჯებული. დღესვე რომ დაეცეს თავზე უფროსი და საბუთები მოსთხოვოს, რა პასუხი მისცეს?.. ცდა, — როდის მოიბრუნებს გიორგი გულს, — იქნება: ბედის სასწორს მიანდოს თავი. თომა დარწმუნებულია, რომ გიორგის დაბოლოს კი მოიყვანს თავის ჭკუაზე, მაგრამ დაყოვნებაც აშინებს.

რა ჰქნას?.. ცეცხლის წაკიდებაც სხვის დაუხმარებლად შეუძლებელია. საჭიროა ხელის შემწყობი. ცოტაოდენ ფიქრის შემდეგ თომას არჩევანი სარდიონზე მიდგება, რომელსაც, — არ აგვიანებს, — მოიხმობს კაბინეტში.

— სარდიონ, შენი იმედი ყოველთვის მქონდა და ეხლაც ძალიან მაქვს. მთელ მოსამსახურეებში ყველაზე უფრო შენ გენდობი. — მეგობრულად უხსნის თომა გულს. — ერთ საქმეში უნდა დამეხმარო. თომას უნდოდა გაენდო საიდუმლო, მაგრამ წინდახედულად თავი შეიკავა. — მერე გიამბობ დაწვრილებით ყველაფერს. ეხლა გეტყვი მხოლოდ, რომ გარემოება მოითხოვს ჩემგან, ბუღალტერიის დავთრები დაიწვას, და შენ ხელი უნდა შემიწყო ამაში. სარდიონს ეს ურცხვი აღსარება არ გაჰკვირვებია. მისი შეგნებით, თუ აუცილებლობა მოიტანს, კაციც მოიკვლის, თორემ სახლის დაწვა ხომ თამაშობაა. მაგრამ თომას დასანახად მაინც გაიკვირვა და შეშინებული სახე მიიღო.

— ბატონო თომა, უკაცრავად ვარ, მაგრამ უნდა მოგახსენო გულახდილად, რომ ასეთი დავალების შესრულება მე არ შემიძლია. ამ საქმეს კატორღის სუნი უდის.

სარდიონი, არა-ერთხელ გაბმული მახეში, ფრთხილობს. ასეთ ძნელ საქმეს, მართლაც, არ მოჰკიდებს ხელს, თუ არ დარწმუნდა მტკიცედ, რომ ხიფათი არ შეეყრება.

— შენი შრომა დაუფასებელი არ დარჩება: მიიღებ ათი ათას მანეთს და საუკუნოდ დაიმსახურებ ჩემს პატივისცემას.

„ათი ათასი მანეთი?! შენ მეტსაც მომცემ?! — უპასუხებს თავის გულში სარდიონი. — შენს პატივისცემას კი დიდი ფასი არ ექნება ამის შემდეგ, ისედაც ჩაჭერილი მეყოლები ხელში“.

მთელი საათის განმავლობაში არწმუნებს თომა სარდიონს, რომ საშიში ამ საქმეში არაფერია, უხსნის თავის გეგმას; იმასაც გამოათქმევინებს აზრს, თუ როგორ სჯობია ცეცხლის გაჩენა, რომ ეჭვი არავინ აიღოს განგებ წაკიდებაზე. საერთო ძალით გამონახეს საუკეთესო საშუალება...

— ეხლა, ჩემო თომა, მომეცი ოცი ათასი მანეთი ნაღდ ფულად, რომ უფრო გაბედულად შეუდგე მუშაობას, თორემ ფიქრი იმაზე, რომ საფარე დაიწვის, და, შეიძლება მე უადგილოდ დავრჩე, ხელ-ფეხს მიბორკავს. ერთი წლის საყოფი მაინც უნდა მქონდეს ხელში, რომ სამსახურის შოვნამდის მათხოვრობა არ მომიწიოს... თუ ღმერთი გწამს, ვაჭრობა არ დამიწყო. — უმატებს ფირცხლავ სარდიონი, ყოყმანს რომ შეატყობს თომას. — მეც ხომ არ ვძიობ, რატომ აჩანაგებ ასიათასობით საღირალ ქონებას!...

ემძიმება თომას ასეთი თანხის გაღება, მაგრამ მაინც უსიტყვოდ თანხმდება. სხვა რა ღონე აქვს: ბეწვზე ჰკიდია მისი მდგომარეობა და სხვა დამხმარეც არ ეგულება.

13

თომა თავის სახლში სტუმრებთან საუბრობს, ნაჩვევი გატაცებით უყვება მათ ამბავს და თავისი საიდუმლო მღელვარება ხელის ქნევასა და ლაპარაკში გადააქვს.

ამ საღამოს უნდა მოხდეს... ერთი საათის შემდეგ... ფულის მიღებამდის სარდიონმა თითის განძრევაც არ მოისურვა... თავს იჭერს თომა, მაგრამ მიმალული ფიქრები უნებლიედ იპყრობს მის ყურადღებას.

„თუ ტყვილად გაიღო ამდენი ფული და განზრახული ჩაეფუშა: არ მოედო ცეცხლი დავთრებს“. — ამ შავი ფიქრის დროს ლაპარაკი უწყდება თომას, მაგრამ იმ წამსვე მოდის გონს და ისევ განაგრძობს მუსაიფს.

კედლის საათმა რვის ნახევარი დარეკა. სარდიონთან შეთანხმებისამებრ, აი, ეხლა უნდა გამოიხმოს თომამ ელსმენით მოანგარიშე, რომელსაც ბუღალტერის ავადმყოფობის გამო მიანდო სამმართველოში საჩქაროდ წარსადგენ საავანსო ანგარიშის შედგენა.

— ერთი წუთით დაგტოვებთ. — დარბაისლურად ბოდიშს იხდის თომა სტუმრებთან.

კაბინეტის კარი თომამ განგებ არ მიიხურა, რომ გაეგონათ სტუმრებს მისი საქმიანი საუბარი მოანგარიშესთან. სახელოსნოს მორიგი მეელსმენე უძახის ელსმენთან მოანგარიშე ვასოს.

გამოდის ვასო ოთახიდან. ამ დროს მოდარაჯებული სარდიონი ქურდულად მოიპარება კიბეზე... შეირბენს ბუღალტერიაში და უწევს პატრუქს მაგიდაზე მდგომ ნავთის ნათურს, რომ მას ცეცხლი მოედოს, კვამლი დადგეს... შთაბეჭდილება ისეთი დარჩეს, თუ ვინმემ დაასწრო ბანჭვინის აფეთქებამდის ოთახში შესვლა, რომ ცეცხლი ნათურისგან გაჩნდა.

თომა ელაპარაკება მოანგარიშეს, რომ მოესმის ელსმენით აფეთქების ხმა, ჩოჩქოლი... მოანგარიშე პასუხს არ აძლევს.

— რაღაც ამბავია სახელოსნოში! ყვირილი მესმის. — შეშინებული ხმით იძახის თომა სტუმრების გასაგონად. დაუგდეთ ყური...

14

უახლოვდება გიორგი ქალაქს. ბევრჯერ ასცდა გზას ღამის წყვდიადით დაბრმავებული. განათებულ ქალაქზე იღებდა მიმართულებას. გამოჩნდა გარე-უბნის სახლები. საშინელ დაღლილობას გრძნობს. ფეხების კუნთები უჟუის. ქარს მოაქვს ელრონარის რონოდის ზარის ყრუ კაკუნი, და გიორგი ნაბიჯს უმატებს, რომ მისწვდეს ჩქარა ელრონარის ხაზს და შინისკენ გასწიოს...

უცბად მარცხნიდან ამოანათა. სინათლისკენ იბრუნებს პირს და ჰხედავს: მახლობელ სახლის სახურავიდან დაბურთულ-დაბურთული, სისხლ-ნარევ კვამლის შადრევანი სცემს. ხანდაზმით თმა-აბურძგვნილი ალი ამოიჭრება და ლამობს მის თავზე შეკუმშულ ჯანყის გაფანტვას, მაგრამ უკუქცეული ისევ იმალება ძალ-ღონის მოსაკრეფად.

— ვინ იწვის? — ჰკითხავს თავს და ცნობის-მოყვარეობით ამოძრავებული ფეხს აუჩქარებს.

უეცრად ცეცხლის ტალღა გუგუნ-გრიალით ჯურღმულიდან ამოვარდება, დაეტაკება ვაჟკაცურად კვამლიან თაღებს და ბუმბულივით მიმოფანტავს იმათ ნამსხვრევებს, ალად ქცეული თვითონ ამაყად ზე-მოექცევა გზა-აბნეულ კვამლთა ნაფლეთებს.

ნათლდება. გიორგი არჩევს, სცნობილობს მიდამოს: საფარე-სახელოსნო იწვის!.

— მოასწრეს! — წამოიძახებს და ანგარიშ-მიუცემლად მოსწყდება ადგილს, თავდავიწყებით მირბის ცეცხლისკენ. დაღლილობით სულთქმა ეკვრის. ფეხებს ძლივს მიათრევს, მაგრამ ხანძარს თვალს არ აშორებს, რომელიც თან-და-თან ძლიერდება და ცინცხალ ნაპერწკლებს გარშემო აბნევს.

— დაწყნარდი!.. — უწივის ყური. — დაგასწრეს და აწ ბედს შეურიგდი. სინდისიც წმინდა გაქვს და საფრთხეც თავიდან აშორებული. შენობა ხომ დამწვარია, მაინც ვერაფერს უშველი.

— ხელი აუშვას თავის განზრახვას?.. ეს არის ჯოჯოხეთური ტანჯვის პასუხი? ლაჩრულად დაჰხაროს ქედი თომას წინაშე მხოლოდ იმისათვის, რომ დაასწრო ცეცხლის გაჩენა?

— მაგრამ შენ ხომ გადარჩი!..

— და თომაც დარჩა დაუსჯელი!

— ეს ნაკლები ბოროტებაა იმასთან შედარებით, თქვენ რომ ორივე დასჯილიყავით. თომა აღვირ-წახსნილი ბოროტმომქმედია, მრავალი ცოდვა ადევს კისერზე. ის შეგნებულად სჩადის ავ საქმეს და თავის საქციელს ყოველთვის ამართლებს. შენ კი მხოლოდ ერთხელ წაიბორძიკე შენს ცხოვრებაში და ამის გამო ნახევარი წლის განმავლობაში სინდის-შეწუხებული ქენჯნის ქურაში გამოიწვი, გადახალისდი და გადასწყვიტე კეთილშობილი გატაცებით ქვეყნისთვის გემცნო თავისი დანაშაული. გასწირე თავი, რომ განადგურებას გადაგერჩინა სახალხო ქონება... და ნუთუ სამართალია, რომ შენ და თომა ერთნაირად დაიღუპოთ?

— ჩემი მოვალეობა მსხვერპლს მოითხოვს, და შენც მადიდებ იმიტომ მხოლოდ, რომ ჩემი თავი დავდე ზვარაკად. ჩემი უკან დახევა გამოიწვევს ხომ შენს დაცინვას?

— დაცინვის გეშინია და დაღუპვის კი არა?!. ვის ეცოდინება, რა ხდება შენი გულის სიღრმეში, — იქ ცოდვა და მადლი ერთნაირად დაიმარხება...

გიორგის დაუკითხავად მის არსებაში ასეთი კამათი გამართა ორმა უცნობმა.

რბილდება გიორგის მტკიცე გარდაწყვეტილება. რყევის ტალღები კვლავ აიშალა და მის გარშემო გიჟური ფერხული გამართა. ალქაჯებმა წაართვეს ნიჭი აზროვნების და სთავაზობენ ერთი-მეორეს შეუსაბამო დანასკვებს. გიორგი ვერ უძლებს ფიქრთა ფერად შუშხუნას და, რომ მიეცეს თავდავიწყებას, გარბის ისევ, ცეცხლისკენ გარბის...

საფარეს ეზოში უკვე შეკრებილა მოსეირე ხალხი... არის ჩოჩქოლი... იძლევიან განკარგულებას. ცეცხლის ჩასაქრობად კი არაფერი კეთდება. ცეცხლის მქრობელი რაზმი არა სჩანს. ეძებენ კიბეს. წყალს მოითხოვენ. მომტანი არავინ არის. ხანძარი ძლიერდება: მთელი შენობა ჩაინგრა თავის ცხელ მკერდში...

თომაც მოსრიალდა თვითმავლით. გაფითრებული შესცქერის თავის ხელების ნასიკეთარს. ბრძანებას აძლევს ენა-გამშრალს, დამნაშავესავით გამომზირალს მოანგარიშე ვასოს, რომ დაურეკოს ცეცხლის მქრობელ რაზმს.

— მაღლა ასვლა არ შეიძლება. — ეუბნება ვასო.

— კომისარიატიდან დაურეკე. გასწი ჩქარა თვითმავლით.

ვასო გარბის დავალების შესასრულებლად.

— შენც აქა ხარ! — გაიკვირვებს თომა, გიორგის რომ დაინახავს. — ხომ დაიწვა დავთრები?! დავიღუპეთ. ნუთუ არ შეიძლება იმათი გადარჩენა? — ხალხის გასაგონად თითების მტვრევით, აღელვებულად ეკითხება თომა გაშეშებულ გიორგის.

ის ხმა-გაკმენდილი ზიზღით უცქერის თომას, რომელიც ეხლაც კი განაგრძობს თვალთმაქცობას. გულზე ალმური ედება, ბრაზი ახრჩობს, ენას ძლივს აბრუნებს, რომ პასუხი გასცეს.

— წიგნების გადარჩენა?.. მერე რას უცდი?!. ცეცხლის გაძლიერებას?. აბა წამომყეთ... დავთრები გადავარჩინოთ!..

გიორგიმ დამცინავი, ცეცხლის შუქით აწითლებული თვალები შეაფეთა თომას მტყუან თვალებს.

მაგრამ თომას თითქოს არ გაუგონია მისი სიტყვები, საჩქაროდ გაშორდა...

გიორგი სდგას ერთ ხანს თომას წასვლით ცივ-წყალგადასხმული და გული მოსდის, თომამ რომ ყურადღება არ მიაქცია... თითქოს უსაქმოდ დარჩა: რა გააკეთოს, არ იცის...

შორიდან უცქერის თომას: ის მართალი კაცივით სწუხს, დარბის, განკარგულებებს იძლევა...

და გიორგის შეზიზღდა, შეეზარა თომა, თავი, ყველაფერი, რასაც ჰხედავს... არ შეუძლია ატანა ამ თვალთმაქცობის!.. უნდა გაიქცეს, მოშორდეს აქაურობას... დაუფიქრებლად ერევა ხალხში და ეზოდან შეუმჩნევლად მიიპარება...

* * *

ხანძარი მხოლოდ ალიონზე ჩააქრეს. შენობიდან გატრუსული კედლები-ღა დარჩა. დაიწვა სათვითმავლო მასალების საწყობი და ორი თვითმავალი, რომლების გარედ გაგორება ვერ მოასწრეს.

საგამომძიებლო კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო სამმართველოდან ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად, გამოიტანა დასკვნა, რომ ცეცხლი გაჩნდა შემთხვევით ნავთიანი ნათურის აფეთქებისგან, რომლის ალი მოედო ბანჭვინიან ბიდონს, ამისგან კი — მთელ შენობას...

ბედის ეტლი, რომელიც მიაქროლებდა თომას გადასაჩეხად პირდაღებულ შავ უფსკრულისკენ, ასცდა საბედისწერო ადგილს და ისევ სწორი გზით გაექანა წინ...

ერთ წელს კიდევ დაჰყო თომამ ამ თანამდებობაზე. ჩვეული ენერგიით შეუდგა დამწვარი შენობის აღდგენას...

ბოლო ხანებში რესპუბლიკაში დაარსდა დიდი სააქციო საზოგადოება, და თომა იქ მიიწვიეს საპასუხისმგებლო ადგილზე. ჩვენი გაზეთები ამის შესახებ სწერდენ: „სააქციო საზოგადოების ქმოსნური განყოფილების გამგედ დაინიშნა ინჟენერი თომა ვლადიმერის-ძე ფულარია“.

სარდიონიც მოეწყო თომას დახმარებით სისხლის სამართლის მილიციაში თანამშრომლად და ეხლა ფეხებზე მაღალ ყელიანი წაღები აცვია ოქროით მოვარაყებულ ლეკვერთხ-შემოჭირებული.

გიორგი დაწვის შემდეგ არ მოსულა სახელოსნოში, ჯერ ავადმყოფობა მოიმიზეზა, მერე სხვაგან ჩადგა სამსახურში.

ირრადიონ ქავჟარაძე

ტფილისი

1921

რედაქციისგან

განზრახული გვქონდა ჟურნალის ეს ნომერი გამოგვეცა 64 გვერდით, მაგრამ ეს ტეხნიკურად მოუხერხებელი აღმოჩნდა. ნომერი იბეჭდება 48 გვერდით. ამიტომ ნაწილი საახალწლო მასალებისა გადავდევით მეექვსე ნომრისთვის.

ლადო გუდიაშვილი. ქართული მოტივი

ეფემერა

შეხედე! მშვიდი შენი დობილი!
გარე ყორნისა ჰფენია ტევრი
კუბოში წევს ის როგორც შედევრი
იდუმალი და ფიქრ-განდობილი.

მსგავსი მხოლოდ ცა და ალოეა,
ნისლიც ძლივსაა მისი სადარი,
მისი მხატვარი ჯერ არსად არი
და მხოლოდ შენზე ფიქრობს, გოია!

კარგია მისი ძეგლად აგება,
ბროლნი თლილები, სახე — ყვითელი,
ხოლო სადაა დღეს პრაქსიტელი
და შეუცნობთა დაქანდაკება.

სადღაა ნაშთი ძველი ჟინისა?
გოტიე! აი, შენი ტომები,
ოდეს ფანტომებს დაენდომები —
ვით გადარევა პაგანინისა.

გალაკტიონ ტაბიძე

მშობლიური ეფემერა

ვეღარ ვცნობილობ მშობლურ ხეებს —
ზამთარს ბილიკი დაუტანია.
„დიდი ხანია“? — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...
შეხავსებიან კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია.
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.
გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი.
ფერები ჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი — ლილა და შვინდი.
ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა.
სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებები, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — კვლავ ვკითხავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია.

გალაკტიონ ტაბიძე

N-ს

ცეცხლს მხურვალება შენს თვალებში ჩაუფრქვევია,
ზღვას მოუცია სიამაყე და სიღრმე თვისი,
ღმერთს ბროლის სული ბრინჯაოში გაუხვევია
და მეც ვკითხულობ, ეს სიტურფე ვისია, ვისი?!

ფერად ოცნების ყვავილებით დამტვირთე ასე
რომ მე არ ძალმიძს, ო, არ ძალმიძს ამის ატანა.
გულს ამოვიგლეჯ, მთრთოლვალე გულს გრძნობებით სავსეს.
გულს ამოვიგლეჯ და საჩუქრად გაგატან თანა.

საფო მგელაძე

ყვავილნი ჩემი სიყვარულისა

(თარგმანი)

ყვავილნი ჩემი სიყვარულისა,
ვით ნაზი ვარდნი დაჭკნენ შავ ღამეს.
ზამთრისა ყინვამ ისე უღმერთოდ
მოსწყვიტა სხივებს და ტკბილ სიამეს...
ეხლა ისინი მწარედ ტირიან,
რომ უცებ გაჰქრა ბედნიერება.
რომ ცხოვრებაში მარტო ქარია,
მარტო ცრემლები და მწუხარება.
ყვავილნი ჩემი სიყვარულისა
მწუხრის ზეწარით იფარებიან...
უნუგეშობით სიმარტოვეში
ცივ ზამთრის ღამეს ისე სჭკნებიან...
კვლავ არ ელიან ნეტარ გაზაფხულს,
როცა სიამით, სხივით სტკბებოდნენ,
როდესაც კეკლუც ოცნების ბაღში
ტკბილად ყვაოდნენ და იმღეროდნენ.

ალექსანდრა ჭყონიასი

მესსია

(ძღვნად გალაკტიონს)

...და მაგონდება ებრაელის მადლიერ ერმა —
უბედურებას როცა ბედი იმას შესძენდა
და როცა ირგვლივ შემოფანტა ის ძლიერ მტერმა
— როგორის რწმენით, სასოებით შეჰქმნა ლეგენდა:
„შორეულს და ბნელს მთების იქით, ვით მეზღვაური,
სამვატიონი სდგას ამაყად ბევრი წლებია,
ყველას შიშსა ჰგვრის ამ მდინარის აურზაური,
რომლის ტალღები მხოლოდ ლოდი, ცეცხლი, ქვებია.
მხოლოდ მეშვიდე შაბათის დღეს ის დაისვენებს
და გადიქცევა ნაზი, წყნარი როგორც ასული
ამ დღეს ყურს უგდებს გარეშემო ბრბოს, ხალხის ენებს,
მხოლოდ დღეს არ დუღს მის ტალღებში ცოდვილთა სული.

და სადაც რისხვით ისპობიან ეს ცოდვილები,
იქით ნაპირზე ბაღი არის დღესაც დარგული
და იქ ცხოვრობენ უნახავი, ერის შვილები
ათი მოძმეთა გვაროვნება გადაკარგული.

და ეს საზღვარი, ძლევით სავსე სამვატიონი
უცბათ გაქრება, დაილევა და სწრაფლ დადნება
გადაიქცევა ეს მდინარე როგორც სიონი
და თვით მესსიაც ამ ადგილზე გამოცხადდება!..“

და როცა პირზე მომადგება სამვატიონი —
„ის“ მახსენდება: როგორ მტერს ძლევით შეესია
დაიწყო ნგრევა, წინ წავიდა გალაკტიონი,
მიტომაც მასში მსურს ნამდვილი ვნახო მესსია.

გერცელ ბაზოვი
ტფილისი

* * *

I

შემთხვევა მწყალობს... მეცა ვიჩქარი
მოვწყვიტო სიტყვა ობოლი სამი!
უამიდობამ დათოვა ქნარი
და დააძმარა სულისა ნამი...

II

ხუნდებშესხმულსა, გონება დახშულს
არ მეხერხება კალმისა მოსმა!
უსამართლობის რკალში მომწყვდეულს
ვერ გამიბედავს გოდების მოთქმა...

III

მხოლოდ ოცნება, სრული უფალი,
დაქრის და ღელავს ნიადაგ თბილი!
ნდობით შევმოსე გადევნოს თვალი —
დაქსელოს, გიძღვნას ზმანება ტკბილი.

ავთანდილ ცისკარელი

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

III. თალია

ქალაქელები

ასე მიჰრიდა ძემ ყუჩმა თავი გულფიცხელ ლაპარაკს;
მამა კი, როგორც დაიწყო, კვლავ განაგრძობდა იმ სახით:
რაც კაცში არ იპოვება, არც წარმოდგება იმისგან,
ძალიან უნდა, ოდესმე რომ ჩემდა გასახარებლად
უგულითადეს წადილის მოვესწრო შესრულებასა,
რომ კი არ ჰგავდეს ძე მამას, არამედ სჯობდეს მშობელსა.
რადგანაც რა იქნებოდა სახლი გინა თუ ქალაქი,
თუ ყველა არ ინდომებდა სულით და გულით ყოველთვის
მის დაცვას და განახლებას, უკეთესადაც გამართვას,
ისე, ვით ამას გვასწავლის დროება და უცხოეთი!
ნუთუ კაცის ძე მიწიდან უნდა აღმოხდეს ვით სოკო,
და სწრაფლ მიალპეს იმ ალაგს, რომელმაც აღმოაცენა,
ცოცხალი საქმიანობის რამ კვალის დაუმჩნეველად?
ზედ სახლზე ატყობს ხომ კაცი, თუ რა ჭკუის ჰყავს პატრონი,
ნათლად, ვით ქალაქს მისული განსჯის მის თვითმმართველობას!
რადგან იქ, სადაც კოშკები და გალავანი ინგრევა,
სად ქუჩებსა და თხრილებში ნაგავი დაგროვებულა,
ქვები რიყულში დამძვრალი არ ჩაუსვიათ ღრუებში,
ბოძი ლპება და სახლ-კარი ამაოდ ელის მომვლელ ხელს,
იქ დაბა გამგეობისგან წარიმართება ავადა.
რადგან, თუ სადმე მუდამჟამ თვითმმართველობა ზევიდან
არ არის ხელის შემწყობი სისუფთავის და წესრიგის,
იქ ქალაქელი იოლად ეჩვევა სიბინძურესა,
ისე, ვით ვინმე გლახაკი დაკონკილ ტანისამოსებს.
ამიტომ მინდა გულით, რომ ჰერმან შეუდგეს მგზავრობას
სულ მალე, რათა იხილოს თუნდაც შტრასბურღი, ფრანკფურტი
და მიმზიდველი მანჰაიმ, აღნაგი ზომით, ლამაზად.
რადგან ვინც ჰნახავს ქალაქებს დიდ-დიდს და სუფთად შენახულს,
ვეღარ ისვენებს, მყობადში რომ მშობლიური ქალაქიც,
რა გინ პატარაც კი იყოს, დაამშვენოს და შეამკოს.
ხომ გვიქებს ჩვენ უცხოელი გალავნის კარებს შენაკეთს
და შეთეთრებულ სამრეკლოს ან განახლებულს ჩვენს საყდარს?
ხომ აქებს კაცი ყოველი ჩვენი ქალაქის რიყულებს,
არხებს წყლით სავსეს, დახურულს და კარგად განაწილებულს,
ყოველთვის სასარგებლოს და დამზღვეველს შავის დღისაგან,
ასე რომ ცეცხლი რომ გაჩნდეს, ძალგვიძს დავშრიტოთ მაშინვე?
და ხომ, ყველა ეს გავმართეთ იმ საშიშ ხანძრის შემდგომად?
მე ექვსჯერ ვიყავ ქალაქის შენობათ ზედამხედველად;

1. იხ. №№2-3-4-5.

და მოვიხვეჭე მე მაშინ მოწონება და ჯილდოდ მხვდა
ჩვენ კეთილ ქალაქელთაგან გულითადიცა მადლობა.
თუ რამე განმიზრახია საკუთარ თაოსნობითა
ან რაც ენოვან ვაჟბატონთ გამოუწყიათ თვის გეგმით
და ბოლო ვერ მიუციათ, მე შევასრულე ბეჯითად.
ამან კი ძალა მოჰგვარა დაბოლოს საბჭოს ყოველ წევრს.
ახლა სულ ყველა მოქმედებს, და უკვე მტკიცედ დადგინდა,
ახლად გაკეთდეს ის შოსე, ჩვენ რომ შარასთან გვაერთებს.
მაგრამ მე ვშიშობ ძალიან, რომ ხვალ ახალი თაობა
ჩვენებრი გულმოდგინებით ვერ შეეწყობა საქმესა.
რადგანაც ზოგი არის — და სულ ჰფიქრობს გართობისათვის
ანუ მარტოდენ წარმავალს გარეგნულ კეკლუცობისთვის.
ზოგს შინ მოურთხამს ფეხები და კვერცხებს აზის ღუმელთან.
ის მაკრთობს, რომ მე ჰერმანეც მუდამ ასეთი დამრჩება.
მყის ეს მიუგო ამაზე ჭკვიანმა კეთილ დედამა:
შენ მაინც უსამართლო ხარ, მამავ, შენს შვილთან ყოველთვის!
და ამ გზით სულ ვერ მიაღწევ შენს კეთილ-მართლივს განზრახვებს.
რადგან ვის ძალუძს შვილები ჩამოქნას თავის ნებისად.
რა სახითაც ღმერთს უძღვნია, იმავე სახით ყოველ კაცს
უნდა უყვარდეს ისინი და უნდა ყავდეს დაცული,
უნდა აღზარდოს კარგად და თავისუფლებაც მიაგოს.
რადგან ერთს ერთის ნიჭი აქვს, სხვას კიდევ სხვა რამ უნარი;
ყველა სარგებლობს იმით და ამავ დროს კაცი ყოველი
თავთავის სახეობითა არის ჭკვიან და ბედნიერ.
მე ჩემს ჰერმანეს ამიტომ სწორედ ვერ გაგაკიცხვიებ;
რადგან მე ვიცი, რომ იგი ღირსია იმ სამკვიდროსი,
რომელსაც ერთ დროს მიიღებს; ის ჩინებული მნეც არის
უთუოდ სამაგალითო ქალაქელთა და გლეხთათვის,
და საბჭოშიდაც, წინად ვგრძნობ, არ იდგომება ის კუდში.
შენ კი კიცხვით და ყვედრებით მუდამ-დღე უკლავ საცოდავს
სიცოცხლის ძალას შიგ გულში ისე, ვით დღეს მოიქმედე.
აქ დედამ სწრაფად დატოვა ოთახი და შვილს გასდია,
რომ სადმე მოეძებნა და კვლავ გაეხარა ტკბილ სიტყვით,
რადგან ის, შვილი უებრო, ღირსიცა იყო ამისი.
შემდგომ სიცილით წარმოთქვა მამამ მის გასვლისთანავე:
უცნაური კი არიან ეს ქალნი ისე, ვით ბავშნი!
ყველა მათგანი მშვენივრად ცხოვრობს საკუთარ ნებაზე,
და მერმე უნდა მარტოდენ ვაქოთ და ვეფერებოდეთ.
მუდამ ძალაში იქნება, ძველებს რომ უთქვამთ სისწორით:
ვინც წინ არ მიდის, უკან ვალს! ეს დღესაც ასე სრულდება.
შემდგომ ამაზე მიუგო მეაფთიაქემ ფიქრებში:
მე, მეზობელო — ბატონო, მთლად გეთანხმებით ამაზე.
მე თვითონ ვეძებ ყოველთვის უკეთესისგან უკეთესს,
თუნდ ის ძვირფასი არ იყოს, ოღონდ კი იყოს ახალი;
მაგრამ რა სასარგებლოა, შენ ბლომად ფული არ გქონდეს
და ცოდვილობდე გარჯითა, რომ შინ თუ გარეთ მოეწყო?

აქ მოქალაქეს სდევს მხოლოდ ფრიადი შევიწროება;
ის კარგს ვერაფერს ეწევა, თუნდ მას ის ეცოდინება.
ქისა ექნება სულ მჩატე, მოთხოვნილება კი დიდი,
და ის ამრიგად ყოველთვის იქნება დაბრკოლებული.
მე ბევრ საქმესაც ვიზამდი; კი, მაგრამ ვის არ აშინებს
ხარჯი ამ ცვლილებათათვის, ისიც ამ რეულ დროებში!
უკვე დიდი ხნის მორთული მედგომებოდა მე სახლი,
და გამჭვირვალე მინები იკასკასებდენ ფანჯრებში;
მაგრამ ვინ იზამს ასეთებს იმ ვაჭრის წახედულებით,
რომელსაც აქვს რა სიმდიდრე, თან შესწევს იმის გაგებაც,
თუ რა გზით მოიპოვება, რაც მისთვის უმჯობესია.
გაჰხედეთ ეგერ ახალ სახლს, მიღმა! იმ მწვანე მინდვრებში
მის ჩუქურთმათა სითეთრე რა საზეიმოდ გამოკრთის!
ფანჯრების ჩარჩო ზორბა აქვს, სარკედ უბრწყინავს შუშები,
ასე რომ ბნელად მოჩანან მასთან ბაზრის სხვა სახლები.
სთვლიდენ კი შემდგომ ხანძრისა ჩვენს სახლებს საუკეთესოდ,
„აფთიაქს ანგელოზისას“ ისე როგორაც „ოქროს ლომს“.
ასევე იყო განთქმული ჩემი ბაღიცა ყოველგან:
ყოველი მგზავრი უჭვრეტდა წითელი ღობის ფიცრებში
ქვისგან ჩამოქნილ გლახაკებს და ქონდრისკაცებს ფერადებს.
ზედან ხელოვნურ მღვიმეში ყავასაც რომ მივართმევდით,
ახლა ნახევრად ნგრეული განაცამტვერი რომ მიდგას,
ყველანი გულით ჰხარობდენ მიჯრით მიწყობილ ნიჟრების
აფერადებულ ციაგზე და სჭვრეტდენ თითქმის მცოდნენიც
ბრწყინვით მოჭრილი თვალებით ტყვიის ციმციმს და მარჯნეულს.
აგრეთვე დარბაზებშიდაც უცხო რამ იყო მხატვრობა,
სადაც მორთული ქალ-ვაჟნი ბაღნარში დასეირნობდენ
და ჩამოქნილი თითებით ვარდებს აწვდიდენ ერთმანეთს.
დიაღ, ამის მსგავს რამეებს კვლავ აბა ზედ ვინ შეჰხედავს!
და ჭმუნვისაგან მე თითქმის გარედაც ვეღარ გავდივარ,
რადგანაც სულ ყველაფერი უნდა გარდიქმნეს გემოზე,
როგორც მცოდნენი ამბობენ და შეიღებოს სულ თეთრად
ფიცრები ღობეებისა გინა ხის გრძელი სკამები.
ირგვლივ ყოველი საგანი უკვე ჩანს გლასი და სადა;
დღეს არვის უნდა ხარატი და აღარც ოქროს ვარაყი.
ყოვლის უმეტეს ძვირფასობს ხე უცხოეთში ნაყიდი.
აი, მეც კმაყოფილებით გავიკეთებდი რამ ახალს,
კვალში მივსდევდი დროებას და მოვკაზმავდი ისე სახლს,
მაგრამ ყოველ კაცს აშინებს, შეცვალოს თუნდაც მცირე რამ,
რადგან დღეს ვის შეუძლია ოსტატებს მისცეს ხელფასი?
წინაზედ გულში ვიფიქრე, — მიქელ მთავარანგელოზი,
ჩემს აფთიაქს რომ აღნიშნავს, კვლავ მომეოქროებია,
ის საშინელი დრაკონიც, ფეხებში რომ ეკლაკნება;
მაგრამ ჯობს, ისევ გახუნდეს; რადგან დამაფრთხო ხელფასმა.

ვარლამ დონდუა

(შემდგომი იქნება)

მხატვრების პროფილები

ირაკლი გამრეკელი

ქართული მხატვრობა მიდის წინ იმ გეზით, რომელიც მისი ისტორიიდან გამომდინარეობს. აქსიომად შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა მხატვრის შემოქმედებას საფუძვლად უდევს ელემენტები, რომელნიც საზოგადოთ ახასიათებენ სამშობლო ქვეყნის ხელოვნებას (მე მხედველობაში მაქვს ხელოვნება ნამდვილი, და არა ის, რომლის გავრცელება დავალებული აქვთ სპეციალურად ამისთვის შექმნილ დაწესებულებებს). განა აღმოსავლეთი და, კერძოდ, სპარსეთი ან საქართველო არ არის შთაგონების წყარო ყველა იმ დასავლეთ ევროპის ოსტატებისათვის, რომლებთანაც ჩვენ ვსწავლობდით, და მთავარი რამ კი ვერ ვისწავლეთ, — სახელდობრ ის, რომ არ შეიძლება მხოლოდ უაზრო წამბაძველობა და რომ კაცმა კი არ უნდა ეძიოს თავისი ორიგინალობა, არამედ უნდა შეჰქმნას მხატვრული ნაწარმოებნი და არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ის, რომ წყარო, საიდანაც დასავლეთი იღებს, არის აღმოსავლეთი და ჩვენ თვითონ. აი მაგალითები. მხატვრები, რომლებიც გერმანიაში, საფრანგეთში სწავლობდნენ და შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ, სცდილობდნენ თავიანთ შემოქმედებაში შეეტანათ დასავლეთის მეთოდები და ტრადიციები. გაჩნდა მთელი რიგი სურათებისა საქართველოს ცხოვრებიდან, რომელნიც შესრულებულნი არიან მიუნხენის მხატვრული ტრადიციის მიხედვით (უფროსი გაბაშვილი). სამწუხარო იყო მათი ბედი: ეხლა თითქმის ყველამ იცის, რომ ყველაფერი ეს — ის არ არის, რაც უნდა იყვეს. მეორე მხრივ — ნიკო ფიროსმანიშვილი, უსწავლელი მხატვარი, რომლის ცხოვრება ასეთი უიღბლო იყო და ტფილისში გატარდა. ნიკო ფიროსმანიშვილი, რომელმაც შეჰქმნა ქართული დაზგური მხატვრობა, ცნობილია საქართველოს გენიოსად. იგი მოდის აღმოსავლურ ხელოვნების ფესვიდან. სპარსეთი და ბიზანტია — ორი კულტურა, რომელთა უდიდეს გავლენას განიცდიდა ქართული მხატვრობა, ფიროსმანიშვილში უსრულესად არიან შეხამებულნი. სპარსული ორნამენტალიური მიდგომა საგნისადმი, ჭრელი ფერადები სურათში, მხატვრული სიმეტრიები, უჩრდილ-სინათლობა — აი ნაწილი სპარსული ტრადიციების; დადგრომილობა და ასკეტიური შესრულება — არის შედეგი ბიზანტიის გავლენის; მაგრამ ყველაფერი ეს შემოსილია ქართული კოლორიტით, ფირმების ახალი (დასახელებულ კულტურებთან მიმართებით) კომპოზიციებით, წმინდა ქართული სულით, დიდებული ერის შვილის მიერ, როგორიც იყო ნიკო ფიროსმანიშვილი, მართლაც, ყველაზე უფრო მგრძნობი და ნიჭიერი, საქართველოს ერთი პირველი მხატვართაგანი, ლადო გუდიაშვილი, გახდა არა მარტო მემკვიდრე, არამედ მოწაფედაც, ფიროსმანიშვილისა. პარიზში გატარებულმა წლებმა ვერ შეაცვლევინეს გუდიაშვილს ის მიმართულება, რომელსაც იგი წინად დაადგა. შემდეგი ახალი თაობა მხატვრებისა, თავის მხრივ, განიცდის დიდ გავლენას გუდიაშვილისას ანუ, უკეთ, მისი შემოქმედების ერთი მხარისას, ე. ი. იმ მხარისა, სადაც უფრო გუდიაშვილია, ვინემ ფიროსმანი. ამ ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფიდან, როგორც ერთ-ერთ უნიჭიერესთაგანს, მე ეხლა დავასახელებ ირაკლი გამრეკელს.

ირაკლი გამრეკელის პირველ დებიუტს 1921 წელში შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. უფრო შინაგანი განცდებით და არა ფორმის ძიებით გატაცებულმა, მან ბევრ რასმე მიაღწია ფერადთა საუცხოო შეხამების გზით სხვა და სხვა სულიერ მოძრაობათა გამოხატვით. მისი აკვარელები „მალიარია“, „სიკვდილის ცეკვა“ დარჩებიან ახალგაზრდა მხატვარის ძიებათა საინტერესო დოკუმენტად. განუწყვეტელი მუშაობით გამრეკელი განაგრძობს

წინსვლას და ერთნაირად იმარჯვებს როგორც აკვარელით, ისე ტემპერში, ზეთით და დეკორაციით.

კ. მარჯანიშვილთან თანამშრომლობით, ირაკლი გამრეკელი სდგამს ახალ თეატრში „სალომეას“. მაყურებლის წინაშე, მოქმედების დროს, სცენის უკან, ადგილს იცვლიდა და მიდიოდა ფარდა. როდესაც სცენაზე სალომეას ვნება სჩქეფდა, მაყურებლის თვალწინ იშლებოდა სისხლისფერი ფარდა; მაგრამ აი, აღსრულდა მკვლელობა, და ბოროტმოქმედ ქალს ზევიდან ემუქრებიან შავი ღრუბლები, ოქროთი შეფერილნი. ორიგინალურ გეგმაზე აგებული დეკორატიული ნაწილი, უსაგნო მანერით (განყენებულად) შესრულებული, იწვევდა საერთო აღტაცებას იმ ხალხისას, რომელიც აფასებს ახალ ხელოვნებას. და ამ დაფასების ღირსი ახალგაზრდა მხატვარი უსათუოდ იყო.

ეს პირველი, გამართლებული ცდა უსახავს ახალგაზრდა მხატვარს უდიდეს გზას. ეს გზა არის — ქართული სცენის დეკორატიული ნაწილის რეფორმაცია. შემდეგი მუშაობა და წინსვლა მხატვრისა ამ მიმართულებით დამოკიდებულია ქართული სცენის ხელმძღვანელებზე. ვუსურვოთ მათ — სრულებით გამოეთხოვონ ვიწრო ეტნოგრაფიულ ტრადიციულ დეკორაციებს და გადავიდნენ ახალ შემოქმედებაზე.

გამრეკელი ჯერ ახალგაზრდაა, მის წინ გადაშლილია დიდი პერსპეკტივები და ამოცანები ნახატისა და კომპოზიციის, მაგრამ ცოტა ხნით მოვიცადოთ, და ჩვენ მალე მოვესწრებით მისს დიდ მიღწევებს და გამარჯვებებს. ამის თავმდებია მისი ახალგაზრდობა, ნიჭი და შრომის მოყვარეობა.

მხატვარი კირილე ზდანევიჩი

ხელოვნება

რომ უკანასკნელ ხანებში მწერლობამ ლოზუნგად მიიჩნია ირრეალიზმი — ეს ყველასათვის ცხადია. რეალიზმის ანტიპოდურ ბანაკში — აღმართული ხელოვნების ახალი დროშა — საოცრად იზიდავს ყველა იმათ, რომლებსაც — დღეს მწერლობისადმი სამსახური განუზრახავთ. ცხოვრების შავი სილუეტები და ცხოვრების სასიცოცხლო ხაზების — ქვეყნის მწარე გაღიმებაში გარდატეხა, სრულიად არ აფრთხობს ქართველ ხელოვანს — და ის მაინც განაგრძობს თავის საქმიანობას, ფიქრობს რა სინამდვილის, ამ მეცნიერულ და ფილოსოფიურ ანალიზის ობიექტის „ფანტასტიურ ზღაპრის“ ობიექტად გადატანას. ამ საქმიანობით თანდათან ჩამოყალიბდა ახალი ხელოვნების გეზი და რღვევის ნიადაგზე დადგა (თითქოს!) რეალიზმის შენობა. ამ დღიდან იწყო რეალიზმის მწყობრი თეორეტიულ სისტემისა და რეალისტურ ესთეტიკის შეცვლა — ირრაციონალურ ესთეტიკურ თეორიით.

ყოველივე ის რაც წინააღმდეგობაშია ცხოვრებასთან ვერ დაუკავშირდება გონებას — როგორც რეალისტურად განწყობილს, — და ამისათვის, ამბობს ირრაციონალური თეორია, გონების ავტორიტეტი არ არის მისამჩნევიო.

რამდენად ღირებულია ასეთი მოსაზრება. ჩვენ ვფიქრობთ, ირრაციონალურ თეორიის შექმნა შინაგან წინააღმდეგობებში ჩავარდნას ნიშნავს, — ვინაიდან, „თეორიის“, როგორც სახელწოდების ქვეშ, ჩვენ გვესმის ის მთლიანი რამე, რომელშიაც ნაწილები კავშირდებიან ლოღიკური გზით. ლოღიკური არგუმენტაცია: აი, რა იძლევა — თეორიის ფარ-ხმალს. მაგრამ ეს კი, ირრაციონალისტების აზრით, ნიშნავს თავისუფლების განსაზღვრას შემოქ-

მედებისათვის. „ხელოვნება, სპეციალურად შემოქმედების სფეროა — ამბობენ, სადაც გონებას და მასთან დაკავშირებულ უტილიტარიზმს ადგილი არ აქვს, — ვინაიდან ადამიანი შემომქმედია არა იმისათვის, რომ მასზედ გავლენას ახდენს რაიმე მოთხოვნილებანი, არამედ შემოქმედია იმისათვის, რომ მას ამოქმედებს შინაგანი ხმა: „მე მსურს“.

მაგრამ მოთხოვნილება და სურვილი ერთი და იმავე რიგის პსიხოლოგიური მდგომარეობანია — მხოლოდ, სხვა და სხვა ინტენსივობით, რომელნიც ადვილად გადადიან ერთი-მეორეში.

შინაგანი ხმა: „მე მსურს“ არ განირჩევა მოტივისაგან: „მე მაქვს მოთხოვნილება“. მეორეში, პირველზედ არც ნაკლები თავისუფლებაა და არც მეტი მონობა. რა გინდ არ შეეცადონ ირრეალისტები, შემოქმედების დახასიათებისათვის, სიმძიმის ცენტრის გადატანა, შემოქმედების შედეგიდან, თვით შემოქმედების ანუ მქნადობის პროცესზე, რომელიც შემოქმედებას მისცემს თავისუფლებას და უტილიტარიზმის გარეშე დგომის თვისებას — მაინც უხერხულობას ვერ სცილდებიან. ემყარებიან ფაქტს, რომ სინამდვილეში არსებობს მოქმედება აუტილიტარული ხასიათის, როგორიც არის მაგალ. თამაში. ხელოვნებაც ამ მოქმედებათა რიგს ეკუთვნის, როგორც უურთულესი და მეტად სათუთი ფენომენი.

ბიოლოგიურად — ვარჯიშობაა ცოცხალი ორგანიზმის მის ნიშანდობლივ საქმიანობის ფარგლებში და აქვს ამზრდელობითი მნიშვნელობა ორგანიზმის მომზადებისათვის, ცხოვრებასთან ბრძოლაში. ხელოვნებაც თუმცაღა — განუზომელად რთულია თამაშობაზედ, თავის რაობით, მიდის ადამიანის ვარჯიშობამდი — მის (ადამიანის) თვისობრივ ფიზიკურ და ფსიხიურ მოძრაობათა ფარგლებში. აქ შინაარსი საქმიანობისა თვით საქმიანობაშია. აქ არის ზრუნვა. პრაქტიკულ საჭიროებებზედ. ასე, რომ ამ საქმიანობას შეგვიძლია ვუწოდოთ აუტილიტარული, გარჩევით იმ საქმიანობისაგან, რომელსაც უშუალო მნიშვნელობა აქვს არსებობისათვის ბრძოლაშიო. მაგრამ აღნიშნული თამაშობანი ხომ სარგებელს ეძიებს. მაგალითად: ადამიანის ფიზიკური და ზნეობრივი განჯასაღება. მხოლოდ თუ თამაშობა შეიძლება ჩაითვალოს აუტილიტარულად — ეს იმ გაგებით, რომ ამ საქმიანობას არ მისდევს არავითარი სარგებლობა გარდა ორგანიზმის აქტიურ ძალთა სრულქმნისა და განვითარებისა. ასეთი საქმიანობა თვით ხდება მიზნათ, ასე თუ ვიმსჯელებთ მაშინ ხელოვნებასა და თამაშს შორის თანასწორობის ნიშანი უნდა დავსვათ. მაგრამ აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ხელოვნება ადამიანის საქმეა, მაშინ, როცა თამაში მეტ გავრცელებას ჰპოებს ცოცხალ ბუნებაში. მეცნიერული შრომაც და ქმნადობა ახალ იდეების, — შემოქმედებააო — გვეუბნებიან და ბოლოს, მაგრამ ამ უკანასკნელთ ხომ შესამჩნევად აკრავს უტილიტარისტული ელფერი! მართალია, ჩვენ გვწამს, რომ შემოქმედება თავის დასრულებულ მიხწევაში არის კატეგორია განსხვავებული მეხანიკურ დისციპლინისაგან — მაგრამ ეს სრულიად არ გვაიძულებს ღაღადვყოთ, ირრეალისტების მზგავსად, რომ „თავისუფლება შეუთახმებელია ბუნებასთან. ჭეშმარიტი თავისუფლება ბუნებაში არა ბუნებრივია. მხოლოდ არა ბუნებრივი — ბუნებაში თავისუფალია, რომ პრინციპი ბუნებრიობის — კანონია ბუნების, და პრინციპი თავისუფლების სასწაული და პროტესტი წინააღმდეგ ბუნების ძალდატანებისა.

რომ მოვახდინოთ სიტყვების ეკონომიზაცია ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია გადავიდეთ და ვსთქვათ, რომ დღევანდელ მწერლობის კორეფეებსა და რეალისტებს შორის, ხელოვნებისა და ესთეტიკის გაგებაში იმდენი არის წინააღმდეგობა, რამდენად წინააღმდეგობა იხატება არსისა და აზროვნების ურთიერთ დამოკიდებულების გაგებაში — იდეალისტებსა და მატერიალისტებს შორის. ამ უკანასკნელთათვის ხელოვნება კი არ არის თვით ცხოვრება, არამედ სწამთ ქმნადობით, „სიმბოლიურ“ ასახვად ცხოვრებისა და ღებულობენ გიოტეს დებულებას, რომ „ხელოვნება მისთვის არის ხელოვნება, რომ არის არა ნატურა“. თუმცაღა მათთვის ხელოვნება გამოდის ნატურისაგან და პირობდებული რჩება არსით, მატერი-

ით. ამიტომ მატერიალისტები არ არიან ვალდებულნი სცნონ ხელოვნებაში ნატურალიზმი. მათ მსოფლ-ხედვას სამაგალითოდ ეგუება ხელოვნებაში რეალიზმი — ახალი გაგებით.

რეალისტურ შემოქმედების დანიშნულებაა: გარკვევით ასახვა საგნობრივ ქვეყნის ფენომენების და არა მეხანიკური, ფოტოგრაფიული გადაღება. რეალიზმი — ახლად გაგებული სრულიად დაიტევს იმას, ურომლისოდაც ხელოვნება შეუძლებელია. სახელდობრ: „სიმბოლოების ცნებას“, მხოლოდ მოძღვრებას ამ სიმბოლოებზედ ჩვენ არასდროს არ გავხდით განსაკუთრებულ ლიტერატურულ სკოლად. სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა უმართებულო თეზისია. სიმბოლიზმი აზროვნების მხოლოდ ფორმაა, რომელიც თან დაჰყვა ადამიანს ბუნებითვე.

სიმბოლო ემოციათა უმაღლესი სინტეზის შედეგია.

— ის არ იმყოფება გრძნობით მატერიალის გარეშე. ირრეალისტები თუ საგნებს წარმოიდგენენ: ფანტომებად, აჩრდილებად, მაშინ ისინი კარგავენ სიმბოლოებს, რომელიც გრძნობით მატერიალის გარეშე შეუძლებელია.... ეს წინააღმდეგობა მოისპობა მაშინ, თუ ჩვენ სიმბოლიზმს ჩამოვაშორებთ ლიტერ., სკოლის სახელწოდებას, რომლის ქვეშ არსებითად იმალება ნეორომანტიზმი. რად დასჭირდა ნეორომანტიზმს სიმბოლიზმი ნიღაბად? — იმიტომ, რომ ამით დაეკავშირებია რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, რომანტიზმთან, როგორც მიმართულებასთან, წმიდა აზროვნებაში. აქ მხედველობაში მაქვს რომანტიზმი — ფილოსოფიური ანუ და ბოლოს, ფილოსოფიური იდეალიზმი, როგორც რომანტიზმის სათავე... ხელოვნების მიზანი, — ამბობენ სიმბოლისტები, არის ცხოვრების გარდაქმნა. ეს კი იდეალიზმის ძირითადი საფუძველია. აქ აშკარავდება მოსაზრება, რომ აზრს, სიმბოლოს ქმნის არა ცხოვრება, არამედ ადამიანის შემოქმედება. „ჩვენ ვქნით ხატებას, ეს ხატება რეალობაა, მხოლოდ ცხოვრება მისი გამოხატულება, მისი აჩრდილი. ამიტომ ადამიანის „მე“ ცენტრია მსოფლიოში და მატარებელი ამ ხატებათა“, ამბობენ ისინი. სწორედ აქ შეთანხმდა რომანტიზმი, როგორც ლიტერ. სკოლა, რომანტიზმთან, როგორც მიმართულებასთან, აზროვნებაში — და ეს შეთანხმება დააგვირგვინეს „სიმბოლიზმის“ სახელწოდების მიღებით.

სიმბოლიზმის სწორედ ამ ნაძალადევათ მიწერილ შინაარსს ებრძვიან რეალისტები. მათ სურთ სიმვოლიზმის ნამდვილი ცნების დახსნა, და სიმბოლიზმის როგორც „სიმბოლების შესახებ“ მოძღვრების დაცვა — იმდენად, რამდენად ის არსებითი ნიშანი გახდა ჭეშმარიტ ხელოვნების. ცნება „სიმბოლო“, როგორც მთავარი ელემენტი, სხვა და სხვა ლიტერ. სკოლის მოქმედებათა, არ შეიძლება იყოს ნიშანი ერთი რომელიმე სკოლის. სიმბოლოებთან აქვს საქმე რეალიზმსაც. მაგრამ ამოცანა რეალისტურ-ხელოვნურ შემოქმედებისა — საგნობრივ ქვეყნის ნამდვილ ასახვაშია. აქ სრულიად არ გვაქვს საქმე მეხანიკურ გადაღებასთან, არამედ აქ ხდება, გარეშე ქვეყნის საგნების ტიპიური ნიშნების დაგროვება — გაერთიანება, სახეების წარმოდგენა — სიმბოლიურად — ხელოვნების გაგების ფართო მნიშვნელობით. თუ რეალისტები მიმართავენ საგნების სიმბოლიურად წარმოდგენას, სიმბოლისტები — სიმბოლოების ძიებაშია. განსხვავება მათ შორის იმდენად არის, რამდენად მათი შემოქმედების ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ე. ი. რეალობა და ფანტომები, რომლებიც სიმბოლისტებს საგნების მაგიერ სწამთ. ამ უკანასკნელთ ხელოვნება მიაჩნიათ — არა კონკრეტიული, არამედ ხელოვნება მუდმივ იდეათა — მდგარი დროისა და სივრცის გარეშე. ამისათვის, მათი სიმბოლო მუდმივობისაა და არა — რეალური. მალარმემ — სიმბოლიზმის სულის ჩამდგმელმა, რეალი მოვლენა მუდმივ იდეიის გამოხატულებათ მიიჩნია. მუდმივობის იდეია აინტერესებს ყოველგვარ მეტაფიზიკას, მისტიკას, თეოლოგიას. ეს კი ფილოსოფიურად გაგებული ადვილად ეთანხმება იდეალიზმის პოზიციას. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ხელოვნებაში სიმბოლიზმისა და რეალიზმის ბრძოლა იგივეა, რაც ბრძოლა იდეალიზმისა და მატერიალიზმისა ფილოსოფიაში.

ჩვენ არ ვწინასწარმეტყველობთ ამ ბრძოლის შედეგს. მხოლოდ ვფიქრობთ: საქართველოს გზა ისე გამოიკვეთა, რომ კომპრომისებზედ გადასვლით, ლიტერატურული სკო-

ლები: რეალიზმი და სიმბოლიზმი ერთ სინტეზში შევა, — და როგორც ერთმა ქართველმა პოეტმა გამოსთქვა, მივიღებთ თეორიულ რეალიზმს — აქტივობის გზით.

რამდენად სიმბოლიზმით გატაცება დღეს დიდია, მძლავრია გარანტიები აღნიშნულ შესაძლებლობის. და ეს გატაცება სიმბოლიზმის ბუნების იმ გარკვევამდე მივა, რომლის წინაშე ხელოვნების ცეცხლით დაიწვება ყველა ღირსეული ქართველი ხელოვანი.

პ. ვადაჭკორია

პირველი სისხლი

(ბიბლიური ლეგენდა)

განრისხებულ იეგოვას ბრძანებით სამოთხის კარები ჩაჰკეტეს...

ადამი და ევა ვეება ხის ღეროს მიჰკროდნენ და მშვენიერ სამოთხეს თვალს არ აშორებდნენ.

არ სჯეროდათ ეს უცნაური სიზმარი და იმედოვნებდნენ, რომ სამოთხის კარები ისევ მალე გაიღებოდა და ბაღი მათ დაუბრუნდებოდათ...

მაგრამ სამოთხე ნელ-ნელა მიიწევდა ლურჯ უსაზღვრო სივრცეში და თანდათან შორდებოდათ მათ. და გაოცებით შეხედეს ერთმანეთს...

სასოწარკვეთილება, შიში, უძლურება იხატებოდა ორივეს სახეზე. პირველად იგრძნეს უბედურ ამბის გაუსწორებელი შედეგი და ატოკდნენ, — ვედრებით გაიწვდინეს შიშველი ხელები სამოთხისაკენ. სამოთხე კი კვლავ მისცურავდა და ნელა ინთქებოდა ლურჯ, უსაზღვრო სივრცეში...

— ევა, სად არის სამოთხე? — სასოწარკვეთით შესძახა ადამმა.

— ვერ ვხედავ, ადამ, ვერა, სადღაც გაქრა. — უპასუხა ევამ და იქვე ჩაიკეცა.

— მორჩა, სამოთხე დავკარგეთ!

ოჰ, სამოთხე დავკარგეთ! — გამოეხმაურენ ერთმანეთს და მდელოზე მიესვენენ...

მარგალიტებით მორთულ საოცნებო ტალღებს მშვიდათ მიათამაშებდა ეფრატი ლამაზ ნაპირებ შუა და ისე დინჯად მიიზლაზნებოდა, თითქოს ამ ამბის საიდუმლოება იმის ნათელ წიაღში ყოფილიყო ჩაფლულ-ჩამალული და ვიღაცას უტეხი ფიცით შეკვროდეს, რომ არავის გაუმხელს მას, რომ ვერავინ შეიტყობს ამ მშვენიერ ზღაპრის დასაწყისს-დასაბამს...

II

ნელა, მიკიბ-მოკიბით, როგორც ველად დატოვებული აზიზად ნაზარდი ყმაწვილი — მიიკვლევდა პირველი ადამიანი ცხოვრების გზას. ძნელი იყო პირველი ნაბიჯი, მაგრამ სამოთხის დაკარგვასთან ერთად მას გაუჩნდა მაცოცხლებელი იმედი: დაკარგული სა-

მოთხის დაბრუნების. ამ იმედს დაეყრდნო ის და პირველი კერაც აენთო. მალე დაირწო პირველი აკვანი პირველი ყრმისა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... და ადამ-ევასთან ერთად მოძრაობა-მოქმედება დაიწყეს კაენმა, მაგნამ, აბელმა...

ეფრატის ნოყიერ ველზე კაენმა დაკარგული სამოთხის მსგავსი ხეხილის ბაღი გააშენა და თავის შრომის ნაყოფით ატკბობდა მშობლებს და მოძმეებს.

აბელმა კომბალი აიღო და ცხვრის ფარას გაუძღვა იალაღზე.

მაგნა კი ხან ერთთან იყო, ხან მეორესთან და უზრუნველი ჭიკჭიკით ახალისებდა მათ...

III

მშვენიერი იყო მაგნა!.. მაგრამ უფრო მშვენიერი და მიმზიდველი შეიქმნა ის, როდესაც ვარდ-ყვავილთ შორის ზრდილმა, ცვარ-ნამით ნაპკურმა მისმა შავგვრემანმა სხეულმა გარკვეული, დასრულებული ფორმა მიიღო. როგორც სახის გამომეტყველება, ისე თვითეულ ნაკვთი ასაკში მოსულ სხეულისა მეტყველდებოდნენ, რომ მაგნას ახალი სურვილები გაუჩნდა, ახალ განცდას ეძებს ის ყვავილთა და მცენარეთა შორის...

საგაზაფხულოთ ამღერებულ ქალის გულს კი აკმაყოფილებდა ყვავილ-მცენარეთა ხილვა. მათ შორის ის უნებლიეთ ხედავდა ოცნებით ხან კაენს, ხან აბელს. შორიდან უღიმოდა ის ხან ერთს, ხან მეორეს და მათთან ყოფნის სურვილმა დაიმონავა ქალის მთელი არსება.

იდუმალ ღიმილით მიეშურებოდა მაგნა კაენთან და მასთან ხეხილოვან ბაღში აღამებდა დღეებს.

კაენმა მალე იგრძნო მაგნას ნათელ თვალებიდან გამომკრთალი ალის მთრობელი ძალა და მაგნაც მისი სიზმარ-სიცხადის მუდმივი სტუმარი გახდა.

როდესაც მაგნა მასთან იყო, — დღე მცინარი ღამე იდუმალი, მთვარის და ვარსკვლავების შუქით მოოქრილი შემონატროდა კაენის თვალების ბედნიერ ციალს. მაგრამ, როდესაც მაგნა აბელს შეჭუკჭუკებდა — მაშინ განრისხებული ის კუმშავდა მუჭს და ვეზუვის მსგავსად ცეცხლის ნაპერწკლებს აკვესებდა თვალებიდგან... მაგნა კი ბოლო დროს აბელის ხშირი სტუმარი გახდა.

აბელი, რომელიც უღიღინებდა მას უცნაურ სიმღერას, გაშლილ უსაზღვრო ველის დაუსრულებელ სიმღერას — მაგნას გულის მესაიდუმლე შეიქმნა.

აბელმა დაჩრდილა კაენი და მაგნას სულის თრთოლვა თან გაიტაცა...

— ჩემო აბელ! სამოთხე როდი დაგვიკარგავს ჩვენ, სამოთხე, თურმე, აქ არის, აქა... ტკბილ ალერსით და ბუნების სიდიადით დამტკბარი.

— ოჰ, ეს სამოთხე უფრო ტკბილია; მშვენიერი ნეტარებაც ეს არის. — ამბობდა აბელი და ტკბილხმიანად განაგრძობდა ლაღ, წარმტაც სიმღერას...

IV

კაენს დაენატრა მაგნა... ვერ მოითმინა და აბელისაკენ გასწია. აბელის სიმღერამ, მაგნას ალერსიანმა კისკისმა შურით მოუკუმშა მას გული და ბედნიერი მწყემსის კომბალს ხელი მოავლო. მრისხანედ აღმართა კომბალი, შეითამაშა აბელის თავის ზემოდ და შესაზარ შუილით მძიმედ დაეშვა...

ეფრატის კამკამა ტალღები გაავარდისფერა პირველ ადამიანის პირველმა სისხლმა და მდინარის წიაღში სამარადისოდ ჩასთვლიმა თვით ლეგენდამაც.

ილია რუხაძე

ბაბილონის გოდოლი

ესკიზი

I

შალიკო თეთრიშვილს თავიდანვე არ მოსწონდა ზალიკოს პოლიტიკა. თუმც რამდენიმე თვის უკან ძალიან კარგი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ეხლა საკმაოდ დაშორდენ ერთმანეთს. მართალია კავშირი ეხლაც არსებობს მათ შორის, სალამს ეხლაც არ უკავებენ ერთმანეთს და ხშირად რაიმე შემთხვევის გამო გულიანათაც კი ხარხარებენ, მაგრამ ამავე დროს ორივე გრძნობს, რომ მათ შორის თანდათან გაღვივდა და გაიზარდა ისეთი რამ, რაც ხელს უშლის მათ უწინდებურის გულახდილობით მივიდენ ერთმანეთთან და სრულის ნდობით მოეპყრან ერთი მეორეს.

შალიკოს აზრით ზალიკო ხორცშესხმული ოპორტიუნისტი იყო. ყველაფერს შეეგუებოდა, არც ერთი აზრი მასში ღრმად არ იყო გამჯდარი, სიტყვით ერთი იყო, საქმით მეორე; ყოველგვარი იდეის პროფანაცია მისი საქმე იყო, ბოლომდის ვერასოდეს ვერ დაიცავდა თავის აზრს, მუდამ ყოყმანობდა, ერთის სიტყვით, ნამდვილი უხასიათო პიროვნებას წარმოადგენდა: მუდამ წამს ქედს იხრიდა სხვისი სურვილის წინაშე და სხვისი ამყოლ-დამყოლი იყო. ზალიკოს პოპულარობასაც სწორეთ ამით ხსნიდა შალიკო.

— ამბობენ ხალხს უყვარს ზალიკო, — დაცინვით იტყოდა შალიკო, — რასაკვირველია, ეყვარება, ბრბოს ყოველთვის უყვარს ის, ვინაც ფეხქვეშ ეგება მას, მლიქვნელობს მის წინაშე, ყველაფერს უჯერის, ყოველ მისს სურვილს ასრულებს და ელოლიება მას. ზალიკო!.. ხა... ხა... ხა!.. ის ხომ ბუნებრივი ლაქიაა და ხალხსაც იმიტომ მოსწონს იგი, ყველაფერს უჯერის, ხელით ატარებს!.. მაგრამ დადგება დრო და...

შალიკო ასეთის სიტყვებით პირდაპირ ზალიკასაც მიმართავდა. როგორც კი ერთი მეორეს დაუპირდაპირებდა, კრებაზე იქნებოდა ეს თუ სხვაგან, მაშინვე მოხსნიდენ ერთმანეთის საქებ გუდებს თავს და... გაიმართებოდა დაუსრულებელი კამათი, ერთმანეთის გამტყუნება და რა გნებავთ კიდევ!

შალიკოს ღირსეულად შესამკობად ზალიკოსაც მზად ჰქონდა მაგარ-მაგარი სიტყვების ძლიერი არტილერია, ისაც შეუბრალებელ ომს აწარმოებდა გუშინდელი გულითადი მეგობრისა და ამხანაგის წინააღმდეგ.

უნიადაგო მეოცნებე, უსაქმური, ენა ბარაქალა, ცხოვრების უცოდინარი, ენაჭარტალა თეორიტიკოსი, ტვინგაყინული, აზრებ გაქვავებული, წიგნების კითხვით გამოჩერჩეტებული, კაბინეტის თაგვი!.. და ვინ დასთვლის, კიდევ რა სიტყვებით არ ამკობდა ზალიკო შალიკოს, რომელიც ყოველივე ამას დამცინავის ღიმილით ისმედა და თან შესაფერ რეპლიკებს აწვდიდა როლში შესულს.

— წვრილმან საქმეების გმირი ხარ, შენი სული დახურდავებულია, მუცლით სახოხად ხარ დაბადებული, ფრენა რა შენი საქმეა! — გესლიანათ ეტყოდა ამ დროს იგი.

— შენ კი დონკიხოტი ხარ, ოცნება და სინამდვილე ვერ გაგირჩევია ერთი მეორისაგან, ცხოვრების გარდაქმნა ერთი ფურცელი ქაღალდის დაწერა გგონია! სინამდვილე შენთვის არ არსებობს! მთელი შენი სიცოცხლე ცალ ფეხზე დგეხარ ინდოელ ფაკირივით და გონება დაჩლუნგული ვერ ამჩნევ, როგორ გაგრიყა ცხოვრების ტალღამ. ცხოვრება მრავალ ფეროვანია და ჩვენი მოქმედებაც ასეთი უნდა იყოს: მოძრავი, ცვალებადი, ელასტიური... შენ კი მთელი შენი სიცოცხლე ერთ და იმავე ფორმულებს ამბობ თუთიყუშივით...

ასეთ პასუხს აძლევდა ზალიკო, რომელიც ამ სიტყვების ლაპარაკის დროს მთელის თავის სხეულით თრთოდა და მოძრაობდა. პირის საბუთებს თან ემატებოდა ხელის შლა და ფეხის ბაკუნი; მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ესეც ძალუმი არგუმენტია.

მართალია, შალიკო აგრე ახასიათებდა ზალიკოს, მაგრამ ხალხის აზრით ეს უკანასკნელი სრულებით არ იყო ისეთი ვინმე, როგორც ეს შალიკოს ეგონა. ზალიკო პირდაპირ სახალხო გმირი იყო: ყველა აღტაცებით უსმენდა მას, ყველას სჯეროდა მისი ნათქვამი, ყველას თვალში უპატიოსნესი და ხალხისთვის თავდადებული პიროვნება იყო იგი.

— ზალიკო ლაპარაკობს, ზალიკო, — გაისმოდა ხალხში და ყველა ყურადღებას ტრიბუნისკენ მიაქცევდა. ზალიკოც თამამად ავიდოდა ტრიბუნაზე და... მოხსნიდა თავს მჭევრმეტყველის გუდას: ლაპარაკობდა ლამაზად, გარკვევით, აღტაცებით, ყველასთვის გასაგებად, ყველასთვის სასიამოვნოდ.

დაუსრულებელი ტაში, ავაციები, ხელით ტარება! არაფერი არ დაკლებია ზალიკოს. ბოლო ხანებში ლამაზ ქალიშვილებსაც კი ნახავდით მასთან; თუ კი ასეთ შემთხვევებში რაიმე დაეჯერება მშვენიერი სქესის ენას, მათის სიტყვით ისინი აღტაცებულნი იყვნენ ზალიკოს მხოლოდ ორატორულის ნიჭით და რევოლიუციონურის ტემპერამენტით; მაგრამ მათი ჟუჟუნა თვალების დახელოვნებული დიპლომატი — უძვლო ენა, რომ მსგავსად ყველა დიპლომატებისა ერთს რო არ ამბობდეს და მეორეს არ ფიქრობდენ, აი, მაშინ კი გვეცოდინებოდა, რომ იმ ჟუჟუნა თვალებს — ცოდვა გამჟღავნებულ სჯობია — და გულწითელა ტუჩებსაც ყოველ წუთს იმედი ჰქონდათ, რომ ზალიკო თავის ტემპერამენტს სხვა რამეზედაც მოიხმარდა. მაგალითად, ჩაკოცნაზე და სხვა ასეთებზე.

ზალიკომ კარგათ იცოდა ქალების მიერ მიტანილი იერიშების მიზანი, მაგრამ არავის ყურადღებას არ აქცევდა და დაუღალავად მუშაობდა. არავის აქცევდა ყურადღებას თქო, ვსთქვით; ეგ სიტყვები ცოტა განმარტებას საჭიროებენ: ყურადღებას როგორ არ აქცევდა, ან კი როგორ შეიძლება, რომ ლამაზ ქალს რევოლიუციონერმა ყურადღება არ მიაქციოს, რევოლიუციონერი ხომ სილამაზისთვის მებრძოლი რაინდია, — დიახ, ზალიკოც აქცევდა ქალიშვილებს ყურადღებას, მაგრამ ისე კი, რომ არც ერთ შემთხვევაში საზღვარი არ დაურღვევია, წრეს არ გადასულა; ზომიერება და გონიერება, — აი, როგორ იქცეოდა იგი. მასთან ყველას ერთნაირად ეპყრობოდა. ყველას პროპორციონალურად უნაწილებდა თავის ყურადღებას.

შალიკოს რომ ზალიკოს ბოლო დროის პირადი ცხოვრება კარგათ ცოდნოდა, მას რომ გაეგო, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ზალიკოს ქალიშვილებთან, იცოცხლე და ვიცოცხლე იმას დაგვიხასიათებდა!

— მაგ საჭურისია, საჭურისი როგორც რევოლიუციაში, ისე ქალებთანაც; Ýâí óõ, í àñòî ÿù èé ýâí óõ! მისი ტემპერამენტი არც ქალებისთვის არის საშიში და არც ბურჟუაზიისთვის. — შეჰყვირებდა იგი და თანაც გულიანათ გადიხარხარებდა.

მაგრამ ზალიკოს საბედნიეროდ შალიკომ არ იცოდა მისი ინტიმური ცხოვრება და ამ მხრივ იერიშებისაგან უზრუნველყოფილი იყო იგი. მუშაობდა თავდადებით, უანგაროთ და პატივისცემაც ღირსეულად ჰქონდა დამსახურებული.

II

შალიკო რომ მართლაც უნიადაგო მეოცნებე იყო, ამაში ზალიკოს გარდა მთელი ხალხი დაგემოწმებოდათ. აგერ ამდენი ხანია, რაც შალიკო კრებებზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს გატაცებით, სიყვარულით, მაგრამ... მისი აზრი არც ერთჯერ არ გასულა და სახელმძღვანელოდ არ მიუღიათ, თუმცა ტაშს ერთგულად უკრავდენ. ჯერ არ ყოფილა ერთი შემთხვევა, რომ შალიკოს გზას დადგომოდა კრება და ზალიკოს მიერ წაყენებული რეზოლიუცია გაშავებულიყოს. რა წინადადებაც არ უნდა წარედგინა ზალიკოს, იგი უსათუოდ მიღებული იქნებოდა, ხოლო შალიკოსას კი უარყოფდენ.

ხშირი ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ შალიკოს პირდაპირ თმა და წვერი უგლეჯია, როცა ზალიკოს შეუფერებელი და, მისის რწმენით, სულელური აზრიც კი გასულა, მაგრამ ხალხს სასაცილოთაც კი არ ყოფნიდა მისი წელებზე ფეხების დგმა. და იმ დროს, როდესაც შალიკო პირზე დორბლით ამტკიცებდა ზალიკოს რეზოლიუციის პრინციპიალურ მხრის უძლურებას, ვიღაცა ირონიულად მიაძახებდა:

— ვიცით, ვიცით, რაზე გტკივა მუცელიო. — ამის გამგონე შალიკო უსაზღვრო ზიზღით აივსებოდა და წამსვე ტოვებდა ბუზღუნით ტრიბუნას. „ეს საზიზღრობაა, ეგ აშკარა მატყუარობაა თქვენის მხრივო“ — მიაძახებდა ბრაზით ზალიკოს და ხალხში გაერეოდა. ზალიკო კი გამარჯვებულის ღიმილით გადახედავდა და ეტყოდა:

— ჩვენი აზრების დამფასებელი ხალხია, ხალხი მშვენივრად არჩევს ავსა და კარგს, შავსა და თეთრს. მეც კარგად მიცნობენ და შენც და რა ჩემი ბრალია, რომ ხალხს — ამ ქვეყნიურ სიბრძნის მატარებელ არსებას, არ მოსწონს შენი აზრები და მე მომყვებიან.

ამ უკანასკნელ არგუმენტაციაზე შალიკო დორბლებსა ყრიდა, არ იცოდა, რითი ემართლებია თავი. აი, როგორ ალაპარაკდა ერთხელ იგი, როცა ზალიკომ ზევით მოყვანილ საბუთზე მიუთითა.

— იცი, რას გეტყვი შე წვრილ ფეხა ლიბერალო, შენა? ეგ შენი ხალხი, რომელიც აგრე გაღმერთებს და რომელსაც ყოველი შენი სულელური აზრი შეურყეველ ჭეშმარიტებად მიაჩნია, აი, ეს ხალხი — გახლავს უტვინო ბრბო, განუსჯელი, მოუფიქრებელი, საქონლის ჯოგი, გამოყეყეჩებულ ცხვართა ფარა, რომელიც უტვინოდ მისდევს შენისთანა უპრინციპო ერკემალს.

— ოჰო, — აიმრიზა ზალიკო, — ერთი გვიბრძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ვისთანა მაქვს საქმე? დემოკრატიის ინტერესების დამცველ რევოლიუციონერთან, თუ შავფეხა რეაქციონერთან? აგრე ხომ შავრაზმელები მსჯელობენ!.. გაიმეორე, გაიმეორე მაგ სიტყვები, კარგად გააგონე ამ ხალხს!.. აბა, ყმაწვილო ბრძანე, ბრძანე!..

შალიკო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, დაინახა, რომ მახეში გაება და უკვე ნათქვამის განმეორებას — საქმის მიფუჩეჩება ამჯობინა. ის მშვენივრად გრძნობდა, რომ სთქვა ის, რასაც მთელის თავის არსებით იზიარებდა, აღიარა ის, რაშიც საკუთარის თვალით და გამოცდილებით დარწმუნდა, მაგრამ ისიც უეჭველი იყო, რომ ყოველივე ამის თქმით ერთგვარი უტაქტობა ჩაიდინა, მოწინააღმდეგეს ადვილად შეეძლო მისი სიტყვების ბოროტად გამოყენება და მაშინ...

მაგრამ ზალიკომ კარგად იცოდა შალიკოს ხასიათი, დარწმუნებული იყო მის სისპეტაკეში, მიხვდა, რომ ის სიტყვები შალიკოს გაწიწმატების დროს წამოცდა და... ასე ვსთქვათ, აპატია, არ გაიმეორა სახალხოთ, არ გამოიყენა თავისდა სასარგებლოდ.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ შალიკოს ეს არგუმენტი არ უხმარია ზალიკოს საწინააღმდეგოთ. მართალია ხალხს არ მოსწონდა შალიკოს აზრები, მაგრამ შალიკო მაინც გულს არ იტეხდა და თითქმის ყოველ კრებაზე გამოდიოდა სალაპარაკოთ. ის იყო ახოვანი, ოცდაათი წლის კაცი, ჭკუიანურისა და სიმპატიურის გამომეტყველებით. ლაპარაკის დროს მოგაგონებდათ ღვთისმმოსავ მოქადაგეს, რომლის ლაპარაკი ნამდვილი ლოცვა იყო, ლოცვა გულწრფელი, სასოებით აღსავსე, გულზე დაჭდობილის ხელებით. ცას მოპყრობილი თვალებით.

— ხალხო, მშვენიერია და მომხიბლავი ის სამეფო, — ლოცულობდა შალიკო, — იქ არ არის სევდა და ტანჯვა, ცრემლი და ოხვრა. იქ ყველა ცხოვრობს ერთის ცხოვრებით, ერთის ბედნიერებით, არ არსებობს შენ ჩემობა, ყველას გული ერთად სცემს, ყველას ერთი გრძნობა ამოქმედებს. მარტოობა, განცალკევება არ არსებობს იმ სამეფოში, მშვენიერება ბატონობს ირგვლივ, მომხიბლავის სურათებით არის მორთული იქაურობა! ხალხო,

იყავი შენც მშვენიერი და ძლიერი, გამბედავი და მოსურნე. ნუ დაადებ ბორკილს ერთხელ ათამაშებულ რევოლიუციონურ გრძნობას! გზა მიეცი მას, გაშალოს დროშა, ამართოს იალქნები! ის გაგანახლებს, ის გაგწმენდს და გაგაუკვდავებს შენ...

მოხდენილი და ლამაზი იყო შალიკოს ლოცვა, მაგრამ მისი მუსიკა მხოლოდ მას ატკბობდა, მხოლოდ მას ხიბლავდა. მხოლოდ ის, შალიკო სცურავდა მის მიერვე შექმნილ ხმათა ზღვაში, ხალხი კი, მაყურებელი ხალხი, ვერ გაეტაცებია მას და ვერ შეეყენებია მისთვის სასურველ გზაზე.

— შენ, ჰეი, რას ჩერჩეტობ, ამხანაგო, არ გვცალია მაგეებისთვის. — მიაყვირებდა ვიღაცა, იმას აყვებოდა კიდევ ვიღაცა, კიდევ ვიღაცა და...

— ხალხს არ სურს თქვენი მოსმენა. — ეტყოდა შალიკოს თავმჯდომარე, რომელიც ამის შემდეგ დინჯად გამოაცხადებდა, — შემდეგი სიტყვა ეკუთვნის ამხ. ზალიკოს.

— ვაშა, ზალიკოს, ვაშა, ვაშა! — იგრიალებდა მთელი ხალხი და ზალიკოც საქმის კილოთი დაიწყებდა ლაპარაკს.

— კარგია, კარგი! უსათუოდ უნდა მოვახდინოთ პურის რეკვიზიცია. — წამოიგრიალებდა დრო დრო ხალხი.

— ჩითებიც დავანაწილოთ, კარტოფილიც! სხვაფრივ ცხოვრება არ შეგვიძლია!.. უსათუოდ!

შალიკო განზე იდგა ამ დროს და კბილების კრაჭუნით ამბობდა:

— როგორ დაახურდავეს ეგ დიადი მუშათა აფეთქება! როგორ დააქუცმაცეს ყოველივე ამ რევოლიუციონურმა მეწვრილმანეებმა!.. მაგრამ... დადგება დრო... და...

III

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს. მაგრამ ხშირად არა იმ გეზით და იმ სახით, როგორც ამას ხალხს უხსნიდა და ეუბნებოდა ზალიკო. ბევრი მისი დაპირება არ ასრულდა, მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ უფრო გაუარესდა. ყველა გრძნობდა, რომ თავჩაღმართში მიდიოდენ. ახლა როდის ხვდებიან უწინდებურად ზალიკოს, ხალხს მოსწყინდა ტაშის ცემა, შეეჩვიენ ზალიკოს სახეს და ლაპარაკს, ორატორულ ნიჭს და საქმიანობას.

— სულ ერთ და იმავეს ლაპარაკობ, ამხანაგო, მოგვწყინდა ამდენი მოთმენა, არ შეგვიძლია ცდა! — გაისმის კანტი-კუნტად კრებებზე.

— შრომა და დისციპლინა, წესრიგი და მოვალეობის შეგნება, აი, რა გვიხსნის დაღუპვისაგან, აი, რითი დავახწევთ თავს მოსალოდნელ ურდურებს! — გაიძახოდა კრებებზე ზალიკო მოუთმენელთა საპასუხოთ.

— მოგვწყინდა ამდენი ლოდინი! ვლაპარაკობთ და არაფერს ვაკეთებთ! რა არის მოვალეობა! განა არ გვეყო, რაც სხვას ვემონეთ! ჩვენ ყოველთვის მოვალეობაზე გველაპარაკებიან!

ასეთი წამოყვირილი ერთობ გახშირდა კრებებზე, თუმც ზალიკო მაინც გამარჯვებული რჩებოდა.

ბოლო დროს იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე პირმა აშკარად მისცა შავი ხმა ზალიკოს რეზოლიუციას. ზალიკოს ეს ცოტა არ იყოს ეუცხოვა.

— ეგ დასასრულის დასაწყისიაო, — უთხრა იქვე მყოფმა შალიკომ და იმ პირებისაკენ მიიწია, რომელთაც შავი ხმა მისცეს ზალიკოს რეზოლიუციას.

მის წინაშე იდგა რუხ ფარაჯაში გახვეული ჯარისკაცი, რომელიც გამწარებულის თვალებით და თითქმის კბილების კრაჭუნით ათვალიერებდა მთელ კრებას. მისს სახეზე გამოიხატებოდა საკუთარის ძალისადმი რწმენა და რევოლიუციონური ცეცხლი, როგორც ეს ამოიკითხა შალიკომ.

— გამარჯობა, ამხანაგო. — უთხრა შალიკომ და ხელი გაუწოდა. ჯარისკაცმა რაღაც ეჭვისთვალით შეხედა შალიკოს და სამაგიერო უთხრა. შალიკოს ეგონა, ეგ პირი სიხარულით მიიწევდა ამისკენ და დაესიტყვებოდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ შალიკო მუდამ ზალიკოს საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა. დიახ, ასე ფიქრობდა შალიკო, მაგრამ შეცდა: ჯარისკაცი მაშინვე მიიმალა ხალხში.

— ეტყობა ნამდვილი რწმენისკაცია და შეუდრეკელი მებრძოლი, რომელიც დარწმუნებულია საკუთარის ძალის შეურყევლობაში. — გაიფიქრა შალიკომ და ერთობ მოიწონა ჯარისკაცის „ამპარტავნული მანერა“, როგორც ის ახასიათებდა.

შალიკო მეორეჯერაც შეხვდა ამ ჯარისკაცს კრებაზე. მან ილაპარაკა შალიკოს ლოცვის შემდეგ და ბევრის ყურადღებაც მიიქცია. ჯარისკაცმა სიტყვის დასაწყისში განაცხადა, რომ იგი მთელს თავის არსებით ებრძოლება ზალიკოს ნალაპარაკევს. ამან პირველად ყველა გააკვირვა, შალიკომაც ყურები სცქვიტა.

ჯარისკაცი ლაპარაკობდა ხალხურის ენით, მოკლეთ, მდაბიოთ. მის თვალში რევოლიუციონური ცეცხლი ენთო. აშკარად ეტყობოდა, რომ ცხოვრებას გაემწარებია და ეწრთო. მისი კრიტიკა სასტიკი და ულმობელი იყო. ის თავგამოდებით დაეძგერა ზალიკოს და არ შეიძლება ითქვას, რომ მიზანს ოდნავათ მაინც ვერ დაუახლოვდაო. პირველი ეპიტეტები, რომელიც მან მიუძღვნა ზალიკოს, ეს იყო: მატყუარა და არამზადა.

ეს სიტყვები ლახვარივით მოხვდა შალიკოს გულს და თითონ ჯარისკაციც იმ წუთსვე დაეცა მისს თვალში.

— ეს ვიღაცაა ქუჩის დემაგოგიაო. — სთქვა ნაწყენმა და პირი იბრუნა.

ჯარისკაცი კი, ვინ იცის, როგორის სიტყვებით არ ამკობდა ზალიკოს და მის მომხრეებს: ქურდები, მოსყიდულნი, ხალხის მტრები, საკუთარი ჯიბის გამსქელებელნი და ვინ იცის, რა! გპირდებიან და არ გისრულებენ, თავისუფლები ხართო, გეუბნებიან და ამავე დროს, ნებას არ გაძლევენ, რაც გინდა ის ქნა. მდიდრები არ იყოსო, გაიძახიან და მათი ქონება ისევ მათ ხელშია, გვშია და მაძღრებს ნუ წაართმევთო, გვარიგებენ ჭკუაზე. გვცივა და ნება არა გვაქვს, მუქთახორებს გავხადოთ ჩვენის ოფლით შეკერილი სათბურები.

ასე მიმართავდა ბრბოს ჯარისკაცი, რომელიც პირდაპირ ცეცხლს აფრქვევდა ტრიბუნიდან და სიტყვის დასასრულ საშინელი ტაშისცემა გამოიწვია.

— არა, ეგ უსინიდისობაა, დემაგოგობაა. — ბუზღუნებდა შალიკო და თან იმასაც აღიარებდა, რომ ჯარისკაცმა ბევრი სინამდვილე აღნიშნა და მისი სიტყვა საერთოდ მგონი მისაღები იქნესო.

— მაგრამ... მაგრამ... ბევრი სიბინძურე და ცილისწამება იყო. — ფიქრობდა შალიკო.

დადგა კენჭის ყრის დრო, ზალიკომ თავისი რეზოლიუცია წააყენა.

— საწინააღმდეგო რეზოლიუცია, საწინააღმდეგო! — გაისმა ხალხში. ყველას ეგონა, რომ რეზოლიუციას ჯარისკაცი წამოაყენებდა, მაგრამ მან შალიკოს მიმართა. შალიკოს არასგზით არ უნდოდა რეზოლიუციის წადგენა.

— მე რომ ეს ვქნაო, — ამბობდა, — მაშინ გამოვა, რომ მე ვიზიარებ იმ ქუჩურ დემოგოგიას, რომელსაც ის ჯარისკაცი ეწეოდა. არა, მე ამას არ ვიკადრებ! თუ მე მართალი ვარ და ჩემი აზრები ჭეშმარიტებას შეიცავს, მაშინ მე არ მჭირდება ყალბის გზით სიარული, უსინდისო დემოგოგია. ჭეშმარიტება თავის გზას თითონ გაკაფავსო. მაგრამ შალიკოს არას გზით არ მოეშვენ და ბოლოს რეზოლიუციის შედგენაში დაეხმარა, როგორც თითონ განმარტა. მოხდა გასაკვირველი ამბავი: ზალიკოს რეზოლიუციამ შეკრიბა მხოლოთ ორი მესამედი ხმა, დანარჩენი ერთი მესამედი შალიკოს „დახმარებით“ შედგენილმა რეზოლიუციამ მიიღო.

შალიკოს ეს, რასაკვირველია, ეამა, მაგრამ... ჯარისკაცი მისს თვალში მაინც მდაბალი ხარისხის პიროვნება იყო, რომელმაც არასაკადრისად გაითამაშა ბრბოს გულის ტალახიან სიმებზე.

კ. ზდანევიჩი. ესკიზი

— ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ ზალიკო მაინც არ არის ანგარების კაცი, — ფიქრობდა იგი შინ დაბრუნებისას, — ფულის გულისთვის, პირადის ბედნიერებისთვის ის ხალხს არ უღალატებს. მისი მოსყიდვა შეუძლებელია... მე მას ბავშვობიდან ვიცნობ, გულწრფელია, ანკარა გრძნობის პატრონია. მე იმას არასოდეს არ მოვიხსენიებ ისე ქუჩურად, როგორც ეს იმ ჯარისკაცმა მოიმოქმედა! არა ეგ უსინდისობაა! ჭეშმარიტებას ეს არ სჭირია... მართალია, მე არ ვეთანხმები ზალიკოს ბევრში, მაგრამ იმას მაინც არ ვუჯერი, რომ იგი შეგნებული ხალხის მტერი და მატყუარაა. მის მიერ არჩეული გზა — ეს ერთგვარი რწმენისა და პრინციპის საქმეა... კი, მე იმას შავის საღებავებით ვახასიათებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი შეგნებული ბოროტი და გაიძვერა ვინმე იყოს! არა, ეს აგრე არ არის და მე არც ავყვები ასეთ ვაჟბატონებს, რომლებიც ამ გზით დაუწყებენ მას ბრძოლას! ეგ როგორ შეიძლება, შორს ჩემგან უსინდისობა! ის ჯარისკაცი რაღაც ანტიპატიური და საშიში ტიპი უნდა იყოს, თანაც საეჭვო ვინმე. ვინ იცის, ეგების პროვოკატორია, ან დეზერტირი. დეზერტირი საერთოდ არ არის სანდო ტიპი, ასეთებს უნდა ერიდოს კაცი...

შალიკო დიდხანს იყო ჩაფიქრებული, მას სწყინდა, რო იგი ეგრე მოურიდებლად ახასიათებდა ზალიკოს. „შეიძლება ბევრმა სხვანაირად გაიგო ჩემი სიტყვები და ეგების ამ ჯარისკაცსაც მე ჩავაგონე ასეთი რამეო“, — წყენით ფიქრობდა იგი და გულში ინანებდა.

მისი არსება დიდხანს ვერ შეურიგდა ჯარისკაცის საქციელს. ერთის მხრივ მას სიამოვნებდა, რომ ზალიკოს პოლიტიკა შეირყა, ხალხმა შეიგნო თავისი შეცდომა, მაგრამ მეორეს მხრივ სწყინდა, რომ მისი გავლენით შედგენილი რეზოლიუცია არა სიმპატიურის ადამიანების ხმებით დაიტვირთა. „ალბად ვინც ამ რეზოლიუციას მისცა ხმა, ყველა იმ ჯარის-კაცის ტიპის ვაჟბატონებიაო“ — ფიქრობდა იგი. ბოლოს გადასწყვიტა, რომ ცოტა ხნით მორიდებოდა კრებაზე ზალიკოს საწინააღმდეგოთ ლაპარაკს — ვინ იცის, ცუდი ხასიათი არ მიიღოს საქმემ და პატიოსანი ადამიანი ხულიგანების საშვალებით არ დავამარცხოვო. ამ გადაწყვეტილებაზე კიდევ უფრო მაშინ განმტკიცდა, როცა ირონიულად უთხრა ზალიკომ:

— ბიჭო, რა დღეს მოესწარი, შენი იდეების მომხრე ყველა დეზერტირი და ყაჩაღია, მოგხედა ღმერთმა, კარგი ლაშქარი შეგიდგებაო.

კ. ზდანევიჩი. ვაზა

IV

— თქვენი მომხრენი ვართ ამ და ამ ადგილს შეკრებილნი და გთხოვთ მოხვიდეთ, ჩვენ დელეგატები ვართ. — უთხრა სამმა პირმა შალიკოს, რომელიც იმ კრების აქეთ უსიამოვნო გრძნობას შეეპყრო და სამი-ოთხი დღე სახლიდან არ გამოსულა.

შალიკოს გაუკვირდა — ვინ უნდა იყვნენ ეს პირებიო, ერთხან იყოყმანა — რაიმე პროვოკაცია არ იყოსო, მაგრამ ბოლოს, ბევრი რწმუნების შემდეგ, მოლბა და წავიდა. თან ფიქრობდა: თუ რაიმე ცუდს შევატყობ, ვინ დამიშლის უკან გამობრუნებასო.

კრებაზე ასზე მეტი კაცი და ქალი იყო, მათ შორის ბევრი კიდეც იცნო შალიკომ, ამ გარემოებამ ის ერთიანად დააახლოვა შეკრებულებას და რაკი გაიგო მათი შეკრების მიზანი, მაშინვე გააცნო მათ თავისი აზრები და შეხედულება.

ილაპარაკა დიდხანს, ლამაზად, დაწვრილებით. ასე აღტაცებით და სიყვარულით დიდი ხანია არ ულაპარაკნია შალიკოს. ამდენი გრძნობა და აღფრთოვანება მას დიდი ხანია არ ჩაუქსოვია სიტყვაში. მართალია, პირველ ხანებში, როცა ბორკილები დაიმსხვრა და საშვალება მიეცა თავისი გულის ნადები საქვეყნოდ ეღაღადებია, დიდის აღტაცებით და თავდავიწყებითაც კი ქადაგებდა, მაგრამ რაკი დაინახა, რომ მისი არავის სჯეროდა და თითქოს ყველა ზალიკოს აზრებს იზიარებდა, რაკი დარწმუნდა რომ ხალხის გადმობირებას ვერ შესძლებდა, ცოტა არ იყოს აღმაფრენა მოუდუნდა, ხალისი დაეფერფლა და პირვანდელის გატაცებით ვერ ლაპარაკობდა. ახლა კი ამ კრებაზე შეკრებილმა ხალხმა ძალუმად შთაბერა მას აღფრთოვანება, ერთიანად ააფეთქა მისი გრძნობა და შალიკოც ამეტყველდა ისე, როგორც, მგონი, არასოდეს. მას სრულებითაც არ ამოქმედებდა ზალიკოს პირადი სიძულვილი ან სხვა რაიმე ქვენა აზრი. მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ საერთო ბედნიერების დასამყარებლად მოწოდება იყო. პირად „მე“-ზე შალიკოს არასოდეს არ უზრუნვია და არც ახლა ფიქრობდა. მუშა ხალხი და მისი გაბედნიერება — აი, რაზე ფიქრობდა მთელი თავისი სიცოცხლე შალიკო და რაკი დაინახა, რომ შექმნილ პირობებში ადვილად შეიძლებოდა ამის მიღწევა, კიდეც ამეტყველდა მთელის თავის არსებით.

— ხალხო, მრავალ-ტანჯული ხალხო, დღეს დაიმსხვრა საუკუნოების მიერ შენს ხელ-ფეხზე დადებული ბორკილი, დღეს დაილეწა მონობის გუნდები. და იცოდე, არ მოსტყუვ-დე, კვლავ არ დაიდო სხვა სახის კირთები, კვლავ არ გაება მონობის მახეში. აღსდექ, მშრო-მელო, იცან თავი შენი და დღესვე შეუდექ ბედნიერების სახლის აგებას!..

ასე მოუწოდებდა შალიკო და დამსწრენიც თავდავიწყებით სცემდენ ტაშს.

შალიკოს შემდეგ სხვებმაც ილაპარაკეს, არსებითად ყველა შალიკოს აზრებს ასაბუ-თებდა და აფართოვდება, რაიმე ახალი აზრი არავის უთქვამს. შალიკო კიდევ უფრო ააფ-რთოვანა ამ გარემოებამ, ის აშკარად დარწმუნდა, რომ მისს გამოსვლებს ტყვილა არ ჩა-ევლო და ამდენი პირის მომზადებით უთუოდ ნაყოფი მოეტანა.

ბოლოს ის ჯარისკაციც გამოვიდა, შალიკოს არც ახლა იამა მისი სიტყვები, მაგრამ... ბოლომდის მაინც მოისმინა. სრული დარწმუნებული იყო, რომ ჯარისკაცის ნალაპარა-კევს კრება არ მოიწონებდა ბევრ რამეში, განსაკუთრებით დაგმობდა მისს ფორმას, გა-მოთქმის საშვალებას. ეგონა, რომ კრებაზე სასტიკი პროტესტი გაისმოდა ისეთი უწმა-წურის სიტყვების გაგონების დროს, როგორც არის: პოლიტიკური მეძაობა, როსკიპული სინდისი და სხვა ასეთი გამოთქმაო, რომელთაც ის ჯარისკაცი ამკობდა ზალიკოს.

მაგრამ... მაგრამ... პროტესტის მაგიერ ორატორს ყველამ ტაში დაუკრა, ავაციებიც კი გაუმართეს — ისე დროს შესაფერად, პრაქტიკულად და მომენტისთვის მიზანშეწონი-ლად ილაპარაკა ჯარისკაცმა.

შალიკომ არ იცოდა, რა ექნა, უნდოდა, მისი მომხრენი გაეფრთხილებია — ნუ აყვე-ბით დემაგოგიასო, მაგრამ ტაშის გუგუნი ისე ძლიერი და შეთახმებული იყო, რომ... გრძნობა აზვირთებულმა შალიკომაც აპლოდისმენტით დააჯილდოვა ორატორი. მაგ-რამ იმ წუთსვე, რა წუთს მას მოესმა თავისივე ხელების შემოკვრით გაღებული ხმა, სწო-რეთ იმ წუთშივე ელვის სისწრაფით მის თვალ წინ აღიმართა დაუმსახურებლად და უსა-მართლოდ შეურაცხყოფილის, მისი ძველი და ერთგულ მეგობრის — ზალიკოს ენერგიუ-ლი ხატება, რომელიც წყნარის გამომეტყველებით შეჩერებოდა თვალებში თავის ერთ დროს ძვირფას მეგობარს და ამხანაგს შალიკო თეთრაშვილს.

შალიკო შეკრთა, უნდოდა მაშინვე შეეწყვიტა ტაშის ცემა, ერთი წუთაც შეჩერდა, მაგრამ მყისვე გადისროლა შორს სინდისის მქეჯნელი მოჩვენება და თავისი ტაშიც სხვე-ბისას შეუერთა.

სახლში აღფრთოვანებული დაბრუნდა, გრძნობები ვერ დაემონებია, სულ ერთიანად თრთოდა, ფრთები არ ქონდა, თორემ გაფრინდებოდა. წარმტაცი მომავლის გათვალის-წინებამ სავსებით მოხიბლა და გააბრუა გაბედნიერებული ქვეყანა, საერთო კეთილდღე-ობისთვის მომუშავე კაცობრიობა!.. ახალი გრძნობა, ახალი ენა, ახალი დამოკიდებულე-ბა!.. აღგვილი უბედურება, დამშრალი ცრემლთა გუბეები!..

და შორს, შორს, სადღაც მოგონების კუნჭულში შეურაცხყოფილი და გაშავებული ზალიკო! ის ზალიკო, რომლის სინიდისი ისე სპეტაკია, როგორც შალიკოს, რომელიც ისე უმწიკვლო და უზადია, როგორც მისი მეგობარი. უნდა შალიკოს რაღაც სთქვას, ვიღაცა დაიცვას, რაღაცა დაიცვას, რაღაცა უარყოს, მაგრამ... მაგრამ... გრძნობა ისევ ფორია-ქობს და ზალიკოც შორიდან მოსჩანს.

ვერ მოითმინა, შერცხვა და ზალიკოსკენ გასწია. გადასწყვიტა ყველაფერი ეთქვა, უწინ-დებურად გადაეშალა მისთვის გული და მთელი თავისი ზრახვა დაუმალავად ეთქვა. აკი, ერთ დროს სწორეთ ისე იქცეოდენ, აი, იმ დროს, როცა ორთავე ერთად შავსარდაფებში ერთნაირის მონობის უღელში თავგამოდებით განაგრძობდენ ბრწყინვალე იდეალებისთ-ვის ბრძოლას!.. დიახ, მოაგონდა ის დრო და კიდეც მოინდომა გულის სიღრმის გადაშლა, მაგრამ ზალიკოს ვერაფერი უთხრა, რაღაც გაურკვეველის მიზეზის გამო თავი შეიკავა. მხოლოდ ეს კია, რომ საშინელი სიმორცხვე გამოიჩინა ლაპარაკში, ერთხელაც კი ვერ შეხე-

და თვალებში ზალიკოს და თან ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს საჭირბოროტო საკითხებზე. სულ იმის ცდაში იყო, რომ ლაპარაკი უბრალო საგნების გარშემო ყოფილიყო და საზოგადოთ შექმნილიყო ძველებური სულიერი განწყობილება. შალიკომ ისეთი რაღაცეები მოიგონა ძველი მეგობრობიდან, რომ ორთავეს გული რაღაც თბილმა გრძნობამ შეიპყრო, ერთის წუთით ორთავეს მოეჩვენათ, რომ დამაშორებელ რაიმეს მათ შორის ადგილი არ ქონებია და ისევ ძველებური არიან; ამ მომენტში მზად იყვნენ წყევა-კრულვა შეეთვალათ იმ პირობებისთვის, რომელთაც ისინი თითქოს დააშორეს ერთმანეთს, გულის სიღრმეში ორივეს სწადდა შეეჩვენებიათ ის წყეული გარემოებანი... მაგრამ... ბოლოს ორთავე წყნარად დაშორდა ერთმანეთს, გულის ნადები არ გამოუჟღავნებიათ, საკუთარი თავმოყვარეობა ორთავემ შესანიშნავად დაიცვა. ზალიკოს დიდათ არ გაკვირვებია ეს შეხვედრა, ხოლო შალიკო ერთობ ცუდ გუნებაზე დაბრუნდა შინ, განსაკუთრებით პირველ წუთებში. ასე ეგონა, თითქოს სინიდისის ქენჯნა რაღაც ცოცხალ არსებად გადაქცეოდეს და ისე ღრღნიდეს მისს სხეულს, როგორც ისტორიულ რომაელის გვერდს უბეში მოპარულად ჩასმული მელია. ბოლოს იგრძნო სწორეთ ამ მელიასავით დახრავდა მისს არსებას სინიდისი, მაგრამ...

V

რამდენიმე დღის შემდეგ ზალიკო და შალიკო კიდევ დაუპირდაპირდენ ერთმანეთს. ზალიკოს როდი შეხვდა ხალხი ადრინდელის აღტაცებით. ეს კი არა აქა-იქ სტვენაც კი გაისმა, ვიღაცებმა ისიც კი წამოიყვირეს: — არ მივსცეთ სიტყვის ნება, მაგ მოსყიდულს, მაგ მატყუარასო.

ზალიკოს რევოლიუციონური ტემპერამენტი ერთი ასად გააცხოველეს ამ გვარმა წამოძახილებმა და ზალიკოც ცეცხლივით აენთო ტრიბუნაზე. თვით მისი მოსისხლე მტერიც კი ვერ იტყოდა ამ წუთს ზალიკოს შესახებ, რომ იგი არ იდგა თავის სიმაღლეზე და შესანიშნავად ვერ იცავდა თავს. მთელი მისი არსება გულწრფელობით და აღტაცებით ამტკიცებდა ერთხელ არჩეულ გზის სიმართლეს. ვინ გაბედავდა ამ დროს ეთქვა, — ზალიკო ანგარებით მოქმედებს, მოსყიდულია, პირადის ინტერესებისთვის საზოგადო საქმეს ღალატობო! არა, ამას ვერავინ შეკადრებდა მას!.. მაგრამ... მაგრამ მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო და შალიკოს მომხრეებმა პირდაპირ ტალახში ამოსვარეს მისი პიროვნება. ყოველგვარი სისაძაგლე დასწამეს, ყველაფერი დააბრალეს...

და ეს ხმები არ იყო ერთი და ორი, თითქმის მთელი კრება ამას იმეორებდა.

— არ გვინდა მაგ მატყუარა, შალიკომ ილაპარაკოს, შალიკომ! — აგრიალდა ხალხი.

შალიკო გულის ფანცქალით შეჰყურებდა ყოველივე ამას, გულდასმით ისმენდა ბრალდებებს და გული უკვდებოდა, ზიზღით ივსებოდა. იყო წუთი, როცა ის მზად იყო შეეყვირებია: „შესდექ, თავაშვებულო ბრბოვ, ნუ შეურაცხყოფთ გულწრფელს, თქვენთვის თავდადებულ ადამიანს!.. რა ვუყოთ, რომ ის ცდებაო“... უნდოდა აგრე შეეყვირებია, მაგრამ...

— შალიკომ ილაპარაკოს, შალიკომ! — გაჰკივის ხალხი. შალიკოც გამოდის და ლაპარაკობს. ის გრძნობს, რომ აქაფებულ ტალღებში ქანაობს, ხან აქეთ მიეხეთქება და ხან იქით, ხან დასავლეთის ქარი აათამაშებს მისს ნავს და ხან აღმოსავლეთის — გრძნობს, რომ ნიჩბები უკვე გადაუტყდა და ამ წუთს მისი ნავი ელვის სისწრაფით დასრიალობს აბობოქრებულ ტალღებში... ხან ერთი თავია ზევით, ხან მეორე, ხან ერთის გვერდით გაწვება წყალზე, ხან მეორეთი... ტალღა ტალღაზე ასკდება... შალიკო უღონოა, ის მონაა ზღვის, ფაფარაყრილი სტიქიის...

ტაში გრიალებს, ნავი ქანაობს, შალიკო ბარბაცობს...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — გაჰკივის ბრბო.

— ძირს მატყუარები, ძირს მოსყიდულები! — ზანზარებს ჰაერში.

შალიკომ იმის მეასედიც ვერა სთქვა, რისი თქმაც უნდოდა: მოზღვავებული გრძნობები ვერ დაასრულა და ტრიბუნა დატოვა აცრემლებულის თვალებით.

ყველაფერი აირია მის არსებაში, არაფერი გარკვეული მას არ ეჩვენებოდა. ის მზად იყო, მთელი ქვეყანა გადაეკოცნა, ყველას ჩასძრომოდა სულში, ყველას გულში მოზღვავებული სიხარული მარტო მას დაეტია.

ბოლოს და ბოლოს ცოტათი გამოერკვა და თვალწინ წარმოუდგა ის ჯარისკაცი... გრძელ ულვაშა, უკმეხი, გაბედული, ამაყი, ურცხვი და უწმაწური... წარმოუდგა და თითქოს უკან დაიხიაო... მაგრამ აშკარად დარწმუნდა, რომ იგი იმ არსების ხელში იყო და სწორეთ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ამას მოითხოვდა ის ჯარისკაცი...

შალიკო უნებლიე ტყვე იყო...

მან ანგარიშ მიუცემლად დასწერა რეზოლიუცია და გარინდებულმა გადასცა მის წინაშე უკმეხად ამართულ ჯარისკაცს.

კენჭის ყრის შედეგი ასეთი იყო: ზალიკო და მისიანები ერთიანად გააშავეს, შალიკომ და მისმა მომხრეებმა ყველა თეთრი ხმები შეკრიბეს.

* * *

დადგა წამი, როდესაც ზალიკოს თავის თანამდებობა შალიკოსთვის უნდა გადაებარებია. ჩუმად და დარცხვენილად შეხვდენ ერთმანეთს ძველი მეგობრები. უკანასკნელ ნივთის გადაცემამდე ხმა არ გაუღიათ. ბოლოს, გამოთხოვებისას, ზალიკომ ვერ მოითმინა და გესლიანის ღიმილით უთხრა:

— გიხაროდეს, გამარჯვება შეუგნებელმა ბრბომ გარგუნა...

— როგორ თუ შეუგნებელმა ბრბომ?.. — ჰკითხა უცებ შალიკომ და გაკვირვებით მიაჩერდა. ზალიკოც შეკრთა. მას მოაგონდა, რომ რამდენიმე ხნის უკან შალიკოც სწორედ ასეთის სიტყვებით უმასპინძლდებოდა მას, მოაგონდა და დაიბნა, მიხვდა, რომ შალიკოსაგან ღირსეულ პასუხს მიიღებდა.

შალიკოსაც მოაგონდა მის მიერ არა ერთხელ ნათქვამი სიტყვები ბრბოს შესახებ, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა მოიკვნიტა...

ორთავე უსიტყვოდ მისჩერებოდენ ერთმანეთს და არ იცოდენ, რა ეთქვათ. ორივეს სახეზე აშკარად სჩანდა რაღაც სირცხვილი, დაბნეულობა და... უღონობა. ის ჭეშმარიტება, რომელიც თითეულ მათგანს თითქოს ხელში ეჭირა, უცებ სადღაც გაუქრათ... როგორც ძლევა მოსილს, ისე დამარცხებულს ამ წუთს არარად ეჩვენებოდათ საკუთარი თავი... ძველ მეგობრებს რომ იმ ჟამად ენების ამოძრავება შესძლებოდათ, უთუოდ იტყოდენ:

— აქ რაღაც ენათა არევა მოხდა, შავი თეთრად მექცა, თეთრი შავად. გამაგებინეთ, ვინა ვართ მართალიო!

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისინი ხმის ამოუღებლივ დაშორდენ ერთმანეთს.

ვ. მალაქიაშვილი

1920

ღამის ლანდები

1. ანთება

უკანასკნელი ჭიქა გამოსცალა მან და იატაკს ჩააშტერდა ისე, რომ ჭიქა არ დაუდგამს.

რამდენიმე წუთი იმდუმარა თვალებ-ანთებულმა, ბოლოს ერთი გადიხარხარა მწარედ, ველურად და ჭიქა იატაკს დაანარცხა. ამოიოხრა და, ავადმყოფურად ამოიღიღინა კანკალით:

მე ის ვიციქ, რომ სხვა გიყვარს
და იმიტომ მერიდები-ი-ი....

და კიდევ განიმეორა მეორე ნახევარი უფრო აშლილად, ნებამიხდილად განიმეორა. მიანელა ხმა და ქვითინივით ამოისროლა ნაწილ-ნაწილად: ვი ლე-ვი-და ვდნე-ბი-ი-ვკვდებიიი...

დადუმდა. იატაკს ჩააშტერდა.

სახე გაფერმკრთალებული ჰქონდა. თმები უსწორმასწოროდ ჩამოშლილი. თვალები დაქანცული. მარტო იყო ოთახში. ლაპარაკობდა. ხარხარებდა.

არის ხარხარი, რომელიც წყევა-კრულვას უფრო ჰგავს ვიდრე სიცილს.

მთვარე იყო გარედ. ღია ფანჯრიდან შემოდიოდა სიო...

უცებ:

— შორს ჩემგან! შორს ჩემგან! მოღალატევ! ფლიდო! გველო! — მუშტი დაჰკრა მაგიდას მძლავრად, გავიდა. უქუდოთ ჩავლო კიბე...

ცალი ხელი ჯიბეში ედო. ქუჩა გავლო ისე, რომ ყველანი გზას უთმობდენ. ანთებული თვალები, ფართე ცრემლ-მორეული. თმა-აბურძგვნილი — მიდიოდა წინ ბუტბუტით. ჰგავდა გიჟს.

ქალაქ გარედ შორს მინდორში ამოჰყო თავი. გამოერკვა და რომ ფართედ გაშალა მკერდი სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად — ამოსკდა მკერდს:

თუ ასეა, მე წავალ შორს
გაგშორდები... გაგეცლები...

ამოიმღერა კვნესით. ამოიმღერა ისეთი სიბეჯითით, რომ მართლა შორს წავიდოდა, მართლა გაეცლებოდა — ასეთი სიმტკიცე და განწირულება ისმოდა ხმაში. შედგა... ხელები გაიშვირა წინ:

— არა გრცხვენიან! თამარ! არა გრცხვენიან? სიყრმიდან, დაბადებიდან ვიყავი შენი... მე ვიტანდი ვაებას და შენზე ფიქრი ერთის წუთითაც არ შემიფერკრთალებია! ვკრეფდი ყვავილებს შენთვის და საღამოს ნიავს მუდამ ვატანდი შენთან ჩემი გულის მუსიკას ლოცვად გარდაქმნილს და... სალამს — ახ! ცრემლიან სალამს ვატანდი შენთან საღამოს ნიავს!.. მთელი დღეები ვიდექი სადმე კუთხეში და მხოლოდ იმიტომ, რომ აქ გაივლისმეთქი თამარი! მე მოგიტანე შენ ათასი მსხვერპლი და დავსწვი შენი სახელის სამლოცველოზე უხმოდ! მორჩილად! ჩემო ჯალათო! მშვენიერო ასულო ჩემის ქვეყნისა! ათას მათრობელ ღიმილში მე არასოდეს არ დამიჩრდილავს ფიქრში შენი სახელი... არა გრცხვენიან? თამარ! არა გრცხვენიან?

თვალები დახუჭე:

— ჩემო გიჟუნიავ! ჩემო ალერსო! ზღაპარო! არა გრცხვენიან ჯალათობის? სიზმრები? გახსოვს? — ჩიტები ჭიკჭიკობდნენ...

საღამო იყო. ჰაერში მათრობელი სურნელება...

აღფრთოვანება — გალობა გულში. სულის სიმაღლე ასული ცამდის. ჩვენ — ნორჩნი. წრფელნი. კარგნი... ჩვენს წინ გადაშლილიყო სამშობლოს ჯადო სურათები. აწვდენილ მთათა შეფენილ კალთებზე ახმაურდა სევდის სალამური. ნაზი... ნაზი... მკვნესარე... გახსოვს?

შორს ჩემგან! უსინდისო! ჯალათო! გველო! ფლიდო! უუჰ, როგორ მინდა ეხლა შეგხვდე სადმე ისე, რომ არავინ იყოს. დაგაყენო ჩემს წინ, მოგაგონო ის დრო, როცა ანგელოზს გადარებდი — და გიძახო, გიძახო საშინელი: როსკიპო! როსკიპო! უუჰ! როგორ მწყურიან, დავინახო შენი სახე სავსე სინანულით! როგორ მსურს, ვიხილო ცრემლები — შენი ორპირა სულის ცრემლები! რა რიგ მენატრება აღვნიშნო შენს სახეზე უკურნებელი ტანჯვის ნაოჭები და დავსტკბე. დავსტკბე მწარედ, როცა შენ — სულში მტირალეს — გაგამასრავს, ტკივილს გაგიასკეცებს ჩემი უღმერთო შავი ძახილი — როსკიპო! როსკიპო! რა რიგ მწყურიან!...

მაგრამ... ჰახ! არა! არა! არა! თამარ, იყავ კურთხეულ ამიტომ უკუნისამდე! იყავ კურთხეულ! იყავ ბედნიერ!

შეჩერდა...

ჰოო... ჩიტები ჭიკჭიკობდნენ... და აწვდენილ მთათა კალთებზე ახმაურდა სევდის სალამური ნაზი... ნაზი... მკვნესარე... არ გახსოვს? ნუთუ არ გახსოვს, თამარ?

თუ ძალით მოცულ ბნელ სამყაროს გაჰკვეთს განთიადის რეკა? ცაში გაჩნდება სიცოცხლის ელექტრონი. ამომავალი მზე ცეცხლის ალმურს წაუკიდებს ღრუბელთ სამეფოს და კულულებათ შეგრეხილი ღრუბელთ ჯარი კოცონებათ ავარდება! ღამის ლანდები დასამარდება და სიბნელის სასაფლაოზე დროშას გაშლის კისკასი დილა...

მე გამოვალ გარედ და... უთვისტომო, მიუსაფარი და უცხოელი ჩემს ქვეყანაში — მარტვილად ჩავივლი რუსთაველით...

მე არ შემხვდება არც ერთი ნამდვილი ადამიანი და რუსთაველი კი სავსე იქნება ხალხით.

მე ჩავივლი შეუმჩნეველათ. გვერდ ჩავარდნილი. ფეხ-შიშველი და დაძონძილი. ნაცნობები გვერდს ამივლიან. ახლობელთაც შევეჯავრები.

ჩავივლი ნელა.

ამ ზღვაში ჩემთვის არც ერთი წყვილი თვალები არ აციალდება. არ აენთება არც ერთი წმინდა ღიმილი და არ შემაჩერებს არც ერთი სიყვარულით სავსე სალამი. მე არ შემხვდება არც ერთი, არც ერთი ნამდვილი ადამიანი...

სიყვარულის სასაფლაოზე მიტყდება ჯვარი.

ამიტანს დარდი. ავირბენ დავითის მთას და ჭაღარა დიმიტრის სამარეზე მწარედ, მწარედ ავქვითინდები მარტვილი... მწირი... ეს იქნება ხვალ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — ეს იქნება ხვალ!

გიჟუნიავ! შენი ხელები შემომეჭდო მე. შენი ბაგენი დამეფინა ვარდის ფოთლებათ — ჩემო ზღაპარო — ვარდის ფოთლებათ დამეფინა მე მთელ სახეზე შენი ბაგენი — ეს გიჟური სურა, თავდავიწყების წყარო და... შემსვეს, დამათვრეს, გამაგიჟეს — გული შემეკუმშა...

ჩამოჰკრა ზარი... გული უკვე ჩავარდა... თამარ — მომწყდა გული! წაიღე, აწი ეგ შენი საჯირითო მოედანი და სადაც გინდა გადაისროლე... რომ შეიძლებოდეს ამოღება და საკუთარი თითებით დაფლეთა გულის — სიამოვნებით ვიზამდი მაგას! რა სიამოვნებით გადვისროდი მაგ წყეულ ჩირაღდანს შიგ წუმპეში — მაგ შენით სავსე, შენით მოელვარე ჯოჯოხეთს — ამ გულს — შენ, ეი! ჩემო წამებავ! უღმერთო მშვენიერებავ! ჰაერი არა მყოფნის! არაა ჰაერი! რა ყოფილა — ჩემო ძვირფასო მეგობარო — თავისუფლება წამებაზე უსაშინელესი!

მიშველე, ღმერთო! მამაო ჩვენო! ჩვენო მფარველნო! შემოქმედო ყოვლის შემძლევ! მომაპყარ შენი მოწყალე თვალები გევედრები მომხედე მე, შენს უმწეო მონას! მომანიჭე სულის სიმშვიდე, დამიბრუნე ჩემი ძალ-ღონე. გონება ჩემი! რწმენა და ღიმილი! ისმინე მამაო ჩემი ვედრება და ნუ გადამჩეხ ბოროტების შავ-ბნელ უფსკრულში, — ნუ ჩამადენინებ ცოდვას, მკვლელობას — შემივრდომე, შემიწყალე მე! და გაძლევ აღთქმას — რომ ყოველ ცისმარე დილით აღვავლინო შენამდის ლოცვა! სიკეთილით მოვრწყო ქვეყანა მთე-

ლი, ყველა ტანჯულთ მე ვასმინო სიტყვა შენი ჭეშმარიტების და არასდროს არ დავსთმო არც ერთი ბოროტება, არც ერთი ცოდვა განუკითხავად!

გაძლევ აღთქმას არასდროს არ გავათენო თეთრი ღამე, არასდროს არ ვიფიქრო სიყვარულზე, ვიყო სასტიკი მდევნელი ყოველი იჭვის შენს ქმნილებათა შეურაცხყოფის და დამცირების, არასდროს არ ვახსენო — ფიქრშიც კი — სიტყვა თამარი — და მკაცრად ვსდევნო სულიერი აჯანყება ამ გრძნეულ სახელით გამოწვეული — არ ვიცი, შემოქმედო, როგორ შეგთხოვო — ვიყო მუდამ ჟამს შენს განზრახვათა განრთხმული მონა ყველაფერში — მეუფეო, შემიწყალე მე!

მომეცი ძალი და ღონე მოვსრისო ეს გული და იმ სურათიანად შიგ რომ ჩაჭრილა და ჯოჯოხეთის გენიას ატრიალებს, შიგ წუმპეში გადავისროლო — მეუფეო, შემიწყალე მე!

არ გესმის? შენ ეი! ყოვლის შემძლევ — არ გესმის? ჩამოჰკართ ზარი! დავარდა გული! უფალო, შემიწყალე მე!

კიდევ მოინდომა რაღაცასი თქმა — და ფართედ გაშალა მკერდი სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად, მაგრამ ღვინო და სევდა მოერია — ის ჩაიკეცა და ბალახებში ჩარგო გახურებული შუბლი. ქვითინი ტალღა-ტირილად მოსკდა დაქანცულ მკერდს...

თამარ! — ამოიძახა და გაიშხლართა..

თეო იანელი

რაბინდრანატ თაგორიდან.

მებაღე

მონა. ლმობიერი თვალით გადაჰხედე, დედოფალო, შენსა მონასა!...

დედოფალი. ნადიმობა გათავდა, მონავ ჩემო! ყველანი უკვე აიშალნენ დარბაზიდანა და შენ რაღად დარჩი მარტოდ. ასე უდროოდ?

მონა. რა წამს მსახურნი შენი გავლენ აქედან, იმ წამს ჟამი ჩემი ახლოა უფრო. მე მოველ შენთან, მეფეო ჩემო, უკანასკნელი შენი ბრძანების აღსასრულებლად.

დედოფალი. ჟამსა უდროობისას რაღას უნდა მოელოდდე შენ...

მონა. წალკოტში შენში, გაფურჩქნულ ყვავილთა დაგრეხილ ხეივანთა შორის, მებაღედ დამაყენე მე...

დედოფალი. მონავ! თავხედი ყოფილხარ!

მონა. მე ჩემს საქმეს თავს გავანებებ. შენ ფეხქვეშ დავამხობ ჩემს ხმალს და მუზარადს, ოღონდ შორეულ ქვეყნებში საბრძოლველად ნუღარ გამგზავნი. არ მინდა გამარჯვების ახალი ყიჟინი და დაფნის გვირგვინი. მხოლოდ შენს წალკოტში, ნება დამრთე, დავანთო ცეცხლის ზეიმი!

დედოფალი. რაში უნდა იყოს სამსახური შენი, ეგრედ გულისწრაფვით წამონათქვამი?

მონა. მსხვერპლად შევეწირები შენ სახელწოდებას და შენ დღესასწაულებს ავაფერადებ უკვდავი ენით. მე გაუფრთხილდები ბილიკსა შენსას, სადაც შენ ნარნარით დაიარები. გიგალობებ — ვით ყვავილთა ჰიმნი, რომლის ქადილი სიკვდილზე უძლიერესი იქნება. საპტაპარნის სურნელოვან ყლორტთა შორის მე საქანელას ჩამოგიბამ და ზღაპარს გეტყვი. მოშრიალე ფოთლებიდან ლამაზი მთვარეც შენ გაგიღიმებს და კაბის კალთებს დაგიკოცნის. გუნდრუკს დავაკმევ შენ კვარცხლბეკზე და შენ კოხტა ფეხებს ამოვქარგავ სურათხატებით და ნაირ ჩუქურთმით. შენ სარეცელთან ავანთებ ლამპარსა წმიდას, რომ სხივი გფენდეს ესრედ მხიბლავს და მშვენიერს...

დედოფალი. რა არი მერე, საფასური, უცნაური სურვილის შენის?

მონა. შენი თითები მსურს მეპყრას ხელში და გარს ვახვიო ლოტოსის ყლორტნი. მსურს დავგრიხო ყვავილები, დავწნა გვირგვინი და თავსა დაგადგა... შენ ფეხის ნატერფალს მსურს ვეამბორო და წითელი აშოკის წვენი ვაპკურო. ვიწრო ბილიკთა შორის დავფინო ბალახი სურნელოვანი, ნელსაცხებელი და ზედ რო გაივლი, არ გაუშვა მტვერი, რომ შენ ფეხს მიეკაროს. ვარსკვლავთ შორეულთ, წყვდიადში მოცულთ, შევთხოვ ცრემლებსა, რომ ძირს ფიანდაზად გაგიშალოს, ვით მარგალიტი უძვირფასესი?

დედოფალი. სურვილი შენი, ვით ბალღის ჟინი, უნდა აღსრულდეს. წალკოტში ჩემში, მონავ ჩემო, მებაღედ იქნები...

ვახტანგ გარრიკი

15/6, 1922

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 14 იანვარი, №7

ქალაქში

ფანტასტიურო! დამაავადეს
შენმა სახლებმა და შენმა გზებმა!
ცა, მარტოობა, სული თავადის,
და ერთად ერთის მრავალთან შებმა.
დამასნეულეს ფიქრებმა შენზე:
ყრუ ხმაურობა, მზე გარი-გარი.
ჰაერს მოარღვევს მარადი შემწე
გრგვინვა და ქარი, გრგვინვა და ქარი.
ადგა ქუჩაზე ქარი და მტვერი,
ამოიზიდა ზმანება ზანტი,
„ფრიდრიხ ადლერი, ფრიდრიხ ადლერი“ —
ყვირის ხმამაღლა მანიფესტანტი.
და ხალხი ვისკენ ხელგაწვდილია
აქ უჩინარი მრავალი მტერი
თითქო ძახილთან გადაზრდილია;
ფრიდრიხ ადლერი, ფრიდრიხ ადლერი.
ჰაერს ანათებს დროშა მრავალი.
ადლერი, თითქო ამათში მკთოლვარს,
შეუპოვარი გზებით მიმავალს,
მინისტრს, ხალხის მტერს, უშენს რევოლვერს.
„თავისუფლებას ძვლებით მოკირწლულს,
აღარ შორდება ციხეთა ლანდი...
რა დაიფარავს ავსტრიის სირცხვილს?“ —
ყვირის ხმამაღლა მანიფესტანტი.
ადგება მალე შუადღის სიცხე,
აელვარდება მხურვალე დავა.
მეტი სიფიცხე, მეტი სიფიცხე,
ბედმა არვის არ უნანივა.
დაუგდე ყური გამურულ მჭედელს,
რომელმაც შესძრა ყველა ტახტები:
„ნუ ებჯინები ხავსიან კედელს,
ევროპა, მაინც გაპარტახდები!
ევროპა მღერის ძველი მოტივით.
ნაღმები ჩადეს. იგრძნობს ევროპა,
რომ აფეთქდება და ნაფოტივით
აისვრის ბედის დაუდევრობა“.

ცხრება ქუჩაზე ქარი და მტვერი
ან აღარა სჩანს ზმანება ზანტი.
„ფრიდრიხ ადლერი, ფრიდრიხ ადლერი“ —
სადღაც შორს ყვირის მანიფესტანტი.
ფანტასტიურო! დამაავადეს
შენმა სახლებმა და შენმა გზებმა!
ცა, მარტოობა, სული თავადის;
ერთის მრავალთან განწირვით შებმა.

გალაკტიონ ტაბიძე

ლანდების აგონია

ბაღში დაეცემიან ფერ-წასული წამები.
მარტოობის ცრემლია. და სხივები შორიდან.
ო, მე ასე ვიფიქრებ ღამის პანორამებით:
ოცნება და სიფითრე — მწუხარების ორი და.
შენ აღარ დაბრუნდები ვარდისფერი ნისლიდან.
ანგელოსთა გუნდებით იქნები დაფარული.
ალბათ მე უწმინდესი მისტერია მიცდიდა:
მკრთალი ბედი პრინცესსის — ლანდივით სიარული.
ო, ცისფერი ყვავილი — მოგონების ემბლემა.
მოგონებად ჩავივლი, მიმქრალის იდეებით.
სიხარულის ფანტომებს მწუხრი გადაევლება
და ტირილს მოვანდომე უცნაური დღეები.
სიხარულის მიგნება — სულ უქმი სიზმარია,
და სევდიან წიგნებად ბევრი ღამე მოგველის.
გლოვით გაიფანტება შემოდგომის არია
და ღრუბლების ანთება — რკალი შეუცნობელის.
სამრეკლოზე ლანდია გაფრენილი ხელების
და სისხლიან განთიადს ეკარგება სინაზე.
მირაჟების მუარი სინანულით შეღებეს
და ოდნავის უარით ავალ გილდოტინაზე.
ჩემი სიტყვა — ძახილი დაღუპული გემიდან,
გაოცება დახრილი, როგორც ღამის თვალები,
შორეულის იმედი და ვარდები მე მინდა:
სამარესთან მივედი სიჩუმის ვუალებით...
ოცნება და სიფითრე — მწუხარების ორი და.
ო, მე ასე ვიფიქრებ ღამის პანორამებით.
სიზმარივით ცრემლია. და ლანდები შორიდან.
მალე დაეცემიან გულ-წასული წამები...

გობრონ აგარელი

შემოღამების ესკიზი

მზე ჩავიდა ღიმილით
მოსჩანს ღამე შორიდან;
საღამო დაღვრემილი
მოდის მთა და გორიდან.

ო, ამ ბაღებს, ამ სერებს
შავი ბინდი ედება;
სულის სიმებს ამღერებს,
ქარი მჭკნარ იმედებათ.

და ფიქრისთვის ვიჩქარი,
გაძარცულ ტყის არეში;
მიყვარს ტყეში — ვით ქარი
შეშლილივით თარეში.

მოლოდინი მთვარისა
ვიცი: დაღლის ოცნებას;
ქარვის ფრად იმოსება
ველები ნაძვნარისა.

ა. ნაქერალელი
1922

ნანა

Dédié a lui l'amour paur
laquelle vit eternelement
dans mon coeur.

გიგონებ მუდამ, გიგონებ, ნანა.
სად დავიკარგეთ ორივე ასე,
მეუბნებოდა მთელი ქვეყანა,
თითქოს გათხოვდი, გამცვალე სხვაზე.

არ მჯერა დღესაც, თუმცა ყოველთვის,
იყავი ჩემთვის შენ ამოცანა,
ნეტავ მახსოვდეს, იყო რომელ თვეს —
მენავემ ნაპირს გადმოგვიყვანა.

წავედით ერთად ვიწრო ბილიკზე.
პატარა გული გიცემდა მკერდში,
ჩვენ ვსაუბრობდით ხშირად ტფილისზე,
და გაზაფხულზე რა ხდება ჩვენში.

შეჩერდი უცებ და დაღალული
მიაყრდე ტანი ამართულ ჩინარს,
ამამეტყველა ხსოვნამ მალულმა,
ვეძებდი შენში გრძნობას უჩინარს.

საღამო იყო, ცა კამკამებდა,
მთვარე ისროდა ვერცხლისფერ მძივებს,
და ქალწულები იქვე ბაღებთან,
კრეფავდენ ვარდებს, ნამით ნაცივებს...

სადა ხარ ეხლა, სადა ხარ, ნანა,
მე ჯვარზე მაცვა ძველმა ტფილისმა,
გული მწუხარე ცრემლმა დანამა,
და როგორც ლოთმა ვიწყე ღვინის სმა.

ევგენი სიდოშვილი
ტფილისი, 1923

ეპიტაფია წაგებულს სულს

განვშორდით, სულო, უმიზეზოდ ფარულ ჯვარცმაში;
კოცონზე დატყდა ჩვენი თრთოლა უკანასკნელი...
შენ ამზეურდი, საიდუმლო მგზავრო, და მაშინ
ყრუ პროცესია აგედევნა: გლოვით, კანკელით.

ოჰ!.. ჩემი ჩოჩნხი ეშაფოტზე კენტად ქანაობს,
უშნო ხერხემალს გადასცინის შეშლილი ქალა;
გამქრალ ნერვებში უბედობა შხამად ბინაობს
და საცოდებით ჩაიმსხვრევა მკერდი ფიქალის.

მე აქ ნიანგი გამახელებს უამინდობით
და ცბიერ თრთოლვით გადაიხდის: ტრიუმფს, პარაკლისს.
მშვიდობით, ჩემო საცოდავო სულო, მშვიდობით.

საოცრებებით გადაგვიტანს დღეთ გაჭენება,
მაგრამ ვინ იგრძნობს ჩვენს ცრემლიან ბრაზს, ჩვენს დანაკლისს.
უკვდავი იყოს შენი სახე, შენი ხსენება.

ვალ. ფლორელი

ღამე შურისძიების

უკანასკნელი დავარდა თვალი.
დაგლოვილ გუმბათს ბინდი აწვალებს,
დამძიმდა შავად მწუხარე რკალი,
ლაჟვარდის ფრენა გადაყვა წამებს.

წამებით მოვა ქალთა სერია,
ველად რომ მოკლეს ლამაზი შველი.
გილიოტინა და მისტერია;
მისტერიაში არ სჩანს საშველი.

იკივლებს წითლად გზირი აისი,
აფერადებულ ცრემლების ლულით.
დამნაშავეთა რიცხვით აივსო,
გადახარშული ქვეყანის გული.

სამგლოვიარო იქნება მარში,
ქარში დაბნეულ ქარვის მძივების;
იქნება მოწმე, როგორც სიზმარში:
ღამე-თავადი შურისძიების.

ზარის დაგლოვა მოვა საიდან!
გუმბათებს დასჭრის სულების კვნესა.
შურისძიებას ველარ აიტანს
და გადიცვლება ღამის პრინცესსა.

ირაკლი ყანჩელი

1922

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

IV. ეკტერჰე

დედა და შვილი

ამგვარი ჰქონდათ კამათი მამაკაცთ, რა საუბრობდენ.
ამ დროს კი დედა ილტოდა შვილის საპოვნად სახლის წინ
ქვის სკამზე, სადაც ჭაბუკი ჩვეულებრივად ჯდებოდა.
რა აქ არ დახვდა, გასწია, რომ საჯინიბო ენახა,

1. იხ. №2-3-4-5-6.

ხომ არ უვლიდა იქ თვითონ მშვენიერ ცხენებს, ულაყებს,
რაიც კვიცებად ეყიდა და სხვას არავის ანდობდა.
მსახურმა ქალს მოახსენა შვილის ბაღისკენ წასვლაზე.
მაშინ მშობელმა სწრაფლ განვლო ორმაგი ეზო გაწვდილი,
უკან დატოვა თავლები, აგრეთვე მყარი საბძლები
და შორს ქალაქის ზღუდემდე განზიდულ ბაღში შევიდა.
რა სჭრიდა ბაღსა, ჰხარობდა ყოველ მცენარის ხილვაზე,
აქ ასწორებდა ბიჯგებსა, რომელთაც ზედ დასწოლოდა
ვაშლის და სხალის შტოები, ძირს მძიმედ დაზნექილები.
იქ მოაშორა მგრაგნელნი მაგრად დამორგვილ კომბოსტოს,
რადგან მხნე დიასახლისი უქმად ერთ ნაბიჯს არ გასდგამს.
ამგვარად იგი გავიდა განზიდულ ბაღის ბოლოში,
ფანჩატურამდე, რომელსაც თავანზე ჯიკა ეხურა.
და ვით აქამდე მთელს ბაღში, ისე აქაც ვერ იპოვნა.
მაგრამ ნახა, რომ უბრალოდ იყო მიგდული კარები,
რაც ერთ დროს ერთ-ერთ წინაპარს, ქალაქის დიდსა მოურავს,
ფანჩატურიდან გაეჭრა ქალაქის შიგ გალავანში,
რადგანაც მას მიაგებდენ უაღრეს პატივისცემას.
და გადავიდა აქედან მშრალ ბირქზე მოხერხებულად,
სადაც შარასთან იქავე მაღლობზე ზვარი ეფინა
მტკიცედ შეკრული ღობითა, ციცაბო ბილიკიანი,
ნათელი მზისა მხარეზე გადმოფენილი კალთებით.
ქალი ზევითკენ შეუყვა და აღმართ-აღმართ ასვლაში
ხარობდა სავსე მტევნებით, ძლივს დაფარულით ფოთლებში.
აქ მაღალს შვა ხეივანში, დაჩრდილულ-ჩამოხურულში,
აისვლებოდა ქვის კიბედ აწყობილ უთლელ ფიქლებით.
იქ ხვავიანად ეკიდა გუტედელ და მუსკატელი,
წითურ-მომწვანო სულ ერთად ნაირ-ნაირი ზომისა,
ყველა ბეჯითად დარგული, სტუმართ დესერტის სამშვენად.
ხოლო დანარჩენ გორაზე ღერ-ღერად იდგა ვაზები,
მომცრო მტვნებით, რომლისგან სწურავენ ძვირფას ღვინოსა.
ასე აღმართზე შესული წინ მიდიოდა ნაბიჯით,
გახარებული აწ უკვე შემოდგომისა ხილვითა,
რომელსაც თან მოჰყვებოდა დღე ყველასათვის ბრწყინვალე,
ოდეს ზეიმით ქვეყანა, რა ჩაებმება დიდს სთველში,
ყურძენსა სწნეხავს და ავსებს თულუხებს ტკბილი მაჭარით,
საღამოს ჟამს კი მაშხალებს ელვებით ააშუშხუნებს
და შემოდგომას უებროს ასე ზეიმით გადიხდის.
მაგრამ უმეტეს ღელვითა განაგრძო ძებნა მშობელმა,
როს მეორედ და მესამედ შვილს დაუძახა ხმიერად,
და უკუიქცა მარტოდენ უპე ბევრგზისი ბგერებით.
შორს კოშკებიდან მოწყდომით და ყბედურ ლაპარაკებით.
დედისთვის ძებნა იმისი სულ უჩვეულო რამ იყო;
შორს წასვლა მან არ იცოდა, გააფრთხილებდა ხომ მაინც,
რომ საყვარელი მშობელი გადაერჩინა ზრუნვისგან
და შიშისაგან, რაც დედას ავის ლოდინში შეხვდება.

მაგრამ ქალს მაინც იმედი ჰქონდა, რომ გზაზე ჰპოვებდა,
რადგან ქვევით და ზევითაც ზვრის კარი ღია დაუხვდა.
ამგვარად ახლა მინდორზე გავიდა, რაიც ჰფარავდა
თავისი ვრცელი ფარდებით გორაკის ზურგის კალთებსა.
იგი ჯერ კიდევ საკუთარს მამულზე მიაბიჯებდა.
და შეჰხაროდა თვის ყანებს, უცხოდ ბიბინა თავთავებს,
რომელიც უხვად ავსილი მთელს მინდორს აოქროებდა.
საყანეთ შორის ილტოდა მიჯნაზე, ვიწრო ბილიკით,
ნიშანში ჰქონდა სხალის ხე, გორაზე მდგომი, ვეება
სამანი იმ მინდვრებისა, მათ სახლკარს რომ ეკუთვნოდა
ხე ვისგან იყო დარგული, არავინ ეს არ იცოდა,
იგი შორითშორს მოჩანდა მთელად იმ არე-მარეზე,
განთქმული იყო ყოველგან აგრეთვე მისი ნაყოფიც.
მის ქვეშ მომკალნი შვადღისას ჰხარობდენ პურის ჭამაზე,
ჩვეულებრივად მწყემსებიც მის ჩრდილში უდგენ ხვადაგსა;
აქ შოულობდენ სკამებად უთლელ ქვებსა და ბელტებსა.
და დედას არც თუ შეშლია; აქ იყო მისი ჰერმანე,
მჯდომარე განსვენებითა, ხელებზე გადაყრდნობილი.
და ჰგავდა, რომ გაჰყურებდა იქით მხარს, გაღმა გორებსა.
ამა დროს ზურგში დედისკენ ჰქონდა მას შემოქცეული.
ჩუმად წაადგა დედა მას და მხარზე ნელა შეეხო
ის სწრაფლ მობრუნდა; მაშინ თვალთ ცრემლი შენიშნა მშობელმა.
დედა, უთხრა მან შეკრთომით, თავს რა უეცრად დამესხით,
და მყის შეიშრო თვალები მაღალ გრძნობების ჭაბუკმა.
რა? ჩემო შვილო, შენ ტირი? — განაოც დედამ მიუგო, —
მე შენ ვეღარ გცნობ, მე ეგი აროდეს არ გამიგია.
მითხარ, რა გიჭეჭკს შენ გულსა? რა გაიძულებს აქ იჯდე
სხალის ქვეშ განმარტოებით? რამ მოგადინა თვალს ცრემლი?
აქ მშვენიერმა ყმაწვილმა ღონის მოკრებით თქვა ეგი.
მართლა და, რკინის მკერდის ქვეშ არ უნდა ქონდეს მას გული,
ვინც დევნილ ადამიანთა დღეს გაჭირვებას ვერა გრძნობს;
მას თავში ჭკუა არა აქვს, რომელიც თავის საკუთარს
გინა სამშობლოს დოვლათზე მწარედ არ ნაღვლობს დღეის დღეს.
რაც დღეს მესმა და ვიხილე, გული აღმიძრა მე იმან;
ახლა აქ შემოვიარე და ვნახე ეს არე-მარე
ტურფა და ვრცელი, კლაკნილი ჩვენს წინ პოვნიერ გორებად.
ვნახე ნაყოფი ოქროსი, ძნებისკენ რომ ჰხრის მძიმედ თავს,
და ხილი ბარაქიანი, რომ ჰლამობს სენაკთ ავსებას.
მაგრამ, ახ! მტერი რა ახლო შემოგვდგომია საზღვარზე!
თუნდ მართალია, რომ გვიცავს მისგან რაინის ტალღები;
მაგრამ ახ! ახლა რას უზამს ტალღები გინა გორები
იმ ხალხს საშიშარს, წინ ჩვენსკენ რომ მოისწრაფის მეხივით!
რადგან ისინი ყოველგნით უხმობენ ახალგაზდობას,
აგრეთვე მოხუცობასაც და მოილტვიან ძალუმად;
სიკვდილი მათ არ აშინებსთ; გვაწვება გუნდი გუნდებზე.
ახ! გერმანელი კი ბედავს, რომ დარჩეს სახლში თავისთვის?

იქნებ იმედობს გაექცეს მუქარით მოსულს ფათერაკს?
დედა ძვირფასო, გეტყვით თქვენ, დღეს გული იმან მომიკლა,
რომ კვლავ, როდესაც მეომრებს არჩევდენ მოქალაქეთგან,
მომცეს მე თავისუფლება სამხედრო ბეგარისაგან.
მართლაც და, მამის-ჩემისა ვარ ვაჟიშვილი მე ერთი,
თან ოჯახობა გვაქვს დიდი და საქმეც მნიშვნელოვანი;
მაგრამ ხომ ვიქმდი უკეთესს, თუ მტერს წინ აღვუდგებოდი
საზღვრებზე, და შინ სისაწყლეს, მონობას არ დავუცდიდი.
დიაღ, ეს მითხრა მე გულმა და მკერდის ქვეშე სიღრმეში
აღმეძრა გამბედაობა და იმისიცა წყურვილი,
რომ სამშობლოსთვის მეცოცხლა, იმისთვის მომკვდარვიყავი.
და ღირსეული მიმეცმა მე მაგალითი ყველასთვის.
მართლაც, რომ შენივთულიყო ახალგაზრდობის ძალები
საზღვრებზე და არ დაეთმო, შეკავშირებულს, მტრებისთვის,
ო, ჩვენს ქვეყანას ისინი ხომ ვეღარ გადმოლახავდენ,
ვეღარ შესძლებდენ ჩვენს თვალწინ ჩვენის დოვლათის შთანთქვასაც,
მამაკაცთ დამონებას და ცოლთა და ქალთა ტყვევნასა.
იცოდეთ, დედა, გულში მაქვს ღრმად ამოჭრილი განზრახვა,
მყის შევასრულო, რაც მიჩანს საზრიანად და მართლივად;
რადგან ვინც არჩევს ხანგრძლივად, ყოველთვის კარგს ვერ აირჩევს.
იცოდეთ, რომ შინ აქედან არ დავბრუნდები ისევე!
აქედან გავეშურები პირდაპირ ქალაქისაკენ
და ჩემს მკლავს, ჩემს გულს გადავსცემ მეომრებს წმიდა განზრახვით,
რომ შევეწირო სავსებით მე სამშობლოსთვის სამსახურს.
მაშინ მამა-ჩემს უთხარი, მეც მიცხოველებს თუ არა
ამ გულს პატივის შეგრძნობა და მწადს თუ არა ავღმაღლდე!
აქ შთაგონებით მიუგო ჭკვიანმა დედამ, კეთილმა,
ჩუმად ცრემლების ფრქვევითა, თვალთ რომ სდიოდა ადვილად:
შვილო, შენს შორის, შენს არსში რა არის, რომ შეიცვალა,
რომ შენს დედასთან აღარ ბჭობ ვით გუშინ, როგორც ყოველთვის
გულახდილად და თამამად, და აღარ ამბობ შენ იმას,
რაც შენს გულითად სურვილებს პირდაპირ შეეწონება?
რომ ყურს უგდებდეს შენს სიტყვას ახლა მესამე პირიცა,
სწორედ რომ ფრიად გაქებდა და ამ შენს განზრახულებას
დაგიფასებდა ისე, ვით უპატიოსნეს რამ საქმეს
შენი შთამგონი უბნობით და სიტყვით მონაბირები.
მაგრამ მე გკიცხავ მხოლოდ-ღა, რადგანაც გიცნობ, იცოდე,
უმეტეს ზედმიწევნებით ვიდრე სხვა დანარჩენები
შენ მალავ შენს გულს, ამავ დროს გაქვს სულ სხვა გვარი აზრები.
რადგან ვიცი, რომ არ გიხმობს შენ დაფდაფი და ნაღარა
შენ არ გწყურია გამოჩნდე მუნდირით ცირათ წინაშე;
შენ მოწოდება გაქვს ერთი, რაგინ მამაციც, მხნეც იყო,
რომ შეინახო შენ სახლი და მოუარო შენს ყანებს.
მაშ, აბა, მითხარ გაბედვით: ეს რამ-ღა განგაზრახვია?

ვარლამ დონდუა

(ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

სულის მოგზაურობა

ეტიუდი

„მელთა ხვრელი უჩანს, და ფრინველთა ცისა საყოფელი;
ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს“.

წმიდა სახარება

I

ის ახალგაზდა იყო. მაღალი ლერწამივით აყრილი ტანი ჩამოსხმულ თეთრს მარმარილო ქანდაკებას ჰგავდა. სუნთქავდა გაზაფხულის ყვავილთა სურნელებით.

ზამბახსავით გარდაშლილიყო. დილის მზის სხივები პირველად მას უალერსებდნენ. ვარდები დაწნულ გვირგვინს ადგამდენ თავზე.

ღამის ცის მნათობნი მხოლოდ მას დაჰხაროდენ, მთის ნიავი უკოცნიდა ლოყებს, ცვარ-ნამი უშრობდა ცრემლებს. ლოტოსის ხეივანთა შორის — ის ეროსი იყო. სიყრმიდანვე უცნაური — ის არავის მიჰკარებია ახლო. ყველას გაურბოდა.

ფრთხილი იყო, ვით ტყიდან გადმოჭრილი ირემი. ნაპრალსა და მღვიმეთა შორის ხეტიალი უყვარდა. კლდის ციცაბოზე, ღელე-ღრანტეებზე ისე დაიარებოდა ვით შველი, ქურციკი.

II

ერთხელ ბევრი იარა, ბევრი მთა და ბარი გადაიარა. ერთ მთის ძირას მიადგა. უდაბნო ადგილს, სადაც პატარა ქოხი იდგა.

მწყემსის ბინა ეგონა. მივიდა. დაარახუნა კარები. წყალი მოსწყურდა. უნდოდა საშინელი წყურვილი მოეკლა. კარების დარახუნებაზე, ქოხიდან ერთი მოხუცი კაცი გამოვიდა. მისი თეთრი მხრებამდის ჩამოშვებული თმები, ვერცხლსავით ბრწყინავდნენ მზის სხივებზე.

ახალგაზდა ყმაწვილი მის დანახვაზე ჯერ შეჰკრთა, მაგრამ როდესაც დააკვირდა მოხუცის სახის ნაკვთებს, ესიამოვნა კიდეც. ის მიჰხვდა, თუ ვის წინაშე იდგა ამ ჟამად.

მოხუცი კაცი — ბერი იყო.

— მამაო!

აღარ დააცალა ბერს ბაგეს გახსნა და დაუმატა:

— თუ შეიძლება, წყალი დამალევინე, წყურვილისაგან ვიხრჩობი, სასა ამომიშრა.

ბერი შევიდა ქოხში და სურით ცივი წყაროს წყალი გამოუტანა. ყმაწვილმა მოიყუდა სურა და ხარბად დაეწაფა წყალს. ბერი კი განცვიფრებით შეჰყურებდა ყმაწვილს. ამისთანა ლამაზი ადამიანი მას ჯერ არ ენახა. გაოცებული იდგა.

ბოლოს შეეკითხა:

— ვინა ხარ, შვილო? აქ როგორ გაჩნდი, ვინ მოგიყვანა ამ უდაბნო ადგილს, სადაც ადამიანს თავისი ცოდვილი ფეხი არ დაუდგამს.

ყმაწვილი შეიჭმუხვნა, შუბლის კოპები შეიკრა და მიუგო მედიდურის კილოთი:

— სცდები, მამაო! მე ცოდვილი არა ვარ. ჯერ არც ავი გამიკეთებია და არც კარგი. მე ისევე წმიდა და უცოდველი ვარ, როგორც ახლად დაბადებული ნორჩი ბავშვი. — მაშ, კეთილი იყოს აქ შენი მოსვლა... მაგრამ, შვილო, ნუ გამიწყრები, თუ კიდევ შეგეკითხები. მაინც როგორ მოახწიე ამ დგილს, საიდან მოდიხარ, რა გინდა, რას ეძებ?..

— ცხოვრებას!

— ცხოვრებას?!

გაკვირვებით შესძახა მოხუცმა.

— დიაღ, ცხოვრებას!

განუმეორა მტკიცეთ ჭაბუკმა.

— მე მინდა, მამაო, ვიპოვო ის ცხოვრება, რომელსაც ასე ხარბად ეწაფება ყოველი სულდგმული, ყოველი ცოცხალი არსება. მე მსურს გავიცნო, დავინახო ის საიდუმლოება, რომელსაც ყოველი ადამიანი ესწრაფის.

— ცხოვრების ძებნა არ იქნება შვილო, მისი პოვნა არ შეიძლება.

დაიწყო მოხუცმა და სასოებით აღაპყრო ზეცას ხელები.

— ცხოვრება ნივთი არ არის, რომ შეეხო, იგი სიყვარული არ არის, რომ მოინადირო. იგი ოქრო და ვერცხლი არ არის, რომ აღმოაჩინო.

ერთ წამს მდუმარება ჩამოვარდა. ბერმა თავი ძირს დახარა.

— მაშ, რა არის ცხოვრება, მამაო? — შეეკითხა ისევ ყმაწვილი.

— არა, შვილო, მაგისი ახსნა არ შეიძლება. წადი, იცხოვრე და შენ თითონვე გაიგებ თუ რა არის ცხოვრება. მხოლოდ ეს კი იცოდე: ცხოვრების საიდუმლოებას ვერ გაიგებ და ისე მოჰკვდები, რომ შენი უკანასკნელი სიტყვა „არ ვიცი“ იქნება.

— მაშ, ნება მომეც, აქ, შენთან განვლო ჩემი სიცოცხლე.

— არა, შვილო, დიდ საქმეს კისრულობ. დაჰხედე შენ თავს როგორ ჰყვავი, გაფურ-ჩქვნილხარ! შენ აღთქმის დადება არ შეგიძლიან.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ შენ ასე ადრე როდი დამარხავ შენ თავს.

— განა შენ კი დამარხული ხარ?

— ჰო, დიდი ხანია! დიდი ხანია, შვილო, რაც ყოველივე კავშირი გავსწყვიტე წყეულ წუთისოფელთან და ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის.

— მაშ, ვის ეკუთვნი, მამაო?

— ღმერთს! — მქუხარედ წარმოსთქვა ბერმა და მარჯვენა ხელი ზეცისკენ ასწია.

— მაშ, მარტოდ უნდა გაატარო შენი უკანასკნელი სიცოცხლის წუთები?

— არა, შვილო, მე მარტო არა ვარ! აქ უნდა აღვაშენო ჩემი სულის სამლოცველო. მე მოვიპოვე ჩემი გზის მიმდევარნი, მოწაფენი, რომელნიც მეხმარებიან, რომელთაც მტკი-ცეთ გარდაუწყვეტიათ ჩემთან ერთად სამუდამო განყენება ცრუ წუთი-სოფლიდან, რო-მელთაც დაუმარცხებიათ თავიანთი გულის-თქმანი და ვნებათ-ღელვანი.

მოხუცმა დაატარა ჭაბუკი და აჩვენა რამდენიმე პატარა ქოხი, სადაც ბერები იდგნენ.

საღამო ხანი იყო. მზე ჩადიოდა. გორას ეფარებოდა. სხივები აქეთ-იქით გადაეტყორ-ცნა და ნელ-ნელა ჰკარგავდა თავის სიცხოვლეს, სიძლიერეს. აგერ ალმაცერად დაეშვა, უკანასკნელად მოუალერსა ქვეყანას და მძიმედ ჩაესვენა. მთის წვერები წითლად შეიღე-ბა, ვარვარი დაიწყო, თითქო კოცონი იწვის და საშინელ ცეხცლში გიზგიზებს.

ყმაწვილს მეტად მოეწონა ადგილის მდებარეობა.

ირგვლივ დიდი გარშემორტყმული ტყით შეფენილი მთები, მშვენიერი განმარტოე-ბული ხეობის გრილი მოსალმუნე ნაზი ნიავი და წყალჩანჩქერის ქშუილი — სულ სხვა საზღაპრო სანახაობას უყენებდა ჭაბუკს თვალწინ.

— და აი, აქ უნდა აშენდეს დიდი ეკლესია! — განაგრძო ისევ მოხუცმა. — აქ უნდა გაისმას განუწყვეტელი წირვა-ლოცვა, წმინდა გალობა და ღაღადება. ქება-დიდება მხო-ლოდ დიდებულ ჩვენ ღმერთისადმი. შენ კი, შვილო, ამის აღმასრულებელი არა ხარ, შენ ვერ მიეკედლები ჩვენ სასუფეველს, შენი არსება აქ ვერ შეეხიზნება, აქ არ არის შენი ად-გილი. შენ სულ სხვა მხარე გიწვევს. წადი აქედან შორს, შორს და გამოსცადე წუთისოფ-ლის სიტკბოება და სიმწარე. აქ კი, ვინც ფეხს შემოსდგამს, აქ უნდა დარჩეს სამუდამოთ და აქვე უნდა დაიმარხოს. აი, სიბნელემ მოიცვა გარემო. ღამდება. ეხლა შენ ვეღარსად წახვალ. ამ ღამეს ჩემთან გაატარებ და ხვალ დილით რა წამს აი, იმ მთის წვერზე მზე ამოჰყოფს, იმ წამსვე შეუდგები შენ გზას და წახვალ ცხოვრების სანახავად.

III

მეორე დღეს, აღმობრწყინდა მზე თუ არა, ბერმა დალოცა იგი, გადასწერა პირჯვარი და ჭაბუკი გაუდგა თავის გზას, ბერს რომ სტოებდა ჭაბუკი, გულმა რაღაცნაირად დაუწყო ძგერა. თითქო სევდით ემსჭავლებოდა. არ უნდოდა მყუდრო ადგილი და სათნოიანი მოხუცი ბერი დაეტოებინა. სულ უკან იხედებოდა; ან ეხლა დამიძახებს, ან ეხლაო!

მაგრამ უკვე კარგა დაშორდა იმ ადგილს, სადაც ბერი იყო.

გული შეუკუმშდა. ნაღველმა ხვრა დაუწყო. მიდიოდა და ფეხის გადადგმა ეზარებოდა.

გაუხვია ერთს პატარა გორაკს და დაეშვა ერთ მწვანე მინდორზე. შორს პატარა ტყე მოსჩანდა და ამ ტყისკენ გასწია.

მიუახლოვდა, უნდოდა შემოტრიალებულიყო, პატარა ბილიკს დასდგომოდა, მაგრამ უმალ იქვე გაშეშდა, განცვიფრდა, გაოცდა მომხიბლავ, გრძნეულ სურათის წინ, ტყის შუა გულს გადაჭიმულიყო პატარა ტბა. ტბის პირზე იჯდა გამაგიჟებელი ლამაზი ქალწული, თმა გაეშალა და წინ გულის პირზე გადმოეყარა. ვარსკვალვივით მოციმციმე თვალები ძირს დაეხარა და ტბის მოკამკამე წყალში იმზირებოდა. ქალი შიგ ვიღაცას უალერსებდა, თავს უკრავდა, უღიმოდა, ვიღაცას ეწონებოდა. მისი სიტურფით აღსავსე სახე კი მედიდურობას მეტყველობდა. უცბად აიხედა და რა დაინახა მის წინ მდგომი მშვენიერი ჭაბუკი საშინლად დაიკივლა. ხელები გამოწვდილი დარჩა და ყმაწვილისკენ მიილტვოდნენ, მის მიზიდვას ლამობდნენ.

ჭაბუკი გაირინდა. თავი სიზმარში ეგონა, სადღაც საზღაპრო ქვეყნისკენ მიექანებოდა, ვერ გამორკვეულიყო და ხარბად მიაჩერდა ცოცხალ ქანდაკებას. ფეხი წინ ვერ გადაედგა. ენა ვერ დაეძრა. სუნთქვა ეკვრებოდა. მთელი მისი არსება უცნაურმა ჟრუანტელმა აიტანა.

გულში კი ფიქრობდა: თუ მოჩვენება არაა, თუ სინამდვილეა, აი, რა ყოფილა ცხოვრება.

თავის თავს ძალა დაატანა. ძლივს გადასდგა ფეხი, ანგარიშ მიუცემლად გაიწოდა ხელები და სიზმარეულად გასწია ქალისკენ.

მივიდა. თვალი თვალს გაუყარა. ყმაწვილმა უცბად ჩაიჩოქა ქალის მუხლებთან.

ქალის თეთრი ხელები მსწრაფლ ჭაბუკის მხარზე დაეშვნენ.

და მხურვალე კოცნამ შეაერთა მათი ბაგენი.

IV

გავიდა დრო.

ერთ მშვენიერ ხეებ შუა ჩამალულ სასახლის წინ, ძირს ბაღში, მწვანეზე, იჯდა ახალგაზდა ვაჟი და ხელში ეჭირა ჩვილი მოტიტინე ბავშვი.

იქვე ახლო ხალიჩაზე წამოწოლილიყო ახალგაზდა ქალი და მაისის სურნელოვან ვარდს იწვდიდა, ჰკრეფდა და გულუხვად აყრიდა ვაჟს და პატარა ბავშვს.

ვაჟიც უღიმოდა, თვალებით მადლობას უგზავნიდა, ჰპირდებოდა ბედნიერებას, ნეტარებას და სტკბებოდა ქალის სილამაზით.

— ოხ, რა ტკბილი ყოფილა ცხოვრება, რა მშვენიერი! — ფიქრობდა ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი.

— ნეტავ სულ ასე უდარდელად გავატაროთ ჩვენი სიცოცხლე, ნეტავ სულ ასე ახალგაზდანი ვიყვნეთ! არასოდეს არ დავბერდეთ, არასოდეს არ მოვკვდეთ!

ქალიც ამ ჟამად მეტად ბედნიერი იყო. მისი მეგობარი სავსე იყო დიდებით, სიმდიდრით, ყოველივე ქვეყნიური სიკეთით.

მათ წინ გადაშლილი იყო ცხოვრება თვალწარმტაცი. ფუფუნება, ალერსი, სილამაზე და სიყვარული.

ეგონათ, გულუბრყვილოთ რომ სულ ასე იქნებოდნენ და შესვამდნენ თასს სიტკბოებისას და ნეკტარს უკვდავებისას.

სული ლაღობდა, ნეტარობდა, ხარობდა.

დრო კი მიდიოდა. თვე თვეს მისდევდა და წელიწადი წელიწადს. ნელ-ნელა მიაქანებდა სიცოცხლის ფურცლებს!..

V

ერთხელ იმავე ადგილას ისხდნენ.

მთვარიანი ღამე იყო. ნაზი ნიავი აშრიალებდა ხეების ფოთლებს.

იქვე ახლო პატარა ყმაწვილი იჯდა მჩქეფარე აუზის წინ და თავის საკრავზე გასაოცრად ამეტყველებდა სევდიან მელოდიას.

ირგვლივ სიჩუმე მეფობდა. ყველაფერი შეჩერდა. მიწყდა ბუნების სუნთქვაც. მხოლოდ ტკბილი სიმთა ჟღერა ისმოდა ჰაერში. მაღლა ზეცისკენ მიაქანებდა. იქ სადღაც შორს იშლებოდა, კამარას ჰკრავდა ნაღვლიანი მელოდია. უცბად მოსწყდა ხვაშიადის აკორდი და ზეცაში გაისმა მკვნესარე ხმა. თვითეული მელოდიის ამონაკვნესი ჰანგი, უკვე ხანში შესულ ვაჟკაცს გულს უგმირავდა და განუზომელ სევდა-ვაებას უსადგურებდა.

მთვარე ფოთლებ შუა გამოჩნდა და დაიწყო ამაყათ ცქერა. თავისი სხივები მიაშუქა ლამაზ ქალს და შორიდან მომხიბლავი გამოაჩინა მისი პირისახე.

ვაჟკაცმა უცბად მიაპყრო თვალები ქალსა, უნდოდა ერთი კიდევ დასწაფებოდა მის სიტკბოებას, ერთი კიდევ დამტკბარიყო მისი სილამაზით — მაგრამ, ვაებავ!

სილამაზის მაგივრად რა იხილა?

მთვარეს სრულიად წაერთმია ქალისათვის სილამაზე, სიკეკლუცე. სახეზე დიდი ნაოჭები ნათლად აღეხატნა მის სხივებს, გამხმარი კანი და ჩაცვივნილი თვალები გამოეშკარავებინა დედოფალ მთვარეს და თითქო დასცინოდა კიდეც: განა არ იყო დრო, როდესაც მეტოქეებას მიწევდი? ახლა რაღა ხარ? დროთა-ვითარებას დაუტყვია თუ არა თავისი დაღი?! შენ წარმავალი ხარ, მე კი უკვდავი! მაშ ნუღარ შემებრძოლები!

ვაჟკაცს შეჰზარა, რა დაინახა ქალის მიმქრალი შარავანდედი.

და ნაღვლიან მელოდიას შეუერთა თავისი გულმოკლული აღმოოხვრა. ამ აღმოოხვრაში აღმოიხატა დაღუპულ გულის ვედრება, ხვეწნა, მუდარა დაკარგულ ბედნიერებისადმი.

გასწყდა ძაფი, ჩაიძირა სევდა წყვდიადი, ვაებანი გულშემზარავი.

პატარა ყმაწვილმა შესწყვიტა ციური ხმები.

ვაჟკაცმა მიიხმო იგი, ჩაიკრა გულში და მწარედ, გულზე მოწოლილ ბოღმა-ნაღველისგან აქვითინდა.

მდუღარე ცრემლები მოსკდა მათგან გადმოხეთქილ ნაკადსავით.

რა ატირებდა, რა აცრემლებდა ბედნიერ ადამიანს? ვინ იცის!!

განა სატირელი და სადარდელი არაფერი აქვს ადამიანს ამ ქვეყნად?!.

VI

ღამეა.

გაჩაღებულია დიდი დარბაზი.

დიდი ზეიმია.

ცეკვა. სიცილ-ხარხარი.

ყველას მოუსვენრობა, სიმხიარულე ეტყობა. ყველას სახეზე წითელი ალმური ასდის, ყველა უსაზღვროდ, თავდავიწყებით მისცემია თავდაუჭერელ ვნებათა-ღელვას.

მხოლოთ ერთი ადამიანი თავჩაქინდრული ტრიალებს აჭრელებულ სფეროში. ეტყობა გიჟური ორგია და ვაკხანალია მოსაწყენია და აღარ იცის, სად გაერთოს, ვის მიეკედლოს.

დაღვრემილი სახე მეტყველობდა, რომ იგი გაწამებული იყო. არავითარი სიკეთე მას არ მიჰკარებია.

არც სიყვარული, არც მეგობრობა, არც დიდება, არც სიტკბოება, არც სათნოიანობა და არც ბიწიერება.

ყველაფერი კი გამოსცადა. ყველაფერი გამოიარა. ერთგულად, სამუდამოდ არაფერი დარჩა მასთან.

ყველა გაქრა ლანდივით, მოჩვენება და აჩრდილივით!

ცხოვრების მწარე ფიალა დასცალა.

VII

შემოდგომა იყო.

ბუნება აღარ ზეიმობდა.

გულჩათხრობილი გამოიყურებოდა.

მის წიაღზე სევდა-ვაებანი გამოჰკრთოდა წყალ-ჩანჩქერი ისე აღარ ქშუოდა. მთიდან ისე აღარ მორბოდა.

ფრთოსანიც აღარ ფრთხიალებდნენ.

ბორცვნი, გორაკნი, ველ-მინდორი გახუნებულიყვნენ.

ტყეს ყვითელი ფერი დასდებოდა.

ფოთლები მძიმე-მძიმედ ცვივოდა ძირს.

ის ამ დროს ერთ განმარტოებულ ადგილზე იჯდა.

გული ბოღმით ჰქონდა სავსე. ცრემლები ახრჩობდნენ.

გაზაფხული — სიყმაწვილე წავიდა.

ზაფხული — სივაჟკაცეც მალე გაჰქრა.

და შემოდგომაც სიბერე მიიპარება.

და რაღა დარჩა? თეთრი ზამთარი?!

სიკვდილიც ახლოა!..

VIII

საფლავსა სთხრიდნენ.

მან გვერდზე გაიარა.

შიგ ჩაიხედა.

შეჰზარა. თავრეტი დაესხა.

მესაფლავეები რიგ-რიგად ისვრიდნენ ადამიანის ძვლებს: ხელებს, კანჭებს. თავის ქალაც ამოაგდეს. საშინელება იყო ეს თავი. მაღალი შუბლი და დაკრეჭილი კბილები ჟრუანტელს უვლიდა ტანში ადამიანს.

გაიფიქრა: მეც ასე მომივა. როგორი უბედური ყოფილა ადამიანი. იყო და აღარ არის. ეს ყოფილა ადამიანის ხვედრი.

გზაზე რომ დაბრუნდა, მიცვალებული დაინახა. კუბოს უკან ერთი შეშლილი ქალი მისდევდა და მწუხარების ნიშნად თავს აქეთ-იქით იქნევდა.

რო დაინახა ეს სურათი — ტვინი შეერყა.

ფეხი აუჩქარა.

მაგრამ თვალთ კი არა შორდებოდა...

კუბო... თავის ქალა... დაკრეჭილი კბილები...

IX

მწარე იყო მისი წუთები.

დაიწყო მოგზაურობა.

იქნება ამას მაინც გადაეყარა გულიდან დარდი-ვაება, იქნებ როგორმე შვება მისცემოდა მის ტანჯულ სულს, მაგრამ ამაოდ.

მთელი ქვეყანა მოიარა.

სად არ იყო, რაღა არ ნახა.

მაგრამ ყველგან სისაწყლე, სიბედშავე, სიღარიბე იხილა. იგივე სიმხიარულე, იგივე სიმდიდრე, იგივე უსუსურობა, იგივე გარყვნილება და ბიწიერება გადაეშალა თვალწინ.

ზოგი ხალხი თავიანთ ქონებას აქებდა, ზოგი თავიანთ სილამაზეს, ზოგი თავის გამჭრიახობას, ჭკუა-გონებას და ათას სხვა ღირებულებას.

ყველაფერი კი წარმავალი იყო, ყველაფერი მოსპობას მეტყველობდა, გამოფიტულ ცხოვრებას.

ისიც მოიქანცა, დაიღალა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

შორს, შორს მაცდურო წუთი-სოფლიდან.

მოსვენება, მყუდროება ისევ! განმარტოვება, განდგომა, განცალკევება.

წყევა და კრულვა, რაც რამ შექმნილა ამ ქვეყნად.

X

საღამო დგებოდა. მზე ჩასვლას აპირებდა. ღრუბლებში ჩამალულიყო და იქიდან იჭვრიტებოდა. ერთ ალაგას მარაოსავით გადმოეშვა თავისი სხივების ნაწყვეტები და ოქროსფრად ელვარებდა. გარშემო სიჩუმე სუფევდა.

უდაბნოს მონასტერი ნეტარ ცხოვრებას მისცემოდა. წმიდა გალობა, ლოცვა და ღაღადება არღვევდნენ გარემომოცულ მყუდროებას და სიმღერა, ვითარცა ფსალმუნი, მძიმე-მძიმედ ზეცას მიილტვოდა და შემოქმედების მადიდებელი ჰიმნი თითქოს იქ მაღლა, განუზომელ სივრცეში ჰპოებდა სამუდამო-სამარადისო განსვენებას.

მონასტრის ზღუდეს მისდგომოდა მგზავრი ვინმე. ეტყობოდა, დიდი ხნის ნამგზავრი იყო. მოქანცული, დაღლილი სახე დასვენებას თხოულობდა. ჭაღარა თმა მოწმობდა, რომ იგი შუა ხანს უკვე გადაცილებული იყო და ცხოვრების სამხარზე დაშვებულიყო.

ტკბილი გალობა ესალმუნებოდა მის დაღლილ, მოქანცულ სულს, გაწამებულ დაჭრილ გულის იარებს თითქო უკურნავდა და უმთელებდა.

როდესაც გათავდა ლოცვა, გარედ ბერები გამოიშალნენ. უკან ორ ბერს, აქეთ-იქით ხელგაყრილი წინამძღვარი მოჰყავდათ.

მგზავრმა იცნო ის. ძირს თავი დახარა და ლოცვა-კურთხევა სთხოვა.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, შვილო! — უპასუხა წინამძღვარმა.

— ვინა ხარ, რამ მოგიყვანა აქ.

— ცხოვრებამ! — მიუგო კაცმა.

მოხუცი შეტორტმანდა ამ სიტყვაზე. მოსულს მიაჩერდა.

— ვერ მიცნობ? მე პირველად არა ვარ აქ.

— შვილო, თვალთ აღარ მიჭრის. ვეღარ გცნობ. შეიძლება პირველად გხედავდე — ხოლო შენგან წარმოთქმული სიტყვა კი პირველად არ მსმენია.

— გახსოვს, მამაო, ამ ოცდაათი წლის წინად რომ მზის აღმოსვლის დროს გაისტუმრე ერთი ჭაბუკი ცხოვრების სანახავად?! ეს მე ვარ! მზის აღმოსვლის დროს წავედი და დავბრუნდი მზის ჩასვლისას!..

მოხუცმა ათრთოლილი ხელები და მილულული თვალები ზეცას მიაპყრო.

— მამაო, მაშ ეხლა მაინც შეიფარე ჩემი ტანჯული სული. ეხლა კი შემიძლიან აღთქმის დადება.

— ნუ თუ ცხოვრებამ შენც უარგჰყო, შვილო! ნუ თუ ვერაფერი მოიპოვერა დედამიწაზე?

— ვერა, მამაო, ვერაფერი ვპოვე ქვეყნიერებაზე. ვეძებდი სიყვარულს და ვპოვე — სიძულვილი. ვეძებდი სიწმინდეს და ვპოვე — გარყვნილება. ვეძებდი სიტკბობას და ვპოვე — წყევა და კრულვა. ადამიანს ვარდ-ყვავილი გაუფინე ფეხ-ქვეშ, მაგრამ მან მე სამაგიეროთ ეკალი გამიფინა. მე თუ ვკოცნიდი, ის შუბით მიგმირავდა გულს. ჩემი სული დავამხე ძირს — ადამიანმა შეუბრალებლად გაჰქელა, შეურაცხყო. რაღა ვარ ეხლა? დევნილი. გმობილი.

— მაშ, აღსრულდეს ნება ღვთისა! — დაიწყო მოხუცმა.

— ამიერიდან შენ აღარ ეკუთვნი ცრუ წუთი სოფელს! შენ განვლე ცხოვრების მღელვარე ტალღები და ეზიარე წმიდა ტანჯვას. მაშ, ილოცე და ადიდე დიდი შემომქმედი, რათა მოგიტევოს და, შეგინდოს შეცოდებანი შენნი!... განიწმინდე სულით და ხორცით ზენაარ სამყოფოს შესასვლელად!...

XI

განვლო რამდენიმე წელიწადმა.

მონასტერში შესულმა ბერმა პირველადვე დიდი სახელი გაითქვა. ყველანი ემადლიერებოდნენ, პატივსა სცემდნენ. შეუყვარდა წინამძღვარსაც. მან ანდერძი დასდო, რომ მის სიკვდილ შემდეგ წინამძღვრად იგი ამოერჩიათ, ღრმა მოხუცს ძალიან უყვარდა მასთან ბაასი. მოცლილს დაინახავდა თუ არა ბერს, მიიხმობდა სალაპარაკოდ. ესაუბრებოდა წმინდა მამებზე, მოციქულებზე და მათ სასწაულ ცხოვრებაზე.

— აი, მე სამოც წელიწადზე მეტი იქნება, რაც ამ უდაბნოს შევეფარე და მოვშორდი მაცდურ წუთისოფელს. — ეუბნებოდა მოხუცი.

— ცხოვრება სულ ფუჭი ყოფილა, შვილო ჩემო, რომელიც სიზმარივით მალე ჰქრება და ადამიანი კი მისი სასროლი ბურთი. და რაც კი მე აქ მოვსულვარ ჩემი სული არ ტანჯულა. მხოლოდ აქ შეიძლება ჰპოვოს ადამიანმა სულის სიმშვიდე და თავისი ბინა ადგილი.

მაგრამ თუ აქაც ვერ ჰპოვა სიმშვიდე, დაირღვა სულიერი ადამიანის კავშირი — მაშინ ვაი მას, რომელიც ველარსად ჰპოებს მონანიების გზას და სული მისი იქნება ბნელი, შეჩვენებული, ვით ჯოჯოხეთი, შავი წყვდიადი.

XII

მოპირქუშებული დღე დაყმენდილი იყურებოდა. ცა გრგვინავდა. შავი ტყვიის ფერი ღრუბლები სქლად ირეოდნენ. ჩაბნელებულიყო ტყე უღრანი საშინელი ნისლი ჩამოწოლილიყო მთებზე და ლეჩაქსავით გადაჰფაროდა მთელ მიდამოს. ნიავიც შემწყდარიყო. დღე უკუმეთ ღამეს დამზგავსებოდა. აღარაფერი სჩანდა. კაცი თავის გვერდზე მდგომ ადამიანს ველარ გაარჩევდა. ზეცა თანდათან უფრო რისხდებოდა. მაღლა შავ არეულ ღრუბლებში რაღაც მხეცსავით გაწოლილიყო. უცებ საშინლად გაიელვა. გველივით დაიკლაკნა და შესაზარმა ჭექამ დედამიწა შეარყია. ამას ზედ მოჰყვა ადამიანის გულის გამგმირავი შესაზარი კივილი.

გულგახეთქილი ბერები კარში გამოსცვივდნენ, ანთებული სანთლებით.

— რა იყო, რა?

დაიწყეს ერთმანეთის შეკითხვა.

— ღმერთო ძლიერო! შენ დაგვიფარე და გვიხსენი!

— ჰო, ეს რა საშინელი უკუმეთია!

— ეს რაღაცას მოასწავებს!

— ისე არ ჩაივლის.

— უეჭველად დიდი უბედურობა მოელის ქვეყანას!

— ამისთანა ზეცის რისხვას მე ჯერ არ მოვსწრებივარ. მთელი დედამიწა ლამის არის გადაბრუნდეს.

— სამჯერ ისე შეირყა და ქანაობა დაიწყო დედამიწამ, თითქოს ეს არის გადაბრუნებას აპირებსო!

როდესაც ასეთ მითქმა-მოთქმაში იყვნენ ბერები, ეკლესიიდან ვიღაცა კაცის ხმა მოესმათ.

— ჰეი, აქ კაცია მოკლული! სანთლები მოანათეთ! ბერები მსწრაფლ გაეშურნენ საიდანაც ხმა მოესმათ. მიაშუქეს სინათლე და საზარელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ. ზედ მონასტრის კიბეზე, კარებთან გადაშხლართული ბერის უსულო გვამი ნახეს. გული დანით ჰქონდა გაგმირული. ასე ეგონებოდა კაცს, რომ დანა ზეციდან ჩამოვარდნილა და ზედ სწორედ გულისფიცარზე დასცემიაო.

— ჰო, ცოდვილო ადამიანო! — ერთხმად წამოიძახეს ბერებმა. მაშინვე წინამძღვარს აცნობეს ეს ამბავი.

თავზარდაცემული მოხუცი ძლივს გამოიყვანეს გარედ. მიიყვანეს, სანთელი მიუნათეს მოკლულის პირისახეზე და წინამძღვარმა ნათლად გაარჩია, თუ ვინც იყო იგი.

— ჰო, ღმერთო ძლიერო! ნუ თუ... ნუ თუ... — წაილულღლუღა საცოდავად მოხუცმა და ათრთოლებული, აცახცახებული მუხლებით იქვე დაეცა. წამოაყენეს. ძლივს მოიკრიფა ძალ-ღონე წინამძღვარმა და ბერებს უბრძანა, რომ მაშინვე ტაძარში შესულიყვნენ ყველანი და დაეწყოთ წირვა-ლოცვა.

გაისმა ზარის მწუხარე გუგუნი და ბერთა ჩუმი, წყნარი გალობა.

შეშინებული წინამძღვარი პირქვე დამხობილი დიადი სასოებით ლოცულობდა.

გარედ კი საშინელება იყო.

საზარლად სჭექდა და ჰქუხდა, დედამიწა მთლად ზანზარებდა და გულშემზარავად გმინავდა.

ვახტანგ გარრიკი

წამების წელი

ნახაზი

კაეშნით გაიშალა მის წინ ზღვის ფირუზი სუფრა...

ტალღები გაინაბა...

მკრთალი მზე ესროლის დატენილ სხივებს ფირუზ ზედაპირს და დაქანცულათ ეთამაშება მძინარე სიღრმეს...

ილევა დღე...

ის სდგას მარტო სევდიანი სიშორის თვალ-უწვდენ სივრცის ნაპირზე...

დაქანცული სიშორის ცისფერ ეთერში ყრუდ ლივლივებს დასამარებულ იმედების ნაღვლიანი სიმფონია.

მარტოა ის. გაშეშებული სდგას აქ და მისი ცქერა აღარ გადარბის მოცულ ჭავლის დოლბანდზე ცელქად — ის მხოლოდ დაშვებული, რწმენა-მკვდარი ჩაშტერებია ერთ წერტილს — იქ, სადაც ზღვა უერთდება ჰორიზონტს და ჰქმნის ტკბილ ბურუსს იდუმალებისას...

არაფერს არ ეძებს ის...

და არაფერი არ იზიდავს მის ცქერას. ის მხოლოდ უნებოდ ჩაშტერებია ერთ წერტილს გაშლილი წყნარი სივრცისა, და შავი ფიქრით მოსავს წარმოდგენაში აშლილ წარსულის სურათებს...

წელიწადია დღეს...

ჯერ იყო — საპასუხო სხივი იმის თვალებში... ტკბილი ოცნება აენთო, დიდი ხნის ლტოლვამ გაშალა ფრთები...

შემდეგ — ანთებული დუმილი და ცისფერი ცქერა...

ანთებულ ფიქრთა ლოცვით მიტანა წმიდათა წმიდის სამლოცველოზე, ფაქიზი თაყვანისცემა სულის უღრმესი სიმღერა...

იმედებით სავსე მკერდი და ყოველდღიური ანავარდება აღფრთოვანების მწვერვალებზე, მალულ გძნობათა აფეთქება და პირველი სიტყვა გამხელისა, კრძალვით წარმოთქმული, მთრთოლვარე ვერხვის ფოთოლივით...

და — პირველი ჭრილობა — პირველი ნაკადი უკურნალი ტკივილებისა — დანაბადი დამარცხებულ გულში...

თეთრი — უძილო ღამეები...

და სასტიკი ბრძოლა ორი გრძნობის — იჭვის და რწმენის და დაღუპვა რწმენის...

დავიწყების ძიება...

წელიწადია დღეს...

მთელი წელიწადი — დამარცხების, სულის შეურაცხყოფის, დამცირების — ჰმ — მას მწარედ ჩაეცინა წუთით — დამცირებისაც კი — იმისთვის — ვისაც არასდროს არ სცოდნია რა არის დამცირება...

წელიწადი — ღირსების დაწიხვლისა, თავმოყვარეობის შემურვის...

და დამშხამავ ფიქრთა, და მძიმე, გარდაუვალი — კაეშნიანი შფოთვისა — რომელთაც ვერსად წაუხვალ, ვერ გაექცევი, ვერსად დაემალები...

მთელი წელიწადი... არა — მთელი საუკუნე...

ამოიშალე მოგონებიდან — ამოიშალე გულიდან — წამების წელო...

ხანჯლები დაუტრიალდა გულში, ამოხდა კვნესა.

თვალები დანაბა და ნაპირის კლდეს მიეყრდნო...

ძირს ტალღა გაიშალა.

თეო იანელი

შემოდგომა, 1922

კურტან-ქვეშ

ახალ-ნაავადმყოფარი ზის ასატურ ქუჩაში თავის კურტანზე და მზეზე ითბობს დათენთილ სხეულს. უხარია, რომ ერთი თვის წოლის შემდეგ ეღირსა ფეხზე წამოდგომას. არც კი იცის, რით იყო ავად. არც უწამლია, კურტნიანმა ამხანაგებმა, მასთან რომ ცხოვრობენ ერთ მივიწყებულ სარდაფში, უშველეს ცხელ-ცხელი საჭმელის და თეთრი პურის მიწოდებით. ეს იყო და ეს. აიტანა ძლიერმა აგებულებამ ერთი თვის განმავლობაში შეუნელებელი სიცხე. რომ წამოდგა თავის ულეიბო და უსაბნო ლოგინიდან, ერთი კვირის განმავლობაში ის ერიდებოდა მძიმე ტვირთის აწევას... გოლიათ ვაჟკაცს გულმკერდი დაპატარავებოდა და ხელები, დათვის თათები, მინაზებოდა. ამის გამო საშოვარი მცირე ჰქონდა ასატურს, და ამხანაგების ვალები დაედო.

დღეს კი მოღონიერებულად გრძნობს თავს და ხარბად ისუნთქავს შუადღის ჰაერს, ზამთრის მორცხვი მზით შემთბარს. წყნარი დღეა, ქარი არ ჰქრის. ყურს უგდებს კურტნიანების ამხანაგურ საუბარს. მსოფლიო ომის საშინელმა განავარდებამ აჰყარა ისინი მშობლიურ მიწა-წყლიდან. კერა-განიავებული ლტოლვილები მოხუცი ტფილისის კალთებს შეეფარენ და კურტან-ქვეშ აქ შეხვდენ ერთმანეთს. შორეულნი, უცხონი...

— ღვთისნიერი ადამიანი რომ გამოვა, გამოვა!.. ტვირთი რომ ბინაზე აუტანე, ფული მაშინვე კი არ მომაწოდა გინებითა და ლანძღვით, არა — ჯერ დამსვა. საუკეთესო პაპიროსი მომართვა. ცეცხლი ჯერ მე მომაწოდა, შემდეგ თავის პაპიროსს მოუკიდა. კარგად რომ დავისვენე და პაპიროსი მოვსწიე, მე თვითონ წამოვდექი წასასვლელად. მართალი გითხრათ, მისგან ფულის აღება მეხათრებოდა. იმან კი გარიგებულ ფასზე კიდევ ხუთასი თუმანი დამიმატა... — ამბობს გრძელწვერა კურტნიანი, თან მადიანად მოჰკბენს ლობიოიან ჭადს.

კურტნიანების უხეშ სახიდან მორცხვად გამოიხედა ღიმილმა, — გული მათი თბილად აძგერდა, რომ უცნობის მიერ, რომელიც არც კი უნახავთ, მაგრამ უკვე შეუყვარდათ, დაფასებულ იქნა კურტნიანის ადამიანობა...

ასატურ ფიქრებს მისდევს და მისი ტუჩები დასაცინად იკუმშება:

— უკვირთ კაცური მოპყრობა!.. ის კი თავის სოფელში რომ გაივლიდა, შორიდან უკრავდა თავს დიდი და მცირე... მისი ვაჟკაცობა, შრომა და მუყაითობა ყველასთვის სანატრელი და სახარბიელო იყო...

— მუშაა!.. — უეცრად გაისმა მეპურე ვართანას ყვირილი და წამოიჭრენ კურტნიანთა ათეულები. ძუნძულით გარბიან ძახილისკენ, როგორც ქუჩის მშიერი ძაღლები გადმოსროლილ ძვლისკენ...

ვინ დაასწრებს მისვლას, ვინ აჯობებს?

ამხანაგებს წინ მოექცა ასატურ და გრძელ-წვერა. სხვებმა კი ბრძოლა წაგებულად ჩასთვალეს და უკმაყოფილოდ უკან გაბრუნდენ...

— აბა, სად ეჩხირები?! მე მოვედი უფრო ადრე.

— ჩვენ ორნივე ერთად მოვედით, — უპასუხებს ასატურ, — მე ცოტათი კიდეც დაგასწარი.

ვართანა ჩოხა-გახსნილი ზევიდან დასცქერის კურტნიანთა ქიშპობას.

— ეხლავე დაეთხოვეთ თქვენს ჩხუბს, ჯერ ნახეთ, რა არის წასაღები.

მოქიშპენი მიაწყდებიან დუქნის კარებს, სადაც ვართანა შევიდა; ერთი მეორეს არ აცლიან კარებში შესვლას. შიგ გაიჭედენ თავისი კურტნებით. აგინებენ ერთმანეთს; არც ერთს არ უნდა უკან გამოვიდეს და მეორეს გზა მისცეს... ძლივს ხმაურით, ბიძგებ-ბიძგებით შევარდენ დუქანში.

კურტნიანები უცდიან ვართანას განკარგულებას. ეს კი სდგას და იცინის თავდავიწყებით, წითური სახე ასჭარხალებია.

— ოი, დედი! — ძლივს ითქვამს სულს. — თქვენ აგაშენათ ღმერთმა! ძალიან მასიამოვნეთ...

— ეს ფქვილიანი ტომარია წასაღები.

ასატურ ადგილიდან არ იძვრის. აავლებს თვალს წასაღებ ტვირთს: ხუთ ფუთზე ნაკლები არ იქნება!

— სად არის მისატანი? — ჰკითხულობს გრძელ-წვერა.

— ვერის აღმართ-ზევით, მოსკოვის ქუჩაზე.

— აქიდან, სადგურიდან, ამის სიმძიმე ტვირთს რა წაიღებს?! ეე... — ცივად შეტრიალდება გრძელ-წვერა, არც კი შეხედავს ასატურს, უხმოდ გარედ გადის.

ასატურ ყოყმანობს: ისიც გაჰყვეს ამხანაგს? ასეთი ტვირთი ავადმყოფობამდის არაერთხელ წაუღია მას კიდევ უფრო შორს. ეხლა კი შიშობს: ძალამ არ უმტყუნოს. არა და, უკან გაბრუნება ამდენი ბურხალის შემდეგ ესირცხვება. ამხანაგები სასაცილოდ აიღებენ ამაყ ასატურს. იმ ფეხ-მონგრეულს და კისერ-წაწვრილებულ გრძელ-წვერას უნდა გაუტოლდეს?!. არა!. ასატურმა იგრძნო ძალის მოზღვავება. მოჰკიდა ნაცადი ხელი ტომარს და თავი შეუქანა სიმძიმის გასაგებად.

— წავიღებ სამი ათას თუმნად.

— ორი ათას თუმანს მოგცემ.

— ნაკლებად არა. — გადაჭრით ეუბნება ასატურ.

— კარგი. წაიღე.

ვართანა უძახის დამხმარეს და ორი ვაჟკაცი გაჭივრებით დაუდებს ასატურს კურტანზე ტომარს. ფეხები მომაგრებული აქვს ასატურს, მაგრამ ხუთფუთიანი სიმძიმე რომ დაეშვება იმის ზურგზე, გააქანებს, და თითქოს ჭიანჭველების ლაშქარი შეესია, სხეულის ყველა წერტილი ნერვიულად აუთრთოლდება; მაგრამ არ შეიმჩნევს ამას და მტკიცე, ნელი ნაბიჯით ქუჩაში გამოდის...

ამაყად ჩაუვლის გვერდს კურტნიანებს, რომლებიც წყნარად გააყოლებენ თვალს და წამით მასთან ერთად განიცდიან უზარმაზარი ტომრის სიმძიმეს.

ერთი მოსახვევი გაიარა ასატურმა; არ გასჭირვებია და შეშინებული გული გამოუბრუნდა... წარბშეუხრელად მიიტანს ტვირთს დანიშნულ ადგილას.

კიდევ მოსახვევი, და ოფლის წინწკლები მოეფინა გაწითლებულ სახეზე, ტანი შეუხურდა, და ასატურ გრძნობს, რომ ტანზე ბანლები სხმია. ყველა ბუსუსმა სული ჩაიდგა და ამოძრავდა. ისინი თითქოს ადგილიდან დაიძვრენ და მთელ ტანზე სეირნობა გამართეს.

საყელო, რომელიც ავადმყოფობის დროს კიდეც დაუსრულდა, ეხლა ყელში უჭერს, აწუხებს და ასატურ ჩქარ-ჩქარად მიიბრუნ-მოიბრუნებს თავს, რომ შვება იგრძნოს.

იმედიანად მიაბიჯებს ფეხებს. ახალ ქუჩაზე რომ გავა, თითქოს ტვირთი შეუმსუბუქდა, უფრო ღონივრად გაიწევს წინ.

აი, იმ მოსახვევსაც ჩქარა გაივლის... კიდევ სამი მოსახვევი და პლეხანოვის ქუჩაზე გავა — გზა განახევრებული იქნება.

ვართანა წინ მიდის და ხშირად მოუხედავს უკან: არ გამეპაროსო. ასატურს გუნებაში ეღიმება: ასეთი ტვირთით გაპარვა?!

ჯერ პლეხანოვის ქუჩამდის არ მისულა და ფეხები დაუმძიმდა, თითქოს ვიღაცამ უმტრო და კუნთებზე ფუთიანები ჩამოჰკიდა.. ფეხებს ზევით კი ვერ სწევს, ოდნავ აშორებს დედამიწას, რომ ადგილი გამოიცვალოს. ოფლის ნაკადულებმა აელვარებულ სახეზე გზა გაიკვალეს, და ზოგი ცივად საყელოსკენ მიიმართება, ზოგი წვეთ-წვეთობით ქუჩის მტვერსა და ნაგავს შეეზილება...

ტვირთის სიმძიმე ასატურს თითქოს არ აწუხებს. თანაბარი ქანაობით მიბაჯბაჯებს, ხარივით კისერ-გაწვდილი, ამობერილი ძარღვები გველებივით ზედ გასწოლია; მაგრამ ტანზე ცეცხლი ეკიდება.

თითქოს ალში ჩავარდა... უნდა ამოუხტეს ტანსაცმელიდან, რომ გრილ ჰაერის ტალღებს მიუშვიროს გავარვარებული სხეული. იხსნის გულისპირს, ოდნავ სულს მოითქვამს და ისევ მილასლასობს...

ასიოდე ნაბიჯი გაიარა კიდევ... ცეცხლის ალი უფრო ძლიერად მოედო. რარიგ სურს ერთი შესვენება, ოფლის მოწმენდა, წელის გასწორება!.. არა სჩანს მოხერხებული ადგილი, ტომრის ისე ჩამოსადები, რომ მისი ხელახლად აწევა ადვილი იყოს... აგონდება შემ-

დეგ ქუჩაზე ქვის ღობე, რომელსაც ფართო კიდე აქვს. იმაზე კარგად ჩამოიდება ტვირთი. იკრებს ღონეს და ფეხს აუჩქარებს, ოფლი არ აწუხებს, წურწურით რომ ყელში ჩასდის...

გამოჩნდა თეთრი ქვის ღობე და თეთრად განათლდა გული ასატურის... აბა, ნაბიჯი მალი და დაისვენებ ჩქარა!..

სიხარულით აფრთქიალებული მიუახლოვდება ღობეს. ზურგი უჩვენა და ტომარი ფრთხილად დაუშვა ღობის კიდეზე... ღვედს მოუშვებს, წელს გაიმართავს. ცალ ხელს ტომარას მიაბჯენს, ტომარი რომ ძირს არ გადმოვარდეს. ხარბათ ჰყლაპავს ჰაერს. ოფლით დანამულ სახეს იწმენდს სალოკი თითით...

— ეჰე, დაიღალე? ცუდია! — ამბობს ვართანა, მუშას რომ მოუხედავს.

ასატურ არ უპასუხებს. კიდევ შორი გზა აქვს, აღმართიც ასავლელი. შესძლებს წაღებას? არ უნდა იფიქროს ამაზე. გამოუცდია: რამდენს მეტ ფიქრსა და ზომვას დაიწყებს, ტვირთის ზიდვა ამით უფრო გაუჭირდება.

კმარა დასვენება! უძახის ვართანას, რომ დაეხმაროს ტომრის კურტანზე დადებაში.

კირკის ქუჩაზე მიათრევს ასატურ ფეხებს.

— გამოიარე, რაღა! საღამომდის ხომ ვერ გიცდი?!

— მძიმეა, ბატონო, მძიმე...

— თუ არ შეგიძლია, სთქვი. სხვას წავაღებინებ. განა შენს გარდა მუშები არ არიან?!.

მუხლები უკანკალებს. ქუდი დიდი ხანია არ ხურავს თავზე. ჯიბეში ჩაუკუმშავს, მაგრამ თავი მაინც თონესავით უხურს, დაწიწული ძარღვები სახეზე მახრჩობელასავით შემოესალტენ, თვალების კაკლები დაებერა, ვერ ახამხამებს.

არ სწყინს ასატურს, ვართანა რომ უწყრება, არც ის უკვირს, რომ ხან-და-ხან მაინც იგი ხელს არ მიაშველებს. რა ვალდებულია: მუშა ჰყავს დაქირავებული!

რა მდლობელი იქნებოდა, ვინმე რომ ოფლს მოსწმენდდეს! ოფლის წვეთები მწერებივით იბრწკინებიან. წვეთი წვეთთან მისრიალებს. ყურის ბიბილოს ქვეშ ჩაიპარება და ვერცხლის წყალივით საყელოში ჩაგორდება. საშინლად ექავება კისერი. რადა ღირს კისრის მოფხანა?! მაგრამ გონება-დაბინდულს ეს არ ძალუძს. ხელებით მაგრად ჩასჭიდებია ღვედს, რომლითაც ტომარი აქვს კურტანზე დაკრული. არც სხვა ვინმე არის, რომელიც მოვალე იყოს — მას ხელმანდილით ოფლი მოსწმინდოს. ის კი მოვალეა: ტომარი აუცილებლად მიიტანოს დანიშნულ ადგილას. მას გაურიგდენ, აძლევენ სამი ათას თუმანს... ის უსიკვდილოდ მიიტანს, მაგრამ მუხლები ისევ უთრთის შეშინებულივით... ვართანა რომ კიდევ გაუწყრებოდეს, რა მადლობელი იქნება!.. წეღანდელმა გაწყრომამ ძალიან უშველა: ახალი ძალები აატოკა მის მოშვებულ კუნთებში...

სახალხო სახლიდან თითქმის ხიდამდის მოატანა. ეხლა აუცილებლად უნდა დაისვენოს, თორემ ტომარს ქვეშ მოჰყვება...

— შენ, ვართანა, ასე რად მიჩქარი?.. რად გაუსწარი ასე წინ? არ გირჩევნია: შენს მუშას გაუწყრე?..

უკან არც კი იხედება... მეტი გაძლება არ შეუძლია ასატურს. გვერდზე გადაექანა. კინაღამ წაიქცა...

ვართანა კიდევ არ იხედება... ძლივს მოასწრო კურტანი მიეყრდნო ხეზე და ტომარი ნელ-ნელა მიწაზე დაუშვა. ეხლა კი მოიხედა ვართანამ. მრისხანედაც გამოეშურა ასატურისკენ, მაგრამ ეხლა ის ყურადღებასაც არ აქცევს. ტვირთის მოხსნით წონასწორობა დაკარგული მთვრალივით ბარბაცებს, ხარბათ ჰყლაპავს ჰაერს, მთოლვარე ხელებით ოფლს იწმენდს, მოუფიქრებლად ტომარზე ჯდება... რა კარგია!..

— მშვენიერია!.. ბარემ ლოგინსაც გაიშლიდი. საქმე აღარა მაქვს რაღა, შენმა მზემ, გათენებამდის აქ გიცადო?!.

ასატურ არ უპასუხებს... გონება-დაბინდულს უკვირს, რა აჯავრებს ვართანას. თვითონ ძალიან კარგ ხასიათზეა.

— ადე, ადე, თუ მოგაქვს.

— არ მიმაქვს!. — დგება გულმოსული ასატურ. — ვისაც გინდა, წააღებინე. ნახევარ გზაზე მეტი გავიარე, გარიგებული ქირის ნახევარი მომეცი, მეტს არა გთხოვ.

— თუ არ წაიღებ, არაფერსაც არ მოგცემ. ეხლა მუშა მე სად ვეძებო?

— არ მომცემ, და ასე დავჯდები. — ასატურ ჩამოჯდება ტროტუარზე.

— ასეთ მუშას კი რა უთხრა მე!.. — გაბრაზებული ვართანა მიდის მუშის დასაძახებლად.

ვართანას მუშა მოჰყავს. ასატურ საკმაოდ დასვენებულად გრძნობს თავს. ის წაიღებს ისევ ტომარს. მაშ, ამდენი ტყვილად იწვალა? სხვას რად დაუთმოს თავისი ლუკმა? არა! ვართანას ჯიბრზე წაიღებს, თან ისეირებს, მოყვანილი მუშა რომ აუტეხს ვართანას აყალმაყალს. კარგად იცნობს ამ მუშას ასატურ, ამისთანობაში ყოჩაღი არის. მასთან რომ მივლენ, ფიცხლავ წამოდგება ასატურ და კურტანს მოიმარჯვებს ტვირთის დასადებად. ყოჩაღი მუშა პირველი ჰკიდებს ტომარს ხელს. ვართანაც მიეშველება... სიმძიმის ქვეშ დაიწურა ასატურ, მაგრამ აქ თითქოს არაფერი — ჯიბრზე მაინც ღონივრად გადადგა ნაბიჯები. ესმის უკან ყოჩაღი მუშის და ვართანას ჩხუბი. ეღიმება ასატურს: ნეტავ ვართანას გუნებას, კარგი ოინი უყო!..

გულდაგულ მიაბიჯებს ფეხებს: ვართანაც გააღიზიანა და კარგადაც დაისვენა. ეს ვერის აღმართიც აიაროს, და მოსკოვის ქუჩა იქვეა. პურს იყიდის და დაქანცვის შემდეგ მადიანად მიაძღება. ეხლა არცა სცხავს!.. წინ რა ჩოჩქოლია?

— აცი, აცი, შე მგელის შესაჭმელო!.. და გადადის მათრახის ტარი პატარა ვირის ზურგზე. ვეება ურემი, ვაშლით ავსებული, უნდა აიტანოს ამ აღმართში. ეცოდება ასატურს პატარა ვირი. მათრახის ტარი შიგ ცხვირ-პირში ჩასცხო პატრონმა. გამწარებული ვირი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გაიწევს, და ურემი უკან მოგორავს, მოგორავს. ბრაზობს პატრონი და ვირს მუცელში წიხლებს ურტყამს. ვირს ურტყამენ არა-ადამიანურად, და ასატურს უკვირს, ვირი რომ სდუმს არა-ადამიანურად. ერთი მაინც დაიყროყინოს!..

ხალხი შეჯგუფდა. ექომაგებიან ვირს... ყოჩაღ, ვირო, რამდენი ქომაგი გამოგიჩნდა!..

— ნუ ურტყამ, მე შენ გეუბნები...

— მაშ სანამდის ვიყო აქ?!. თუ ვირზე გული გტკივა, მოდი რაღა, მოეხმარე, ავატანინოთ...

— ეჰ, შენ რომ კაცმა გელაპარაკოს, შენისთანა უსაქმო უნდა იყოს... — და მიდის ერთი ქომაგი.

პატრონი აღარ ურტყამს ვირს, მხოლოდ იმის გამომყიდველს ცუდად იხსენიებს. ვირი, თითქოს ისიც ერთი მოსეირეთაგანია, დინჯად დამდგარი ხანდახან ყურებს შეაქანებს...

ასატურ გასცილდა ვირს. ოფლის წყაროებმა კვლავ ამოსჩქეფეს. ყოველ ნაბიჯზე ისე გრძნობს თავს, თითქოს უფრო გახურებულ ჰაერში შედიოდეს. სუნთქვა უჭირს. ვიღაცამ თითქოს ფეხების კუნთებში ხელები ჩაავლო, უკან ეწევა. გაუშვას ხელი, ტომრის სიმძიმეც ეყოფა. უფრო ძლიერად ეწევა. ნაბიჯი შეამოკლა... დამქირავებელი კი გარბის... ასატურს აღარ შეუძლია სიარული. ჩერდება. სუნთქვა აწუხებს. საბარგო თვითმავალი მოგრუხუნებს ზევიდან. რომ გააჩერებდეს, დაიდებდეს ამ ტომარს და მოსკოვის ქუჩამდის აიტანდეს... თვითონაც შიგ ჩაუჯდებოდა. გრილი ნიავი გაუგრილებდა შუბლს. ვართანაც არ უწყრება, რომ გამოექომაგონ.

თვითმავალმა მხოლოდ მტვერის ნისლი დასტოვა. სანამდის უნდა ზიდოს ეს ტომარი?!. ასეთი აღმართი არ ახსოვს ვერაზე. ვართანამ მოუხედა. ეხლა აუცილებლად გაუწყრება. ამდენი მოსვენება უარესად დაღლის. მოიცვლის ფეხს. როგორ ცხელა ამ ზამთარში!.. ყველას კი პალტოები ჩაუცვამს... შებინდდა... ღამდება. უხარია ასატურს. ცო-

ტა კიდევ შებნელდეს და ვართანა ვერ დაინახავს, შეეძლება ტომარი ძირს დაუშვას, დაისვენოს... უეცრად დაბნელდა. აბა, ჩქარა ჩამოვიღოთ ტომარი...

ასატურმა მოუხერხებლად ჩაიჩოქა და კურტანიდან ტომარი გადაუვარდა. ტომარმა ტკივილების თეთრი კვამლი აუშვა... კვლავ მოუხედა ვართანამ მუშას. მიირბინა მასთან: ის გულწასული, გალურჯებული ეგდო. ფქვილის ფიფქი თოვლად მოჰფენოდა გახუნებულ ფარაჯაზე...

ირრადიონ ქავჟარაძე

ტფილისი, 1922

რაბინდრანატ თაგორიდან

ნუ, ნუ მიმალავ, მეგობარო, გულის სიდუმლოს. გამიმხილე ყოველივე, გამიმხილე. მე, მხოლოდ მე მითხარი შენი გულის ნადები... მორცხვათ მეღიმები შენ. მეგობარო, ნუ მიმალავ ნურაფერს... ნელის ხმით წამჩურჩულე საიდუმლო შენის გულისა. ჩემი გული მაინც იგრძნობს, მაინც გაიგებს ყოველივეს.

ბნელი ღამეა. სამარისებური სიჩუმე მეფობს ირგვლივ.

მეგობარო, ცრემლმორეული თვალებით მითხარი, მოკრძალების ტკბილ წუთებში წამჩურჩულე საიდუმლო შენის გულისა.

ნუ, ნუ მიდიხარ, საყვარელო. ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის „მშვიდობით“. მე მთელი ღამე უძილოთ გავატარე. მთვლემარე თვალებს ქურდულათ მიხუჭავს ძილი... მშვენიერო, მეშინია, რომ ძილის დროს დაგკარგო. ნუ, ნუ მიდიხარ, საყვარელო, ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის — „მშვიდობით!“ მსწრაფლ ვერკვევი. აქა-იქ ვაფათურებ ხელებს. მე მინდა მოგნახო. მე მინდა შეგეხო. ნუ თუ ეს სიზმარია? — გავიძახი გზააბნეული. ო, ნუ, ნუ მიდიხარ, საყვარელო, ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის — „მშვიდობით!“

მშვენიერო, შეამკობ თუ არა ჩემს კისერს ახალგაზრდა ყვავილების რგოლებით?.. შენ უნდა იცოდე, რომ ჩემგან დაწნული ყვავილები ყველას ეკუთვნის. ის გამზადებულია მათთვის, რომელთაც წუთიერათ ხედავ. რომლებიც ცოცხლობენ პოეტების მშვენიერ ლექსებში. ეხლა უკვე გვიანაა ჩემი გული ითხოვო. იყო დრო, როცა ჩემი ცხოვრება ოდნავად გაშლილ ყვავილს მოგაგონებდა. საამო სურნელება საკმაოთ იყო გაბნეული მის გულში. ეხლა კი გაფანტულია ის ყველგან. რომელი ჯადოქარი მათ და ისევ ძველ ადგილს მიუჩენს? ვინ, ვინ იქნება ასეთი? ჩემი გული ჩემი არაა, რომ შემეძლოს ერთს მივსცე იგი.

ის ეხლა უკვე ყველასია.

ო, მსოფლიოვ! მე მოვსწყვიტე შენი ყვავილი.

ჩავიკარ გულში და ეკალი დამესო.

და როცა დაღამდა ის დღე, ყვავილი დაჭკნა და ჩემმა გულმა მხოლოდ ტკივილი იგრძნო.

ო, მსოფლიოვ!.. შენ კვლავ წარმოშობ ფერად და სურნელოვან ყვავილებს.

ჩემი დრო გარდასულია უკვე.

მე ვერ დავკრეფ ყვავილებს.

და უკუნეთ წყვდიადში მე ჩემი ვარდი არა მაქვს.

მე მხოლოდ ტკივილი დამრჩა მისგან!

ლ. ძიძიგური

მიმართვა ქართველ მხატვრებს[1]

ამხანაგებო!

ტფილისში განაახლა თავისი მოქმედება ქართველ მხატვართა საზოგადოებამ, რომელმაც გამოიმუშავა ახალი წესდება, მიზნათ ისახავს: ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთ მოძღვართა დაახლოვება-შეკავშირებას.

საქართველოში პლასტიური ხელოვნების სხვა და სხვა დარგის გავრცელებას, და როგორც ძველი აგრეთვე თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა შეგროვებას, დაცვას და შესწავლას. დააარსოს პლასტიური ხელოვნების სკოლები, გამართოს სამხატვრო გამოფენები, დანიშნოს პრემიები საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებთათვის და ქართულ ხელოვნების საუკეთესო გამოკვლევისათვის, გამოიცეს სამხატვრო ჟურნალი, მართოს სამხატვრო ექსპედიციები ძველი ქართული ხელოვნებისა და ზნე-ჩვეულების შესასწავლათ. ხელი შეუწყოს გემოვნების განვითარებას ხალხში. დააარსოს კურსები, ლექციები და საჭირო საუბარი ხელოვნებისათვის. ზრუნავდეს ძველ საქართველოს ნაშთების შენახვა-დაცვისათვის და განახლებისათვის. ხელი შეუწყოს ქართული მუზეუმის შევსება-გამდიდრებას. ხელი შეუწყოს საქართველოში მხატვრულ სახელოვნო შინა მრეწველობის განვითარებას. ზრუნავდეს უზრუნველ ყოფისათვის ნივთიერად მხატვართათვის, ვინც მუშაობდეს ძველ ქართულ ხელოვნების შესასწავლათ, აგრეთვე ზრუნავდეს ახალგაზრდა მხატვართათვის, — უნიშნავდეს მათ სტიპენდიებს ხანდაზმულს ან ერთდროული დახმარების სახით. ეხმარებოდეს კერძო სამხატვრო სკოლებს და ზრუნავდეს და ხელს უწყობდეს ქართულ შკოლებს და ქართულ თეატრს მხატვრული თვალსაზრისით და სხვა.

ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობაში არჩეულნი არიან ხუთი წევრნი: თავმჯდომარეთ მოსე თოიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ალექსანდრე მრევლიშვილი, მდივნად ირაკლი ტოფაძე, ხაზინადრათ გიორგი სესიაშვილი, გამგეობის წევრათ ელენე ახვლედიანი. გამგეობის სამმართველო მოთავსებულია თბილისში ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. №13).

გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას, თავის დასახული მიზნების განსახორციელებლათ. მისი თაოსნობით ხელოვანთა სასახლეში ეწყობა ყოველკვირეული საღამოები, შემდეგი პროგრამით: მოხსენებები, ლექციები პლასტიურ ხელოვნებაზე, ჟურფიკსები, პლასტიური მოძრაობა, ხატვა, სიტყვიერება, მუსიკა და სხვა.

გამგეობა შეუდგა უკვე მუშაობას ქართველ მხატვართა და ყველა პლასტიურ მოღვაწეთა ენციკლოპედიის შექმნას. გამგეობას აზრათა აქვს, გამოსცეს პერიოდული სამხატვრო ჟურნალი და აგრეთვე არის სამზადისი საგაზაფხულო სურათების გამოფენისათვის. გამოფენა იქნება შემდეგი პროგრამით: სურათების, ესკიზების, პლაკატების, ქანდაკებების და ყოველნაირი მხატვრობის. მართალია, ჯერჯერობით ჩვენ ძალიან ხელს გვიშლის მატერიალური სიღარიბე, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს გამოფხიზლებული ქართველი ხალხის, რომ არ გამოიჩენს სიძუნწეს და დაეხმარება ქართული მხატვრობის და ქართული კულტურის აღორძინებას. ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას, გაგვიწიოს დახმარება, რითაც კი შეუძლია.

ჩვენთვის საჭიროა როგორც ფული, აგრეთვე ყოველგვარი ისტორიული და ტიპიური ტანსაცმელები, იარაღი და ოჯახის მოწყობილობანი. ყოველგვარი ლიტერატურა

1. ქართველ მხატვართა გამგეობამ შემდეგი წერილით მიმართა საქართველოს ყველა ქალაქებში და პროვინციებში ქართველ მხატვრებს.

პლასტიურ ხელოვნებაზე და მხატვრული განძეულობა. ამხანაგებო! აქ, საქართველოს ცენტრში, ტფილისში არის მხატვართა საკმაო ძალები, არის სამხატვრო აკადემია, არის სამხატვრო სტუდია, სადაც შეუძლია ახალგაზრდა მხატვრებს შემოქმედობისთვის გაწვრთნა გავარჯიშება. მაგრამ ამ ბედნიერებას ჯერ-ჯერობით მოკლებულია საქართველოს დანარჩენი ქალაქები და პროვინციები. და ჩვენ ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა მოგიწოდებთ ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში, სადაც რამდენიც უნდა იყვეთ მხატვრები და მხატვრობის მოყვარულნი, შეაკავშიროთ ადგილობრივი ძალები, გამართეთ წრეები როგორც პრაქტიკულათ, აგრეთვე თეორიულათ სამაცადინო და შეძლებისდა გვარათ დაუკავშირდეთ თბილისის სამხატვრო ლაბარატორიას.

თავიდანვე შეუდგებით საგაზაფხულო გამოფენებისათვის მუშაობას. ეს გამოფენა პირველათ გაიმართება ტფილისში, შემდეგ საქართველოს დანარჩენ ქალაქებში და დაბებში.

ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა მოგმართავთ გვაცნობოთ: დღემდე გქონდათ რამე მხატვართა ორგანიზაცია თუ არა, ან რამდენი წევრი გყავთ, თუ არა გქონიათ, შეადგინეთ დაუყოვნებლივ ზემოდასახელებულ პრინციპებზე. მოითხოვეთ ჩვენგნით სახელმძღვანელოთ ჩვენი წესდება. ყველა ქართველ მხატვართა კავშირები თავის მოქმედებაში იყავით ავტონომიური, მხოლოთ იქონიეთ მუდმივი დამოკიდებულება ჩვენთან.

ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა.

თბილისი, ხელოვანთა სასახლე

8 იანვარი, 1923

ცისა და დედამიწის შუამავალი

(იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება „აკაკი წერეთელი“)

ქართული რასის შემოქმედებამ თავისი ძლევამოსილი ფრთების გაშლა დაიწყო. ეხლანდელი საუკუნე ჭეშმარიტად იქნება მოწამე მისი დიადი აღდგომისა; უკვე ელვარე ნაპერწკლები სცვივა და ჩვენი სხეული აგიზგიზებულ კოცონის მოლოდინში თრთის. ხელოვნების ყოველ დარგში ახალ-ახალ მიღწევათა წინაშე ვსდგევართ.

ჩვენი მხატვრობა, მუსიკა, პოეზია იმდენად დაჭაბუკდა, რომ ევროპის ხელოვნების იმპულსები მათში შესაფერის რეზონანსს იწვევს. ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, ჩვენი ვითარება პასიურია, მაგრამ ეს დროებითია; უკვე ვგრძნობთ ძალთა სიჭარბეს. იმ სიჭარბეს, რომელიც რასის გაყმაწვილების ნიშანია, და მალე ჩვენი შემოქმედებითი შადრევანი უხვად მორწყავს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ჩვენს მეზობლად მდებარე ქვეყნის უდაბნოებსაც. ჩვენ გვრწამს, რომ ქართული კულტურა ანთებული ჩირაღდნებით შეიჭრება წინა აზიაში და გაანათებს მის არე-მარეს. თუ გნებავთ, ეს ჩვენი მესიანიზმია, და თუ სადმე არსებობს მესიანიზმი, ჩვენ უპირველესი მესიანისტები უნდა ვიყოთ. მკვდარია ის ერი, რომელსაც ასეთი რწმენა არ აქვს. ურწმუნოება შემოქმედებითი ატროფიის მაჩვენებელია, ხოლო ჩვენში კი ასეთი ატროფიის ნიშანწყალიც არაა.

ჩვენი რასის კულტურულ მსვლელობას ერთი რამ ახასიათებს: წყვეტილი ხაზები, ტრადიციის თითქმის უქონლობა. მხოლოდ ჩვენში ხდება ის, რომ ახალი შემოქმედების ჩქერი უდაბნოში სცემს.

ერთ-ერთ ასეთ უდაბნოს ჩვენში ქანდაკება წარმოადგენდა, მაგრამ მოვიდა როდენის გენიით ნათელ ცხებული ქართველი და ეს უდაბნო მხიბლავ წალკოტად აქცია.

ამ სტრიქონების წერის დროს მეზმანება მისი „აკაკი“, ეს ცისა და დედა მიწის შუა მდგომი ბუმბერაზი. მართლაც, რომ ასეთია ზოგადი შთაბეჭდილება, ამ ქანდაკებას რომ უცქერით და, ვგონებთ, თვით ხელოვანსაც ეს აზრი დასტრიალებდა თავს მისი შექმნის დროს.

ამ ჯადოსნური ქვის ქვედა ნაწილი დაუმუშავებელია და თავისი უხეშობით კლდის იმ ნაგლეჯს მოგაგონებთ, რომელიც ათასი წლობით უძრავად გდია სადღაც მთების ფერდოებში. მასში არც აზრია, არც ფორმა და არც შინაარსი. მაგრამ, აიხედეთ ცოტათი ზემოთ: ქვას შემოქმედის ხელი შეხებია და ის ათასნაირი ნჲუანსებით ალაპარაკებულა. თქვენს წინ სასწაული იშლება: უსულო ქვას სული ჩასდგომია, უფორმოს — ფორმა მისცემია, უშინაარსოს შინაარსი. მგოსნის ტიტველი ტანის ზედა ნაწილი ქვის ლოდზეა დაყრდნობილი და თითქოს იმავე ლოდიდან შუბლი ზევით აზიდულა ისე, ვით მისი ლერწამი ობლის საფლავზე ამოსული. მისი ტანის ყოველი ნაკვთი, კისრის დაჭიმული ძარღვები რაღაც უცნაურ სურივლს შეუპყრია. უკან გადაზიდულ ლომივით ფაფარაყრილ თავს ნეტარების შუქი მოჰფენია. სჩანს, მგოსნის ღვთაებრივ ნაპერწკლებით ანთებულ თვალებს უკვე უხილავს იმ ქვეყნიური მარადიული მშვენიერება და ამ მშვენიერებით „უღვინოდ“ დამთვრალა.

პირი მზად არის რომ „ქებათა-ქება“ წარმოსთქვას და „მიწის შვილთ“ გადმოსცეს იმ ქვეყნიური უცნაური ხმებით აღსავსე ზღაპარი. მგოსნის დიდებულ სურათს ასრულებს რომაელ პატრიციუსის მსგავსად მარჯვენა მხარზე გადაგდებული ტოგის ნაოჭი.

ასეთია ქართულ ქანდაკების ეს შედევრი, რომელიც ჩვენს ეროვნულ სიამაყედ უნდა ჩაითვალოს. ვგონებთ, ვერც ერთი, თუნდაც ციური ძალით ცხებული კრიტიკოსი, ვერ გადაგვიშლიდა აკაკის ბუნებას ისე, როგორც ეს იაკობ ნიკოლაძემ ქვის ნაგლეჯში გვამცნო. ამ ქანდაკებაში გამომჟღავნდა იაკობ ნიკოლაძის უდიდესი კრიტიკული ალღო, შეერთებული მოქანდაკის მადლიან ხელთან.

ნ. კეჭაღმაძე

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 4 თებერვალი, №8

შალვა დადიანი

შალვა დადიანის სახელი საყვარელია ყოველი ქართველისათვის, ვინაიდან მან, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ღირსეულად მოიტანა ბოლომდე დროშა საზოგადო მოღვაწეობის. არ დარჩენილა დარგი ქართული ყოფის, სადაც არ აემაღლებიოს მას თავისი თავაზიანი ხმა. არ ყოფილა საკითხი გადმოსული საქართველოს წიაღიდან, რომლის განათებაში არ ჩარეოდა მისი კეთილშობილი და გამჭრიახი გონება. მრავალმხრივია მოღვაწეობა მისი — გაწოლილი მესამედი საუკუნის სიგრძეზე. მის შთაგონებას არა ერთი ხელოვნურად მოხაზული გმირი გამოუყვანია ჩვენი ისტორიის უდაბნოებიდან და გამოუკვეთავს მათი სხეული თლილი სიტყვებით. მთელი თავისი ენერგია და მაგარი ძარღვი დაუკავშირა მან ქართული კულტურის ამაღლების მოლოდინს. უფრო ხელშესახები და საგრძნობია მისი მუშაობა ქართული თეატრის კედლებს შორის. აქ გაიმართა მისი ტალანტი. აქ გაიშალა მისი შემოქმედებითი ძალა. აქ დაიღვარა ღია იდეების დამტევ გულში დაგუბებული პათოსი და, ვინ არ იცნობს შალვა დადიანს როგორც რეჟისორს, როგორც არტისტს. ცოტაა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი პროვინცია, სადაც არ შეენათებიოს შალვა დადიანის —არტისტის, რეჟისორის —გამჭრიახ თვალებს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადგილი საქართველოში, სადაც შალვა დადიანს არ მოეწყოს თეატრალურ კულტურის გამაღვივებელი წრე. მის სიყვარულს ქართული თეატრისადმი არა ერთხელ გადაულახავს საქართველოს საზღვარი. ბაქოსა და კავკავში გადახვეწილი ქართველები არიან ღირსეულ არტისტის და რეჟისორის დაუღალავ მუშაობის მჭერმეტყველი მოწმენი. არტისტის მგრძნობიარე გულში მხოლოდ ერთი იყო ამოჭრილი: სიყვარული საქართველოს და მისი რაინდი ხალხის. თეატრი იყო ცხოველი ტრიბუნა, საიდანაც ფოლადის სიმტკიცით ისმოდა უკვდავი სიტყვა ქართული. თეატრი იყო უწმინდესი ადგილი, რომელშიაც სცოცხლობდა საქართველოს უკვდავი სული. ამიტომ იყო, რომ შალვა დადიანი ამ ტრიბუნისაკენ, წმინდა ადგილისაკენ გაეშურა და იქ დასწვა დიდი ზრახვანი და გამწევი ენერგია. ამიტომ იყო, ასეთი გატაცებით რომ ეშურებოდა იგი ქართული თეატრის ორგანიზაციისაკენ. ქართველმა მსახიობმა შესაფერისად დააფასა შალვა დადიანის დიდი ხნის ლტოლვა და ნიშნად პატივისცემისა მსახიობთა პირველ ყრილობაზე აირჩია იგი სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ. მაგრამ რაც აღსანიშნავია უმეტესად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის განვითარებაში — ეს მისი დრამატიული ნაწარმოებია. შალვა დადიანმა თავისი პიესებით ამოავსო განუზომელი ნაკლი ქართული დრამატურგიის. მან შექმნა მრავალი სახე ქართული სულით და სხეულით ამღერებული და ეს სახეები დღესაც, და კიდევ დიდხანს შეამკობენ ქართულ სცენას. მის მიერ დაწერილი პორტრეტები კიდევ დიდხანს შერჩებიან ქართული სცენის კედლებს.შალვა დადიანი: ბელეტრისტი, რეჟისორი, დრამატურგი. მრავალფეროვანი და მრავალ ხმოვანი. ასეთ ხაზებში მოდიოდა მისი მოღვაწეობა და დღესაც დაუღალავად განაგრძობს მას.

საიუბილეო კომიტეტი

ლანდი

(გალაკტიონ ტაბიძეს)

ხარ მისტერია და მოჩვენება,
პოეზიაში სდგახარ არწივი,
მუდამ სათუთი შენი ხსენება —
აღმოსავლეთის ელვარე სხივი.

მოსჩანს შორიდან შენი პროფილი,
საქართველოზე დამდნარი სახე,
თმა წაბლისფერი, გადაყოფილი
და ფოთოლივით მზე მოცახცახე.

მიჰყვები ლანდებს აჩქარებული,
გაგიარს მგზავრი, მოგაჩერდება,
პოეტის ნახვით გახარებული,
გრძნობით დათვრება და გაშტერდება.

სწყურიათ, ვნებით გიცნობდეს ყველა,
მორცხვად გიმზერენ ნაზი ქალები,
„გალაკტიონი“, —ამბობენ ნელა, —
„სასაფლაოა მისი თვალები“.

ევგენი სიდოშვილი
16 იანვარი, 23
ტფილისი

კოცნა მთის ეშხზე

ზოგჯერ ჩაიცვამს მთაწმინდა
ქათიბსა უსახელოსა,
თითქოს იცოდეს, რაც მინდა,
მიჯობს ცასა და ხმელოსა...
მაგრამ არ იტყვის, იფარავს,
უთქმელსა, უსახელოსა;
გველს დამამსგავსებს მიმპარავს,
ასპიტსა უსაშველოსა...

ჩიქილას წააკაბინებს,
გული აქვს ნისლით ბურვილი;
სევდას მგვრის, იმედს მიფუჭებს,
რომ დაიმონოს სურვილი.

ტანჯვა სიცოცხლეს აბიწებს,
შფოთავს გონება ურვილი,
სიზმარში ელდა მაღვიძებს,
ცხადში სინათლის წყურვილი...

მთამ იცის, ხედავს და ფიქრობს,
მგოსანი რისთვის გაოცდა;
რა სტანჯავს, ჭმუნვა რათ იპყრობს,
შუბლი რათ დაუნაოჭდა:
ცაზე ვარსკვლავებს დაგვიქრობს,
მთაზე თუ ხელი აუცდა;
ტევრს უდაბურსა და მინდვრებს
დასწვავს, თუ თვალი გაუწვდა...

სხვა საიდუმლო მე ნუ მყავს,
იტყვის ფარული ნისლითა;
შორსა ვარ, მიწვევს, მენუკავს,
რომ ვიყო ახლოს მისვლითა...
მივალ და ცნობის სანუფქავს
გრძნობა გადასწონს მისხლითა...

გული ხვაშიადს დაუფქვავს
თვალთა ნაწვეთი სისხლითა...
ნუ მეტყვი, მთაო — ისა სჯობს,
მაკმარე ვაი-ვალალი!
ლალი და ვერცხლი რიოშობს,
მანდილს იმოწმებს დალალი:
შენს ნაღველს მწუხრის სიო შობს,
ჩემთვის მზე არას ალალი!..

ვ. ტუქსიშვილი

1920

წვიმა თვალებში

ცისფერი ღამე არის,
და სიფითრე წმინდა.
ღრუბლებმა გამიარეს:
ჩემ თვალებში წვიმდა.

შორეული საგნები
მაღელვებენ ისევ.
ფიქრები მიაგნებენ
შეწუხებულ ნისლებს.

შენ სახეს გაათენებ
მწუხარების მზერით.
და ლურჯი საათები
გამაფრენენ ზევით.

ალბათ მოვა ნისლიდან
ვარდისფერი მტრედი,
ალბათ ბაღში მიცდიდა
სიხარული თეთრი.

შენ, მკრთალი, და ლილია
მდინარესთან ჩანდით.
დღეს გული დაღლილია,
და მგონია ლანდი.

დღეს გული დაღლილია,
მე არ ვიცი — რატომ,
მე სხვებთან არ მივლია:
მე მივდივარ მარტო.

ცისფერი ღამე არის,
და სიფითრე წმინდა.
ლანდებმა გამიარეს:
ჩემ თვალებში წვიმდა.

გობრონ აგარელი

ლეგენდებიდან: სამი მგოსანი

1. ჰალევი

ის მეფე იყო, მეფე მგოსანთა, და იმის ჩანგიც კვნესდა ამაზე.
ქაოსის დროში მან ერთად-ერთმა აცნო ნამდვილი სულს სილამაზე.
ბევრი ამხედრდა... გამოეკიდა, დაეწყვენ რიგათ, გაიქცენ ერთად;
მაგრამ ბოლო დროს მუხლი მიიპყრეს და მხოლოდ ის სცნეს მგოსანთა ღმერთად.

მგოსანი იყო, გაგიჟებული თავის სამშობლო არემარეთი.
მისი ცხოვრება რომანი იყო: იმას უყვარდა აღმოსავლეთი!
„ვერც ესპანია მომაჯადოებს, თუმცა ტყვეთა ვარ, აქ, დასავლეთში,
მაგრამ ეს გული მარად იქნება იქ ნეტარების აღმოსავლეთში...
განა სასმელი პირს დაუტკბება, როცა ჩემს სიონს აკრავს მტრის რკალი,
და მე კი მის ძეს, მის მეოცნებეს, სქელი ჯაჭვები, არაბთა ბრჭყალი?
შემომიფიცავს, მოგძებნო, სიონ! და თუ აღარ გყავს შენ მეფეები
და იმათ ნაცვლათ კვლავ მოგევლინენ შხამით აღსავსე გველეშაპები —
მაშინ სამშობლოვ, ვფიცავ, რომ ჩემთვის ძვირფასი არის თვით შენი ქვები
და აღტაცებით მას მოვეხვევი. ამით ხომ მაინც მაშინ დავტკბები?“

მთელი გენიით, შემოქმედებით გზა გაუკაფა გონების არხებს
და წყნარ ატლანტის ოკეანეში ჰიმნი უმღერა მის ძლიერ ტალღებს...
ზღვის სიღრმეშია. მიემგზავრება. ასპარეზს უხსნის თვის გრძნობებს ვნებულს.
ბსკერებს ჩასცქერის, სულს საიდუმლო რომ გამოსტაცოს ზღვას აღელვებულს!

ერუსალიმის ჭიშკარს მიადგა, ძლივსღა მოასწრო ჯორის მან დაბმა
და როს დაემხო დედამიწაზე, გადაუარა ამ დროს არაბმა...
როცა მგოსანმა ჰპოვა სამშობლო, ცრემლით ალხობდა მის ტურფა არეს.
შავი არაბი მას ცხენით სრესდა და უმზადებდა მუდმივ სამარეს...
გული იჯერა. იკმარა ცრემლი. მოკვდა ჰალევი. გაქრა ვარსკვლავი
და საიდუმლოთ იქცა მას შემდეგ გადაკარგული მგოსნის საფლავი.

გერცელ ბაზოვი

ილიუზია

ლამპარით ხელში ვეძებ განნიბალს, აზვირთებული იმედით სავსე,
ვეძებ განნიბალს,
ვეძებ განნიბალს,
ოკეანიის ტალღების თავზე.
ოკეანიის ტალღების თავზე — გულ-გახეთქილი გემის აფრებით,
არის სარდალი,
ღმერთებთან ბრძოლით დანაზაფრები.
უზარმაზარი ქარის ზანზარი, ატეხილ მეხის მძაფრი ყიჟინი,
ათრობს კუზიან
ილიუზიას
მარადიული ჭიდილის ჟინით.
უამრავ ხმებით დანამძიმები. მოჩვენებები: გემი აფრებით,
ფერ განამკრთალი
შავი სარდალი
ღმერთებთან ბრძოლით დანაზაფრები.
მკერდგაღეღილი შავქარტეხილის მკვეთრი ორგია
სიგიჟით სავსე,
ბრძოლით დამთვრალი
ელვა-სარდალი
ოკეანიის ტალღების თავზე!..

ა. მაღულარია
18 დეკ., 1922

რკალიდან: ღამეებში

სხეული გადატეხა
საღამოს სიახლოვემ.
სხივებში ვიყავ წელან
და ბინდში ახლა მოველ.

დავტოვე გძელი შარა
და მოღვედილი ტანი;
და ბინდში გაიშალა
სული სისხლიან დანით.

ო, ზარმა დაიგლოვა,
სამგლოვიარო კართან
გადაყვა. აღარ მოვა!
— ასე გაშავდა ქარტა.

და ავობს ჩუმი ღამე;
და ტირის სული ხარბად:
ო, ასე დავიღალე,
რომ უნდა მზიდოს ქარმა.

ასე დამნავსა თვალმა.
სხეული გატყდა ასე.
ღამეა — სულის ტალმა,
ბინდებში ცრემლით სავსე.

ირაკლი ყანჩელი

გადახრილი ხაზები

ზღვის კენჭები.

მარიამ ლორანსენის და ფრანსის პიკაბიას პორტრეტები მაგიდაზე.

თაგორეს ლოცვები და უკარო გარდერობი.

სიმეტრიის ნატეხები სამკუთხედებში.

ეკლესიაში ძველი მხატვრობის ნიმუშებს ვათვალიერებ და წმინდანების ელამ გამოხედვაზე ვიღიმები.

(დღიურში ყალბი დღეები შევნიშნე).

სულში ასურბანიპალის სახე შევასვენე და მის ხსნას ვემუდარები ასურეთის ვნებიან ასულებს.

ძუძუები! ძუძუები და ძუძუები!

დავიღუპები ან წვის წუთში, ან მოლოდინში...

წაიღე, რაია, სიზმარეთში ჩემი სიმშვიდე,

საღამო, ქვები, ეს პორტრეტი და ცრუ ფურცლები!

* * *

მშვენიერების მწვერვალზე!
მისტიურ შუქში ირხევიან მწუხრის სიზმრები.
(წლების ყიალში დავეკარგე მე მოგონებას).
იქ, მხოლოდ იქ ძალგიძს, ადამიანო, ყური უგდო „ღმერთების ჩურჩულს“, დედის ლოცვებსაც იქ შეიყვარებ;
თვით განკიცხვის უუსაშინელესი ტკივილები იქ დაჰსერავს შენს გრძნობას, მაგრამ არსის სრულქმნილების ძიებაში იგივ შეამტვრევს ყოფნის საიდუმლო კარებს...
ნეტარების იებს იქ დაჰკრებ და სასოწარკვეთილების ღიმილსაც იქ შეეჩვევი.
იქ გაუგზავნი წარსულს სინანულს, აწმყოს თვალებშიც იქ ჩააფურთხებ.
იქ, მხოლოდ იქ ეამბორები ცეცხლის ფრთებზე მთვლემარე ნერონის ნაწამებ სულს!
მშვენიერების განსახიერებისათვის, მშობელი ერის ასაღორძინებლად დიდმა ხელოვანმა საჭიროდ სცნო ცეცხლი, —
და მიეცა ცეცხლს რომის ბინძური კვარტალები!
ადამიანო, მე შენ გეძახი მშვენიერების მწვერვალიდან, მიეც გრძნობის ცეცხლს შენი სულის დაბალი ქოხი შენივე სიცოცხლის —
სულ ერთია ნერონის ცეცხლს ვერ გაექცევი!!

კონ. გაჩეჩილაძე

ჰერმან და დოროთე[1]

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი)

IV. ევტერპე

დედა და შვილი

დინჯად მიუგო მას ვაჟმა: თქვენ ცდებით, დედა, ამაში.
ერთი დღე არ ჰგავს მეორეს. ჭაბუკი მამაკაცდება.
ის ხშირად მყუდროებაში უფრო მწიფდება საქმისთვის,
ვიდრე ამ დაუდგრომელის ველური სოფლის ყაყანში,
რომელსაც ახალგაზრდები დაულუპია სულ ხშირად.
რაგინდ ჩუმიც არ უნდა ვიყო და ყოფილიყავ,
ხომ შემინივთდა მე მაინც გული ამ ჩემის მკერდის ქვეშ,
მოძულე ყოვლის სიმტყუვნის და ყოვლის უსამართლობის.
და კარგად მესმის ამ სოფლის ურთიერთ განწყობილება.
შრომამაც გამიფოლადა ჩემი ხელ-ფეხის კუნთები.
ყველა ეს, ვგრძნობ, რომ სწორია: დავადასტურებ თამამად.
მაგრამ თქვენ მაინც მკიცხავთ მე, ო, დედა, სამართლიანად,
რა დამიჭირეთ სიტყვების ნახევრად გამრუდებაში.
და რა შემატყვეთ ეს ჩემი ნახევრად გათვალთმაქცება.
რადგან, გიტყდები ამაში, მე მამა-ჩემის სახლიდან
არ მიწვევს საფრთხე მომდგარი ან მაღალი რამ განზრახვა,

1. იხ. №2-3-4-5-6-7.

რომ მივეშველო სამშობლოს ანუ თავზარი დავსცე მტრებს,
რასაც მე ვლაპარაკობდი, ეს იყო მხოლოდ სიტყვები
ნათქვამი იმად, რომ თქვენთვის მათ დაემალათ მარტოდენ
ჩემი გრძნობები, რომელნიც გულს მიძიძგნიან სიმძაფრით.
და, მაშ, გამიშვი, ო, დედი! რადგან თუ გულში ვატარებ
ტყუილ წადილებს, მაშ, დე, მეც გავფუჭდე ასევ ტყუილად!
რადგანაც ვიცი მე კარგად: ცალად მებრძოლი თავს აგებს,
თუ სწირავს თავს, და ყველა კი არ ელტვის მიზანს საერთოს.
განაგრძე ოღონდ, ამაზე მიუგო დედამ ჭკვიანმა:
მიამბე სრულად ყოველი, უმთავრესიც და მცირედიც,
რადგანაც მამაკაცები ფიცხი გულის ხართ ბუნებით;
თქვენ ჩაგაფიქრებსთ მხოლოდ-ღა უკანასკნელად განცდილი.
და ფიცხებს დაბრკოლება რამ გზიდან ადვილად გარდაგჩეხსთ,
ხოლო დედაკაცს ნიჭი აქვს, რომ საშვალებას მიაგნოს,
შორი გზით უვლის, რომ მიზანს ეწიოს მოხერხებულად.
მაშ, აბა, მითხარ ყოველი, რატომ აღძრულხარ გულფიცხად
ისე, ვით არ მინახავხარ აქამდე მე შენ არასდროს;
და სისხლი გიდუღს ძარღვებში, აგერ ცრემლებიც გაწვება
და ლამობს, შენ უნებურად რომ წარმოგასკდეს თვალთაგან.
აქ ბოღმას მისცა თავი და ატირდა ვაჟი კეთილი;
გმინავდა დედის გულმკერდზე მიხუტებული ხმიერად
და თან გულაჩუყებული ამგვარად ლაპარაკობდა;
მართლაც! დღეს მამის სიტყვები მწარედ მხვდებოდა შიგ გულში;
არ მეკუთვნოდა მე ეგი არც დღეს და არც თუ როდისმე;
რადგან ადრევე მიყვარდა მშობელთა პატივისცემა,
არავინ მიჩნდა იმათზე უბრძნეს და უჭკვიანესად.
რომელნიც ბრძნულად წინ მიძღვენ, რა მზრდიდენ ყრმობის ბნელ დროში.
ეს კია, რომ ბევრს ვიტანდი ჩემს მფსონებისგან თამაშში,
რა ჩემს კეთილს და წრფელ ზრახვებს მიხდიდენ გაიძვერობით;
ხშირად მათ არც კი ვუზღავდი მე ცემა-სროლის სიმუხთლეს,
მაგრამ ისინი კი მუდამ მიმასხარებდენ მამა-ჩემს.
როცა ის კვირა დღეობით საყდრიდან დაბრუნებული
ღირსეულ სიდარბაისლით მოაბიჯებდა შინისკენ:
სცინებდენ ქუდის ლენტისთვის და ჭრელი ხალათისათვის,
რაც ტანზე ეცვა მოხდენით და რაც დღეს გაასაჩუქრეთ!
მაშინ მუშტები ბრაზისგან მეკუმშებოდა საშიშრად,
მათ მთელად გაცოფებული ვეკვეთებოდი და ვსცემდი,
თვალარეული სიმძაფრით ვის სად ვურტყამდი, არ ჩანდა.
ისინი ცხვირდასისხლული ბღაოდენ, ძლივს მისხლტებოდენ,
გამძვინვარებულს წიხლებში და დაუზოგველ ტყეებაში.
მე ვიზრდებოდი ამგვარად ბევრის ამტანი მამისთვის,
რომელიც სხვების მაგივრად სულ მე მათრევდა ავ სიტყვით,
თუ საწყენს რასმე ჰნახავდა ქალაქის საბჭოს სხდომაზე.
მე უნდა მეზღო ამრიგად იმისი ამხანაგების.
ჩხუბი და აყალმაყალი ან ქამანდები ვერაგი.
თქვენც ხშირად შეგცოდებივართ, რადგანაც მე ბევრს ვიტანდი,
რა გულში მქონდა მუდამჟამ უსაზღვროდ პატივსაცემი

კეთილის-ყოფა მშობელთ მხრივ, რომელნიც სულ მას ჰფიქრობენ,
რომ ჩვენთვის რამე შეჰმატონ თავის დოვლათს და ქონებას,
და ბევრს იკლებენ თავისთვის, რომ შვილებს გადაუნახონ.
მაგრამ ახ! მარტო შენახვა, რომ ბოლოს გამოიყენო,
კი ვერ ჰქმნის ბედნიერებას, ბედნიერებას ვერ შეიქმს
სარჩოს სარჩოზე მინა თუ ფარდის ფარდებზე მატება,
რაგინ ეს ფარდნი ერთმანეთს შნოზე ეთანაებოდენ,
რადგანაც მამა ბერდება, და მასთან მისი შვილებიც,
დღეს მოკლებულნი სიხარულს და ხვალისათვის მზრუნველნი.
გადაიხედეთ ქვევითკენ და აბა, ერთი მითხარით,
რა შნოზე არ დაფენილა წარმტაცი სავსე ყანები,
აგერ ძირს ზვარი ვენახის, ბარაქიანი ბაღნარი,
ა-იქ საბძლები, თავლები და წყება მდიდარ მამულთა.
ხოლო ეგერ კი თვალით ვსჭვრეტ უკანა ნაწილს სახლისას,
რომლის ფრონტონზეც ფანჯარა გვიჩვენებს მცირეს ჩემს ოთახს;
ვიგონებ განვლილ დროებას, როს ბევრი ღამე იქ მთვარის
და ბევრი დილა მე იქ მზის ლოდინში დამილევია,
როს რამდენიმე საათი ჯანსაღი ძილის მყოფნიდა:
ახ! მაშინ დამესახება უდაბნოდ, როგორც ოთახი.
ისე ბაღი და ყანები, გორებზე უცხოდ ფენილი.
უშენად მიჩანს ყველა ეს: მე არ მყავს გვერდით მეუღლე.
ამაზე ასე მიუგო კეთილმა დედამ მას სიბრძნით:
შვილო, შენ არა უმეტეს შენის დედ-მამის გწადია,
რომ მოიყვანო დღეს თუ ხვალ სძალი შენს კუთვნილ ოთახში.
იმად, რომ გექმნეს ამიერ შენ შრომა ყოველდღიური
უმეტეს თავისუფალი, უფრო თავისთვის კუთვნილი.
ჩვენ მუდამ შთაგაგონებდით, დიაღ, თუნდ გაიძულებდით,
რომ ცოლად ამოგერჩია შენ ერთი ვინმე ასული.
მაგრამ ვიცოდი, და ახლაც გული სულ ერთს მეუბნება,
რომ თუ-კი ჟამი ნამდვილი ჯერ არ მოსულა ამისთვის,
და თუ-კი გოგოც საბედო არ მოვლენილა თავის დროს,
აქ არჩევანიც სივრცეში დარჩება მიუწვდომელი,
და ბევრი შიშზეც კიდია, არ შეგხვდეს შეუსაფერი
მე უნდა გითხრა, რომ ვფიქრობ, აწ უკვე არჩეული გყავს
შენ, ჩემო შვილო, რადგანაც გული აღარ გაქვს საგულეს
და უფრო გრძნობიერი ხარ, ვიდრე-ღა ჩვეულებრივად.
მაშ, გამიმხილე პირდაპირ, რადგან ეს გულმაც ხომ მითხრა,
რომ შენი ამორჩეული ის გოგო არის, ლტოლვილი.
დედავ ძვირფასო, სწორედ თქვით! — მიუგო შვილმა აღგზნებით.
დიაღ, ის არის, და თუ მე დღესვე არ წამოვიყვანე
შინ ჩემთან, როგორც მეუღლე, ისიც თავის გზას განაგრძობს.
დამეკარგება ხელიდან, ალბად, რომ სამუდამოდაც
ამ ომის ორომტრიალში, მწუხარე მიმოსრბოლაში.
დედა, ჩემს მდიდარ მამულებს თვალთა წინაშე განფენილს
მაშინ მე უკუნისამდე მივითვლი ჩემთვის სულ ფუჭად
და ფუჭად მოსავლიან წლებს მყოფად დროისას აგრეთვე.
დიაღ, თუნდ სახლი მშობლისა და ბაღი შემეძაგება.

ახ! სიყვარულიც დედისა ვერ ანუგეშებს უბედურს,
რადგან ტრფიალი შუა სწყვეტს, ამას ვგრძნობ, ყოველს სხვა კავშირს,
თუ იგი მტკიცე ძაფებით აბამს საკუთარს თავისას.
და არა ქალი მარტოდენ სტოვებს კერას და დედ-მამას,
არამედ ვაჟიც, რომელმაც არც დედა იცის, არც მამა,
თუ ხედავს, გოგო შორდება, მხოლო-საგანი ტრფიალის.
ამიტომ ნუღარ მაკავებთ, რომ გავეშურო იქითკენ,
საითკენაც დღეს მიმდევნის მე სასოწარკვეთილება,
რადგანაც მამამ წარმოთქვა გადაწყვეტილი სიტყვები,
და მის ოჯახსაც ამიერ ვეღარ მივიღებ მე ჩემად
მაშინ, როდესაც ის არ სცნობს თავისიანად იმ ასულს,
რომელიც ერთად-ერთია, ვისი მოყვანაც მე მინდა.
მაშინ სწრაფლ სიტყვა მიართო კეთილმა დედამ ჭკვიანმა:
ისე ვით კლდენი, ურთიერთის დგას ორი მამრი პირისპირ,
უძრავთ და გოროზთ არ უნდათ ერთმანეთს მიუახლოვდენ,
არც ერთი ენას არ დასძრავს, რომ ტკბილი სიტყვა წარმოთქვას.
ამიტომ, შვილო, გეტყვი მე: კიდევ მაქვს გულში იმედი,
რომ მამა-შენი იმ ქალზე დაგაქორწინებს შენ მაინც,
თუ იგი, თუნდაც ღარიბი, კარგი არის და ყოჩაღი,
რაგინ ბეჯითად არ ეთქვას ღარიბ სასძლოზე უარი.
რადგან ბევრს რასმე წარმოსთქვამს თვის ხასიათის სიფიცხით,
რაიც მაინცა-და-მაინც მას სისრულეში არ მოყავს,
და შეიწყნარებს ამრიგად იმასაც, რაც დაგიშალა,
მაგრამ ერთს ითხოვს: კარგ სიტყვას, და უფლებაც აქვს ითხოვოს,
რადგანაც იგი მამაა! და ისიც ვიცით ჩვენ კარგად,
რომ ეგ იმისი ანჩხლობა, რაც მოდის ნასადილევად,
როდესაც ფიცხად მოუბნობს და სხვის საბუთებს იეჭვებს,
არაფერს ჰნიშნავს, ღვინოა, მაშინ რომ აღძრავს მის შორის
ფიცხ მნებელობის მთელ ძალებს, არ ასმენიებს სხვის ნათქვამს,
იგი ისმენს და გრძნობს იმ დროს მარტოოდენ-ღა თავის თავს.
მაგრამ, რა მოვა საღამო, აქ ერთიერთმანეთზედა
სცვლის მუსაიფი მუსაიფს მის მეგობართ და მის შორის,
იგი, მე ვიცი, მართლა-და, არის უმეტეს დამტკბარი,
როცა გაუვლის ზარხოში, და ჰგრძნობს იმ უსამართლობას,
რაიც მას თავის სიჩქარით სხვის მიმართ ჩაუდენია.
წამოდი! ახლავ გავბედოთ და გამოვაწყოთ ეს საქმე;
წარმატება აქვს მხოლოდ მას, რასაც ერთბაშად გაჰბედავ.
ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აქ მეგობრებიც იმისი,
რომელნიც თავშეყრილები ახლაც კვლავ სხედან იმასთან.
მეტადრე მოგვეშველება ჩვენ ღირსეული მოძღვარი,
ამას ამბობდა სიჩქარით და, რა ქვიდან ზე წამოდგა,
წამოაყენა სკამიდან თავისი შვილიც სასწრაფოდ,
რომელიც მას მორჩილებით უკან ფეხდაფეხ გამოჰყვა
ორივე ქვევით დაეშვენ დაღმართზე დადუმებული
დანაფიქრები წინასწარ მნიშვნელოვანი განზრახვით.

ვარლამ დონდუა

(შემდგომი იქნება)

შალვა დადიანი

დიადია კოსმოსი თავისი შინაგანი დაუდგრომლობით. მისი მოძრაობა დაუსრულებელი რღვევა-შენების გამომხატველია. ყოველგვარ წინსვლაში უცილოთ არის დასაწყისი საუკეთესო მერმისის — ღვთაებრივ ყოფნისა.

მაგრამ... საერთო მდგომარეობა მაინც ქაოტიურია და შეიძლება იმისთვის არის ასე მომხიბლელი კოსმიურ წვის გენია, რომ არსებობს ჯერ კიდევ დაუძლეველი ქაოსი. უთუოდ ასეა.

და წარმოიდგინეთ ამ განუსაზღვრელ საშინელებაში ინდივიდუმის საბედისწერო არსებობა.

რა საცოდავი მოლეკულაა, რა შესაბრალისია! ატმოსფერა მუდამ მძიმე, მუდამ მოშხამული და მოწანწალე ატომები — ადამიანების სახეებით.

სიყვითლე. აჩონჩხილობა. თავდახრილობა. კვნესა. ქვითინი, დაუსრულებელი, უსაზღვრო.

ასეთ საშინელ ყოფნაში ერთი წუთით მოგეწონებათ, გაგამხნევებთ, ელინური პოზა და მისებური სიტყვის სიმკვეთრე —

„დეე, იყოს ცხოვრება ამოცანა, მე უფრო მეტი გამოუცნობი ვარ ცხოვრებისთვის“ — რა ამაყი სიტყვებია!

მაგრამ ვის ესმის. ინდივიდუმი მაინც უპიროვნოა.

და როგორ გიყვართ, როგორ ეალერსებით, როცა ამ ქაოსში იბადებიან პირები, რომლებიც აშვებულ თავგანწირვით ამაყათ წამოიჭრებიან და უდიდეს მთლიანობისკენ — ჰარმონიისკენ მოგიწოდებენ.

შალვა — აქაა წამებულ სახით მეტყველი. ის ჩვენი ერის ქაოსში ურყევი დადიოდა, მის გვერდით შეიძლება იყვნენ ფიგურები, მაგრამ ესენიც მისთვის პოზიციები იყვნენ.

შალვას მთელი მოძრაობის ტრაღი-კომედია, ერთს დასტრიალებდა — საჭიროა საშინელ ყოფნაში გავსცილდეთ მოუხეშავ ბუნებრივ მასალას — ინდივიდუალობას და გამოვკვეთოთ ჰარმონია — პიროვნება.

და ის ამ მიზნით დაეყრდნო ერის სულის იმ სათუთ დარგს, რომელსაც ხელოვნება ეწოდება.

აი, არენა, სადაც დაიწყო მისი წამებითი მოღვაწეობა, მაგრამ არის, ერთი მთავარი და ღირს აღსანიშნავი, ეს ის არის, რომ შალვა, მისთვის საბედისწერო რუბიკონზე დაიბადა.

ის მოვიდა ამაყი თავადი ფეოდალიზმის განწირულ ინსტიტუტიდან; მეფის გვარის ყოველ მხრობით შემკული. უთუოდ ცხოვრების ნეტარების მოძრაობა უნდა ყოფილიყო.

განა ხელოვნება მიიღებს ადამიანს, რომელსაც ამძიმებს გარდასულ ეპოქის მიუღებელი სული?

და შალვა უნდა გამიჯნულიყო.

და ასეც მოხდა. მან გაიარა „განწმენდის კარები“, ეზიარა დიადი გრძნობებით და ასე სულ სხვაგვარად ნათელ-ღებული, რელიგიოზურ სიწმინდით ეამბორა დიად ტრაპეზს.

აუცილებლად უნდა მოვიგონო მისი პირადი საუბრიდან ერთი ლამაზი შტრიხი, ამ იუმორიული თქმით შალვა თითქოს დასცინოდა თავის დონკიხოტობას, და ამავე თქმაში არის ჩაქსოვილი, თუ მისი შემეცნების პრიზმა როგორ ანაწილებდა, იმეცნებდა ცხოვრების მოვლენებს.

ეს იყო ასე: შალვას მოულოდნელად ჩააბარეს მემკვიდრეობა, დიდი მამული, ჭიათურის ზევით ერთ-ერთ სოფელში. შალვა კანონიერი უფლებით მოსილია და მიდის მამულის ჩასაბარებლად. მას მიყვება საქმის მომწესრიგებელი და აღმასრულებელი. მივიდა, სადაც ჯერ იყო. შალვა გაკვირვებით იცქირება.

მიდამო უცნობია მისთვის, გულის სიღრმეში ეკითხება თავის თავს — რა მინდა აქ?.. დარცხვენილია, გაუმართლდა იჭვნეულობა, შორით დაინახა ხალხი, ადგილობრივად მცხოვრებნი, როცა დაუახლოვდენ გაისმა საშინელი რისხვითი ხმა ხალხისა: „გამოჩნდეს ვინ არის დადიანი, ვინ გვართმევს ჩვენი ოფლით გაპოხიერებულს მამულს“. „მე შევდექი, — განაგრძო შალვამ, — ჩემს ხელთ იყო უფლება, იმათ ხელში კიდევ მეტი უფლება, მაგრამ იმ დროს მე შემეძლო ისინი დამემარცხებია; მაგრამ ჩემში ამ დროს არაჩვეულებრივი გაგება წარმოიშვა, მე პირველად დავინახე შეერთებული სახე ხალხის რისხვისა, და აქ შევდექი, მე ვიგრძენი, რომ მათი რისხვა ძლიერი იყო და თან სამართლიანიც, და თუ „არსებული კანონი“ მათ ეწინააღმდეგებოდა, ჩემთვის ეს არ იყო მისაღები; მე მერმისში გავიხედე“. და შალვა ეცნობა ხალხს, ცხრება მრისხანება, ყველას ეღიმება, ბატონი არ გამოდგა ისეთი, რომ მას კომბლებით გამასპინძლებოდენ. გამოინახა ერთი ენა, შალვა სულით დაუახლოვდა მათ, ხალხმა იცნო შალვა, და გამართლდა: შალვა თავის შეგნებამ „განძარცვა“. მან მოიშორა ყველა ის ელემენტები, რომელიც მის დიად სვლას დიად იდეისადმი ხელს შეუშლიდა, და ასე მხოლოდ თვალებმიპყრობილი შორულ სიმბოლოსკენ, „განძარცულად“ მოარული მოვიდა აქამდისო, და ამ სვლაში უთუოდ ის მოიქანცა, და სამართლიანად მოვალე ვართ ნავთ-საყუდელი მივაკუთნოთ.

* * *

დიახ, შალვა ქართველი ხალხის მოძრაობისა და მისი სიდუხჭირის ნათელი შედეგია.

რარიგ მომხიბვლელი იქნებოდა, რომ ჩვენ გქონდეს, ბიოგრაფიები ასეთი პიორვნებისა, ბიოგრაფიები არა წელთა აღრიცხვის ხრონოლოგიით, არამედ სულის ტეხილების დეტალების აკინძვით.

შალვას უთუოდ აქვს მისი პირადულ განცდათა მატიანე, ეს მისი მწერლობის დარგია, იგონებ მისი კალმის მუშაობას, და თქვენ წინაშე საკვირველი მრავალფეროვნება იშლება. რამოდენიმე საუკუნე რომ გავიდეს, და შემდეგ ვინმემ მოინდომოს შალვას მონოგრაფიის დაწერა და ამ მონოგრაფიიდან ერთი მთლიანი ხაზის გავლება, მას აუცილებლად გაუძნელდება სწორი დასკვნის გამოყვანა, თუ სავსებით არ ექნება შეგნებული ის ხანა, რომელშიაც ცხოვრობდა შალვა.

ეს იმისათვის, რომ შალვა, ცალკე აღებული, რომელიმე დარგში არ არის მთლიანი, ის ყველგან ნაწყვეტია, ყველგან ესკიზია.

ჩვენ ვიცნობთ ევროპის დრამატურგებს: იბსენს, გაუპტმანს, მეტერლინკს და სხვა მრავალს, მათი ცალ-ცალკე გახსენება თვალწინ გვიყენებს მთლიან ფიგურას, მთლიან მსოფლმხედველობით ჩამოქნილ პიროვნებისას, ამ მეთოდით მივდივართ შალვასთან, და ის აქ ლამაზი ესკიზია. იყო შესაძლებლობა, მის პოტენციაში ეს ესკიზი მთლიან სურათად ქცეულიყო, მაგრამ ამ დროს შალვას წინ გაიქროლა ახალმა მოვლენამ, და ის იწყებს ახალ კონტურებს რომანისას, და აქაც ლამაზი მთლიანობა, მაგრამ ისევ ესკიზი სულ სხვა გვარი, მას სურს შექმნას მთლიანი, მაგრამ ცხოველი გრძნობა, ითხოვს ლამაზ გაელვებით შტრიხები აამეტყველოს და აქ იწერება მის მიერ: ნოველები, მინიატურები. საზღვარი მთლიანობისთვის მაინც არ არის, მას არ აძლევენ ნებას მხატრულ სახეთა ამეტყველებაში გაშალოს პოტენცია, საჭირო შეიქნა მოაზროვნის როლის შესრულება, მისგან მოითხოვეს მეცნიერული ტონით კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური, და ასე საშინელი სინამდვილე უფრო სასტიკ პროზისკენ მიაქანებს მას. აი: ჟურნალისტი, მომხსენებელი, გეგმები, ორგანიზატორი, მსახიობი, რეჟისორი, მოგზაური დასების მეთაური და ასე საერთო ქაოსი, სადაც შესაბრალისი თავბრუ დახვევით ისმის კვნესა ქართულ ინტელიგენტისა. ვინ გაიგონებს?! იტანჯე. და იტანჯებოდა შალვა.

ჩვენში არის დილეტანტური თქმა — რისთვის არა გვაქვს რომანი? რამდენი საცოდავი ახსნები მიიღო ამ კითხვამ.

მე ვიტყვი: განა შალვას ცხოვრების მარტიროლოგია უდიდესი მასალა არაა, რამოდენიმე ნაწილად დაყოფილ დაუწერელ რომანისა: და ასეთი კიდევ რამდენია ჩვენს ცხოვრებაში.

მაგრამ ჩვენი მწერლობის დღევანდელი „ტიტანები“ მხოლოდ დაწანწალებენ ობიექტების ირგვლივ.

დიახ, ჩვენ კიდევ არ ვიცით, რაა დოსტოევსკისებური ტანჯვით წერა, ჩვენ ვიცით ისტორია მრავალთა ტანჯვისა, მაგრამ თვით ჩვენ არ ძალგვიძს ტანჯვა. ვინც არიან ობიექტი ტანჯვის, და გამომხატველი ჩვენი ცხოვრების მთრთოლვარე ნაწილების, ისინი იქსაქსებიან და მხოლოდ შეუერთებელ ნაკუწებათ გვევლინებიან. და აქ არის შალვას პიროვნების ტრაგედია, და ამავე დროს მისი დიდი ღირებულებაც. თუ არ ვცდები, მგონი, ბელინსკიმ თქვა ბაკუნინზე, მის სულში არის მდებარე მარადიული მოძრავი დასაწყისიო. ეს სიტყვები დაჟინებით მაგონდება, როცა შალვას ვიმეცნებ.

შალვაში მე ვხედავ ამ მარადიულ მოძრაობის დასაწყისის ელემენტს.

მისი ბუნება დაუდგრომელია. მე მგონია, ამ შემთხვევაში ჰეინეს და მისი შედარება არ იქნება უაზრო. ჰეინე უკანასკნელ ტრაღიკულ წუთებშიც ჭაბუკური პათოსებით იყო სავსე. მასში მოხუცებულობა ვერ აქრობდა შემომქმედის ნების-ყოფის სიახალგაზრდავეს.

შალვასთვის იუბილე, იმდენათაც არის სამართლიანი, რამდენათაც ის ამ დღესასწაულის შემდეგ მრავალ პერსპეკტივების ხორც-შესხმას ფიქრობს,

და სწორედ ეს მარადიულ მოძრაობის დასაწყისი მასში მუდამ ჩაუქრობელი იქნება.

შალვას არ შეუძლია, ერთ წუთსაც შემოქმედების გარეშე იცოცხლოს, მაგრამ მომავალში ის თავის მუშაობიდან განდევნის ისეთს ელემენტებს, რომელიც ასე უშლიდა ხელს მის გაქანებას. შალვა მომავალში უთუოდ, ოდნავად დასვენებული ნერვებით, გადაათვალიერებს განვლილ დროთა ჰორიზონტს, და იქ მრავალ მშვენიერ სურათებს დაინახავს, რომელიც მოითხოვს ღთიურ ხელშეხებას და ამ წარსულთა დღეთა მშენებათ შეუერთდება მომავლის სიმბოლოები და ასე, აწმყოში მდგომი შალვა სინტეზის სახე იქნება, და 30 წლის კრისტალზე კიდევ ახალი ზედნაშენები დაიწყება და მით მისი პიროვნება მარადიულ ძეგლად აღიმართება ერის განახლებულ სულის ლაბირინტში. ამის თავდებია 30 წელი, და მომავალიც დიად წარსულს ურყევ ბაზად გაიხდის.

ნ. გერგესელი

გალაკტიონ ტაბიძე

ძნელია პოეტის პიროვნებაზე ლაპარაკი. ძნელია მისი სულის პასუხის ამოკითხვა. ხშირად მისი გზა — გოლგოთის გზაა და წამება მისი, როგორც ხელოვანის მუდამ ტრაღიულია.

ამისთანა სახეების გამოცნობა ისევე გვიძნელდება, როგორც თვით ჩვენების საიდუმლოება.

აქ საჭიროა დიდი პოეტური აპპერტეპცია. უნდა იყო თვით პოეტი განცდით და ტემპერამენტით, რომ სთქვა ის, რაც გრიგალივით დაგროვილა პოეტის სულში.

პოეტის სახე ყოველთვის პლასტიურია, მისი შინაგანი ხმაური — ზვიადი და ჰარმონიული.

ხელოვნება — მარადიულია და ხელშეუხებელი სიწმინდე, მჭვარტლიანი სული ხელოვნების საიდუმლოებას და დიადობას ვერ ჩასწვდება. მხოლოდ მაღალ ბუნების ადამი-

ანს შეუძლიან იყოს ხელოვანი. საქართველოში არის ერთი პოეტი, რომელიც განსაკუთრებულ ტოგით სდგას. დიდი ხელოვანია იგი. იშვა ახალი სულის კვეთებით. მოვიდა ახალი შემეცნებით და ახალი ესტეტიკით.

ეს არის — გალაკტიონ ტაბიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, ეს უდიდესი პოეტი — ფილოსოფოსი, რომლის ტანჯვა და პესიმისტური მსოფლ-მხედველობა თანაბარი იყო ჰამლეტის ტრაურის — გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში განცალკევებულ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიის ლამაზი რაინდია. ეს მოდის ლაჟვარდი ოცნებით და „არწივის ფრთებით“. მისი პოეზია არის

„ვარდთა ნელი სურნელი.
აფეთქებული და მოცახცახე“.

ის იწვის როგორც წმინდა სანთელი! და მის ფიქრთა, ზღვათა იდუმალებაში იმალებიან:

„იაგუნდი, ლალები“.

იშვიათია პოეტს ჰქონდეს ისეთი შინაგანი განათება და ხმაური — როგორც ეს გალაკტიონ ტაბიძეს.

პოეტის სული ამეტყველებულია მუსიკალური აკომპანიმენტით. და თითო მისი კალმის მოსმა ქაღალდზე — არის კლავიატურაზე კლავიშების ერთი მეორის ამოძახილი.

გალაკტიონ ტაბიძეს ლექსის რიტმი — მუსიკალურ ჯადოსნობით არის გამართული. პოეტმა იცის მუსიკალური პათოსი და ის ხმარობს იმისთანა სიტყვათა კომბინაციებს, რომელნიც ლექსს ჰქმნიან — მუსიკალურ კასკადათ.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის რიტმში არის მინორი და სიტყვების ფიგურაცია.

ლექსის მთავარი ფუძე — მუსიკალური რიტმია. სიმეტრია და პროპორციაც ამით უნდა გაიშინჯოს. თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს: ლაკონიზმი, ნერვიული ხანა ვერ ითმენს სიტყვის გაგრძელებას. მას უყვარს სიტყვის მოკვეთა, სწრაფი, ალეგორიული თქმა.

ასეთია გალაკტიონ ტაბიძის ლექსიც.

მაგრამ მეორე უარყოფითი მხარეც აქვს თანამედროვე ხელოვნებას. ეს არის დეკადანსი, რომელიც სწრაფი სვლით უფსკრულისაკენ მიდის. გემოვნების და ფანტაზიის დაქუცმაცება, გრძნობა და გონების გახრწნა. კოშმარული ვნება და განცდანი.

გალაკტიონ ტაბიძე ამაზე შორსა სდგას.

ის ესტეტია, ლამაზი შემეცნების პოეტი. ფაქიზი და უნაზესი სულის მატარებელი.

დანტეს და პეტრარკას ცის ქვეშ იზრდებიან ასეთი პოეტები.

ისინი ესალმებიან ნესტანდარეჯანს და ბეატრიჩეს „პირველი ტრფობის ინტერვალებით“.

შეუძლებელია საერთოდ გადმოვცეთ პოეტის ის ფიქრნი და ზრახვანი, რასაც ის ფიქრობდა და განიცდიდა, როდესაც კალამი მაგიური ძალით მეტყველობდა.

გალაკტიონ ტაბიძის ფიქრი — ეს „ოცნებათა კრებაა”.

მთა თეთრი, გერალდიური რაში... ფარჩა და ალმასები, ყინვის თასები, ნაქარგი ქოშები, გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, გამოუცნობი ქიმერები, ნისლის ნამქერი — მზით ნაფერი, — მთელი ეს ფანტასმაგორია გრადაციის სახით უცნაურად იშლება პოეტის ფანტაზიაში და ერთი მოგონება მისდევს მეორე მოგონებას „როგორც ანათემა“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები ნაზ ფიქრებით არის მოქსოვილი. ხასხასა გაზაფხულის ყვავილებით მოქარგული. მისი „ლურჯა ცხენები“ ვირტუოზიული ტეხნიკით და მქშინავი ცეცხლის სტრიქონებით არის დაწერილი — და თითქოს გაგონდება ბარათაშვილის მერანი — თავისი გამკვეთი სტიქიურობით. და დღესაც მიქრიან ეს „ლურჯა ცხენები“ როგორც „ნისლის ნამქერი“.

პოეტის „შემოდგომის ფრაგმენტი“ არის იმ ბუნების რეკვიემი, რომელიც ეთხოვება დროებით ზაფხულის სილამაზეს და თეთრ თოვლის ნამქერში იმალება.

და დიდებულია მისი „უმანკო ჩასახების მამათა სავანე“ თავისი რიტმიული სიცხარით:

„ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბაღები.
მხურვალე ვნებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭაღები“.

აქ არის მოცემული პოეტის დიადი პოტენცია და ასხმულია ლამაზი რითმით.

„მერი“ — დილის ცისკრის ზარების რეკვას მოგაგონებს და იგი არის ნამდვილი ლეიტ-მოტივი პოეტის შემოქმედების.

გალაკტიონ ტაბიძე მჭიდროთ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან და მისთვის გასაგებია ქართული ეროვნული კულტურა.

იგი ეზიარა ევროპის კულტურას. სულით და მისწრაფებით დასავლეთისკენაა, მაგრამ ტემპერამენტით აღმოსავლეთის შვილია და ამიტომ უყვარს პოეტს ასე ტფილისი:

„სიონი ჩემი ნათელს დამათოვს,
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას.
ათოვს ხიდეებს, ათოვს მადათოვს,
ათოვს ზმანებებს და მწუხარებას“.

პოეტს არ შორდება, „ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნობით“ და მთა არსენალი, მთა სავანე, აღიმართებიან მის წინაშე „ვით ჟირაფები“. გალაკტიონ ტაბიძე ხშირად იგონებს „დაწყევლილ ყრმას“ ნ. ბარათაშვილს და მოხუცის აკაკის ლანდს. გალაკტიონ ტაბიძეს უყვარს ტფილისი, მაგრამ ტფილისი მისთვის ყოფილა ხშირად: „გილიოტინა და ეშაფოტი!“ ამ სიტყვებში მარხია პოეტის მთელი ტრაგედია და ტრაღიული სიმძაფრით არის დაწერილი ეს დიდებული სტრიქონები:

„ნერონის ცეცხლზე იფიქრო კაცმა,
მადონნას გწვავდეს მზე უვედრები,
და განიცადო ასეთი ჯვარცმა:
უბედურება, რღვევა, ცხედრები!“

ამ სიტყვებით გალაკტიონ ტაბიძის ფიგურა სდგება ჩვენ წინ, როგორც დიადი ტრაღიული პიროვნება, მოსილი შავი სევდით, რომლის სულის კვეთება მსოფლიურია და სავსეა კოსმიური წვით.

მართალია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია — მაღალი ლირიზმია, მაგრამ ეს ლირიზმი დათალხულია ნაზი სევდით, ჰარმონიულად ამეტყველებული.

გალაკტიონ ტაბიძე ღირსეული შვილია იმ ქვეყნის, რომელმაც წარმოშობა — გენიალური რუსთაველი.

ვახტანგ გარრიკი

მუნე-სიულლი

(მსახიობის პორტრეტი)

მე მუნე-სიულლი სცენაზე არ მინახავს.

მე მას ვიცნობ ფოტოგრაფიულ სურათებით. და ინტუიტიურ განჭვრეტით.

თქვენ არჩევთ დიდებულ მწერლის ნაწარმოებებს, და თქვენ წინ ძევს წიგნი. წიგნში მარხია მწერლის საიდუმლოება. შემოქმედება. სული. გრძნობა. ნიჭი. სულ სხვაა მსახიობი.

მსახიობი დიდებულია მხოლოდ აწმყოში, ის ძლიერია მაშინ, როდესაც განათებულ რამპის წინა სდგას.

მოშორდება რამპას მსახიობი — ჰქრება მისი შემოქმედებაც.

საკვირველებას წარმოადგენს მხოლოდ ერთი მუნე-სიულლი.

მუნე-სიულლი პორტრეტებში!

აი, საიდან ვიცნობ მე მუნე-სიულლის!

მუნე-სიულლის პორტრეტები — ცოცხალ ადამიანის სახესავით ღაღადებენ.

უსულო სურათებს გააქვთ ღაღადი!

მხოლოდ მუნე-სიულლის შეეძლო თავისი დიადი შემოქმედების გადმოცემა მშრალ ფოტოგრაფიაზე.

მისი პლასტიური ჟესტები, ელასტიურად მოხაზული კონტურები — რომელიც ჩამოქანდაკებული იყო სარკეების წინ, შეუცვლელად გადმოვიდნენ — ფოტოტიპებზე.

მუნე-სიულლი ნამდვილი არტისტი-არისტოკრატი იყო, ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით. არა მარტო არტისტი და არისტოკრატი (ეს ორი უერთმანეთოდ განუყრელი) — არამედ დიდებული ესტეტიც.

და ამაში იყო მუნე-სიულლის დიადობა.

ცხოვრებაშიაც არტისტი იყო მუნე-სიულლი.

ის ყავას სვამდა — როგორც ესტეტი.

მას ფინჯანი ეჭირა ხელში — როგორც არტისტს.

ის სავარძელში ისე იჯდა — როგორც ზევესი.

ლაპარაკობდა — როგორც ჰეფესტი.

და მოძრაობდა — როგორც ჰიპერიონი.

მხოლოდ მუნე-სიულლიმ იცოდა სახის ნაკვთების ათამაშება სიმეტრია და პროპორცია ერთი მეორეს ამთავრებდნენ.

მუნე-სიულლი ხელთათმანებს გაიხდიდა ისე, როგორც — არავინ.

ქუდს მოიხდიდა და თავისი ელასტიური რევერანსით გაგაკვირვებდათ.

ფეხს გადასდგამდა და თავისი პლასტიკით გაგაოცებდათ.

იძახდნენ: მუნე-სიულლი ცხოვრებაშიაც არაბუნებრივიაო!

ზოგს სცენაზედაც არ მოსწონდა მუნე-სიულლი.

და ეს იმიტომ, რომ მუნე-სიულლის ხელოვნება დიდებული იყო — ოლიმპის ღმერთების სიმაღლის სწორი — და, რასაკვირველია, დიადი მხატვარი დარჩა ბევრისთვის გაუგებარი.

ლებარჟი გვიამბობს:

მუნე-სიულლი მივიდა ერთხელ დუსესთან ყელსახვევის სასყიდლათ. ესტეტმა ამოირჩია საუცხოვო ყელსახვევი:

— ფასი?

— ოთხმოცი ფრანკი, monsieur!

— ოთხმოცი ფრანკი! ყელსახვევში?!

და მუნე-სიულლი გამოვარდა მაღაზიიდან — როგორც ოიდიპოსი.

მუნე სიულლი ხშირად დაიარებოდა კაფეში. განმარტოებით იჯდა — როგორც ჰამლეტი.

მას ეძინა დღისით — ღამით კი ღვიძილობდა და გართული იყო წიგნებში, ხელოვნების სფეროში.

ისე არავინ იწვებოდა ხელოვნების ღვთიური წვით — როგორც მუნე-სიულლი.

მუნე-სიულლი სცენაზედაც და ცხოვრებაშიაც ტრაგიკი იყო.

მისი ცხოვრება მოეწყო ტრაგიულად.

„მას ყავდა ორი შვილი, რომელთაც აღმერთებდა... ორივე დაეხოცა ერთ დღეს... იგი გამოკეთდა რა მძიმე ავათმყოფობის შემდეგ, გამოვიდა ოიდიპოს მეფის როლში.

და როდესაც ოიდიპოს ეძებს დაკარგულ შვილებს, და ამბობს ხელებ-გაწვდილი: „o, les enfants, où etes vous, venez ici, venez toucher mes mains“... მუნე-სიულლიმ თავი ველარ შეიკავა და აქვითინდა.

მთელი თეატრი ადგა ფეხზე, როგორც ერთი ადამიანი და იჭექა ტაშმა!..“

მუნე-სიულლის შუბლს მუდამ დიდების შარავანდედი ეფინა.

და ამ ადამიანში იყო რაღაცა ტრაგიული.

მას არ უყვარდა თანამედროვე ლიტერატურის დეკადანსი.

და გაგიჟებით, ჭაბუკური გატაცებით ეწაფებოდა კლასსიციზმს, ანტიურ სილამაზეს.

ეს იმიტომ, რომ მისი სცენიური შემოქმედებაც კლასსიკური იყო. ღირსი ანტიური სილამაზის, დიადობის.

მუნე-სიულლის თამაში — დიდებული რიტუალი იყო, ზიარება ხელოვნების კათარზიის.

ის ოცნებობდა ორანჟზე, ძველ რომაელთა ამფითეატრზე...

და გაემგზავრა იქითკენ.

„მუნე-სიულლიმ ითამაშა ედიპე დიონისის თეატრში ატტიკის ცის ქვეშ და შეაშფოთა მეფური კვნესით მშვიდი ჰაერი ელლადისა“.

და გასინჯეთ ეს სურათიც:

„სცენა...

გარს აბოლებულნი სამსხვერპლონი...

წყვდიადი...

ბრბო მუხლებზე დაცემული... კიბის საფეხურებზე... ტროპიულ მცენარეებით ხელში...

სდგას მუნე-სიულლი მეფური პოზით, ღმერთს-მიმსგავსებული და გაისმის მისი ხმა, ვითარცა ხმა საეკლესიო ორღანოისა...“

და ამ ძეგლ-ქანდაკების შექმნა მხოლოდ მუნე-სიულლის შეეძლო.

მაგიური ძალით ამეტყველებდა თავის ხმის აპარატს ედიპეს როლში და თვითეული მისი სულის ამოკვნესა იყო საზარელი აღმოხვრა კადმოსის სისხლით მორწყული ველებისა. თვალებგამოთხრილი, გასისხლიანებული პირისახით მუნე-სიულლის ედიპე თავზარსა სცემდა მაყურებელს.

მაგრამ რა იყო მისი ჰამლეტი?

ეს იყო სტრადივარიუსის მელოდიური ვიოლინოს კაეშნიანი კვნესა. ნაზი ობობას ქსელის გაბმა და მხურვალე ლოცვა დაღლილ, უმანკო სულის.

ბელგიაში სცხოვრობდა ვინმე მხატვარი.

მას უბედურება შეემთხვა. ცოლი შემოაკვდა.

ბრიუსელის სასამართლომ მიუსაჯა: სამუდამო საპყრობილე, ცოცხლად დამარხვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბელგიელ მხატვრის საპყრობილეში ნახეს სურათი: ახალგაზდა ყმაწვილი, შავებში დაძაძული, სევდიანი სახით.

— ვინ არის ეს? — ჰკითხეს მხატვარს.

— ეს არის მუნე-სიულლი ჰამლეტის როლში!

— თქვენ, ნათესავი ხომ არა ხართ დიდებული მსახიობის?

— არა! მაგრამ მუნე-სიულლი ჩემი ერთად-ერთი ნუგეში არის. მთელი ჩემი ცხოვრება სიმწარეში გავატარე, ერთად-ერთი ტკბილი წუთები ჩემ ცხოვრებაში, რომელიც იყო — ეს იყო ის წუთები, როდესაც მე მუნე-სიულლის სცენაზე ვხედავდი.

და მხატვარმა მთელი თავისი სიცოცხლე საპყრობილეში მოანდომა მას, რომ დაეხატნა მუნე-სიულლი — ჰამლეტი!

მხატვარმა ბოლოს მიახწია თავის მიზანს. მან შეჰქმნა დიდებული ნაწარმოები: „მუნე-სიულლი ჰამლეტის როლში“.

მუნე-სიულლის სიყვარული და ხსოვნა საფლავშიაც მიჰქონდათ.

მუნე-სიულლის სახლი ნამდვილ პანთეონს მოგაგონებდათ. მის ოთახებში იპოვიდით ყველა უძვირფასეს ხელოვნების ნივთებს.

სცენაზე მისი საპირფარეშო საშუალო საუკუნოების მუზეუმი იყო. იქ ეწყო ჰერიკლეს და აქილესის ჯავშნიანი ტანისამოსი, დაშნები საფარიკაოდ, ხმალები და ხანჯლები, ჰამლეტის მედალიონი და მავრის ბეჭდები-სამაჯურები.

მუნე-სიულლის სული ისევე დიადი და მაღალი იყო, როგორც თვით დიდებული ბუნების ჰარმონია.

— ის მუდამ მაღალ აზრებზე ლაპარაკობდა.

მას სძაგდა პარიზის ის მხარე, სადაც მუდამ მღელვარებაა და ჟრიამული.

ცხოვრობდა მყუდრო ადგილს, განმარტოებით.

იმის აივნიდან ვით ხელისგულზე მოსჩანდა მთელი ქალაქი, პარიზის პანორამა.

და ესეც იმიტომ, რომ შორიდან განჭვრეტით თავისი ესტეტიური გემოვნება დაეკმაყოფილებინა.

მას არავინ ეძახდა სახელს „მსახიობ მუნე-სიულლის“. და ყველამ კი პარიზში იცოდა, ვინ იყო „მუნე-სიულლი“.

მუნე-სიულლი რომ პარიზის ქუჩებზე გაივლიდა, გამვლელი ნაცნობს შეეკითხებოდა:

— იცით, ვინ არის ეს?

— არა.

— ეს არის „მუნე-სიულლი“!

იტყოდა ფრანგი მაღალ პათოსით.

როდესაც დიდებული ტრაგიკოსი გარდაიცვალა, ფრანგებმა თქვეს: საფრანგეთის უკანასკნელი მეფე გარდაიცვალაო!

თვით კუბოშიც დიდებულ პოზით იწვაო! ამბობდენ მნახველნი.

მუნე-სიულლის პოზები გამოთვლილი იყო იდეალურ გეომეტრიის ხაზებით.

დიდებული ვირტუოზი იყო და ეს ვირტუოზობა ჩანდა მის ფოტოგრაფიულ სურათებზედაც.

მუნე-სიულლიმ კარგად იცოდა, თუ რა იყო მსახიობობა და თავისი არტისტიული ნიჭი უმაღლეს განვითარების ზენიტამდის მიიყვანა.

ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა მეტყველობდა უდიდეს კეთილშობილებას, სილამაზეს და სიმშვენიერეს. სილამაზის პრინციპებისთვის ის ყოველგვარ კომპრომისებზე მიდიოდა.

მუნე-სიულლიმ სცენაზე შეჰქმნა კულტი სილამაზის. დაე, არ იყოს ბუნებრივი, მაგრამ იყოს ლამაზი და მშვენიერი.

მუნე-სიულლი სცენაზე ისე არ ლაპარაკობდა, როგორც ცხოვრებაში ლაპარაკობენ, მაგრამ ის ლაპარაკობდა ისე, როგორც უნდა ლაპარაკი სცენაზე. სცენას თავისი კანონები აქვს.

ტყუილად ფიქრობენ ისინი, ვინც ლაპარაკობს, რომ სცენაზედაც ისე უნდა ლაპარაკი, როგორც ცხოვრებაში.

სცადეთ: სცენაზედ დაილაპარაკეთ ისე, როგორც ცხოვრებაში ლაპარაკობთ და მაშინვე დაინახავთ, რომ სცენაზე ბუნებრივობა სულ სხვა ყოფილა.

ხელოვნებაში ბუნებრივობა — ეს თვით ხელოვნებაა და რამდენადაც იგი მხატვრულ ფარგლებში იქნება ჩამოყალიბებული — მით უფრო ბუნებრივი იქნება.

აქედან შემდეგი აქსიომა გამომყავს:

რაც ლამაზია — ის მოსაწონია და რაც მოსაწონია — ის მისაღებია.

სწორედ მუნე-სიულლის შემოქმედება იყო მხოლოდ სილამაზე, და ამ მხრივ ვერც ერთი ხელოვანი სცენაზე მის ოლიმპიურ სილამაზემდის ვერ ასულა.

მომავალმა ახალმა მსახიობმა უნდა მიიღოს მუნე-სიულლის სცენიური ესტეტიური პრინციპები.

ძველი ელლადის თეატრის ემოციონალური, ბუნებრივი პათეთიური მღელვარება უნდა გადმოვიდეს ახალ თეატრში. ანტიური თეატრის პრინციპები უნდა ისევ დაეუფლოს თანამედროვე ცივ სცენას.

მსოფლი სცენას დღემდის მხოლოდ ერთი უდიდესი ტრაგიკოსი ჰყავდა.

და ეს ერთი იყო:

მუნე-სიულლი.

ვახტანგ გარრიკი

ქართული ლხინი

საინტერესო თემაა... მე არ ვიცი, მაგრამ, ვგონებ, მზის ქვეშ არ მოიპოვება მეორე ქვეყანა, სადაც იმოდენა მხატვრული სილამაზე, იმოდენა ექსტაზი და მასთან უშუალობა, უბრალოება იყოს ჩაქსოვილი ლხინში ისე, როგორც ეს საქართველოშია. მხოლოდ ელადამ იცოდა მსგავსი რამ, რაც ჰომიროსის მხატვრულმა პირმა გვამცნო და რის განსახიერებას ჩვენ მხიარულების ღვთაების ბახუსის კულტში ვხედავთ, მაგრამ ეს უკანასკნელი საკრალურ ხასიათს ატარებდა და მასში რელიგიური პათოსი მეტი იყო, ვიდრე ამ ქვეყნიური დატკბობა. შესაძლებელია თვით ბახუსის კულტიც, როგორც ბევრი რამ ელადაში, ნასესხები იყო აღმოსავლეთიდან; ძველი აღმოსავლეთის კულტურის დირიჟორული კვერთხი კი ერთ დროს ჩვენს ტომებს ეპყრათ ხელთ და ამიტომ საფიქრებელია, რომ ჩვენ ვართ პიონერები მოხსენებულ კულტისა, მაგრამ ამჟამად ჩვენ ამის განხილვაში არ შევდივართ.

რასაკვირველია, ქართულ ლხინში ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია არა ყანწების ტრიალი (თუმცა ამაშიდაც არის ერთგვარი თავისებურობა), არა წრეს გადასული ზარხოში, არამედ ის მხარე, რომელიც, თუ დიდს არა, მცირეოდენ მასალას მაინც წარმოადგენს ჩვენი ერის რაობის შეცნობისათვის. მასში ცნაურდება ჩვენი ღია ბუნება, გადაშლილი ისე, როგორც ჩვენი მცხუნვარე მზე. ჩვენი ლხინი თავიდან ბოლომდე საზეიმო ცერემონიალია, რაც ასე ეგუება ჩვენს სამხრეთულ, უკეთ რომ ვსთქვათ აზიურ ბუნებას.

თამადა სწორედ ამ ცერემონიალ ხასიათის გამომხატველია და მისი არსებობის გამართლებაც ამაშია. ის ისე, როგორც მოძღვარი მლოცველთა შორის, ქმნის საზეიმო განწყობილებას და საყოველთაოდ ამზეურებს მას. ამაში არის ერთგვარი, თუ გნებავსთ, თეატრალობაც. ამ თეატრალურ განწყობილებას აგვირგვინებს კახური „მრავალ ჟამიერი“, ჰაერში რომ თაფლივით იწელება და ზეიმისებური, ცისკენ მიმსრბოლი „ცედური“.

ქართული ლხინი ღირსია ყურადღების სხვა მხრივადაც: ეს ცოცხალი ნაშთია პირვანდელ სინკრეტიზმისა. სწორედ ისე, როგორც ხელოვნებათა სინკრეტიულ ხანაში, აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მუსიკა, ბალეტი და სიმღერა.

ის ნატეხია იმ დროსი, როდესაც მხატვრული შემოქმედება კოლექტიური ძალ-ღონით ხდებოდა. იქნებ, სინკრეტიულ გუნდის მოძახილი, რომელიც, როგორც დირიჟორი ტონს აძლევდა გუნდს, ჩვენი თამადის შორეულ წინაპარს წარმოადგენს...

სამწუხარო, დ ჩვენს ლიტერატურაში ქართული ლხინი არსად არ არის სათანადოთ ასახული, თუმცა მწერლისთვის ის მადლიანი თემაა. ჩვენმა ლირიკამ მოგვცა რამოდენიმე ნიმუში მხიარულ ანაკრეონთეს ჰანგზე აჟღერებული. ვინ არ იცის ალ. ჭავჭავაძის აღვირ-ახსნილი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, გრ. ორბელიანის გიჟური „იარალი“ და ვაჟას პრიმიტიულ განცდაში ამოვლებული „დამისხი, დამალევინე“. ლადო გუდიაშვილმა თავის „ძმა ბიჭების ქეიფში“ გრეხილი ხაზებით გვამცნო თავდავიწყება და შმაგური გაქანება, მაგრამ იქ, ისე როგორც ჩვენს ლირიკაში, გაცნაურებულია მხოლოდ ემოციონალური მხარე, ისიც ცალმხრივად გაშუქებული.

ქართულ ოპერებში, განსაკუთრებით კი „აბესალომ და ეთერში“, შედარებით ფართოდ არის გაშლილი ქართული ლხინის სახე; იქ ის გვევლინება რთულად, როგორც ინსტრუმენტალ-ვოკალური და პლასტიური ფენომენი და მით უფრო ინტენსიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე. ქართული ლხინი ჯერ კიდევ მოელის ხელოვანის ხელის შეხებას და მაშინ ის თავისი მრავალი ფერებით ამეტყველდება.

ნ. კეჭაღმაძე

თეთრი ღამის ზღაპრებიდან

1

დაჩუმდი-მეთქი, გულს ვუთხარი და ღია ფანჯარას გადავადექ! მაისის ღამე ტანს იბანდა მთვარის კაშკაშში... დაჩუმდი-მეთქი, გულს ვუთხარი! არ დაჩუმდა. მღეროდა გული. ვიღაც საყვარელი ეძახოდა მას ლურჯ ოკეანედან; ვიღაც ძვირფასი უმღერდა ბედნიერებას... და იცნეს ერთმანერთი.

* * *

დაჩუმდი-მეთქი, გულს ვუთხარი და ღია ფანჯარას გადავადექ! დეკემბრის ღამე ყრუ იყო და კაეშნიანი. უკუნეთის ლაშქარი აწვებოდა ჩემს ოთახს. ბოროტი ქაოსი მიყურებდა უფერულ თვალებით და ვერ ვსცნობდი იმ უცხო ქვეყანას. დაჩუმდი-მეთქი, გულს ვუთხარი! არ დაჩუმდა. მწარედ ქვითინებდა. ვიღაც იდუმალი ეძახოდა მას ღამის უფსკრულიდან; ვიღაც ძვირფასი შესჩიოდა უიმედობას... და იცნეს ერთმანერთი.

2

მაღალ ფანჯრიდან დაიხარე და ღიმილით მომაწოდე პაპიროსები.

— არ გნებავთ, ბატონო? — მომესმა შენი ხმის მოალერსე მუსიკა და სიტყვები — ნახევრად უცნობი. მხარზედ შაშხანა... მეომრის ველური ხელი ავსწიე და დარცხვენით ჩამოგართვი ძვირფასი საჩუქარი. მხოლოდ... ხელი გამოშვერილი დამრჩა... სულ ერთი წუთით... იქნებ ერთი ნივინით მეტი, ვიდრე საჭირო იყო... აბა, რა იცი, კიდევ რას გთხოვდი!.. მე დავინახე შენი ხელები ბროლის თითებით, გამჭვირვალე ხელები.— გმადლობთ — გითხარი ყრუთ და უხეშად. და აი, შენი მოწყალე ღიმილი, ერთად-ერთი, რაიც შემდეგ არ დამავიწყდა.

— მეგობარო, მე მივხვდი შენს განცდას და მომწონს იგი. — ამბობდა შენი ღიმილი. და დიდხანს შემდეგ ზარივით რეკავდა გული და სინაზეს გადაჩვეული ბაგე ჩურჩულებდა: — ძვირფასო! ძვირფასო! რადგან მე არ ვიცოდი შენი სახელი.

წლები გავიდა მას შემდეგ. იქნებ ამ ქვეყნად არ ანათებს უკვე შენი ღიმილი... მაგრამ მე გავიტანე იგი სიკვდილ-სიცოცხლის სცილლასა და ხარიბდას შუა. და ყოველთვის, როცა ფანჯარაში დავინახავ ბროლის ხელებს, გამჭვირვალე ხელებს, მე მაგონდება შენი ღიმილი... ხელი მიკანკალებს — დამნაშავე, და გულში, როგორც სამრეკლოზე, რეკავს ზარები.

3

მდუმარე ღამით, როცა მიწას ეძინა, ცხადად გავიგონე: მოდიოდა ჩემი სულის სამარადისო... ფრთხილად ავდექი, ხმა გავიკმინდე და მოკრძალებით ველოდი. ჩემს წინ გაჩნდა ცისფერი ანგელოსი. მთელი ღამე იჯდა ის ჩემს სასთუმალთან, მთელი ღამე მიალერსებდენ ლაჟვარდი ხელები, ბურანში მომესმოდა მისი ფრთების რხევა, მისი ნუგეში და ღამის მდუმარებაში განვიცადე მე ციური ნეტარება... თითქო ისევ ბავში ვიყავი... დილას, როცა გამომეღვიძა, ანგელოსი აღარ დამხვდა. ჩამდნარი სანთელი... ლეგა კედლები... სურდო... ვიღაც მწუხარედ მოსთქვამდა ჩემს კარებთან... და მე მივხვდი, რომ ანგელოსი მხოლოდ ამ ცხოვრებას მოეზმანა.

* * *

მდუმარე ღამით, როცა მიწას ეძინა, ისევ მომესმა მშობიარე სულის წუხილი. — ო, სულო, სულო! დღეს რაა შენი სამარადისო? — ასე ვსთქვი და უკვე ვხედავ: მოდიან სისხლითა და ცრემლით დატვირთული საუკუნენი... ოქროს გვირგვინები და მეწამული, ღვინო და სისხლიანი შუბები, სიმღერა და ლახტების დგარუნი, კვნესა, სულის ლევა და ყვავილები, ყვავილები... მოვიდენ, გაიარეს ჩემს გულში, გაიარეს და დასტოვეს მასში უკვდავების მკურნავი შხამი. და ვსთქვი: — ყოფნის ნეტარებასთან ყოფნის ტკივილებიც ბედნიერება არის. დილას, როცა თვალები გავახილე, ჩემ წინ გლახა იდგა, ყრუ და მუნჯი ადამიანი. მხოლოდ ერთი მეტყველება დარჩენოდა მის თვალებს: ისინი მთხოვდენ. და ზაფრის ცივ ხელებში აფართხალდა მიწიერი გული.

* * *

და მესამეჯერ მიხმო სულმა. მდუმარე ღამით, როცა მიწას ეძინა, სტიროდა იგი. და იმის ცრემლებიდან გამოვიდა ის, ვისაც ასე დიდხანს ვეძებდი. ო, ღამევ, ღამევ!.. არასოდეს არ ვყოფილვარ ისე ბედნიერი, როგორც იმ უკვდავ ღამით, როცა მიწას ეძინა ყვავილებში და ცა ყურს უგდებდა... ანგელოსის ნუგეში, უკდავების მკურნავი ნამი მისმა ალერსმა ისევ მოსტაცა სიზმარს. მის კოცნაში იყო ყოფნის ტკივილები და ძლიერება, დაბადების ძახილი და სიკვდილის ვნებიანი კვნესა...

და ათასჯერ აღვუთქვი მას მთელი მსოფლიო, თუმცა ვიცოდი, იგი ჩემი საკუთრება არ იყო... დილას, როცა გამომეღვიძა, მე დავინახე ჩემი სულის სამარადისო. მე დავინახე იგი ჩემი ორი თვალით. რადგან ის იყო მხოლოდ ქალი. და მომაგონდა ყველა უძილო ღამე, ტანჯვა, სიხარული, სევდა, ზღაპრები და შემოქმედება... მე მოვიბრუნე პირი, გავაღე ფანჯრები და ცრემლიანი თვალებით შევყურებდი მომავალ დღეს.

4

ნამდვილი თეთრი სამარეთია ჩემს წინ — უცხო და უცნობი ქვეყნის თოვლით დაფენილი მინდვრები, მოჯადოებული, გაყინული ტყეები და ისევ მინდვრები... და უეცრათ

თეთრი ღამის ბინდბუნდში თვალი მოვკარ მიბჟუტულ სინათლეს. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და გავეშურე ამ სინათლისკენ. ფეხები მეკეცება, დაღლილობის გამო რიდე მეფარება თვალებზე... არ ვიცი, რამდენხანსა ვარ ასეთ ყოფაში... თითონ სიკვდილმა მიმიყვანა მარტოხელი ქოხის კარებთან. კარები გაიღო. დამიხვდა სითბო და სინათლე... და მოულოდნელი, როგორც ჯადოსნური ოაზი სიკვდილის უდაბნოში — მოციმციმე თვალები. ქალის თვალები. და როცა სული მოვიბრუნე, ვიკითხე:

— ძვირფასო, როდის დაანთე ეს ცეცხლი: ღამე ცივია და ფანჯრები ბჟუტავს?..

ქალმა გაკვირვებით შემომხედა. დარწმუნდა ჩემს გულუბრყვილობაში და პირმობრუნებული ღიმილით მიპასუხა:

— აქ ყოველთვის ცეცხლი ანთია!..

5

დგერა მომესმა მზეების და პლანეტების შეჯახებისა... და როდესაც ნისლი და მტვერი გაიფანტა, ჩემს წინ, მოკამკამე ლაჟვარდში გაჩნდა ვიღაც მშვენიერი, სხივცისკროვანი.

— ვინა ხარ შენ, ცისკროვანო?

— მე ვარ სიცოცხლე! — მომიგო მან. წყნარი, უმიზეზო სიხარული აშუქებდა მის თვალებს, მაგრამ დაკაწრულ თითებიდან მცხინვარე სისხლი მოწვეთავდა, თითქო ნაკვერჩხალს ჰყრიდა მისი ხელები. და ძნელი იყო მიხვედრა, საიდან მოვიდა იგი და რას გადაურჩა. ჩემი სულის საცრემლეში ავაკვამლე მე გუნდრუკი, ავანთე მისი მწვეთავი ცეცხლით... და მუხლი მოვიყარე მისი სიხარულის წინაშე.

* * *

მზე იბადებოდა მთებში. ხევში ჯერ კიდევ ნისლი იდგა, მაგრამ აქ, ზევით უკვე გაისმა მწყემსის სალამური. და როცა განთიადის ტაძარში შეანათა პირველმა სხივმა, ვიღაც მშვენიერი, სხივცისკროვანი გაჩნდა ჩემს წინ და წყნარად შეევეედრე მისი სილამაზით გულგახეთქილმა: — მითხარი, ვინა ხარ, მშვენიერო? — მე ვარ სიკვდილი! — მომიგო მან. წყნარი, უმიზეზო სევდის ღიმილი აშუქებდა მის სახეს, ბროლის თითებით თვალი მოეჩრდილა და ჩაფიქრებული გაჰყურებდა მიდამოს. და მის თვალებში, ღამესავით შავ თვალებში ვიღაცას ეძებდა მშობიარე ნაღვლიანობა. ჩემი სულის საცრემლეში ჩავყარე მე სუნნელი გუნდრუკი, ჩემი სისხლის წვეთებით ავანთე... და მუხლი მოვიყარე ამ დაუსრულებელ სევდის წინაშე.

6

ჩემი ბრძენი გველები ილესავენ შხამიან კბილებს; ბოძალი ენით დაგიკოცნეს ვარდის ბაგენი... მაგრამ შენ კიდევ რაღაცას უცდი. სჩანს, ძლიერ გიყვარს ჩემი ცრემლები!.. ცრემლები მოდის ჩემი სულის უფსკრულებიდან და კრიკებივით ინთქმება შენს უდაბნოში...

როდესაც, ერთხელ, დავინახე მე შენი გული, დავინახე, რაც ასე მიყვარდა, ატირდა ჩემი უფსკრულები. და მას შემდეგ არ მწამს სიყვარული. გავურბივარ მის საკურთხეველს... ასე მოულოდნელად დაქრა ცეცხლი და განელებულ კერაში გველმა გაიკეთა ბუდე. გაიქეც შენაც, მომშორდი, ნუ აყოვნებ: ჩემი ბრძენი გველები ილესავენ შხამიან კბილებს.

ინდო სოსანიშვილი

ახალი საუკუნის დასაწყისი

კაცობრიობის ინტელექტმა ამ უთვალავი წლების განმავლობაში მრავალი ჩინური კედლები დაანგრია. იგი რეალ ფენომენებს გასცდა და მისტიურ ქვეყნის თავისებურობას შლის. ერთი ეპოქის ინტელექტის მიერ მიღებული და განმტკიცებული ჭეშმარიტება, შემდგომ ეპოქისათვის ალმაცერი და გაცვეთილია.

ის, რაც ერთი თაობისათვის უცილობელი ჭეშმარიტებაა, შემდგომი თაობისათვის საშინელი აბსურდია. შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებასა და ცვალებადობასთან ერთად იცვლება ჩვენი შეცნებითი კონსტრუქციის შინა ბუნება; ან და კოსმიური საგნები მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობას განიცდიან. პირველი ან მეორე დებულება, ან ერთიცა და მეორეც, სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის სრულებით გაუგებარი იქნებოდა აზრთა ის წინააღმდეგობა და სხვა და სხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს საუკუნოების რიგთა გასწვრივ.

ძველი ეპიტეტები და გამოთქმები გაცვთენ საუკუნეთა მოღლილ ქავილში. მეცნიერების არც ერთი დარგი არ თხოულობს ისეთ სიახლეს, როგორც ხელოვნების ყველა დარგები საერთოდ, პროზა და პოეზია კი განსაკუთრებით. ეპოქის მორიგი რკალის მოხაზვა უკვე დასრულდა. თანამედროვე ახალთაობა, ამ დასრულებულ რკალის მიჯნას გარეთ იმყოფება. მიტომაც იგი ყველაფერს ძველს კრიტიკულად და იჭვის თვალით უცქერის. დღეს ხდება არამც თუ ყველა ხელოვნურ ფასეულთა მონაცემის გადაფასება, არამედ მეცნიერების ყველა დარგის.

დღეს ახალი ეპოქის დასაწყისია. ფილისტერების გაცვეთილ სულს ხელოვნება ვერ მოითმენს. ახალ ცხოვრებას სულის სიახლე და ანთებული ტემპერამენტი სჭირდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში თვითმკვლელობამდი მივალთ. ხელოვნება სრულქმნაა მსოფლიოს სისრულისა და მრავალ ფეროვნების. ხელოვნება ცხოვრების სრულყოფაა. იგი ცხოვრების აგონიურ ღველფში ინაკვთება, მარგალიტდება. ვინც ამ აგონიურ წვის ტემპერამენტთან ვერ მივა, ფილისტერული სილაყით დაავადებულია, იგი უნდა მოკვდეს. ხელოვნების წმინდა და ნაზი ბუნება კომპრომისებსა და დათმობას ვერ მოითმენს. იგი გაქანებული აკივლებით პარალელად მიიმართება დაუსრულებლობისაკენ, რადგან თვით ცხოვრება პარალელური გაჭრაა და დაუსრულებელი ძიება. ხელოვნება ცხოვრების ყველა ნიშნების გამარტივებას შეიცავს. იგი სრული ხატებაა მისი.

ქართული კულტურის განვითარების ბედი მუდამ დაწყევლილი და საშინელი იყო. ჩვენს კულტურულ შემოქმედებით ვითარებას, მუდამ საშინელი ტკივილები დასდევდა. ეს ტკივილები ადუნებდა და ახშობდა ჩვენი სულის მოძრაობას. პოლიტიკურმა და სოციალურმა დაჯაბნებამ ინტელექტუალური გაფანტვა და განიავება გამოიწვია. დღეს სულ სხვა-გვარი პირობებია...

საქართველო უცნაური ქვეყანაა. მას გაგიჟებით უყვარს არა შუბლ გაგლესილი მოლექსე, არამედ ცეცხლით ანთებული პოეტი, რომელსაც მისებრ ამქვეყნიური ბოროტების ღრიანცელი თავს ესხმის და ვერ გაუნადგურებია, რომელიც მისებრ უდრეკად იტანს ყოველგვარ საშინელი მეხის გადარბენას.

ვინც ვერ შესძლებს სწორი ფაბულის გამონახვას, ვინც ვერ მიხვდება ცხოვრების ახალ შენების თავისებურობას მას აუცილებლად დაღუპვა მოელის.

დღეს ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი თავის დროშაზე დააწერს: ან წინსვლა-გამარჯვება ან დაღუპვა.

ი. მანწკავა

ტფილისი, 1922

* * *

ის იდგა ტყის პირას და ელოდა! მთვარის ლანდოვან შუქზედ მოელვარე მდინარე მიირხევოდა ზურმუხტოვან ხავერდ ნაპირას. აყრილნი ხენი ნაზის შრიალით დასჩურჩულებდა სიმღერას წყლის პირად დამსხდარ ვარდნარ ბუჩქებსა და ყვავილებს. ჰაერი რაღაც უცნაური სიამით, უხილავი სიმშვიდით იყო სავსე და მთელი არსებით ერთვოდა ადამიანი ნუგეშის საზეიმო იდუმალებას. თვალი თითქოს გონებას ებმოდა და ხედავდა განსჭვრეტით მოძრაობას ხეთა ძარღვებში; ხედავდა მდინარეში აქოჩრილ ზვირთებს, მოთამაშეთ სრიალა თევზებთან ერთად.

ხედავდა მიწის გულში წყაროს ჩუხჩუხა ლიკლიკს. ხედავდა და ვერ გაერჩია ბოლო ან დასაწყისი ქვეყნიერებისა. მთელი სული თითქმის, გახსნილიყო, როგორც მარილი წყალში, ბუნების წიაღში და...

ის გაშტერებულ მდგომარეობიდან რაღაცამ გამოაფხიზლა, შეინძრა.

შორიდან.. შორს.. შორს.. შემოესმა სირბილის, სიცილის, წკარუნის ხმა..

თითქოს ვიღაცა მორბოდა სიხარულის მახარობლად და ძირს დაყრილ ფოთლებს, როგორც ვერცხლისას აკაკანებდა.

წინ.. წინ.. და ბუჩქებ შორის, როგორც ცოცხალი ყვავილი, წერწეტა იგი დაინახა.

ასული მორბოდა და მას კი ვერ გაერჩია ასულის სიცილი ვერცხლა ფოთლების მუსიკისაგან.

თითქოს სურნელება ყვავილთა გარდაეწნა მუსიკალურ სიოთა გუნდებს და ასულთან ერთად, მისი გულიც, როგორც სიმი აწყობილი ასულის ჰანგზედ ჰფეთქავდა სიამით, მუსიკალურათ.

ასულმა მიირბინა, სიცილი გადაყარა, ვით ფურცლები ათასფერ ყვავილებისა და ნაზი ტუჩებით აკოცა მას თვალებში.

რა ლამაზი იყო ასული!

ცოცხალი, სიამით სავსე მის თვალებში რაღაც ზეციური ელვარებდა, და გახსნილი ბაგე ანდამატივით იზიდავდა ქვეყნის საოცარს, ისედაც სიტკბოებას და ნეტარებას.

მაღლა ავარცხნილი გიშრის თმა, ჰაეროვანი ბურუსი, ვით მზიანი დღისა, ერთვოდა ჰაერს და შიგ მთვარის შუქში კრთოდა.

ჩამოჯდნენ ერთად.

ასულის ხელი გადაეჭდა მის ყელს. მან მიიზიდა. მოხვია მკლავი და როცა ასულის ტუჩები ის იყო უნდა დაელია — შმაგი სისწრაფით გაუსხლტა და სადღაც გაიქცა.

ისიც გამოუდგა და ასულმა ნება-ნება სირბილი შეანელა.

იგი დაეწია და გადახვეულნი აჰყვნენ წყალსა ყვავილები უღიმოდნენ. მდინარე ციმციმებდა და მთვარის შუქი კრიალებდა წყლის ხუჭუჭა პირზედა.

— რო მოვკვდებოდეთ ასე. — უთხრა ასულმა.

— რათ! განა!..

მაგრამ მან ვერ დაამთავრა, რომ წყლის ნაპირას მთვარის შუქზე მოთამაშე რაღაც თეთრ წინწკლებიანი ცხოველი დაინახეს.

იგი საოცარის სიმარდით, მოქნილობით ეთამაშებოდა თავის კუდს და ბალახებში გარბოდა.

ცხოველმა რომ ადამიანები დაინახა, გაიქცა. ისინიც მისდევდნენ და როცა ასული მირბოდა, იგიც მიეთამაშებოდა.

ცხოველიც თითქოს მათ თამაშს იღებდა და ხან დაცუცქდებოდა ღიმილით, ხან ისევ გარბოდა.

ერთ მოსახვევში მათ წინ აღიმართა უფრო ხშირი ტყე — ბუჩქნარი, შებურვილი და იქ შეხტა ცხოველი, ისინიც უკან მისდევდნენ!

შევიდნენ მდინარის პირას, ხეების მაღალ ჩარჩოში მოსჩანდა სვეტები თვალ უნახავ სილამაზის სახლისა. დაჩუქურთმებულ თავხეებ შორის მოსჩანდა ცისა ზოლები, მერე თანდათან ვიწროვდებოდნენ და მთლად ფერად ჭერად გარდაიქცნენ. კედლები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და სიღრმეში გადადიოდნენ, როგორც ვიწრო სურათოვანი ტალანი.

ცხოველი მიხტოდა და გავიდნენ ბოლოში.

მდინარეზედ.

რაღაც განიერი, თვალუწვდენი სივრცე იყო წყლისა და შიგ გადახტა.

მისმა ცურვამ შეათამაშა წყლისა პირი მთვარეზედ.

ისინი კი გაჩერდნენ — მარმარილოს განიერ კიბესთან, რომელიც ტალანს აბოლოებდა.

სირბილისაგან თუ ცხოველის დევნის სურვილისაგან, უფრო ატოკდა მათი გული და სისხლი. თვალებით ეწეოდნენ მას.

და..

მან აიტაცა ასული ხელში მაღლა, მაღლა, როგორც პატარა ფერია და ღონივრათ ჩაიკრა გულში.

დაეწაფა მის ტუჩებს, მიიკრა მკერდთან ახლო — ახლო და..

— არა! — გაისმა მტკიცეთ ასულის ხმა.

ამ სიტყვებში, ამ ხმაში რაღაც უცნური ხმოვანი თხოვნა, სინაზე რაღაც ბავშური გულწრფელი სურვილი, რაღაც მუსიკა იხატებოდა. თითქო ამ სიტყვებში ჩამოიქნა მთელი სილამაზე ქვეყნიერობის, თითქოს მის გულში ჩაენთო მთვარისა და მზის ნაწნავი სხივები.

თითქო ყურმა იგრძნო უიდუმალესი ხმანი ქვეყნისა. თითქო თვალი აივსო ბედნიერებით და ის თავისი ძვირფასი განძით მდინარისაკენ გაემართა.

წასდგა ვრცელ წყლის პირას, და ჩასჩურჩულა:

— მაშ, მოვკვდებოდეთ ასე! — თვალები მძლავრათ დაახამხამა და ისროლა წყალში.

ასულის ტანმა თავის გარშემო წყლის ჯადო რგოლი შემოავლო!

ნ. ღვინიაშვილი

სულის ნობათი შალვა დადიანს

სიოს ნაზს... და ვით ასეთს, აკი გიცნობენ შენი შუქურნი: დეკა, ია და ღვიანი. ვინ იცის, რამდენჯერ დაგითვრია პირველი კოცნით მათი სათუთი გულმკერდი, დაღვენთილი ცვარ-ნამით ციაგ რიჟრაჟზე?..

...ქაჯეთის ციხის, ცხრაკლიტულ ნესტანის საკანში როგორ შეჭრილხარ, არ გვეტყვი?

...ხახმატის ღრეობაში, ალავერდის დღეობაში, მმოსავთა შეფიქრებულ, შენაოჭებულ შუბლს რომ უგრილებდი, შენ არ იყავი? ღამის მთეველთა, სულის იდუმალობის ფურცლებს რომ უშლიდი და ცისკრის ჟამს დანთებულ კელეპტრების ქოჩორს რომ თავს დაჰქროდი, არხევდი, უვარცხნიდი და სადღესასწაულოდ რომ რთავდი, ჰკაზმავდი..

...ნეტავ იმ დროს!!.

...აპოლონის ტაძრის, კრეტსაბმელის ნაპირებს რომ შეუჩნდებოდი, და იმდენს იზამდი, რომ აგეკრიფა მისი კალთები, საკურთხევლის დანისლულ მწვერვალთა წიოკებამდის, რათა მართლმორწმუნეთათვის დაგენახვებია დიადი სანახაობა, უსისხლო მსხვერპლის შეწირვის ტრაპეზზე, და კუნთების თრთოლამდე განგეცდეინებია წმიდა რამ ლოცვა — საგალობელთა მთელი ფოკუსი — ეს ხომ შენ იყავი?

...მთის ჭიუხებსა და აკლდამებში რომ დაჰქროდი, შუაღამისას, ვით რომელიმე მაცნე ან შიკრიკი, გვარქვი, შენ იყავ? დააცხრე და მოასვენე მამა-პაპათა ძვალები იმით თუ არა, რაც ამცნე და უამბე?..

...ზვიად და პურად, ქართულ სუფრის თავსამჯდომელის, ბოლომდის დამშვენებელი, სავსე ფიალას რომ ეციაგებოდი და სადღეგრძელოების შეჯიბრებაზე შრიალით რომ შეიჭრებოდი, და გზას უპობდი სიტყვის დარბაისლობას ხან მწუხარე და ხან სასოებიანი, შენ არ იყავი?

...და როდესაც, შენ ნაზ კალთებში მიაძინებდი სუფრის მოინახეთა, საით გაიპარებოდი და მიჰქროდი ფარულად, ისე რომ არც ერთ ძე-ხორციელს არ დაენახე? ნისლოვან, დათალხულ ლეჩაქად ხომ არ გაეკროდი თავდადებულთა ყორე სასაფლაოებზე აღმოცენებულ მოწამებრივ აღსრულებულთა სისხლით შეღებილ ცრეცილ ვარდ-ყვავილებს? ტლედ ხომ არ ედებოდი, ან ხომ არ უნელებდი მათ ჭრილობათა და იარებს? ან რა ფსალმუნ-საგალობლებს ჩასჩურჩულებდი?

გვითხარი!

...რათ გძულდა ერთ წამს გაჩერება გაპარტახებულ მიწაზე, ცოდვილ მიწის ხაზ წერტილებს მყის რომ სტოვებდი და მიჰქროდი ელვის სისწრაფით ახალ ნაპირებისაკენ ტალღათა ასაგორებლად, საზეიმო ღელვის გასაჩაღებლად, და უცხო რამ ხომალდით მომავალ გრძნეულ დედოფლის შესახვედრათ...

...„გუშინდელნი”-ც კი განცივფრებულნი შენის დაუცხომელობით, კვლავ ელიან, შენს შთამბერავ მაცოცხლებელ სულს.

...დღევანდელნი ხომ სასოებით მოელიან მრავალ გზით დასერილ იარათა მკურნავ დამაცხრობელ მშობლიურ ნაზ სიოს...

...იყავ, მაშ, დღეგრძელი!..

დავით პავლიაშვილი

ანჩისხატი

შალვა კარმელი

იანვარის 25-ს, ღამის 1 საათზე ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა ახალგაზდა პოეტი შალვა კარმელი. თავის ხანმოკლე სიცოცხლეში პოეტმა მოასწრო ლექსთა კრებულის „ბაბილონი“-ს გამოქვეყნება.

გალაკტიონ ტაბიძის

ჟურნალი

შინაარსი:

№ 1.

გალაკტიონ ტაბიძე ლიტერატურული მანიფესტი. **ირაკლი ტოფაძე**—გალაკტიონი. **ვ. რუხაძე**—ქარწველ მუშებს. **ნოე ჩხიკვაძე**—დაუბეჭდავი ლექსი. **იასამანი**—ბედი პოეტის. **გიორგი ჭუჩიშვილი**—ანდერძიდან. **ქნარი**—გალაკტიონ ტაბიძეს. **ლ. ძიძიგური**—გალაკტიონ ტაბიძეს. **სანდრო რიმანელი**—ენტუზიაზმი. **ადონისი**—ფანტასმაგორია. **საფო მგელაძე**—ჰრელიუდები. **ს. ურუშაძე**—უცხო ჩვენებას. **სიმონ წეველი**—მავრა. აგონია. **ხინველი**—საღამო **გალაკტიონ ტაბიძე**—ალზიორა. **ირაკლი ყანჩელი**—განელებული ლეგენდა. **ია ეკალაძე**—ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს. **ხიმლელი**—გალაკტიონ ტაბიძე. **იპ. ვართაგავა**—ეასილ ბარნოვი. **ვლ. წილოსანი**—ექსკურსია მცხეთაში. **ვლ. წილოსანი**—ბიბლიოგრაფია. **შალვა რომანიშვილი**—ბიბლიოგრაფია **რ. ი.**—დადაისტები. მატიანე. ფოსტა.

№ 2.

გალაკტიონ ტაბიძე—იაკობ ნიკოლაძის იუბილეას გამო. **გობრონ ჰგარელი**—შორეული ფიქრები წვიმაში. **შიო მღვიმელი**—ნატერა. **ი. მოსაშვილი** ჩემი გზა ერეკელი, ალილო ღამეს, ღამე ჩემს სოფელში მუდამ ერთნაირი. **ბაბილინა**—რაკი უცეცხლოდ გერ გმიძლია. **ბაბილინა**—მსხვრევა. **ბაბილინა**—ახ, ამცდებოდა უბედურება. **ს. ურუშაძე**—ამელამ მთვარეს აკლია სხივი. **ს. ურუშაძე**—ბალლადა. **საფო მგელაძე**—პრელიუდიები. **ირაკლი ყანჩელი**—როლი ნიაღვარში. **ა ნაკერალელი**—ელეგია. **შალვა ჯანშერიძე**—ო, ანგელოსნო, იყავით დები, ნესტიან ოთახიდან. **შალვა ჯანბერიძე**—ჰედის დღეობა. **ვარლამ დონდუა**—ჰერმან და დოროთე (გეთეედან). **კარა დარვიში**—ვინ ვარ მე. **მიხ. ბოჰორიშვილი**—საუბარი ძაღლთან. **გობრონ აგარელი**—უბილავი საქართველო. **ვ. წილოსანი**—ექსკურსია მცხეთაში (გაგრძელება). **დემნა შენგელაია**—იაკობ ნიკოლაძე. **დემნა შენგელაია**—გალაკტიონ ტაბიძე. **ვახტანგ გარჩიკი**—ხელოვნება.

№ 3.

გალაკტიონ ტაბიძე—ეფემერა. **გობრონ აგარელი**—თეთრი რონდელი. სიჩუმის დღეებიდან. სინანული ჩემზე. მკრთალი მელანხოლია. **ბაბილინა**—შენსკენ. ეისწრაფი. **ერთაწმინდელი**—პოემიდან „მარაბდა". **სეიფოლა იოსელიანი**—სამშობლოს ხილვით. **ნარკანი**—ჩემს მეასტროს იაკობ ნიკოლაძეს. **ვარლამ დონდუა**—ჰერმან და დოროთე (გოეთედან. გაგრძელება). **ნიკოლოზ გერგესელი**—სამრეკლო უდაბნოში (გალაკტიონ ტაბიძის პოეზია). **ნ. ელიანი**—ქართული მწერლობისათვის. **ი. ტ.**—სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. **დ. ღოლობერიძე**—პოეტი ცახელი. **დ. პავლიშვილი**—ორი პორტრეტი. მატიანე.

გალაკტიონ ტაბიძის

ჟურნალი

№ 9

ბათუმი.
კომ. მეურნ. პოლიგრაფიული გაერთიანება.
1923

გრიგალი

ჰაერი სერავს სერებს ფერებით,
გრიალებს ქარი.
ფშნებში ჩამპალი ჩალისღერებით
გრიალებს ქარი.
მდინარის პირად ჩინარი გახმა,
გრიალებს ქარი.
შარაზე, წყალზე, გამოღმა, გაღმა
გრიალებს ქარი.
უდაბურია ადგილი ნავის,
გრიალებს ქარი.
გრიალებს ქარი და ქარი ბღავის,
გრიალებს ქარი.
შუა კერასთან ცეცხლი იალებს,
სანავთე, კვარი...
სახურავებზე ქარი გრიალებს,
გრიალებს ქარი.
საქართველოა ეს მთა და ბარი
თუ ის არ არი?
სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?
გრიალებს ქარი.
გრიალებს ქარი ველად და ბარად,
გრიალებს ქარი.
სიცოცხლე არ ღირს უშენოდ არად...
გრიალებს ქარი...
უცებ ზღვის ღელვა ქაფ-არეული
მიმზერს მზისაგან,
იგი მეძახის სიზმრეული
სიცოცხლისაკენ.
თავისუფალი, ლაღი, ძლიერი
ბედისთვის ომი!
ცეცხლის ნავები და კადნიერი
ოცნების ნდომა!
ასე ხმაურობს პოეზია
და ეპოქები,
იქ ჯოჯოხეთზე უტკბოესია
აბობოქრება.

აგერ ხომალდი — ჰორიზონტის
ფრთით დალურჯული.
იქ ქარიშხალთან უნდა ჰქონდეს
გრიგალს ჩურჩული.
მე მაგონდება გზა ცხოვრების,
ბედის მშვილდები —
დროისწერათა ამთოვრებას
რომ ასცილდები,
იქ ქარის გზაა, უცნობ მხარეს
რომ მიუწია,
ესაა მძაფრი და მშფოთარე
რევოლჲუცია —
ადამიანურ ძლიერების
აღიარება.
ესაა თამამ ქვეყნიერების
გულში ტარება.
ოკეანესთან დამეგობრება
ზღვებმა დამახეს.
ზღვა კვლავ უბრუნებს ჩემს ცხოვრებას
აზრს, სიამაყეს.
ისევე გულის სიახლით მდნობ
მიწიდან, ციდან,
დაუსრულებელ მორევებს ვგრძნობ
ყოველი მხრიდან.
ყოფნა ასეთი... ო, არ კმარა...
ყოფნისთვის თასი
მზე ზღვაზე ჩადის: ეს ანკარა
დეკადანსია.
მე ველოდები:
ცას ხანძარი გადანთებია
ოქროს ზოდები
მიმდინარე ტბებად დგებიან.
აქ მნიშვნელობა არის ბასრი
ფერთა ავსების,
მკვეთრი, ახალი, მტკიცე აზრი
დისსონანსების.
და უბოლოოდ მშვიდი ცის გრძნობა,
გრძნობა ფერებით.
ო, ეს მშვიდობა
შორით ნთებული
ადამიანურ ძლიერებით
მოპოებული.
ზღვა და მზის ჩასვლა.

რევოლიუცია და მშვიდობა.
სიცოცხლის გაცვლა
უამიდობა.
ქარით ხარხარებს ქუხილი მუქი,
გრიალებს ქარი.
კიდეებს ცვივა ფერადი ქაფი,
გრიალებს ქარი.
აღვიძებს დევებს დემონის დაფი,
გრიალებს ქარი.
ცას სისხლისფერი მოედო ლუქი,
გრიალებს ქარი.
ზღვას ალმაცერად დაენდო შუქი,
გრიალებს ქარი.
დაწეწილია აფრათა ძაფი,
გრიალებს ქარი.
მეცხრე ტალღაა, მეათე ლაფი,
გრიალებს ქარი.
მეასე გრგვინვა, ელვა და ბუქი,
გრიალებს ქარი.
მე დავინახე მცურავი სული.
მე მისი წელი მეგონა თლილი
ვენერას წელი.
ვიგრძენი გულის მისისა ვნებით
ავადმყოფობა.
ო, მისი თმები... სურნელოვანი ობობას ქსელი,
საიდანაც სწოვს ბაგეებს ბაგე
როგორც ობობა.
თვალები ფეთქდა ვით სავსე თასი —
ღელვიდან, სადაც მეფობს ეკსტაზი.
მას იტაცებდა ელვათა რკალი
და სული იგი იყო გრიგალი.
ქალნი ზღვის პირად იფენდენ კდემებს —
ზღვას გასცქეროდენ.
ზღვას გასცქეროდენ, ელოდენ გემებს,
და თან მღეროდენ:
მზევ ჩამავალო, რიდეებს ჰშვენი —
ნაზი დობილი...
გიყვარდეს მარად ოცნება ჩვენი
გულგაპობილი.
კარგია ბედის ეს მღვრიე ტბორი,
გრიალებს ქარი.
კარგია გემთა რონინი შორი
გრიალებს ქარი.

ძლიერი სივრცის გრიალებს გორა
გრიალებს ქარი.
ნისლს გაერია ჰაერი მლაშე
გრიალებს ქარი.
ნაპირს მოადგა გემები: ვაშა!
გრიალებს ქარი.
და მზეც ჩავიდა ღრუბლებში: ô ორა!
გრიალებს ქარი.

გალაკტიონ ტაბიძე
ბათომი, 1923

ტირილი ღამეში

ღამის ნაბადი გახუნდება ცივ ალიონით.
დამთვრალ კაფეში მზის მოსვლამდის დამაყოვნდება.
წამიღებს ფიქრი ჭიქა ლუდით — შავ ყალიონით —
და მთვარეულად ჩემი სახლი მომაგონდება.

ისლით ნახური წაბლის ოდა — ლხენის ბანაკი,
გიშრის ყანწებით ლალის ღვინო სახემზიანი,
თავაზიანი იმერეთი და ფაფანაკი,
ჩემი ოჯახი გულღია და ხალისიანი.

გამოცოცხლდება ჩვენი ჭალა და თევზაობა,
მთა ნაქერალის ზურმუხტებით გადანამწვანი.
მარად ბრწყინვალე, ქედმაღალი ნათესაობა,
ცხელ ანდამატით შეჯაჭვული რვანი დან-ძმანი.

წინ მიგვიძღვება ვერცხლის წვერით მამა გიორგი,
ღვთის მშობელივით თავს ვევლებით დედა მინადორს,
და ჩემი სისხლი შრება ისე, როგორც იოდი,
როდესაც თვალი ძვირფასებთან ვეღარ ბინადრობს.

მომენატრება უცნაური, ჩუმი სოფელი,
მარჯნის ვაშლები — ბავშვობაში ჩემი დარგული —
და ავტირდები მე — მსოფლიოს უარმყოფელი —
უცხო ქალაქში სასიკვდილოდ გადაკარგული.

იოანე ყიფიანი
1921

საღამო

გრძნობის უფსკრულში ჩაძირული იშვიათ განცდით,
შენს ძვირფას სახელს ვატარებდი მძიმე ლოდივით.
თეთრ ღამეებში თვალებს ვსწვავდი უცრემლო ფიქრით,
მიქროდენ წლები, მელეოდა გული ლოდინით.

ო, ვერ გეძახდი, ოდეს ყოველ დაფიქრებაზე
მე განწირული შენი სული მენატრებოდა.
ვით ძუნწი ოქროს, ვიპარავდი ჩემსავე გრძნობას,
დაფლეთილ ნატვრის ნამსხვრევები უხმოდ ქრებოდა.

და ახლა, ამ წამს, ოხ, არ ვიცი რამ გამაქვავა?
მზე ზღვაზე ჩადის და შორიდან ვუცქერ შენს სახეს.
მეფე-მგოსანო! რაღაც ცეცხლი ამძიმებს ჩემს გულს
და ცრემლით ვნამავ მოგონებას, შენს დიად სახელს.

ლ. ნაზისი
1923, ბათომი

ცისფერი

იწვება სული ხილვის ტაროსზე,
როგორც პოეტის ნაზი თდეციმა.
აფრა აშვებულ გემის აროზე,
მისი მკაცრი ხმა ცივად ეცემა...
უყვარს თოვლივით ქაფის თამაში,
მძიმე ოცნების ცაზე ატანა.
მელანქოლიის ამ აკლდამაში
ბედმა დიდება გამოატანა.
ვიცი: სამყარო მას მოსწყინდება.
დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს,
და იშვიათად თუ მობრწყინდება
სხვა საუკუნე გალაკტიონის.
ანგელოსები მას შეაფარდებს
ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა
და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს,
ამ სააქაოს წყევად და კრულვად.
ჩამოისვენებს ბრძოლის დალევით
ქვეყნის სიშავე ნისლიან ფრთებზე.
ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი
აიმართება მშობლიურ მთებზე.

NN
ზღვაზე

დოლორესა

ეს იყო ამ 25 წლის წინ. დავამთავრე თუ არა უმაღლესი სწავლა მონპელიეში, მაშინვე მივაშურე პარიზს, სადაც მსურდა მესმინა სორბონის გამოჩენილ მეცნიერთა ლექციები და თან მევარჯიშნა სამეურნეო ინსტიტუტის ლაბორატორიაში. ერთ თვეში გავიცანი თითქმის მთელი პარიზი, — ეს თანამედროვე ბაბილიონი, და შევუდეგ ბეჯით მუშაობას, დაუახლოვდი ზოგიერთ პროფესორს, დავდიოდი მათ ბინაზედაც კი.

დადგა ივლისი, დაინთო საშინელი პაპანება. უზარმაზარი ქალაქი იწვოდა მზის ხურვალე სხივებში. ქუჩის ასფალტი და შავი სახლები თავის ცხელი ბუღით დღით სულს უხუთავდენ მოსიარულეთ. შეძლებული ხალხი გარბოდა აგარაკებზე, ეფინებოდა სოფლებს და ზღვის კურორტებს, ეძებდა სიგრილეს შვეიცარიის ყინულოვან მთებში.

მაგრამ ხუთმილიონიან ქალაქს არ ემჩნეოდა რამდენიმე ასიათასის გარეთ ლტოლვა. ქუჩებში კვლავ იდგა უცნაური მოძრაობა, მეტადრე საღამოობით გრილ ნიავზე კვლავ დუღდა სიცოცხლე, კვლავ გიჟობდენ მულენრუჟი და ფოლიბერჟერი, კვლავ ქეიფობდა გათენებამდე პარიზის უამრავი რესტორანი და კაფე შანტანი, სავსე კეკლუცად დართული ვაჟებით და ტურფა, საოცნებო ფერიებით.

მართლაც არსად არ იციან ისეთი გემრიელი, ეგზოტიური ქეიფი, როგორც პარიზში, ქეიფი გიჟი, შმაგური, ქეიფი გაყინული შამპანიურით, ბრუალა სურნელებით და ვნებური კოცნით შეზავებული, ქეიფი თეთრი-ღამური, ტიტველა, ატლასა სხეულით მითენთილი და დილის რიჟრაჟით დათქორებული...

მე კი, ქართველ სტუდენტს, აღმოსავლეთის ცეცხლით აგზნებულს, ხოლო ჯიბა ცარიელს, აბა ვინ მიმაკარებდა ამ მაჰმადის ედემს! შორით ვუმზერდი ამ გიჟურ ქეიფს, შორით ვტკბებოდი ლამაზთა ცქერით, ვყლაპავდი ჩუმად სურვილის ნერწვებს... — იქნებოდა ნაშუადღევის ხუთი საათი. გამალებით მივდიოდი გრანბულვარებზე, ვჩქარობდი ერთ ცნობილ პროფესორთან მისვლას. ფართო ქვაფენილს ფარავდა რვასართულიან სასახლეების ჩერო ქუჩის პირას გაზიდულიყო ლანდო-ფიაკრების უგრძესი ზოლი. შემწყდარა ხალხის მიმოსვლა, ცარიელ კაფე-რესტორანების წინ უსაქმოდ იდგენ თეთრსაფრიანი გარსონები.

ამ დროს რაღაცამ იელვა და შემაკრთო უცნაურად. რაღაც ძალამ მიმლურსმა და გამაშეშა ერთ ალაგას, დამაწყებია ვნებური ცახცახი. ჯადოსან თვალთა შავს ბრილიანტებს გამოკრთა უცებ ცეცხლივით მწვავე ელექტროს შუქი და დამისერა მთელი არსება. კრემისფერი სიფრიფა კაბა ძლივს ფარავდა ქორფა სხეულს. შავი კულულა თმებით დაჩრდილული მკრთალი, მომჯადოებელი სახე, ოდნავ ტიტველა სპილოს ძვლისებური მკლავები და მკერდამდე ღია გედისებური თეთრი ყელი ამთავრებდენ ქალის დემონიურ სიმშვენიერეს. დიაღ, ეს იყო სწორეთ დემონიური არსება, რაღაც მზიური, ვნება ხორცსხმული, ეგზოტიური. შავი თვალები თითქო დაეწვა სამხრეთის ხურვალე მზეს, ჩაენთო შიგ უშრეტი სიტკბო, ეშხი და სურვილები. ეს იყო სწორედ ნილოსის ნაპირზე ატყორცილი გრძნეული ქალი, ღვთაებრივი კლეოპატრა 2000 წლის შემდეგ ვაჟთა მაცდურად და ქვეყნების სანგრევად მოვლინებული.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შემომხედა; ჩამიარა ნელა მთვლემარე რხევით და წარმტაცი გრაციით. დამავიწყდა, სად მივდიოდი. გაჰქრა ჩემის ხსოვნიდან პროფესორი და მასთან მაცადინობა. მოვბრუნდი უგრძნოთ, როგორც ჰიპნოზით გარინდული და დავედევნე უკან იმ გრძნეულ არსებას. მივდევდი უაზროთ, შორე-ახლოს; მივდევდი და არ ვიცოდი სად მივყავდი ამ ჯადოსანს, სად მიმათრევდა მისი თილისმა. ქალი მიცურავდა

ჩემს წინ სინარნარით, ვით ღამის თეთრი ჩვენება და არ მაქცევდა არავითარ ყურადღებას. გამოვფხიზლდი მხოლოდ მაშინ, როცა მომესმა ეტლში შებმული შავი ულაყის საშინელი ჭიხვინი, მისი დაღრენილი ტუჩის შეხება თეთრ მკლავზე, ამავე დროს ქალის უცნაური კივილი და თანაც ვიგრძენ, უკან დაწეული ქორფა სხეული თუ როგორი ცახცახით მომესვენა მკერდზე. ყოველივე ეს მოხდა ერთ წუთში. ამ ბედნიერმა შემთხვევამ მაქცია გმირად. სწრაფად გავარტყი ცხენს მაგარი მჯიღი და მოვხვიე ხელი ჩემს მაცდურს; შევიყვანე იქვე კაფეში, ჩავსვი სავარძელში, მოვუჯეგ გვერდით და შიშისაგან ოდნავ გულწასული მოვიყვანე გონს ცივი ვეჟინით და დაშაქრული ნაყინით.

„გმადლობთ! დიდათ გმადლობთ, ბატონო! თვით განგებამ მოგავლინათ ჩემს მხსნელად; რომ თქვენ არა, ის გიჟი ცხენი უსათუოდ მკლავს მომაგლეჯდა; კიდევ გმადლობთ დიდათ!“

ამ სიტყვებთან გამომიწოდა ხელი, რომელსაც შეშლილივით დავეწაფე საკოცნელად. ტიტინებდა სამადლობელ სიტყვებს მარჯნის პაწია ბაგენი და მიცქერდენ უსაზღვრო სინაზით ოდნავ მინამული საოცნებო შავი თვალები, დაჩრდილული ღურღნა გრძელი წამწამით.

და ის ნარნარა ხმები ესხურებოდა ჩემს სულს, ვით ნოქტიურნოს ციური ჰანგები, ვით სენსანსის ღვთაებრივი ადაჟიო...

„თქვენ კი არა, ღვთაებავ, მე ვმადლობ განგებას, რომ მომცა საშუალება თქვენი გაცნობის, თქვენი ახლოს მზერის, თქვენთან საუბრის. მაგრამ მომეცინთ ნება გკითხოთ: ვინ ბძანდებით, ციურო, ეგზომ ტურფა, ეგზომ კეკლუცი და მომხიბლავი? მამცნეთ, რათ დაიმონა ერთი შეხედვით ჩემი გული, სრულად ჩემი არსება თქვენ თვალების ჯადო-თილისმამ, თქვენმა აუწერელმა სიმშვენიერემ? ვინა ხართ თქვენ: ზეცის ასული ჰაეროვანი, ფაქიზი ფრთებით, თუ ჯოჯოხეთის მაცდური სული ჩემს დასაღუპათ მოვლინებული! ვინა ხართ, ქალო? მიპასუხეთ, გევედრებით?“ — მოვიყარე მის წინ მუხლები.

და შევცქეროდი სასოებით მშვენიერ სახეს. საბედნიეროთ, ჩვენ გვფარავდა გარეშე პირთა ცნობის მოყვარე თვალ-ყურიდან ტროპიულ მცენარეთა ფართო ფოთლები და თვით დარბაზის სიცარიელე.

ჩემს სიტყვებზე ქალი შეწითლდა ოდნავ, შემომხედა გაოცებით, დააშტერდა ჩემს აგზნებულ სახეს, წამს მაცდური ღიმილი გამოკრთა ბაგეზე და ისევ გაჰქრა უცებ, როგორც ელვანა: გაუბრწყინდა მიბნედილი თვალები და მომასხურა ფარულ სხივთა საიდუმლო ელექტრო.

„გსურთ, გაიგოთ ვინა ვარ? ძლიერ გსურთ? მაშ კარგი, გეტყვით: მე სფინქსი ვარ, სფინქსი ათასეულ წლობით ტაძრებს რომ ამკობს იქ შორს ნილოსის პირას, ცხელს ეგვიპტეში, სფინქსი დღემდე გამოუცნობი, ქალის უმანკო სახით, არწივის ფრთებით და ლომის ბრჭყალებით, სფინქსი უძლური ვით სუსტი დიაცი და იმავე დროს უძლეველი ვით მძლავრი ლომი, მხეცთა მეუფე! ნადირნი სხვა და სხვა ჯიშის ხომ კაცები ხართ, კაცუნიები, პამპუსა, სასაცილონი!..“

და ამ სიტყვებთან ქალმა წყნარად გადიკისკისა; ოდნავ გამოჩდენ მარგალიტები.

„ჩემო გულუბრყვილო ბავშო, ქალიც დღემდე ხომ გამოუცნობი გამოცანაა, ვით ფარაონთა მდუმარე სფინქსი, დარაჯათ მდგარი რომ იცქირება შორს უდაბნოში და არ ვიცით კი, თუ რას უმზერს იქ...“ — განაგრძო ქალმა.

„ჯადოსანო, თქვენი სახელი?“

„ჩემი სახელი? დოლორესა...“

„თქვენი გვარი?“

„რა საჭიროა! შემთხვევით ვნახეთ ჩვენ ერთმანეთი, ვისაუბრეთ საკმაოდ და დროა გავშორდეთ“.

ქალი წამოდგა წასასვლელად და გამომიწოდა ხელი. განწირულებამ მომცა საოცარი სითამამე და გამბედაობა; მოვხვიე სინაზით ხელი წელზე და ძალად ჩავსვი სავარძელში.

„არა, არ გაგიშვებთ აგრე! ძლივს ველირსე თქვენს გაცნობას, თქვენს მზერას, მაგ ხმის გაგონებას და ეს საოცნებო ჩვენება უნდა გაჰქრეს ჩემთვის ასე მალე, საუკუნოდ?! არას დროს! მიყვარხართ, ჩემო მშვენიერო! გაღმერთებთ!... უთქვენოთ სიცოცხლე არ შემიძლია! შემიბრალეთ! დარჩით კიდევ ცოტახანს! მომეცით ნება გნახოთ ხანდახან, დავსტკბე თქვენის მზერით, თქვენი ხმის გაგონებით! გთხოვთ, მიბოძოთ მისამართი! ოჰ, ღმერთო! გეფიცებით მიყვარხართ გაგიჟებით!..“

ამ ჩემს გულუბრყვილო აღსარებაზე ქალმა მადიანად გადიკისკისა.

„მიყვარხართ“... ხა, ხა, ხა. „გაღმერთებთ“ ხა, ხა, ხა... „უმანკო ბავშო, განა არსებობს სადმე სიყვარული?! მატყვილებთ განა! არა, ჩემო კარგო, სიყვარული იყო ნაზი ლეგენდა ოდესღაც მგოსნების მიერ მოგონილი; სიყვარულია შენსავით გამოუცდელ ჭაბუკთა ტკბილი ოცნება... ეჰ, ნუ სტყუვდებით, ყმაწვილო! თუ ოდესმე იყო ამ ქვეყნად სიყვარული, ის გაჰქრა რწმენასთან ერთად. დაიმსხვრენ კერპნი, დაიმსხვრენ ოლიმპოს ღმერთნი და მათთან ერთად მოკვდენ სამუდამოთ მშვენიერი ვენერა და ცელქი კუპიდონი. დღეს ამ საუკუნის მიწურულში, ამ კაპიტალიზმის ბინძურ ხანაში, სადაც ფული ბატონობს, უუსპეტაკეს სიყვარულის ყვავილოვან წალკოტის ნაცვლად მხოლოდ ავხორცობაა და გარყვნილების ჭაობი. ქალის სიტურფეს, მშვენიერ სხეულს, ზეციურ თვალებს და მარჯნის ბაგეთა უტკბეს კოცნას ჩვენს ეპოქაში ყიდულობენ მხოლოდ ფულით, ოქროთი, ბრილიანტებით და გაყინული შამპანიურით“.

„გეფიცებით, მიყვარხართ, მშვენიერო! მიყვარხართ გაგიჟებით! მაჯადოებს ეგ ხმა, ეგ სახე, ეგ თვალები! მიყვარხართ ისე მწვავეთ, როგორც კი შეუძლია შეიყვაროს ქართლოსის შვილმა! მიყვარხართ ისე სინაზით, ისე სათუთად, როგორც კი შეეძლო შეყვარება საშუალო საუკუნის რაინდს. თვით ზეცა მეხსნება შენის მზერით; შენს თვალებში ვჭვრეტ ციურ სამოთხეს; ეგ შენი ხმა ხომ გალობა არის, ნაზი გალობა თვით ანგელოზის, ზეცის მუსიკა...“

ქალი მისმენდა გარინდებული და ყოველი ჩემი სიტყვა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, ვატყობდი, საოცრად მოქმედობდა მასზე. თვალები აევსო ცრემლით, სუნთქავდა მძიმედ. ის დამაცქერდა დიდხანს, დიდხანს, მომხვია ნელა, სულ ნელა კისერზე ხელი, მიმიკრა გულზე სინაზით, მორცხვად დანამა ჯადოსნური თვალები და გაიფუჩუნა გრძნობით: „ჩემო ბავშო, ჩემო გიჟო...“ ჩვენი ბაგენი უნებლიეთ დაუახლოვდენ ერთმანეთს, ჩასცურეს სიყვარულის ხანგრძლივ ამბორში...

ეს იყო შარბათი; არა, რაღაც ღვთიური სასმელი, მარჯნის ფიალით მოწოდებული, რომელიც ართობს სხეულს, იმავე დროს კი ამაღლებს სულს, ანიჭებს მას უზენაეს სიტკბოს და ნეტარებას... „გელი ამ საღამოს 9 საათზე, რიშელიეს ქუჩა, 15, მესამე სართული, დარეკე მარცხნით; ეხლა კი ნახვამდის, ჩემო გიჟო“.

მომიცაცუნა ლოყაზე ალერსით ფუნთუშა ხელი, გამიღიმა სანეტაროდ და წამოდგა წასასვლელად.

— გენაცვალე, ჩემო კერპო, მითხარი ვინ ხარ, ან რომელი ქვეყნის ობოლი მარგალიტი?

— გრანდ ოპერის პრიმადონა, ესპანიელი... — მომაძახა ეს სიტყვები და უცებ გამიქრა თვალწინ, ვით შვენიერი ოცნება. ვიდეგ მარტო გაშეშებული და მივჩერებოდი იმ წერტილს, სადაც ჩაინთქა და გაჰქრა ასე უცებ ის საოცნებო მოჩვენება.

სირანო

1.VII-923, ბათომი

მონუმენტალური თეატრი

სადისკუსიოთ

თეატრალური ხელოვნების ისტორიულ-იმანენტური დიალექტიკა, ნაცვლად კამერულ-ინტიმური პრინციპისა, იძლევა პრინციპს — **მონუმენტალურს.**

მონუმენტალური თეატრი, ინდივიდუალურ განცდათა ნაცვლად, იძლევა **კოლექტიურ** მოქმედებათა მხატვრულ ასახვას.

მასიურ-კოლექტიურ პრინციპს სავსებით ეფარდება მონუმენტალური თეატრის ფორმა: დეკლამაციურ-ვოკალიური ხოროები, მასიური პროცესიები და ცეკვა, კოლექტიური პლასტიკა და ასეულ სხეულთა მიმიკა, მარტივი და გარკვეული გრიმები (ნიღაბამდე) და ასეთივე კოსტიუმები, როგორც ზოგად კონსტრუქტიულ და კოლორიტულ მთლიანის ელემენტები.

მონუმენტალური პრინციპი შლის ტრადიციულ თეატრის მიერ სცენასა და აუდიტორიის შორის გავლებულ ხაზს და იძლევა პროსცენიუმს, მრგვალ სცენას და სხ. (სცენისა და აუდიტორიის შედუღება).

მონუმენტალური თეატრი ახდენს მხატვრული ფორმების გადაფასებას. არის თეატრი, რომელიც ამოცანად ისახავს ცხოვრების ასახვას ან ფოტოგრაფიულად, ან ტიპიურ განზოგადებით (რეალიზმი). ჩვენის აზრით, მხატვრულ პროცესს არ შეუძლია და იგი არც უნდა ცდილობდეს ცხოვრების ასლის მოცემას. ყოველგვარი ხელოვნება არის შემოქმედთა და მაყურებელთა კლასიური ბუნების უტყუარი ასახვა. **მონუმენტალური თეატრი ახდენს ცხოვრების ფერისცვალებას კლასიური ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის შუშაბანდით;** ამიტომ იგი არც რეალისტურია, არც ნატურალისტური.

არის თეატრი, რომელიც პირველ რიგზე ფორმას აყენებს, რომელიც გარეგნულად ბორკავს შინაარსს **(კლასიზმი),** ან ახდენს ძველი ფორმების რესტავრაციას და სტილიზაციას ძველივე იდეოლოგიის შენახვით; ან და შინაარსს სრულებით არ ექცევა ყურადღება და მთავარი გულისყური მიპყრობილია ფორმისადმი, რომელსაც ეძლევა აბსოლიუტური მნიშვნელობა **(ესთეტიზმი). მონუმენტალური თეატრი იცავს შინაარსიანობის და მისდამი შეფარდებული ფორმის პრინციპს.**

უკანასკნელად, არის თეატრი, რომელიც გატაცებულია მასალაზე მუშაობით, რაც საგრძნობლად ჩრდილავს ხელოვნების ცოცხალ შინაარსს. ამ შემთხვევაში შემომქმედი მთელ თავის ყურადღებას აპყრობს მასალის ექსპრესივობას და კონსტრუქციას. მისი საბოლოო მიზანია — **სუპრემატიზმი. მონუმენტალური თეატრისათვის უცხოა ყოველგვარი ფეტიშიზმი, და მათ რიცხვში, მასალის ფეტიშიზმიც.** თეატრს, როგორც ყოველგვარ ხელოვნებას, შეუძლია აირჩიოს **ანალიტიური** გზა. მას შეუძლია მიზნად დაისახოს არსის ძირითადი ელემენტების შერჩევა და მისი რეალიზაცია დაშლის საშუალებით (კუბიზმი).

თეატრს შეუძლია დაეყრდნოს არსებული კულტურის ელემენტებს და მიიღოს ნაწილი მთელად; მაგალითად, ნაწილის დანამიზმი და მაშინიზმი (ფუტურიზმი).

მონუმენტალური თეატრი სინთეტიურია. თეატრი, როგორც ყოველგვარი ხელოვნება, არის მხატვრულად გარდატეხილი **იდეოლოგია;** არის თეატრი, რომელიც პირველის შეხედვით, არ ატარებს აშკარა არისტოკრატიულ, ან ბურჟუაზიულ სახეს, მაგრამ არსებითად იგი გახრწნილი და რეაქციონურია;

აი, მაგალითებიც: მისტერიის და არლეკინის თეატრი. მისტერია-რელიგიურ-ავტორიტარული იდეოლოგიის განსახიერებაა; არლეკინობა-კი დაფუძნებულია თეატრალური ტიპების მარადისობის ყალბ იდეაზე. ორთავე აღნიშნული სტილი ეწინააღმდეგება პო-

ზიტივურ-რელატიური იდეოლოგიის სტილს, რომელზედაც ეყრდნობა მონუმენტალური თეატრი.

სიმბოლისტიურ-მარიონეტული თეატრი. სიმბოლიზმი — ხელოვნების ენაზე გადათარგმნილი მეტაფიზიკურ-მისტიური დუალიზმია მარიონეტად ადამიანი ხდება იმ კლასის წარმოდგენით, რომელიც არსებულ ისტორიულ ეპოქაში დარჩა „უსაქმოდ“ და შეითვისა უიმედო, პასიური მსოფლმხედველობა. ყოველივე ეს უცხოა იმ კლასისათვის, რომლის ხელოვნური შემოქმედება ატარებს ოპტიმიზმის, აქტიობის, ბრძოლის, ორგანიზაციულობის, თვითდამკვიდრების, პოზიტივიზმის და კოლექტივიზმის ბეჭედს.

გროტესკის და იმპრესიონიზმის თეატრი. გროტესკს და იმპრესიონიზმს აქვთ ერთი რამ საერთო: ორთავე სტილი წარმომდგარია ფსიქოლოგიურ დაშლილობა-დანაწილების ნიადაგზე. გროტესკს მუდამ ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობა, თვითუარყოფა.

იმპრესიონიზმი არის კაპიტალისტური აგონიის ნერვიული მოქალაქის ფსიქოლოგიური განცდა, როდესაც მთლიანი პიროვნება კნინდება.

იმ კლასს-კი, რომელიც ფოლადის გიგანტის და საყოველთაო ორგანიზატორის როლში ევლინება თანამედროვეობას — არაფერი აქვს საერთო იმპრესიონიზმის ავადმყოფ სულთან.

როგორია მონუმენტალური თეატრის აქტიორი?

აქტიორი-ავტორის ტექსტის გრამოფონი ადგილს უთმობს აქტიორს-**იმპროვიზატორს**.

აქტიორი-მარიონეტი რეჟისორის ხელში ადგილს უთმობს აქტიორს-**შემომქმედს.**

აქტიორი-სპეციალისტი სიტყვაში (დრამა), მიმიკაში (პანტომიმა), სიმღერაში (ოპერა), ცეკვაში (ბალეტი) — ადგილს უთმობს აქტიორს-**სინთეტისტს,** რომელიც სრულქმნილია ტონალობით, სიმღერით, პლასტიკით და ბალეტით.

განცდის აქტიორის ნაცვლად, რომელსაც სცენიურ გეგმაში გადააქვს თავისი პირადი შემთხვევით-ემოციონალური განცდა და რომელიც ხელმძღვანელობს ძველი ცხოვრების ტრადიციებით, მონუმენტალური აქტიორი იძლევა **კოლექტიური** ფსიქოლოგიის **გამოვლინებას,** რისთვისაც იგი იყენებს მთელ თავის ფსიქიურ ძალთა კომპლექსს.

აქტიორი-კონსერვატორი, რომელიც უკან იხედება, ადგილს უთმობს აქტიორს-**რევოლიუციონერს,** რომელიც ჰქმნის ახალ თეატრს და რომლისთვისაც ძველი მხოლოდ მასალაა.

ახალი აქტიორი სცენიურ სახეებს ჰქმნის რეჟისორის კომპოზიციის საერთო გეგმით.

უკანასკნელად, აქტიორი-ინდივიდუალისტი, რომელიც ცენტრში თავის თავს ათავსებს, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, ადგილს უთმობს აქტიორს-კოლექტივისტს.

ასეთია, სქემატიურად, მონუმენტალური თეატრის ძირითადი პრინციპები.

თ. სიხარულიძე

აბესალომ და ეთერი

სრულიად საჭირო არ არის პატრიოტული მოტივი, რომ სალიტერატურო, თუ სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები ეროვნულად იქცეს. ასეთია **აბესალომ და ეთერის** თქმულება, რომელიც საყვარელ საუნჯედ გაუხდია ხალხსა. მისმა განსცენიერებამ სიტყვა-ხმა-საკრავ შეწყობით შთაჰბერა უკვდავი მარად ცხოველი სული და გამოამზეურა აბესალომ, ეთერ, მარიხ ვარსკვლავი და მურმან, რომელნიც მანამდე ჩრდილში იყვნენ.

აბესალომ და ეთერის თქმულება თავიდანვე გალექსილი ყოფილა ისევე, როგორც **სურამის ციხისა** და, უნდა ვიფიქროთ, დრამატიულის ფორმითაც. ამას ცხად ჰყოფს ის

ლექსად დარჩენილი რეპლიკები, რომელსაც დღეს ხალხი ჰმღერის. არ ვიცით, ვინ იყო ის ბედნიერი ქართველი, რომელსაც ლექსად შეუქმნია ეს პირველი ქართული დრამატიული პოემა, მაგრამ შემდეგში კოლექტივი შემოქმედების ბეჭედი დაჰსმია, რადგანაც ვერსიები არა თუ შინაარსის მეტნაკლებობით გაირჩევა, არამედ ერთი და იგივე ფრაზეოლოგია სხვა და სხვა ნაირად გამოთქმულა. თქმულების მთლიანობის აღსადგენად საჭიროდ დავინახე ყოველი ვერსია, რაც დაბეჭდილი იყო, ან გაგონილი მქონდა შემეკრიფა და ამესხა ერთ ჩონჩხად თავიდან ბოლომდე ყოველი ნაწილის თავთავის ადგილზე მოქცევით. პირველი ასეთი ნაცადი დავბეჭდე გაზ. **„ფასკუნჯში“** და ქართველმა კომპოზიტორებმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება. კომპოზიტორი არა ვარ, რომ დავაფასო ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა, რომლითაც გამოსთქვა სულის კვეთება აბესალომის, ეთერის და მურმანისა, მაგრამ იმდენი ყურთა სმენა მაინც მაქვს, რომ ვსთქვა, რამდენადაც **დემონის და ღალატის** მუსიკა ეუცხოება ქართველსა, იმდენად **აბესალომ და ეთერის** მუსიკა ქართულია და გულს მისახვედრი არა თუ მარტო იქ, სადაც ეთნიკურ კოლორიტს გვიხატავს, არამედ იქაც, სადაც ნამდვილი მუსიკალი შემოქმედება სჩანს ავტორისა, მაგალითად, ოპერის მესამე მოქმედებაში, რომელიც მთლიანად შედევრია და დამყარებული ქართული ძველებური გლოვის ზარის კილოზე.

მაგრამ **აბესალომ და ეთერის** თქმულება დიდი საუნჯეა თავისი სხვა და სხვა იდეითა, რომელიც ასულდგმულებს. ხალხის ფიქრით დედოფლად შეიძლება გლეხის ქალიც დაჯდეს, ტურფა როგორც დარბაზში, ისევე ქოხშიაც შეიძლება იყვეს. მეფე უბრალო მწყემს გოგოს, რომლის სიყვარულისგანაც ხელქმნილა, დედოფლის გვირგვინს დაადგამს, მეუღლედ გაიხდის. გლეხის ქალი კიდევ პატიოსნების მიმდევარი, ქმრის ერთგულია და მასთან ყოფნის მოსურნე მისი სიკვდილის შემდეგაც. აი, რას ათქმევინებს ხალხი ეთერს მომაკვდავი აბესალომისთვის:

ვერ დავსთმე ჭირთა თმენაო,
უშენოდ არ მაქვს ლხენაო.
მე შენეული დანაო
უბეში მიძევს განაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარცხენა ძუძუსთანაო,
პირი ჩემკენა, ტარ შენკენ,
ზედ დაგაკვდები თანაო!

წმინდა სიყვარული ხალხს ერთგვარ კულტად დაუსახია და ის, ვინც ჩადგება მოყვარულ ცოლ-ქმარ შუა და ბედნიერ ცხოვრებას გაუმწარებს, შეუჩვენებია, წყევა-კრულვით მოუხსენებია, მოყვარულ ცოლ-ქმართ საფლავი კი ვარდ-ყვავილებით შეუმკია.

ორგულ ვეზირის საფლავზე
ეკალნიმც იქნებიანო,
ვირნიმცა მოსძოვდიანო
ლეკვნიმცა იყეფიანო.
ია და ვარდი რა ურთერთ
მოხვევნად იხრებიანო,
ეკალ ნარიმცა გაჩნდების
და შუა იყოფიანო.

ხოლო ბელიარ ეშმაკი, რომელთაც მურმან ვეზირმა თავისი დედის სული მიჰყიდა და სამაგიეროდ ჯადო გამოართვა, რომ ეთერ შესძულებოდა ქმარსა და მერმე თვითონ ხელ-

ში ჩაეგდო, ხალხმა ისე წარმოიდგინა, რომ შეაცოდა აბესალომისა და ეთერის ბედი და ცხონება შეათვლევინა.

რა მშვენივრები ჰსვენია!
ისევე ადგებიანო?
ადგომა წესიმც ნუ არის,
სულითამც ცხონდებიანო!

ასეთია ჩვენი ხალხის შეხედულება სიყვარულზე, რომელსაც თან ახლავს პატიოსნება ვიდრე თავის განწირვამდე.

თუ აბესალომ და ეთერის თქმულების შინაარსი ისეთი მიმზიდველია, მისი მიზეზია მიმზიდველი ფორმა, რომელიც შინაარსს ჰმოსია. ფრანგული თქმულება, კარგ შინაარსს უკვდავ ჰყოფს კარგი ფორმაო, აბესალომ და ეთერის ლექსზე გამართლებულა. ქართული ხალხური პოეზიის სტილის პოეტურობას ხელოვანი პოეტი ჯერ ვერ მიმწვდარა! გულის გასაგმირალ და მარგალიტ წყობილ ლექსს მხოლოდ ხალხის გენია ჰქმნის. მაგალითები არ მომყავს, რადგანაც საჭირო იქნება მთლად თქმულების დაბეჭდვა. აბესალომ და ეთერის თქმულება პირველ ქართულ ოპერად იქცა და იმდენად საყვარელი გახდა ხალხისა, რომ ასჯერ დაიდგა ოთხი სეზონის განმავლობაში!

პეტრე მირიანიშვილი

სახელმგამომცემლობა

„მე მინდა, ერთს ძალიან არა ნორმალ მდგომარეობას მივაქციო მკითხველის ყურადღება, — სწერს გაზეთის ფურცელზე ერთი ქართველი მწერალი, — ამისი ანალოგიური საკითხების შესახებ ხშირია წერილები (და ისიც ძალიან გვიან). უფრო ხშირად კი ეს წერილები არის „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. დააკვირდით ჩვენი დედაქალაქის პროსპეკტებს და მთავარ ქუჩებს. წიგნის სავაჭროები ერთმანეთს ეცილებიან დარაბების, ვიტრინების, წარწერების უკეთესობაში და აუარებელი ყოველგვარი წიგნების გამოფენაში. წამოდით ვერის დაღმართიდან რუსთაველის პროსპეკტით სასახლემდე, რომ თითებზე დაიწყოთ წიგნების სავაჭროების დათვლა, თქვენ არ გეყოფათ თავისი ხელ-ფეხის თითები. საუცხოვო გამოცემები არის. თვით ყდა და მასზე მხატვრობა გეუბნებათ გემოვნებაზე, მაგრამ ამ წიგნებში იაქესავით ვერ შეხვდებით ქართულს. იმედს ნუ დაჰკარგავთ... შეხვდებით აქა-იქ ქართული წიგნების სავაჭროებსაც, მაგრამ აქ ერთი რამ გამოურკვეველია. ვსცდები, რომ ქართულს ვუწოდებ... მაგრამ არა... წარწერა ხომ ქართულადაც არის და აგრეთვე თუ ორი წილი რუსული წიგნებია, ერთი წილი მაინც არის ქართული. ფარდის უქონლობის გამო მზის სხივებით ისე გაყვითლებულა ისედაც „საცოდავი“ გამოცემები, რომ ჭლექს დამსგავსებია და გეგონებათ წარღვნამდის დაბეჭდილი. აი, ამგვარი ნიშნებით მიხვდებით ქართული წიგნების სავაჭროებს.

ბაზარზე არ არის ქართული წიგნი და თუ არის ისე ცოტა და ფერმკრთალი, რომ მისი არსებობა არა სჩანს. სახელმწიფო გამომცემლობას ეტყობა ძალიან სისუსტე, მაგრამ სინამდვილე კი არის ეს მისი თვისება. განათლების კომისარიატს ერთობ დიდი საქმე და ხარჯი აქვს: შეიძლება ეს არის ერთი მიზეზთაგანი? ქართული წიგნი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების მინიმუმს. ჩვენი წიგნები მომაკვდავად გამოიყურებიან აქა-იქ ვიტრინებში. რუქა გჭირდებათ უცხო კაცს, რომ მათი სავაჭრო მიაგნოთ, მაშინ, როცა რუსული

წიგნების სავაჭროები თვით ტრამვაის ვაგონების სახურავებზე წარწერებით სადგურიდან გპატიჟობენ („ტრიბუნა”, №529).

ამნაირად:

1) ტფილისი და მაშასადამე საქართველო მოფენილია რუსეთიდან შემოზიდული წიგნებით.

2) ამავე დროს ბაზარზე არა სჩანს ქართული წიგნი და თუ არის, ისე ცოტა და ფერმკრთალი, რომ მისი არსებობა არა სჩანს. სახელმწ. გამომცემლობის ეს „საცოდავი“ გამოცემები მართლაც ჭლექს დამსგავსებია და წარღვნამდის დაბეჭდილი გეგონებათ.

3) სახელმწიფო გამომცემლობას ეტყობა მეტისმეტი სისუსტე, და ეს უარყოფითი თვისება გამჯდარი აქვს ძვალრბილში და სხვ. და სხვ.

საინტერესოა რა პასუხს გასცემს ზემოხსენებული წერილის ავტორს სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგია.

NN

ქართული პოლემიკა

დრო არის „გადაიჭრას პრობლემა“ ყოვლად სამარცხვინო ქართული პოლემიკის შესახებ. არავისთვის დაფარული არაა ის მეტად სამწუხარო გარემოება, რომ უკანასკნელი წლები ქართული ლიტერატურისა ხასიათდება მრავალი არანორმალური მოვლენებით. ერთერთი ამ მოვლენათაგანი არის — ის პოლემიკური გამოსვლებიც, რომელსაც აწარმოებს მთელი რიგი ქართველი ახალგაზრდა მწერლებისა. როგორც ყოველ დარგში, ქართულ მწერლობაშიაც მოიპოება თავზე ხელაღებული და ყოველმხრივად სინიდის გარეცხილი ელემენტები; ვითომდა იდეიური და პრინციპიალური მოსაზრებით ეს რენეგატები მოწინააღმდეგესთან კამათის დროს მიმართავენ ისეთ საშუალებებს, რომლის იარაღად გამოყენებას არასდროს პატიოსანი მოკამათე არ მიმართავს. თქვენ რომ ახალგაზრდა მწერალს გულწრფელად მიუთითოთ, რომ ზოგიერთი მისი გამოთქმა ცოტათი არ შეესაბამება სიმართლეს, იგი პასუხად გადმოანთხევს მთელს მორევს ყოვლად მოურიდებელი ლანძღვა-გინებისას; ხოლო თუ თქვენ გაბედეთ და იოტისოდენა მსგავსება აღმოაჩინეთ მისსა და სხვის სტრიქონებს შორის, იგი მზადაა, რომ ფიზიკურადაც კი მოგაყენოსთ შეურაცხყოფა. გაგონილა ასეთი რამ? თუ თქვენ არ ეკუთვნით იმ ბანაკს, რომელსაც ის ვაჟბატონი შეფარებია, თქვენ უკვე მისი მოსისხლე მტერი ხართ, და მაშინაც თქვენთან კამათის დროს მისთვის არავითარი ზრდილობა — არავითარი ლიტერატურული ეთიკა არ არსებობს. ასეთ ტიპებს სპეციალობად გაუხდიათ ლანძღვა-გინება. პრესსა, ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები აშმორებულა მათი წერილებით, ისინი განსაკუთრებულ უბის წიგნს ატარებენ, რომელშიაც გაფაციცებით შეაქვთ ქუჩაში გაგონილი სალანძღავი ჟარგონი, რომ თავის დროზე გამოიყენონ იგი. ამ საცოდავ ტიპებს თავიანთი თავი დიდ დემონიურ პიროვნებებად ყავთ წარმოდგენილი, ფიქრობენ, რომ მთელ ქვეყანას მათი ეშინია, წარმოუდგენიათ, რომ მათ ვერავინ დაამარცხებს, მაგრამ ხშირად შეებმება მას მეორე ასეთი ტიპი და მთელი ქვეყანა მოწმე ხდება ჯერარსმენილი ურცხვი და მყრალი ვაკხანალიის. გასაოცარია, როგორ წარმოიშვა საქართველოში ასეთი ტიპი? ზრდილობა ხომ ერთი უმთავრესი თვისებათაგანია ქართველი კაცის. ჩვენ გვქონდა მწერლობა, გვყვანდენ მწერლები, მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. ეს სპეციფიურად ახალი

მწერლების პოლემიკაა. ასეთ მდგომარეობას კი ბოლო უნდა მოეღოს; აღვირახსნილი და უტიფარი ტიპებისაგან უნდა გაიწმინდოს ქართული ლიტერატურა. მწერალთა კავშირში უნდა იქნას დასმული საკითხი ამ ტიპების შესახებ, რადგან სწორედ ასეთი ტიპები სცემენ ჩვენი ლიტერატურის პრესტიჟს. მწერალთა კავშირიდან უნდა გარეკონ ინტრიგანი და კავშირის სახელის გამტეხი წევრები. რედაქციებმა სამუდამოდ უნდა მიუხურონ კარები ასეთ ტიპებს. ფართო საზოგადოებამაც უნდა აუწიოს ყურები თვითეულ შემთხვევისთანავე, და მეორეჯერ ეს ტიპი ვეღარ გაბედავს „კამათს“. ასე უნდა მოხდეს ეს ამბავი. პოლემიკა პოლემიკას უნდა ჰგავდეს და არა წუმპეს.

პალლადინი

ბიბლიოგრაფია

შესანიშნავი წიგნი. გამოქვეყნდა შესანიშნავი წიგნი „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“.

დიდი ტანის წიგნია, შეიცავს სულ 424 კაბადონს და შესდგება 19 გამოკვლევა-წერილისაგან. ზოგი ერთი მათგან საზოგადო ხასიათისაა და დაწერილია უცხო ენაზე, მაგ. გამოკვლევანი ს. ვირსალაძისა, გ. ჩუბინაშვილისა, ა. რაზმაძისა, სხვები დაწერილია ქართულად და უაღრესი მნიშვნელობისანი არიან.

„მოამბეს“ ქართულ წერილთა შორის უპირველეს ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს **ივანე ჯავახიშვილის** ვრცელი მორჭმით დაწერილი გამოკვლევა „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ („მოამბე“ 319—391). თავის ამ „წინასწარ მოხსენებაში ნიმუშების დართვით“ უძველეს ქართულ ხელნაწერიდან ავტორი არა თუ ნათელს ჰფენს თვით ამ ხელნაწერებს, არამედ მათ ნათელით გააშუქებს საქართველოს ამ ეპოქებს, რომელთაც დღევანდლამდე სიბნელის ზეწარი ეფარათ და რომელთაც სთვლიდნენ უკულტურო-უმწერლობო ხანად, რომელსაც ვითომ ებადაო მხოლოდ ქართული ანბანი და ისიც მოგონილი ვიღაც მესროფისაგან! ივანე გზა და გზა შეეხება მრავალ უხეშ დასკვნებს საქართველოს წარსულის შესახებ და არღვევს მათ თავის მკვეთრ ლოღიკის და აუვარებულ ცოდნის შემწეობით. აქ, ასე ვთქვათ, ივანეს ყოველი სიტყვა ცალკე აღმოჩენაა საქართველოს საისტორიო, საპალეოგრაფიო და სალინგვისტო დარგებში, და სრულიად მართალი იყო სერგო გორგაძე, როდესაც ჩვენი ვანოს ხსენებულ მოხსენების მოსმენის შემდეგ რომ მომეგება სიტყვებით: „რა ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ დიდ აღმოჩენათა ხანაში!“ მისი პირით თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა მაშინ.

ამგვარივე ხასიათისაა დეკანის **კ. კეკელიძის** პატარა, მაგრამ მრავალ-მეტყველი გამოკვლევა „როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება“. აქაც ახალი აღმოჩენაა: თურმე ქართველთა სისტემა წელთა აღრიცხვისა მიჰყვებოდა სამს ერას, ბერძნულს, ალექსანდრიულს და პანოდორესის, და ამათ მიხედვით ადიშის ქართული სახარება დაწერილი ყოფილა სწორეთ 897 წელს.

რედაქციისაგან. ამ ნომრისთვის დამზადებული საბიბლიოგრაფიო შენიშვნები: 1) ს. აბაშელის „ანათებული ხეივანი“, 2) ალეკსანდრ ბლოკის „თორმეტი“-ს ქართული თარგმანები, 3) ჟურნალი „გრდემლი“ და სხვ. გადადებულია შემდეგი ნომრებისათვის.

პროფეს. **აკაკი შანიძის** ორი წერილია დაბეჭდილი „მოამბეში“. ერთია „ნაშთები მესამე პირის ობიეკტიური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვანების წინ ქართულ ზმნებში“ და მეორე „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“. ორივე წერილში ავტორი წმინდა ქართველური მუყაითობით გაარკვევს მის-მიერ აღძრულ კითხვას და მეცნიერულ კვლევა-ძიებით მკითხველს თვალწინ დაუყენებს ახალ და ახალ აღმოჩენებს ქართულ საგრამატიკო მეცნიერებაში.

მიიქცევს მკითხველის ყურადღებას აგრეთვე წერილი გეორგე **ჩუბინაშვილისა** „მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი“, რომელშიაც ავტორი ცდილობს გამოარკვიოს, ვინ ააგო ეს ტაძარი მე-7 საუკუნის დამდეგს.

გ. წერეთლის Homerica ერთი მშვენებათაგანია უნივერსიტეტის „მოამბისა“ (გვ. 139—147). მისი ეტრატზე ნაწერი ოდისეის ნაწყვეტი აღმოჩნდა მეოთხე საუკუნის ძეგლად. დღევანდლამდე ყველაზე უფრო ძველ ნუსხეად ითვლებოდა ორი ხელნაწერი ოდისეისა და ორივე ეკუთვნოდენ მეათე საუკუნეს. მაშასადამეო, დაასკვნის ავტორი დაწერის დროის მიხედვით ჩვენს ნაწყვეტს უჭირავსო პირველი ადგილი.

პ. მელიქიშვილის წერილი „ჩვენებური ყველი“ სავსეა დიდ საყურადღებო ცნობებით შესახებ იმისა, თუ როგორ კეთდება შვეიცარიული ყველი საზოგადოდ და ჩვენებური ყველი განსაკუთრებით. ყველის ანალიზები გვიჩვენებენ, რომ შვეიცარიულ ყველში 32,63 პროც. წყალია, 35,9 პროც. ცხიმი, თუშური („ალაზნის თავი“) 32,64 პროც. წყალი, 32,75 პროც. ცხიმი (ცხრილი 1).

მეორე ცხრილის ჩვენებით: ნამდვილი შვეიცარიული ემენტალისა: წყალი 34,38, ცხიმი 29,75; საქართველოში 1882 წელს დამზადებულ შვეიცარიულში: წყალი 32,74 და ცხიმი 32,26. 1920 წელს დამზადებულში წყალი 32,64 და ცხიმი 35,9.

საამდროვოა **გ. ნათაძის** ვრცელი წერილი „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლიუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა“.

დიდის ხალისით იკითხება მეცნიერული გამოკვლევანი პროფესორებისა გ. ღამბარაშვილის, თ. ბებურიშვილის, გ. ახვლედიანის, ა. თვალჭრელიძის, ა. ხარაძის, დ. უზნაძის და ივ. ჯავახიშვილის მეორე გამოკვლევა სათაურით „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“.

დასასრულ ვიტყვით, რომ „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ თვალსაჩინო ძეგლია და შემიძლია ვურჩიო, შეიძინოს იგი ყოველმა ქართველმა და გულდასმით შეისწავლოს. („ტ“).

მოსე ჯანაშვილი

მატიანე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში. შემოდგომიდან განზრახულია სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთის გამოცემა, აგრეთვე განახლდება სალიტერატურო ხუთშაბათები ხელოვნების სასახლეში.

სიმფონიური კონცერტები. სახალხო განათლების კომისარიატის და პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის ინიციატივით ტფილისში გაიხსნა სიმფონიური კონცერტების სეზონი. კონცერტები იმართება ორ ბაღში: 1) ცენტრალურ მუშათა კლუბში და 2)

პროფესიონ. კავშირის კლუბში. ორკესტრის სათავეში, რომლის რიცხვი ადის სამოც კაცამდე, სდგას სახელმწიფო ოპერის მთავარი რეჟისორი ივანე ფალიაშვილი, აგრეთვე კაპელმეისტერები ბრონი და ნეიმანი. ამბობენ, რომ კონცერტების მომწყობთ განზრახული აქვთ მოიწვიონ სადირიჟოროდ კომპოზიტორი გლაზუნოვი და აგრეთვე სიმფონიური კონცერტების ცნობილი დირიჟორები: კუპერი, მალკო და შტეინბერგი.

საშემოდგომო დიდი გამოფენა. სახვითი ხელოვნების სექცია ტფილისში ემზადება დიდი საშემოდგომო გამოფენისათვის. გამოფენილი იქნება სურათები, ქანდაკებები და სახუროთმოძღვრო პროექტები. გამოფენამ უნდა გააერთიანოს ამიერ-კავკასიის ყველა სამხატვრო ძალები. დრო გამოფენისა შეფარდებული იქნება სახვ. ხელოვნ. სექციის წევრთა ამიერკავკასიის ყრილობასთან. გამოფენაზე იქნება აგრეთვე ცალკე განყოფილება ბავშვთა შემოქმედებისათვის.

საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. ამჟამად საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და მსმენელების ნაწილი იმყოფება მცხეთაში, წინანდელი სატახტო ქალაქის სიძველეთა შესასწავლად. ექსკურსია მცხეთას დარჩება აგვისტოს 1 რიცხვამდე.

სამხატვრო აკადემიის პროფესორები. აკადემიის საბჭომ დაადგინა ხუროთმოძღვრების ფაკულტეტზე მოწვეულ იქნას ორი პროფესორი აღნიშნული ფაკულტეტის პროგრამის სავსებით განხორციელების მიზნით.

სამხატვრო ინსტიტუტი. ტფილისში გაიხსნა ქართული სამხტავრო ინსტიტუტი; მსმენელთა რიცხვი უდრის 400 კაცს.

სახელოვნო კომიტეტის გაუქმება. საქართველოს განათლების კომისარიატის დადგენილებით გაუქმდა განათლების კომისარიატთან არსებული სახელოვნო კომიტეტი, მთელი მისი შემადგენლობით. გაუქმებულია აკადემიური თეატრის მმართველობა. აგრეთვე გაუქმებულ იქმნა აღნიშნულ მმართველობასთან არსებული პოლიტიკური კამისარის თანამდებობა.

ახალი ქართული ოპერა. თელავის სამუსიკო შკოლის დირექტორმა ლეო ფალიაშვილმა დაასრულა ოპერა „ვეფხის ტყაოსანი“, რომლის ლიბრეტოდ გადაკეთება ეკუთვნის პეტრე მირიანიშვილს. ოპერის სახელწოდება „ნესტან და ტარიელ“ ლიბრეტო შედგენილია მეტად მოხდენილად.

სამხატვრო აკადემიის ბინა. განათლების კომისარიატის დადგენილებით შემუშავებულ იქმნა ხარჯთაღრიცხვა სამხატვრო აკადემიის შენობის კაპიტალური რემონტის მოსახდენად.

აისედორა დუნკანი ტფილისში. აისედორა დუნკანი ამ ზაფხულზე ეწვევა ტფილისს. დუნკანთან ერთად მოემგზავრებიან პოეტები ესენინი და მარიენგოვი.

თამარ მეფის მეხოტბენი. განზრახულია ცალკე წიგნად გამოცემა მოსე ჯანაშვილის გამოკვლევისა „თამარ მეფის“ მეხოტბენი; ამ გამოკვლევის წერილებად ბეჭდვა უკვე დამთავრდა გაზ. „ტრიბუნაში“.

ახალი წიგნი. თბილისში გამოვიდა ალ. ვაჩეიშვილის წიგნი „სოციოლოგიის შესავალი“, რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ წელს გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კრებულს. ამ წიგნის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისათვის მით უმეტეს რომ ქართულად ამ გვარი წიგნი სრულიად არ მოიპოება.

პროფესორი დიმიტრი უზნაძე საზღვარგარედ. სახალხო განათლების კომისარიატის პროფ. განათლების განყოფილებამ სამეცნიერო მიზნით გერმანიაში მიავლინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი უზნაძე.

სარგის კაკაბაძის რეფერატი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე სარგის კაკაბაძემ წაიკითხა რეფერატი ლაზიკის ეთნიური შედგენილობის შესახებ. რეფერატი მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

საქართველოს მუზეუმის ფასადი. საქ. მუზეუმის საამშენებლო კომისიის მიერ მოწყობილ იქნა გამოფენა მუზეუმის ფასადის გადასაკეთებლად წარდგენილი გეგმებისა. გამოფენილი იყო ხუროთმოძღვართა — კალაშნიკოვის, კალგინის, სევეროვის და სხვ. გეგმები. სპეციალურმა კომისიამ უკვე გადასწყვიტა სევეროვის გეგმის მიღება, მხოლოდ იმ პირობით, რომ საამშენებლო კომისიამ ეს გეგმა უნდა გადააკეთებინოს. ამბობენ, რომ გამოფენა ვერ იყო წესიერად მოწყობილი, რის გამოც ტფილისის ქართველობა ვერ გამოეხმაურა ამ დიად ეროვნულ საქმეს.

გიორგი ქუჩიშვილის წიგნი. დაიბეჭდა და გამოვიდა გიორგი ქუჩიშვილის ლექსთა კრებული „შრომისა და ბრძოლის სიმღერები“. ეს არის პოეტის მეექვსე წიგნი. გამოცემულია სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

იაკობ ნიკოლაძის ახალი ქანდაკება. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაამთავრა ახალი ქანდაკება „ვნება“, რომელიც გამოკვეთილია ქვისაგან.

ΣΟΛΩΜΟΣ

ლიტერატურა და სხვა



წლიურათ გამოვა 6 ნომერი.

რედაქტორი ნიკოლოზ ჩაჩავა.

H_2SO_4.

1924-25

ბ. აბულაძე
შ. ალხაზიშვილი
ა. გელიაშვილი
ბ. გოგრდეზიანი
პ. ნოზაძე
დ. შენგელაია
ნ. შენგელაია
ნ. ჩაჩავა
ს. ჩიქოვანი
ბ. ულენტი

ულა

ქმოოკიეირ

კირილე ზდანევიჩი



№ 1

ფასი 1 მანეთი.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“.

მელანხოლია

ხოხო. ხო.

დავდგით დამბები
ცას ყირამალით მივაბჯინეთ მაღლა ფეხები●
დააკვირდით უზარმაზარ ეკრანს
კაბელზე გარბის ავტომობილი
პროჟეკტორებით●
შენ დაეკიდე სვეტზე მავთულებს
უეცრათ დაარტყით კედელზე შუბლი
გაიბზარა უზარმაზარი
როგორც მშიერმა მათხოვარმა დააღო ხახა
და ერთბაშად გადაყლაპა პროსპექტი●
სპექტრის შუშები ეკიდენ ქუდებათ
გარბოდენ სახლები
სახლები
სახლები
სახლები აგებდენ კარდონის კაცებს როგორც კოლოფებს●
გულმოსულმა შეყლაპეთ თოლხო გაზაფხული●
მტკვარი მიდიოდა პირ-აღმართული
და ისროდა ქაღალდის ბუშტებს.
ქუჩას მიქონდა შაქრების ბოთლი ცხვირ წატეხილი
ცხენებს გაეწყოთ ზურგზე ფეხები
კუს ემსგავსებოდა ტრამვაები
ყველაფერი მოძრაობდა
მე ჩავიკეტე როგორც ოსტატი
შემოვაბრუნე კისრის მიმართულება
სახიდან ჩამოვიძვრე პორტრეტი
რომ ბოსტნებში სიცხიან დღეს ქათმები დააშინოთ.
უზრუნველყოფილი დარჩა ბოსტანი
ჩამოვაცალე ლორდებს ცილინდრები
მისგან ავაშენე მეორე ვატიკანი
უეცრად დაინგრა სულის შებერვით
და სამუდამოთ გული ვიტკინე
ავტირდი როგორც ბანკირის ბავშვი
მელანხოლია● ხოხოლია● ხოხო ხო.

ბიძინა აბულაძე

პოემიდან: ლენინიადა

I. შესავალი

ავანტაჟი.
ესტეტიკა არის
        კოსმეტიკა
ხდება დიÔ ერენციაცია
        გემოვნების.
როგორც სამხედრო მარში
        დავდივარ ქუჩაში
და ვიკარგები
        კონსპერატიულად.
მაღელვებენ
        ჩინეთის ამბები.
პაციფიზმი არის
        სომნამბულიზმი.
მოწოდება —
განთავისუფლდით ხელოვნებისაგან
        ტვინი აქაფებული.
        ქუჩა ღამის ორ საათის.
შიმშილი დისციპლინარული.
        კურÔ ურსტენდამზე
სდგება აჩრდილი
        სისხლიანი
კარლ ლიბკნეხტის.
        სიტყვა პლაკატური.
იქ საპყრობილეებში
        შიმშილობენ
კომუნარები.
იქნება ზარი.
მსოფლიო რევოლიუციის
        დაჰკრავს საათი.
არიან კვარტალები
        ბოჰემური
        პროლეტარული.
ლაროშ. მონმარტრ.
        ნიედერჰოÔ .
ციურიხში ამზადებდა
        ლენინი რევოლიუციას.
გეძლევათ ვადა
        ოცდა-ოთხ საათში
                სააგიტაციო
წამოისროლოთ
        ათი ლოზუნგი.

მძულს ოპორტუნიზმი.
        მით უმეტეს პოეზიაში.
საქართველოში ძლიერდება
        კოოპერაცია.
პუნქტუალურად
        მუშკოოპის რძის
            მაღვიძებენ მე საყვირები
                ყოველდღიურად.
ახალი ხანა —
        ლენინიადა
პლანეტა ხდება ლენინის.
        კოსმიურ სივრცეს
            გაანათებს ალი
                კომინტერნის.
რადიო ყველას —
        არის პოეზია
            პლაკატი აგიტაციის.
იცოდეთ ყველამ
        პოეზიაში
მე არავისთან
        არაფერი
საერთო არ მაქვს.
ჩემი პოეზია
        არის
პოეზია par excellence
პაროლი მომავლისთვის —
        ლენინიადა.

შალვა ალხაზიშვილი

100 ■

1 გასაღამოვდა.
2 თემა ô ანტასტიური.
3 ხელი —
4 პროპელერი.
5 საპარიკმახერო.
6 არიან თვალები
7 შავი
8 ყვითელი
9 ცისფერი
10 თეთრი.
11 ამპლიტუდა ძლიერი.
12 ნეგრების ემანსიპაცია.
13 მე მახარებს
14 ბრძოლა პოეზიასთან.
15 მაზურკა.
16 გონგი.
17 ბოთლები.
18 კატალეპსია.
19 რეაბილიტაცია ô უტურიზმის.
20 მასსაჩუზეტ.
21 ô რანც შრეკკერი
22 რომელიც

23 სათვალეებს ატარებს.
24 ავტობუსი.
25 გრანდ’ოტელ
26 მშობიარეთა თავშესაფარი.
27 ლოს-ანჟელეს.
28 მოქალაქენო
29 იჩქარეთ
30 პირველი სერია
31 უკვე დაიწყო.
32 ჰოდავენდიკიარ.
33 დარეს-სალამეს
34 კონრად ô ეიდტ
35 ჰიპნოზი ეკრანის.
36 ქვესკნელის ცეცხლი.
37 ტროკადერო.
38 მძიმეა სიცილი.
39 ბედისწერა — სისულელე.
40 ანდრე ჟიდი
41 იეზუიტს რო გავს.
42 თეატრ-გინიოლ.
43 შავი მამალი.
44 ოლიმპიადა.
45 მე ლექსებს
46 ლოგინში ვქმნი.
47 სატურნალია.
48 ô ალუსი მუდამ
49 ერექტიული.
50 ფეხები გამეყინა.
51 უცნაური ზამთარია.
52 როდესაც ქუჩაში გამოვალ
53 მთვარე ანათებს
54 მზესავით.
55 მთვარე ნიკოლოზი
56 შავ სახჩობელაზე.
57 არ ვიცი
58 პენსნე მაქვს მრუდე
59 თუ ცხვირი.
60 მიყვარს თბილისი
61 მხოლოდ იმიტომ
62 რომ დავიბადე
63 ქალაქ თბილისში.
64 ქანაობს პროსპექტი.
65 დამშეული თვალები
66 ღამის
67 რესტორანების.
68 დღეს სერიებად
69 იზმორება
70 ჩვენი ცხოვრება.
71 მანიფესტებად
72 დაიფანტება
73 მზე ცეცხლიანი.
74 ხელი დაკიდულა
75 აინშტაინის სივრცეში.
76 ბარათაშვილი ნიკოლოზ
77 ô ინიკულორში
78 ზის შავი ô რაკით.
79 და სარდაფებში
80 სულს ღაფავენ
81 ფიროსმანები.
82 წმინდაო მარიამ.
83 გრიალ ზარბაზნებს
84 სად დაემალეთ?
85 ქვესკნელი გაიხსნა
86 ხეთქავს ვულკანი
87 რევოლუციის.
88 თქვენ ხომ იცით
89 ყასაბის მისტიკა.
90 ოთახში სამოვარი
91 და კანარეიკა.
92 როგორც უფალი
93 ვურიგებდი
94 ყველას სიყვარულს.
95 ეხლა კი ვგრძნობ
96 გავიზარდე
97 მე ყველაფერზე.
98 და საქართველო
99 გაწოლილა
100 ჩემ ხელის გულზე...

შალვა ალხაზიშვილი

სახე დათუთქული მდუღარე აზრებით.
სკეტინგ რინგები გამართული
                    თავის ქალაზე.
ბილიარდის პირამიდები.
ტვინის ლოდები
გაციებულ ვულკანის ლავა●
თვალის ნერვებზე
            მოელვარე შუშაბანდები.
გამოხრულ გულში
ფილტვების ლიანდაგებით
მოისმის ქშენა
გიჟ ექსპრესების ●
შუბლის დიაგონალები.
კონუსის აყირავება.
მშრალი როგორც
ნოტა ლორდ კერზონის.
<u>გარყვნილ ტუჩებით</u>
<u>ვარ საშინელი</u>
<u>როგორც მუმია ძველ ფარაონის</u>.
ცირკის პლაკატი
დაკიდული ქუჩის კედლებზე.
ტვინის სასახლეს ეკიდება
ალი რევოლიუციის ●
ძველ გზებს გადაჭრის
ფორდი გაქანებით
ვნების სახნისით დაიბელტება
თვალის ქვეშეთი
და პოეზია დამაჭრული
                  რესტორანებში
ახალ ციტალებს ამართავს
ძარღვიან კუნთით ●
<u>მანქანა, ფული</u> და <u>სიფილისი</u>
მოდის სამება ღვთაებრივი
მსოფლიო ქრონიკიორი.
ტელეგრაფი, სემაფორი.
და ზღვის კანდელი.
რა ძნელია მუშაობა
          ■ ფულის დახარჯვა!
ორსულ ტვინში იბადება
              რადიო აზრი

ჯერ კიდევ ბევრჯერ
დაიჭრები რომანტიულ ხანჯლებით
დამრჩება ფეხები
ცივი ვით ყაზბეგი ●
ტანში გაჟრჟოლება
ელექტრონის ნერვებით.
რა სისულელეა.
როდის მოვრჩები ლექსების წერას
იხსნება გალერეია
ახალ სახეების
ჩიკაგო-რომი.
ორია პოლიუსი.
და საქართველო — წრე ჯადოქარი●
რადგან
პოეზიას ვგრძნობ ისე
როგორც ჩემ ცხვირზე პენსნეს.

შალვა ალხაზიშვილი

ლექსი რაღაცას შესახებ

„ეს ლექსი მშრალია, როგორც თივა
და უგემური, როგორც ინგლისური მარილი“.

ა. ბელიაშვილი

ქვეყანა ძველი ძლიერ დინჯად ატირებული,
გაეკიდება საუკუნეს ცახცახით და გამომეტებით.
თუ გადაუდგა გზაზედ დიდი უბედურება
დატრიალდება სოფელი გატრუსულ კეტებით.

მერე აიტუზება ხმელი და ავი წელიწადი
ჯარის კაცებივით მიათრევენ დღეებს
თუკი სისოვლემ მიწაზე ბევრი იცადა
ლოცულობენ რომ დადგეს ყვითელი სიცხე.

მუდამ მოძრაობას მისდევენ მარტო და ძლიერ მარდათ
გადიხლართება ერთმანეთში მარტივი ნივთები.
საუკუნის გამხმარი ხელები თუ გაიმართა
მოიღუნება რკალივით ავადმყოფი მოდგმა ადამიანების.

აკაკი ბელიაშვილი
1924

1.

გადავწყვიტე რომ
დროებით ცოტაოდნათ
გავრომანტიკოსდე■
რამდენათაც დასაშვებია
რევოლიუციის ხანაში.
ასე რომ ყველა
ქალს
ვისაც აქვს პრეტენზია
სიყვარულის
შეუძლია შემიყვაროს,
ისე როგორც
ლაურამ პეტრარკა■
ყველასათვის ცხადია
ჩემი ღირსებები
ვარ ნაღდი
როგორც იაგორას სასწორზე აწონილი
გირვანქა ხურმა
და ცხვირი მაქვს
გენერალ ბაგრატიონის
რომელმაც იგრძნო
ნაპოლეონის სიშორე
თავის ცხვირით.
მე არ ვიცი ირონიადა
გულის დამშვიდება ყველას შეუძლია
და არ მინდა დავრჩე
როგორც ყვითელი მთვარე
რომელზედაც ლაპარაკობს
პოეტი [redacted]
ავადმყოფი დიზინტერიით■
მუდამ ვოცნებობ
ამერიკაში გამგზავრებაზე
სადაც შემეძლება
ბევრი ისეთი რამ
რასაც ქვია სენსაცია
და აკრობატიკა.
დირექტივა:
ვისაც სურს განმიცხადოს
თავხედისათვის არა გვცალია
მე იმისთვის შევუკვეთ
კერძ საჭმელს
და ერთ ჭიქა კაგორს.

2.

შაბათი რომ დაღამდება
კვირა გათენდება
და კვირას ყოველთვის ვიქნები მომლოდინე
სიყვარულის.
იცოდეთ რომ არა მაქვს ფული
კინოში წასასვლელათ.
მე მარტო ვარ
პოეტი თანამედროვე
რაზედაც შეიძლება
<u>დაიხარჯოს ორი ფუთი ირონია,</u>
<u>როგორც საწებელი</u>■
ბოლოს:
ვისაც არ შეუძლია თქვას
რომ ეს ლექსია
უფლება აქვს მიმირთვას მე
როგორც რესტორანში
მაშარაბი.
რისთვისაც მე ჩავიდებ ჯიბეში
გირვანქა შაქარს■
მხოლოდ არ გავიცინებ
ვიქნები სერიოზული და ვიტყვი:
თქვენ მიირთვით დღეს
ორი გირვანქა
სისულელე.

აკაკი ბელიაშვილი

კონსტრუქციები

ზოგიერთი სიტყვა ძლიერ კარგათ გამოითქმის. მერე რა კარგია, როდესაც კარგ გუნებაზე ხარ, ისე როგორც ბედნიერი გლეხი, რომელიც ამჩნევს, რომ ვენახები ძლიერ ვარგობენ წრეულს, ან ედისონი, რომელსაც უხარია აკკუმულიატორების გაუმჯობესების აღმოჩენა. სიამოვნებით წამოისვრი შენდა უნებურათ რომელიმე სიტყვას და გაგონდება სახლი. ცეცხლის საშიშროება, რისთვისაც ძლიერ ცდილობდენ, რომ სახლები ისე ააგონ, სადაც 99% იქნება, რომ სახლებს არ გაუჩნდება ცეცხლი. განსაკუთრებით იქ, სადაც დიდ სართულიანი სახლებია, მერე ხომ ყველაზე ძნელია მაღალ სართულიან სახლიდან ჩამოსვლა. ლიფტები ვეღარ იმუშავებენ.

ისევ ერთი სართულიანი სახლი სჯობია. ბუხარი ხომ აუცილებელია, ვისაც სურს სიყვარულის დაწყება ან გაღრმავება.

ამბობენ არსებობენ ისეთი ქვეყნები, სადაც ნაკლებათ იცნობენ ბუხარს, ნიუ-იორკი. იქ ხომ შეუძლებელია იყოს ბუხარი, რადგან მას აუცილებლათ ჭირდება ყელი და თავები ისე აიმართებოდენ სახურავებზე, როგორც ჩალის ღეროები ან გადაჭრილი თითე-ბი. მაგრამ იქ ხომ ელექტრონით ახურებენ ოთახებს. იქ არავის არ შეუძლია დაინახოს ნაკ-ვერჩხალი. არ შეიძლება, რომ დაჯდე თბილ ბუხართან და როგორც პირიდან გამოშვებული თუთუნის ბოლი, ისე დატრიალდე ფიქრებში. მოიგონო ყველაფერი ის, რაც ძლიერ გავს სიხარულს ან და შეადგინო პროექტები. იფიქრო კაცზე და ყოველგვარ უნამუსობაზე.

——————— გაზეთის გადაკითხვის დროს აუცილებლათ შეხვდები არა სასია-მოვნო ამბავს. სიძვირე არ შეგაწუხებს, რადგან ეს უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე სატრ-ფოს ღალატი. ამაში შეიძლება დანაშაული მიუძღოდეს ბუხარსაც, მაგრამ ის ყოველთვის კეთილშობილათ ერევა საქმეში. უყვარს მუსაიფი მეტად გარკვეულ საგნებზე და თუ მაინ-ცა-და მაინც შეიძლება გადააჭარბოს და დაგავალოს ბაზარში ტარანის ყიდვა, რომელსაც თითონ გამოიჩრის პირში პაპიროსათ და ოთახში გადგება მიმზიდველი სურნელება.

მაგრამ ამერიკაში ხომ ბუხარს არ ხმარობენ. მხოლოდ კოლლექციისთვის ზოგ ალა-გას, ისინი დააწყობენ უზარმაზარ გრანიტის ლოდებს. შეაწყობენ ელექტრონის ან ნეი-ზილბერის ლამპებს და ამბობენ რომ ეს არის ბუხარი. უკან კი მოწყობილია პატარა მექა-ნიკური სატკაცუნა, რომელიც სტოვებს ილლიუზიას შეშის წვისას და ფოლადის, ჭრიჭი-ნა, რომელიც დაუღალავათ წრიპინებს.

——————— და ამერიკელს, რომელიც ღრმათ ჩაფლულა სავარძელში ელექტ-რონით გახურებულ ბუხართან წარმოუდგენია, რომ ის უზის ნამდვილ ცეცხლს და ანგა-რიშობს ამგვარ გამოგონების გასავრცელებელ რეკლამების ღირებულებას, რომლის პრი-ვილეგიური უფლებები ჯიბეში უდევს. უფლებებს ხელს აწერს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. რასაკვირველია, მისთვის უკეთესი იყო რაიმე უფრო ღირსშესანიშნავ გამო-გონების შეძენა, როგორც მაგალითად: ვესტინგაუზის, მაგრამ ესეც კარგია, რადგან ელექ-ტრონის ფეჩთან სიყვარულის გაღრმავება შეუძლებელია, ხოლო ბუხრის გულისთვის ყვე-ლა საქართველოში არ მოიყრის თავს.

ასე რომ ყველას შეუძლია იყოს მშვიდათ.

|

მისი სახე იყო თეთრი, როგორც ძველ მანეთიანზე გამოხატული მონარქის თავი. ექი-მები კი ამოწმებდენ, რომ მას სისხლი კეთილშობილი ქონდა, რადგან ბურთულებს ახასი-ათებდათ მეტი მჟავბადის ტევადობა: ეზარებოდა ექიმები რადგან ისინი ჭრიდენ კვდრებს და არჩენდენ ცოცხლებს. ამაში ალბათ დამნაშავე იყო ისევ ბუხარი.

სიამოვნებით გაზმორებას არაფერი არ უშლის ხელს გარდა პატიოსან საზოგადოები-სა, სადაც ზრდილობათ არ ითვლება ეს სასარგებლო აქტი და უნდა იჯდე როგორც პარ-ლამენტის თავმჯდომარე. მარტოდ ერთი მოწმე არ უკადრისობს ამ ამბავს, რადგან მიზე-ზი გამოწვევის თითონ არის. თუ ვინმე გაიზმორება, როდესაც გაითბობს რკინის რიკუ-ლებზე ფეხებს, ის უცბათ შეიშმუშნება სიამოვნებით და გაანათებს კუთხეში მდგარ გიპ-სის ქანდაკს ბაზარზე ნაყიდს. ელექტრონითაც შეიძლება ასეთი ეფ ეკტების მიღება, მხო-ლოდ ფეხის წვერთან ბუხარზე უნდა იყოს მიმაგრებული ღილი.

|

სოფელში როდესაც ხარ, ძლიერ კარგია ზაფხული. სახლები ისე მოფენია სერებს, როგორც ქალები მოედანს. თუ იქავე მიდის ლიანდაგი და არსებობს, რკინის გზის სადგუ-

რი, იქნება ალბათ მილიციონერი და ვიღაც ქალი გაურკვეველ წლოვანების და ოჯახური მდგომარეობის ყვითელი ჩუსტებით, რომელიც ყოველ წამს იღებს ჭიდან წყალს.

თუ კი წარმოვიდგენთ იმ ადგილიდან ადამიანის დგომის მიმართულებით ვერტიკალურ მილს ქვევით 12100 ვერსის სიგრძეზე, წავალთ უფრო შორს: თავს გავყოფთ ამერიკის პრერიებში ან რომელიმე მრავალ სართულიან სახლში, მილიციონერს და იმ ქალს ეს ვერ წარმოუდგენიათ.

იქავე დასეირნობს ღორი, რომელიც ფიქრობს გუნებაში, თავის ღორული, ალბათ მეტათ მჭერმეტყველური ენით, რომ ნარეცხი დღეს მეტად უგემური იყო და მას სრულებით არ აწყენდა, ერთ გობ საუკეთესო სურნელების მოზელილ მჭადის ცომის მირთმევა.

იქვე დავსეირნობ მეც. რასაკვირველია, მილიციონერს აუცილებლათ დაჭირდება მოსვლა და იკითხავს:

რომელი საათია?

მე საათი არა მაქვს და ვუთითებ სადგურის საათზე, რომელზედაც მარტო ერთადერთი ისარია და ვერ გაგიგია, საათისაა თუ წამის, მილიციონერი კი ამობს, რომ მას ქონდა საუკეთესო მოზერის საათი, მაგრამ გაუფუჭდა ბორბალი და უგდია სახლში. 12 ქვა აქვს.

სატრფოსთან წერილის მიწერა ისევე ძნელია, როგორც მარჯვენა ფეხით ცხენზე შეჯდომა. ვისაც პრაქტიკული დახელოვნება აქვს, ყოველთვის ფიქრობს ჰუმანიურათ და წერილზე დააპკურებს რამოდენიმე წვეთ წყალს. თითით, რომელსაც ჩაუყოფს ჩაის ჭიქაში. ბოლოში რამოდენიმე სტრიქონ ლექსსაც გამოწურავს ტვინიდან.

სოფლათ
გენაცვალე გეხვანხვალე
გინდა დღეს და გინდა ხვალე.

ქალაქათ
და თუ კი ჩემ-ბედს გადმოტყორცნეთ უიმედობა
ჩემი სიცოცხლე აღარავის აღარ ენდობა.

განსჯა კი ყველგან ასეთი არსებობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ნიჭზე. მაგალითად კანტის ტვინი უფრო მეტს იწონის ვიდრე გლეხის. მე მგონია, ამას სწავლობენ უნივერსიტეტშიაც.

სიყვარულში ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის ბუხარს, დანტეს და ბოშურ სიმღერას „ბუხართან“, რომელიც იმღერება გიტარაზე და რომლის ქართული ვარიანტი არ არსებობს.

სოფლის დღესასწაულზე საერთოთ ბევრი ხალხი იყრის თავს. ყველას სურს, გამოიჩინოს თავი, რომ გავრცელდეს ხმა, სოფელში თუ როგორ ერჩეოდა ის ყველგან. განსაკუთრებით ცდილობს სტუდენტი აგრონომიულ ფაკულტეტის, რომელსაც გალსტუკი გაუკეთებია და აცვია ტილოს ჩექმები. ის ყველაზე ნაკლებათ იცინის და სახე სერიოზული აქვს. ერთი ნასალდათარი, რომელმაც მრავალი უცნაური სიტყვები იცის და ყველას აკვირვებს, ამბობს სტუდენტზე:

— პოზაში დგას.

მსმენელები კი წარმოიდგენენ, რომ სტუდენტს ბევრი უმგზავრია მატარებლით. ნასალდათარი კი დაუმატებს:

— პოლკოვნიკსაც უყვარდა პოზა.

მსმენელები ველარ გებულობენ ვერაფერს. შეიძლება საჭმელიც იყოს.

პოზის შესახებ ქალაქში არსებობს უფრო სხვა გაგება. ბევრს წარმოუდგენია, რომ პოზა არის ნიკოლაძის ქანდაკება.

კონდუქტორები არიან განსაკუთრებულ ფსიქოლოგიის. ერთმა კონდუქტორმა იცოდა, რომ ღმერთი არ არსებობდა და ამაყობდა როგორც არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატი. როდესაც რომელიმე გლეხი დაიფიცებდა:

— ღმერთმანი.

ის მაშინვე მოიმარჯვებდა ირონიას, როგორც პოეტის კალამს და რამოდენიმე წამს კითხულობდა ლექციას.

— ... რომ შიმშილით მოეკლა, თქვენი ბილეთი.

— არა მაქვს, ვერ მოვასწარი.

— მერე რატომ ვერ მოასწარი. ვერ მოასწარი კი არა, არ იცის, რომ...

თან გუნებაში ფიქრობს, რა საუცხოვო რამეა ეს ირონია. გლეხი პირდაპირ მოისპო და ხაშურის სადგურზე მან უნდა იყიდოს კარტოფილი, რადგან დღეს კვირაა.

აკაკი ბელიაშვილი

1924

მელანხოლია მეცამეტეჯერ

არ მშორდება მელანხოლია მე
ამერიკულ პრეისკურანტზე.
ნეტავი ღრუბლები მაინც გავდეს ფოსტის ყუთებს
ნეტავ უკანასკნელათ გამოვხადო (შედარებით) პოეზიის დიდი ღირსება
ფაუსტის ცხენი — რომანტიულ მოტოციკლეტთან
მე კარგათ ვიცი ვინ გააკეთა ვაჟა-ფშაველა
ის არის სოველი პური მადამ დე-კარენის თმებში გამოხვეული ■

არ მშორდება მელანხოლია მე
ტკბილ ლიტერატურაზე **33**
როდესაც ხელებით დავიჭერ მუცელს
ვეფხვივით შევარდები ტე-ტე-ბუას ბოთლში.
მაშინ შევეჩვევი ნიუორკის ბალს
მაშინ ვიმღერებ
ტ ო რ ო ლ ა ს ■
ახ მეგობრებო მომინახულეთ ჩემი გულის გამოფენაზე
დამსწყევლოს ჭინკამ
თუ არ მქონდეს ეროვნული მოყვანილება
და არ ვგავდე ინვალიდ ანგელოს ●
არ მშორდება მელანხოლია მე
ელექტრონის ლამპის შუშაზე
მელანხოლია ■■■■■■■■■■■■■■■■

მორწმუნესთვის ჩავალ ყანწში ყელის გამოსაჭმელათ
ღრუბლები დამადგება თავზე ათასი ფუთი
ეს იყო დიდი დღე
როდესაც შემიყვარდა
ოსური ყველი ■

პავლე ნოზაძე

ხისმანდური

ხვალი
უტირალუ
ინგი
მონალინგი
არჩა
ხაბალარჩა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ჰაეროდრომზე■

ქარს ქონდა
ფრთა
ფრინდალი
ქარი გაფრინდა
ქარს გაყვა
ცინდალი
ერთი ციდა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

მონადირეთა■

ხერი
ხელზე.
ხეზე კოდარა
კოდიდარი
არაქონდარა.
მკერდი
ხერდი
ქონდარს წიბური
ეგდო
ხენდრო
ერდო წიდური.

ნიკოლოზ ჩაჩავა

შელოცვა მთვარისეულებს

ალთა
ბალთა.
ბარიბართუბართა.
ჯაჭვი ჯაჭვნადური
ქალდინადური.
დარი ნატყუბარი
ხრა ნაგუბარი.
სულადი უწმინდური
ხარდინადური.

ნიკოლოზ ჩაჩავა

შანდი და შროშანა

შარდალს შორდება ძილი
ძილდინა გაგულისდა.
დღისური ქანდაძილი
მთვარეზე გასულისდა.
გოგონა მოგონა ხანძარი
სოფელი მოფოლა. მოშარა.
თანსურდა სურდული — ხვანჯარი
თანშურდა შანდი და შროშანა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

კონტრასტები

ხელი
დღევდებოდა
ხელი
ხევდებოდა.
გული
ნამკერდული.
გული
გაგულდული.

ხანი
ხანდებოდა.
შანი
შანდებოდა.
    თვირისეული
    თვირისიანი.

ნიკოლოზ ჩაჩავა

აბრეშუმი თირისტარზე

1

აბრეშუმი შუმი
მაბრეშუმე.
შარა
მარდათ
დამიდაბრეშუმე.
თირისტარი აგებული
გუბე გობი
გუბე დამიდაგებულე.

2

თვალი მრუდე
თვალი
ბრალი
განგებ აბეზარებული.
ფარჩა ნორჩი
ოქროთ
ოქრო
უხვად გამიდარებული.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ხელხვავი

ტარო უდარო.
ტარო უტარო.
ბღერი და სკიპიდარი
ტარო ნასიმიდარი
სინდიოფალა■
ჩალა ნაჩალევი
ხმელი ნაძალევი.
გოდორი გორიცა.
გოდორი ოდიდან.
ნაგულა ნასიმიდარი
მეხრე და სკიპიდარი
სინდიოფალა’■
ღამე ღამისა
ხმა საყდარისა.
სიმინდი სინდისელი.
შკერი და შვინდისელი
შვინდისოფელა■
ტარო უდარო.
ტარო უტარო.
ბღერი და სკიპიდარი
ტარო ნასიმიდარი.
სინდიოფალა■

ნიკოლოზ ჩაჩავა

აგვისტო

მზეთუნახავი ხაო

ხერეხეილ ხელდეირა
იოდე შარაული.
ცხენები.
ცხრათვალა უნაგირი
გირები
[redacted] გირიალ
[redacted] გიალუ.
მზეთამზე სამზირალი
არჩენილი იაყარა
გარსივიდ არძილ
მანძილსკნელები.

ზაკვარმა რაიჩემა
მოვარჩენ რედოფალსო
ქალბანა
არდაშხანი
თანდუხათაია.
კლდე ღრე ნაღერღალი
ხრამი ნაღერდალი —
რა მთას დაეჯახა
ციხელიუვა.
ციცაბო არიწილ
გარსივიდ არძილ
მანძილსკნელები
სიპი ახერხილი
იშკირა იატახა
მზეთუნახავი ხაო.
ხერეხეილ ხელდეირა
იოდე შარაული
ცხენები უთვალო. უუნაგრო
აღვირი. გირიალ. გიალუ.

ნიკოლოზ ჩაჩავა

23 წელი

ზღაპარი ცხრამთასიქით

ჯიხუ ხე რქა
ჯიხუ ფეხუ ფეხი.
ღრუ
ღრე
ხრე
ქორაბუდე.
ხავი ხევი ხმა
ხამი ხავი ხვავი■
მოლაღური.
ღრუ ღარი
ღელე ღულე
თურმე ხავსი.
სურო ნასურდალი
იქაო.

ცა ბინაშური
ცა მოშინადრე –
ხრიოკი ცინათია.
მთვარე გადმოისვრის
ცა აშენდება■
ღრუ.
ღრე ხრე
ავისულები
ავნარები
ცხრამთას იქით.
ქაჯი თხაჟანგი
ქაჯი თხვერიმო
ნათხულარი ეშარადე.
შარდი ნათხულარი
ხულარი მაშარადი
შარხულა■
დოფალა უჩინარი
ხეები უძინარი
ხიარულე ■
დურები დორბოში
ურემი ორმოში.
ორმო ქვესკნელში.
ქვესკნელი გადაივლის
ზესკნელი ადუღდება
ქვა მოაბინაურე
გინდარა■
დარი ნაშურდალი
შურდული ნაქურდალი
ღურღულო.
ღულარა გულდაური
აბლაბუდა.
ბუდეში მორბი
გიდელი დორბლი
მორბილე.

ნიკოლოზ ჩაჩავა

23 წელი

ლირიკა.

ხ არივარრგა
არგალი
უ
უბრიოლლა

ვ ამიხალული
უმის ლამისა

ა რ ი ა ნ დ ა რ

მ	ო
ხ	ა
რ	უ
ვ	ი

ვ	ა
რ	უ
ვ	ი

ლინდამაია

სხარუზრდილ
ზრდილოგიანი
ვიყავ
ალგათ როდისმე
მეროდილ.

ნიკოლოზ ჩაჩავა

რევოლიუციონურ მინდვრების შესახებ

შავი ნაბდებით, ცხენის ხაზებით, ძმა ყაზახები:
ისროდენ ველებს... ისროდენ დონს... და ვოლგის ნაპირებს ■
და ურალები გაჭინთული პარალელი გრძელ ყაზარმების,
იყო მახნოელთ გადამყოფი როგორც ბოგირი ■
ისლების მინდვრებს, გაყვითლებულს ჩალის შრიფტივით
ადგენ სოფლები ■ მარხილები ბამბის გლეხების.
მოწყდა ციმბირი, ტივებივით გაყვა მახნოებს
და რქის მოზვრებით ის გაიქცა როგორც ბეღელი ■
და ნაკვალევზე გარბენილი, ცხენებთ ტორებით...
მეკობრეებსაც აგონდებათ გაქცეული შორი რაზინი ■
რამდენი ზეცა გადაყლაპა დონმა უკბილომ.
რამდენი გემი მან დაღუპა გლეხის როზგივით ■

სიმონ ჩიქოვანი

ოქტომბერი

მეკამეჩეების ურმული

ორგი’დო ხერგ’დო მუხების რკო!
ხორბალი, კომბალი
კომბალი ონბალო
კომბალი ბალიგი
ბობო’და ლომები ბობო’და სპილოებს
ფუღუროს ნაკოდალს, ფილტვებს ნაგუდარს ■
ღერღილს მოროშილს, სიმინდს დაღერღილს ■
ორგი’დო ჩალა,დო ორი’დო კამეჩებს
ზიზურე-რო-რო,დო ზირურე აბეჩებს ■
კომბალი და სახრე-ბორძიკი. თხმელა
აბედი ურმების. ხეები ხორ, ბო
მზის მუცელს ნაბიჭარს
მზის ხვრელებს ზღარბი ჭამს
ორგი’დო ხერგი’დო მუხების რკო!
ენგურის ირემი. ენგურის ორ’ბები
თხუნელა, თხომური-ზომური ზომური ■
ჰე ფიჭვებს, წიფლებს, შტოებს და ნეშოებს
მახრა, და კამეჩი, ქატო და მუხუდო.
ეი! დო ზორ,შარა მოტობა,დო მუმლი ■
ნახშირის მუხაში ■
ბღაოდა მუხაში ■
კამეჩი უხეში ■
ტალახში ფუყეში ■
დილამ’დე ძაღლები კამეჩებს უყეფენ ■

კოპიტის მამალი კამეჩებს მიყივის■
ეი!დო ზორ შარა მოტობა,დო მუხლი■
ეი’დო ბორანი კომბალი და სახრე■
ეი!დო ზორ შარა მოტობა, დო თხომური
ზომური■ ზომური■

სიმონ ჩიქოვანი
ოქტომბერი, 24 წელი

წინა დღეები■ მოსკოვი

ქალაქის გრაფიკა ჰ, მოდის ტრამვაი ცილინდრით.
კლასიკურ ღრუბლებს კონდრაბანდი მოაქვთ ზამთარის.
რეპორტიორმა დაატყვევა ფელეტონი დრო
და გაზეთები გამოსცემენ ბრძანებით ტერორს.
მუშებს უყვარდა მანქანების ლირიკაში თოვლი უმანკო.
ბუშტმა დასერა გარდერობი ესერების ჭრელ რეკლამებით.
არის ძახილი ლიანდაგზე — ძირს როძიანკო
და შემოიტანს ფარაჯებში ტროცკი რეგლამენტს.
და რესპუბლიკა შემბრუნები კრემლის ბორკილი
ყინვით გრადუსი რომ აიწევს კიდევ სანტიმეტრს
ტვერსკის სიგრძეზე თმა გაშლილი გამორბის გორკი
და დარბაზები დაიწყებენ ციფრებზე ტრიალს.
როგორც ქალაქში ტენორივით ძეგლი პუშკინის
იარაღების საწყობები ვარსკვლავებათ დასკდა ჰაერში
ადგა ჭადრაკი ▬▬▬
სივრცეები გადიმღერა ბრბომ და ბეღურამ■
მებრძოლ ძეგლებით გამოიქცა ცენტრში გარაჟი
მირბის და მირბის ტროტუარი ჩექმის ქუსლებით.
ხალხს ასტრონომი შეადარებს ვარსკვლავების მცურავ კალიებს.
თვითონ ქარხნები აქ მოდიან საარჩევნო გრძელ ნაბიჯებით
აწ ვინ გაყვება შორს ღრუბლების მაგისტრალიებს
როგორც დათვები ვალინკებით ჯანყი გლეხების
როგორც კიპარის შორს კერპივით სდგას პარლამენტი
როგორც კუბიკი ხლოროფილის უჯრედებს შორის
ფოსტის ყუთები მიკივიან უკან ტრამვაებს■
დროს რომ შოფერი მოენახოს კრემლის ცენტრიდან
პროლეტარების ლენინივით სდგება ტრიბუნი
ყუმბარა ნისლი■ რომანტიზმი თოვლის მტრედებით
მთელი ქალაქი აჯანყების ფირფიტზე ბრუნავს■
ეპოსი გრძელი და წერილი შეშის ქარხნიდან
პაციფისტები რომ კრემლიდან სწრაფად გარეკონ
ტვერსკის სარკეზე ისტორია შორს მისრიალებს
ლუდის ბოთლების პრობკებიდან ამორბის გორკი■

სიმონ ჩიქოვანი
სექტემბერი

პრიმიტივი სიმღერის მასალა „ცირა“

ბადე ბაიდებს
ბუდე ბაიდებს

ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს
აიდა — ბაიდებს, აიდო ბაიდებს
ცირა ციბა ცირა წარბი ცირა წაბლი წარბენილი ■
ცაკუთხური, ცაკუთხედი, ხიდბოგირი.
ოდელიოდო ბუდე ოდელიოდო ცა
მდინარის პირას ცხენების მოცდა
ცირა შინდი — შორს ბაიდით გადაფრინდი

უდე ბუდე
უდევს ბადე
და ბაიდებს
ობადები აბადია

გადაფრინდენ, გადმოფრინდენ, ფრინველები უბინადრო ■
ოდელიოდო უმბო ბუდე ■ ოდელიოდო უკიბედრო ■
ხიდბოგირზე ცირა ციბას ობობებით შეევედრე.
უბინადრო უძარიდრო ძარ ბაიდებს ცისადგამი ■
სცურავს ზღვაში ცამებული
გემებს მოაქვს იალქარზე ცაბოკონი
ტყეს დატვირთავს ცამეკირი
ოდელიოდო, ცა — უდე ბუდე
უდევს ბადე
ობობამდე

ფუტი ბუხრის წარბებს მოხრის
ცირა გულით გამოცრილი
გამოცირა გამოხიდი
ცისბოკონებს გამოხედე ■
ოდელიდო თუთა
თუთა, დო ცაფარი, ნეშოგამო და ცაბარი
ცირა გათხელდა როგორ ჩაფარი
ცირა ციბა ტორი ტანზე და ფაფარი.
შარა წარბი წარბენილი
გამოგული წაბოლილო გამოფიტა
გამოგული შორს ბაიდებს, რომ მიყვარხარ გაბუტული
გამოგული მზით მდინარე დამშრალი და გამარგილი
გამოგული მოთუთო და უმბო ბბა.

ბადე ბუდე, მდინარე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულ ფილტვს დაიდებს
ცირა შინდი — ობობებზე გადაფრინდი.

უდე ბუდე
უდევს ბადე
და ბაიდებს
ობადები აბადია

სიმონ ჩიქოვანი

პლასტო პოემა

პირველი

ვბრუნდები.
ეს გზა:
გატკეპნილი ტავტოლოგია.
თქვენი პოზაა —
მოქნეული კარტონის ხმალი.
თქვენ ეხლა გცივათ და
გამძაფრებსთ დეკემბრის
სუსხი.
გინდათ გაფრენა ავტო-ლექსით.
ელოდეთ ავტორს.
ჯერ კი —
მიირთმევთ ამ სუროგატს
გამხმარი ტემბრით,
უსხივო,
როგორც ბენგალიის
ô ეიერვერკი.

[redacted]

მეორე

ყველა ტრიბუნის და ესტრადის
        გასტროლიორი
ვირგებ ქუსლებზე
        კáô ე — კáô ედრას
ტფილისი — ვედრო
ჯორჯიაშვილის ბომბებისთვის პორტატიული
სცლის ელევატორს მუზების და ლექსის კონსერვით.
დღეს ჩემი გული გამოცხადდა პორტო-ô რანკოთ

საექსპორტო ხომალდები
და ცისტერნები
საჰ ესტივალო ჰ ესტონებათ
გადაზოლილი ბომბეიდან — პორტარტურამდე.

მესამე

გვეჭირა ძვლებზე
საქართველო, როგორც ბრაუნინგი
და ვუმიზნებდით.
ბერინგზე მკვრივათ გაყინული
ჩვენი შუბლები
უშენდენ ღრუბლებს
უბლაგვესი
მზის დუბლიორებს
ვიდექი, როგორც
გეკატომბა გიგანტიური
ავანტიურის ფეხადგმული
            დაბიუტანტები
იყო კიოსკი — ბალერინა.
გაბრწყინებული ტრაპეზივით.
ის ეხლაც ბრუნავს.
დარკინული და მოარეული.
მის სისწრაფეზე
თქვენ ეხლაც თბებით.
მცივა მარტო მე —
როგორ სციოდა ჟანადარკს, ან სავონარულას
კოცონზე მიკრულს ფრჩხილით და თმებით.

მეოთხე

აგდია მტკვარი
მეტეხიდან მოტეხილ ბელტათ,
და მტკვარზე უფრო ამღვრული
        ტფილისის ღამე
მე დავედრები
რვაკუთხედათ მოვარდნილ ციკლონს.
ვაფრთხობ გუმბათებს —
(გახსენება ჯელალედინის)
        ჩემი ყოველი ამხედრება
        რჩება პროლოგათ
        და ეს პოემაც
        ნეკროლოგია.

ბესარიონ ჟღენტი

გაგრძელება

შუა ქუჩაზე
მზე ფეხდამცდარი
ჩამოვარდა წვრილ მავთულიდან.
წუთის გულიდან
წამწამებზე დაეკიდა სინათლის წვეთი —
მისხალი დრო
და...
ლურჯი ვიტრინა ფართო თვალების
ყველა ტრესტებზე
უფრო იყო სიმდიდრე ქუჩის.
სახლები — სახლზე
სართულები შუბლზე მიჰქროდა
360-ში
დღე იყო ერთი
როგორც ტრამვაის,
მოხეული მწვანე ბილეთი
ეკიდა თვეზე
სულ პატარა და საცოდავი.
ცას ამოვსებულს
გამურული თუჯის ქვავებით
მაჯა ვერ იტანს
კუნთების სუნთქვა სცემს ფოლადივით
დაატყდა მძიმედ
და...
ხმა გაცვეთილ
ვიწრო ყელიდან
ჩამოწყდა საათებს ციფე-ბლატები; —
გზათ დაფანტული.
დრო როგორც ხრეში —
წუთი კენჭივით გადავარდა
სარკის უბეში.
კვამლი უძრავი ვით
ფოლადის მძიმე ნახერხი —
რკინის ღვედებით მობრუნებულს
დაეცა ქუჩას,
ქალაქის ქშენა
გაქცეულ ნერვებს
ბორბალმა შუბლზე გადააჭენა —
მაღ ამართული.
ბეტონის ბოძები — ფოლადის ფრჩხილებით
სპილენძის მავთულით
სართულის გადაღმა

ცას თვალი გადაება —
და...
გაუზომელი მანძილის ქარტა —
მგზავრის ჩემოდანს დაეცა დარდათ.

ნიკოლოზ შენგელაია

ნეგატივი

ფორთოხლის ჩრდილში
ოქრო პატარა
მზემ
ღამის ლანდზე
გადაატარა —
ავტომობილი
გზა იყო მოკლე
როდესაც!
წამი მზის სხივში მოკლეს —
გზა გასწრებული შოფერს — შოფერი
დაუდგრომელი
პილოტს—პილოტი,
მისდევს.
გემის ანძაზე
ქარი ტიროდა
ეს იყო ის დღე —
და..

ნიკოლოზ შენგელაია

ფრაგმენტი რომანიდან

„ხვითო“

თავად ბარამანდიას მამულები გაშლილი იყო ზღვის ნაპირიდან მოყოლებული, — წასული მთებში, ხრიოკებში, ხევებში სამონასტრო მამულებამდე. მის მამულებს არ უჩნდა კიდე.

უღარი, ბარი, ჭაობები, უყი, ტბა, მდინარე, სახნავი, საძოვარი, ყამირი, მთები, ღრეები, დობილო, მაღლარი, ჭილოფით დაფენილი მინდორ-ველები, ალორთქილი თხმელის ფშიარები, ტყეები... ითესებოდა: სიმინდი, ღომი, ბრინჯი, თუთუნი, კიტრი, ლობიო, კვახი, ნარინჯი, ჩაი... ნათესები გაშლილი იყო ცისკიდურამდე და ვიწრო სარტყელივით შემოჭერილი ჰორიზონტი ვერ უძლებდა მამულების სიგანეს. ჩრდილოეთით სვანეთის მთე-

ბი მუზარადებივით ამართულიყვნენ და საღამოობით ახალგაზრდა ემუხვარის სისხლით იღებებოდა (ამაზე შემდეგ) მისი კალთები.

გლეხები და ხიზნები ამუშავებდნენ ბარამანდიას მამულებს, ხნავდნენ, თესავდნენ, თოხნიდნენ თავაუღებლად, წელში გაუმართავად და გაზაფხულზე, როცა ტყემლები ყვავილობას გაათავებდნენ, ბარამანდიას სასახლეში ისმოდა ყანებიდან ნადური სიმღერები.

საბარამანდიო უხვად იყო დაჯილდოვებული ბუნებისაგან. გლეხები მთვარიან ღამით მიდიოდნენ პალიასტომში სათევზაოდ, ან სანადიროდ და ღამენათევნი ბრუნდებოდნენ იქიდან კოღოებითა და დედაბერა ბუზებით დაკბენილნი ნანადირევით, თევზითა და ჭაობთა დაუჟმურებულ ლეგენდებით დალორწილნი. ოტია ბარამანდიას უფროსი ვაჟი გურამ თან ახლდა გლეხებს, გულჩახვეული, დაფიქრებული მოვიდოდა სახლში, ჩაიკეტავდა კარებს... ზაფხულში, როცა თოხნა გათავდებოდა, სჭრიდნენ ტყეებს, იქცეოდა მიწაზე ასწლოვანი ნიგვზები, ჭანდრები, წაბლის ხეები და ათასწლოვანი სისხლივით წითელი ურთხმელები.

შემოდგომით სასახლეში მოჰქონდათ ღალა: თაფლი, გაცეხვილი ღომი, თუთუნი, თევზი, ნადირის ხორცი, გიდლები, გობები და დარდიმანდი, მოურავი, რომელსაც სახელად კუდაბზაკუნს ეძახდნენ, დააჭენებდა ცხენს ყანიდან ყანაში, კალოდან კალოზე, სადაც „ხელხვავი“ გუგუნობდა, ჰკრებდა ღალას, დავობდა ბათმანის სიყალბეზე, ტვირთავდა ურმებს, სტენიდა ბატონის ბეღლებს, ხულას ხალმებს, კოკებს, ქვევრებს, ოდის თავანს და თავის თავსაც არ ივიწყებდა.

და ასე: — გაზაფხულზე ხნავდნენ, ფარცხავდნენ, თესავდნენ, ზაფხულში თოხნიდნენ, ტყეს სჭრიდნენ, შემოდგომით ჰკრეფდნენ, მკიდნენ, სიმინდს სტეხდნენ, ღვინოს სწურავდნენ, ზამთარში ნადირობდნენ, თოხებზე და წალდებზე ახალ ტარს აგებდნენ, შეშას სჭრიდნენ ან და განიერ ყარამანდულ შარვალში შუაცეცხლთან ბაყვებს იფიცხებდნენ, ახლად შერთულ ცოლს, ალერსს მიუჩვეველნი, მოუხეშავად ეარშიყებოდნენ, კვახს ხარშავდნენ და პატარა ოჯახის წევრს, ორკლასიან სამინისტრო სკოლის მოწაფეს, ყურს უგდებდნენ, რომელიც „ყარამანიანის“ მეოთხე კარს ხმამაღლა კითხულობდა.

ხანდახან მათი მყუდროება სასამართლოდან მოსულ უწყებით თუ დაირღვეოდა, ან „ნადელი“ თუ შეაწუხებდა, ან და მეზობლის ღორი თუ გაარღვევდა ღობეს და იყო პატრონის დედის გინება, მოქნეულ წალდისა და ჭოლოკის ჰაერში სივილი, გამოკიდებულ ძაღლების ყეფა, ღორის ჭყვირილი და მიტევება:

— სსსიოჰ!.. სსსიოჰ!.. ეცი, ჰო!.. ეცი ჰო, მაგ მამალი გელის შესაჭმელს!

მერე იყო მეზობელთან საყვედური, რომ ღორისათვის უღელი დაედგა, ღორის პატრონი ყურს უგდებდა, ჰპირდებოდა, მაგრამ უღელს მაინც არ ადგამდა: (უღლიანი ღორი ბევრს ვერაფერს იშოვიდა და ჭამა მეტი ესაჭიროებოდა).

შობა-ახალწელიწადს იყო ხაციცისა და ჩიჩილაკის მზადება, ხონჩა და კელაპტრები. საწნეხელზე ღორის თავის ცემა და „აგუნას“ ძახილი.

ასე ცხოვრობდნენ ისინი ბატონის, ღვთისა და რუს ხემწიფის შეწევნით, დაილოცა მათი სახელი.

რომელიმე ოთხმოცი წლის მოხუცი დაძინების წინ გამოვიდოდა სახლიდან, პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებდა და ლოცულობდა:

— ღმერთო, შენ შეეწიე და აცოცხლე რუს ხემწიფე!..

სოფელ საბარამანდიოში იდგა ურთხმელის ბოკნებზე დაყრდნობილი ხის ეკლესია.

საკურთხეველში წმ. გიორგის გავაგასიებული თეთრი ცხენი აფრენილიყო, მხედარს რატომღაც ზეწარი გაეშალა და ყბამოქცეული დიაკვანი სახარებით ხელში ყაყანობდა:

— აა-ი-ააა-ა-მი-ი-ინ!.. — და თან ახალგაზრდა ქვრივს თვალს უშვრებოდა.

პატარა ფეხშიშველა ბავშები გონიერ თვალებით და მოხუცი დედაკაცები სასოებით პირჯვარს იწერდნენ, წმინდა გიორგის რაშს ფლოქებს უკოცნიდნენ და ოცნებად წასულ თვალებით უცქეროდნენ ხახა დაბჩენილ მომაკვდავ გველეშაპს.

ანაფორა შემოგლეჯილი მსუქანი ხუცესი საცეცხლურს იქნევდა და დედაბრები და ხამის ნიფხავ-პერანგა ბავშები მოწიწებით ჰკოცნიდნენ ჯვარცმასა და მღვდლის მწვირიან ხელებს.

ოთხმოცი წლის დედაბებრები იდგნენ შავებში მოფუყულ ყვავებივით, ოცნებობდნენ მიბ-ჟუტულ თვალებით და დარდობდნენ წარსულზე, როდესაც ისინი აქ სადედოფლოდ გამოწყო-ბილნი მოუთმენლად უცდიდნენ საქმროს, სიწითლისაგან ლოყა უსკდებოდათ, როგორ გა-მოვიდნენ ისინი მეორე დილით საქორწინო ოთახიდან ბედნიერნი, თვალის უბე ამოლურჯე-ბულნი და ფერდაკარგულნი, როგორ უცდიდნენ ფრთხილი ნატვრით ადრე დაღამებას და როგორ წავიდა მერე ჯაფით გაძაღლებული სიცოცხლე, როგორ მოვიდა სიბერე...

ხახვისფერ ხატებს წინ ბჟუტავდნენ წმინდა სანთლები და ეკლესიაში იდგა საკმევ-ლისა და ჩრჩილის სუნი.

ანალოღიასთან იდგა თეძო ამოვარდნილი მნათე, სარტყელზე ეკლესიის უზარმაზა-რი გასაღებები გამოება, თაფლის სანთელს ჰყიდდა, სპილენძის კაპეიკიანებს ითვლიდა და დიაკვანს ბანს ეუბნებოდა.

ეკლესიის ეზოში ასწლოვანი ცაცხვები და ჭანდრები ირწეოდნენ და განიერი ჩრდილი გადაეფინათ წაფერდილ ჯვრებიან საფლავებზე.

სადღაც ჭიჭინობელი გულის შემაღონებლად ჭრიჭინობდა და ყურძენს ამწიფებდა.

აქ იყო თავად ბარამანდიების საგვარეულო სავანე. აქ ესვენა ბაგრატ დიდის ერთგუ-ლი ერისთავი და ბარამანდიების სახელოვანი წინაპარი ბარამან და მისი შთამომავლობა ნუგზარ, ოტია, კახაბერ, რატი, მამია... ეპიტაფიებით:

1. აქა დაფლულ ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი ფარსადან ბარამანდია და მყოფე-ლი ამა საწუთროსა შინა 56-სა წელსა, გარდიცვლებოდა რა 1845 წელსა, მაისის 28 დღესა, უკანასკნელ ჟამსა თვისასა იტყოდა მას, ვინცა აქა და მერმეცა ვიტყოდი, მე ვარ აწ ვინცა იქადის მე ვარ... იქნება ვერ მგრძნობელმან... აზნაურმან კორძაიამან უქმნა. ლოდთანა წარმავალთ სთქვათ განუსვენე უფალო მონასა შენსა.

2. უბედური დანიშნული გავხდი მეუღლეს ნატრული,
სიცოცხლემ არ მომცა პირი, თავზე დამედგა გვირგვინი;
ქორწინებას ვაპირებდი, გამომიჩნდა უცებ ჭირი,
ამასაც არ დამაჯერა, მომივლინა თვით სიკვდილი,
ალექსანდრე ბარამანდია მივიცვალე 1877 წელსა,
იანვრის 10-ს, მშობელი დამრჩა გამწარებული.

3. Çäåñü ï î êî è òñÿ:
Ø òàáñú-î ô è öåðú äëÿ î ñî áû õú ï î ðó÷åí è é
ï ðè
Âî åí í î ì ú Ãóáåðí àòî ðъ Êàðññêî é Î áëàñòè, Ï î äï î ëêî âí è êú
Êí ÿçú Áî ðèñú Ñïè ðèäî í î âè ÷ú
Áàðàì àí äiÿ
ðî äèëñÿ 1803 ã, 11-ãî ì àÿ, ñêî í ÷. 1854 ã. 13-ãî ñåí òÿáðÿ.

.....

სასაფლაო...

ხანდახან ვინმე შავში ჩაცმული დედაკაცი თუ გადმოვიდოდა ეკლესიის ქვიტკირის გალავნის ალაგზე, დაემხობოდა საფლავზე და დაიწყებდა გულის დამთუთქავ მოთქმასა

და ტირილს და მაშინ ადგილობრივი პესიმისტი პოეტი, ვალოდია ირინეშვილი, რომელიც სატელეგრაფო კანტორაში მსახურობდა, დასწერდა ოქტავებით პოემას ან სტანსებს სიცოცხლის ამაოებაზე ბანალურ სტრიქონებით, ატირდებოდა ღამეებში, მთვარეს შესჩივლებდა, რამდენიმე სტრიქონიც საყვარლის საფლავის შესახებ იქნებოდა...

საბარამანდიოში 40-მდე კომლი მოსახლე იყო, ყველა გლეხები. საცოდავად გამოიყურებოდნენ ისლით დახურული სახლები და კარში ეკიდა გასამზეურებლად გაფენილი მწვრიანი ნიფხავ-პერანგი და ვინმე არგადასარჩენ გასათხოვარ გოგოს ერთი ხელი სამზითვო: ორ-ორი ბალიში, ლეიბი, საბანი, მუთაქა, ზეწარი და ერთი ჭრელი თუნუქის ზანდუკი.

სახლის წინ გაძვალტყავებული ძაღლი იწვა და შიშველი ბავშები დატანტალობდნენ მოლნარზე. ახალგაზდა ლოყაწითელი გასათხოვარი გოგო იქვე სახლის წინ ჩამჯდარიყო, გვერდით ხის კოთხო ედგა, ცოცხალი ბატი ფეხებში მოემწყვდია, კურტუმოს ქვეშ გინგლს აბტკვნიდა და ბუმბლს კოთხოში სტენიდა. ბატის გაჭირვებული ყვირილი ეზოს აყრუებდა და იქვე კურტუმო გამობტკვნილი ბატები კისერ წაგრძელებულნი უზრდელად დატანტალობდნენ და კმაყოფილ ყიყინით და ბუქნით გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეს ნიშნს უგებდნენ.

საღამოთი გოგო ქვეშაგებს მიწიან სახლის კუთხეში დააბინავებდა და ნავახშმევს ლობიოთი მუცელგატენილი დაწყვებოდა და დაიწყებდა ოცნებას ბატონიშვილ გურამზე, რომელმაც დღეს საღამოს მას ირიბად გადმოხედა, თუმცა კარგად იცოდა, რომ იგი ამ ბედნიერებას ვერ ეღირსებოდა და მეთოხე გლეხის აბედივით დაკოჟრებულ ხელების ალერსი და ბალნიანი მკერდი არ ასცდებოდა.

მამამისი ლოგინში ტრიალებდა, დაბადებას იწყევლიდა და დედას აგინებდა ბატონებს, ხელმწიფეს, ღმერთს და მის გამჩენს. ქალიშვილი ყურს უგდებდა, არ ეძინებოდა და ლობიო მუცელს ჰბერავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გურამმა ფეხმძიმედ შეჰქმნა, ფეხზე დგომას ვერ ჰბედავდა, სულ იჯდა, რომ წამობერილი მუცელი დაემალა, დედამ წყევლისა და ლოყების პოტნის შემდეგ გოდორში ჯდომა ურჩია, რომ ფეხმძიმობა მამას არ შეენიშნა. მამას უკვირდა ქალიშვილის ახლად შეძენილი ჩვეულება, ეჭვი შეეპარა: წამოაყენა, მიხვდა, წალდს ხელი წამოავლო... მეორე დღეს იგი წისქვილის კოდში მონახეს: — თავი დაეხრჩო.

საბარამანდიოში იდგა დიდი ოტია ბარამანდიას ცხრათვალიანი წაბლის ოდა, შუაში ურთხმელის ბოკნები დაწეულიყო და წელში ჩატეხილი ოდა ყავრის სახურავით.

ოდის უკან იდგა სამზარეულო, ხულა, სასიმინდე, მოდგულა, საღორე, წაფერდილი ჩეჩმა, ბოსტანი და ბოსტანთან ქთამებისაგან ჩამოსკინტლული ტყემალი.

სახლში მუდამ სამარისებური მყუდროება იყო, ზაფხულის არდადეგებში თუ დაირღვევოდა ეს მყუდროება.

გიორგობა დღეს სოფელში გაჩნდებოდა არღნისა და მუსიკის ჭყივილი. მთვრალი ხალხი ეტლებით სეირნობდა. ლოთები ირწეოდნენ, ეტლიდან არწყევდნენ და ენა გამოგდებული ძაღლები სალაფავად მისდევდნენ.

ოტია ბარამანდიას ოჯახში იყო მრავალ-ჟამიერი, სადღეგრძელოები და ეზოში მოსართავ მოხდილ ცხენების ჭიხვინი.

ეს იყო გიორგობა დღეს, სოფლის დღესასწაულზე.

ჩვეულებრივ დღეებში ოტია ბარამანდია იჯდა წელამდე დაცემულ წვერებით, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და გველაძუა მოურავ კუდაბზაკუნს ემუსაიფებოდა:

— მოურავო, რავაა ნადირობის საქმე? წლეულს მწყრები, მგონია, ბევრი იქნეს და აბა შენ იცი, რავა გააწაფიებ მიმინოს.

— დარები ჯერჯერობით კაია და მოსავალზეა დამოკიდებული რამდენი მწყერი იქნება! აი, ხომ ყველაფერი კაია, ბატონო, მარა, ერთი რაცხა მინდა მოგახსენო...

— სთქვი!..

— ჭამისეულის ღელე რომაა, ბატონო, იქინე გლეხებს ყურდგელის ცურცლი უნახავენ...

— სად, ბიჭო?!. — წამოვარდა ოტია, კრიალოსანი ჯიბეში ჩაიდო და აღგზნებულ თვალებით მოურავს მიაჩერდა.

— ბრინჯოულასთან რომ ჭამისეულის ღელე უხოვს, დიდი ხსტო რომაა, იქინე, ჩემო ბატონო.

— სად იყავი მერე ამდენხანს, შე წუწკო!.. — დაიძახა ოტია ბარამანდიამ და განაგრძო: — ცხენი ჩქარა და მწევრები!..

და ცოტა ხანს შემდეგ გაჩნდა ეზოში ტუჩების წრუპუნი, ძაღლების ყეფა, ცხენის ხვიხვინი, წყევა-კრულვა და დიდი ბატონი ოტია ბარამანდია წავიდა სანადიროთ.

ბრინჯოულასთან ოტია და მოურავი კუდაბზაკუნი კურდღლის ცურცლს ამოწმებდნენ, კბილით ჰკვნეტდნენ, გემოს უსინჯავდნენ და, როცა დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად კურდღლის იყო, გაჩნდა ძაღლების სუნსული, განაბული სიარული, სანამ კურდღელი 12 ვერსის მანძილზე არ გამოაგდეს... გაჩნდა ყიჟინა, გამონთებულ მწევრებს მოსდევდნენ ზოგი ფეხდაფეხ, ზოგი ცხენით და იყო კივილი:

— ეცი, მერცხალა, ჰოჰ, ეცი, ჰოჰ! არიქა ჯერანა...

და საღამოზე ბატონს წკეპლით გაბუჟუჟებულ შემწვარ კურდღელს მოართმევდნენ და ოტია თავს იწონებდა თავის მეუღლე კნეინა ნიტიფოსთან და მის მხევალ ფუსუტიასთან.

კნეინა ნიტიფო, როცა ქუთაისში იყო, ფუსუტიას სტოვებდა ოტიას მომვლელად და, ოტია, რომ კნეინას არ ყოფნა არ ეგრძნო, ფუსუტიას იწვენდა ლოგინში.

თუ ნადირობა არ იყო, ან და იქვე მახლობელ რკინიგზის სადგურზე ბაზრობა, ოტია ბარამანდია ნიგვზის ჩრდილში იწვა ან და საქიან ბაწრით დადიოდა მამულებში და მიწებს ჰყიდდა.

კვირაში ერთხელ შალომი ან მონოხიე რახილეშვილები თუ ჩამოიარდა და კნეინა იყიდდა პირკალს, ფარჩას, მაუდს და სამაგიეროდ მეფართლე ურია რჯულის ფიცითა და ვადაის ძახილით ტვირთავდა ცხენს ყაჭით, ნიგვზით, კვერცხებითა და ქათმით.

ზამთარში ბარამანდიები ქალაქში იყვნენ და ოჯახი რჩებოდა მოურავ კუდაბზაკუნის ანაბარა.

ეზოში დადიოდა მოურავის ზურგგადატყავებული ჭაკი ცხენი და ნაზი ჭიხვინით ბატონისეულ საპონივით ჩასუქებულ ვაყას ეარშიყებოდა.

მხოლოდ მოურავი კუდაბზაკუნი ყაყანობდა მთელი დღე. აგინებდა ყველას; მოჯამაგირეს, მეზობელს, გლეხებს, ძაღლს, კატას, ცოლს და ყველას. ევაჭრებოდა სამოციქულოდ მოსულ გლეხებს, საუკეთესო მამულებს, ვინც მეტს მისცემდა იმას აძლევდა დასამუშავებლად, ტყეს ანადგურებდა, სათევზაო ადგილებს აქირავებდა და ასე უმატებდა ბარაქას ბატონის ოჯახს და საკუთარ ჯიბეებსაც ისქელებდა.

რამდენიმე ვერსის მანძილზე დიდი სოფელი იყო, სოფელში იყო რკ. გზის სადგური.

სადგურთან დამტვერილი და დანჯღრეული ეტლები იდგა და ჩამოძონძილი მეეტლეები დადიოდნენ წელში მათრახ გამორჭობილნი. როცა ეტლი სადგურიდან დაიძროდა წუწკი ძაღლები სამი ვერსის მანძილზე უცდიდნენ მას სოფლის გზაზე ენაგამოგდებულნი, ერთი მტკაველი ტყავი რომ ჩამოეხიათ ეტლის ჯინზე და მერე ერთი ორომტრიალით, ყეფით, და ყმუილით გადაცვენილიყვნენ ორღობეებში, რომ ეტლზე ჩამოხეული ტყავისათვის საკუთარ, ტყავიც მიეყოლებინათ.

სადგურში იყო დეპო. დეპოში 50 კაცამდე მუშაობდა და ყოველ დილით 5 საათზე აბღავდებოდა საყვირი. მუშები მიდიოდნენ სამუშაოდ.

სოფელში იყო ერთადერთი სასწავლებელი აბრით:

2-õ êëàñí î å ó÷èëèù å Ì èí èñòåðñòâà Í àðî äí î ãî Ï ðî ñâåù åí èÿ.

რომელსაც გარდა მასწავლებლებისა და რამდენიმე კაცისა ვერავინ კითხულობდა და აფთიაქი, რომელსაც ეწერა:

ა ფ თ ი ე ქ ი

მერე რუსულად:

À Ï Ò Å Ê À

და შემდეგ უცხო ენაზე:

A P O T H E K E

Ï ðî âèçî ðà È. À. Êî í î ðäî âà

დაბაში იყო აგრეთვე პრისტავის სამმართველო, სასამართლო, ფოტოგრაფია და პატარა ბაზარი. მასწავლებლები დადიოდნენ ყვითელ ფოლაქებიან დიაგონალის მუნდირებით, კაკარდიან გახამებულ ქუდითა და ქოლგით.

აფთიაქში ბინძურ ხალათიანი პროვიზორი შუშიდან შუშაში რაღაც წამალს ასხამდა და სოფლის ბიჭები მოწიწებით უცქეროდნენ მას და ათვალიერებდნენ კედელზე ჩამორიგებულ შუშებსა და ოქროს წყალში მოელვილ გიპსის ბიუსტებს. პრისტავი იუპეტირივით ბრწყინავდა ოქროს პაგონებში და გალაქულ ჩექმების ჭრაქუნი ფერს უკარგავდა კბილ დამძვრალ ბებერ კნეინებს. ფოტოგრაფი დადიოდა თავის აპარატით სოფელ-სოფელ სატირლებზე და კუბოში ჩასვენებულ მკვდრებსა და ჭირისუფლებს იღებდა. მის აბრას ეწერა:

Ôî òî ãðàô è ÿ Ï . À. ×è êî ðè äçå და სურათები იყო გამოკრული:

ბუტაფორიულ დიდ ლოდთან წამოწოლილი იყო თმაგაჩეჩილი სტრაჟნიკი თოფითა და პალასკით, იქვე მეორე სურათში ტელეგრაფისტი პოეტი ვალოდია ირინეშვილი შამფურზე გაჩაჩხულ გოჭივით გაჯგიმულიყო, ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი შუბლზე მიედო, ვითომ თავს იკლავდა, და სოფლის გოგოები ჩერდებოდნენ მის წინ, ცრემლებს კაბის კალთით იწმედნენ და თავმომწონე პოეტი ტელეგრაფისტი დღეში ხუთჯერ ჩაიარდა თავისი სურათით დასატკბობლად და თვალ-ყურის სადევნებლად, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ტრაგიული სახე და აღფრთოვანებული სწერდა სატელეგრაფო კანტორიდან მოპარულ ქაღალდებზე ლექსებს, როგორ მოსძულდა სიცოცხლე, რა ძნელია სულით ობლობა და როგორ აწამებდა მსოფლიო სევდა.

დაბაში იყო სასამართლო და აქ დადიოდნენ ქვრივი ქალები, ობლის მზრუნველები, გლეხები, ხიზნები და სამართალს ეძებდნენ. სამართლის ქურუმები — აბლაკატები დადიოდნენ ყურში გარჭობილ კალმისტარებით, ჯიბეში მელნით, მარკებითა და თხოვნის ქაღალდებით ქიმიურ მელანში ამოქვარქნილნი და თითო თხოვნას მანეთად სწერდნენ, ქუდი დაუბანელ თავის გამო გაქონილიყო და შავად ლაპლაპობდა.

ბაზარში იყო სამიკიტნოები, სადალაქო, საყასბო, მეხილეები, მეკუბოვე და პარკის „ფაფრიკა“. სამიკიტნოების წინ თამაშობდნენ ნარდს, დომინოს და ქაღალდს, როცა პრისტავი ჩამოიარდა, ქაღალდს მალავდნენ. ერთად ერთ დალაქს მთელ დაბაში ჭიამაია ერქვა. იგი ტოლსტოის მიმდევარი იყო, ხორცს არ სჭამდა, სამაგიეროდ პირის პარსვის დროს მუშტარს სისხლს უხვად ადენდა და გაპარსულები სადალაქოდან გამოდიოდნენ ყბა ახვეულნი, როგორც საოპერაციო კაბინეტიდან.

აქ დასწერა ტელეგრაფისტ პოეტმა ირინეშვილმა თავისი შესანიშნავი პოემა „ქართველთა სისხლი“, რომლითაც საქართველოს მინდორ-ველები არის მორწყული.

ძაღლები ყასბებს არ ასვენებდნენ და მონღოლთა ურდოებივით ესხმოდნენ თავს ყეფით, ღრენით და ყასბებს დღეში რამდენიმეჯერ უხდებოდათ მათი იერიშების მოგერიება, ამის გამო მათ პრისტავს განცხადება მიართვეს და მოითხოვდნენ თავდაცვის კომიტეტის დაარსებას.

სამიკიტნო ორი იყო:
ერთი:

ხარჩოვნია „მოდი მნახე“

„მახოია აქ არის“

მეორე:

რესტორაცია „ნეაპოლ“

ხარჩოვნია „მოდი მნახეში“ მეარლნე მახოია არღანს უკრავდა, არღანზე მიკრული იყო შიშველი ქალის უწმაწური სურათი და ეწერა: Î ääññà, Í å÷àää Âî ëêî âñêàÿ, 191, მახოია ჯღამაძე.

დაბაში ერთად ერთი ქუჩა იყო აკაკი წერეთლის სახელობაზე.

სადგურში მატარებელი მოვარდებოდა კივილით, ოხვრით და მიყრუებულ დაბაში ასტეხდა ერთ ალიაქოთს.

აჩქარებული მგზავრები ფუსფუსით ჩამოდიოდნენ, ურიები ბოხჩებითა და რკინის არშინით ვაგონის კარებში იჭედებოდნენ და იყო სულწასწრებულ მგზავრების ლანძღვა-გინება და ურიის ფიცი-სალავარდი.

თუ საზაფხულო არდადეგები იყო, სადგურის პერონზე სეირნობდნენ საზაფხულოდ ჩამოსული გიმნაზიელები ბრიოლინითა და ქონით გაპრიალებულ და გადაყოფილ თმებით, შარვლის ყოშებზე „შტრიპკებით“ და ყავისფერ წინსაფარიან კაბაში გამოწყობილ სადგურის უფროსის ჭორფლიან მსუქან ქალიშვილს ეარშიყებოდნენ და თან პაპიროს „სიმპატიას“ ეწეოდნენ.

სახელი მათი იყო ტარიელ და ნესტან-დარეჯან, რომეო და ჯულიეტა, ბირდღი და კუკუნია...

პერონზე იყო დიალოგი:

ტარიელ: — და აი ყოველივე ამის შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მე მაინც პლატონიური სიყვარულის მომხრე ვარ...

გავაგასიებული და ფეხმსხვილი ნესტან-დარეჯანი უპასუხებდა, რომ სიყვარული ნამდვილად არის და იგი აუცილებლად პლატონიური უნდა იყვეს და მას მეტად აკვირვებს მისი სეპარატიული მიზნები (სიტყვა სეპარატიული მას თავისებურად ესმოდა და თავი მოსწონდა ამ სიტყვის ცოდნით), მაგრამ ყოველივე ეს მათ ხელს არ უშლიდა, რომ ჟამსა სეირნობისას, აკაკის „სულიკოს“ დამღერების შემდეგ, გიტარა გვერდით გადაეგდოთ, ერთი მეორისათვის საუკუნო პლატონიური სიყვარული შეეფიცათ, ორიოდე ტაეპი „ვეფხის ტყაოსნიდან“ ეთქვათ და იქვე გზის პირას ჩახუტებულნი და აქოშინებულნი ანწლებში სრულიად არაპლატონიურად ჩაწოლილიყვნენ.

დაბაში ყოველ პარასკევს ბაზრობა იმართებოდა და მთელი დაბა ერთი დღით მოცოცხლდებოდა.

პირახვეული გასათხოვარი ქალები ჰყიდდნენ ყვერულებს, დედლებს, კვერცხებს, ყაჭს, წინდებს, იყო გოჭის ჭყვირილი, ურიების ყვირილი და დედაკაცები ყიდულობდნენ კეცებს, ჩითს, ბუბლიკებს, ფარგას..

მაჭანკლებს მოჰყავდათ სასიძოები და სასძლოები გადასანახულებლად, საქმეებს არიგებდნენ, მზითვს ანგარიშობდნენ, ქორწილს შემოდგომისთვის ნიშნავდნენ.

ქორწინება ღამეს ნეფეს დედოფალს უცვლიდნენ და, როცა დილით სიძეს გაეღვიძებოდა, ნახავდა, რომ ვიღაც უკბილო გასათხოვარ დედაბერთან იწვა, მაგრამ რას იზამდა, ბედს ურიგდებოდა, ცოლს გამომცემელს უგინებდა და მაჭანკალს პირსა და პატიოსნებას.

დუქნის სვეტებზე მიბმული ცხენები ერთი მეორეს ახტებოდნენ, კისერში ჰკბენდნენ, ჭიხვინობდნენ და შეზარხოშებული თავად-აზნაურობა სვამდა საქართველოსი და მთე-

ლი ქვეყნის თავად-აზნაურობის სადღეგრძელოსა და თავს ინუგეშებდნენ რომ თავად-აზნაურობა ჯერ ყველგან მაგრადაა და ქვეყნიერებას არაფერი უჭირს.

— რომელიც რომე... დალიე... შენი ჭირიმე... თუ არ დალიო, შეგირცხვა ულვაში და გვარიშვილობა... — ისმოდა სამიკიტნოდან და მახოია არღანზე „სუსანას პესნას“ უკრავდა.

ზაფხულში ჩამოსული ინტელიგენცია ყოველ შაბათს „ვეჩერებს“ მართავდა. პიესები იდგმებოდა იოსებ იმედაშვილის „ცხოვრების სარკიდან“: „ადვოკატი მელაძე“, „ჭკუისა მჭირს“ და „ურიელ აკოსტა“. ინტელიგენციას ამ სოფლის მასწავლებელი, ტელეგრაფისტი პოეტი ირინეშვილი, სადგურის უფროსი და მისი თანამოსამსახურენი, პრისტავი, ფერშალი, პროვიზორი და მოწაფეობა შეადგენდა.

„ვეჩერებზე“ ინტელიგენცია არშიყობდა, ერთი მეორეს კონფეტიებს აყრიდნენ და ბაასობდნენ ლიტერატურასა და დრამაზე. ერთს ყველას ფილოსოფოსი ოგიუსტ კონტი ერჩია (ოგიუსტ განსაკუთრებულ ინტონაციით წარმოითქმოდა) და მეორეს პოეტი კანტი. ერთი მოწაფეთაგანი ლაპარაკობდა როსსისა და ბატისტინის გენიალურ დრამატიულ ნიჭზე. ეს იყო აპოგეა განათლებისა და, თუ ორიოდე სიტყვა შეეძლო ეთქვა ვინმეს ბალეტისა და მეტეორიტების შესახებ, ეს ხომ მთლად უკეთესი.

„ვეჩერი“ გახურებული იყო და სოფლის დედაკაცები ალუბლის, გორტენზიების, ბჟოლისა და ღობის ძირებში მიმალულნი, უცქეროდნენ, როგორ ატარებდა დროს თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია, ლოყას იპოტნიდნენ, კრუსუნობდნენ, ჭორაობდნენ.

— ღმერთო, რავა არ დამეფსება აი თვალები ამის შემხედვარეს!.. — მოსთქვამდა ერთი მოხუცი დედაკაცი, შავ თავშალს იფუთნიდა და დანაოჭებულ ტუჩებს პრუწავდა.

— ერთი ამ სასიკვტილე ძღაბს უყურე, რავა ეხუნტრუცება ბატონიშვილს, რათა დოდომიწა არ გაგისკტება, შე არ გადასარჩენო და თან არ ჩაგიტანს!.. — ჩურჩულობდა მეორე და გადაშუაღამების შემდეგ, როცა ნაქეიფარი თავად-აზნაურობა მიეცემოდა თავაშვებულ ლაზღანდარობას, დედაკაცები თავშალის ფუთნით, წყევა-კრულვით მირბოდნენ სახლებისაკენ სოფლის ორღობეებით, აღვიძებდნენ კინწისკვრით თავის გასათხოვარ ქალიშვილებს და ეკაპასებოდნენ:

— არ დაგინახო იქინე, შე მიწაგასახეთქო, არ დაგინახო, თვარა მოგკლავ, სურუმ-გურუმად (ვითომ სოდომ-გომორად) მოგიქცევ მაგ ცხვირს!..

გასათხოვარი გოგო თვალებს იშმუშნიდა, იღლიებს მოიფხანდა, გაწეწილ თმებით დედას გაკვირვებული უცქეროდა, მერე მიწვებოდა და ისევ მიიძინებდა.

ეძინა ყველას.

ეძინათ რკ-გზის სახელოსნოს მუშებს, ეძინათ გლეხებს.

თავად-აზნაურობა ქეიფობდა და მაშინ, როცა გლეხები და მუშები ურმებით, თოხებით, წალდით სამუშაოდ მიდიოდნენ, მთვრალი თავად-აზნაურობა მოდიოდა ბანცალით და უქმად დარჩენილ ხმლებით გზის პირებზე ამოსულ ანწლებს ებრძოდა...

დემნა შენგელაია

მყინვარი

სადაც თერგი და დარიალი გავს დიდ ღამურას,
შეხედეთ თერგს, გასტროლები ქონდა დარიალს,
აპობდა შუშებს სიყვარულის ტახტზე დემონი ■
ვკითხე ცნობები ლერმონტოვს და ღერბ ორბელიანს,
მყინვარს არავინ გადიდებდა, მთას ქუდ გადახდილს ■
შენ ნაფოტების ღრმა ყუთები გეგონა ღმერთი
და ცის კამერა გიგზავნიდა ნახშირს და კენჭებს ■
შენ აკვანიდან გაიზარდე ლეკის შუბებით,
როცა დიდებულს კავკასიონს თერგს და დარიალს
მოსწონდა გვარი ყაზბეგების და მაიმუნის სქესი ველური ■
როცა გულივით ამოგაგდო თერგმა მდინარემ,
შემოგეხვიენ დასაპყრობათ სქელი ნისლები
როგორც ორბები, სიხარბეში მთები კვდებოდენ —
ყინვის ისრებით მკერდებ დაჭრილი ■
შენ გნახულობდა ანგელოზი, როგორც გუგული
შორს ბავშობაში ორივ გავდით გამხდარ ბანკირებს ■
ეხლა მე მინდა, რომ დაგადგა მარჯვენა ფეხი,
შუბლით ავწიე გუმბათები მრლვევი ღრუბლების;
მეც დავიბადე ქვის გულისგან თერგელ მდინარის ■
ოი! მწვერვალო, პერიფერიით ნამხობ ზურგების.
მე დარიალი გავიკეთე გვერდებზე მხრებათ
და გადავყლაპე თვით დემონი ბუტაფორია თერგის ხეობის;
შენ კი გადგია ლეჩაქივით სამოვრის ორთქლი
და ფანტაზია მოღლილობის შენ თემებათ გიწყვია შიგნით ■
ჩამოდი ძირს — არ მინდევხარ გავდე სამოვარს;
არა გაქვს ფული? მე მოგიწყობ მყინვარის გასტროლს;
შენთან ვიცეკვებ წარბ მაიმუნს, ფოქსტროტს და მხეცებს
და გეომეტრულ სისწორეში შენ დადგები როგორც ასტრალი ■
ეგებ მოხუცდი და ყინვებით წელში მოხრილი
ვეღარ ახერხებ მოძრაობით გზების აგებას.
რევტრიბუნალი შეუკვეთავს ზეცას ცხელ ბუხარს
და გაგაშრობენ თვით ბავშები სათბურ ბარგებით ■
ე! შეგვამჩნიე მთაო მყინვარო
უზრდელობისთვის რომ მომეღუშე;
შეიგროვე ნისლთა ბაგაჟი
და ვარსკვლავებთან ეკამათე ნისლებს დაბეჟილს ●
სწრაფ შევაბრუნე კეხი ბაასის (არის ასეთი გამოთქმა ბარში)
და მამლის პოზით მე მივმართე მყინვარს დიდებულს:

დააძრობთ ზეცას ვარსკვლავის ლურსმნებს
და ვარსკვლავებით მოიჭედავთ ყელს საღრიალოთ;
ბარში მობრძანდით
და ნამგლის წრეში შეტრიალდით როგორც ბზრიალა●
ციცინათელებს შევაგროვებთ თქვენ სადარბაზოთ,
ამ გასტროლისთვის შევაჯიბრებ თქვენთან ეიფელს;
თქვენი გასტროლი დაგვიჯდება ძლიერ იაფი
და იაფ ნიხრით ჩვენ გავყიდით ლურსმნის ვარსკვლავებს ■
რას ამბობ, რას?
რა საჭიროა აქ თქვენი ხარჯვა!
ცაკოკა არ მსურს გაგიტოლდე პოეტს მომღერალს.
დაძვრა რომ მსურდეს, გზებს მოვრკალავდი,
სადაც ნახტომი გაქსელილა ირმის, არჩვების ■
ხარჯვა რომ მსურდეს. მე მაქვს მუცელი
მდიდარი როგორც სპილოს კბილები ხევის ხმაურის ■
ბევრს ამოვროშავ, ამოვყრი ნივთებს,
ახალ კიდობანს ავაშენებ ნივთების წარღვნის და კატასტროფის ■
ბრბოს არ სჯეროდეს?
ყინვების მატყლი ჯირკებივით მარტყია გუმბათს●
რომ დავახველებ ნაფურთხებიდან ადგება ნივთი
რა საჭიროა ნივთთა ყრილობა
როგორც მთებში ველურებს, ტყიურ ყაჩაღებს
ჩვენ დაგვჭირდება ნივთებთ ამბოხი ■
ეი მესტვირევ, მე მდიდარი ვარ,
მე გველეშაპი კავკასიის ზურგზე ვარ ბოძათ
და ყველა ქოლგებს ვამჯობინე ზეცა მტრედების ■
მრწამს არ იცოდა ანგარიში ჭავჭავაძემ ეტლის მეძარემ
რამდენი ბანკის მე მუცელში გახსნა შემეძლო ■
მე გავიგონე, რომ მყინვარმა ეს სთქვა უბრალოთ
და სამოვრის ორთქლში დაიწყო ძებნა
ბარათაშვილის გაბნეული ფიქრთა ბროლების!
ცნობილი არის პოეტი ჭარბი უტიფარობით
და შევაგროვე საკამათოდ კიდევ მასალა ■
ეხ, მეგობრებო, მგონი გეწყინათ,
არ გსურთ ცაკოკა გამიტოლდეთ როშარს მომღერალს
თქვენ რა იცით? რამდენი მყინვარი მეკიდა ზურგზე,
რამდენ იალბუზს ჩემ სტომაქში ქონდა ადგილი,
მაგრამ ყოველთვის მე დამძლია ცეკვის სურვილმა
და სიმძიმეებს ვამჯობინე მჩატე სხეული და წრეთა რგოლი ■
უთუოდ მოხვალთ,
სადაც მოსულა მზე დიდებული

და გაუვლია პროსპეკტზე ტროსტით,
ალოკავთ ნახველს,
სადაც ღრუბლებმა გაუარეს სტრიქონის კედლებს
და მნათობები გაეკიდენ შეჯიბრებით ველოსიპედებს ■

ყინვა?
რამდენჯერ ვიყავ ყინვის ქარხანა,
რამდენი სიცხე დავუნელე ბგერებს აყალოს
და გაზაფხულზე ხმელი გული, ტკბილი ახალი,
რამდენჯერ მქონდა ფინჯანებში როგორც ნაყინი ■
მაგრამ მოვიდენ საშემდეგოთ სიმღერები მშიერ თერგივით
და ეხლა ვეძებ ყინვის შუბებს მთებზე მოღერილს,
რომ მშრალი გული — სხვათა შორის —
შემხვევებისთვით ჩამოვკაწრო წვრილმან ლირიკით ■

მაშ დავძაბუნდი?
ვერ მიძმობილებ როშარს მომღერალს?
ბარში მობრძანდი
დიდებულ მყინვარს გასაბჭოებულს
დაგნიშნავთ ნივთების კონფერანსიეთ ■
გვსურს, გამოვიდეთ ძლიერ იოლათ,
აღარ დაგვჭირდეს აქ ეიფელი,
ბილეთი მიტინგებზე და გასტროლებზე
ხელ მისაწვდომათ ყველას იაფათ ■
სადაც თერგი და დარიალი გავს დიდ ღამურას,
ორბელიანთან გასტროლები ქონდა დარიალს ■
თერგი ხტის ვეფხვივით,
თერგი მდინარის ყრონტით ღრიალებს,
მყინვარი თერგის სარკეზე დარბის ■
აღემატებით თვითონ ეიფელს,
პატივცემულო კონფერანსიე ■
მე თქვენ მოგანდობთ კოსმიურ ძახილს,
ამისთვის მოგცათ ბედმა სიმაღლე,
სარქველის ქვემოთ საყვირების ვრცელი საკანი.
სხვა მოსახმარი თქვენ აღარა ხართ,
ხართ უხეირო ■
წამოდით წინ,
ამოაგდეთ თუ გსურთ ვულკანი.

სიმონ ჩიქოვანი
სექტემბერი

მიხეილ გოცირიძე **ცეკვა**

მიხეილ გოცირიძე შეთქმულება

ინციდენტები

ქალაქში ყოველთვის წაანყდებით საინტერესო ამბავს

ენგო და პაპიროსის კოლოფის ინციდენტი.

ერთ ქალს კაბაზე პაპიროსის კოლოფი გამოაბა და აყალმაყალი ასტეხა.

დაიჭირეს, მაგრამ სხვას გადააბრალა.

ინციდენტმა შექმნა ვაჭრობის განვითარება.

ენგო საქონელს ბაზარზე ჩქარა ასაღებდა.

საზოგადოება „ენგოს პაპიროს“ სწევდა განსაკუთრებით.

შენიშვნა: ასეთი სახელი ეწერა პაპიროსის კოლოფს ინციდენტის შემდეგ. კაპიტალიზმაც გამოიყენა ენგოს ინციდენტი და ბანკის ოპერაციები მატულობდა თამბაქოს ანგარიშზე.

საღამოობით თავისუფალი ენგო განიერი შარვლით სეირნობას მოყვებოდა ხოლმე.

აინტერესებდა ასფალტის ქუჩები და ავტომობილი, რომლებიც უერთმანეთოდ არ ქონდა წარმოდგენილი.

ენგო მკვლევარი.

ჯოხი მოპარა ვიღაც მოხუცებულს, რომელსაც შტეინახის აღმოჩენა ახარებდა და მუზეუმის გამგეს მიუტანა.

სთხოვდა დააწერონ:

სასიძადულო მოხუცებულის საბჯენი ენგოს აღმოჩენილი

დირექტორმა პანღურისცემით გამოისტუმრა თავაღებული სტუმარი.

კიბეზე დაუვარდა თავის საყვარელი ქუდი, რომელიც ერთი წლის წინათ მოპარა ქუჩაში მძინარე მთვრალს.

გულმოსულმა დასტოვა ქუდი და დააწერა:

დირექტორო უცადე პატრონს.

შურისძიება.

დაათვალიერა მთელი შენობა.

მოსწონდა საწვიმარი მილები და ოცნებობდა.

შენიშვნა: ენგოს პაპიროსი ინდუსტრიალურმა მრეწველობამ შეიძლება საწვიმარ მილების ოდენა გააყალიბროს. მაშინ შესაძლებელია პაპიროსებისაგან სახლის აშენება, რომელშიაც უნდა ინახებოდეს კოლოფიინციდენტი.

ფანჯრიდან ბავშმა უგემური წყალი გადმოაქცია. ენგო გამოერკვა.

— შენი მამაა დირექტორი?

გადმოათრია და პანღური ამოკრა.

— მიართვი მამაშენს სამადლობელი.

ოცნება და ინდუსტრიალური მრეწველობა.

შეიძლება კიდევ გაგრძელებულიყო ინდუსტრიალურ მრეწველობისათვის მოგებიან გეგმების შედგენა.

რომ

აქლემს პლაკატი არ გამოეტარებია.

ცირკი.

საოცარი სანახაობა.

სიარული მავთულზე

სალტომორტალე

ერთი კაცი ასწევს

50 ფუთს.

ექსცენტრიული სანახაობა

ჩინელი ცის

ფერი ჭიქით
ყლაპავს საწამლავს.

ენგოს უკანასკნელი ეოცებოდა.

მას ეგონა ქინაქინის კაპსულებით იწამლავდენ თავს და აფთიაქთან ახლოს სიარულს ერიდებოდა.

აედევნა ენგო.

ერთ ბავშს, რომელსაც თავი კომბოსტოს მიუგავდა, ხელი ამოჰკრა და პლაკატს თითი გაავლო

ექსცენტრიული.

ენგო და ტელეგრაფი.

რა საჭირო იყო ასეთ დროს ტელეგრაფის მავთულების გასწორება.

— Allo

15.03

ტელეფონი სწორია, მაგრამ ენგო შერჩა ამოვარდნილ ქვას, რომელმაც შაქრის ყინულის მადა შეურჩია.

შენიშვნა: თუმცა ვერ ქონდა წარმოდგენილი შოკოლადის ბომბებს რად აკეთებდა კონდიტიერი.

?

პლაკატიდან გადმოტანილი შთაბეჭდილებით პონჩიკი არჩია.

ცირკშიაც ყავისფერ ბილეთებს ყიდდენ.

ახლად შემოსულმა პაციენტმა ირონიულად შეხედა ენგოს შარვალს.

სულ არ უნდოდა ჩხუბი; ეშინოდა პონჩიკს არ შეეცვალა მდგომარეობა.

მაგრამ გულმოსულობის გამო პონჩიკისათვის მუჭი მოეჭირებია და კრემი გადმოსულიყო.

პირი დააღო და კრემიანი ხელი სახეზე აუსვა მოჩხუბარს.

ენგო დაიკარგა.

ბავში ატირდებოდა რომ კეთილ კონდიტიერს არ მიეცა მისთვის პირში კრემიანი შაქარლამა.

ენგო განაგრძობდა გზას.

ენგო მიდიოდა თავის ნოქართან, რომელიც ერთი კვირეა რაც ეხმარებოდა.

გზაში გაახსენდა, რომ ამხანაგმა ერთი კოლოფი პაპიროსი დაუკარგა; გაბრაზებულმა მუშტი მოიმარჯვა და გაქცევას აპირებდა,

ამ დროს

თვალი მოკრა ხილის დუქანს, რომლის წინ მსხვილ მედუქნეს სკამზე დასძინებოდა.

ენგო ვაჭრობდა მრეწველობაში.

არხეინად შევიდა ენგო დუქანში. იათ ფასებში ურიგებდა ხალხს ფოჩვიან კამფეტებს.

ეტლი გაჩერდა.

კავალერი, ალბად ნაკლები დრო რომ დახარჯოდა ლაპარაკისათვის, მოითხოვდა **ფორთოხალს.**

ენგომ პარკში ჩაყარა

კამფეტები.
ვაშლი.
სხალი.
პონჩიკები.
სუფრის გადმოსაწმენდი ჩვარი და ზევით ფორთოხალი მოაყარა.

— ინებეთ.

ბავშვმა პონჩიკი მოითხოვა, ენგომ პონჩიკებს კრემი ამოსწუწნა და გადასცა.

ენგომ შეასრულა მისია.

მოამზადა მარაგი. სელტერის წყალში $^1/_2$ გირვანქა მარილი ჩაყარა. შემოსული თანხა გაიყო. ნახევარი პატრონს დაუტოვა და დააწერა.

ვივაჭრე და პროცენტები ავიღე.

მძინარე მეხილის სკამი მოტოციკლეტს მიაბა. მანქანა გაიქცა და სკამი თან გაიყოლა. მსუქანი მეხილე კი 3-სარტომორტალეს შემდეგ მხრებზე შეაჯდა ერთ მაღალ ქრონიკორს, რომელიც ესეც იყო წყლის დასალევად დუქნისაკენ მოეშურდა.

— უკაცრავად.

რეპორტიორი გაზეთისათვის აგროვებს ცნობებს:

საოცარი ჩვარი.

ეტლის ბორბლების ახალი კონსტრუქცია, კავალერის ლირიულ განწყობილებას უფრო ანვითარებდა.

შენიშვნა: ფორთოხლების პლანტაციები იყო ოცნების საზღვარი. ალბათ კავალერს წაკითხული ქონდა კნუტ ჰამსუნი.

სენსაცია

!

საიდან გაჩნდა ჩვარი.

— ფვჰ.

იცინოდენ. თან გული მოსდიოდათ.

მოაბრუნეს ეტლი და ეძებენ დუქანს.

გამოფიტული პონჩიკიც აპირებს ისტორიას

ეტლიდან მილიციელს დაუძახეს და უჩვენეს ჩვარი, რომელიც ქაღალდის ფაბრიკისათვის გამოდგებოდა მხოლოდ.

ქრონიკორს დღეს მაინც არც ერთი ცნობა არ შეუკრებია.

საჭირო იყო უბის წიგნაკი და ფანქარი.

ასეთი ინვენტარი ლექსებით მწერლებსაც აქვთ ხოლმე

აღელვების შემდეგ, ხშირად სიცხის დროსაც, ქრონიკორს ჩვეულება აქვს სელტერის წყალი მიირთვას.

მაგრამ

არაფერი სასიამოვნოა მარილნარევი წყალი, რისთვისაც შესაძლებელია დაატყვევონ პატენტიანი მოვაჭრეც კი.

რატომ დავივწყეთ ენგო.

ენგომ დაათვალიერა თავისი წარმოება, ანგარიშები ჩაიბარა გადასწყვიტა ინახულოს ცირკი.

ენგო ათვალიერებს თავის არმოებას.

შენიშვნა: საერთოდ ტიტველი ქალები ენგოსთვის მორალური საკითხის გადალახვა იყო და ხშირად იგი უდაო ჭეშმარიტებამდეც მიყავდა ხოლმე.

ენგოს აკვირვებს აკრობატები. გონია ესეც არის გადმოვარდებაო და მშვიდობიან რეზულტატებზე მეზობელს შემოკრავს ხელს.

ჭიდაობა მოქმედობს ენგოს ნერვებზე

ენგო მოჭიდავე.

როლში შედის.

წ ა ა ქ ც ი ე ს .

თვითონაც იქცევა და ქვეშ მოიტნევს რამოდენიმე ბავშს.

ცირკის დირექტორს შეატყობინეს:

— სასწრაფო დახმარება.

ტელეფონზე უმალ მოადგა ცირკს შავი ეკიპაჟი.

პაციფისტების სანატორიუმში

ენგო საავადმყოფოში გაჩდა.

თეთრი ტანისამოსი.
კარბოლკის სუნი.
მსუქანი ქალები.
და — სათვალებიანი ექიმი.

ენგოს ჩააცვეს ავათმყოფის კოსტიუმი. თავი გაპარსეს და ექიმმა დაამტკიცა **„ეპილეპსია“.**

ენგოს ეგონა კლოზეტში სთხოვდენ და ცივს უარზე იყო.

— რატომ ხვრინავს ასე ავათმყოფი. განა არ აწყენს ასეთი მაგარი ძილი.

ენგო ლაბორანტი.

ენგომ მონახა საშვალება საღათას ძილის მოსასპობათ. მოხია ქაღალდი გაზეთს, ავათმყოფს ცხვირში შეუტენა და ცეცხლი მოუკიდა.

თვითონ კი გაზეთის თვალიერება დაიწყო.

შენიშვნა: ხვალ უთუოდ რეპორტიორი მოათავსებს საავათმყოფოში მომხდარ ამბებს.

პანიკა.

ენგოც გარედ ერევა ავათმყოფებში.

ცეცხლი ჩააქვრეს.

ენგო რომანტიკოსი.

მაგრამ

საცოდავი ავათმყოფები. მთელი ღამე არ უნდა ეძინათ. რა საჭირო იყო ახალი წამლის მოგონება.

ენგომ საჩქაროდ დასწერა რაღაც და ჩუმად ერთ მსხვილ მომვლელ ქალს კაბაზე მიაბნია.

თვითონ კინო რომანის გმირივით ფანჯრიდან გადაცოცდა და დასტოვა კარბოლკის მიდამო.

საავათმყოფო ენგოს შემდეგ.

ექიმი ნაწყენი იყო რომ ასეთ დაუდევრობას ადგილი ქონდა საავათმყოფოში.

მომვლელი ქალი კი ატარებდა წარწერას.

სეანსი გათავებულია.

ნიკოლოზ ჩაჩავა

23 წელი

უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში

გამრავლებულ ადამიანიდან წარმოიშვა ის, რასაც ჩვენ ვეძახით **სიტყვის ახალ არქიტეკტონიკას.** უფრო ხელსაყრელ დროს შესაძლებელია კიდევ მეტი განშლადობა ამ თერმინის, რომელსაც ხელოვნებაში აქვს ადგილი მობრუნებულ ფოკუსით — ეს არის წერტილი პოეზიის ინტელექტისა და ინტუიციის, რომელიც ასე ვითარდება დაუსრულებელ ტევულობის ქვეშ.

აიმღვრა ჰაერი.

შესაძლებელია ეს არის მიზეზი ამერიკანიზმის გამარჯვების. ეს ფაქტი მოსახმარი არის იმდენათ რამდენადაც მას ენის ცვალებადობაში აქვს უსწორესი მნიშვნელობა. ქალაქი — სოფელი — პეიზაჟი ყველაფერი ერთად დარჩა როგორც ორგანიზაციული მთლიანობა — კრისტალი. ხელოვნება ამ მხრივ ბევრად წინ უსწრებდა უკანასკნელ წლებს: კრისტალიზაცია დაიწყო კუბიზმით. თავის დროს ამას ერქვა საგანი ექვსი მხრიდან, შემდეგ ორჯერ ექვსი მხრივ, და კიდევ **გამრავლების თეორია.** აქედან დაიწყო სიტყვის კატასტროფა.

ტეხნიკის განვითარება ვერ დაიტია იმ საზოგადოებრივ სოციალ-ეკონომიურმა ორგანიზაციამ, რომელიც სახელდებულია კაპიტალიზმით.

საჭირო გახდა შექმნა ისეთი ადამიანის, რომელიც არ სუნთქავს, არ სჭამს, მაგრამ მოძრაობს უფრო მეტად ვინემ, მე შენ, ის, ან საზოგადოთ ყველა.

რკალის გასარღვევად საჭირო იყო შექმნა ისეთი სოციალური პირობების, რომელიც მისცემდა ფართო გასაქანს ტეხნიკაში მოძრავ ენერგიას. გზა არის წინ რევოლიუციების. ნახევრად ფეოდალურ ქვეყნებში მოხდა ორთქმავალის დაკივლება. ევროპაში, როგორც ყოველთვის, ეს მოვლენა მოხდა მორიგი ფერისცვალების სახით. საბოლოო საზღვარი მაინც რევოლიუცია არის.

> შენიშვნა: ჩვენს ტერიტორიაზე განსაკუთრებით ვიგრძენით ეს უკანასკნელი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტეხნიკის მამოძრავებელი ელემენტი მანქანა. შესწავლა მანქანათა მოწესრიგების — აი უახლოესი ამოცანა საბჭოელი მოქალაქის. მანქანა თვითონ რჩება ობიექტათ. კოლექტიური შესწავლა ამ ელემენტისა აადვილებს ფართედ კონსტრუქტივიზმის გაგებას (ფაქტი; რუსეთის კონსტრუქტივიზმი).

მსოფლიო ომის შემდეგ ტეხნიკაში დამკვიდრდა ამერიკანიზმი. ტაქტიკა არის სისწრაფე. ერთის შეხებით ბუმ ერა: — წუთი ერთი — მოვლენა უთვალავი. უთვალავი გამოდის ერთ მთლიან ერთეულად, რომელიც ერთ წუთის წინ იყო უსასრულოდ დიდი. რამდენათაც ამ მრავლინობასთან გვაქვს საქმე, იმდენათ მცირდება ამთვისებელის საშუალება ის, რასაც უწოდებენ სიტყვების კომბინაციას. საზღვრების ცნების არსებობა დიდი ხანია წაშლილი იყო ადამიანის მეხსიერებიდან. მოვლენის მთლიანობის შემდეგ დაგვრჩა პერსპექტივები ახალი ენის, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ინტერნაციონალურ ენას. ყველაზე უფრო საგრძნობი გარემოება ხალხურ ენასთან და ხალხურ შემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც რასაკვირველია არ ვაღიარებთ „ზოგიერთ ბალასტი“-თ. ყველაზე უფრო საშიშია ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურად იმაჟინიზმით გადმოცემული. მიუხედავათ ამისა მსხვერპლი ბევრი შეიწირა (ფაქტი: ა. კრუჩიონიხი სლავიანურით ყარს. ამ გზას შერჩა ნაწილობრივ ზოგი კონსტრუქტივისტიც). მაშასადამე ხალხური შემოქმედების და თანამედროვე ენის გაგება გამიჯნული უნდა იყოს. მას მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეს ტეხნიკასთან და არავითარ შემთხვევაში ისტორიის ხრამში არ უნდა გადაიჩეხოს. შეიძლება ეს იყოს **ველიმირ ხლებნიკოვის** მთელი პოეზია, რომელიც ჯერ კიდევ ასაზრდოებს მრავალ თაობას. მაგრამ ამაზე სხვა დროს. ჩვენ გადავშალოთ პერსპეკტივები ენის ინტერნაციონალობის, რომლიდანაც უშუალოდ მოდის პოეზია — ინტერნაციონალური ღირებულება.

წინასწარ მოვახდინოთ ცნების ასეთი დანაწილება:

ასო — ერთეული.

სიტყვა — ასოების კომბინაცია. საგნის სახელი.

ასოების რაოდენობის შესახებ შეგვიძლია იეროგლიფებიდან ვილაპარაკოთ. ბგერის გამოხატვაში მდგომარეობს ასოს ცნება. რაც შეეხება თვით სიტყვას, წერით მეტყველებაში იგი გაცილებით უფრო ადრე შემოიჭრა ვინემ ასო, მაგრამ არა როგორც ასოების კომბინაცია, არამედ როგორც საგნის გამოხატულება. დროთა ვითარებაში მოხდა ასოების დისტილიაცია. **დღეს ასო გამოხატავს ბგერა-ქუჩა-მოძრაობას.** აქამდე დავიდა სიტყვაც. ერთი პერსპექტივა სიტყვის და ასოების გაერთიანება არის. ამნაირად სიტყვა შეიქმნა მოსახმარი სხვა ობიექტის მოძრაობის, ან ასოს უტილიტარობა იმავე მოძრაობის: ამას ვუწოდეთ ჩვენ ზემოთ დისტილიაცია.

ავიღოთ მოვლენა: ადამიანს მოხვდა ელექტროს ნაკადი, რომელმაც მთლად დაიარა სხეული. ის ყვირის **ვაი.** თუმცა ეს სიტყვა ახალი დროის გამოგონილებას არ ეკუთვნის, მაგრამ ცხადია ის შეგვრჩენია და შეგვრჩება თავის-თავად. აქ გამოიხატება მთელი ის წინდროული განცდა, რომელიც შესაძლებელია ერთ და იმავე დროს იტევდეს ჰიუგოსაცა და დოსტოევსკისაც. ყოველ შემთხვევაში წერტილი ამ ორი ლიტერატურული ტიპების მაინც ეს სიტყვა არის **(დასასრულ ვამტკიცებთ, რომ ამ სიტყვას აქვს ინტერნაციონალური ღირებულება).**

ოჯახური დანაწილების უნიადაგობა ყველაზე უფრო სჩანს თანამედროვე ენაში. ეს არის დებულება ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად. სიტყვათა შორის მაინც ვპოულობთ უდიდეს კავშირს, რომლითაც შესაძლებელი ხდება დებულების უდავოთ მიღება, ერთის მხრივ იმ მოსაზრებით, რომ ხმარებაში დარჩა დაწმენდილი ასოები (ზოგიერთ თანხმოვანების შეგნებული გადაგდება ხმარებიდან. გამონაკლისათ გვრჩება ვ, ღ, რ, ხ, ბ, დ, ფ და სხვა და სხვა), და მეორეს მხრივ ტეხნიკის ლექსიკონის სწრაფი ზრდა. შესაძლებელია ამ უკანასკნელით დაიფაროს ენა საბოლოოდ, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს რაიმე მოძრაობის გამოხატვას. **რამდენათაც მრავლიანდება ეს მოძრაობა, იმდენათ მცირე სიტყვები გვრჩება ხმარებაში ამ მოვლენების ათვისებისათვის.** აქ არის კრიზისი სიტყვის და კატასტროფაც. სათანადოთ არსებობს შებრუნებული ფოკუსი ასეთი დაპირდაპირების. სხეული ერთი, დროის ერთეული, და მოვლენების მრავლიანობის ინტეგრალი. ერთსა და იმავე მოძრაობას ქმნის ორი საგანი. მოძრაობის ერთობლივობა შლის ამ საგანთა რაობასა და სხვა და სხვაობას, რომლის მიხედვით გვიხდება საგნების სახელების გამოხატვა ერთობლივობის მიხედვით. ამ ერთობლივობაზე არის აგებული კონსტრუქტივიზმი. ეს — **მეორე..**

მესამე პოლიუსიც არსებობს. სახელდობრ, აზროვნების ეკონომიის პრინციპი, რომელსაც დღემდე ასე თავგამოდებით ექაჩება სხვა და სხვა მეცნიერება. ჯერ კიდევ **მარინეტი** დადგა ამ ფაქტის წინაშე, მხოლოდ ამიტომ აქვს მას **„კოლუმბის“** ტიტული. მან აღიარა რომ მოძრაობაში თავისთავად არსებობს აზროვნების ეკონომია. რამდენათ მისაღები და მართალი იყო ეს უკანასკნელი კანონი, ამას ჩვენ ვამჩნევთ განსაკუთრებით ომის შემდეგ, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა ხელოვნებაში (მხატვრობა).

ამნაირად ნიადაგი უკვე დამზადდა და ჩვენ ვუახლოვდებით სათანადო მომენტს, რომელიც რაც უფრო დაჩქარებით მოხდება მით უკეთესი. ყველაზე მეტად ამას იგრძნობს აღორძინების წინ მდგარი კაცობრიობა. ეს იქნება ტრანსფორმაცია გაუმეორებული. ჯერ-ჯერობით კი გზა ტრანსფორმაციისკენ.

გამძლეობის საკითხი და ხალხური პოეზია

უფრო დიდი საკითხი, რომელიც დღემდე აწვალებს **ხელოვანს – შემომქმედს – პოეტს და ყველა უსუნო გაზებს არის** გამძლეობის საკითხი. საგნის უტილიტარობამდე დაყვანამ მოითხოვა ხელოვნების დაყვანაც უტილიტარობამდე. ამის მაგალითი თუ გნებავთ, არის რუსეთის კონსტრუქტივიზმი **ილია ერენბურგისა.** ჩემს წინ სდგას უზარმაზარი ქანდაკება ლექსი და რომელიმე მოსახმარი საგანი — ნივთი. ყველა მათგანის ღირე-

ბულეაბთა გადაფასება ხდება ჩემში. ყველაზე უფრო ვირჩევთ მოსახმარ ნივთს, რომელსაც შეუძლია მაინც ცოტა თუ ბევრად, დააკმაყოფილოს ჩემი ზოგიერთი მოთხოვნილება. მოკვდა მუნჯი „მოსე“ და ეს ლირიული ტენორით გაჭიანურებული ლექსი. გვრჩება საგანი, რომელსაც მოხმარების თვისება აქვს. მიზანი აქ გარკვეულია: მე მინდა ეს ქანდაკებაც და ეს ლექსიც გადავაქციო ისეთივე საგნად როგორიც არის ეს ნივთი. აქედან ბუნებრივია **ტატლინის „კომინტერნის ძეგლის პროექტი“.** ეს საცოდავი ლირიული ლექსი უნდა გადაიქცეს კოლლექტიურ ლირიკათ. აქ იჭრება უკვე ლირიკის საკითხი, რომელსაც ჩვენ სხვა დროს დავუკავშირებთ კოლექტივს. მაშასადამე, აქ აშკარაა ერთი: ხელოვნების სრული მიყვანა უტილიტარობამდე, მაგრამ რა გზით?

აღნიშნულის მიღწევა შეიძლება ხალხური შემოქმედებიდან გამოსვლით. არ უნდა ვიყოთ უმადური „ინტელიგენტი“-ი. ერენბურგი, რომელიც „ახალ ამერიკას“ ყალიონებით ყნოსვას. აქ საჭიროა სხვა მიდგომა და ხალხური შემოქმედების პერსპექტივები ამ დარგში ფართო ბადეთ არის გაშლილი. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია გავხსნათ გამძლეობის პრობლემა.

ყველაზე უფრო ადრე ამ საკითხს შეეხო **ველიმირ ხლებნიკოვი** (1912-1913 წლებში). გამძლეობის დარგში მან პირველობა ხალხურ პოეზიას მიაკუთვნა. მოკვდა ჰომიროსი, არავინ არ კითხულობს „ღვთაებრივ კომედიას“, „ფაუსტს“, რაინდულ ლიტერატურისაგან არ დაგვრჩენია არც ერთი სტრიქონი მეხსიერებაში, მაგრამ ის, რაც **საერთო** შემოქმედებაა ყოველთვის მეხსიერებაში გვრჩება ან **უფრო** გვრჩება. აი, ამას ეწოდება გამძლეობის ხასიათის გამოაშკარავება. შესაძლებელია პუშკინის წყალ-წყალა სტრიქონები დაივიწყოს კაცმა, ხოლო არასოდეს არ დაივიწყოს „გასათხოვარ გოგოს“ სიმღერები, რომელიც რუსეთის ქალთა კოლექტიურ შემოქმედებას ეკუთვნის, და რომელსაც არა ნაკლებ უტილიტარობა ახასიათებს დიდაქტიკის და სხვა სფეროებში. ამიტომ საკვირველი არაა, თუ თანამედროვე ქართველი

„უფლისციხური პატარძალი“-თ

უფრო ერთობა ვინემ დავით გურამიშვილით, ან ილიას და აკაკის ლექსებით. მოსახსენებელია აგრეთვე სასიმღერო ლექსები „აბა, დელია“, „ლაალე“ და სხვა, რომელთაც უფრო მეტი პირდაპირი დანიშნულება აქვთ მუსიკის დარგში ან ლექსის მუსიკალურ ტეხნიკაში.

> უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ მიდგომით ყველაზე მაღლა სდგას ბესიკი და ვაჟა-ფშაველა, მაგრამ მათ გავლენიდან თავი არა აქვთ დახწეულნი. ვაჟა-ფშაველას მუსიკა ვერ უერთდება სავსებით მის ლექსებისა და პოემების „ხალხურობას“. ასევე ითქმის ბესიკზე. თუმცა რამოდენიმე ხნის განმავლობაში ისინი კიდევ იცოცხლებენ ხალხურ შინაარსითაც. სხვა დროს ჩვენ შევჩერდებით ინტერნაციონალურ პოეზიის მუსიკაზე და ალბათ იქ შევეხებით ამ ორ ცდებს ხალხისაკენ „მიბრუნებისას“ ქართულ პოეზიაში.

ამავე მუსიკაში უნდა ვეძიოთ ჩვენ პოეზიის ინტერნაციონალობის გზა. ჩამოთვლილ ხალხურ სიმღერებში ჩვენ ვხედავთ მოძრაობას.

სწორედ ამით აიხსნება მისი უტილიტარობაც. ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ რუსეთის „ზაუმნიკებმა“ ვერ მიაგნეს ამას. მაგრამ ისეთი გზით წაესიენ მას, რომ ბოლოს და ბოლოს ა. კრუჩიონიხი და ი. ზდანევიჩი გადაიქცნენ **„Ñëî âî î Ï î ëêó Èãî ðåâåå“**-თ. დამტკიცებისათვის აიღეთ:

„Äû ðü
áóëü
Ù èëü“

და პრაქტიკა ზდანევიჩის **„ÑËÎ ÂÎ ÄÐÎ ÁÈËÊÀ“**-სი დაუკავშირეთ ხსენებულს,

„...Áîÿí áî â åù é, àù å êî ì ó õî òÿù å ï åñí ü òâî ðè òè“ და სხ. თქვენ აქ გარდა მუსიკალურ ნათესავობისა ნახავთ აგრეთვე „აზრის“ ნათესავობას. „Ñëî âî î Ï î ëêó Èãî ðåâåå“-ც ხომ მოკვდა. ეს კატასტროფა აუცილებელია იმ პრაქტიკით, რომელსაც

დღეს აწარმოებს 41^0 მომავლისათვის. აქ თითქო სხვანაირი „ზომიერება“ იყო საჭირო, „რევოლიუციონური ზომიერება“ **ხლებნიკოვისა,** რომელსაც ერთ დროს კრუჩიონიხმა აზეფიც კი დაარქვა... მას არავითარი კავშირი არა აქვს 41^0 შემოქმედების გზასთან.

მთელი განვლილი გაკვეთილებიდან აშკარა ხდება გამძლეობის აღმოჩენის სათავის არსებობა. ამის დამტკიცება არის მთელი წარსულის შემოქმედება.

ვერ ვიტყვით, თითქო ხალხური პოეზია უცვლელი რჩებოდეს. ის თანდათანობით ხალისდება „ფსიქოლოგიურადაც“-კი. ყველა ერების ხალხური შემოქმედება სიტყვების ზოგიერთ თვისებათა გამო (დაახლოვებით) გახდება საფუძვლები და გასავლელი გზები ინტერნაციონალურ პოეზიისაკენ.

ნოვატორობის საკითხი

თავის კოსმიურ გამოგონილებებთან ერთად **ველ. ხლებნიკოვი** შეიქმნა ნოვატორი ხალხურ პოეზიის საფუძვლებზე პოეზიის გადატანისა. სიტყვის მოხერხებული ჯამბაზობითა და გამოცდილებით ის ქმნიდა სიტყვას, რომელიც მისაღები არის თანამედროვე შემოქმედებისათვის (ხალხურ). ხლებნიკოვის თეორიას სხვა გვარი გაგება უნდოდა. წინეთ ჩვენ ვახსენეთ 41^0 ახლა ვახსენოთ **ალ. ბლოკიც.** ხლებნიკოვის თეორიას ბლოკი სხვა გვარი სახით მიუდგა. ეს „მიდგომა“ დამთავრდა დამარცხებით. აქ გასაოცარი არაფერი არ იყო ალ. ბლოკის „Äâåí àäöàòü“-ი გარდა ლიტერატურულ პლაგიატობისა დაბრუნდა იმ წუმპეში, საიდანაც თვით „Êî ëÿäà“-ბის სიმღერებიც კი ბრუნდებიან. აქ მოხდა გზის აბნევა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო პლაგიატისათვის. ასე რომ ახალი შინაარსის აგება სადემონსტრაციოთ „საკალიადო“ სიმღერებზე კურიოზებით დამთავრდა. ამის მოწამე ჩვენ მალე შევიქნებით. შესაძლებელია გვეუცხოვოს ასეთი შედარება, მაგრამ ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა ბევრად უფრო ნოვატორი რჩება ვიდრე ბლოკი, თვით მუსიკის გაგებაშიც კი.

ეს მოვლენა გაგრძელდება ჯერ კიდევ, მაგრამ ეს დროული მოვლენაა უეჭველად. სანამ არ მოხდება კოლექტიური მისვლა საგანთან, მანამ ადგილი ექნება ამ შემთხვევას და ხელოვნების ახალი ტრაქტატიც მაშინ დაიწერება. ჯერ კი ადამიანი ნივთის დიქტატურის ქვეშ იმყოფება და ჩვენ მოწამენი ვართ ასეთ შემთხვევებისა: დროებით იბადება რელიგიური მისტიციზმი საგნისადმი, რასაც თან სდევს ადამიანის დაყვანა ნივთამდე. ეს კი წაშლის ენათა შორის განსხვავების საზღვრებს სამუდამოთ. აქედან საბოლოოდ მოდის

ინტერნაციონალური პოეზია.

ბიძინა აბულაძე

პოეზია nec plus ultra

პოეზია აყროლდა, გრანდიოზულ სასაფლაოზე ამართულია მრავალი სარკოფაგი. ვერავითარმა ბალზამმა ვერ უშველა პოეზიის ლეშს. მიახლოვებისას თქვენ გეცემათ სიმყრალის სუნი. ასეთ ატმოსფერაში ვერავინ გაჩერდება. ცხოვრების დინამიზმი ხელს გვიწყობს როგორც ბანდიტები შავიჭრებით ძველ პოეზიის სასაფლაოზე და ავაყირავებთ ყველა სარკოფაგებს. მაგრამ ჯერ არავის აუშენებია **პოეზიის მძორისთვის კრემა-**

ტორიუმი. საჭიროა ოზონატორი. ôორმულა უშხამესი, **ახალი ხელოვნება, რომელიც იზრდება როგორც სიმდიდრე შარაგზის ავაზაკების.** საქართველო ძველიდანვე განთქმულია პოეზიის დეზინტერიით. ირგვლივ სხედან კუზიანები ხელოვნებაში. **კომიკურ ôილმას წააგავს მათთან ბრძოლა.** საამისოდ შეიძლება მრავალი იყოს საქართველოში დონ-კიხოტი. მაგრამ ყანწიზმის გარდაცვალებამ, რომელიც ჩუმი აგონიით მოხდა, არავინ ააღელვა. ხდება სასწრაფო ლიკვიდაცია ყველა სკოლების.

ნოტარიუსები საკმაოდ არიან. დღეს ყველამ იცის, თუ ვინ არიან ჩვენში პოეზიის ჩინოვნიკები. მემარცხენეობის სუროგატი კი არავის აინტერესებს. საჭიროა მტკიცე ვალიუტა. ამიტომ ახალი ხელოვნება ერთად ერთია, რომელიც შესაძლებელია საბჭოთა საქართველოში. რადგან იგი იშვა ომების და რევოლუციის ტრადიციებზე ზედმეტია ლაპარაკი. **წარსული რჩება როგორც ფიზიოლოგიის საკითხი.** შეუძლებელია ლაპარაკი ძველ პოეზიაზე დღეს, როდესაც სიყვარული უბრალო სქესობრივ ემოციათ იქცა.

მთვარე ონანიზმისგან დაცლილა.

ამური ჩექმისმწმენდელათ გახდა.

და სანტიმენტალიზმის უკანასკნელი ციტადელი დარჩა მხოლოდ ფეხსადგილი.

ქართულ ხელოვნებას არაფერი არ ახასიათებს. დღეიდან იწყება ახალი პოეტიკა — მუდმივი ძიება ახალი აღმოჩენა, მკლევარის სკალპელი. ტრაôარეტული იარლიკები საჭირო არ არის. რევოლუციამ მრავალ პოეტებს პარალიჩი გაუჩინა. **ომამდე არსებული პარôიუმერულ-კოსმეტიური ôუტურიზმი** ზარბაზნების გრიალში ჩაკვდა. სხვა დანარჩენ სკოლებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ისინი უფრო ადრე გაქვავდენ. ნამდვილი მემარცხენეობა ომების და რევოლუციების ნამდვილი შვილია. რევოლუციამ მოიტანა ახალი გაგება:

მასალის.

ნივთის.

სიტყვის, მსოფლიო შეგრძნობა ჩამოყალიბდა ახალ დინამიურ ნივთში. რევოლუცია პოეზიაში ხდება ნგრევის ხაზებით. აქედან ტერორის გამართლება პოეზიაში რევოლუცია ჯერ არ გათავებულა. ტერიტორიალურ რევოლუციიდან დღეს გადავდივართ მსოფლიო რევოლუციაში. მაგრამ საჭიროა გაკეთება ახალ ნივთის. ამერიკანიზაცია მასსების. აქედან:

ახალი პოეტი.

პოეტი ინჟინერი.

პოეტი პრაქტიკი. პოეზია, სადაც ôორმა არის მხოლოდ მოვლენა. თანაც პროცესი. აქედან ყოველი ôორმა არის მოძრაობა. შესაძლებლობა დინამიურ სიტყვის, რომელიც სახიერდება ლექსალურ თქმაში. Vers libre-ი კომპრომეტიულად გაკოტრდა. ხდება სიტყვის ემანსიპაცია. აქედან ზაუმი არის განთავისუფლება სიტყვის ყოველგვარ მონობისაგან. საჭიროა ცოდნა: **ყოველი სიტყვა ჯერ ხმა არის, მერე შინაარსი.** ამიტომ ყოველი სიტყვა მისაღებია ინდივიდუალურად. მაგალითად ჩემთვის სიტყვა **„ოფლი“** უფრო ლამაზია ვიდრე **„ვარდი“.**

აზრი.

იდეა.

შინაარსი მეორე ხარისხის ეკვივალენტია. ჯერ კიდევ კარლ მარქსს უთქვამს: **„იდეა კუჭში იბადება“.** თანამედროვე ანალოგია: ტრისტან და არა „აზრი პირში იქმნის“. ტერენტიევის „ÿ áðàò ðòî ì ðàáî òó ðî æàþ “: მე მრწამს პოეზია როგორც **რეკლამ-ბიურო.**

პოეზია დინამიურობის ყოველ-დღიური გაზეთი.

პოეზია როგორც სალტომორტალური ქრონიკა. თამაში სიტყვებით.

პოეტი აკრობატი.

ჟონგლიორი.

ეკვილიბრისტი.

ლეან კოკტო ამბობს: „ჩვენ არა ვართ მეოცნებენი. ჩვენ ვართ მკლევარნი“. ახალ ქვეყნების, უცხო ქვეყნების მკლევარნი. **ხელოვნება ცხოვრების კორექტორი არ არის, არც ორნამენტიული ფრესკა.** ცხოვრება ქაოსია. ახალი პოეტი არის ორგანიზატორი კონსტრუქტორი ამ ქაოსის. ახალი პოეზია როგორც აქტუალური ძალა ერევა ცხოვრების ყოველდღიურობაში და ან გადააღამებს ან სრულიად სპობს ძველ დრომოჭმულ ღირებულებებს.

არავითარი მემარცხენეობა არ არსებობს. ექსპრესიონიზმი ლიმონათის იარლიკია. გერმანეთის თანამედროვე ხელოვნება გაზია, რომელიც ვერ ეტევა ბოთლში და ყოველ დღე მოსალოდნელია მისი აფეთქება. მაშინ იარლიკი თავის თავად გაქრება არის მხოლოდ ორი გამოსვლა. **5 თებერვალი 1920 წელი პარიზში და 23 მარტი 1923 წელი თბილისში.** აქ გეოგრაფია არაფერ შუაშია. რა არის დადა. მაგრამ ამაზე შემდეგ „დადა და რევოლუცია“.

შალვა ალხაზიშვილი

1. თვით პოეტიკაზე

(შესავალის სახით)

ობიექტიური პოეტიკა, როგორც დამოუკიდებელი კვლევა-მოსაჩვენარი ილლიუზიაა მხოლოდ. ეს შეუძლებლობა მარტო თანამედროვე აზროვნების რელატივიზმით არ აიხსნება.

პრობლემის სრული კონცეპციის მოსახაზავათ, აუცილებელია მისი განყენება საკუთარი ინტერესებისაგან და უშუალო განსჭვრეტა.

პოეტიკას კი უფრო ხშირათ ქმნიან პოეტები, რომლებიც ცხადია, თვითონ არიან მოქცეული პრობლემის ორბიტში, დაყენებულ საკითხის რკალში და უეჭველათ ფარავენ მის დიდსა თუ პატარა ნაწილს.

აქ ყველაზე მეტათ წარმოსადგენია ის ბადე-გარსი, რომელიც ბერგსონის აღმოჩენით, მოვლენისა და მის ამთვისებელს შორის ჩნდება (უკანასკნელის ინტერესიდან გამომდინარე) და სპობს შესაძლებლობას ფაქტის ყოველმხრივი ხილვისას.

ამიტომ პოეტიკაში ყველაზე მეტათ: „რაც ფაქტია, — არ არის ფაქტი“, რაც ჭეშმარიტებაა მხოლოდ ნაწილია ჭეშმარიტების.

ლიტერატურული კრიტიკა — ჩემის წარმოდგენით — ანალიტური განგრძობაა შემოქმედების სინთეტურ პროცესისა. იგი პოეზიაში მოქცეულ რკალების გახსნაა და ექსპოზიცია.

ამიტომ პოეტიკა, რომელიც ერთის შეხედვით თითქოს მარშრუტს უხაზავს პოეზიას, თითქო ლიანდაგს უგებს პოეზიის ექსპრესს, — ნამდვილათ: უკვე წინასწარ განსაზღვრულია თავის ნააზრევში.

როგორც ლოღიკა ნააზრევის შემდგომი რევიზიაა და თვით აზროვნების პროცესისათვის უმნიშვნელო, ისე პოეტიკა, შემოქმედებაში უკვე დამკვიდრებულ მიღწევათა ანალიზია და თვით შემოქმედებას არაფერს მატებს.

არგუმენტაციისათვის:

მაგალითად რას აძლევს თანამედროვე რუსულ პოეზიას თუნდ ისეთი საინტერესო სპეციალური ნაშრომები პოეტიკის საკითხებზე, რომლითაც ეხლა ბიბლიოთეკის თაროებს ავსებს „academia“-ს გამომცემლობა.

ეიხენბაუმი, ტომაშევსკი, ჟურმანსკი და სხვები, რომლებიც ამუშავებენ საკითხებს რუსული ლექსის მელოდიკის, ინსტრუმენტოვკის, მეტრიკის, რითმის და საერთოთ ლექსის ტეხნოლოგიის შესახებ, მხოლოდ მიღწეულ კომბინაციათა ილლიუსტრაციას იძლევიან, მაგრამ მათი წიგნები ვერც კი მოასწრებენ ვიტრინებში მოქცევას, რომ ახალი, პოეზიაში მიღწეული შესაძლებლობანი სპობენ კანონათ აღიარებულ მეთოდებს.

ამ რიგათ, თანამედროვე განწყობილებაში პოეტიკის თეორიას არ შეიძლება დაეკისროს პოეზიისათვის ტრაქტატების შექმნა და მისი მომავალი კონტურების შემოფარგვლა.

მას ერთი მნიშვნელოვანი მისსია რჩება:

არსებულ საპოეზიო მიმართულებათა პოზიციების დაზვერვა, და მათი შეფასება:

აქედან: პოეტიკა და ლიტერატურული კრიტიკა დღეს გადაქცეულია ბრძოლის საუკეთესო იარაღათ საპოეზიო შკოლათა შორის.

კიდევ არგუმენტაცია:

თანამედროვე ფრანგული პოეტიკა შკოლების მანიფესტებითა (როგორც, მაგ. მანიფესტები, „la Pleiade“-ს „la Muse Française“-ს და სხ. ჯგუფების) და სადისკუსიო ნაშრომებით განისაზღვრება.

ჟან კოკტოს, ჟიულ რომენის, ჟორჟ შევენურის, და სხ. თეორეტიული ხასიათის ნაწერები მხოლოდ პოლემიკაა და ბრძოლა საკუთარ ლიტერატურულ „credo“-ს გასამტკიცებლათ.

და ჩვენი წერილიც ამ თავითვე გარკვეულია თავის მიზანში: იგი იწერება ქართულ პოეზიაში დაყენებულ შმორის სალიკვიდაციოთ და იმ პოზიციების საბოლოო დარღვევისათვის, რომლებზედაც კიდევ სდგანან ქართულ პოეზიის ავტორიტეტული თუ არა ავტორიტეტული რუტინები.

კიდევ ერთი განმარტება.

ქართული პოეზიის მიმართულებათა გადაფასების დროს ჩვენ ზოგჯერ დაგვჭირდება შევეხოთ ლიტერატურულ „პიგმეებსა“ და „დაუსრულებლივ პატარა სიდიდეებსაც“.

ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გავანადგუროთ ამ მოლეკულარულ ბაცილების ატმოსფერის მშხამავი გავლენაც.

— —

რომ გარკვეული იქნეს ის იდეოლოგიური არე, — ის სტრატეგიული პუნქტი, საიდანაც ჩვენ ვუმიზნებთ დღევანდელ ქართულ ლიტერატურას, საჭიროა წინასწარ კონკრეტულათ მოიხაზოს ჩვენი „მემარჯვენე ხელოვნებისაგან“ დაშორების მთავარი მომენტები.

ამიტომ ამ წერილის პირველ ნაწილში ჩვენ გადავსჭრით ზოგიერთ ცენტრალურ პრობლემებს თანამედროვე ხელოვნებისას.

2. ფორმა და შინაარსი

ეს საკითხი დიდ ხანს წარმოადგენდა პოლემიკის საგანს. ხან ერთის, ხან მეორის მხარეზე იხრებოდა პრიორიტეტი. ამ ნიადაგზე ჩნდებოდენ მთელი ლიტერატურული შკოლები. ჩვენ მიერ საკითხი სწყდება ასეთ დუალიზმის სრული უარყოფით.

ფორმა და შინაარსი ორი განუკვეთელი ელემენტია შემოქმედებისა, ისე უსაზღვროთ გადასული ერთი-მეორეში, რომ დაკარგულია მათ შორის შეხვედრისა და განსაზღვრის წერტილი. რადგან აფორმიული არაფერია, ხოლო რაიმე ფორმალი კომბინაცია უშინაარსოთ არც კი წარმოიდგინება, ამიტომ ყოველი ახალი ფორმა გულისხმობს ახალ იდეას და პირიქით.

ამ რიგათ ფორმისა და იდეის პრობლემას ჩვენ ვსჭრით მონისტური თვალსაზრისით. აქედან ნათელია ძირეული შეცდომა იმ „კრიტიკოსების“, რომლებიც ô უტურიზმში მხოლოდ ფორმალურ მიღწევებს აფასებენ.

3. პასსეიზმი და ფუტურიზმი

ხელოვნება, რომელიც ცდილობს ასახოს „ამწუთურ“ რეალობა, იჩეხება პასსეიზმში.

თქვენ ვერც კი მოასწრებთ დაამთავროთ შტრიხიული ნახაზი „აწმყოსი“, რომ მისი შესაფარდი დრო უკვე გაიქროლებს, და ხელთ გრჩებათ „განვლილის“ სურათი. ამიტომ ხელოვნებას სჭირდება წინად მზერა. იგი უნდა იძლეოდეს ეკვივალენტს „მყობადერი“ რეალობისას.

აბსოლუტურათ „თანამედროვე“ შემოქმედება შეუძლებელია.

აქ შეიძლება ფსიქოლოგიის ის დებულებაც დავიხმაროთ, რომ დროის აღთქმა (âî ñï ðèàòèÿ) შეუძლებელია მისი სწრაფი სრბოლვის გამო.

ამით აიხსნება, რომ „ყოფა-ცხოვრების“ ხელოვნება („áû òî âî å èñêóñòâî “), მიუხედავათ თვისი პრეტენზიებისა „თანამედროვეობაზე“, ყოველთვის ჩამორჩენილობის ტრაგედიაში იხრჩობა. ამ რიგათ: რაც მყობადური არაა — ის წარსულისეულია.

4. ღმერთიდან — ნივთამდე

სიუჟეტის ევოლიუცია ხელოვნებაში მიმდინარეობს კაცობრიობის კულტურულ ეტაპების პარალელურათ.

ციური ღმერთებისა და ოლიმპის რელიგიოზური ექსტაზისით გაჟღენთილ ხელოვნებას სცვლის ხელოვნება, სადაც სიუჟეტი ადამიანია — (ჯერ რაინდი, შემდეგ უბრალო მომაკვდავი) შემდეგ ხელოვნება ჩერდება ცხოველთა სამყაროზე, უსიცოცხლო ბუნებაზე და უკანასკნელათ, იგი უახლოვდება — მატერიას ნივთს.

ასე დაეშვა ხელოვნება ციდან — ჩვენს პლანეტამდე: მეტაფიზიკურ ტრანსცენდენტალობიდან — პოზიტიურ რეალობამდე.

5. ნივთი

ახალი ხელოვნება მიმდინარეობს მატერიალურ მშენებლობის პროცესის პარალელურათ. როგორც მთელი თანამედროვე მატერიალური კულტურა ნივთობრივ კონსტრუქციებით შენდება, ისე ხელოვნებისათვისაც, შემოქმედების საწყისიც (სიუჟეტი) და მიზანიც — ნივთია. (წარმოებითი ô უტურიზმი და კონსტრუქტივიზმი).

ნატურალიზმი „საგანს“ განიხილავდა, როგორც სტატურმყარ მატერიას. ჩვენ ნივთს ვღებულობთ როგორც **დინამიურ ელემენტს მშენებლობითი მოძრაობისა.**

იმპრესსიონიზმი და სიმბოლიზმი „საგანში“ ხელოვანთა კონკრეტ სიმბოლიკას მის უკან დაფარულ ტრანსცენდენტალი აბსტრაქციებისა. ჩვენი მისვლა ნივთთან — სავსებით პოზიტიურია. აქედან: **აფსიქოლოგიზმი ახალ ხელოვნების.**

6. სიუჟეტი

ვიქტორ შკლოვსკი დაახლოებით ასე სჭრის სიუჟეტის საკითხს: თანამედროვე ხელოვნება ნივთების მიმართებაა, ამიტომ მთავარი ამ მიმართების და კომბინაციის ფორმალი თავისებურება, და არა თვით ობიექტი. სულ ერთია, „სამყარო მიემართება სამყაროს, თუ ბურთი — ბურთს“.

ოსკარ ვალცელი იმოწმებს გიოტეს თქმას: დღევანდელი მწერლები მთავარ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ „რაზე“ სწერენ, — ივიწყებენ კი, — თუ „როგორ“ სწერენ.

სწორეთ ეს „როგორ“ არის არსებითი თანამედროვე ხელოვნებაში.

თემა და სიუჟეტი იმპულსია მხატვრული შემოქმედების — თვით შემოქმედება კი — სიუჟეტის თავისებურ შესრულებას გულისხმობს.

განსახიერების პრობლემა.

აბსოლიუტური რეალიზმი ხელოვნებაში წარმოუდგენელია. ხელოვნური ნაწარმოები არ შეიძლება ობიექტის იდენტიური ადეკვიტი იყოს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ყოველგვარ ხელოვნების ათვისება შესაძლებელია მხოლოდ ასოციაციის გზით. რაც უფრო წინაურდება კაცობრიობა, მით უფრო იზრდება მისი ასოციაციური, წარმოდგენითი პოტენცია. ამიტომ კულტურულ პროგრესის პარალელურათ ხელოვნება შორდება სიუჟეტს. ეს თეორეტიული მტკიცება მართლდება ისტორიულათაც. თანამედროვე კუბიზმი, სუპრემატიზმი და მთელი მემარცხენე ხელოვნება ცხადმყოფი არგუმენტია ამ დებულებისათვის.

მეორეს მხრივ: ხელოვნება, რომელიც ობიექტის ეკვივალენტიურ განსახებას მოგცემს, არ იქნება შემოქმედება, რადგან ეს უკანასკნელი სამყაროს, ჯერ არ არსებულათ შევსებას გულისხმობს.

მიღწევა იყო ელენა გუროს თქმა: მე მინდა ჩემს ოთახში დავაყირავო დგამები და ამრიგათ მივიღო მსოფლიოს ახალი აღთქმაო.

შეიძლება ამ პოეტური მეტაფორიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ თანამედროვე მემარცხენე ხელოვნება გარესკნულს ასახავს ყოველთვის ახალი ინტერპრეტაციით, ე. ი. გარდასახეობით, მართლაც: რეალისტური სურათი, მაგალითათ ქვის, ერთი წუთითაც ვერ შეარხევდა ჩვენს ნერვიულ აპარატს. ასეთი ხელოვნება ვერ მოგვცემდა ჯერ განუცდელ შეგრძნობთა შესაძლებლობას; მაშასადამე გაუმართლებელი დარჩებოდა ხელოვნების ფუნქცია, რომელიც ჩვენ გვესმის ახალი სიცოცხლისა და მყოფადერი რეალობის შექმნის სახით.

— —

აქ შევსწყვეტთ ჩვენი წერილის, ასე ვსთქვათ, პოზიტურ ნაწილს, რომელშიაც თეზისების სახით შევეცადეთ წარმოგვედგინა მთავარი მომენტები მემარცხენე ხელოვნების იდეოლოგიიდან.

ეს მიღწევები აერთიანებენ მთელ თანამედროვე მემარცხენე ფრონტს ხელოვნებისას (მიუხედავათ მისი სხვა და სხვა მიმართულებებათ დაყოფისა) გილიომ აპოლინერიდან ჩვენამდე: ზემოთ გამოყვანილი დასკვნები გამოდგებიან, როგორც წინასწარ განმაპირობებელი პოსტულატები იმ კრიტიკული თვალსაზრისის გასაგებათ, რომლითაც ჩვენ ეხლა მივუდგებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურას:

II
„ცისფერი ყანწები“

ეს თეორიაში — სრულ გაუგებრობის და გერმაფროდიტიზმის, ხოლო პრაქტიკაში მთავარმნიშველობამდე დასული პლაგიატოს ნიადაგზე გაერთიანებული ლიტერატურული ლეში შეიძლება მოექცეს იმ ფორმულაში, რომლითაც ლარუსსოს ლექსიკონი განმარტავს არლეკინს:

ყოველგვარი ნარჩენის კომპილიაცია.

ორი სიტყვა, ორდენის წოდება ერთი შეხებით იძლევა წარმოდგენას ამ შკოლის იმანენტური ბუნებისას.

„ცისფერი ყანწები“ — ერთის მხრივ გვაგრძნობიებს „დაუსრულებლობისაკენ მსრბოლავ ექსპანსიურ სულს“ ფანტასმაგორულ სწრაფვას მისტიურ სივრცეებში, მეორეს მხრივ — ყანწებისა და აზარფეშების კულტს, რაც ესენციაა საშუალო საუკუნოების და ფეოდალური კულტურის ფსიხიკისა.

ჩვენ საბოლოოთ და ალბათ უკანასკნელათ ვახდენთ გენეზისს ამ შკოლის ათი წლის არსებობისას. უკანასკნელათ, რადგან მოსაბეზრებელია წერა და ლაპარაკი ისეთ მოვლენაზე, რომელიც არც ერთ წერტილში არ გადაკვეთს ეპოქის და თანადროულობის მიმართებას.

ის შკოლები, რომელთა პატარა ეპიგონობას სცდილობდა „ცისფერი ყანწები“ დასავლეთსა და რუსეთს ლიტერატურაში უკვე განვლილი პერიოდის რკალშია მოქცეული. დასავლეთის ახალ პოეზიისათვის სიმბოლიზმი ისევე არქივის მასალაა, როგორც რომანტიზმი ან ნატურალიზმი. თუ ცოცხალია მნიშვნელობა ვერჰარნისა და უიტმენის, ეს მათი განსაკუთრებული ურბანული ბუნებით აიხსნება მხოლოდ.

რუსული სიმბოლიზმი — მკვდარია თანამედროვეობისათვის; იგი ფაქტიურათ ემიგრაციაში იმყოფება რევოლიუციისაგან.

ჩვენში ყველაფერი იგვიანებს. „ცისფერი ყანწები“ უკვე მოიხსნა, როგორც მებრძოლი შკოლა და შეეფარა რედაქციებს მთარგმნელისა და ქრონიკორის როლში. მთარგმნელობა ამ შკოლის სპეციფიკა თავიდანვე იყო; მაგრამ ეხლა დაკარგეს გამბედაობაც თარგმანის საკუთარ შემოქმედებით გამოცხადების და მთელი მათი ეხლანდელი მისსია ფუტურისტულ და ექსპრესიონისტულ ლიტერატურის ქართულ ენაზე პოპულიარიზაციით ამოიწურება.

ამ რიგათ „ცისფერ ყანწებს“ აღარც პრეტენზიები აქვს.

და თუ ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ ამ მიმდინარეობაზე, ამის ახსნა ჩვენ ამ წერილის შესავალში გვაქვს, რომ ეს წერილი ლიტერატურულ შმორის სალიკვიდაციოთ იწერება.

— —

ყანწი, ეს პრიმიტივის და პირველყოფილობის სიმბოლიკაა, რომელსაც არ შეხებია ცივილიზაციის დამკუთხავი გავლენა, მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო ღერბათ ისეთი პრიმიტიული გემოვნებისა და უკულტურო შკოლისათვის.

ქართული პოეზიის ტრანსფორმატორულ პრეტენზიებით მოსული შკოლა იმდენათ უკულტიურო აღმოჩნდა, რომ თავისი გამოცემის პირველ ნომერში კურიოზულათ არიეს და ვერ განასხვავეს ორი ისე პოლიარულათ ურთიერთისაგან დაშორებული მიმართულება, როგორაცაა სიმბოლიზმი და ფუტურიზმი.

პაოლო იაშვილის „პირველთქმა“ რომანტიული პათოსით განმეორება პირველყოფილი ფუტურიზმის მანიფესტების; და ტიციან ტაბიძის წერილი, სიმბოლიზმის იდეოლოგიის პრეტენზიით. ასეთი იყო თეორეტული სიმტკიცე „ცისფერი ყანწების“.

რასაკვირველია, საჭიროების გარეშეა იმ ვულგარული აბსურდიის კრიტიკა, რომლითაც დატენილია ეს მანიფესტი და წერილი. მათი გახსენება მხოლოდ იმ „ჰიბრიდამის“ საილიუსტრაციოთ არის საჭირო, რომელსაც „ცისფერი ყანწების“ პირველი ნუმრიდან დღემდე ანვითარებდა ეს შკოლა.

გრ. რობაქიძე და ტიციან ტაბიძე ქმნიდენ თეორიულ მსოფლმხედველობას „ცისფერი ყანწებისას“. ერთ ჩემ წერილში „პლაგიატია და გრამოფონი“ მე ვამტკიცებდი, რომ რობაქიძე აზროვნებს და ქმნის ყოველი ახლად „მოსული“ წიგნის ან ჟურნალის დამპყრობი გავლენით. უაილდის, ნიცშეს და ოტოვეინგერის პოპულიარიზაციიდან იგი ახალგაზრდა „ყანწელებმა“ სიმბოლიზმის „უმცროსი თაობის“ ორიენტაციაზე გადაბარგეს. უკანასკნელათ გამსახურდიას ექსპრესიონისტულ დეკლარაციების ეპიგონი გახდა და „მიწასთან დაბრუნების“ თეორიებს არკვევს.

ნათქვამი მხოლოდ იმის საილუსტრაციოთ, რომ რობაქიძეს არ ახასიათებს აზროვნების დამოუკიდებლობა და გამძლეობაა მსოფლმხედველობის გარკვეულობა. იგი გიპსიური ელასტიურობით იზრდება ყოველი ახალი გავლენის ყალიბში.

ტიციან ტაბიძეს მოსწრებულათ ეწოდა „ბიბლიოგრაფიული“ მოაზროვნე.

„ცისფერ ყანწებში“ ის ამტკიცებდა სიმბოლიზმის მსოფლმხედველობის იდენტურობას ქართველი ხალხის ფსიხიკასთან და „ყველა არგუმენტით“ სცდილობდა გაემაგრებია სიმბოლიზმის პერსპექტივა ჩვენში.

შემდეგ „êóðàí òû “-ში სიმბოლიზმს „ცისფერი ყანწების“ გარდავალ პოზიციათ აღიარებდა და ირწმუნებოდა, რომ ამ შკოლას მთელი პერსპექტივა ô უტურიზმისაკენ იხრება; უკანასკნელათ ამტკიცებს, რომ პოეზია რემბოს შემდეგ „ერთი ხაზითაც არ გახროლა“.

დასასრულ „ცისფერ ყანწების“ და დადას დაკავშირებას სცდილობს. ჩვენთვის საინტერესო იყო ხვეული ამ კომბინაციის, მაგრამ ტაბიძე ყოველთვის პრობლემის პერიფერიაში ტრიალობს და საკითხს გადაუწყვეტელს სტოვებს: მისი წერილები ყოველთვის „შესავალია“; ან საკითხის გამორკვევას დაპირებით ასრულებს.

ამ რიგათ იდეოლოგია „ცისფერი ყანწების“ ვულგარული ეკლეკტიკაა. ეხლა მისი „პრაქტიკის“ სწრაფი ექსკურსიც:

გრ. რობაქიძე — „პოეტი-ფილოსოფოსი“, დებიუტანტი „თეატრი და ცხოვრების“; პირველი სტადია — გატაცება გრიშაშვილით („სირენას სიმღერა“-სა და გრიშაშვილს შორის ერთი ნაბიჯია). შემდეგ ყალბი პათოსი და ცრუ-კლასიკური რიტორიკა. უკანასკნელათ: მიწასთან დაბრუნება და პრიმატივის პოეტიკა: რაფიელ ერისთავთან დაახლოება (ეს ჩემს მიერ აღნიშნული იყო თავის დროზე); „მალშტრემ“ — ლიტერატურული ხლამია „დიონისეს კულტი“, რელიგიოზური ექსტაზი.

პაოლო იაშვილი — პირველ ხანებში პარიზის შთაბეჭდილებით გაბრუებული და ბალმონტის ეპიგონი („ფარშევანგები ქალაქში“, „წითელი ხარი“ და სხ.); შემდეგ იმაჟინისტების გავლენა: „წერილი დედას“ (ესენინიადა); ეხლა:

„უნდა ავარდე მამადავითზე“, მარინეტით შეუგნებელი გატაცებიდან — დაწმენდილ რომანტიკამდე.
შემოქმედებაშიც მხოლოდ; კონტერინსიე ან უკეთ — იმერელ აზნაურის პათოსის „ტოლუმბაში“.
„ფერადი ბუშტები“ აპოთეოზია მთელი მისი ბუშტივით მსუბუქი და „გაბერილი“ პოეზიის.

ტიციან ტაბიძე — „უაილდის პროფილი“ (დეგენერაცია და დეკადანსი); კულტი წარსულის: „ქალდეას ქალაქები“ („დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მოვყვები“), „ძველი ორპირი, დანგრეული სანავოები“, მალიარიის, ტუბერკულოზის, ნახველის და შხამის პოეზია.
მჟავე ლირიკა. „მადლობა უფალს, ჩემი სული მას აბარია“ — უკანასკნელათ აღელვებს დანიელა ურიაც. და „ხედავს იმ მარგუს, მოწამლული სადაც დაწვება“.

ვალერიან გაფრინდაშვილი — „ოფელიის კუატიორი და დენშჩიკი“, ყველაზე მეტათ ფანტასმაგორული და მისტიური კოლორის პოეტი — „მისტიური საფერფლე“, „დაისები“, — ბლოკური პლატონიზმი, საგნების იდეალიზაცია და ჭარბი ფსიხოლოგიზმი. ჭლექისა და თვითმკვლელობის პოეტიკა. ბრუნავს ანტომების რკალში; ყოველი საგანი მისთვის ანტომია — სიმბოლიკა რაღაც აბსტრაქტულის და ტრანსცენდენტალის.

კოლაუ ნადირაძე — მთვარის თანამგზავრი: ძველი ციხეების კედლების წინ ჟრუანტელი; ბალდახინის და „momento mori“-ს პოეტი. „მოკუნტული, როგორც იუდა“, „თითქო ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა ლოცვის დროს თავზე“, „და ღვთისმშობელის მოგრძო თვალები, უმანკო სევდით ამოვსებული“; „ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს სავსე გული შენ ჩაგაბარე, და მას ეგ კალთა ბროლით ქარგული-გადააფარე“. ილლიუსტრაციისათვის კმარა.
საერთოთ: სპლინი, ავათმყოფი სენტიმეტალიკა, ნევრასტენია, პასსეიზმი და მთელი დეკადენტური ფსიხიკა.

გ. ლეონიძე — „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ ახლო თანამშრომელი, პრიმიტიული „სიმსუქნის“ პოეტი. მოზვერისა და კახური კამეჩის შთაბეჭდილების პოეზია. ეხლა ზაქარია ჭიჭინაძის პროფესიონალური გამგრძელებელი ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად.

რაჟდენ გვეტაძე — ანუ მათეშვილი „თეთრი წიგნის“ ავტორი; „დაბინდული ქარვები“ და „ღამეები“ (აღსანიშნავია ფერითი კოლორიტის ევოლიუცია: თეთრი — ყვითელი — შავი).
ტემა: „ოფლიანი ღლიავი“. სოფლის პეიზაჟი (ბოსტანი — ხბოს ტანიბოზები და უკანასკნელათ ვირების მესსიანიზმი. რობაქიძეს ეს პრიმიტივთან დაბრუნებათ მიაჩნია; მე კი — უკულტურობაში ჩახრჩობათ და პრიმიტივიდან თავდაუღწევლობით, დანარჩენებზე შეჩერება არაფერს გამოარკვევს ახალს.

რეზიუმე:

„ცისფერი ყანწები“ თავისი სენტიმენტალიკით და რომანტიკით „მთვარის სამყაროს“ და სოფლის პოეზიაა. მისი შემოქმედების ობიექტი მკვიდრი ბუნების „საგანია“, გაიდეალებული და აბსტრაქციაში გადატანილი. აქედან გამომდინარეობს: მეტაფიზიკური და მისტიური ძიება ღმერთებისა და „ასტრალური სამყაროების“. აქიდანვე გამომდინარეობს „ფსიხოლოგიზმი“ „ცისფერი ყანწების“.

„ცისფერი ყანწები“ უკანმზერისა და პასსეიზმის პოეზიაა. მასში იშლება დეგენერატული სკეპსისი, შხამი, ტუბერკულოზი, სპლინი და საერთო სიკვდილისა და გადაშენების აგონიით ამღვრეული სული. აქედან იგი დეკადანსის პოეზიაა.

„ცისფერი ყანწები“ ფსიქოლოგიურათ ეთიშება მასსას; იგი ილიუზიაა ცოცხალი და მბრუნავი გარესკნელისაგან და საკუთარ ეპილეფსიურ განცდებში მომწყვდევაა (ულტრაინდივიდუალიზმი), „ცისფერი ყანწები“ პასსივი და სტატიურია ათვისებისა და განსახების პროცესში.

ასე ამრიგად დამტკიცებულია ჩვენი დებულება, რომ „ცისფერი ყანწები“ არც ერთ წერტილში არ გადაკვეთს თანამედროებას.

ჩვენი საუკუნე ხასიათდება პოზიტური და რეალური აღთქმით გარესკნელისა; თანამედროვე კულტურა შენდება ყოველგვარ ფსიხოლოგიზმისაგან დაწმენდილ ნივთების უტილიტარულ კონსტრუქციით. ჩვენი რევოლიუციონური ეპოქა დინამური თავის მშენებლობით პროცესში და ჯანსაღი ოპტიმიზმით მიიწევს მყოფადობისაკენ. თანამედროვე ფსიხიკა სცილდება ინდივიდუალურ ნაჭუჭს და გადადის კოლექტივიზმში.

კიდევ ერთი ფაქტი: H_2SO_4-ის პირველ ჟურნალში „ყანწელების“ ლექსები გადატანილი იყო შაბლონური სამიკიტნოების სიმღერების მოტივზე.

ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. აქ მტკიცდება „ყანწელების“ აკუსტიური სიჩლუნგე, ლექსის ტეხნოლოგიის და საერთოთ შესრულების მხრივაც.

III

პროლეტარული პოეზია

პირველყოვლისა, პროლეტარული პოეზიის მომავალი ჩემთვის მეტისმეტად პრობლემატურია. მთელი აზრი პროლეტარიატის ბრძოლისა იმაში მდგომარეობს, რომ მოისპოს საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია და შეიქმნას მთლიანი, ჰარმონიული ყოფა. ამ რიგათ პროლეტარიატის მიზნობრივი გამარჯვება ნიშნავს „პროლეტარული პოეზიის“ როგორც ყველაფრის, რაც კლასიურია მოხსნას.

შეიძლება პროლეტარული პოეზია შერჩეს გარდამავალ პერიოდს იმ ორ პერიოდს შორის, რომელთა ერთი მხრივ ლიკვიდაცია და მეორეს მხრივ შექმნა არის raison d’être თანამედროვე რევოლიუციისა.

პროლეტარიატი უშუალოთ დაინტერესებულია, რომ ეს ინტერვალი, რაც შეიძლება მინიმალურ დროს იტევდეს.

მეორეს მხრივ:

პროლეტარული პოეზია არ შეიძლება იყოს **შკოლა.**

თუ პროლეტარული პოეზია უპირისპირდება ბურჟუაზიულს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ბურჟუაზიული პოეზია თავის მოცულობაში შკოლების რამოდენიმე ათეულს იტევს. რატომ შეიძლება, რომ პროლეტარული შემოქმედებაც ასეთივე მიმართულებრივ დაყოფას არ განიცდის.

მე მგონია, რომ ეს ასე მოხდება.

რუსულ პროლეტარულ პოეზიას რომ გადავხედოთ, ზოგი მათგანი ôუტურიზმის გავლენას განიცდიან (მაგ. ბეზიმენსკი); ზოგი სიმბოლიზმისაკენ იხრებიან (მაგ. გერასიმოვი) არის რეალისტებისა და ნატურალისტების გავლენაც (დემიან ბედნი, კაზინი და სხ.).

პროლეტარულ პოეზიის ყველაზე ახლო მონათესავე პოეტი თანამედროვე გერმანეთის — მაკს ბარტელი ექსპრესიონისტების გავლენაშია. განსაკუთრებული ესთეტიური

კრედო ახასიათებს პროლეტარულ პოეზიის შესაფარდ შკოლას ეხლანდელ საფრანგეთშიც — ვლაპარაკობთ უნანიმისტებზე.

ამ რიგათ პროლეტარულ პოეზიას მხოლოდ სოციალური მრწამსი აერთიანებს, ისევე როგორც ექსპრესსიონიზმს ნაციონალური ტენდენციები. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ განსაზღვრავს საპოეზიო მიმდინარეობას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ერთსა და იმავე სოციალურ არეზე შეიძლება მრავალი საპოეზიო მიმართების გაშლა.

ხელოვნებაში მიმართულებათა დამყოფ ნიშნათ ვერ გამოდგება სოციალური და ნაციონალური თვალსაზრისი.

ეს უდავო ჭეშმარიტებაა.

კერძოთ საქართველოში პროლეტარული პოეზია ჩემის მტკიცებით, არ არსებობს. ის მონოპოლური პრეტენზიები, რომელსაც რევოლუციონურ და პროლეტარულ შემოქმდებაზე აცხადებს ამ წოდებით გაერთიანებული მწერალთა კავშირი, ჩემს ფიქრით უზურპატორული მითვისებაა.

რევოლიუციონური პროლეტარიატი ანგრევს წარსულის „ტრადიციულ ალპებს“ (თქმა მარქსის) საქართველოს პროლეტარული მწერლები კი — ვერ მიგვითითებენ ვერც ერთ მიღწევაზე თვის შემოქმედებაში, რომელიც ამ წარსულის ტრადიციებით არ სცოცხლობდეს მთლიანათ.

თუ პროლეტარული პოეზიის აპოლეგეტები გვეტყვიან, რომ ისინი რევოლიუციას ახდენენ შემოქმედების იდეის მხრივ, ჩვენ მათ დუალიზაციაში დავიჭერთ და მოვაგონებთ, რომ ყოველი ახალი იდეა, მხოლოდ ახალ ფორმალ კომბინაციაში შეიძლება მოექცეს.

ქართული პროლეტარული პოეზია ნატურალიზმისა და რეალიზმის ნიადაგზე სდგას. ხსენებული შკოლები პასიურათ ისახავენ ობიექტურ გარემოებას და ხელოვნებაში „არსებულის“ ეკვივალენტს იძლევიან.

აქ დაშორებაა რევოლიუციისაგან, რომელიც არსებულის უარყოფას გულისხმობს და დინამიურათ ქმნის მყოფადს.

ამ ზოგად შტრიხებში საკმაოთ იშლება კრიტიკა ამ მიმართულების.

ჩვენ თავს ავარიდებთ ამ მწერლების შემოქმედების პერსონალურ განხილვას (იგი ვერ გაუძლებს კრიტიკას).

ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართულ პროლეტარულ პოეზიაში იგრძნობა სოფელი და პრიმიტივი.

საწარმო პროლეტარიატი კი ქალაქის პირმშოა და მისი ფსიხიკა ურბანული.

ილიუსტრაციისათვის მხოლოდ ზოგიერთების ფსევდონიმებს შევეხები. მაგალითად ერთი თვალსაჩინო ფიგურა ქართულ პროლეტარულ პოეზიისა ფსევდონიმათ ატარებს „ეულს“. რა საერთო აქვს ამ სკეპტიკურ განდეგილობას და ულტრა ინდივიდუალიზმის გამომხატველ სიტყვას, კოლექტივისტურ ფსიხიკით გაჟღენთილ პროლეტარიატის იდეოლოგიასთან?! მეორე „ვაკელი“. ვაკე და მთა — ეს ბუნების სტიქიის აპოგეაა. თანამედროვე ცივილიზაცია დაგეგმულათ იპყრობს ბუნების ყველა თავისებურებებს. ქალაქში ისე საგრძნობი არ არის მთა და ბარი, როგორც სოფლად. აქედანაც: დაშორება პროლეტარიატის პსიხიკიდან და პრიმიტიული განწყობილება.

ასევე შეიძლება ითქვას: ზომლეთელზე და სხ.

საზოგადოთ: საქართველოში პროლეტარულ რევოლიუციის შასაფარდი ხელოვნების პრეტენზიას ვერ გაამართლებს „საქართველოს პროლეტარულ მწერლობის კავშირი“.

თუ ეს დებულება ოდნავ მაინც საკამათო გამოდგა, ჩვენ სხვა დროს მეტი სიცხადით დავამტკიცებთ ამას.

ბესარიონ ჟღენტი

ახალი ხელოვნების ფაქტები[1]

ეხლა მერცხლები უკვე აღარ დაფრინავენ და ახალი აკადემიზმი სახიფათო არ არის. სახიფათო უფრო ცენტრალური ფორმულის უქონლობაა ლიტერატურული მიმართების. მარტო სენსაციას დროული ხასიათი აქვს, სერიოზული პრაქტიკა მეტ გამძლეობას იჩენს და ვინც ახალ კლასიციზმზე ლაპარაკობს, ის ასცდა ნამდვილ კლასიციზმის გზას. ჩემთვის კლასიციზმი ხელოვნების კონსტრუქტივიზმი არის (ხელოვნების კონსტრუქტივიზმი და არა მისი შენაცვლება).

პირადათ ჩვენ ერთგული ორიენტატორი ვართ იმ კონსტრუქტივიზმის, რომლის პრაქტიკული ფორმულები აღმოჩნდა H_2SO_4 ჟურნალში. ის არის სრულიად ახალი კონსტრუქტივიზმი, და ამავე დროს იტევს მთელ ქართულ ხელოვნების მყოფადერ პერსპეკტივებს. აქედან ჩვენი ფრონტი წარმოადგენს ერთად ერთ ცოცხალ პოზიციას ქართულ ხელოვნებაში და მყოფადერი ხელოვნება და კერძოთ პოეზიის ცენტრალური პროვინციაც ამ ნიშნის ქვეშ მიდის● აქ ჩვენ კიდევ ვლაპარაკობთ ხელოვნების პოლიტიკაზე (იხილეთ „სასწრაფო განმარტება“). ყველა კომეტარიებიდან უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი განწყობილების შტრიხი, რომელიც ჩვენი გამოსვლების წინა სეზონს ახასიათებდა. გასაბჭოების შემდეგ ძველი ხელოვნება სიკვდილის პროცესამდე მივიდა, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფსიხიკის დაშლის შედეგი. შემგუებ ინტელიგენციას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საკითხების გარკვევის დროს, რადგან ის ძლიერ შორს სდგას იმ ღირებულებების გადაფასებასთან, რომელიც თანამედროვეობამ შექმნა. ეს აზროვნების კონსტრუემა ვერასოდეს ვერ შეეგუება მატერიალისტურ მიდგომას ყოველი სხეულების მიმართ, და მეხანიზმი ამ ინტელიგენციის აზროვნების მოშლილი არის. **ჩვენ ვართ ახალი ინტელიგენციის დაბადების პროცესში, რომელიც გამოვა მშრომელ მასიდან.** მისი აზროვნებითი კონტსრუემები იქნება რეალის ისეთივე გაგების, როგორც თანამედროვეობა ითხოვს. ეს აზროვნება ეხლა იწყებს ყალიბს და შენდება გასაბჭოებულ სხეულების პროექტით. აქედან აშენებული ფსიხიკა ატარებს უფრო მატერიალურ ღირებულებებს და ჩნდება ნივთების ახალი კარნავალის დროს. ნივთების უტილიტარიზაციის და დამოკიდებულების ნუსხა მიიყვანს ახალ ფსიხოლოგიზმის სხეულთან და პირდაპირ გადავდივართ ფსიხიკის კონსტრუქტივიზმზე.

ფრონტი, რომელიც ჩვენ შევქენით ამ გაგებით შემორკალულია. თეორიული ფორმულების გამომუშავება და ლიტერატურული აღმშენებლობა ხდება თანამედროვეობის დირეკტივების მიხედვით. მომაკვდავ შკოლებმაც სცადეს ამ განწყობილების შეგუება, მაგრამ შემოქმედებითი პოტენცია დამშრალი იყო.

როგორც ერთი ჟურნალისტი აღნიშნავს, რუსულ ფუტურიზმს მოუხდა სიმბოლიზმის ერთ წერტილზე გაყინვის დროს გამოსლა. ახალი პრინციპებით მოსულმა შკოლამ სცადა სიმბოლიზმის და იმპრესიონიზმის გადაყლაპვა. ის ბევრ შემთხვევაში არის კიდეც სიმბოლიზმის გაგრძელება და მისი აბსურდამდის დაყვანა. ჩვენ ფრონტში ეს პოლიუსი არ ყოფილა (შეიძლება ეს იყო სულ მცირე).●

თუ რუსულ ფუტურიზმს მოუხდა გამოსვლა რევოლიუციის წინა სეზონში, სადაც ნახტომის გაკეთება უტრადიციოთ საძნელო იყო, ჩვენ კი წინააღმდეგ გადალაგებულ და ამოძრავებულ ნივთებში მოვხვდით და ნახტომი შესაძლებელიც და აუცილებელი არის. ქართული ფსიხიკა ნივთების კარნავალში უნივთებოთ მოხვდა და ის თვითონ მიდის დინამიზმის კანონებით. ეს მოძრაობა რომ ძლიერ სუპრემატიული და უმატერიო ოპტიურ

1. სადისკუსიოთ. **რედაქცია.**

ღირებულების არ იქნეს, დაბადებული არის H_2SO_4, შემდეგ ლიტერატურა და სხვა პროგრამით, აშენება მოძრაობის, აშენება ფსიხიკის კონსტრუქციის და პრაკტიკის პროცესი.

ჩვენი ფრონტი მშენებელი მატერიალური კულტურის (ე. ი. საჭირო ნივთის) არის გაზომილი პოლიუსი. ჩვენი ფრონტი რაც უნდა მრავალმხრივი იყოს ფორმალური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით (რომელიც ნივთის კანონების გამო არის გამოწვეული), ის უფრო ხელშესახები არის ყველა წინანდელ ხელოვნების მიმართებებზე. ამ შემთხვევაში ის არის ულტრა რეალიზმი, რამდენათაც ის წარმოადგენს პროცესს ნივთის შენების, მოძრაობის დამყარების გადმოცემის. ამის შედეგი არის ჩემს მიერ აღნიშნული, რომ ფუტურიზმმა სცადა დაყვანა ყველა ოპტიური და აკუსტიური ფორმების მატერიალიზაციამდე.

აქ არის სწორეთ სახელოვნო პოლიტიკის დაწყება. სამწუხაროთ, ქართველ კომუნისტ ამხანაგებში არავინ აღმოჩნდა, რომ დაინტერესებული ყოფილიყო ამ ლიტერატურული საკითხით და ის სერიოზულ დისკუსიის საგნათ (ჩემი სასწრაფო განმარტების შემდეგ მაინც) გაეხადა. მხოლოდ ფსევდო მარქსისტები ამტკიცებენ რომ სახელმწიფო და ხელოვნება არ უნდა იყოს ორგანიულ კავშირში). რასაკვირველია ხელოვნება აგიტაცია არ არის, მაგრამ ის უნდა წავიდეს იმ პერსპეკტივების გაშლით, რომელიც არის მოთხოვნილებები თანამედროვეობის.

II ორი – კონსტრუემა გაყოფილი ოთხზე

ერთი პოლიუსი H_2SO_4 მოვიდა დადათი. მე აღვნიშნე დადა, როგორც ტერორი. არც დადას შემოქმედებითი მიღწევების უარყოფა შეიძლება, რომელიც ზოგიერთ ჩვენი წევრების მიერ საუკეთესოთ იქნა მოხმარებული და დადას მეთოდები მიღებული იქნა არა როგორც შემოქმედებითი ტერორი, არამედ როგორც მეთოდი მოძრაობის აშენების. ეს უთუოდ არავის არ შეუმჩნევია და უკანასკნელი შორდება დადას სხვა პოლიუსთან დაახლოვებით. ეს პოლიუსი არის გიორგი გროსის პარალელების დროს გამორკვეული და მეორე მხრივ უახლოვდება **ჩაპლინის მოძრაობის კონსტრუქტივიზმს.**

ამ პოლიუსზე ჩვენ ვწერდით, რომ ნასახი ფსიხიკის კონსტრუქტივიზმის არის გეორგი გროსის ფიგურალური კონსტრუქციები და ჩაპლინის მოძრაობის ნუსხის ათვისებაში. ამის ძირი არის უთუოდ დადაში. მხოლოდ დადა არის თეორემა ტერორი, საერთო და საკუთარის შემოქმედების.

უკანასკნელი ნაწილი დადასი საქართველოში ვერ გამართლდა.

ბენო გორდეზიანი ლოზუნგათ აყენებს დადას.

პავლე ნოზაძემ თვითონ წერილის ფორმალური მეთოდებით ეცადა ასეთი ტერორის მოხდენას. პრაკტიკაში მას აქვს „პატრიოტიზმი“. მაგრამ დადა და ქინძისთავი, რომელიც სრულიად დამოუკიდებლათ შეხვდა მხატვარ ქიქოძის „მხატვარის ჯოხს და ქინძისთავს“ — უთუოთ ძლიერ ახალი მოვლენა არის, როგორც ფორმალური მეთოდით ისე დრამატიზმითაც. შეიძლება უფრო სწორათ იქმნას. **ამაში არის რაღაც რომანტიული კონსტრუქტივიზმიც. „შუშასავით აერთებდა ერუსალიმს და თბილისს“. „ქინძისთავი მოწყალების და მოფრინდა“.**

„რომ დაენახათ ცამეტი ქართველი რაინდის და ქინძისთავის ესპანიური ფარიკაობა“.

ყველგან აქ სივრცეები დალაგებულია კინემატოგრაფიულათ და მოძრაობებით პერპენდიკულიარულათ ხვდებიან ერთმანეთს. თეორემა სრულიად არ ეთანხმება გაგებას დადასი და საინტერესო არის, ლოგიური დასკვნა სად მიდის. პრაქტიკას ნოზაძე მიყავს უჩვეულო მოძრაობის და მოქმედებების აგებაზე და აქედან პირდაპირი გზა არის იმ კონსტ-

რუქტივიზმამდე, რომელიც ყალიბდება ჩვენი ფრონტით. განუმეორებელი ლექსი „დაჩვეული სიყვარული“ აშენებს ახალ მეთოდს ლექსის სტრუქტურის. ეს შეიძლება სენსაციურიც იყო. რასაკვირველია დადას სენსაცია აკლია და აქედანაც რომში არ მიდის ეს გზა. სწორედ აქ საინტერესოა დადა საქართველოში. **ბენო გორდეზიანი** ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი H_2SO_4 საბჭოსი, ამტკიცებდა, რომ ჩვენი ფორმულები ხელოვნების შესახებ, ახალი უნდა იყვეს და ცნობილ ნახაზობაში ქმნიდეს გეომეტრიულ ცენტრს. „ინსტინქტი“ H_2SO_4 სწორედ ამის ლოზუნგებს იძლევა. ყოველივე საჭირო იყო მხოლოდ იმისთვის, რომ გვეთქვა, საით მიიმართება ჩვენი შემოქმედებითი გეზი. **ნიკოლოზ ჩაჩავას** თქმა, თითქოს დადა იყოს **„ფუტურიზმის სამხედრო ტაქტიკა“**, სრულიად არ არის სწორი.

დადა საკუთარი პოლიუსით მოდის, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ფუტურიზმი, ისე დადა დაწყების საქმე არის და ჩვენი ფრონტი უფრო წინ მიდის. მაგალითად ბენო გორდეზიანი ერთ წერილში ამტკიცებს დადას და მეორე წერილში ადგენს მეტყველების შრიფტის შესახებ მთელ გეგმებს (რომელიც „წარმოებითი“ ფუტურიზმის შედეგი არის) და ამავე დროს სიტყვა მსახ. ხელოვანის პოზიციაზე სდგას. თავის წერილში „ოქტომბერი და მხატვრობა“-ს შესახებ ეს პოლიუსი ნათლად გამოირკვა და მთელი წყებები წარსული ლიანდაგების მიდის კონსტრუქტივიზმამდე.

შალვა ალხაზიშვილი აღნიშნავს, რომ ჩვენი კონსტრუქტივიზმი საწყის იღებს დადადან. ეს მეც აღვნიშნე გერმანეთის მხატვრობის შესახებ დაბეჭდილ წერილში. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ესეც ცალმხრივი არის და ის უფრო რთული საფეხურებით შენდება.

ჩვენი მეტყველების საწყისი არის ხალხური. **იხილეთ**

ჩემი ლექსი „ხაბო“.

ნიკოლოზ ჩაჩავას „სანტიმენტალიკის შელოცვა“ ხალხური ტონით.

სატრიბუნო ხმა **ნიკოლოზ შენგელაიას** ლექსის (მოხსენება პირველი).

სასაუბრო სინტაქსიური დალაგება წინადადებების **ჟანგო ღოღობერიძის** ლექსებში — და რაც მთავარი, კინომატოგრაფიული და ფელეტონიური მანერა **შალვა ალხაზიშვილის** ყველა ეს არგუმენტები არის შემოქმედების ხალხური საწყისის. ხალხური მონოტონური ლირიულობის შედეგი არის **პავლე ნოზაძის** „სულ დღესო სულ ხვალეო“. ხალხური საწყისი უთუოდ ბადებს პრიმიტივს. უკანასკნელი, როგორც მუსიკალური ღირებულება არის შემოქმედების ფორმალური სხეული და მიმღეობის საქმე. მეორე პოლიუსი პრიმიტივის ფაბულარული განცდა. ეს შეხედვა საგნის — დადის დრამატიზმამდე და უდრის ბავშის ფსიხიკას. ეს არის ორი პოლიუსი, რომელიც უნდა შეხვდეს ერთმანეთს.

ერთი წარმოადგენს პრიმიტიულ ფუტურიზმს და მეორე უფრო დადას. ბავშის ფსიხიკა დრამატიზმით და ფორმალური მეთოდით პრიმიტივს. აქ არის საწყისი ახალი ხელოვნების აშენებისათვის. ჩვენ აღვნიშნეთ გზები, რომელიც ვერ თავსდება განსაზღვრულ ჩარჩოებში და მიდიან ახალ მიღწევებისაკენ. ჩვენ გავყვეთ ანალიზსა და შემოქმედების ანატომია გვაჩვენებს თეორეტიულ ფორმულებს.

[redacted]

კომენტარიებისათვის საჭირო არის აღინიშნოს, რომ ეს პოლიუსები ხვდებიან ერთმანეთს ამ ჟურნალში და საერთოდ თანამედროვე ხელოვნებაში. **ფუტურიზმმა იცის ორი პერიოდი:** მარინეტის მაშინალური ფუტურიზმის და ხლებნიკოვის პრიმიტივიდან წამოღებული კანონები რიტმის.

ნივთები ატარებენ უტილიტარულ ფასს ცივილიზაციის წამოყენებულ გაგებების მიხედვით. ულტრა პრიმიტივშიც საგნები ატარებენ უტილიტარულ ფასს და სხეულების რელიგიაც ამ უტილიტარობით არის გამოწვეული: **საჭიროება და მავნებლობა და არა აბსტრაქცია.** აქედან არის ორივე ათვისების შედეგათ: რიტმიული წყობა და ნივთების მოვლენების

რხევების ნათესაურობა. აქიდანვე ფსიხოლოგიზმის ფორმულები მსგავსი კანონებით აშკარავდება, ჩვენ აქ მოვიყვანთ 1910 წელში დაწერილ ლექსს ხლებნიკოვის „÷èñëà“.

„ß âñì àòðèâàþ ñü â âàñ, î ÷èñëà
è âû ì í å âèäèòåñü îäîû ì è â çâåðè, â èõ ø êóðàõ“.

—

„Âû ï î çâàëÿèòå ï î í è àòü âåêà, êàê áû ñòðîãî õî òÿ çóáû
Ì î è ñåé÷àñ âåù åî î áðàçí î ðàçâåðçèèñÿ Çåí è öû “.

აქ ხლებნიკოვს რიცხვები ჩაცმული ყავს მხეცების სამოსში და აქედან დასკვნა — რიტმიულ ცხოვრების დენა, რომელიც მიდის განსაზღვრულ ციფრების მიხედვით არის **ულტრა პრიმიტიული კანონების დაბრუნება;** მაგრამ მხოლოდ ციფრით დარქმევა მოვლენების ჩვენ ვერ მიგვიყვანს განსაზღვრულ კანონამდი და მივიღებთ ფორმალურ მეთოდების კვლევას. რომელიც გამოვიდა პრიმიტივიდან, როგორც ინვენტარი და ისე როგორც მარინეტის მოძრაობის კანონებიდან. ორივეში არის სხეულის აშენება, მაგრამ არ არის „დანიშნულების“ განსაზღვრა. ინვენტარის ამოღების პოლიუსით დაიწერა ჩემი **„ხაბო“**, თუ გინდ ნიკოლოზ ჩაჩავას **„სენტიმენტალიკის შელოცვა“**-ც.

მაგრამ სხეულების აშენება კიდევ არ მიდის იმ კონსტრუქტივიზმამდე, რომლის ნასახებსა და მიმართულებებს ვხვდებით ჩვენ ჩვენი ფრონტის პირველ ჟურნალში. აქედან ჩვენ მივიღეთ რამოდენიმე ათვისებითი მეთოდი ნივთის. მიღწევების დროს ეს ნუსხა თანდათან ფართოვდება. ჩვენ წინა წერილებში ვილაპარაკეთ ნივთის ფორმალურ კანონებზე და პოეზიაში მის ღირებულებებზე. ეხლა აღვნიშნოთ, თუ რა არის თვითონ ნივთი.

Н!

ნივთის ორიენტაცია გამოწვეული არის მისი სოციალური ღირებულებით. რა არის ნივთი წმინდა ლიტერატურული პოეტიკის საზომით?

ნივთი არის მარტივად ხელოვნური საგანი (მათ, როგორც გარდაქმნილ სხეულებს, არ ახასიათებს ღვთაებრივი კავშირი). მას ახასიათებს მასსა. ის ხასიათდება ვრცეულობით. კუბისტების საზომით რომ ვთქვათ, მას აქვს სამი გაზომვა, მსგავსება ცილინდრი, კუბი, შარი და სხვა. შინაარსი მას არა აქვს.

მას აქვს დანიშნულება. აქედან მისი უტილიტარული ფიზიოლოგია, როგორც მექანიკურად აშენებული სხეული, ის ხასიათდება აშენების უტილიტარიზაციით.

რამდენათ ის უტილიტარული არის, ის იმდენათ ორგანიულ კავშირში არის ნივთებთან (ე. წ. წარმოებით ფუტურიზმის პოეტიკა). არის მეორე განსაზღვრა ფუტურიზმის, როგორც დინამიკის ესტეტიზაციის პოეტიკა: ნივთი ხასიათდება მოცულობისა და მოძრაობის გრაფიკით. როგორც მაშინალოგიის ერთ ორგანიულ ნაწილს მას აქვს სტრუქტურა ე. წ. გრაფიულობა, რომელიც იძლევა განსაზღვრულ სწრაფვებს. ეს იქნება მისი აშენების შედეგი (მაგ. ლამპას ძირი ბრტყელი აქვს, რომ დაიდგას).

აქედან ნივთები არიან ერთმანეთთან მოძრაობით დამოკიდებულებაში და ნივთების მოძრაობის კანონი ქმნის დინამიკას და სისწრაფეს.

როდესაც ნივთი არის უტილიტარული რაობა შემოქმედების მიმართ მისი სოციალური განსაზღვრა იქნება ასეთი:

ნივთი არის მონაწილე წარმოებითი პროცესის, ის არის პირობა ნაყოფიერ კოლექტიურ წარმოების. ამასთანავე ის არის ობიექტი ყოველგვარ გადალაგებებისა და მოვლენების; ამიტომ ნივთების დამოკიდებულება ქმნის რიტმს და დეკორატიულ მხარეს რეალის, ხოლო ნივთებათ დაბადებულ მოვლენებთან დამოკიდებულ ნუსხის შედგენა მხატვრულ

შემოქმედებაში ქმნის ახალ ფსიხოლოგიზმს, შეიძლება ითქვას კონსტრუქტივიზმს. ამ სისტემების გამორკვევა შედის ხელოვნებაში, როგორც შემოქმედებითი კატეგორია. ის ქმნის მოვლენების წყებებს და ამგვარათ ფსიხოლოგიზმში მიმღეობის საფეხურებს, რომელიც ჩამოთვლილ კანონებზე დადის და ხსნის ხსენებულ კონსტრუქტივიზმს

რამდენათ ნივთი არის სოციალური მოვლენა და მასთან უტილიტარული, მას აქვს მოვალეობა დანიშნულების. **უტილიტარობამდე საგნებში ეძებდენ შინაარსს.**

და შინაარსი იყო **მორალური და რელიგიური მუცელი საგნის.** აქედან შინაარსი როცა დანიშნულებით შეიცვალა, პოეზიის პრობლემაც დანიშნულების ცენტრს დაუახლოვდა და გაგება ხელოვნების, როგორც ცხოვრების გადმოცემის (ვოროვსკი, ლუნაჩარსკი) სრული კატასტროფის წინ სდგას. ცხადი არის ხელოვნება ისწრაფვის სხეულების აშენებისათვის და ხელოვნების ყველა დარგების ამ პრობლემის გარშემო ცენტრალიზაციისაკენ პოეზიის ტერორი და ხელოვნების ახალი ყალიბი ამისთვის აუცილებელი არის როდესაც შტრიხიულად ნივთის საზღვრები მოცემული არის, ხელოვნების საზღვრებიც ადვილი გამოსარკვევი არის. აქ არის კონსტრუქტივიზმი, მყოფადერი რეალის აშენების სხვა და სხვა პროგრამებით. რევოლიუციის ეპოქამ (განსაკუთრებით კომუნისტურმა) წამოაყენა წინ ამ პრობლემის ყალიბის საჭიროება.

ტროცკის მტკიცებით სინთეზი ყველა მემარცხენე ფრონტის მიღწევების ჯერ არ მომხდარა; მაგრამ ის აქ უსვამს წერტილს და ჩვენ შეგვიძლიან გავაგრძელოთ: ამ მიღწევების ცენტრალიზაცია რამოდენიმე შესწორებით გაამართლებს ხელოვნების თანამედროვე დირექტივებს. ტროცკი კი უკან ბრუნდება, მართალი არის, ეპოქა გარდამავალია, მაგრამ მარტო თანამედროვეობის გასაბჭოებულ დგამის აღწერა არ არის სწორი ხაზი, ის არის ყოფითი გადმოცემა რეალის, დასვლა სტატიურობამდე და დინამიზმის წინააღმდეგობა. აქედან თვით არა ეპოქალურიც. მართალია კლასები გარდამავალი მოვლენა არის, მაგრამ ნივთების რხევით ნუსხასთან ფსიქოლოგიზმი იყალიბებს განსაზღვრულ კანონებს და ეს გამოსარკვევი მოვლენა არის, რასაკვირველია ნივთების რხევითი კომპოზიცია თანდათან მატულობს და აქედან დაბადებული ფსიხიკა და რეალის რიტმიც საჭიროებს გამორკვევას.

მაშასადამე,

სტრუქტურა იმ ფსიხიკის, რომელსაც ნივთების კინემატოგრაფიულ რხევას თან ექნება დამოკიდებულება გამოსარკვევი არის როგორც წარმოდგენა მაინც, როგორც ფოტოგრაფიული მიღება მყოფადერში, ამის შესახებ არც ტროცკი, არც ერენბურგი და არც ჩუჟაკი არაფერს არ ლაპარაკობს. რასაკვირველია გასაბჭოების დაღი ყოველ მასალას უნდა აჩნდეს, მაგრამ გასაბჭოებული ფსიხიკა თვითონ მოითხოვს აღმაშენებლობით განწყობილებას და აქედან არის **„ააშენეთ მოძრაობა, ფოლადი და სტილი“.**

ნივთების ორიენტაცია

ეხლა გადავდივართ პოეზიაში ნივთის ორიენტაციაზე. დისციპლინა, რომელიც იკვლევს კონსტრუქციას, მხატვრული სიტყვითი საშვალებით, ნივთებისა და მისი მოვლენების არის პოეზია. დისციპლინა, რომელიც აშენებს ფსიხიკას (როგორც განწყობილებას) მოვლენების საფეხურების მიხედვით და ბადებს გაგებას ფსიხიკის კონსტრუქტივიზმის არის კიდევ პოეზია. და დისციპლინა, რომელიც აშენებს ამ მოვლენების გამოსარკვევ მანქანას, არის ფორმალური მეთოდი და ხელოვნება. კიდევ არის პროცესი აშენების და ეს შრომაც ნიშნავს პოეზიას. აქედან არც **ტროცკი.** ნივთების ყოფითი სახის მოცემის მოთხოვნილებით არც **„ლეფი“** ნივთების აგიტაციით არ არის გამართლებული შემოქმედების პოლიუსი, და უკანასკნელს შეიძლება ეწოდოს **„სხვათაშორითი საჭიროება“**.

პოეზია კიდევ იქით მიდის. როცა პოეზია სცილდება ლირიკით ხელოვნებიდან გამიჯვნის იდეიას, აგიტაციას — ის განსაკუთრებულ ეპოქაში იღებს როგორც ფუნქციას.

აქ არის ნივთების და აშენების პროპაგანდა. **ჩვენმა ფრონტმა ქართულ ხელოვნებაში პირველათ აღმოაჩინა**

ნივთი.

მაგრამ როგორც ორმაგ განწყობილებაში მომხდარმა ლიტერატურულმა მიმართულებამ, პირველი პოლიუსი შემოქმედების, წარსული დალაგების ტერორს მოანდომა. ამისთვის შემოქმედებითი ორ სახიანი იანუსი მოსჩანდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ ხსენებულ შემოქმედებას არ ქონია მარტო ტერორის ფორმულით განსაზღვრა. ერთი პოლიუსი თუ ტერორის ნიშნის ქვეშ მიდის, — მეორე იქვე იწყებს შენების პროცესს, ყოველ შემთხვევაში აღმშენებლობით ცდას. სადაც თეორია ლაპარაკობს ტერორს, იქ პრაქტიკა მიდის კონსტრუქტივიზმამდე. ხოლო სადაც პრაქტიკა ტერორს გადაყვა, იქ პრაქტიკის ავტორი სცდილობს, სასწრაფოთ წარმოადგინოს კონსტრუქტივიზმის დეკლარაცია.

აქ არის ნასკვი H_2SO_4 ჟურნალის, რომლის დაწყებულ გზას ყალიბს აძლევს და განსაზღვრულ ფორმულებში მოქცევას სცდილობს „ლიტერატურა და სხვა“. უკანასკნელის მოვალეობა, ჩვენ ვფიქრობთ, ფაქტების სპეციალიზაციამდე დასვლა არის, მთელი მემარცხენე ფრონტის გარკვეულ სოციალური მნიშვნელობის ყალიბი. ეხლა ჩვენ მხოლოდ H_2SO_4 დაბეჭდილ მასალებზე შევჩერდეთ, რომ გამოვარკვიოთ, როგორ სახეს ის მიიღებს **„ლიტერატურა და სხვაში“.**

ლაბორატორია და **აღმოჩენები.**

„ფუტურისტული ლექსები, არის ლაბორატორიული ნამუშევარი, ხალხური ხმების მოსაცემათ. მომავალი ქალაქი, შექმნილ ხმებს გაუკეთებს საკუთარ ფორმას“ **(ბენო გორდეზიანი).** შემდეგ აქ ჩამოთვლილია რამოდენიმე ქართული ასო, რომელიც ავსებს ქართულ სახვით მეტყველებას.

არის **ნიკოლოზ ჩაჩავას,** რამოდენიმე ახალი სიტყვა მაგ.: **„როშარი“, „ხედეირა“** და **„ცამდიარი“.** აქვე არის მის მიერ წამოყენებული ბგერების კონსტრუქცია და ახალი მახვილები ბგერების გამოთქმის დროს. მართალია აქ არის ჩამოთვლილი, მხოლოდ მცირე ნაწილი იმ პრაქტიკული მიღწევების, რომელიც მოცემულია სიმონ ჩიქოვანის და ნიკოლოზ ჩაჩავას ლაბორატორიულ ლექსებში.

ის ლაბორატორიული ნამუშევარი არის მასალები იმ აპარატის საკონსტრუქციოთ, რომელსაც სიტყვა მსახი ხელოვნება ეწოდება. აქედან გამოდის პოლიუსი ხელოვნების ძველი აპარატის დანგრევის, რომლის სისტემა მოძველდა და კონსტრუემა ახალი აპარატის სათანადოთ უკვე შეიქნა ჩვენი ჯგუფის მიერ, მთელი რიგი ლექსების, რომელიც არის ხმაური ხელოვნების პარალელი და უცხოა ქართული პოეზიის თანამედროვე აკუსტიკისთვის. სტრუქტურა ლექსის, ესე იგი აპარატი ჩვენმა წინა სკოლებმა გადმოიღეს უცხოელი მწერლებიდან.

როგორც ბოდუენი აღნიშნავს, სიმბოლისტების ფორმალური მეთოდი, თანამედროვე ეპოქის რიტმმა დიდიხანია მოსპო. მით უმეტეს ნასესხები სიმბოლისტური მეთოდიკას, როგორც არა ეპოქალური, **აგრეთვე ქართული ხელოვნების ორგანიული კავშირის გამწყვეტი იქნა.** ამისათვის დაიბადა სასწრაფო დეკადანსი ქართული ლექსის, როგორც ფორმალური რაობის. ჩვენ მიერ გაცოცხლებული იქნა ხალხური პოეზია. უკანასკნელის შემოქმედებითი ბგერების სტრუქტურის დახმარებით, ჩვენ შევძელით გარდაგვექმნა ხელოვნების აშენებითი მეთოდები. ამით ჩვენ აღვადგინეთ ქართული ხელოვნების ორგანიული კავშირი. ქართული ხელოვნების ბაზა შეჩერდა ამ აღმოჩენილ ბარგზე და

არალეგალური პლაგიატობა უკვე დაიწყო, ეს შედეგია მთელი ბაზა ქართული ხელოვნების აღდგენის. ჩვენს მიერ დაწყებული იქნა პოეზიის ძირის აღმოჩენა. ამან დაბადა **„მზე მაზეული — გზა ნაკუდარი“** (ნ. ჩაჩავა). ამაზე ქართული შეიძლება არაფერი არ დაწერილა — ორგანიული განცდის ასახვით შემოქმედებაში; ყოველ შემთხვევაში ეს შედის ქართულ ხელოვნებაში, როგორც აღმდგენი ორგანიული კავშირის.

შემოქმედებითი მიმდინარეობის ცვლის დროს იცვლება ხერხი, — სიტყვითი მასალის პოეტური ორგანიზაციის. ცხადი არის, ჩვენს ფრონტს უნდა ყოლოდა მეტყველების ახალი კოლუმბი, რომელიც ლაბორატორიულ მუშაობის დროს გახსნიდა ახალ სივრცეებს სიტყვა მსახ ხელოვნებაში. ესენიც აღმოჩნდენ. განვლილი პოეზიის ტაქტი იყო მონოტონური და ამავე დროს ბგერითი ათვისება წმინდა იმპრესიონისტული. მას არ ქონდა არავითარი ფიზიოლოგიური გადმოცემა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ.

ამასთანავე თემატიკას, სიმბოლისტებთან არავითარი საერთო არ ქონდა ბგერების შენებასთან. ჩვენ კი, წინააღმდეგ ლექსის ბგერითი ფონოლოგია, თემის რაობის ფონს შეუთანხმეთ. მაგ. მეკობრეების ავანტიურული ფსიხიკის გადმოცემისათვის **(მეკობრეების სიმღერა)** ბგერითი ფიზიოლოგია ძლიერ მონუმენტალური არის და ბგერების მონუმენტალობით ფაბულის გადმოცემა. როდესაც ნიკოლოზ ჩაჩავას **„სანტიმენტალური შელოცვა“** თემატიურ ლირიკის გამო ბგერით ფიზიოლოგიასაც უფრო ელასტიურს ატარებს. ეს არის ერთი ელემენტი. სიტყვის მასალობრივ გაგებამ, რომლის ხსენებულ ლექსებში იყო დაყენებული, ჩვენ მიგვიყვანა საგნების სიტყვებიდან განთავისუფლებამდე. ხმოვანების და თანხმოვანებით გარმონიკა, აშენებულია თითქმის ყველა ლექსებში. ეს არის ეპოქის ფორმალური მეთოდების განცდის პარალელი. ბგერების ფიზიოლოგია არ იცვლება არც **„რომანტიულ პლაკატში“, „მოხსენება პირველში“** და არც ბიძინა აბულაძის ლექსებში.

„ცეპელინში“ სიტყვა **ᲑᲣᲚ-ᲑᲣᲚᲘ** მოსპობილი იქნა როგორც საგნის წოდება და მოცემულ იქნა მისი ფიზიოლოგიური სხეული. მაგ. **„როგორც დეპეში შესაპყრობი კვამლის ᲑᲣᲚ-ᲑᲣᲚᲘ“** (სიმონ ჩიქოვანი). ბგერების ფიზიოლოგიურ ელემენტს რუსული ფუტურიზმი **„ᲖᲐᲣᲛᲐᲛᲓᲔ“** მიყავდა. აქ შეუძლებელი იყო რაიმე ტემატიკაზე ლაპარაკი და მეტყველების „უწოდებრივო“ როლთან შემოქონდა თითქოს ინტერნაციონალური მეტყველება. ჩვენი ფრონტი წინააღმდეგ აღმოჩენებამდე მივიდა.

ბგერების ფიზიოლოგიაზე დასვლით არამც თუ მოვსპეთ ჩვენ ქართული ხელოვნება, არამედ გავაცოცხლეთ მისი ძირეული განცდა. პრიმიტივი, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვწერდით ამ ფორმალური მეთოდების სამუშაო მასალა არის და გადავდივართ მეორე პოლიუსზე, რომელიც არის ულტრა ხალხური განცდა ნივთის და მოძრაობის. **აქედან პირდაპირი გზაა თანამედროვე რეალის მასალობრივ გაგებასთან, რომელსაც ჩვენი ფრონტი აყენებს. ფორმალური მეთოდების ძიება პრიმტივით და ნივთების ხალხური განცდა ყველა წამოყენებულ თანამედროვე პოლიუსებს ხვდება.** ამავე დროს ჩვენ შემოქმედება გადავიყვანეთ საბაასო მეტყველებამდე.

ყველა ეს მოითხოვს სპეციალურ შრომას და ეს წერილი იყოს **მხოლოთ მცირე შესავალი მემარცხენე პოეტალიის** — სახელდობრ სიტყვა მსახ ხელოვნების ორგანიზაციული მიღწევების. ჩვენ მიერ შექმნილ სინტაქსიურ და მისი აშენების ახალ პირობებზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ. სინტაქსიური წყობა, რომელიც დაბადა ქუჩამ ნეოლოგიური მიღწევებით ჯერ ვერ ნახულობს მეტოდოლოგიურ სისტემას. ამისთვის არის, რომ ზოგიერთ ჩერჩეტს ჩვენი პრაქტიკა უჩვეულო სტრუქტურით ეჩვენება და მას წარმოიდგენს ყოველგვარ კანონების გარეშე მდგარ მოვლენათ.

ჩვენ მიღწევებში ქართული მეტყველება მივიდა ფორმალურ აღმშენებლობით ინდუსტრიამდე. როგორც სინტაქსიური ისე სიტყვების და მასალის მთელი ორგანიზაციის დროს ქართული ხელოვნების ორგანიულ კავშირის, ძირეულობის მონახვაც იყო თანდროულო-

ბის ასახვასთან. ჩამოთვლილი მასალებით, რომლით ქართული ლექსის აკუსტიური ღირებულება სრულიად გარდაიქმნა.

ეს არის სხვა წერილის თემა. ამის გარჩევას ეხლა არ გავყვები. ეხლა ჩვენ გადავდივართ შემოქმედებითი აპარატის რამოდენიმე დანიშნულებაზე. უკანასკნელის ნახაზის შემდეგი არის კონსტრუქტივიზმი მოქმედების და მოძრაობების, რომელიც ქმნის მოვლენებს და ნივთებს შორის კავშირს (რიტმი). შემდეგ კონსტრუქტივიზმი ამ მოვლენების ათვისებისათვის. ჩვენამდე ქართულმა ხელოვნებამ არ იცოდა, თუ რა იყო პროპაგანდა ნივთის. ჩვენგან მიდის პირველი პროპაგანდა. **„ამხანაგებო! თეთრ კანიანო ელექტრონო რადიო პროპელერო“ (ნ. შენგელაია).** ან კიდევ **„გულებში დასახლდა ახალი ბედი და დედამიწას რომ აბრუნებს ღვედი მანქანის ქშენით“ (ნ. შენგელაია).** აქ არის ნივთების პროპაგანდისთვის სატრიბუნო ტონი და მოწოდების უნარი. **„იქ უმოწმობოთ ღებულობდენ წინეთ გიოტეს, ეხლა დიდებით გაუსწარით მაგგენს უნიტას, თქვენი ქვევრი გავს ფრანგულ დეკადანს“ (სიმონ ჩიქოვანი).**

ჩვენ გადავთვალეთ ყველა მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაერთებს უცხოელ მემარცხენე ფრონტებთან.

ეხლა გადავდივართ იმ მიღწევებზე, რომელიც ჩვენ ფრონტს ანსხვავებს ყველა მონათესავე მიმართებიდან. დაგვრჩა ორი პოლიუსი ჩვენ მიერ აღნიშნული **„პროექტი ახალ კრეისერ“**-ში. სახელდობრ რიტმის ძიება და ფსიხოლოგიზმის კონსტრუქცია. ამ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ შტრიხიულათ ნივთის რაობა. **„პროექტ ახალ კრეისერში“** ნივთის ორი საწყისი და მისი საზღვრები. ეხლა შემოქმედების ნივთთან დამოკიდებულება, რომელიც ქმნის ფსიხოლოგიზმის კონსტრუქტივიზმს და რიტმს. ამასთან ჩვენ შემოქმედების ანალიზით მივდივართ. ეს არის მოძრაობის აშენება და ნაწილობრივ რეალის რიტმის მონახვა პოეზიაში. ხლებნიკოვის თქმით, ნივთების მოძრაობას რიცხობრივი კანონი აქვს. მის წარმოდგენაში ამ მოძრაობის საზღვრებს რიცხვები სწყვეტენ. ეს პოეტიკაა და რიტმის შენება პრაქტიკის საქმე არის. მოძრაობის კანონი (საწყისი ნივთიდან) ბადებს სივრცეს. მაგ. ჟ. ღოლობერიძის ლექსებიდან **„ცხენის სირბილიდან ქუჩა დაიბადა“.** მოძრაობის მობრუნება, პირველს აძლევს სიბრტყით გრაფიკას. იბადება ნივთის რომელიმე პროცესი. მოცულობის შედეგი. აქ შეიძლება მოძრაობის საფეხურების ჩამოთვლა. „დაარღვია მთლიანობა ფაბრიკანტების“ **(ერთი მთლიანობის დარღვევა). „ოთახი მორთო მათი ფეხებით“** (მეორე მთლიანობის აშენება) **„დაშაშხულ ფეხებს სართულებათ უნდა გაქცევა“** (მესამე მოძრაობის დაბადება და მეორე მთლიანობის დარღვევის დაწყება). ამ დამოკიდებულებას სივრცის მოძრაობის და ნივთის: **„და ცილინდრივით რომ დავადგი ცირკულების წვერზე კვარტალი“ „შრიალი შორს — შარები რუშ** ან **„ნაბიჯების მოძრაობით ამზადებ შეშას“.** პირველში მოცემული არის ნივთის მოძრაობის საფეხურები, დაბადება სივრცეების და მისგან გადასვლა ისევ ნივთებში და ნივთების აკრობატიკა, რომელიც ბადებს ფიზიოლოგიურ ბგერებს ნივთის მოძრაობის — **„შრიალი შორს — შარები რუშ“,** „არ უყვარს ბუხარი, რადგან მთელი სივრცე აქ დასწვა“. წინ დაიბადა ნივთი და აქ ის დაიღუპა მოძრაობის კანონის გამო. რიტმის კანონი ჩნდება იქ, სადაც ხდება ნივთების მშობიარობა მოძრაობით და წინააღმდეგ, ნივთებით მოძრაობის მშობიარობა. ამ ცვალებადობის ანუ უკეთ შენაცვლით გაწყობილებაში ნივთები იბადებიან და მოძრაობაში კვდებიან. ამის აღწერის კანონი და მყოფადი რეალიზმი არ არის რიტმის მონახვა ხოლო მოცემული საზღვრები მოძრაობის კანონების სხვა და სხვა სხემებით არის პარალელი შემოქმედების აშენებულ ნუსხის. აქ არის შესავალი კანონები მსოფლიო მოძრაობის — ნივთი, სივრცე და მოძრაობა.

მოძრაობით სივრცის და ნივთების დამოკიდებულება კიდევ ერთი ატრიბუტია ამ საერთო თემის. მოქმედების და მოძრაობის კანონები ქმნიან რიტმის ცენტრს. ამის შესახებ ვილაპარაკეთ ჩვენ ჩარლ ჩაპლინ და გიორგი გროსზე. თემა მონოტონიზმი უთუოდ შექ-

მნაა ახალი ფიგურების. ეხლა შეხვედრა. როგორც ჩაპლინი არ არის მოძრაობის დასრულებული კონსტრუქტორი, ისე პირველყოფილი ფუტურიზმი არ იძლევა დასრულებულ მასალას თანამედროვე კონსტრუქტორისთვის. როდესაც დადა ენათესავება ჩაპლინს როგორც ბავშის ფსიხიკასთან ახლოს და საგნების დეფორმატორს (ხოლო უნივთო ჩაპლინი წარმოუდგენელია). ეს ორივე, როგორც მეტოდიკა არის მასალა თანამედროვე კონსტრუქტორისთვის. მათ აქვთ ნივთების ცვალებადობის და მოვლენების გადალაგების უნარი. მათგან იბადება სენსაცია და მის ინსტრუმენტოვკაზე მყარდება ფსიქოლოგიზმი. ამ ცვალებადობით არის ფსიხიკის კინომატოგრაფიაც. აქედან ცხადია, ამ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტივიზმის მეთოდს არაფერი საერთო აქვს ბორის პასტერნაკთან, რომლის დამწყებ კონსტრუქტივისტათ ინოკენტი ანენსკი ითვლება. ის ჯერეც დაუსრულებელი არის.

ამის შემდეგ ცხადი ხდება ის პრელიუკტი, რომელიც მოდის H_2SO_4 ჟურნალიდან. მისი საზღვრები არ დასრულდა არც ერთი ლიტერატურული შკოლით, რომელსაც ფუტურიზმის ორიზონტის გადმოღმა ვიცნობდით. ყოველ შემთხვევაში განცდით კიდევ შეუძლებელი არის განსაზღვრული ფორმულის მოცემა. ფორმალურ მეთოდში ჩვენმა ფრონტმა დაიწყო ხელოვნების ორგანიული კავშირის აღდგენა ქართული პრიმიტივით და ფუტურისტული მეტოდიკით. მეორე მხრივ ფსიქოლოგიზმი დადასი აშენებითი და ჩაპლინის მოძრაობითი კონსტრუქციით.

შენიშვნა: მე არ ვეხები აქ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტივიზმის დებულებას. „განივთებას“. სათანადოთ გვაქვს დამზადებული საკმაოთ ვრცელი შრომა „ვაჟა ფშაველა და კონსტრუქტივიზმი“, სადაც ეს პრობლემა გარკვეული იქნება.

ისევ ანალიზი. ნივთების საჭიროებიდან იბადება მისი მელანხოლია და მონობა. ამის შესახებ სწერდა ივანოვ რაზუმნიკიც მაიაკოვსკის შემოქმედების ანალიზის დროს. ეს არ არის მართალი, მაგრამ რუსულ ფუტურიზმში ნივთების პროპაგანდა და დალაგება, ბადებს დიდ სიმძიმეს. სხეულების აკრობატიკა და საერთოთ რიტმის სისწრაფე იკარგება. ამ მხრივ ფსიქოლოგიზმს თანდათან უდგება წყალი სტატიური დრამატიზმის. ამის საჭიროა ნივთების საჭიროებასთან მათი სწრაფი ცვალებადობა და სწრაფი გადალაგება რომ დინამიზმით დაიკარგოს სხეულის სიმძიმე. ფსიქოლოგიზმი ნივთების კონსტრუქციებით ლაგდება რადგან თვით ნივთი აყენებს ამ მოთხოვნილებას. ეს ორი ხსენებული პოლიუსი რომ ერთმანეთს შეხვდება ის ჩამოაყალიბებს ხელოვნებით ახალ ორგანოს „Äî ëæåí ÷óâñòâî âàòü ðàäî ñòü“ (ტროცკი). რასაკვირველია ხელოვნება არის გასართობი, მაგრამ საჭიროებითი ყოველი პროცესი არის სასიამოვნო და აქ არის ორმაგობა გაგების.

წერილის უკანასკნელ მიღწევებით ჩვენ მივედით H_2SO_4 შემოქმედებითი მიღწევების ცენტრალიზაციამდე. პრეისკურანტი და რადიუსები ასეთი იყო: ფუტურიზმი, დადა, მარრინეტი, ხლებნიკოვი, ლეõ ი, მაიაკოვსკი, ჩაპლინი და გროსსი. ეს ყველა იყო მასალა-მეთოდი. ის მოექცა ერთ ორბიტში და ჩამოყალიბდა ახალი კონსტრუქტივიზმი. ეს არ არის არცერთი ხსენებული მიმართება, არ არის დრამატიზმი, არ არის საგანი, არის მხოლოთ „მეთოდი“, კონსტრუემები, ფორმალურ მეთოდების, ფსიქოლოზმის და რიტმის მასალების საწყისები ნაჩვენები არის. მთავარი მიღწევები გამოაშკარავდა „ლიტერატურა და სხვა“-ში, რომლის ანალიზის დრო შემდეგში გვექნება.

ერთი მემარცხენე ლიტერატორი სწერდა გასულ წელს, რომ ხელოვნების ოქტომბერი შორს არ არისო. მაშინ ქართული ხელოვნების ოქტომბერის დაწყების ფაქტები, ჩვენ ხელთ გვქონდა, მხოლოთ საჭირო იყო სტამბა. ესეც მოხდა ფაქტები გამოაშკარავდა და ხელოვნების ციტადელი ჩვენ ფრონტს დარჩა.

სიმონ ჩიქოვანი

ბგერათა ორიენტაციის საკითხი

1. სატრანზიტო ბარგი-ბარხანა.

კლასიციზმი ითვლებოდა ხელოვნების საბუჰალტერო კურსებათ რისთვისაც საქართველოს დასჭირდა რუსთაველი ლევიაფანათ გადაექცია.

აქ არ იყო სავაჭრო პოლიტიკა სიტყვათა ქმნედობისა და აგებისათვის.

პოეზიას სქესობრიობა უწევდა კონკურენციას

და

პოეტი ზეშთაგონების გრადუსებით

იზომებოდა.

მოვიხსენიოთ

ვენერა

– კრემსიმონის ფაბრიკის მარკა –

უხელო და
ბრუციანი გვამი
სილამაზის კლასიციზმათ რომ გადაიქცა.

სხვა ოსტატებიც ფოტოგრაფიას კონკურენციას უწევდენ.

თუმცა ბაზარზე ფოტოგ-
რაფიული აპარატები მე-
ტი საღდებოდა ვიდრე

სიქსტინის მადონა.

ატმოსფერა ქმნიდა განსაკუთრებულ ფარგალს.

პოეტი

კალამს

ცრემლებში

ასველებდა

და დაუსრულებ-

ლობის ძიებაში ღებულობდა პოეზიის გვირგვინს.

არაფერი მაქნისი იყო მიღმა რეალობათა ხელშეხება

მაგრამ

პოეზია სონეტებისა და

ტრიოლეტების ფორმით ფილოსოფიას ანვითარებდა.

1. ვინ არის ღმერთი?
2. სად არის მისი ადგილმდებარეობა?
3. რას აკეთებს სული ჩონჩხთან დაშორების შემდეგ?
4. ვინ შექმნა ადამიანი?
5. ვინ უფრო მეტია ადამიანი თუ ღმერთი?

და სხვა მრავალი საღმრთო სჯულის კითხვები აწუხებდა

პოეზიის სახლთუხუცესებს

2. ტრადიციონიზმი და შინამრეწველობა.

მე არ ვიცი, მაგალითად, რატომ ლაპარაკობს ზოგიერთი ჩვეულებრივი ადამიანი, **რომ კლასიციზმიდან დატოვებული ტრადიციული პოეტიკა მატერიალის დამუშავების დროს შინამრეწველობამდე მიდიოდა.**

რომანტიკამ არ იცის

ორგანიზაცია

ნივთი.

მიღმა რეალობათა ჭეშმარიტების ძიება მოძრაობასა და უტილიტარიზმში არც არის შესაძლებელი.

გრძნობათა უორგანიზაციო დენა
სახეები და ვარიაციები მატერიალის გარეშე.

არც ნორმა.
არც ეკონომია.

სწორედ ამიტომ დაიწერა მანიფესტი ველურობისაკენ, რომ მოუწოდებდა ადამიანს. პირველ ყოფილობა ყოველივე ორგანიზაციისა და ნორმის გარეშე სდგას.

„ქალაქი რყვნის საზოგადოებას
მანქანა აფუჭებს სულს ადამიანისას“.

გრძნობის მრეწველებისათვის

საჭირო იყო ასეთი ლოზუნგი.

თუმცა ზოგიერთი თანამედროვეც იმეორებს

მანქანის შიშს.

აქედანვე დაიბადა **ახალი რომანტიზმის შექმნის საჭიროება, რომელიც** მანქანებისაგან შეშინებულ ნევრასტენიკების მიერ არის მოგონილი.

შინამრეწველობისათვის არ არის საინტერესო

როგორ კეთდება

ან რით.

მისთვის საკმარისია საჩოხე შალი.

აქ მატერიალის დამუშავების საკითხს ვერ აწესრიგებენ [redacted]

[redacted] ტეხნიკისა და საჭირო მატერიალის მიუგნებლობის გამო

ხელოვნება
თითქოს
ემორჩილებოდა
ზემო ნათქვამს.

?

იყო გრძნობა.
განცდათა ფაბრიკაცია.

მთავარი

მატერიალი – სიტყვა

დაუმუშავებელი რჩებოდა.

ეძებდნენ სიტყვის ირრეალობას.
მისი უტილიტარობა არავის ქონდა წარმოდგენილი.
დაუსრულებელი
დრო და სივრცე
ხელოვნებას
მიღმა რეალობათა საძიებლათ ამოგზაურებდა.

3. ესტეტიური ალკოგოლიზმი.

საჭირო იყო ქალაქი, რომ ორგანიზაციისა და ნორმის საკითხს თავისი ადგილი ეპოვა.
მოხდა სწრაფი გადალაგება.
მანქანამ წარმოშვა:
დროსა
და
სივრცის **ეკონომია.**
დროსა და სივრცის ეკონომიამ შექმნა
ნივთი
და
უტილიტარობა.

ქალაქმა მიიღო ნივთი.

ორგანიზაციას ორივე კომბინაციებით აგებს.
კომბინაცია დადის მოძრაობამდე,
რითაც იდევნება მისტიციზმი.

საკმარისი იყო ეკონომიის საკითხი, რომ ხელოვნება საქმიანობად გამხდარიყო
მაგრამ
რომანტიზმის გავლენის მოსპობა არც ისე ადვილი გახდა.

შემდეგი თაობა აღზრდილი ტრადიციების შაქრისყინულზე ვერ დაშორდა ესტეტიურ ალკოგოლიზმს.

მექანიკა ხომ უტილიტარული მეცნიერებაა.

სიმვოლისტებს ქონდათ წარმოდგენილი
ღმერთი ზეინკალის როლში.

მათ დაინახეს ქალაქი.

ცამდიარები ზეციურ ლტოლვათ მიიჩნიეს და ქალაქი აღიარეს იმ ქვეყნიურ ჭეშმარიტებათ.

რა საჭირო იქნებოდა
ნ ი ვ თ ი ?

ხელოვანისათვის არ იყო საკმარისი თავისი სპეციალობა და
უჩინმაჩინის რესპუბლიკის
მაძიებელნი დაეწაფენ

ესტეტიურ
ალკოგოლიზმს

მ ო რ ფ ი

კოკაინი და მთელი ნომენკლატურა კონტრობანდ საქონელის, რომელზედაც საჭიროა

საბაჟოს ნებართვა

და

ბანდეროლი.

4. მატერიალი კინემატოგრაფიზმით.

იტალიელ ფუტურისტებისათვის ტრადიციების უარყოფის შემდეგ საჭირო იყო ცამდიარების რეაბილიტაცია.

მანქანა.

ქალაქი, როგორც ორგანიზაცია.

ქალაქი ნივთების კომბინაცია და აგების ასპარეზი.

მარინეტისათვის იგი არსებობდა, როგორც გეგმა ახალი შემოქმედებისათვის.

თუმცა ნივთის აღმოჩენით აღტაცებამდე მისვლამ ვერ შექმნა თვითონ მატერიალის გადამუშავების საკითხი და უტილიტარობა.

მაინც არ შეიძლება მარინეტიზმს **მანქანების რომანტიკა** უწოდოთ.

ქალაქი მოითხოვდა ნივთამდე დასვლას

მატერიალის გადამუშავებას.

მატერიალის დასამუშავებლათ

საჭირო შეიქნა

ნივთის დაშლისა და გადალაგებების

საკითხი.

ნივთის დაშლისა და გადალაგების შემდეგ აღმოჩნდა მატერიალი.

მისტიციზმი ამის შემდეგ უთუოდ ბორონალიზმამდე უნდა მისულიყო, რადგან მატერიალის დამუშავება არ იძლევა საშვალებას მიღმა რეალობათა ხელშეხებისას.

ნივთების დაშლის პროცესი პირველად კუბიზმმა მოგვცა.

მატერიალისთვის მას დასჭირდა

აფრიკის კერპებისათვის მიემართა,

რომელიც შინამრეწველობის პერიოდს

დაუმუშავებელი დარჩა.

პსიხოდეზინტერიკოსებისათვის კუბიზმი „÷åðí àÿñì åðòüèñêóñòâàîòêîòðîãî íàòñïàñåíèÿ“.

ძველი ხელოვნებისათვის მართლაც სენი იყო, რომელმაც დასცა ფოტოგრაფიის შეგირდების ღირებულება.

კუბიზმმა პირველად აიღო ქალაქის ნამდვილი ტონი.

ტყუილად გონიათ, რომ ეს იყოს ახალი საშვალება მიღმა რეალობათა საძიებლათ.

ოსტატობა ნივთის აგებისა

და

მატერიალის გადახალისებისათვის.

მას აქვს დამოკიდებულება კინემატოგრაფთან.
კინემატოგრაფი მთლიანად გამოდის ნივთობრიობიდან.
აქ მთვარი ადგილი უჭირავს
მოძრაობითი პროცესს.

მოძრაობათა
დაშლა
ახალი მოძრაობის
ასაგებათ.

კინემოგრაფიული ზონარი.
მონტაჟი.

კინო დღემდის მხოლოდ გართობა იყო.
დღეს ინდუსტრალური საქმიანობაა.
ბაზრის მეტოდებსა და ბანკის ოპერაციებთან აქვს კავშირი.
აქ სივრცისა და დროის ეკონომიის საკითხი ყველაზე მარტივად დგას.
კინო ხელოვნების ყველა დარგზე უფრო იღებს უტილიტარიზმს.
ამიტომ იყო რომ ლენინი კინოს ხელოვნების ყველა დარგზე მაღლა აყენებდა.
ხედულობითი პრინციპზე აგებული თანამედროვე ქალაქი და კინო პლაკატის ორგანიზაციამდე მიდის.
შესაძლებელია ამით აიხსნება, რომ ამერიკელებს ლექსისა და რომანის გადათვალიერებას თეატრი და კინო ურჩევნია.
თანდროული რომანი ისე იწერება, როგორც კინემოგრაფიული ზონარი.

უწინ რომანი იყო
დრამა, ფსიხოლოგია
და სხვა.

დღეს რომანს აინტერესებს მოძრაობა, კომბინაციები და სხვა.

რომანმა კინემატოგრაფიდან უკანასკნელად მიიღო სივრცობრიობის საკითხიც.

ფელეტონი —
მეცნიერული გამოკვლევა —
და რომანი უსიუჟეტოთ.

თვითონ კინემატოგრაფი სიტყვას არ ეთანხმება.
სიტყვის შთაბეჭდილებას მუსიკა ქმნის.
სიტყვა კი კინემატოგრაფიდან სესხულობს მეთოდს
დროსა და
სივრცის ეკონომიას.

5. „ნივთმა გარდაქმნა ადამიანი“.

თანდროულ შემოქმედების ბაზარი ნივთს უტილიტარიზმის საზომით უდგება.
ქმნედითი პროცესი პოლიტიკურ ეკონომიკის კანონებს დაექვემდებარა.
ბაზრის მოთხოვნილების და მიხედვით იქმნება შემოქმედება.
აქ პოეზია იკარგება როგორც ზეშთაგონების ობიექტი და რჩება უტილიტარულ საქმიანობად.

ის კი არ არის საინტერესო თუ რა იურიდიულ ურთიერთობაშია შემოქმედება მიღმა რეალობათა რესპუბლიკასთან [redacted]

[redacted] შემომქმედი, რამდენად გაწვრთნილი ოსტატია მატერიალის დამუშავება-გადახალისებაში.

პოეტი მოექცა სიტყვის ორიენტაციაში.

კრუჩონიხი პოეტის შემოქმედებაში არ ეძებს პსიხოკონტურებს [redacted]

[redacted] მისოვის საინტერესოა სიტყვა, როგორც თავსადი შემოქმედება.

ნაბმის(ზმა) აღმოჩენა და კალამბურების დიაგნოზი შემოქმედების ახალი განზომილებაა.[1]

განწყობილების ექსპლოატაცია დაიკარგა და პოეტის აზროვნება იქამდე მივიდა, რომ ლექსის მოსახმარ ნივთებზე გადაცვლას ფიქრობს.

6. მატერიალის საკითხი პოეზიაში.

იაპონელების აზრით ლექსში სიტყვა გროვდება არა აზრისა და რიტმის არამედ ბგერის მიხედვით.

მაინც მნიშვნელობდა სიტყვის შინაარსი.

ფუტურისტებმა მოახდინეს ბგერითი რევოლიუცია, რის შემდეგ სიტყვაში ღირებულება მიეცა ბგერას.

იტალიელებისათვის მნიშვნელობა ქონდა ბგერას, არა როგორც განცალკევებულ მატერიალს, არამედ საშვალებას „ლირიზმის გაღვივებისათვის“.

„ბგერითი მიმბაძველობა ლირიზმის გაღვივებისათვის“ მუსიკალიზმამდე დადიოდა.

მეორე მხრივ 41^0 ბგერითი კომბინაციებით კრიპტოგრაფიამდე მივიდა. [redacted] მხოლოდ ხლებნიკოვს სურდა შეექმნა განსაკუთრებული პოეტური მეტყველება.

მისთვის სიტყვა განცალკევებული ერთეული ძალა იყო. ის ეძებს სიტყვის ძირს, რომელზედაც აშენებს ხშირად მთელ შემოქმედებას.

(Î ðàçñì åèòåñü ñì åõà÷è ëþ áõî, და სხვა).

ხლებნიკოვის მეთოდი შეითვისა ასეევმა და მაიაკოვსკიმ. უკანასკნელად მთლად მისგან გამოდის სელვინსკი.

ბგერა, როგორც მატერიალი.

შემოქმედებისათვის საინტერესოა ბგერის როგორც მატერიალის, დამუშავების საკითხი.

ხალხური პოეზია იცნობდა ბგერების საკითხს.

აქ განვითარებული იყო ე. წ. აბერტონიზმი.

ინდი
ბინდი
ადანდალი
დანდალიო.
ალილისა
მალილისა და სხვა.

სიტყვაში ბგერას მეტი მნიშვნელობა აქვს ვინემ განმარტებას.

---

1. ამ საკითხს მე დაწვრილებით ვეხები ლაბორატორიულ შრომაში „ნაბმი და ინვერსია“, სადაც გარჩეულია მთელი ქართული პოეზია.

ეს კარგად იცის ხალხურმა შემოქმედებამ და ხშირად შელოცვები და გამოცანები ყოველივე სიუჟეტის გარეშე ბგერით სტრუქტურაზეა აშენებული.

მთელი ხალხური მეტყველება (პრიმიტივი) დაუმუშავებელი მასალაა.

თანამედროვე სიტყვის ტეხნიკა მისწვდა ამ მასალათა გადამუშავების საკითხს

და პოეზია საქმიანობად

შეიქმნა.

აქ ჩნდება სიტყვისა და ბგერის გარშემო ლაბორატორიული მუშაობა.

იწმინდება სიტყვა.

ბგერითი კომბინაციები თანდროობას ეფარდება.

რასაკვირველია იგებს პრაქტიული მეტყველებაც, სადაც მორფოლოგიას და ფონეტიკას არა აქვს დამოუკიდებელი ღირებულება და სახმარისია, როგორც საშვალება ურთიერთ დამოკიდებულების (ლაპარაკის).

ლექსალური მეტყველება ბგერითი კონსტრუქციით იძლევა ეპოქის ათვისების საშვალებასაც.

შენიშვნა: ცდებიან ფრანგები, როდესაც ამაყობენ ფრანგული ენის სრულყოფით და მოითხოვენ მის დაბალზამებას.

დროსა და სივრცის საკითხს ენებრ მატერიალზე განსაზღვრული გავლენა აქვს.

ასეთ ლექსალურ ხერხით გრამოტოლოგიას მნიშვნელობა თავისთავად ეკარგება.

ზმნა პრაქტიულ მეტყველების დროს იძლევა მოძრაობის ეფექტს, **ლექსალურ მეტყველების დროს ზმნის გარეშეაც იქმნება მოძრაობა.**

7. ლაპარაკი ჩემს შესახებ.

მატერიალის დამუშავებისათვის საჭირო იყო ხალხური შემოქმედება — პრიმიტივი.

თითქოს ამ დასკვნამდე მივიდა პარფიუმერიული რომანტიკით დეკადანსამდე მისული საფრანგეთი.

ფუტურისტების ლოზუნგი „Ì èð ñêî í öà“ გადახალისებისათვის აუცილებელ საქმიანობად შეიქმნა.

განსაკუთრებით რომანი დაეწაფა პრიმიტივსა და პროვინციალიზმს არა როგორც ფორმალურ მეთოდს, მატერიალს, ან აგებას.

აქ პრიმიტივი სიუჟეტის განვითარებასა და პერსონაჟების გადახალისებაში გამოიხატება.

ასეთი გზა აუცილებლივ მიიღებს პრიმიტივის შემდეგ სტადიებს.

ჩემი შემოქმედება პრიმიტივს იღებს როგორც დაუმუშავებელ მასალას.

„სენტიმენტალიკის შელოცვა“

„ზღაპარი ცხრამთასიქით“

„ხელხვავი“ და სხვა.

იხ. ს. ჩიქოვანის „ხაბო“ და „მეკამეჩეების ურმული“-ც.

საინტერესოა ხალხური შემოქმედების აგების სიმარტივე და შემოქმედებითი ხერხი.

„ინციდენტები“ ჩემის აზრით აგებულია ზემონათქვამის მიხედვით.

იგი მოცემულია როგორც მარტივი სიუჟეტის აგება. აქ ხაზვა ძლიერ მარტივია, რომელიც თანამედროვე სახლის აგებას ეთანაბრება.

(ნაკლები ენერგიით მეტი მოძრაობის მოცემა).

შენიშვნა: როგორც ხალხურ შემოქმედებას ისე ბავშის მეტყველებას სიმარტივე ახასიათებს, როგორც სიუჟეტის აგების ისე მატერიალის დამუშავების დროს.

„ინციდენტებში“ სიუჟეტის აგება დასულია კინემატოგრაფამდე ინცინდენტების სახით.

ჩარლი ჩაპლინიც თავის შემოქმედებას ინციდენტებზე აგებს, თუმცა იგი აპარატის მიერ ათვისების დროს შექმნილ ინციდენტებს მეტ მნიშვნელობას აძლევს ვიდრე კომპოზიციას.

ხალხური შემოქმედებაც, განსაკუთრებით პროზაც (ზღაპარი) სიუჟეტს ინციდენტებით ანვითარებს.

აქ შეიძლება მოინახოს ნათესაობრიობაც.[1]

პოეზია არ ეძიებს — იგი ქმნის ნივთს.

ნივთობრიობის რკალში მოქცეულია მატერიალის დამუშავების საკითხიც (ბგერა).

ხალხური ტონისა და მატერიალის დამუშავება პირდაპირი ვალდებულებაა პოეზიის; სრულიად ახალი მასალა როგორც სიტყვის, ისე ფორმითი მუშაობის მხრივაც.

ამით შეიძლება ეროვნული ხაზის აღებაც.

ასეთ გზას ადგას H_2SO_4 ორგანიზაცია.

ნიკოლოზ ჩაჩავა

Comentaria de bello Galico

დღეს, რევოლიუციის მიერ მომხდარ გადატრიალების შემდეგ პროზა ჩამოდგა პირველ რიგში, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ (ონორე ბალზაკი, ემილ ზოლა, ჰუსტავ ფლობერი). ლირიკის სეზონი გათავდა. დადგა დრო მანქანების ეპოსის. თანამედროვეობა ვერ ეტევა სახარინით დატკბილულ ლექსებში და ამას გარდა, ამბობენ, რომ სახარინი ჰქმნის იმპოტენციის საშიშროებას. საჭიროა მეტად თხელი ჭკუა და იმპოტენტის პლატონიური სიყვარული, რომ დადგე ლირიკის საფრთხის წინაშე. პროზა მოდის უზარმაზარი ციკლონივით და ძნელია მისი გალბობა ლირიკის ფსიქოლოგიურ წყალში. მას მხოლოდ ერთად ერთი თვალი აქვს და ეს თვალი შემოქმედებაში მუდამ გარედან იცქირება შიგნით. იგი არ იკარგება საკუთარ სახეებში. მხატვარი სახეებს ობიექტიურად და გულგრილად უნდა ალაგებდეს: მხოლოდ აქ არის შესაძლებელი ირონია — არა მრუდე ხაზი შემოქმედებაში?

დიდი გამბედაობაა საჭირო, რომ არ გქონდეს არც რითმა, არც ზომა (მეტრი), და სხვა და სხვ., ისე შეხვიდე შინაურივით ზღვა სახეებში და დაიწყო მისი გადალაგება. საქართველოს ლექსი დაანვა როგორც უწმაწური კოშმარი და ყოველი გაფუჭებული 17 წლის ყმაწვილი თავის მოვალეობად სთვლიდა საკუთარი წვლილი გაეღო მის სასარგებლოდ. ეს იყო მეტად კარგი მოვლენა თავისი შედეგებით: ყველა ხედავს, რომ ლექსი გადატყდა ხერხემალში. პროზისათვის საჭირო იყო მაგარი ინტელექტი, გამტანი შემოქმედება, ბასრი თვალი, ერუდიცია და მაგარი უკანალი. ამ უკანასკნელით საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა დაჯილდოვებული, დანარჩენით კი არც ერთი მათგანი.

ლექსი გამოთაყვანდა სონეტებში და პროზა — მინიატურებში (ამ სამარცხვინო საქმეში მეც მიდევს წილი). ეს იყო ტრაღედია ხელოვნებისა, სადაც კასტრატების როლს ჩვე-

1. ამის შესახებ შემდეგ წერილში „კინო და ხალხური შემოქმედება“.

ნი პროზაიკები თამაშობდენ. **სანდრო ცირეკიძე** — ყველაზე უფრო ტრაგიული იყო ამ როლში. მისი პირველი საფეხური — მინიატურა, მეორე — სათაური, მესამე — სიკვდილი პროზისა და მისი ლექსთან დაახლოვება („სონეტი პროზით“). ასე გამოულპა ძირი არგონავტების ხომალდს. ისინი ერთგულად ჰქარგავდენ თავის მზითვებს, გადაჰყვენ მის სტილიზაციას; მაგრამ გათხოვების პირველ ღამის შემდეგვე მიატოვეს. ეს პროზა ფარმაცევტის მიერ ლაბორატორიაში დამზადებული მინიატურის სამყაროების აბები იყო, რომელიც მოისპო რევოლიუციებით. ოქტომბრის რევოლიუციამ გახსნა ყველა არსებულ საზღვრების ახალი პერსპექტივები. ვისაც ხილვა შეუძლია, ის დაინახავს ახალ გზებსა და მიღწევების შესაძლებლობას.

აქ უნდა ილაპარაკო საქმიანად, ან და გაჩუმდე. აუტანელია იმ მაღალი კონტურეიდან აღმოხეთქილი პსევდო კლასიკური **ორატორიები,** და აი სწორედ აქ არის ძირი პრიმიტივის, აქედან იწყება იგი. აქ პრობლემები დაყენებულია შიშველი ხორცით, და ხორცის სტილიზაცია უკვე დამახინჯებისა და უგემურების მომასწავებელია. რეალი ითხოვს საქმიან მიდგომას. აქედან გამოდის **საქმიანი წერის** მანერა, რაც შეიძლება ნაკლები წყალი და სახე. მოცემული კონკრეტიულად და საზოგადოთ ფრაზათა კონკრეტიზაცია პოეტები, როგორც არისტოკრატიული მაღალი ჯიშის კასტა, მოისპო. ხელოვნება დაუახლოვდა ფიზიოლოგიას, სტიქიას, და ამიტომ არის იგი ხალხური.

აქედანვე იწყება პრიმიტივი და აქედან მიემართება იგი ზღაპრებისაკენ, შელოცვებისაკენ (ნ. ჩაჩავას „სენტიმეტალიკის შელოცვა“ და ს. ჩიქოვანის „სანაპირო სიმღერა „ხაბო“). ამიტომ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია ქართული დიალექტები და საზოგადოთ პროვინციალიზმი. პროვინციალიზმები ჩვენ გვრწამს, როგორც ინვენტარი, იგი საგანს აბრუნებს ახალი სახით და სახეს გვაძლევს მეტი რელეფობითა და თავიდან აუცილებლობით (Í àâÿç÷èâî ñòü).

ამ გზით იყო წასული ჩემი რომანი „სანავარდო“ და ამავე გზით წავალ შემდეგშიც მეტის გარკვეულობით.

იმ გადახალისების შემდეგ, რომელიც მოხდა H_2SO_4 ჟურნალით, პოეზიის ყველა მიღწევების გადაფასება შესაძლებელი გახდა. გაიხსნა სრულიად ახალი მოულოდნელი მიღწევები პოეზიის. ეხლა პოეზიის პრობლემები სრულიად ხელახალია და ფორმალური მეთოდები სონეტში და ტრიოლეტში კი არ მოქცეულა, არამედ უამრავ ახალ ფორმებში, რომლებიც საჭიროებს მთელ რიგს ბიოლოგიურ კვლევებისას, როგორც ეს რუსეთში ხდება შკლოვსკის მიერ. წელს პარალელურად ამასთან გამოქვეყნდა პავლო ნოზაძის რომანის პირველი ნაწილი „დღე და ღამე რევოლიუციის“, რომელიც ჩემთვის მისაღები არის და მეორე მხრით ხსნის პროზის ახალ პერსპექტივებს. აქვე ხდება დაშლა ძველი პროზაული განწყობილების. ეს უფრო ამტკიცებს ხელოვნების ახალი გზების დაწყებას, რომლის საჭიროებისათვის მე დიდი ხანია დამოუკიდებლად ვმუშაობდი და ეხლა საშუალება მეძლევა საერთო მუშაობაში ჩაბმისა.

დემნა შენგელაია

რედაქციის შენიშვნა.

ამხ. **დემნა შენგელაიას** განცხადების ერთ დებულებას რედაქცია არ სთვლის საკითხის სწორ დაყენებათ (საკითხი — ლექსები) მაგრამ შენგელაიას „სანავარდო“, დაწმენდით ჩვენი ფრონტისათვის მისაღებია (ფორმალური მეთოდები და პრიმიტივი). ხოლო მისი უკანასკნელი ნაშრომები ამაგრებს ჩვენი ფრონტის საერთო გეზს პროზაში.

რედაქცია

„ხელოვნების დროშა“, „დროშა“

საჭიროა ჟურნალის საგამომცემლო კურსების დაარსება

სახელწოდება პირველი ჟურნალის არ ვარგა. მეორე კარგია — ეს იმიტომ, რომ რუსულ ჟურნალებიდან არის ნასესხები ეს წოდება. ჟურნალი გამოცემების მხრივ ორივე უვარგისია; არც ერთში არ არის არავითარი მანერა და გემოვნება. გამოცემის კულტურა ჩვენი ფრონტით გაიხსნა საქართველოში. ქართულ ლიტერატურას არ ყავს გამომცემლობის ტეხნიკური მხარის მკვლევარი, თორემ აღნიშნავდა ამას. ეხლა ეს ჩვენ გვიხდება. ჩვენი გამომცემლობა მთელ საბჭოთა გამოცემებში შეიძლება ჩაითვალოს პირველ სანიმუშო გამომცემლობათ. ამას აღნიშნავს ყველა რუსი — პოეტი და მხატვარი, რომელსაც ჩვენი ჟურნალი უნახავს (მაიაკოვსკიდან დაწყებული — ალ. კრუჩონიხამდე). საქართველოში არ იციან გაზეთის გამოცემა, ჟურნალის ხომ მით უმეტეს. მაგრამ სამწუხაროდ ორი დასახელებული ჟურნალი საშინლად ტრადიციულია. ამ ჟურნალების დათვალიერების დროს ვერ იგრძნობთ, რომ რევოლიუცია მოხდა და უთუოდ გახსენდება ბანალობის ობიექტი „თეატრი და ცხოვრება“ და ივანე გომართელის გემოვნება. ლირიკის გამო არ გვსურს, მაგრამ უნდა შევადაროთ ერთმანეთს, რადგან მასალების მხრივაც ეს ჟურნალები „თეატრი და ცხოვრება“. სურათების დალაგებაც ისეთივე აქვთ. „დროშა“-ს უფრო მეტი „ძალები“ ჰყავს: პირველ რიგში შანშიაშვილი სდგას, რომელიც ცნობილია, როგორც „ნაყოფიერი მწერალი“ (სანდრო მწერალი), ის ქმნის ქართული დრამის რეპერტუარს და ახდენს მეშჩან — „ობივატელის“ გემოვნების სრულ კასტრაციას. შანშიაშვილი დასატაცებელი რაღაც შექმნა „დროშა“-სა და დრამის შორის. მის ლექსების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება — როგორც მის პიესებზე, რომელთაც ლანძღვის დამსახურების უნარიც არა აქვს.

> საჭიროა ისწავლოთ კარგი ნიშნების აშენება ? ? ? ! ! ! ■ ■ ■

> აეკრძალოს წერა და ჩამოერთვას პოეტობა

უზრდელობის წინააღმდეგი მაინც და მაინც არა ვართ მაგრამ **აუდიტორიას ნუ დასვრით სანაგვე ყუთში გადასაგდები მასალებით.**

შემდეგ მოდის იაშვილი, ტაბიძე, ნადირაძე, გაფრინდაშვილი; ტაბიძე საინტერესოა იმდენათ, რამდენათ ჩვენი გავლენის ქვეშ მოექცა არალეგალურათ. ის რომ „მოიმარცხენებს“ — ეს ვიცით (ისე ახასიათებს დეგენერატული მემარცხენეობა). ეხლა ის უშუალო გავლენებში მოექცა. უკანასკნელი მისი ლექსი „მეოცნებე ნიამორებში“ არის პავლო ნოზაძის „პატრიოტიზმის“ იმიტაცია. რასაკვირველია, ტაბიძეს გამბედავობა აკლია და დამარცხდა, რადგან ნოზაძის მეთოდები საშინლად დაამახინჯა. რაც შეეხება „ახალ მცხეთა“-ს ის ყველაზე უკეთესი ლექსია, რაც „დროშა“-ში და „მნათობში“ (ლექსს ვერავინ ვერ სწერს) დაწერილა. ჩვენთვის ეს მასხრობაა და უნიჭობის პატენტი. ამ ლექსშიაც არის ნოზაძის მეთოდები

უ	უ	უ	უ	უ
—	—	—	—	—
დ	ა	ი	ჭ	ი
ر	ე	თ	ქ	უ
ر	დ	ი.		

ნოზაძემ შექმნა ლექსი ციტატებით. ამას იმეორებს ტ. ტაბიძეც. მაგ.

„კუჭის წვენათ ჩამიდგა სამშობლოს მთა და ბარია“

(ნოზაძე, ვაჟა ფშაველა)

„მორბის არაგვი არაგვიანი“

(ბარათაშვილი — ტაბიძე „ახალი მცხეთა“).

!! სხვები ვერც გავლენით სწერენ. იგივე არის ნადირაძის ლექსი **„არსენა“.** ხალხურ პოეზიის სარგებლობა როგორც გამძლე შემოქმედებით, ისევ ჩვენი ფრონტით დაიწყო. ამ შემთხვევაშიც გავლენაა.

იმის შემდეგ, რაც „დროშა“-ში არსენას ხალხური გენიალური ლექსი დაიბეჭდა, ნადირაძის ლექსის დაბეჭდვა სამარცხვინო არის. ამ თემაზე ნიკოლოზ ჩაჩავამ დასწერა დიდი პოემა, შეიძლება იმან გაამართლოს არსენა. მაინც ხალხური ლექსის დაძლევა საეჭვოა. ნადირაძე მით უმეტეს არ ვარგა, ის ვერ გრძნობს ტონს და არსენას ფორმალურ მხარეს ხალხურ საწყისში ვერ ახვევს. სხვა არაფერი არ არის. გაფრინდაშვილის ლექსები სამი წლის წინეთ დაძველებული იყო. თუ იბეჭდება, არავინ არ კითხულობს და გაფრინდაშვილის არსებობაც არავინ არ იცის.

დამნაშავე — ცხოვრებაა

სად არის გრიგოლის თეორეტიული ნიჭი?

თარგმანებს გაფრინდაშვილი გვარიანათ აკეთებს, მხოლოდ განსაზღვრულ მეტრის პოეტებს (თოთხმეტ მარცვლოვანი) და ამის მეტიც „ხელოვნების დროშა“-შიც არაფერი არ იწერება.

თეორეტიული მხარე ჟურნალს აკლია, რადგან წერილების წერის უნარი არცერთ ჟურნალში გამომზეურებულ მწერალს არა აქვს. აღსანიშნავი იყო მხოლოდ ორი წერილი. ვალ. ბახტაძის — „შვიდი წლის თავზე“ — კარგი ჟურნალისტის სიდარბაისლის მანერით დაწერილი და რობაქიძის — „ანატოლ ფრანსი“. ეხლა რობაქიძე მხოლოდ ნეკროლოგებს სწერს, რადგანაც მისი „დიდი ტრადიცია“, ჩამორჩა ხელოვნების თანამედროვე გადაფასებებს და ის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნებაში. ნეკროლოგებს კი სწერს და კარგათაც. ლექსების წერა რობაქიძეს, გაფრინდაშვილს, ტაბიძეს, შანშიაშვილს და სხ. არ შეუძლიათ, უნდა გამოტყდენ.

ასწიეთ ხელები!

წერილებს „ყელსახვევის პოეტიკაზე“ სწერენ. რევოლიუციამ ეს მეშჩანური ესთეტიზმი უარჰყო და „მეოცნებე ნიამორებს“ ეხლა „მეოცნებე თხები“ სჯობს. ეპოქამ ხელოვნების პრობლემები ხელახლა დააყენა. ამის გადაფასების უნარი მათ არა აქვთ.

უშველეთ ამ გაჭირვებულ ხალხს.

ამ მხრივ „ხელოვნების დროშა“ უფრო წინ სდგას. კარგ წერილებს სწერს „ვიღაც“, მაგრამ უთუოდ საკმაო ერუდიტი ხელოვნების დარგში — ცაგარელი. რასაკვირველია შეხედულებებს სრულიად არ ვეთანხმები **დეტალების გარდა; დეტალებში მისაღებია;** მაგრამ ის სწერს საკმაო დაჯერებით, ცოდნით და ეს ჩვენ გვჯერა.

იყო კიდევ რამოდენიმე წერილი აკ. ვასაძის. ამ წერილებით ვასაძემ დაამტკიცა, რომ ის არის გაგების მქონე — მსახიობი (რაც მას ნიმუშად ხდის). **ვასაძე — ნიმუში** რასაკვირველია, ეს წერილები არ არის დიდი მოვლენა. **ეპოქას ვერ ქმნის** მაგრამ ის მაინც ანგარიშ გასაწევია. **თეატრზე ყველა იმ ყალბ აგებებით, რომელიც მას ახასიათებს.**

ჟურნალის მხატვრულ ლიტერატურული და საქრონიკო პერიფერია არ ვარგა.

ჩვენ ხელის დადებით არ ვეხებით ნომრებს.

საერთოდ იგი უვარგისია. სამწუხაროა რომ „რაბისი“ უკეთეს ჟურნალის გამოცემას ვერ ახერხებს. კასრაძით შორს ვერ წახვალთ. კასრაძე თავის პიესებამდე ჩაგიყვანსთ და მიზანიც მიღწეული იქნება.

ბოლო დროს ხელოვნების დროშას უკანასკნელი სიტყვა მოაშორეს და დარჩა „ხელოვნება“, ასე რომ ჟურნალი „დროშა“ შეიძლება გაგრძელებათ ჩაითვალოს...

ბ. შ.

მნათობი

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ლიტერატურის ბირჟა ძლიერ ხელმისაწვდომი საგანი გახდა. შეიძლება ეს იყოს მხოლოდ დიდი პლიუსი საბჭოთა ხელისუფლების კულტურის დარგში. ცხადია, სოციალისტურ რევოლიუციას ხელახლა უნდა წარმოეშვა ადამიანის ფსიხიკა. ფსიქოლოგიურად გარდაქმნა ადამიანის, მისი განთავისუფლება რკინის ღვედებით შებოჭვილ ბურჟუაზიულ და ვიწრო-კაპიტალისტურ სალტებიდან ოქტომბერის პირველი გაკვეთილი იყო (ფაქტი: სამხედრო კომუნიზმის ხანა). აქ მოხდა განადგურება მისტიციზმის, თეოსოფიის, ოკულტიზმის, აპოკალიპსურ ცხადების.

ადამიანის ფსიხოზი დადგა მყოფადერ რეალობის საფუძველზე. ეს იყო მთავარი მომენტი ლიტერატურული ბირჟის გადახალისების, ხელახლა დაბადების. მოწინავე ფრონტების დაცლა აუცილებელი იყო იმ კიბური სტრუქტურით, რომელითაც ჩვენ ვხსნით ლიტერატურულ შკოლათა არსებობას. ხელმეორედ შობილ ადამიანისათვის სრულებით გასაკვირველი არ არის „ორმოცი წლიანის ბავშვობაც“-კი. დაცლილ ფრონტებიდან მეხსიერების ტევულობაში გვრჩება მხოლოდ მთლიანი სახე გამოცემების. ამ მხრივ მხედველობაში გვაქვს სხვა და სხვა სალიტერატურო ჟურნალები. უკანასკნელიდან გვრჩება ახალთქმები, რამდენათაც ეს უკანასკნელი ცხადდება აქ. ეს არის უმთავრესი საზომი, რომლითაც ჩვენ ვუდგებით ჟურნალ **„მნათობი“**-ს განხილვას. ჯერჯერობით კი თვით ჟურნალის

ღირებულება:

ქართული ლიტერატურის ნივთობრივი გადაფასება ან არა, ან ძლიერ შეუმჩნეველად ხდება. ამის მიზეზი შესაძლებელია არის ის უპრინციპობა, რომელზედაც აქამდე დგანან ჯერ კიდევ რამოდენიმე ქართული ლიტერატურული გამოცემები. საბედისწერო გამონაკლისს შეადგენს ამ შემთხვევაში ჟურ. „მნათობი“. ფორმულა საკუთარი ჟურნალს აქვს. გარდა ამისა თანამედროვე შემოქმედების პრობლემები ყველაზე უფრო მეტად ამ ჟურნალში ცხადდება: აკადემიზმით ყარს „ლეᲂი“. ის ცოხნის ისევ იმას, რასაც ცალცალკე გუშინ სცოხნიდენ კრუჩონიხი და სხ.

ასეთ გზას ბევრი საბჭოელი ჟურნალი ადგია გარდა ზოგიერთისა, რომლებიც უფრო დაგროვილ მასალების ბიბლიოგრაფიულ გადაფასებას იცავენ, ვიდრე ლიტერატურულ ახალთქმებს, ახალ სიტყვებს. ჩემის მოსაზრებით, ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეს ჟურნალები მყარ ნიადაგზე არ დგარან: „Ï å÷àòüè ðåâîëþöèÿ“, „Êíèãàè ðåâîëþöèÿ“, „Ëèòåðàòóðíàÿ Ðîññèÿ“, „Ðîññèÿ“ და სხვ. არსებითად და ლიტერატურის ბირჟის გადამფასებელად გვევლინება, თუ მას ზედ დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ მათში დღემდე ადგილი აქვთ ტენდენციურ სახის აკადემიზმს, ბრიუსოვის, კოგანის და სხვების სახით. ჟურნალი „მნათობი“ ამ მხრივ უფრო უზ-

რუნველყოფილი არის, თუმცა ჩვენ მის მიმოხილვას გავყვებით იმ გზების დაზვერვით, საითაც მიმართულია მისი გეზი. გზა და გზა შევეხებით ჟურნალის სქემატიურ აგებულებას.

მხატვრული ლიტერატურა: საქართველო.

მხატვრული შემოქმედების პრობლემების რკალი ჟურ. „მნათობ“-ში გაიხსნა H_2SO_4 საბჭოს მიერ მისმა გამოჩენამ ჟურნ. ფურცლებზე შექმნა შემოქმედების პოტენციალური სრულქმნის მთლიანობა. და სწორეთ ამ მოსაზრებით H_2SO_4 საბჭო იჭერს მამოძრავებელი ცენტრის ადგილს ჟურნალში. ის გახდა, ვიმეორებ, „მნათობი“-ს მამოძრავებელი ფიგურა, და ამიტომ შემოქმედების პრობლემების საწყისი ბუნებრივად ჟურნალში ამ უკანასკნელით უნდა დაწყებულიყო. საილუსტრაციოთ ჩვენ ავიღებთ ერთ დარგს მხატვრულ შემოქმედებისას სახელდობრ — **პროზას.** ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოში მხატვრული პროზა არ არსებობდა, მაგრამ ამ უკანასკნელთან მისვლაც უნდა ხდებოდეს არა ქართული „არშინით“. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ის ზოგადი დებულება პროზის ტრანსფორმაციის, რომელიც დაიწყო H_2SO_4-ს საბჭომ. ამ მხრივ ჟურნალ „მნათობ“-ში ხედავთ: **დემნა შენგელაიას, პავლო ნოზაძეს და აკაკი ბელიაშვილს.** ჩვენ ვიცავთ დამთავრებულ შთაბეჭდილების გადმოცემას, ამიტომ საჭიროა პერსონალურად:

დემნა შეგნელაია: — „სანავარდო“ „მნათობი“-ს 1-ლ ნომერში დაიწყო და მესამეში დასრულდა დემნა შენგელაიას სერიოზული რომანი „სანავარდო“. რომანის მთავარი საწყისი არის — **პრიმიტივი.** მიღწევების მხრივ რომანი ძლიერია. მისი მთავარი ფაბულა ე. წ. **შემდეგ დეგენერაციის პრობლემაა.** ამიტომ აქ არის შიგადაშიგ შეხვედრა ანდრეი ბელის მისტიკასთან. კონკრეტ ფორმალურ წერის მეთოდში შენგელაია დაცილებულია (სამწუხაროდ) ანდრეი ბელის. ანდრეი ბელი შესაძლებელია გენიალური სტილისტი იყოს; სტილის მხრივ მას ჩამორჩა თანამედროვე რუსული პროზა. გადმოცემის მეთოდში ბელი გამოდის **კუბიზმიდან** ამისათვის არის, რომ მისი სინტაქსიური დენა არ ექვემდებარება ასაშენებელ კუთხეებს და ისე — თავისთავად შენდება. ამ სინტაქსიური დენიდან მოდის მისი ათეულების გადმოცემაც. თქვენ ხედავთ ნიკოლაი აპოლონოვიჩ აბლეუხოვს. თოვლში. ქურქით: უყურებთ ამ სხეულს და იცით, რომ მას აქვს ორივე ხელი; მაგრამ ბელი მას ყოველთვის აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ ის გგონიათ თქვენ (ან უკეთ ავტორს) ცალი ხელით ან — თქვენ ხედავთ პროსპექტს ხალხით. ბელი გაყენებთ ისეთ გეომეტრიულ არეში, საიდანაც თქვენ ხედავთ მხოლოდ „გვერდებს, გვერდებსა და გვერდებს“.. ან მეორეს მხრივ — „ფეხებს, ფეხებსა და კიდევ ფეხებს“.. კიდევ მეტი „პეტერბურგ“-ში ბელიმ სახლები მოგვცა როგორც განსაკუთრებული გეომეტრიული ნაკვთები. **ყოველი საგნის და მოვლენის კუთხური მზერა** — ეს არის ა. ბელის გადმოცემის მეთოდი. ამ შემთხვევაში ბელი არის წმინდა წყლის პირველ ყოფილი ფუტურისტი. მას არ ახასიათებს სხეულების დაშლა, გარდაქმნა, როგორც ასეთს.

სტილის მხრივ ბელი მოხერხებული დამლაგებელია სიტყვის. ყველაზე მეტად მას ეხერხება სიტყვის სინტაქსის ხაზულობაში გამართვა, საიდანაც თქვენ მარტო გეომეტრია გრჩებათ. სწორეთ ამ პოლიუსში ვერ ხვდება დემნა შენგელაია ანდრეი ბელის. ყველაზე მეტათ ბელით ისარგებლა ერენბურგმა ამ შემთხვევაში თავის „კურბოვ“-ში; მაგრამ ერენბურგის — მოგზაურის ცოცხალი შთაბეჭდილება ვერ შეხვდა ანდრეი ბელის კუბიზმს. სწორედ ამ პოლიუსს ასცდა დემნა შენგელაიაც „სანავარდო“-ში. ეს რასაკვირველია, სამწუხაროა, რადგან შენგელაიას „სანავარდო“ ათეულ წლებს შერჩება როგორც სერიოზული მოვლენა ერთად ერთი. თემებით ანდრეი ბელი არ არის მისაღები. პირადათ ჩემთვის მიუღებელია მის მიერ პირამიდის ასეთი ახსნა:

„Ï èðàì èäà - ÁÐÅÄ ãåî ì åòðèè“.

„Áðåä“-ს ზედ დაურთეთ კიდევ ის, რომ ბელი არის ოკულტისტი, ნარკოზისტი, მისტიკოსი — კატასტროფამდე (პეტერბურგში) არაეპოქალური დეგენერაციის მომხრე, ვებერთელა ერუდიტი, რომელშიაც გათქვეფილია გოგოლი, დოსტოევსკი... და სოლოვიოვიც კი, ერთის სიტყ-

ვით, მთელი — დომხალი. ამ მხრივ შენგელაიამ სამართლიანად უარყო ანდრეი ბელი. ვერ ვიტყვით, რომ მისი (ბელის) თემები მან (შენგელიამ) დაასამარა, ხოლო გაბედულათ კი შეგვწვევს თქმის სითამამე რომ ა. ბელის თემებს შენგელაიამ მეორე-მესამე ხარისხოვანი როლი არგუნა. ფაქტი: ფალოსი, ეროსი, საშო და სხ. „სანავარდოში“ მხოლოდ მოქმედებას გამოხატავს.

დემნა შენგელაია არის ნიჭიერი შემოქმედი. მან იცის პრობლემის საგნამდე დაყვანა და მისთვის მზად აქვს საკმაოდ მდიდარი ლექსიკონი პრიმიტივი მოცემული თემებით. წარსულის მშენებლობა იშლება, როგორც მომავალ მშენებლობის მასალა. „სანავარდო“-ს ავტორი სწორედ ამ მასალის სივრცეში ტრიალობს:

ზემო ნათქვამს სავსებით ადასტურებს დემნა შენგელაიას მეორე პროზა „ჯავშნიანი მატარებელი N. B. E Î êðÿáð“. გადმოცემის შთაბეჭდილება კარგია, ხოლო სტილში მწერალს ეტყობა „მიგნების“ ცდები. აღსანიშნავი ის არის, რომ ამ მოთხრობაში ჩვენის აზრით ყალიბ კონსტრუქციამდე დადის დემნას სტილი.

მეორე ძლიერი რომანი, რომელიც დაიბეჭდა „მნათობ“-ში არის **პავლო ნოზაძის – „დღე და ღამე რევოლიუციის“.** საკომენტარიოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული შემოქმედების პრობლემები ჟურ. „მნათობ“-ში ჩვენი საბჭოდან წარმოიშვა, ამ დებულებას უშუალოდ ადასტურებს პავლო ნოზაძის „დღე და ღამე რევოლიუციის“ სურათის ერთი შეხედვით, რომანის სტილში მოცემულია ირონიაც, ცინიზმიც და უდიდესი ტრაღიზმი. ამ სამი გზით იბოჭება მკითხველის აზროვნება რომანში მიღებულ შთაბეჭდილების შემდეგ. ნოზაძეს სტილში წინაპარი არ ჰყავს. ირონია პროზაში გოგოლმა შექმნა, უარყოფით ტიპებს სანაგვე ყუთიდან ამოყვანილ გმირებს იგი უძღვნის მთელ რიგ ლირიულ **„უკან დახევებს“** მათ უკან მოქმედობს და ტრიალობს გოგოლი. ამას დაუმატეთ მოქმედების ადგილი და თქვენ ნახავთ, რომ ავტორი აქ მოცემულია როგორც მსახიობი. საკმარისია სამოქმედო ადგილების გაფართოება („მკვდარი სულები“), რომ თქვენ შეამჩნიოთ ამ ავტორის საცოდავი მდგომარეობა. სანიმუშოდ საგანგებოდ მოვიყვანეთ ჩვენ გოგოლი.

პავლო ნოზაძის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ სჩანს როგორც მწერალი, ან უკეთ ჩვენ მას ვერ ვხედავთ:

პეიზაჟი მოვლენა, სურათი, და სხვ. მისთვის წარმოადგენს ცდა-საჩვენებელ სანახაობას. აქ ავტორი ცხადდება როგორც **რეჟისორი:** ამ მხრივ — ეს პრობლემა წამოაყენა ნოზაძემ თავის რომანით.

რეჟისორ — ნოზაძეს გამოჰყავს და ამოქმედებს ტიპებს და შინაგან განცდას, განცდას გადმოგვცემს როგორც სათეატრო ან საეკრანო სანახაობას. თავადი განდაბია, რომელიც „მიათოხარიკებს გასივებულ მერანს შოთა რუსთაველის მოყვანელობით“, არის თქვენს წინაშე, აქ ავტორის მსჯელობა გადადის თავადიდან ცხენზე.

„საჭიროა ცხენთან დამოკიდებულების მნიშვნელობა გამოვარკვიო“:

1. ცხენი შეიძლება ადამიანია ყმა თავად-აზნაურთა.

2. ცხენის საშუალებით გრძელ გზას შეიმოკლებს **დრო ჭამაა.**

3. მოზიარე ლხინში, ჩხუბში და დავალებებში, ამის და მიხედვით ცხენი პატრიოტი და გულითადი მამულის შვილი“.

ამას დაურთეთ ისიც, რომ თვითეულ ტიპის მოქმედება ხშირად საქრონიკო ცნობებით იწყება. აიღეთ თუნდაც დარისპანის განწყობილება საშინელ ღამეში. მე აქ ვხედავ უდიდეს ტრაღიზმს და რომანტიზმს.

„იმ ცხოვრებისათვის ვალი არ გამოყვება. — ფიქრობს დარისპანი: — ცამეტი ცხვარი დავუკალი ჩემს მამა პაპებს, მე ვინ დამმარხავს?

გიხაროდეს! — ქვაბებო — თოხებო — კათებო — სახნისო — თქვენ გადურჩებით ცეცხლს. გიხაროდეს! მიწავ — ჩემი ცრემლით — ჩემი ოფლით გამორწყულო, შენ გადამიცვლი მეც.

პირველად ჩემი სახნისი.

მერე ჩემი ძროხა, — მოვლით დაავათმყოფებული კიდევ იქით ხარები.

კიდევ წიწილები, ძაღლები, კატა, გოჭები.

გარდა ამისა, ბუბერეთის მთაში დაჭერილო, ჩემო საწნახელო, გიდლებო, — მე თქვენი მამა ვარ!“

რომანის დასრულება საშუალებას მოგვცემს ალბათ უფრო ვრცლად მის მიღწევებს მაშინ შევეხოთ. რომანის ფაბულა შეიცავს თავად-აზნაურობის დაღუპვის ისტორიას.

პავლო ნოზაძემ ქართულ პროზაში შემოიტანა სიუჟეტის კონსტრუქტივიზმი და სიუჟეტი წამოაყენა როგორც ფორმალური მეთოდი.

ამ მხრივ სისულელეა ზოგიერთ რეცეზენტის თქმა, თითქოს ამ რომანს რამე საერთო ქონდეს ერენბურგთან. ამის თქმა უბრალო გულუბრყვილობის და გაუგებრობის ნაყოფია.

აკაკი ბელიაშვილს ეკუთვნის რომანი „ცხრა ცენტრი“. აკაკი ბელიაშვილი ეხლა მუშაობს ახალ რომანზე და სიტყვას ისევ ვიტოვებ, მხოლოდ „ცხრა ცენტრ“-ს შევეხები იმდენათ, რამდენათაც მისი რაოდენობა ამის საშუალებას მაძლევს.

ჩემს წინაშე მოცემულია რომანის პირველი **სერია.** აკაკი ბელიაშვილმა სამართლიანად უწოდა მას სერია. რომანი მოცემულია კინემატოგრაფიული სისწრაფით და რაც მთავარია, **მოძრაობის უკიდურესობამდე დაყვანა.** თვით კატასტროფამდეც კი (ეს მხოლოდ ა. ბელიაშვილს ეხერხება როგორც პოეზიის ტერორისტს). ეს ფაქტი რომანის დასრულების შემდეგ უფრო ხაზგასმით დამტკიცდება. რომანში მკითხველი ხედავს მოძრაობას.

ხშირად ტიპები ვარდებიან მკითხველებთან ერთად საგანგებოდ მოწყობილ ჩიხში. ასეთი ადგილები უხვადაა 1-ლ სერიაშიც: მაგალითად, „უეცრად შემოვიდა მსახური და გადასცა სადარბაზო ბარათი (პროვოკატორ სერ ჯეკსონს).

იაშკა ჟერლო

ჯეკსონი რამოდენიმე წუთს გამოურკვევლად იდგა!!“ მოძრაობის ცვალებადობა დაყვანილია გეომეტრიულ ხაზებამდე კინემატოგრაფიული სისწრაფით. ამის შესახებ ჩვენ სხვა დროს ვიტყვით უფრო ხელსაყრელ დროს რომანის მიღწევებზე.

„მნათობ“-ს არ აკლია საბულვარო პროზაც ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ ადამაშვილის „კვაჭი-კვაჭანტირაძე“. ამ უკანასკნელში არაფერი არ არის ნიჭის, რაც მთავარია მოცემულია როგორც საბიოგრაფიო მასალა. სამართლიანია ავტორის ჩივილი ისტორიის გარშემო, თუმცა ისტორიის არც ერთი ძუნწი კუნჭული არ დარჩენია ავტორს მოუხმარებლად. რასპუტინის ცხოვრება მეფის კარის ღენერლების და მინისტრების მემუარებიდან არის გადმოქართულებული იმ განსხვავებით, რომ საყურადღებო მომენტში სათამაშო ხესავით გამოყავს „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ეს არის ცუდი სცენარი. „მნათობი“-ს რედაქცია ბევრს მოიგებდა — რომ ასეთ „საბულვარო სენსაციას“ ჟურნალის ფურცლებზე ადგილი არ ჰქონდეს.

დანარჩენებზე არაფერი არ ითქმის, „ფერადი ბუშტები“-ს დამატებით უფრო სა-„ჯეჯილო“ მასალაა ვიდრე სერიოზული მოვლენა მხატვრულ მწერლობაში.

პოეზია:

მხატვრულ პროზას „მნათობ“-ში ჩამორჩა პოეზია... ქართველ პოეტებიდან „მნათობ“-ში მონაწილეობენ: გალ. ტაბიძე, ვალ. გაფრინდაშვილი, კოლ. ნადირაძე და სხვ. ყველა მათი დასახელება ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. „ჯონ რიდი“ გალექსილ ბიოგრაფიის მასალას წარმოადგენს. მგონია, რომ ჯონ რიდის წიგნი თვით უფრო მეტ მასალას იძლევა ავტობიოგრაფისთვის, ვიდრე გაჭიანურებული „ჯონ რიდი“, სხვა ლექსებში არ არის არც ერთი პოეტური ხაზი, თქმა. საკვირველია! ეს გადაშენების პოეტები საიდან ჩაცვინდენ „მნათობ“-ში? არგუმენტისათვის: ისინი კრიტიკას ვერც უძლებენ მაგ. კოლაუ ნადირაძის „მიმართვა ბავშვებს“ სწორედ ცახელის გემოვნების ლექსია (შედარება „მარტოდ მარტოა ობოლი“).

რა არის მაგ.

„ო, რამდენ ქალაქს ენატრება დღეს ბაკუნინი
ან ბრინჯაოსი, ან ცოცხალი და ან ლანდური“.

(ვ. გაფრინდაშვილი)

დანარჩენებზე არაფერი ითქმის. ისინი დაუსრულებლად მცირე ელემენტების შთაბეჭდილებას სტოვებენ და ჩვენს საბიბლიოგრაფიო კრიტიკის გარეშეც კი დგანან.

სადეზინ0 ექციოდ გაისმა **ნიკოლოზ ჩაჩავას** ხმა. **„თეზისები პოეტებს მსოფლიო მდგომარეობის შესახებ“,** — უფრო სხვა დანიშნულების იყო. მას უნდოდა ამ „ლანდური და აბსტრაქტული“ სახეებიდან მოეწყვიტათ „მნათობი“-ს ყურადღება და მიემართა ის „მსოფლიო მდგომარეობისაკენ“. კარგია ლექსის შუა ნაწილი, მაგრამ ვიმეორებ, ლექსს აქვს სადეზინ0 ექციო მნიშვნელობა და ღირებულება. ნიკოლოზ ჩაჩავა სხვა შემოქმედებისთვის არსებობს **„მზე მახეული“...** მაგრამ ლიტერატურულ გამოსვლებში მას ყველაზე მაღლა უჭირავს სამხედრო ტაქტიკა. **უცხოეთის ლიტერატურა: რუსეთი:**

უმთავრესად თარგმნილი ლიტერატურა სჩანს. კარგია თარგმანები **კონსტ. ჭიჭინაძის** — ბლოკის — და სხვათაგან. არ წაიკითხება სრულებით „შვიდი დღე“ (მთარგმნელის დასახელება საჭირო არ არის). „ტრესტი დ. ე.“ კარგი თარგმნილია. მოისუსტებს მეორე ნაწილი. რაც მთავარია, უცხოეთის ლიტერატურაში ხდება ორი პოლიუსების შეხვედრა. ერთის მხრივ სიმონ ჩიქოვანის და მეორეს მხრივ ბორის პასტერნაკის.

„კრემლი გრიგალი 1918 წლის დასასრულს“. ამ ლექსში სიმონ ჩიქოვანი და პასტერნაკი ერთმანეთს ხვდებიან. ავანსი: ეს თემა — იქნება მომავალი წერილის.

ორეულთა ცხადების შესახებ მართლდება **ბენო გორდეზიანის თქმა.**

სანიმუშოდ მოვიყვანთ:

„როგორც ნატალი შეყინული შარვლის ყოშებზე
და ქარბუქებით მოხარხარე ის საგანგებოთ
დამჭერი ბედის ჩაბალახის გრძელი ეშვებით...“ და სხვ.

უკეთესად გადმოცემა ამის თარგმანის შეუძლებელია.

ცუდათ არის თარგმნილი მაიაკოვსის „ოდა რევოლიუციის“. აქ არ არის დაცული მთარგმნელის მიერ ავტორის არც მეტრი, არც რიტმი. უფრო სწორი შეფასება ამ თარგმანის თვით ვლ. მაიაკოვსკიმ მოგვცა. ერთ-ერთ ინტიმურ ჯგუფში სიტყვა სიტყვით: „ასეთი თარგმანი რა საჭირო იყო. მე უკეთესს ლექსს დავწერდი ქართულათო“.

მაიაკოვსკის კარგად უდგება **ნიკოლოზ შენგელაია** — ტრიბუნალური ხმა „მე-III ინტერნაციონალი“. გამოდის მაიაკოვსკის ლექსების თარგმანები და ალბათ იქ გამოჩნდება მაიაკოვსკის შემოქმედების ნათელი ათვისება თარგმანებრივ განსახიერებით. ეს შემდეგ.

ორიოდე სიტყვა **დასავლეთის ლიტარატურაზე.** ჟურნალი მხოლოდ გილბო, ვერჰარნით, ან მატინეთი ვერ ამოსწურავს მას. საჭიროა ახალი პოეზიის — თარგმანები. ამას უნდა მიექცეს ყველაზე მეტი ყურადღება. კარგია თარგმანები კონსტანტინე ჭიჭინაძის ვერხარენიდან.

მხატვრული კრიტიკა:

მხატვრულ კრიტიკის დარგში ოთხი საყურადღებო წერილი დაიწერა ჟურ. „მნათობ“-ში ეს წერილები ეკუთვნით ბენო გორდეზიანს, შალვა ალხაზიშვილს და სიმონ ჩიქოვანს.

ბენო გორდეზიანს ეკუთვნის წერილი „ოქტომბერი და მხატვრობა“. რედაქციამ სადისკუსიოთ სცნო ეს წერილი, მიუხედავათ ამისა დღემდე მასზე არც რედაქციას გამოუთქვამს თავისი აზრი, ეს მით უფრო გამარჯვება არის. გორდეზიანს აქვს უნარი სხეულის ანალიტური დაშლის და აქედან ყალიბ სახის მოცემისა. ამას ჩვენ სხვა დროს ვუწოდეთ კონსტრუქტივისტული აზროვნება. ამნაირად კონკრეტ აზროვნების გარშემო ტრიალებს ბენო გორდეზიანი.

შალვა ალხაზიშვილი შესაძლებელია არის „ძუნწი რაინდი“. კინემატოგრაფიულ სისწრაფით, რაზედაც არა ერთხელ თქმულა, აგვიწერს ის რუსეთის თეატრალურ-დეკორატი-

ულ მხატვრობას, წერილი დამძიმებულია მაგარი ერუდიციით, რომელიც გადმოცემულია უფრო საბიულეტენო ცნობების სახით (ერთი თავისებურება ალხაზიშვილის შემოქმედების).

მე მინდა შევჩერდე **სიმონ ჩიქოვანის** წერილებზე. ჩვენ არ ვიცით, რა საჭირო იყო H_2SO_4-სათვის გაეკეთებინა ვისმეს კომენტარიები, ისიც ამავე ჯგუფიდან და ისიც „სასწრაფოდ“, „სასწრაფო“-ს მაგიერ ეს სიტყვა სხვა „ნაუცბედარი“-ს შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს, რასაკვირველია, ეს ეხება ნაკლს. მიუხედავათ ამისა წერილი კინემატოგრაფიულად გვიჩვენებს პეიზაჟს ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარებისას. ხაზი სწორად არის აღებული. ჯორჯაძისა და „ყანწელების“ ნათესავობის უშუალო ჭეშმარიტებას აკლია არგუმენტაცია. საჭირო იყო ამ ნაწილის უფრო გაფართოება. წერილის მეორე ნაწილი შეიცავს H_2SO_4 შემოქმედების ანალიზს. ვერ იძლევა მთლიან სახეს მთელს საბჭოზე. მიუხედავათ ამ ნაკლისა წერილი მაინც მკაფიოდ აყენებს ქართული კულტურის პრობლემებს. ქართული ხელოვნების განვითარებისათვის სათანადოთ არსებობს საკლასო-სოციალური ბაზა. თანამედროვე პოლიუსებში ის წარმოადგენს პროლეტარულ-უტილიტარულ ღირებულების ნივთს და ხელოვნების რეზონანსი აქ უნდა იწყებოდეს. ემიგრაციამ (ვეშაპელის სახით) ეს შეიგნო და ამიტომ საჭიროთ სცნეს დაუბრუნდნენ საბჭოთა საქართველოს. სამწუხაროდ, წერილში არ სჩანს ქართული კულტურის მომავალი პრაქტიკული მიღწევები ამ გზით. მხოლოდ საწყისი კი ავტორის აზრით უშუალოდ მოდის პროლეტარულ ინდუსტრია-მშენებლობიდან. ამიტომ ფეოდალურ რომანტიზმის (ვეშაპელი) გასაბჭოებას ახალ საქართველოსთვის არსებითად ღირებულება არ ექნება არავითარი. სიმონ ჩიქოვანმა პირველად მისცა რეცეპტი ასეთ შინაარსის ქართულ ხელოვნებას.

მან ქართული კულტურის აღორძინების პერსპექტივები დააყენა ახალ საქართველოს აღორძინებასთან ერთად.

რაც შეეხება მეორე წერილს — „თანამედროვე გერმანიის მხატვრობა“ — ეს უფრო მეტის დაკვირვებით არის დაწერილი. წერილში მოცემულია ანალიზი მემარცხენე მხატვრობის და მთავრდება ავტორის საკუთარი მოსაზრებებით, საით მიდის მემარცხენე მხატვრობის ფრონტი? სიმონ ჩიქოვანს ახასიათებს საკვირველი აკრობატიკა ფაქტების, გადმოცემის ანატომიის გაშლა და აქედან მოულოდნელი მაგრამ მაინც დაკანონებული დასკვნების გამოყვანა.

ამ უკანასკნელ წერილში მთელი თანამედროვე ხელოვნების პოლიუსები მოცემულია ავტორის აზრით სამ თანამედროვე გენიალურ შემოქმედებში; ესენი არიან: გეორგ გროსი, ჩარლი ჩაპლინი და H_2SO_4 — საბჭო.

მემარცხენე ფრონტის კონსტრუქტივიზმი, რომელიც მთავარ საწყის აქედან იღებს გადმოდის თეატრში. აქ მას ხვდება პოეზიის ფორმალური გზები და ყოველ ფორმულიროვკის დროს, ის ფიქრობს ქართული ხელოვნების ორგანიულ კავშირზე. ეს წერილი შესაძლებელია პირდაპირ გაგრძელებათ ჩაითვალოს „პროექტისა“.

სიმონ ჩიქოვანს აქვს მემარცხენე ფრონტის სწორი გაგება. ფაქტები მისთვის არსებობს როგორც დაუსრულებელი მასალა. სწორედ ამ გზით გახსნა ჩიქოვანმა მემარცხენეობის პრობლემა. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართველი რეცენზენტები ვერ მიხვდენ ამ უკანასკნელს განსაკუთრებით და ამით აიხსნება „მნათობი“-ს რედაქციის შენიშვნაც. ჩვენთვის საინტერესოა მაინც, თუ კი „სადისკუსიოთ“ ჩამოყალიბდა ეს წერილი, რატომ ამის შესახებ არაფერს ბეჭდავს?..

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალის არსებობიდან ქართული მხატვრული კრიტიკა მხოლოდ ამ ოთხი წერილით განისაზღვრება. ეს კი უფრო გარკვევით ამტკიცებს ჩვენს ზოგად წამოყენებულ დებულებას.

ზოგიერთი ბალასტების გამოკლებით ჟურნალი გაცილებით ბევრს მოიგებდა. ზოგიერთი აკადემიზმი ჟურნალის გემოვნებას აფერხებს. მიუხედავათ ამისა „მნათობი“ მაინც ყველაზე უფრო ძლიერია. თუ ყოველივე აღნიშნული ნაკლი გასწორებული იქნება.

წარსულ სალიტერატურო წელში ეს ჟურნალი ერთად ერთი მოვლენა იყო. ქართული ლიტერატურის სეზონი ამ ჟურნალმა მხატვრულ შემოქმედების ყველა დარგში H_2SO_4 გაიტანა.

ბ. ა.

მშენებლობა



1

ყდა ირაკლი გამრეკელის.
ფოტო — თოხაძის.

სარედაქციო კოლეგია:
ბესარიო ჟღენტი
დემნა შენგელაია
ნიკოლოზ ჩაჩავა

მემარცხენეობა, 1927, №1

მემარცხენეობა

ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო

აპრილი, 1927 წ.

პოეზიასა და ხელოვნების სხვა დარგებში სამი წლის მუშაობამ მოგვცა ჩვენ დღევანდელ შემოქმედების გაგება ჟურნალ „მემარცხენეობა"-ს თეორიითა და მხატვრული პროდუქციით. ჩვენი მოღვაწეობის ეს გზა აღნიშნულია ნისლიან ტვინის მქონე კრიტიკოსების მიერ, როგორც გზა გადახრებისა და შემოქმედებითი მერყეობის. ასეთი წარმოდგენა ჩვენი ფრონტის შესახებ მხოლოდ გაუგებრობისა და კერძო გაწყობილების შედეგია. **ხაზი, რომელიც ჩვენი ბეჭდვითი გამოსვლების პირველ დეკლარაციებში იყო აღნიშნული, ჯგუფის ცენტრში არასოდეს არ გახრილა და უკან დახევის ნიშნები ჩვენ პოზიციას არ ჰქონია.**

ჩვენ განვიცადეთ მხატვრული პროდუქციის ხარისხობრივი ზრდა და განვითარება. ამასთანავე ყოფის დახვეწამ იქონია გავლენა ჩვენი შემოქმედების თემატიურ ცვალებადობაზე. ამის საწყისები ჩვენი გამოსვლების პირველ ხანებშიც სჩანდა: როგორც თეორეტიულ მტკიცებებში, ისე მხატვრულ პრაქტიკაში.

ერთხელ აღებულ ხაზს ჩვენ ორგანიულად და პირდაპირ მოვყევართ განვითარების იმ სიმაღლემდე, რომელსაც „მემარცხენეობა"-ს შემოქმედებითი გეზი ეწოდება.

ამ ხნის განმავლობაში ქართულ ხელოვნებასა და პოეზიაში ბევრი რამ გამოიცვალა. თუ ჩვენმა პირველმა გამოსვლებმა მოახდინეს მეშჩანურ გემოვნებისა და სიმბოლისტურ აზროვნების ტერორი (გამოაჩინეს უდღეურობა მოჩვენებათა უგემურ პოეზიისა), ახალმა ლიტერატურულმა თარიღმა ყველაფერი ეს დააბრუნა და დაარქვა მას ყოვლად შემცდარი წოდება: „სპეცების ლიტერატურა". ამ სპეცობამ წარმოშვა სევდიანობის სახარინიანი ლიტერატურა. ისევ მობრუნდა სიმბოლისტურ ლექსების სტრუქტურა და საერთოდ თავის თავთან უნიჭოდ დაბრუნებულმა ლიტერატურამ კიდევ ერთხელ ამოისუნთქა. ეს ამოსუნთქვა ისე ძლიერი აღმოჩნდა რომ მან თავისი უნიჭო ლექსალობის სენი პროლეტარულ პოეტებსაც გადასდო. ლექსების ამ ყოვლად გაუმართლებელმა ტეხნიკამ პროლეტარული პოეტები საგნებისადმი სიმბოლისტურ ხედვამდე მიიყვანა. აქედან: **პროლეტარულ პოეტებში საგნები არსად არ არის ნაგრძნობი, როგორც მასალა. სიმბოლისტების ფორმალურმა რეაქციამ ისინი თემატიურ და მსოფლხედვით რეაქციამდე მიიყვანა.** ასეთი ნიმუშებით არის სავსე უკანასკნელი ქართული გამოცემები და სიმბოლიზმის სუნი ისევ დგას ქართულ პოეზიაში.

ასე მიუახლოვდით ჩვენ ისევ პოეზიის კრიზისსა და გაბანალებას, რომელიც გარდასულ ფორმებისა და სახარინიანი სევდების პოეზიამ გამოიწვია. პროლეტარული პოეტები მალე შეეგუენ ამ მეშჩანურ ნისლს პოეზიაში და დაიძრა ყინული მობრუნებული მოვალეობის.

ასე შერჩა პოეზია დეკადენტების ნისლს, ასე გამოცოცხლდა ტაბიძეების დეგენერატული ისტერიკა და იაშვილის ბოშური სიმღერები. აქვე ჩამოყალიბდა ჩვენი ინდუსტრიალიზმის გაბანალება და რელიგიურ ფატალიზმამდე დაყვანა. ამგვარად, აბაშელები „სპეცების" სახელით შემოესივნენ ლიტერატურას და ჟურნალები დასქელდნენ მიხეილ ჯავახიშვილის საჰონორარო მასალებით. ყველა ამას, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოეხმაურა

თითქოს იდეოლოგიურათ მოწინამღდეგე, მაგრამ ხშირად მათი გზის გამაგრძელებელი პროლეტარული მწერლობა. ასე მოხდა მემარჯვენეთა თავდასხმა ქართულ ლიტერატურაზე, **და მხოლოდ დღეს გაისმის ორგანიზაციული ხმა გაერთიანებული მემარცხენე პოზიციის. ქართულ ხელოვნებაში ის გამოდის ლიტერატურულ ატმოსფერის განმტკიცების მიზნით და, საერთოდ, ახალი პოზიციების ასაშენებლად.**

როგორ მოველით ჩვენ ამ პოზიციამდე, ამის ისტორია მარტივია და გასაგები ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებათა შემდეგ.

გასულ წლების ფორმალურ რეაქციისა და თემატიურ კრიზისების დროს, ჩვენი ფრონტი, თითქოს გაბნეული, მაინც ეწეოდა განუწყვეტელ მუშაობას მემარცხენე იდეების გავრცელებისათვის. ეს ხდებოდა ხელოვნების ყველა დარგში: პოეზიაში, მხატვრულ პროზაში, კინოში, დეკორატიულ მხატვრობაში, მუშათა კლუბებში და სხვა... ჩვენი ამხანაგები განმტკიცდენ როგორც საუკეთესო მუშაკები ხელოვნების ყველა დარგში. მემარცხენეობის პრინციპები შეიჭრა, როგორც თეატრში და კინოში, ისე მთელ ჩვენ ახალგაზრდობის თეორეტიულ აზროვნებაში. ჩვენი ლექსალობის სტრუქტურას „სპეც“ სიმბოლისტებიც დაესესხენ. ამ ხნის განმავლობაში კონსტრუქტივიზმი გადაიქცა ქართულ ხელოვნების მსჯელობის საგნად, რომელიც **პირველად ჩვენ მიერ იყო წამოყენებული და განმტკიცებული.** მაგრამ ქართულმა მეშჩანურმა გემოვნებამ კონსტრუქტივიზმსაც დაასვა თავისი გაცვეთილი ესტეტიზმის დაღი.

ამგვარად, არაორგანიზაციულად გამოტანილმა მხატვრულმა პროდუქციამ ვერ გამოიწვია ის მთლიანი აღმშენებლობითი პროცესი, რომელიც უნდა ეწარმოებინა მას თანამედროობის დაკვეთით. **აღმშენებლობითი ყოფა დღეს თავის ნაწილად აცხადებს ხელოვნებას და მას ორგანიზატორის მოვალეობას აკისრებს.** აქედან დაიბადა სიტყვის, საგნის და მოვლენის მასალებრივი გაგება ხელოვნებაში, რომელიც მშენებლობის პროცესისათვის მთავარ საჭიროებას წარმოადგენს. ასე ყალიბდება კონსტრუქტიული მსოფლხედვა ხელოვნებაში, რომელიც სპობს განყენებულ წარმოდგენებს და ხელოვნებას აყენებს როგორც მშენებლობის შეგნებულ პროცესს.

აქედან გამომდინარეობს ყოფის მასალებრივობისა და ცხოვრების შენების პრინციპი.

ხელოვნების ამ პრინციპებით გაერთიანებული მუშაკები, რომელთაც საკმაო რევოლიუციონური ისტორია აქვთ ქართულ ხელოვნებაში, გამოდიან ახალი ბეჭვდითი ორგანოთი, რომელსაც **„მემარცხენეობა“** ეწოდება.

„მემარცხენეობა“-ს მიზანს შეადგენს ჩამოყალიბდეს ნამდვილი მემარცხენე ხელოვნება, გააერთიანოს ამ პრინციპებით მომუშავე ქართველი ხელოვანნი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს მემარჯვენე ხელოვნებას.

მეორე მხრივ გაუწიოს კონტროლი ყველა მემარცხენეობის სახელით შემოსულ კონტრაბანდას და გააერთიანოს მხოლოდ ის მუშაკები, რომელნიც ნამდვილ მემარცხენე პრინციპებით ასრულებენ სოციალურ დაკვეთას, რასაც მათ საბჭოთა საქართველო უყენებს.

ეხლა მთლიან მემარცხენე ფრონტში შედიან:

ფუტურისტები,
კონსტრუქტივისტები,
მემარცხენე პოეტები,
ბელეტრისტები,
მხატვრები,
კინო-რეჟისორები,
კლუბის მუშაკები და ახალგაზრდა თეორეტიკოსები.

ეს კადრი იბრძოლებს **ხელოვნების ახალი გზების გაწმენდისათვის,** ფსევდო მემარცხენეობის მოსპობისათვის, ცხოვრების აღმშენებლობითი პრინციპების განმტკიცებისა და თანამედროვე ადამიანის გაგების ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენ ვიბრძოლებთ ლიტერატურის მეშჩანურ მიმღეობის წინააღმდეგ, კონსტრუქტივიზმისა და სიმბოლიზმის შედეგების სურვილების მოსასპობათ ყოფის სტატიკისა და მისი გადაღების წყურვილების ჩასაკლავად.

ჩვენი მიზანია თანამედროვე ყოფის დგამის გრძნობა და აქედან მშენებლობითი წარმოება მომავალი ცხოვრებისა.

ჩვენ მომხრე ვართ მხოლოდ თანამედროვე აღნაგობით ასრულებულ და თემების სიუჟეტურად გაშლილ ახალი ეპოსის, სადაც, როგორც მემარცხენეობის ხერხებრივი პრინციპები იქნება გამოყენებული, ისე მსოფლხედვითი თანამედროობას ექნება ადგილი.

ჩვენ გვინდა ვიგრძნოთ ახალი საზოგადოებრივი დგამი და საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკა.

ჩვენ ვიბრძვით გემოვნების დიქტატურისათვის, რადგან ჩვენ ვართ დასრულებული და უკანასკნელი მიღწევა ქართული ხელოვნების.

ბანზაი შანხაი

21 მარტს კანტონის ჯარებმა აიღეს შანხაი.

გაზეთებიდან

მძიმედ გადმოეფარა შუადღე ქალაქს.
შესწყდა ხმაურობა. „ალლო! სეტლმენტ!“
გაწყდა არტერია მსოფლიო ქუჩის.
ქარხანა-ფაბრიკის საყვირი სდუმს.
ბანზაი შანხაი! ყვირიან მასსები.
გვახსოვს ვან-სიანი: დახვრეტა. ცემა.
კანტონით მოზღვავდა რევოლუცია.
დაინგრა კედელი ათასწლოვანი.
ყოველ ჩინელის გულში მარხია
სახე ლენინის.
პენჯაბის ინდოელს პატარა რიკშა
მტვერში გახვეული ესაუბრება:
დღეს ყველა ერთია,
აღმოსავლეთის ყველა ერებო,
შეერთდით!
ჩინელებს გვახსოვს სუნის აღთქმა:
მილიტარისტებო, აიღეთ ნავაჭრი და ნაქურდალი.
გადაიბარგეთ დრედნოუტებზე.
შანხაის ზეცა გალურჯისფერდა.
მრუდე თვალებით. ყვითელ სახეებით
იძვრის აზია მილიონებით.

„არცერთი იმპერიალისტი ჩინეთის მიწაზე!“
ჯერ კიდევ ბრწყინავენ სეტლმენტის ფანრები.
ყველა სახლებში: „მილედი, ჩარლსტონ!“
გავარდა თოფი. შანდუნის ჯარები
რუს გვარდიელებით გარბიან ჩრდილოეთს.
წითელ-ცისფერი ასწიეს დროშები:

ბანზაი შანხაი! ბანზაი შანხაი!
ლენინის საყვირი ჩინეთის მინდვრებზე
აღვიძებს ბუდდას. მთვლემარე კონფუცის.
მძიმე აკლდამებს. ბრინჯაოს ღმერთებს.
დღეიდან გასწორდა ჩინელის ზურგი.
ვეღარ იტყვიან ვოიაჟორები:

„განა ჩინელი ადამიანია!
ჩინელი მურდალი შავი ცხოველია!“

ზანტი ნირვანა — ოპიოფაგები.
მომაკვდინებელი ჰაშიშით თრობა.
იბრძვის ჩინელის მშრომელი მკლავი.
ჩაქუჩი. ნამგალი. მაგარი მუშტი.
გასწორდი წელში. ასწიე ხელი.
ათასწლოვანი თვლემა მოიხსენ.
დაიღრიალე: თავისუფლება!
შანხაი აიღეს! ბანზაი შანხაი!

შალვა ალხაზიშვილი

მემარცხენეობის საზღვრები

ლიტერატურის შინაგანი კოლლიზიები შენელდა. თითქოს ქართული მწერლობის ორგანიზაციული მთლიანობა გულისხმობდეს იმ ბრძოლების დასასრულს, რომელიც მხატვრული იდეოლოგიის სფეროში სწარმოებდა ახალი ესთეტიური კულტურის დამკვიდრებისა, ნოვატორობისა და მემარცხენეობისათვის.

ქართული მწერლობის კონსერვატიული თაობა ამოძრავდა. თანამედროვეობის სოციალურ კარნახთან შეგუების ცდებით ის იბრძვის შერყეული ავტორიტეტის აღდგენისა და ახლად მოყალიბე აუდიტორიის დაპყრობის ხაზით.

პასსეიზმი, უკან დაბრუნება, რესტავრაცია, — აი, ტენდენცია, რომლითაც მემარჯვენე ლიტერატურა უპირისპირდება ამომავალი მხატვრული კულტურის პირველსავე საფეხურებს.

მეორეს მხრივ პროლეტარულ მწერლობად წოდებულმა დაჯგუფებამ მონოპოლიურ პრეტენზიის ტონი აიღო. აქ საფრთხე მარტო „ლიტერატურულ ბიუროკრატიზმში“ გადაჩეხვის მოსალოდნელობით არ განისაზღვრება. „პროლეტარული მწერლობა“ ლიტერატურულ ჰეგემონიისაკენ მიიწევს მთლიანი მხატვრული ორიენტაციის გარეშე. ამი-

ტომ იგი ადვილად ემწყვდევა მემარჯვენე ლიტერატურის დამპყრობ გავლენაში. ტრაფარეტისა და რუტინის აგრესიული მნიშვნელობა კი გაცილებით მძლავრია, როდესაც იგი პროლეტარული მწერლობის ეპიტეტით შედის მკითხველი მასსების ფენებში.

ამიტომ იქმნება პრაქტიკული აუცილებლობა მემარცხენე ლიტერატურის განსაკუთრებული ინტენსივობით ამოძრავებისა. არა „ჯგუფური კაპრიზი“, არამედ შემოქმედებითი კულტურის ახალი გზებით წარმართვის ინტერესი გვავალებს კიდევ ერთხელ გადისინჯოს მომქმედი ლიტერატურის პოზიციები, კიდევ ერთხელ, ღრმა დემარკაციით გადაიმიჯნოს მოპირდაპირე კულტურული ტენდენციები და ახალი მხატვრული მდინარეების ფერვატერი საბოლოოდ გაიწმინდოს პასსეისტური ნარჩენისაგან.

პრინციპიალურად ეს დაწყებითი მომენტია მემარცხენეობის ორიენტაციისათვის. კონსერვატიული ტრადიციების დაშლა აუცილებელი პოსტულატია ახალი მხატვრული ფორმაციისათვის. მაგრამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, როგორც თავისი შენებითი მეთოდიკის, აგრეთვე მსოფლხედვისა და სოციალური დანიშნულების სფეროში, განსხვავებულ პრინციპებზე უნდა აეგოს. და აი, ამ პრინციპების სისტემა შეადგენს მემარცხენეობის პოლიტიურ credo-ს.

„საზოგადოებრივი აზრი“ შეეცადა ლიტერატურული მემარცხენეობის რეზონანსი უფრო მარტივ და უმნიშვნელო ფუნქციაში წარმოედგინა. ეხლაც არსებობს ტრადიცია მემარცხენეობის მხოლოდ მეამბოხე განწყობილებით ახსნისა და მისი ყოფითი სენსაციის კატეგორიად გამოცხადებისა. ეს ან შეგნებული პროვოკაციაა მემარცხენეობის წინააღმდეგ, ან დეკადენტურ ბოგემის ტრადიციებზე აღზრდილი თვალსაზრისი.

მემარცხენეობის პოზიტიური კონცეპცია ჩვენი ფრონტისათვის ახალი არ არის. ასეთი იყო ჩვენი თვალსაზრისი მაშინაც, როდესაც საჭირო შეიქმნა მართლაც ქედაფის სიმძაფრე იმ შმორისა და ჩამორჩენილობის ამოსაწვავად, რომელშიაც იძირებოდა ქართული შემოქმედება ჩვენი ფრონტის ლიტერატურული ამოძრავების პერიოდში.

უცხოეთისა და რუსეთის ხელოვნების პროგრესიული მდგომარეობა, ახალი სოციალური ქარტეხილები და ეროვნული შემოქმედების ახალ სასიცოცხლო გზებზე შემობრუნების ინტერესი გვაძლევდა ჩვენ იმპულსს ლიტერატურულ ტერორის უმწვავეს ფორმებში წარმოებისათვის.

ეხლა, ალბათ, აღარავინ შეგვედავება, თუ გავიხსენებთ, რომ მაშინ მომქმედი თაობა პროლეტარული მწერლობისა, მიუხედავად თავისი ღრმად რევოლიუციონური პოლიტიკური დამსახურებისა, ოდნავათაც ვერ სწყვეტდა კულტურულ რევოლიუციის საკითხს. კერძოდ, ხელოვნების არეზე იგი აბსოლუტურად მოექცა ძველ ლიტერატურულ შკოლების („ყანწების“ ჩათვლით) რკალში და მათი მხატვრული ტრადიციებით წარიმართა. ამიტომ იგი, კულტურული პროგრესის თვალსაზრისით, არა ნაკლებ კონსერვატიულ ძალად იქცა და ამ პროგრესის ტემპის შენელება იყო მისი, — შეიძლება მათთვის გაუთვალისწინებელი — რეზონანსი. ეს თავის დროზე აღვნიშნეთ ჩვენ და ინტენსიური ბრძოლებით გვიხდებოდა იმის მტკიცება, რომ **პოლიტიკური ფიზიონომია არ არის გარანტია კულტურული მემარცხენეობისა და ხელოვნების ტრანსფორმაციისათვის.** უკანასკნელი აუცილებლად გულისხმობს ახალი ფორმულის გამომუშავებას მხატვრული შემოქმედების პროცესისათვის, **ახალ ორიენტაციას მხატვრული მშენებლობის სპეციფიურ საკითხებში.** ამის არ გაგება და მარტო ზოგადი სოციალურ იდეოლოგიით დაკმაყოფილება არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ პროლეტარული მწერლობა დღესაც ვერ ჰქმნის საკუთარ ლიტერატურულ პოზიციას და იგი მომაკვდავ ლიტერატურულ შკოლების თავისუფალ გავლენების ასპარეზს წარმოადგენს.

რევოლუციონურ თანამედროვეობის ხელოვნება ვერ შეითავსებს წარსულის ესთეტიურ ტრადიციებს. აქ სდგება ლიტერატურული მემკვიდრეობის პრობლემა, რომე-

ლიც ასე რადიკალურათ დავაყენეთ ჩვენ თავიდანვე, რის გამოც გვიხდებოდა მძლავრი შემოტევების გადატანა, არა მარტო მარჯვენა ლიტერატურულ პოზიციებისა და აუდიტორიის ობივატელური ნაწილის მხრივ. ხშირად ლიტერატურულ მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაციის აპოლოგიაში გამოდიან პოლიტიკურად უაღრესად მემარცხენე და პროგრესიული ტრადიციების მატარებელი ხალხი და ამით კიდევ ერთხელ იძლევიან არგუმენტს იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე პიროვნებაში შეთავსდეს რევოლიუციონერი პოლიტიკაში და კონსერვატორი ხელოვნების საკითხების სფეროში.

აქ კიდევ ერთხელ გაგვიხსენებენ „მემარცხენეობის ბავშური სენი“-ს ფორმულას. მიგვითითებენ იმ ფაქტზე, რომ ჩვენი თანამედროვეობა მთლიანად სარგებლობს წარსულის ტეხნიკური მიღწევებით და სხ. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ შემთხვევაში მატერიალური კულტურის ანალოგია არ გამოდგება სულიერი კულტურის, იდეოლოგიისა და კერძოდ ხელოვნების მიმართ. წარსულის ხელოვნების მიღწევები, უკიდურესად მაღალი და ბრწყინვალე მიღწევებიც კი — უშუალოდ უკავშირდებოდენ მათი აღმოცენების ეპოქებს. ამ ეპოქების ბუნება განსაზღვრავდა მათი მშენებლობის სპეციფიურ კანონებს და ამიტომ ამ კანონების აღდგენა არც საჭიროა და არც შესაძლებელი ახალ ყოფისა და კულტურის ფორმაციის პირობებში. ეს არ ნიშნავს წარსულის ხელოვნების ღირებულებისა და მნიშვნელობის უარყოფას. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ **ხელოვნებაში არ არსებობს მხატვრული მშენებლობის მარადიული კანონები.** ამიტომ შეუძლებელია ახალი ხელოვნება ძველ ტრადიციებზე აშენდეს.

მიმდინარე რევოლიუცია აყენებს კულტურული ტრანსფორმაციის აუცილებლობას და ეს ხელოვნებაში შესაძლებელია მხოლოდ წარსულის ტრადიციებისაგან თავდაღწევისა და ახალი მხატვრული ფორმების ყალიბობის გზით. **არავითარი რესტავრაცია, არავითარი დაბრუნება.** „უკან პრიმიტივისაკენ“, „უკან კლასსიციზმისაკენ“ და სხვა ანალოგიური ტენდენციები თანამედროვე ევროპის ხელოვნებაში აბსოლიუტურად მიუღებელია ჩვენთვის. ახალი საზოგადოებრივობის ყალიბების პროცესი ვერ შეითავსებს ასეთ პასსეისტურ ტენდენციებს. ამიტომ დავუპირისპირეთ ჩვენ მემარცხენე პოზიცია ყველა იმ ლიტერატურულ შკოლებს, რომლებიც მე-19 საუკუნის ესთეტიურ ტრადიციებზე სცოცხლობენ. ამიტომ გადავიტანეთ ჩვენ მოქმედების მთელი სიმძიმე ახალი მხატვრული ფორმების შენებაზე.

აქ გასარკვევია ლიტერატურულ მემარცხენეობის მორიგი პრობლემა: რატომ გადაგვაქვს ჩვენ ლიტერატურული რევოლიუციის ცენტრი მხატვრული ფორმის საკითხებზე, რატომ ვიბრძვით ჩვენ **ფორმალური და არა თემატიური რევოლიუციისათვის.**

ჩვეულებრივ ამას ხსნიან, როგორც უშინაარსობის აპოლოგიას, თითქოს მემარცხენე პოლიტიკა მიდიოდეს შინაარსის უარყოფამდე მხატვრულ ფაქტში. ეს უბრალო გაუგებრობაა. ჩვენ უარვყოფთ ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებას, მათი ურთიერთისაგან განცალკავების ტრადიციულ თეორიებს. იდეალისტურ ესთეტიკაზე აღმოცენებული დუალისტური თვალსაზრისი ამ საკითხში უცხოა მემარცხენე პოეტიკისათვის. ჩვენ ვამბობთ, რომ მხატვრული ფაქტი შენდება მასალისა და ხერხების კომბინაციის გზით. გარკვეული თემატიური და სიტყვიერი მასალა, განსაზღვრული ხერხების საშუალებით ყალიბდება კონკრეტულ მხატვრულ ფორმად და ეს არის მხატვრული ნივთი განზომილი რაიმე სოციალური დანიშნულებისათვის. მხატვრული მშენებლობის პროცესში თემატიკა იჭერს მასალობრივ ფუნქციას, ხშირად იგი იმპულსია, ან საწყისი შემოქმედებითი პროცესისათვის. ყოველ ეპოქას, ყოველ ლიტერატურულ თაობას, თუ შკოლას უეჭველად აქვს თავისი სპეციფიური თემატიკა. მაგრამ ეს თემათა ცვალებადობის პროცესი სწარმოებს სოციალურ გარემოში ხელოვნების იმანენტური ბუნებისაგან დამოუკიდებლად. იცვლე-

ბა სამყაროს ნივთობრივი ბუნება და ხელოვნებაშიაც შედის ახალი თემა. ხელოვნების ფუნქცია ამ შემთხვევაში მდგომარეობს ახალი თემატიკისათვის შესაფარდი მხატვრული ხერხების მომარჯვებასა და მისი ახალ ფორმებში მოქცევაში.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ჩვენი დროის ხელოვნებაში ფორმალური რევოლიუციის პრიორიტეტს აყენებს. ჩვენი აზრია, რომ ახლა დაპირისპირებული ორი კულტურა (სოციოლოგიურ ენაზე: კაპიტალისტური) ერთსა და იმავე ნივთობრივ ბაზისზე შენდება. ეს ორი კულტურა ურბანული, ინდუსტრიალური ხასიათისაა, ამიტომ მათი მასალობრივი ინვენტარიც პრინციპიალურად ერთგვარია. ახალი კულტურა გულისხმობს მხოლოდ გადალაგებას, რეკონსტრუქციას, სამყაროს ახალ წყობაში მოყვანას. ამიტომ ხელოვნებაშიაც თემატიური საწყისი შეიძლება იგივე დარჩეს. ახალი ხელოვნება ამ თემატიკის ახალ მხატვრულ ფორმებში ყალიბობის ნიადაგზე გაემიჯნება ძველ ხელოვნებას. ლიტერატურის ისტორიამ იცის თემატიური რესტავრაციის არა ერთი შემთხვევა, მაგრამ ერთი და იგივე თემის სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში შესვლა სრულიადაც არ აჩერებდა ხელოვნების განვითარებას და პროგრესს.

ამ მოსაზრებიდან ვასკვნით ჩვენ, რომ ხელოვნების იმანენტური ტრანსფორმაცია ფორმალური რევოლიუციით იწყება და ამიტომაც მემარცხენე ხელოვნების აქტიურ ამოცანას წარმოადგენს.

გასაგებია მთელი უაზრობა იმ თვალსაზრისისა, რომელიც ახალ ხელოვნებით ფორმალურ მიღწევებთან ერთათ იდეოლოგიურ რეაქციის აღმოჩენას სცდილობს. ფორმისა და იდეოლოგიის ასეთი დაპირისპირების შესაძლებლობა მოკლებულია ელემენტარულ ლოღიკურ აზრს, რადგან ხელოვნება ნაწილია იდეოლოგიისა, ხელოვნება კი თავის დანიშნულებას ფორმის გზით უპასუხებს. აქედან პროგრესიული ფორმა ჰქმნის ხელოვნების პროგრესს და, მაშასადამე, იდეოლოგიის სფეროში ეს რეაქციათ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ასეთია ჩვენი არგუმენტაცია ფორმალურ რევოლიუციისა. აქედან ვასკვნით ჩვენ, რომ ლიტერატურის რევოლიუცია არ იქმნება რევოლიუციაზე ლექსების წერით. „საჭიროა მოვახდინოთ რევოლიუცია და არა ვსწეროთ რევოლიუციის შესახებ“ და ის ლიტერატურული პოზიცია, რომელიც ვერ მოგვცემს ამ ახალ მხატვრულ ორიენტაციას, რომელმაც უნდა დაშალოს წარსულის ტრადიციები და მხატვრულ პრაქტიკას ახალი მიმართულება მისცეს, ვერ გახდება ლიტერატურულ მიმდინარეობათ, ვერაფერს შესცვლის ხელოვნების ისტორიაში და ლიტერატურულ რევოლიუციისათვის უმნიშვნელო მოვლენად დარჩება, რაგინდ დიდი არ უნდა იყოს მისი რევოლიუციონური ენტუზია, რაგინდ პროგრესიული არ უნდა იყოს მისი სოციალ-პოლიტიკური მრწამსი. ეს სრულიად არ ნიშნავს ხელოვნების იზოლიაციას სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისაგან. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ პროგრესიულ სოციალურ იდეათა საწყისი პოეტ ჰეზიოდეს სიმღერებიდან მოდის და შეიძლება ეს ერთადერთი ტრადიცია იყოს, რომელსაც იღებს მემარცხენე ფრონტი წარსული ხელოვნებიდან, რადგან ეს მემკვიდრეობა ლოგიურია თავისი ბუნებით. ჩვენ კატეგორიულად ვებრძვით ინდიფერენტიზმს სოციალ-პოლიტიკური განვითარების მიმართ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოეტების მემარცხენე თაობა ახალი სოციალური ყოფის ფორმაციაში პირველ ყოვლისა ახალი ხელოვნების დამკვიდრებით უნდა მონაწილეობდეს. ჩვენთვის აღარ არსებობს ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის პრობლემა. ჩვენთვის გაუგებარია ხელოვნებისა და ცხოვრების კავშირზე მსჯელობაც კი, რადგან, ჩვენის თვალსაზრისით, **ხელოვნება ცხოვრების ორგანიული ელემენტია.** აქ იხსნება მორიგი სადავო მომენტი ჩვენსა და დანარჩენ ლიტერატურულ პოზიციებს შორის.

აქ სდგება ხელოვნების სოციალური ფუნქციის პრობლემა, რაშიაც ჩვენი თვალსაზრისი უპირისპირდება ლიტერატურული რეალიზმის ყველა ვარიანტულ თეორიებს, რომელთაც ხელოვნების გაგება ცხოვრების ამსახველობით ფუნქციაში გადააქვთ და ხე-

ლოვნება ფოტოგრაფიისა და სარკის კატეგორიამდე დაჰყავთ. ასეთი გაგება ხელოვნებას ყოველგვარ სოციალურ უტილიტარულ ღირებულებას უკარგავს ჩვენს პირობებში. „ამსახველობითი ხელოვნების“ პრინციპის საფუძველი მეტაფიზიკურ ესთეტიკაში მდგომარეობს. იგი ხელოვნებას ცხოვრებიდან გაქცევის საშუალებათ აცხადებს, ლიტერატურული რეალიზმი — ცხოვრებაში არსებულ ნივთების ილლიუზიას, მათ სურროგატებს იძლევა. მემარცხენე პოეტიკა არსებითად უპირისპიდება ამ გაგებას. ჩვენი თვალსაზრისით ხელოვნება არ შეიძლება ასახავდეს ცხოვრებას, რადგან იგი თვით არის ცხოვრების შინაგანი, ორგანიული ელემენტი. **არა არსებულ ნივთების ილლიუზია, არამედ რეალური მხატვრული ნივთები** — აი, მოთხოვნილება, რომელსაც უყენებთ ჩვენ ხელოვნებას. ამ თვითმყოფადი მხატვრული ფაქტების პროდუქციით ხელოვნება ავსებს ცხოვრებას და ამით უშუალოდ მონაწილეობს მისი მშენებლობის პროცესში. ამიტომ ვაყენებთ ჩვენ ხელოვნების ამსახველობითი პრინციპის წინააღმდეგ ხელოვნების ფუნქციად — **ცხოვრების მშენებლობას და ორგანიზაციას.** ამ თვალსაზრისით, მხატვრული ფაქტი დამოუკიდებელ, იმანენტურ ღირებულებას ატარებს, რაც სრულიად არ განისაზღვრება იმით, თუ რას გამოხატავს ან ასახავს იგი. მემარცხენე ფრონტი ხელოვნებას აცხადებს სავსებით უტილიტარულ, პრაქტიკული მნიშვნელობის კატეგორიათ. იგი ახალი ფსიხიკის ორგანიზაციის ერთ-ერთი უმძლავრესი ფაქტორია და მაშასადამე, ახალი სოციალური ყოფის ფორმაციის უშუალო მონაწილე.

ახალი პოეზია თანამედროვე ნივთობრივ სამყაროში შედის სრულიად განსხვავებული ხედვით და პერცეპციით. იგი ახალი ხერხების აღმოჩენის გზით აშენებს რეალურ მხატვრულ ნივთებს, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე სოციალურ დანიშნულების მატარებელი მოვლენაა.

ამ ძირითად პრინციპებზე შენდება ახალი ხელოვნების ორგანიზმი. თვალსაჩინოა, რომ მემარცხენე ხელოვნების თეორია ძირეულად ეწინააღმდეგება ყველა იმ გაგებებსა და თვალსაზრისებს, რომლებზედაც ემყარებოდა ლიტერატურული აზროვნება დღემდე. ჩვენ არ გვერიდება აღვნიშნოთ, რომ მემარცხენეობის თეორეტიული სისტემა არ არის ქართული წარმოშობის. ეს არ არის ჩვეულებრივი შკოლური კატეგორია. მისი მნიშვნელობა — პრინციპიალურად — ეპოქალურია და უნივერსალური. ეს იმიტომ რომ, როგორც სოციალური, ისე კულტურული კოლლიზიები ჩვენს დროში უნივერსალური მასშტაბით იშლება. მემარცხენე პოზიცია ქართულ ხელოვნებაში, თავისი თეორეტიული ბუნებით, მსოფლიო ახალი ხელოვნების რეზონანსია. მაგრამ ეს, რასაკვირველია, ოდნავათაც არ უდრის ეპიგონობას და მით უფრო შემოქმედებით მიმდევრობას ან პლაგიატს. ხელოვნების გამართლება შემოქმედებით პრაქტიკაში მდგომარეობს. და ახლა უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომ ქართული მემარცხენე პოეზიის პრაქტიკა, ახალი ლექსისა და პროზის კულტურა, სავსებით თავისებური, სპეციფიური, ქართული ბუნებისაა. ჩვენ შევებრძოლეთ დეკადენტური შკოლების მიერ ქართული სიტყვისა და ლექსის გადაშენების ტრადიციას. შეიძლება, ამით აიხსნებოდეს მემარცხენე ლექსის ხალხურ შემოქმედებასთან დაახლოვების ტენდენციებიც.

მემარცხენე ფრონტი აყენებს არა შკოლის ვიწრო პრობლემას, არამედ მთელი თაობის, მთელი კულტურის საკითხს. ლიტერატურის ევოლიუციაში მემარცხენე პოზიციის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ახალი, ამომავალი კულტურის პირველ საფეხურზე სდგას და ამიტომ მისი დაპირისპირება ძველ ლიტერატურულ ტრადიციებთან სრულიადაც არ უდრის ჩვეულებრივ „საშკოლათაშორისო“ კოლიზიის რეზონანსს.

მემარცხენეობის პრინციპები აერთებენ ახალი ხელოვნების ყველა სახეობას მსოფლიოში და ქართულ სინამდვილეშიაც იგი არ შეიძლება ლიტერატურის საკუთრებად დარჩეს. ქართული თანამედროვე მხატვრობა იძლევა ამის დაჯერებას და ასეთი ტენდენციების შეჭრა ჩვენს თეატრალურ და კინო-ხელოვნებაშიც უახლოესი მომავლის აუცილებლობაა.

ჩვენ გვაქვს ერთგვარი სიძნელე აუდიტორიის პრობლემაში. ძველ მხატვრულ ტრადიციებზე აღზრდილი აუდიტორია, მისი კულტურისა და გემოვნების, შედარებით, დაბალი დონე ერთგვარ კონფლიქტშია ახალი ხელოვნების მიღწევებთან. აქედან არის ის უდიდესი ბრალდება მემარცხენეობის მიმართ, რომელიც „გაგების“ საკითხში მდგომარეობს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კულტურული პროგრესი აუდიტორიის გემოვნებისა და ტრადიციების გადალახვით იწყება. ამიტომ ჩვენ ოდნავათაც არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნოვატორული, პროგრესიული თვალსაზრისი შეუფარდოთ აუდიტორიის კონსერვატიულ ტრადიციებს და უკულტურობამდე დავიყვანოთ იგი. პირიქით, ჩვენ ვიბრძოლებთ ინტენსიურად და უკანდაუხევლად მასსების შემეცნებაში დამკვიდრებულ კონსერვატიულ ტრადიციების აღმოსაფხვრელად. ჩვენ ვიბრძოლებთ მასსების კულტურული დონისა და გემოვნების დაწინაურებისათვის. ახალი ხელოვნების აუდიტორია იზრდება ყოველდღიურად. მასსიური კულტურის შემდეგი განვითარება გარანტიაა მემარცხენე ხელოვნების მასსიურ მოხმარების ობიექტად ქცევისა. ეს უახლოესი მომავლის აუცილებლობაა და უმთავრესი პირობა — ახალი იდეოლოგიის, ახალი ფსიხიკის, ახალი საზოგადოებრივობის ფორმაციისა და დამკვიდრებისათვის.

ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ მემარცხენეობა ახალი კულტურის ფუძეთ. ამიტომ ვიცავთ ჩვენ შემოქმედებითი პრინციპების ამ ახალ სისტემას, როგორც ყოველგვარი მემარჯვენე თავდასხმისაგან, აგრეთვე მისი გაბანალებისა და ვულგარიზაციის ცდებისაგან.

ბესარიონ ჟღენტი

ტფილისის მზეზე

(პოემა)

შესავალი

შემოვიარეთ ჩვენ ქვეყნები
            გზა ურიცხვები.
მრავალი მთები გადმობრუნდენ
            ჩვენი შეხებით.
შორს ზაფხულია —
            ჩვენ ტფილისის მზეს ვეფიცებით
            და მტკვრის ტალღებზე გაგვიწყვია
            ცხელი ფეხები.
თორმეტმა გულმა გადიარა ცაზე ცეცხლივით,
თორმეტჯერ მტკვარი ახმაურდა ახალ ლანდებით.
ჩვენ ვართ მტრედები —
            ვერიდებით მარტო ხეტიალს,
კენტივით ვდგევართ ქვეყანაზე და
ვიფერფლებით.
სევდა გვაყრია ნაბადივით ყოველის მხრიდან,
შორს მთაწმინდაზე
დაკაწრულებს დავაწყობთ ფიქრებს.

ვამბობთ: — ჰქრის ქარი და გვიხარია,
საპნის ბუშტებათ თუ ჰაერში გავიფანტებით.
მაგრამ გუშინდელ ნაგავებში დღეს სულს
ვინ მარხავს,
ბოლით შერუჯულ ფიქრებისკენ ვის უჭირავს
თვალთა ბაია?
სადაც მტკვრის ძირში სიმღერები
დააღრჩობს არღანს,
იქ აგრძელებენ ისტორიის მლაშე ბაიათს.
სადაც სისხლი და სიმხურვალე
სხეულებს დაგავს
და ჭაპან-ნაწყვეტ პოეტების ოფლი იღვრება,
ყველა პოეტი ისტორიზმის დარჩენილ ნაგავს
მოათრევს მუზის ჯაგლაგ ცხენით და სახედრებით.
ჰოი, ტფილისო!
შეგებრალება კიბოს ზურგი ამომავალი,
რომ მოაქვს მიწა კოჯრის და
ლუში შირაქის,
საკუთარ მხრებში მირჩევნია თავის დამალვა,
რომ არ ვუმზერდე საზიზღრობას
ვით სირაქლემა.
ისევ და ისევ მზის ისარი შუბლზე გვესობა,
ორმოცდაათჯერ ავსწევთ ტონს,
რომ უმღეროთ რკინის მავთულებს.
ჩვენს ტანში დარბის ახლობელი უმიზეზობა
და ვისვრით ლექსებს სეტყვასავით
გამოკვართულებს.
ვშორდებით წარსულს მშრალს და ჭუჭყიანს,
ბესიკის ლექსებს
მამა-პაპას გულზე ვაფარებთ,
როგორც მხეცები
დაუნდობლად ვებრძვით ერთმანეთს —
მე ამ ბრძოლაში სამჯერ გული გამიჭეჭყია.
და როცა ფანჯრებს მოადგება მთვარე
აბეზარი,
ვაფურთხებ ტფილისს
ასე ვერაგს და ვიგინდარას.
თითქოს მაბრაზებს ბარათაშვილი
და უზრდელობით გულმოსული მე ვიგინები.
გადიარს სიცხე, გამოჩნდება სუნთქვა ჰერეთის,
ვაფურთხებ ტფილისს, რად არ ძალუძს იგი
შებოლოს.
ფრენენ ჩემს თავზე ჯოხებივით
ჭავჭავაძე და წერეთელი
და ცილინდრებით აორთქლებულ ფიქრებს ისვრიან.

ბოლოს და ბოლოს
მიათრევს კუზს ეს ზღაპარი ძველი და დუნე,
კუპრივით სივრცეს მნათობები თავზე ეცემა.
— ზურგი ვაქციოთ ისტორიის მაბეზარ დუდუნს! —
ჰკივის მხეცივით
ავჭალიდან მუგუზლის ზეცა.
ჰოი, ტფილისო, მოვალ შენთან შენი ბახალა
და მოწიწებით ჩამოგართმევ კოჟრიან
ხელებს.
არ გვინდა ლექსი, რადგან ლექსმა გული
დაღალა,
ავსწიოთ ხმა და ვუმღეროთ ზეცას შერუჯულს.
ორმოცდაერთხელ გული აღარ შემიბრუნდება,
რომ მოვიაროთ ჩვენ ქვეყნები,
გზა ურიცხვები.
ვფრინავთ ჰაერში, მეგობრებო, როგორც
ბურუსი
და ქვეყნის ზურგზე ჩვენ ტფილისის მზეს ვეფიცებით.

ბიძინა აბულაძე

ბუტაფორა

დიდხანს მიყურებს ცა დაგლეჯილი და სიბრაზით შელურჯებული
საკუთარ კბილით კისერ დაკბენილს და შეფორაჯულს.
მე ოთახში ვარ. თითქო კოლოფში ვეგდო ცხედარი
და საფრთხობელად მატარებდეს ბავშთა კრებული.
გადმოდის ციდან კლასიკური პოზა ღრუბლების,
შეარხევს ფრთებს, რომ ჩამომხსნას გულზე საკინძი.
დავიწყებ ბრძოლას.
თუ გავიმარჯვე, ვაკოცებ მარჯვენს,
ან და ბავშივით ყელს გადვიკაწრავ.
არაფერს არ ვგრძნობ,
ყველაფერი ფეხებზე მკიდია,
ჩემს წინ ამართულს საქართველოს მორცხვი სხეული.
ოხ, როგორ მინდა, სიბრაზისგან გამოვღადრო მისი მუცელი,
რომ მე დამბადა უტიფარი და საძაგელი,
— ვემსხვრევი კედლებს — მე ტირილიც აღარ მენდობა,
მოვკალი დედა და ლირიკა გავცვალე სხვაზე,
და თუ მათხოვარს სადმე დაჰკლავს უიმედება,
მაშინ მიპოვნით მგზავრს დაკარგულს შორეულ გზაზე.
— ვემსხვრევი ფანჯრებს...

მოაჯირებზე ვხედავ სხეულებს მკლავზე გამოკრულს,
შევყვირებ ქუჩებს: — ხელი გამიშვით,
მე მინდა ვიყო უდარდელი და გულშიშველი,
მაგრამ თითები ფრთების, ბუმბულის
ეძებენ ცაში ფიქრებს დამსხვრეულს და შეფორაჯულს.
აფრინდი, სულო აწეწილო, ნიავს გაჰყევი,
ქარის ზუილი სადაც აფრთხობს ჭალებში ჭოტებს,
სადაც მთებიდან გადმოგიდგამთ გული, ფშაველნო,
სადაც ტირიფის წმინდა ასულებს
ჩემი სხეული მიენდობა თმებით დასვრილით,
სადაც მთის თხემსა და ნაპრალებში
ვაჟას მოღლილი გული მარხია...
დავიგლეჯ ყელს, რომ დავიყვირო: — მე ვარ მართალი,
შენ სტყუი, ზეცავ, რომ დამბადე მე უტიფარი და საძაგელი,
ვემსხვრევი კედლებს, დავემხობი სივრცეს თვალუწვდენს
— გაგიშლი გულს — გადარბენა ეკლებზე სინჯე.
მომიკვდეს დედა, თუ არ მიყვარდე, მიწავ მშობელო,
მომიკვდეს მამა, თუ ყოველდღე შენთვის არ ვკვნესდე,
მაგრამ გული მაქვს გაფატრული, სისხლით დაცლილი,
ჩემი სხეული ამართულა, როგორც შანდალი,
დავეძებ ცაში ფიქრებს გაბნეულს, მთებში გაფანტულს,
თითქოს ოთახში ვარ ჩამწყვდეული, როგორც კოლოფში შავი ცხედარი
და საფრთხობელად მატარებდეს ბავშთა კრებული.

ბიძინა აბულაძე

რომანიდან: ავადმყოფი რასსა

მთები დაყუდებულან ფაშებივით და ვუცქერი მათ თავებს. ჩემი განწყობილება იმართება ხრიალა გრამაფონივით და ხრინწიანი ფიქრით ვესაუბრები მათ. რამდენი მოგმართავდათ თქვენ: ჰოი, მთებო, თქვენ დიდნი ხართ, გრანდიოზულნი. მე კი შემიძლია თქვენ მწვერვალზე ასვლა და იქიდან გადავაფურთხო მყინვარებზე. მერე თქვენ ხომ ინგრევით და იშლებით! წვიმა და ქარი ნელ-ნელა განადგურებთ, რეცხს თქვენ კალთებს და შლის თქვენს მუხლებს. თქვენ აღარ შეგიძლიათ უფრო მაღლა აწევა, რომ უფრო გამაგრდეს თქვენი გვირგვინები — ყინულის ქუდები. მერე რა, რომ ხანდახან გაბრაზებით მოიწყვეტთ გულიდან დიდ კლდესა და გრიალით და ზათქით გადაუშვებთ ხევებში! ის არავის არ აშინებს, ის არავის არ ხვდება, მხოლოდ თქვენ მუხლებს და კალთებს, რომელნიც თახთახებენ ისინი ნაწილ-ნაწილად გცილდებიან. მალე მთა და ბარი გასწორდება. აღარ იქნება ხევები, ღრანტეები, თქვენი ვერცხლის გვირგვინებიც დადნებიან. აბა, თუ შეგიძლიათ ამოაფრქვიეთ ცეცხლი და ალი. დაიგუგუნეთ მძლავრად და დაანახვეთ ხალხს, ქვეყანას, ვარსკვლავებს, რომ თქვენ ძველი რაინდები ხართ. მე ვიცი რომ თქვენ ამისი ძალა არ შეგწევთ. თქვენ არ შეგიძლიათ დაემგვანოთ ბუხრებსაც, რომელნიც აფრქვევენ უვნე-

ბელ ბოლს სახურავის თავებზე. როგორაა დახრული თქვენი გულები. რას სჩადის წელში მოხრილი წყეული ხალხი. წალკატით ხელში მიმდგარან თქვენ ბჯენებს, თხრიან გვირაბებს, გაცლიან ხორცს, სისხლს. მერე თქვენ ბრაზდებით, გამხეცებული აწვებით სოროებში დადგმულ ბიგებს, იქნებ დაიმტვრენ ბიგები, იქნებ დაისრისოს ის ხალხი, რომელიც გითხრის თქვენ ბურჯს, გაცლის ხორცს, სისხლს. რამდენჯერ დაგილეწია ბიგები, რამდენჯერ დაგიხვავებია ხალხთა გულზე შენი ხროვა ლოდების და შენ სხეულს უწოვია სისხლი იმ წყეულ ხალხის. მაგრამ შენც ინგრეოდი. ამ მსხვერპლით შენ გინდოდა შური გეძია, მაგრამ შენი დანგრევა იყო საბოლოო. შენ ველარ აღსდგებოდი. ხალხი კი მოდიოდა და თხრიდა. ხალხი მოდის და გებრძვის. მთებო, თქვენ დაინგრევით!

თავი I

ძველი ფეოდალის უკანასკნელი მოდგმა

ა.

გაიოზი ბარბაცებდა.

მას, ალბათ, გონება დაუსუსტდა ამ ერთი წლის წინათ მომხდარ ამბის შემდეგ. მაშინ ის აგარაკზე იყო. ფრონტიდან დაბრუნებულს, მთელ სხეულში დაშლილს, ამღვრეული გონება ნელა დაუმშვიდდა. ყოველდღიურ ზარბაზნების გრიალის შემდეგ საოცრად ჩუმათ ეჩვენებოდა ეს ბუნება. ხეები წყნარად არხევდენ ფოთლებს, ღრუბლები დამდგარიყვენ ცაზე და ხანდახან გაისმოდა ჩიტების ჟივილი. მოაგარაკენი ზოგი ჯანსაღნი, ზოგი ცხოვრებისაგან დარღვეულ სხეულით, დასეირნობდენ გორაკებზე, სხდებოდენ გზის პირად დადგმულ ჩამოსასხდომ სკამებზე. საუბრობდენ წყნარათ. იცინოდენ. ყველაფერი უვნებლათ იყო. იქ კი ტყვიისმფრქვეველების რახრახისაგან, ხალხის ჟლეტისაგან, ცეცხლისაგან გონება აემღვრა. ველარაფერს ვერა ხედავდა, მიდიოდენ წინ, თუ გამორბოდენ უკან, ისინი სტოვებდენ რიგებს ხის ჯვრებისას. როგორ იბრძოდა ის ხალხი, რომელთა გულებზე ეხლა გადაფენილიყვნენ ეს ჯვრები. მირბოდენ და ახევდენ თავიანთ სხეულს რკინის შუბებს, ჰაერში მოშრიალე ტყვიებს, მავთულხლართებს. გარბოდა ჯარისკაცი და ჰარაქათ გამოლეული გაუწვებოდა ტანკას. ის კი ხროტინით და რახრახით გადაუვლიდა მას და ჭყლეტდა როგორც ყურძენს, რომელსაც უხვათ გამოდის წვენი. მერე ამ წვენს იშრობდა მიწა და იმ ალაგას ასობდენ ხის ჯვარს. ვინმე ნაცნობი ჯარისკაცი მიუახლოვდებოდა თავის მეგობრის ჯვარს დააფურთხებდა და შემდეგ ქიმიური ფანქარით დააწერდა დაღუპულის სახელსა და გვარს. რისთვის? განა იცოდა მან რისთვის!

აქ კი როგორი სიწყნარეა. კლდეები ჩუმათ არიან და რომ დაიძახებ, ისინიც იძახიან. მთელი დღეები ის დახეტიალობდა ბილიკებზე. ესროდა მდინარეს პატარა კენჭებს და ითვლიდა თუ რამდენჯერ აასხლტებოდა კენჭი წყალს. საღამოობით კრუალებდენ ბაყაყები და ბინდში იღვრებოდა აგარაკის ოდნავ გასაგონი ყრუ ხმაური. როდესაც ამოვიდოდა მთვარე, მოაგარაკენი მოიფანტებოდენ გორაკებზე. მოლზე წამოწოლილიყვენ ქალვაჟნი. ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა ყოველთვის მღეროდა მრავალ-ჟამიერს. ვიღაც ბოხი ხმიანი ძლიერ ცდილობდა და გულმოდგინეთ ყროყინებდა. ამგვარათ მიდიოდა ღამეები — ჩვეულებრივათ. ხშირათ ის რამოდენიმე საათი იწვა გულაღმა და შესცქეროდა ვარსკვლავებს. მან იცოდა, რომ ვარსკვლავები ძლიერ დიდი იყვნენ და პატარა სჩანდენ. ის სცდილობდა სრულიად მარტო ყოფილიყო, რადგან ომმა ძლიერ დაღალა. მართლაც, მძიმე ყოფილა. რევოლიუციამდე ის მეფის გვარდიის ოფიცერი იყო და არ ჰქონდა მიღე-

ბული ბრძოლის ნათლობა. მხოლოდ, როდესაც აღარ იყო არავითარი ხსნა, მან არჩია ომში წასვლა. შემდეგ, როდესაც ფრონტი დაიშალა მან პირველმა არჩია შინ დაბრუნება, რადგან უცბათ მოსხლტა. და აი, მთელი დღეები ის იწვა მოლზე, ხავსზე. დასცქეროდა ბალახს, ყვავილებს. რამდენი ხანია მას არ უხილავს ასე ახლო ეს პატარა მცენარეები, ეს ნედლი ბალახი, რომელსაც ალბათ ისე უხარია ზრდა და ცხოვრება, როგორც ადამიანს. საოცარია ცხოვრება, — ფიქრობდა გაიოზი, — მიმდინარეობს ერთგვარად. ადამიანი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ხალხი იბრძვის, შრომობს, აშენებს. ყველაფერი მიმდინარეობს ერთი მიმართულებით და გუშინდელი ხვალ აღარ იქნება. რატომ არ შეიძლება რომ ეს ცხოვრება დატრიალდეს უკუღმა. მაგალითად, ბებრებმა დაიწყონ გაახალგაზრდავება, შემდეგ გადაიქცენ ბავშებად. აი, კიდევ: კაცი მოკვდა, დამარხეს. ეხლა კი უკუღმა. ხალხი მივა საფლავზე, მიწა თავის თავათ დაიყრება ნიჩაბზე და დაიდება უკან. მკვდარს ამოიღებენ, უკუღმა ნაბიჯით წამოიღებენ სახლში. დაასვენებენ. შებრუნებულად გაივლის ელდის და გლოვის მომენტი და შემდეგ მკვდარი ადგება. კუბოს წაიღებენ უკან მეკუბოვესთან, ის დაშლის მას. ფიცრებს მოცილდება საღებავი შეღებვის მაგვარ უკუღმა მოქმედებით და დაუბრუნდება სახერხ ქარხანას. იქ მანქანები ისევ შეაერთებენ წინანდულათ დახერხვის მაგივრათ. რასაკვირველია, ის ნახერხი, რომელიც დაიბნა ხერხვის დროს, უკან დაბრუნდება, რადგან ხომ ყველაფერი უნდა განმეორდეს. შემდეგ ისინი გადაიქცევიან მორებად, მეტივეები ისევ შეკრავენ, როგორც დაარღვიეს და, ვინაიდან მდინარეები მაშინ აღმა დაიწყებენ სვლას, ტივებიც აუყვებიან ზევით. მორს მიიტანენ იმ ალაგას, სადაც ის მოჭრეს და თავის ადგილს დადგამენ. მორი გაცოცხლდება. მას დაუბრუნდება იმავე გზით წასული თავისი ტოტები, რომელიც ალბათ სოფლის დედაკაცებმა ბუხარში დაწვეს. საოცარი იქნება ცეცხლიც. აინთება, მერე ბოლვას დაიწყებს, მერე კი ნახშირის მაგივრათ შეშა დარჩება. ხე ამგვარათ დაიწყებს დაპატარავებას და ბოლოს გადიქცევა იმ მარცვლად, საიდანაც ის აღმოცენდა. რა სასაცილო იქნება ცხოვრება. განმეორდება ისტორია: ბაბილონი, ქრისტე და ყველაფერი.

უცქეროდა მთებს და ხევს, სადაც ჩანდა მდინარე და ლიანდაგი. ხანდახან სტვენით და ქშენით მოჩახჩახებდა მატარებელი და მგზავრები. მოაგარაკენი რონოდებიდან აფრიალებდენ ცხვირსახოცებს ყოველი კაცის დანახვაზე.

შაბათობით მოდიოდა „რქოსანთა“ მატარებელი და სადგური სავსე იყო თეთრათ მორთული ქალებით. მან ის ქალი ნახა ერთ შაბათს, სადგურზე. გაიოზმა შეამჩნია, რომ ის იყო ყველა ქალებზე კარგი, რომელნიც აგარაკზე იყვნენ.

მეორეთ ნახა მდინარის პირად. გაიოზი გზაზე იდგა და დანით ჯოხს სთლიდა. გაღმა პატარა ბავშები წყალში ჭყუმპალაობდენ და მოლზე ჭიდაობდენ. მოსახვევიდან გამოჩნდა უცნობი ქალი. გაიოზი არ ეცადა გაეგო მისი ვინაობა, ან გაეცნო. მას მობეზრდა ყველაფერი. დასვენება უნდა. ძლიერ ჩქარა გაფანტა მან ახალგაზრდული ენერგია. ქალს უბრალო ფეხსაცმელები ეცვა და ხელში წიგნი ეჭირა. გაიოზი დარწმუნდა რომ ეს ქალი ძლიერ ლამაზი იყო და განაგრძო ჯოხის თლა. ის კი, როდესაც გაუსწორდა გაიოზს, დაჟინებით დააცქერდა მას. გაიოზს უცბათ მოაგონდა, როგორ წაიყვანა ის ბიძამისმა პეტერბურგს. რა ახალგაზრდა და ბავში იყო მაშინ. მერე როგორ აირივნენ მის გარშემო ქალები. როგორ უნიშნავდენ პაემანს ხნიერი ბარონესსები და შემდეგ გაშმაგებით კოცნიდენ და იკრავდენ გულში. რამდენიმე თავადის ქალმა ისარგებლა მისით. მოაგონდა როგორ ხვიხვინებდა ბიძამისი და გაიძახოდა:

— მამა ნუ წამიწყდება, მომიკლეს ეს ბიჭი და... შენ ცოტა თავს მოუარე, თორემ ეგ დიდხანს არ გაგყვება, ბიჭო, და!..

ქალმა გაიარა და შემდეგ რამდენჯერმე მოიხედა.

გაიოზმა შეამჩნია და თავის ღირსების მიხედვით გაიღიმა.

გუშინ ის სოფლის დღეობაზე იყო. გლეხები მღეროდენ ცეკვავდენ. იწვევდენ ქალებს სათამაშოდ. მოლზე გაეფინათ უხვი სანოვაგე. ვიღაც ქალაქელი არამზადა ჰყიდდა ჭიაფერით შეღებილ სახარინიან წყალს. სოფლის ბიჭები სვამდენ ხარბად. მერე რა სასაცილოდ ჰქონდა მოწყობილი გადმოსასხმელი. უბრალო მილი თავში და ბოლოში უფრო ვიწრო, ისე რომ შეიძლებოდეს თითის დაცმა. ჩაყოფ ჭურჭელში, დაუცობ თითს და ამოიღებ.

საფლავის ქვაზე ჩამომჯდარიყო ბრმა მეთარე და მღეროდა არსენას ლექსს. გარშემო შემოსეოდენ გლეხები, ოხრავდენ ყოველ სტრიქონზე და ერთმანეთს მიმართავდენ — „უყურე იმ ღმერთძაღლსა, იმას“, „აი, იმისი დედის ძუძუს ჭირიმე“. მეთარე კი მღეროდა:

— გამოვიდა აბანოდან, დაუძახა მედროშკეს,
რომელიც რომ კარგი იყო, ის არსენას მიართვეს.

ის ქალიც აქ იყო დღეობაზე. ვიღაც უცნობი ხალხი ახლდა. რა ესაქმება გაიოზს. აი იქით მხარეს კლდეში ძველი გამოქვაბული ჩანს, სადაც უწინ დაყუდნებული ბერები ცხოვრობდენ. საინტერესოა იქ ასვლა. გაიხედო იქიდან. იგრძნო: თუ როგორ შეიძლება შენი ცხოვრების დღენი დალიო იმ კლდეში მარტო.

ამგვარად მიდიოდა დღეები. ერთხელ გაიოზი ავიდა ძლიერ მაღლა ტყეში. წამოწვა ჩრდილში და გაუყვა ოცნებას. მას უნდოდა სულ მარტო ყოფნა. ეხლა უკვე საკმაოთ გაიარა ნერვიულმა ავადმყოფობამ და მარცხენა ხელის კონტუზიამ. ხეზე ორი ბეღურა რაღაცას ჭირვეულობდა და გაიოზი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. უეცრათ შემოესმა ქალის უცნობი ხმა და კაცის სიცილი. ნელა წამოიწია და გადიხედა. ქვევით ხავსზე ჩამომსხდარიყვნენ ის უცნობი ქალი და ვიღაც ახალგაზრდა ძველი სტუდენტის ფორმით.

გაიოზი ისევ გადაწვა უკან და გაერთო ფიქრებში. ბეღურები ისევ ჭირვეულობდენ. ცა ლურჯი იყო და უზარმაზარი. მან აიღო კენჭი და ესროლა ბეღურას. ბეღურა არ აფრინდა. გაიოზს დაეზარა მეორეთ ესროლა და ახლა დაუწყო ცქერა ჭიანჭველებს. რამოდენიმე ერთად მოათრევდენ რაღაც ნაყოფს. ტვირთი ედებოდა ბალახებს, მქისე მიწას, მაგრამ ისინი მაინც არ იშლიდენ და თავგამეტებით ექაჩებოდენ.

გაიოზი უცებ გამოაფხიზლა ქალის დაძახებამ:

— არაფრის გულისთვის!..

შემდეგ გაისმა მამაკაცის შიშინი და ქალმა ისევ იყვირა:

— ეხლავე ვიყვირებ და...

— მერე ვინ გაიგებს?

— არამზადა!

— ხა... ხა... ხااا!..

კიდევ გაისმა რაღაც გაურკვეველი ხმები. გაიოზი მოიმართა და გადაიხედა. დაინახა, თუ როგორ წაავლო კაცმა ხელი ქალს და დაუპირა დაწვენა. ქალმა გაიბრძოლა და სილა გააწნა. ის კი მძიმე სუნთქვით ისევ მივარდა ქალს და ორივენი ძირს გაგორდენ. ქალმა მაგრად გადარაზა ფეხები და თავგამეტებით დაიწყო ბრძოლა. დაუწყო კბენა ხელებზე, ჰკაწრავდა სახეს, მაგრამ ბოლოს ხვადმა დასძლია და ქალს უკვე აღარ შეეძლო ბრძოლა. ჰარაქათ გამოლეული საბრალოდ ცდილობდა წინააღმდეგობას და ბოლოს ჩახლეჩილი ხმით გულშემზარავად იყვირა:

— მიშველე...ეე...თ!..

და გაიოზი გადახტა.

უცნობი მხოლოდ მაშინ შეკრთა, როდესაც გაიოზმა მაგრათ დაუყვირა და რევოლვერი გაუმართა. სისხლიანი თვალები შეანათა გაიოზს, ხოლო ქალი კი დამნაშავესავით აეკრა ხეს.

როგორი მადლობით უცქეროდა ის გაიოზს. როგორ არ დაიჯეროს მან განგება.

გაიოზს მოაგონდა ღვთიშობელი, რომელიც ნახა დახატული ძველ საყდრის კედელზე.

— აი, ეხლა მე შენ ძაღლივით მოგკლავ...

მან ისევ შეხედა ქალს: კარგად დაუხატავს ღვთიშობელი ძველ მხატვარს ეკლესიის კედელზე.

უცნობი ქშინავდა და ხმას ვერ იღებდა. გაიოზი წარბშეუხრელად უცქეროდა მას. რათ უნდოდა მასთან რევოლვერი. ის ერთი ხელის მოქნევით ჩაკეცავდა ამ ატეხილ ხვადს.

მაგრამ რისთვის.

განა მას ქონდა ამის უფლება. ან რისთვის ეწინააღმდეგება ეს ქალი. რათ უნდა მას უმანკოება. განა შესძლებს მის შენახვას. დღეს თუ ამან ვერ დაიმორჩილა, ხვალ სხვა მოვა, სულ სხვა. მაინც ვერ დარჩება უმანკოდ. მას ისე ახდიან ნამუსს, როგორც ახალგაზრდა ვარიას. მერე ისწავლის ცბიერებას და ყველას დაუწყებს მტკიცებას, რომ მას თითითაც არ შეხებიან. რამდენი ქალი უნახავს მას ამგვარი, მერე ალბათ, რაიმე ხერხს გამოიგონებს, რომ ქორწინების პირველ ღამეს ზეწარი უმანკოების ატრიბუტით შეღებოს. იქნებ მას ეხლაც აქვს მირთმეული ლეგენდარული ხილი, რომელიც დიეტის მიხედვით არ უნდა ეჭამათ ადამს და ევას.

ცის თაღი გადაიწია იქით და მთებიც დაყირავდენ. შემდეგ ისევ გადმოიწია უკან და მთები ეხლა მაღლა ავარდენ. ხეებმაც დაიწყეს წრიული ნელი ბრუნვა.

გაიოზმა ჩამოიღო გამართული ხელი და მიმართა უცნობს:

— მე...

ცოტა ხანს შედგა. ცა ეხლა წისქვილის ქვასავით ბრუნავდა.

— მე უფლებას გაძლევთ, რომ ამ ქალზე ძალა იხმაროთ.

შემდეგ სწრაფად ჩაიდო რევოლვერი ჯიბეში და თავგამეტებით დაეშვა დაღმართზე. უაზროდ ეხეთქებოდა ხეებს. გზა ტალღებივით ადიოდა და ჩადიოდა. მირბოდა აქლოშინებული. ეშინოდა, არ გამოეჩინა ხასიათის სისუსტე და არ დაბრუნებულიყო უკან. როდესაც ბინაზე მოვიდა, ძლივს სუნთქავდა. სასწრაფოდ შეჰკრა ბარგი და გამოვიდა სადგურზე. მატარებელი იგვიანებდა ერთ საათს. ერთი საათი ცდა. არ იცოდა, რა ექნა. ზედიზედ ეწეოდა თუთუნს და უაზროდ იმეორებდა ორ სიტყვას: „ცა და კენჭი“. „მე ხომ არ მიყვარდა ის ქალი, როგორ ბავშვივით ვღელავ“... „ცა და კენჭი, ცა და კენჭი“... „არასოდეს არ შევხვდები იმ ქალს“. თვალებში ცურავდა სადგურის კედელზე დარჩენილი ძველი პლაკატი, რუსი ჯარისკაცის წარწერით „ომი ბოლომდე“. ბეჭთან რაღაც ტკივილი იგრძნო და მან ცოტა ხნით გაართო. ბოლოს მატარებელიც მოვიდა. თავაუღებლივ გაიარა ბაქანი, ჩაჯდა რონოდის ბნელ კუთხეში და დასტოვა აგარაკი. მირბოდენ ხეები. მირბოდენ გორაკები.

ბ.

და აი, გავიდა ერთი წელიწადი. გაიოზი არსად შეხვედრია იმ ქალს. პირველად ცდილობდა დაევიწყებია მომხდარი შემთხვევა. დაივიწყა კიდეც. დილაობით ხანდახან ის ყიდულობდა გაზეთს და კითხულობდა მშვიდათ. ჩრდილოეთიდან მოდიოდა ყრუ ქუხილივით ხმები რევოლიუციის და სამოქალაქო ომის. ის კითხულობდა სხვადასხვა წიგნებს: ილიოდორეს მოგონებებს გრიშკა რასპუტინზე, წიგნს სათაურით: „ოხუნჯობის და კამათის თეორია და პრაქტიკა“, „ჯენტელმენი“ და სხვა.

ქალაქში დადიოდენ უცხოელთა ჯარისკაცები. ღამღამობით ქალაქში ისმოდა სროლის ხმა. ისროდა ყველა, ვისაც თოფი ქონდა.

ხანდახან ის იდგა ფანჯარასთან და უცქეროდა ქუჩას და განუწყვეტლივ იმეორებდა:

— ცა და კენჭი.

რას აეკვიატა ეს სულელური ორი სიტყვა. სრულიად უაზრო. ან რატომ უნდა იმეოროს მუდამ. ის ცდილობდა მოეცილებია თავიდან ეს სიტყვები. „რა სისულელეა, — ფიქრობდა ის, — ალბათ, ავადა ვარ და ვერ ვამჩნევ“. აიღებდა წიგნს, გაზეთს, დაიწყებდა კითხვას და ისევ ეს ორი სიტყვა:

— ცა და კენჭი.

მიდიოდა უაზროთ ქუჩაში, ხანდახან შეხედავდა ავტოს — „ცა“ — გაუელვებდა თავში, გაივლიდა შემდეგ ტრამვაი — „კენჭი“ გაუელვებდა ისევ. ნახულობდა მეგობრებს. საუბრობდენ დღეინდელ ამბებზე, ბოლშევიკებზე, მამულიშვილებზე, კამათობდენ, ვისაც ეხერხებოდა ეს ოსტატობა. ის ჩაეწერა პატრიოტთა კავშირში. დადიოდა კლუბში, სადაც სტუდენტები და გიმნაზიის მოსწავლეები ლაპარაკობდენ პოლიტიკაზე, მატერიალიზმზე, იდეალიზმზე. დადიოდა რესტორანებში ახალგაზრდა მოაზროვნეებთან, პოეტებთან, რომელნიც მას უწოდებდენ კაიუსს, ეს იმიტომ, რომ, ალბათ, რადგან ლათინურად იყო, აუცილებლად ლამაზი იქნებოდა. გაიოზი უყვებოდა მეგობრებს პეტერბურგის სენსაციურ ამბებს, თუ როგორ დანაძლევდენ ისა და გრაფი ბეკენდორფი იმის შესახებ, რომ გაზაფხულზე თავადის ქალები ატარებდენ თუ არა ქვედა თეთრეულს. გაიოზი ამტკიცებდა რომ ატარებდენ. გრაფმა აანგრია თავის საცეკვაო დარბაზის იატაკი, დააგო რკინის ჩარჩო, რომელშიც ჩასვა ბროლის შუშები. ქვედა სართულის ოთახი დაფარა შავი შპალიერით და მთლად დააბნელა, დააწყო შიგ შავი ავეჯი და გამართა სუფრა. შემდეგ გამართა საცეკვაო საღამო და მოიწვია ყველა წარჩინებულთა ცოლები და ქალიშვილები. როდესაც ქეიფი გახურდა, გრაფმა აღტაცებით მიმართა სტუმრებს, გაიწვია საცეკვაო დარბაზში და აჩვენა ბროლის იატაკი, რომელზედაც მათ უნდა ეცეკვათ. ეს ყველამ დიდ პატივისცემად მიიღო. შემდეგ გრაფი და გაიოზი ჩაიპარენ ქვემო სართულში და ჩუმად შეძვრენ იმ ოთახში. აავსეს ჭიქები შამპანიურით და აიხედეს მაღლა. პირველი ის, ვინც დაინახეს მათ, რომელსაც თეთრეული არ ეცვა, ეს თვით გრაფის ცოლი იყო. „დასწყევლოს ღმერთმა“... — მე სულ არ გამახსენდა, რომ ჩემი ცოლი არ ატარებდა ქვედა თეთრეულს!..“ — სთქვა გრაფმა. ის ამით სრულიადაც არ შეწუხებულა. ის აღტაცებით შესცქეროდა ქვევიდან ქალებს და ითვლიდა თითებზე: „აა, გრაფინია შუვალოვა, შეხედე თეთრეული არ აცვია და რას... შეხედე შუმიაცკის ქალიშვილი როგორი“... — სვამდენ შამპანიურს და გრაფი მსუნაგი მელასავით ქსიტინებდა.

გაიოზი ყვებოდა, თუ როგორ აშიშვლებდენ ისინი ქალებს, ასხამდენ მკერდზე ღვინოს და შემდეგ მუცელზე დაწაფებული სვამდენ მკერდიდან ჩამოდენილ სასმელს. როგორ ათენებდენ ღამეებს, როგორ ბრუნდებოდენ სახლში მაშინ, როდესაც შავი ხალხი მიდიოდა ქარხნებში, პორტში, კვამლში და ცეცხლში სამუშაოდ. კვირაობით ისინი დადიოდენ ეკლესიაში, სადაც იყო მეფეც და მიტროპოლიტები ევედრებოდენ ღმერთს ომში გამარჯვებას.

ამგვარად, მიდიოდა ეს წელიწადი. გაიოზი დადიოდა ქუჩაში და უცქეროდა სახეშეშლილ ხალხს. ისევ აწუხებდა ეს აკვიატებული სიტყვები „ცა და კენჭი“. დასწყევლოს ღმერთმა, მას, ალბათ, ნერვების ავადმყოფობა უნდა ჰქონდეს! ის წვებოდა დასაძინებლად ასწორებდა ბალიშს, ფიქრობდა თავის მამულზე, თუ სხვა რამეზე, მაინც ეს ორი სულელური სიტყვა ურბენდა თავში. ბოლოს მან გადასწყვიტა მიემართნა ექიმისათვის. ეხვეწებოდა, რომ მისთვის გაეკეთებინათ ტვინის ოპერაცია და ამოეჭრათ ეს ორი სულელური სიტყ-

ვა, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა. ექიმმა ის ელექტრო მანქანის ქვეშ დააყენა და ვანნები მიაღებინა. შემდეგ კარგი დარიგება მისცა, დაარწმუნა, რომ ის სრულიად განკურნებული იყო და გაიოზი დამშვიდებული დაბრუნდა. შემდეგ კი ყველაფერი მიდიოდა რიგზე. ამგვარად გავიდა წელი. გაზეთები ყოველდღე სწერდენ ახალ სენსაციურ ამბებს და უკვე აქაც გაჩნდენ მინისტრები.

ზაფხული იყო. ერთ დღეს ის მიპატიჟებულ იქმნა ერთ მეგობრის მიერ სოფელში „დროს გასატარებლად“. გაიოზი სიხარულით დათანხმდა. კარგია გასეირნება, როდესაც ზაფხულია, თბილია მაშინ პროვინციის დღე და ჯანსაღდები სულით.

კარგი იყო ის პროვინციის სადგურიც, სადაც აუარება ქალ-ვაჟნი სეირნობდენ, მსჯელობდენ პოეზიაზე, მეცნიერებაზე, იცინოდენ, არშიყობდენ. გაიოზს ანგელოზებად მოეჩვენა ეს ცოცხალი გოგონები, რომელთაც არ უხილავთ თავის ქვეყნის ჰორიზონტს გარდა სხვა რამ ქვეყანა.

იქით გაწოლილიყო შარა-გზა. მზე იწურებოდა. გორაკებზე მოფანტული იყო სახლები.

მგზავრები შესხდენ ცხენებზე და ფეხებ ქვეშ დაიწყო რბენა შარა-გზამ იქით ორღობე, კამეჩები, მამა-პაპური ურემი. ჰქროდა ტკბილი სიო, რაც მეტად დამამშვიდებლად მოქმედებდა გაიოზზე.

ღამდებოდა. მგზავრები აჯირითებდენ ცხენებს და მღეროდენ. ნახირი ბრუნდებოდა უკან. ისმოდა ძაღლების ყეფა, სოფლის საღამოს ხმაური.

როდესაც ამოვიდა მთვარე და შეჩერდა სერზე, ორი ხის შუა მგზავრებმა შეამჩნიეს ჰამაკი.

— შეხედე მთვარე ჰამაკში! — სთქვა ერთმა.

მთვარის დისკო ჰამაკს ამოჰფარებოდა. ჰამაკში ვიღაც იწვა.

— ის, ალბათ, ჩემი და არის, ჰამაკში. — სთქვა მასპინძელმა, — შეხედე, როგორი მოხდენილი ადგილი აურჩევია!

მგზავრებმა ჰკრეს ქუსლი ცხენებს და თქარა-თქურით გაქუსლეს.

უკვე ბნელოდა, როდესაც მივიდენ. ეზოში რამდენიმე ლანდი დარბოდა. გამოვიდა მასპინძლის დედ-მამა. მიესალმენ სტუმრებს.

— ეს ჩემი დედა გახლავთ, ეს ჩემი მამა. — ამბობდა გივი.

მიესალმენ. სახლში მიიწვიეს.

— მარი სადღაა? — იკითხა გივიმ, — არ მოსულა? ალბათ, ჰამაკში წევს.

— დიახ, აი, იქ გააბა ჰამაკი! — იყო პასუხი.

— წავიდეთ, ერთი თავს დავესხათ მოულოდნელად! — დაიძახა გივიმ და სტუმრები გაემართენ მეორე მხარეს, სადაც ასწლოვანი მუხები ამართულიყვნენ.

— მარი! მარი! — დაიძახა გივიმ.

ჰამაკი შეირხა და იქიდან გადმოიხედა მარიმ.

— გივი! როდის მოსულხარ?

— ადექი, სტუმრები გვეწვიენ! მერე, რომ იცოდე, რა ბიჭები არიან. ბრწყინვალე ახალგაზრდობა. ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობა და სხვადასხვა.

მარი წამოდგა, დაიწყო ჩაცმულობის სისწორეში მოყვანა. სტუმრები მიუახლოვდენ.

— აი, გაიცანით მთვარე, რომელიც იხილეთ ჰამაკში. — სიცილით სთქვა გივიმ.

მიესალმენ. ზოგმა ჩაახველა, ზოგი უხერხულად გვერდზე გადგა.

მხოლოდ, როდესაც სახლში დაბრუნდენ და გაიოზმა კარგათ გაარჩია ქალის სახე, იგრძნო, რომ მუხლები ეკვეთებოდა. მაგრად ჩაავლო ხელი სკამის ზურგს, რომ არ წაქცეულიყო.

ისევ აეკვიატა ორი უაზრო სიტყვა „ცა და კენჭი“.

გაიოზი უკვე ბარბაცებდა.

აკაკი ბელიაშვილი

ზელიმხანი

როცა მყინვარებზე ღრუბელი კრიახებს,
როცა ვარსკვლავები ყურავენ ცაშივე,
სივრციდან ამოქრის ორბი გამჭრიახი
და ცაზე ფართხალით მიცურავს გაშლილი.
მიცურავს მარდული მთებზე და ბარდაბარ,
ფრთებზე ეხვევიან ელვები გარდაგარ,
ლაჟვარდი გატყდება მოლურჯო წყალივით
და ციდან მოისმის ვარსკვლავთა წკარუნი.
ქოხებს და ჩარდახებს გვერდულებ ჩაუქრის,
ფართხალით მოღლილი ბრუნდება მთაშივე.
ციხის სარკმლებიდან გადმოდგა ჩაუქი,
კედლებს გადმოჰკიდა გრძელი ულვაშები.

მირბის ზელიმხანი მარდული ბარდაბარ,
ტანზე უბზინავენ ვაზნები გარდაგარ.

გზა მობინდულია, ცა მოკაშკაშეა,
ხენი ირხევიან ყორანთა ჩხავილით,
და ორბი გულიდან ამოყრილ ხვაშიადს,
მთვარეზე ჩამოსწერს სისხლიან ბრჭყალებით.

ესმის ზელიმხანს ქოხებიდან ხმები ნასროლი
და თვალებიდან გადმოჰყვირის ელვის ნაკადი:
როდის დადგება აკივლებულ დღეთ აღსასრული,
ბრძოლის გეგმები ცის სარკეზე ათოხარიკდენ.
იჭერს ზელიმხან სალამურით ამონაკვნესებს,
უცქერს ზელიმხან კავკასიონს მაღალ მთებიანს,
და გამხდარ დედებს, დაბჯენილებს მშიერ აკვნებზე,
გუგიდან ცრემლნი ყინვისფერნი აღმოხდებიან.

ველზე ჩონგურის მწარ აბგერებით
ლაღი მწყემსები დუმილს ფატრავენ.
კლდეს დაბჯენილი მოჩანს აბრაგი
და ქარიც ტირის, ვით მეფანდურე.
სხეულ მოხრილი ფიქრებში ზიხარ,
მუხის შტოები ბინდებს გაფარებს,
ომში ზელიმხან ხედავ სიხარულს
ცაზე მოჭედილ ოქროს ქაფივით.

და სად დუდუნი ისმოდა წყალში,
სადაც ზვირთებზე ირხეოდა მთვარის ქანდაკი,
ფშანში მოპენტილ ცივ ვარსკვლავებს ტეხდენ ყანჩები,
რომ გამოშუბეს ჯილეები გრძელ ნისკარტებით.

მიბღავის წყალი და ტალღები მიკისკისებენ,
მწვანე ბეგობზე გადახედავ ღრუბლის ბოლიარს.
ამომართული თოვლიანი მთათა კისრები
ზეცას შუშებურ განათებით შეუბროლია.
მაგრამ, ზელიმხან, რად შეჩერდი, რა გეხამუშა,
უკან შუბლიდან გადაიგდე სწრაფად ფაფახი,
საშიშროებას შენ ჩახედე ყომრალ ღამეში,
სალახანების შემოგესმა ხმა ფეხდაფეხი.
თვალში სიკვდილი მუხთალურად რომ ჩაგახალონ,
რომ სხეულიდან ამოგხადონ დღენი მზიანი.
ყრუ ღრიანკელებს ვერ გაექცე, ვეღარ დაიხევ,
როცა ლულები სიბნელიდან გამობზინავენ.

მთაში დაღუპვა არც იმდენი ვაჟკაცობაა,
როცა რიჟრაჟის აყივლება ახლო მეგულვის, —
ფიქრობს ზელიმხან და ვეფხვივით გაცოფებული
ჩაჰყურებს ხევებს, საარაკოდ ჩაღამებულებს.
ამბობს ზელიმხან: — დე, გადადგეს ცა ცაობიდან,
მთა თოვლიანმა იუაროს თვისი მთაობა,
ველურ ყიჟინით თუ ვერ შევძრა მთელი სოფელი,
თან გავიყოლო ამხედრებულ ქოხთა თაობა.
დროთა დუმილი დედამიწას უცებ ავხადო,
გაუძღვე ბრბოებს დამშეულს და აყაყანებულს
იქ, სად მღერიან სასახლენი და ჩარდახები,
მოაჯირებზე დახარხარებს ქვეყნის ყაბული.

ზელიმხანმა ცაში ჩააგდო ხმა,
უღრან ხრამებში ჩაკიდა თვალი.

და სად მწკრივებად იდგენ ჯიხვები,
სადაც ფერდობზე ამორბოდა ჩრდილი სარიდი,
თითქო სიკვდილმა გაიქროლა მძიმე ჭიხვინით
და ზელიმხანიც გადაუშვებს ცეცხლს ისარივით.
დიდხანს ისმოდა იარაღთა ჭექა, ჩხარუნი,
დიდხანს ჰყიოდა გაბრაზებით ჩრდილთა კრებული,
და მთა ნისლებით შემოსილი, ვით ჩაჩქანებით,
ბრძოლის შედეგებს მოელოდა ჩაფიქრებული.

ოი, ზელიმხანო,
ნუღარ დაახანებ,
როგორ გაგიმეტო, ძმაო, სასახელო.
ისევ, ზელიმხანო,
ტეხდე არამხანებს,
ბარში სასახლენი ჩაისალახანო.

ეს ვინ ჩაეშვა უფსკრულებში, ლაღი, მხარდიდი,
ალბად სიცოცხლე სიმამაცემ მას უწყალობა.
აქ ზელიმხანმა მიაბნია კლდეებს ხარხარი
და მდინარემაც იწკრიალა ჭიქის წყალივით.
ისევ ბრწყინვალეთ მობროლილი ცა კაშკაშებდა,
ისევ ზვირთებზე ირხეოდა მთვარის ქანდაკი,
ფშანში მოპენტილ ცივ ვარსკვლავებს ტეხდენ ყანჩები,
რომ გამოშუბეს ჯილეები გრძელ ნისკარტებით.

დავით გაჩეჩილაძე
1926

მგოსანი და სიკვდილი ბულბულისა

კიდევ არ სძინავს, კიდევ შფოთავს, ვით დახაშმული,
ამ ცხოვრებიდან უბედობით ამოკვეთილი.
მშვიდი ჩურჩულით ბნელ ოთახში აკმევს ხვაშიადს
და თვალში ცრემლი უკამკამებს გაშლილ წვეთივით.
აქ ის მარტოა. უჟმურ ფიქრთა საგუშაგოდან,
თვეობით ურწყულს რაოდენჯერ გადუკვნესია,
რაოდენ გრძნობებს ამ ოთახში აქანდაკებდა,
სუფთა ზეცისკენ აპყრობილი, მუხლმოკვეცილი.
აქ ის მარტოა. იქ ხევებში ღამე ხრიალებს,
გრიგალნი შავნი თეთრ მწვერვალებს ბნელში გახვევენ.
ამბობს: ეს მიწა და ეს ზეცა საპყრობილეა,
მთვარე სარკმელი, სხვა სივრცეში გადასახედი.
ამ ჩაგუბებულ ღამეებში რისთვის დავები,
გული მთრთოლავი რათ დაჰკაწრეს და დამიწიწკნეს?
გულს რას ერჩოდენ... და მოქანცულს გრძელი მკლავები
ხმელ ტოტებივით აშვერილი დარჩება ცისკენ.

შორს კი ბულბული სტვენს, აღვიძებს ტყეს აშფოთებით,
ჩასცქერს ნაკადულს მაღალ შტოდან ფრთა დაჩხვლეტილი,
და წრფელი სტვენით გაბრუებულ მწვანე ფოთლებზე
მნათობნი სხივებს ცვარებივით ჩამოშხეფავენ.

„აღარც იმედი, აღარც ნატვრა“ — ფერმკრთალ ღაწვებზე,
წამწამთ ჩრდილები დასახუჭი წყნარად ეშვება;
თითქო სიცოცხლე მოციაგე, დრო სიყმაწვილის,
ობობასავით გახვეული ჭვარტლის ქსელშია.
მინდა შევსძახო, ჰე, მგოსანო, მოხველ საიდან,
რომ ეს მწუხრები ასე ხარბად დაისაკუთრე.

აღარ აქვს ფასი შენს ხეტიალს, შენს ლექსაობას
და მკერდს გაღეღილს ცის ნიავებს ამოდ ახვედრებ.
აქ შენი სუნთქვა ჰგავს წისქვილის მშიერ დახივილს,
აღებ ფანჯარას: ლაჟვარდების დადგე პირდაპირ,
მაგრამ სივრციდან ღამისფერი ფრთების დარხევით
აკვნესებული შავი ჭოტი შემოფრინდება.
შემოფრინდება თვალბედითი, ბნელი, მაცდური,
შენს მაგიდაზე ხელთნაწერებს ხევს ულმობელი;
მერე გიყვება როგორ მოჰკლა ბულბული ტბასთან,
როგორ დაეცა საკუთარ ჩრდილს ტბაში ბულბული.
დაიკვნეტ ბაგეს, დაიკაწრავ სახეს ფრჩხილებით,
გახრჩობს წუხილის უბადალო ამოყვირება;
თითქოს ღრუბელიც, მინდვრით მთაზე აფორთხებული,
შენს ბნელ ოთახში შემოვარდნას დაეპირება.
ასე ფართხალებ, ასე დაცხრა ეგ სიყვარული
ქვეყნის და ხალხის სიმღერები გულში ოდესღაც.
უდროდ დაჰკარგე სულის სწორი, ტრფობა ფარული,
ჩამოდგა მწუხრი ჩივილის და მარტოობისა.
და მაგ ლექსებშიც დაღუპულის გიჩანს გალობა,
რადგან გაჰყევი ქარის სიმებს მკვნესარ ხმებიანს.
აწ თვალნი შენნი ცაში ამოდ მიწყალწყალობენ,
აწ ჰაზრნი შენნი სივრცეებში ამოდ ჭკნებიან.
ჰო და ძნელია, ეგ დაღუპვა იგრძნო წინდაწინ,
რომ საფლავშიაც თან ჩაგყვება ბედი ობლობის.
ცას ვარსკვლავები კიდევ ერთხელ გადმოწვიმდება,
შენ ჩაიძინებ მაგიდაზე ჩამოყრდნობილი.

დავით გაჩეჩილაძე

გუშინდელი დილა პროვინციალურ დაბაში

1. იპოლიტე ნაჭყეპიასათვის დილის სინათლე

ქვრივი ეფიზოს სახლის ერთ-ერთ ოთახში შეჭრილმა სხივებმა ჩვეულებრივზე ადრე გამოაღვიძეს, იპოლიტე გლახუნის-ძე ნაჭყეპია.

პირველ გაზმორების დასკვნად მარჯვენა თვალი ოდნავ გაახილა და მარცხენა ქუთუთოების გადაღმა მოათავსა.

ძილის დროს, სასტიკ მყუდროებას მოყვარული, რომლის აღდგენა, მიუხედავათ ეფიზოს ყოველგვარ ცდებისა, ბავშვების ყვირილისა და ამოძრავებულ პირუტყვთა შორის ატეხილ ხმაურობის გამო შეუძლებელი გახდა, პატივცემულმა გვამმა მარჯვენა ფეხის საბნიდან გამოღების შემდეგ, მარცხენა თვალით სკამზედ დალაგებულ ტანსაცმელს გადახედა. ლოგინის შეწუხებული კვნესა, დილის ჩვეულებრივ მუსიკათ მიიღო. ოთახი ჯერ ბუნდოვანად მოეჩვენა, ხოლო როდესაც სინათლის შემჩნევამ იპოლიტეს საბრძანებელს

ჩვეულებრივი სახე მიანიჭა, შესაძლებელი გახდა მისთვის გაერჩია ლოგინის მოაჯირზე გადაკიდული, რაღაც მანქანებით, ეფიზოს მიერ დატოვებული ქვედა საცვალი. უკმაყოფილების გამო მტვერითა და პაპიროზის ნამწვავებით სავსე იატაკზე, ლოგინიდან ოთხი მეტრის დაშორებით, მძლავრად გადააფურთხა.

2. ფიზკულტურა იპოლიტეს აზრით

პირველი ვარჯიში, ხერხემალისა და წელის განვითარებისათვის, ლოგინში სწორად წამოდგომაა. მარჯვნივ და მარცხნივ გაშვერილი ხელები, ზედა ტანის კუნთების დაძირკვებას მოასწავებს. ხოლო, გაზმორებასთან ერთად, რამოდენიმეჯერ პირის დაღება, რომელსაც სხვა ენით მთქნარება ეწოდება, ხელს უწყობს ქვედა ყბის საფეთქელის ძვალთან გამძლეობას. მუხლების რამოდენიმეჯერ მოღუნვას მნიშვნელობა აქვს სახსრების განვითარებისათვის, რომლის სიმტკიცე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეზობლის ღობეზე გადახტომის დროს, რატომ? ეს იპოლიტე ნაჭყეპიას სინიდისია.

3. იპოლიტეს ოცნებაა დაბა N-ის სირინოზთა განადგურება, მისი ფიზიონომია ანუ ცხვირ-პირი

იპოლიტეს სახეს კაცობრიობის წარმოშობის პრობლემისათვის, უეჭველად, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ის რომელიმე უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მომხვდარიყო რკვევის საგნად. მაგრამ აქ ძალაუნებურად ამ შემთხვევისათვის შეფარდებითი მნიშვნელობით „ვახ, სოფელო“ უნდა მოვიგონოთ და მაშინ ვიგრძნობთ იპოლიტეს ბედითი გზის მიმართების იმთავითვე გამრუდებას.

სხვა მხრივ რა: ორთქმავალის ქშენის ხასიათით, ხშირი წითელი წარბების შეერთების წერტილიდან იწყებოდა მისი გიდელის მსგავსი ცხვირის განვითარება, რომლის ნესტოები, ათი დღის წინად პალიასტომის ტბიდან ამოღებულ კობრის ლაყუჩებს წააგავდა. შუბლის კონუსისებური განვითარება ორიგინალური ხაზებით მიემართება ორივ მხრივ და მოზრდილი ყურების არსებობა გენერალ გუბერნატორის ჯინჯილებს მოაგონებდა ადამიანს. სქელი, ცხენის ჩიჩვირის მზგავსათ გამოშვერილი ბაგეები და ნიკაპის ჩავარდნილი მდგომარეობა, ასრულებდა იპოლიტეს სახის საერთო მოყვანილებას.

4. რამ მოწამლა იპოლიტე ნაჭყეპიას ახალგაზრდობა

თუ ბიბლიის წყაროები სამსონის დევგმირულ სიძლიერეს თმას მიაწერდენ, იპოლიტე ნაჭყეპიას ცხოვრებაში იმ მოვლენას სამსონის გზით განვითარების ხასიათი არ ჰქონია. თმა მისთვის ბევრჯერ ყოფილა საბედისწერო მომენტად გადაქცეული. ვისაც ქვრივი ეფიზოს ეჭვიანობის ხასიათი არ გაუგია, მისთვის იპოლიტე ნაჭყეპიას თავის ქალის ტკივილიც გაუგებარი დარჩება. სხვათა მიერ მისი თმის დაცვის კილოთი მოხსენიება ძარღვებს უშლიდა ჩვენ საყვარელ გმირს. წარსულში ბევრი ეწვალა, რა ღონისძიება არ იხმარა, რა ხარისხის თავის საბანი მიწა არ ჩამოატანინა, ვიღაცაების რჩევით კამეჩის ახალი ფუნაც დაილაგა თავზე, მაგრამ ვერაფერმა უშველა, მაგარ სქელ თმას ღორის ჯაგარის თვისება ვერ მოაშლევინა. თქვენ წარმოიდგინეთ, დალაქი ხვირიკაც, თუმცა ამ უბედურს იქნებ კიდევაც ჰქონდა საბაბი, ასე მიემართა, ურჩევდა იპოლიტეს თმის პირველი ნომრით გადაღებას. ხოლო იპოლიტეს რამდენჯერმე თავმოყვარეობის პასუხად, საპნიანი ფოჩით გაუთხუპნია ხვირიკას სახე. ასეთი გულფიცხობა იწვევდა მათ შორის ყოველივე მეზობ-

ლურ კავშირის გაწყვეტას და ხვირიკას მიერ ნისიაზე უარის თქმა წვერ მოუპარსავად დააყერყეჩებდა დაღონებულ იპოლიტეს, რომელიც დაბოლოს სამიკიტნოებში ხდებოდა სალაპარაკო საგნად და, რადგან ასეთ მდგომარეობას შეეძლო შეემცირებინა სირინოზთა ტირაჟი, ამიტომ იპოლიტე ქედს იხრიდა ხვირიკას წინაშე, ბოდიშით ჯდებოდა რბილ სკამზე, რათა ხვირიკას სანახევროთ ალესილ დანას ფხეკით ჩამოეღო თმაზე მაგარი წვერი.

5. თანამედროვე თამასუქი, იპოლიტეს ულვაშები და სხვა წვრილმანი რამ

ზნე, ჩვეულება, ტრადიციების მტკიცე დაცვა და მათი შენარჩუნება საკამათო საგანი იყო დაბა N-ის სამკითხველოს წინ მოგროვებულ ინტელეგენციისათვის, სადაც, ბაასის ჟამს, იპოლიტეს გაწვრილებული ხმაც გამორევია ხოლმე. ულვაშის არსებობისა და ტარების პრობლემა, გადაწყვეტილად იყო მიჩნეული ორიოდე კაცის გარდა. ეს ორიოდე იყვნენ მუდმივ უნიჭო სცენისმოყვარენი ქალაქში და დასის ხელმძღვანელი დაბაში, თორემ სხვებისათვის ულვაშის მოპარსვა უდრიდა „ესაკიეს“ სამჭედლოში ყბად აღებას, ან ლევარსიეს სამიკიტნოში ტროფიმე გილორდავას მიერ გამოსროლილ ბორჯომის ბოთლის თავზე დამსხვრევას.

იპოლიტეს ცხვირის ნესტოებიდან ზედა ბაგემდე არსებული ტერიტორია უხვად ჰქონდა დაფარული უხეში, მეჩხერი ულვაშით, რომლისათვის საჭირო მიმართულებისა და ფორმის მიცემა უდრიდა სუფსის აღმა წაყვანას. ასეთი მდგომარეობა იპოლიტეს არ აწუხებდა, პირიქით, მას ხვირიკას სადალაქოში ბევრჯერ აუწევია ულვაშის ღეროს აქციური ღირებულება, რადგან ცხონებულ ბაბუამისის სიტყვებით თითო ღერო რომელიღაც საუკუნეში ნოტარიუსის მიერ შემოწმებულ დღევანდელ თამასუქზე მეტად ფასობდა. რაც იპოლიტე წამოიზარდა, უკეთ, რაც მან პირველად იგრძნო მამაკაცის ეს გარეგანი თვალსაჩინო ღირებულება, დედისა და მამის მაგიერ საფიცარად ბუნების მიერ უხვად ნაბოძები ულვაში გაიხადა.

ჭრიალა ლოგინზე წამომჯდარი იპოლიტე, მთავარსარდალის ნიჭით და უნარით ათვალიერებდა ოთახის საერთო მდგომარეობას. ტანში გამჯდარი სიზარმაცის გამო უწესრიგოდ სკამზე დალაგებული ტანსაცმელი უსიამოვნო გრძნობას იწვევდა, ხოლო სანახევროდ დაგლეჯილი ოფლიანი წინდები გამხმარ ტარანივით გაჩხირულიყო „სკოროხოდის“ ფირმის ფეხსაცმელთა შორის. პაპიროსის ნამწვავებითა და ფერფლით სავსე იატაკზე ნათლად სჩანდა ეფიზოს ფეხის ანაბეჭდი.

სხვადასხვა შთამომავლობის და ხასიათის ბუზები უმოწყალოდ ეხვეოდენ იპოლიტეს ცხვირ-პირსა და გამხმარ სხეულს.

ეფიზო, მართალია, მკაცრი ხასიათის ქალი იყო, მაგრამ რატომღაც სასტიკად იცავდა იპოლიტეს დილის ძილს და მის მშვიდობიან მიმდინარეობისათვის არ ზოგავდა არავითარ ძალას.

დაკვირვებულ ქვრივს, მიუხედავად მრავალფერი მუშაობისა, ამის შემდეგ სახლისა და ეზოს მოწესრიგებისა, არასოდეს არ გამოეპარებოდა იპოლიტეს ლოგინში წამოჯდომა, რაც განსაკუთრებული ინტონაციის მქონე ლოგინის მუსიკით ხასიათდებოდა. ეფიზოს სმენა გამახვილებული ალღოთი სცნობდა ამ მომენტს და მისი დიქტატორული უფლებათა გამჟღავნება 7 წლის გოგოსადმი ბრძანების გაცემით ხდებოდა.

— ჩქარა, გოგო, მწერალს პირის დასაბანი წყალი მოუმზადე, გესმის? — ეფიზოს განკარგულება მცირე შესწორებით იპოლიტესაც ეკუთვნოდა ხოლმე. მისი ოთახის შეუვალობა აღნიშნულ ბრძანებით უკვე დარღვეული იყო მასთან გამხეცებული ეფიზოს მოსალოდნელი შემოჭრის გამო. საწყალმა იპოლიტემ, მიუხედავათ ხანგრძლივი ზმორებისა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გამხმარი გრძელი ხელი სკამზე დალაგებულ ტანსაცმელისაკენ გაიშვირა.

6. ეფიზო, როგორც ეფიზო და სხვა არაფერი

ეფიზოს არსებობა დაბა N-ის ყველა მოქალაქეთათვის, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, და სიმაღლე-სიმდაბლისა, ცნობილი იყო. მოსამსახურედ ყოფნის დროს, ქალაქურ ცხოვრებას მიჩვეულმა ეფიზომ გათხოვებიდან ორი წლის თავზე მოასწრო სიდედრ-სიმამრის დასაფლავება, მულების თავიდან მოცილება, ძმათა შორის დავის ატეხა. საერთო ქონება გაჰყო ქმრის დაუკითხავათ, მიჰყიდ-მოჰყიდა და დაბა N-ში, რომელსაც, მისი აზრით, რკინიგზის გაყვანის პერსპექტივით დიდი მომავალი ჰქონდა, თვალსაჩინო ალაგას ოთხოთახიანი წაბლის სახლი წამოჭიმა.

ქმრის უფლებები ეფიზომ მალე მოსპო სახლში. მეზობლებს შიშით მზე დაუბნელა. მაღალი მესერით შემოვლებულ ეზოში ბახჩა და ბაღი გაიჩინა, კიტრის ან საზამთროს მოპარვის მიზნით ჩამოსულ ყმაწვილებს მკლავის ღონე აგრძნობინა და საბოლოოდ განამტკიცა მისი პიროვნებისა და ეზოს შეუვალობა. შრომისმოყვარულ ეფიზოს, არ მოსწონდა ქმრის დაბა N-ში გამოურკვეველ მუშაობით არსებობა. ერთ მშვენიერ დღეს ბარგი გამოუკრა, საგზლით უზრუნველჰყო და სახლიდან გარეთ გამოაგდო. უბედურ ქმარს არ უნდოდა სახლისა და შვილების დაშორება, რადგან თავს ისედაც კარგად გრძნობდა, მაგრამ ეფიზოს განკარგულების სისრულეში არ მოყვანა უდრიდა ოჯახის საბოლოოდ დაკარგვას.

ექვსი თვის თავზე ოჯახის მამა ნიკიფორე, იგივე ქმარი ეფიზოსი, დიდის ამბით, საჩუქრებითა და ფულით დატვირთული, ჩამოვიდა ახლობელ ქალაქიდან. ეფიზოს ქმრისათვის არ უკითხავს, სად მსახურებდა, ან როგორ იშოვა ფული. მისთვის საკმაო იყო მხოლოდ ქმრის ხელდამშვენებული ჩამოსვლა. დაბა N-ში ნიკიფორეს დაბრუნება ჩინებული ქეიფით იგრძნეს ზოგიერთებმა. ეფიზოს გამჭრიახი და წინდახედული გონება კარგად გრძნობდა ამ ზოგიერთთა მნიშვნელობას. ალბათ ეს იყო მისი გულუხვი მასპინძლობის მთავარი მიზეზი.

— ნეტავი რამდენი აქვს ჯამაგირი იმ ნიკიფორეს, ეფიზო რომ ასე გაიმართა წელში? — ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა მეზობელი მეზობელს.

— რა ვიცი, დედა, ხალამპრემ მითხრა, ჯამაგირი რომ ოცდაათი მანეთი აქ, გამოსარჩენი სამი იმდენიო. — მიუგებდა ხოლმე პასუხად ცნობისმოყვარეს სიტყვა დაუზარელი მეზობელი, რომელიც სიტყვა „გამოსარჩენის“ წარმოთქმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ხასიათს აძლევდა.

კმაყოფილებით სავსე ნიკიფორეს, შეიძლება, არც უნდოდა ისევ ქალაქისაკენ გამგზავრება, მაგრამ, როგორც კი ეფიზომ ღამის გასწვრივ ქმრის არსებობა ვერ იგრძნო და მხოლოდ ძილის სურვილი შეამჩნია, ბევრი არ დააყოვნა, საჭირო საგზალი ისევ ცარიელ ხურჯინში ჩაუწყო და ქალაქისაკენ გაისტუმრა.

ნიკიფორე მსახურებდა რკინიგზის ხაზზე ვიღაც მოიჯარადრესთან. მიუხედავათ სახლში დაბრუნების დიდი სურვილისა, უბედური ნიკიფორე მეორე ექვსი თვის თავზე ლაღუმით აფეთქებულ კლდის მსხვერპლი გახდა და სრულიად მოულოდნელად ყველასათვის, კუბოთი ჩამოიტანეს დაბა N-ში. ეფიზოს კივილსა და თავის მტვრევას დასასრული არ ჰქონდა. მეზობლებს კიდეც უკვირდათ მისი ამგვარი ქცევა, რადგან ნიკიფორეს სიკვდილს მთლიანად ეფიზოს მიაწერდნენ: „ძალით გააგდო კაცი გარეთ“-ო.

დაასაფლავეს ნიკიფორე და ეფიზო ორმაგი ენერგიით შეუდგა ოჯახის შენარჩუნებას. ცოტა ხნის შემდეგ ეფიზომ ერთ მოხუცებულ ქალს დაუტოვა ბავშები და ადგილობრივ სასამართლოს ვექილის რჩევით ქალაქში გაემგზავრა. ეფიზომ მოხერხებულ ოსტატობით გამოიძია ქმრის სიკვდილის მიზეზი, ძველი ბატონები ინახულა და მათი დახმარებით რკინიგზასა და მოიჯარადრეს უჩივლა.

დაბა N-ში დაბრუნებული ეფიზო კვლავ შეუდგა მუყაით მუშაობას, გაჭირებისა და სიღარიბის არ ეშინოდა, რადგან ნაწილი ფულისა ბანკში შეიტანა, ნაწილი კი ადგილობრივ გაასესხა.

— მაი, დედაკაცი კი არა, ნამდვილი ქაჯია? — იტყოდნენ ზოგიერთები, როდესაც ეფიზოს ქუჩაში ან სახლში მოკაპასეს დაინახავდნენ. ბევრიც კიდევ, მის დაახლოვებას ცდილობდა. ფულს გარდა (რაც მან სასამართლოს წესით რკინიგზასა და მოიჯარადრეს მოუგო), ეფიზოს მამაცი დედაკაცის შეხედულება იზიდავდა, ალბათ, დაბა N-ის გაქსუებულ ვაჭრებს, ან კიდევ გამოურკვეველ პროფესიის პირებს, რომელნიც თავნიდან არაფერს დაჰკარგავდნენ.

ეფიზო კი ქმრის სიკვდილის შემდეგ ასეთ მოსულ სტუმრებს მკვახეთ გაისტუმრებდა ხოლმე. ხოლო, თუ ვინმე მოისურვებდა განმეორებას, მას კარგი დღე შავად დაუღამდებოდა. ამგვარმა ქცევამ დააფრთხო ქვრივის ხელის მაძიებელნი და მისი დარჩენილი ახალგაზრდობის იერი სჭკნებოდა დღითიდღე.

ვინ იცის, იქნებ, შემდეგში ეფიზოს კიდეც უნდოდა ხელის მათხოვარი, ამიტომ, ალბათ, მისი სიტურფის უკანასკნელი შუქი დაბა N-ის პრისტავის კანცელარიაში განწესებულ იპოლიტე გლახუნის-ძე ნაჭყეპიას ლამაზ სახეზე დაიბანდა.

ეხ... ძნელია ცხოვრება პატარა დაბაში, სადაც ქუჩაში ქვასაც იცნობ და ძაღლებიც შეჩვეული გყავს. იპოლიტე ამ მდგომარეობას ყველაზე კარგად გრძნობდა, რადგან ათასგვარ ხასიათის ხმებთან ერთად იპოლიტესა და ეფიზოს გარშემო დიდი ზეპირსიტყვაობითი ლიტერატურა შეიქმნა.

ეფიზო ყოველგვარ ხმებს სასტიკად სდევნიდა და, ვაი იმას, თუ ხმების გამავრცელებელი ხელში ჩაუვარდებოდა. მიუხედავად მკაცრი ზომებისა, ეფიზოს ტერორს არ შეუნელებია დაბა N-ის მეჭორე დედაკაცების ენაგესლიანობა. საჯაროდ ეფიზო იპოლიტეს ნათესავადაც აღიარებდა ხოლმე. მიუხედავად ასეთი სიმპატიური და კეთილგანწყობილ ნათესაური გრძნობისა, იპოლიტეს „სხვანაირი“, ან უბრალო გალაპარაკება მეზობელ ქალთან მოასწავებდა უკანასკნელის ეფიზოს მიერ მაგრად მილანძღვას და ზოგჯერ მიბეგვასაც.

— მაგი შეჩვენებულები, ისე გაირყვნენ, რომ კისერზე ეკიდებიან და არ ასვენებენ სამსახურისაგან ისედაც მოქანცულ კაცს... ვითომდა რაო... — გაიხმაურებდა ეფიზო ამაღლებული ხმით. ასეთ დროს არც იპოლიტე რჩებოდა კარგ მდგომარეობაში. ცივი მჭადის გარდა ეკრძალებოდა სადილად ყველაფერი და მისი მშვენიერი მოყვანილობის თავი სრულიად უმიზეზოდ ჰკარგავდა თმის საკმაო მარაგს.

სხვა მხრივ: რა ჰქონდათ გასაჭირი იპოლიტეს და ეფიზოს!

მზიანი დილით აივანზე გამოსვლისას მეზობელ ქიშვარდიე მელიმონაძის გასათხოვარი ქალის დანახვით გამხიარულებული იპოლიტე ულვაშების გრეხით კმაყოფილებით მიესალმა ეფიზოს.

— დილა მშვიდობისა, ჩემო ეფიზო. რას მაჭმევ ამ დილით?

— კაი დილაა, შენ ნუ მომიკვდები. შუადღე შეიქნა, აწი სადილს უნდა კითხულობდეს კაცი, მაგრამ შენ ხომ მათ რიცხვში არ ურევიხარ. — მკვახედ მიაყარა ეფიზომ და სანახევროთ გაწმენდილი კიდე ჩამომტვრეული თეფში წინ დაუგორა.

— რა ბზიკმა უკბინა ამ შეჩვენებულს? — გაიფიქრა ხასიათ მოწამლულმა იპოლიტემ და მორყეულ სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა. გატეხილ თეფშს ნაკვერცხალზე გაფიცხებული შუა გაჭრილი კეცის მჭადი მოჰყვა. საეჭვო ფერის ყველის დამტვრევის დროს ეფიზო დაურიდებლად აცლიდა ნაჭრებს, ნახშირსა და ძროხის ბალანს. თუჯის ჩახანაში გა-

ფიცხებულიყო მწუთხე სველისაგან და მჭადის ფქვილში მოდუღებული ფაფა. ასეთ მშვენიერ საუზმეზე იპოლიტე ვერასგზით ვერ იტყოდა უარს, რადგან საუზმეს სრულიად დაჰკარგავდა, ვინ იცის, რაოდენი ხნით და ამგვარ დაწყებას ხშირად ცხელი მჭადით პატიოსან ცხვირის შაურაცხჰოფა მოყვებოდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი იპოლიტე უაზროდ აცეცებდა თვალებს სუფრის გარშემო.

— რას უყურებ? იქნება არ მოგწონს? — დაეკითხა ეფიზო. რომ ახალი უსიამოვნო საუბარი თავიდან მოეცილებინა, იპოლიტე უხმოდ შეუდგა მოვალეობის ასრულებას. ნაცრიან მჭადს და ნახშირიან ყველს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა იპოლიტეს პირში. ეფიზო, თითქოს მოლბა, შუბლი გახსნა და მაგიდაზე მოხარშული კვერცხები დააგორა. იპოლიტემ მადიანად ჩაახველა და ეფიზოსათვის შეუმჩნევლად თვალი დაატანა იხვის მოზრდილ კვერცხს. ის იყო, სურვილი სისრულეში უნდა მოეყვანა, რომ ოთახში ატირებული ექვსი წლის ეფიზოს ვაჟი შემოვარდა.

ყმაწვილის უსაფუძვლო ღრიალმა სწრაფად შესცვალა პატივცემულ დიასახლისის კეთილი განწყობილება, ეფიზო ქორივით აიჭრა ადგილიდან და საშინელი წვრილი უსიამოვნო ხმით უფროს გოგოს გარეთ გასძახა. თითქოს დეკემბრის სუსხმა დაიარა იპოლიტეს სხეულში და გათოშა სიცოცხლისათვის ამოძრავებული სისხლის დენა.

ან კი რომელ დეკემბრის სუსხზე უარესი არ არის ეფიზო?

ვაი, რომ არის და იპოლიტე ამ მდგომარეობამ დაჩაგრა.

დამნაშავე გოგოს კარებში ატუზვამ გააწიწმატა ეფიზო და საბრალო გოგოს მტვერით სავსე დაუბანელ თმაში სწვდა. ყმაწვილის ღრიალს გალახულ გოგოს ტირილიც მიემატა.

იპოლიტე მოხერხებით გაუძვრა გააფთრებულ ეფიზოს და სანაქებოთ გაშიმულ იხვის კვერცხს. საჭირო იყო თავის გადარჩენა, რადგან ბავშებთან ერთად შესაძლებელი იყო იპოლიტეს პიროვნების შელახვაც.

რატომ? ასე უმიზეზოდ?

თავზე დაამტვრევდა და შემდეგ მიზეზის ძებნა აღემატებოდა იპოლიტეს ძალას, რადგან მშვენიერ ეფიზოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

ოთახიდან გარეთ გამოსულმა იპოლიტემ ერთი თავისუფლად ამოისუნთქა, წელში გასწორდა და დანგრეული სიარულით სამსახურის ადგილისაკენ გასწია.

7. დაბა N-ის სიგრძე-სიგანე, საერთო გარე და შინა მოხაზულობა

რკინიგზის შტოდან 18 კილომეტრით დაცილებული, გურიის სამხედრო გზატკეცილით შუაზე გაჭრილი დაბა N-ი თხმელათი და ადესას ჯიშის ვენახის ფურცლებით დაბურული, მიუხედავად კრილოვ-ალიხანოვის მიერ ათეულ წელთა უკან ცეცხლით სავსებით განადგურებისა, ლამაზ სამყოფად მოეჩვენებოდა ცნობისმოყვარე მოგზაურს.

ორმწკრივათ გაშენებული დუქნების რიგი, უქმნის დაბა N-ს ვაჭრობა-აღებმიცემობის შესაძლებლობას. ბაზრის მთავარ მოედანზე, ყოველ პარასკევს ბლომათ იკრიბება ხალხი საჯარო ვაჭრობისათვის, შორი-ახლო სოფლებიდან მოაქვთ იხვი, ქათამი, ბატი, მოჰყავთ ცხვარი, ხარი, ძროხა, ურმით ეზიდებიან შეშას, წკნელს, სარებს. ცარცისაგან შემზადებულ ფერ-უმარულს, თავისაბან მიწას. ერთი სიტყვით, პარასკევი დღე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დაბა N-ის ზოგადი წინმსვლელობისათვის.

სხვა მხრივ, პარასკევი ხომ ახალგაზრდობის დღეა, მათი გამოფენაა. თავმომწონე მომლხენი ყმაწვილები, მხრებზე ყაბალახის გადაგდებით ან ბუხრის ქუდის თავზე ჩამოფხატვით დიდის ამბით ივსებდენ ჯიბეს ნაყიდი მსხლით ან კორკიმელით.

გასათხოვარი გოგოები ფერ-უმარულით გათხუპნული შიგრიმის ტყავისაგან შეკერილ ციდა ქუსლიან მონგრეულ ფეხსაცმელზე შესკუპებულნი სხვათა გულის დასაპყრობად, სახლში ნაქსოვ აბრეშუმის „ცახოცით“ თავწაკრულნი აშკარად აჩენდენ დანაყილ ნახშირით გაფერილ კბილებს და კავალერის ჯიბიდან ამოღებულ კორკიმელს ან მსხალს დიდხანს ატრიალებდენ ოფლიან ხელში.

რადგან პარასკევ დღეს ადვილად შეიძლება სიყვარულის მუგუზალით მოწინააღმდეგეს გული „დაუხრუკო“, ამიტომ იპოლიტე გერმანელის სიმტკიცით აღნიშნულ დღისათვის წვერს ხვირიკას სადალაქოში იპარსავდა ხოლმე.

სამაგიეროდ შაბათი დილა საშინელი სიცალიერით თენდებოდა ყოველთვის, გუშინ ხალხით დაფარულ მოედანზე, ღორების, ძაღლებისა და საერთოთ ოთხფეხის თავმოყრას ჰქონდა ადგილი. სხვა რომ არა იყოს რა, ადგილობრივი პოლიციის ტყავგამძვრალი ცხენიც კი გაერეოდა დაბა N-ის დაბალ საზოგადოებაში. მოედანის შუაგულში ამართული საყანთრო წვიმის დროს იფარავდა ამ საზოგადოების უმეტეს ნაწილს.

სამიოდე საჟენით დაშორებულია ქვითკირისაგან ნაგები, სანახევროდ დანგრეული ჭის თავი, რომლის გვერდით აღტაცების ნიშნის მზგავსად ამართული იდგა ეკლის ხისაგან გამონათალი ოწინარი.

დაბა N-ის მოწინავე საზოგადოების მიერ საქვეყნო საქმისათვის შეკრებილ ფულით ნაყიდი ჯაჭვი და ვედრო დიდი ხნიდან იქნა მოპარული ბოროტგამზრახველების მიერ. თავის დროზე პრისტავი კალანდია, რომელსაც ამ საქმისათვის 7 კაპეიკი შეეწირა, მთელ დაბაში მტვერს ადენდა, მაგრამ უშედეგოდ. ვიღაცამ უთხრა, თითქოს ვედროს მოპარვას პოლიტიკური სარჩული ედო და ტერორის შიშით თავი მიანება ბაქი-ბუქს. დამპალი თოკის ნაჭრებიდან ანაკინძ ხვეულით, რომლის ბოლოში ძირგავარდნილი ვედრო ება ცდილობდენ წყლის ამოღებას, მაგრამ რაც ილარიონის სამიკიტნოდან მოსამსახურე ბიჭმა ვედრო თოკით წყალში ჩააგდო, აღარავინ ცდილა საქველმოქმედო მიზნით საქვეყნო საქმეებისათვის შენაკრეფ ფულით აგებული ჭა წესრიგში მოეყვანა.

სკოლიდან მეცადინეობის შემდეგ მომავალ, ან მეცადინეობისათვის მიმავალ მოწაფეთა ჯგუფს შეჯიბრი ჰქონდა, თუ ვისი ფურთხი მეტად გახმაურდებოდა ჭის სიღრმეში.

რას იზამ, აზარტის საქმეა!

თქვენ წარმოიდგინეთ, გაჯავრებულ სომეხ არშაკას მოსამსახურე გოგომ, რომლის მოქმედება საღამოს ბინდის გამო არავის შეუმჩნევია, შურის ძიების მიზნით მოზრდილი საგანი გადაუშვა ჭაში. არშაკამ მესამე დღეს იგრძნო საყვარელ კატის დაკარგვა.

დაბოლოს მთელ მოედანზე იდგა ერთი ჭადარი, რომლის ქვედა ფოთლები და ტოტები ცხენისა და ძროხების მიერ დასახიჩრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხოლო ღორების ზურგის ფხანას გაეწვრილებინა ახალგაზრდა ხის მთავარი ტანი.

სიმონ დოლიძე



ირ. გამრეკელი

„ზაგმუკი“-ს გაფორმება (მაკეტი)

მონადირე

ბაი ბეთქილი...
თვეთნოლდიდან ნისლი ლილადა
ფეხდამცდარ კლდიდან
თითო-თითოდ მოდის მთა-ბარი,
ზედ მონადირე...
გამოძახილს მოსდევდა ხმები:
ლილეო!!
        დალი!!
რომ მწვერვალზე გადაენთები
თვალი მართალი,
ზედ ხანჯალი, იმედი კიდე.
შენ მონადირე,
უშბის წვერზე რომ დაეკიდე,
თვალებში გენთო თაფლის სანთელი.
მაგარი თეძო მეგობარია ვაჟკაცის მთაში
და ჩეგემიდან გადმოტანილი სტამბულს
ეჭირა კბილებში კაჟი.
გახარებული ბედი მოგინდა,
შუბლს გიელვარებს თოვლის ნათელი.
მოგენატრება ჯიხვის ჯოგიდან
დამსკდარ კლდეების კორიანტელი.
მოდიდებული სისხლი ძარღვებში
გაიჭედება რკინის კუნთები.
ათასში ერთი რომ აგიცილდეს,
ვიცი რომ სოფლად არ დაბრუნდები.
თავგამეტებულს გზა გეადვილა,
სუნთქვამ მაღლობზე უფრო იმატა.
ცა
დაბალია თავშესაფარი.
ბაი ბეთქილი!!!
თვეთნოლდიდან ნისლი ლილადა.
ფეხდამცდარ კლდიდან
ბურთებივით ცვივა მთა-ბარი.

ნიკოლოზ შენგელაია

მზის ჩასვლა

(ლატფარი)

უღრან ღრღნიდა ღრეს ღარება,
გორა გრგვინვა გრიგალს გავდა,
ხრამს ჩაჩეხილს ახარებდა,
მზეს ყინული თითებს სწვავდა.

კლდე მოხეთქილ სალტი კალა
დახუთული ფილტვით სკდება,
მკერდი ხე-ტყემ ამორკალა,
მზეს ფოთოლზე თმა უკვდება.
მიდორს წვიმა მოსდევს შავად,
ქორი წარბი დარბის ქარზე.
მზე გაცივდა მთაზე ავად
და ახველებს ჯიხვის რქაზე.
მზე შინა და მზე გარეთა,
კლდე გარს შემოსული,
მთამ იმატა, მზე გარეტდა
და ამოხდა სული.

ნიკოლოზ შენგელაია

პოემიდან: გარემოება

კოშკი მაგარი.
შავი კოშკი მძიმე თაღებით.
მაღლა სოფელი განთქმულია
ნადირობით და სისხლის აღებით.
დღესასწაული ათრობდა ყველას
ვარდისფერი დღე:
პატარას, დიდს.
არაყი ნისლით ფარავდა თვალებს,
არაყი ფანტავს თვალებში ბინდს.
— „აბა, ვინ იცის თეთრი მთებიდან
რა მოიტანა ამ დილას ქარმა,
რამდენი ჯიხვი შეწირა ყანსავს
ფერდზე დამცდარმა გადაღმელთ ჯარმა?..“
ფერხული ფეხებს
მთის ჩრდილში ფანტავს,
თხის ქალამანი ყველაზე მარდობს —
მზე ოქროს ნაწნავს თვეთნოლდზე ართავს,
ვაჟკაცის გული:
კარავზე დარდობს.

ბიმურზოლა

გული მკერდში ისე მყავდა,
როგორც ვეფხვი გალიაში.
ფესვებ ჩასკვნილ მუხას გავდა,
დაგორებულ კლდეებს მთაში.
მოფიქრება ვაჟკაცს შვენის,
გულს კლდეებზე მარდად ხტომა.

კუნთი ჰქონდა ურა ცხენის
და ბედის ცდა მოინდომა,
ღამე მღვრია ენგურს ჰფარავს,
ძარღვი კისერს ხუთავს ღვედად,
ველარ ითმენს მთაზე კარავს
და შეხვედრას უცაბედათ.
ქარი ფაფარს აფრად ფანტავს,
გზა ევლება მთას მოხვეულს.
ვაჟკაცს ვერვინ დაუძრახავს
ტრფობას სისხლში გამოხვეულს.

ნიკოლოზ შენგელაია

ამბავი: მეჯინიბე

(თავი 3)

გავიდა ფხიზლობის დრო.

ლოლა დაიქანცა და თვლემს: ისმის ოდნავ გასაგონი ფშვინვა. შაქრო თვალებ დაწითლებული დგას; კედელზე ხედავს თავის ლანდს: აბურძგვნილი თმა და ვეებერთელა კედლის უფართოესი მხრები.

— ესეც შენი ლოლა — ავიწყდება ლანდი — ამხანაგებს შურდათ, ახლაც ჰშურთ. მაშ, შაქრო, მამა ბრძანდები?.. მომილოცნია, მომილოცნია! — შაქრომ ჰაერში ამხანაგებს ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა:

გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ!

არაყი გადაჰკრა.

— რა თქმა უნდა, შეიძლება თავი დაანებო...

ლოლას უცქერის:

— არა, რატომ! ასე სჯობია: მომილოცნია, მომილოცნია.

ეზოში ნელი ღიღინი გაისმა. ვიღაც კიბეზე ამოდის. შაქრომ ყური დაუგდო: ვინ უნდა იყოს? და ის, ვინც იყო, აივანზე მტკიცე ნაბიჯით გამოემართა და შაქროს კარებთან შედგა.

— არა, ქურდი არ არის, არც ფხიზელია ვიღაც, — კარებს აწვალებს.

— დაკეტილია დიახ — ფიქრობს შაქრო და იძახის:

— ვინა ხარ?

კობა იყო. გასაღების ჭუჭრუტანაში ვერაფერი დაინახა, წელში გაიმართა:

— ფხიზლობ, ძაღლის ლეკვო? გააღე!

ლოლას შეშფოთებით გამოეღვიძა:

— შაქარა, ვინ არის, არ გაუღო!

— მამაა!

შაქრომ კარები გააღო. შემოვიდა კობა მთვრალი. წამით სინათლეზე თვალები დახუჭა და, როცა გახელაზე მიდგა საქმე, წარბებს მაღლა ეზიდებოდა, პირიც დააღო. კობა ოდნავ ირხეოდა, ქურქი გაეღელა და ვერცხლის ქამარზე ქისა ეკიდა. ლოლა შეძრწუნებული იჯდა, დამფრთხალ თვალებს ხან მამას მიაქცევდა, ხან შვილს.

შაქრო იცდიდა.

— მამი, ჯამაგირი აგილია?

კობამ ალმაცერად შეხედა შვილს, აიმრიზა და არა უპასუხა-რა. ასე იდგა მცირე ხანს. უეცრად ქალს მიაჩერდა, გაიწია, შესდგა.

ლოლა უფრო დაფრთხა. შაქრომ ანიშნა: — ნუ გეშინია! — და მამასთან ახლოს დადგა. კობამ თითი ჰაერში შეარხია და ლოლას ჰკითხა:

— ზორტი, ის ზორტი შენი იყო?

მუქარაც ისმოდა კობას ხმაში, ცნობისმოყვარეობაც, ხუმრობაც.

ლოლამ ზორტის არაფერი იცოდა.

— ჰო, ამისი იყო. — სიცილით მიუგო მამას შაქრომ.

კობამ შვილი მოიშორა:

— განა შენ გეკითხები? არა! — ლოლასაკენ მიიწევს:

— გამიგონე, ქალო, ზორტი ჯანდაბას. განა მე შენი შეურაცხყოფა მინდა? არა! მე მხოლოდ ამ ლაწირაკს ... ეგ ჩემი შვილია.

შაქროს მოუბრუნდა და მრისხანედ უყვირის, თან ლოლაზე უთითებს:

— ვინ არი ეგა?.. მეზობლებმა ამიკლეს, დიასახლისმა ამიკლო. მე გეკითხები, ვინ არი? უკანონოა?

შაქრომ წარბები შეიკრა:

— მამი...

კობა ყვიროდა:

— ვინ არი, ვინა? უკანონოა? აჰ?

შაქრომ ხელი მოავლო, რომ არ ეყვირა კობას.

მეზობელ ოთახში ტირილით გამოეღვიძა ბავშს; დიასახლისსაც გამოეღვიძა და ყურს უგდებდა მამა-შვილის ჩხუბს: დანარჩენი მეზობლებიც იღვიძებდენ; ნამძინარევ ხმით ატყობინებდენ ერთმანეთს:

— დახე, რა დღეს აყენებს შაქროსა?

შაქრო აღელდა:

— რაში გეკითხება, კანონიერია თუ უკანონო?

ასეთ პასუხმა კობა მოთმინებიდან გამოიყვანა. კბილები დაახრჭიალა:

— ააა, მაშ, მე შენი მამა არა ვარ? არა ვარ, შე ძაღლის ლეკვო?

— ჰო!

თავი დაუქნია შვილმა და გაიღიმა, რადგან მამამ ღილებში ჩაავლო ხელი და უნდოდა შვილის შერყევა, მაგრამ თვითონ დაბარბაცდა; შვილი წაეშველა და, როცა კობა წელში გასწორდა, ხელი მოიქნია და შაქროს სახეში ჩაარტყა.

ოთახი აირია.

ლოლა წამოიჭრა, მაგრამ შაქრომ ლოგინზე მიაგდო, შემდეგ ჯიბიდან რევოლვერი იძრო და შავი ლულა გაიმართა კობას გულთან.

კობა ყვიროდა:

— არ ვარ მამა, არა! დამკარ ძაღლის ლეკვო!

ქალს შეძრწუნებული თვალები გაეშალა და კივილიც ვერ მოეხერხებინა.

კობამ რამდენჯერმე მოასწრო ყვირილი:

— დამკარ, ძაღლის ლეკვოო.

ლულა შეტოკდა. შაქროს სინათლე მოეცა თვალში და რევოლვერი კუთხეში გადისროლა; ლოლა მიიჭრა, იარაღი უბეში შეინახა. მეზობლები შემოვიდენ და კობა გაიყვანეს.

დიდხანს იცქირებოდენ მეზობლები შაქროს ბინისაკენ. ამბობდენ:

— რა ლამაზი ყოფილა, რა ლამაზი! — და იგონებდენ თმაგაწენილსა და ფეხშიშველა ქალს, რომელიც ნახეს იქ თეთრი გულმკერდით.

კობა მეზობლის ოთახში შეიყვანეს. იქ ყველა ბავშებს გაეღვიძათ და ნამტირალევ თვალებით, პირში თითებ ჩადებულნი, უცქეროდენ, როგორ ირხეოდა ძია კობა. დიასახლისი კობას ამშვიდებდა და სახის ცბიერ ნაოჭებში უაშკარავდებოდა კმაყოფილება. კობა თავდახრილი იჯდა; მოუდიოდა ათასი ლოთური აზრი:

— არ დამკრა, არა...

და მუშტს გულში იცემდა, სადაც ჩავარდნილი გულფიცარია და სადაც უნდა ჩაწოლილიყო შვილის ტყვია.

— რატომ არ დამკრა, რატომ? — ეკითხებოდა კობა ხალხს და ქალები იწყებდენ წუწუნს:

— უი, დამიდგეს თვალი, განა მამას გაიმეტებდა?

— ვერა, ვერ გაიმეტებდა.

— ვერც გაიმეტა —

კობას ურჩევდენ ტანთ გაეხადა და დაწოლილიყო. რამდენიმე ხელმა კიდეც გაუხსნა გულსაკინძი; ქურქს მხრებში შეუძვრენ და უმოწყალოდ ეზიდებოდენ. კობამ რაღაც გადასწყვიტა, წამოდგა და ქალები ბჟირივით დაიბერტყა; დაღლილ თვალებში გამოუკრთა შორეული და ფარული გადაწყვეტილება.

— საით, საით, ძია კობა?

— მომეცათ, ან მე, ან ის...

კაცებმა კობა დააკავეს; კაცები ეუბნებოდენ ერთსა და იმავეს დიდხანს, სანამ კობა არ შეეჭვდა:

— მაშ ჩემი ბრალია? ჩემი?

არავინ ეუბნებოდა: არაო, და კობას, სწორედ გული დაეწვა, აუჩუყდა; მეზობლისას მოსვენებაზე უარი განაცხადა და წავიდა. თვალცრემლიანი გასცილდა კარებს და საჯინიბოსაკენ გაუდგა; მაგრამ, როცა იქ მივიდა, როცა ალაყაფს მუშტი დასცხო, — თვალები მოიწმინდა და დაიძახა

— ბაბაჲკა-ა-ა —

კობა უცდიდა ბაბაჲს გარეთ. გარეთ ღამე იდგა და არავის უცდიდა. მოდიოდა თოვლი ჩუმად და ღამეს უხმოდ ეძინა ქუჩაში.

ბაბაჲს მონატროდა კობას ხმა და, რომ გაიგონა, გაუხარდა ბაბაჲს:

— კობა, სად წავალდი შენ?

ასე გამოეხმაურა ბაბაჲ თავის მეგობარს და მისმა ხმამ სმენა დაუტკბო კობას. იცდის. ჯერ არავინ სჩანს გარდა ღამისა და ღამეში ვიღაც კაცი ეკითხება საამურად:

— სად წავალდი?

კობა ბუტბუტებს რომ: არსად არ წასულა, შვილთან იყო, ინახულა და სხვა ასეთები.

კობას გული ერევა და ნელა იკეცება ალაყაფის ბოძთან. ბაბაჲ გამოვიდა.

გარეთ ვერავინ დაინახა:

— კობა, ჰეი! — იყივლა მან და კობამ ხმა გასცა თავლიდან. კობას ათოვდა ცხვირზე, ულვაშებზე და ამას ვერ გრძნობდა. ბაბაჲკა დაიხარა, კობას ეზიდებოდა და იცინოდა.

ბაბაჲც ნაღვინევია და კობა ხომ მთვრალია. ერთად ჩაეშვენ დღეს სარდაფში, ერთად სვეს. კობა იძახდა:

— ზორტი, ზორტი, ზორტი! — და, მგონი, ზორტის საპოვნელად წავიდა.

ეხლა თოვს ღამეში და მეჯინიბეებსაც ათოვს.

ბაბაჲკამ კობა აიყვანა: კობას გამოეღვიძა და ისე გულიანად ხითხითებდა, რომ ბაბაჲკამ სიცილს უმატა და სულტკბილად იგინებოდა:

— მამაზაღლო შენ, მამაზაღლო.

ალაყაფი გაიხურა; მერე დაიხურა ოთახის კარი და ღამეში ისმოდა ძილის საუბარი; კობა ამბობდა გაურკვევ სიტყვებს, კობას ეძინებოდა აგრეთვე და ბაბაჲ ყურს უგდებდა და სიცილი თანისთან დაუფრთხა:

„რა უნდა კობას გულს, რა? რათ უნდა ის სიტყვები, მთვრალ გონებას რომ ამოსძურწავს და ბუბუნით რომ ისვრის დათოვლილი ულვაშებიდან?“ — ბაბაჲ ოდნავ დაღონდა; შემდეგ მკლავი მუხლებზე შემოიჭდო და, რასაც ისმენდა კობასაგან, — მღეროდა თათრულ ხმებზე. მაგალითად: ბაბაჲს ჰგონია, რომ საქმე ქალს შეეხება და აგონდება ლექსად თქმული:

არაკი იტყვის:

„ძველი შემთხვევაა ეს, ჩემო მთვარეო, თოვლში ჩამოვარდნილო და თოვლში დაბუდებულო მთვარეო.

ო, საქმე ქალია ყოველთვის და, თუ სიტყვა ქალზეა აწყობილი, მაშინ ბრძენი იცინის, ბრიყვი იცინის და, ვინც ვაჟკაცია და ღონიერი მკერდი აქვს, — მას გული უძგერს და განა შეუძლია იცინოდეს?

ჰო, ჩემო მთვარეო, შენ, რომელიც მობრძანებულხარ თოვლივით თეთრი და ბუდობ თოვლში“.

კობას სძინავს.

ბაბაჲ ქანაობს, მღერის და ეს არის მხარე, სადაც ყაზანელი თათრები ცხოვრობენ.

შემდეგ, ოდესმე, ბაბაჲ ეტყვის კობას, როგორ ინახულა მან თავისი მხარე:

დიდი ტბორია ლერწმებში ჩამჯდარი, ირგვლივ ფშანებია. ფშანები რომ ილევა, იწყება უდაბური ტყე. ტყეს ვერ მიჰკარებია ჯერ ადამიანის ხელი და მოხუცები მღერიან ტყის შინაარსს.

მღერიან ქაჯებზე, ჭაობებში რომ სხედან და გზებს რომ ნუსხავენ. ბაბაჲმ უშიშრად გაიარა ტყე.

ბაბაჲ ეძებდა თავის სიყვარულს და ტყეს ფესვები ქვესკნელში ჩაეგდო და ისიც თავის სიყვარულს ეძებდა.

ჯოგის ძაღლებმა მწყრალად დაუყეფეს ბაბაჲს.

ბაბაჲს სიჭაბუკე მოაგონდა და უნდოდა სულ ეყეფათ ჯოგის ძაღლებს. ველზე იდგა ქოხები და კვამლი ქოხებიდან მორცხვად მართავდა მწვანე თვალს ცისაკენ. ქოხიდან გამოვიდა ოცი წლის ქალი და აღმოსავლეთისაკენ გაიხედა; რომ გაიხედა — ვერავინ დაინახა, ხელები მწუხარედ დაიმტვრია და მიბრუნდა.

ბაბაჲ კი სამხრეთიდან მიდიოდა და ქალი საიდან დაინახავდა?

დაუძახა ბაბაჲმ:

„ფატიმა, ფატიმა!“

ასე ინახულა ბაბაჲმ თავისი სოფელი.

— უჰ!..

გათენდა დილა მოწყენის.

ქარხნის საყვირებმა ტანი აიყარეს. გაიღო ეზოს კარები და გამოჩნდა კობა; უქეიფოდ გამოიყურებოდა, უხმოდ მუშაობდა; შიშაგმა სცადა მეჯინიბის გამხიარულება, მაგრამ მეჯინიბე არ გამხიარულდა.

— ქეიფში როგორ, კობა? — ეკითხებოდენ.

კობა თავს აქნევდა და არაფერს უპასუხებდა.

შაქრომ შორიდან დაინახა მამა და თვალი აარიდა. მაშინ კობა ცოცხის ტარს დაებჯინა და დაღონდა. ასე იდგა დიდხანს. ბაბაჲმ მოკრძალებით ჩაუარა. ეზოში მანქანის გუგუნი გაისმა. კობამ გაიხედა: მიდიოდა მანქანა ეზოდან და მანქანაში მოსჩანდა შაქროს ზურგი, შავი კეპი და პაპიროსი.

კობა უეცრად შეირხა, ცოცხი დააგდო და დაუძახა:

— ბიჭო, შაქრუა!

შემდეგ კობა დაედევნა მანქანას.

— დააყე, დააყე, რამე გითხრაა.

ისმოდა ეზოში კობას ძახილი, მოუთმენელი ძახილი და დაღლილი მუხლები მიარბენინებდენ ქეჩის ჩექმებს; ყველამ გაიგონა და კობას გაკვირვებით მოჰხედა. შაქრომ არ მოიხედა, თვალები წარბებში შეაგდო.

მანქანა რწევით გადადიოდა ბოგაზე.

მამამ ქუდი გადიძრო და გამოუჩნდა უცნაურად თეთრი თავი; შუბლზე ოფლის წვეთები გამოსვლოდა; ქუჩის კარებში დადგა კობა.

შორს მანქანა მიჰქროდა; ბორბლები სტკვლეცდა წუმპეებს და ტალახი თხუპნიდა გამვლელებს.

სტეფან კასრაძე

1926

ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ

I

გზას გადაფერდილს, ციცაბო კლდეს,
ჩაკიდულს ხავსით და სიპი ქვებით,
მთა მთას სად შეხვდეს, რად შემოაკვდეს
ბარში ჩრდილებით ჩაზიდულს პირქვე.
ბარს ბარობაზე ვინ გადაუხმო,
მთა რომ დამჯდარა ზედ ფეხმორთხმული.
ხეებს ხორთუმი რამ გადაუხმო,
რად მისდევს უღრანს მარტო ურთხმელი?
ყაჩაღებივით რომ დგანან მთები,
რის მაქნისია, ან ვის რად უნდა?
გადავარცხნილი კალთებზე თმები,
ბარიდან მოჭრილ ქარს მიაქვს მუდამ
თუ გაელვა, — ხომ დაინახავ ცას,
თუ არა და სულ ბურუსი სველი
სიცივისაგან გალურჯებულ მთას
ეალერსება.

14

ფიცრის ყავარჯენს დამცდარი ოდა,
თავის წინაპრებს გზად მიჰყიოდა.
ჩალის ჩაფარი და აბრეშუმი
ეზოს ეჩროდა ქარის საფარად;
ქარმა ჩალები ისე შებურა,
რომ ოდა გახდა დასაბურავი.

ჭის ოწინარის გამხმარი ხელი
დღესაც ეჩრება მგზავრის უნაგირს,
რა ქონდა ეზოს სახარბიელო,
რა შერჩა ეზოს დასაბუნაგი?

16

ფეხშიშველა თვალს თოლიგე უვლის,
თოლიგეს ხერგავს თვალი საველე,
თოლიგეს თვალებს მუხა და მუმლი,
მუმლი თვალთაგან გადასავალი.
თოლიგემ თვალზე ნისლი გადიძრო,
გული მიუგდო გახრილ ნაპრალებს,
მოაჯირები ძელზე გადიძრა,
ძელგი თოლიგეს რას დააბრალებს.
თოლიგე ძილი, თოლიგე ბრალი,
თოლიგე, გელის ძელგი ფირალი.
გაგისივდება ხინგი ძარღვების
და ხინგებივით გადმოვა ზღვები.
თოლიგე, ჟანგი გულს გადაგირღვევს,
გულო, გულთაგანს ვერ გაუძღვები.

17

საღამოს ბინდი ჟამს რომ გადირეკს,
წამოედება ნაპრალებს ჩრდილი,
თოლიგე სხივებს სისხლად გადირევს
ტყეთ ნაძოვები, სისხლად გაზრდილი.
ნაპრალებია და გახრილ ფესვებს
შემოჰპარვია ჭაღარა ქვების,
თოლიგე სტირის და უნდა დღესვე
გამხმარი ფესვი ძუძუთი კვებოს.
ის ხემ გაზარდა, ნუ თუ ძუძუს რძე
არ შერგებია, ვერ გაანედლებს,
მაგრამ მას შემდეგ მრავალია მზე
და მზე, ვაი, რომ, კლდეს მიიკედლებს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

თოლიგეს სიმღერა

1

მთა მარახულად არა ღირს,
ბარი ცრემლების დენათა.
გულს ჯავრი სადმე გადაღრღნის,
გულს, გაზრდილს მიდორ-ველადა.

2

ცოდოა გული კაცისა
ჯავრი მთად აეზიდების —
ვაჟკაცმა, რაზედ დაფიცოს
ცისა და ქვეყნის დიდება.

3

ვიღა ენდობა მეზობელს,
ამბავს მთიდან მთას გადასცემს —
ბარში რაღაზედ ეძებენ,
მთაში დაკარგულ ვაჟკაცსა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ლაპარაკი შოფერთან პოეტების გასაგონად

შოფერო, შენ ჯანს, მითხარ, რა უძაგს,
მთები არა აქვს ფეხით სავლელი.
ტფილისიდან თუ შორს ძევს ძაუგი,
მანძილი ხომ გაქვს შენ განსწავლილი.

მთელი დღე გარჯილს განჯინებივით,
დაგაქვს მგზავრებთან ფეხსაცმელებიც.
არ უძახი გზად მეჯინიბეებს —
დილიჟანსებს რომ ჰყავდათ მცველებათ.

შემოხვედრილი გოგო-ბიჭები
გზას სათვალავში აურევია.
მინდვრები გვხდება ქუსლ ნაბიჯარი,
აღმართიც — ხშირი ნაურმებია.

მაგ შენ სახედარს გზების ტალახი
აინუნშიაც არ ეხრილება.
ან რად სჭირდება ჩაიბალახოს
მინდორში გულის გასაგრილებლად.

(მაგათ რა უთხრა, პოეტებს მართლა,
რომ ურჩევნიათ ურმის შეხვედრა.
ბავშები არ ვართ, ჩვენ უკვე გვმართებს,
შენში ვხედავდეთ ახლობელ მხედარს).

მაგ მოტორები უცხოეთის გემს
მოატანინა გასროლილმა ხმამ.
გააკეთებდა საცოდავი ჯემს
ან და მისი ძმა.

შორეულიდან მოსულ სახედარს,
თუ გულის ნაცვლად მოტორი უძევს,
ჩვენთან ისეა, თითქოს სახლს ხედავს
და ბავშობიდან აქ დაეფუძნოს.

მაგრამ შენს პირუტყვს უღელისადმი
აქვს ხასიათი ახირებული.
მე შენ გეტყვი და გადივლის სადმე
მეზობლის ყანის ასაოხრებლად.

შენთან წამოსულ ცხენს ვერ უვლია,
გამოუყვია გზა ნაწილებათ.
მით უფრო ურემს სად შეუძლია
შენოდენი გზის გამანძილება.

სოფლად ერთი ჰყავს ცხენი მამაშენს,
შენ კი ორმოცი ცხენის ძალა გდევს.
დრო არის — ჭირმა გადააშენოს
ეხლა ურმობის მღაღადებელი.

ნიკოლოზ ჩაჩავა

26 წელი

რომანიდან: მუხა

(ერთი თავის მასალა)

გვარდია უკან იხევდა.

წესრიგი დაირღვა, ყველა დაეცა სულით.

იყო: დაღლილობა, ჭუჭყი და უიმედობა.

საიდანღაც ისმოდა ზარბაზნების გუგუნი და არავის ესმოდა, თუ რად იყო საჭირო ეს სროლა, ყველაფერმა დაჰკარგა აზრი და შინაარსი.

მიდიოდენ ისინი უწესრიგოდ, მიწასთან გასწორებულნი, გახრწნილნი და აგურისფერი ქეჩის მაზარა მოხურულ ზურგზე აწვათ უსასოება და წყევა.

სადგურზე ყორესავით იყო მიყრილი ორთქლმავლები, რონოდები, ზარბაზნები, ფურგონები, სამხედრო ცხენის ურმები, მდევის ბარკლებივით ეწყო ნიგვზისა და ჭანდრის ხეები, იყო ყიჟინა, ორომტრიალი, ვახარამაცი და ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვის რა უნდოდა, ვის რა სტკიოდა.

მთავრობამ ცეკავშირის ვაშლის საწყობები გახსნა და მიწისძვრისაგან დიდიხნის დაქცეულ სადგურზე სისხლში, კვნესაში, ტკივილებში წამოვიდა წვიმა ვაშლების და ლოყაწითელი ვაშლები იწვენ ტალახში ბავშებივით მხიარულად და გვადა მატახერია უცქერის ნაღვლიანად ამ ვაშლებს და აგონდება სასტუმრო ოთახი კლეინის რეპროდუკციებით, მრგვალ მაგიდაზე მორთმეული დესერტი, ყავა და ნაფარეული...

იქ, სიჩუმეში, როცა ქვეყანაზე იყო თებერვლის ნისლიანი და მძიმე ღამე, ტყვიასავით მძიმედ დაშვებულს დუმილში დარჩა ტფილისი.

ახლა ტფილისი წითელია და ტფილისში ფრიალობენ წითელი დროშები. გვადა სცდილობს წარმოიდგინოს წითელი ტფილისი, მაგრამ ვერ ახერხებს: წითელი დროშები ეფარება მის გონებას.

სადგურზე დაღვრემილი დგას და უცქერის როგორ ლაზღანდარობენ ღია რონოდაზე ზარბაზნებში და მაზარებში ჩამჯდარი მისი ბატარეის ამხანაგები.

ვინტოვკის კონდახი სახელოთი გაუწმენდიათ, ზედ ტილები დაუსვამთ და ისინი გარბიან თოფის კონდახზე, ჯარისკაცები ხანდახან მიმართულებას უსწორობენ, ჰყვირიან, აქეზებენ უცნაურ ბედაურებს და ასე არის გამართული საოცარი დოღი, რომელსაც მხოლოდ ჯარისკაცი თუ მოიგონებს თავის გაძაღლებულ სიცოცხლეში. მხედრები იცინიან და თან დედასა და ჯილაგს აგინებენ ამ ქერა ქალბატონებს და სანაძლეოდ თითო აბ სახარინს იგებენ.

ყველაზე მეტს ზემდეგი ატილა ბღავის, როყინობს, მერე აიყვანს თავის გამარჯვებულ ფალავანს და ისევ იღლიაში ისვამს.

— არ შაგცივდეს, ბარიშკაჯან!.. — ამბობს ის და ყველა იცინის. გვადა უცქერის მათ ნაღვლიანად და ისიც იღიმება.

ეს ხალხი არის ერთადერთი, ახლა რომ სიცილს ახერხებს. ეს სტუდენტობაა, — არტილერიის მოხალისე ჯარისკაცები, — ისინი მუდამ იცინიან, მუდამ უხარიათ სიცოცხლე. ისინი სოფლის შვილები არიან, მოსწყდენ სოფელს და სოფელს არ უნდა ისინი, მოვიდენ ქალაქში, მაგრამ ქალაქი არ იკარებს ამ საშუალო განათლების პროვინციალებს და ასე არიან ისინი შუაში, არც იქით, არც აქეთ, არც ინტელიგენცია, არც გლეხობა, და მათ არაფერი გააჩნიათ გარდა ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობას არ შეუძლია ხანიერი დარდი და ჩივილი.

ერთი მათგანი მუდამ დაღვრემილი ზის თავის ზარბაზანთან, უცქერის ტყვიისფერ ცას და ვერ შერიგებია აზრს, რომ ტფილისი დასტოვეს.

ამხანაგები აჯავრებენ მას. მისი სახელი: „აბრატნი კნიაზი“ და აბრატნი კნიაზს ახლა „ცრემლშეუშრობელ ტარიელს“ ეძახიან.

ღია რონოდებზე ეყარა სამხედრო ტანისამოსი, პერანგები, შპაკური ფეხსაცმელები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვეველები: მაქსიმა, ლუის... პანორამები, სამხედრო სამზარეულო ქვაბები გვერდზე მოქცეულ თუნუქის ბუხრებით და იქვე, ამ უთვისტომობაში, ეგდო ბავშის შიბაქი.

ვიღაც გვარდიელმა ფეხი წაჰკრა, მერე აიღო, მიიდო და მუცელატკიებულ ბავშივით დაიწყო ჩხავილი. ამხანაგებმა მხოლოდ გაიღიმეს, მაგრამ მერე თავი მიანებეს, ვის ჰქონდა მისი თავი!

სადღაც შორს მწყობრი სროლის ხმა მოისმა; ეს, ალბათ, ან ბოლშევიკები იყვნენ, ანდა მთავრობის საველე სასამართლო დეზერტირებს ხვრეტდა.

სადგურში ისევ ის გამუდმებული, ტვინის ამომღები ჟივილი იყო ბავშების, ყაყანი ქალების, სახალხო გვარდიელები დედას აგინებდენ მთავრობას და სადღაც იქვე ტელეგრაფის აპარატი ხროტინობდა მომაკვდავივით.

— გაგვყიდეს!..
— დავმარცხდით!..
— მტერი ახლოს არის!..
— იმათ რა უჭირთ, საწყალმა ხალხმა იკითხოს თორემ!..
— შენ ნუ გეშინია, ძამიავ, კი მონახავენ გზას!..

სადგურზე დადიოდა სუფთად ჩაცმული „ინტელიგენცია“, ჯარისკაცები მათ მტრულად უცქეროდენ, სადღაც შორიდან ისევ მოისმოდა ყრუდ კანტი-კუნტად სროლის ხმა, ქშინავდა ჯავშნიანი მატარებელი, ჭრიალებდა ურემი, ისმოდა სამხედრო ბრძანება, ცხენები ხვიხვინობდენ, სტიროდა ძუძუთა ბავში და ყველგან იყო ტალახი, ჭუჭყი, უნიათობა და ამ უნიათობაში სადგურის იქით მოსჩანდა გადათოვლილი მთები თეთრად.

სადგურის უკან ეგდო თავგადაგლეჯილი საკერავი მანქანა ზედწარწერით: „K-o Singer“ და იქვე ზინგერის გვერდით იჯდა ვიღაცის თეთრი სეტტერი, უკანა თათებზე ჩაცუცქულს, პირი ცად აღეპყრო და ასე შეჰყმუოდა ტყვიისფერ ცას, სტიროდა გულის შემღონებლად, ეს ყმუილი შემოდიოდა სულში და გვადა მზად იყო თვითონაც ასევე დამჯდარიყო ამ ტალახში და ეყმუვლა ძაღლივით.

— სული შემიღონა ამ რჯულძაღლმა, მაგისი პატრონი!.. — წამოიძახა იქვე ცეცხლის პირას წამოწოლილმა გვარდიელმა დედის გინებით, წამოიწია, ვინტოვკა გადმოიღო და ესროლა.

ძაღლმა ერთი უცნაურად შეიკნავლა, შეხტა ჰაერში და სულგავარდნილი დაწვა ტალახში ბავშივით. გადმოვარდნილი ვარდისფერი ენა წვერით ტალახში ჩაეწო, — ენაზე მოწანწკარობდა სისხლი და ტალახს უერთდებოდა.

— რა ამბავია?..
— მოვიდენ!..
— ისვრიან!.. — ასხრიალდა ხალხი სროლის ხმაზე, ატყდა ჟრიამული, მაგრამ, როცა სროლა არ განმეორდა, ყველა დაშოშმინდა და სახეებში იყო ისევ პირუტყვული უანგარიშობა.

გვარდიელმა ერთი გაიღიმა ამ ორომტრიალზე, მერე ვინტოვკა გვერდით მოიდო და წაწვა ისევ. მისი ამხანაგები ისხდენ ცეცხლთან და ფეხებს იშრობდენ. ზოგი მათგანი მიგდებულიყო და ეძინა, ზოგი ქვაბით ჩაის ადუღებდა, ზოგს პერანგები გაეხადა (თითოს ხუთ-ხუთი ეცვა) და აშრობდენ.

— ეი, თქვენ, რას აკეთამთ მანდა, თქვენა მამაზაგლი!.. — დაიძახა უცებ ვიღაც თავზე წამომდგარმა ცისფერ თვალებიანმა ოფიცერმა. ის მაღალი იყო, მოხდენილი და ქალივით ლამაზი. — ახლავე ბატალიონში ცადით, მტერს ალკა უნდა დავარტკათ!.. — სთქვა მან რუსული გამოთქმით, მაგრამ გვარდიელებს ყურადღება არ მიუქცევიათ, — ისევ ისე განაგრძობდენ თავის საქმეს.

ის გვარდიელი, წელან რომ ძაღლი მოჰკლა, ფეხზე წამოიჭრა და ავი ყუბაქივით შეუტია:

— რას ვაკეთამთ და ვირებს ვკოდავთ, ვერ ხედავ!.. — გააჯავრა მან ოფიცერი, — ჩვენ მეტი ომი არ შეგვიძლია, გვცივა!.. წადით და ახლა თქვენ იომეთ!..

ოფიცერს უნდოდა შეეტია, მაგრამ შეატყო რომ არც ლაპარაკი და არც ყვირილი არ გაუვიდოდა, ერთი ღონივრად გადააფურთხა და წავიდა.

გვარდიელებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს და ხმა არ ამოუღიათ.

ერთმა მოხუცმა ახედა მხოლოდ, შეაგინა, მერე თავი ისევ მუხლებში ჩაჰკიდა და ნაღვლიანი ღიღინი დაიწყო.

— შეიძლება, ძამიებო, ცოტა გავთბე?.. — მოესმა სიმღერაში მოხუცს, აიხედა, თავზე ვიღაც ტანაყრილი შალმოხურული ქალიშვილი ადგა. მოხუცმა გვარდიელმა რატომღაც ფეხებზე დაჰხედა და დაინახა, რომ ქალს ფეხის თითები გახეულ ფეხსაცმელში გამოყრილი ჰქონდა და შეებრალა.

— დედა მცხეთაში დამებნა, ვერ ვიპოვნე, მარტო ვარ, უპატრონოდ... მოვკვდი, ძამიებო, სიცივით და იმიტომ... — სთქვა მან აკანკალებული ხმით მოკრძალებით, მერე ხმა ჩაუწყდა, გაჩუმდა და ქუთუთოებზე ორი მსხვილი ცრემლი გადმოეკიდა.

გვადამ იცნო იგი.

ეს ქალი მან ამ დილით ოფიცრების ვაგონში ნახა.

ოფიცრები პირველ კლასის ვაგონში ისხდენ და კონიაკით გალეშილნი ვიღაც პროსტიტუტს ელაზღანდარებოდენ.

პროსტიტუტს დუნიაშას ეძახდენ და ისინი ეთამაშებოდენ მას სანაძლეოზე: ყველა ერთის წინააღმდეგ, მორიგისად.

ოფიცერი შებრუნდებოდა, შარვალს გაისწორებდა, ხალათს გრძლად ჩამოუშვებდა, მერე შემოტრიალდებოდა და ეკითხებოდა:

— À í ó-êà, äóí ÿø à, ñ êàêî é ñòî ðî í û ó ì åí ÿ?..

თუ დუნიაშა გამოიცნობდა, მაშინ მას აძლევდენ მოგებულ შაქრის დიდ კენჭს და ასმევდენ ერთ ჭიქა კონიაკს, თუ ვერა, მაშინ ის სანაძლეოს მომგებს იქვე გვერდით კუპეში უნდა დანებებოდა უფასოდ.

იყო ხარხარი, გინება და უწმაწური სიტყვების ხმარება.

ის ქალიშვილიც იქ იყო, კუთხეში მიჭუჭკული და ზარდაცემულ მაყვალივით შავ თვალებს დამფრთხალ შველივით აცეცებდა.

გვადამ შეხედა მას და ის ისე სუფთა იყო, ისე ბავში და უმწიკვლო, რომ შეეცოდა.

მივიდა და ჩუმად უთხრა:

— რა გინდა შენ აქ, დაია?.. ხომ ხედავ, რა ამბავია? წადი, დაია, წადი და სხვაგან მონახო, იქნება, ბინა!..

ქალმა მადლიერი თვალები ვარსკვლავებივით შეანათა, ადგა, შალი მოიფუთნა და გარეთ გავიდა.

ახლა ის აქ მოვიდა და უნდა გაათბოს თავისი სათუთი და სუფთა სხეული ცეცხლთან. მას სცივა, სულ მთლად ძიგძიგებს, ის ჯერ თითქმის ბავშია და ეს თექვსმეტიოდე წლის გოგონა სინათლესავით შევიდა მის გონებაში.

— დაიკარგე იქით, შე კახპავ, შენა!.. ვისა აქვს ახლა შენი თავი!.. — შეუტია ისევ იმ გვარდიელმა, წეღან რომ ძაღლი მოჰკლა, მაგრამ მოხუცმა გააწყვეტინა:

— გაჩუმდი, შე ხვადაგო, რას ერჩი ამ საცოდავ ბაღანას!.. ღმერთი არა გწამს?.. შეხედე, სიცივით მომკვდარა, საცოდავი!.. — მერე თაგვივით წვრილი მოსიყვარულე თვალებით შეხედა გოგონას და ალერსიანად უთხრა:

— მოდი, ბავშო, მოდი, გათბი!.. მოდი, ნუ გეშინია!.. მე სწორედ შენოდენა ქალიშვილი მყავს, მას კესანე ჰქვია და მიცდის ახლა სახლში... ის ხიდისთავშია... გაგიგონია შენ ხიდისთავი?.. გურიაშია, ბაბა, გურიაში... იქ მწვანე მთებია, ოდები და მე ძალიან მიყვარს კესანე... მოდი, ბაბა, მოდი, გათბი!..

ქალმა მადლიანი თვალები შეანათა, დაჯდა მორჩილი და მთლად დანდობილი და ისე საცოდავად, უნუგეშოდ მიიჭუჭკა მისკენ, რომ მოხუცს ყელში ცრემლები ბოლმად მოაწვა, გული მოუვიდა და გვერდით გადააფურთხა.

— ეი, შე ბებერო ქოფაკო, არ შეიძლება, ერთი მაგ შენმა გოგომ სამსახური გაგვიწიოს?.. — დაიძახა ისევ იმან, მაგრამ მოხუცმა ისე შეუტია, რომ მას ხმა ჩაუწყდა. ამხანაგებიც წამოექომაგენ მოხუცს და ცეცხლს შეშა მიაყარეს, რომ ბავში გაეთბოთ.

როცა გოგონამ სული მოითქვა, მან დაიწყო ჩურჩულით, ისე რომ სხვებს არ გაეგონათ:

— რა ვქნა, ბიძია, შევცდით... მამაჩემი პოლკოვნიკია, ლაგოდეხში ჩარჩა... ქვეყანა მორბოდა და ჩვენც გამოვიქეცით... მე და დედაჩემი... — თვალებზე ცრემლები მოადგა.



ირ. გამრეკელი

„ზაგმუკი“-ის გაფორმება
მაკეტი

— არაფერია, ბაბა, ჩემთან ნურაფრის გეშინია!.. ისე იქნები, როგორც შენ საკუთარ მამასთან!.. — სთქვა მან, მერე ჯერ ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი, ვაშლი ამოიღო და მისცა, მერე მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი და სამი ქვასავით გამხმარი გალეტი ამოიღო ზედწარწერით: „õóòî ðî ê“ და ისიც მისცა.

— ჭამე, ბიძია, ჭამე!.. მშიერი იქნები!..

ქალმა მადლობა გადაუხადა, ჯერ გალეტის ხურხნა დაიწყო, მერე ვაშლი მოკბიჩა და სჭამდა იგი ბავშვივით შესაქცევად. სითბო თბილად წავიდა ძარღვებში, დაკარგული დედა მოაგონდა, გული აუჩვილდა და გრძელ ქუთუთოებზე მარგალიტებივით გადმოკიდებულ მდუღარე ცრემლებით მიეძინა ცეცხლის პირას ხელში შერჩენილ მოკბეჩილ ვაშლით...

ეძინა მას მყუდროდ დაღლილ-დაქანცულს და წყნარად სუნთქავდა. ცეცხლი აფიცხებდა მის სახეს და, გადმოყრილ გრძელ თმებით ლოყააწითლებული, ის იყო ლამაზი და შესაბრალისი.

გვარდიელებს გული აუჩუყდათ და მოსიყვარულე თვალებით უცქეროდენ გოგონას. ის გვარდიელი, ძაღლი რომ მოჰკლა, დიდხანს უცქეროდა მას, მერე წამოიწია, თმაში ხელი ისე სათუთად მოჰკიდა, რომ ქალს არ გამოღვიძებოდა, და აკანკალებული ხმით სთქვა:

— საწყალი ბავში!..

სხვებმაც გადახედეს მას და თანხმობის ნიშნად გაჩუმდენ, მაგრამ მას გული მოუვიდა, რომ ასე გამოაჩინა თავისი გულჩვილობა, შეიგინა და გვერდზე გადააფურთხა.

ამხანაგებმა მხოლოდ გაიღიმეს და ისევ ისე ჩუმად უცქეროდენ.

გვადა მოშორდა მათ და ბატარეაში წავიდა. ჯარისკაცებს ეძინათ. შუაში იდგა ნაცრით სავსე ძველი ტაშტი და ზედ ვაზნის ყუთების ფიცრები იწვოდა. არ ეძინა მხოლოდ ერთ ქართლელს, სახელი: ნიკოლა, მის გიმნაზიელ ამხანაგს, ისინი ერთად სწავლობდენ. დასხდენ და ლაპარაკობდენ ამ მთისას, იმ მთისას. მერე ნიკოლასაც მიეძინა. გვადა წაწვა და ფიქრობდა ჯერ იმ გოგონაზე, — მას ეძინა ახლა იქ ცეცხლის პირას და ხელში მოკბეჩილი ვაშლი ეჭირა. მერე მას მერი მოაგონდა, მერე კიდევ რაღაცა და აირია ყველაფერი...

ახლა მერი იქ არის, სახლში. იქ მყუდროებაა, სისუფთავე და გვადას ისე მოენატრა სუფთა ლოგინი და მერის წკრიალა ხმა...

მერი დადის ახლა ოთახში, ფიქრობს გვადაზე და მას მოაგონდა ჩინელ პოეტის ლიუ-იუისის ლექსი, რომელსაც ასე გრძნობით კითხულობდა ხოლმე მერი როიალის აკომპანიმენტზე:

ცხრა მთას იქით წახველ შენ
ჩვენი ქვეყნის შორეულ საზღვარზე საომრად.
მე ისე მეძნელებოდა
შენთან განშორება!..
შენ ახლა, ალბათ, გახდი,
ამდენი ომ გადახდილი და გაჭირებაში მყოფი...
მე ზამთრის ტანისამოსს გიკერავ
და თან ვშიშობ, ვაი თუ სრული მოგივიდეს...

და ცეცხლის ტკაცუნში მიეძინა.

დემნა შენგელაია

პოემიდან: ჩემი დანაშაული

წვიმების ქვეშ

ახლა ვიგონებ გამოვლილ თვეებს
მთაწმინდის გაღმა
და ჩემი მხრები შენი ტრფობით ჩამოთოვილი
იხრება ქვემოდ
და სიბრალულით ხეებსაც ახმობს.
ჩვენ გავიარეთ ამ მთებიდან სამხრეთისაკენ,
დასავლეთიდან წამოვიდენ ღრუბლის ზანგები, —
ცა გადმოეშვა ძირს, შრიალით ამონაკვნესი
და აგალობდენ მთიდან მთები, წვიმის ჰანგებით.
ჩვენ აგალობდენ შორს,
ხეებიდან მოშორებული,
ტრიალ მინდორზე ღეროებად მდგარი ისრები,
მთიდან ქარბუქი წვიმის სიმებს მოაშრიალებს,
თითქოს დარდია წვეთთა ხმებით შესრულებული.
მოგვისწრო წვიმამ, ჩვენ დაგვეცა ცრემლები მძიმე,
დაგუბებულად გადმოდიან ღრუბლები ციდან,
გამომიწოდე ხელი საშველად, ჩამოჰკარ სიმებს,
ვფიქრობთ: კვნესაა — ამ წვიმების პროვინციიდან.
წვიმა ჩამოდის, აკვნესებს სიმებს, დანესტილ სიმებს,
წვიმა წუხილს შლის, ამ მწუხრს აკვნესებს.
შრიაოჰ წვიმას შლის — მიშველე სიმონ —
გვისველებს ტანს, გვისველებს სულს ნეკნესებივით.
შრიალებს შარას — ჩამოდის სულში დანესტებული,
მომეცი ხელი, — არ არის დრო ამაყი ფიქრის,
წვიმაში შენ სისალუქე დაგისუსტდება.
შენ გცივა ახლა, და დასველებულს სხეული გითრთის,
წვეთთა სიმები დანესტავენ ღრუბლების ნაღველს,
მთაწმინდის წუხილს ეს წვეთები ესხურებიან.
ჩემი წუხილი, ნეტავ, ამ წვიმას გადაღმა გაყვეს
ალბათ, იქნება სადმე კაცი წვიმის სევდებს მოწყურებული.
სუნი გაქვს ხორცის ამ წვიმაში ძლიერ მსუბუქი,
წვიმის მესტვირევ, სევდა დაეცი მოწყვეტილივით.
შფოთავს შტოები — სიშორე გვშურს ბედის შუქივით
და წვიმის პლაშჩი მინდორს შრიალებს წყვდიადებიდან.
შორს მოტეხილი ხე — ბავშივით ჰყვირის, —
მუხლებში შიში: — ჰკრთი და ჰკანკალებ.
წვიმის თმებიდან ჩვენ გავიგონებთ დანესტილ ტირილს
და ჰყრიან შტოებს ქარბუქები დაკონკილები.
წვეთთა წკრიალი შტოთა კალმებზე, —
ჩვენ ვკარგავთ თვალებს — ვინ ნახავს იმას —

ჩვენ გვაყრის ზეცა წვეთთა ალმასებს
და ეფარება ხორცის ცოდვა დამკარგველ წვიმას.
ნეშოები შორს — მიბაძვა უნდა ხეების შრიალს,
ო, შენ მიშველე, ჩემო კარგო, რა საშინელი ამინდებია!
ნეშოები შორს — ხეების მტვრევას მოხშირებულებს,
ცის სიმწვანენი წვეთთა დარდით აენთებიან.
ნუ გეშინია, გზა გვანუგეშებს და ვიწურებით,
განუკითხავად დღეს ზეცისგან ტანჯვას ვღებულობთ.
მივდივართ მინდორს — ჩვენ სიმშრალეს მოწყურებულნი
და ერთმანეთი მაინც გვიყვარს ამ წვიმაში დასოვლებულებს.
მიდის ეს ტანი ამართული, როგორც ნალია.
ის იტანს სივრცეს და ზეცისგან მტანჯველ მოხვიებს,
რომ წამოხვედი ამ წვიმაში ჩემი ბრალია,
მომიახლოვდი — წვიმა შრიალებს — ხელი მომხვიე.
შენ სოველი ხარ ქალწულობის ყოველ რბილამდე,
მეც სოველი ვარ, სინდისის დავრჩი ამარა,
ნეტავ, ჩემ სხეულს ამ სინესტით მაინც სძინავდეს.
და არ ეძებდეს უბსკრულების გამრღვევ კამარას.
ასე ვდიოდით ჩვენ ნისლების გადაღებამდე,
ორი სოველი, — ორთქლიც გვდიოდა სხეულ ანთებულს.
ვხედავდი, დღეს შენს ქუსლებთან სულს რომ ჰღაფავდა.
და შენ მუხლები გეკვრებოდენ სოველ კალთებზე.
ნუ გეშინია, გზა გვანუგეშებს მობოდიშებით,
მამშრალებივით ღრუბლები დიან გულ დაგეშილი.
სოველი ვრჩებით მსოფლიოში მხოლოდ მე და შენ
და ვერასოდეს ვერ გავშრებით გუშინდელივით.
შემოდის წვიმა ყოველ რბილში ნეკრესებივით
და მთიდან მთები შავდებიან აკვნესებული.

სიმონ ჩიქოვანი

მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს

შენ გქონდა სული დარბაისელის, ფიქრნი დაყარე ნაპობებივით
და აბედივით თუ ღეჭავ ღრუბლებს, ცის სხეულობას ამით იბედებ.
წლები წარმოდგენ შენ გრძნობებიდან სევდების ნესტით დაობებული
და ცის ლაქებზე დასდევ მერანით ლამპის რგოლიან ველოსიპედებს.
შემოღამებით მოდიხარ შენ — მთაწმიდას ურტყამ მათრახს და ნალებს:
ადამიანო, მიზანს მოხედე, მოგაძებნინებ დაკარგულ საგნებს,
წარსულ დროებას სიბნელეში ამოსაშრობად ჩაუქრობ თვალებს!
და შორს მირეკავ მოძრაობისთვის ჯერ დაუძრავ მთების აქლემებს.

მე ხმელ სხეულით მოსიარულე და მწიგნობარი ასახსნელი შარადებივით,
გამხმარ მკლავებით ცხოვრების ღერძზე უძლურობით ჩამოცდენილი
ვგოდებ მერანით დღეთა დაფაზე გადაუშლელ ჭეშმარიტებას
და გრძნობები სჩანს ხალხის ფეხებით ნათელი და გადაცელილი.
არ ვყიდით გრძნობებს და სინდისი კაცობრივი მაინც გვღალატობს,
ლამბაქებივით ჩვენ დავაწყეთ სივრცეები ხალხის სუფრაზე;
ცა გადაგვეხა ჯაგრის თმებზე, გაქურდულებს როგორც ქაღალდი,
სადაც ეწერა ჩვენი კაცობა, ადამიანთა მიუღწეველ თავისუფლებათ.
შენ პირველი ხარ და უკანასკნელს ჩემში ხედავს დროს წლოვანება,
მოგაქვს დაცინვა გაუმართავი და სამუდამოთ გატეხილი პატიოსნება,
და ჩვენ ვქმნით გრძნობებს, სიცოცხლეში ძაღლებივით აწრიალებულს,
და შიშველ სულში მეც მესობიან ღამეები მტანჯველ ლურსმნებად.
მათრახის დარტყმით ფერდები სტკივა მთაწმინდის მიწას მოსულდგმულებულს...
შეხედე ჩემს მკერდს, ბეჭედი აზის დამდაღველი მიზნის მახვილით.
მე შენ გასრულებ, მაგრამ ჩემს შემდეგ ვინ შეაგროვებს ჩემს თქმულებებს,
ვინ მეტყვის მე, მადლობა შენ, წინაპარო, რომ ადრე მოხველ,
მადლობა დროს და შენს აზრებით გადაბერტილ ბრძოლის მინდორებს,
მეც ვცდილვარ შენებრ მგზავრის გრძნობების და სურვილების განპიროვნებას.
შენ ვერ იშორებ ყორნების ჩხავილს და დაეკიდე საუკუნეს კოშკზე კიოტად,
მიგაქროლებდა შენ მერანი კლდეთა გამპობი, მკერდ მოპირული,
მოგდევდა ერი უქალამანო და ბრბო ტკივილებს შენს მოჰკიოდა.
გამოიცვალა ქუდი ცხოვრების, ამ საუკუნის მე ვარ საყვირი,
მუხლები ურტყამს ფეხებს მახვილად და არ მოსულა სულის ფსალმუნად.
ღონე მიხდილებს წიხლი ჩავკარი, მე ტკივილები აღარ მახველებს
და საქართველო ფეხზე ადგომით ჩემში შენ წყლულებს მოგესალმება.
შენ მეუბნები: რიჟრაჟი სულს შეწუხებულს კვლავ დავაპკუროთ,
გავაქრეთ მერანი, მოძრაობაში გადასული სული ნებივრობს,
გამოსავალი ხალხში არ არის, ცხოვრების გზები არის შეკრული
და ღამეებმა სახურავებზე გადაიქროლეს ფრთიანებმა ყორანებივით.
ჩემი სხეული ძვლების გიდელი, გადაჭინთული ძარღვთა ღვედებით
დაეწაფება მიწის ცხოვრებას და არ მოელის ციდან მანანას.
ვერ ნახავ ბილიკს, ამ ცხოვრებიდან შემოგყეფს მტკვარი თავგამეტებით
და ჩემი ხათრით ხალხის წინაშე ყველა ცოდვები მოგინანიე.
თუჯის ნალებით აბიჯებ რიჟრაჟს და გადმოდიხარ დარბაისლური.
შენ მშვილდი ხარ და მე ისარი — ბრძოლას შევადგენთ გამოგონებულს,
მე ვიხდი ბოდიშს, რომ ანდერძები შენ სათითაოდ ვერ აგისრულე
და თვით შევავსე შენი გრძნობები, რომ დამდგარიყო ქვეყნად სუნი მაგნოლიების.
და თუ შენ ფიქრობ, ჯერ მე ბავში ვარ, სიბრძნის კბილი ჯერაც მაკლია,
და ძლიერ ვჩქარობ, რომ ვამზადებ სამერანოთ დადაღულ კვიცებს,
მე გიპასუხებ: გული დიდი მაქვს, ადამიანთა ვარ საძირკველი
და შენი სისხლი, ჩემ ძარღვში რომ სდგას, შთამამავლობას მე დაუმტკიცებ.

სიმონ ჩიქოვანი

1926, აპრილი

ქარბორია

ფაფარი, ფუნჯირი ფარდული, ორველი ცხენების.
გაფრინდი, მერანო, მერგილი, შორიდან მინდორს და ნალიებს!
გქონოდეს, ულაყო, ფეხბურთში სიმაგრე, დამჭედის ცხონება —
ადრინდე გაფრინდი, გაშორდი რიჟრაჟს და გზას მოინანიებ.
ნატორი — ნადირი ტიროზე მან მტვერი ტირიფი ადინა,
გაქცეულს ცაბორი, მოვარდნილს ცაბორიო, ცაბორიო და მორიო!
მოვარდნილს ქარბუქი ცხვრის ჯოგებს უკოჟროთ მოდენის,
გარიჟრაჟს სიმღერა ღარიბი შორს და ქარბორიას
დაბარულ ბელტებზე მინდორი ნაგზავი, წინ კოინდარია.
კაჟს და კლდეს გახეთქავს შეხედავს ქორებულ მადანებს.
ყვარუნის ჩხავილზე ისროლის მუგუზალს — ცა-მოიდარიე —
მან მტვერი თქარუნით და ოფლის სიბრაზით ფაფარზე ადინა.
ნაგზაურს ნაგრაგნი-ნამრუდი ქავქირი მუდე და ხაბორდა,
ყურთმოჯი ნასროლი — მან წყალი წურბელი ალიონს დალია,
ეკლებზე დაგლეჯილს და მელოტს მოკალულს ცხვრის ჯოგი ჩაბარდა.
მერანო, აღვირი, უზანგი, მათრახი — სულ ნაქურდალია.

ჰე, გზაო ნაკლებო, გზას მისდევს გაკვალულ ებიონს!
უძახე: მარულე, იჩქარე, ტორებო, — ცა მოიდარე!
გამომზრდელს იგონებს, მუგუზლით გამომხმარ ბებიას.
ცაო და ცაბირო, უდროოთ დამტოვე გადუვლელ ველებში,
ცაო და ცაბირო, გაქცეულს უდროვოთ რათ მითენდებიო.

მოზიდე აბზინდი, გადახნულ ბარებზე დააგდე აუგი
და ყვირის მგზავრობა: — წყაროზე რიჟრაჟის სიმჟავე დალია;
არა უზამს, უზანგი, ორიზო და მდევრებს სიბრაზეს დაუგებს.
მერანი, აღვირი, მინდორი, უზანგი — სულ ნაქურდალია.
ფუტურო-რო ფოტრო, ცაშორი, ჩხრიალი, ჯანდაბას!
ცაბორიო მარულე, ავშო და სიმღერა ყეფა ხარს.
დღეს ოფმა ფეხბურთში ტრიალი მინდორი დანამა
და მდევრებს კლდის კაჟი ესროლოს, თუ შემოგეყაროს
ფაფარი ფარდული, ფაფარი ფუნჯირი, მინდორს და ნალიებს!
გაფრინდი, მერანო, ალოკილ კბილებით ნაკვლევს გადუვლის მადენი.
ფუტურო-რო ფოტრო, — მოისმის თოხარიკ მდევრების, — გზა მოუნანიე,
მან მტვერი თქარუნით და ოფლი სიბრაზით ფაფარზე ადინა.

ფაფარი ფუნჯირი, ფაფარი ფარდული, ორველი ცხენების.
გაფრინდი, მერანო, მერგილი ნაგზაურს, ცაო და მორიო;
გქონოდეს, ულაყო, ფეხბურთში სიმაგრე, დამჭედის ცხონება!
ადრინდე ტორიან დავარდნა ჯირკებზე შორს და ქარბორიას!

სიმონ ჩიქოვანი

1925

ახალი ყოფა და ახალი პოეზია[1]

(პოეტის მოვალეობა)

I

ჩვენი გაგებით შემოქმედება არის შეგნებული პროცესი მუშაობის. აქედან პირდაპირი დასკვნა: ყოველი ხანის პოეტს აქვს საზოგადოებრივი და მხატვრობის ტეხნიკის პოეტიკა, რის საზღვრებშიც ის ასრულებს დასახულ მიზანს. ამ დებულების დამტკიცებისათვის ნათელი მასალაა მთელ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა და შემდეგ ჩვენი მხატვრული პრაქტიკა, რომელიც ჩვენი მოვალეობის გაგებიდან გამოდის.

აქ ტენდენციურობის (შაბლონად გაგებული) საშიშროება არ არის. ტენდენციურობის დაძლევა ოსტატის უნარიანობის საქმეა და ჩვენი გაგების საწინააღმდეგო ცნებათ არ გამოდგება.

ეს გაგება ჩვენ გვაიძულებს გამოვარკვიოთ დღევანდელ ყოფასთან დაკავშირებით პოეტის მოვალეობა.

ამ საკითხთან დაახლოვებისათვის უკვე დაიბეჭდა ჩვენი წერილი ჟურნალ „ქართულ მწერლობას“ პირველ ნომერში. შემდეგ ჩვენ მიერ წაკითხულ იქმნა მოხსენება ხელოვნების სასახლეში: „ადამიანი ახალ ლიტერატურაში“. აქვე გამოქვეყნდა „მიძღვნა ნ. ბარათაშვილს“, რომელმაც შემდეგ გამოიწვია მთელი წყება ამ თემის ლექსებისა და ქართველ პოეტების 60% სარგებლობს დღესაც ამ მასალით. ამგვარად, საკითხი პირდაპირ დადგა პოეტის მოვალეობის გამორკვევისთვის. ჯერ კიდევ ლიტერატურის კულისებში და შემდეგ ოფიციალურად პრესაში ჩემმა შეხედულებებმა მიიღეს მთელი რიგი შენიშვნების, ვეცდები მათ პასუხი აქვე გავსცე. ნ. მიწიშვილმა ჩემი გაგება აღნიშნა თანამედროობის გაურკვეველ და უფორმულო მიმღეობად. გასულ წელს შ. დუდუჩავამ გაზ. „კომუნისტში“ ჩემი დებულებები პროლეტარულ მწერლობის იდეებთან მიახლოვებად გამოაცხადა და თანამგზავრების რიცხვში ჩვენც ვიყავით აღნიშნული. პროლეტარულ მწერლობის თეორეტიკოსებმა ზემო აღნიშნულ მოხსენებაზე (ლეო ესაკიასა და დ. რონდელის გამოსვლა) ჩვენი მთავარი დებულება: ადამიანის საჭიროება ახალ ლიტერატურაში, უკან დახევად სცვნეს, რადგან ახალი ადამიანი უნდა იყოს კომუნისტი, ხოლო ჩემს მიერ წამოყენებულ პიროვნებას პარტბილეთის ნომერი არა აქვს აღნიშნული. იყო სხვა შენიშვნებიც, მაგრამ ისინი საკითხის გასაშლელად არავითარ მასალას არ იძლევიან და მე ამ შენიშვნების პასუხზე ვჩერდები.

უპირველეს ყოვლისა მე წამოვაყენე დებულება: პოეტი უნდა ეძებდეს თანამედროვე საზოგადოების ცენტრალურ ფიგურას და მას უნდა ეძებდეს უმთავრესად თავის თავში. აქედან ჩვენ დავაყენეთ საკითხი პოეტის და მოქალაქის მთლიანობისა, რომელიც ადამიანისა და პოეტის გაორების წინააღმდეგობაა. პოეტის მოვალეობად წამოყენებულ იქმნა — გაიგოს თანამედროვე აღმშენებლობითი ყოფა (რომელიც ჩვენ დაძრულ სხეულად აღვნიშნეთ) არა როგორც გადასაღები ფაქტი, არამედ როგორც მასალობრივი მოვლენა და მისი ლტოლვა. შემდეგ ჩვენ ვემყარებით ადამიანს — წევრს სახელმწიფო ინტელიგენტურ ძალისას, ტეხნიკურ პერსონალს, ე. ი. დღევანდელ ყოფის დაკვეთის აღმსრულებელს; ასეთ ადამიანს თუ პარტბილეთიც ექნება, რასაკვირველია, საქმისათვის უკეთესია. როდესაც დღევანდელ საზოგადოებრივ მოქმედებას გავიგებთ თანამედროობის აღმშენებლობით პროცესად, ჩვენ მივიღებთ შემოქმედების მასალობრივ და მეთოდიურ მსოფლხედვას. პოეტიც ამ შეხედულებებით აყალიბებს თავის მოვალეობას და პოეზიის ადამიანით დაწყებისაკენ მიემართება.

---

1. ამ წერილის მთავარი დებულებები ავტორის მიერ წამოყენებულ იყო 1926 წლის ივნისში ხელოვანთა სასახლეში წაკითხულ მოხსენებაში. **რედ.**

მაგრამ თვით ის პიროვნება, რომელსაც პოეზია ეძებს არსებულ საზოგადოებრივ თვისებებში, ყალიბობის პროცესშია. ამიტომ ახალი ფსიხიკის შენებაც წარმოადგენს პოეტის ძირითად ამოცანას. რადგან სულიერი და მატერიალური კულტურა მიღებულია, როგორც მასალობრივი მოვლენა, ცენტრალურ ადამიანის ხასიათობრივი კანონების ჩამოყალიბებაც მასალობრივია და ჩვენ მიერ ერთხელ წამოყენებული „ფსიხიკის კოსტრიუტივიზმის“ გამართლებაც აქ არის.

სულიერ კულტურაში და თვით ფსიხიკის ორგანიზაციაში იჭრება ხერხობრივი პრინციპი — ჩვენ ვდგებით ახალი ადამიანის აშენების წინ, არა მარტო იდეოლოგიურად — არამედ ფორმალურადაც — ე. ი. პოეზიის მოვალეობას შეადგენს გამოარკვიოს კონსტრუქციები იმ ფსიქიურ დენების, რომლებსაც ჩვენი ნივთობრივი და მასალობრივი განწყობილების ქვეყანა თავის მოძრაობებით ჰქმნის.

აქ ვშორდებით ჩვენ რუსულ მემარცხენე ფრონტს, რადგან ისინი მხატვრულ მწერლობას მხოლოდ პროპაგანდისა და საჭირო ნივთების ქადაგებას აკისრებენ, ხოლო თვით ფსიხიკის შინაგან სტრუქტურას (რომელიც ახალია სრულიად) უყურადღებოდ სტოვებენ.

რასაკვირველია, ჩვენ ვემყარებით დანიშნულების პრინციპსაც, ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს მასალა, შემდეგ ხერხობრივი ასრულება და მესამე მისი დანიშნულება. ამ სამ ფაქტორით ჩნდება მხატვრული ფაქტი. ეს მემარცხენე ფრონტის მთლიანი პრინციპებია, მაგრამ ეს მოვალეობა მცირეა და კრიზისის გამომწვევი.

ხერხობრივ პრინციპს ამართლებს თვით ხალხური ანდაზა: „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო“. აქ არის ხერხობრივ აღნაგობაში დანიშნულების პრინციპის შეტანა. სოციალური დაკვეთა შემოქმედის ხერხს უნდა მიმართავდეს ამ დაკვეთის ასასრულებელ შემოქმედებისაკენ. აქ არის ხერხის სოციალური ბაზა (რომელიც ჩვენ წინადაც გვქონდა აღნიშნული) და შემდეგ მთლიან შემოქმედების საზოგადოებრივი სარჩული. ეს შეიძლება თანამგზავრული შეხედულებები იყოს და შეიძლება უფრო მემარცხენეც. მაგრამ აქედან იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ჩვენ მიუახლოვდით პროლეტარულ მწერლობას. წინააღმდეგ, ეს სრულიად ახალი გაგებაა თანამედროობის და მისი ხელოვნების და არაფერი საერთო არა აქვს პროლეტარულ მწერლების „გმირულ რეალიზმთან“. ჩვენ ვფიქრობთ, უკვე ნათელი არის ჩვენი წარმოდგენა თანამედროვე ხელოვნებაზე და ახალი ადამიანის ძიების პრინციპებიც, რომელიც სრულ მემარცხენე საზღვრებში არის ჩატარებული.

II

ერთი რუსი თეორეტიკოსი ყოფას განსაზღრავს, როგორც სისტემას რამოდენიმედ შეჩერებულ ჩოჩნხებრივ ფორმებისას, რომელსაც საზოგადოება ავსებს განსაზღვრულ გემოვნების მოთხოვნილებებით. იბადება შაბლონი, ტრადიცია მეშჩანობის, ჭირვეული ჩვეულება, ეტიკეტი, მენჲუ და სხვა.... ყოფის გადამღებნი და არაგადამღები შემომქმედნიც ყოფის გაგებას ამ თვისებებში იძლევიან. ილია ჭავჭავაძემ ყოფა სადილების სტილიზაციით მოგვცა (კაცია ადამიანი), ერენბურგმა თანამედროვე დასავლეთის ყოფის თვისებებში ყველაზე კარგად მენჲუ განიცადა.

ეს არის გადასული ყოფის ნჲუანსები. ეს ნჲუანსები ნიშნავს უკვე ყოფის გადაღების ცდას. დღევანდელი ყოფა, როგორც ნათქვამი იყო, მშენებლობითია, აქიდან მისი სახის გადაღებაც შეუძლებელი არის. ეს შეიძლებოდა მხოლოდ სტატიკის დროს, სტატიკა — კი თანამედროობაში არ არის. ახალი ყოფის დამახასიათებელია ლტოლვა, მისწრაფება. მისწრაფება გამოდის მშენებლობითი პრინციპებიდან და არის უტილიტარული. ამიტომ ხელოვნებაც არ წარმოადგენს სტატიურ მოვლენას, ის ცხოვრების ფორმაციაში ღებულობს მონაწილეობას. ჩნდება ხელოვნებაში არა გადაღებული ქვეყანა, არამედ ახალი დგამი, სტი-

ლისტური დენები, გამომდინარე თანამედროვე ნივთობრივ მეტყველებიდან, ამ ახალ კონსტრუქციებში ჩამოსაყალიბებელ ფსიხიკის გამორკვევა და პოეზიის ამ გზით გამართვა.

წარსულ ლიტერატურაში ყველგან ცენტრში იდგა ეპოსი. როგორც სტატიური ფორმა, სიტყვა-მსახ ხელოვნებისა, ეპოსის ცენტრში იდგა ადამიანი თავის საზოგადოების გამაერთიანებელი სახით. ასეთი ადამიანი დაიწყო რუსულ პოეზიაში პუშკინმა, საქართველოში ბარათაშვილმა.

ახალ ყოფაში შექმნილმა ლიტერატურამ, როდესაც ჰეგემონია აიღო, უარჰყო ზემოხსენებული პრინციპები და ადამიანი ამოაგდო (დაახლოვებით) პოეზიიდან და სანაცვალოდ პოეზიას დააკისრა ცნობების გავრცელება-მიწოდება, სტილისტიური ფორმაციები და სხვა. მაგრამ აქ მემარცხენე პოეზია მიდის თავის ამოწურვამდე და რუსული მემარცხენე პოეზია მოვალეობის სტატიკის საფრთხესთან სდგას.

გამოსავალ გზად ჩვენ მიგვაჩნია ახალ ლიტერატურაში ადამიანის პრობლემის გადაწყვეტა. ამ რკალების გახსნა შეიძლება „ფსიხიკის კონსტრუქტივიზმში“. ამ ახალ ადამიანის პრინციპებთან დაკავშირებულია ახალი ეპოსის კითხვაც. ახალი რკალი იხსნება.

III

ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნეში სრულიად სხვა ხაზებში ვითარდებოდა, ვიდრე რუსული. მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა (სიმბოლიზმის დამატებით), როგორც პირველყოფილმა ფუტურისტებმა აღნიშნეს, იყო მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის ძიება, „ადამიანურ დამოკიდებულებათა“ მიღმა ხედვა (რამდენად ეს შესაძლებელია) და საწყობი დემონებისა, მოჩვენებებისა და რელიგიურ პერსონაჟებისა. ამიტომ მხოლოდ პუშკინმა იგრძნო თავის საზოგადოების საღი ნაწილი და ჩვენ მხოლოდ მას ვთვლით რუსულ ლიტერატურაში ამ ხაზის შემქმნელად[1]. ქართული მხატვრული მწერლობა, წინააღმდეგ, ძებნაა კაცობრივი გზების (და არა სასულიეროსი), ადამიანთა დამოკიდებულების საზღვრების გარკვევისა და, საერთოდ, სოციალურ „ბედის უკუღმართობის“ გარშემო ტრიალი. რასაკვირველია, „მერანი“ დამყარებაა ბედზე, მაგრამ საშუალებაა კაცობრივი გრძნობების აღსადგენად, მაშინ, როცა რუსულ მწერლობაში ყოველივე სულიერი მაღაროების შესაქმნელად არის წარმოებული ამიტომ არის ქართულ მხატვრულ მწერლობაში ადამიანის ხასიათების მეტი ანალიზი, მაშინ როცა რუსული მწერლობა ხასიათობრივი ნისლით გადადის რელიგიურ აკლდამებში. „ბედი ქართლისა“-ს ავტორმა ამ პოემით პირველად დააყენა მაშინდელი საზოგადოების ცენტრალური პიროვნება და ეს დაყენება მოხდა მთლიანობის პრინციპის დაცვით ე. ი. ავტორმა მოგვცა ხასიათის სახსრებდაუხსნელი პიროვნება და ამით დაახასიათა თავისი საზოგადოება. ამ პოემის პასუხი არის „აჩრდილი“, სადაც პიროვნება დახსნილია და მთლიანი პიროვნება მოცემულია ანალიტიურ ფორმაში. პირველი არის დამწყები მეცხრამეტე საუკუნისა, მეთაური საზოგადო ფენის, ხოლო მეორე მისი ანალიზი, დაშლა და ამავე დროს დეკადანსიც.

ასე შეიქმნა ერთი პიროვნება და მისი ორსახიანობა ამ პოემებში გამოაშკარავდა. აქედან ხაზი გამართა ირ. ევდოშვილმა და შემდეგ დემოკრატიულმა პოეტებმა. მათ „აჩრდილი“-ს ავტორის ადამიანი გაიგეს არა როგორც პიროვნების შექმნა, არამედ როგორც მოთხოვნილებების აღნიშვნა. ამან დაბადა მათი ლოზუნგური პოეზია და შემდეგ ის დაედო სარჩულად სააგიტაციო მწერლობას.

---

1. ჩემი მოხსენების დროს ტ. ტაბიძემ შემნიშნა, რომ რუსული ადამიანი დოსტოევსკიმ შექმნაო. დოსტოევსკის ცენტრალური ადამიანი ვითარდება იმ რკალებში, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. ეს საზოგადოებრივი ცენტრალური ფიგურა კი არ არის, არამედ ანტისაზოგადოებრივი შემთხვევები.

სიმბოლისტებმა ქართულ მწერლობის ამ ხაზს გვერდი აუარეს და შემოიტანეს არა საზოგადოებრივი ადამიანი, არამედ განყენებული სხეული, მოჩვენების, დემონების და სხვა. ამას ხელი შეუწყო იმ ლექსალურმა მასალებმაც, რომელიც მათ რუსულ მწერლობიდან ისესხეს. აქ შეიქმნა ლიტერატურა მეშჩანებისა და არა ხალხის...

აქედან იბადება მყინვარის გაგებაც. „მგზავრის წერილებში“ ცნობილია, რომ ილიას მყინვარი არ უყვარდა, მაგრამ მის პოეზიას მყინვარი არ შორდება. საინტერესოა, რომ აჩრდილის გამოსვლაც მყინვარის რკალში ხდება. აქედან შეიძლებოდა გამოგვეყვანა, რომ „მოხუცი“ და მყინვარი ერთი და იგივე მწვერვალი არის, რითაც ილიას ცენტრალური პიროვნების წარმოშობის ისტორია ნათელი ხდება.

„აჩრდილი“-ს და „ბედი ქართლისა“-ს მაგალითით ირკვევა ის ხერხობრივი პრინციპი, რომლითაც სრულდება ცენტრალური ადამიანი პოეზიაში. ადამიანი აქ წარმოადგენს ჯამს სიუჟეტში შექმნილ მოქმედებისას, ან განწყობილებების სახრების დახსნას („ბედი ქართლისა“ და „აჩრდილი“). პირველში არის პრინციპი შეერთებისა და შედედებისა, ხოლო მეორეში მოცემულია რაობის გაშიშვლება ყველა განზომილებებში. ეს ის გზაა, სადაც იბადება თემატიკის არჩევანი. როდესაც იბადება ახალი თემატიური მასალა, ის ახალ ადამიანის საჭიროებასაც ბადებს.

IV

ადამიანზე რუსეთშიაც დაიწყეს ამ ბოლო დროს წერა. ჩვენი გამოსვლა სრულიად დამოუკიდებლად მოხდა. ეს ჩვენი წერილების ქრონოლოგიითაც შეიძლება დამტკიცდეს. ის ბრალდება, რაც რუსებმა მიიღეს, ჩვენ მოგვაწერეს ზოგიერთებმა, რომ ეს არის დაბრუნება უკან, ბარათაშვილის განმეორების ცდა[1] და სხვა (ამ გაუგებრობამ ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი კურიოზულ ლექსებამდისაც მიიყვანა). რამდენად მართალია ეს რუს თეორეტიკოსების მიმართ, იმდენად ჩვენ არ გვეხება. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ს. ტ. ახალ ტოლსტოის უარყოფაში. ასეთს საჭიროებას ჩვენც არ ვგრძნობთ. ბარათაშვილის პიროვნებასთან დაბრუნებას კი არ მოვითხოვთ, არამედ, როგორც ბარათაშვილმა თავისი ეპოქა დაიწყო, ისე ჩვენი ახალი ხანის მიერ შესაქმნელ პიროვნების ძებნაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ სრულიად სოლიდარული ვართ იმ მოსაზრებებთან, რომ ახალი ადამიანი — იმ სტატიურ ეპოსს ვერ გაუძლებს და არც მისი შესაქმნელი მყარი ყოფა არსებობს. მაგრამ ჩვენ ვერ გადავყვებით მარტო ლიტერატურის ნაწილაკებს. ტფილისში ერთი შესანიშნავი შენიშვნა მიიღო ზემო მოსაზრებამ. შემნიშვნელმა აღნიშნა, რომ ფელეტონი, რომელზედაც ეყრდნობა მემარცხენე ლიტერატურა თვით იმპრესიონისტული მოვლენაა და აქედან როგორ გინდათ ეპოქის დახასიათებაო. სწორედ ეს შენიშვნა კარგად უარყოფს ფელეტონიზმზე შეჩერების პრინციპს. ჩვენ წინ უფრო დიდი დანიშნულება გვიძევს და ამის შესახებ უნდა ვიმუშაოთ და პოეტის მოვალეობა სხვა მხრივ უნდა მიემართოს.

ჩვენ წერილში, „ქართული ლიტერატურის ახალი კლასიფიკაციისათვის“ აღნიშნული იყო, თუ ვინ ჩაუყარა საძირკველი მეცხრამეტე საუკუნის თემატიკას. ამ წერილში ჩვენ ვეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ამავე პოეტმა შესძლო პირველი ცენტრალური პიროვნების მოცემა ქართულ ლიტერატურაში. ამ დებულებიდან ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ ყოველ ახალ თემატიურ მასალის დაგროვების დროს მხატვრულ მწერლობაში გამოდის ახალი პიროვნება, ან იწყება მისი ყალიბობა. ჩვენც, რასაკვირველია, ვიმყოფებით ასეთ თემატიურ დაგროვების და ახალი ყოფით წამოჭრილ მასალების გადალაგების ხანაში, თანამედროობამ თავის

1. ჩემი „მერანი“ განმეორება კი არ არის, არამედ პასუხია ბარათაშვილს. იქ ბედია გადამწყვეტი, ჩემში ახალი ხასიათი პიროვნების.

სოციალურ ტეხილებით მოიტანა უამრავი თემატიური მასალა. ამ თემატიურ მასალაში და მასალების აღნაგობით ხდება ახალი საზოგადოების ცენტრალურ პიროვნების ყალიბი.

მართალი არის ის დებულება, რომ ახალი პიროვნება სისწრაფის კანონების შიგნით მოქმედობს, მაგრამ ახალი ყოფის ტენდენცია ხომ იძლევა ახალი სურვილებისა და მიმართებების წყებას. შემდეგ ეს ხდება სრულიად ახალ მოძრაობათა კონსტრუქციებში და, მაშასადამე, თვით ამ ფსიხიკის შინაგან კანონებთანაც გვაქვს საქმე. პოეზიის დანიშნულებაც აქ იხრება ახალი ეპოსისკენ.

ეს ახალი ეპოსი არ არის არც ტოლსტოის განმეორება და არც ბარათაშვილის დაბრუნება, — ეს არის თეორია ფსიხიკის კონსტრუქტივიზმიდან გამოსული მხატვრული შემოქმედებისა. ეს გზა გაამართლებს ახალ ლიტერატურას. ამის განმარტებისათვის ამ წერილის არე არ გვყოფნის. ამაზე შემდეგ.

V

ყველა ეს შეხედულებანი ჩვენ გვეუბნება კიდევ ერთ უკანასკნელ დასკვნას: ეს არის მემარცხენეობის ფორმალური თეორიის კრიზისი. რუსული მემარცხენე თეორია ამტკიცებს, რომ მთავარი არის მასალის დაძლევა და ასრულება, ამიტომ ხერხებრივი ცდები წერისა და მით სააგიტაციო-საპროპაგანდო მხატვრული შემოქმედება. ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა ეს ლაბორატორიული მიღწევები უნდა იქნეს გამოყენებული ახალი ეპოსის დასაძლევად და ახალი ადამიანის ყალიბის შესაქმნელად. აქ არის განსხვავება ჩვენ და რუს კონსტრუკტივისტებს შორისაც. ისინი ამბობენ, რომ ეს მიღწევები უნდა იქმნეს გამოყენებული შინაარსის დასაძლევათ. მათ შინაარსი ესმით, როგორც ფაბულის გამოხსნა და მისი აშენება. ჩვენ ამ შინაარსობრივობის საჭიროებას არ ვგრძნობთ. ჩვენ უთანხმებთ „დანიშნულების“ პრინციპს ახალ ეპოსს. ახალი ადამიანის შინაგან გამორკვევას უნდა ჰქონდეს დანიშნულების პრინციპიც. როდესაც მემარცხენეები ამტკიცებენ, რომ საჭიროა აგიტაცია, პროპაგანდა ანივთების შენება, ჩვენ უპასუხებთ: პოეზიამ უნდა სცადოს ახალი პიროვნების ჩამოყალიბება ან ყალიბობით პროცესში მონაწილეობის მიღება და აქედან მოაწყოს კონსტრუქცია პროპაგანდის, ნივთის საჭიროების და, საერთო და წარმოებითი ხელოვნებისა. აი, მოკლედ ის მთავარი დებულებები, რომელიც ახალი ადამიანის საჭიროების გამო ჩვენ წამოვაყენეთ ჯერ კიდევ გასულ წელს. ამ ფორმულებს ჩვენ უფრო გავარკვევთ ჩვენს უმთავრეს შრომაში „ფსიხიკის კონსტრუკტივიზმი“.

თვით ის შეხედულებები, რომლებიც ამ წერილებშია წამოყენებული, არამც თუ ქართულ მწერლობაში, ეს რუსული მასშტაბითაც ახალი გზაა მემარცხენე აზროვნებაში.

სიმონ ჩიქოვანი

მემარცხენე მხატვრობის პერსპექტივები

1. იყო დრო, როდესაც მხატვრობის მსოფლიო ცენტრს პარიზი წარმოადგენდა. დღეს თითქოს ეს მდგომარეობა შეიცვალა. პარიზს აღარა სცნობენ მხატვრულ ცენტრად. პარიზის გვერდით, ან ხშირად მის მაგიერადაც, ისხენიებენ ბერლინს, და უფრო დაჟინებით, მოსკოვს. მართლაც, თანამედროვე მხატვრობა მოკლებულია ერთს რომელიმე ცენტრს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ომამდე. თუ შეიძლება ასე ვთქვათ, დღეს სამი ცენტრი არ-

სებობს თანამედროვე მხატვარისათვის — პარიზი, ბერლინი და მოსკოვი. სამი ცენტრი, სადაც კეთდება, როგორც რეაქციონური, აგრეთვე მემარცხენე მხატვრობა. ჩვენთვის, რასაკვირველია, საინტერესოა მხოლოდ მემარცხენე მხატვრობა აღებული მსოფლიო ხაზით.

2. ორიოდე სიტყვა რეაქციაზე მხატვრობაში: ზოგჯერ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების რევოლუციონური სიტუაცია ვერა ჰქმნის სათანადო რევოლუციონურ ხელოვნებას. მაგალ. რუს მხატვართა ჯგუფი „Àõðð” რომელიც თითქმის ოფიციალურ და ოფიციოზურ მხატვრობად არის გამოცხადებული, ჩვენის აზრით, მეტად რეაქციონურ მოვლენას წარმოადგენს. და, პირიქით, გეორგ გროსსი, რომელიც გერმანეთის ბურჟუაზიულ სიტუაციის ფარგლებში მუშაობს და აგრეთვე ფერნან ლეჟე, რომელსაც პარიზის ფაშისტურ ხმაურით გაჭედილი აქვს ყურები, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში „Àõðð“-ზე უფრო მემარცხენედ მიგვაჩნია. მაგრამ დაწვრილებით ამაზე ქვემოდ.

3. ახლა ბევრს გაიძახიან კლასსიციზმზე მხატვრობაში. ზოგი მაინც გრძნობს, რომ ეს „კლასსიციზმი“ ნამდვილი კლასსიციზმი არ არის. ამიტომ ლაპარაკობენ რაღაც „ნეო-კლასსიციზმზე“. მაგრამ ჩვენ გროსსის სიტყვით შევეკითხებით მათ: „სად არის აქ კლასიკა“? შეიძლება მიგვითითონ ანდრე დერენზე, მაგრამ იგი ხომ ბანალური ეპიგონია წარსულ კლასსიციზმის. პიკასსო? მაგრამ პიკასსო სულ სხვაა. პიკასსო ცალკე სდგას. პიკასსო ლაბარატორიული მუშაობის მხატვარია. იგი არასდროს არ იყო მასწავლებელი. მას სკოლაც არ შეუქმნია (კუბიზმი ჟორჟ ბრაკმა შექმნა!). პიკასსოს დამახასიათებელი თვისება არის მუდმივი, დაუსრულებელი ძიება. აიღეთ მისი 1919 წლის „დასვენება“ (რეალისტური) და 1925 წლის „მანდოლინა“ (მემარცხენე). განა ამის შემდეგ შეიძლება პიკასსოს შემოქმედებაში საზღვრების და პერიოდების აღნიშვნა?.. პიკასსო, როგორც მხატვრული ფაქტი, ცივი ფხიზელი და მშრალი გონების ნაყოფია. არავითარი გრძნობა, არც აღმაფრენა, არც ვნებიანობა. ნამდვილი ქირურგი მხატვრობაში.

„კლასიციზმი“ თანამედროვე მხატვრობაში შეიძლება მივიღოთ მხოლოდ გროსსის კორექტივით, რომ მას „აქვს მხოლოდ ექსპერიმენტის მნიშვნელობა“.

4. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ კუბიზმი, როგორც მხატვრული მიმართულება, მოკვდა. კუბიზმი მსოფლიო ომის ზარბაზნების გრიალში ჩაიხრჩო. რა შეგვრჩა კუბიზმისაგან? უსათუოდ **ანალიტიური მეთოდი.** შემდეგ: მსოფლიო ომმა ახალი სიყვარული მოგვიტანა — სიყვარული ნივთისადმი. თავისებური „კულტი“ ნივთისა. მაგრამ ახალი ფსიხიკა მოითხოვს ქვეყნის და აგრეთვე ნივთის მთლიან ერთდროულ შეგნებას და ათვისებას. **ერთდროულობა,** რომელსაც ასეთი მთავარი ადგილი უკავია თანამედროვე ხელოვნებაში, განსაკუთრებით კინოში, გახდა აგრეთვე ახალი მხატვრობის პრინციპი. ტილოზე შეუძლებელია ნივთის მთლიანი ასახვა. აქედან: საჭიროება ანალიტიურ მეთოდის, ნივთის დაყოფა ნაწილებად. შემდეგ ნაწილების დალაგება სიბრტყეზე. ხაზების და ზედაპირების „მონტაჟური“ კომბინაცია. ქვეყანა და ნივთი წარმოდგენილი ვერტიკალურად.

„Ñî çäàâàòü — ýòî çí à÷èò î ðãàí èçî âàòü õàî ñ“ — ამბობს ანდრე ლოტ და სწორედ ეს „ქაოსის ორგანიზაცია“ ჩვენ გვესმის როგორც მასალის, ე. ი. **შინაარსის ორგანიზაცია.** მხატვრული კომპოზიცია აგებული არქიტექტურის მეთოდების მიხედვით, ნივთის „ტოტალიზმი“ (ლოტ), როგორც მთლიანობის დაცვა მხატვრობაში. ქვეყანა აღებული მთლიანად, ერთდროულად ყოველი თავისი კუთხეებითა და მხარეებით.

5. შემდეგ: კუბიზმი, თავის გეომეტრიული ფორმებით მაინც სტატიური იყო. ომის და რევოლუციების ხანა კი ხასიათდება დინამიურობით. პირველად, იტალიის ფუტურისტები შეეცადენ, კუბიზმის სტატიურობაში შეეტანათ **დინამიური პრინციპი.** ამით კუბიზმი, როგორც „ოთახის გიმნასტიკა“ (კარრა) დაირღვა. დაიბადა შესაძლებლობა დადაიზმის და სუპრემატიზმის. დღეს იტალიანური ფუტურიზმი მკვდარია. ყოველ შემთხვევაში, მან შეასრულა თავისი როლი. ახლა: „ვის სუფრაზედაც ვზივარ, იმას ვუმღერ“ (გროსსი), იტალიის მხატვრობა კათოლიკურ კლერიკალიზმისა და მებრძოლი ფაშიზმის ჭაობში ბარბაცობს.

პატარა ექსკურსი: ვან-გოგ: „Âñå òå÷åò è âñå öâåòåò“ — მისი თქმით. დინამიური ფერები. ფერები მოძრაობაში. აქედან: ვან-გოგის მისვლა ფუტურიზმამდე. მაგრამ იგი შიშმა გაიტაცა. შედეგი: ტრაგიული ბოლო. მაინც მისი „პეიზაჟი“ დაწყებაა ფუტურიზმის. აქედან გამოდის ვასილ კანდინსკის „მხატვრობა, როგორც მუსიკა“ და აბსტრაქტული მხატვრობა. მაგრამ დღეს, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანეთში, აბსტრაქტული, უსაგნო მხატვრობა უარყოფილია. იქ მეტად დამახასიათებელია **კონკრეტიულობის ძებნა,** მისი გამოხატვა. ოზანფანი ნივთებს ეძებს, ანდრე ლოტ, პირიქით, ადამიანის ფიგურას უფრო ეტრფის. კონკრეტიულობის ძებნაში არის აგრეთვე თანამედროვე გერმანული მხატვრობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ექსპრესსიონიზმი, ეს ავადმყოფური შედეგი ომებისა და რევოლუციისა გერმანიაში, დღეს უკვე დაძლეულია. თანამედროვე გერმანია მეტად სწრაფად გაიმართა და მან მიიღო თავისი ნამდვილი სახე. „სულის სპეკულიაციებით“ მობეზრებული გერმანული მხატვრობა აგრეთვე ეძიებს კონკრეტულობას რკინის და ბეტონის ინდუსტრიალურ კულტურის გარემოში. აქედან: ხაზის პრიმატი ფერადზე. აქედან: გეორგ გროსს, ოტტო დიქს და კეტე კოლვიც, რომელნიც თანამედროვეობის ასახვით ხშირად აგიტაციონურ მიზნებს ემსახურებიან. აგრეთვე წარმოებითი მხატვრობა: ვალტერ დექსელ, პეტრ რელ, მოგოლი-ნოდ, პერი („ლენინის ძეგლი“). არქიტექტურის პრიმატი, მხატვრობა, რომელიც შეგნებულად მიდის კონსტრუქტივიზმისაკენ. დადაიზმი გერმანიაში მეტად ნაყოფიერი გამოდგა თავისი შედეგებით. გროსსის სიტყვით, „დადაიზმი იყო ერთად ერთი სერიოზული მხატვრული მოძრაობა გერმანიაში ამ უკანასკნელ ათეულ წლებში“. და, მართლაც, ვინც დადაიზმი გაიარა, ის ეხლა კონსტრუქტიულ მხატვრობას ჰქმნის. მაგალითები: კურტ შვიტტერს, ჰანს არპ, ლაიონელ ფაინინგერ და სხვები.

6. ფრანგ მხატვრებში დღეს ყველაზე საინტერესო და მასთან მემარცხენე არის **ფერნან ლეჟე.** თანამედროვე ეპოქა, როგორც ყველამ იცის, არის გარდამავალი ეპოქა. ამიტომ ყველაფერი ამღვრეულია. ახალმა ყოფამ ჯერ ვერ მიიღო თავისი განსაკუთრებული ფორმები. იგი ჯერ ვერ ჩამოყალიბდა ამა თუ იმ განსაზღვრულ ფორმაში. ამიტომ: ჩვენი დრო არის უსათუოდ ახალ ფორმების ძებნის დრო. აქედან: საჭიროა **ახალი ფორმების გამოგონება** და, როგორც თანამედროვე ეკონომიკა ჰქმნის თანამედროვე იდეოლოგიას, ისე თანამედროვე შინაარსმა, ასე ვსთქვათ, ახალმა ყოფამ, უნდა შეჰქმნას ახალი თანამედროვე ფორმები.

ლეჟეს ხელოვნება არის თანამედროვე ყოფის შედეგი. ქვეყნიერება მიდის ინდუსტრიალიზაციისაკენ, მაშინიზმი ხდება სადღეისო ლოზუნგი და ლეჟეს მხატვრობა არის პირდაპირი, უშუალო პროდუქტი ამ ინდუსტრიალიზმით და მაშინიზმით გატაცებისა. ლეჟე ძირიანად სდგას თანამედროვე ცხოვრების ნიადაგზე. ავიაცია, რადიო, კინო, ავტომობილიზმი — აი, შინაარსი მისი მხატვრობის. ფოლადი და ლითონი, როგორც ტეხნიკა. შავი და თეთრი ფერები, ისე როგორც კინოში, რაც მეტად დამახასიათებელია ამ ორ ხელოვნებისათვის.

ზოგი გაიძახის, რომ მხატვრობა მოკვდა და მხატვრობამ შეასრულა თავისი დანიშნულება, რომ ნამდვილი მხატვარი უნდა გადავიდეს ნივთების კეთებაზე. საწარმოო მხატვრობის შექმნაზე. ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ ლეჟეს მაგალითი გვიჩვენებს რომ შეიძლება თანამედროვე ეპოქაში მხატვარი დარჩეს ისევ მხატვრად. მხოლოდ ამისათვის საჭიროა იყო მემარცხენე, როგორც ლეჟე. მან არ დაანება მხატვრობას თავი, თუმცა ლოგიურად რომ ვიმსჯელოთ, მას უნდა მიეტოვებინა მხატვრობა. მაგრამ ლეჟეს მაგალითი მეტად დამახასიათებელია ჩვენი დროისათვის. მისი ახალი მხატვრობა გვიჩვენებს, რომ **თანამედროვე მხატვრობის გზა არის კონსტრუქტიული კინემატიზმის გზა.** ამ მიმართულებაში, რომელიც ყველაზე მემარცხენეა დღეს მხატვრობაში, მონუმენტალიზმიც არის და დინამიზმიც, რაც მეტად ეთანაბრება თანამედროვე ეპოქას.

7. თანამედროვე ცხოვრებას, პირველ ყოვლისა, ახასიათებს მუდმივი მოძრაობა. ეს არის რაღაც თავისებური **სოციალური კინემატიკა,** რომლითაც გაჟღენთილია თანა-

მედროვე კულტურა. სხვადასხვა ტეხნიკური მიმართულებანი სწრაფად სცვლიან ერთი მეორეს. სოციალური მდგომარეობა დღითი-დღე იცვლება. ყოველდღე გაზეთები ახალ ამბებს გვაწოდებენ მსოფლიო პოლიტიკურ სიტუაციის შესახებ. საშუალო ადამიანი ვერც კი ასწრებს თანამედროვე ცხოვრების კინემატიკის ათვისებას.

თავის მხრივ **კონსტრუქტივიზმი,** რაღაც გამოუცნობი ინსტინქტი აშენებისა, მძლავრად იჭრება ცხოვრების ყველა დარგებში. რკინისგზის ამშენებლობა, ხიდები, ქარხნები, ახალი სახლები, ყველაფერი კონსტრუქტივიზმის ნიშნის ქვეშ კეთდება. თანამედროვე ინჟინერი და ტეხნიკოსი პირველ ყოვლისა არის კონსტრუქტორი. ჩვენი აეროპლანის, ელექტრონის და რადიოს ხანაში კონსტრუქტივიზმი ხდება მეტად დემოკრატიულ და კოლექტიურ მოვლენად. კონსტრუქტორია პროფესორი-მეცნიერი და მუშა-ავტომობილისტი. ედისონი და მონტიორი-ელექტრომექანიკოსი. ასეთ კონსტრუქტიულ ხანაში ერთადერთ ხელოვნებად, მასსიურ, დემოკრატიულ, ყველასათვის ხელმისაწვდომ უნივერსალურ ხელოვნებად ხდება — **კინო-ხელოვნება.**

„ხელოვნების დაცემა დაიწყო ფოტოგრაფიის გამოგონებიდან“, ამბობს გროსსი და მართლაც: ფოტოგრაფიამ დაამარცხა ის მხატვრობა, რომელიც ბუნებას, ნატურას და ყოფაცხოვრებას გვიხატავდა. თანამედროვე ფოტო-ეტიუდი უფრო უკეთესად გადმოგვცემს ზემოხსენებულს, ვიდრე მხატვრობა. შემდეგ: „ჩაპლინი ამარცხებს რემბრანდტს“, ე. ი. **კინო ამარცხებს მხატვრობას.** მართლაც, გრიფიცის სურათების ზოგიერთი კინო-კადრები, სინათლე-ჩრდილის პრობლემის შესანიშნავ გადაჭრით, უფრო მეტ მხატვრულ ემოციებს იწვევს მაყურებელში, ვიდრე თუნდაც სახელგანთქმულ რემბრანდტის მხატვრობა.

კინომ და ფოტომ დაამარცხეს ძველი მხატვრობა, დღეს მხატვრობა ან უნდა „გაითქვიფოს ინდუსტრიაში“, გახდეს **წარმოებითი მხატვრობა** და აკეთოს სასარგებლო ნივთები, ან უნდა დადგეს კონსტრუქტიულ კინემატიზმის გზაზე, თანახმად ჩვენი ეპოქის მისწრაფებისა, ასე ვსთქვათ, ამისი „სოციალური შეკვეთისა“.

8. მაგრამ ნამდვილი ახალი ცენტრი, საითკენაც იყურება მემარცხენე მხატვარი, დღეს არის — **მოსკოვი.** წარმოებითი მხატვრობა მხოლოდ აქ ღებულობს თავის იდეოლოგიურ გამართლებას. საკმარისია დავასახელოთ: ტატლინი, მალევიჩი, როდჩენკო, პაპოვა, ლავინსკი და სხვები. რასაკვირველია, წარმოებითი მხატვრობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მხატვარმა მიანებოს თავი სურათების ხატვას და გააკეთოს სკამი ან მაგიდა. როგორც ჩვენი ხანა არის ხიდი სოციალიზმისაკენ, მზადება სოციალიზმისა, ისევე პარალელურად: ჩვენ ჯერ არა გვაქვს ნამდვილი წარმოებითი მხატვრობა. მას დღეს ეყრება საძირკველი და, არვატოვის თქმით, „მისი სრული გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტურ წესწყობილების დამყარებასთან“. ეხლა საჭიროა „წარმოებითი რევოლუცია ხელოვნების შიგნით“, „èí æåí åðí î å ï ðåðåî áó÷åí èå õóäî æí èêî â“ (არვატოვი).

9. თანამედროვე მხატვრობაში ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს „სურათი“, როგორც დაზგის მხატვრობა (ñòàí êî âèçì), მაგრამ დღეს „სურათი“ უნდა იყოს თანამედროვე, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ე. ი. უნდა იყოს **სავსებით მემარცხენე** ტეხნიკით, კომპოზიციით და მოტივიზაციით. ამიტომ მემარცხენე ხელოვნება რუსეთში („Ëåô“) სასტიკ ომს უცხადებს იმ რეაქციონურ მხატვრობას, რომელმაც ნეპის დამყარების შემდეგ თავი გამოჰყო და დღეს თავისუფლად თბება საბჭოთა მზით. ეს მრავალი „Àõðð“-ები, „4-î å èñêóññòâî“, „Ãî ëóáàÿ Ðî çà“, „Î ñò“ და სხვა.

რაც შეეხება „Àõðð“-ს, ამ ჯგუფს დიდი პრეტენზიები აქვს რევოლუციონურობის, რეალისტობის, კლასსიციზმის, მონუმენტალიზმის და სხვა იზმების. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ „იარლიკებია“. „Àõðð“-ის მნიშვნელობა მხოლოდ **ილუსტრატიულია,** ისიც საეჭვო ღირსების. რადგან: განა კარგი ფოტო-ეტიუდი ან კინო-ქრონიკა ვერ შეასრულებს უკეთესად იმ როლს, რა როლსაც საბჭოთა აღმშენებლობის სისტემაში ასრულებს

„Àõðð“-ი? ეტნოგრაფია, გეოგრაფია და ისტორიზმი კინო-ქრონიკის საშუალებით უფრო მალე მიაღწევს საბჭოთა მაყურებლამდე, ვიდრე „Àõðð“-ის „მონუმენტალური“ ტილოები. არის თუ არა რაიმე შემოქმედება „Àõðð“-ში? არავითარი, რადგან რეალიზმი, რომელიც ფოტოგრაფიულად იღებს სინამდვილეს, შემოქმედება არ არის. ამას ფოტოგრაფია უფრო კარგათ გადაიღებს. დასკვნა: წინანდელი „ï åðåäâèæí è÷åñòâî “ თავის „დემოკრატიულ“ შინაარსით და „ნატურალისტურ“ ფორმით ხელახლა აღორძინდა „Àõðð“-ში.

10. საქართველოში წარმოებითი მხატვრობა ჯერ არ არსებობს. რაც შეეხება მემარცხენე მხატვრობას, მას მხოლოდ რამდენიმე წლების სტაჟი აქვს. სამწუხაროდ, სტილიზაციურ „იმპრესსიონიზმს“ და ყოფა-ცხოვრების „გიპერტროფიულ დამახინჯებას“ ჯერ კიდევ დიდი ადგილი უკავია ქართულ მხატვრობაში. ჩვენს მხატვრებს ვერ გაუგიათ, რომ **ფიროსმანი — უნიკუმია** არა მარტო ქართულ მხატვრობაში, არამედ მსოფლიოშიაც. იგი, როგორც ვულკანიური აღმოხეთქაა მიწიდან, მისი კონგენიალი შეიძლება მხოლოდ ჯოტტო იყოს შორეულ წარსულში, ისიც ნაწილობრივ, ან ანრი რუსსო, ახლო წარსულში. მისი შედარება შეიძლება მხოლოდ ხალხის სიღრმიდან ანონიმად გამოსულ სპარსულ მინიატიურასთან, ან ასურეთის ფრესკასთან. ისეთი მხატვრები, როგორიც ფიროსმანია, სკოლას არა ჰქმნიან. მათი „მოწაფეები“ იქნებიან საცოდავი ეკლეკტიურობით გაბერილი ეპიგონები. საჭიროა ფიროსმანის შესწავლა და არა მისი ვულგარიზაცია.

ლ. გუდიაშვილის „აღმოსავლეთი“ უნდა ახლად გადაფასებული იქმნას. თანამედროვე მოტივებს ადგილი არა აქვს მის მხატვრობაში. ფორმალურადაც „მემარცხენეობა“ არ არის ბოლომდის დაყვანილი. არის გადავარდნა არა სასურველ „უფსკრულებში“. საფრანგეთში ნამყოფ მხატვარს ბევრი მოეთხოვება. **მიხ. გოცირიძის** მხატვრობაში არის ჩანასახი კონსტრუქტიულობისა. საჭიროა ამის გაღრმავება და უარყოფა „რომანტიულ სტილიზაციაში“ გახვეულ სექსუალობისა. მას ამის უნარი შესწევს, რადგან ახალგაზდური ნიჭით არის დაჯილდოვებული. **ირაკლი გამრეკელი** სავსებით ფრანგულ კუბიზმიდან გამოდის. მისი მრავალი კუბისტური სურათი ამის მაჩვენებელია. სამწუხაროდ, დღეს იგი ნაკლებად მუშაობს მემარცხენე მხატვრობისათვის. რეჟისორ მარჯანიშვილთან ერთად მან შექმნა თანამედროვე ქართული თეატრი. ესეც დიდი საქმეა, მაგრამ მემარცხენე მხატვრობა კიდევ მოელის მისგან ნამდვილ მხატვრულ ნივთების შექმნას.

შალვა ალხაზიშვილი

დემნა შენგელაია

ქართული პროზის რენესანსი მჭიდროდ უკავშირდება H_2SO_4 -ის ლიტერატურულ საბჭოს სახელს, რომელმაც მანიფესტებისა და ტერორულ სეზონის გათავების შემდეგ პრაქტიკულ მიმართების ნიშნებიც გახადა თვალსაჩინოდ. თუ ერთი გერმანელი მწერლის თქმით, ხელოვნებაში პროგრამების პოსტულაცია ადვილია, ხოლო პაროლების ასრულებაა ძნელი, — მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს სიძნელე ქართული ლიტერატურის დღევანდელ სინამდვილეში ქართველ ფუტურისტების მიერ მთლიანად დაძლეულია.

პროზაულ ლიტერატურაში დ. შენგელაიას, პ. ნოზაძის და აკ. ბელიაშვილის სერიოზულ ცდების საერთო რეზულტატმა გვაჩვენა უშუალო ლტოლვა პროზისაკენ. აქვე სახილველია გზები კერძო ტალანტების, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ პირველი სანიშნო მიცემული იყო უთუოდ H_2SO_4-ის ლიტერატურულ პრაქტიკით. ამ პრაქტიკას თან ახლდა

თეორიული გამართლებაც, რომელიც ზოგიერთებმა მიიჩნიეს საეჭვოდ და ეჭვი დ. შენგელაიას შემოქმედებისაკენ მიმართეს უმთავრესად.

საკუთარ კონცეპციების ტარების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ამგვარ „კონცეპციებზე“ წერა თავმოსაბეზრებელი თუ იქნება მხოლოდ. ჩვენ გვსურს ზოგადათ ვიმსჯელოთ და წერილში გამოთქმულ აზრების დასაბუთება ვცადოთ დემნა შენგელაიას პროზაულ შემოქმედების მოკლე განხილვით.

არც სიმბოლისტი და არც ნატურალისტი. ორივე ბრალდება ერთობ გაუმართლებელი. სიმბოლისტური შემოქმედება საკუთარ ფილოსოფიურ შემეცნების მატარებელია, რომელიც მეტაფიზიკად იწოდება. სიმბოლო გამოვლინებაა მარადული და შორეულ სახით იმის, რაც ჩვენ უშუალო ხილვაში საგნების პირდაპირ სახეობად გვეშლება. აბსტრაქცია აქ აუცილებელი დამატებაა კონკრეტიულად დაჭერილ საგნის. დემნა შენგელაია ირრეალისტი უფროა, ვიდრე აბსტრაქციის გამმართველი. მის შემოქმედებაში ირრეალი ტიპების თუ მომქმედ პირების წარმოდგენებიდან გამოდის. სიმბოლისტურ შემოქმედებაში აბსტრაქცია სახვითი მეთოდია ავტორის, რომლის მიმართულებითაც დ. შენგელაიას შემოქმედებითი გზა სრულიადაც არ მიდის.

ცნობილი სიმბოლისტი ანდრეი ბელის პროზაულ შემოქმედებაში კოშმარები აბსტრაქციის ფონზე იშლებიან, დ. შენგელაიას ირრეალიზმი საგნების დალაგების შემდეგ მოდის. ირრეალი მასში მოცემულია არა პირველად და აუცილებელ პირობად, როგორც აბსტრაქცია სიმბოლისტებისათვის. ესეც რომ არ იყოს, დ. შენგელაია არ არის მეტაფიზიკურ შემეცნების მატარებელი, რომლის გარეშე შემოქმედის სიმბოლისტად გამოცხადება ლიტერატურულ გაურკვევლობის მაჩვენებელია მხოლოდ. თ. დოსტოევსკი (რომელთანაც დ. შენგელაიას დაახლოვება უფრო შეიძლება, ვიდრე რომელიმე სიმბოლისტთან) ირრეალისტია უთუოდ: იგი ალაგებს საგნებს რეალისტის სიმშვიდით, მაგრამ მთელ შენობას ირრეალ სფეროში გადიტანს ხოლმე უეცრივ. ასეთი ხვეულებით სავსეა „ძმები კარამაზოვები“, „ეშმაკეულნი“ და სხვა მისი რომანები. თ. დოსტოევსკიდან კი, სიმბოლისტებს გარდა, სწავლობდენ სხვა ლიტერატურული მიმართულებანიც.

დ. შენგელაია მიღებულია აგრეთვე, როგორც ნატურალისტი (სიმბოლისტი და თანვე ნატურალისტიც!). ესეც გაუგებრობის მაჩვენებელია უდავოდ. „ნატურალიზმი მე-19 საუკუნის ადამიანის მსოფლხედვაა“ (გიუბნერი), რომელშიც საგანი პერსპექტივის გარეშეა აღებული. მას სწამს აღწერითი მონოტონიზმი და ხილვის სისავსე მხოლოდ. აქ პასსიური მისვლაა სინამდვილესთან და მონობა საგნის ქვეშ. მიტომაც არის რომ ნატურალისტურ ნაწარმოებში ხელოვანი, როგორც აქტიური და თვითადი რამ, ნაკლებ იგრძნობა. დ. შენგელაია კი ირრეალის ზოგად გახაზვითაც იხსნის ნატურალისტის სახელს.

ავიღოთ რომელიმე მისი „ნატურალისტური“ ნაწარმოები, თუნდაც „გურამ ბარამანდია“. დააკვირდით ერთ ხვეულს: მოთხრობაში აღწერილია კოჩა ივარდავას ქოხი — კერიათი, ნაჭაზე ჩამოკიდებული ქვაბით, აკრიახებული დედლით და თქვენს წინ იშლება „სრული ნატურალისტური სურათი“, მაგრამ საკმაოა ამ ქოხში გაჩნდეს თვით კოჩა ივარდავა თავის შელოცვებით, რომ თქვენი შემეცნება ირრეალ სფეროში გადავიდეს. დ. შენგელაიას შემოქმედებაში ფაქტებს იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ხელოვანი მის უშუალო ხილვის შემდეგ გახსნის უცნაურსა და დაფარულს. მისი აღწერით მონოტონიზმი სრულიადაც არ არის ემილ ზოლას მონაგვარი „დეტალიზმი“, რომელიც ერთფეროვანი და გაჭიანურებული რჩება 300 გვერდიან რომანის სიგრძეზე (მაგ. „მემაღაროენი“).

მაშასადამე, ზემოდ თქმულიდან ორი რამ ირკვევა: არც ერთი შემოქმედებითი ფაქტი დემნა შენგელაიასი არ არის გაშლილი მეტაფიზიკურ ტრანსცედენტობის ფონზე და ნატურალისტური თვითმკვლელობაც თავიდან აშორებულია.

გავლენებზე და სახელებზე კოგანის მიმდევრებს თუ უყვართ ლაპარაკი, რომელთათვისაც ფორმად მონოლიტიზმის კითხვა ხელოვნებაში და საერთოდ ლიტერატურაში „რაღაცის“ თქმის პროპორციულ დაყენების დროს მხედველობიდან არის გაშვებული, ან კიდევ მეორე რიგზე ჩამოყენებული. კრიტიკაში პარალელების მოყვარული „ბერის თქმით“ სარგებლობს მუდამ. აქ ეს მიზანი არ არის აღებული. აღნიშვნა საჭიროა იმდენად, რამდენადაც შეიძლება ვეძიოთ გაუმართლებლობა გაგრძელებულ პარალელებისა, რომლის საბოლოო რეზულტატში შეიძლება მივიღოთ რომელიმე შემოქმედების მრავალ „ისტად“ გამოცხადების შესაძლებლობა.

ბ. პილნიაკის ან ანდრეი ბელის გავლენაზე რომ ილაპარაკო — საჭიროა ცალი თვალით ხედვა. ბ. პილნიაკი რუსულ ფუტურიზმიდან მრავალგვარად არის დავალებული. ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ პირველსათავე თ. დოსტოევსკიშია საძებარი, რომელთანაც — როგორც ზემოდ აღვნიშნე — დ. შენგელაიას შემოქმედების პირველი ხანა რამდენადმეა დაკავშირებული. მაგრამ თ. დოსტოევსკიდან ექსპრესსიონისტებიც გამოდიან და ოგიუსტ სტრინდბერგი, რომელიც თ. დოსტოევსკით ეგზომ იყო გატაცებული — ექსპრესსიონიზმის ერთერთ მოციქულად არის გამოცხადებული. ამგვარი გზით დ. შენგელაიას დაკავშირება შეიძლება რომელიმე ექსპრესსიონისტ პროზაიკთან და აღწერითი ექსპრესსიით მას მართლაც აქვს ნათესაობა ზოგიერთ მათთან. აქვე სახილველია უფსკრული: მაკს კრელლის მართალი აღნიშვნით, მრავალი ექსპრესსიონისტი პროზაიკი გარდასულ ხილვებს აღადგენს მძაფრი შინახილვის მიზნით, ზოგიერთი კი ახალ ფაქტებს ხვევს მისტიურ სამოსელში. მაგ. კაზიმირ ედშმიდი გატაცებულია ველურის ფეტიშით მაშინ, როცა დ. შენგელაია თანამედროვე საგნებს იჭერს და ეხება. მისთვის „ცხოვრება შეხედვაა და მიდგომა“ („ტფილისი“) და არა ვიზიონერული ხილვა ფაქტების.

ანატოლ ფრანს ამბობს ერთგან:

„განა სავალდებულო რაიმეს წარმოადგენს ის, რომ ძალით დავინახოთ არარსებული?“ ეს სიტყვები ზოგიერთთათვის მრავალგზის არის გასამეორებელი.

დ. შენგელაია ჯერ კიდევ თავის მინიატიურებით ირჩეოდა ქართველი პროზაიკებიდან. მან თავიდანვე სწორი მიმართულებით აიღო გეზი: ცდა სიტყვისა და ფორმალ მიღწევის კულმინაციურ პუნქტამდე აყვანის. პროზა სტილისტურ შერჩევას უნდა ემყარებოდეს უმთავრესად. სიუჟეტურ რკალებს კინო მეტის დინამიურობით შლის, ვიდრე რომანი „სანავარდო“-ს ასრულებითი გამართვა, რომელიც სტილისტურ შერჩევის გზით მიდის და იგი, როგორც ერთ მთლიან სიუჟეტს მოკლებული და ფორმალ მონოლიტიკის ხარჯზე აშენებული რომანი — H_2SO_4-ისათვის მისაღებია და გამართლებული ხელოვნებისადმი მიდგომის უსწორესი კონცეპციით, მაგრამ მასში უთუოდ არის ზოგიერთი მონოტონობა, რომელიც შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს H_2SO_4-ის პრაქტიკის პრინციპებით, თუმცა რომანთან ზოგადი მისვლის თვალსაზრისით, იგი უთუოდ მისაღებია და გამმაგრებელი ამავე ფრონტის ლიტერატურულ პრაქტიკის.

„გურამ ბარამანდია“ თემობრივად გამოდის „სანავარდოდან“. მასში სურათები დინამიურ პლანით არის მოხაზული და ამდენად, იგი უთუოდ შეიცავს სიახლეს და მიღწევას.

„ტფილისი“-თ კი დ. შენგელაია ერთხელ და საბოლოოდ ამტკიცებს თავის თავს, როგორც დიდი პროზაიკი და იმ მეთოდების მოხმარების გამართლებას, რომლითაც მუშაობს ქართველი ფუტურისტების ნაწილი პოეზიაში (ს. ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა).

„ტფილისში“, როგორც პირველად ქართულ პროზაში — მოცემულია ადამიანის ტაქტილური მგზავრობა. ტაქტილიზმი — ხელოვნებაა საგნების შეხების. საგნებს შეუძლია მოგვცეს ჩვენ განსაკუთრებული ემოციები. ამ ემოციებით იხსნება ახალი ქვეყანა, რომელიც ასეთივე ქვეყნის გამხსნელია შემოქმედებით ფაქტშიც. „ტფილისში“ გამართულია ფონი იმ შეგრძნებათა, რომელიც მოქმედ გმირს მისცა საგნებმა (სურათმა ჩარჩოდან, აგურმა და სხვა).

აქვეა მოცემული საგნების ამოძრავება და მათი მე-ს გამოაშკარავება თუნდაც. თვით მთვარე ხდება, როგორც ხელშესახები ნივთი, რომელსაც შეუძლია „შაქარი დაგვაყაროს“ და ასე შემდეგ. ს. ჩიქოვანის პოემებშიც ამგვარი გამართვაა შემოქმედებითი ფაქტის. პოლიარულობის აღმნიშვნელს თუ მოყვარულს აქ დიდი გზა ეხსნება — თქმისა და აღნიშვნის.

ქართულ პროზაულ ლიტერატურაში მიხ. ჯავახიშვილით წმინდა რეალისტური ხაზი იქმნება, კ. გამსახურდიათი მისტიციზმისა და ექსპრესსიონიზმის, გრ. რობაქიძით სიმბოლიზმის და მეტაფიზიკურ ტრანსცედენტალობის, რომელშიც შინაგან სხეულების ქმედით ფორმად ექსტაზი ისესხა ექსპრესსიონიზმიდან, დ. შენგელაია კი H_2SO_4-ის პრინციპების კულტურ გამართვით ერთერთი მთავარი გამმაგრებელია იმ ფრონტის ლიტერატურულ მუშაობისა, რომლის გზები ქართული კულტურის სინამდვილეში თანადროულ-ორიგინალური მწვერვალების დაპყრობისაკენ მიემართება. მხოლოდ უნაყოფონი თუ ასტეხენ პრაქტიკის გარშემო განგაშს.

აკ. გაწერელია

ბიბლიოგრაფია და რეცენზია

„ქართული მწერლობა“

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს ყოველთვიური ორგანო

ჩვენ მთლიანად ვეხებით „ქართული მწერლობის“ ყოველ ნომრებს, რადგან გასულ ლიტერატურულ წელში გამოსული ყველა ცალკე ნომრები რომ აიკინძოს თავისუფლად მოექცეოდა იგი ერთ ალმანახში, რომელიც ჟურნალის შინაარსის და განწყობილების მთლიანობას და უკანასკნელის დიფერენციაციას არაფერს ავნებდა.

მაგრამ, რადგანაც აქ ჩვეულებრივ იბადება სიძნელე, არა იმიტომ, რომ ჩვენ აკინძული ალმანახის მრავალფეროვნება დაგვძლევს, არამედ მით უფრო, რომ ჩვენ ერთგვარ ერთფეროვნებასთან გვაქვს საქმე, საჭირო იქნებოდა სრულიად ახალი სტრუქტურის ძიება ჟურნალის საბიბლიოგრაფიოდ. აქ, არის თუ გნებავთ, სიადვილე მიმომხილველისთვის და იმავე დროს სიძნელეც: გაერთიანებულ მომქმედ ლიტერატურულ დაჯგუფებათა ორგანო თავის სახეს შემდეგ სტრუქტურაში აყალიბებს:

1) განწყობილება და თემატიკა.
2) ხასიათთა დიფერენციაცია.
3) საერთო დასკვნა.

უპირველესს ყოვლისა განწყობილებათა შესახებ. გაერთიანებული მწერალთა კავშირის ორგანოში ორი უმთავრესი ნაკადი სჩანს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებისა, თუმცა არსებითად მასში წარმოდგენილია ოთხიოდე მომქმედი ლიტერატურული დაჯგუფება. აშკარა საზღვართა გამიჯვნა უკვე ფაქტია და ზოგიერთ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება ბრძოლის საკითხში. ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი მკითხველი მაინც ასეთი გავლენის ქვეშ მოექცევა. ჩვენ გვიხდება ორთა შორის ორბიტში დგომა და ორივე მხრივ ფრონტების დაზვერვა.

ერთ ფრონტს ქმნიან — **აბაშელი, შანშიაშვილი, ფაშალიშვილი, გრიშაშვილი, გაფრინდაშვილი, გვეტაძე, იაშვილი, ტაბიძე, გრანელი, ლორთქიფანიძე, კალაძე** და სხვ. ხოლო მეორე ფრონტზე სდგას ქართული მემარცხენე მწერლობა. აქედან თვალსაჩინოა განწყობილებათა მთლიანობაცა და მისი გაორებაც. იმდენათ თვალსაჩინოა პირველის ხასიათის მთლიანობა, რომ არსებითად ერთი რომელიმე ლექსი სავსებით ხაზავს მთელი

ფრონტის მთლიან სახეს და პირიქით, ყველა ლექსები ხშირად ერთი და იგივე პოეტის ნაცოდვილარის შთაბეჭდილებას სტოვებს — ეს უპირველეს ყოვლისა.

თემატიკის მხრივ განსაკუთრებით ზოგად მსჯელობასთან გვექნება საქმე.

აქ სამი ზოლი სჩანს. პირველია — რომანტიული თემატიკა, მეორე — რევოლიუციონური თემატიკა და მესამე აღმოჩენები.

პირველ ჯგუფში ამ მხრივ მოექცევიან — „აკადემიკოსები“ და „ყანწელები“, მეორეში — **რუხაძე, ქუჩიშვილი, ზომლეთელი, თავაძე** და სხვ. მესამე რკალში კი — მემარცხენე მწერლობა. ბარათი ნოე ჩხიკვაძეს, „ილაიალი“, „ძველი პალტო“, „არგვეთის ღამეები“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „სოფელი“ და სხვა არსებითად ერთი და იგივე გადამღერებაა ძველი ბაიათების.

ამავე მოვლენას აქვს ადგილი პროზაშიც. ჩვენ ინტერესს არ შეადგენს ჭაობის მიკრობთა ძიება, არამედ აღმოჩენების შესახებ გვექნება საუბარი.

მეორე რიგში იბადება საკითხი თვითეულ მომქმედ ლიტერატურულ ჯგუფის საკუთარ სახისა და ხასიათის საძიებლად. ამიტომ დაწვრილებით შევჩერდებით ამაზე.

აკადემიურ მწერლობიდან ჟურნალში იბეჭდებიან — **აბაშელი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ფაშალიშვილი** და სხვ. ყველა ისინი ერთ მთლიან განწყობილების ქვეშ რჩებიან, თუმცა გარეგან გავლენას თემატიკის დარგში მათში აღარ აქვს ადგილი.

ახალი ატმოსფერის ზერელი გავლენით კმაყოფილდება თვითეული მათგანი, ხოლო წერითი მანერა და ლექსის შინაგანი დინამიკა არსებითად ერთი და იგივე რჩება. მათ შორის განირჩევა ს. შანშიაშვილი. მისი ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ ახალი პოეზიის გავლენით არის დაწერილი.

ასევე ითქმის „ცისფერ ყანწების“ შესახებ. — განსაკუთრებით განირჩევიან მათ შორის **ალიო მაშაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გაფრინდაშვილი და ტიციან ტაბიძე.** ამ ხალხზე თანამედრობას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. სწერენ ისევ ძველ თემებზე — თუ არა და ახალ თემებს ასახიჩრებენ ძველი ხერხებით.

მაგ. ვალ. გაფრინდაშვილის ლექსი „ძველი პალტო“. იყიდა პალტო დეზერტირკაზე და ეშინია მისი... პოეტი ცდილობს „მიყიდოს ვისმეს პალტო ცბიერი“ (საინტერესოა — ეს პოეტი თუ შეგნებულად ლაპარაკობს პალტოს ცბიერებზე).

მემარცხენე ფრონტი ხასიათდება „H_2SO_4“-საბჭოს წევრებით. აქ იბეჭდებიან სისტემატიურად **სიმონ ჩიქოვანი, ნიკ. ჩაჩავა, დემნა შენგელაია და ნაწილობრივ ნიკ. შენგელაია.**

„ქართულ მწერლობაში“, მათ უფრო სადეზინფექციო როლი აქვთ დაკისრებული და ნაწილობრივ ამის გამო არის რომ მემარჯვენე მწერლობის ფრონტი ახალ ფორმათა ძიების სენით არის დასნეულებული, რაც აუცილებლად სასურველად უნდა ჩაითვალოს. ასეთი როლი აქვს დაკისრებული, თუ გნებავთ, სიმონ ჩიქოვანის „მიმართვებს“ ძველ და ახალ პოეტებისადმი — „გავყვეთ ხომალდებს ადამიანთა იალქნებიანს“.

აქ არის სათავე ახალი ქარიშხალის, რადგან უკანასკნელი აუცილებლობას შეადგენს ჩვენი ლიტერატურისათვის მით უმეტეს ეხლა, როცა რომანტიული განწყობილების სიჭარბე იმდენათ ძლიერია, რომ გვგონია, უზრდელობათ არავის ჩაეთვლება მისი ძირეული დამსხვრევა, რადგან მისი მავნე გავლენა თანდათან აშკარა ხდება (მაგალითი — პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი).

ასეთივე ცდების სახით იხსნება თემატიკის ახალი რკალი **ნიკ. ჩაჩავასი და ნიკ. შენგელაიას** სახით. პირველი ერთხელ კიდევ სცდილობს ხალხური პოეზიის მარადიულ იდეის აღდგენას, მეორე ხსნის პოეზიისათვის სრულიად ახალი თემატიკის რგოლს — სვანეთის სახით.

ჟურნალში დაიბეჭდა **სიმონ ჩიქოვანის** „მყინვარი“-ს ერთ-ერთი თავი. ეს ლექსი საუკეთესო ლექსია, რაც კი ჩიქოვანმა დაბეჭდა „ქართულ მწერლობაში“. სიმონ ჩიქოვანს აქვს საოცარი ხერხი ნივთებისა და სხეულების აკრობატიკის.

„სივრცე ცეკვავს და მაიმუნათ მზე დადგება მუდამ ცერებზე
და არ იფორთხებს ყინულებზე ორბელიანი,
ამის შესახებ მყინვარს ბევრჯერ გაეცინება
და ეს სიცილი გადავარდება ცხოვრებაში ცეცხლის ბორბლებათ“.

და სწორედ ამ დროს იწყება შინაგანი ამბოხება.

„როკაპი მთა სად გაქრაო, — ხალხი მოითხოვს.
მთები იწყებენ სინიდისით ფერისცვალებას“.

ყოფადერი ადამიანის ფსიქოლოგიისათვის ეს პოემა სავსებით მისაღები და გამართლებულია.

პროზის განყოფილება ჟურნალში სრულად არის წარმოდგენილი. აქ ვხვდებით **ვასილ ბარნოვს, ნიკო ლორთქიფანიძეს, შალვა დადიანს, ლეო ქიაჩელს, სერგო კლდიაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილის, დემნა შენგელაიას** და სხვ. ყველა მათ თავის ადგილი აქვს მიჩნეული ქართულ პროზაში. თანამედროვე ცხოვრება და ყოველდღიური მდგომარეობა აუარებელ თემებს იძლევა პროზისათვის, იმ დროს როდესაც პირველი ხუთი აღნიშნული ბელეტრისტი ფართოდ ეწაფება რომანტიულ თემას. პროზის სიღარიბე ისევ კითხვით ნიშანში აყენებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას იმ დროს, როცა მეზობელ რუსეთში პროზა განსაკუთრებით რენესანსის ხანაშია მოქცეული. ალბათ ჩვენი სიღარიბის ბრალია ის გარემოება, რომ ზოგიერთი მარცხგამოვლილი მწერალი ისევ ასაღებს თავს მწერლად და თავის ნაცოდვილარს ააშკარავებს ჟურნალის ნომრებში. ამას ზედ დაურთეთ ჯავახიშვილის ვულგარიზმი და ბულვარობა და თქვენ მიიღებთ საერთო სურათს, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გრძნობიერი რუსული გამოთქმით დავახასიათოთ: „Öûï ëåí êè òî æå õî ÷óò æèòü“.

ჩვენ მათ არ ვეხებით, რადგან ყველანი ღაღადებენ საკუთარ თავზე. ზოგი მათგანს ესერების პოლიტიკურ პროგრამა-მაქსიმუმის რომანულ გადამუშავების გამოცდილება აქვს, ხოლო მეორეს „ეშმაკის მათრახი“-ს მასხარის რემარკა. თავის ჩვეულ სიმაღლეზე დგანან ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე და შალვა დადიანი. ჩვეულებრივ იბეჭდება **ლეო ქიაჩელის და ს. კლდიაშვილის** უნიჭო პროზა — ეს სხვათა შორის.

ქართული სინამდვილის პრიმიტივის ფაბულა პროზაში გააცოცხლა **დემნა შენგელაიამ** (ფაქტი: — სანავარდო, ტფილისი). ამ მიმართულებით „ქართულ მწერლობაში“ დაიბეჭდა ორი მისი მოთხრობა — „ლაფშა“ და „ჰოროველ“ სხვა დროს ჩვენ აღვნიშნეთ ზოგიერთი ხერხები პრიმიტიულ ფაბულის ფორმალურ კონსტრუქციისათვის — როდესაც დ. შენგელაიას „სანავარდოს“ ვარჩევდით, იქ ჩვენ ვამბობდით, რომ ქართული პრიმიტივი უნდა გადაეჭდოს ანდრეი ბელის გეომეტრიას ისე, რომ ფაბულა წონასწორობით უნდა შენდებოდეს. შენგელაია კუთხური მზერით აშენებს საგნებს და მოვლენებს, მაგრამ ერთ-ერთ უხერხულობათ ითვლება ის გარემოება, რომ კონკრეტ ფორმალურ წერის მეთოდში დემნა შენგელაია ვერ აყენებს პრიმიტივს იმ საფეხურზე, რომელზედაც ის საუკუნეთა მტვერიდან გამოტაცებული ხალასი სახით უნდა წარმოგვიდგეს. ამის მიზეზია ის რომ მას წინაპარი არა ჰყავს და ამიტომ თვით უხდება დაწყება, მაგრამ ის რაც შეადგენს შენგელაიას ზრდას ამ ჟამად — არის სიტყვის სინტაქსის გამართვა და სტილისტური მიღწევები. ფაქტზე შორს არ წავალთ ამისათვის კმარა „ლაფშა“ და „ჰოროველ“. ქართული პრიმიტივის ღვიძლი შვილია „ქართლის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელი“, გამთბარი აღმოსავლეთის მცხუნავი მზით. ამიტომ უდავოა, რომ იგი დიდხანს შერჩება, როგორც გამართლება ქართულ პროზას.

„ქართულ მწერლობაში“ იბეჭდება **სტეფან კასრაძე.** მისი მთლიანი სახე ჯერ მოხაზული არ არის და ამიტომ ჩვენ მხოლოდ მით დავკმაყოფილდებით, რომ „გვართ-სამხილავი“ გამარჯვებული დაწყებაა ახალგაზრდა მწერლისთვის.

ამთავითვე მოცემულია დამოუკიდებელი გზა მემარცხენე პროზის ოსტატობისათვის.

განგებ შევინარჩუნეთ სიტყვა პროლეტარულ მწერლობის ახალ ფრონტზე. ამ ახალგაზრდობის პათეტიური დეკლარაცია გალღვა რომანტიულ განწყობილებით. „ქართულ მწერლობაში“ მათგან წარმოდგენილია მხოლოდ **კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე** და **პოლუმორდვინოვი.** მაგრამ ზემოდ წამოყენებული დებულება ვრცელდება ყველა დანარჩენებზეც, რომლებიც კი სადმე იბეჭდებიან. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ამის დასამტკიცებლად. უკანასკნელის განწყობილება არაფრით არ განსხვავდება ტერენტი გრანელის განწყობილებისაგან. სანიმუშოდ ჩვენ მოვიყვანთ მრავალ ამონაწერებს მისი ლექსებიდან — „ექვსი სიმღერა“. გარდა იმისა, რომ ეს ლექსი თავის განწყობილებით მეტისმეტად მკრთალია და რომანტიული, იგი მუსიკალურად **გალ. ტაბიძის** ახლო ნათესავობაში იმყოფება. საკმარისია შედარებისათვის:

„წმინდაო, წმინდაო, მაცხოვარ“.
ან „თებერვალს უხმობენ, თებერვალს“ (გ. ტაბიძე).
„ზვირთებო, ზვირთებო რას მეტყვით სხვას“.
„აიის, აიის; ახალი დღეების“ (კ. ლორთქიფანიძე).

გარდა ამისა შეხვდებით მთელ რიგ სურათებს გრანელის ხეტიალისათვის ჩვეულს. ლექსის შინაგანი დინამიკა იხუთება გაბითურებული რომანტიული მისტიციზმით და მეტისმეტად მკრთალი განწყობილებითა და მუსიკალობით, რომელიც „შემოდგომის“ ფიქრებამდე მიიყვანს მწერალს. ასევე უნდა ითქვას კ. კალაძის შესახებ. აქ უკვე მოკვეთილია კალამის განწობილება.

„და ასე ყოველ-ღამ ვწუხვარ და ვკანკალებ
გულზე შემოსეულ ყორნების მხილველი“...
„...ცის სიღრმე ივსება შავი ფრინველებით
ბნელდება თანდათან გული და მზე“.

რით განსხვავდება აღნიშნულ ლექსების ავტორთა შემოქმედების ხასიათი, და აგებულება **გრანელის** ჩვეულებრივ განწყობილებისაგან. არაფრით. პირიქით, გრანელი უფრო მეტ პერსპექტივებს სჭვრეტს:

„მე მინდა ისევ გაფრენა მზისკენ“.

ჟურნალში იბეჭდება **ნიკოლო მიწიშვილის** ჩვეული ლექსები და თვალსაჩინო წერილები ქართული მწერლობისა და საქართველოს პრობლემებზე, რამაც თავისებურად გამოაფხიზლა საზოგადოების გულისყური და ინტერესი დროული პრობლემატიურობით. პრინციპიალურ ხასიათის წერილებს მწერლობის საკითხებზე სწერენ აგრეთვე სიმონ ჩიქოვანი, ნ. საქარელი, ვ. კოტეტიშვილი და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია ს. ჩიქოვანის წერილი „თანამედროვეობა და ქართული პოეზია“ საკითხის ნამდვილი გაშუქებით.

ჟურნალში წარმოდგენილია წერილები სოციალურ პოლიტიკური ხასიათისა, რომლებიც საკმაო ცხოველ ინტერესს არ არიან მოკლებულნი. მათ შორის პუბლიცისტური სიდინჯით არის დაწერილი **გერონტი ქიქოძის** წერილი „ომის მოლოდინში“.

უფრო მეტი სიძნელეა რედაქციის საქმე, რომელსაც ენერგიულად მიუძღვის ნ. მიწიშვილი. მწერლობის დაქსაქსული ჯგუფების გაერთიანება ადვილი არ არის. ჟურნალი დიდი მიღწევაა ამ მხრივ. ამიტომ მისი გაუმჯობესება უნდა შეადგენდეს ყველა მწერლის მოვალეობას. ყოველ შემთხვევაში ჟურნალის პასუხისმგებელმა რედაქციამ ცხადათ გამიჯნა მწერლობის ორივე ფრთა და წინანდელი ჯიუტობა და თავის მოტყუილება ეხლა უფრო ნათელი გახდა მწერლობის ყველა ფრონტებისათვის — „გულს გული იცნობს“. ყველამ თავის გზა მოსძებნა.

ბ. ა.

„პროლეტარული მწერლობა“

უკვე გამოვიდა სამი ნომერი „პროლეტარული მწერლობა“. ჟურნალი ათ ფორმამდე აღწევს და მასალები დაწყობილია ალფავიტით. დღიდან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში ახალი ძალების გამოსვლისა, პროლეტარული მწერლობა არ არსებობს როგორც მთლიანი ფრონტი. ახალგაზრდებმა შესძლეს ჩაენთქათ, ანუ უკეთ, დაეჩრდილათ უფროსების თაობა — რასაკვირველია, ამ მეორე თაობას ლიტერატურული გამარჯვებისათვის მეტი მასალები აქვს, ვიდრე იონა ვაკელს, სამსონიძეს, სანდრო ეულს და სხვებს. სულ ცალკე მოვლენაა ნოე ზომლეთელი.

მხატვრული იდეოლოგიური პლატფორმა პროლეტარულ ასოციაციაში არ შეიძლება იყოს და არც არის. არიან სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენაში მყოფი მწერლები, ესენი გაერთიანებული არიან მექანიკურათ და ამ მხრივ ასოციაციაში პატრონი თავის საქონელს იშვიათად სცნობს. უმცროსი თაობა ყოველ შემთხვევაში უკეთეს პირობებშია. მათ აერთებთ წლოვანობა, ახალგაზრდული სურვილები პოეტობის სახელის დამტკიცებისა და სათანადოთ ბევრი სპეკულიაციის მოწყობასაც ახერხებენ. ამ ძალების უშუალო მონაწილეობით გამოდის „პროლეტარული მწერლობა“. მეორე თაობის პოეტები აქ სჩანან უმთავრეს ძალად და ჟურნალიც მათ ეკუთვნის[1].

ჩვენ გვინდა, განვიხილოთ მხოლოდ პირველი კრებული. ეს ნომერი თითქმის ამოსწურავს სამივე ნომრის პროდუქციის სახეს. სამი წლის ლიტერატურულმა მუშაობამ წარმოშვა ის მასალები, რომელიც ამ ჟურნალში არის მოთავსებული. სამი წლის სტაჟიანი ლექსები, რასაკვირველია, მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან, როგორც გაუთხოვრათ შემორჩენილი ქალები ქმრის არჩევანში. ამ ხნის განმავლობაში ამ პოეტებისთვის ბევრი რამ გამოიცვალა, ზოგმა კრიტიკის შემწეობით, ზოგმა პირადი „კარგი“ ბიჭობით და ზოგმაც თავის ერთგული მუშაობით დაიმკვიდრეს პოეტების სახელი. ჰქონდა ადგილი „ობივატელ“ კრიტიკოსებზე ტერორის მოწყობასაც — საიდანაც შემდეგ ქების საგალობელი ისმოდა, მაგრამ ეს უარყოფითად არ ჩაითვლება ყოველთვის.

პოეტის სახელის მოპოვებაც საქართველოში ადვილი არის — მით უმეტეს პირადი დამოკიდებულობის უნარი თუ აქვს მწერალს. ყველა ეს ქმნის ლიტერატურულ სინიდისს საქართველოში — ამიტომ ჯერ გამორკვეული არ არის ლიტერატურა უფრო საეჭვოა თუ სინიდისი?

ობივატელ კრიტიკოსებზე ტერორის მოწყობამ მოახდინა ტიტულების დარიგება და ზოგიერთი პროლეტარული პოეტი (რომლის პოეზია მხოლოდ ვარჯიშათ შეიძლება ჩაითვალოს) ცხადდება პირველ რიგის პოეტად საქართველოში. ეს კარგი სურვილია, მაგრამ ამისთვის ძალაა საჭირო და კულტურა.

ჩვენ გვინდა, ამ შემთხვევაში ვიყოთ მიუდგომელი და თუ გინდ მეგობრულიც — იმ უარყოფითი და დადებითი მხარეების აღნიშვნაში, რომელიც „პროლეტარულ მწერლების“ მხატვრულ შემოქმედებას ახასიათებს.

დავიწყოთ ლექსებით. ჟურნალში ლექსებით გამოდიან კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი, კ. ფეოდოსიშვილი და შემდეგ ახალი დებიუტანტები: ნაროუშვილი და ბობოხიძე. აქვე უნდა დავიწყოთ შენიშვნით: პროლეტარული პოეტები ჩვენ გვიკიჟინებენ შემოქმედებითი რეაქციის დადგომას და იდეოლოგიურ მერყეობას, ხოლო თავიანთ გადახრებს „სტაბილიზაციას“ ეძახიან. ამიტომ ჩვენ შენიშვნებშიც დაეთმობა მთავარი ადგილი იდეოლოგიას და საერთოდ ლექსის მოხმარების პრინციპს.

---

1. აქ კიდევ ერთხელ იბადება თაობათა გამიჯნვის საკითხი. ამ საკითხის დასმაში გამოგვედავა ნ. მიწიშვილი. „ქართული მწერლობის“ ამა წლის პირველ ნომერში ბ. გორდეზიანის საპასუხოდ — ეს კითხვა კი — პირველად დაისვა ოცდა ოთხ წელს ჟურნალ „მნათობში“ ს. ჩიქოვანის წერილ „სასწრაფო განმარტებაში“.

ამ მხრივ ჟურნალში მოთავსებული ლექსები ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. იდეოლოგიურ ჩამორჩენასთან დაკავშირებულია მათი ფორმალური მიღწევების დაქვეითებაც — ეს ერთი მეორესაგან გამომდინარეობს ქვემოთ მოხსენებულ ადგილებშიც.

კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა ლექსები, რომელთა სათაურებიდან უკვე სჩანს პოეტის ლირიკის პესიმიზმი — სათაურები: **„უსმენ სიჩუმეს“, „ტყესთან“, „ვიღაცა ჩემთვის“, „ხან სიტყვა“,** ჯერ ეს სათაურები გვიჩვენებს, თუ რამდენათ განყენებულია პოეტი თავის თემატიკაში და გემოვნებით დაქვეითებული. მაგრამ შეიძლება მკითხველმა სათაურს არ ენდოს. გავყვეთ ქვემოთ:

„ცხოვრება თურმე ყოფილა გულქვა.
დღეს როცა მაწევს მისი სიმძიმე,
ვიგონებ დღეებს დაცვენილს უქმად“.

ცხოვრების გულქვაობა პროლეტარულ პოეტმა შეიძლება წარმოიდგინოს მთელ საზოგადოებაში და ამას აპატიებენ — მაგრამ პოეტი სწერს, რომ დღეს, როდესაც გაწევს ცხოვრების სიმძიმე, მაშინ ვხვდები ცხოვრების გულქვაობასო. ცხადია, თვით მოსაზრება ბავშური, დროგადასული და უნიჭო გიმნაზიელის ფილოსოფიაა და პროლეტარულ პოეტისათვის გამოუსადეგარი. შეიძლებოდა ამ ლექსისთვის (როგორც ხშირად სჩადიან პროლეტ. პოეტები) მექანიკურად მიემატებინათ მთელი ორი სტრიქონი სიტყვა „მაგრამით“ დაწყებული და ლექსის იდეოლოგიური მხარე გამოემართათ — ეს კი არა სჩანს. ეს მოსაზრებები ნათქვამია ლექსის რეზიუმეთ. ეს რეზიუმე — კი პესიმისტურია და ისიც არა „მებრძოლი“. რაც შეეხება „დონკიხოტობას, რომელიც ჰამლეტობაზე უფრო დიდია“, გაუგებრობაა იდეოლოგიურად — და კონსტრუქცია აფორმიზმის თქმისა უგემოვნოა და ოსტატობას მოკლებული.

პროლეტარული პოეტი განაგრძობს:

„მე მაშინებს შავად გაწოლილი ხიდი
და მუხების ჩრდილი ქაჯივით რომ მიცქერს“.

ეს პრიმიტიული სიმბოლიზმია, მუხის ჩრდილით შეშინებული პროლეტარული პოეტი, ალბათ, მალე მთვარესაც დაუყეფს შიშით.

ჩვენ გვიკვირს ასეთი აზროვნების პოეტი როგორ არის პროლეტარული, შეიძლება, მას წარმოუდგენია, რომ რევოლიუცია მუხების მოსასპობათ ხდება და ის თავის მტრის მოწინააღმდეგეებს უერთდება (ჩამოერთვას მუხებს ჩრდილი და სითამამე მოემატება პოეტს). ეგებ ის ფიქრობს, რომ „ჩვენ მუხებს სულ მტვრად აქცევს მეთქი“.

ეს პრიმიტიული სიმბოლისტური აზროვნება იპყრობს პოეტს. ყველა ამას ქვიან არა მარტო სტაბილიზაცია იდეოლოგიური, არამედ გემოვნების სტაბილიზაციაც.

შემდეგ პოეტი განაგრძობს თავის განყენებულ გიმნაზისტურ აზროვნობას.

„გულში გრძნობები აღარ დარჩება (ექსპრესიონიზმია თუ შკოლური
ციფრები გვაქცევს კაცებს მინებათ“. რომანტიზმის ტრაფარეტი?)

აქ პროლეტარულ პოეტს აგონდება, რომ შეიძლება მსოფლიო დაიღუპოს.

„და მაშინ ხალხის გადასარჩენათ
ქვეყანას ლექსი მოაგონდება“.

ამისთვის არის ანდაზა **„ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს შვრებოდაო“.** წარმოუდგენელია კაცი პროლეტარული პოეტი იყოს, მარქსიზმის იდეოლოგიას თავს აფარებდეს და მსოფლიოს გადასარჩენად (დაღუპვის დროს) ლექსი ჰქონდეს მომარჯვებული.

შეიძლება ეს იმიტომ, რომ

„ვხედავ, რომ მალე ხალხის გულშიაც
ჩადგება ტვინი ცივი და მშრალი“

თითქოს შპენგლერი წაეკითხოს ამის ავტორს. ამ გიმნაზიურ აფორიზმებისთვის საჭიროა გემოვნების დაჩლუნგება და ადვილად იქნება მიღწეული ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხასიათის სტრიქონები. შემდეგ ყველა ამ სიბრძნეებს კრიტიკა ასაღებს პირველ ხარისხის პოეზიად. პირადად ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ლექსებით ვარჯიშობა და როგორც ვარჯიში არა სავსებით უიმედო.

ლორთქიფანიძეს არა აქვს არავითარი ლექსალური მიღწევა, ყველა მისი ლექსები გავს ერთმანეთს და ამავე დროს არ სჩანს ნასახები იმ ფორმალურ მიღწევათა ჩიხიდან გამოსასვლელი. ის ხმარობს ყოვლად უგემოვნო მეტაფორებს, შედარებებს და სახეებს.

მაგ. **„ჩემი თმები ხუჭუჭი, მგონი, ბუჩქი გეგონათ“.** ეს უნიჭო თარგმანიცაა. ესენინიდან. **ეხლა დადებითი მხარე.** ლორთქიფანიძეს აქვს შემოქმედებითი პოტენცია და ამავე დროს ნათელი ხედვის უნარი... პროლეტარული პოეტისთვის გამოსადეგი არის და ამავე დროს აუცილებელი **თქმის რეალიზმი,** ეს ლორთქიფანიძეს უსათუოდ ახასიათებს და ამით პროლეტარულ მწერლებში პირველობს. საგანს ასახელებს და მის შესახებ პირდაპირ ლაპარაკობს. შეიძლება ეს იყოს დამნაშავე, რომ ის უმთავრესად ტრაფარეტია და შემდეგ გაცვეთილი. რასაკვირველია, პირდაპირ თქმასაც უნდა კონსტრუქციის გამომუშავება.

სულ სხვაა კ. კალაძე. ის უფრო ფორმის ძიების პოეტია, სწერს სუფთად. ყოველ ლექსში ცდილობს რაიმე ახალ მიღწევას. ყოველ შემთხვევაში თავისებურობით გატაცებულია. მაგრამ თქმა აქვს არა რეალისტური. თუ ლორთქიფანიძე საგნებს ტრაფარეტულად მაგრამ პირდაპირ ასახელებს, კალაძე აზრებს გამოსთქვამს მთელი სახულების (÷åðåç î áðàçî â) იმაჟინების შემწეობით, ამიტომ მისგან აზრების მიმღეობა ხდება პერიოდულად და ბუნდოვანათ. აქედან ებადება მას ხედვითი სიმბოლიზმი. ხედვით სიმბოლიზმს და ლექსების დეკორატიულ და იმანჟინისტურ მანერებს ის მიყავს განყენებულ თემატიკამდე. მთელი მისი პოეზია განყენებულია მაშინაც კი, როდესაც ის რევოლიუციონურ თემატიკაზე სწერს. ამიტომ მისი პოეზია დაბრუნებაა ნაწილობრივ სიმბოლიზმისაკენ.

ჩვენ ვთქვით, რომ ის არის ფორმის ძიების პოეტი; მაგრამ აქაც საჭიროა შენიშვნების შეტანა. მას ფორმალური მიღწევა ესმის უმთავრესად სტრიქონის რიტმის გამომუშავებაში, ხოლო ლექსის მთლიანი ფოკუსი ხშირათ დარღვეული აქვს. ამავე დროს მისი ლექსები არა ამქვეყნიურია.

სამწუხაროდ, ამ პოეტს უკვე კრიზისი აქვს. კრიზისი გამოწვეული არის სიმბოლისტური ხედვიდან. პოეტი ამ სინათლიდან არ განთავისუფლებულა, ხოლო ძველ აპარატით მისვლა ახალ მასალასთან წარმოუდგენელია.

უფრო გარკვევით: ის ძლიერ შორს სდგას პროლეტარულ პოეტების მოვალეობისაგან და, თუ გნებავთ, თანამედროვე პოეტის დანიშნულების გაგებიდან. ლორთქიფანიძე, თუმცა ლექსებს ტრაფარეტულად სწერს, მაგრამ ხედვა ნათელი აქვს. ეს გვაძლევს უფლებას, ვიქონიოთ იმედი მისი გამოუმჯობესობის. ჟურნალში მოთავსებული ლექსი „ენგურის მთებს“ ყველა ამ შენიშვნების შიგნით რჩება. კარგია სახეები მოთხრობითი კილოთი დაწერილი.

„ვიღაც მოსულა შორიდან უცებ,
დაუკბენია ფერდობი ხარბად
და შემდეგ მშობლის დაკოდილ გულზე
ძმებისთვის ყელი გამოუღადრავს“.

მხოლოდ სიტყვა „უცები“ კუპლეტის პირველ სტრიქონში მოთხრობით პრინციპს არღვევს. აქ მოძრაობის დახასიათება კი არ უნდა, არამედ გაგრძელება „ვიღაცას“ რაობის, გატეხვა უნდა შემდეგ სტრიქონში და სხვა... (ეს სხვათა შორის).

ამ სტრიქონებში და მთლიანად ამ ლექსში ლექსალობის სტრუქტურა მოცემულია სიმბოლიზმის ჩრდილიდან, მხოლოდ აქ განსხვავება ის არის, რომ ლექსი მოთხრობითია. ეხლა ლექსი ლირიკა (რომელსაც სიმბოლისტები სწერენ დღესაც), ლირიკა გაგებული როგორც ლექსალობა — კრიზისს განიცდის. ეხლა შემოდის მოთხრობითი ან მოყოლითი მანერა ლექსის (ï îâåñòâîâàòåëüí ûé). ამ მანერის ლექსები შექმნეს ს. ჩიქოვანმა „მყინვარების“ და „სიდუს“ სახით, დ. გაჩეჩილაძემ „გლეხი“ და „აბრაგი“ და ნ. ჩაჩავამ „საუბარი ნადირობისას“, „ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ“ და სხვა. მოთხრობითი ლექსი ეხლა სცვლის ლირიულ ლექსალობას, რომელიც დღითი-დღე კვდება. თვით ძველ მწერლებსაც შეეპარათ ეს მანერა (მაგ. სანდრო შანშიაშვილის ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“) და სხვა...

დაუბრუნდეთ თემას. კ. კალაძეს მაინც ყალიბი არა აქვს და უმთავრესად კი მის ლექსებს აკლია დანიშნულება, ხოლო ფორმის მასწავლებლად კ. კალაძე ჯერ ვერ გამოდგება ახალგაზრდებისათვის. თემებს აკლია ფოკუსში მოქცევა ყოველთვის. ამიტომ მისი ლექსები ან დაუმთავრებელი გამოდის ან ზედმეტად დამთავრებული არის ხშირად, ე. ი. ზედმეტათ გაშლილი და განმარტოებული.

პოეტს აკლია, როგორც იდეოლოგიური, ისე ლექსის აღნაგობითი კონსტრუქტივიზმი. ეს კი ეხლა მთავარია პოეტისათვის. „ენგურის მთები“-ს უკანასკნელ კუპლეტებში არის აშკარა გავლენა ერთი სიმბოლისტ პოეტის, მაგრამ ეს აღნიშვნად არა ღირს.

კ. ფეოდოსიშვილი ყოველთვის ნათელია იდეოლოგიურად და ასი პროცენტით კომუნისტურია; მაგრამ მის ლექსებს მხატვრული კულტურა აკლია, საჭიროა მეტი მუშაობა. ლექსიკონი და საერთოდ ლექსური თქმა მდაბიო აქვს.

რაც შეეხება ა. მაშაშვილს — ეს არის ლიტერატურული დომხალი. „პასუხი მოგონებას“ გრიშაშვილის და გალ. ტაბიძის შეერთებაა და ალიო მაშაშვილამდე დაყვანა. ამ პოეტზე გარკვეული აზრის გამოტანა არ შეიძლება. ჩვენ ვეცადეთ, ლორთქიფანიძე და კალაძე მოგვექცია გარკვეულ რკალებში. მაშაშვილის გამორკვევა „თილისმას“ არ შეუძლია. აქ არის მისი ბედნიერებაც. მისი გამოურკვეველ სიბრტყეზე დგომის გამო მისი უგემოვნება და დამარცხება შეუმჩნეველი რჩება. მის პოეზიაში ბევრია სახარინი და ასეთი პოეტის შედარება მაიაკოვსკისთან (როგორც ამას პ. ქიქოძე სჩადის) წარმოუდგენელიც არის და უპასუხისმგებლობაც.

მაგ. გრიშაშვილის ვარიაცია: „გიჟო, დაისვენე ბრძოლა გათავდა“...

„გამისკდეს გული და გამისკდეს ეს დედა-მიწა... გწყევლი ამ ქვეყნათ ბელზებელის ხარ თანასწორი. რადგან ამ ასულმა „პოეტის ფიცი გატეხა...“ შეიძლებოდა კიდევ მრავალი სტრიქონების ამოწერა, მაგრამ ესეც საკმარისია.

„საქართველოში შენ ერთი ხარ ცბიერი“ (ალიო მაშაშვილი).
„საქართველოში შენ ერთი მაინც“ (გ. ტაბიძე).

აქვე ქიქოძის წერილში მოყვანილია გოლოდჩნის სტრიქონი

„Âåòåð ñûãðàé ì íå ìàðñåëüåçó
Í à áàëàëàéêêå ïðîâîäîâ“.

აქვე მაშაშვილს შეაქვს შესწორება ამ სტრიქონში და ასე ასხვაფერებს: „აქ მღერის ქარი მავთულებზე ინტერნაციონალს“. ამის შემდეგ პოეტის კეთილსინდისიერებაში ეჭვი რომ შეგვეპაროს, არავის არ უნდა გაუკვირდეს. ჯერ ეს რუსული სტრიქონები მხატვრულად დაბალ ხარისხოვანი და შემდეგ მისი გადმოქართულება ყოველგვარ ხარისხოვნობის ქვეშ სდგას.

პროზაში ყურადღებას იქცევს ნ. ლორთქიფანიძე „ხავსი“, ე. პოლუმორდვინოვი „ორი მზე“. „ხავსი“ ნაწილია დიდი რომანის, რომელიც წიგნათ გამოვიდა და ამის შესახებ ალბათ სხვა დასწერს სხვა დროს და სხვა ადგილას. პოლუმორდვინოვი პროლეტარულ მწერლების პროზაიკებში პირველ რიგში სდგას. ის სიუჟეტურად იძლევა და ხშირათ ნიჭიერა-

დაც (მაგ: ლურჯი სუფრა). აქვს მანერა მოყოლის. ჯერ ვერ არის სავსებით დაწმენდილი და განთავისუფლებული ტრაფარეტისაგან, მაგ.: „მტკვარი უხვად დაგროვებულ ქვებს კოცნის, კოცნის, ემშვიდობება“... მაგრამ იქვე კარგია სახე: „ღამე როგორც დაძონძილი დროშა, ისეა დაშვებული“.

ყველაზე სახიფათოა პროზაში სახეებით წერა და აზროვნება, სახეები სიუჟეტის განვითარებაში მოქმედების აღწერას ადუნებს. უმთავრესი ყურადღება პროზაში უნდა მიექცეს თქმის მანერას (ñòèë ñêàçà). ამით შეიძლება მიღწეულ იქნეს პლასტიური სხეულების მოცემა. მოთხრობაში მოცემულია ზაჰესის და მზის დაპირისპირება. თემის ისტორია საერთოდ მოდის მცხეთის ისტორიიდან, რომელიც პირველად ტ. ტაბიძემ მოგვცა თავის „ახალ მცხეთაში“. მოთხრობა აგრეთვე იმითი არის საინტერესო, რომ „ზაჰესის“ ფონზე ახალი აღმშენებლობითი ყოფის დახასიათებას ცდილობს. ამ მასებში საინტერესოა ყოველთვის წვრილმანების ახლოს ნახვა. ყოფა უფრო წვრილმანების აღნიშვნით და აღწერით იქმნება მხატვრულ შემოქმედებაში, აქ ისევ მოგვიხდება მემარცხენე მწერლობის ხსენება. ამ მხრივ შეუდარებელია სტეფანე კასრაძის დაბეჭდილი მასალები „ქართულ მწერლობაში“, „მნათობში“ და სხვა. აქედან შეუძლია ბევრმა ახალგაზრდამ ისწავლოს სხეულების დანახვა და აღნიშნვა.

პროლეტარული მწერლობის თეორიაც სულ სხვადასხვაა. ლეო ესაკია უფრო „ლეფიდან“ ჩუჟაკის და არვატოვის ხაზს უახლოვდება. ბენიტო ბუაჩიძე ძნელი გამოსარკვევია, თუ რას ამბობს თავის წერილში. არცერთი წინადადება სწორათ არ არის დასმული და გამოხატული. შემდეგ ფოკუსი არა აქვს წერილს. მთლიანობა არ არის დაცული. არის გზადაგზა გინება, მაგრამ ესეც ძნელი გასაგებია. წერილის ფოკუსის უქონლობა ახასიათებს დ. რონდელსაც. ყოველთვის წერილში ის ეხება რამდენიმე საკითხს. შემდეგ ამ საკითხს თავს არ უყრის და სტოვებს დაღერღილად. რჩება შთაბეჭდილება გაფუჭებული წისქვილის, ყოველ შემთხვევაში ის აზროვნობს. წინადადებას სწერს გასაგებად და მასთან შეიძლება კამათიც, ყველა იმ პროვოკაციების ჩამოთვლის შემდეგ, რომელიც მის წერილებში უხვადაა გაბნეული. ამ შემთხვევაში ლეო ესაკიას წერილი ამ ჟურნალში მიღწევაა. წერილი დაწერილია ნახევრად პუბლიცისტური მანერით, დაკუმშულია, რაც შეიძლება, ძლიერ და, რაც უმთავრესია, დაცული არის მთლიანობა.

პ. ქიქოძე და შ. რადიანი სწერენ სწორი ქართული ენითა და მოსალოდნელი გასაგები აზრებით. ეს წერილების მშენებლობის შესახებ. ეხლა გადავიდეთ წერილებში დასმული საკითხების მცირე შენიშვნებზე. დ. რონდელის წერილი გამოხმაურებაა ს. ჩიქოვანის აწერილ „თანამედროვეობა და პოეზია“. აქვე აბაშელი, ჩიქოვანი და ტაბიძე მოქცეულია ერთ რკალში. წერილის ავტორს ეს მოუვიდა იმიტომ, რომ „მიძღვნა ახალ პოეტებში“ დაუჭერია ერთი კუპლეტი თითქოს პესიმისტური ხასიათის. საჭირო იყო ლექსის ქვემოდ წაკითხვა და პასუხს იქვე მიიღებდა ავტორი. შემდეგ ლაპარაკია ჩვენს უნაყოფობაზე. ამის საპასუხო მთელი თანამედროვე პოეზიაა. როდესაც სიმონ ჩიქოვანმა დასწერა „ფიქრები მტკვრის პირს“, მას შემდეგ ალ. მაშაშვილმა დასწერა „მტკვარის ტანი“, ლორთქიფანიძემ „მტკვარი“, აბაშელმა „მტკვარი“ და მთელმა წყებამ პოეტების ამ თემას გამოეხმაურენ. დემნა შენგელაიას პროზის ქვეშ მიმდინარეობს ეხლა მთელი თაობა ბელეტრისტების. დემნას „თბილისმა“ გამოიწვია კალაძის „ტფილისი“, როცა ნ. ჩაჩავამ გამოაცხადა „არსენა ყაჩაღი“, მაშინ მიაქცია ლორთქიფანიძემ და მოასწრო დაებეჭდა „არსენას სიმღერა“, კოლაუ ნადირაძეც ასევე მოიქცა. ს. ჩიქოვანის „ნ. ბარათაშვილის“ შემდეგ გამოვიდა მაშაშვილის პოეზია ბარათაშვილზე. ესევე ითქმის „მყინვარი“-ს გარშემოც. შემდეგ ბარათაშვილი და მყინვარი ყველა მიმდინარეობის პოეტების თემათ და მასალად გახდა. თანამედროვე თემები აღვადგინეთ და შემოვიტანეთ ჩვენ — ძველი თაობის პოეტებიც სცხოვრობენ ამით. ამის შემდეგ რა უნაყოფობაზეა ლაპარაკი. შეიძლება, ჩვენ ვართ იმაში დამნაშავე, რომ თქვენს პოეტებს ჩვენ თემებიდან არაფერი არ გამოდის.

ამისათვის საჭიროა დაფიქრება და ლიტერატურულ სინიდისში ჩახედვა. ვაი თუ ბევრი თქვენგანი წყალს გაყვეს და ქვიშაში არ მოყვეს.

საკუთარი თავის დაჯერება კარგია, მაგრამ გადამლაშება არ შეიძლება. ამხანაგებო, ნუ გაგიტაცებთ „დონ კიხოტური თავდავიწყება“, ის ჰამლეტობაზე უკეთესიც რომ იყოს.

ს. ჩ.

„საბჭოთა ხელოვნება“

განათლების სახ. კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ორკვირეული ჟურნალი

ახალი ხელოვნების პროგრესისა და წარმატების ერთ მთავარ პირობას საზოგადოებრივი გემოვნების დაწინაურება და ესთეტიური აზრის განვითარება წარმოადგენს.

მოსკოვის სახელოვნო ცხოვრება ამ მხრივაც სამაგალითოა და სანიმუშო. იქ ყოველი ახალი მხატვრული ფაქტი მაქსიმალური რეზონანსით სარგებლობს. იქ სახელოვნო საკითხების გარკვევასა და დამუშავებაში უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო მოღვაწეებიც კი... ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაზრისით, ხელოვნება ახალი საზოგადოებრივობის ფორმაციის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანია.

საქართველოში მდგომარეობა ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ სპეციალური სახელოვნო პრესა არ არსებობს. გაზეთები კი ხელოვნების საკითხებში შემთხვევით რეცენზენტებზე ემყარებიან, რომელთაც, ცხადია, არ შეუძლიათ იმპულსი მისცენ ხელოვნების პროგრესიულ მიმართულებას.

ბუნებრივია, რომ ასეთ საგრძნობ დანაკლისს გვერდს ვერ აუვლიდა სახელოვნო განყოფილება და მისი ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“-ს სახით მოცემულია ცდა ამისა.

ჟურნალმა პირველი ნომრიდანვე აიღო ხაზი ქართულ ხელოვნების ყველა სფეროების შეთავსებისა თავისი მხედველობის ორბიტში. თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა — ხელოვნების ყველა ეს დარგები პოულობენ თავის მიღწევათა ასეთს თუ ისეთს შეფასებას ჟურნალის ფურცლებზე. მე-3 და მე-4 ნუმერში იყო ცდა ჟურნალის თეატრალურ ბიულეტენად გადაქცევისა. ცხადია, ასეთ ცდას არ შეიძლებოდა გამართლება ჰქონოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ისეთ ქალაქში, სადაც ორი თეატრი არსებობს, თეატრალური ბიულეტენის არსებობა ზედმეტიცაა და ასეთი ტიპის ჟურნალს ნაკლები მნიშვნელობა და გასავალი ექნებოდა.

მე-5 ნომრიდან ჟურნალმა დაიბრუნა ზოგად-სახელოვნო ორგანოს ხასიათი და მან უეჭველად ამ ხაზით უნდა განაგრძოს არსებობა.

ჟურნალი მიმართავს ხელოვნების საკითხების დამუშავებისათვის ისეთ ცხოველ და მიმზიდველ ფორმებს, როგორიცაა დისკუსია, ანკეტა და სხ.

დისკუსია ჟურნალმა მართლაც ფართოდ უნდა გამოიყენოს ყველა ძირითად თეორეტიულ საკითხების გარკვევაში. საბჭოთა სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის სახელოვნო პოლიტიკა ნათლად გულისხმობს რომ ხელოვნების სპეციალ საკითხებში ერთიანი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი არ არსებობს. თვით მარქსისტული ესთეტიკა და ხელოვნებათმეტყველება ჩამოყალიბებისა და ფორმაციის პროცესშია. ასეთ მდგომარეობაში ესთეტიური აზრი მხოლოდ სადისკუსიო ბრუნვაში შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ჟურნალმა უკანასკნელ ნომრებში შეასუსტა საბიბლიოგრაფიო ნაწილი, რაც არ შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს.

აღსანიშნავია ჟურნალის ტენდენცია: ახალგაზრდა ძალებზე დამყარება.

ცხადია, ახალი საზოგადოებრივობის ესთეტიური კულტურა ახალი ინტელიგენციის მიერ უნდა შენდებოდეს.

სამწუხაროა, რომ ჟურნალმა ვერ მოახერხა სისტემატიური გამოცემის ხასიათი მიეღო. მისი გამოცემის ეპიზოდიურობა შეუძლებელს ხდის ჟურნალმა თავის ირგვლივ მუდმივი მკითხველი აუდიტორია შექმნას. ამას უნდა მიექცეს სათანადო ორგანოების ყურადღება.

ბ. ჟ.

ნიკოლო მიწიშვილი — „თებერვალი“

გამომცემლობა „შრომა“. ტფილისი. 1927 წ.

ჩვენ ვიცოდით, რომ როზანოვი, ეს ერთი უდიდესი მამათმთავართაგანი ახალი პროზისა, აჯადოებდა გრიგოლ რობაქიძეს, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე მოერია მას და აქ როზანოვი ოდნავ ხმაურობს. სამაგიეროდ ნ. მიწიშვილმა ძირეულად გამოიყენა იგი. ამის დასამტკიცებლად სრულიად საკმარისი არის ჩვენ წინ მდებარე „თებერვალი“ და მისივე „გარდაცვალება“, რომ ჩვენ უახლოესი კავშირი მოვნახოთ „óåäèí åí í î å“-ს და „Ëþäè ëóí í î ãî ñâåòà“-ს ავტორთან.

ახლა ჩვენ არ ვილაპარაკებთ „გარდაცვალებაზე“, ჩვენი ყურადღების საგანს შეადგენს „თებერვალი“. რა არის დამახასიათებელი ამ რომანისა? უპირველეს ყოვლისა, შენიშვნები, რომელიც მოთავსებულია ფრჩხილებში. ესე არის როზანოვის სტილის უმთავრესი გარეგნული ნიშანი. მაგრამ თუ ჩვენ უფრო ღრმად ჩავიხედავთ ნ. მიწიშვილის გადმოცემის ხერხში, დავინახავთ, რომ ავტორი იმ გამოსავალ წერტილიდან, რომელიც ასე ახლოს უნდა იყოს და ორგანიულად გამომდინარე თავისი ლიტერატურული ხერხებით, თითქოს წინააღმდეგობაშია თავის თავთან და უმთავრესად როზანოვთან. რასაკვირველია, მას ეს უკანასკნელი მიზნად არ ჰქონდა დასახული, მისი მიზანი იყო როზანოვის მეთოდის გამოყენება, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ის ზემოდან წავიდა ძირებში და ამიტომ არის, რომ ეს რომანი მეტად მსუბუქ შთაბეჭდილებას ახდენს, ამითი შეიძლება აიხსნას ის ფელეტონური სტილი, რომელიც ასე დაუკავშირდა ამ რომანს.

ნ. მიწიშვილს რომანი რამდენიმე ფენად აქვს მოცემული. აქ ავტორი უმთავრესად ფელეტონისტია, ამას გარდა მას უნდა კიდევ ისიც მისცეს მკითხველს, რასაც ფელეტონი არ იკარებს ორგანიულად, ამისთვის ის პოულობს მეორე გამოსავალს, — გადადის ფრჩხილებში.

როზანოვისათვის მთავარ ინტერესს არ წარმოადგენს რაიმეს მოჰყვეს, მას ეინტერესება, რა არის დაფარული სტრიქონებს შორის, მას ათასი აზრები ებადება, ვერ ეტევა ჩვეულებრივი წერის წესებში და მაშინ ის ხსნის ჯებირებს, ჩამოდის ძირს და შენიშვნების სახით შლის იმ პრობლემებს, რომელიც იჭრება გზადაგზა. ამგვარად ტექსტი არ არის მისი მთავარი მიზანი, მას იტაცებს შენიშვნები, შემდეგ ეს შენიშვნა იწვევს კიდევ შენიშვნას და, როცა მის წიგნს კითხულობთ, თქვენთვის მთავარი ინტერესი გადადის შენიშვნებში, რომლის რეზუმესაც წარმოადგენს თვითონ ტექსტი.

მისი სტრიქონი სავსეა დაცინვით, სიხარულით, მწუხარებით, იმიტომ რომ ამის ზედმიწევნით ატანა მხოლოდ შენიშვნას შეუძლია და არა „ოფიციალურ“ ტონს. ის აქ საპყარია, ველური, რასკოლნიკი, ჟინატეხილი და მუდამ გაუმაძღარი.

ის მთლიანად სლავიანიზმიდან, ძველი სასულიერო წიგნებიდან და ნაწილობრივ სემიტიზმიდან არის გამოდენილი და, მე ვფიქრობ, მას აქვს რაღაც საერთო „გოლემის“ ბუ-

ნებასთან. აქედან: ერთი ცხადია: როზანოვი გამოყენებულ უნდა იქმნას. თუ ერთის მხრით ახალ პროზას სათავეში უდგას ანდრეი ბელი, მეორე მხრივ უნდა დადგეს როზანოვი „გოლემ“ (უკანასკნელი პინკერტონული სიუჟეტისა და ყოფის მოცემით) და კ. ედშმიდი თავისი პათოსითა და ბიოლოგიით (როზანოვიდან არის გამოსული აგრეთვე პროზის ისეთი დიდი ოსტატი, როგორიც არის ვ. შკლოვსკი. აქ მე განგებ არ ვლაპარკობ რემიზოვზე, რომელმაც ისე გასტეხა ბ. პილნიაკი).

როგორ უნდა მოხდეს ეს? ეს არის საქმე ცდებისა და დაჟინებული მუშაობის. ამიტომ საჭიროა იმ მეთოდების შესწავლა, რომელიც მათ პირველად სცადეს და მერე ამ მეთოდების მიხედვით ქართული ისტორიული ლიტერატურისა და განსაკუთრებით სასულიერო-სი შესწავლა. მე ვფიქრობ, „ქართლის ცხოვრება“, „დაბადება“, იაკობ ხუცესი, იოანნე საბანისძე, მერჩული, „ვისრამიანი“, საბა-სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, სიგელები და ილია ჭავჭავაძე გაცილებით ბევრის მომცემი არის, ვიდრე მთელი ევროპის ლიტერატურა ქართული შემოქმედებისათვის. არცერთი მწერალი არ იღებს მხედველობაში ზემოხსენებულ ავტორების ცდათა გამოყენებას და, ჩემის აზრით, აქ არის მარცხი მთელი ქართული ახალი ლიტერატურისა და მათ შორის ნ. მიწიშვილისაც.

მიწიშვილის მეორე და უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის ირონია, რომელიც ერთი ნაბიჯით არის დაშორებული ოხუნჯობისაგან, რისგანაც მას იხსნის ის სევდა, რომელიც ასე თვალსაჩინოდ მიჰყვება მთელ წიგნს.

სამწუხაროდ, საბიოგრაფიო არე არ მაძლევს ნებას, რომ ყოველივე ის, რაც ჩემ მიერ იქნა ზემოდ თქმული, ტექსტუალურად დავამტკიცო.

ხანდახან მიწიშვილის სტილში ერევა ეპოსიც, რაც კარგად არის გამოყენებული. მაგალითად: „ქალაქში დაჯდა რევკომი“...

ყოველივე ის, რაც მე ზემოდ აღვნიშნე, არის, ჩემის აზრით, მწერლის უდიდესი ღირსება და ეს ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მან ახალი გზა დაუსახა ქართულ პროზას. შესაძლებელია, იგი დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება გაცილებით უფრო ძვირფასია ქართული ლიტერატურისათვის, ვიდრე ის ეგრეთწოდებული „გამარჯვებები“ ჩვენი მოსაწყენი ამბების მომყოლი მწერლებისა.

ეს ერთი საგულისხმო ცდათაგანი არის ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენ იმას ვესალმებით.

დემნა შენგელაია

მუშათა თეატრი

„რაც გინახავს, ველარ ნახავ“

პიესა აქვს. ცაგარლის. ტექსტი გადაკეთებულია ნიკ. ჩაჩავას მიერ
დადგმა მიხ. ჭიაურელის

ქართული თეატრალური მშენებლობა დღემდე სახელმწიფო დრამით განისაზღვრება. სხვა თეატრალური ერთეული საქართველოში არ არსებობს. თუმცა ორგანიული მთლიანობა მხატვრული პრინციპისა და მშენებლობითი მეთოდების მხრივ — რუსთაველის თეატრსაც არ აქვს, რაც არა ერთხელ აღგვინიშნავს.

ტფილისში არსებული „მუშათა თეატრი“ დრამატიული ხელოვნების დაძველებულ ჟანრებზე ემყარება. იგი თავისი მხატვრული კონცეპციით გაცილებით მემარჯვენეა და

კონსერვატიული, ვიდრე „აკადემიური დრამა“. ეს მოვლენა თითქო ბუნებრივად არის მიჩნეული და ამის წინააღმდეგ არავინ ლაპარაკობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გაუგებრობაა და უდიდესი შეცდომა. შეუძლებელია მუშათა პროგრესიულ აუდიტორიისათვის გამიზნული თეატრი შენდებოდეს აკადემიურ დრამიდან გაძევებულ თეატრალურ ტრადიციებზე. შეუძლებელია პროლეტარიატის ესთეტიური კულტურა ყალიბდებოდეს იმ ტრაფარეტის ფარგლებში, რომელიც ბურჟუაზიულ თეატრების დეკადანსის პერიოდში გამომუშავდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ მუშათა აუდიტორიას აქვს მეტი პრეტენზია და მოთხოვნილება ახალი ხელოვნების პრინციპებზე აგებული სანახაობით ხელოვნებისა, რადგან იგი შედარებით ნაკლებათაა დატვირთული ძველი კულტურის ტრადიციებით, რადგან იგი უფრო მეტად ანტიპოდურია მომაკვდავი კულტურის მემკვიდრეობისადმი.

ეს გარემოება უეჭველად უნდა იქნეს გათვალისწინებული. მუშური აუდიტორიის ესთეტიურ დამახინჯებას და პასსეიზმში გადაჩეხას ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მუშათა თეატრი აკადემიურ დრამაზე მეტად უნდა წარმოადგენდეს ექსპერიმენტებისა და მემარცხენე აღმოჩენათა ლაბორატორიას.

ამ მხრივ პირველ გაბედულ ექსპერიმენტს რეჟ. **მიხეილ ჭიაურელის** დადგმა წარმოადგენს: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. როგორც ყოველ ცდას, ამ სპექტაკლსაც აქვს დეფექტები და ლაპსუსები. ამ წერილში ჩვენ მხოლოდ იმ ექსპერიმენტალურ მიღწევების აღნუსხვა გვინდა, რომლებიც პროგრესიულად და დადებითად მიგვაჩნია.

1. აქვ. ცაგარელის კომედიის მძაფრი კომიზმის სცენიური რესტავრაცია შეუძლებელი იქნებოდა „საავტორო უფლების“ ხელშეუხებლათ. ტექსტის დაცვით სპექტაკლი სავსებით ისტორიზმში და ეტნოგრაფიაში ჩაიძირებოდა. ამიტომ ტექსტის დაშლა და მისი რეკონსტრუქცია თანამედროვე ყოფისა და სტილის ფონზე — სავსებით მიზანშეწონილია დანიშნულებრივად (ამ მხრივ აღსანიშნავია რეჟისორთან **ნიკ. ჩაჩავას** ლიტერატურული თანამშრომლობა).

2. სპექტაკლის ცენტრი გადატანილია სოციალურ მომენტზე და მისი მხატვრული განვითარება სოციალურ კოლლიზიების ფონზე მიმდინარეობს. ამ მხრივ დადგმა სანიმუშოა: როგორ შეიძლება თეატრი გაექცეს „ხალტურას“ და მაინც დარჩეს აგიტაციის ფუნქციაში.

3. კომედიაში შეტანილია საკლუბო ხერხები (რაც მონოტონობას არღვევს) და გამოყენებულია მუსიკალური ეფექტები (ამ მხრივ აღსანიშნავია რეჟისორთან **ანდრო ბალანჩივაძის** მუსიკალური თანამშრომლობა).

4. კომედიაში შეტანილია მოულოდნელობის, გაუცხოებისა და „სიურპრიზების“ ხერხები.

5. სპექტაკლის კომიზმი შენდება უმთავრესად მოძრაობათა კონსტრუქციით, რაც თანამედროვე თეატრის მთავარ პრინციპს უნდა წარმოადგენდეს.

6. სცენიური ინვენტარის მაქსიმალური უტილიზაციით გადაჭრილია თეატრალური კონსტრუქტივიზმის ამოცანა. არც ერთი საგანი სცენაზე არ რჩება სტატიურ და გამოუყენებელ მდგომარეობაში (სადღვებელი, ტახტი, ხმალი, დამბაჩა და სხ.).

ეს დადგმა სრულიად არ შედის პრიმიტიულ თეატრის რკალში. როგორც სჩანს, დადგმა აგებულია სავსებით თანამედროვე და მემარცხენე პრინციპებზე. აუდიტორიისა და სცენის ემოციონალური ურთიერთობა მიღწეულია.

დადგმის საერთო კოლორიტს ავსებს **ლადო გუდიაშვილის** დეკორატიული ესკიზები.

ამ დადგმით მუშათა თეატრმა პირველად გადალახა ძველი ხელოვნების საზღვრები, ამ გზით უნდა განვითარდეს მუშათა თეატრის მხატვრული ფორმაცია.

ბესარიონ ჟღენტი



მემარცხენეობა

ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტი

„მემარცხენეობა“, 1928, №2

მემარცხენეობა

ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო

1928 წელი – ზაფხული.

„მემარცხენეობის“ ამ მეორე კრებულს უფრო თეორეტიულ-პროგრამულ ხაზის გამართვა აქვს დასახული მიზნად, ვიდრე მხატვრულ პროდუქციის გამოფენა. აქ მოთავსებული მხატვრული პროდუქციაც კი ნიმუშისა და ლაბორატორული ხასიათისაა.

მემარცხენეობა წინააღმდეგია ხელოვნების ყოველგვარი შინაგანი კლასიფიკაციისა (პოეზია, პროზა, დრამა და სხვ.). ის სპობს ხელოვნებაში შემავალ გვარეობათა შორის საზღვრებს და ხელოვნებას ათავსებს წმინდა პრაქტიკულ საქმიანობისა და ნივთების კატეგორიაში; ამიტომ „მემარცხენეობა“, მებრძოლი ქართულ დღევანდელ სინამდვილეში კომუნისტური კულტურისათვის, უფრო საზოგადოებრივობის მიმართებაა, ვიდრე ხელოვნების მორიგი სკოლა; აქედან: „მემარცხენეობის“ როგორც თეორეტიული, ისე მხატვრული პროდუქცია ძიებაა თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა და მისი ტენდენციების გამორკვევა. ცხადია, აქ ხელოვნება წმინდა ემოციონალურ ზედმოქმედების მოვალეობიდან იძვრის და გადადის გონებრივ ზეგავლენაზე, მით სტოვებს თვითმიზნობრივ ესტეტიზმის საზღვრებს და გამოდის ინტელექტუალიზატორის როლში.

ყოველი ხელოვნების ფაქტი მდებარეობს ესტეტიურსა და არაესტეტიურ კატეგორიებს შორის. ესტეტიური კატეგორია წარმოადგენს კომპოზიციების გამოაშკარავებას, ხოლო ხელოვნების ობიექტს — მასალას — ჩვენ უწოდებთ არაესტეტიურ კატეგორიას.

ხელოვნების ყოფის ცვალებადობაში თვითად კომპოზიციებმა დაჰკარგეს ესთეტიური ზეგავლენის უნარი. თანამედროვე ხელოვნების რევიზიამ წარმოშვა ფაქტისა და დღიურ საჭიროებათა ხელოვნება, მოცემული კონსტრუქტიულ ფორმებში (კონსტრუქცია არის კომპოზიციის შეცვლა ინჟინერიის პრინციპებით).

ამიტომ „მემარცხენეობა“ ნიშნავს: **ხელოვნებისა და ოსტატობის იგივეობის განმტკიცებას და ხელოვნების საზოგადოებრივ ფუნქციის ძიებას.**

ყოველივე ზემოთქმულისაგან აშკარა ხდება „მემარცხენეობის“ განსაკუთრებული როლი ქართულ ხელოვნებაში. „მემარცხენეობა“ არის ბრძოლა ხელოვნებაში ოსტატობის განმტკიცებისა და ქართული ხელოვნების კულტურის დონის ამაღლებისათვის. „მემარცხენეობა“ განაგრძობს საზოგადოებრივ დაკვეთის ასრულებასთან ერთად, ლაბორატორულ მუშაობას ხელოვნების შინაგან სპეციფიურ მასალებზე და სთვლის ამ მუშაობას მოწინავე ხელოვნების ერთ უმთავრეს და აუცილებელ გზად.

„მემარცხენეობის“ ეს კრებული გამოდის ქართულ ხელოვნებაში გამეფებულ მსოფლმხედველობითი პასეიზმისა, ოსტატობის დაცემისა და შტამპის გაბატონების დროს. მემარცხენეობა ბრძოლაა არსებულ ატმოსფერის გასარღვევად და ნიღაბის ახდა ყველა პსევდოთანამგზავრულ ტენდენციებისა.

„მემარცხენეობა“ უპირდაპირდება თავისი პრინციპებითა და საზოგადოებრივი საქმიანობით დღევანდელ საქართველოში არსებულ ხელოვნებათა მიმართულებებს, გაერთიანებულს მემარჯვენეობის ნიშნის ქვეშ.

„მემარცხენეობა“ სთვლის თავის პრინციპებს და ამ პრინციპებით გამართულ მხატვრულ პროდუქციას საბჭოთა მნიშვნელობის შედეგად და მის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ მიმდინარეობად.

უკანასკნელი წლების მუშაობამ დაამტკიცა, რომ მუშათა აუდიტორია და საბჭოთა საზოგადოებრივობის საუკეთესო ნაწილი სრულ კონტაქტში არის „მემარცხენეობის“ საქმიანობასთან. ამასთანავე მემარცხენე მუშაკების ხარისხობრივმა ზრდამ დაგვანახვა, თუ რამდენად ცოცხალია და მიუცილებელი ის მხატვრული მასალები და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელსაც ჩვენი ამხანაგები აწარმოებდენ ლიტერატურაში, კინოში, თეატრში, მხატვრობაში, მუშათა კლუბებში და სხვ.

„მემარცხენე მწერლობის“ ჟურნალი „მემარცხენეობა“ აქამდე ატარებდა ალმანახის ხასიათს. დღეს უკვე ნათელი გახდა მისი პერიოდულ ორგანოდ გადაქცევის საჭიროება. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჩვენ ამ კრებულშიც შევეცადეთ მოგვეცა ჯამი ყველა იმ მთავარ დებულებებისა, რომელსაც ამ წლის განმავლობაში მემარცხენე ჯგუფის წევრებს ზეპირად თუ სხვადასხვა გამოცემებში პრინციპების სახით წამოუყენებიათ. ამასთანავე ჩვენ შევეცადეთ, ეს კრებული ყოფილიყო ხელოვნების დღიურ საჭიროებებზე პასუხის გაცემა და არ ჰქონოდა გეზი აღებული განყენებულ თეორეტიულ მსჯელობებისაკენ.

დღევანდელობის დირექტივები

ქართული მემარცხენეობის მებრძოლმა პოზიციამ გადალახა ლიტერატურის საზღვრები. უკანასკნელი პერიოდის ჩვენი მუშაობა — საკითხის დაყენების მაშტაბით განირჩევა. ახალი პოეტიკის თეორეტიულ-პრაქტიკული განმტკიცებიდან, ძველი, ტრაფარეტული ლექსისა და პროზის კულტურასთან ბრძოლიდან — ჩვენ გადავედით მთელი მხატვრული კულტურის რეორგანიზაციისათვის ბრძოლაზე; ლიტერატურულ შკოლით დაწყებული მემარცხენეობა — კულტურულ-საზოგადოებრივ მოძრაობათ იქცა.

ჩვენი მხატვრული-იდეოლოგიური კონცეპცია ხელოვნების დანიშნულების, მისი სოციალურ ფუნქციის რევიზიით იწყება: ძველი საზოგადოებრივობის სოციალ-პოლიტიკურ სისტემაში ხელოვნების ადგილი და ამოცანა — თვითმიზნობრივი ესტეტიზმის, თავდავიწყებისა და ჰაშიშის, ამსახველობისა და ილიუზიონიზმის ცნებებში თავსდებოდა. ჩვენი რამოდენიმე წლის მტკიცებამ ნათელი გახადა ასეთი გაგების შეუსაბამობა დღევანდელობის ბუნებასთან, გარდამავალი პერიოდის მატერიალურ-კულტურულ მშენებლობის ამოცანებთან.

ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე აგებული ადამიანის ფსიქიკის რეკონსტრუქცია, წარსულის ნამემკვიდრევ ცრუმორწმუნოებათა აღმოფხვრა, სენტიმენტალურ-რომანტიულ განწყობილებათა დაშლა, ძველი გემოვნებისა და ესთეტურ-იდეოლოგიურ თვალსაზრისის რღვევა — აი, ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულება ჩვენს დროში.

ასეთია იმ ფორმულის კონკრეტიული გახსნა, რომლითაც ჩვენ ხელოვნებას ახალ ცხოვრების მშენებელ ძალათ, კულტურული რევოლიუციის ძირითად საქმეთ ვაცხადებთ.

აქ ნათელია განსხვავება და დაპირისპირება. ახალი დანიშნულება, ახალი ამოცანა თვით ხელოვნების შინაგან რეკონსტრუქციას ბადებს. შეუძლებელია თანამედროვეობის ამოცანას ვუპასუხოთ ძველი ხელოვნების კანონებზე აგებული მხატვრული ფაქტით. ეს კანონები იმდენათ გაცვეთილი და ავტომატიზაცია ქმნილია, რომ მათ დაკარგეს ზემოქმედების ის ინტენსივობა და სიცხოველე. ეს კანონები იმდენათ შეფარდებული იყო ძველი ხელოვნების დანიშნულებრივ ბუნებასთან, და ისეთი ორგანიულობით დაკავშირებული ძველი საზოგადოებრივობის სხეულთან, რომ მათი გამოყენება ჩვენს პირობებში — შეუძლებლათ ხდის ხელოვნების დაკავშირებას დღევანდელობის მოთხოვნასთან. პარალელურად ხდება ხელოვნების მასალებრივი ინვენტარის ცვლა. ძველი, ტრადიციული ხელოვნების ხერხობრივი აპარატით მისვლა ახალი ცხოვრებით შემოტანილ მასალასთან არღვევს მხატვრული ფაქტის ორგანიულობას და მთლიანობას. ეს არა სპობს ძველ მასალებზე მუშაობის შესაძლებლობას. ელექტრონის ეპოქა იყენებს ქვის, ბრინჯაოს და რკინის მასალას, მაგრამ აქ სულ სხვაა — ამ მასალის კონსტრუქციის მეთოდი, ახალია მშენებლობის კანონი. თუ ასეა მატერიალურ კულტურაში, მით უფრო ხელოვნების სფეროში ძველ მასალებზე მუშაობაც კი — უეჭველად ახალ მეთოდებს და ხერხს მოითხოვს. ამიტომ ვაყენებთ ჩვენ ახალი ხელოვნების ძირითად პირობათ — ახალ მხატვრული ხერხების აღმოჩენას, მიმდინარე მშენებლობით პროცესებთან შეფარდებით. ახალი ამოცანა ბადებს ხელოვნების ახალ ფორმების საჭიროებას. აქედან მივდივართ ახალი მასალის ძიებისაკენ. ხელოვნებიდან იდევნება რომანტიულ-ეკზოტიური მასალა, ილლიუზიისა, ასბტრაქციისა და ამსახველობის ხელოვნებიდან — ჩვენ მივდივართ ფაქტების ხელოვნებასთან. აქ ისპობა ფანტასტიური მასალა, გამოგონილი სიუჟეტი, ინტიმურ-ინდივიდუალურ განცდების თემატიკა, ტიპიურ-განმზოგადებელი ყოფითი ფაბულა. ასეთი მასალობრივი „შინაარსი“ სავსებით შეეფერებოდა იმ დროინდელ ხელოვნებას, როცა იგი ცხოვრებიდან გაქცევის, ან ცხოვრების ილლიუზიის მიცემის საშუალებათ იყო გაგებული. ახალი ხელოვნების მასალა არის რეალური და არა „გამოგონილი“ ფაქტი. ხოლო ამ ფაქტების კონსტრუქციის და დალაგების სპეციფიურობა ბადებს მხატვრული ნივთის ღირებულებას, რომელიც ჩვენ გვესმის, როგორც ახალი, მანამდე არ ყოფილა კატეგორია, რომელიც ავსებს და ემატება ცხოვრებას — ნივთებისა და ფაქტების ჯამს. ფაქტიური მასალა და მხატვრული ფორმაციის ახალი ხერხები — აი, თანამედროვე ხელოვნების გზა. აქედან ნათელია, თუ რატომ ვაყენებდით და ვაყენებთ ჩვენ პრიმატულ ამოცანათ ახალ ხელოვნებაში — ახალი სტილისტიურ ხერხების აღნაგობას, რასაც საერთო ხმარებაში „მხატვრული ფორმა“ ეწოდება — აქედან ჩვენი ფორმულა „ფორმალურ რევოლიუციისა“, აქედან ჩვენი პოზიცია წარსულის მემკვიდრეობის საკითხებში.

ესთეტიურ ფეტიშიზმის ნაცვლად ჩვენ შეგვაქვს ხელოვნებაში მიზან-შეწონილობის, უტილიტარობის, გეგმაზომილობის პრინციპი. ხელოვნება კარნახობს ყოფის ორგანიზაციის კანონებს; ხელოვნება ახდენს ახალი ფსიქიკის რეგულიაციას, ხელოვნება ამოძრავებს მასებს ახალი ცხოვრების ფორმაციისაკენ. და ეს „სოციალური დაკვეთა“ პირველ ყოვლისა თვით ხელოვნების ორგანიზმის ახალ პრინციპებზე აგებას გულისხმობს.

ამიტომ ყოველგვარი მხატვრული მუშაობა უმნიშვნელოა და უსარგებლო; თუ იგი არ შეიცავს ძველი ესთეტურ ტრფიალების რღვევიდან — დღევანდელობის შესაფარდ ხელოვნების ელემენტებს. ეს არის ერთად-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც ვაფასებთ ჩვენ თანამედროვე ქართული ხელოვნების მდგომარეობას.

მემარჯვენე ბანაკი ქართული მწერლობისა ისევ პასსეიზმის, პრიმიტივის და უმეცრების ჭაობში ბრუნავს. მისი ტრადიციული თაობა დაუსრულებლად სტკეპნის ერთსა და

იმავე ადგილს. „აკადემიურ მწერლები“-ს იარლიკით ჩვენს ლიტერატურას ევლინება ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის დაუძვრელი ყინული. იბეჭდება წიგნები, ჟურნალები, ლექსებით და პროზით, მაგრამ არავითარი დაძვრა ადგილიდან. ვარიაცია შტამპის და ტრაფარეტის. არის მკრთალი ცდები თემატიურ განახლების, მაგრამ გაცვეთილ, დაობებულ ხერხობრივ აპარატში მოქცეული ახალი თემატიკა — უფრო შარჟია და კარიკატურა — ვიდრე დღევანდელობის ხელოვნება. ბევრია მათ შორის საკმაო ისტორიული დამსახურებით, რომლებიც თავის დროზე ღრმა და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდენ. ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ, ოდნავაც არ დავამცირებთ ჩვენ მათს ისტორიულ ღირებულებას, როგორც არ ვივიწყებთ ჩვენი ძველი მწერლობის კორიფეების დამსახურებებს თავისი დროისა და საზოგადოებრივობის მიმართ. მაგრამ დღევანდელი ესთეტური კულტურისათვის მათს ეხლანდელ მუშაობას მხოლოდ აგრესიული, უკანდამხევი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ გვჭირდება, ვიბრძოლოთ მათი გავლენის წინააღმდეგ ახალ ლიტერატურულ ცხოვრებაზე — არ დავზოგოთ ავტორიტეტები, რადგან ამაშია კულტურული პროგრესის უმთავრესი პირობა.

ვაგრძელებთ ბრძოლას „ცისფერ ყანწები“-ს წინააღმდეგ. მათი ლექსების ბეჭდვა გრძელდება ინერციით. ვერავინ გვეტყვის — რა დანიშნულებას, რა გამართლებას ატარებს ეს დაუსრულებელი მელანქოლიის, ინტიმიურ ლირიკის, ეკზოტიკის, ღვინის პროპაგანდის პოეზია. თუ თავის დროზე ამ შკოლის გამართლება მის პათოსსა და ტემპერამენტში მაინც იყო, ეხლა იგი ობივატელურ გემოვნების უკანასკნელი სტადიაა. ყოველგვარ ოსტატობას, მიზანშეწონილობას, სოციალობას მოკლებული. მათი მონოტონური ლექსალობა — მთელი წყება ამ შკოლის პოეტებისა „მღერის ერთ მოტივს“ და უკვე ვეღარ გაარჩევ „უხუცესი“ ქართველი პოეტების ხმას — ჩვენი ლიტერატურული ბოგემის პოეტების ორკესტრისაგან.

ყოველი დღე, ყოველი გამოსვლა ბეჭდვითი თუ ზეპირი ნათელს ხდის, რომ ამ შკოლამ ქართული კულტურის ყველა საკითხებში დაკარგა ელემენტარულად საღი ორიენტაციის შეგნების უნარი.

მემარჯვენე ლიტერატურის ერთმა თაობამ სასიცოცხლო პრეტენზიების შესანარჩუნებლად მექანიკურ გაერთიანების ხერხს მიმართა — ასე შეიქმნა „შეზარხოშებულ ადამიანების კავშირი“, რომელმაც თავისი პასსეიზმის ილლიუსტრაცია დაჯგუფების სახელწოდებაშივე გამოხატა. ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს, რომ პირველი გამოცემა, ახლად ამოძრავებულ ლიტერატურულ დაჯგუფების, ისე უსიცოცხლო, უფერული და ყოველგვარ ინტერესს მოკლებული ყოფილიყოს, როგორც ეს „არიფიონმა“ მოგვცა. არც ერთი ახალი აზრი, არც ერთი ახალი ტონი. ყველაფერი ძველი, ათასჯერ გაგონილი დავიწყებული. რესტავრაცია უძველეს და მდარე ლიტერატურულ ჟანრებისა და ფორმების. ჩვენი მოვალეობაა „ცნობის მოყვარე ახალგაზრდობას“ განვუმარტოთ, თუ რაოდენი კონსერვატიზმი, არქაიზმი და ჩამორჩენილობაა შეთავსებული ამ ალმანახში, რომელიც „ახალი ძიების“ და ეპოქის სტილის ფრაზებსაც არ გაურბის.

ჩვენ ვაგრძელებთ ენერგიულ პოლემიკას პროლეტარულ მწერლობასთან. მიზნობრივი ერთიანობა არ გვაფერხებს ჩვენ, ზოგჯერ უმწვავეს ფორმებშიც კი ვიბრძოლოთ მხატვრული იდეოლოგიის სპეციფიურ პრობლემების გარკვევისათვის.

სოციალ-პოლიტიკურ რადიკალიზმთან პროლეტარული მწერლობა ხშირად ათავსებს მხატვრულ-ესთეტიურ კონსერვატიზმს. აქ იწყება ჩვენი უთანხმოებისა და წინააღმდეგობის საზღვრები. ჩვენ ვიბრძვით პროლეტარული მწერლობის მარცხნივ გადახრისათვის მხატვრული მშენებლობის კანონების სფეროში. პროლეტარული მწერლობა ნაც-

ვლად ახალი მხატვრული ხერხების, ახალი ლიტერატურული ფორმის ძიებისა, გადადის „ახალი ადამიანის“ ძიებაზე. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „ახალი ადამიანი“, „ჰარმონიული ადამიანი“ და სხ. არ არსებობს. იგი უნდა აღმოცენდეს და მის ფორმაციის პროცესში ახალ ხელოვნებას აქტუალური როლი აქვს. ამიტომ არა „ახალ ადამიანი“-ს ძიება, არამედ მისი აღმოცენებისათვის საჭირო პირობებისათვის მუშაობა, შესაფარდი ელემენტების ძიება უნდა იყოს ახალი ლიტერატურის ამოცანა.

პროლეტმწერლობა აყენებს „სწავლის“ ლოზუნგს, მაგრამ მათს კონცეპციაში სწავლა უთანაბრდება რესტავრაციის ცნებას. სწავლობენ და სცდილობენ გადმონერგონ ძველი ლიტერატურის ხერხობრივ-მორალური ტრადიციები. ჩვენ ვიბრძვით ასეთი „ცრუ კლასიკურ“ მუშაობის წინააღმდეგ. ძველი მწერლობისაგან, კლასიკოსებისაგან ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ მხოლოდ ერთი რამ: ისეთივე ორგანიულობით მივუდგეთ ჩვენი დროის ამოცანებს, ისევე გავიგოთ დღევანდელობის მოთხოვნები, როგორც ეს შესძლეს კლასიკოსებმა. აქედან კი ბუნებრივათ გამომდინარეობს მათ მიერ განვლილი გზების უარყოფა და ექსპერიმენტალურ მუშაობის აუცილებლობა ახალ ხელოვნების ორგანიზმის გასამტკიცებლად.

პროლეტარულმა მწერლობამ უნდა უარყოს ძველ ლიტერატურულ შკოლების გავლენების ყოველგვარი ვარიაცია (გმირული რეალიზმი, წარსულის მიღწევათა „სინთეტურ გამოყენება“ და სხ. და სხ.). პროლეტარიატი არ სწავლობს წინამორბედი კლასებისაგან თავისი პოლიტიკისა და ეკონომიკის შენების კანონებს. იგი ქმნის მას თავისი კლასიურ ინტერესების და საჭიროებათა მიხედვით.

ასევე უნდა მიუდგეს ლიტერატურულ მუშაობას პროლეტარიატის კლასიური მწერლობა.

ლიტერატურის გარდა უკანასკნელ პერიოდში ჩვენი საზოგადოებრივობის წინაშე აქტუალურათ დადგა სხვა ხელოვნებათა მდგომარეობის საკითხი. თეატრი, კინო, მხატვრობა — ამ სამმა დარგმა ჩვენი ხელოვნებისამ უკვე შექმნა საზოგადოებრივი ინტერესი და ამ საკითხებშიც აზრთა დიფერენციაცია ბუნებრივათ მოხდა.

ქართული თეატრის საკითხში ჩვენ გამოვიმუშავეთ გარკვეული პოზიცია. ჩვენ ვებრძვით თეატრის ქაოტიურ მუშაობას, უპრინციპო, კუსტარულ და ხალტურულ მეთოდებს. ქართული თეატრის დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენ გაუწიეთ უსასტიკესი წინააღმდეგობა. ჩვენ გავაგრძელებთ ამ ბრძოლას, ვიდრე ქართული თეატრი არ აიღებს გარკვეულ ორიენტაციას მაღალ-კვალიფიციურ ხელოვნების ხარისხზე, თანამედროვეობის მხატვრულ იდეოლოგიურ ამოცანებზე, ახალი აუდიტორიის ყალიბობაზე. დღევანდელი თეატრალური ცხოვრება იძირება მეშჩანურ-ობივატელურ მეთოდებში სცენიურ ხელოვნებისა. იშვიათი გამონაკლისის რევოლუციონურ რეპერტუარსაც ჩვენი თეატრი აქცევს სიმბოლისტურ-დეკადენტურ გაფორმებაში. ჩამორჩენილობა და ქაოსი — აი, რას ვებრძვით ჩვენ დღევანდელ ქართულ თეატრში.

ჩვენ ვცდილობთ, რომ ქართული კინო-ხელოვნება თავისი განვითარების პირველსავე საფეხურებზე განთავისუფლდეს სოციალურ-პრაქტიკულ ღირებულებით დაცლილი გზებისაგან. ყოვლად უმიზნო და უსარგებლო „ეკზოტიურ ზღაპრების“ მაგიერ ჩვენ ვაყენებთ ქრონიკის, მეცნიერული ფილმის, ფაქტის ფიქსაციის პრინციპებს. კინო — ყველაზე მეტად თანამედროვე ხელოვნება, უფრო ორგანიულად უნდა დაუკავშირდეს დღევანდელობის ამოცანებს. მით უფრო საქართველოში დიდია ამის შესაძლებლობა, რადგან ჩვენი კინო-ხელოვნება წარსულის ტრადიციებით დატვირთული არ არის.

მორიგი ფრონტი უნდა გაეხსნას ქართულ მხატვრობაში შემჩნეულ უდიდეს ჩამორჩენილობას და კონსერვატიზმს. ახალგაზრდა მხატვართა თაობის პოტენცია და შესაძ-

ლებლობანი ნადგურდება ყოვლად უაზრო, უმნიშვნელო და უსარგებლო მუშაობაზე. არსად ისე ძლიერი და ეპიდემიური არ არის მემარჯვენე აზროვნების გავლენა, როგორც მხატვართა შორის. აქ ყოველივე ძველი, პრიმიტული და პირველყოფილი გამოცხადებულია „ეროვნულობის“ სინონიმად. ყოველგვარ პროგრესიულობის უარყოფა „ეროვნულობის“ სასულოთ — ჩოხისა და ურმის ნაციონალიზმი, უყალბესი პატრიოტიზმი, აი, რა აფერხებს სახვითი ხელოვნების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ბრძოლა ასეთ ტენდენციების წინააღმდეგ არის უდიდესი საქმე ქართული კულტურის პროგრესისა და განვითარების თვალსაზრისით.

ამრიგათ, მემარცხენეობის პოზიცია მთლიანდება მთელი ქართული ხელოვნების არეზე გარკვეული პრინციპების ნიადაგზე უკომპრომისო და უკანდაუხეველი ბრძოლით.

რაც უფრო მტკიცეა და პოპულიარული მემარჯვენე რუტინების ავტორიტეტი, მით უფრო მკაცრი და ენერგიულია ჩვენი თავდასხმები მათზე, დამყარებული, პროგრესული ქართველი ახალგაზრდობის ყურადღებასა და თანაგრძნობაზე, ჩვენ მივდივართ წინ ახალ ესთეტიურ კულტურის, ახალი ქართული ხელოვნებისა და მეტყველების განმტკიცებისათვის.

ბესარიონ ჟღენტი

ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის

ჩვენში ყოველი ქვა
სისხლით მორწყულია,
რამდენი გულიც გვაქვს
— იმდენი წყლულია.
რამდენი წყლულია
— იმდენი მკლავები.
მიწა დახნულია
ძმათა საფლავებით,
რამდენი მკვდარია —
— იმდენი ლოდები.
გული ნატარია
ბრძოლების ლოდინით.
აროდეს შედგება
წითელი ჯარები,
შავათ რომ შეღება
მტრების ფანჯრები,
გარბოდენ პირდაპირ,
გარბოდენ ზურგებით,
დაგლეჯილ ფერდებით.
ხალხისთვის ურგები
ვიდექით მეხივით
— გულიც ესევეა

ჩვენი ძმა-გლეხები
მინდვრებს შესევიან.
ბრუნავენ მინდვრები
— მთა-მთაზე გორდება
და ხალხის სიმდიდრე
გულამდე გროვდება.
როდესაც მზის პირი
ამოდის, თენდება,
ცხოვრება ქვითკირი
შენდება...
შენდება...
თითქო ისტორია
ბორბლებს წინ აგორებს
კარგი როშარია
ვინც აწვდის აგურებს.
თითქო ყვავილდება
ეს გული უბელი,
მაგრამ ყვავებივით
ჩხავიან ღრუბლები.
ჯერ არ ამომშრალა
დარდი და ცოფები,
ძმებო **როშარებო,**
დადექით თოფებით,
თოფებით, თოფებით.
— ჩახმახი გულს გავდეს,
სიტყვები — ვაზნები,
რამდენიც გავარდეს,
გაჩნდეს ზარბაზნები.
ცუდი ვაჟკაცია,
ლაჩარიც ის არი,
ვინაც არ ჩააცვას
სახლს გულის ფიცარი,
ვინაც არ გაცვითოს
გულით მტრის ისარი.
— ჩვენში ყოველი ქვა
სისხლით მორწყულია,
რამდენი გულიც გვაქვს
— იმდენი წყლულია.
და თუ შეინძრევა
ბრძოლით მოედნები,
თოფებით დავიძრათ
ძმები – პოეტები.

ბიძინა აბულაძე
27 წელი, ზაფხული

საარაკო ბრძოლა წყალდიდობასთან ხაშურში და ლენინაკანში

კლდეზე ჩამორბოდენ
        წყლები უბოდიშოთ
და მთები — ორბები
        დარჩენ გალეშილი,
        მთიდან ჩამორბოდენ
ზვავები ჭალაკებს
        და ტალღათ ბორბლებმა
ქალაქი ალაგმეს.
თითებით ნაპოტნი
        ველები მოტორეს
და მიწას აპობდენ
        როგორც მოტორები.
— თითქო შენი თვალი
        ქვიდან ამოვარდა
და მტკვარი —
        დამთვრალი
ვეფხვი მონავარდობს.
კორდებზე მოხტუნავს
        ველებზე ძანკალებს
და გულში იხუტებს
        უდედო ფაცანებს
მე —
        იმ ფაცანების
დარდით აღელვებულს
        ეხლაც მიფანცქალებს
გული და ხელები.
        ტალღებზე რომ იწვნენ
წაქცეულ ხესავით
        თითქო-მეწვებოდა
        ვინმე — ნათესავი.
იყო დაფეთება
        სახლებმაც იციან —
ღამეს ათენებდა
        თეთრად მილიცია.
გაღმიდან გარიყულ
        ბადეებს სჭიმავდენ,
წყალში ჩამდგარიყვნენ
        პირდაპირ — ჭიპამდე,
ტალღებს აშეშებდენ
        ნაგანის პირებით,
        თითქო აშინებდენ
        — მტკვარს დაპატიმრებით
            და...

დიდი სერები
ღმუოდენ დათვივით,
როცა გადასერეს
მინდვრები დაფლეთილი.
და თითქო ტალღებმაც
იქ იგრძნეს აფეთქება
როცა გადავჩეხეთ
გაშლილ ლაფათქებით
შედგენ ბალღებივით
დაფეთებულები...
თენდება!
თენდება!
ტალღები გარბიან,
მტკვარი იჭინთება,
ფეხებიც არ მიაქვს,
ველარ ეჭიდება
ის წითელ არმიას.
ეხლა მაგონდება
ის ღამე მართალი,
ღია ვაგონიდან
გავრბოდი სარდალი.
ეხლა ეს ამბავი
იმ ორმა იციან
წითელმა არმიამ
და
მილიციამ...
და თუ დაიღვრება —
ლიახვათ
ბამბაკი,
რომ ბრაზით აოხროს
ჭალები ლამბაქი
და თუ — დაიქცევა
მთები ბამბაკითა
ტალღებს დავეცემით
ლენინაკანიდან.
ხაშურში ნახვეტი
თქვენთვის მოგვიცია
აქაც, ჩვენ დაგხვდებით
მე
და
— მილიცია.

ბ. აბულაძე
1928, აპრილი

გუთანი

გახედავ შორით მინდვრებს ტრიალოს,
გგონია, ზღვა არი, მთა ყინვის გემია.
დაბერილ ნიავებს და წვიმებს წკრიალით
მწვანე გაზაფხული რომ შეუდგენიათ.
ჯმუხა გლეხი აქ აცისკრებიდან
დაცემულ ჩრდილივით გუთანზე კიდია.
შორს მუხა ირხევა ფრინველთა კრებულით
და ღრიანკელებში ღამე და ბინდია.
კლდეს გადაფენილი ღრუბელი ხორიხობს,
ჯერ კიდევ ყვითელი მთვარეა გორიგორ,
ჯერ კიდევ ბულბული გულაჭიკჭიკებით
არ შესტვენია ღამის მყუდროებას
და ცად მიბნეული ვარსკვლავნი ჭიქებურ
ჩამოკამკამებენ მინდვრების მოედანს.

იქ, სადაც გველივით მდინარე ხატია,
მაღალი მთებისა მკერდია ფრიალო,
ტირიფის ჩრდილებთან ყევარი გადიარს
და გუთანს მიწიდან ამოაქ ხრიალი.
მიწა ხომ დამარხულ ცრემლების ბუდეა,
გლეხს მონობაში რომ დაუნთხევია,
და ეს ბელტებიც მინდორის გულიდან
და წარსულ დღეების შავი ჩონჩხებია.

დაბინდებამდე იშრომებს გლეხი და
შეღონებამდე გაზმუის კამეჩი.
და მწვანე ფერდობში ხნულ გადაგრეხილი
კვლავ გადაგორდება ქარიან ღამეში.
მთებს აებურდება ღრუბელი ხორიხორ
და როცა ტბორებში ხეები წვებიან,
ეს აცურებული მთვარეა გორიგორ,
სოფელი თეთრად რომ დაურწევია.
და იცის გლეხმა და მთელმა სოფელმაც,
ცხოვრება შრომა და ბრძოლაა ბოლომდე,
რომ ჩქარა ხნულები წვიმიდან სოველნი
ოქროსფერ ჯეჯილებს ამოაბოლებენ.
ქოხიდან გამოვა სიმღერის წკრიალი,
ხევიდან წისქვილი აყრუებს ხივილით
და განთიადამდე უდაბნო ტრიალოს
აგდია გუთანი ფრთა მოტეხილივით.

დავით გაჩეჩილაძე

ახალი ხელოვნების კვალიფიკაცია

1. ყოველდღიური ცხოვრება წარმოადგენს ქაოტიურ, უორგანიზაციო, ჩამოუყალიბებელ შეკრებას ყოველგვარ ნივთის, ადამიანის, მოქმედების ამბის, იდეის და სხვა. ამიტომ: ცხოვრება იძლევა მდიდარ რეალურ **მასალას** მხატვრისათვის და არა „შინაარსს“, როგორც ამბობდენ აქამდის. რადგან: მხატვრისათვის ყველაფერი, რასაც იძლევა ცხოვრება „შინაარსი“ კი არ არის, არამედ მასალა, მხოლოდ მასალა.

ავიღოთ რომელიმე ნივთი, რომელიც რეალურად არსებობს სინამდვილეში. მხატვარი იღებს მას, როგორც მასალას თავის ხელოვნებისათვის. ამიტომ: ნივთი იძვრის თავის რეალურ, სინამდვილეში არსებულ, პოზიციებიდან და გადადის ხელოვნებაში. სწარმოებს გადამუშავების პროცესი, რომლის შედეგად რეალური ნივთი ღებულობს ახალ ფორმას და გადაიქცევა მხატვრულ ნივთად. **მხატვრული ნივთი** ყოველთვის განსხვავდება რეალურ ნივთისაგან, რადგან უკანასკნელი მხატვრის მიერ გადაკეთებული და გადასხვაფერებულია ხელოვნებაში. სინამდვილეში არსებული რეალური ნივთი გადატანილი ხელოვნებაში ღებულობს ახალ ფორმას და ხდება მხატვრული ნივთი. ამიტომ: ხელოვნება არ არის (და არასდროს არ იყო!) ცხოვრების „ანარეკლი“ ან „სარკე“ და სხვა ამდაგვარი. რადგან: რეალობის, ცხოვრების სწორი, დაწვრილებითი ფიქსაცია ყოვლად შეუძლებელია. და ბ. არვატოვის თქმით: „ე. წ. რეალიზმი“ — მხოლოდ განსაკუთრებული საშუალებაა სინამდვილის მხატვრულად გადაკეთებისა. ნამდვილი ნატურალიზმი კი („ï ðàâäèçì “) ხელოვნებაში ზღაპარია, რომელიც არასდროს არ იყო და არც იქნება განხორციელებული.

აქედან: ყოველმხრივი ბანკროტობა ხელოვნებაში „რეალიზმის“ და „ნატურალიზმის“, როგორც ცხოვრების სწორი გადაღების, მეორეს მხრივ, აგრეთვე გაუმართლებელია ის ფორმულა, რომელიც ხელოვნებას ღებულობს როგორც ცხოვრების შემეცნებას (ვორონსკი). რადგან: ეს შემეცნება ჯერ ერთი ნაწილობრივია (ნივთის სრული აღქმა ყოვლად შეუძლებელია) და მერე — სუბიექტიურიც (როგორც ასეთი კი პირობითი და ყველასათვის არასავალდებულო). თანამედროვე ტეხნიკამ შექმნა ისეთი მეთოდები და ხერხები ფიქსაციისა, რომ ხელოვნებაში ცხოვრების გადაღება მკრთალი, გაუმართლებელი და ზედმეტი გახდა.

2. თანამედროვე ახალი მხატვარი სდგას ტეხნიციზმის გზაზე. ამიტომ: მისთვის საჭირო აღარ არის ნივთის ასახვა. სწარმოებს **რეალურ მასალების დამუშავება.** ამ რიგად: ხელოვნება როგორც ნაწილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ისეთივე მონაწილეობას ღებულობს საერთო სოციალისტურ აღმშენებლობაში, როგორც მრეწველობა, ინდუსტრია, მეურნეობა და სხვა. ახალი ხელოვნების პრაქტიკა არის: **მხატვრული აღმშენებლობა,** რომელიც განუყრელ და მუდმივ კონტაქტშია სოციალისტურ აღმშენებლობასთან (ცხოვრებაში). თანამედროვე ტეხნიკა ისეთივე ინტერნაციონალურია, როგორც კომინტერნი. იგი ყოველთვის იძლევა ახალ და ახალ მიღწევებს. აქედან: ხელოვნება ყოველთვის უნდა იყოს თავის ეპოქის ტეხნიკის დონეზე. რადგან: ტეხნიკა იძლევა ახალ ფორმებს, აგრეთვე ინტერნაციონალურს. ამ რიგად: თანამედროვე ეპოქის რეალური მასალის დამუშავება და გაფორმება შეიძლება მხოლოდ იმავე ეპოქის ტეხნიციზმში გავლებულ უაღრესად დახვეწილ ფორმებში.

ხელოვნება ისეთივე წარმოებაა, როგორც სხვა წარმოებანი ცხოვრებაში. თავისებური, განსაკუთრებული წარმოება, სადაც სწარმოებს ნივთების კეთება, **ნივთების აღმშენებლობა.** ეს არის დღევანდელი დღის რეალური პოლიტიკა ხელოვნებაში, მაგრამ: არსებობს სხვა შეხედულება ხელოვნებაზე, რომლის მიხედვით ხელოვნება უნდა შეუერთდეს

წარმოებას, გაითქვიფოს, გადავიდეს წარმოებაში და მომხმარებელს მიაწოდოს არა მხატვრული, არამედ უტილიტარული ნივთები. აქ უკვე გვაქვს საქმე ხელოვნების ლიკვიდაციასთან. ამის ტენდენცია არსებობს თანამედროვე ხელოვნებაში. მაგრამ ეს არ არის დღევანდელი დღის რეალური პოლიტიკა, არსებულ ხელოვნების ლიკვიდაცია დიალექტიურ პროცესის შედეგია, ამისთვის ჩვენ ვამზადებთ ნიადაგს. აქედან: მეორე ამოცანა, რომელიც სდგას ახალ ხელოვნების წინ: არის „ბრძოლა ხელოვნების შიგნით მისივე საშუალებით მის დაღუპვისათვის“ (ს. ტრეტიაკოვის კლასიკური ფორმულა).

ხელოვნება ჯერ არ გამოვიდა ვიწრო, ნაციონალურ ფარგლებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურის უკანასკნელი ციტადელი იქნება ხელოვნება. ინტერნაციონალური ტეხნიკა და საერთაშორისო მატერიალური კულტურა გამოიყვანს ვიწრო ნაციონალურ საზღვრებიდან. სოციალისტურ საზოგადოებაში აღარ იქნება საჭირო ხელოვნება, შეიძლება დარჩეს მხოლოდ კინო, ყველაზე ტეხნიკური ხელოვნება. აგრეთვე მუსიკა და არხიტექტურა.

3. ყოველი ხელოვნება ემოციონალურია. მაგრამ: ემოციები, რომელსაც იძლევა ხელოვნება, სხვადასხვანაირია. სწორედ ამ ემოციების კლასიფიკაციისათვის იბრძვის ახალი ხელოვნება. რადგან: საჭიროა განსხვავების აღნიშვნა თუ რა ხარისხის, ხასიათის და რა სახის ემოციებთან გვაქვს საქმე. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ნარკოტიულ, ჰაშიშურ ხასიათის ემოციების, რომელიც ასუსტებენ ადამიანის ნებისყოფას, ქმნიან ჰიპნოიტურ მდგომარეობას და მიჰყავთ იგი რეალობიდან სიზმრების და მირაჟების ქვეყნებში. ასეთი ემოციების მიმწოდებელი იყო (და არის) ბურჟუაზიული ხელოვნება.

ახალი ხელოვნების ფაქტები უნდა იძლეოდენ სულ სხვა ემოციებს. არა ნეტარება, ნირვანა და დასვენება. არამედ ცხოვრების მშენებელი ემოციები, რომელნიც ქმნიან ადამიანის და ნივთის ორგანიზაციას, იწვევენ მას ბრძოლებისაკენ და მოძრაობისაკენ. ამიტომ ის ფაქტი, რომელიც არ იძლება ასეთ ემოციებს, ასეთ ემოციონალურ ზედგავლენას ადამიანის პსიხიკაზე, არ იქნება ხელოვნების ფაქტი და ამოვარდება ხელოვნების სისტემიდან.

4. ემოციონალურობის საკითხების გამორკვევასთან დაკავშირებულია მთელი რიგი ფორმალური საკითხებისა. ყოველი ნივთი ემოციონალურ ზედგავლენას ახდენს პირველ ყოვლისა **თავისი ფორმით** და მხოლოდ შემდეგ იმ სემანტიურ მნიშვნელობით, რომელიც მასში იმყოფება. ამასთანავე: **ყოველი ფორმა იქმნის მასალიდან და მასალაზე.** ვ. ჰაუზენშტეინის თქმით: „ხელოვნება არის ფორმა“. ფორმა კი ვითარდება იმ მასალასთან დამოკიდებულებით, რომელსაც იძლევა ესა თუ ის ეპოქა. ფორმა არ არის „თვითმიზანი“. არც საშუალება. **ფორმა იმ გადამუშავების პროცესის შედეგია, რომელიც სწარმოებს განსაზღვრულ მასალაზე, მისი დანიშნულების პლანში.** ე. ი. ფორმა წარმოდგენილი როგორც მასალის და მისი დანიშნულების ერთი მეორეზე ზედმოქმედების შედეგი. ყოველი ფორმა უნდა იყოს შეფარდებული იმ დანიშნულებასთან, რისთვისაც მხატვარი იღებს ცხოვრებიდან განსაზღვრულ მასალას და გადააქვს იგი ხელოვნებაში. იმის და მიხედვით, თუ რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ გასაკეთებელ ნივთს (საკითხი: რისთვის?) იქმნის განსაზღვრულ მასალიდან სათანადო ფორმა. ამ რიგად: ყოველ ფორმას განსაზღვრავს **ჯერ მასალა, შემდეგ – დანიშნულება.**

ფორმის ორგანიზაცია სწარმოებს განსაზღვრული ხერხებით (ï ðèåì). ხელოვნებაში ყოველი ხერხი არის ფაქტორი რომელიც ახდენს ფორმის ორგანიზაციას. ამავე დროს ახალი ხერხი ექვემდებარება თავის ფუნქციას, მიზნობრივ საყრდნობს (öåëåâàÿ óñòàí î âêà). ამ რიგად: ხერხის მნიშვნელობა მის მიზნობრივ მიმართებაში იმყოფება. განსაზღვრულ ხერხების საშუალებით რეალური მასალა, რომელსაც იძლევა ცხოვრება, მხატვა-

რის მიერ გადამუშავდება ხელოვნების მასალად. აქედან: არსებობს მასალა. იძლევა დანიშნულება. იქმნის ფორმა. სწარმოებს განსაზღვრულ ხერხების აღმოჩენა, რომლითაც ხდება ფორმის ორგანიზაცია. სიტყვა „შინაარსი“ ხელოვნების ასეთ სისტემაში ყოვლად გამოუსადეგარი და ზედმეტია. რადგან: გარდა გაუგებრობისა მას არაფერი არ შეაქვს ხელოვნებაში. ამიტომ: საჭიროა მისი სრული განდევნა ახალ ხელოვნებიდან.

5. ფრ. ენგელსის თქმით: „არსად და არასდროს არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს მასალა უმოძრაოდ და მოძრაობა უმასალოდ“. როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების ნაწილია, **დიალექტიური მეთოდი** ხსნის ყოველგვარ საიდუმლოებათა ფარდებს. ხელოვნების დიალექტიკა მდგომაეობს მასალების ტრანსფორმაციაში. ყოველი განვითარება სწარმოებს ფორმების ცვლით. ხელოვნების ყოველ პერიოდს ახასიათებს **ფორმების ბრძოლა.** ახალი ფორმა ებრძვის ძველ ფორმას. ახალი ფორმა ცვლის ძველ ფორმას. ხდება **ძველი ფორმების განადგურება.** ყოველ ეპოქას აქვს თავისი სემანტიური, აქტუალური მასალა. ერთიდაიგივე მასალა იძვრის, მოძრაობს, იცვლება, კვდება განსაზღვრულ ფორმების საშუალებით მაგ. ის მასალა, რომელიც ანტიურ ეპოქისათვის სემანტიური და აქტუალური იყო, საშუალო საუკუნოებში კარგავს თავის მნიშვნელობას, მაგრამ არა ქრება, რადგან რენესანსის ეპოქაში, იგივე მასალა ხელახლა ხდება სემანტიური და აქტუალური, მხოლოდ სხვა ფორმებში. ასე სწარმოებს **მასალის ტრანსფორმაცია.** მაგრამ: ფორმის და მასალის ერთიანობა სახიერდება მხოლოდ მოძრაობაში, და მხოლოდ **ნივთი მოძრაობაში** იძლევა ფორმის და მასალის სინთეზს.

6. ყოველ ეპოქაში ფორმების ბრძოლა სწარმოებს ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. **ჰორიზონტალური ხაზით:** ბრძოლა სწარმოებს ერთდაიმავე დროს მასალის და ფორმის შორის. მაგ. ახალი დროის მასალა მოითხოვს ახალ ფორმას. ამიტომ: როდესაც ეგ მასალა სასტიკ წინააღმდეგობას უწევს იმ ძველ გადასულ, მკვდარ ფორმას რომლითაც იგი არის მოცემული (Ñîï ðî òèâëåí èå ì àòåðèàëà). ამიტომ: ხელოვნება იძლევა აბსურდულ ზედმეტ და უმიზნო ნივთს. მაგ. ლექსი ზაჰესზე დაწერილი სიმბოლისტური ხერხებით. **ვერტიკალური ხაზით:** ბრძოლა სწარმოებს ახალი და ძველი ფორმების შორის. ეს ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანია. რადგან: იგი სწარმოებს ძველი ეპოქის ფორმებთან, რომელთაც სურთ კონტრაბანდული შემოპარვა ახალ ეპოქაში. მაგრამ: ბრძოლა ფორმების შორის თითქმის ყოველთვის თავდება ახალ ფორმების გამარჯვებით და ძველი ფორმების განადგურებით.

ამ ორნაირი ბრძოლების ანალიზი მოგვცემს განსაზღვრულ ეპოქის ხელოვნების ნამდვილ და უტყუარ ისტორიას.

როდესაც ახალი ეპოქის მასალა შეებრძოლება ძველ, წინა ეპოქიდან მემკვიდრეობით გადმოცემულ, ფორმებს და ეგ მასალა ჯერ არ იქნება ჩამოყალიბებული სათანადო ახალ ფორმაში — იბადება **ხელოვნების კრიზისი.** ამ რიგად: ხელოვნების კრიზისის გენეზისი სწორედ ფორმების და ფორმის და მასალის ბრძოლებში იმყოფება. ფორმების კონფლიქტი ქმნის ხელოვნების კრიზისს განსაზღვრულ ეპოქაში.

7. ცხოვრება ყოველთვის იძლევა მრავალნაირ წინააღმდეგობათა მქონე მასალას, განსაზღვრულ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს მრავალი სხვადასხვა მასალა. იმისდა მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასს ან დაჯგუფებას ეკუთვნის მხატვარი, ღებულობს იგი განსაზღვრულ მასალას ცხოვრებიდან (მასალის არჩევა) და გადააქვს იგი ხელოვნებაში. **მასალის სხვადასხვაობა** მოითხოვს სხვადასხვა ფორმებს თავის მხატვრულად ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ: როდესაც სხვადასხვა მასალა იძ-

ლევა ერთნაირ ფორმებში — იწყება ისევ ბრძოლა მასალის და ფორმის შორის. ბრძოლა მესამე ხაზით: **სოციალური განხრით.** მაგ. ერთდაიმავე ეპოქაში მომუშავე მწერლების: ანრი დერენიეს და პიერ ამპის რომანების ფორმალური განსხვავება გამოწვეულია მასალების სრული სხვადასხვაობით. მაგრამ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მაგ. პროლეტარიატიდან გამოსულ მხატვარს არ შეუძლიან შეეხოს თავის კლასის გარეშე არსებულ მასალას. არ არსებობენ განსაზღვრული და ნებადაურთველი მასალები. ყოველ მხატვარს შეუძლია თავის ხელოვნებისათვის აიღოს ყოველგვარი მასალა. ზოგს ჰგონია, რომ პროლეტმწერალმა უნდა სწეროს მოთხრობები მხოლოდ მუშების ცხოვრებიდან და ლექსები პირველ მაისზე და ზაჰესზე. ეს არ არის მართალი. და სწორედ აქ სდგება ახალი საკითხი: მხატვარის **მიდგომა მასალისადმი.** ნ. ჩუჟაკის თქმით: „Î òí î ø åí èå õóäî æí èêà ê äàí í î ì ó êëî ÷êó ðåàëüí î ñòè“. ამიტომ: განსაზღვრულ მასალისადმი მხატვრის მიდგომას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნების ფაქტისათვის ამა თუ იმ მასალის არჩევის დროს. მაგ. გეორგ გროსის მიდგომა იმ „ბურჟუაზიულ“ მასალისადმი, რომელსაც იგი ღებულობს თავის ხელოვნებისათვის, არსებითად განსხვავდება თუნდაც იმავ ბურჟუაზიის რომელიმე ოფიციალურ მხატვრის მიდგომისაგან. სწორედ ამ მიდგომაში მჟღავნდება მხატვრის კლასობრივი სახე.

შალვა ალხაზიშვილი

იანვარი, 1928

დღევანდელი ჩვენი არხიტექტურა

თანამედროვე ხელოვნების უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნების შინაარსი, სინამდვილედან იქნეს აღმოცემული და მიეცეს მას რაციონალური მიმართულება. ამ ამოცანათა წამოყენება და მათი გადაჭრა დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ხელოვნებისა.

ხელოვნების შინაარსის სათანადო შეგნება ჩვენ გვიკარნახებს, რომ შეუძლებელია ხელოვნება იქნეს სინამდვილედ, თუ ის არ გამოსახავს აქტუალობას, თუ ის არ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას. განყენებულად არსებული ხელოვნების ფორმები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს. ხელოვნება დაკავშირებული უნდა იყოს ცხოვრების შინაარსთან. ამ დაკავშირებით ხელოვნებას ენიჭება აზრი არსებობისა. ხელოვნების მხატვრული ფორმა და ნაწარმოების შინაარსის აზრი ქმნიან მთლიან ერთეულს, მათი ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია. თუ ეს დაშორება მოხდა, მაშინ ირღვევა ძირითადი მთლიანობა ხელოვნების არსებობისა, ინგრევა მისი საძირკველი.

ხელოვნების ძირითადი ელემენტის შერყევის მაგალითი ყველგან ბევრი მოიპოვება. მხოლოდ ჩვენში სამწუხაროა ის, რომ ამ მოვლენას სისტემატიური ხასიათი მიეცა. ამიტომ ეხლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები ხელოვნების სინამდვილის აღსადგენად.

ამ უკუღმართმა მოვლენამ განსაკუთრებული მავნე ხასიათი მიიღო ჩვენი ხელოვნების არხიტექტურულ ამშენებლობის დარგში. ქ. ტფილისში და სხვა ზოგიერთ ქალაქებში აგებულია საზოგადოებრივ მნიშვნელობის რამდენიმე შენობა, მაგალითად, ტრამვაის მუშათა სახლი, საქართველოს მუზეუმის ფასადი. სახკინმრეწვის შენობა, ქ. გორის რკ. გზის სადგური და სხვ. ეს შენობები ერთის მხრივ უნდა ემსახურებოდენ მნიშვნელოვან საზო-

გადოებრივ მოთხოვნილებას, მეორეს მხრივ უნდა აკმაყოფილებდნენ ქალაქის კეთილ-მოწყობილობას.

არქიტექტურული კონსტრუქცია და შემკულობა ამ შენობებისა დამყარებულია იმ დადგენილებაზე, რომელიც ქალაქის აღმასკომმა მიიღო 1924 წელში და რომლის ძალით ყველა საზოგადოებრივი სახის შენობების აგება უნდა ხდებოდეს ქართული სტილის მიხედვით. მაგრამ, როგორც სჩანს, ქართული სტილის საკითხი მეტად გაუგებარი აღმოჩნდა და ჩვენი წარსულის არხიტექტურული სტილი აღიარებულ იქმნა თანამედროვე არხიტექტურის აუცილებელ ელემენტად.

უკვე აგებულ შენობებში ქართული სტილი ასახულია ძველი, საეკლესიო და საერო, არხიტექტურის გარეგანი მოკაზმულობის უშუალოდ და ულოღიკოდ მიბაძვაში. გადმოტანილია საეკლესიო კედლების გარეგნული ორნამენტაცია, კამაროები, ვიწრო ფანჯრები და სვეტები. არავითარი ანგარიში არ არის გაწეული დღევანდელ შენობის მოთხოვნილებასთან. პირიქით, შენობის მთელი შინაგანი და გარეგნული კონსტრუქცია ხდება მსხვერპლი გარეგნული მოკაზმულობისა, როდესაც მოკაზმულობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ ლოღიური შედეგი შინაგანი მოცულობისა. სწორედ ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ აგებული შენობები ვერ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას: საბინაო შენობა არ არის საცხოვრებელ ბინების პირობებისთვის აგებული, საზოგადოებრივი სახის შენობა კი ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, ქალაქის ქუჩის მორთულობა კი არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამნაირი არხიტექტურული ხასიათის შენობების აგებას ეროვნული სტილის დაცვით ამართლებენ, მაგრამ საშინელი შედეგი ამისა, რომლის მოწამე ჩვენ ვართ, სწორედ იმიდან გამომდინარეობს, რომ არ არის სწორი წარმოდგენა დღევანდელ ეროვნულ ხელოვნებაზე. ზოგიერთს ჰგონია, რომ დღევანდელი ჩვენი ხელოვნება უნდა ისახებოდეს ძველი ფორმების უშუალოდ აღდგენაში. ეს აზრი ჩვენში ძლიერ მაგრად არის გამჯდარი. არავითარი თავისუფალი ინტერპრეტაცია ზოგიერთს არ სწამს და მხოლოდ მიმბაძველობა ძველი ფორმებისადმი მიაჩნიათ დღევანდელ ხელოვნების საქმიანობათ. ამ შეხედულობის უსაფუძვლობა არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენ და საუკეთესო ნიმუში ამ შეხედულობის უვარგისობისა არის უკვე აგებული შენობები. დიდათ სამწუხაროა, რომ ამდენი მატერიალური ქონება დახარჯულია ქალაქის კეთილდღეობისათვის კი არა, არამედ მისი დამახინჯებისათვის. ჩვენი ეროვნული შემოქმედება კი ამით სრულებით უარყოფილია. ამშენებლობის ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხელოვნების საზიანო მოვლენად.

როდესაც ამბობენ ჩვენი წარსულის არხიტექტურის სტილზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი ხელოვნების რომელიმე ეპოქის საუკეთესო ფორმები. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, ეს ფორმები იმიტომ ეკუთვნიან საუკეთესო ნიმუშს, რომ მათი ორგანიზაცია დაკავშირებულია თვით ამშენებლობის აზრთან, მიზანთან, ისინი ლოღიურად სახავენ არხიტექტურულ შინაარსს. ამავე დროს ეს ფორმები აღმოცენებულია ჩვენი ხალხის ორიგინალურ ცხოვრების გავლენით, ჩვენი ბუნების და ამშენებლობის მასალის თავისებურობით და ორიგინალური ინტერპრეტაციით იმ მხატვრული ფორმებისა, რომელნიც ჩვენზედ გავლენას ახდენენ. ამ ნიადაგზედ მხატვრულ ფორმების სისტემატიურმა გადამუშავებამ მოგვცა ის არხიტექტურული სახეები, რომლითაც შეუძლია იამაყოს ჩვენმა ხელოვნებამ.

დღევანდელი ჩვენი არხიტექტურა ახალ ცხოვრების და ახალ პირობების გავლენით უნდა იქმნებოდეს. უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ არხიტექტურა წარმოადგენს შინაგანი მოცულობის ლოღიურ კონსტრუქციას. ის სრულებით უნდა აკმაყოფილებდეს შენობის მოთხოვნილებას. გარეგნული სახე ლოგიურად უნდა გამომდინარეობ-



დავ. კაკაბაძე – 1924, პარიზი (Paris)



დავ. კაკაბაძე – 1925, პარიზი (Paris). „Tabbleau pour éklairag éleqtrique“

კალიის წმენდა (სურათი „სამანთან“)
რეჟ. ლეო ესაკია, ასისტენტი სიმ. დოლიძე, ოპერატორი პოზნანი



კალიის წმენდა (სურათი „სამანთან“)
რეჟ. ლეო ესაკია, ასისტენტი სიმ. დოლიძე, ოპერატორი პოზნანი

დეს შინაგანი სტრუქტურიდან. მოცულობის სიმკვიდრეს ამავე დროს უნდა ეთანხმებოდეს მისი ჰარმონიული დანაწილება, ყოველგვარი მოკაზმულობა კი უნდა იყვეს გამართლებული მხოლოდ და მხოლოდ თავის ორგანიული დანიშნულებით.

უნდა გამტკიცებულ იქმნას ის აზრი, რომ არხიტექტურა ორნამენტალურ მოკაზმულობაში კი არ ისახება, არამედ შენობის მთლიან მოცულობაში და კონსტრუქციაში. მოცულობის ფორმები უნდა გამომდინარეობდეს კონსტრუქტიული დანიშნულებიდან, ამშენებლობის მასალიდან და ამავე დროს, უნდა იქნეს შეფარდებული ჩვენი ბუნების პირობებთან. ჩვენი წარსულის არხიტექტურული ფორმების გამოყენება კი უნდა ხდებოდეს საჭიროების მიზნისათვის და თავისუფალ ინტერპრეტაციის საშუალებით. დაბოლოს, ფორმების ჰარმონიული დალაგებით ჩვენ მივიღებთ მთლიან ნაწარმოებს, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება, როგორც ადგილობრივი მხატვრული თვალსაზრისით, ისე პირდაპირი მისი გამოყენების დანიშნულებით.

დავით კაკაბაძე

პატრიოტიზმის დასასრული

სიტყვა ავიღე
მიმდინარე აზრთა გარშემო,
ხალხის წინაშე
მეტყველებით ავაგე ლექსი;
დრომ, თუ ისმინა —
ხმა მებრძოლი მოქალაქესი,
ბრძოლის თანახმად,
ეს ცხოვრება უნდა ვაშენო.
კარგი რამეა:
სიცოცხლეში მიზნით ხარობდე,
იყო მეხის წინ
ქუხილისთვის მომზადებული;
როგორ ვამბობდე:
— ჩემო ცაო, ნეტავ დარობდე!
არ შემიბინდო
წიწამურის გზა წუნდებული?!.
— გაივლის დრო და
საქართველოს მზე კვლავ ამოვა,
ფიქრობენ ასე,
(ღაღადებენ ცრემლის დენითა).
ვის გავაგონო:
— სამშობლოში არ გვინდა გლოვა,
ნუ გესიზმრებათ
რესპუბლიკა თეთრი ცხენითა.

არც თავს არგია
ქარავანის მგზავრი გვიანი,
თუ რჩება უკან,
თუ ივსება მწუხრით გულამდე?!.
საქმე ისაა:
დღევანდელი ადამიანი
ჰქმნიდეს ქვეყანას —
საბოლოო გაზაფხულამდე.
კიდევ მგოსნობენ
პოეზიის მომხრე ლანდები
ტკეპნიან ქუჩებს —
იგონებენ კოჯორის ველებს;
შორსაა გემი —
გემს უცდიან ემიგრანტები,
ხრის ისტორია —
სამშობლოსკენ გაშვერილ ხელებს.
ხელს ვინ შეხედავს,
თუ მეშვიდე ვარსკვლავიც ჰქრება?!.
თუ კლდეც ირღვევა
იმ ფერადი დროშის ხვედრითა?!.
როგორ გაიგებს
თებერვალში განწირულთ წყება —
ოცნებად რჩება
რესპუბლიკა თეთრი მხედრითა.
არც კაცობაა,
თუ ბრძოლაში ცრემლად გალღვები,
თუ უსარგებლო
მოქმედებით გზა გემრუდება;
სანამ დაგლეწავს
ამ ცხოვრების შმაგი ტალღები —
სჯობს, გრიგალის წინ —
სიცოცხლისთვის შემობრუნება.
რა საწყენია,
წინაპართა კვალს რო ვტოვებდე?!.
რა დამრჩენია
იმედების უქმად ცვენაში?!
არ მინდა, არა!
საქართველოს ბედის ძებნაში,
მეც რუსთაველის
პროსპექტიდან ვპატრიოტობდე.

ვარლამ ჟურული
1928, აპრილი

ორი თავი მოთხრობიდან:

ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია

VI

იაკინთე სწერს მოწინავე წერილს

გაზეთის საბოლოო სქემა უკვე დაამზადა იაკინთემ. ზოგიერთი წვრილმანების გარდა ყველაფერი უკვე გათვალისწინებული ქონდა, თუ რა ხასიათის წერილები უნდა დასტამბულიყო.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მოწინავე წერილის დაწერა, რომელიც ყუმბარასავით უნდა გავარდნილიყო ხალხში. მოწინავის დაწერა ძლიერ ძნელი აღმოჩნდა, თუმცა რამდენჯერმე გადაასწორა დახია, ისევ დასწერა. მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს ერთი ვარიანტი დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და კიდევაც გადასდო დასასტამბავ წერილთა რიცხვში.

წერილს სათაურათ ეწერა „ვახტანგ გორგასლანი“ და ამბობდა შემდეგს:

„დიდათ განათლებული კულტურული და ცივილიზაციური სახელმწიფონი ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია და სხვანი მეტათ ძლიერი არიან. ამ განათლებას და სიძლიერეს მათ მიაღწიეს თავის ნიჭით ჭკუით და გონებით.

ქართველი ერი მეტად ნიჭიერი ხალხია ეს ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით. ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროს საქართველო მეტათ განათლებული და ძლიერი იყო, ამიტომაც ვახტანგ გორგასლანის ეროვნულ პატრიოტულ სახალხო, სამეურნეო, სამრეწველო ლიგ-პარტია მიზნათ ისახავს საქართველოს განათლებას და გაძლიერებას.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იკრიბებოდენ, ვახტანგ გორგასლანი ვაჟკაცურათ დევნიდა ამ ღრუბლებს ციდან მისი პარტიის ერთად ერთი მიზანია საქართველოს ცაზე არ მოუშვას მომავალში არც ერთი ღრუბლის ნაჭერი.

ვახტანგ გორგასლანმა დაარსა ქალაქი ტფილისი, ხოლო დღეს მისი პარტიის მიზანია საქართველოში არა თუ ერთი, არამედ მრავალი ქალაქების დაარსება. თუ კი იმ დროს ბრწყინვალე მეფემ საქართველოისამ განავითარა სწავლა-ცოდნა-მეცნიერება, ისტორია, მისი პარტიის მიზანია საქართველოს ისტორიის შესწავლა ძირიან ფესვიანად. ვახტანგ გორგასლანის პარტია არასოდეს არ დაიშურებს მქუხარე სიტყვებს საქართველოს გასანათლებლათ და აღსაშენებლათ.

ვახტანგ გორგასლანის დროს ძლიერ განვითარებული იყო ვაჭრობა-მრეწველობა, აღებ-მიცემობა, ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის აუცილებლად საჭიროა ვაჭრობის განვითარება. გორგასლანის პარტიის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში აღებ-მიცემობას და ამგვარათ, რასაკვირველია, ყოველი ვაჭარ-მრეწველი უნდა იდგეს ვახტანგ გორგასლანის პარტიის დროშის ქვეშ.

აგრეთვე, თუ მუშებსაც არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, ისე არ შეიძლება ისტორიულ საქართველოს აღორძინება. მართალია, თუმცა ყველა თავის თავათ მუშაა, უბრალო მუშაც, ვაჭარიც, მღვდელიც და ბერიც, რადგან ყველა ცდილობს თავის შესანახათ ხელი გაანძრიოს, მაგრამ არიან განსაკუთრებული მუშები, რომელთაც ვახტანგ გორგასლანის პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

დიახ, ვახტანგ გორგასლანის შემდეგ იწყება საქართველოს ბრწყინვალე ისტორია. რომ ასეთი დიადი მეფე არ ყოლოდა საქართველოს, არ გვექნებოდა ტფილისი (როგორც

მოგეხსენებათ, ძველი სატახტო ქალაქი მცხეთა იყო და, თუ დაკვირვებიხართ, მას ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ იქ ქალაქი ვერ გაგრძელდება და დღეს ისეთი დიდი ქალაქი არ გვექნებოდა, როგორც ტფილისია, აბა, სცადეთ ტფილისის დატევა მცხეთის რაიონში). დიახ, არ გვექნებოდა ტფილისი, არ გვექნებოდა ის შემდგომი ოქროს ხანა, რომლის დროსაც საქართველოს შეეძინა უამრავი ციხე-კოშკები, სიმდიდრენი და სხვა.

მართალი არის, დღეს მუშა-მშრომელნი და სხვანი შემოკრებილნი არიან მათი ინტერესების საკმაოდ დამცველის მარქსის და სხვათა გარშემო, მაგრამ, როდესაც საქართველოს ისტორიაში ჩვენ უამრავი მარქსები გვყავს, როგორც მაგალითად, ვახტანგ გორგასლანი, თამარ მეფე და სხვანი, რომელნიც ქადაგებდენ უმშვენიერეს და უსპეტაკეს იდეალებს, ჩვენი ვალია, რომ ყოველმა ქართველმა იწამოს თავისი მარქსი. სირცხვილიც არის, სხვისი მარქსი ვიწამოთ და ჩვენი არა.

აუცილებლად საჭიროა დავრწმუნდეთ იმაში, რომ სიმართლე ერთია და არა ასი, ან ათასი. ეს ჭეშმარიტება კი საქართველოს ისტორიული სპეტაკი მოღვაწეების სპეტაკი მოძღვრება არის, მათი დაუშრეტელი მუშაობა და ღვაწლი ჩვენთვის ჭეშმარიტების მაგალითი არის და, ვისაც უნდა, რომ თავი დააღწიოს უბედურობას, შეიქნეს ბედნიერი თავის ბედნიერ ერში და ქვეყანაში, აუცილებლად უნდა მისცეს ხმა იმ პარტიას, რომელსაც სახელათ ეწოდება ვახტანგ გორგასლანის ეროვნულ-პატრიოტულ სახალხო-სამეურნეოლიგ-პარტია.

ჩვენთვის ეხლა შეუძლებელია იმ სიკეთეების ჩამოთვლა, რაც სურს და რასაც მიზნად ისახავს ვახტანგ გორგასლანის პარტია, მაგრამ ყველამ კარგათ უნდა დაიმახსოვროს, რომ ვისაც თავის თავისთვის კარგი რამე სურს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, წოდებისა და სხვა ყველაფერი ამის განხორციელება მიზნათ აქვს ჩვენს პარტიას“.

VII

სხვადასხვა მეცნიერული მასალები

იაკინთემ მაინც ჩამოსთვალა თავის გაზეთში ყველა ის სიკეთეები, რაც სურდა მას ხალხისთვის. მაგალითად: თოფ-ზარბაზნების შეძენა თავის დასაცავად, ოქროს ფულის გამოშვება, მატარებლის მაგივრათ, უფრო სწრაფი სვლისათვის, აეროპლანებით ფრენა, ყველა თავადაზნაურთა ქამარ-ხანჯლის მუზეუმისთვის გადაცემა, რათა მათ არ დაეკარგოს თავისი ისტორიული მნიშვნელობა, ყოველი საზოგადო მოღვაწის დაფასება და სხვა.

მაგრამ, ამას გარდა, იაკინთემ დაამზადა რამდენიმე მეცნიერულ საკითხზე წერილები, რადგან მაშინდელი გაზეთები ერთ ნამცეც ადგილს არ უთმობდენ მეცნიერული სახის წერილებს.

ერთი წერილი შეეხებოდა ფრიად საინტერესო მეცნიერულ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მოასწრო მთელ მსოფლიოს საქართველომ და შექმნა თავისი პარლამენტი. დღეს ერთერთი უდიდესი ერი, როგორიც არის ინგლისი უსინიდისოთ იჩემებს პარლამენტარიზმის დედობას, როდესაც თამარ მეფემ პირველათ შექმნა პარლამენტი და დაარქვა მას ქართული სახელი „დარბაზის ერი“. აქედან წარმოდგა სიტყვა „დარბაისელი“. საჭირო არის, რომ ქართულ სახელმწიფოში დეპუტატებს დაერქვას დარბაისელნი, პარლამენტს — „დარბაზის ერი“.

მეორე წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ იყო განვითარებული ძველ საქართველოში მეცნიერება, ფიზიკა, ქიმია და ასტრონომია. პირველ ასტრონომად სა-

ქართველოში შეიძლება ჩავთვალოთ შოთა რუსთაველი, რომელსაც გალილეიზე და კოპერნიკზე ადრე აღმოუჩენია, რომ დედამიწა ბრუნავს, რაც იქიდან სჩანს, რომ რუსთველი ერთ სტრიქონში ამბობს:

„ვახ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას **გვაბრუნებ,** რა ზნე გჭირსა“.

ცხადია, ეს მას რომ არ ცოდნოდა (და ეს კი მის მეტმა მაშინ არავინ არ იცოდა), ვერ იტყოდა, რომ დედამიწა ბრუნავსო. უდაო არის აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქიმია ჩვენში წინათ ძლიერ განვითარებული ყოფილა. ამის დამამტკიცებელია დღეს სოფლათ დარჩენილი ჩვეულება, რომ გლეხი თუ აზნაური გაბელატების დროს თავზე ფუნას იდებს თმის ამოსასვლელათ. ცხადია, მან გადმოცემით ისწავლა, რომ ფუნა ქიმიურ გავლენას ახდენს ქაჩალი კაცის თავზე. რაც შეეხება ფიზიკას, ეს უკვე უეჭველი და თვალსაჩინო ფაქტია. რას ნიშნავს ჩვენებური წისქვილი? განა ეს ფიზიკის უდიდესი მცოდნიერება არ არის?

აუცილებელი და საჭიროა ყველა ამგვარი ძველი მეცნიერული მიღწევების საფუძვლიანი შესწავლა, რომ არ დავკარგოთ ის ძვირფასი მარგალიტები მეცნიერებისა, რომელიც ჩვენ წინად გვქონდა.

შემდეგ წერილში ლაპარაკი იყო იმერლობის შესახებ. დღესდღეობით ტფილისში გავრცელებული იყოს ის აზრი, რომ საქართველო იმერლებმა შეჭამესო. ვინაიდან იაკინთე შორაპნის მაზრის იმერელი გახლდათ, საჭიროთ სცნო განემარტა ხალხისთვის, რომ იმერლები ფრიად პატიოსანი ხალხია. მაგალითისათვის ის ასახელებდა თავის თავს და ამბობდა, რომ ოცი წელია, რაც ტფილისში ცხოვრობს და ერთხელაც არ მიუცია თავის თავისთვის უფლება, რომ იმერელისათვის და კახელისათვის მას სხვადასხვა გვარათ შეეხედოს. რაც შეეხებოდა იმას, რომ იმერლები ფხიზელი ხალხია, ეს უდაოთ უნდა ყოფილიყო ჩათვლილი და ამიტომ სასაყვედუროც არავის არაფერი არ უნდა ჰქონოდა.

დაბოლოს, ერთი წმინდა მეცნიერული წერილი მოათავსა იაკინთემ იმის შესახებ, თუ რამდენი ქართული სიტყვა მოუპარავთ უცხო ქვეყნებს, მიუთვისებიათ და შემდეგ ქალაქებისთვის, მდინარეებისთვის და თვით ქვეყნებისთვის დაურქმევიათ. მაგალითად: სიტყვა „მანჯურია“, რომელიც შესდგება ორი ქართული სიტყვისაგან „მან და ჯური“, სიტყვა „ამერიკა“, რომელიც წარმოადგენს წმინდა ქართულ სიტყვას „ამერი“, ანუ ჩვენებურათ „ამერეთი“. ამერიკელებს სიტყვა „ამერი“ -სათვის ბოლოში მოფერების კილოთი „კა“ მიუმატნიათ და მიუთვისებიათ. ან კიდევ სიტყვები „ისპანია“, „შექსპირი“, „ავსტრია“, „იერუსალიმი“, „რუსეთი“, „ოკეანე“, „ბაიკალი“, „არისტოტელი“, „კანტი“, „გერმანია“ და სხვა, რომელიც უხვათ იყო ჩამოთვლილი წერილში.

წერილი საჭიროთ სთვლიდა ყველა ამ სიტყვების ჩამორთმევას და, თუ ეს არ მოხერხდებოდა, მოთხოვნილების წაყენებას ყველა ერებისადმი, რომ მათ მიერ მოპარული ქართული სიტყვები ოფიციალურად ეღიარებინათ ქართულად და აგრეთვე დაედოთ პირობა, რომ მომავალში ისინი ამას აღარ გაიმეორებდენ.

აკაკი ბელიაშვილი

1928 წელს, ტფილისი

პოეზია და ზაუმი

1. სანამ წერილის ძირითად თემას შევეხებოდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას ტერმინისათვის. ეგრეთ წოდებული „ზაუმი“ გულისხმობს ყოველგვარ მნიშვნელობისაგან ცარიელ და შინაარსიდან განტვირთულ სიტყვას. ქართულში მისი შესატყვისი იქნებოდა „ლიტონი“ (საბა ორბელიანი: ლიტონი = ცარიელსავით). მაგრამ სიტყვამ Çâóì ქართულ ლიტერატურულ და ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში უკვე მოქალაქობრივი უფლებები მოიპოვა. გარდა ამისა ეს სიტყვა წმინდა რუსული ფუტურიზმის გამოვლინებისაა, იგი ამ შკოლის აღმოჩენაა, ამიტომ ჩვენც გადმოგვაქვს ეს სიტყვა რუსულიდან და ქვემოდ ყველგან ვხმარობთ მას უთარგმნელათ.

2. ზაუმის პრობლემა რუსულ პოეზიაში პირველად დაისვა 1913 წელს, როდესაც „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტმა“ ალექსეი კრუჩონიხმა გამოაქვეყნა თავისი „დეკლარაცია სიტყვის, როგორც ასეთის“. კრუჩონიხი ამ დეკლარაციაში ასეთ დასაბუთებას აძლევდა ზაუმური ენის შემოღების საჭიროებას: „აზრსა და გამოთქმას არ ძალუძს დაეწიონ შთაგონებულის განცდას, ამიტომ პირადი ენითაც (შემოქმედი ინდივიდუალურია) და აგრეთვე ენით, რომელსაც არა აქვს გარკვეული მნიშვნელობა (არ არის გაყინული) — „ზაუმით“. საერთო ენა შემზღუდველია, თავისუფალი ენა საშვალებას იძლევა სრული მეტყველებისას. სიტყვები კვდებიან, სამყარო მარად ნორჩია. მხატვარმა იხილა სამყარო ახალი სახით და, როგორც ადამი, ყველაფერს თავის სახელს აძლევს. ზამბახი მშვენიერია, მაგრამ უმსგავსოა სიტყვა „ზამბახი“, — გაცვეთილი და გაუპატიურებული“, ამიტომ მე ვუწოდებ ზამბახს „åóû “ და პირველყოფილი სიწმინდე აღდგენილია“.

კრუჩონიხის დეკლარატიული გამოსვლა და შემდეგ მისი და ველემირ ხლებნიკოვის პოეტური პრაქტიკა — ზაუმური ენით დაწერილი ლექსები — მორიგი სკანდალი იყო ომის წინა წლების რუსულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. როგორც სიტყვაქმედობის გარკვეულ ლაბორატორიულ მუშაობას, ზაუმური ლექსების ნიმუშებს ხშირად იძლეოდენ ქართველი ფუტურისტებიც.

ზაუმის პრობლემის შესახებ ბევრი წერილები დაიწერა. განსაკუთრებით, საწინააღმდეგო ბანაკიდან, სადაც ფუტურისტებს უკიჟინებდენ პირველყოფილობისა და ველურობისაკენ დაბრუნების ტენდენციებს. მაგრამ ზაუმურმა პოეზიამ, როგორც ასეთმა, თუ არა, ზაუმმა, — როგორც პოეტურმა ხერხმა პოეზიაში, თავისი ისტორიული და თეორეტიული გამართლება მაინც იპოვა.

ზაუმური ლექსის ოსტატები აცხადებდენ, რომ მათ თავისი ემოციების გამოხატვა უკეთესათ შეუძლიათ შინაარსისგან თავისუფალი ბგერა-თქმით (çâóêî ðå÷ü), რომელიც, სათანადო ემოციათა გამოწვევის თვალსაზრისით, უშუალო გავლენას ახდენს მსმენელზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი წესი ემოციების გამოხატვისა, მარტო მათ არ ახასიათებთ, არამედ ეს ყოფილა საერთო ენის მოვლენა, მხოლოდ მანამდის არ გაცნაურებული. გამოირკვა, რომ ზაუმი შეუცნობლათ არსებობდა წინათ, — როგორც საერთოდ ლიტერატურაში, ისე ხალხურ პოეზიაში. ხშირად ზაუმს შეუმჩნევლათ ვხვდებით თურმე ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ასეთი ფორმა ამთვისებელზე ემოციონალური ზეგავლენისაა, როგორც შეგნებული პოეტური ხერხი, პირველათ გამოიყენეს და შეიტანეს პოეზიაში ფუტურისტებმა.

3. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება. როგორც ვიქტორ შკლოვსკი შენიშნავს თავის წერილში ზაუმის შესახებ, — ჩვენ ხშირად ვხვდებით „გარკვეულ ბგერათა შერჩევას ცნებათა „საერთო“ ენით დაწერილ ლექსებში. ასეთი შერჩევით პოეტი ცდილობს გააძლიეროს თავისი ნაწარმოების სუგესტიურობა, რაც ამტკიცებს იმ

გარემოებას, რომ თვით მეტყველების ბგერები, თავისთავად ატარებენ განსაკუთრებულ ძალას“ (კრებული „პოეტიკა“ პტგდ., 1919, გვ. 15). ვიაჩესლავ ივანოვი, რომელიც ერთ-ერთ თავის წიგნში („პო ზვიოზდამ“) ეხება პუშკინის პოემის „ბოშები“-ს ბგერით მხარეს, გამოსთქვამს აზრს, რომ ამ პოემაში „მელოდიური ლექსების ფონეტიკა თითქოს ამჟღავნებს ხმოვანი ბგერის უ-ნის უპირატესობას... ამ პოემაში მოცემულმა ბგერების მხატვრობამ, ბუნდოვანათ და შეუგნებლათ ნაგრძნობმა ჯერ კიდევ პუშკინის თანამედროვეთა მიერ, განამტკიცა უკანასკნელთა შორის შეხედულება, რომ პუშკინის ეს ახალი ნაწარმოები ამღერებული იყო განსაკუთრებული მაგიურობით“. კიტერმანი თავის წერილში „სიტყვის ემოციონალური მნიშვნელობის შესახებ“ სხვათაშორის ამბობს: „სიტყვის ემოციონალური ზეგავლენის შესაძლებლობა ჩვენთვის უფრო გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ზოგი ბგერები, მაგალითად, ხმოვანები, იწვევენ ჩვენში შთაბეჭდილებას, წარმოდგენას რაღაც ბნელისას და პირქუშის — ასეთია ხმოვანები **ო**-ნი და უმთავრესად **უ**-ნი, რომელთა გამოთქმის დროს პირის სარეზონანსო ღრუები აძლიერებენ დაბალ ობერტონებს (ძირითად ბგერრასთან დამატებული ტონები, რომელთაგანაც დამოკიდებულია ბგერის ტემბრი. **ლ. ა.**); სხვა ბგერები იწვევენ ჩვენში საწინააღმდეგო ხასიათის შეგრძნებებს, — ნათელს, აშკარას და გარკვეულს, ასეთებია **ი**-ნი და **ე**-ნი — მათი გამოთქმის დროს სარეზონანსო ღრუები აძლიერებენ მაღალ ობერტონებს“ (ციტ. კრებ. „პოეტიკა“, გვ. 15).

ამგვარათ, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სპეციფიური ემოციების გამოსახატავათ, ან გამოსაწვევათ და აგრეთვე პოეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებითი ძალის გასადიდებლათ ბგერათა შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთ ტენდენციას ხელსახებათ ვგრძნობთ სიტყვის ყველა დიდი ოსტატების ნაწარმოებებში. ლექსის ფონეტიური მხარისადმი ჭარბი ყურადღების სანიმუშოთ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ქართული პოეზიიდან: რუსთაველი (ამ მხრივ მეტად საინტერესოა პოეტ კონსტ. ჭიჭინაძის შრომა ალიტერაციის შესახებ „ვეფხის ტყაოსანში“), ბესიკი, მე-19 ს. და უახლოესი დროის პოეტური შემოქმედება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ხალხური პოეზიის მასალები. ჩვენ გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პოეტურ მეტყველებას, თავისი სემანტიკის გარდა და ხშირად მის გარეშეც უდიდესი ღირებულება აქვს ბგერადობის, ფონეტიკის თავისებურობით.

4. მაგრამ ამ მოვლენას მარტო პოეზიაში არა აქვს ადგილი. შკლოვსკი ხსენებულ წერილში ერთ ადგილას შენიშნავს, რომ ადამიანებს სიტყვები ესაჭიროებათ არა მარტო იმისათვის, რომ ამ სიტყვების საშვალებით გამოხატონ რაიმე აზრი, არც მარტო იმისათვის, რომ სიტყვა შესცვალონ სიტყვით, ან გამოიყენონ იგი რომელიმე საგნის სახელწოდებათ: არა, ადამიანებს თურმე ხშირად სჭირდებათ აგრეთვე ყოველივე აზრს მოკლებული სიტყვებიც, ასე მაგალითად, სატინი (მაქსიმ გორკის პიესიდან „ფსკერზე“, მოქმედება პირველი), რომელსაც მობეზრდა ყველა ადამიანური სიტყვა, ამბობს: „სიკამბრ“ და ახსენდება, რომ მემანქანეთ ყოფნის დროს, მას უყვარდა სხვადასხვა სიტყვები. კნუტ ჰამსუნის „შიმშილში“ ჭაბუკი მოგვითხრობს: „მე ვდგევარ და შევსცქერი ამ ქალს პირდაპირ თვალებში და ჩემს ტვინში უეცრათ გაიელვებს სახელი, რომელიც წინათ არაოდეს არ მსმენია, სახელი, რომელიც ხმიანობს როგორიღაც სრიალა ხმით — ილაიალი“. ამავე ნაწარმოებში ეს მშიერი ჭაბუკი ბოდვის დროს იგონებს სიტყვას „კუბოა“ და მოსწონს მიტომ, რომ იგი მდინარ თვისებისაა, რომ არა აქვს გარკვეული მნიშვნელობა. „ეს სიტყვა, — ამბობს იგი, მე თითონ მოვიგონე; მე სრული უფლება მაქვს მივცე მას ისეთი მნიშვნელობა, როგორიც მომეპრიანება; ჯერ მე თითონ არ ვიცი, რას ნიშნავს იგი...“ გოგოლის პეტრუშკას — ჩიჩიკოვის ლაქიას „მკვდარ სულებში“ — მოსწონდა არა ის, რის შესახებაც კითხულობდა იგი, არამედ უფრო თვით კითხვა, ან უკეთესად რომ ითქვას — თვით კითხ-

ვის პროცესი. რომ აი, ასოებიდან გამოდის როგორიღაც სიტყვა, რომელიც ხანდახან, ეშმაკმა უწყის რას ნიშნავს. გონჩაროვის ნაწარმოებში „ძველი დროის მოსამსახურენი“ — ვალენტინი სტკბება მისთვის გაუგებარი ლექსების კითხვით და ალერსით იწერს რვეულში უცნობ ჟღერად სიტყვებს, მასთან ახდენს თანაბრად მჟღერი სიტყვების შერჩევას: „კონსტიტუცია და პროსტიტუცია“, „ნუმიზმატი და კასტრატი“ — მას არც კი სურს გაიგოს მათი მნიშვნელობა, იგი არჩევს მათ მსგავსი ხმიანობის მიხედვით, ისე, როგორც შეარჩევენ ხოლმე ფერის მიხედვით ძვირფას ქვებს ან მატერიებს. თითქმის ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, სადაც რუსი ოფიცერი „სომეხ სოვდაგრის გაუნათლებელ დახლიდარის“ წინ თავს იწონებს ცოდნით და ჩამოსთვლის უცხო და ხმიერ სიტყვებს: ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასაცია, ფილოლოღია (თხზ., ტ. 1, გვ. 11, ქართ. წიგ. გამოც.). აქ სიტყვების საგნობრივი მნიშვნელობა მიჩრდილულია, მთავარ როლს თამაშობს სიტყვების ბგერითი მომენტი და ალიტერაციული მხარე — ერთი და იგივე თანხმოვანის ც-ანის გამეორება. მსგავს ნიმუშებს მრავლად ვხვდებით აგრეთვე ქართულ ფოლკლორშიც. მაგალითად, „ამირანის ზღაპარში“ ქალი ყამარი აფრთხილებს ამირანს:

„ამირან, გვალე, გვალესა, — მუხლად გაქებენ მალესა, —
ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან მალესა.“

„ხალხურ ვეფხისტყაოსანში“:

„დასხდიან მეკიდობნენი:
იმბარ, ამბრი და უმბარნი...“ (იხ. ს. გორგაძე — ჩვ. ძვ. მწერლობა,
გვ. 37—61, სახელგ., 1927).

ხალხურ ზღაპრებში უკვე დავიწყებულია ნომინაციის ობიექტები სიტყვებისათვის: ამბრნი-უმბრნი-არაბნი და იმბარ-ამბრი-უმბრი-სათვის, ეს სიტყვები მოქმედებენ გარკვეულ ბგერათა წყობით და ალიტერაციით, — მასთან, გამეორებული თანხმოვანები **მ, ბ, რ,** იწვევენ შთაბეჭდილებას და წარმოდგენას რაღაც ძალოვანის, საშიშარის (ჩვენში ბავშებს აშინებენ **„ბუა“**-თი). ჩვენ ვიცით, რომ ემოციების გამომჟღავნება ხშირად ხდება გარკვეული ბგერათა კომპლექსით, რომელიც კიდევ არ არის სიტყვა, მაგრამ თავისი ფონეტიკით და ინტონაციით იძლევა საშვალებას რომელიმე სულიერი მდგომარეობის გასაგებათ. როდესაც ლუარსაბ თათქარიძე, გახარებული იმედით, რომ ბავში მიეცემოდა, დაითვრა და თავისი თავი უკვე შვილის ქორწილში წარმოიდგინა, ცეკვის გუნებაზე მოსული გაიძახოდა: „ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანსა!“ (თხზ., ტ. 11, გვ. 266). უახლოეს ქართული პოეზიიდან ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი ნიმუშები ზაუმის, როგორც სტილისტიური ხერხის, შეუცნობელი და უნებლიე გამოყენებისა. გალაქტიონ ტაბიძის ერთ ლექსში ნახმარია გაუგებარი და ყოველგვარ შინაარსს მოკლებული ბგერათა რიგი: „დოვინ-დოვენ დოვლისა“. ეს სიტყვები კონტექსტის გარეშე სრულს უაზრობას წარმოადგენს, ხოლო კონტექსტში მოცემულნი, აძლიერებენ ლექსის სუგესტიურ მხარეს — იწვევენ ჩვენში გარკვეულ წარმოდგენებს მათი დასახელების გარეშე (გალ. ტაბიძის ლექსები, სახელგამი, 1927).

5. განსაკუთრებულ ინტერესს ამ მხრივ შეიცავს ბავშების სათამაშო ლექსები და სიტყვათა კრებული, სადაც ხან ნაწილობრივ, ხან კი გაშიშვლებული სახით მოცემულია ზაუმი. ეს სათამაშო ლექსები საინტერესოა მით, რომ ლოკალობას მოკლებულნი, ისინი გადადიან ერთი გეოგრაფიული ადგილიდან მეორეში, აგრეთვე თაობიდან შემდეგ თაობაში და წარმოადგენენ თავისებურ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ერთერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს ბავშებს შორის წილის ყრის დროს სათქმელი ლექსი, ზემო იმერეთში ჩაწერილი:

საჩაჩნო: აული (სურათი „ელისო“). რეჟ. ნ. შენგელაია, ოპერატ. კერესელიძე

საჩაჩნო: აული (სურათი „ელისო“). რეჟ. ნ. შენგელაია, ოპერატ. კერესელიძე

ჭოკზე ხტომა (სურათი კინო-ქრონიკა). რეჟ. მიხ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე, ოპერატ. მიხ. კალატოზიშვილი

ჰააგიის კონფერენცია (სურათი კინო-ქრონიკა). რეჟ. მიხ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე, ოპერატ. მიხ. კალატოზიშვილი (გაკეთებულია საპნის ბუშტისაგან)

ომი! (სურათი კინო-ქრონიკა). რეჟ. მიხ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე

იწილო ბიწილო
შროშანა გვრიტინო
ალხოს მალხოს
ჩიტმა გნახოს
შენი ფეხი
ფეხ-მანდური
გადაჯექი
გადმოჯექი
სკიპ და რიკ („ძვ. საქ.“, ტ. 1, გან. IV, გვ. 103-104).

ასეთ ლექსებს, რასაკვირველია, უახლოესი კავშირი აქვს იმ ზაუმური ელემენტებით სავსე შემოქმედებასთან, რომელიც განსაკუთრებული სიუხვით მოცემული არის ხალხურ ზღაპრებში, ლექსებში, გამოცანებში და შელოცვებში. ნათქვამის საილუსტრაციოთ მოგვყავს ზოგიერთი ნიმუშები:

1. ხალხურ „როსტომიანში“ ბეჟანი იწვევს გარეულ ტახს საომრათ:

„ღორო **არეში-მარეში,**
გამოდი, გამეთამეში!
შუბნი ვკრნეთ, ფარნი ვუფარნეთ,
მინდვრათ გაუშოთ თარეში!“

2. იქვე. ამ ომის დროს შიშით ხეზე ასულ გურგენს ბეჟანი ეძახის:

„გურგენ **ელი ხარ, მელი ხარ**
მა ხეზე ამომსვლელი ხარ
ე ხე რომ ჩამოგისვრია
საითღა ჩამომსვლელი ხარ (ს. გორგაძის ქრესტ. გვ. 52-53).

3. ზემო-იმერეთში ჩაწერილი ხალხური ლექსებიდან:

ალალ-მაქო, დალალ-მაქო,
დიდ მინდორში ყანა მაქო —
მუშა ბევრი შევიწიე,
საჭამადი აღარ მაქო (ეს და ქვემოდ ყველა იხ. „ძვ. საქ.“,
ტ. 1, IV, 77—92).

4. განჯას წყალი შემოვასხი
ვარდო–მანანასა!
ღმერთო, წვიმა მეიყვანე
ვარდო — მანანასა!

5. **ლილი, ლილი ლიბანდაო,**
გოგო სახეს იბანდაო,
გავხედე და შემომხედა,
სამსე მთვარეს უგავდაო.

6. **ახლა დილილმე, დილილმე,**
დამტოვე დაბნედილი მე,
კაბისა ზორტი შეგიხსენ
და პერანგისა ღილიმე. — და სხ.

7. **ალათასა, ბალათასა**
ხელი ჩაკარ კალათასა,

ამოიღე ორი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

8. **მზე შინა და მზე გარეთა,**
მზე, შინ შემოდიო!
უყივლია მამალსაო,
მზე, შინ შემოდიო! და სხვ.

9. **იავ-ნანა, ვარდო-ნანა,**
იავ-ნანინაო!
ბატონებისა დედასა.

10. ქართლში, სოფ. ერთაწმინდაში მღერიან:

შევსვათ წითელ-წითელი,
ასი-ათა ი,
ჰარნუ, ნანუ ნანო,
დიელ-დიელო (იქვე, V, გვ. 27).

11. თუშეთში ასეთი სიმღერით გლოვობენ მიცვალებულს:

„**დალაი** თქვით, დალაი, მხედრებო! — **დალაი, დალაი!**
ძნელი არს დალაობაი! — დალაი, დალაი!
ბრალია, ძმაო... ბრალია — დალაი, დალაი,
შენი ულაშქროთ სიკვდილი — დალაი, დალაი!
და სხვ (ს. გორგაძის ქრესტ., გვ. 122).

ყველა მოყვანილ მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები, შეიძლება და უთუოდ ერთ დროს, უამრავ საუკუნეთა მიღმა, შეიცავდენ ხალხისთვის გასაგებ შინაარსს და გამოხატავდენ გარკვეულ რელიგიურ, რიტუალურ და ყოფაცხოვრების ცნებებს — ობიექტებს. მაგრამ ჟამთატრიალში ეს სიტყვები თანდათანობით დაიცალენ სემანტიურობისაგან და, ვინაიდან, ეხლა ხალხურ ლექსებში — სიმღერებში მათი დანიშნულება განისაზღვრება მხოლოდ ფონეტიური — გამოყენებითი ფუნქციით, ამდენად ისინი წარმოადგენენ ზაუმს. ანალოგიურ ზაუმურ გამოთქმებს განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ქართულ გამოცანებში. რამდენიმე ნიმუში ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ამის შესახებ.

1. აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი
მზით ავიღე, მთვარით დავდგი = ყინული (ს. გორგ., გვ. 141).

2. ახლახუნ-დახლახუნი.
დოსკაპ — დოინჯებიანი,
ოხროხი, დოხროხი
დოინჯი და დოწკაპი = ხაფანგი (ძვ. საქ., 1, IV, გვ. 94).

3. ორი — ორერას, ოთხი — კორენას,
თორმეტი — ასკუაჩს, არცერთი — ჩიჩილაკს.

სხვა ვარიანტი:

ორი-ოღენას, ოთხი-კოკენას,
თორმეტი — ყანჭპურას, არცერთი კირკიტელს.
= ძუძუები: 2 — თხისა, 4 — ძროხისა,
12 — ღორისა, ქათმის არც ერთი) (იქვე, 95).

4. კიკლი-კიკლი კიბესაო,
ხვარასანის ციხესაო.
კურდღელი გადმომდგარიყო
აცმაცურებს ყურებსაო = სამრეკლოდა ზარები (იქვე, გვ. 95).

5. აიანური, ბაიანური
წითელი კაკიანური,
ეიშლება, დეიშლება —
მოწყენია სიარული = საათი (იქვე, გვ. 96).

ყველა მოყვანილი მაგალითები ჩვენ გვარწმუნებენ, რომ „ზაუმის ენა“ გარკვეულათ არსებობს ხალხურ პოეზიაში. არსებობს ზოგგან ცხადათ, ზოგგან ფარულ მდგომარეობაში, შეუცნობლათ, თუმცა მეტად ხელსახებათ. ისე, როგორც, მაგალითად, რითმა ცოცხლობდა არ გაცნაურებულათ, თუ გინდ ემბრიონალური მდგომარეობით — ანტიურ ლექსში და აგრეთვე უძველეს ქართულ სასულიერო პოეზიაში, სადაც „რითმის ჩანასახი, მართალია ღარიბი, მაგრამ მაინც იყო“ (პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. 1, 638; იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვას — ძველი ქართ. სასულ. პოეზია, ტფ., 1913). მაგრამ ზაუმს თავისი წმინდა, პრინციპიალური სახით ვხვდებით ეგრეთწოდებულ შელოცვებში, რომელიც აშენებული არის უმთავრესად უაზრო, გაუგებარ ბგერად-გამოთქმებზე. ასეთი გლოსალოლიური მეტყველების დამახასიათებელი ნიმუში იქნება:

1. დევისა და ქაჯის შელოცვიდან:

ედენიენთა ღაიღე შამათე,
ედენია იავი ეგრამათე
ეგრესიმ იოსი ერივანე
და იონა იოსავე. და სხვ. (ძვ. საქ., გვ.92).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოყვანილი ნიმუში ერთი იმ შელოცვათაგანია, რომლებიც უხვად იყო შეტანილი ხალხურ საექიმო წიგნებში, ეგრეთ წოდებულ კარაბადინებში. ამას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილიც. მისი სიტყვით, „ამ კარაბადინებში“, — რომელთაგან ბევრი ნათარგმნია სპარსულიდან, — მოყვანილი ლოცვები, ჩათქმა და შელოცვები, ყოველ ეჭვს გარეშეა, შეტანილია ხალხურ ზეპირსიტყვაობიდან და არავითარ შემთხვევაში სპარსულიდან თარგმანს არ წარმოადგენს, — გნებავთ იმიტომ, რომ ზოგი მათგანი ქრისტიანული ლოცვაა. ამით მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა შელოცვები წმინდა ქართული წარმოშობისაა, წინააღმდეგ, მათში ბევრია ნასესხები, ზოგი მათგანი კი პირდაპირ უცხო ენაზეა მოყვანილი (მაგალ. ებრაულზე. **ლ. ა.**), მაგრამ ეს შელოცვები დიდი ხნის წინათ შესულან ხალხში და ხალხის პირიდან კი, ხშირად მეტად დამახინჯებული სახით ამ სამკურნალო წიგნებში“ (ე. თაყაიშვილი — Î ï èñàí èå ðóêî ï èñåé, ტ. II, გვ. 138). ერთერთი ასეთი კარაბადინიდან ჩვენ მოგვყავს შელოცვის ნიმუშები:

1. გველის ნაკბენის შელოცვა:

სანათე, აგათე, ფნონა
აფათა, აღაშე, ბაგანათ (î ï èñ., გვ. 110).

2. პირში ჩამძვრალ გველის ამოსაყვანი შელოცვა:

არეს, არეს, არეო, ფოროზინდან, ფორონი, ფროხინეს,
მონკლა არას, არას ვეშაენ, არარა აქუს, თახუნი
დედა მისი მანქეოზ. და სხვ.(იქვე, გვ. 141).

3. ლოცვა ციებისა:

> არხო, რამო, ტრომოს, სორამო, ფატიაფ, ფატაფა,
> ოსა, შაფაორი, ასოთ, ამომამბასუფთ (იქვე, გვ. 151).

4. თვალის ტკივილის ლოცვა:

> ფინეზ ფინფანო ზახა მეტყანო, ჰაიოზ მისანი მინარო, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, განიკურნოს მონა ესე ქრისტესი აწ და მარადის და უკუნისამდე ამინ. ბისლელ ქვალამანდი ქინა სტინა ინა სისა ატალა მოსტაკინი ვატალადინ ნამ ვათალად წითალ სამლამალად, ოღარ უკუე, არგე მონასა ამას შენსა (სახელით) ღმერთო, ამინ (იქვე, გვ.159).

ყველა მოყვანილ ნიმუშებში საქმე გვაქვს ნამდვილ გლოსოლალიასთან, პირწავარდნილ ზაუმის ენასთან. ამ გაუგებარი, უაზრო და უშინაარსო სიტყვების შთამბეჭდველი, პირდაპირ გიპნოტიური გავლენა გულუბრყვილო და ფანატიურად მორწმუნე ადამიანზე, ადვილად წარმოსადგენია.

6. საინტერესოა აქ ერთი საკითხიც, რომელიც შეეხება ლექსის აღმოცენებას პოეტის შინაგან არსში. „მე მგონია, — ამბობს შკლოვსკი, — რომ ხშირად ლექსებიც პოეტის სულში თავდაპირველად ჩნდებიან ბგერითი ლაქების სახით, რომლებიც ჯერ არ გადმოღვრილან სიტყვებათ. ლაქა ხან ახლოვდება, ხან მოშორდება და ბოლოს გამოაშუქებს მაშინ, როდესაც შეეხამება რომელიმე თანახმიერ სიტყვას. პოეტი ვერ ბედავს თქვას „ზაუმური სიტყვა“, — ჩვეულებრივათ ზაუმი იმალება რაიმე შინაარსის სარჩულში, რომელიც მატყუარია, მოჩვენებითი და პოეტები იძულებული არიან აღიარონ, რომ თვითონ არ ესმით შინაარსი თავისი ლექსების. ასეთი რამ აღიარებული აქვთ კალდერონს, ბაირონს, ბლოკს. ჩვენ უნდა ვერწმუნოთ სიულლი პრუდომს, რომ მისი ნამდვილი ლექსები არავის არ წაუკითხია. ზოგიერთი პოეტები, მაგალ. შილლერი, პირდაპირ აცხადებენ, რომ მათ სულში ლექსები იბადებიან და ღვივდებიან მუსიკასავით. პოეტები აქ ხდებიან მსხვერპლი ზუსტი ტერმინოლოგიის უქონლობისა. შინაგანი ბგერადმეტყველების გამოსათქმელად სიტყვები არ არის და, როდესაც საჭიროა ამის აღნიშვნა, ენას მოადგება სიტყვა მუსიკა, როგორც გამოხატულება ამა თუ იმ ბგერისა, რაც ჯერ კიდევ არ ქცეულა სიტყვად“ (კრებ. „პოეტიკა“, გვ. 21-22). ოცდაორი წლის ილია ჭავჭავაძე, პეტერბურგში დაწერილ ლექსში „ხმა გულისა“ გვეუბნება, რომ მას ერთხელ მოესმა ბულბულის სტვენა. დიდხანს უსმენდა პოეტი „იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს“, ბოლოს გამოარკვია, რომ ეს ბულბული მის გულში მღეროდა (თხზ. I, გვ. 56). ბარათაშვილი გრძნობდა, რომ ჩვეულებრივი, ცნების გამომხატველი ენა ადამიანისა ვერ სწვდება სამყაროს მრავალფეროვან მოვლენებს, ამისათვის იგი მეტად სუსტია და ღარიბი. იგი ფიქრობს, რომ არსებობს კიდევ „უცხოველესი“ ენა. ამის შესახებ „ჩინარში“ პოეტი ამბობს:

> მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
> და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!
>
> (ნ. ბარათ., ლექსები, გვ. 51, 1922 წ.)

პოეზიაში ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით, რომ ლექსი იქმნება და კიდევ მეტი — ლექსის მიმღეობა, ათვისება ხდება არა მარტო ცნებების გამომხატველი სიტყვების საშუალებით. ამაში, მე მგონი, საკმაოდ დაგვარწმუნა ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა.

7. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზაუმური ენით დაწერილი ლექსები, რასაკვირველია, ვერ გასცდებიან სიტყვა ქმედობის ლაბორატორიული ექსპერიმენტების ფარგლებს, მაგრამ

უდავოა ის ფაქტიც, რომ ზაუმი, გაგებული არა როგორც თვითმიზანი, არამედ, როგორც პოეტური მეტყველების ერთერთი საშუალება, ყოველთვის არსებობდა და მუდამ იარსებებს. ზაუმს მიმართავს ხალხი თავის ზეპირ შემოქმედებაში — ეს ხერხი შეიძლება შეგნებულათ იქნეს და არის კიდეც გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში და პოეზიაში.

ლევან ასათიანი

ახალი ლექსალობის შესახებ

ლირიკული ფაქტი პოეზიაში მუდამ ფსიქიური დოკუმენტის ხასიათისაა. ლირიკოსების გზა არის გზა ადამიანების ემოციონალური მეტყველებისა პოეზიაში. ალექსანდრ ბლოკის პოეზია მოგზაურობაა საკუთარი თავის გარშემო. რუსულ ლირიკაში მან მოახდინა ბოშური რომანსის ლექსიზაცია (ვ. შკლოვსკი), როგორც ლირიკული განწყობილების პრიმიტიული ფორმის (უკანასკნელის კანონიზაცია შეადგენდა ბლოკის პოეტურ გზას), მაგრამ როდესაც ბლოკმა დასწერა „თორმეტი“ — ეს იყო ახალი ნაკადი მის პოეზიაში და „თორმეტი“-ც მიჩნეულია, როგორც უდიდესი შტრიხი. ეს ფაქტიც ამტკიცებს იმას, რომ ლირიკულ ფორმის თვისებაში ვერ დაეტევა საგნობრივი სიფართოვე და ამისთვის საჭიროა გადაცდენა ლირიკის გზიდან.

ლირიკას აქვს თავისი ტრადიცია და მისი წარსული ინტიმისა და ფსიქოლოგიზმის ემპირიკაა. ამიტომაც პერსონალიზმი და ლირიკა ერთნაირი ზომით იჭრებიან ურთიერთში. სიმბოლისტების პოეზიაში ეს ფორმა პრინციპად იყო დასახული. პერსონალიზმის შეჭრამ პოეზიაში ინდივიდუალური ყოფა მიიღო, როგორც გადმოცემის ობიექტი. აქედან იწყება ლაშქრობა იმ ლირიკოსების, რომელთა შემოქმედებაში თვითონ ავტობიოგრაფიები იკავებდენ მთავარ ადგილს. მოკვდა სივრცობრივი სიფართოვე და მეცხრამეტე საუკუნის ევროპიული პოეზია აშენდა არა საზოგადოებრივი ყოფის თემატიური რევიზიის ქვეშ — არამედ სალონური კარჩაკეტილობით. მან დაჰკარგა პრიმატი საგნობრივი სინამდვილის, და ზოგიერთი პოეტები ხშირად ფიზიკურადაც აფარებენ თავს კათოლიკურ კათედრალებს.

დღეს საერთოდ ლიტერატურაში წამოჭრილია თვით მატერიალის ხასიათის საკითხი. თანამედროვე აზრი ჩერდება პოზიტიური ხედვის დაკანონების საჭიროებაზე. ახალი ლექსალობის ამგვარ მიმართებას სიმბოლისტური პოეზია, როგორც ლირიკის უკიდურესობა, მუდამ გაურბოდა. აქედან ადვილი ასახსნელია ფაქტი ლირიკის სიკვდილისა — ლირიკის, როგორც ფორმის.

ურბანიზმის შეჭრა პოეზიაში იყო გადამწყვეტი ხასიათის. ლირიკას, როგორც ემოციონალურ თქმებით აშენებულ ფორმას ლექსალობისას, არ შეეძლო მისი ფორმალი შეთანხმება. ამიტომაც ურბანულ მასალამ ლირიკაში პასუხად მიიღო ნერვიული შიში და, როგორც ყოველი დიდი ორგანიული ტკივილი, დასრულდა ორგანიული სიკვდილით.

ქართულ პოეზიაში ლირიკის ფორმამ თავისი დასრულებული გამოხატულება ჰპოვა ქართულ სიმბოლიზმში. მათ შორის განსხვავებით სდგას გრ. რობაქიძე, როგორც საუკეთესო და ორიგინალური დამკანონებელი ელლიპსიური კონსტრუქციისა, რაც უახლოვდება აღწერილობის მანერას (იგი სრულიად არ არის სიმბოლისტური ლექსობრივობის შემომტანი ჩვენში).

ლირიკის უკიდურესი პერსონალიზმის ილიუსტრაციისათვის კმარა ვ. გაფრინდაშვილის პოეზიის გაცნობა. მასალობრივი არე ამ პოეტში არის სალონური და რადგანაც მასალის ორგანიზაციიდან ხშირად არ არის თავისუფალი ფორმალი ასრულებაც — მისი ლირიკის გზაც წმინდა გამოთქმითი მიმართულებისაა. ამის გამო მოხდა ის, რომ ვერც ერთი ახალი თემატიური მასალამ, რომელსაც თან სდევდა ფაქტიური და რეალური სახე — ვერ იპოვა მასში გაფორმების სრულყოფა. აქ მივიღეთ ის, რასაც ერთი რუსი თეორეტიკოსი ფორმის კონტრრევოლიუციას უწოდებს და, რომელიც ხშირად მეტყველებს მწერლის მსოფლმხედველობაზედაც.

პათეტიური ლირიკის წარმომადგენელნი ჩვენში იყვნენ დემოკრატიული პოეტები. ამ თაობის პროგრესიულობის შესახებ საუბარი დღეს ზედმეტია. ხოლო, რაც შეეხება მათი ლექსობრივი შენების პრინციპს — იგი დღეს დგება სრულიად ახალი კონსტრუქციით, რომლის გაცოცხლებაც დემოკრატიულ პოეტების მომდევნო თაობამ ვერ შესძლო.

საერთოდ დაწყებული ახალი ფორმების კანონიზაცია ჩვენშიც ჰპოულობს ორიგინალურ განვითარების ხაზს.

II

ჯერ კიდევ ანდრეი ბელი აღნიშნავდა თავის „Ñèì âîëèçì “-ში, რომ ესთეტიკის რკვევითი ემპირიკად ხელოვნების ფორმა უნდა იყოს მიჩნეულიო. ლიტერატურის თეორიამ (პოეტიკა) მეცნიერულად დაასაბუთა ამგვარი რკვევის აუცილებლობა.

ახალი პოეზიის ფორმალურ საკითხების რკვევით ნათელი ხდება ის, თუ როგორ არის შესაძლებელი თანამედროვე მასალის მიღება. ამის გამო ანალიზი იწყება უმთავრესად ფორმალურ საკითხების გარჩევით.

მემარცხენე მწერლობამ რუსულ პოეზიაში შემოიტანა ორი ტიპი ლექსობრივ შენებისა: თხრობითი და აღწერითი. პირველის ფორმალი ხერხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპიკა (ფაბულარულ სიბრტყეებით), ხოლო მეორეში ემფატიური (მიმართვითი) ინტონაცია. აქვეა აღსანიშნავი ახალი პათეტიზმიც.

პირველი ტიპის ლექსის შენებითი ფორმებით ადვილი ხდება იმ დიდი მასალის მიღება, რომელიც ურბანულ სპეციფიკით არის აღნიშნული. ლექსი თავს აღწევს სალონებს და პერსონალიზმის ჯებირების გარღვევით პოეზია იბრუნებს საკუთარ და თვითად სიცოცხლეს.[1]

აღწერით ლექსში განსხვავებულ მანერად იჭრება პათეტიკა. უკანასკნელის თავისებურობას შეადგენს საგნების გაშუქება რიტორიკულ პლანით. აქ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ემფატიური (მიმართვითი და შეკითხვითი) ინტონაცია, რომელიც დამახასიათებელია ორატორთა სიტყვების. ლიტერატურაში ამის ფორმად მიჩნეულია ოდა (ხოტბა). დღეს მიმართვითი ინტონაცია წარმოადგენს პათეტიკის კონსტრუქტიულ მხარეს, რომელიც თავს იჩენს განსაკუთრებით მემარცხენე მწერალთა შემოქმედებაში (მთელი რიგი ვ. მაიაკოვსკის ლექსებისა: „Ëåâû é ì àðø “ და სხვა).

თხრობით (Ï î âåñòâî âàòåëüí û é) ლექსის ფორმად საერთოდ მიჩნეულია პოემა. ახალ თხრობითი ლექსში-კი მხოლოდ თქმის კონსტრუქცია არის თხრობითი. უმთავრესად ამ-

1. აქ აღსანიშნავია შემდეგი: ლირიკის არტახები პოეზიას ზღუდავდენ შესაძლებლობათა გამოჩენის მხრივ, რის გამოც მრავალი თემატიური მასალა პოეზიისაგან რჩებოდა უპასუხოდ. თვითონ ლირიკოსებს კი მარტო ლირიკით არ შეეძლოთ თავიანთი კარიერის ამოწურვა და ისინი დღესაც ხშირად აფარებენ თავს სხვა ლიტერატურულ ჟანრებს (როგორც მაგ. ექსპრესსიონისტები — დრამატურგიას, სხვები — პროზას და ა. შ.).

გვარი პოემის კლასიფიკაციაში შედიოდა ეპიური (ფაბულარული), დესკრიპტული (საგნების, პეიზაჟების და სხვათა ამწერელი) და სხვა ფორმები (დიდაქტიური, დაქტილიური). დღეს თხრობითი ლექსი დგება, როგორც ლექსობრივი შენების ახალი ფორმა, საცა თხრობის მომარჯვებით და არა ფაბულარულ სიბრტყეებით და სიუჟეტის აშენებით შესაძლებელი ხდება სოციალურ, პოლიტიკურ და თვით პერსონალურ ყოფის შეტანაც პოეზიაში. ამის საუკეთესო ფაქტები რუსულ პოეზიაში არის ვ. მაიაკოვსკის: „Àì åðèêàí ñêèå ñòèõè“, — „Õî ðî ø î“ და ნ. ასეევის მრავალი ლექსები.

III

ქართული პოეზიის დღევანდელი ვითარება წარმოდგენილია შემდეგნაირი სახით:

ახალი ფორმების კანონიზაცია, რომელიც დაწყებულია რუსეთში და სხვაგან — ჩვენში იქმნება მემარცხენე მწერლების მიერ. სიმბოლისტური ლექსის ტრადიცია დღითი დღე კვდება. პათეტიურ ლირიკამ თავი შეაფარა პროლეტარულ პოეტებს, რომლებმაც უარყვეს მისი პირვანდელი სახის პრიმიტივიზმი ახალი ლექსის მშენებლობაში. დაცარიელებულ არეს ვერ ავსებენ ცალკეული პერსონები (გ. ტაბიძე და სხვები).

თხრობითი და აღწერითი ლექსის ტიპი ჩვენში შეჰქმნეს მემარცხენე მწერლებმა. ახალი პათეტიზმიც მათ მიერ არის შემოტანილი. კონკრეტული მაგალითები ყოველივე ამას უფრო ცხად ყოფენ. მანამდე კი მოკლე ეკსკურსი:

თხრობითი ლექსის საუკეთესო წარმომადგენელი რუსეთში იყო ლერმონტოვი. ჩვენში ამგვარი ლექსის ტიპი შემოდის მეცხრამეტე საუკუნეში, რომლის დამკანონებლად გვევლინებიან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვა. მაშინ ფაბულარულ სიბრტყეებით ადვილი ხდებოდა გადატანა პოეზიაში სოციალურ იდეების, გმირების მოქმედებების და სხვა დრამატიული კონფლიქტების. მხატვრული ასრულება კი უმთავრესად მიდიოდა დინჯი ეპიკისა და სტატიური მოტივების გამართვით (ბუნება, ადგილები, გმირების ხასიათი და სხვა). ასეა შესრულებული „კაკო ყაჩაღი“ — „აჩრდილი“ — „გამზრდელი“ — და სხვა პოემები. ლექსობრივობაში — კი ეს მანერა პირველად შექმნა ვაჟა-ფშაველამ, როგორც პოეტური თქმის ხერხი.

აღწერითი ლექსისა[1] და მიმართვითი ინტონაციის საუკეთესო წარმომადგენლები ჩვენში არიან: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, დღეს, განსხვავებით ი. გრიშაშვილი, რომელმაც — ერთის მხრივ თავისი პოეზიის ფორმალური საწყისების სათავე იპოვა ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანში.

მიმართვითი ინტონაცია თან სდევდა ალ. ჭავჭავაძეს. გრ. ორბელიანმა ამგვარ ტიპის (ლექსობრივი კონსტრუქციის) მაგალითებით ამოსწურა საკუთარი ორიგინალობა. „ლხინი“ — „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — „იარალის“ — შესრულებულია აღნიშნული მანერით.

მაგ. (ნაწყვეტების სახით).

„შენს წმინდა სახეს,
მშვენებით სავსეს,
სახიერებით გასხივებულსა“ („თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“).

---

1. აღწერითი ლექსის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქ სიტყვა („აღწერითი“ î ï è ñàòåëüí û é) მოცემულია გაფართოებულ სემანტიკით. აღწერითი ლექსი არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც რომელიმე ობიექტის აღწერის ჯამი. ოდა მიმართვითი ტონით წარმოადგენს აღწერითი ლექსის ტიპს. აქ ლაპარაკია აღწერილობითი თქმის მანერაზე. წინააღმდეგ მიმართვისა ან წარმოთქმითისა.

ან:

„ჩემო იარალი! ნეტავი, ოდეს
ლხინით ავსილნი ვსხდეთ ველსა წმიდას“ („იარალი“) — და სხვა.

ნიკ. ბარათაშვილმა თავის კლასიკურ ლექსში „მერანი“ — მოგვცა მიმართვითი ინტონაციის უდიდესი ექსპანსივა. ცხადყოფისათვის სტრიქონები:

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“.

სხვაგან:

„ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი.
დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი“ („შემოღამება მთაწმინდაზე“).

ყველა ზემოდ მოყვანილ ადგილებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებულ ობიექტისადმი მიმართვითი თქმა და მასთან ერთად ფსიქოლოგიური თუ პეიზაჟური აღწერა.

ამ პერიოდში იწერებოდა აგრეთვე ოდებიც.

პათეტიური ლექსი — როგორც ზემოდ აღვნიშნე — დამახასიათებელი იყო დემოკრატიულ პოეტებისათვის. ამ მხრივ საუკეთესო წარმომადგენლად გვევლინება ირ. ევდოშვილი.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით
ნუ შედრკება თქვენი გული“ და ა. შ.

პათეტიზმი ახალ პოეზიაში სდგება სრულიად ახალი კონსტრუქციით. ნაწილობრივ ეს მანერა შექმნეს კ. ლორთქიფანიძემ (პროლეტ. პოეტ.), ბ. აბულაძემ და ს. ჩიქოვანმა.

ს. ჩიქოვანის პოეზიის ფორმალური გზა ხასიათდება რამდენიმე პერიოდით. ჩვენ ვეხებით დღევანდელ მის ხაზს, რომელიც მიემართება თხრობითი და აღწერითი ლექსალობის მოცემის გზით.

აღწერითი მანერიდან აღსანიშნავია: „კავკასიიდან — ტაგანროგამდე“. „მოსკოვი“ და სხვა.

ამ ლექსების აღწერითი მანერის ცხადყოფისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

„თითქოს მიგალობს ლიანდაგზე გვალვის ბულბული —
ისე გავიგე მე ბორბლების ხშირი ბგერანი,
და სივრცეებზე უსირცხვილოთ დახარბებული
გადაშლილ მინდვრებს გადაკივის რკინის მერანი“.

ან:

„და ცვლილებაა ერთფეროვან პეიზაჟების“ — და ასე...

თხრობით ლექსში, საცა ხშირად იჭრება პრაქტიკული თქმა როგორც სტილისტიური მანერა — ემოციონალურ ლირიკას ეთიშება ყოველ დღიურობასთან დამოკიდებით, ამგვარი მეტყველების მაგალითები მრავლად იპოვება ს. ჩიქოვანის ლექსებში:

მაგ.:

„მომშორდი, თორემ სინიდისს ვფიცავ შემომელახები“.

„ან რას ამბობ, რას...
ცაკოკა არ მსურს გამიტოლდე
პოეტს მომღერალს“ („მყინვარი“).



კინო-ქრონიკიდან. რეჟ. მიხ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე,
ოპერატ. მიხ. კალატოზიშვილი



კინ. სურ. „სამანთან“. რეჟ. ლეო ესაკია, ასისტ. სიმ. დოლიძე, ოპერატ. პოზნანი

ტრაქტორით ბრძოლა კალიასთან (სურ. „სამანთან“). რეჟ. ლეო ესაკია, ასისტ. სიმ. დოლიძე, ოპერატ. პოზნანი

კალია და მუშაობის მომენტი (სურ. „სამანთან“). რეჟ. ლეო ესაკია, ასისტ. სიმ. დოლიძე, ოპერატ. პოზნანი

აქედან ცხადია: თხრობითი და აღწერითი ლექსი უფრო ეგუება, როგორც ლექსალური ფორმა თანამედროვე თემატიურ მასალას. ამავე დროს ამ ფორმით ასრულებული ლექსალური ფორმა — რადგანაც დამტევი არის ახალი მასალის — ის უფრო კარგათ პასუხობს დღევანდელ სოციალურ დაკვეთას. აქ ლექსის საზღვრები უახლოვდება ფელეტონს და საერთოდ შესაძლებელი ხდება ლექსის წმინდა თვითმიზნურ ესთეტიურ საზღვრებიდან დაძვრა.

თხრობითი მანერის საშუალებით ლექსალობაში შედის საბაასო მეტყველება, დღევანდელობაში შექმნილი სიტყვიერი მასალა და საერთოდ პრაქტიკული სიტყვიერი ლექსიკონი.

ამგვარ ლექსალობის ფორმალურ ხერხების შესახებ აქ მრავალი რამ შეიძლება ითქვას. აღვნიშნოთ მხოლოდ შედარებების ხერხი, რომელსაც ს. ჩიქოვანი ანვითარებს ახალი ხაზით.

სახე (Î áðàç) დამახასიათებელია ხალხური პოეზიის. სიმბოლისტურ ლირიკაში ის უკიდურესობამდეა აყვანილი. ახალ პოეზიაში შემოდის არა სახე, არამედ შედარება — (Ñðàâí åí èå, comparatio) უკანასკნელი პირველისაგან განირჩევა ფრაზის გაგრძელებით (პერიოდებით). სახე კი საყურადღებოა თავისი კონკრეტობით. პირველი დამახასიათებელია თხრობითი ლექსალობის, წინააღმდეგ ლირიკისა, სადაც მეფობს სახე და არის სავალდებულო შედარებისთვის.

მაგ. „როგორც პეპლები ლამპის შუშებზე გულს ღამეები ეხეთქებიან“ **(ს. ჩიქოვანი),** წინააღმდეგ „ჩემი საცოლე — ძვირფასი ქვა — მოდის ამალით“ **(ვ. გაფრინდაშვილი).**

აქ მოყვანილ ჩიქოვანის ციტატაში — ნაჩვენებია მეტაფორის თხრობითი გაშლა.

ხშირად ჩიქოვანის ლექსებში შედარებები შესრულებულია ოქსიუმორონის პრინციპით. აღსანიშნავია გზა ლექსის ნივთობრივ ხასიათის გამოჩენისა: შედარებების მატერიალიზაციის.

თხრობითი ფაქტები მოგვცა დ. გაჩეჩილაძემ. მაგ. „ზელიმხანი“, რომლის ლექსობრივობა აღწერითია. მაგრამ „ზელიმხანში“ თვით დაწყებაა აღსანიშნავი, რომელიც აღწერითი ლექსის საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს.

„როცა მყინვარზე ღრუბელი კრიახებს,
როცა ვარსკვლავები ყურავენ ცაშივე,
სივრციდან ამოჰქრის ორბი გამჭრიახი
და ცაზე ფართხალით მიცურავს გაშლილი.
მიცურავს მარდული მთებზე და ბარდაბარ,
ფრთებზე ეხვევიან ელვები გარდაგარ,
ლაჟვარდი გატყდება მოლურჯო წყალივით
და ციდან მოისმის ვარსკვლავთა ნკარუნი“.

„ოქტომბრის დღეებ“-ში თხრობითი და აღწერითი ლექსალობა ცვლიან ერთმანეთს.

თანხმობითი ლექსის ნიმუში არის ნ. ჩაჩავას „ყაჩაღები ქალაქს გადასცდნენ“.

ამ შენიშვნებში ჩვენ გვინდოდა მოგვეცა რამოდენიმე შტრიხი ახალი ლექსობრივობის — შემდეგ აღგვენიშნა, თუ რამდენათ ეგუება ეს ახალ მოთხოვნილებებს საზოგადოების ისე მასალის თვისებას. რასაკვირველია, ამის მოცემა აქ ვერ მოხერხდებოდა მაგრამ შემდეგში ჩვენ ვეცდებით, ეს საკითხები უფრო გავარკვიოთ.

ა. გაწერელია

კინო-მასალის ჩვენების მეთოდები

ძველი პასეისტური დრომოჭმული ხელოვნება გადამწყვეტ იერიშებით მიდის რევოლიუციონურ ხელოვნების წინააღმდეგ. ეს გაახალგაზრდავებული მიმართულებანი წრიპინა ხმით ყვირიან თავიანთი პრიორიტეტის შესახებ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ხელოვნების როლი ჩვენს საზოგადოებრივ მშენებლობაში. კინო ფრონტს ეს მხატვრული მიმართება ეწვია ძველი კლასიკური თეატრიდან, მხატვრობიდან და თავი შეაფარეს წარმოების მამებს.

მეშჩანური გემოვნება კიდევ ნახულობს თავშესაფარს ჩვენს საზოგადოებრიობაში და ჩვენი ყოფის რაციონალიზაციის იდეას ხვდება წინააღმდეგობანი ხელოვნების ქურუმების მხრით.

კინემატოგრაფია — ტეხნიკის ხელოვნებაა. სწორეთ აქ შეიძლება რაციონალიზაცია განხორციელებულ იქნას მთელი 100 პროცენტით. არა მარტო გადაღების და ლაბორატორიული სინამდვილის მხრივ არამედ მხატვრული წარმოების ბაზაზედაც.

რევოლიუციონური კინემატოგრაფიის ამოცანაა მასალის დამუშავების მეთოდოლოგიის შეჰქმნა, რომელიც გამიზნული იქნება ემოციონალურ და ორგანიზაციულ ხელოვნებათ.

საჭიროა გაკეთდეს სურათი, რომელიც დააკმაყოფილებს სოციალურ დაკვეთას, მაგრამ ამისათვის არ კმარა სოციოლოგიის და სიუჟეტის დალაგების ხერხების ცოდნა. ამისათვის აუცილებელია კინოს წმინდა ტეხნიკური ბაზა, სინათლე, ოპტიკა და მოძრაობა გამოყენებულ იქნას, როგორც სტილისტიური ხერხი, რაც ორგანიულათ დაკავშირებულია სიუჟეტის წყობასთან.

კინოს მასალას წარმოადგენს ჩვენს გარშემო არსებულ ფიზიკურ სამყაროს ნივთები. ამ ნივთების კულტურა ჩვენ გვიკარნახებს დამუშავების შესაფერ ხერხს, სტილს.

გამოსახულების გადატანას ეკრანზე საფუძვლად აქვს გეომეტრიული ოპტიკა და კადრის სივრცობრივი ფორმების კომპოზიციის ხერხები, რაც უნდა გამოდიოდენ წიროვან (ხაზოვან) პერსპექტივის თვისებიდან და მასალის პლასტიურ თავისებურობიდან, რომელსაც იძლევა ოპტიკა.

ჩვენ განვიხილავთ ორ ტეხნიკურ მხარეს, რომელსაც არ ექცევა სათანადო ყურადღება. ეს არის „სინათლე“ და სივრცობრივი გამოხატვანის აგება, რაც აქამდე მცირე გამონაკლისის გარდა არ იყო გამოყენებული, როგორც ხელოვნების ხერხები.

ხედვითი შთაბეჭდილება ძლიერდება, თუ კი სურათზე სჭარბობს ე. წ. ფსევდო სტერეოსკოპია, ე. ი. სურათი ორგანზომილებიდან უახლოვდება სამ განზომილებას, რის მიღწევაც ჩვენი კინემატოგრაფიის ხანაში შესაძლებელია მასალის სინათლით სათანადო დამუშავებით. მაგ. ზოგი შტრიხების თვალსაჩინოდ აღნიშვნა სინათლით, რაც იძლევა რელიოფობას და ფსევდო სტერეოსკოპიულ შთაბეჭდილებას.

ამერიკული სტანდარტული განათება უმთავრესად ამ ფაქტორებიდან გამომდინარეობს. აქ სინათლე მოცემულია ნივთის უფრო მეტი პლასტიურობის და გამომეტყველების მისაღებათ და არა მის ესთეტიზაციისათვის.

კინემატოგრაფისტების დიდი ნაწილი, რომელნიც მოსული არიან მხატვრობიდან, ცდილობენ სინათლის ხერხების გაესტეტიურებას და არა როგორც სტილისტიურ ხერხის აღნაგობას.

სინათლის გამოყენება, როგორც ხელოვნების ხერხის, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულებებით:

1. სინათლე, როგორც საშუალება საჭირო ხარისხის ნეგატივის მისაღებად.
2. სინათლე ფსევდო სტერეოსკოპიის მისაღწევ საშუალებად.
3. სინათლე, გამოყენებული შთაბეჭდილების იარაღათ, ე. ი. ხაზგასმით აღნიშვნა, სიუჟეტის დალაგებისათვის საჭირო მოქმედების.

უდიდეს გამომეტყველების ხერხების მაძიებელი კინემატოგრაფისტები („გამომეტყველება“ დელიუკის მიხედვით „ფოტოგენია“). კადრის სინათლის კომპოზიციაში ცდილობენ ასახონ ის ობიექტები, რომელნიც საშუალოდ „მუშაობენ“.

ტეხნიკის სტილისტიურ ხერხათ გადაქცევის მისწრაფებამ მიგვიყვანა ობიექტის კონსტრუქციამდე, რომელიც ოპტიურად ხაზგასმით აღნიშნავს იმ საგნებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობანი აქვს სიუჟეტის წყობაში.

ყველა სტილისტიურ ხერხებს თავის ძირითად მიზნათ აქვს მასალის დამუშავება ემოციონალურ ზეგავლენისათვის.

ხელოვნების ხერხი ეს არის მასალის გამოყვანა შეგრძნობის ავტომატიურობიდან.

კადრის ხედვითი კუთხის შთაბეჭდილებისათვის შეუძლებელია იმ კუთხით და დონით გადაღება, რომელიც გაავტომატიურებულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებით, ე. ი. თვალების დონით. „ხედვის წერტის“ მონახვა აუცილებელია ისეთი ხედვითი კუთხით „რაკურსით“, სადაც სივრცობრივ ფორმებით, მაქსიმალურათ გამოხატული იქნება მასალის გამომეტყველება, რომელიც აგრეთვე გაძლიერებული იქნება განათებით.

რაკურსმა არ უნდა გააორგინალოს ან გაალამაზოს ნივთები. ის უნდა იყოს, როგორც სტილისტიური ხერხი, რომელიც აზრიანათ იქნება გამიზნული სიუჟეტის წყობასთან დაკავშირებით.

პუდოვკინის გადაღებებში, თვითპყრობელობის წარმომადგენლები გადაღებულნი თვალის ხედვის დონით ვერ ახდენენ მაყურებელზე ემოციონალურ ზეგავლენას. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მან ნახა მასალისათვის თემატიური სახე ყველაზე ცხად სივრცობრივ ფორმებში გამოსახულ (რაკურსებში) თვითმპყრობელთა, პუდოვკინმა მისცა მასალას საჭირო სტილისტიური და აზრიანი გამომეტყველება.

უნიჭობათ უნდა ჩაითვალოს კადრის „კომპანოვკა“, მაგ. გროსის მიხედვით. კინემატოგრაფიას აქვს თავის სპეციფიური სტილი, ჩვენების ხერხი და სხ. და მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელთაც ეს არ გაეგებათ კმაყოფილდებიან „დიდი“ გროსსების ავტორიტეტით.

ეიზენშტეინის იდეოლოგია ეყრდნობა იმ მასალას, რომლითაც ის მუშაობს (î ï åðèðóåò), აგრეთვე ნივთების ჩვენების კულტურა აქედანვეა აღებული.

რევოლიუციონურ საზოგადოებრივობის ცოდნა და ამავე საზოგადოებიდან მასალის აღება საშუალებას მოგვცემს საბჭოთა კინემატოგრაფიის შესაქმნელად.

მიხეილ კალატოზიშვილი

თეთრი დღეები

მესამე აქტი

პირველი ეპიზოდი

(მყუდრო, დაყურსული ღამე. ზღვის ნაპირი. ზღვა შრიალებს ნაპირზე. პროჟექტორები სერავენ სიბნელეს. შორს განათებული საპატიმრო მოსჩანს და საპატიმროს იქით შუქურა: ჯერ წითლად ნათდება, მერე ლურჯად და შემდეგ თეთრად. დუმილი. მოისმის საბარგულ ავტომობილის ყრუ გუგუნი. გუგუნი თანდათან ახლოვდება და სცენაზე ნახევრად შემოდის ბრეზენტ წაფარებული საბარგული ფერადი ჯარისკაცებით. საბარგულის აცეტილენის სინათლე ორ ზოლად ანათებს სცენას. ჯარისკაცები ჩამოდიან. ხმაური).

ზედამხედველი. აბა დავიწყოთ!.. (ავტომობილში ფათურობენ. გაისმის ვიღაცის კვნესა. ბრეზენტს გადახდიან. ზედამხედველი ავტომობილის სინათლესთან მივა, პორტფელიდან ქაღალდებს

იღებს და კითხულობს). ბაკურაძე!.. ჩამოიყვანეთ ის დედაკაცი!.. (გამოჰყავთ შავებში ჩაცმული ჩადრიანი ქალი — სულიას დედა).

სულია. ნენა!..

სულიას დედა. შვილო!.. შვილო!..

მტვირთავი მუშა. (ავტომობილში) გაწყნარდი, ბიძია, გაწყნარდი, სულია!.. აზრს შეურიგდი, ბიძია, შეურიგდი!.. უკეთესია... გაგიადვილდება!..

სულია. ნენა!.. სად ხარ?.. მეშინია, ნენა!..

ზედამხედველი. ხმა ჩაიწყვიტე, შე ძაღლის ლეკვო!..

სულიას დედა. (ხელებს ცად აღაპყრობს) ვალლა!..

ზედამხედველი. აბა, დედაკაცო, უკანასკნელი პირობა, სთქვი ყველაფერი და შენი შვილი თავისუფალი იქნება.

სულიას დედა. ნენა, რა ვთქვა, რომ არაფერი ვიცი!..

ზედამხედველი. იცი, ეშმაკის კერძო!..

სულიას დედა. არ ვიცი!.. არ ვიცი!.. არ ვიცი!..

ზედამხედველი. კარგი!.. კეთილი!.. ჩამოიყვანეთ ის ბიჭი!..

(ჩამოიყვანენ. დედასთან მიჰყავთ).

სულია — მე ლიბანში ვიყავი... ფორთოხალზე... არაფერი ვიცი...

ზედამხედველი — ხმა ჩაიწყვიტე, შე წუპაკო!.. ხუთ წუთს გაძლევთ ვადას... კარგად იფიქრეთ... გესმის, დედაკაცო?.. ჩამოიყვანეთ ყველა (ჩამოჰყავთ ტუსაღები. ხელები გაკრული აქვთ). შენი გვარი?

მტვირთავი. ინნკირველი.

ზედამხედველი. (სწერს) სახელი?

მტვირთავი. ესტატე.

ზედამხედველი. კეთილი. ზიარება ხომ არ გინდა?

მტვირთავი. არა.

ზედამხედველი. მაშ წაიყვანეთ.

მტვირთავი. (ახალგაზრდა მუშას) იუდა!.. გამცემო!.. (მიჰყავთ. ისმის ფეხქვეშ ქვიშის ხრაშუნი. ცოტა ხანს შემდეგ სროლა. დუმილი).

ზედამხედველი. გათავდა!.. შენი გვარი?

1-ლი მუშა. ანდღულაძე.

ზედამხედველი. სახელი?

1-ლი მუშა. იოსებ.

ზედამხედველი. სათქმელი ხომ არა გაქვს რა?.. თუ დაასახელებთ ვინმეს, გაპატიებთ.

1-ლი მუშა. (ათრთოლებული მივა აცეტილენის სინათლესთან და თვალებზე ხელს აიფარებს, მერე შემობრუნდება, ტორტმანით სულიას მიუახლოვდება) შვიდობით, პატარავ, მე შენოდენა შვილი მყავს!.. მთლად შენხელა... (პაუზა) წამიყვანეთ!..

ზედამხედველი. (გამოძახილივით) წაიყვანეთ!.. (მიჰყავთ. ხვრეტენ). ახლა თქვენი ჯერია. დედაკაცო, სთქვი, ვინ არიან მოღალატენი და შვილს გაპატიებთ!

სულიას დედა. (გაკუშტებული) არ ვიცი!.. ჩუმათაი იყავი, ნენა, ჩუმათაი... გოუყუჩდი, შვილი, რომ გესროლონ, გოუყუჩდი... თვალები დაჭუტე, ნენა, გენაცვალე, თვალები დაჭუტე და გათავდება... მეც შენთან ვიქნები... ნუ გეშინია, შვილო... სისხლს ეიღებენ... თვალები დაჭუტე, ნენა!.. თვალები... თვალები, შვილო, შენი თვალები... ნენა, ჩემი სიკვდილი... (ჰკოცნის. გამოთხოვების სცენა. უეცრად შორიდან ავტომობილის ხმა მოისმის).

ზედამხედველი. ეს ვინ უნდა იყოს? ის სულელი ამერიკელი ქალი ხომ არ მოსულა? (შემორბის შიკრიკი პაკეტით).

შიკრიკი. გენერალმა გამოგიგზავნათ. წაიკითხეთ და დასახვრეტებს გამოუცხადეთ!..

ზედამხედველი. ორი-ღა დარჩა, დანაჩენი დავხარჯეთ!.. (თავისთვის კითხულობს) აჰა!.. (ხმამაღლა კითხულობს). განიხილა რა ხელმეორედ დიდ ბრიტანეთის ძლევამოსილ არმიის საველე სასამართლომ საქმე სამხედრო მატარებლის აფეთქებისა, მუშა თოლიგაურის დაკითხვის თანახმად გამოარკვია, რომ მუშა იოსებ ანდღულაძე, თვით მათე თოლიგაური და მენავე სულეიმან ბაკურაძე თავისი ამ სამი დღის წინათ საველე სასამართლოს დადგენილების თანახმად დახვრეტილ მამით უდანაშაულოდ სცნო, ამიტომ...

სულიას დედა. შვილო!.. შვილო!.. სულიკო!..

ზედამხედველი. გააჩუმეთ ეგ დედაკაცი!.. ამიტომ სასამართლო ადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მატარებლის აფეთქებაში დანაშაული არ მიუძღვისთ, განაჩენი მაინც სისრულეში იქმნას მოყვანილი, რადგან დიდ ბრიტანეთის სასამართლო უცოდველია და მას შეცდომის დაშვება არ შეუძლია. ხოლო მუშა მათე თოლიგაური, მისი ერთგულების გამო, რითაც მან თავისი პირუთვნელი ჩვენებით დიდი სამსახური გაუწია ინნკირველის ბოროტმოქმედების გამომჟღავნებას, განთავისუფლებულ იქმნას დაუყოვნებლივ!

ახალგაზდა მუშა. მე?.. მე?..

ზედამხედველი. (მდაბალი ირონიული სალამით) თქვენ თავისუფალ ხართ, მიბრძანდით!..

ახალგაზდა მუშა. მე?.. მე?.. ხალხნო!.. არ მინდა... არ მინდა... (მიდის ტორტმანით, თავი ხელებში აქვს ჩარგული).

სულია. (ფეხებში უვარდება ზედამხედველს) აფიცერო!.. მაპატიე, აფიცერო!..

მე უბრალო ვარ, აფიცერო, მე ცამდის მართალი ვარ, ცამდის, ცათამდის, ცაა... ცავ... მე ლიბანაში ვიყავი ფორთოხალზე... რაზე მკლავთ... რას მერჩით... ნენა... შეეხვეწე, ნენა... მაპატიებენ... შეეხვეწე და მაპატიებენ... ჩემი ნენაი, ჩემი ნენაი...

ზედამხედველი. სთქვით, ვინ არიან მოღალატენი და გაპატიებთ!..

სულიას დედა. რომ არ ვიცი რა ვქნა, ბეჩა...

ზედამხედველი. მაშ კარგი... მომწყინდა ეს კომედია!.. წაიყვანეთ...

სულია. (მიჰყავთ. იბრძვის) ნენა... ჩემო ნენა... (სტირის) ნენა... ნენა... რას მიშობიენ, ნენა, დევირჩვი, დევირჩვი... ნენა...

სულიას დედა. (ავტომობილის სინათლეზე ჩადრჩამოფარებული დგას გარინდებული და უაზროდ ბუტბუტობს). არაფერია, სულიკო!.. დეიძინე, შენ შემოგევლო შენი ნენაი, თვალები დაჭუტე, ნენა, თვალები და დეგეძინება.

სულია. (თანდათან შორს ისმის მისი ხმა). ნენა... ნენა... ქუდი... ქუდი დამრჩა მაქანა... ქუდი... გამიშვით... გამიშვით, თქვე ურჯულოებო... მომაძვრეთ მაგი პირსახოცი... დევირჩვი... არ მინდა... ჩემი თვალით მინდა უყურო... ჩემი თვალით მაყურებიეთ...

ზედამხედველი. შეჩერდით! (სიწყნარე. სულიას ნიათგამოლეული კვნესა ისმის მხოლოდ). უკანასკნელად გეკითხები, ვინ არიან კიდევ დამნაშავენი?.. თუ გასცემ, შვილს გაპატიებთ... ხომ ნახე, ის მუშა რომ გავანთავისუფლეთ ერთგულებისთვის?..

სულიას დედა. (უაზროდ, არ ესმის). დეიძინე, ნენა, დეიძინე.. თვალები დაჭუტე და დეგეძინება... მამაშენიც, შვილო... მამაშენიც... სისხლი... სისხლს ეიღებენ...

ზედამხედველი. მაშ, კარგი!.. განაგრძეთ!.. (ისევ ისმის შორეული ხმაური და ჯარისკაცების გინება).

სულიას ხმა. ნენა... ქუდი, ჩემი ქუდი!.. ქუდი!.. (სროლა და ხმა მიწყდება).

ზედამხედველი. გათავდა (დუმილი). შენ თავისუფალ ხარ, დედაკაცო!.. (ერთხანს სიჩუმეა. ჯარისკაცები ბრუნდებიან. აცეტილენის სინათლეზე სულიას დედა სისხლში დასვრილ ზანგს მოჰკრავს თვალს და უკან მოაწყდება).

სულიას დედა. სისხლი... ჩემი შვილის სისხლი... შვილო... შვილო!.. (კივილით მიწაზე დაეცემა და ნაცემ ძაღლივით კნავის, კნავილი ამუშავებულ მოტორის გუგუნით იფარება. ჯარისკაცები ავტომობილში სხდებიან).

მეორე ეპიზოდი

ისევ ის სცენა. გათენების ხანია. ჯერ კიდევ ბინდებია

მისს ანტონია. ახ, რა ბნელა!..

ჯეკ. შეხედეთ, მისს, რა ლამაზად თენდება... შეხედეთ ცას, რა წარმტაცია!..

მისს ანტონია. როგორ მომატყუა... როგორ მომატყუა იმ ქართველმა გენერალმა... დამაცადოს, მე იმას ვაჩვენებ როგორ უნდა ამერიკელ კეთილშობილ ქალის მოტყუება...

ჯეკ. მართალია, მისს, ის გენერალი! ასეთი სანახაობა ქალებისთვის არ არის!..

მისს ანტონია. ახ, ღმერთო, როგორ მიფანცქალებს გული!.. მაშ აქ ხვრეტენ, ხომ, აქ, არა?.. აი ამ ადგილას, ახ ღმერთო, რა საინტერესოა!..

ჯეკ. ფრთხილად, მისს, აქ სისხლი უნდა იყოს, ფეხი არ გაისვაროთ!..

მისს ანტონია. სისხლი?.. როგორ, სისხლი?.. მაშ აქ დახვრიტეს!.. ერთი საათით ადრე რომ წამოვსულიყავ მოუსწრებდი!.. გამიჭირა საქმე იმ ლეიტენანტმა, ვერ მოვიცილე და აი... დამაგვიანდა...

ჯეკ. რა სამარისებური დუმილია!..

მისს ანტონია. შევცდი რომ წამოველ. იქ, პავილიონში, იმდენი მხიარულება იყო... მეგონა რამეს ვნახავდი საუცხოოს... მინდოდა კეტისთვის მიმეწერა... აქ კი ყველაფერი ისეა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... საწყალი მუშა... რა მორცხვი იყო, რა ახალგაზდა... ის ისე მადლიერად მიცქეროდა წუხელ თვალებში... ეგონა, აპატიებდენ... რა იცოდა... რა იცოდა... ახ რატომ არ მაყურებინეთ... ვინ იცის კიდევ როდის იქნება დახვრეტა... მე ისე მინდოდა...

ჯეკ. ეს ღვთის გმობაა, მისს!.. აქ ადამიანები დახოცეს... სიკვდილი ცირკი არ არის...

მისს ანტონია. როგორ?.. როგორ მიბედავთ თქვენ მაგეთ ლაპარაკს?.. (მიწაზე ფეხს ჟინიანად დაარტყამს, ცხარობს, მერე უეცრად სიცილს დაიწყებს). ახ, რა სენტიმენტალური ადამიანი ყოფილხართ თქვენ, მისტერ ჯეკ!.. თქვენ მისიონერი უნდა ყოფილიყავით და არა სამხედრო პირი!..

ჯეკ. კმარა, მისს!..

მისს ანტონია. (უეცრად იკივლებს). აი!.. აი!.. ეს რა არის... ფეხი რაღაცას წავკარი... მკვდარია, მკვდარი!..

ჯეკ. (იხრება. შემთხვევით სარგებლობს და ფეხზე ხელს უსვამს, თან თვალებში უცქერის, ხელში ანთებული ჯიბის ელექტრო-ფანარი უჭირავს. სულიას ქუდს იღებს). ეს ქუდია, მისს!..

მისს ანტონია. ქუდი?.. (გამოართმევს, მიზეზიანად ათვალიერებს ელექტრო ფანარის სინათლეზე). ფუჰ!.. რა საზიზღარი სუნი აქვს... ოფლისა და ფორთოხლის... (ზღვაში გადააგდებს. ითენა).

ჯეკ. ხედავთ, მისს, თოლიები?..

მისს ანტონია. ვხედავ!.. ახ, მე შემცივდა, მისტერ!.. (კანკალებს).

ჯეკ. მომეკარით და გათბებით!.. (ხელს ჯერ გაუბედავად ხვევს, მერე მაგრა მიიკრავს).

მისს ანტონია. მისტერ!.. ახ, მისტერ!..

ჯეკ. მისს ანტონია, მე მეტი არ შემიძლია, თქვენ ჩემი უნდა იყოთ!..

მისს ანტონია. ციც!.. მისტერ!.. (ჯეკი უფრო გაბედულად იკრავს მკერდში). ახ, მისტერ... მისტერ!.. რას სჩადიხართ, ახ... ჯეკ!.. ჯეკ!.. (კოცნა. ალერსი. ისმის ავტომობილის საყვირის დაჟინებული ძახილი).

მისს ანტონია. გესმის, ჯეკ?.. მამა გვეძახის!..

ჯეკ. (ყურადღებას არ აქცევს. ჰკოცნის. თავდავიწყება). ტონი!.. ჩემო ტონი!..

მისს ანტონია. ჯეკ!.. ახ, ჯეკ!.. ჯეკ!.. (შემოდის მისტერ ხოდლეი).

მისტერ ხოდლეი. (ეძახის). ტონი!.. ტონი!.. (თვალს მოჰკრავს მათ ალერსს, დაიბნევა).

მისს ანტონია. ახ, მამა!..

მისტერ ხოდლეი. უკაცრავად... მე შემთხვევით...

მისს ანტონია. დაგვლოცე, მამა!.. ჯეკი ჩემი საქმროა!.. მე ისე მომწყინდა, მამა, ისე, რომ უნდა გავთხოვდე!..

მისტერ ხოდლეი. კეთილი, შვილო, კეთილი!.. (ხელს ასწევს, უნდა დალოცოს, მაგრამ ამ დროს ისე, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, სულიას დედა გამოჩნდება: ის იქვე ეგდო მიწაზე დამხობილი. მთლად შავებშია, შავი ჩადრით. მისტერ ხოდლეი, მისს ანტონია და ჯეკი გაშტერებული უცქერიან).

სულიას დედა. ჩშშ... ჩშშ... არ გააღვიძოთ... აქანა ჩემი სულიკოს ძინავს...

(მუნჯი სცენა)

დემნა შენგელაია

ურთიერთობა

სოფელში თოვლი ლხვებოდა მზეზე და მზის პირდაპირ ისხდენ ყვავები და ნისკარტით ტანს იკრტენდენ.

აჭრელებულ თოვლს დაელტო ჩამომხმარი ხეები, ღობეები, ყავრის სახურავები. სახურავიდან ამოდიოდა ბოლი.

სახლში ენთო ბუხარი.

— ვკვდები ერემია!..

ერემია კალათას წნავდა, ბებერ წარბებს უსიტყვოდ ჭმუხნავდა და ისევ წნავდა კალათას. ეს ქმარი — ხოლო ავადმყოფი დიასახლისი შორიდან გულდაწყვეტით მისჩერებოდა ბუხარს და განმეორებით კვნესოდა:

— ერემია ვკვდები...

— ვითომ მარიამ? — ეჭვდებოდა ბერიკაცი და გონებაში ნატრობდა:

„აი, ღმერთო! მართლა, კარგია მარიამი მოკვდებოდეს; მერე სოფელშიც თამამად გახვალ, სოფელიც თვალში შეგხედავს, თუმცა სოფელი უმადურია და იმდენად არ ღირს, რომ მეუღლე მოიძულო, ჰო, რაც არ იყოს, მეუღლეა! მაგრამ ამას რა მოჰკლავს, ჩემო ბიძია? თვალთმაქცობს“.

ერემიამ გაჰხედა ცოლს: მას თვალები მოჰდუნებოდა და დაეხუჭა, გაფითრებულიყო, მგონი, არ თვალთმაქცობდა.

— ვკვდები ერემია. სუსტი ხმით დაიძახა ისევ მარიამმა და თვალი არ გაუხელია.

ერემია შეკრთა, უნდოდა კვლავ ეჭვი გამოეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო, კრთომამ სძლია, თანაც საკუთარი ხმის გაგონება მოუნდა და დაიწყო:

— ვითომ... — მაგრამ ვერ დაასრულა, რადგან სიტყვა „ვითომ“ უფრო ჰგავდა ძახილს: ერემია, ერემიაო!

ბერიკაცმა ჩაახველა და გაჩუმდა.

შემოვიდა სანდალა, ბიჭი ფეხებ დათხუპნული: ჯარისკაცული ფარაჯა, მიხვრა-მოხვრა ჯარისკაცული, ოდნავ ტლანქი, ოდნავ თავ-აგდებული და დამცინავი. სანდალამ ხელები ბუხარს მიუქცია:

— დედა როგორ არის?

მამამ შეხედა ასე: რა მოჰკლავს!..

შვილმა განჩით დახედა მამის კერპად მოდრეკილ ზურგს:

„არც შენ ხარ კარგი დაჭედილი, ეჰ-ჰე!“ — თავისთვის დაასკვნა და ღონიერად ამოისუნთქა სანდალამ.

ერემია თითქო გართული იყო მუშაობაში, მაგრამ გულისყური ავადმყოფისაკენ მიეპყრო, უთუოდ სიჩუმეც აწუხებდა და ხშირად, როცა ავადმყოფი გვერდს იცვლიდა, ერემია ყურს უგდებდა სულგანაბული, მუშაობას თავს ანებებდა და მის ხელში შეშინებულივით თრთოდა ლაფანის წნელი.

— ეშენია, მაგრამ ნეტავი რისი? თვითონ ხომ არ კვდება? — ამგვარად სანდალა ჯავრობდა.

მეორე დღეს ისევ დნებოდა თოვლი; ჩამომხმარ ხეებზე ისხდენ ყვავები, ერემია მუშაობდა, მაგრამ მარიამი მეორე დღეს არ იწვა.

ცისკარზე ადგა, ჯიუტი თავი მაგრად შეიკრა და ცდილობდა არ ეკვნესა.

„კუდიანია ეს დედაკაცი, კუდიანი. გუშინ კვდებოდა...“

ეხლა მარიამი ბუხართან ზის და ნახევართვალით იმზირება; მისი ნახევარი თვალი ყვითელია და ყვითელი თვალით ხედავს — რას ფიქრობს თავისი მეუღლე? ერემია დაიბნა:

— გუშინ კვდებოდი და... — საყვედურით დაიწყო ერემიამ. მარიამმა მკაცრად მიახალა:

— დღეს ძალიან კარგად ვარ!

ერემიას ცხვირზე, შუბლზე, ღაწვებზე სხვადასხვა ფერმა დაურბინა, აღელდა.

— მეც ვიცი, რომ... — დაიწყო ერემიამ გულმტკივნელად, მაგრამ მოულოდნელად დაასლოკინა. სიტყვა გაწყდა: „რა დროს ეს იყო!“

მარიამს თითქო გაეღიმა, მაგრამ ნამდვილად? ვინ იცის!

ერემიამ სული დაითქვა და როცა დაიწყო ხელმეორედ:

— მეც ვიცი, რომ — ისევ დაასლოკინა. კაცი გაშრა, დაიბნა. მერე კვლავ დაასლოკინა და ერემიამ უმწეოდ მიმოიხედა. მარიამი სდუმდა ბოროტი დუმილით.

ერემიას ნესტოებზე მწვანე ძარღვები ემჩნეოდა; ძარღვები უფრო გაუმწვანდა; ტუჩები და ლოყები დიდ ბავშვივით დაუწითლდა; ასლოკინებს და ასლოკინებს.

— წყალი დალიე, წყალი!

ერემიამ იკითხა:

— თუ არ მწყურია?

მარიამმა იკითხა:

— თუ რომ ლაპარაკი გნებავს? — მაშინ ერემიამ წყალი დალია, მაგრამ სლოკინი არ შეუწყდა. მუშაობს, ასლოკინებს და ფიქრობს:

„ხან კატად იქცევა და ხან მგლად, კუდიანია, ჩემო ბიძია! ჩემი ოჯახობაა, მაგრამ მართალი უნდა ვთქვა. ღამით, ქვეყნიერებას როცა სძინავს, ეს ქალბატონი მოაჯდება მგელს და დაძრწის ხან იალბუზზე და ხან მყინავარზე, ხან აღმა, ხან დაღმა! რას აკეთებს? ქმარი ვარ, მარა არ ვიცი მე, რას აკეთებს.

ერთხელ განთიადზე მეზობლის დედაკაცი ძროხას წველავდა. მივიდა თურმე უცნაური ფერის კატა და რძეს ეცა. დედაკაცი გაოცდა: ასეთი ფერის კატა, ასე უტიფრად მივარდნოდეს რძეს — არ ენახა. კატა გადენა — კატა რძეს არ შორდება. დაიჭირა კატა დედაკაცმა და ცხვირში და ბაგეებში მუშტი ჩაარტყა; ისეთი ხმით დაიკნავლა მაშინ კატამ, რომ დედაკაცს თურმე ხელათვე ერემიას მეუღლე მოაგონდა და სწორედ, სამ დღეს მარიამი ცხვირ-პირ-ახვეული დადიოდა და დედაკაცებს პირს არიდებდა.

ყველამ იცის ეს!“

ერემიას ასლოკინებს.

„და რამდენი ასეთი ამბავი: გულხარბია მეტის-მეტად, თუ რამეს თვალი ჰკრა... ხარი წააქცია ერთხელ; მაგრამ ვინ რას გაუბედავდა! სამაგიეროდ ერემია ისჯება. სოფელი მურდალია თორემ: სთქვით: ერემიამ ვის რა დაგიშავათ? წაგართვათ რამე? შეგიჭამათ? მაშ სალამს რატომ ამადლით!“

გაათავა კაცი სლოკინმა! არც წამდაუწუმ წყალის სმა შეიძლება. შველოდეს მაინც!

დღე გატყდა — იმდენი დრო გავიდა და მარიამს ხმა არ ამოუღია; ზის მხრებ ამოწეული, თითქო სახე ჰქონდეს გამოთლილი ქვისა და არ იმჩნევს, მის გვერდით კაცს ასლოკინებს თუ არ ასლოკინებს.

ერემია იტანჯება: რა დროს მუშაობაა! კალათი მიაგდო. შემკრთალ თვალებს ატრიალებს და უცდის, როდის დაასლოკინებს — მაშინ კი, მუდარით შეჰყურებს კერპივით დადუმებულ მეუღლეს, მერე სასოწარკვეთილებით ეთანხმება თავის თავს, რომ ასე უცებ ძალიან ავად შეიქნა, რაღაც უბედურება მოევლინა, რომელიც არასოდეს არ შეწყდება, რომელიც მისი დასჯაა და მის სიცოცხლეს ემტერება. დაღამდა.

ერემია დაწვა. სტკივოდა გულ-ბოყვი, თავიც სტკივოდა, ერემიას ყველაფერი სტკივოდა, მაგრამ უბედურებას არ უჩანდა ბოლო.

სანდალა ბრუნდებოდა ნადირობიდან.

ტყვია-წამალი დალეოდა, მაგრამ ვერაფერი მოეკლა და ხელცარიელ მონადირეს დაცინვით მოსდევდა მისივე თოფისა და გრძელი ხანჯლის ლანდი. მალე მონადირეს მოეწია ღამე! სოფელი იყო შორ მანძილზე, ფეხქვეშ არ სჩანდა თოვლი და შორს, უკან სიბნელეში ჩაინთქა ტყე.

უეცრად ტყეში მგელმა იყმუვლა; უეცრად მთელმა ხროვამ ერთად იყმუვლა და ტყემ გააბა ღრიანცელი.

— შესდეგ, სანდალა, შეშინდი? — უნებურად გაქცეულმა თავი გაიმხნევა და ზედმეტად დინჯად იწყო სვლა, გული კი ჩქარ-ჩქარა უძგერდა.

— ნუთუ მხდალი ვარ!

ისევ შესდგა და ნელა გააბიჯა. არც შეუმჩნევია, ხანჯალზე როგორ გაივლო ხელი. ღრიანცელი მატულობდა. მოშიებული მგლები ჰყმუოდენ და დასაკბენად მოსდევდენ თავისივე ყმუილს.

— სანდალას მოსდევენ, სანდალას! — ერთბაშად მუხლები გაიმართა და ყველაფერი გაიქცა; თვალი წინ უსწრებს, გული, მხრები, ხელები, ყველაფერი გარბის: ყველა თავისთვის გარბის: არაფერი რჩება უკან, მაგრამ ზურგი, საბრალო ზურგი...

ხანჯალი იშიშვლა. შემდეგ ხანჯალი კბილებით დაიჭირა: ხე იდგა იქვე და ხეს მიაწყდა. მგლებიც ხეს მოაწყდენ. ერთმანეთში ირევიან, ერთმანეთს უღრენენ.

ხეზე ასულ სანდალას სახსრები უცახცახებდა და თავზარდაცემული ხედავდა მხეცების გააფთრებას. მერე სანდალამ ხროვაში გაარჩია დათვი. დათვი მგლებს გაუსხლტა და ხეზე ავარდა.

მგლები თათებით ხეს მოებჯინენ და სიბრაზით აყვირდენ.

კინაღამ სანდალაც აყვირდა: დამფრთხალი დათვი მას უახლოვდებოდა და მან ხანჯალი მოიმარჯვა, მაგრამ ნადირმა ადამიანი იცნო და დაიხია.

მგლები ხეს ღრღნიდენ.

ტყიდან ამოვიდა მთვარე და ცის შუაგულ დაჯდა. მთვარის დანახვაზე სანდალა ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ უცებ მოაგონდა, თუ როგორ მორბოდა შეშინებული და მიხვდა, რომ სამარცხვინო საქმე შეემთხვა:

— აბაო, — ამბობდა სანდალა, — მე თუ სამარცხვინო საქმე არ შემთხვევია და მე თუ მართლა მშიშარა არა ვარ, მაშინ მე ჩამოვაგდებ დათვს დაბლა, ან დათვი ჩამომაგდებს მე.

სანდალა ამოძრავდა:

— მიდი, მიდი, ჯანიც გავარდნია! ხომ გახსოვს, ომის დროს როგორ ეყარა ხალხი! არც იცოდი კარგად, ეს შენ კვდებოდი, თუ სხვა ვინმე კვდებოდა. შენთვის სულერთი იყო, სხვისთვისაც. შიში თავისთვის მუშაობდა, შენ შენთვის მუშაობდი. მიდი! — სანდალას ამოძრავებაზე, მგლებმა ღრიანცელი გააძლიერეს და დათვმა ყურები სცქვიტა, სანდალა დათვს მიუახლოვდა. მოუთმენელი მგლები მაღლა ხტოდენ.

დათვმა ადამიანივით დააღო ხახა და სასოწარკვეთილებით იწყო ღრენა, ბოლოს დაიბღავლა, თითქო ღალატს სწამებდა ვინმეს.

გული ეტკინა სანდალას; დათვისაგან ლაჩრობას არ ელოდა და ელოდა ეშვებს. ნადირის მორჩილებამ და ნდობამ სანდალა გააბრაზა და გაბრაზებულმა ხანჯალი ხახაში აძგერა და დათვი ხიდან ჩამოაგდო.

დათვს მგლები დაესიენ; დათვი გაიქცა მგლები დაედევნენ და სანდალა დაღვრემილი ჩამოვიდა დაბლა და სახლისაკენ გასწია.

განთიადზე სანდალა მოვიდა სახლში.

მოხუცებს არ ეძინათ, მაგრამ იწვენ. სანდალამ შენიშნა — მარიამს უდარდელად დაელურსა თვალები და არ იძროდა, უთუოდ კარგად იყო.

ერემიას სლოკინი არ შესწყვეტოდა. შვილის მოსვლაზე, მან პირი სანდალასაკენ იბრუნა და შესაბრალისად მოჰყვა სლოკინს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია სანდალას, ქვესაგებში შეგორდა; ხელათვე დაიძინა.

მაშინ ერემია კედლისაკენ გადაბრუნდა.

როცა სანდალას გამოეღიძა, ერემიას სულთქმა უჭირდა და მარიამი უსიტყვოდ ხარშავდა წამლებს. სანდალამ ეხლა მოიკითხა მამა, მაგრამ ერემიას, თითქო არაფერი გაეგონოს — ხმა არ ამოუღია.

აანთეს ლამფა, როცა დაღამდა.

არავინ არაფერს ლაპარაკობს. ერემიამ იცის, როდის უნდა დაასლოკინოს და როცა ასლოკინებს, ბალიშზე ხედავს თავისივე ტუჩების ლანდს. გვერდს არ იცვლის გაჯიუტებული მოხუცი. სლოკინს ბოლო არ უჩანს და ერემია ჯავრობს, გულისდება, თავის გულს ებრძვის ერემია — დღეს, ხვალ, ზეგ და კაცი დასუსტდა. ღონე მიეღო. მისი სლოკინი ეხლა სუსტად ისმის. გახდა, ცხვირი გაუმახვილდა და ცხვირზე ხრტილი თეთრად მოუჩანს.

სოფელში ხმა გავარდა და ავადმყოფის სანახავად დაიძრა სოფელი.

ერემია კედლისაკენ გადაბრუნებული წევს და არავისი ნახვა არ სურს.

— ჰო, ბატონო, ქელეხს უცდიან, მძორის სუნი ეცათ! — თავის გულს ასკდება ერემია. მარიამი მძიმედ უცქერის მნახველთ. სანდალა სულ არ უცქერის მათ და დედაკაცებს მეტი არ შეუძლიათ:

— ღმერთო, მაშორე ფათერაკას! — საჩქაროთ მიდიან.

მხოლოდ ერთ დღეს მეტის-მეტად ხნიერი დედაკაცი მოვიდა ერემიას სანახავად. ერემია მთლად დალეულიყო და სუნთქვის დროს ყბებიც კი უთრთოდა, მაგრამ ჯიუტად სდუმდა და გვერდს არ იცვლიდა; ამას ვერ გრძნობდა ხნიერი დედაკაცი. მან გააბა საუბარი.

— ხალხს ცნობილობს, ნეტავი? — მარიამს პასუხი არ გაუცია და დედაკაცმა თვითვე უპასუხა თავისთავს:

— ვერ ცნობილობს ბეჩავი, ვერა, თორემ ვინმე თუ საცნობი, იყო მე უნდა ვეცანი! — ხნიერი დედაკაცი ადგა, კედლისაკენ გადაიხარა და ერემიას მაინც ჩახედა თვალებში:

— ერემია, მიცანი მე, მიცანი?

ერემია აღშფოთებით შეირხა ლოგინში და პირქვე ჩაემხო. დედაკაცი იდგა და ამბობდა:

— ამ ქვეყნის არ არის გაჭირვებული.

სანდალამ ღონივრად ჩაავლო ხელი დედაკაცს მკლავში და ავადმყოფს მოაშორა. დედაკაცი დაიბნა, სანდალას გაკვირვებულად შეხედა თვალებში და როცა უცქეროდა, პირჯვარი დაიწერა.

სანდალას ოდნავ გაეღიმა, მაგრამ ღიმილი უეცრადვე გაუქრა: მარიამი დაყრდნობოდა პირქვე ჩამხობილ მეუღლის ზურგს და ჩუმად სტიროდა. ერემია მომკვდარიყო.

ამის შემდეგ სოფლელები მოდიოდენ ზარით. ისინი შორიდანვე იწყებდენ ტირილს და თანდათან ხმას უმატებდენ, მაგრამ უახლოვდებოდენ თუ არა მორთულ ცხედარს, იბნეოდენ და შემკრთალნი დუმდებოდენ.

ცხედართან უძრავად იდგა მარიამი: მწუხარედ ხელებ დაკრეფილი, ის უნდო თვალებით ზვერავდა სამგლოვიაროდ მოსულ სოფლელებს და აკრთობდა მათ. ყველას იპყრობდა შიში და არავინ ფიქრობდა ქელეხზე.

სანდალა არაფერი: იდგა გაკადნიერებული და თითქოს ვინმეს დასცინისო, ოდნავ იღიმოდა. კიდევ ერთხელ შეშინდელ სოფლელები, როდესაც სასაფლაოს მიახწიეს: სამარის კიდეებზე გაფატრულ პირუტყვის ქონივით მოსჩანდა თოვლის სისქე. სანდალამ ტორით მიწა აიღო და კუბოს ხმაური არავის იამა.

სტეფანე კასრაძე

ბედი — რესპუბლიკა

პირველი ნაწილი

(კარი პირველი)

გზას გაუდგეთ — ხალხს მოველით მადლობელს,
თუ მინდორზე სადმე მტერი ალანდე,
ნაბდის დაფნით — დაიფინე დაბლობი,
ავასრულოთ დავალება დილამდე.
გაჩნდენ გზები — გაჰქრენ გზები — მისდევს მთები ჯარს,
ტკეპნის მიწას ცხენი — გარიჟრაჟებს სვამს,
მირბის გზები, მირბის გზები, გზები მთების წინ
და მიდამოს ცვლილებებში ცა შლის ფარატინს.
გზებს გაუდგენ — გადუარეს მინდორებს
მიეშველონ უნდათ გლეხის შვილს
დილამდისინ ჯარს სირბილი უნდა რა
გადუძახებს მიდამოებს გადაშლილს.
ცას გახედავ — დილას ელი მადლობელს
თუ ღრუბლებშიც მნათობები ალანდე
დაუსჯელათ გადალახავ დაბლობებს
აასრულებ დავალებებს დილამდე.
შორს განძები — ვარსკვლავები დარდით აკვნესდენ
მთიდან ნისლი მიდამოებს დააკვდა
გადიარეს ღრე-ხრამები, გადიარეს კლდეც
და განძები — ვარსკვლავები დარდით აკვნესდენ.
ღრუბლის ხვავში გაეხვიენ გაბრაზების ნიშნით
თქვენ ხომ მუშებს ეხმარებით
განძებს, ყოფნას გვიშლით.
თქვენ ტყვია გაქვთ ნარგიზათ
გულში რა მზე გიზისო
ვიძირებით სარკეზე
მდინარეზე ვმიზეზობთ.
რაო? რაო-ვინ იძახის საიდანო

ნისლი ფაფარს ერია
ცის ლაჟვარდებს ხრამთა ყელში ჩაიტანო
და დაბლობებს ჩუმათ მიიმღერიან.
ცა-ფირუზ-გზაზედა ცხენი ფრუტუნებს
მნათობთა კვალზედა — კვამლის გზებია
ამ მთების ზედაც სცემენ ტორები
განთიადზედა ამხედრდებიან.
მირბის გზები და მირბის გზები და გზები მთების წინ
და მიდამოს ცვლილებებში ცა შლის ფარატინს.
მიჰქრის ზეცას — მირბის ჯარი, მისდევს მთები ჯარს
ტკეპნის მიწას ცხენი — გარიჟრაჟებს სვამს
დრო გრძელდება — ზეცა ნაცრის ფერია
მიდიან და აღარ მიიმღერიან.

ასეთი იყვნენ ჯარების გუნდნი
დრო ეშმაკობდა სკამის ფეხივით
შიგნით და გარეთ მთავრობის ხუნდი.
მთავარი შიში. მინისტრი კუნტი, გამოფშეკილი.
თვალებ დათხრილი ცა მდუმარებდა
ვარსკვლავს წამლათაც ვერ იშოვიდით
ზარბაზნები და დარდი მთებიდან
მთები და ნისლი, სროლა შორიდან
დახსნას ელოდა — ყაზარმებიდან
ხალხი გაწვრთნილი პლეხანოვიდან.

მთები მუხლებში მოუდრეკელი
გონება დახშულ სპილოებივით
იდგენ და იყო დიდი კედელი
სიკვდილ-სიცოცხლის ასპარეზივით.
ღრუბლის მცენარით ცა დაკარგულა
შეხედე ზეცას, თავი ჩაკიდე
შენ დამარცხება დრომ თვით გარგუნა
რას გამოარკვევ ლაპარაკიდან.
დადგა დროება
მდინარეც იდგა თავის ადგილას
ჩექმაც ლურსმნებით — კვნესაც ლოდივით
სახლნი გასცურდნენ სანდალებით
და შიში სჭამეს მოსალოდნელი.
კვნესა ისმოდა წასულ ლურსმნების
დაბლობებიდან საგზალს ელოდა
მიდამო სდუმდა. მთები სოველი
გამოსათხოვარ ლექსებს მღეროდა:
დილამდისინ დარდი გდისო მერე რა
მწუხარე ხარ — მდუმარე ხარ და
სად გაშლილხარ — სანამდისო სად
მინდორზე მდგომს მხიარული მემღერა



ირ. გამრეკელი „რღვევის“ გაფორმება



ირ. გამრეკელი „ჯუმა-მაშიდის“ გაფორმება



ვახშამი (სურ. კონო-ქრონიკა). რეჟ. მიხ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე, ოპრატ. მიხ. კალატოზიშვილი

ხერხვა (კინო-ქრონიკა). რეჟ. სიმ. დოლიძე

ცა დადუმდა — მიწაც სდუმდა მერე რა
დილამდისინ გზა ისლივით
ცა ნისლივით, მიწა მწვანე მაისივით
რომ არ გაწყრეს არ გესმისო დილამდისინ
ოდაც მდგარა, მუხაც მდგარა და მურია
ყეფდა დილას — ოდელ დელის
მინდორი დინჯი მოგვინდურია
უთხრა მდინარეს დარდი დადინდა.
დილამდისინ დარდი გდისო ცისკრის
გაგულისდი დასულისდი
სულ იზრდები დილამდისინ ნისლი.
საგალობელს უარობდე მთებიდან
ვინც წარსულის დაგიყეფებს შაირებს
დარდი განდევნე დაბლობებიდან
დარდი დაარტყი დაირებს.
დილამდისინი დარდი გდისო მთიდან
საღამომდისინ გემღერა გსურდა და მოგერიდა.
უობდენ მთები და ნისლების უბდას
ახვევდა ხეებს მოსარებივით.
ნისლები იყვნენ სიმღერებ სუფთა
და უსარგებლო მგოსანებივით.
სდუმს დაბლობი და სდუმდა უდათა
ხინჯი მდინარის — მკერდი მთიების
ნისლი ხეებზე დადგა ქუდათა
დაყნოსა სუნი მაგნოლიების
მთებო დიადო ნისლში შებმულხართ
ცა გაშლილია სანამდის? — სადო?
დამშვიდებულხართ, დადუმებულხართ
გარიჟრაჟები რომ განიცადოთ.
დილამდისინ შენ შესძელი გემღერა
მწუხარეც ხარ, მდუმარეც ხარ მერე რა.

სიმონ ჩიქოვანი

ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე

ჩემო ძვირფასო მსმენელებო
მე არ ვკამათობ
მე ვამბობ მხოლოდ
სანამ უნდა ისისინოს მემარჯვენობამ
ეს ხომ გრძელდება
ექვს საათიან გაკვეთილივით
და ამ ბრძოლიდან ვინ გამოდის
გალურჯებული.

და როგორც ღვარძლი
როგორც შური
როგორც ზიანი
სდგას სხეული და კომუნიზმთან
მოდის ციებით
ბებერ კრეტინებს უთანაგძნობს
გორდეზიანი
და ხშირათ გვლანძღავს გაზეთიდან
რეცენზიებით
მოლექსეები გამოფიტულ ძვლებზე უკრავენ
თითქოს არტყიათ ამ „ციურებს“
ვარსკვლავთ კრებული
გასივებული ლირიკოსიც მცონარ კრავივით
აყვირებულა შარდის ტალღით
ამოგდებული.
გელეიშვილი სდუმს ნაგავში
გომართელივით
შერჩა გინება ჩემს ლექსებზე
გადმონთხეული
და პიროვნება უნიჭობით გამართლებული
აღარ ღაღადებს
პასეისტურ მოთხრობებიდან
გაჯახირებულ სხეულიდან ლექსი
გამოდის
ჭადის ნატეხებს ემზგავსება
სულის ნახევი
ვერსად იშოვნეს რედაქციის
დიდი კამოდი
ჯავახიშვილის ნაჯღაბნების დასამარხავი.
და მცირე ჯგუფი
მათ უმზადებს ნამდვილ მახვილებს
ჩვენ მებრძოლები — მედროშენი მემარცხენეების
და ყოველგან მოსჩანს დარტყმეული
ჩვენი ძახილი
როგორც მიწაზე დარჩენილი
ტორნი ცხენების.
ჩვენ მარტონი ვართ — და ხალხია
ჩვენი მსაჯული
ხალხი რომელიც ეხლა მოდის მაგარ თაობათ
ისმის ჩვენი ხმა
ბრძოლებიდან გალურჯებული
და მეტყველებით
ჩვენ დავიწყებთ ფარიკაობას.
ისმინე მიწავ მოწოდება მყოფადერების
შეგრცხვეს მშობელო ჩამორჩენით
აღტაცებანი

და ჩვენ მწერლობას სიახლებზე გადამტერებულს
უჩვენე დღეთა ძარღვებიდან
სისხლის ბგერანი.
თქვენც ჩემო ძმებო
საძირკვლებო ახალგაზრდობის
გამომრკვევლებო ჩვენი ყოფის
ახალ — სახსრების
ჩემი გონება თქვენ აზრებთა
სითბოთ საზრდოობს
და უნდა შევკარათ დროის ხლართი
ამოსახსნელი.
ამხანაგებო მსმენელებო
მე არ ვკამათობ
მე ვამბობ მხოლოთ
ნამყო ჩადგა დროში ტბებივით
ბრძოლა გრძელდება ექვს საათიან
გაკვეთილივით
და გადმოხრილან ძველთა კლდენი
გატიტვლებული.
არ ესმით ჩვენი
დე აივსონ შურის ძიებით.
ჩვენ ისევ დაგვრჩა
უფლებები ურბანელების
დარჩება წყება
წლებს უნიჭო რეცენზიების
და ჩვენ დროება გონებაზე გადარბენილი.

სიმონ ჩიქოვანი

27 წელი, გაზაფხული

დავით კაკაბაძის მხატვრობა

უდავოა ფაქტი: ყოველი ხელოვნება ვითარდება სოციალ-ეკონომიურ პირობების გავლენის ქვეშ. მაგრამ, გარდა ამ, ასე ვსთქვათ, სოციალურ მომენტისა, რომელსაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, არსებობს მეორე ხაზი, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი: ყოველი ხელოვნება ვითარდება თავის საკუთარ, სპეციფიურ კანონების მიხედვით და ხელოვნების სხვადასხვა დარგები სწორედ იმით განირჩევიან ერთმანეთისგან, რაც უშუალოდ, შინაგან, იმანენტურად ეკუთვნის მას. ესე იგი იმით, რასაც ბ. ეიხენბაუმი უწოდებს ამა თუ იმ ხელოვნების „ორგანიულ ფერმენტს“. მხატვრობას, როგორც ხელოვნების, განსაკუთრებულ და სპეციფიურ დარგს ახასიათებს უმთავრესად პლასტიურობა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ შინაგან „ორგანიულ ფერმენტს“, რომლის განვითარებით და გაძლიერებით მხატვრობა წინ მიისწრაფის და პროგრესიულობს.

არიან ეპოქები, როდესაც ხდება ამ ორგანიულ ფერმენტის გაშიშვლება, ე. ი. მხატვრობა ვითარდება უშუალოდ პლასტიურობის კანონების მიხედვით. რაც შეეხება „სოცი-

ალურ მომენტს“, რომელიც ზევით ვახსენეთ, იგი წამოიჭრება უმთავრესად მაშინ, როდესაც ადამიანი მოითხოვს ხელოვნებისგან „შევსებითი ფუნქციის“ (ბ. არვატოვი) ასრულებას. უკანასკნელ შემთხვევაში კი პლასტიურობა გადადის მეორე პლანზე, ან სრულიად იდევნება, და წინ იჭრებიან სიუჟეტურობის, სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვის და „დაზგის“ (ñòàí êî âî å) ხელოვნების საკითხები. მოკლედ: მხატვრობაში ძლიერდებიან სახვითობის (èçî áðàçèòåëüí î ñòü) ელემენტები. შეიძლება ითქვას, რომ მხატვრობის ისტორია ხასიათდება სწორედ ამ სახვითობის და პლასტიურობის ბრძოლით.

აქ არ შეუდგებით მაგალითების მოყვანას ისტორიიდან, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ დავით კაკაბაძის მხატვრობა სწორედ ზემოთ თქმულ ორგანიულ ფერმენტის, პლასტიურობის გაშიშვლებით ხასიათდება. საქმე იმაშია, რომ მსოფლიო ომის და დიდი რევოლიუციის შემდეგ მოხდა საერთოდ სახვითობის გახრწნა (ðàçëî æåí èå èçî áðàçèòåëüí î ñòè). რასაკვირველია, დასავლეთის და რუსეთის მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენლები ამას გრძნობდენ ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე. მაგალითად, სეზანი ამბობდა: „მხატვრობა სრულიად არ წარმოადგენს ხელოვნებას ხაზების და ფერების საშუალებით რომელიმე საგნის გადმოცემისა, არამედ იგი მოწოდებულია ჩვენს ინსტინქტს გადასცეს პლასტიური შეგნება“. აქ კი ხვდებიან ერთმანეთს ევროპიული და არაევროპიული (უმთავრესად აღმოსავლური) მხატვრობა. დაწყებული მე-XIX საუკ. მეორე ნახევრიდან მთელი ევროპიული მხატვრობა განიცდის და უშუალოდ ვითარდება არაევროპიულ მხატვრობის (იაპონური, ნეგრების, სპარსული და სხვ.) გავლენის ქვეშ. აღმოსავლეთის მხატვრობას კი უპირველესად ახასიათებს პლასტიურობის სიძლიერე. მისთვის დაზგის ხელოვნება (ñòàí êî âèçì), როგორც ასეთი, თითქმის უცხოა. „სტანკოვიზმი“ ევროპიული წარმოშობისაა და მას ახასიათებს უმთავრესად სიუჟეტურობა, წმინდა სახვითობა, დეკორატიული ხაზი და ორნამენტალური კომპოზიცია — აი მთავარი, რაც ახასიათებს აღმოსავლეთის მხატვრობას.

დ. კაკაბაძის მხატვრობა აღმოსავლურია იმდენად, რამდენად იგი ხდება ინტერნაციონალური. ამის ტენდენცია კი დიდია ჩვენს ეპოქაში. ხელოვნება ღებულობს ინტერნაციონალურ ფორმებს. ერთის მხრით იგი ნამდვილი შვილია აღმოსავლეთის თავისი ხელოვნების მთელი სტრუქტურით და ოსტატური ნიჭით.

შემდეგ: გარდამავალი ხანა, რომლის დროს ჩვენ ვცხოვრობთ კონკრეტიზაციაქმნილ იდეების პერიოდში, როდესაც იდეები პოულობენ თავის კონკრეტიზაციას პუბლიცისტიკაში და მეცნიერულ ლიტერატურაში. იდეები სრულიად არ საჭიროებენ დღეს სიუჟეტურ კონკრეტიზაციას, ე. ი. გამოგონილ, ხელოვნების პლანში განსახიერებულ კონკრეტიზაციას. იდეის კონკრეტიზაცია სიუჟეტში ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სინამდვილეში, რეალურ ცხოვრებაში ყოფითი იდეა (áû òî âàÿ èäåÿ) არაა საკმარისად კონკრეტული. ამ შემთხვევაში იგი (იდეა) საჭიროებს ესთეტიურ ხაზგასმას ეგრედ წოდებულ შევსებაში (აქედან: ლიტერატურული რომანი, სახვითი მხატვრობა და სხვ.). ევროპიულ, უმთავრესად ბურჟუაზიულ, მხატვრობაში ბატონობს იდეების სიუჟეტური კონკრეტიზაცია, იდეების კონკრეტიზაცია გამოგონილ სიუჟეტში. აღმოსავლეთის მხატვრობას, რომელმაც უკანასკნელ დროს დიდი გავლენა იქონია ევროპიულ მხატვრობაზე, უმთავრესად ახასიათებს იდეების პლასტიური გაფორმება. აქედან გამომდინარეობს მოწინავე და მემარცხენე მხატვრობის უსაგნობა (áåñï ðåäà ìàòí î ñòü), უსიუჟეტობა. მაგრამ იდეების გამომხატველი უსიუჟეტო მხატვრობა არ შეიძლება იყოს სუბიექტიური. მას არ აზის ინდივიდუალურობის დაღი. იგი ხდება ობიექტიური და სწორედ ამითაც განირჩევა აგრეთვე ახალი მხატვრობა მთელ აქამდის არსებულ მხატვრობისაგან. სუბიექტის ობიექტივაცია ახასიათებს როგორც ფ. ლეჟეს, რომელიც იძლევა იმპერსონალურ მხატვრობას, უფრო სიურეალისტურს, ვიდრე კუბისტურს. ეს ახასიათებს სხვა განხრით დ. კაკაბაძის შემოქმედებასაც.

დ. კაკაბაძე წარმოადგენს პოსტ-კუბისტურ მოვლენას თანამედროვე მხატვრობაში. მართალია, მან გაიარა ფრანგული კუბიზმის სკოლა, მაგრამ ისევე დასძლია იგი, როგორც, მაგალ., ჟორჟ ბრაკმა, თვითონ კუბიზმის დამაარსებელმა. საერთოდ დღეს კუბიზმზე ლაპარაკი მეტად ფრთხილად მართებს. ამიტომ პირდაპირ გასაოცარია, როდესაც შ. დუდუჩავა ოფიციალურ პრესსის ფურცლებზე უწოდებს დ. კაკაბაძეს „ორტოდოქსალურ კუბისტად“. საერთოდ მისი წერილი მეტად დამახასიათებელია იმისთვის, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს მხატვრობაზე. წერილი ამჟღავნებს ავტორის სრულ უცოდინარობას ჯერ კუბიზმის (მაგ. კუბიზმი არისო „გარეგან მოვლენების გეომეტრიზაცია“) და შემდეგ დ. კაკაბაძის შემოქმედების („კაკაბაძის ყველა სურათები გაკეთებულია კუბისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით“!). გარდა ამისა წერილი ააშკარავებს გამოფენისადმი ობივატელურ მიდგომას: მაგალ., „არც ერთი ნატურმორტი, არც ერთი პეიზაჟი, არც ერთი კონკრეტული პორტრეტი, არც ერთი ყოფის სურათიო“, თითქოს მხატვარი მოვალე იყოს იმის ჩვენების, რაც ამა თუ იმ სუბიექტს მოესურვება. ასე იქმნის, სამწუხაროდ, ჩვენში „ოფიციალური აზროვნება“. მაგრამ ეს გაკვრით.

გარდა ზემოთმოყვანილ პრინციპებზე აგებულ სურათებისა, დ. კაკაბაძეს აქვს აგრეთვე მთელი რიგი ნაწარმოებისა, სადაც გამოყენებულია ნივთების ფუნქციების გადატანის ხერხი: როდესაც განსაზღვრული ნივთი ღებულობს ახალ ფუნქციას. ეს არის ხერხი არაესთეტიურ კათეგორიის ელემენტის შეტანისა ესთეტიურ კონსტრუქციაში მისი ესთეტიურად გამოყენების საშუალებით. უტილიტარულ ნივთების (სარკე, ვინტები და სხვ.) გამოყენება არაუტილიტარულ მიზნებისათვის. აქ დ. კაკაბაძე უახლოვდება თანამედროეობის ისეთ დიდ მხატვარს, როგორიცაა პ. პიკასსო, რომელიც არამხატვრული ელემენტების შეტანით სურათში ქმნის „სკულპტურულ ნატურ-მორტებს“ (რკინა, ხე, შუშა და სხვ.). სწორედ ასეთ „სკულპტურულ ნატურ-მორტებს“ წარმოადგენს დ. კაკაბაძის ნაწარმოებთა განსაზღვრული რიგი. აქედან კი ერთი ნაბიჯია კონსტრუქტივიზმამდე და საწარმოო ხელოვნების შექმნამდე.

მესამე რიგს წარმოადგენენ, ეგრედ წოდებულ, „ბრეტანის ციკლის“ ნაწარმოებნი. ეს „პეიზაჟები“ იძლევიან ბუნებრივი მოვლენის მხატვრული ეკვივალენტის ძებნის ცდებს. ამა თუ იმ რეალურ, კონკრეტულ საგნის მხატვრული ეკვივალენტის გადმოცემას, რაც დიამეტრალურად განირჩევა იმპრესსიონისტულ და თუნდაც ექსპრესსიონისტულ მხატვრობის გაგებისაგან.

უკანასკნელად საკითხავია, რამდენად მისაღებია დ. კაკაბაძის „ექსპერიმენტები“ საბჭოთა გარემოში. რასაკვირველია, მისი წაბაძვა და კოპიისტობა მეტად არასასურველი მოვლენა იქნებოდა და არც არის ეს საჭირო. ამით იგი ვერ გაახარებს ზოგიერთ „მქაფავ“ მხატვრებს, რომელნიც ჩვეულნი არიან სხვის შტამპებზე მუშაობას. მაგრამ დ. კაკაბაძის მხატვრობას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელოვნების წინ წაწევის საქმეში. საჭიროა მისი მხატვრობის შესწავლა და შეგნება. იგი იძლევა არაკონსერვატიულად განწყობილ ახალგაზრდობისათვის დაუშრეტელ იმპულსს მემარცხენე მხატვრობის ფაქტების შექმნისათვის.

გარდა ამისა, საბჭოთა სინამდვილეში დ. კაკაბაძის მხატვრობის ყოველგვარი გამოყენება შეიძლება. ამის გასაგებად მოვიყვანთ პატარა ანალოგიას საბჭოთა წარმოებასთან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველი წარმოება ვითარდება უმთავრესად ორნაირი გზით. ერთის მხრივ: ბაზრის მოთხოვნილება, საქონლის გამოშვება, განაწილება და მისი დაგზავნა. მეორეს მხრივ: ვიწრო ტეხნიკური მხარე წარმოებისა: ხარისხობრივობის აწევა, საქონლის გაუმჯობესება და სხვ. უკანასკნელ ხაზით წარმოება ვითარდება თავისი საკუთარი, სპეციფიური კანონების ძალით. ისევე, როგორც მაგალ. ტეხნიკურ გაუმჯობესებამ ჩაინიკიდან კაცობრიობა მიიყვანა ორთქლის მანქანამდე. და როდესაც გამოჩნდებიან ისეთი ოსტატები, რომელიც გამოიგონებენ ახალ საშუალებას, ან ხერხს წარმოების საქონლის გაუმჯობესებისათვის, მას საბჭოთა ხელისუფლება აჯილდოვებს. თითქმის

ასეთივე ხდება ანალოგიურად ხელოვნებაში. არიან ხელოვანნი, რომელნიც ძველი შტამპებით განაგრძობენ მუშაობას, ძველი ფორმებით და ხერხებით. მაგრამ არიან ექსპერიმენტატორები, გამომგონნი, რომელნიც აუმჯობესებენ ხელოვნების (ამ შემთხვევაში, მხატვრობის) ხარისხობრივობას და იძლევიან ახალ საშუალებებს და ხერხებს მხატვრობის საქონლის გასაუმჯობესებლად. ამ მხატვრების რიგს ეკუთვნის აგრეთვე დ. კაკაბაძე და მისი მნიშვნელობა არა ნაკლებია, ვიდრე მაგალ. რომელიმე მუშათა გამომგონებლისა განსაზღვრულ წარმოებაში მომუშავის, რასაკვირველია, მხოლოდ ხელოვნების პლანში.

დასასრულ, არ შემიძლიან, არ მოვიყვანო ცნობილ მხატვარ ალბერ გლეზის სიტყვები: „მართალია, მხატვრობის უკანასკნელი პუნქტი იმაში მდგომარეობს, რომ დაიმორჩილოს მასსა, მაგრამ არა მასსის ენაზე უნდა მიმართავდეს მას მხატვრობა, არამედ თავის საკუთარ ენაზე, რომ ააღელვოს, დაიმორჩილოს და წინ გაუძღვეს მას“.

შალვა ალხაზიშვილი

კინო-სურათ „სამანი“-ს დადგმა

სურათი იძლევა დღევანდელი დღის მეტად აქტუალურ მომენტს: სასოფლო-სამეურნეო კოლექტივიზაციას. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ყურადღება ექცევა სოფლის საკრედიტო მეურნეობას (ნავთის გაცემა უაქციზოდ, სათესლე ქერით დახმარება და სხვა). მაგრამ ჩვენს წინაშე არის მთელი რიგი შემთხვევებისა, როცა ეს საშუალებები გამოყენებულია არა თავისი პირდაპირი დანიშნულებით, არამედ ღარიბი მოსახლეობის ექსპლოატაციისათვის, რომელსაც სოფლად გლეხი-ჩარჩები (êóëàêè) ეწევიან.

სურათმა უნდა გვიჩვენოს ეს სიღარიბე, სადაც არ გააჩნიათ წარმოების იარაღები. იმისათვის, რომ შეძენილ იქნას საწარმოო იარაღები, აუცილებელია შეერთება შრომისა და მიწის, ხოლო შეერთებულ კოლექტივისათვის გამოდგება ტრაქტორი.

წითელი არმია წარმოადგენს გლეხობის სკოლას. სცენარის კეთების დროს ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვსტოვეთ წითელი არმია, რადგან სოფლის კულტურისათვის იგი კოლოსალურ მნიშვნელობის შემცველია: წითელი არმია გლეხობას აძლევს არა მარტო საერთო განვითარებას და კულტურას, არამედ პროფესიონალურ პირებსაც, მაგ. ტრაქტორისტს, რომელიც აუცილებელია ახალი სოფლისათვის.

მთავარ ელემენტს სურათში „სამანთან“ — წარმოადგენს შემდეგი: სოფლის ძველ, ესთეტიურ ჩვენებას, საცა სოფელი მოცემულია მხოლოდ თავისი სილამაზის მხრივ, როგორც ოპერაში (რომელიც წარმოადგენს სოფლის სტილიზაციურ პრიმიტივობას) — ჩვენ დაუპირდაპირეთ ტრაქტორი, რომელიც ჰკლავს მთელ ამ ესთეტიურობას და შეაქვს მასში ინდუსტრიალურ-ურბანისტული საგნები.

აქედან გამოსულ ეპიზოდების გაშლა წარმოადგენს თვითონ სცენარს (ტრაქტორისტის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში, მისი ბრძოლა ჩარჩების მიმართ, ტრაქტორის მუშაობის ღირსებები, წითელი არმიის როლი სოფლის მეურნეობაში და სხვა).

სცენარში პარალელურად ნაჩვენებია ქალაქი, როგორც სოფლის ხელმძღვანელი, რის გამო ბიუროკრატიზმი წარმოდგენილია ფორმალურად — კარგად, იოლი ფაქტიურად — გამასხარავების გზით.

ეს სოციალურ-ეკონომიური მომენტები — დამყარებული სოფლად მომხდარ ფაქტიურ მასალებზე — შეადგენს სცენარის მთავარ ღერძს. ხოლო, თუ კი სურათები შეიძლება დაიყოს პოეტურ და პროზაულ კინო-ფაქტებად, მაშინ სურათი „სამანთან“ წარმო-

ადგენს (ფორმალურად) ხუთ ნაწილად გაშლილ ფელეტონს. ტრაქტორი უნდა იქმნას გამოტანილი, როგორც კოლექტივიზმის იდეის მატარებელი ნივთი და ამავე დროს უნდა დახასიათდეს იმ საგნების მდგომარეობა, რომელნიც ტრაქტორის შემოსვლით სოფელში კარგავენ თავიანთ „დანიშნულებით“ ფუნქციას.

რეჟ. ლ. ესაკია
ასისტ. ს. დოლიძე

მტერს ნუ დავეხმარებით

(წერილი საქ. სახკინმრეწვის მემარცხენე კინომუშაკებს)

ჩვენი მიზანი აქტივისტთა დამუშავება უნდა იყოს.

ჩვენ გვინდა მეოცნებე იდეალისტის პრაქტიკის მატერიალისტით შეცვლა.

„სიზარმაცისადმი მადის“ გახსნის ნაცვლად ჩვენ გვინდა საქმისადმი მადის გაღვიძება, ამას მოითხოვს დღევანდელი აღმშენებლობა.

ჩვენ არ გვესაჭიროება ადამიანის კულტივაცია, რომელიც „თავდავიწყებას ეძებს“, ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმ მასის გათვითცნობიერებას, რომელიც ინტერესით უცქერის ცხოვრების ყოველ ახალ ნაჭერს, განსაკუთრებით თუ ის დღეინდელობისაა, რომ გარდაქმნილ იქნას პასიური (ექსპლოატატორულ წყობილებისათვის გამოსადეგი) ადამიანის ტიპი აქტიურ ადამიანად, ამისთვის ჩვენ განკარგულებაში არის ხელოვნების მთელი არსენალი და მათ რიცხვში „ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნებათა შორის — კინო“.

ორი ხაზი იბრძვის კინოში.

ერთის მხრივ კინოში გზას იკაფავს ქრონიკა — ცოცხლად ჩვენება იმისა, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება. იზრდება სამეცნიერო ფირიც, რომელიც მსუბუქი განსახებით იძლევა ზუსტ ცოდნას, განმტკიცების გზაზე სდგას სააგიტაციო ფირიც, რომელიც ნერვებს ახალისებს და აფხიზლებს.

მეორე მხრივ — ბუდუარი. ბინდები, ბუნდოვანი მოხაზულობანი, სულის შემხუთავი ჰაერი (ალბათ, თავბრუსახვევად) და ქალის ხორცი უხვად — ტუჩები, თვალები, მკერდი, ძუძუები, მხრები.

ყველაფერი ამას შემდეგი სიტყვებით აფარებენ ნიღაბს: „მოსვენება“, „გართობა“, „განყენება“ (საკითხია — რისგან უნდათ განაყენონ და საით უნდათ დააყენონ).

ლაპარაკი გვაქვს ეგრეთწოდებულ „მხატვრულ ფილმზე“.

მხატვრული ფილმის — რომელსაც 90% ცენტრში სიყვარულის ინტრიგა აქვს მოქცეული — მიზანია გამოიწვიოს საამო მღელვარება რაიმესთან დაკავშირებით რაიმე სასიყვარულო ამბის ირგვლივ, რომელიც ხდება ამისთვის სპეციალურად შერჩეულ აქტიორებს შორის.

მაყურებელი შეჰყავს ამ სიყვარულის თამაშში; იხარჯება სექსუალური ფონდი, ერთი უადვილესი და უტკბილესი სახეთაგანი თრობის აქტისა, მომხიბლველ და მადის აღმძვრელ ხორცის ნაჭრად იქცევა. მთელი მისი მუშაობა მიმართულია მიბნედისაკენ, დნობისაკენ, თვალების მაღლა აპყრობისაკენ და ბოლოს, ხანჯლით ლამაზი სიკვდილისაკენ.

და არ გესმის არაფერი? არ იცი საჭიროა სოლიდარულ გრძნობათა გამოხატვა ამ უმაქნის, ლოგინის ლამაზ ქალისადმი თუ პირიქით, დასცინო მას და გაარაბრუო. განსაკუთრებით ახლა, როცა ცხოვრებაში შემოდის ქალი-მეგობარი, მუშაკი აქტივისტი.

სიყვარულის ინტრიგები კინოში ლამაზ ქალ-ვაჟთა კულტის აღიარებაა, ფოტოგრაფიული ნერწყვის ყლაპვაა ეროტიულად მომქმედ მომენტების გამო. ლოკალეს (მდებარე-

ობის) და რეკვიზიტის (ნივთების) მხოლოდ ესთეტიური მიზნის გამოყენება — ეს მტრის სასარგებლოდ მუშაობას ნიშნავს.

კაპიტალისტურ სამყაროში მხატვრული ფილმის მიზანია მთელი დღის შრომით მოქანცულ ადამიანის ილლიუზორულ განცდათა სამყაროში გადაყვანა.

მას მიაქვს მისი დღეინდელობის წინააღმდეგობებით აღშფოთებული ტვინი მაყურებლისა ფათერაკების ინტრიგებში, ეკზოტიურ ქვეყნებში, ფუფუნებაში, ულამაზეს დედალ-მამლების საზოგადოებაში — მხატვრული ფილმის მიზანია, ამოსწოვოს მთლიანად ადამიანი, რომელიც პატარაა, შეურაცყოფილია სინამდვილით ბრაზობს და სწყინს, არ აძლევს საშუალებას, რომ ამ ბრაზმა და წყენამ პროტესტის სახე მიიღოს.

კაპიტალისტი კინოდან ადამიანი წონასწორობა აღდგენილი და დაშოშმინებული უნდა წავიდეს — აი, რათ მოითხოვს ამერიკა (რომელიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილად სარგებლობს ხელოვნებით მმართველი კლასის თვალსაზრისით), რომ ფილმს აუცილებლად ბედნიერი დასასრული ჰქონდეს.

ჩვენ კი არ გვეშინია სინამდვილის, ჩვენ მას ვაკეთებთ, ჩვენი ბრძოლა ამ ყოველდღიურობასთან კიდევ უფრო გვიორკეცებს ენერგიას. აი, რათ არ გვესაჭიროება ჩვენ ჩვენივე თავის ცემა, იმით რომ ესთეტიურ სიროფს ვამზადებთ ლამაზ ქალებით, პეიზაჟებით, ჩაცმულობით და ფუფუნებით. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უცხოეთის წარმოებისა და საკუთარ მხატვრულ-მეშტამპეთა მიერ გამზადებულ კინო სიროფს.

მემარცხენეობის ლოზუნგია: ბრძოლა კინო-ნარკოტიკის წინააღმდეგ, რომელნიც აყრდნობენ სურათს მაყურებლის თრობასა და სექსუალობაზე. ჩვენ ვიბრძვით პრაქტიკის თვალსაჩინოობისათვის და კინო მაყურებლის აღგზნებისათვის უკეთეს სინამდვილის შესაქმნელად.

ს. ტრეტიაკოვი

სურათი კინო-ქრონიკა

ჩვენ მიერ შედგენილი ქრონიკა წარმოადგენს მენშევიკურ სახელმწიფოს მოღვაწეობის და საბჭოთა სინამდვილის დაპირისპირებას. მასალები, უმთავრესად მენშევიკების ხანიდან, ჩვენ მივიღეთ სახ. კინმრეწვის ლენტების არხივიდან, სადაც იყო მენშევიკების დროის გადაღებული ქრონიკალური ლენტები. საბჭოთა ხანიდან კი უმთავრესად ჩვენ მოგვიხდა გადაღება და ასე შედგენა სურათის. აქ საჭიროა აღინიშნოს გაფორმების ხერხი — რომლითაც ჩვენ ხელმძღვანელობდით სურათის მონტაჟის დროს, ეს არის პაროდიზმი — პაროდიზმის გამოყენება ჩვენ შევძელით იმ მასალებზე, რომელიც ჩვენამდე იყო გადაღებული. ისინი იყვნენ გადაღებული ნეიტრალურ კადრებში, მონტაჟის საშვალებით ჩვენ შევძელით პაროდიულად მიგვეწოდებინა მაყურებლისთვის და ამით მისი პირველ ყოფილი სემანტიკა დაგვეკარგა. სულ სხვა პრინციპით გადავიღეთ ჩვენ თვითონ კადრები და მოვახდინეთ მისი მონტაჟი. აქ ნეიტრალურ კადრებს და მომენტებს ადგილი არა აქვს. ასე რომ ჩვენ დავამზადებთ არა უბრალო ქრონოლოგიურათ მოწყობილი მომენტებით მოცემული ქრონიკა — არამედ ქრონიკა, სადაც სიუჟეტი მიღწეულია მონტაჟის საშვალებით და ატარებს მთლიან იდეას — წარმოადგენს კინო სურათს.

მიხეილ კალატოზიშვილი

ნუცა ღოღობერიძე

რამოდენიმე წინასწარი შენიშვნა სურათ „ელისოს“ შესახებ

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ილიუსტრაცია მოგვეწყო კინოში. დაგვაინტერესა იდეამ, რომელიც მოცემულია „ელისოში“. ეს არის ძველი რეჟიმის პოლიტიკის გამოაშკარავება და მისი შედეგების სახეობა.

როდესაც ჩვენ შეუდექით სცენარის დამზადებას და ჩეჩნეთის ლოკალის შესწავლას სათანადოთ რომ გამოირკვა, ყაზბეგს ბელეტრისტიკის ხათრით დაუმახინჯებია ისტორიული სიმართლე კოლონიალური პოლიტიკის, ან უკეთ, ვერ გაუნათებია საჭიროებისდა გვარად. მაშინ ჩვენ დავიწყეთ თვით ისტორიულ დოკუმენტების შესწავლა გავეცანით ტერგის ოლქის უფროსის საიდუმლო არქივს (რომელიც მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ იქმნა გამოაშკარავებული და ხელმისაწვდომი) და სხვა მრავალ მასალებს.

ამ მასალების შემდეგ ჩვენ „ელისოს“ დრამატიული კოლიზია სრულიად შევცვალეთ. სცენარში შევიყვანეთ უფრო მასების მოქმედება და მისი მდგომარეობის გადმოცემა. ფაბულა დავასუსტეთ და სიუჟეტის სიბრტყე გადავიტანეთ თვით საზოგადოების მოქმედებათა სიღრმეში.

აქედან, ცხადია, სურათი არ წარმოადგენს „ელისოს“ ილიუსტრაციას და ეს არც საჭირო იყო. სცენარზე ვმუშაობდით მე და სერგეი ტრეტიაკოვი.

შეძლებისდა გვარად სურათი გადავიღეთ კავკასიის არა ეკზოტიურ მიდგომით და ბუნების ესტეტიზმის მოსპობით.

ამ გზის უფრო კარგად განხორციელებას მე შევეცდები, როდესაც ტრეტიაკოვის თანამშრომლობით დავდგამ სურათ „ბრმას“ (სცენარი ტრეტაკოვისა). მე მინდა ამ სურათში პირველად ვაჩვენო ნატურის კონსტრუქტიულად მოხმარა კინოში.

ნ. შენგელაია

„მემარცხენეობის“ შენიშვნების კუთხე

ლიტერატურული ტრადიცია და ძიება

მემარცხენე ხელოვნების მიერ წამოყენებულ აქტუალურ პრობლემათა შორის უპირველეს და უმთავრეს პრობლემას შეადგენს არსებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი ტრადიციული ფორმების დარღვევა და ახალი მხატვრული ხერხების, გამომგონებლობის პრინციპი. ამ ქვესაყრდენზე შენდება და ვითარდება მემარცხენე ლიტერატურის, როგორც თეორეტიული აზროვნება, ისე შემოქმედებითი პრაქტიკა. სხვა აზრი და გამართლება მემარცხენე ფრონტის არსებობას ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში არა აქვს. ის ჩივილი „შემოქმედებითი უძალობისა და დაგუბებული ატმოსფერის“ შესახებ თანამედროვე ქართულ მწერლობაში, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის პროლეტარული მწერლობის ზოგიერთ თეორეტიკოსთა წერილებიდან — სიმპტომატიურია მეტად და გვიჩვენებს, რომ მემარცხენეობის მიერ თავის დროზე გაკეთებული პროგნოზი ქართული ლიტერატურის შემდეგი პერსპექტივების შესახებ სწორია და შეგუებული თანამედროვეობის გადაუდებელ მოთხოვნილებებთან.

ჩვენ დიდი ხანია ვიყენებთ იმ დებულებას, რომ ქართული მწერლობა „აკადემიკოსებისა“ და საერთოდ მემარჯვენე ფლანგიდან განიცდის შემოქმედებით კრიზისს და გულწრფელ ჩიხშია მომწყვდეული. რასაკვირველია, საკმარისია სულ მცირე ობიექტივობა და გულწრფელობა, რომ ეს ფაქტი შესამჩნევი და ხელსახები იყოს ყველასათვის. მაგრამ წინა თაობის მწერლო-

ბისათვის ეს გარემოება ჯერ კიდევ არ არის, თუ ვერ არის ცხადი. ისინი ჯერ კიდევ იცოხნიან ოდესღაც მოპოვებულ დაფნებს და ნებიერი კმაყოფილებით ქადაგებენ სამოქალაქო ზავს ლიტერატურაში ან კიდევ გულუბრყვილო დაჯერებით გვარწმუნებენ თავის „თეორეტიულ“ წერილებში, რომ „ბუნებრივია ახალის ძიება სალიტერატურო ასპარეზზედ, მაგრამ მუდმივი ძიება, და მხოლოდ ძიება, პირდაპირ უდაბნოსკენ მიდის, სადაც ყოველივე ხმება და კვდება“...

რასაკვირველია, შემოქმედებითი გამოფიტვა და კრიზისი გამოწვეულია არა მარტო იმ გარემოებით, რომ წინა თაობის მწერლობისათვის თანამედროვე სოციალური გარემო და ახალი ყოფა-ცხოვრების ფორმები უცხოა და მიუღებელი, როგორც თემატიური მასალა. მარტო თემატიკა ვერაოდეს ვერ განსაზღვრავს ლიტერატურულ შემოქმედებას. ჩვენ საქმე გვაქვს უფრო გადამწყვეტ და სერიოზულ ფაქტორთან ლიტერატურული დეგრადაციისა: ეს არის ეპიგონური ტენდენციები და ფორმალური რუტინა, რომლითაც დაავადებულია მთელი თანამედროვე მემარჯვენე მწერლობა. თანამედროვე ქართული პროზა თავისი გენერალური ხაზით მოდის ილია ჭავჭავაძის რეალიზმიდან, სადაც სავსებით იქნა ამოწურული ფორმალი შესაძლებლობანი სიტყვიერი მასალის და თემატიკის დამუშავებისა ეპიური თხრობის პრინციპებზე აშენებით. ეპიგონებს აღარაფერი დარჩათ გარდა იმისა, რომ ესარგებლათ ამ მემკვიდრეობით და გამოქვეყნებით მზამზარეულად მოცემული რეალიზმის კლასიკური მხატვრული პრინციპებით. მაგრამ ლიტერატურული ფორმები იცვითებიან ისევე, როგორც ნივთები გარემოში. გარკვეული მხატვრული ხერხებით გაკეთებული ლიტერატურული ფაქტები, როგორც ფართე მოხმარების საგნები, უმეტეს შემთხვევაში, რჩებიან კუთვნილებათ იმ სოციალურ გარემოსი და ისტორიული ეპოქის, რომელშიც წარმოიშვენ. ლიტერატურული ევოლიუციის იმანენტური კანონების ძალით წინა ეპოქის მხატვრულ-შემოქმედებითი ხერხები მომდევნო ისტორიულ გარემოში ჰკარგავენ თავის ქმედით ძალას და ამიტომ ასეთი ხერხებით გაკეთებული ლიტერატურული ფაქტები, თუ გნებავთ, გენიალური მიხვედრით, ნაპოვნი თემატიკითაც ვერ აღწევენ მიზანს და ვერ ასრულებენ თავის საზოგადოებრივ დანიშნულებას. მათი სოციალური ფუნქცია ამგვარად იქცევა ილიუზიათ. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არა ერთხელ იყო ცდა თანამედროვე სოციალური ყოფის ჩამოყალიბებისა ძველი მხატვრული ფორმებით. ყველა ეს ცდები, მიუხედავათ თემატიკის სიახლისა, რასაკვირველია, დამარცხდა. ამის სამაგალითო ნიმუში, სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში მოგვცა „არიფიონის“ ჯგუფის ლიტერატურულმა პროდუქციამ.

სიტყვიერი ხელოვნების განვითარებაში ისტორიული კონფლიქტები აღმოცენებულია ყოველთვის ფორმალ უთანხმოების ნიადაგზე. ამიტომ არის, რომ ლიტერატურის ისტორია ურიგდება ისეთ კურიოზებს, რომ პატარა ნიჭის პატრონი გიორგი ერისთავი რჩება შთამომავლობის ხსოვნაში, როგორც ახალი ეტპის დამწყები და რეფორმატორი. ხოლო ილია ჭავჭავაძის რომელიმე უფრო დიდი ტალანტით აღჭურვილი ეპიგონი ეძლევა დავიწყებას.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის მკვდარი წერტილიდან დაძვრისა და განვითარებისათვის არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა ტრადიციული მხატვრული ფორმებიდან თავის დაღწევისა. მართალია, ეს არ არის ადვილი საქმე, რუტინას აქვს თავისი სიმძიმე, მაგრამ საიმედო შემოქმედებითი პერსპექტივების დასახვა შესაძლებელია მხოლოდ გაცვეთილი ხერხების უარყოფით და საერთოდ ეპიგონური განწყობილების ლაბირინტიდან გამოსვლით. არავითარი ორიენტაცია წარსულ მხატვრულ კულტურაზე და გარდასულ ფორმეზე არ შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურის წინსვლად. რესტავრაცია ძველი შემოქმედებითი ფორმების, ყოველგვარი სახის სწავლა („უჩობა“) კლასიკოსების ნაწარმოებებზე წარმოადგენს მწერლობისათვის ერთი ადგილის ტკეპნას და „შემოქმედებით კრიზისს“. რა უნდა ისწავლოს კლასიკოსისგან თანამედროვე ახალგაზრდა მწერალმა? აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე იმიტომ იყვენ თავისი ეპოქის უდიდესი სიტყ-

ვის ოსტატები, რომ მათ თანამედროვე თემატიკა დაამუშავეს შესაფერი მეტყველებითი საშუალებებით და შესაბამისი ფორმალური ხერხებით. მაგრამ დღეს, ჩვენი დროისთვის, მათი თემატიური მასალა (სოციალური გარემო: ბატონყმური ურთიერთობა) ძველის-ძველი ამბავია და მხატვრული ხერხები — გაცვეთილი. „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“ თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებენ, რადგან ამ ლიტერატურულმა ფაქტებმა თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია უკვე შეასრულეს გარკვეულ ისტორიულ გარემოში, კონკრეტულ სოციალურ ურთიერთობაში და დღეს წარმოადგენენ მხოლოდ ლიტერატურული ისტორიის მასალას.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის სხვა გზები და პერსპექტივები არ არსებობს გარეშე ტრივიალურად ქცეულ ფორმებიდან თავის დაღწევისა. ამიტომ ყველა ლიტერატურული დაჯგუფებისათვის, რომელსაც სურვილი აქვს „მემარცხენეობასთან“ ერთად მოზიარე შეიქნეს ლიტერატურული რევოლიუციის. სავალდებულოა ერთი საორიენტაციო პლატფორმის, ერთი უმთავრესი სათვალსაზრისო დებულების მიღება: ეს არის არსებული ტრადიციული მხატვრული კულტურის უარისყოფა და მისი შეცვლა ახალი ლიტერატურული შემოქმედებითი პრინციპებით.

გაუგებრობა

მიხეილ ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში („ქართული მწერლობა“ №2-3. გვ. 120) ეხება „ფორმალისტების ბელადს ასეევს“. პატივცემული ბელეტრისტი, ალბათ, გულისხმობს პოეტ ნიკოლოზ ასეევს. ეს არის გაუგებრობა, გამოწვეული, ალბათ, იმით, რომ იმ ხანებში, როდესაც მიხ. ჯავახიშვილი სწერდა თავის სტატიას, რუსულ სალიტერატურო გაზეთ „ჩიტატელ ი პისატელ“-ში №4-5 დაბეჭდილი იყო „ლეფის ჯგუფის პროგრამა“ ნიკ. ასეევის ხელმოწერით. პოპულიარულ ბელეტრისტის საყურადღებოთ, ფაქტიური შენიშვნის სახით, ვაცხადებთ:

1. პოეტი ნიკოლოზ ასეევი არასოდეს არ ყოფილა ფორმალისტების ბელადი და არც უბრალო წევრიც ფორმალისტების ჯგუფისა.

2. ფორმალური მეთოდის საფუძვლების ჩამყრელი და მეთაური თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში იყო და არის **ვიქტორ შკლოვსკი.**

ფაქტები:

1914 წელს, როდესაც ფუტურისტები არღვევდენ ტრადიციულ პოეტიკას და მკითხველი ობივატელის ჩვეულ მყუდროებას, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული „ოპოიაზის“ ჯგუფი („პოეტური ენის შემსწავლელი საზოგადოება“), ვიქტორ შკლოვსკიმ გამოსცა თავისი წიგნი: „Âî ñêðåø åí èå ñëî âà“, სადაც პირველად იყო წამოყენებული პრინციპი ფორმის, როგორც მხატვრული ათვისების სპეციფიური ნიშანი.

სამი წლის შემდეგ ვიქტორ შკლოვსკიმ გამოაქვეყნა წერილი: „ხელოვნება, როგორც ხერხი“ („პოეტური ენის თეორიის კრებული“, ნაწ. II, 1917 წ.). ეს იყო, ბორის ეიხენბაუმის სიტყვით, თავისებური მანიფესტი ფორმალური მეთოდისა. ამ წერილში ფორმის კონკრეტი ანალიზისათვის დასახულ იქმნა ახალი პერსპექტივები და ამასთანავე მოხდა დაშორება, როგორც პოტებნიასაგან, ისე სიმბოლიზმის თეორეტიულ პრინციპებისგან.

პოტებნიანობისაგან სრულ გამიჯვნას ჩვენ ვხედავთ ვიქტორ შკლოვსკის მესამე წერილში „პოტებნია“ (კრებული „პოეტიკა“, პეტროგრ., 1919 წ.). ყველა მოყვანილი წერილები ვიქტორ შკლოვსკისა, შეიძლება, ჩაითვალოს ფორმალისტების მუშაობის დასაწყის პერიოდათ.

რუსული ფორმალიზმის ისტორია და შკლოვსკის ადგილი ამ საქმეში, ვისაც ეს ეინტერესება, ვრცლად არის მოცემული ბორის ეიხენბაუმის შრომაში: „ფორმალური მეთოდის თეორია“.

3. ყველაფერი ამის ცოდნა **სასურველია** ქართველი მკითხველისათვის, **საჭიროა** ბელეტრისტისათვის და **აუცილებლად სავალდებულოა** იმ მწერლისათვის, რომელიც თე-

ორეტიული ხასიათის წერილს ბეჭდავს ლიტერატურულ საკითხებზე; მით უმეტეს მაშინ, როდესაც წერილი ეხება რუსულ ფორმალიზმს, რომელიც თურმე არის „პირწავარდნილი ნიჰილიზმი და ახალმოდური დეკადანსი“ (?!).

4. ამ შენიშვნას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ პედანტები ვართ, ან-და განზრახ შარი გვინდა აუტეხოთ ვინმეს. არა, საქმე რომ ეხებოდეს უბრალო და შეიძლება, უნებლიე ლაპსუსს, ჩვენ ამდენ კორიანტელს არ დავაყენებდით, ენა არავის ექავება. ჩვენ მოვითხოვთ ყველა მწერლისაგან სერიოზულ ერუდიციას იმ საკითხებში, რომელზედაც სწერს, და უდიდეს პასუხისმგებლობას თვითეული დაწერილი სტრიქონისათვის.

პოეზიის დღე

მე დავიღალე ოცნების გზებზე
და უსახლკარო შენთან ვბრუნდები,
მეტად ბასრია ჰაერი მთებზე
მეტად ბრწყინავენ იაგუნდები.
მაინც ეს ხმები და ეს ფერები
ეს მოძრაობა და აგონია
ისე მწყობრია, ვით სიმღერები
და ისე ნაზი — ვით სიმფონია!
რა მომელოდა და რა დამარქვეს:
ნუ თუ ეს იყო ჩემი მიზნები?
სულის სალაროს რადა ვხდი სარქველს,
რისთვის ვინთები? რისთვის ვიგზნები?
თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს,
და ისე ჰყრიან თეთრი ვარდები,
თითქოს ათასი აქ გედი მოჰკლეს.
მეუბნებიან: „გრძნობა გიმონებს,
შენი ლექსები დრომ მიმოჰფანტა“.
მეც სიყვარულით დამწვარ სტრიქონებს
გულში ვატარებ დღეს კონტრაბანდათ.
ავხადე სურვილს მხურვალე ლოდი,
გულს გინახავდი, როგორც შაჰ-ნამეს
და შენ კი თურმე სხვას ჰპირდებოდი
ათას ერთ კოცნას, ათას ერთ ღამეს.
მოვიდა რისხვით ღრუბელი ლეგა
რიგი დაიბნა, ხმლები დაჰყარა
ზღვამ გმინვით ქვიშა შორს გამოლექა
და ფუძე ნაპირთ გამოუთხარა.
სამუშაოდან დაბრუნებული
გარე უბანში გავივლი ქუჩას.
ფიქრობ, რათ უნდა გაჩერდეს გული,
როდესაც ბრძოლას ბოლო არ უჩანს.
მოვდივარ, მომაქვს სხვა მოგონება,
ეს ლექსებია ჩემი ქონება.
საით წავიდე, როგორ ჯობია,
აგერ წყალი დგას და ჭაობია.

ეს ლექსი არ არის ერთი ავტორის. ის შედგენილია „პოეზიის დღეში“ დაბეჭდილ ლექსებიდან და წარმოადგენს კოლექტიურ შემოქმედების ნიმუშს. პირველი კუპლეტი ეკუთვნის გაფრინდაშვილს, მეორე — ზომლეთელს, მესამე — გრიშაშვილს, მეოთხე — ტ. ტაბიძეს, მეხუთე — მარიჯანს, მეექვსე — თარიშვილს და მიყოლებით: იასამანი, ბაბილინა და ტერენტი გრანელი.

ეს ლექსი სხვადასხვა ლექსების კუპლეტებიდან არის შედგენილი, მაგრამ მთლიანობა მაინც დაცულია, რადგან არც ერთ ქართველ პოეტს, აქ მონაწილეს, არა აქვს თავისი განსაკუთრებული სახე და მთელი ქართული ლიტერატურა წარმოადგენს ერთ უნიჭო შტამპს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რამდენად დაცემულია ქართული ლექსის კულტურა.

მთელი პოეზია ერთი ფონია და მის გარღვევას არც ერთი პოეტი არ ცდილობს. ყველა კმაყოფილია, თუ შტამპს შეუფარდა თავისი შემოქმედება.

ბრძოლა ოსტატობისათვის — აი, მემარცხენე პოეტების ლოზუნგი.

ლ. ა-ნი

უვიცობა ახალგაზრდობის სახელმძღვანელოდ

აღმოჩნდა ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი თედო ბეგიაშვილი. დასწერა ორი წიგნი: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ და „ლიტერატურული საუბრები“. უკანასკნელ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ ეს წიგნები ლიტერატურით დაინტერესებულ ახალგაზრდობის და მუშების სახელმძღვანელოთ არის შედგენილი.

წიგნები-კი უვარგისია — უვიცობა და უცოდინარობა ყოველ გვერდზე გხვდებათ ნიმუშათ.

წიგნის დახასიათებისთვის შეიძლება რამოდენიმე ადგილის მოყვანა.

პირველი. „აკმეიზმისა და იმაჟენიზმის შესახებ ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ რადგან ეს სკოლები ყალიბის პროცესშია ჯერ“.

ამაზე მეტი უცოდინარობა ახალი ლიტერატურის წარმოუდგენელია. აკმეიზმი ჯერ 1914 წელს გარდაცვლილი სკოლა იყო. 1913 წელს ბლოკი სწერს, ფუტურიზმს ეტყობა, რომ ძლიერი მიმდინარეობაა, ის არა გავს უდღეურ აკმეიზმსო.

შემდეგ 18 წელში წარმოიშვა ნეო-აკმეიზმი რომელიც იმ წელსვე მოკვდა. ასე რომ, „ყალიბი“, პროცესი ჯერ კიდევ ომამდი დასრულდა და ომამდე სიკვდილიც მოასწრო ამ მიმდინარეობამ.

რაც შეეხება იმაჟენიზმს აქაც ყალიბი, პროცესი 21 წელში დასრულდა, ხოლო 23 წელში ეს შკოლა დაშლილათ გამოაცხადეს თვით ამ შკოლის შემქმნელებმა.

მხოლოთ ბეგიაშვილის თავშია ეს სკოლები ჩამოყალიბების პროცესში და არა ლიტერატურაში.

მეორე — ავტორის აზრით „ლეფი უდრის ქართულ პროლემაფს.“ აქ ავტორი შეიყვანა შეცდომაში ალბათ ამ სიტყვების ალიტერატიულმა ნათესაობამ. მაგრამ ამით ხომ არაფრის გამორკვევა არ შეიძლება. ასე რომ იყოს თედო და გათენდა მონათესავე ცნებები იქნებოდენ. სინამდვილეში (და ამ შემთხვევაში)-კი თედო დაბნელებას ნიშნავს და არა გათენდას.

ასეთი შეცდომები და უცოდინარობა წიგნში მრავალია. ამ შეცდომებს და ლიტერატურული უცოდინარობას ავტორი სახელმძღვანელოთ აწვდის ახალგაზრდობას.

აქ შეიძლება ჩამოყალიბებული მოსაზრებით და გადაჭრით ითქვას, რომ ამ წიგნით ხელმძღვანელობა არ შეიძლება.

მიმბაძველის მიმბაძველი

აყვავდა სიტყვა უნაყოფოდ ნათავხედარი...

ს. აბაშელი

ჩვენ არ გვესმის, რას უნდა ნიშნავდეს აყვავებული სიტყვა უნაყოფოდ ნათავხედარი. ეს სტრიქონი დამახასიათებელია აბაშელისთვის. ასეთი განძი მას ბევრი მოეპოვება, მაგ. „ანთებული გრგვინვა“, „ცარიელი ცეცხლის ფიალა“, „სისხლ შენასვამი და ნამთვრალევი“ და სხვ. ეს სტრიქონები ნათელჰყოფს, თუ რამდენად დიდი ოსტატია და გემოვნების მქონე ს. აბაშელი, მხოლოდ ამხ. გ. მუშიშვილისთვის ეს ამბავი უცხოა და მისი ცნობით აბაშელი წარმოადგენს სანიმუშო მეტრს ქართულ ლიტერატურაში. „მნათობის“ ერთერთ ბიბლიოგრაფიულ წერილში მუშიშვილმა მიანიჭა დიდი ოსტატის სახელი აბაშელს და სთქვა: „მოსაშვილი ჰბაძავს აბაშელს და კარგადაც სჩადის, რადგან აბაშელის ფორმა მისაბაძიაო“. ჩვენ გვაინტერესებს, როგორ ესმის ამხ. მუშიშვილს ფორმის ცნება? თუ აქ იგულისხმება ლექსის ფონეტიური სტრუქტურა, სინტაქსიურ ფიგურათა აღნაგობა, მეტრის გადახალისება და ლექსიკონის შერჩევა, რაიმე ამგვარი ს. აბაშელს სრულებით არ ახასიათებს. ს. აბაშელი არის შტამპის პოეტი და მსოფლმხედველობით წმინდა წყლის სიმბოლისტი. მაშ, რათ უნდა მიბაძოს მოსაშვილმა აბაშელს, შეიძლება აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კვიცი გვარზე უნდა ხტოდეს, მაგრამ ეს გვარი ხომ სიმბოლიზმიდან მოდის და ბარემ სიმბოლიზმის პირველ წყაროებს მიჰბაძოს მოსაშვილმა, რადგან მიბაძვა მისთვის ასე მიუცილებელი რამ ყოფილა.

ერთი ტვინის ევოლიუცია

რუსთაველის თეატრში „რღვევის“ დადგმის გამო გაზეთებში დაიბეჭდა ინტერვიუ რეჟისორ ალ. ახმეტელთან, სადაც ის აცხადებდა: „მეორე და მეოთხე მოქმედება „რღვევისა“ განსხეულებულია კონსტრუქტიულ ფორმებშიო“.

მაგრამ როდესაც მივედით და ვნახეთ დადგმა, იქ არავითარი კონსტრუქტივიზმი არ აღმოჩნდა, ეს ამბავი ჩვენ გადავეცით ახმეტელს, მან საპასუხოდ განაცხადა, რომ ეს ნეოკონსტრუქტივიზმია.

მაგრამ როდესაც ჩვენ უთხარით ერთერთ დისპუტზე, რომ ასეთი მიმდინარეობა ხელოვნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მან საპასუხოდ განაცხადა: „მოგატყუეთო“.

მაგრამ როდესაც ჩვენ ხელმეორედ ავუხსენით, რომ ოფიციალურ პრესაში ტყუილად ხუმრობა არ შეიძლება, მაშინ მან საპასუხოდ მეორე დისპუტზე განაცხადა: კონსტრუქტივიზმი მოითხოვს სტატიკას, ხოლო ჩვენ დინამიკა გვქონდა პიესაში მოცემული და ამიტომ კონსტრუქტიული გაფორმება არ მოხერხდაო.

მაგრამ როდესაც ჩვენ ამის შესახებაც მოვახსენეთ, რომ კონსტრუქტივიზმისათვის სტატიკა სავალდებულო არ არის და ეს რეჟისორმა უნდა იცოდეს, მაშინ ახმეტელმა თეატრალურ თათბირზე მოიტანა რამოდენიმე ციტატა ბეხტერევისა, გაურია სტანისლავსკის ციტატებში და თვითონაც შიგ ჩაერია...

მაგრამ როდესაც ამის საპასუხოდაც უთხარით, რომ ყველა ეს მისი ნალაპარაკევი აბსურდია და გაუგებრობა, მაშინ მან საპასუხოდ განაცხადა:

„მე საერთოდ ლაპარაკი არ ვიცი“ და მოსკოვში გაემგზავრა.

ს-ჩ-ი

ამოცანები

ხშირია შემთხვევა, როდესაც ლექსი მხიარულ გუნებაზე დაგაყენებს. დასწერს პოეტი რაიმე მოხდენილ სტრიქონს და ეს სტრიქონი შეიძლება მოიხმარო რაიმე მხიარულ გასართობათ. ან გაიცინო, ან ამოცანასავით გადასწყვიტო. ერთ დროს რუსი იუმორისტი ციფრკინი ადგენდა ასეთ ამოცანებს მაგალითად: ნაპოლეონ პირველმა მოსკოვი აიღო 1812 წელს. რომელ წელს აიღო მოსკოვი ნაპოლეონ მესამემ?

ერთი პოეტი სწერს: **„რომ ვარ ნამდვილი ხალხის პოეტი, მდგარი მიწაზე ორივე ფეხით“** (პ. იაშვილი).

საინტერესო ამოცანაა. რამდენი ფეხით დგას მიწაზე არა ხალხური პოეტი?

ხანდახან ზოგი, ერთი სტრიქონით პირდაპირ კითხვის დასმა არ შეიძლება ასეთები შეიძლება გავდენ განუსაზღვრელ ამოცანას. მაგ: **„სანამდე უნდა, რომ მზეთ ედინოს გავარვალებულ ოქროს თვალებს“** (ტ. ტაბიძე).

ვინ? რას? სად? რა? როგორ? — არცერთი კითხვა არ უდგება. ამ სტრიქონების ამოხსნა შეუძლებელია მაგრამ ის მაინც რჩება ამოცანათ.

ხშირია ისეთი სტრიქონები, რომელნიც ერთმანეთთან შებმული არიან ძალდატანებითი ქორწინებით **„დღეს ლექსს თან ახლავს სიმამაძაღლე, მე ძველი დამრჩა გულის ფრიალი“** (ტ. ტაბიძე).

ამოსაცნობია, თუ როგორ შეუღლდენ ეს სტრიქონები. ეტყობა, ერთ-ერთი სტრიქონი მეორეს ხასა უნდა იყოს.

ქართულ ლექსებში მრავალია ასეთი ამოცანები. სამწუხაროა, რომ პროლეტ-მწერლებიც სიმბოლისტებთან სიახლოვის გამო მიმართავენ ხშირად ამ ხერხს. პროლეტ-პოეტებში ისეთ საყურადღებო პოეტს, როგორც არის ნაროუშვილი, აქვს ამოცანა **„მე ჭერქვეშელი მესაუბრება ცხოვრების სიღრმით დამძიმებული“.**

უპასუხე: ხალხი ცხოვრობს ჭერ ქვეშ, ვინ ცხოვრობს სახურავ ქვეშ?

ა-ბ-ი

ნაწყვეტი სახელგამის საქმიანობიდან

ჯერ კიდევ მწერალთა ყრილობაზე მივაქციეთ ჩვენ ყურადღება მემარცხენე მწერლებისა და სახელგამის დამოკიდებულებას. ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა განაცხადა, რომ სახელგამსა და მემარცხენე მწერლებს შორის არავითარი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობსო.

სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება. სამი წლის წინად გამოცემული იქნა დ. შენგელაიას ერთი წიგნი და შემდეგ არავის სცნობენ გამოცემის ღირსად.

რას ნიშნავს ეს?

ორი წლის წინად მიღებულ იქნა ჩიქოვანის წიგნი. დადგენილება ხელმეორედ გამოტანილ იქნა მიმდინარე წლის დასაწყისშიც. სამწუხაროდ ორივე დადგენილება გაჰქრა და წიგნის გამოცემის საკითხი გამოურკვეველია.

ამ ამოცანის ახსნა არავის არ შეუძლია, ასევე ექცევიან სხვა მემარცხენე მწერლებს, როდემდის გასტანს ეს? ვინ შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა. შეიძლება რომელიმე ხელმძღვანელი არ სცნობს მემარცხენე ფრონტს, მაგრამ დაწესებულების ერთი ან ორი კაცის

გემოვნებით არ შეიძლება მთელი საგამომცემლო პოლიტიკის წარმოება ლიტერატურისთვის არის სავალდებულო შეხედულება.

რაშია, ამხანაგებო, საქმე?!

„მემარცხენეობის“ რედაქცია

მემარცხენე ფრონტის კინო-მუშაკთა პირველი თათბირი 19 თებერვალს, 1928 წ.

კრებას დაესწრენ მემარცხენე ფრონტის კინო-მუშაკთა გარდა მისი ახლო მოკავშირენი: გ. არუტინოვი, ლ. ესაკია, ნ. შენგელაია, შ. ალხაზიშვილი ს. დოლიძე, ს. ჩიქოვანი, ა. ბელიაშვილი, მ. ჭიაურელი და ა. ჟღენტი (კრებას ვერ დაესწრო მ. კალატოზიშვილი), თავმჯდომარეობს ბეს. ჟღენტი.

თავმჯდომარის შესავალი სიტყვის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ლ. ესაკიამ, გ. არუტინოვმა, ნ. შენგელაიამ, შ. ალხაზიშვილმა, ს. ჩიქოვანმა და სხ.

თათბირის ვრცელი ანგარიში და მიღებული რეზოლიუცია უადგილობის გამო „მემარცხენეობა“-ს ამ ნომერში არ იბეჭდება.

ა. წ. 3 თებერვალს შესდგა მემარცხენე ფრონტის სხდომა. დღის წესრიგში იდგა: მემარცხენე ფრონტის უკანასკნელი წლის მუშაობის რევიზია. მომხსენებელი — ს. ჩიქოვანი. კამათი გაგრძელდა სამ სხდომაზე. მომხსენებელმა აღნიშნა მიღწევები და ნაკლულოვანებანი მემარცხენე ფრონტის მუშაობის ამ პერიოდში. ჯამი გაუკეთა არსებულ მხატვრულ პროდუქციის ღირებულებას, შეეხო დღიურ საკითხებისადმი მეტი აქტივობის გამოჩენის საჭიროებას და ლაბორატორიულ მუშაობის შემდგომი გაგრძელება აუცილებლობათ სცნო.

სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებთან დამოკიდებულების შესახებ, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ჩვენი ბრძოლა მემარჯვენე ლიტერატურის მიმდინარეობებთან უფრო გადამწყვეტი უნდა იყოს. საჭიროა პროლეტარულ მწერლების ასოციაციასთან კონტაქტი, მაგრამ მომხსენებელთა აზრით მათთან მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცებას ჯერჯერობით ხელს უშლის ასოციაციის ზოგიერთ ხელმძღვანელთა საქმიანობა.

საქ. „მემარცხენე მწერლობის“ ჯგუფმა ხარკოვიდან მიიღო ექვსი ნომერი ჟურნალი „Í î âà Ãåí åðàöià“, უკრაინის მემარცხენე ფრონტის ორგანო, რომელსაც რედაქტორობს უკრაინის ცნობილი პოეტი და თეორეტიკოსი მიხეილ სემენკო. ჟურნალის მიღებასთან ერთად ჯგუფი მიწვეულია „Í î âà Ãåí åðàöià“-ს თანამშრომლად.

„მემარცხენობის“ რედაქცია ესალმება უკრაინელ ამხანაგებს და იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი დამოკიდებულება მათთან უფრო განმტკიცდება საბჭოთა რესპუბლიკებში არსებულ ეროვნებათა კულტურულ დაახლოვების მიზნით.

საქ. „მემარცხენე მწერლობის“ ჯგუფმა მინსკიდან მიიღო ბელორუსიის ლიტერატურის მემარცხენე ფრონტის თათბირში მისაწვევი დეპეშა, რომელიც შესდგა ამ გაზაფხულზე. ჯგუფმა მიიღო აგრეთვე ორი ნომერი ამავე ჯგუფის ორგანო „Ðî ñêâiò“. „მემარცხენეობის“ რედაქცია სალამს უძღვნის ბელორუსიის მემარცხენე ამხანაგებს და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ დეპეშის დაგვიანების გამო ქართველ მემარცხენეებს საშუალება არ მიეცათ დასწრებოდენ თათბირს, რის გამო მინსკში გაგზავნილ იქმნა საპასუხო დეპეშა ჯგუფის თავმჯდომარის — პოეტ პაულ შუკაის სახელზე.

მიკამელობა

№ 1927 1

ყდაზე სურათი „შრომა“ და ყდის მხატვრობა შესრულებულია
მხატვარ ნიკოლოზ გოცირიძის მიერ.

რედაქტორი: გრიგოლ ცეცხლაძე.

„მოქმედება“, 1927 , №1

მოქმედებისათვის

თანამედროვე ქართული ხელოვნება მაჩვენებელია, რომ ჩვენ გავიარეთ კულტურის მნიშვნელოვანი საფეხურები და ბევრი რკალი შემოიხაზა.

დღეს ჩვენს წინ დგას ახალი ამოცანა.

ეს ამოცანაა ეპოქის ესთეტიურ მოთხოვნილებათავის პასუხის გაცემა.

უნდა მოხდეს მხატვრული აღთქმის სივრცეთა განშლა.

საჭიროა მხატვრული ფორმის პრობლემასთან ერთად ძიება ახალი შინაარსის.

უნდა შეიქმნეს ახალი.

დემოკრატიული მწერლების ისტორია რევოლიუციის წინა დროს ეკუთვნის. მათ ნაწერებს რევოლიუციამდე ჰქონდა აზრი, როგორც პროტესტის ხმას ძველი წესწყობილების მიმართ, თუმცა მხატვრულ თვალსაზრისით გამართლებული მათი შემოქმედება არასოდეს არ ყოფილა. ახალ კულტურას ამ მწერლებმა ალღო ვერ აუღეს.

სიმვოლიზმმა „Correspondances“-ის „სურნელება ჩვილ ყრმასავით ახალი“ უკვე დაჰკარგა და მთლიანად გადავიდა მისტიურ უმიზნობაში და მისტიფიკაციაში.

ცისფერ ყანწელებს ჰქონდათ კერძო მიღწევები, მაგრამ არ ჰქონდათ საკუთარი მიმართულებითი ხედვა, ისინი არ იყვნენ გამორკვეულნი, არ ჰქონდათ რწმენა. ყანწელები ეხლაც გაურკვეველნი არიან. ისინი დღემდე აწარმოებენ „დაბევების“ პოლიტიკას, არც ერთი ახალი მიმართულება არ უნდათ ააშორონ თავიანთ ჯგუფს. იმათ პრეტენზიები აქვთ: სიმვოლიზმზე, ფუტურიზმზე, ექსპრესიონიზმზე, რევოლიუციონურ პოეზიაზე, იმაჟინიზმზე და დადაიმზედაც კი. ყანწელებმა ვერ შეჰქმნეს საკუთარი იდეოლოგია, საკუთარი შეხედულება და გარკვეული მიმართულების მაგიერ, როცა მათი ისტორია სრულდება, ხელში შერჩათ „ყოვლისმცოდნეობა“ და ყველა მიმდინარეობისადმი ხელის წაპოტინება.

ხანში შესულმა ფუტურიზმმაც გამელოტებული თავი უკვე შეჰყო ქუდში. კერძოთ ჩვენი, ეგრედწოდებული, ქართველი ფუტურისტები „აკეთებენ“ ფრიად უგემურ „ნივთებს“. ისინი ნაგვიანევად აცხადებენ, რომ ახდენენ ლექსიკის ქიმიურ დაშლას. შესაძლოა, ეს მათი განცხადება კაცმა დაიჯეროს კიდეც, ვინაიდან ქიმიური ოპერაციის საშვალებით ხდება სუფროგატის ცალკე გამოყოფა და ფუტურისტებიც სწორედ სუფროგატით უმასპინძლდებიან თავიანთ მკითხველებს.

პროლეტარულმა მწერლობამ თავისი ლექსიკონი მეტის მეტად განსაზღვრა, რაც ხელს უშლის მის წარმომადგენლებს ჯეროვანად ასახონ ახალი ყოფა. კეძოდ, ჩვენი ქართველი ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები ვერ მიდიან შემოქმედებასთან საკმაო სიმართლით და ამღერებით. ისინი ჰბაძავენ წინა სკოლებს ტრაბახობაში და ესწრაფვიან პოპულიარობის იოლად მოპოებას. ისინი კარგათ ვერ გრძნობენ იმ სიძნელეს და პასუხისმგებლობას რომელსაც მათ აკისრებს იდეოლოგია და ახალი საზოგადოებრივობის მესვეურთა მათზე მზრუნველობა.

არსებობს ჩვენში კიდევ ორი დაჯგუფება: ეგრეთწოდებული „აკადემიური მწერლობა“ და „არიფის“ ჯგუფი. მაგრამ ამ დაჯგუფებებს არა აქვთ ლიტერატურული მიმდინარეობითი დაჯგუფების ხასიათი.

„აკადემიურ მწერლობას“ ჰყავს ინიციატორთა გამგეობა, რომელიც თვითნებურად გამოდის მოხუც და დაჯგუფებათა გარეშე მყოფ მწერლების „ოპეკუნის“ როლში და ატარებენ მათი წარმომადგენლების სახელს. რა თქმა უნდა, ეს ჯგუფი, წმინდა ლიტერატურულ ჯგუფურ მუშაობას არ აწარმოებს და ვერც აწარმოებს, რადგან მათი წევრების შემაერთებელი, გარდა საერთოდ მწერალთა კავშირის წევრობისა და ჯგუფის მოთავეთა პირადი ინტერესებისა, რომელიც უთუოდ არ არის ლიტერატურის სფერო, არაფერი არსებობს.

არიფი არის „ერთეულების“ ჯგუფი, რომელთაც ჯგუფის დაარსების მეოხებით თავი დაახწიეს ერთის მხრივ ყანწელების და მეორეს მხრივ „აკადემიკოსების“ ძალადობით ოპეკას. როგორც მათი სახელი განსაზღვრავს, აქვთ იმედი ძმობისა და პურ-პარილის. ლიტერატურულათ ამ ჯგუფს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ექნეს გარკვეული სახე, ვინაიდან იქ თავს იყრიან, უმთავრესად, უკვე გამორკვეული ცნობილი მწერლები, რომელთათვისაც „Ï ðî ø ëè ãî äà ñî åäèí åí èÿ“; მათთვის მწერლობის თავიდან დაწყება, ახალი მიმართულებით, სახიფათო ოპერაცია იქნება, — ისე კი აზროვნობით აშკარა, სხვადასხვა კონსტრუქციის ხალხს წარმოადგენენ.

აღვნიშნავთ რა ყველა ამას ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესახებ, ჩვენ ვამბობთ: უნდა შეიქმნეს ახალი, რომელსაც მიიღებს ეპოქა როგორც სიმღერებში ჩასმულ სინათლეს.

ჩვენ ვაყენებთ სინთეტიზმს.

სინთეზი ახალი ფორმისა და შინაარსის.

ახალმა ხელოვნებამ უნდა მოგვცეს სინთეტიური სახე ახალ ყოფაში მომქმედ ცოცხალ ადამიანის და არა კერძო გამოჩინება იმ ჟარგონისა და განცდების, რომელნიც არ არიან ცხოვრებასთან აქტიურ დამოკიდებულებაში და აღარ აღელვებენ თანამედროვე ადამიანს.

სინთეტიზმი იხსნის ხელოვანთ ცალმხრივობისა და კარჩაკეტილობისაგან.

სინთეტიზმი გამოიყენებს წარსულის მიღწევებს, როგორც მასალას ახალის შესაქმნელად.

რა თქმა უნდა, სინთეტიზმი, რამდენადაც ის მოიპოებს გამართლებას, მატარებელი იქნება განსაკუთრებული სახის; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის მოემწყვდევა ვიწრო დოგმატიურ ფორმაში, ვინაიდან ჩვენ გვწამს, რომ ხელოვნება ზუსტათ არასოდეს არ აყალიბებს სრულყოფის კანონებს.

ჩვენი წრე, რომლის წევრებს აკავშირებს მუშაობის საერთო მეთოდი და მხატვრული ამოცანები, გამოდის რა სამოქმედოთ, ემყარება ლოზუნგის თანამედროვეობას და სისწორეს;

ამ ჩვენს პირველ ალმანახში იბეჭდებიან ისეთი ავტორებიც, რომელნიც მოცემული შემოქმედებით მთლიანად არ ეკუთვნიან სინთეტისტების სკოლას, მაგრამ იზიარებენ იმ თეორეტიულ ხაზს, რომელსაც სახავს ჯგუფი და სჯერათ მისი გამარჯვება.

„მოქმედება“ იქნება საფუძველი, რომელზედაც დაეყრდნობა ჩვენი მომავალი შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენ გვწამს შეჯიბრება, ჩვენ გვწამს ბრძოლა ახალი კულტურის განსამტკიცებლად და ვამბობთ: შეიძლება მართლაც: „პოეზია ჰგავდეს იმ ველურების ტყეს, სადაც შვილები მოხუცებულ მამებს ჰკლავენ“.

მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ქართული ხელოვნების საღ ნაწილს აერთიანებდეს ერთი ფრონტი, ერთი ძირითადი იდეისათვის მოქმედება, — მისი მიზანი უნდა იყოს ახალი ხელოვნებისა და კულტურის აყვავება და ყველა ის, ვინც ამ მიზანს კეთილშობილურად ემსახურება, ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს უნდა მიაჩნდეს თავის მოყვასად.

უნდა ბოლო მოეღოს ლიტერატურულ არაკეთილსინდისიერებას: „თავისიანისათვის“ დაუმსახურებელ ქებათა-ქების შესხმას და სხვათა უსამართლო გაბიაბრუებას.

მხატვრული კრიტიკის პრეტენდენტები უნდა გრძნობდნენ თავს მოვალედ, რომ იყვნენ საქმის კურსში, გამოეხმაურონ მოვლენებს და მოგვცენ მათი სინდისიერი და ჯეროვანი შეფასება.

კრიტიკი უნდა იყოს შემფასებელი, ამხსნელი და განმმარტებელი მხატვრულ ნაწარმოებთა და არა მტერი ან მოყვარე ამა თუ იმ ხელოვანის.

კრიტიკი უნდა იყოს ხელოვანის თანამშრომელი, მისი წამხალისებელი; ვინაიდან თავის ნიჭსა და გენიალობაში აბსოლიუტურად დარწმუნებულნი მხოლოდ იდიოტები არიან.

გენიას თან ახლავს სკეპსისის ბაცილა, მისთვის საჭიროა სხვისი აზრის მოსმენა, რომ თავისი შემოქმედების ნაყოფი საქმედ ჩასთვალოს.

უნდა გაიწმინდოს მური, რომელიც ედება დაჯგუფებებში შეფარებულთა გულებს.

ვინც გენიის ძლევამოსილებით გაანათებს, ჩვენ ყოველთვის უნდა შევხვდეთ მას ღია გრძნობებით, ყოველთვის უნდა წავახალისოთ იგი ახალი მიღწევებისათვის, მუდამ ბეჯითად და აღტაცებით უნდა დავუკრათ მას ტაში.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა მათ, ვისშიაც იწვევს კეთილშობილურ აღფრთოვანებას მაღალი აზროვნება, მშვენიერი პოემა, სასიამო ჰანგები და მხატვრული ფერადები, გამოიჩინონ მეტი აქტივობა მორალის და ესთეტიური გემოვნების ორგანიზაციის საქმეში.

გრიგოლ ცეცხლაძე

ხელოვნება და ფილოსოფია

საზოგადოების უმრავლესობა დაინტერესებული არაა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემებით, როგორიც არის ფილოსოფიური პრობლემები, იმიტომ რომ მეცნიერული მკვლევარნი ამ დარგში სარგებლობენ ფართე მასისათვის მიუწვდომელი ტერმინოლოგიით.

ისინი ხმარობენ გაცვეთილ უაზრო და მეტის-მეტად აბსტრაქტიულ ფრაზებს, რომელთაც არასდროს არ ჰქონიათ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა.

იბადება კითხვა: რატომ ისინი, რომელთა მოვალეობას შეადგენს ამ საკითხების გაშუქება, ასე დაჟინებით სარგებლობენ გაურკვეველი ფრაზებით.

ამის ახსნას ჩვენ ვპოულობთ მასში, რომ მხოლოთ მცირე რიცხოვანმა ჯგუფებმა იციან, რისი თქმა ჰსურთ მათ, როცა ისინი ლაპარაკობენ თავისი ცდების უფრო კონკრეტულ

და გარკვეულ ფაქტების გარეშე. საერთოდ ისინი არაფერს არ ხსნიან, ვინაიდან არაფრის ახსნა არ შეუძლიათ.

აი, რა იწვევს გაურკვეველი ბოდიალის აუცილებლობას, ეს არის თავდაცვის იარაღი, რომელსაც ჰფარავენ უშინაარსო ფრაზები.

ხელოვანთა გამოთქმა არის ბურუსში გახვეული, რადგან არაფერი ისეთი სათქმელი არა აქვთ, რაც აიძულებდეს მათ, რომ იყვნენ გარკვეულნი.

ისინი გამაგრებულნი არიან თავიანთი მდგომარეობით, თავიანთი ექსცენტრიულობით, თავიანთი ყალბი უპირატესობით და მათი წრეების მფარველთაგან შევიწროებულებს ძლიერ ცოტა რამ რჩებათ საერთო ფართე მასასთან.

აქედან თუ ხელოვნება და ფილოსოფია იმის მაგივრად, რომ იყვნენ პარაზიტული ხორცმეტები, მოწოდებულნი არიან მოგვცენ ცხოვრების ფორმა და მთელი კაცობრიობის ყოფის დახასიათება, თუ ისინი უნდა იქნან ცნობილნი როგორც ფორმის მიმცემი ძალები და უნდა იძლეოდნენ კაცობრიობის ინტერესების სისტემატიური გამართულობის მაგალითებს, აუცილებელია, რომ თავდაპირველად, სწარმოებდეს მოქმედება თვით ფილოსოფოსთა და ხელოვანთა რიგებში.

საჭიროა კრიტერიუმი, რომელიც ჰყოფს რეალურს მოსაჩვენარისაგან. ჩვენის აზრით, ასეთი ცდა არის თვით გარკვეულობა.

გენიის თანდაყოლილი გამსჭვირვალობა არაა შემთხვევითი და არც საიდუმლოებით მოცული. გენია სასიცოცხლო ძალაა ისეთ ხარისხამდე აყვანილი, რომ აძლიერებს ყოველნაირ შეგრძნებათა შექმნას. თვალდანახული საგნები ხდებიან კიდევ უფრო თვალდანახულნი და მათი ურთიერთშორის შემაკავშირებელი ძაფები საჩინო ხდებიან. სუსტი შთაბეჭდილებანი ძლიერად გვეჩვენებიან, გარდამავალი შთაგონებები მტკიცდებიან. მოკლედ რომ ვსთქვათ, ყველაფერი ბრუნავს ძალის საკითხის გარშემო შთაბეჭდილების ძალა იწვევს ფორმის სისრულეს, უკანასკნელ კი თავის მხრივ იწვევს შთაბეჭდილების სისრულეს და გამტანობას ამ შთაბეჭდილებისა, რომელიც თვით არის სტილი.

გენია თავისი თანდაყოლილი თვისებების მეოხებით ერთსა და იმავე დროს ხდება ოსტატი სიღრმის, სინათლის და სტილის. კაცი, რომელსაც ეს თვისებები აქვს, შესძლებს ყოველთვის, ამაში ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, გაიჩინოს თავისი მიმდევრები, იმ შემთხვევაში თუ ის დარწმუნებულია, რომ მას უსმენდნენ; სხვანაირად რომ ვსთქვათ, როცა გენია ეშვება თავისი შემოქმედების ახსნამდე ის ყოველთვის, კიდევ უფრო, ამტკიცებს თავის უფლებას. საერთოდ წინად სათაკილოდ სთვლიდნენ ახსნას, ახსნა ითვლებოდა სისუსტედ. ჩვენ კი ვგონებთ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ძალა, თითქმის იყო ჩვენი ინტელექტუალური სისუსტის საზომი.

ახსნა-განმარტება შეიძლება ჩაითვალოს სისუსტეთ მხოლოდ მაშინ, როცა ლაპარაკია სისუსტეზე როგორც ასეთზე ე. ი. როცა ის (სისუსტე) თავისთავათ ახსნილია.

გენიას უყვარს ლაყბობა, ის ამხელს თავისთავს, მას არავითარი საქმე არა აქვს მისტიკასთან ან ფანტასტიკასთან (თუ ის არ არსებობს რეალობაში და არ ემორჩილება ახსნას, რომელიც სავსებით გააბნევდა მას). აქედან გამოდის: იმისათვის, რომ დავსვათ ინტელექტუალური სიბრძნისმოყვარეობა საპატიო ადგილას კაცობრიობის ინტერესთა შორის, აუცილებელია პირველყოვლისა განვთავისუფლდეთ პსევდო-ინტელექტუალისტებისა და მასხრებისაგან.

აქედან შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მოვსთხოვოთ ხელოვანთ, რათა ისინი იძლეოდნენ ლოღიკურ ახსნა-განმარტებებს თავიანთ ნაწარმოებთა და სიახლეთა რო-

მელთაც ისინი ეყრდნობიან და იცავენ. უნდა ვსთხოვოთ მათ, ახსნან თავიანთ ნაწარმოებთა შინაარსი პოპულიარულ ენაზე; ამ რიგათ ხელოვანნი გახდებოდნენ თავიანთი კრიტიკები და ნაწარმოებთა შემოქმედება და კრიტიკა გამოვიდოდნენ და უნდა გამოდიოდნენ კიდეც, პირველყოვლისა ამ ერთადერთ საწყისისაგან.

მართლადაც, კრიტიკა გახდება ფასეული მაშინ, როცა ის გამოვა კაცისაგან, რომელსაც ესმის საქმე, რომელსაც შესწავლილი აქვს თავისი ხელოვნება. ამ რიგათ ხელოვანნი გახდებიან ფილოსოფოსები, სხვანაირად რომ ვსთქვათ: განათლება ხელოვანთათვის იქნება აბსოლიუტური აუცილებლობა.

კრიტიკოსები, რომელნიც არ აწარმოებენ „შესწავლას“, ნელ-ნელა ითქვიფებიან იმ ხალხთა რიგებში, რომელნიც თანდათან უფრო ნაკლებათ გამოიჩენენ შეგნებულ დაინტერესებას ინტელექტუალისტურად გარდაქმნილ ხელოვნებისადმი.

ხელოვანთა პრეტენციოზული ლაყბობა ძალაუნებურად დავა არარაობამდე, რამდენადაც მას აღარ შეეძლება დაემყაროს არც ხელოვანთა პატივმოყვარეობას და არც ფართე საზოგადოების სრულ ინდიფერენტიზმს.

დ. მარსდეანი

ნახაზები

I

რამდენი არ ითქვა ხელოვნებაზე, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა წერტილი დროული, წერტილი მარადიული კი, ცხადია, სიკვდილის მაჩვენებელი იქნებოდა.

არსებობს აზრი, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა; ეს მართალია იმდენად, რამდენადაც იგი, როგორც ნაწილის თვისებათაგან შეიცავს სინამდვილესაც. თუ მივიღებთ, რომ ხელოვნება მთლიანია და ერთ რკალშია მოქცეული, მაშინ ნაწილი მთლიანისა, — სინამდვილეც, მხატვრულ ფორმებში გამოთქმა იქნება. მაგრამ ხელოვნება სინამდვილით არ განისაზღვრება (თუმცა იგი საკმაო დაღს ასვამს მას), მას აქვს ისეთი სფეროც, რომელიც ფუნქციონალურად დაკავშირებულია მთლიანზე — და რომელიც მხოლოდ შორეულ კავშირში იმყოფება სინამდვილესთან.

ეპოქის მიხედვით სინამდვილის გადმოცემა მეცნიერებათა საგანს შეადგენს. მართალია ძველ საუკუნოებში, მეცნიერება მხატვრულ ფორმებში იშლებოდა, მაგრამ დღეს რა აზრი აქვს მათემათიკურ ფორმულების მხატვრულად გადმოცემას? ასეთი ამბავი ეხლა მიუღებელი და შეუძლებელია. მაგრამ თუ სპეციალი მეცნიერებანი ამოწურავენ სინამდვილის სფეროს, ყოველივე შემთხვევებითურთ, რაღა აზრი აქვს ხელოვნებას მხოლოდ სინამდვილით დატვირთულს? აი, ეს კითხვა რჩება გაურკვეველი და როდესაც ხელოვნებას მხოლოდ სინამდვილის ანარეკლად აღიარებენ — გვერდს უხვევენ ასეთ კითხვის დასმას.

მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ხელოვნება ისე დასცილდა სინამდვილეს, რომ მასთან შორეულ კავშირში მაინც არ იქნა, უფრო მეტ უაზრობაში ვარდებით. მაშინ შექმნილს ღირებულება არ ექნება არავისთვის. ქმნილს, რომელსაც ყოველი მხრიდან გაუგებრობა არტყია რკალივით, რომელზედაც ფიქრი მოუხერხებელია და წარმოდგენაშიც მოუთავსებელი, რაღა თქმა უნდა, მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას.

ფანტაზია გაწმენდილი სინამდვილისაგან, ფანტაზია შიშველი, ადამიანისათვის მიუღებელია, რადგან იგი განცდის თვალსაზრისით, არც სიამოვნებას და არც უსიამოვნებას არ აღძრავს.

მაშ, რა შეადგენს ხელოვნების საგანს? რაღა თქმა უნდა, არც სინამდვილე მარტო, რომელიც ყველასათვის ცხადი და გარკვეულია და არც ფანტაზია მარტო, რომელიც ქაოსია და ამიტომ გარკვეულობას სავსებით ჩამოშორებული. არამედ მესამე, რომელიც თავისში დაიტევს ორივეს ნაწილობრივ. ხელოვნება მოექცევა სინამდვილის სფეროში იმდენად, რამდენადაც ის ნაცნობიდან გადასვლა იქნება უცნობისაკენ — ფანტაზიისაკენ; და არასინამდვილის სფეროში იმდენად, რამდენადაც იგი შემოქმედების არეა და ახალის თქმა მხოლოდ ამ გზით ჰხდება.

მაშ, არსებობს ხელოვნების სფერო, სადაც არ არის გაუგებრობა და პოეზიაც აქ ეძიებს თავის საგანს. სინამდვილე კი, ჭეშმარიტება არ არის ყოველთვის (უდავო დებულებაა). მაგრამ პოეზიას აძინებდენ ჭეშმარიტებაზე იმ დროსაც, როცა ჭეშმარიტება არ აღმოჩნდა აბსოლიუტური. ასე ფიქრობენ ეხლაც, მე ვამბობ, გაუგებრობაა ასეთი რამ: ერთი გენია ამარცხებს მეორეს, მარცხდება პირველი თქმაც და იხსნება რკალი. აქ არის ხაზები, მაგრამ პოეზია ვერ გაჰყვება ხაზს. ხაზები ტეხილი აღმოჩნდა. საჭიროა წერტილი მარადიული, მაგრამ მისი არსებობა შეუძლებელია, რადგან ეს იქნებოდა სიცოცხლის დასრულება და გარდაცვალება; ამიტომ პოეზია წერტილიდან-წერტილზე გადადის — წერტილი კი ცვალებადი და დროულია. პოეზია არ არის მართლაც ერთი და იგივე, ამიტომაც არა დგას იგი ერთ სიმაღლეზე და ადგილს იცვლის დროისა და სივრცის მიხედვით.

ყოველ მიმართულებას განსაზღვრული სახე ჰქონდა და ამ განსაზღვრულობას იმდენად სცილდებოდა, რამდენადაც შეუძლებელი იყო განსაზღვრულობაში მთლიანად დარჩენა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ რკალიდან გავარდნილ მიმართულებას, სწევდენ რკალისაკენ და საზღვრებს უდებდენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებაში გონება ერეოდა, სუბიექტი იქით მიაქანებდა შემოქმედების სადავეს, სადაც მას მიმართულების მიხედვით განსაზღვრული არე ჰქონდა წინასწარ შემოფარგლული. მაგრამ ასეთი რამ შესაძლებელია? ხელოვნება ხომ იქ არის, სადაც ხელოვანი უშუალოდ განცდილს გადმოალაგებს. გონება ამ მხრივ, მხოლოდ დასკვნების არეა და ხელოვნება რომ დასკვნების ნაშთი იყოს, მეცნიერებას რაღას დაუძახებდით? მაშინ ხომ ხელოვნებისა და მეცნიერებათა სფერო ერთმანეთს დაემთხვეოდა და ყოველი ადამიანი შემოქმედების წვაში იქნებოდა გამოვლენილი და პირიქით. მაგრამ ეს ასე არ არის და მაშასადამე, არცერთი მიმართულება, აბსოლიუტურად განსაზღვრული და შებოჭილი არ უნდა იყვეს წინასწარ, რადგან განსაზღვრულობას არღვევს შემოქმედება და მაშასადამე, სადაც შემოქმედება არის, იქ არ არის ერთი სწორი ხაზი, რომელზედაც შესაძლებელია იდინოს მიმართულებათა წყებებმა. მაგრამ არსებობს წერტილი დროული და ცვალებადი, რომელზედაც ეყრდნობა ხელოვნება.

მიქელ წერეთელი

როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთაგორებს

როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთაგორებს,
მწვანე გაზაფხულის ჰაერს დავეწაფე,
ბახმარო უბიდან მზეს ამოაგორებს
და ჩიტი იძახის: კაფე-კაფე-კაფე.
წკნელები გავჭოკრე, დავასვე სარები,
მამას უხარია, შვილი მოვესწარი,
ლურთქა წიფლის ფოთლებს ხარბობენ ხარები, —
რქებით ირემია ჩვენი ჭოქა-ხარი.

— გამარჯობა შენი!
— ჰაი გადღეგრძელოს!..
ეს გასათხოვარი, მეზობლის, ქალია,
დარცხვენით ჩამივლის, ისწორებს საყელოს,
ნეტა, ბროლის ყელი რა დასამალია?!.
მომკლავს ვერცხლის მკერდი შეკრული ღილებით,
ქალო, შენი ტრფობით ვინ არ დაიწოდა!?.
ბაღი მოვაშენე ძვირფას ხეხილებით,
მაღალ ბოკონებზე შევაყენე ოდა.
სხვები თუა, მეც ვარ ერთი სოფლის ბიჭი,
თვალო მარგალიტო, შენ ლერწამის ტანო;
მკლავში ძალა მაქვს და გულში ტრფობის ნიჭი,
მოვკვდე, შენი თავი თუ სხვას გავატანო.
კაფე-კაფე-კაფე... მე მამხნევებს ჩიტი,
გულში სიხარულის ვიგრძენ მოზღვავება...
ქალო, დაგშვენდება ჯვარსაწერი ჩითი,
როგორც ატმის რტოებს შვენის აყვავება.

როცა განთიადი მზეს ამოაგორებს,
ჩიტი სამუშევრად გვიწვევს: კაფე-კაფე!..
მეც ვკაფავ საყანეს და ვაპობ ნამორებს,
შენის ტრფობით შრომას უფრო დავეწაფე.
სადაც არის ჩიტი მეტყვის: თესე-თესე!..
მეც სიმინდის მარცვლებს დავფანტავ ნახნავში,
ქალო, შენის ეშხით გამაუკეთესე,
ქალო, შემახვიე გიშერის ნაწნავში.
მოდი, ჩემს ბაღჩაში დარგევი სალათა,
კიტრი და ნესვები ნამწვავზე ახარე,
მჭადით, ყველით, ღვინით დატვირთე კალათა
და ჩამომიტანე ყანაში სამხარი.
სხვას ნუ გაუნათებ, ჩემი იყავ მთვარე,
შენც უნდა გიყვარდეს ვაჟკაცის სახელი,
რომ შემოგვნატროდეს ყანის მოზიარე,
ჩვენ ქებას ერთპირად ამბობდეს სოფელი.

— კიდევ გამარჯობა!
— კიდევ გადღეგრძელოს!
— ჩემს მისვლა-მოსვლაში ბევრი გიშრომია!..
ეხლა მე ვისწორებ გაღეღილ საყელოს,
აქ თითქოს ჩვენს შორის ფარული ომია.
— თქვენებმა, მგონია კაფვა გაათავეს:
— არა, ჯერ სადაა... კაფვენ ჭინჭარველში!..
ვგრძნობ, სხვა საუბარი გვიტაცებს ორთავეს,
მაგრამ სიტყვა თითქოს გამიჩერდა ყელში.
წავიდა... მე დავრჩი. როგორ ვიმუშაო.
წავიდა ლერწამი, წავიდა მშვენება.
ის რომ სხვამ მომტაცოს, მოკვდი, ჩემო თაო,
რად მინდა სიცოცხლე, ან დღის გათენება.
კაფე-კაფე-კაფე... მე მამხნევებს ჩიტი.
გულში სიხარულის ვიგრძენ მოზღვავება...
ქალო, დაგშვენდება ჯვარსაწერი ჩითი,
როგორც ატმის რტოებს შვენის აყვავება.

გრიგოლ ცეცხლაძე

მაზანდამანის შაქარი

ლექსი ლაპარაკობს მარტივად,
როგორც სატევარი.
მე გულის სიღრმეში ვგრძნობ სანტიმეტალურ სატკივარს,
რომ სიმპატიური კაცი ვარ
და მაქვს მშვიდობიანი სახე.
ეს მოსაწყენი კეთილშობილება
იწვევს ჩემს უკმაყოფილებას.
განვლილი გზები როცა დაიკეცა,
საჭირო არის მოქმედების მეტი სიმტკიცე.
მე ხშირად მინდა ვიყო უხეში,
როგორც სახრე,
როგორც დაუზოგველი ბრძოლის დღეები.
განა მე არ შემაბა ცხოვრებამ უღელში,
განა მე არ ამიფეთქებია სულთან-სელიმის კლდეები,
განა მე არ ამიტანია გოდრებით სიმინდი ნალიაში,
განა მე არ ვმწყდეულვარ მეფის გალიაში?..
მეც უფლება მაქვს დავიძახო ხალხის სახელით:
— ბრძოლა და შრომა განგვიცდია საკუთარ ხელით!..
ბევრი ბარდები მიგლეჯია, მისხლავს ვენახი,
ჩემი ცხოვრება არ ყოფილა აზიზი-მყუდრო,
მიდით —
რევოლიუციის მატიანე ნახეთ:
როცა დადგა დრო,
მეც ხელში დავიჭირე დროშა,
მომზადებულ პროპაგანდისტად შევხვდი მომენტს,
ვლაპარაკობდი სიტყვებს
ტყვიებზე
და მუშათა საბჭოს წევრმა
დავსწერე:
„გაჭენებული მონუმენტი“.
თუ ჩემში პოეტს ზრდიდა ხმები დილის საარის,
ცხოვრების გზებზე ვიყავი და ვარ მოქალაქე,
ჩემი გული მაზანდამანის შაქარი არის
და ზედ არ მაჩნია არც ერთი ლაქა.

გრიგოლ ცეცხლაძე

ათასი ფიქრი თავში ფეხს შემოდგამს

მე მინდა
ლექსი დავწერო წმინდა,
რომ ჩავაგონო მას
სიყვარული ხალხის.
ყოველთვის უნდა აშრობდეს ნაწვიმარს,
უნდა მისჩერებოდენ როგორც ნახირს.
ვის უყვარს,
გაზაფხული,
რთველი,
შემოდგომა;
ფოთლიანი და უფოთლებო წუთისოფელი.
ათასი ფიქრი თავში ფეხს შემოდგამს,
სტუმართმოყვარეა გული სოველი.

ლადო გველესიანი

მე და შენი სიყვარული

დაუკარი, ჩემო გიჟო, სალამური
და მე სულ ფეხების
ბაკუნ
ბაკუნით,
მოვალ შენთან.
ახ! როდემდის,
როდემდის უნდა მეცვას ნეტავ შავები...
რომ ახლოს ვიყვე შენს ტუჩებთან,
იგრძნობდი ალბად:
მე გული მაქვს ვაჟა-ფშაველის
და მინდა ვძოვო სუფთა ბალახი;
ჩემი მთების, ველების და მდიდარ ბუნების.

ლადო გველესიანი

აკტრისა

ეს იყო იუბილე აკტრისის,
როდესაც ხანჯალს გიგავდა პროფილი,
მე თვალები დავხუჭე და
გიპასუხე სიჩუმით.
ვხედავდი,
როგორ მიჰქროდი ნავით,
და ვწუხდი იმაზე,
რომ
არ ვიყავი ზღვის ჩიტი
და მოლარე ფორდის.

რაუდ გოგოხია

სპორტი

ვიცი, თვალი დამიწვრილდება
და
დავემსგავსები მთვრალს,
მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი.
ასეთია მაისის დღე,
როდესაც ზღვაური სულს განაბავს
და მზე სისხლით მორწყავს ყვავილებს.
ვინ იფიქრებდა,
რომ ჩვენი შეხვედრა,
ატმის ბუჩქის ქვეშ
იქნებოდა დაუვიწყარი.
ჩვენ მხოლოდ თითო მოვსწყვიტეთ ატამი და
ისე გავშორდით,
თითქოს ერთმანეთის ვიყავით ქურდები.
და თუ დღეს
მე, როგორც ბავშვს,
მიყურებენ თვალცრემლიანს
იმიტომ,
რომ ვასიამოვნო ჩემს მეგობრებს,
რომელთაც უყვართ სპორტი.

რაუდ გოგოხია

დუელი

წიგნიდან — „Teresa“

თითქოს არ ყოფილხარ,
მაგრამ ხარ მუდამ,
ზაჰესს დაეტოქე
ცეცხლი ამოვარდნილი, —
აღარ მიმატოვო
და ლერმონტოვის
ანათე ქუჩით.
მე შენზე ფიქრები
მინდა დავღეჭო, როგორც მავთული.
იქნებ შეჩერდე,
როდესაც რკინას დავადგამ კბილებს.
ვინ იფიქრებდა ამ საშინელ დუელზე.
შენ ხარ პირველი,
რომელმაც მესროლე უცხო ხელთათმანი
ნეტავი შენ იყო ლორდის ასული,
მე კი — ზანგი კანადის
და ეს ხელთათმანი —
ჩემი ზურგიდან ამონაკვეთი.

რაუდ გოგოხია

რომანტიკოსი

მინდა ვიყო ძველი რომანტიკოსი,
რომ ჩემი ნაწერები მრავალტომიანი
იყიდებოდეს სახელგამის
ყველა მაღაზიებში,
ბევრ დროგადასულ ქალწულს
დაუბრუნებდი რომანტიკას.
ასე ადვილია, როცა სხვაზე მსჯელობ,
მაშინაც კი,
როდესაც იცი,
როგორც პანტა მსხალი
ჰზიხარ ტოტზე
მეორე ზაფხულამდე —
და გაწვიმს, გათოვს, გყინავს.

რაუდ გოგოხია

წიგნიდან „ეპოქის ხმა“

I

ზოგ პოეტს ახრჩობს ლიტერატურა,
მე კი ცხოვრებას ჩავეკარ გულში,
მტკვარმა მზის სხივი თავს დაიხურა,
ცისარტყელივით შვა მორკალული.

შენ ოფელიამ შორს გაგიტყუა,
მე კი მაწვალებს ქრისტინეს ბედი;
გურულმა „პრისტავს“ ესროლა ტყვია,
დასწვეს ასკანა და შემოქმედი.

გძინავს ჭაღარა ლექსის ცალ ფეხთან
და კამეჩივით ოფლი გდის ყელში.
— იქ კრიმანჭული გაისმის გლეხის,
როს აყვავდება ბახჩა სოფელში.

სოკრატს და ბეკონს არ უჩანს ცეცხლი,
შუაღამით ყანჩა შორს გადაფრინდა.
მე პოეტებში მიყვარს ცეცხლაძე
და მასთან ერთად დავიწვა მინდა.

ჩვენ გვწამს მხოლოდ ის ლიტერატურა,
რომ ჰბორგავს როგორც მაჭარი ქვევრში.
სხვა ყველაფერი არის ხალტურა:
— უნდა ჩახედო ცხოვრებას ფსკერში.

მოვდივართ, ბრწყინავს შიშველი ხმალი,
წითელი რაში მზეზე ელვარებს,
ეპოქის ხმაა ნასაკირალი, —
ზაჰესის შუქმა დასჩაგრა მთვარე.

კოკი ებრალიძე

1927

ცხრაას ხუთის გურია

II

შავ წვერა ინგუშმა აიკლო სოფელი,
აუშოვს ეძახის პატარა თუ დიდი,
საშიში ცხვირი აქვს მაღალი, სოველი,
ყასაბი, მოსისხლე, ბედის გადამკიდი.

ოქროებს აძლევენ დაგეშილ მეძებრებს,
ლოცავენ, ლოკავენ, ნიავს ვინ აკარებს.
სიავის ლეგენდა კვალდა-კვალ დაეძებს
გურიის წითელ რაზმს! — გურიის ბუნტარებს;

ღელავს ზღვა ხალხი როგორც რიონი,
კომუნარები ჯგუფდება წყებით,
სოფელს აჯანყებს ილარიონი
და თენგიზ ჟღენტი, თავ დავიწყებით!..

მაუზერები, კარაბინები,
ახალგაზრდობა ჭრელ ჩაქურაში,
წუხელ გაჩხრიკეს გლეხის ბინები
გამომწვარები ბრძოლის ქურაში!..

ბრძანებლობს დროშა მაღალ ტარებზე,
ათის თავები დგანან ნაჯახით,
ისმის ყიჟინა ზღვაურ კრებებზე
და „ქუდზე კაცი“ ყველა იძახის.

„კმარა მონობა! სიკვდილი მეფეს,
ზიზღი რომანოვთ ხელის უფლებას,
დე! აეცალოს სულს ბორკილი დღეს,
დე! გაუმარჯოს თავისუფლებას“.

ქარში ზარივით ისმის ეს ხმები,
მზეს ეჯიბრება დროშის ნაკვთები!..
თითქოს ზესკნელი დასერა მეხმა,
ზვავებათ მოსკდენ ბახმაროს მთები!

ბრაზი ედება მიტინგებს სერზე,
ორატორთ სიას არ უჩანს ბოლო,
ჩიხლაძე იგლეჯს ბანტებს კისერზე;
„ღელავს და იწვის დღეს საქართველო!“

სიკვდილ-სიცოცხლის კითხვები ავობს,
ორი ქვეყანა ბრძოლის ცეცხლს ანთებს!..
ვინ უწყის ბედი ვისთვის თვალმაქცობს
და მომავალი ვის გაუნათებს!..

კოკი ებრალიძე

ტფილისი, 1927, ივნისი

გასეირნება მთაში

ვიმგზავრეთ მარტოკა —
სად მთები გუმბათებს ბავშვივით ეკვრება.
კლდეები გარბოდენ ფეხებში ქარებათ,
სუნთქვა შევაგუბეთ, გულები აგვიტოკდა —
ირგვლივ გვესეოდენ ღრუბლების ნუკრები.

რა საამური იყო ცა —
ცვარებათ ეკიდა ვარკვლავთა საყურე.
რა კარგი ყოფილა შენი სამშობლო,
მთვარე ვით ღალღა ღრუბლებში გაიქცა —
შუქი ჩავაქრე და ცა გახსნილი უვნებლათ დავხურე.

მე ვშიშობ, მიშველე —
თუ გწამდეს ტევრების წიალი.
შეხედე ამ ხრამებს, რა რიგად მძაფრია,
როცა კლდის ყორესთან ძალუმად ახველებს —
ვეფხვებათ გაჭრილი ტალღები ლიახვის.

— კარგო, მითხარი —
ფეხები მეტკინა, ამ გზებს რა გაივლის!
უფრსკული, ხრამები: ნუ თუ ასეა ბარიდან ზეცამდე?
ციცაბო კლდეები მრისხანედ ამდგარი —
სად ქვესკნელს არბევენ გაქცეულ მხეცების ღმუილი?

ნუ წავალთ სისწრაფით —
თორემ გული ჩემი თოვლივით დადნება!
განა კიდევ თვალს იქით გვიხილავს ქვეყანა?
— ბილიკებს გავსცდებით, შევხვდებით კლდეების ჟირაფებს
სად დილა სისხამი ყინულზე ადგება.

პოლიო აბრამია

1926, ლიახვი

ლექსი საკუთარ თავზე

მაღალ ოცნებით სივრცეებში გადავეშვები,
გულის მაგივრად იმოქმედებს მზის ელექტრონი,
შევებრძოლები ძველ ქვეყანას რკინის ეშვებით
და წავლენ წყრომით მძიმე წლები, წყეული დრონი.

თავზე მადგია ვარსკვლავივით წმინდა იმედი,
უამრავ ფიქრით სულს ვიკლავდე — აბა სანამდე —
ათასში ერთხელ სიყვარულით მეც შემხვდა ბედი,
მის მჩქეფარე სისხლს გაგიჟებით მინდა რომ ვსვამდე.

ცას გადასწვდება ჩემი რწმენა მღელვარე სიტყვით,
ამ პოეზიას ვინ გაიგებს რანაირია,
გადავგორდები გაშლილ ცაზე მრისხანე სეტყვათ,
იტყვიან მაშინ: ეს პოეტი გადაირია.

ნატანჯი თვალი ცეცხლიანი აქ ვის დაენდოს
ვინ არის ჩემთან მეგობრულად მედგარ ბრძოლაში,
გული ახალი სიხარულით უნდა ამენთოს
რომ მგზნებარ გრძნობებს შეუერთდე ფოლადის რაშით.

ასეთ ნააზრევს დალაგებულს გადააფასებს
ამხანაგობა, პოეტები და მოქმედება,
გაუძლებ ყველა მოსეულ მტერს, ქიმიურ გაზებს,
დავრჩები მაინც როგორც ნაღდი შემოქმედება.

ალ. გაბესკირია
1927, ტფილისი

მატარებლით

დღეს გავემგზავრე მე ტფილისიდან,
დავტოვე უკან მთები მაღალი
და ყაჩაღივით დამეცა მზიდან
ჩამოვარდნილი ლექსი ახალი.

ზაგესი ღამით თვალებს მიჭრელებს
და სურნელება დაჩრდილულ ხეთა
მისდევს ლიანდაგს, თვალუწვდენ ჭალებს,
საცეცხლურებით იცინის მცხეთა.

მთვარეზე ელავს კბილები ბროლის,
ჩამოჰკრეს ზარი ერთი და ორი,
მატარებელო, გადაიქროლე
ეს ატმისფერი ლამაზი გორი.

ლიხით თავდება აღმოსავლეთი —
იქ ხომ მუშების ხარობს ხაშური,
ცივ წყაროებით გვიცდის მოლითი
(ბედო, ხიფათი შენ აგვაშორე!).

ო, იმერეთი ძვირფასი ღამით,
ბჟუტავს სანთლები და ბელაგორი,
მორწყული დილის ციური ნამით
გორაკებს შორის ზის როგორც ქორი.

მირბის ყვირილა ნახშირის ფერით —
სხვა სიხარულის დაიწყო ფონი,
გაბრუებული მაჭარის წვენით
გადარეულა დღეს ზესტაფონი.

ისმის შრიალი ხავერდის ველთა,
ფიქრებს მისველებს წვიმები ხშირი,
საბუდარივით ძველი არგვეთა,
წითელ ღვინოში ჩამჯდარი სვირი.

აქაფებული მოჰქუხს რიონი
მზიან ტალღებით განათებული,
თითქოს მოჰქონდეს კავკასიონი
სვანეთის მთების მაღალი გული.

აქეთ ნოტიო, მძიმე ფესვებით
და მალარია ხარობს ფხიანი,
სული გრძნობებით დინჯათ ივსება —
გვრჩება ნესვებით ჩვენ მუხიანი.

მოგვსდევს ღრუბელი, თითქოს მტრედია
ბედი პოეტის ცაში აწვდილი,
შავ დეპოებით სდგას სამტრედია
დაუბანელი ჯერ ისევ დილით.

მოვეშურებით, ჰე, ცხენისწყალო,
ასე უღმერთოდ გაგიჟებულო,
შენ აატირე გლეხი საწყალი,
გლეხი ღარიბი, გლეხი უფულო.

ისმის ღრიალი ჩქარი ტეხურის,
სულ სხვანაირად ხმაურობს ხიდი,
მე სიხარული თავზედ მეხურა,
სამშობლოვ, შენ რომ პოეტად მხდიდი.

ჰაერი სუფთა, ნიავი გრილი,
ფერად განცდებით მიტოკავს გული,
მხვდება ძვირფასი მე სამეგრელო,
ამხანაგებით სავსე სადგური.

მაწვება გრძნობით ცრემლები ყელში,
მესმის მგზნებარე — სათნო ჟივილი —
აქ დავიბადე 903 წელში,
მიმიღე, დედავ, პოეტი შვილი.

ალ. გაბესკირია

1927

ნაქარგი ღამე

ეს ლექსი გუგულივით მოფრენილია გაზაფხულის პირზე,
ეს მხოლოთ ჩემი სულის მადრიგალია,
ცვრიან ბალახზე მწოლარე პოეტს
ძლიერ მტანჯავდა ზეშთაგონება.

როცა მფარვიდა ცის გობელენი,
ვფიქრობდი თითქოს
თავზე მახურავს
გოლგოთის მთის და
მაღალი ზეცის
ნაქარგი ღამე,
მთვარის სიმშვიდე.

გრილი ნიავი
არწევდა ჩემს თმებს,
როცა ვფიქრობდი:
რათ მინდოდა გულით დაძირვა
ლექსების ტბაში,
თვალღია ძილი,
სიხარული, ღელვა, და ვნება,
თუ ვერ ვრჩებოდი
ცხოვრებაში ისე თავნება,
როგორც სიზმარში.

თუ ჩემი ლექსი ვერ შეუქმნის ცხოვრებას
წესებს, —
ვერ გამოიწვევს სტრიქონები
ღელვას, ექსცესებს.

შალვა დემეტრაძე

მიწა

მოგდევდა გული,
როდესაც ერთხელ მოჩვენება გიწოდა გულმა პატარა მიწას,
მე მიწის ხმაშიც: ვნების ფერებს — განვიცდი ფერად.
გარბის ნერვიდან: ნერვიული ამოძახილი: სიტყვა დაგიცავს —
სიტყვას რომ უნდა მოსვენება, განცდის საზღვარზე — გულის ნაპირად.
მე შენში ვიყავ უხილავი და მომიტანე გულის ამბორი.
ვეძებდი განცდას, განუცდელი სიტყვების შიგნით.
მე მივდიოდი და ვფიქრობდი: მწუხარებას ნესტით ალბობდი...
და ეხლაც ვფიქრობ, რომ არაფერს არ მეუბნება:
ცდა... ლოცვა... წიგნი...
მაგრამ მე მჯერა:
ირგვლივ სივრცეა აზროვნების და სიყვარული ელექტრო ჩქერად,
რადგან უსაზღვრო არარაობით,
ვნებიან მიწის მოვინდომე ლანდში დაჭერა.
პირველად სიტყვა სუბსტანცია და დაეჭვება:
ლოდინში სევდა გადვისროლე თავშესაქცევად.
შორეულ ფერებს მოვიგონებ მიწის ბურთებად.
მიწავ! მომეცი შენი ტანი ვნებით მოვგუდო,
ან ძუძუებში თვალებივით ჩავძვრე ქურდულად,
ან და ცრემლებით ამოგიწვა: გული ბოღმა, გული ქუთუთო.
მაგრამ დასრულდა;
სამაგიეროდ ასრულება გიწოდა ხედვამ პატარა მიწას.
მე მიწის ხმაშიც: ვნების ფერებს — განვიცდი ფერად.
გარბის ნერვიდან, ნერვიული ამოძახილი სიტყვა დაგიცავს —
განცდილი სიტყვა, მას რომ უნდა მოსვენება გულის ნაპირად.

მიქელ წერეთელი
1926, ივლისი

სისხლი ჯანსაღი მიტანების

ეკონომიური და ნახევარ-ვატტიანი
ლამფები სავარვარო.
ცხოვრება
და მატიანე.

ყველაფერი არის ანგარიშით,
მე მაინც ვარ უთვალავი,
ყველას გარეშე,
როგორც „არ მჯერა თვალები“.

მე მეორედ მოსული იაფეტელი
ყველას მაგიერი
ვაჟი დაცემის
და შებრუნებული სიტყვების მაგია.

მე მოვედი და თან მოვიტანე,
რაც შთამომავლობას
ჩემთვის მოუცია.
ჩემს ძარღვებს აღელვებს სისხლი ჯანსაღი მიტანების
და რევოლიუცია.

მიქელ წერეთელი

რომანიდან: ღამის ეკლოგა

დაჩის სასახლის ერთი სარკმელი მდინარის გასწვრივ მონასტერს შეჰყურებდა. დაჩიმ აანთო ძვირფასი შანდლები, თვითონ კი მივიდა ფანჯარასთან და ძველ სავარძელში მოტეხილად ჩაიკეცა. ის გაჰყურებდა ღამის სივრცეს და ეჩვენებოდა, თითქოს მის გარშემო ყოველივე ნიღაბს ატარებდა...

ბინდის შლას ღამის სივრცეში ნელ-ნელა მიჰყვებოდენ დაჩის განცდები.

— განდომილთ აქვთ უფლება იაზრონ და მოიქცენ ისე, როგორც მოისურვებენ. საკვირველ არს, რომ ასეთ ბედშავ მდგომარეობაში ისევ შერჩენიათ ლტოლვა ბრწყინვალე მომავალისაკენ და მხურვალე სიყვარული თვითონ სიცოცხლის. დიდი ტანჯვა, უსაზღვრო სტიქია. ხალხის სულის ბნელი ხვეულები. მაგრამ ვინ იცის, რომ ყოველივე ეს გაჰქრება მოჩვენებასავით და ერთგვარ ჟინის მოკვლის შემდეგ ბრბოს აბობოქრებული მღელვარება დაწყნარდება და გარისხული ადამიანი იფიქრებს ისევ თავიდან დაწყებას.

O, sankta Simplisitas!

მის უსიტყვო მოქმედების ფილოსოფიისათვის ეს მიუღებელი იყო.

ხალხი უფრო იდეალურად ფიქრობს, ვინემ ინდივიდი. თითქოს! ეს მისთვის ჰხდება, რომ კეთილსა და იმედს საერთოდ მეტი შანსი აქვთ, იყვნენ სოციალურ წრის მეხსიერება-

ში, ვინემ ბოროტებასა და სასოწარკვეთას, რადგან ადამიანებს უყვართ სიცოცხლე და ჟამთა ბრუნვაში, ამართლებენ იმას, რაც ხელს უწყობს კეთილის წილ ბოროტის დაძლევას. აქაც კანონი. ხალხი, როგორც ფენომენი — იმ თავითვე გარკვეული და სახედქცეულია. ამ ქცევის შემდეგ ჩნდებიან ერში შესანიშნავი პოლიტიკოსები, მხედართმთავრები, პოეტები, მუსიკოსნი, ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი, კანონმდებელნი და სხვანი. ჯერ-ჯერობით ვიცით, რომ უძველესი იყო ეგვიპტე, ან სხვა რომელიმე, იმავ ბედით.

პირველად იყო სიტყვა, რომელმაც დასწვა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ყური და მოჰნათლა იგი ეგვიპტეთ. თითქო იქორწილა მიწამ სისხლის შერევით. ის ერთი სიტყვა განსაზღვრავდა ამ ერის მთელს შემოქმედებას. მაშასადამე, მნიშვნელოვანი ისტორია, როგორც მეტაფიზიკა თავდება იქ, სადაც იწყება ჩვენი ისტორია თავისი პრაგმატიზმებით. სიტყვა, რომელმაც ჰშვა ეგვიპტე, როგორც ნომენი, არის მთელი ფილოსოფია ეგვიპტური ქცევის. ბედნიერ წარსულში ეროვნულ ბედისწერისათვის ისევე მკითხაობდენ ქურუმები, ავჰურები, მაგები და მისნები, როგორც დღეს ამას სჩადიან მეცნიერნი პროგრესის სახელით. დღეს მეცნიერება, ხომ ხელმეორე სქოლასტიკაა.

ჯერ იყო სიტყვა — მის შემდეგ სახელდება — ეგვიპტე, რომი, ელლადა, გერმანია, ივერია და ასე: შემდეგ კი რაც ვიცით — ფარაონები, პირამიდები, სენატი და კეისრები, კონუნგი და ნიბელუნგები. კავკასი და პრომეთეოსი. ამიტომ იყო უდიდესი ჭეშმარიტება:

„პირველად იყო სიტყვა და ღმერთი იყო სიტყვაი იგი“. ამიტომ არის რომ, ერში პოეტები, მუსიკოსნი, ღვთისმეტყველნი, პოლიტიკოსნი ერთ დროს ეძიებენ ყოველთვის პირველთაგანს, როგორც დასაბამს. ამგვარათ შეიძლება ხალხი უფრო სწორად ფიქრობს, როგორც მატარებელი თავის მეხსიერებაში პრა სულის, პირველხილვის. ვინ იცის? სად თავდება გრძნობა, სად იწყება აზრი?

ამ პრიმიტივთან დღეს, როგორც ყოველთვის ახლოს არის: პოეზია, მუსიკა, მხატვრობა; წმინდა ცოდნათგან დღეს უკიდურესს მეტაფიზიკა. ქალაქის კულტურა ძლიერია და დიადი, მაგრამ დასაბამი მისგან ვერ მოიცემების. აქ ყოველივე მომეტებულად მსხვერპლია და განკითხვა, როდესაც პოეტებს ყველგან თავისმკვლელნი და ჭლექიანები ელანდებათ. ბაბილონისეულ ორგიებში, ნერვიულ ვნებათა ღელვაში, უფრო მეტი თავდავიწყებაა, ვიდრე წყურვილი სიცოცხლის ზღვარგადასული. დღეს მთლიან განცდისათვის სული გაორებულია. თუნდაც: ვხედავ მცენარეთ სილურჯეს, ყვავილებს, რომელთა ნაზ ფოთლებს შეაშრათ რაღაც მტვერი, როგორც პუდრი გამხდარ ქალს. ჩვენება ყოველივესი, როგორც მირაჟი. მშვენიერება, როგორც საიდუმლოება. რა რბილი სიტყვა აქვთ რუსებს: „òàéíà“. მაგრამ ჩემს საეჭვოთ-დაეჭვებისათვის აღზრდილ გონებას, რა წამსაც მოაგონდება, რომ მცენარეთა სილურჯე ნივთიერებაა sécrétion, პლასტიდები, ქლოროფილები, ან და ყვავილზე ბუტკოს თესლია განაყოფიერებისათვის — ცხადია, სულის სიღრმეში მეკარგება, რაღაც ძვირფასი, რაღაც უთქმელი. ყველაფერი რომ ვიცოდეთ, პოეზია შეუძლებელი იქნებოდა. მარტო საათზე არ შეიძლება ლექსის დაწერა. საათს ახლავს რაღაც ბედისწერა — დრო და ეს ირაციონალი გამართლებაა, რომ შეიძლება საათზე ლექსი დაიწეროს. ხელოვნება საიდუმლოებაა — ის არის სიტყვა, ის არის ფერი, ის არის ხაზი, ის არის ღერბი ირაციონალის. ჰა, ჰა, ჰაა, ხი, ხი, ხი, — დემონიურად ჩაიხითხითა დაჩიმ და ციებ-ცხელებიანივით დაიკრუნჩხა.

— დარწმუნებული ვარ, მსგავსი აზრები დღისით არ მომევლინებიან. დიდი განზრახვები, დიდი ხილვა, უთუოდ ღამით იბადებიან, როგორც დაბადება და სიკვდილი ადამიანისა მომეტებით. ქალაქში დღეს ადამიანებმა დღისითაც დაიწყეს სიკვდილი, უწინ ეს ასე არ იყო. იყო სხვაგვარად: არც მატერია: არც ფუნქცია.

— დიდი კულტურა, ნიღაბია, რომელსაც მოიხსნიან ადამიანები უფსკრულის პირათ უკვე დაღუპვისათვის განწირულნი. ქალაქი შემძულდა. სოფლისკენ ვიილტვე, მაგრამ არც აქაა უცხო ჟამისა ქროლვა, მისგან მინაბერი. გლეხები დადიან თმა შეკრეჭილნი. წელზე არტყიათ ქამარი ქალაქში ნაყიდი.

მობრუნდა დაჩი. შეხედა სანთლებს — სანთლები იღვენთებოდენ, მათ ირგვლივ წვრილი ღამის მწერები... ნელი სიო. მდინარის შხუილი. მთვარის გაპარვა.

— რა მომდის, ღმერთო ჩემო! თითქოს ჩემი სული ნაწილებათ არის დაყოფილი, ისე მეუცხოებიან ამ ღამინდელი ჩემი განცდები... აზრები და თითონ ჩემი თავიც ბოლოს და ბოლოს. ვფიქრობ, რომ ყოველგვარი ღრმა მოძრაობა, რომელიც გაირბენს ერის ცხოვრებაში ქარიშხალივით, შეუძლებელია რაიმე შემთხვევითობამ წარმოშოს, რომ ამდენად ყოველივე იმთავითვე უნდა იყოს გამართლებული: აქ არის ღრმა ბედისწერა, რომ განსაცდელის ჟამს ერიც იმგვარად ჰგრძნობს ტკივილს, როგორც დედა, რომლის თვალწინაც გულქვა მტრის მხედარმა ცხენით გასრისა მისი პირმშო ვაჟი. მაგრამ რაც უნდა იყვეს, საშინელია ჯოგური სტიქია აშლილ ბრბოსი. ის საზიზღარია: არ იცის, არც სილამაზე, არც შეცოდება, თითქოს შურისძიება იყოს ერთადერთი მისი მიზანი. მიყვარს ხალხი ეტნოგრაფიულ ფონზე გაშლილი — ახლოს მიწასთან. საზიზღარია იგივე ხალხი, როცა მიმზერს ქალაქის მოედნებიდან ბრბო სისხლით შერყვნილი.

ჰო, წინააღმდეგობავ! ოჰ, სულო ჩემო!

სანთლები დაიწვა. დაჰკრა გრილმა სიომ. გათენების წინ უფრო დაბნელდა და სქელ ნისლისაგან იწყო ნელი-ნელ გამოკრთომა დილის რიჟრაჟმა. განთიადი ნელი-ნელ შლიდა სოველ ბინდებს. ჩნდებოდა მიწა შიშველი მკერდებით. ხეები იდგნენ, როგორც ნასახნი. დაჩის სავარძელში ჩაეძინა.

გ. კვაჭაძე

რომანიდან: ზღვაური

უკვე ღამდებოდა, რომ ვაჟი მოხუცს გამოემშვიდობა და ფიქრიანი ნელი ნაბიჯით შინისაკენ დაბრუნდა, ეზო გაიარა, აივანზე ავიდა და პატარა ოთახში თავის ლოგინზე გულაღმა წამოწვა. ჭერს მისჩერებოდა. თეთრ ძველებურ ბუხარზე ჭუჭყიან პირ ჩამოტეხილ ფაიფურის ვაზაში მჭკნარი გარტენზიები ეწყო. ლოგინის ახლო პატარა საწერი მაგიდა იდგა, ფანჯრები დღე და ღამ ღია იყო. უკვე დაღამდა და მთვარე თითქოს დანაპირები ლილის ფერ ცაზე ყვითლად მოიპარებოდა და მწვანე სოფელს მელანივით ღებავდა, ჰაერს კი თეთრათ. ირხეოდნენ ალვის ხეები და შრიალებდნენ. დარჩენილმა გარეულმა ბატმა სოფელს კივილით გადაუარა. ფიქრებში გართული ვაჟი ისევ გულ აღმა იწვა.

— ჯუანშერ! — გაისმა ფანჯარასთან ქალის ნელი ხმა.

ატმის შტოები შეირხნენ და ოთახში იატაკზე და კედლებზე ლანდები ათამაშდნენ. ვაჟი ზეზე წამოდგა და სწრაფად გაეშურა ფანჯრისაკენ.

— ააა... გაუმარჯოს! — და ვაჟი გადაეწოდა ქალს თითქოს ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ მოხერხებულად წამსვე აიტაცა ზევით. ქალი თითქოს გაძალიანდა, მაგრამ ვაჟის ღონიერ მკლავებიდან გასხლტომა ვეღარ შესძლო. ფანჯრები დახურა.

გარედ ისევ ირხეოდნენ ალვის ხეები და მაჯა მაგარი სოფელი ძილს ეძლეოდა. ფართე მდინარიდან მენავემ ვიღაც დედაბერი გადმოსვა, ხელში გამოკრული პატარა ფუთა ეჭი-

რა, ის წელში მოხრილი იყო, მაგრამ რაღაც მისნური გამბედაობით ფეხს ჩქარა მიაბიჯებდა და მიდიოდა. სოფელს მიუახლოვდა, შარა გაიარა და პატარა ეზოში შევიდა, პატარა ძაღლი ყეფით შამოეგება, აყეფდა ნაგაზიც. დედაბერმა კარები შეაღო, არვინ ეხმაურებოდა.

— გოგო, სუსანა! — დაიძახა დედაბერმა.

— რომელი ხარ? — კუთხის ტახტიდან გამოცა ხმა ვიღაცამ.

— სუსანა სად არის? — შეეკითხა დედაბერი მეორე დედაბერს.

— სუსანა მეზობლებში გადავიდა! — იყო პასუხი.

— ნეტავი ახლა რა დრო იქნება. — იმეორებდა დამხთური დედაბერი.

— ეხლა უნდა წავიდე სახლში. — ეუბნებოდა სუსანა ვაჟს.

ვაჟი ხვევნა-კოცნით სთხოვდა:

— მოიცა, ნუ წახვალ, ვიყვეთ აქ!..

ცოტა ხნის შემდეგ ჯუანშერი და სუსანა ოთახიდან გამოვიდნენ.

დედაბერი კი ჭრაქით ხელში მეზობლებში დადიოდა, ყველას აღვიძებდა და რაღაც შიშის მოლოდინით სუსანას ეძებდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალ-ვაჟს დედაბერი გზაში შემოეყარა, სუსანა იცნო, გაჩერდა და თითქო ენა ჩაუვარდაო — ძლივს უთხრა:

— შვილო, მართალია ამ პატიოსან ახალგაზრდასთან არაფერი დაგიშავდება, მაგრამ ვის გაუგონია ქალის ასე გვიან სხვაგან ყოფნა და სიარული!.. სუსანა და დედაბერი ვაჟს გამოემშვიდობენ და შინისაკენ წავიდნენ.

— შვილო, დღეს თუ ხვალ შეიძლება საქორწინოთ საქმე წავიდეს და შენ როგორ თავისუფლად დადიხარ. ჰმმ, ეხლანდელი ქალები რას ბედავთ. დედაშენი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასე თავისუფალი ხომ ვერ იქნებოდი და მე დამიმონე არა? მე არაფრად მაგდებ, მე შენთვის ვფიქრობ და უკანასკნელი დღეები შენს სასიკეთოდ მინდა დავლიო და შენ კი აგრე ირჯები. იცი, გიორგი რა კარგი ბიჭია, ძალიან მუყაითი, მშრომელი და მშოვნელი. ჩემს ცოლს ჭადს როგორ ვაცხობინებო. მე ქალაქში უნდა ვიცხოვრო და ცოლიც იქ უნდა მყავდესო. იცი, რა ჟივიოტი გამოგიგზავნა, და დამაბარა, ცოტა კიდევ მომიცადე და სულ ფარჩებში გაგხვევო. ამ ლაპარაკში უკვე შეაღეს სახლის კარები. დედაბერმა ფუთა გახსნა, ამოიღო სუსანას საკაბე და უთხრა:

— აი, ამას გიგზავნის გიორგა.

სუსანამ საკაბე გულზე აიფარა:

— რა მშვენიერია, რა მშვენიერია. ხომ მიხდება? — იძახდა ის. დაწოლის დროს დედაბერმა კიდევ უფრო დაბალ ხმაზე წასჩურჩულა:

— გოგო, გიორგა კონდრაბატით ვაჭრობს, ამხანაგები ყავს, არსად წამოგცდეს, დიდ შოვაში არის, შენთვის ხომ ნაირ-ნაირი ტანისამოსი იქნება. მის ცოლს არაოდეს არაფერი გაუჭირდება. — ამ ლაპარაკში ნელ-ნელა ჩაეძინათ.

ჯუანშერ კი მარტო იყო ოთახში, ისევ ლოგინზედ წამოწოლილი, ტანთგაუხდელი და ფიქრებში გართული. ძაღლები იქა-აქ ისევ ყეფდნენ, თვალს რული ეკიდებოდა. სისხლი ძარღვებში ნელა მღეროდა. ყეფდნენ ძაღლები, რეკავდა გული და ჩაძირულ გრძნობით მღვრიე ვენებს გულამდი სევდა მაინც მიჰქონდათ. ყეფდნენ ძაღლები და ფრთხილი ყნოსვით სოფელს ერთგულათ უდარაჯებდნენ. სუსანა კი ამ დროს რძეთ დაღვრილ, თეთრ მორევში ჩაძირულიყო და ძუძუებზე ნაკბენ ადგილებზე ხელს ისვამდა, სტკიოდა. მაგრამ ტკბილი იყო ის ტკივილი, როგორც პირველ განცდილი სიზმარეული ვნება.

კმარა სოფელში ყოფნა — ფიქრობდა ჯუანშერი, ზღვა მომენატრა, უნდა წავიდე. — გადასწყვიტა მან თავის გულში და ჩაეძინა.

მეორე დღეს ჯუანშერი აგარაკ მზიურაზე იყო. ზღვის პირას პატარა ბაღში მარტო დადიოდა. სკამზე დაისვენა და ისევ სოფელი თვალ წინ არ შორდებოდა. განსაკუთრებით

ერთი შემთხვევა, როცა ის მეორე სოფლიდან თავის სოფელში ბრუნდებოდა. ძალიან ცხელოდა. მდინარეს მიადგა. დასიცხული და ოფლიანი იყო, უნდა ებანავა. მზე ისევ მხურვალებით ანათებდა. ტანთ გაიხადა და მდინარეში გადაეშვა. მდინარის შემდეგ ისევ სილაზე გაწვა. ტანი მზისგან დამწვარი ჰქონდა. მზე თანდათან ქვემოთ იხრებოდა და გაღმა მდინარის პირზედ დიდრონ ხეების ჩრდილი გამოღმა ნაპირს ეპარებოდა. მდინარე მდორე და საკმაოდ ფართეთ იშლებოდა. არც ერთი ტალღა და არც ერთი ხმაური არ სჩანდა და პირველ შეხედვაზე გეგონებოდა, რომ თითქოს სარკეა და დგასო. გაღმა ნაპირი უფრო მაღალი იყო, ორივე კი მწვანე ბალახით შემოსოდა. გამოღმა ნაპირი მინდვრებით და ყანებით იყო დაფარული. ნელნელა მთელი მდინარე ჩრდილმა დაჰფარა. ვაჟი ამდგარი იყო და წყალში ჯებირებისთვის დასობილ სვეტებს მისჩერებოდა. მდინარეს მერცხლები დასტრიალებდნენ, წყალის სარკესავით ზედაპირს ფრთებს შემოჰკრავდნენ, და წივილით ისევ ზევით აფრინდებოდნენ. იქვე წყალში სვეტების თავზე პატარა ჩიტი იჯდა, ფეხები ორ შავ ნემსივით ხეზედ დაესო და რაღაცას უცდიდა. ის ძალიან პატარა იყო. მერცხლები მასთან შევარდენებათ მოსჩანდნენ, მდინარეს უკვირდებოდა, უცბათ რაღაცას დაინახავდა, აფრინდებოდა, თითქო წყალს აკოცაო და ისევ ნისკარტის ცმაცურით სვეტზე შემოჯდებოდა. მზე თანდათან იხრებოდა და მდინარის ლორთქოშ ბალახიან ნაპირებთან ზუთხის დაბანილი დინგი სიფრთხილით მიიპარებოდა და მწვანე ბალახს სძოვდა. ჯუანშერის წინ წყალი გადაგორდა და ლაფშებიანმა ლოქომ თავი ამოყო და ცას შეხედა. ამ დროს გაღმა ნაპირიდან ორი ქალი გამოჩნდა ჯუანშერი სილაზე დაჯდა ისინი მდინარის პირას ლაპარაკით ჩამოვიდნენ ტანთ გაიხადეს. კივილით და სიცილით-კისკისით მდინარეში გადაეშვნენ და ყელამდი დაიყურნენ. შემდეგ გამოღმა რომ ჯუანშერი შენიშნეს, დაიკივლეს. მაგრამ მალე შეეჩვივნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ის გაღმა ვერ გავიდოდა. ჯუანშერიც გათამამდა.

— ვარიებო, ვარიებო! — უძახდა ის მობანავე გოგოებს და ხელს უქნევდა, გოგოები კისკისობდენ და ეძახდნენ:

— თუ ვაჟკაცი ბრძანდები, შენ თვითონ გამოდი. იდგნენ შუბლზედ ხელ მიდებულნი, ამოწეულ მკერდებით და ძუძუებ გაბზეკილები, ჯუანშერს ახელებდნენ.

— მე თქვენი ეშხით უკეთესია თავს დავიხრჩობ. — დაუძახა მან და წყალში გადაეშვა და დაიყურა. ის კარგა ხანს არ სჩანდა. მაგრამ უეცრად თავი ამოჰყო მობანავე გოგოებს შორის. გოგოებმა წამსვე პირი იბრუნეს და გაქცევა დააპირეს. ერთი სწრაფად მობრუნდა ტანსაცმელს ხელი დაავლო და გაიქცა. მეორე უფრო შეკრთა და აიბნა.

— სუსანა! — შესძახა ჯუანშერმა დარჩენილს და მივარდა იმ დროს, როცა ქალი უნდა წაქცეულიყო. ათრთოლებულ თეთრ ტანს მკლავები მოჰხვია და თავისკენ მიიზიდა...

კაპიტონ ნემსაძე

ᲐᲠᲘᲥᲕᲘᲠᲜᲘ

1

ᲪᲕᲘᲠᲘᲡᲘ

მორიგი რედეაქტორები: გერონტი ქიქოძე
ვასო გორგაძე

დაიბეჭდა: პ. ტ. პირველ სტამბაში, მთავლიტი №2219.

„არიფიონი“, 1928, №1

არიფიონი

სალიტერატურო განცხადება

ყოველ ეპოქას საკუთარი კულტურული შინაარსი აქვს. მისი ხასიათი და განვითარება ხელოვნებასა და ლიტერატურაში ცხადდება.

ქართველი ხალხის ეროვნული სახე და ნიჭი შემოქმედების არც ერთ დარგში არ გამოკვეთილა ისე მკაფიოდ, ღრმად და ფართედ, როგორც ხელოვნებასა და მწერლობაში.

ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულებით სხვანაირი ესთეტიური გემოვნება და შეგრძნობანი აქვს, ვიდრე აბჯარ-კოშკების ხანას ჰქონდა.

თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნია თვისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ასოციაცია **არიფიონის** მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში.

ქართული ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ ჰგულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი **არიფიონს** ორგანიულ ერთეულად მიაჩნია.

შემოქმედების პროცესი უაღრესად ინტიმურია და პიროვნული. მაგრამ მხატვრული სტილის შექმნას აადვილებს კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თავის წევრებს სულიერი ნათესაობის საფუძველზე ახალი შეგნების, შეგრძნობისა და გემოვნების დასამკვიდრებლად.

ახალის ძიებას ქართული ლიტერატურა მიმდინარე საუკუნეშივე შეუდგა. **არიფიონი** იმ ქართველ მწერლებს აკავშირებს, რომელთაც ამ გზაზე უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის.

მხატვრის თვალი და ალღო თავისუფალია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის.

არიფიონის წევრთა წარსული და ეხლანდელი ლიტერატურული მოღვაწეობაც ამას ადასტურებს. **არიფიონს** მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრულ მეტყველებისა და აზროვნების კულტურას, ქართულ სიტყვისა და თქმის დაწმენდას და ადამიანობის კულტის განმტკიცებას.

რევოლიუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის შეგნებაში და უზრუნველჰყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლიუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის. ვითარდებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა.

არიფიონიც ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას — ლიტერატურის, ხელოვნებისა და აზროვნების განახლებას.

ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი,
ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი-ლიხელი,
გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე,
ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი
კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი

16 მარტს, 1927 წელს, დედაქალაქი

ორი ბალადა

შოთას ბეჭედი

I

დასტოვა სოფლის სიამე
სოფლად რჩეულმა შოთამა;
მოყვარემ ცრემლი დაღვარა,
სასახლე შეაშფოთა მან.

მას შემდეგ ბევრი ასრულდა,
ბევრჯელ იცვალა ტაროსი;
თამარს დრო შემოებურა
არა ბედ-სანეტაროსი.

მის დროშას ფერი ეცვალა
და ეს ვერ უტეხს ხასიათს:
რა საიდუმლო აწუხებს?
ან რისთვის ჰმალავს ხვაშიადს?
— შოთას იგონებს დაკარგულს,
დარდი გულს აბამს არშიას.

არ მოდის. ელის ყოველ დღე
ამბავი გაიგება რა,
შიშობს, თალხები ჩაიცვას,
თან მისთვის გული სწყდება-რა.
ნუთუ ვერ ნახოს ცოცხალი?
ნუთუ ის მიწას ებარა.

II

შავი ზღვის გაღმა, მთის ძირში,
სჩანს მონასტერი ღრუბელში;
ბერად შემდგარი შოთა წევს,
ნესტიან ღვიმის ზღუდეში.
მოხუცს თვალი-ღა უნთია,
ბეჭედს ინახავს უბეში;
ხან ამოიღებს, და ჰკოცნის
შეკრულსა აბრეშუმებში;
ხან გაიკეთებს ცივ თითზე,
არ ჰსურს თან ჩაჰყვეს კუბოში.

მოყმეს გადასცა მხლებელსა
ტრფიალის ამანათია;
უთხრა: „ეს არის თილისმა,
ჩანგი მით მომიმართია.

კვლავ დაუბრუნე თამარ ქალს,
მისდამი დავრჩი მოსავი;
თან ვერ ჩავიტან ხალხის განძს,
სხვაც უნდა მღერდეს მგოსანი.

ბეჭედს დავტოვებ სახსოვრად,
რაც მე აქამდე მებარა;
და ვის ხელშიაც აღმოჩნდეს,
მოიხსენიონ ნეტარად“.

III

ჭაბუკი, შოთას მხლებელი,
საქართველოსკენ ეტარა;
(აღარ დასცალდა რუსთაველს,
ბინდი თვალებზე ეფარა).

მგზავრობა იყო ადვილი,
უღრან ტყეებში იოლი.
იქ დაიღამის კორტოხზე,
სადაც ბარბაცებს რიონი.

ლიხის მთისაკენ ისწრაფის —
მწვერვალი გარდუვალია;
თვით აღარ ახსოვს, დაღლილმა
სად რა ციება დალია;
გლეხს შეეფარა ავდარში,
ჰბოდავს, ჰგონიათ მთვრალია.

მოუხმეს ცნობილ მკურნალებს,
იქ მკითხავებიც არიან.
ბეჭედს ვერ ამხელს, ვის მისცეს? —
მიმღები დედოფალია.
ნუ თუ აქ მოკვდეს, ვერ ნახოს
მნათობი თამარ ქალია?
ბევრი იბორგა სიცხეში,
ანთებით სული დალია;
ასე უდროო სიკვდილი
ჯადოქარს დააბრალიან.
ვის დარჩა შოთას ბეჭედი?
ანუ ვის დაუმალია?
რომელმა ჰპოვოს რჩეულმა? —
საუნჯე იდუმალია.
თქვენ, მეგობრებო, ეძიეთ!
მემკვიდრეობის ვალია!

სანდრო შანშიაშვილი

1927

ცაგო მღერის შაირებს

ფშაური ბალადა

ცაგოს ამკობს მარმაში.
ჩონგურს უკრავს კალთაში.
ჰხიბლავს ჰანგის თამაშით.

შაირს მღერის ქალებში.
ცრემლი უკრთის თვალებში.

ჭაბუკს გრძნობა მორეულს
შეეტრფოდა შორეულს.

ქავთარ იყო რაინდი.
მტრობდა ქისტი ნაიბი.

ცაგო ჰსურდა თავისად.
წაიყვანდა გაისად.

მთებში შეხვდნენ იალაღს,
სისხლი ღებავს იარაღს.

მღერის ცაგო ქალებში,
ცრემლი უკრთის თვალებში.

დარდით ქავთარს იგონებს...
ჩონგურს გულში იკონებს.

შურს ხომ ვერვინ იძიებს,
სისხლსაც ვერვინ აიღებს;

მის სახსოვრად ჩონგურზე,
ცაგო მღერის შაირებს.

სანდრო შანშიაშვილი

1910

ათე

მოაკენჭი მოთხრობა

კენჭი პირველი, თეთრი

დიდი ხანია წითლდებოდა ის ლოყები. იმდენივე ხანია ჟუჟუნებდა ეს თვალები.

ეს დიდი-ხანი ნახევარ საათშიაც კი არ გამოითქმება.

მას შემდეგ, რაც თბილისიდან ნაშუადღევის სამ საათზე მუშათა საგანგებო მატარებელი დაიძრა ავჭალისაკენ.

ვიწროობა, სიცხე, ოფლი.

ვიწროობამ დააახლოვა ახალგაზრდები.

სამნი არიან: ჩვიდმეტი წლის მოხდენილი, ნაწნავებიანი გოგონა და ჩამკვრივებული, მორჩილი ტანის ორი ვაჟი.

უნებურათ ეკვრიან მათი სხეულები ერთი-მეორეს.

ქალს სალუქი, თეთრი მარმაშის ყელ-ამოჭრილი და უსახელო კაბა აცვია.

ვაჟებს — მუქი, მიხაკის ფერი ხალათები.

ქალს მოგრძო, ტყავის ჩანთა უჭირავს.

ვაჟებს მოაქვთ სამფეხა ფოტოგრაფიული იარაღი და კიდევ რაღაც ალბომები. კიდევ მოაქვთ ტყავში შეხვეული პატარა ტვირთი; მრგვლათ არის დაგრაგნილი, მაგრამ შიგნიდან გამოსჩანს გონიო, ცოტა მოზრდილი ფარგალი, კიდევ რაღაც უცნაური ხელ-საწყო.

სახუროთმოძღვრო თუა!

ან შეიძლება მიწის მზომლები არიან!

ვინ არის, რა ხალხია?

ასე ფიქრობს ნაწნავებიანი გოგონა და უფრო ქერა მეზობელს აჩერდება, რომლის ცისფერი თვალები ჟუჟუნებენ ისეთის სიხალისით, თითქო რაღაც საამურს და სანეტაროს გპირდებიან მომავლისათვისო.

ვიღაც ახმახმა გამოიარა.

გამოვლა არც კი შეიძლება: აქ ნემსსაც კუდი ვერ მოუქნევია, მაგრამ ეს... კი არ მოდის, მოლეწავს ყველაფერს.

და აკი... კინაღამ გაიტანა ნაწნავებიანი მთრთოლარე სხეული. სხეულმა უშველა თავს: ქერასკენ გაიწია უნებურათ, ლამის ჩაეხუტოს. ახმახმა „უხეშმა ძალამ“ მიაგდო მეორე ვაჟის გულ-მკერდს. ვაჟმა გაშალა მკვლავი, თუ კი ამას გაშლა დაერქმევა. მაინც მყარ ჯებირათ ჩადგა ქალის სხეულსა და გამვლელს შუა. ამ რკალმა იხსნა ქალი გათელისაგან, მხოლოდ ვაჟის გულ-მკერდს ტკბილი ძალადობა მოუვიდა ქალის მიახლებისაგან.

ამის შემხედვარე ქერას ღიმილი მოუვიდა.

ქალი გაწითლდა.

რა მოხდა?

სრულიად ჩვეულებრივი რამ: მატარებლის ვიწროობაში ერთმა სხეულმა მეორე მიჭეჭყა.

განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

აქვს. აქვს.

ქერასათვის აქვს — ეტყობა აჟუჟუნებულ თვალებს და გადარბენილ, უცნაურ ღიმილს.

მეორე ვაჟისათვის აქვს — ეტყობა მის გულ-მკერდს, მოჩქარებით რომ ადის და ჩადის.

ნაწნავიანისთვისაც აქვს — ეტყობა თითქო უმიზეზოთ აწითლებულ ლოყებს.

— საით? როგორ?

გაიბა შემკრთალი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქმულ სიტყვათა ძაფი სამ ახალგაზრდას შორის.

ამგვარად სამთავემ გაიგეს:

ქალი მიდის ზაჰესში, მის ძმასთან, რომელიც სწორედ ძრავზე მუშაობს. დარჩება რამოდენიმე დღე, სახელგვარათ ელო მინდიაშვილია.

ვაჟებიც ჩამოხტებიან ზაჰესში, მაგრამ მიდიან ჯვარის მონასტერზე. ახალგაზრდა ხუროთმოძღვარია ორივე და მიდიან, რომ ეს ძველი ნაშთი შეისწავლონ, გამოზომონ, გადაიღონ და შემდეგ შეუდგნენ მის განახლებას.

ქერას მიხო რქმევია, მეორეს — დიტო.

— განახლებას? როგორ ჯვარის მონასტერი უნდა განაახლონ?

სრულიად წამოწითლდა ელო ნაწნავიანი. მხოლოდ ეს სიწითლე აღარ იყო ქალურ კდემა-მოსილებისა. ამ ფერს დაეკარგა თითქო სინაზე, უფრო ჟანგის ფერი მოიდვა, რადგან თვით სიტყვათა კილოსაც დაეტყო ნაწყენი გაოცება.

— დიაღ, უნდა განახლდეს.

დინჯათ უმტკიცებს ქერა ხუროთმოძღვარი.

— თქვენ უთუოდ ის გაკვირვებთ, რომ...

ენაცვლება ქერას მეორე:

— რომ ჩვენ ეკლესიებს და ტაძრებს ვაქცევთ და იმავე დროს ვაახლებთ ზოგიერთსა...

— მაკვირვებს კი არა, აღშფოთებული ვარ...

წკრიალებს ელო განაწყენებული.

— რა დროს ტაძრებია! ვერ ხედავთ სად მივდივართ... ჩვენი დროის საუკეთესო მშენებლობის წყაროსთან: ძრავები, ღარეშაპები, ელექტრონი, დინამიკა...

— დიაღ, დიაღ, ეს ყველაფერი საჭიროა.

კიდევ უფრო დინჯობს ქერა ხელოვანი.

ელო მაინც არა ცხრება.

— თქვენ კი რა გინდათ... დრო-მოჭმული ეკლესია, საუკუნოებით ხავს მოკიდებული რაღაც კედლები. კიდევ გინდათ სულელურ წმინდანთა ხატებით მორთოთ და... შეიძლება მონასტრის გუმბათზე ჯვარიც წამოასკუპოთ, არა?

ირგვლივ მყოფთ მიმოიხედეს.

— რა ამბავია, რა იყო?

გაიგეს. ასტყდა ხორხოცი:

— ჩვენ ყველანი ზაჰესის მუშები ვართ...

— ამის ნებას არ მოგცემთ...

— ვინ გაიგონა...

— ახლა კიდევ ეკლესია გამიმართე, თუ ძმა ხარ!

— ძლივს მოვრჩით მღვდლებს და ბერების მატყუარობას...

— არა, არა...

— არ გვინდა, არა!

ელო გამარჯვებული იხედება.

ვაჟები თითქო დაიძაგრნენ. ხმალში გამოწვევა მიიღეს.

მაგრამ სწორედ ამ დროს გაიჩხრიალა მუხრუჭთა ჯაჭვმა, ამრიდის თასები ერთი მეორეს გაეტკაცუნენ, ცოტა გახრიალება და მატარებელიც შეჩერდა.

ესეც შენი ზაჰესი.

კენჭი მეორე, თეთრი

კარგა რომ დასაღამოვდა, ხუროთმოძღვრები უკვე უფრო ახლო გაეცვნენ ელოსაც და მის ძმას, ძრავზე მომუშავე სანდრო მინდიაშვილს.

ერთი თვალის გადავლებით მოათვალიერეს ზაჰესის უკვე აღვართქაფებული სადინარნი.

ზევით წყაროზეაც იყვნენ, ქართულ სტილში ჩაბუყნულ ქვებათ რომ გამოიყურება და ელოს ხელით ავსებულ თიხის ყერყეტა სურადან წყალიც იგემეს ვაჟებმა.

შემდეგ გამოეთხოვნენ ერთი მეორეს და ელო თავის ძმის ბინაზე მოსასვენებლად წავიდა, ხუროთმოძღვრები კი შეუდგნენ ციცაბო აღმართს ჯვარის მონასტრისას.

ელო უკვე საკვირველი სიხარულით აღვსილი მიდიოდა ძმის ბინაზე.

იგი დამშვიდდა სრულიად, როცა გაიგო, რომ ჯვარის მონასტერს აახლებენ, როგორც ხელოვნების ძვირფას ნაშთს და იქ სამღვდელო ეკლესია კი არ იქნება ხატებითა და ჯვრებით განახლებული, არამედ იქცევა იგი მუზეუმათ მუშათა შრომის შემოქმედებისა და განსაკუთრებით ზაჰესისა.

მხოლოდ ეს საკვირველი სიხარული რაღა იყო. ნუ თუ მხოლოდ რაღაც კონცხზე წამონაყუდ შენობის ამბავმა გაახარა ესე.

ელომ იცის, რომ კიდევ არის რაღაც სხვა სიხარული და ეს კი... უნდა ეკითხოს ახალგაზრდა ხუროთმოძღვრის მიხოს ჟუჟუნა თვალებს.

კენჭი შავი, პირველი

მიხო და დიტო კი ჯვარის მონასტრიდან გაჰყურებდნენ ირგვლივ ჩაღამებულ ცის სივრცეს, საცა ერთის მხრით ოდნავ ბჟუტავდა ძველ დიდებათაგან განძარცული სოფ. მცხეთა, რომელსაც თითქო სევდის აჩრდილათ ჩაჰყუდოდა დიდი ტაძარი სვეტიცხოვლისა და... მეორეს მხრივ მოციმციმე ლურსმნებით გადაჭედილ ზაჰესს, სიცოცხლისა და მოძრაობის მაუწყებელს, სადაც გამამხნევებლათ ჩამდგარიყო ბუმბერაზი სახე იმ ადამიანისა, რომელმაც თავის სიცოცხლეში შესძლო სრულიად ახალის, ჯერ უნახავი ცხოვრების მოგვარება მართლაც რომ მსოფლიოს მთელს მეექვსედზე.

ხუროთმოძღვრები ამ ღამეში თვალით ზომავდნენ მყარ კედლებს ჯვარის მონასტრისას და ეხლავე ანცვიფრებდათ მის ამშენებელთა მოფიქრება ადგილის შერჩევისა, კედლების აყვანისა, გუმბათის დადგმისა, მისი სიმტკიცისა და შენობის საერთო კომპოზიციისა.

ეს ერთი თვალის გადახედვით.

მხოლოდ ხვალ დილიდან კი მოელოდნენ მეტს სიამოვნებას შინაგნობის უფრო დაწვრილებით გაცნობის გამო და ამითი გახარებულნი ეხლა ცალი ყურით უსმენდნენ ადგილობრივ ტაძრის მომვლელ ბერის ნახევრად ზღაპრულ მოთხრობას. თუ როგორ აღმოცენდა ეს ტაძარი, რა იყო ჯვარის მონასტრამდე აქ აღმართული და სხვა.

ხუროთმოძღვრებმა ისტორიულ წყაროებით იცოდნენ ჯვარის მონასტრისა ზოგი რამ, მაგრამ ნაფეთქი ლეგენდა მიხრწნილ ბერის პირით გადმონაცემი ნელ ღიმილს ჰგვრიდა ორ ახალგაზრდა ბაგეს.

ბერისაგან მათ გაიგეს, რომ ძველ, ოდესმე კერპთაყვანის მცემლების დროს, აქ რომელიღაც საქართველოს დედოფალმა საბერძნეთით მოიტანა შიშველი ქალის ქანდაკება და მარმარილოს თეთრ სვეტებ შორის აღმართა სწორეთ ამ ადგილას.

ეს იყო „თეთრი ეშმაკეული“ საცთუნებლათ ხალხისა და აღსატკინებლათ ჭაბუკთაო, იტყვის გადმოცემა.

და იყო გარყვნილება დიდი მის შემხედვარეთა შორის, ხელით ჩუკუნება ასოთა სამღერალთა და რისხვა ესეთი ღვთისა თავსა ზედა, მათ წარმართთა, მოიწეოდაო.

ხვალ ნახავთ თვით ტაძარსა და ტაძრის შიგნით ეხლაც შეამჩნევთ ფუძეს ამა სვეტებისას და თვით ამ სვეტების ნამტვრევებსაც, რომლებიც ამ ჟამად დასავლეთის ეკვდერში ყრია სირცხვილეული.

დიდი ხანია მინდოდა ხრამში გადამეყარა ეს ქვები ბილწეული. მაგრამ ქალაქიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა არ მიყაბულეს და დროებით მიმალაგებინეს ხსენებულ ალაგას.

მე კი მათ არ გავკარებივარ, როგორც სატანის მიერ შთაგონებულ და შექმნილ ნაწარმოებსაო.

შეურაცხყოფილი დრტვინავდა ბერი.

დიტომ და მიხომ ერთი მეორეს გადახედეს:

— ეგ ხომ აფროდიტეს ქანდაკებაზე ლაპარაკობს...

— დიაღ, დიაღ... რა კარგია თუ ის დამტვრეული სვეტები მართლა ამ ძველის ძველი ძეგლის აღმოჩნდა.

— ოჰ, ისე ვარ აღტკინებული, ჩემო დიტო, რომ ვერ მომითმენია... ეხლავე მინდა ტაძარში შევიდე და ყოველივე დავათვალიერო...

— აკი გადავწყვიტეთ დღის სინათლეზე შესწავლა ამ საუცხოვო შენობისა.

— გული ვერ ითმენს... ეს ადგილი თითქო ჯადოსნურათ მიზიდავს თავისკენ. სამი უდიდესი ნასკვი კულტურულ გადატეხისა თითქო ამ კონცხზე და მის კალთებზე შეისკვნა საქართველოსათვის: კერპთაყვანისმცემლობა, ქრისტიანობა და ეხლა უდიდესი ხილვა სოციალურ ჭეშმარიტებათა... მოდი და ნუ აღელდები! მოდი და ნუ გაეცნობი იმ საფეხურებს, იმ კვარცხლბეკსა, საცა პირველად ქართველმა გააღმერთა სილამაზის კულტი ქალის სხეულის სახით... შემდეგ ჯვარი მოყვასთათვის თავდადების სიმბოლო და ეხლა კიდევ რეალ სინათლის და სითბოს მომცემი ჩქერი ისტორიული მტკვარისა, ესეც სიმბოლო მუდამი მოძრაობისა, წინსვლისა და წარმატებისა.

— სწორედ ეგრე მოველოდი... შენი პოეტური თავი, ვგრძნობ, რომ მგზნებარებს ფერადი სურათოვნებით. შენ გიტაცებს მომავლის პერსპექტივა და წარსულის დანაგანძი, მაგრამ ერთია საკაეშნო: ყველა ეს კულტი რომ უცხოეთიდან არის შემოტანილი...

— ჰმ... შენა გგონია, ჩვენი რასსიული შიგ არა შეგვიტანია რა?.. ბევრი, ბევრი, მერწმუნე, დიტო ჩემო... და აი ნახავ, ამ ტაძრის შესწავლა, მისი ხუროთმოძღვრული აღნაგობა გაამტკიცებს ამ აზრსა... მოდი შევიდეთ... ეპიფანე! — მიმართა ბერს — სანთელის ნამწვი ხომ გექნება...

თან წამოიწია, მაგრამ დიტომ მოახერხა მისი დამშვიდება და ტაძარს შესვლა გარიჟრაჟამდე გადაადებინა.

კენჭი მესამე, თეთრი

რა მზემან თვისი ბრწყინვალე სამოსელი გადააცვა მცხეთის მიდამოს, აგუგუნდა ზაჰესის არე-მარე და ელო შეუდგა ანაგებთა და მანქანათა უფრო დაწვრილებით დათვალიერებას. მის ბედზე რომელიღაც ექსკურსიაც ჩამოსულიყო და სპეცი-ტეხნიკოსი უხსნიდა მომსვლელებს თითოეულ მარჭვალისაც კი მნიშვნელობას.

აქედან ბევრი ვერაფერი გაიგო ელომ, მაგრამ თითქო უფრო ახლო ეცნობოდა ამ კბილოვან ბორბლებს, ამ თუჯის გაშოტილ ქვაბებს, ძრავის შეუჩერებელ რკინის ისრებს... თითქო უფრო უშინაურდებოდა, მხოლოდ იმავ დროს...

საოცარია!

გულის ყური ჯვარის მონასტრისაკენ ჰქონდა.

მონასტრისაკენ?

არა, არა... იქ არის ვიღაც... თვალები რომ უჟუჟუნებს.

იმასთან არის ელოს შეგრძნობა.

რათა და რისთვის? განა რა მოხდა ისეთი მათ შორის?

არავინ იცის... და განა იცის ვინმემ, როდის, რომელ წუთას და როგორ ისახება წარმტაცი გრძნობა ერთი ადამიანისა მეორისადმი...

ელომ გადასწყვიტა საღამო ხანს ძმასთან ერთად ასულიყო ჯვარის მონასტერში მის დასათვალიერებლათ და... ახალგაზრდებიც ენახა.

ესეც მოხდა.

საღამოთი ორივ და-ძმანი უკვე ტაძარში მიმოვიდოდნენ.

მიხო და დიტო სიხარულით შეეგებნენ ზაჰესით ამოსულ სასიამო სტუმრებს და უწყეს ახსნა-განმარტება ნაშენი მნიშვნელობისა და წარმოშობისა.

ამ ჟამად უფრო დიტო იყო სიტყვა-წყლიანი. მიხოს კი მეტი გარინდება ემჩნეოდა და... ზოგჯერ თავაზიანი ღიმილი მხოლოდ, რაიც არ ამჟღავნებდა იმ მდგომარეობას, რომ იგი მოსაუბრეთ შორის იმყოფებოდა.

ეს შეამჩნია ელომ.

და შეეცადა გამოეწვია სალაპარაკოთ.

მაგრამ თითქოს უდღეო იყო მიხოს სიტყვები.

ისინი თითქოს არ ცოცხლობდნენ.

ბაგეთაგან ცვიოდნენ, როგორც ქარის მიერ ჩამოყრილი მცენარის ყვავილები.

ელოს თვალები თანდათან უფართოვდებოდა გაკვირვებისაგან და გულის ყურს ვეღარ აყოლებდა დიტოს ბეჯით განმარტებებს.

— აი, ეს კი ძუძუს ქვაა... — ამბობდა ეხლა დიტო — ესეთი ძუძუს ქვები იცის ჩვენმა ხუროთმოძღვრებამ. მაგალითად, ესეთი ქვები ინახება ახალქალაქის ახლო მდებარე სოფლებს — მურჯახეთსა და განძას. ეს ძუძუები ნაყოფიერების ემბლემაა. ძველ — ოდესმე მოდიოდნენ ამ ქვებთან ის დედები, რომელთაც რძე არა აქვთ და უსვამდნენ ქვის ძუძუებს ქონს ან ერბოს და სწამდათ, რომ ასეთ მოქმედების შემდეგ რძე გაუჩნდებოდათ. ამ ტაძარში ჩაყოლილი ძუძუები, ჩემის ფიქრით, ქრისტიანულ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, მხოლოდ თუ აქ მოხვედრილა — უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში, როდესაც ტაძარი რამოდენიმეჯერ შეკეთებულ იქნა... აი აქაც, ხომ ატყობთ ძუძუები არ არის სიმეტრიულათ... სხვა და სხვა დროს არის ჩაკერებული. ესეთი მაგალითი ამ ტაძარზე ბევრი მოიპოება. ის განთქმული ბარელიეფები, რომელიც წეღან გარეთ კედლებზე ვნახეთ, სტეფანოს იპატოსისა და სხვების, ხომ გითხარით, რომ არც ისინი არიან თავ-თავიანთ ადგილას... შეკეთების დროს უვიც კალატოზებს მხოლოდ კედლები შეუმტკიცებიათ და მის პირველ დანიშნულებას და მშვენებას კი ვერ მიხვედრიან...

ელო და მისი ძმა ამ ჟამად სამხრეთის კედელზე შესცქეროდნენ ერთ კარგა მოზრდილ ასომთავრულ ხუცურ წარწერასა.

დიტომ მყისვე წაუკითხა:

— აი, მანდ რა სწერია: „წყალობითა ღვთისათა და შეწევნითა ჯვარისა მე თემესტია მხევალმან ქრისტესმან აღვაშენე საყოფელი ესე სახსენებლად სულისა ჩემისა და თაყვანის საცემლად დედათა“.

— თემესტია? — იკითხა ელომ.

— დიაღ, ყოფილა ესეთი სახელიც... მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით ეს წარწერიანი ქვაც არ არის თავის ალაგას... ხომ ხედავთ, უბრალო თვალითაც შეამჩნევთ, რომ ეს ქვა აქ უხეიროთ არის ჩაჩხირული...

— რატომ?

— მისთვის, რომ ეგ, ეტყობა, ყოფილა დედათა სამყოფელის ზედ წარწერა. ესეთი სამყოფელი კი უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკე შენობა იყო, შეიძლება ტაძართან ზედმოდგმულიც, მხოლოდ შიგ ტაძარში კი ვერ იცხოვრებდნენ თვით თემესტია და მისი მომყოლი დედანი...

— ვინ ყოფილა, ნეტა, ეს თემესტია?

ელო გამოცოცხლებული იყო. დიტომ კი ერთ კედელზე მიუთითა:

— აი, ხომ ხედავთ, ქალის გამოსახულება, ეხლა მტკიცდება, რომ ეს თემესტია უნდა იყოს.

— მართლა?

ელო დაუკვირდა. სხვებმაც ყელი მოიღერეს. მიხო ყველაზე უკან იდგა ჩამოქურუხანებული, მხოლოდ ტუჩები ოდნავ უღიმოდა და ხან ბარელიეფს აშტერდებოდა და ხან ელოს ნაკვთიერებას.

ელომ გაიგო ამბავი:

თემესტია ვიღაც დიდი კაცის შვილი ყოფილა თავის დროზე, მის დროს მთავრდებოდა თურმე ჯვარის ტაძარი. ტაძრის ამშენებელი ახალგაზრდა კალატოზი, ვინმე მიქელ მცხეთელი ყოფილა და მისი ამხანაგიც ვიღაც დემეტრე.

— აი, ხომ ხედავთ, ყოველ ქვას თავისი ნიშანი აქვს: ზოგზე ხუცური „მ“ არის გამოსახული, ზოგზე ხუცურივე „დ“. ეს ხუროთმოძღვრების სახელთა ინიციალებია. ერთის სიტყვით, მაშინაც მიხო და დიტო ყოფილა ამ ტაძრის ავანჩავანი და ეხლაც, აი, ჩვენ გვაქვს მონდობილიო. — ქილიკობდა დიტო.

ელომ კიდო მეტი გაიგო: ეს მიქელი უბირი ვინმე ყოფილა, მაგრამ დიდი კაცის ქალს თემესტიას შეჰყვარებია და ამ სიყვარულის ნაშთი დღესაც არის დატოვებული მიქელ კალატოზის მიერ — თვით თემესტიას ბარელიეფით და ძუძუების ქვით. მაგრამ ამ სიყვარულს შეყვარებულთა სიცოცხლეში დიდი უბედურება მოჰყოლია. თემესტიას ჭირისუფალს გაუგია ახალგაზრდათა სიყვარული და საცოდავ მიქელისათვის თვალები დაუთხრია:

ვით შეჰბედეს ამ თვალებმა თემესტიას შეყვარება. მისი სახის სულში ჩახატვა.

ამიერით ამ თვალებმა ვეღარ შესძლონ ვერც განცდა საყვარელისა და ვერც შემოქმედება ხუროთმოძღვრებაშიო.

ორივ საყვარელი უნდა დაჰკარგოდა უსინათლოს.

თემესტიამ კი ეს ვერ აიტანა, მონაზვნათ აღიკვეცა და აი, ააშენა მიქელის აგებულ ტაძართან თავისი დედათა სამყოფელი.

— ეს მთელი რომანი ყოფილა... — გაიწკრიალა ელომ.

მიხო თითქო შეკრთა ამ სიტყვებზე, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია.

ყველანი ტაძრიდან გავიდნენ.

უკვე კარგა ჩამოღამებულიყო და სტუმრები აჩქარდნენ წასასვლელად.

მიხომ მოიმიზეზა სამუშაო და მალე გამოეთხოვა ელოსა და მის ძმას.

დიტო კი ცოტაზე ჩაჰყვა მათ.

ელო მოხიბლული იყო ნახულითა და გაგონილით.

მისმა ძმამ კი მოიგონა, თუ პირველ ხანებში როგორ იწყინეს ზაჰესის მუშებმა, როდესაც გაიგეს ტაძრის განახლება.

— ელოსაც ეგრე ჰგონებოდა, მაგრამ ეხლა, როცა ჩემი თვალით ვნახე თქვენი დაწყებული მუშაობა და... თვით ეს საარაკოთ ნაშენი ტაძარი, რაღა თქმა უნდა, ორი აზრი აღარ

შეიძლება აქ კაცმა იქონიოს... უთუოდ მუზეუმი უნდა დაარსდეს მანდ, მუზეუმი ზაჰესის აგების საბუთებისა, მაგრამ მე კი ვისურვებდი უფრო გაფართოებულიყო პროგრამმა ამ მუზეუმისა და მანდ შეგვექმნა სალარო საერთო შრომის ნაყოფიერებისა, საქართველოს შრომისა და მშრომელთა ისტორიისა, ამის საბუთები, მოდელები, დიაგრამები და სხვ.

დიტო აღფრთოვანდა:

— მეტად კარგი აზრია, მეტად... და მართლაც, იცით, ამხანაგებო, რა აზრი მომივიდა... გაგიზიარებთ...

— აბა, აბა!

— უთუოდ გეცოდინებათ, რამდენი ძველის ძველი ციხეები, ტაძრები და სხვადასხვა გვარი ძეგლები არის ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ალაგას მიმობნეული. მერე ზოგიერთი მაინც რა საუცხოვო ადგილზე არის გაშენებული: ჰაერი, წყალი, სანახაობა. ყველა ეს ძვირფასი ნაშთები ქართული ჰენიისა უნდა განახლდეს, შენახულ და გამოყენებულ იქნეს სადღეისო საჭიროებისათვის. მაგ., გამასწორებელი სახლები, რადიო-სადგურები, საავიაციო ანგარები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, მუზეუმები და სხვ. ახალი ცხოვრება უნდა ეღირსოს ამ საუკუნოებით გამომდგარ კედლებს. ახალი სული უნდა შთაებეროს მათ და უნდა გამოცოცხლდეს მთელი საქართველოს მთა და ბარი. ციცაბო კლდეთა წვეროკანებზე აღმართულ თითქო გამოუსადეგ ციხე-დარბაზებს უნდა მიეცეს სადღეისო, საჭირო მნიშვნელობა...

სამივე გაიტაცა ამ ოცნებამ.

ელოც ხალისიანად ჩაერია ამ მომავალ, გაჩაღებულ საქართველოს სურათის შექმნაში, მხოლოდ...

რა არის კაცის გული!..

ცოტა წუხდა, რომ ეს იდეა დიტომ წარმოსთქვა და არა მიხომ.

რათა?

ვითომ მიხოზე ცუდი რათ არის დიტო?

ის თუ მიქელია, ეს ხომ დემეტრეა!

თუ მიქელი ისე დაისაჯა თავის დროს, ეტყობა დემეტრემ დაასრულა მიქელის დაწყებულის მომთავრება.

თუ ესე არ ყოფილა?!.

შემდეგ უეცრად:

— რა უცნაური იყო დღეს მიქელ-მიხო...

კენჭი მეოთხე, თეთრი

დიტო რომ დაბრუნდა, მიხო მის მიერვე რაღაც მონახაზს ჩაჰკირკიტებდა და ციფრების ჯარით აევსო რვეულის კიდე-განი.

დიტო შეეცადა გარეთ, ჰაერზე გაეყვანა საქმეში ჩაღრმავებული ამხანაგი, მაგრამ მიხომ განუცხადა, რომ იგი შეიძლება აქ მთელი ღამეც დარჩეს და სთხოვს მუშაობაში ხელს ნუ შეუშლის.

დიტო თანაზიარობის გუნებაზე იყო, ელოსთან ნაოცნები არ ასვენებდა. თანდათან უფრო ფართოდ იშლებოდა მის გონებაში გამოცოცხლება ყველა კლდე-კონცხების, მთების და ბორცვების, საცა კი ოდესმე ქართველის კულტურული ხელი შეხებია გავერანებულ ადგილთა და უნდოდა ამაზე ხმა მაღლა საუბარი, სიტყვით გამოჭედა შთანასახ პროექტებისა, მაგრამ ამხანაგი არ აჰყვა და ისიც იძულებული შეიქნა განმარტოებულიყო.

ცოტა ხნით გუმბათზე ავიდა, საცა უკვე ხარაჩოები იყო მოწყობილი დიტო და მიხოსათვის მუშაობის გასაჩაღებლათ.

ამ სიმაღლეზე ყოფნამ კიდევ უფრო მეტი სახუროთმოძღვრო საღერღელი აუშალა ახალგაზრდა მხატვარს და მის გონებაში საქართველოს მთები და კლდეები ხელ-ახლა გადასჭედა უცნაური საპრაქტიკო, მაგრამ ზღაპრულ-ქართულ შენობებით.

ვერ მოისვენა.

შემოქმედებამ აატრუა.

უნდოდა ეხლავე, ეხლავე აგებულიყო ყველა ეს საოცნებო შენობები. ეხლავე, ეხლავე თვითაც ჩაბმოდა ამშენებლობის მაღალ-სანეტარო განცდას და... ქვეით ჩამოვიდა, რომ თავის სქელ რვეულში ზოგი რამ წინასწარი მოეხაზნა, მაგრამ სწორედ ამ დროს თვალი მოუხვდა ტაძრის ეზოს გარეთ დაცემულ ფერდობზე.

იქ ვიღასაც კოცონი დაენთო და ნელი ღიღინი მოისმოდა რომელიღაც ხალხურ ჰანგისა.

დიტოს თავის თავზე გუნებაში ჩაეცინა: მართლა რა მოფეთქებული ვარ... ჯერ სად არის ამის განხორციელება!.. ეს მხოლოდ ჩემს ჭაბუკურ თავში შთაისახა და ჯერ ჩემ რვეულს ხომ ვერც გასცილდება!..

ცოტა მოდუნდა.

გადასდო მონახაზების ქაღალდზე ახმაურება.

ნელი ღიღინისაკენ გასწია.

იქ ღამის მეხრეები იყვნენ თურმე.

ჩაუჯდა, გამოეცნაურა.

და... ცოტა ხნის შემდეგ ტკბილ საუბარში ჩაებნენ სტუმარიც და გულკეთილი მასპინძლებიც.

რა არ გაიგო დიტომ: რა ხალხური სახუმარო ლექსები, ერთი მეორის გაშაირება, რა საარაკო ზღაპრები, რომლებშიაც ერთმანეთს გადაჭდობია დრო-გადასული ლეგენდები და სუნთქვა თანამედროვე ეპოქისა.

განსაკუთრებით რა საუცხოვო იმპროვიზატორი აღმოჩნდა ერთი ჩვიდმეტი წლის ღამის მეხრე.

სად არ მიდიოდა მისი ოცნება, როგორც მძივებივით აწყობდა ერთი მეორეზე ერთის შეხედვით თითქმის გადაუბმელ ამბებს. რა კონტრასტი გამოდიოდა დიტოს შეგნებაში და ზოგჯერ როგორი უცნაური საჰუმორო შეჯახება ხდებოდა სიუჟეტებისა.

დიტო მოიხიბლა ამ უშუალო ნიჭით.

სხვებიც მხიარულად იყვნენ, მხოლოდ ღამის მეხრეთა ცოტა სხვებზე ხნიერ მეთაურს, ეტყობოდა, სთვლემდა...

ბოლოს ვერ გაუძლო, გვერდზე წამოწვა, მარჯვენა ხელი თავით ამოიდო და ყმაწვილებს შესძახა:

— აბა, ბიჭებო, მე ცოტას წავთვლემ და თქვენ კი ეცადეთ, რომ წითელ მასკვლავის ამოსვლამდე არ ჩაგეძინოთ...

დიტომ ყურები ცქვიტა:

— წითელი ვარსკვლავი?

— ჰო, არ იცი?.. — გამოეხმაურა დიტოს ახალგაზრდა იმპროვიზატორი.

— როგორ, კაცო? მაშ, ჩვენ წინათაც გვქონდა წითელი ვარსკვლავი?..

ღამის მეხრეებმა ფართოთ გაიცინეს ინტელიგენტის ესეთ უვიცობაზე.

— წითელ მასკვლავს ხარიპარიას ვეძახით...

— ხარიპარია რაღაა?..

— ჰოო, არც ეგ იცი?..

— არა.

— ეგ ის ვარსკვლავია, განთიადისას რომ ამოდის... ხარიპარიას კი მიტომ ვეძახით, რომ განთიადისას ღამის მეხრეს შეიძლება ჩაეძინოს და ძილში ქურდებმა ხარი მოჰპარონ... აკი ჩვენმა მეთაურმაც წეღან მისთვის გაგვაფრთხილა...

დიტო კი ჰფიქრობდა: ეს ხარიპარია რომელია, ვენერა ხომ არ არისო...

კენჭი შავი, მეორე

...და უეცრად გაცოცხლდა ეს ბნელი კედელი.

აბრეშუმის სალუქმა ქსოვილმა შრიალი მოიღო.

თითქოს გადმოეკიდაო კაბის კალთა პირმტკიცეთ დაყვანილს ყომრალი ქვის ნაწიბურსაო.

არა, მიხო არ ტყუვდება.

ნამდვილათ გადმოდის მყარ კედლებიდან ეს საოცარი სილამაზის ქალი.

ეს უთუოდ მოჩვენებაა.

მაგრამ, აბა, როგორი მოჩვენება!

ქალი უკვე მოდის მისკენ. რა კი მოდის, მაშ, ცოცხალია და ცოცხალი რომ არის ამას ფეხსამოსის ფილაქანზე ხმაური საცნაურ ჰყოფს.

თუმცა საოცარია: ფეხსამოსი ნამდვილათ თანამედროვე ქალის მაღალ-ყელიანი ფეხსამოსია.

და რატომ უნდა იყოს თანამედროვე, როდესაც ეს კედლიდან გადმოსული ქანდაკებაა?

მიხოს თავში სულ აირია ყველაფერი.

როგორ თუ კედლიდან გადმოსული?

განა შეიძლება კედლიდან სურათი გაცხოველდეს, თუნდაც ბარელიეფი? ქვებმა ხორცი შეისხან?

ეს ხომ მარტო კინოშია შესაძლებელი. გაჭირვებით თეატრშიაც.

აქ კი, ამ სინამდვილეში.

ამ საუკუნეებით დატვირთულ კედლებში.

ვიღაც მიქელ ხუროთმოძღვრის მადლიან და მცოდნე ხელით აყვანილ გამძლე კედლებს შორის.

ეს როგორ მოხდა?

ამას ყველაფერს ნათლად გრძნობს მიხო და ნაცადი მხატვრის თვალი ხელოვანი კაცის სიხარულით ივსება.

ეს რა უცნაური ფერებია ამ ქალის კაბისა!

როგორ ქართულად ცოცხლობენ ეს ფერები.

ან რა კოხტაა, მართლა, ეს ვიწრო და განზე წაწვეტილი სარტყელი!

ევროპიული კაბაც უნახავს მიხოს ასეთი.

და როგორის კეკლუცი ნაქნარობით ადგია ტანს ეს თითქო ერთიან ქსოვილისაგან ჩამოსხმული კაბა.

ან წელი როგორია ამ წერწეტასი!

აი, სურის ყელსა ჰგავს, იმ დღეს ელოს რომ ხელთ ეჭირა.

არა უთუოდ ელოა. ჰა, ჰა! როგორ ტყუვდება კაცი...

მიხო აქ მარტო დაიგულვა და ისე შემოიპარა ამ მყუდრო სამყოფელში.

რასაკვირველია, ეს ელოს თვალებია:

უძირო უფსკრული ნეტარებისა, ეს მისი სურათი ცხვირი, მეწამული ბაგე...

ჰმ... რათ ფიქრობს მიხო ესეთი ძველის ქართულით?..

ესე უეცრად რათ შეეთვისა მისი სული და გული ამ სურნელოვან, მაგრამ ხანგადასულ სიტყვებს.

თუ?

მეშვიდე საუკუნის იერმა მოჰბერა მხცოვან კედლებიდან... მაგრამ მეშვიდეში ხომ კიდევ უფრო სხვაგვარ მეტყველებდა ქართველი...

ელო რომ ამ სიტყვებს ვერ გაუგებს?! მაშ, რათ ფუსფუსებენ მიხოს თავში ძველი ნაჭედი განძეულობანი?

ჰმ!.. გაეცინა მიხოს.

რა კუდრაჭაა ეს ელო! ეს რეები ჩაუდენია: თავზე ჩალის ფერი, ბაშლაყისებური რაღაც ქსოვილი დაუხურავს და მისი წვეტები თითქო ლოყების დასტალუღათ აქეთ-იქით გადმოუკიდნია.

ეს რა არის?

ამ წვეტებზე ყვითლად ბრჭყვინავს ოქრომკედით ამობურცული ხუცური „მ“.

ვითომ მიხო?!

— ჰმ!.. ელო, ელო!

ნაზათ ეძახის მიხო.

პასუხი არ მოისმის, ქალი ახლოვდება.

მიხოს ისევ უცნაურობა იპყრობს.

არა, ეს ელო არ არის. ამ თავხურვას რაში მოიგონებდა თანამედროვე მუშა ქალი ელო.

მსგავსებაა საოცარი, მაგრამ...

სიახლოვემ საკვირველი სურნელობა მოუტანა.

მიხო მაინც და მაინც გაჩვეული არ არის დღევანდელ ოდეკოლონებს და სხვა სურნელოვან წყლებში. მაგრამ იცის მათი ფასი, მფრქვეველობა.

ეს უთუოდ ძველი ნელსაცხებელია.

მაგრამ რათ არის ასე ახლო, ასე საყვარელი და თან ასეთი სევდიანი.

ჰა, ჰა, სევდიანი სურნელება!

სულ გადაირია მიხო. მის ჯანსაღს, გლეხურ გონებას როგორ შეჰფერის ესეთი დეკადენტური დამთხვევა სიტყვებისა.

რა მოსდის, რა?

მერე პოეტიც რომ არ არის. ტყუილა ეძახის დიტო პოეტს...

საშინლად ეზარება პოეტური გადაპრეხილობა გამოთქმაში, ისე როგორათაც ხუროთმოძღვრებაში მარტო ჩუქურთმა.

ჩუქურთმა დილეტანტებს უყვართ მხოლოდ.

პირიქით შენობა უნდა იყოს სადა, ერთსა და იმავე დროს მტკიცე და ჰაეროვანი, გარედან მომცრო, შიგნით ბუმბერაზი, კედლები აყვანილი ისე პირწმინდათ, თითქო ქვაო, დუღაბ-გადმოუსხმელი და ხაზებ-შეუმჩნეველი. უნდა ჰქონდეს სიდიადე შემოქმედებისა და არა ჩხირკედელაობა მოხარატისა.

ჩუქურთმა და მურდახილი ეს დასვენება უნდა იყოს, კარგი ლექსი ნასადილევს, ან კარგი ფანდური საძილისპიროთ.

არა, მიხო პროზაიკოსია, მათემათიკოსია, მას უყვარს ყოველივე სწორ-უტყუარი, საქმიანი და საფუძვლიანი.

მაშ, ეხლა რა ემართება?

ამ ძველმა ნელსაცხებელმა „დაიმჭირნა სრულიად“.

ვეღარ გაიცინა ამ არქაიზმზე. ცოტა შიშნეულმა ნელის ხმით წარმოსთქვა:

— ვინ ხარ, ასულო!

— ვერ მიცან განა, ჩემო მიქელ?..

თითქოს იხარეს კედლებმაო: აგუგუნდნენ, აღუღუნდნენ, ჩაიკისკისეს.

ოთხსავე ფრთედში თითქო ნაზმა ხმაურმა ერთი მეორეს ამცნეს:

„მიქელ, მიქელ“...

„მე ხელში ვჭერივარ, მე გაუთლივარ, მე გამომზომა“.

„მე კი მისი დამღა მარტყია“.

ეტყობოდა, უფრო თავმომწონეობდა სამხრეთის ბარელიფთან მიმდგარი სიპი.

გულმა ფრთონა დაუწყო მიხოს. მან გაუგო ქვებს, ისმინა მათი ღაღადისი:

„მიქელ, მიქელ“.

ვინ შექნა ეს ჯადოსნობა. რა ხმამ იწვია ხმები სახმაუროთ.

მტრედის ფერმა ხმამ.

ფერი აქვს ხმასა?

დიაღ, ამას აქვს.

— ჩემო მიქელ...

რამდენი სიღრმე, სინაზე, გულწრფელობა და სევდა...

მკლავის კუნთებში გაიფეთქა ელექტრონმა.

თვალებ გაფართოებული, საარაკო ნეტარებით მიეახლა მიხო ქალის კაბის კალთას და მოწიწებით ემთხვია.

ქალმა თავაზიანი სიხარულით გაიღიმა.

— ეხლა ხომ მიცან, ჩემო მიქელ, თემესტია ვარ...

თემესტია?

შენ ხომ ელო ხარ, ელო გქვია თუ...

ელო ხარ თემესტია?

რომელი ხარ?

არც ერთი ესენი ხმა-მაღლა არ უთქვამს.

გუნებაში ტრიალებდა მხოლოდ სიტყვები.

ქალმა თითქო შეამჩნია... ცოტა შეცბუნება მიხოს და, ეტყობა, ამისათვის დაუდასტურა:

— დიაღ, თემესტია ვარ...

მაგრამ იმ წამს შესწყვიტა და გაკვირვებით მიხოს ტანისამოსს დააკვირდა...

— მართ ოდენ... ეს რაი გიქმნიეს მიქელ საყვარელო?.. ჯუბა რათ შეგიცვლია?..

ქალი თან და თან ცვიფრდებოდა, სახეზე უნებლიე ღიმილი თან და თან ეშლებოდა და ბოლოს გულიან სიცილათ ექცა.

კედლები ჯვარის საყუდარისა კვლავ აგუგუნდნენ, აღუღუნდნენ, ჩაიკისკისეს.

მიხო ცოტა შეკრთა, შეწრფა ისე, როგორც რომელიმე ევროპიელი, რომელიც ნადიმათ მოხვდა სადმე და ფრაკით კი არ იყო გამოწყობილი.

ისე, როგორც ჩვენს დროში ადამიანი სტუმრათ მოხვდეს და შალვარი კი არ ეცვას...

მთლად ახლო მოვიდა თავბრუ დამხვევი სურნელება...

შემდეგ აღარაფერი ახსოვს მიხოს.

კენჭი მეხუთე, თეთრი

ის იყო, წითელი ვარსკვლავი ამოდიოდა.

დიტოსაც ძილმა დარია ხელი.

მაგრამ იფიქრა, წავალ და ტაძარში მიხოსთან წამოვწვებიო.

შესვლისას გონება-მიღებულ, იატაკზე გაშხლართულ მიხოს წააწყდა.

მაშინვე შეამჩნია, რომ ეს ძილი არ იყო.

ძლივ-ძლივობით ეპიფანე-ბერის დახმარებით მოასულიერეს მიხო და ჰაერზე გაიყვანეს.

იმ დღეს მუშაობას უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ დიტო მიხვდა, რომ მიხოსთვის ეს მავნებელი იქნებოდა და თბილისს წასაყვანად გაამზადა მიხო.

ზაჰესში რომ ჩამოვიდნენ, ბაქანის მოსახვევთან ელოს შეხვდნენ.

ერთგან დასხდნენ.

ერთმა მატარებელმა ჩამოიარა.

მეორემაც.

ეხლა აღარც დიტო აჩქარებდა მიხოს ქალაქში ჩაყვანას.

აშკარათ გამოკეთდა მიხო.

ტყუილი არ ყოფილა: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“...

მიხომ ყოველივე უამბო მეგობრებს, რაც იმ ღამეს თავს გადახდა.

ელოს კისკისსა და დაცინვას საზღვარი არა ჰქონდა...

მიხოს მისტიკოსი დაარქვეს.

მიხოს არ წყინდა ეს სახელი, რადგან ეს სრულიად არ შეეფერებოდა მის ჯმუხ და მრთელ ბუნებას...

მხოლოდ მან იგრძნო, რომ უელოთ აღარ ედგომებოდა.

მის თავში საოცარი სამეული იხატებოდა: აფროდიტე, თემესტია და ელო.

იმ საკვირველ მთის კონცხზე ნახული და გაგონილი.

თეთრი ეშმაკეული, მონაზვნათ შემდგარი სახიერება და დღეინდელი მოწინავე გოგონა.

როდესაც მმაჩში მიდიოდნენ, მიხო ელოს ყურში ჩასჩურჩულებდა:

— შენ ათე ხარ, ათე, ჩემო-ჩემო... აფროდიტე, თემესტია, ელო, ხომ?..

— თეთრი ეშმაკეული! არა? — ეშმაკობდა ელოც.

— არა, ანბანებს შევაბრუნებ, თუ გინდა: ათე კი არა თეა ხარ, ღმერთი ქალი...

და გულიანად იცინოდნენ ბედნიერი ახალგაზრდები და მათთან ერთად ამიერიდგან მათი გულითადი მეგობრები, ხუროთმოძღვარი დიტო და სანდრო მინდიაშვილი, ძრავზე მომუშავე ძმა ელოსი.

კენჭები ერთად

ამ მოთხრობაში სულ შვიდი კენჭია.

მათ შორის თეთრი ხუთია და შავი ორი.

ამ გვარად მოთხრობა გათეთრებულია.

შალვა დადიანი

პრეისტორია

რკალიდან Patriotica

საუკუნეთა უნაპირო, უტეხი ტევრი,
კბილით დაგლეჯა და მძვინვარე მხეცთა დუელი.
იყო ტუბალი, მოსინიკი და ქარდუელი,
შენი ზღაპრული განდიდების ნამსხვრევი ბევრი.

შენ ათასწლობით დადიოდი ღამით ღამეში —
რამდენი კვნესა და ტკივილი რამდენი მწარე!
თავს დაგნათოდა საზარელად გავსილი მთვარე
და ვარსკვლავები სხივგაფენილ მოსასხამებში!

სისხლი სდიოდა ეკალთაგან დაკაწრულ წვივებს,
მიწა გამშრალი შენ მრავალი ცრემლით დანამე;
მაინც მილიონ თვალებიდან მოხეთქილ სხივებს
მაღალ სივრცეებს უბრუნებდი შენ უკანავე!

შენ შეისწავლე იქ მნათობთა კვალი ალური,
მათი ანთება და იმათი შუქის მილევა,
რომ შენს იდუმალ ასტროლოგებს გზით ასტრალურით
თან მოჰყოლოდნენ კოპერნიკი და გალილეო!

როცა ტომები ასკდებოდნენ ირგვლივ ერთმანეთს,
როდესაც მტერი თავს გატეხდა სამუმს და სმერჩებს,
აშურბანიპალს უგზავნიდი ამაყ დესპანებს
და დიდ სოლომონს კომერციის წარბშეკრულ ელჩებს!

გწყუროდა წყალი. დედამიწის ყველა ტყეები
თითქოს აღიფხვრა და კოსმიურ ხანძარად ენთო.
შენ ძირს დაემხვე პირგამშრალი, მკვდარ სახეებით,
და გაყვითლებულ კერპს შესძახე: **უწყალო ღმერთო!**

ვეღარ გაუძელ და დასწყევლე ტანჯვა უკუნი;
გზას დაადექი უზარმაზარ დატეხილ ხაზით.
შორით მოესმათ ქაფმორეულ მტკვარსა და ფაზისს
შენი ჯოგების აბღავლება და ყრუ გუგუნი!

ვიგონებ ამბავს დავიწყების კართან მიწურვილს:
მეც იქ ვიყავი თმებგავსილი გრიგალის ნაცრით!
მე სიზმარივით მაგონდება უდაბნო მკაცრი,
ჩემი აქლემი, ჩემი ცხვრები და ღრმა მიწური.

მე მყვანდა ძაღლი, — დაუნდობელ, სასტიკ ღამეში
ოთხიათასი წლის წინათ რომ უყეფდა ქურდებს,
და მკვრივი ტანის გადარეულ სითამამეში
ზედ აწყდებოდა ყორეებს და ეკლიან ბურდებს.

ის მოკვდა ბოლოს. დაიშალა დამპალ კანებად.
და მას ბავშვებმა გაუტეხეს მაგარი კეფა.
ო, მე მჯერა, რომ ეხლაც კიდევ იმისი ყეფა
მარადისობის უფსკრულებში მიექანება!

კონსტანტინე ჭიჭინაძე
ტფილისი, 1927

ორბი

გადმოიარა ცხენის-წყალი, ფარელის ფერდი;
ლანდს ელვასავით მოაქანებს მწვანე ჯეჯილი.
ყვითელ ქირქალას ფრთებმოხრილი დაასკდა მკერდით,
და გაფართხალდა ინდაური გულგაგლეჯილი.

იბურავს ნისლებს გარს ლაბრახი და საქერია.
ის მთებს მშობლიურს გამაძღარი გასცქერის გაღმით,
და ღველფაყრილი, ვით ღადარში გამსკდარი ნაღმი,
მზე დამავალი მის სისხლიან თვალს აკერია.

აფრინდა ნელა. და სპირალის მეცხრე სართული
როცა მოგრიხა საბოლოო ძალდატანებით,
ის მოტრიალდა მხრებგაშლილი და გამართული
და ბიპლანივით გადასერა ლურჯი განები.

კონსტანტინე ჭიჭინაძე
ს. ორბელი

გზები

რკალიდან: შეხვედრა

ღრმა დაკვირვებით შემოგაჩერდი.
თითქოს შორიდან ვიღაცას ჰგვანდი.
მაგრამ ვიტრინის წინ რომ გაჩერდი —
მე ვიტრინაში ვიცანი ლანდი.

აღარ მახსოვდი! სჩანს, ამგვარია
წუთისოფელის ჩარხი მბრუნავი:
მან ძველი კერპი ჩრდილში გარია
სხვა მისწრაფებით და საზრუნავით.

ეხლა უეცრად, როგორც იელი,
სურნელს მოაფრქვევს წარსულის ხმები:
შენ ხომ ისა ხარ! — გიმნაზიელი,
თეთრ წინსაფრით და დაწნული თმებით!

მე მაგონდება შორი დილები,
დასავლეთიდან მუდმივი ქარი,
მკვლავმოხვეული გაკვეთილები
და ქვაფენილზე სვლა შენი ჩქარი.

თვითონ ელავდენ შენი თვალები,
ელექტრომანქანს რომ სცლიდი თითით.
ხსოვნას გივსებდენ მთის მწვერვალები
და ისტორიის ომები დიდი.

თუ არ იცოდი, ვინ იქნებოდა,
ან როდის მოკვდა მეფე კალიტა,
შენი ღიმილი გაიხსნებოდა
ოდნავ დარცხვენილ ცივ მარგალიტად.

გული ღრმა ფიქრით არ გიტკენია,
ცხოვრებას შეხვდი გავსილი მკერდით,
და სიყვარულის მთვრალი გენია
დამშვიდებული გამოგყვა გვერდით.

ხელი პირჯვარის გამომსახველი
ნელა ათრთოლდა ამბორით ცხელით...
შემდეგ რა იქენ? ან სად წახველი?
ან რად დასტოვეს ეგ შენი ხელი?

შენც დაგავიწყდა ჩემი ოდები.
ო, წუთისოფლის ჩარხი მბრუნავი!
ვინღა გაიგოს, თუ რაოდენი
მან გაგიჩინა შენ საზრუნავი!

რა დაღლა არის, რა სიმძიმილი
შენს მინელებულ მაჯისცემაში!
როგორ დამჭკნარა შენი ღიმილი,
ვით მეტაფორა ძველ პოემაში!

კონსტანტინე ჭიჭინაძე
ტფილისი, 1927

დამპატიჟე

დედა შვილს ჰაერში აბურთავებს, თვითონაც ხტუნავს და შეჰხარის:

— ითამაშე, ტიტიკო! იხტუნავე, ბიჭიკო!

მამა დაირას აბრახუნებს, ორივეს შესცინის, სტოკავს და იძახის:

— ითამაშეთ, ჭირი მე! გაიხარეთ, ჭირი მე!

და მისი ცოლშვილიც ჰხარობს: ბიჭიკო ტიტველ ფეხებს პაწია მუთაქებისავით აქანავებს და მაღლიდან ხითხითებს, ცოლი კი ისევ უვლის და იმ ფეხებს უკარნახებს:

— მარცხენა, გენაცვალე! მარჯვენა, გენაცვალე!

— ათამაშე, ტიტიკო! ახტუნავე, ბიჭიკო! დიპლიპიტო-დაფტიპიტო! დაფტიპიტო-დიპლიპიტო!!

ბებერი ძაღლი ბუზღუნებს, ბოჩოლა გაოცებით შესცქერის. ბალღის დიდედა ორად მოხრილა და გოდრებში ბადრიჯანს აწყობს, პაპა თევდორე კი სადღაც ქვეით გააფთრებით სთოხნის და მეხუთეჯერ იძახის:

— კაცო, ოქროპირ, მიშველე ცოტა, თორემ წავიდა მოსავალი.

თუნდა წავიდეს, თუნდ მოვიდეს. რა მოსავალი, რის გასავალი! ოქროპირი ოქროპირობს:

— ითამაშეთ, ჭირი მე! იხტუნავეთ, ჭირი მე!

და უჭირო ზედსიძე, მისი „გენაცვალე“ ცოლი და ბუთხუზა შვილიც კიდევ დიდხანს ხტუნაობენ, კისკისებენ და შეჰხარიან ყველასა და ყოველივეს: დათენთილ მზეს, მომავალ ურმებს, უცნობ მავალებს, ნაცნობ მეზობლებს, ბუზღუნა თოლიას, გაოცებულ ბოჩოლას, ერთმანეთს, თავიანთ თავსა და მადლიან ცხოვრებას, რომელიც მუქთი ნობათივით მიდის და მოდის — მხოლოდ მათთვის, მარტო მათთვის — უდარდელად, მაძღრად, ხელგაშლილათ, გაუთავებელ ქორწილივით, სადაც ყველაფერი მოაქვთ და არაფერს თხოულობენ გარდა ჭამა-სმისა, ცეკვისა, სიმღერისა და თავაგლეჯილ მოლხენისა.

* * *

სადღაც რაღაც მოხდა. ეს ამბავი მებაღე თევდორემ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა სამნი მოვიდნენ და უთხრეს:

— ახლა ეს ბაღიც შენია და ეს სახლიც.

სახლისა და ბაღის პატრონი კი სწორედ მაშინ დაიკარგა, როცა სადღაც რაღაც ხდებოდა.

— აქ როგორ სცხოვრობ! — გაიკვირვეს მოსულებმა და თევდორე ნესტიან ოთახიდან ზემოთ აიყვანეს, თანაც უბრძანეს: იცხოვრე და იმუშავე. რადგან ყველაფერი შენის ოფლით არის შეძენილი. მოიხმარე, შეგერგება!

ქონება დასთვალეს, ჩასწერეს, თევდორე დაარიგეს და წავიდნენ. მერე ისევ მოვიდნენ, ხელახლად დასთვალეს, ჩასწერეს და ისევ წავიდნენ. შემდეგ მათს მოსვლას, დათვლას, ანგარიშსა და ჩაწერას ბოლო აღარ მოეღო.

— ქაა, ავშენდით, ააშენა ღმერთმა ამათი თავი! — ამბობდა ზოგჯერ თევდორეს დედაკაცი მაკრინე.

— ვენაცვალე კოჭებში! — იძახოდა მათი ქალიშვილი, თუთხმეტი წლის პირწითელა ბაბალე, და გულმოდგინედ სცვეთავდა გაქცეულ ბატონის დიდ სარკეს, ხავერდის ავეჯსა და ფუნჩულა ლოგინს.

უკვე მოხრილი თევდორე კი მხოლოდ ღამღამობით ამჩნევდა ცვლილებას, როცა ფეხგახდილი შევიდოდა მოლოკილ ოთახებში, ცოტას დაისვენებდა ჩალის სკამზე და ვახშმის შემდეგ ხმელ ტახტზე დაწვებოდა. რბილი ავეჯი ენანებოდა, კრიალა რკინის საწოლი ეხა-

მუშებოდა. იხმარონ ბატონისეულ დედაკაცებმა, თევდორე კი არც ადრე ყოფილა შეჩვეული და არც ახლა გაჰრყვნის დაკოჟრებულ ტანსა და ხელებს.

და რიჟრაჟი რომ მოატანს, მისი ლანდი, როგორც მუდამ, ბაღ-ბოსტანში დასცოცავს და იქაურობას ჰხევს, ჰგლეჯავს, ჰფქვავს და ჰკორტნის. გაშმაგებული ბარი დევის კბილივით კრიალებს და ჭახუნით ახრამუნებს შავ მიწას, გააფთრებული თოხი მშიერ ძაღლივით სვრეპავს ბალახბულახს, წყალი კვლებში გველივით მიიპარება, დანა ტოტებში ნიბლიასავით დაჰხტის.

მაკრინეც საღამომდე იქვე სადმე ირკალება: რგავს, ჰმარგლავს, ჰკრეფავს, ჰრწყავს, აფხვიერებს, ჰხრავს, ჰკვალავს და მუდამ მიწას ჩაჰკირკიტებს, თითქო რაღაცას არიგებს და ვერ შეუსმენიაო, ან დაკარგულს ეძებს და ვერ უპოვნიაო.

ოცი წელიწადი გასტანა ცოლ-ქმარმა ამ მიწის დარიგებასა და დაკარგულის ძებნაში. ბოლოს იპოვნეს კიდევაც: ნაოფლარი დაუბრუნდათ და მზითევიც თან მოჰყვა. ამიერიდან მოსავალიც უკლებლივ მათი იქნება და აგერ ის ორსართულიანი სახლიც, გედივით რომ ჩამჯდარა ვეება მწვანე ბუდეში.

— ავშენდით, ქაა, ააშენა ღმერთმა ამათი თავი! — იმ დღესაც გაიფიქრა მაკრინემ.

არც თევდორე იწყევლება. გაზაფხული შემწიფდა. ნუშმა, ატამმა და ვაშლმა თეთრი გაიხადეს. ბალი შევარდისფერდა. საცაა ალუბალიც წითელს ჩაიცვამს. სათბურებში ნაადრევი ხენდრო ლალებივით ჰყრია, შუშა-კიტრი ვეღარ ითმენს, ყვავილ-კომბოსტო თითქოს აქაფდა, სატაცურმა თითები ამოჰყარა. თევდორე შრომისგან გაცოფდა. მაკრინე ხელახლად ეძებს დაკარგულს. ბაბალეც დარბის ოჯახში, თითქო ვიღაც უხილავს კეკემალულობას ეთამაშებაო. დრო წამობით ითვლება. საღამოზე პირველი პირი უნდა მოჰკრიფონ და ხვალ ალიონზე ბაზარში გაიტანონ.

სწორედ ამ დროს მოვიდა „ის კაცი“ და თან ვიღაც მოიყვანა — მაღალფეხა, შავულვაშა, მოღიმარი, თეთრკბილა, ცხვირკოდალა, თვალეშმაკა, თმაქოჩორა. შუატანი კრაზანას წელს მიუგავდა, და რადგან თეძოებიდან ჩამოვარდნას ჰლამობდა, ჭაბუკი განიერი დოინჯით იმაგრებდა, თანაც ფეხს ხშირად ინაცვლიდა, თითქო რიგრიგად ერთს ასვენებდა და მეორეს ჯაფით ჰღლიდაო.

ოოჰ, ნეტავ ის დღე არ გასთენებოდათ თევდორეს და მაკრინესა!

ააჰ, ნეტავ იმ დღეს, ასე რომ გაუცინა იმ ბიჭმა წითელპირა ბაბალესა!

ისევ სადღაც რაღაც მოხდა და თევდორეს ბედ-უბედობის პირველი ნახევარიც ოციოდე წამში გათავდა: რადგან ბაღ-ბოსტანი სამი სულისათვის დიდი აღმოჩნდა, თევდორეს მონახევრე მოუყვანეს. სად, როგორ, ან ვინ იანგარიშა, ან რაღა ეს ბიჭი მოუყვანეს, ან რატომ თვითონ თევდორეს არ აარჩევინეს — არავინ იცოდა, ან იცოდა, მაგრამ თევდორეს არ უთხრეს. „სადღაც გადასჭრეს, მაშ, ასე ყოფილა საჭირო“ — დააჯერა თვისი თავი და ახალმოსულს გადაჰხედა, როცა „იმ კაცს“ რაღაც ქაღალდზე ხელი მოუწერა და მის მიმავალ ზურგს თვალი მოსწყვიტა.

— რა გქვიან, ძმობილო? — ჰკითხა უცნობს.

— დამპატიჟე. — არხეინად უპასუხა ახალმოსულმა.

ბაბალეს კისკასმა ხის ფოთლები შეარხია.

— დაიკარგე აქედან, შე ტუტრუცანავ, შენა! — შეუტია მამამ.

ტუტრუცანა კაბის შრიალით ავარდა კიბეზე. ერთი წამის შემდეგ სარკმელიდან მისი თავი გადმოეყუდა და ახალმოსულს ზევიდან დაერჭო.

ერთი საათის შემდეგ, როცა ოთახი დაულაგეს და ხელცარიელი მონახევრე შეიყვანეს, როცა თევდორე კისერ-გადაჭრილივით ბადრიჯანის მოსარწყავად წავიდა, ხოლო

მაკრინე ბოსტნის მეორე კუთხეში ხელახლად მოირკალა, იმ ოთახში ერთხელ კიდევ შეიხედა ბულულა თავმა და ახალმოსულს ჰკითხა:

— მართლა დამპატიჟე გქვიან?

კოდალა-ცხვირმა სკამიდან წამოიწია, კბილების კრიალოსანმა თეთრად გაიელვა და ორი გრძელი ხელი კარებში გახლართულ თავისკენ წამოვიდა. თავი კარს მოსწყდა და იმავე წამს კედლის უკან ბავშური ჟივილი გაისმა:

— დამპატიჟე, ხა-ხა-ხა!.. დამპატიჟე, ხი-ხი-ხი!

კიბეზე ჩაირბინა, ბუჩქნარში შესხლტა, ერთხელ კიდევ მოიხედა და სარკმელში გადმოზნექილ აყლაყუდას ერთხელ კიდევ შესძახა: — დამპატიჟე, ხი-ხი-ხი! — და აპენტილი შავი თმა მწვანე ფოთოლში ჩაიძირა.

ორი წამის შემდეგ აყლაყუდამაც იმ ბუჩქნარში შეალაჯა.

* * *

თევდორემ არ იცის, როგორ მოხდა, რომ ვიღაც ოქროპირი, მეტსახელად „დამპატიჟე“, მზამზარეულს მოუჯდა და წლის სარჩო გაუნახევრა. ამან მთელ წელიწადს იმუშავა, წელი მოიწყვიტა, დედაკაცსაც სიქა გააცალა, ბაბალეც ხომ მუშად ჩაითვლებოდა, ადრე გაზაფხულზე მუშაც დაიქირავა, თესლი შეინახა, ზოგიც იყიდა, ერთი სიტყვით — კალოს ცხენებივით ჯაფა გასწიეს, დადნენ და დაილივნენ, ახლა კი ვიღაც უცნობმა — სწორედ იმან, ვინც ბაღ-ბოსტანი დაულოცვა — მეორე უცნობი მოუყვანა და მონახევრედ ჩაუსახლა. არა, სამართალი სად არის! თევდორეს სამ სულსაც ნახევარი და ახალმოსულ მარტოხელასაც ნახევარი?!

ეს კიდევ არაფერი. უწინ აქ ხრიოკი მიწა იყო. თევდორე და მაკრინე ოც წელიწადს სჯიჯგნიდნენ და ეჭიდებოდნენ ქვიშნარს და თიხნარს, ოც წელიწადს! მართალია, დაკარგული ბატონი ჯამაგირსა და სარჩოს აძლევდა, მაგრამ ოცი წელიწადი მაინც ოცი წელიწადია. ახლა კი ვიღაც დამპატიჟე მოეთრია, სასწორზე აჰხტა და თევდორეს ოცი წლის ნაშრომი გადასწია.

უკვე იყო „ზემდელაში“. ხელებიც აიქნია, ოდნავ ხმასაც აუწია, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დიდი ბაღი გქონიაო, ეს იყო თურმე თევდორეს ბრალიცა და ყოველივეს დასაწყისიც.

— გაჩუმდი, თორემ სულაც არ ჩამოგართვან — ურჩიეს აქეთ-იქიდან და თევდორეც გაჩუმდა. „ეს ერთი წლის მოსავალი ვითომ სულაც არ მომსვლია“. — იფიქრა და ბედს შეურიგდა.

დამპატიჟე მეორე დღიდანვე გვერდით ამოუდგა მებაღეს და სული შეუგუბა: რამდენად ფასობს მარწყვი? როგორ გაიყიდება სალადი, ტარხუნა, თვის-ბოლოკი, პრასა, ოხრახუში და ნიახური? ნაღდად იყიდება თუ ნისიად? ნეტა რა მაზანდა დაედება შუშა-კიტრს?

— იმუშავე, ძმობილო. — ეტყვის ზოგჯერ თევდორე.

დამპატიჟე იმუშავებს, რატომ არ იმუშავებს! მაგრამ ბაღ-ბოსტნის საქმისა იმდენივე იცის, რამდენიც თევდორემ ზღვაოსნობისა.

— ჯერ თოხი არ მჭერია ხელში, არც დანა და არც ნიჩაბი. — იკვეხის ოქროპირი და მისი ნაკეთები ხუთჯერ ნაკლებია განაფუჭებზე. ამიტომ გაფუჭებას ისევ იოლი საქმე ან უქმად დგომა და ხეტიალი სჯობია. თუ მოსარწყავია რამე, თოხზე დაებჯინება და იქამდე შესცქერის ღრუბელს ან წეროს, სანამ წყალი იქაც არ გადავა, რაც მოსარწყავი არ არის. თუ მოსათოხნია, ოციოდეჯერ გაჰკრავს, ამდენჯერვე გამოჰკრავს, მერე თავს ჩაჰქინდრავს და გახევდება. თუ გასამარგლია, ან მოსაკრეფი, ან დასარგავი, ძლივს-ძლივობით დაიღუნება, ასწლოვან ბებერივით აკვნესდება, რამდენჯერმე ხელს მოაცაცუნებს, შემდეგ გაიშოტება, კოდალა ცხვირს ცას მიაბჯენს და აღიღინდება: „ორი ქოთანი ვიყიდე ვაააი! ყურიანი და უყურო ვაააი!“

სადმე ბუჩქიდან ბაბალეს თავი ამოიწევს და დაიძახებს:

— დამპატიჟე, როგორა ხარ?

— შენი თავიღა მაკლია, გოგოჯან. — ეტყვის და გრძელ ტანს ზლაზვნით მიათრევს იმ ბუჩქისაკენ.

ზოგჯერ თევდორე ჰკითხავს მონახევრეს:

— კაცო, ოქროპირ, რა დაგემართა? გაანძრიე რაღა ეგ ოხერი ხელი!

— წელი მტკივა. — თავს იმართლებს და მორიელივით იკლაკნება, ან ისევ გაიშოტება და ღიღინებს: „ყურიანი და უყურო, ვააი!“

დამპატიჟე გვიან დილით გამოჩნდება ბოსტანში, იქაურობას მოათვალიერებს, ორიოდეჯერ ხელს გააქნევს და სამხარის შემდეგ მონახევრეს ეტყვის:

— მივდივარ.

შეეჩვია თევდორე დამპატიჟეს „მივდივარს“. ზეპირად იცის — საით წავა, როდის დაბრუნდება და რას იტყვის. სადილის დრო რომ მოატანს, მაშინღა გამოჩნდება, ჯოხზე დაებჯინება, ქუდს მოიხდის, ოფლს მოიწმენდავს, ღრმად ამოიოხრებს და მოჰყვება:

— ფიცხელი კამათი გვქონდა. ახლაღა გათავდა კრება... ივანემ სთქვა... პეტრემ უპასუხა... მეც ჩავერიე და საქმე გამოვასწორე, თორემ...

თორემ თევდორე დაიღუპებოდა. იმ ბაღს თურმე სხვებიც ეტანებიან. სამ-ოთხ ნაჭრად უნდათ გაჰყონ, ხოლო სახლში რაღაც კალაკტივი დაარსონ. მაგრამ ნუ შეშინდება თევდორე! სანამ დამპატიჟე ცოცხალია და „ის კაციც“ — მისი ბიძაშვილი — „იქა ზის“, ხელსაც ვერავინ ახლებს, ამიტომ —

— არხეინად იცხოვრე და პატიოსნად იმუშავე, ძმაო თევდორე.

თევდორეც პატიოსნად მუშაობს, მაგრამ არხეინად ვერა სცხოვრობს. მუდამ რაღაც ხიფათი დასტრიალებს თავთ. ხან უნდა გაიყონ მისი ბოსტანი, ხან უნდა ჩამოართვან, ზოგჯერ კიდევ ვიღაც უნდა ჩაუსახლონ, ან ისეთი გადასახადი აჰკიდონ, რომ ცოლშვილის დაგირავებაც ვეღარ უშველის.

მაგრამ არხეინად იყოს პატიოსანი მუშაკი: დამპატიჟე აქ არის, ყველას კარგად იცნობს და ყოველი ხვრელის გასავალ-გამოსავალიც იცის. და გამჭრიახი მონახევრე დილით საღამომდე იმ ხვრელებში დაძვრება, ეშმაკურად დაგებულ ქსელებს ჰხევს და შეშინებული მებაღე ყველგან „ჩისტად გამოჰყავს“.

თევდორეც ჩაწერილია სადღაც, მაგრამ არა სცალია სიარულისათვის. ზოგჯერ მაინც გაჰბედავს და კრებაზე ან „იმ კაცთან“ წასვლას დააპირებს, მაგრამ დამპატიჟე როგორ აკადრებს!

— ხელი აიღე, რა შენი საქმეა! აქ არა ვარ?! — ან კიდევ — შენ იმ კაცთან ვერ მიხვალ... არ მიგიღებს... შინ არ არი... არა სცალია.

და მხოლოდ თვითონ დადის, ხიფათს ებრძვის, ლანდებს ჰფანტავს, ახალ ხიფათს იგონებს და ისევ თვითონვე იმარჯვებს. მაგრამ გამარჯვებას ხარჯი სჭირდება. ხარჯი კი ბოსტანმა უნდა გაიღოს. ნობათი ზედიზედ მიდის. და რჩეული ხილი და ბოსტნეული კალათებით გააქვთ. ზოგი მუშის ხელით იგზავნება, ზოგიც თვითონ მიაქვს დამპატიჟეს.

მაგრამ მარტო ხილი არა კმარა. „იმ კაცს“ ქეიფიც ჰყვარებია, ამიტომ დამპატიჟე ხშირად მამლის ყივილისას ბრუნდება, კარს მუშტებით არახუნებს და ხაფი ხმით გაჰკივის:

— ჰაი, ჰუუი!.. ბიძაჩემო, კარი გამიღე!

დამპატიჟემ მოუხშირა: რაღა საჭიროა შუა ქალაქში გასვლა და ხეტიალი! დუქანიც აქვეა, ბაღის გვერდით, გზის გადაღმა. და როცა თევდორეს ხვითქი ჩამოსდის, ხოლო მაკრინე ისევ დაკარგულს ეძებს, იმ დუქნიდან მათი მონახევრის ღრიალი მოისმის: „ყურიანი და უყურო, ვააი!“

დამპატიჟე „იმ კაცის“ მეგობარია, „იმ კაცს“ სხვა მეგობრებიცა ჰყავს, ამიტომ ცხადია, ისინიც დამპატიჟეს მეგობრები იქნებიან. მეგობრობა კი ხშირი პატიჟით უნდა განმტკიცდეს, თორემ ადვილად მოიშლება და თევდორეს ბაღ-ბოსტანიც სხვის ხელში გადავა. ამიტომ მეგობრები ზოგჯერ დუქანს ასცდებიან და თევდორეს ბაღ-ბოსტანს გიდელ-კალათებით ესტუმრებიან. და მათი მოსვლა უფრო მონღოლთა შემოსევას ჰგავს ვიდრე სტუმრობას, ხოლო თევდორე და მისი ჯალაბნი უფრო ფარეშებს ჰგვანან ვიდრე მასპინძლებს. რა თქმა უნდა, დამპატიჟე მასპინძლობს: ბრძანებას ბრძანებაზე იძლევა, შეძახილს შეძახილი მოსდევს. სადმე ჩრდილში სუფრა გაიშლება, იქვე ცეცხლი აინთება, ზედ მწვადი შიშხინებს, იქით ქათმები იკვლება, აქეთ კი ზვავივით მოდის ხორაგი, მწვანილი, ხილი და ღვინო. შემდეგ, როცა შეხურდებიან, ტიკებივით იბერებიან და ხარებივით ჰღრიალებენ: „აბა, ქალო, ბაბალეო, ვაი, ვაი! ღვინო გვასვი მალ-მალეო ვაი, ვაი!!“

შავთვალა ბაბალე ახალ-ახალ ხელადებს მოათრევს, თევდორე და მაკრინე კი გაჭყეპილ სტუმრებს კალათებს უვსებენ და თანაც ერთმანეთს სწეწავენ:

— კაცო, როდის გათავდება ეს ამბები?! — შეუტევს თევდორეს დედაკაცი.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი და შენიცა! — დააჯახებს გამწარებული ქმარი.

— სულ შენი ბრალია, შენი! — ისევ მიახლის დედაკაცი.

და მეოცეჯერ დაიწყება დამნაშავის ძებნა, ბრალის დადება, ურთერთის გამტყუნება და საკუთარი თავის გამართლება.

— აგაშენა ღმერთმა, კარგად გვაქეიფეთ, — ამბობენ კალათებით დატვირთული სტუმრები, — სამაგიეროდ საქმე გაგიჩარხეთ.

„გაჩარხული საქმე“ კი ხელიდან მიდის, ილევა და საცაა სულაც გაჰქრება.

დამპატიჟე დღისით ერიდება მუშაობას, რადგან სიცხეს ვერ იტანს, თორემ ღამის საქმეს თვითონვე ეტანება. ჭირნახულს დარაჯობა სჭირდება. ცოდოა თევდორე, სიცხითა და შრომით დაქანცულს ღამით დასვენება სჭირდება.

— მეც მესმის, — ეუბნება დამპატიჟე, — კაცი ვარ და ამხანაგი. არხეინად დაიძინე. დღესაც მე დავდგები ყარაულად.

და რამდენჯერაც სადარაჯოდ დადგა დამპატიჟე, სწორედ იმდენჯერვე გაუთენდა თევდორეს ავი დღე: ბოსტანი აფორიაქებულია, ხეხილი დამტვრეულია და ეზოშიც უეჭველად აკლია რამე.

— მაგრად დამძინებია, — თავს იმართლებს დამპატიჟე, — ვერ იქნა, ფრთხილი ძილი ვერ ვისწავლე!

შემოდგომა მოვიდა. ბაღბოსტანი დაცარიელდა. თევდორემ დრო იხელთა: დაჯდა და დასთვალა. ნაღდი, ნარჩენი და ვალი სასწორზე ააგდო. ვალმა გადასძლია.

მაშ, დაიღუპა თევდორე? მაშ, ეს არის ოცი წლის შრომის დასასრული? რითაც დაიწყო ისევ იმით უნდა გაათავოს? ისევ მოჯამაგირედ უნდა დაუდგეს ვინმეს? გასათხოვარი ქალი მოესწრო, დედაკაცი ტყდება, თვითონაც მოიქანცა და ეხლა ხელახლად უნდა შეუდგეს ლუკმა პურის ძებნასა და თავშესაფარის აშენებას?!

— წადი, კაცო, გაიარე. — ჩაჰკირკიტებს მაკრინე. — შენც კაცი ხარ, ხმა ამოიღე და ხელი გაანძრიე.

რა თქმა უნდა, წავა. ხელსაც გაანძრევს და ხმასაც ამოიღებს. არის თუ არა სამართალი! აგრე ხომ არ არის მართლა ქვეყანა მომართული, რომ ერთმა იმუშავოს და სხვამ იქეიფოს!

თევდორე ნამდვილი მებაღეა — თავისივე ლობიოთი გატენილი ტომარასავით მორცხვი, პირნათელი, ამტანი და პატიოსანი. მაგრამ ეხლა კი წამოსცდა:

— ერთი ბაღლინჯო ძლივს მომაშორეთ და მეორე დამასვით კისერზე? — ეუბნება „იმ კაცს“.

— რაშია საქმე, ამხანაგო? — ცივად ეკითხება ის კაცი.

— საქმე ის არის, რომ... — და ყველაფერი გადმოულაგა.

ბოლოს გამოირკვა, რომ თურმე თვითონ მებაღეს ედებოდა ბრალი: თევდორემ დამპატიჟე დასჩაგრა: ამუშავა, წელი მოსწყვიტა და მოატყუა: ანგარიში სწორედ ვერ გაუსწორა.

— რა ვქნა, ახლა რაღას მედავება ის კაცი! — გაოცდა თევდორე. — ორ-სამ დღეში ერთხელ ვასწორებდით ანგარიშსა. მაშინ ხმაც არ ამოუღია და ახლაღა მოაგონდა?

მაგრამ საქმე ეს არ არის. ფულის ანგარიშებს სხვაგან სადმე გაასწორებენ, აქ კი იჯარის საქმე უნდა გადასწყდეს. ვინ აიღებს ბაღ-ბოსტანს იჯარით, თევდორე თუ დამპატიჟე? ვისი ძალა-უფლება გადასძლევს? ვისკენ არის სამართალი?

— ჩემსკენ. — გამოტყვრა საიდანღაც დამპატიჟე. — ჩემსკენ არის სამართალი, — და ჩაქუჩივით ჩაჰკრა, — შენ მდიდარი ხარ, მე კი ღარიბი.

— მე ვარ მდიდარი? მენა? — დაიბნა თევდორე.

— ჰო, შენა, შენა! — და საბუთებიც დაულაგა: აქ ამდენი აქვს გასესხებული, იქ იმდენი აქვს შენახული, სადღაც სახლიც უნდა ჰქონდეს ნაყიდი, მზითევისთვისაც ასი თუმანი მაინც ექნება შენახული და უცნობ ბიძაშვილთანაც ორასი უნდა ჰქონდეს მიბარებული.

— რასა სჩმახავ, რას მიჰქარავ! — ახლა კი გაცხარდა თევდორე.

და დაიწყო უთავბოლო სირბილი, მტკიცება, უარი, ბრალდება, თავის გამართლება. ზამთარი მოდის. ბოსტანი უნდა დაიბაროს, ხეხილი გაისხლას, სასუქი შემზადდეს და ათი სხვა საქმეც გაკეთდეს. თევდორე კი დარბის და დამპატიჟეს ჭორს დასდევს.

— კაცო, დაიჯერეთ რაღა ჩემი სიტყვა! — ეხვეწება ნაცნობსა და უცნობსაც. — ღმერთი, რჯული, არაფერიც არ გამაჩნია... ვალის მეტი არაფერი მაქვს... მოდით, დასთვალეთ ეს ოხერი, და ვინც რამეს მიპოვნის, იმისთვის მიჩუქებია.

მაგრამ არავინ არის არც მშველელი, არც დამთვლელი. დამპატიჟე კი გამალებული დარბის და სთესავს: თევდორე „კულაკია“... პროლეტარს დამპატიჟეს სჩაგრავს... ამუშავა, ტყავი გააძრო და ხელცარიელი გაისტუმრა.

— ყური მიგდე, თევდორე, — ეუბნება ტიმოთე, — მე გასწავლი, დამიჯერე. აიღე, შე კაცო, და განგებ გაეყარე მაკრინესა.

გაფუჭდა ქვეყანა, გაფუჭდა! არა, ან თავის თავს როგორ აკადრა ტიმოთემ ასეთი დარიგება, ან თევდორეს როგორ გაუბედა!

— განგებ, შენ კაცო, განგებ.

იცის თევდორემ, იცის. უნახავს და გაუგია: განგებ გაიყრებიან ხოლმე ორი ნორმის მისაღებად და მაინც ერთად სცხოვრობენ. დღისით ერთმანეთს ერიდებიან, ღამეს კი ერთ ჭერქვეშ ათენებენ. თანაც არავისაც არ ერიდებიან: ქმარი ცოლს მოჯამაგირედ დაუდგება, ან მონახევრედ შეუდგება და ყოველივე ძველებურად წავა: ორ ნორმასაც შეირჩენენ და შვილებსაც მოიმატებენ. მარტო ორი რამ შეიცვლება: ცოლი საკუთრებას გაიჩენს და ისევ ძველ გვარს დაირქმევს.

მაგრამ თევდორე ამას როგორ იკადრებს! ოცი წელიწადი იცხოვროს თავის დედაკაცთან და ახლა გაეყაროს?!

— განგებ, შე კაცო, განგებ მეთქი!

— თუნდაც განგებ. რა საკადრისია! რა სათქმელია!

ტიმოთემ ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ზამთრის პირას შუაკაცი გამოჩნდა. იარა, იყბედა და მოარიგა: ერთ წელიწადსაც მონახევრედ დარჩებიან, მერე კი —

— მერე რაც იქნება, იქნება! — გადასწყვიტა თევდორემ.

ხელი-ხელს მისცეს, დალიეს, ძველი დაივიწყეს და ახლის იმედით ისევ ერთ უღელში შეებნენ.

* * *

ზამთარია. ხან წვიმა მოდის, ხან თოვლი, ზოგჯერ ცივა და ზოგჯერაც ქარი უბერავს, დამპატიჟეც ამიტომ აღარ მოდის ბაღში. ქალაქის ნაპირას ცხოვრებაც უკადრისია. თევდორე და მაკრინე კი შეჩვეულები არიან. მათთვის სიცხეცა და სიცივეც თანაბარია. და რადგან საზამთრო საქმე ისევ ზამთარში უნდა გაკეთდეს, ხოლო შრომას ორივენი ისე არიან შეჩვეულნი როგორც დამპატიჟე წელის ტკივილს, ამიტომ მათი ოცდაპირველი ზამთარიც ისე გავიდა, როგორც პირველი წელიწადი: ეძებენ და ვერ უპოვნიათ. სთხრიან და ვერ გადაუთხრიათ. ჰღობავენ და ვერ შემოუღობიათ. კენჭებს ჰკრეფავენ და ვერ აუკრეფიათ. ოფლს იწმენდავენ და ვეღარ მოუწმენდიათ.

დამპატიჟე ათიოდე დღეში ერთხელ გამოჩნდება, როცა ქარი არა ჰქრის, არცა სწვიმს, არცა ცივა და გზაც გამშრალია.

— დამპატიჟე, მოხვედი? — უხარიან მარტო ბაბალეს.

— მოვედი, გოგონაჯან, მოვედი. — ეტყვის მონახევრე და საჩუქარს მოუტანს. მერე ბოსტანში ჩავა და ჯოხის ნაცვლად ბარს ან ნიჩაბს ჩაითრევს. მოიკითხავს, მოიკითხავენ. შემდეგ თევდორეს ამოუდგება გვერდით და ხელს გაანძრევს.

— დამპატიჟე, დაიღალე? — ჰკითხავს თევდორე ათიოდე წამის შემდეგ.

— დავიღალე. — გამოტყდება მონახევრეც და კიდევ ათი წამის შემდეგ იმ ბარს ან ნიჩაბს უკანვე მოათრევს.

ხე და ბუჩქი გაძარცულია. ამიტომ ბაბალე ბუჩქებში ვეღარ მირბის და დამპატიჟეც ვეღარ მისდევს. გაძნელდა მათი გამარტოებაც. მაგრამ არა უშავს რა: გაზაფხული მოვა, ბაღი დაიბურება და ბაბალეც შემწიფდება. ჯერ კი ესეც საკმარისია: საჩუქარით გულს მოუგებს, გაკვრით გადაჰკოცნის, ცოტასაც უღიტინებს, ერთ-ორსაც უჩქმეტავს და ღიღინით წავა: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი! ყურიანი და უყურო, ვააი“.

დრო მიდის, გაზაფხული საცაა ზამთარს დაეწევა და დაჰლევს. ბოსტნის მაჯისცემაც მატულობს. სათბურები მინის საბურავებს იხურავენ. კვლები სწორდება და ღერო-ჩინჩხვარისაგან იწმინდება. უქმისათვის დღე მატულობს, მშრომელს კი თითივით მოკლედ ეჩვენება.

— იცი რას გეტყვი? — ეუბნება თევდორე მონახევრეს. — მოდი ეს ბაღი შუაზე გავიყოთ.

— არა, არ მინდა. — ისე უცებ მიახალა დამპატიჟემ, თითქო პასუხი კბილებით ეჭირაო.

— რატომ არ გინდა?

იმიტომ არ უნდა, რომ დამპატიჟე კაცია, ადამიანია! მარტო იმისთვის ხომ არ შეუამხანაგდა თავდორეს, რომ სწორედ ნახევარი მიიღოს მოსავალისა ან ცოტა ნაკლები, თუნდაც ოდნავ მეტი, არა —

— ადამიანი მინდა მე, ადამიანი და ამხანაგი! — ხშირათ ისვრის დეკლარაციას ოქროპირი.

ცალ-ცალკე ცხოვრების დრო წავიდა. ახლა კი ამხანაგობის დრო მოვიდა. ეს კიდევ არაფერი:

— მეტსაც გეტყვი: ისეთი დროც მოვა, რომ ქალაქის ყველა მებაღეები ერთად მოვიყრით თავს, ერთად ვიმუშავებთ და მოსავალსაც თანაბრად გავიყოფთ.

— ნეტა მართლა მოვიდეს ეგ დრო — გაიფიქრა თევდორემ და გაჩუმდა.

მეორე დღეს კვირა იყო. დამპატიჟე ქალაქში ქეიფობდა. ორშაბათს დილითღა დაბრუნდა და შუა ბოსტანში ღობესა და მეზობლებს წააწყდა.

— ეს რა ამბავია? — გაიკვირვა ოქროპირმა.

უბრალო ამბავია: აღარ უნდა თევდორეს ასეთი ამხანაგობა. მორჩა! გათავდა!

— ჭირში სხვაგანა ხარ და ლხინში ჩემთანა? — მოუბრუნდა თევდორე და ბარის ტარზე დაეყრდნო. — აი, ეს პატიოსანი ხალხიც აქ არის და ამათთან გეუბნები: შენ შენთვინა, მეც ჩემთვინა!

— ამაზე მეტი რაღა გინდა, ძმობილო! — ჩაერია ნიკიფორე, — ბაღი გაგისხლა, ბოსტანი დაგიბარა, ყოლიფერი შეგიმზადა და ჩაგაბარა. შენც გაანძრიე ხელი და იცხოვრე.

— ნერგსაც გაძლევს და თესლსაც. — დაუმატა სევასტიმაც. — სახლის ნახევარიც შენია, ბაღისაც და ბოსტნისაც. ეირჩიე, რომელიც გინდოდეს.

დამპატიჟემ ღობეს თვალი გააყოლა და სთქვა:

— ეს ნახევარი სჯობია, მეტიც არის.

— მეც ვიცი, რომ სჯობია. — ჩაილაპარაკა თევდორემ.

— განგებ გადაღობა ეგრე. — განუმარტა ნიკიფორემ. — ამაზე მეტ მოგებას სადღა ნახავ! დაჯედი და იმუშავე.

დამპატიჟემ კოდალა ცხვირი მოიფხანა, მიიხედ-მოიხედა და შეყოყმანდა. თევდორეს სამართალს ვეღარ გაუძლო და უცებ მოტყდა:

— თუ თქვენც მიშველით... — წაუბუზღუნა მეზობლებს.

— გიშველით, შე კაცო, რატომ არ გიშველით!— მიუგეს აქეთ-იქიდან — ხალხნი ვართ, მეზობლობას გაგიწევთ და გაცხოვრებთ.

დაიფანტნენ და საღამოზე ისევ მოვიდნენ. ისევ თევდორესას სვეს, სჭამეს, ორივეს გუშინდელის დავიწყება ურჩიეს, დღევანდელი გაყრა მიულოცეს და ხვალისათვის უკეთესი უსურვეს.

* * *

— დამპატიჟე, მოდი ერთი დამპატიჟე.

— მიშველე და დაგპატიჟებ.

რატომ არა, უშველიან! და იმის მიწაზე მეზობლების ოფლი იღვრება, თვითონ კი ან უნდილად იზლაზნება, ან მიწაზე გაიშოტება და ღიღინებს: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი! ყურიანი და უყურო, ვااااი!!“

— ვაი შენ და შენს თავს! — ბუზღუნებენ მშველელნი და თვითონაც გაურბიან მკვდარ მიწას, სადაც არც პატრონის ოფლი იღვრება და არც მისი ძარღვი ჰფეთქავს.

მაგრამ თევდორეს გაზრდილი და ნაჭმევი მიწა თავისთავადაც იწველება, ურმებიც თავისთავად იტვირთება ბოსტნეულით და ფულიც თვითონვე მოდის საიდგანღაც. დამპატიჟე კი უპატრონო ინდოურივით დაჰყიალებს და გასუქებულ ბურვაკივით ღრუტუნებს: „საიქიოს ერთად წავალთ, ვაი! ფულიანი და უფულო, ვااااი!“

როცა მუშაობა გათავდება — მუშაობა კი მეტად ადრე თავდება დამპატიჟეს ნახევარში — უდარდელი ოქროპირი თოხს თუ ბარს იქვე მიწაზე დააგდებს, გზას გადასჭრის და გოჭოს დუქანში ჩასახლდება. მისი მეგობრებიც მიწიდან ამოძვრებიან და მათი ღრიალი შუაღამემდის არ აძინებს თევდორეს და მეზობლებსაც, შემდეგ კი ისევ აბრახუნდება ალაყაფი და ისევ მოისმის დამპატიჟეს ხაფი შეძახილი:

— ჰაი-ჰუუუი! კარი გამიღე, ბიძაშვილო!

და ერთ ღამეს, კვირა ღამეს, „ბიძაშვილი“ თევდორე დამპატიჟეს ნაჩუმარ სიმამრად გადაიქცა. იმ ღამეს თვითონ თევდორეც სხვაგან იყო წასული. და როცა შორს დამპატიჟეს „ჰაი-ჰუი“ გაისმა, ალაყაფის კარი ჩუმად გაიღო და ქალმაც ჩუმად ჰკითხა:

— დამპატიჟე, შენა ხარ?

— გოგონი! გენაცვალოს დამპატიჟე!

— ტსსს... დედას სძინავს... ხელი გამიშვი!

ბაბალეს ნათქვამს ცხადი აზრი ჰქონდა: დედას სძინავს და არ გააღვიძოო. მაგრამ დამპატიჟემ თავისებურად გაიგო: დედას სძინავს და დრო იხელთეო.

და იხელთა. გოგოს ხელი დაავლო და ოთახის ნაცვლად ბუჩქებში შეიყვანა. დედას კი ისე მაგრად ეძინა, რომ ბაბალეს კრუსუნმაც ვერ გააღვიძა.

* * *

დამპატიჟეს ღამითაც არხეინად სძინავს. მის ბოსტანში არავინ შედის. სამაგიეროდ თევდორეს ვეღარ მოუხუჭავს თვალები. დროგამოშვებით თვისი ნახელავი მოთელილ-მოკრეფილი დაუხვდება. ამანაც ვერ უშველა ოქროპირს: შუა ზაფხულში მისი ნახევარი დილმის მინდორს დაემზგავსა, თევდორეს ნახევარში კი ისევ მაისი იდგა. მოკრეფილის ნაცვლად ახალ-ახალი ირგვება, ითესება, დამპატიჟემ კი უკვე მოსცელ-მოჰკრიფა და გაათავა. დადის მას აქეთ ოქროპირი და სთელავს იქაურობას: სხვის ბოსტნებს, თევდორეს ბაღს, დიდ გზასა და დუქნის კარებს.

ერთ დღეს ისევ გაახსენდა ხიფათიც და ნობათებიც.

— უნდა გავუგზავნოთ. — ჩააცივდა თევდორეს.

— არა, არ მოგცემ, — ახირდა თევდორე.

— უნდა გავუგზავნოთ მეთქი, თორემ...

— თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრან. — შეუტია თევდორემ.

რაღაცას თუ ვიღაცას გაუმხნევებია ბებერი მებოსტნე. ბოძივით დაერჭო უარზე და ფეხიც აღარ მოინაცვლა.

ვაშლების ქვეშ ბაბალეს ტიტველა ფეხები გასხლტენ და დამპატიჟეს გრძელი ცხვირიც გაიყოლეს. ოქროპირმა წეროსავით წამოიწია, დაბუჟებული ფეხი ნალოსავით აითრია და თვითონაც ხეხილს შეერია.

მესამე დღეს ვიღაც სამნი მოვიდნენ და საიჯარო გადასახადის ნარჩენი მოითხოვეს.

— მე ჩემი წილი შევიტანე. — უპასუხა თევდორემ.

— ჩვენ წილი-მილი არ ვიცით. — სთქვა უფროსმა. — ორივენი პასუხს აგებთ. აბა, ჩქარა!

თევდორემ დამპატიჟეს გადაჰხედა.

— ჩემისთანა ღატაკს ფული ვინ მისცა! — წაიბურტყუნა დამპატიჟემ და გაბრუნდა. მოსულებმა თევდორეს ერთი დღე-ღამის ვადა მისცეს და თანაც გააფრთხილეს:

— ეს მამული გაყოფილი არ არის. ასე სწერია ჩვენს დავთრებში. ხვალვე აშალეთ ეს ღობე, თორემ ორ მამულად ჩავსწერთ და ორჯერ მეტსაც შემოგაწერთ. თუ არ აგიშლიათ, დიდ ჯარიმას დაგადებთ. — დააშინეს თევდორე აგენტებმა და წავიდნენ.

ორი საათის შემდეგ თევდორემ გოჭოს დუქანთან გაიარა. დამპატიჟე და მრისხანე აგენტები პატარა აივანზე ისხდნენ და მგელდარეულ ძროხებივით ბღაოდნენ: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი! ყურიანი და უყურო, ვააი!“

თევდორე საღამოჟამს დაბრუნდა. ღობე აღარსად იყო. დამპატიჟე მთვრალი ჯარით მიჰსეოდა და ერთ საათში აეშალნა.

— ეს რა ამბავია? — ისევე გაოცდა თევდორეც, როგორც გაზაფხულზე დამპატიჟე, როცა გაყოფილი ბოსტანი დაუხვედრეს.

— ის ამბავია, — გაბუვდა ოქროპირი, — რომ მამულის გაყოფა აკრძალულია. ისეთ ჯარიმას დაგვადებენ, რომ ეს ბაღიც ვერ გადაიხდის, თუნდაც გაჰყიდო.

თევდორეს ხელი თავისთავად მისწვდა სქელ მარგილს, მაგრამ გაბუებული დამპატიჟე დროზედ გადაიქცა სირაქლემად, ხუთიოდე ნახტომით მიაღწია ღობეს და ისე გადაევლო ზედ, თითქოს ორჩოფეხებზე იდგაო.

— დედას გიტირებ, დედასა! — თოფივით მიაჭექა თევდორემ და ძველი მეზობლებიც კი გააოცა: მაშ, უხმო თევდორესაც სცოდნია გაჯავრება?! მაშ, ჩუმს მებოსტნესაც შესძლებია მოთმინების გადასვლა?!

— მაგრე, გენაცვალე, თევდორე, მაგრე! — გადმოსძახა ტიმოთემ.

თევდორემ მზის ჩასვლამდე აღადგინა ღობე.

* * *

მაგრე! მაგრე! მაგრამ ისევ ტიმოთე მოვიდა შუაკაცად: დამპატიჟეს ვერ აჯობებს თევდორე. ვინ იცის, რამდენი ჰყავს ნათესავიც და ძმაბიჭიც. „იმ კაცს“ ხომ ყველაფერი შეუძლიან, ამიტომ „დაანებე თავი, ნუ ერჩი, თორემ შენვე წააგებ“.

აღარ ერჩის თევდორე, მოვიდეს და იცხოვროს. ოღონდ გადასახადის ნახევარი დაუბრუნოს, იმის მაგივრად რომ შეიტანა, და ბაღის გაერთიანებაზედაც ხელი აიღოს.

დამპატიჟე დუქნიდან ისევ ბაღში გადმოსახლდა, მაგრამ არც ვალი დაუბრუნა თევდორეს და არც საზღვრის მოშლაზე აიღო ხელი. პირდაპირ ვეღარაფერს უბედავს და ისევ იქიდან უვლის და უჩხიკინებს, სადაც თევდორეს არც ხმა მიუწვდება და არც ხელი. დღე იშვიათად გაივლის, რომ თევდორეს ან შუა კაცი არ ეწვიოს, ან აგენტი არ მოადგეს, ან „იმ კაცის“ მუქარა არ დაუხვდეს. მაგრამ მებოსტნე წერაქვივით უდრეკია, ძალით თუ მოსტეხავენ, თორემ ნებით ვეღარ დაიყოლებენ.

— მორჩა! გათავდა!

არა, არც მორჩა და არც გათავდა. მხოლოდ ეხლაღა იწყება.

იმ დღეს დამპატიჟე არსად სჩანდა. მაკრინემ ბაბალეც სადღაც გაისტუმრა და თვითონ თევდორეს მოუჯდა. ჯერ დიდხანს უარა, ოხვრითა და წუწუნით შეამზადა.

— სთქვი, დედაკაცო, რა გინდა ჩემგან! — შეუტია თევდორემ.

რა უნდა და ის უნდა, რომ საქვეყნოდ თავი მოგეჭრა, შე საწყალო. მთელმა ქვეყანამ გაიგო და რაღა შენ ვერ გაიგე?

— სთქვი მეთქი, დედაკაცო!

გეტყვის, ეხლავე გეტყვის. აქამდე როგორ ვერ შეამჩნიე, რომ ის ოხერ-ტიელი, დამპატიჟეა თუ ვიღაც მუდრეგი, ბაბალეს გადაეკიდა?!

— სთქვი და გაათავე, დედაკაცო!

რაღა სთქვას, რაღა გითხრას! ბაბალეს და დამპატიჟეს ყველაფერი გაუთავებიათ.

— რაო?.. რა სთქვი?

ისა სთქვა, რაცა სთქვა: ბაბალეს და დამპატიჟეს ყველაფერი გაუთავებიათ. ბაბალე დამძიმებულა.

— ჰა�ა?.. ბაბალე? ბაბალე? — და უცებ მოსხლტა. — სად არის?.. სად დამემალა?.. სად დამემალა მეთქი? — მთელ სახლს შემოურბინა, ყველგან შეიხედა, თანაც უძახოდა: — ბაბალე! გოგო, ბაბალე!.. სად იმალები, სად დამემალები?

მაკრინეც ფამფალით დასდევდა და ბურტყუნებდა:

— ქაა, გაიგონე, აქ არ არის მეთქი... სხვაგან წავიდა, სხვაგან დაიმალა.

ეხლა დამპატიჟეს დაეძებს თევდორე, ხელში მსხვილ კეტს ატრიალებს, თანაც დორბლსა ჰყრის და გაჰკივის:

— დედას გიტირებ, დედასა!

როდის უტირებს დედას, არავინ იცის.

ჯერჯერობით კი მთვრალივით დაბორიალებს და ვეღარც ბარს ეკარება, ვეღარც თოხს იღებს ხელში. ბაბალე აჩრდილივით შემოსხლტა და ქვემო სართულში დაიმალა. თევდორემ თვალი მოჰკრა, მაგრამ იმდენი ბრაზიც აღარ ეყო, რომ დაეტუქსნა, თუნდაც ერთხელ დაეყვირნა. მხოლოდ მაკრინეს მიუგდო, ისიც გაკვრით და შორიდან:

— დედაკაცო, დაგიდგეს ეგ თვალები, რომ ვერაფერი დაინახე!

ჯავრის ნაშრეტი ძაღლზე ამოიყარა. თოლია კუდის ქნევით გაეხახუნა, მაგრამ თევდორემ ისე მძლავრად წაჰკრა ფერდში ფეხი, რომ თოლია წკავილით გაიქცა, შორიახლოს ჩაცუცქდა, აკვნესდა და ცრემლიანი თვალებით პატრონს შეეკითხა და უსაყვედურა. თევ-

დორეს თვითონაც აუჩუყდა გული და შორიდან დაუყვავა. თოლია წკმუტუნითა და ფოფხვით წამოვიდა, პატრონს ხელები მოულოკა და თითქო მიზეზი გამოჰკითხა.

— ეჰ, თოლიავ, ნეტავი შენა! — წაიბურტყუნა თევდორემ. — რომ იცოდე, რა ამბები ხდება ამ ქვეყანაზე...

არც თვითონ იცის, თოლიას საიდანღა ეცოდინება! მაინც საჭიროა გაგება. დამპატიჟე გაიძვერა კაცია, „იმ კაცის“ კუდია. ეხლაც ალბად „ზემადელაში“-ში ტრიალებს და თევდორეს მახეს უგებს: ღობეს ააშლევინებს და შარშანდელივით გააკოტრებს. თევდორეც წავა და ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს. მიდის მებოსტნე და ბოღმით ივსება. სხვანაირ გუნებაზე დადგა დღეს. ტუჩები ეკუმება, მუშტები ეკუმშება, თოფის წამალით იტენება. ყუმბარასავით უნდა გასკდეს თევდორე, იქ უნდა დაიჭექოს, იქ, „იმ კაცთან“, დამპატიჟეს ნათესავთან! აჰ, ნეტა დამპატიჟეც შეხვდებოდეს ახლომახლოს! დედას უტირებს, დედასა!

გზა ძლივს გაიკვლია და „ის კაცი“ მოითხოვა. რა საქმე აქვს? ეს თევდორემ იცის. პირისპირ უნდა დაუდგეს და ყოველივე უთხრას.

— აქ აღარ არის, ამხანაგო. შენც საჩივლელად ხომ არ მოხვედი?

საჩივლელად მოვიდა, თევდორე საჩივლელად მოვიდა.

— მაშ, გამომძიებელთან წადი და ყველაფერი უამბე.

მაშ, „ის კაცი“ დაჭერილია! ჰაი, აშენდეს ქვეყნის სამართალი! ყაჩაღს ურმით დასდევს, მაგრამ ბოლოს მაინც მიეწევა. წავიდა დამპატიჟეს საქმეც! ეგდოს თავის ნახევარში. ოღონდ ღობეს ნულარ აუშლის თევდორეს, თორემ... თუმცა... დამპატიჟე სულაც აღარ მოვა. დაფთხა, იმალება. თევდორე კიდევ მოიცდის ერთ კვირას და მერე იმ ნახევარსაც დაიბრუნებს. გამომძიებელი კი... ჯანდაბას „იმ კაცის“ თავი! ხომ დაიღუპა, მეტი რაღა უნდა თევდორეს! მუშა კაცს სახლში საქმე ეღუპებოდეს და თვითონ კი გამომძიებელთან დაეხეტებოდეს?! არ წავა თევდორე. როგორც გადასჭრა, სწორედ ისე მოიქცევა.

და როცა ბოსტანს მიუახლოვდა, შორს ღობეს სირაქლემა გადაევლო.

მეორე დღეს ალაყაფში სამი კაცი შემოვიდა. დამპატიჟეც ფრთხილად მოჰყვა, მოშორებით შესდგა, დოქის ყურებივით დოინჯი შემოიყარა და კოდალა ცხვირი თევდორეს დაუმიზნა.

— აი, ძმაო თევდორევ, — დაიწყო ერთმა, მებოსტნეს მკლავი მკლავში გაუყარა და ხეხილისკენ წაიყვანა. ორნიც გაჰყვნენ. დამპატიჟემ კი სახლის უკან მაკრინეს მოჰკრა თვალი და მისკენ გატრიალდა. ესენი აქ ჩურჩულებდნენ, ქვეით კი თევდორე გაჰკიოდა.

მერე, როცა ოთხივენი წავიდნენ, თევდორე მაკრინეს წინ გახევდა, ჯერ დიდხანს უმზერდა, თითქო ვერა სცნობსო, შემდეგ გაოცებით დაეკითხა:

— გაიგე, დედაკაცო? გაიგე, რა მოხდა?

გაიგო, როგორ არ გაიგო! ის პირშავიც აქ არ იყო! მაკრინეს მოუჯდა და ყველაფერი უამბო.

— ეჰ, ვინ იცის, იქნება სჯობდეს კიდევაც. — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა დედაკაცმა.

როგორ თუ სჯობდეს! რასა ჰბოდავ, დედაკაცო! შენც ხომ მოსყიდული არა ხარ! შენ ესა სთქვი, როგორ მოხდა. რომ ეს ბაღი დამპატიჟეს მისცეს იჯარით და თევდორეს კი არაფერი შეატყობინეს? გესმის რამე ამ საქმისა? არც თევდორეს ესმის. ვერაფერი გაუგია. ან დაბერდა, ან დაბრმავდა. თევდორემ თავის სიცოცხლე აქ გასტეხა, აი, ამ მიწაში ჩაჰლვარა მთელი ძალღონე, ამ ბაღბოსტანს შეაბერდა, აქვე აპირებდა სიკვდილსაც და ახლა ხელახლად უნდა დაიწყოს ყველაფერი?!

— არა, შენ ეს მითხარი, სამართალი სად არის? დედაკაცო, სთქვი თუ იცი, სად არის მეთქი სამართალი?!

არც მაკრინეს ესმის ამ ქვეყნისა. არც სამართალი უნახავს ოდესმე. მაგრამ ქალურ ალღოთი, მეშვიდე თუ მეცხრე გრძნობით ჰხედავს თუ ესმის, რომ სამართალი მუდამ სტყუის საქმესთან.

— გაიგე, კაცო, გაიგე! — ცხვირპირში ჩაჰკირკიტებს კოჟრიანი ხელით, — გაიგე მეთქი, რომ საქმე სამართალი კი არ არის, საქმე საქმეა, საქმეა მეთქი!

სიტყვებს ეძებს, მაგრამ ველარ პოულობს და მისი აზრი უძალოდ ფართხალებს სამოთხნაირად დატრიალებულ ერთ სიტყვაში:

— საქმე საქმეა მეთქი, საქმე! გაიგე კაცო?

გაიგო, რატომაც არ გაიგო! მაგრამ მაინც ვერ გაიგო: რად ჩაუსახლეს დამპატიჟე, რომელსაც ბაღის საქმისა ფრჩხილის ოდენაც არ ესმის? ვინ არის ეს კაცი? საიდან მოვიდა? ვინ მოიყვანა, ან რაღა თევდორეს მოუყვანეს? რითი სჭრის ეს ადამიანი — ცოდნით? შრომით? პატიოსნებით? თუ ნათესაობით, ღვინითა და ძმა-ბიჭობით? „ის კაცი“ ხომ გაება.

— მაშ, როგორღა მოახერხა დამპატიჟემ ბაღის დაჩემება?

ვერ იქნა და ვერ გაიგო. ვერც გაიგებს.

„დედაკაცი კი გველია და ჭკუაც გველისა აქვს. შეუჩნდება, შეეპარება, სულსა და სისხლში ჩაეღვრება. ჯერ ბუზის ოდენას უკბენს, მერე მოჰყვება და იმ ნაკბენით მამაკაცს თავის აზრითა და ნებით გაავსებს“. მაკრინეც ასეთია. ჯერ ერთი წვეთი შეაპარა:

— კაცო, სად უნდა წახვიდე, სად?!

მართლაც და, აბა სად უნდა წავიდეს თევდორე? ახალ ბაღს არავინ მისცემს. ყველა კრუხივით აზის და თოფით უვლის აჩემებულს.

— მოჯამაგირედ წავალ. — ჰკვნესის მამაკაცი.

— კაცო, თუ მოჯამაგირედ წახვალ, ისევ შეჩვეული ჭირი არა სჯობია შეუჩვეველ ლხინსა?

„სიმართლე რომ ითქვას, მართალს ამბობს დედაკაცი: მადლიანი ბაღი, მშვენიერი სახლი, შეჩვეული მეზობლები და პატრონიც უდარდელი. იაროს და იქეიფოს დამპატიჟემ, თევდორე კი არხეინად იმუშავებს და ხეირიან ჯამაგირსაც აიღებს. არც ზარალი, არც დარდი, არც მაზანდა, არც იჯარა, არც ათასი გადასახადი“.

— ერთი „იმ კაცთან“ მიმიყვანა როგორმე და დანარჩენი მე ვიცი. — იმუქრება თევდორე.

— გეუბნები, ვერ მიხვალ მეთქი, და თუ მიხვედი, შენი სიტყვა ვერ გასჭრის. შენ იმ ახლისთვისაც უცხო ხარ, ისინი კი ნათესავები და ძმა-ბიჭები არიან.

ნათესავები და ძმა-ბიჭები, — აი, საქმეც ეს ყოფილა! „იმ კაცს“ თევდორე ვერ აჰყვება, ნობათებით ვერ გაავსებს და თვეში ერთხელაც ვერ აქეიფებს. ესეც რომ მოახერხოს, ვერც გაუძმობილდება და ვერც დაუნათესავდება. მაშ, ცხადია ყოველივე! მორჩენილია! გათავებულია!

— ახლა ამ გოგოზედაც იფიქრე. ესეც გაუბედურდება და ჩვენც თავი მოგვეჭრება. ამიტომ...

„ჰოი, გველო! მცურავო! ქვემძრომო! აღარაფერი დაგრჩენია: არც ნამუსი, არც თავის პატივი და აღარც პირის წყალი! მაშ, ანგარიშის მეტი აღარაფერია ამ ქვეყნად, რაღა! ჯერ ბაღის ნახევარი წაართვა, მერე ქალი შეუცდინა, შემდეგ მთელი ბაღი ჩამოართვა და ეხლა ზედსიძედაც მიიღოს? არა! არასოდეს! არასგზით!“

— ნამუსს შევინახავთ, კაცო, ნამუსსა!

„ქალი გველია მეთქი, გველი! შემოგიჩნდება, შემოგეპარება... თუმცა... ეჰ, ვინ რას გაიგებს დედაკაცისას! ზოგჯერ უცაბედათ სიმართლესაც იტყვის ხოლმე... აი, ახლაც რომ სთქვა მაკრინემ ბაბალესაც უბედურებას ავაცდენთ და ჩვენც ნამუსს შევინახავთო: კიდევ რა სთქვა? ჰო, მართლა: დამპატიჟე რომ დაოჯახდება, დადინჯდებაო. გარდა ამი-

სა, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ეს ბაღი ხომ წაგვივიდა ხელიდან. ბარემ ისევ ჩვენი ქალისა და იმის შვილის კერძი გახდესო“.

— არა, მართალი სთქვი, არ ემჯობინება? — ისევ ეკითხება მაკრინე.

რა ვქნა, რას ჩააცივდა ეს დედაკაცი მეშაბათესავით?! ახირებულა ქალაქის აგენტივით: ახლავე მომეცი პასუხიო. ზოგი ხომ დღეს ილაპარაკა, ზოგიც ხვალისთვის გადასდოს.

— სთქვი, არ ემჯობინება მეთქი?

— გეყოფა, დედაკაცო, დამაძინე!

„გველია მეთქი დედაკაცი, გველი! დაიჟინებს, შეუჩნდება და...“

და უთუოდ თავისას გაიტანს.

* * *

ჯერ-ჯერობით ორი წელიწადიც გავიდა.

აი ეხლაც, — ეხლა და თითქმის ყოველ დღესაც — ბაბალე შვილს ჰაერში აბურთავებს, თვითონაც ხტუნავს და შესძახის:

— ითამაშე, ტიტიკო! იხტუნავე, ბიჭიკო!

დამპატიჟე დაირას აბრახუნებს, თვითონაც სტოკავს და გაიძახის:

— ითამაშეთ, ჭირი მე! გაიხარეთ, ჭირი მე!

ბიჭიკო ფუნჩულა ფეხებს მუთაქებსავით ისვრის და მადიანად ხითხითებს, ბაბალე კი ამ ფეხებს შეჰხარის და უკარნახებს:

— მარცხენა, მარჯვენა! მარცხენა და მარჯვენა! მარჯვენა და მარცხენა!

— ახტუნავე, ბიჭიკო! ათამაშე, ტიტიკო! დიპლიპიტო-დაფტიპიტო! დაფტიპიტო-დიპლიპიტო!

ბებერი თოლია ძილში იღრინება — ალბად ავ სიზმრებს ეომება. ბოჩოლა გაოცებულია. კატა გულში იცინის. მაკრინე კი ისევ დაკარგულს ეძებს და ვერ უპოვნია. თევდორეც მიწას ებრძვის და ვერ მოჰრევია. დამპატიჟეს ბაღ-ბოსტანი თავქვე მიდის, ვერანდება, მოსავალიც ნახევრდება.

— ოქროპირ, მიშველე, კაცო! — წამოიხრიალებს დროგამოშვებით უკვე მოდრეკილი მებაღე.

მაგრამ დამპატიჟეს არა სცალია, არასოდეს არა სცალია: არც დილით, არც შუადღეს, არც საღამოზე, არც ზამთარში და არც გაზაფხულზე.

— საქმე მაქვს, მელოდებიან.

სირაქლემას ფეხებს ალაყაფში გაალაჯებს, და გოჭოს დუქნიდან მალე ბღავილის ტალღა წამოვა: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვააი! ყურიანი და უყურო, ვაააი!!“

— ვაი შენ და ღვთის რისხვა! — წაიბურტყუნებს თევდორე და ელოდება: როდის მოაშორებენ კისრიდან ამ ბაღლინჯოს? როდის გააჩუმებენ დამპატიჟეს? როდის გაჰყრიან თევდორეს და ზედსიძეს?

ელოდება და თანაც ფიქრობს: „ოთხფეხს ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“

ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია.

მიხეილ ჯავახიშვილი

მარელისი

მიმართვა ზემოიმერეთის გლეხებს

1

ვიცი, ამ გრძნობას არ დამიძრახავთ —
რადგან ჯერ კიდევ გული მაქვს მრთელი
და ტფილისიდან — ვიდრემდის გნახავთ —
მიიღეთ ჩემგან სალამი წრფელი.

თქვენც იცით, რომ ვარ თქვენივე ჯიშის
გაუტეხელი დამასკის რვალი,
ჩვენ არწივებად კლდეებზე ვიშვით
და სისხლში გვიდუღს მზე დაუმცხრალი.

ცეცხლდანთებული დღეები ჩვენი
რადიოს, რკინის ჩვენება არი...
შევუბით მიწას ელექტრო ცხენი
და ვარსკვლავებათ ავანთეთ მტკვარი.

დღეს მეც წარსულ დროს აღარ მივსტირი.
არ ვგლოვ, ვით წინად, გოლვიან დარებს —
რადგან გაბურღულ ყანების ძირში
გააქვთ ჩუხჩუხი გავსებულ ღარებს.

ო, მაპატიეთ თუ, თქვენ წინაშე
ვადიდებ შრომას უბრალო ლექსით —
მე გულს მიხარებს — მშობელ მიწაში,
რომ ასე მტკიცედ გავიდგი ფესვი.

ჩვენ ხომ ერთი გვაქვს ყამირი, ბუდე,
სისხლით მორწყული — მიწა, ალაგი,
და, მჯერა, თქვენში დავრჩები მუდამ, —
როგორც პოეტი და მოქალაქე.

2

ეს რა ხმაური აყრუებს ხევებს...
სად დაიკარგა ბილიკი ვიწრო?
ვინ ჩაუკმინდა ხმა ზღაპრულ მდევებს,
და ვინ დაამხო მათი სამკვიდრო?

ელნათურები — ყაყაჩოებად
ხეებზე სხედან, როგორც ჩიტები
და ელექტრონის უხვ ჩარჩოებად
ბრწყინავს მდინარის მძლავრი ზვირთები.

დილით, სირენის კივილი მწარე
სერიდან სერზე გადაგორდება
და სოფლებიდან წვივებ მაგარი
მუშების წყება სწრაფად გროვდება.

გრგვინავს მოტორი, და სადაც წინად
მარტოდენ ჭოტი ტყეში ჰკიოდა —
მზის ჟრუანტელი მიჰყვება სინას
წიფლის ტყეების სანაპიროდან.

ძმებო! წარსულში დღე განამწარი
შორეულ მიზნებს ვეახლეთ შვებით
და საქართველო — კლდესავით მყარი —
მოდის ტრიუმფით და გამარჯვებით.

ვასო გორგაძე
20/XII-27

კედელი

I

ტფილისში დაბრუნდა, როგორც ბრუნდებიან მეომარნი წაგებულ ომიდან — მწუხრი სახით, დაბნეული, მღვრიე ფიქრებით.

ეს ფიქრები ახჩობდენ მას. ნესტიანი, ცივი, გაყინული ფიქრები — ადუნებდენ.

ქუჩაზე მიდიოდა, როგორც მიდიან რიყით მოფენილ მდელოზე (აბნეული ქვები ფეხ-ქვეშ რომ ბრუნდებიან).

ნაცნობ სახლებს, ქუჩებს და კედლებს გასცქეროდა, როგორც შორეულ დროს სიზ-მარში ნახულ სახეებს. თითქო შეცვლილიყოს ტფილისი და ახლა სხვა სახე მიეღოს.

ჯერ კიდევ მატარებლით მგზავრობისაგან თრთოდა სხეული. ჯერ კიდევ გონებაში ბათუმის სურათები იბნეოდენ: ამხანაგებთან დამშვიდობება, დაშორება და იმედი, რომ კედელი მალე ჩამოინგრევა, ბალშევიკები მალე საქართველოს დასტოვებენ და კვლავ ძველ მუშაობას განაგრძობენ.

ყურში გაისმოდა ვაგონში მომავალ წითელარმიელთა არეულ ხმების გუგუნი:

ეს არის ჩვენი მედგარი
და გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოებს შვებას ყველა...

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ იმედიანი თვალებით შესცქეროდა მომავალს. აღე-ბული გეზით მისდევდა გაკვლეულ გზას...

ხოლო, როცა ფარშავანგის ფრთებივით გაშლილი წითელი ზეწარი გადაეფინა მშობ-ლიურ მხარეს — დაიბნა.

საბუდარიდან ამოვარდნილ წიწილასავით წიალი დაიწყო, აღარ იცოდა, რა გზას დად-გომოდა, რა გაეკეთებინა, ვის მიჰკედლებოდა.

მიდიოდა დაბნეული, მხრებ ჩამოშვებული, თითქო სიმძიმე ლოდების დასწოლოდეს.

აბნეულ ნაბიჯს ისე ადგამდა, თითქო მუხლამდის მდინარეს გადიოდა, თითქო ყოველი ფეხის დადგმისას უნდა მოეძებნა მკვიდრი ალაგი, რომ ქვებზე ფეხი არ ასიპებოდა.

რუსთაველის ტროტუარზე მომავალი ნაცნობი სახე შეამჩნია. თვალები გააფართოვა, დააკვირდა. იცნო თავადიშვილის ქალი თამარი... და თავში დატრიალდა ყმაწვილობის დროიდან ჩარჩენილი სურათები.

სოფელი და სოფლის პირად თავად ვახტანგიშვილის სასახლე მაღალი კედლით შემორტყმული. ხშირად მიდიოდა ალაყაფის კართან და მის ჭუჭრუტანიდან უმზერდა გაშლილ ეზოს, მწვანით მოფენილს და კაკლის ხეებით დაჩრდილულს.

აქ დასეირნობდა ხოლმე მაშინ თამარი, როგორც ნუკრი შეჩვეულ ტყეში.

მაღალი კედელი აშორებდა მათ და არ ჰქონდა შეძლება დაახლოებოდა მას.

მედიდური თამარი შეხვედრისას ვერ ამჩნევდა მის აწითლებულ სახეს და გულზვიადათ გვერდს აუვლიდა ხოლმე.

მხოლოდ ერთხელ იყო, ერთხელ, თამარმა რომ შეამჩნია იგი და გაუღიმა.

ეს მაშინ იყო, როცა ზევითა ტუჩზე ულვაშის მაგიერ ფიფქი ჰქონდა გადაკრული, — გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სტუდენტურ ქუდსა და მუნდირში გამოწყობილი — სახლში რომ დაბრუნდა საზაფხულოთ.

მახლობელ სოფლის დღეობა იყო. თამარიც იქ იყო. არეულ ხალხის ტალღამ, თუ შეუმჩნეველმა მოძრაობამ მათი თვალები ერთმანეთს შეახვედრა. მაშინ გაიღიმა თამარმა და შეეკითხა:

— დაასრულეთ უკვე?

— დიაღ, დავასრულე!

— ახლა სად აპირებთ წასვლას?

— კიევის უნივერსიტეტში!

— რა ფაკულტეტზე?

— ჯერ არ მაქვს ამორჩეული!

— გიხდებათ სტუდენტის ქუდი!..

უთხრა თამარმა და თვალები ააციმციმა.

მაშინ აძგერდა მისი გული და იწყო ტოკვა.

კიდევ მოაგონდა სხვა შეხვედრები.

მრავალი წელია მას შემდეგ და საკვირველია, რომ მისი ხსოვნა თავიდან ვერ მოიშორა...

ეხლა თამარი არეულ ხალხში მიდიოდა, თითქო ალვის ხეს ფეხი აუდგამსო. ხალხის ტალღას მოარღვევდა გედივით.

ტუჩზე ღიმი უკრთოდა. ბაგე გაპობილი ჰქონდა, როგორც შეწითლებული ღრუბლის ნაპრალი.

შეამჩნია, რომ მოღერებული ყელი მისკენ მიდიოდა.

აფრთოვანდა. სხეულმა ბორგვა იწყო. და ხედავდა ვიწრო წარბების ქვეით მოციმციმე თვალებს, გაპობილ ბაგეს — მეტს არაფერს.

— ბატონო ლევან?.. გამარჯობათ! აქა ხართ? — შეეკითხა თამარი.

— დიაღ, არსად წავსულვარ! აქა ვარ!..

— მე კი მეგონა, თქვენც საზღვარ-გარეთ წახვიდოდით!

და მერე?.. ნუ თუ თამარი ჰფიქრობდა ლევანზე?.. რატომ მოხდა, რომ თამარი ასე უბრალოთ, თითქმის ინტიმურად მივიდა ლევანთან და ლაპარაკი დაუწყო? — ჰკვირობდა ლევანი.

აბნეულ ფიქრებში გართულმა ძლივს წარმოსთქვა:

— არა, აქ დავრჩი! მე ჩემს სამშობლოში უნდა ვიყო ჭირშიც და ლხინშიც!..

და ეს რომ სთქვა, თვითვე გაუკვირდა. ასეთი პასუხი მოეწონა.

— თუმცა, რასაკვირველია, სულ ერთია! დიდხანს ხომ არ გასტანს ეს მდგომარეობა! ჩვენც სოფლიდან გამოგვრეკეს... ყველაფერი ჩამოგვართვეს, წაგვართვეს... მაგრამ ისევ მალე დავბრუნდებით!.. თქვენც გეცოდინებათ, ალბად, რომ საზღვარ-გარეთ კითხვა უკვე დასმულია!..

თავადიშვილის ქალი მოუყვა ახალ ამბავს „სარწმუნო წყაროებიდან“ გაგებულს.

— დიაღ, დიაღ!.. ნიშნები მრავალია!..

— მალე წავლენ და თქვენც ისევ შეუდგებით თქვენ საქმეს, არა? მე გაგონილი მქონდა, რომ თქვენ დიდი ალაგი გეჭირათ — ახლა?

— ახლა, უადგილოთ ვარ!..

— მალე, ისევ მალე დაუბრუნდებით თქვენს ალაგს... ამის სრული იმედი მაქვს!.. მეც აღარ წავალ სოფელში! მომბეზრდა პროვინცია!..

დაბნეული ლევანი სალაპარაკო მასალას ვერ პოულობდა. მოკლეთ უპასუხებდა.

— ცოლი შეირთეთ, ლევან?

— არა, ქალბატონო თამარ!

ლევანსაც უნდოდა ეკითხა, გათხოვდა თამარი თუ არა, მაგრამ თავი შეიკავა.

თავადიშვილის ქალი კიდევ მოუყვა სხვა ამბავს სხვა წყაროებიდან გაგებულს, რომ მის შორეულ ნათესავს წერილი მოსვლია საზღვარ გარეთიდან — ბოლშევიკები მალე საქართველოს დასტოვებენო და ეს მტკიცდება კიდევ იმითი, რომ მის ბიძაშვილს ისეთივე სიზმარი უნახავს.

— ეს უსათუოდ ასე იქნება! ეგენი იძულებული იქნებიან დასტოვონ საქართველო!.. — დასძინა თავადიშვილის ქალმა. თვალები ააციმციმა და სულ ახლო მივიდა ლევანთან.

მაშინ შეამჩნია ლევანმა მისი ლამაზი სახე და ფიფქიანი ლოყა. დაქალებულიყო თამარი და ეს უფრო ჰხიბლავდა მას.

აზრების გაზიარებამ ისინი ერთმანეთს დააახლოვა. აღარ იყო მათ შორის ის კედელი და მიკეტილი ალაყაფის კარი, მათ რომ აშორებდა. ინტიმური, მეზობლური სიმი გაიბა მათ შორის...

ლევანის სხეული თრთოდა. სადღაც კუნთებში მიჩქმალული ძარღვი ათამაშდა და იწყო ბორგვა. შესცქეროდა არეულ მიმავალ ხალხს და ეს ხმაური, ტრამვაის ხრიალი, სტვენა, გაძახილი და აურზაური, თითქო ეხლა შეამჩნიაო — სისხლმა იწყო მოძრაობა. თითქო ტკბილი რამ სითხე ჩაეშვა მის სხეულში. მას უნდოდა არეულ ხალხში გადავარდნილიყო, მოძრავ ცხოვრებაში შეეცურნა, კვლავ მკლავები გაეშალა და თამარისთვის დაენახვებინა თავისი ძალა, ენერგია, გამჭრიახობა და უნარი...

შესცქეროდა გაპობილ ტუჩებს, ღიმს რომ აფრქვევდა ალისებურს. ძლივს მოახერხა მოეკითხა დედა მისი.

— გმადლობთ! კარგად არის! ყიფიანის ქუჩაზე ვცხოვრობთ! შემოიარეთ! გვინახულეთ! დედაჩემსაც გაეხარდება თქვენი ნახვა! შემოივლით?..

— კი ბატონო, სიამოვნებით!

— ყიფიანის ქუჩა, ცხრა ნომერი! გელით! უსათუოდ მოდით და კარგი ამბები მოიტანეთ!.. ახლა ნახვამდის...

— ნახვამდის...

და თამარი არეულ ხალხში შეერია, მოსეირნეთა ტალღა გააპო და თვალსაც მოეფარა...

II

მას შემდეგ რაც ლევანი თამარს შეხვდა, მოულოდნელი და რაღაც შეუცნობი რამ მოხდა მის ცხოვრებაში. ბორგავდა, ვერ ისვენებდა. ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდა. მოხრილი, მაღალი ტანი გასწორდა. წვერის ხშირი პარსვა იწყო. ქუდი გამოიცვალა. ყელსახვევი ახალი იყიდა, ტანისამოსი გაიწმინდა.

სარკეში ხშირად იხედებოდა და განცვიფრებით ამჩნევდა, რომ ის მიბნედილი, თაგვის სოროში წასული თვალები, უსიცოცხლო და უძრავი, ახლა აციალებულ სანთელივით ბზინავდენ.

მაშ, თამარი ჰფიქრობდა მასზე?.. მას ეგონა, ისიც სხვებსავით საზღვარ-გარეთ წავიდოდა?.. მერე?.. რატომ? როგორ მოხდა ეს!.. რატომ წინად არ მიუქცევია თამარს მისთვის ყურადღება?.. ჩოხოსნებში იყო გართული!.. ახლა სად არიან მისი პატივისმცემელი, ფუქსავატი ახალგაზრდები?..

გულში იყო ღიზინი, თრთოლა, შიში.

და როდესაც რუსთაველის პროსპექტზე თამარს შეხვდებოდა, როცა თამარის მოღიმარი ფერმკრთალი სახე ფიფქიანი ლოყებით მის თვალებში აისახებოდა, გული ჩქროლას უმატებდა. მაშინ მიუახლოვდებოდა მას თამარი მოღიმარი, მხიარული, იმედიანი და ლევანის მძიმე ფიქრებს ამჩატებდა.

— ბატონო ლევან, ნუ ხართ მოწყენილი! მალე მოეღება ბალშევიკების ბატონობას ბოლო! და ჩვენ ისევ ძველებურ ცხოვრებას დავიწყებთ!.. თორემ აბა, რას ჰგავს ჩვენი ეხლანდელი პირობები! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ დიდხანს ასე გასტანოს. მალე ისევ თქვენ ალაგს დაიკავებთ! მეც აღარ წავალ ქალაქიდან!..

ხშირათ გაყვებოდენ მუსაიფით რუსთაველის ქუჩას. მაშინ ლევანის გული სიამაყით სავსე იყო. და როდესაც თავის ოთახში ბრუნდებოდა, თამარის სახე არ შორდებოდა მის მხედველობას.

...თამარი უნაზესი ქალია საქართველოში... თამარი ყველაზე ლამაზია!.. პატიოსანი, მაღალი, მშვენიერი, მომავალი ქართველი დედა...

და მე მიყვარს თამარი!.. მიყვარს თამარი!.. — გაიძახოდა ლევანი და ოთახში დადიოდა გალიაში მომწყვდეული მგელივით.

მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდებოდა ბინაზე და ისევ ქუჩებს გაყვებოდა.

მოსახვევში ლევანის წინ ნაცნობი სახე აიმართა. შეჩერდა. დააკვირდა.

კინოს სისწრაფით მიჰქროდა მის თავში დიდი ხნის უნახავ სახეთა მოგონებანი და კი ვერ გაერკვია, ვინ იყო მის წინ მდგარი. ხოლო, როცა ნაცნობმა გაიღიმა, ხელი გაუშვირა და შეეკითხა:

„ლევან, ველარ მიცანი?!“ — იმანაც ღიმი აღინიშნა სახეზე, ხელი მაგრათ ჩამოართვა და შესძახა:

— გიორგი, შენა ხარ? — და ორი მეგობარი ერთმანეთს გადაეხვია.

ხელი ხელში ეჭირათ. იღიმებოდენ. ერთმანეთს ათვალიერებდენ და ლაპარაკი ვერ დაეწყოთ. სათქმელი კი ბევრი ჰქონდათ.

ორივეს წარსული უტრიალებდა თავში. ახალგაზრდობა, გატაცება, პარტიული მუშაობა... მერე ციხე, გადასახლება... შორეული წარსული.

ერთმანეთს ციხეში დაშორდენ. ერთი უფრო ადრე გაგზავნეს კატორღაში და მის შემდეგ არც შეხვედრიან ერთმანეთს.

— სხვა როგორა ხარ? — შეეკითხა გიორგი.

დაჭერილი ხელები დააშორეს. ღიმილის ნაოჭიც დაიშალა.

— ისე! ვცხოვრობ! შენ სად იყავი აქნამდის? რატომ არსად შემხვდი?

— რუსეთში ვიყავი! კატორღიდან რომ დავბრუნდი, მოსკოვში დავრჩი! მერე, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, იქ რაღა დამარჩენდა!..

პაპიროსის ამოსაღებად ერთი ხელიდან პორტფელი მეორე ხელში გადიტანა და პორტსიგარი ამხანაგს გაუწოდა.

პაპიროსის ბოლი გაუშვეს. მიმავალ ხალხს გზა მისცეს და ტროტუარის ნაპირზე გაჩერდენ.

— რას შვრები, ხომ მუშაობ პარტიაში?

— არა! თავი დავანებე ყველაფერს!.. — ჩაწყვეტილი ხმით უპასუხა ლევანმა.

ორივეს გულს თითქო სითბო მოაკლდა. რაღაც მოწყდა და უფსკრულში დაეშვა.

მის ადგილს ცივი რამ სითხე დაგუბდა. ორ მეგობართა შორის შეუმჩნეველი კედელი აიმართა, ერთმანეთს დააშორა. ეს კედელი უშლიდა მეგობრულ ბაასის გაგრძელებას. აღარ იცოდენ, როგორ დაბრუნებოდენ ლაპარაკის საგანს.

მიმავალ ხალხს შესცქეროდენ. პაპიროსის ბოლს ჰაერში ჰფანტავდენ.

ორივეს ისევ წარსული წარმოუდგათ თვალწინ და წარსულის მოგონებამ, აგრეთვე მეგობრულმა კავშირმა თავისი გაიტანა.

— გახსოვს ჩვენი პირველი გატაცება — ქარხანაში მუშაობა!.. რა ლამაზი, წარმტაცი იყო ის დრო!..

დუმილი დაარღვია ლევანმა და პაპიროსის ნამწვი შორს ისროლა...

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს.

— გახსოვს ჩვენი დევიზი: თუ გინდა სოციალისტურ მუშაობას მხარში ამოუდგე, თვით უნდა გახდე მუშა! და ჩვენც წავედით ქარხანაში სამუშაოდ!..

წარსულის მოგონებაზე ლევანის გონება გაერთწერტილდა, სხეული ათრთოლდა და თვალები გაბრწყინდა. მის წინ გაიშალა სურათი წარსულისა...

დილა — ტრედისფრად ნანათი... ჰაერში ქარხნის საყვირის ხმა. ქარხნისკენ მიმავალი მუშები... ის და გიორგი ჩუსტებში და ხალათებში გამოწყობილნი, მუშებთან ერთად მიდიან ქარხანაში. მუშაობა ფიზიკური და საუბარი მუშათა წრეებში.

საღამოობით ფარულ კრებებზე სიარული, როგორც დევნილ მოციქულების სვლა იდუმალ სამლოცველოებში... მერე... გაფიცვები, დემონსტრაციები. არალეგალური ცხოვრება გატაცებებით სავსე... შემდეგ... დაჭერა, ციხე. ისევ მუშაობა, ისევ აღფრთოვანება.

მოგონებამ სიამოვნების ჟრუანტელი მოჰგვარა ორივეს და გულს მოედო ტკბილი სითბო.

აღმართული კედელი მიიჩქმალა და მეგობრებმა კვლავ შეხედეს ერთმანეთს. გაიბა სწორი, უხილავი სხივი, მეგობრებს რომ აერთებდა.

— დაცოლშვილდი, გიორგი? — შეეკითხა ლევანი.

— არა! პარტიულ მუშაობაში ვარ ჩაბმული. მაგისთვის არ მცალია!

გაბმული ხაზი დაიკლაკნა. კვლავ აიმართა მათ შორის უჩინარი კედელი ერთმანეთს რომ აშორებდა.

— ეხლა მე „კონტრრევოლიუციონერი“ ვარ, იცი, გიორგი? — ირონიული ღიმით სთქვა ლევანმა და განაგრძო — გესმის? როცა ეს სიტყვა მიწოდეს, შეუცნობი რამ მოხდა ჩემს არსებაში. არც გულმა მიიღო, არც გონებამ — არც შეურაცყოფათ ჩამითვლია... მხოლოდ სული შემეხუთა.

მოულოდნელი სევდა მოაწვა. სახე მოეღუშა. დაეკუმშა გული.

მომავალ ხალხს თვალი მოავლო და უეცრად მოეჩვენა, თითქო უცხო ქვეყანაში იმყოფება და გამვლელები ნელის ნაბიჯით მისდევენ ცხედარს, ამიტომ ყრუთ გაისმოდა მის მსმენელობაში ფეხის ხმა დინჯი და აუჩქარებელი, როგორც ნაბიჯი კუბოს უკან მიმავალი ხალხისა.

გიორგის შეხედა. ეუცნაურა მისი სახე. შორეულად მოეჩვენა. თითქო ასეთი უშნო და გრძელი ცხვირი არ ჰქონოდეს უწინ გიორგის...

შეუმჩნეველმა კედელმა კვლავ დაჰფარა სივრცე მათ შორის.

— რატომ არ დაიწყებ ჩვენთან მუშაობას? — მოულოდნელად შეეკითხა გიორგი.

— უმთავრესად იმიტომ, რომ... — შეჩერდა, ვერ მოახერხა, რის თქმაც უნდოდა. მერე განაგრძო, — გეტყვი!.. შენ გეტყვი!.. იმიტომ, რომ... საქართველო...

— მერე, რა მოუვიდა საქართველოს? საქართველო განა უკეთეს პირობებში არ არის? განა ახლანდელი საქართველო, მუშებსა და მშრომელ ხალხს არ ეკუთვნის? თუ სოცია-

ლისტი ხარ, ერთი რამ უნდა გწამდეს ძლიერად! ერთი რამ უნდა მიიღო მთელი არსებით! ერთ რამეში უნდა მოექცე, როგორც კვერცხის გული ნაჭუჭში, საიდანაც გამოდის მთლიანი, დასრულებული არსება... შენ იძახი — საქართველო!.. წინად არც შენ ხედავდი საქართველოს! მხოლოდ ახლა დაინახე იგი!..

— არა, გიორგი!..

— არა, კი არა, აგრეა!.. წინად შენ ასე არ აზროვნებდი! განა ორივე ერთად არ ვიბრძოდით სხვა პარტიების წინააღმდეგ — რომ სამშობლო კი არა, უპირველეს ყოვლისა, მუშები და მშრომელი ხალხი უნდა იქნას დაცული... მე ისიც კარგად მახსოვს, რომ ციხეში ყველაზე ძლიერად შენ გაილაშქრე ფედერალისტების წინააღმდეგ და კიდეც დაამარცხე ისინი!.. ახლა რა დაგემართა?..

– არა, გიორგი! საქმე იმაშია, რომ შენ რუსეთში სცხოვრობდი. შენ არ იცი ნამდვილი საქმის ვითარება...

— არა, ძმაო! შენ განაციონალისტებულხარ და სხვა არაფერი! შენ გგონია, რომ შენზე ნაკლებ მიყვარს საქართველო? და რომ მიყვარს, სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ის ჩვენს ხელში აყვავდება! წინ წავა! გამარჯვებული გამოვა!.. რა მოგივიდათ, კაცო, რა დაგემართათ, რომ არ ვიცი! თქვენ ამბობთ, ძალით შემოხვედითო... ტყვილი... მაგრამ, ეგრეც იყოს!.. თუ ჩვენი შემოსვლა მუშებისა და გლეხების საქმეს დაიცავს, განა ეს ცუდია?.. გეკითხები!..

ლევანს თითქო ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. თითქო მის დებულებებს, თუ კი ამაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ვერავინ გაუძლებდა... მაგრამ ახლა, გიორგისთან ლაპარაკში, ვერაფერს ახერხებდა და თვითონაც არ იცოდა, რატომ.

სდუმდა. არაფერს ამბობდა.

— არა! თქვენი გზა აბნეულია! ან სოციალიზმი — ან ნაციონალიზმი! ან ბურჟუებისკენ — ან მუშებისკენ!.. თქვენ კი, ესეც გინდათ, ისიც გინდათ და ამიტომ დაიღუპებით... ჰო და, იღუპებით კიდეც!..

უჩინარი კედელი კვლავ აიმართა მეგობართა შორის. ლევანის თავში კვლავ აირია ფიქრთა კორიანტელი.

— ახლა მაინც რას შვრები, რას აკეთებ? — სიჩუმე დაარღვია გიორგიმ.

— არაფერს! ისე ვარ!

— არც მსახურებ?

— არა!

— არ გინდა იმსახურო — თუ?

— არა, როგორ არ მინდა!

— მაშ, მოდი ჩემთან! მოგცემ ალაგს! შემოივლი? ნარკომპროდი ხომ იცი, სადაც არი!

— კი! შემოვივლი..

დიდ ხანს უცქერდა ლევანი არეულ ხალხში მიმავალ გიორგის. მისი სწორი, ენერგიული და თამამი ნაბიჯი — მკაფიოდ ირჩეოდა მიმავალთა შორის. აყუდებული მხარბეჭით მძიმედ მიარღვევდა მოსეირნეთა ტალღას. მალე ზურგი მაღალ სახლის კედელს მიეფარა და ლევანის თვალები ამ კედელს შერჩა მიშტერებული.

მღვრიე თვალებით შესცქერდა კედელს და როგორც ეკრანზე თანდათანობით და შეუმჩნევლად იცვლება ერთი სახეობა, მეორე სურათით, ისე აყუდებული სახლის კედელი შეიცვალა პიტალო კლდეთი. კლდე იყო ასიპული, ყინულით გაკრული, მაღალი, გარდაუვალი. არსად, არც ერთ ადგილს არ იყო ფეხის დასაბჯენი, არც ხელის მოსაკიდი, მოღუშული და მიუკარებელი...

იქით მიდიოდა გიორგი შეუდრეკელი ნაბიჯით — აქეთ დარჩა ლევანი თავისი ფიქრებით...

III

სამსახურში მიღების შემდეგ, ლევანის ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. მალე იმავე დაწესებულებაში და იმავე მეგობარ გიორგის შემწეობით, თამარიც მოეწყო...

ერთხანად ცხოვრებამ გაიცინა. მზიანი დღეები ამხიარულებდენ ქუჩას. ლევანის გულშიც მზე იყო ჩასული. ხშირად შევიდოდა იმ ოთახში, სადაც თამარი მაგიდასთან მიმჯდარი, უჩვევი თითებით მანქანას ახმაურებდა. მიუახლოვდებოდა, დაიღუნებოდა და აწითლებული სახით, ყელში მომდგარი ბურთით, წაილუღლუღებდა — „ჩემო სიცოცხლე, თამარ!!.“

— მართლა, ლევან, თუ ხუმრობ? მე კი მგონია, სულ ხუმრობ!

კარგად იცოდა თამარმა, რომ ლევანი არ ხუმრობდა. კარგად ხედავდა ლევანის ძლიერ გრძნობას და ქალური ცუღლუტობით გატაცებული, ამ გრძნობის განვითარებას მშვიდათ უმზერდა. თითქოს მოსწონდა კიდეც ასეთი როლის განაწილება.

— განა, არ იცი, თამარ? განა მარტო ეხლა? რამდენი ხანია მას შემდეგ! ნუ თუ ვერ ამჩნევდი მაშინ ჩემს თვალებს, ჩემს შემოხედვას?..

— რა ვიცი! აბა, როგორ უნდა შემემჩნია?..

— რასაკვირველია, ვერ შეამჩნევდი, როცა გვერდით სულ ჩოხოსნები გეხვია. მაზრაში განთქმული მოქეიფე ამილახვარი, სილამაზით და ჯირითობით ცნობილი ამირაჯიბი და სხვა მრავალი ამისთანეები.

— მერე, ლევან!..

— მერე, არაფერი! მე დიდი ხნით მოვშორდი სოფელს, ხომ იცი, და სულ სხვა ზრახვებით ვცხოვრობდი!

— ეჰ! მაგ ზრახვებმაც არაფერი მოგვიტანეს!

— მაგრამ, არც ჩოხოსნებმა!..

— რატომ? დროს მაინც ვატარებდით, ვცხოვრობდით, ვმხიარულობდით!..

— განა მხიარულებაში და დროს ტარებაშია ცხოვრება?..

— რატომაც არა? მე სხვა არაფერი ვიცი!

თამარმა მართლაც სხვა არაფერი იცოდა! და თუ ახლა ხშირად ლაპარაკობდა საქართველოს „განთავისუფლებაზე“, მის „დამოუკიდებლობაზე“ და ამიტომ ბოლშევიკების მალე დაღუპვას ნატრობდა, — ეს იყო დროული მოვლენა მის ცხოვრებაში, მოდათ გადაქცეული, პირადი ინტერესებით გამოწვეული.

— არა, თამარ, მე არა მჯერა, რომ შენ მაგას მართლა ამბობდე! განა საქართველო არ გიყვარს?

— მერე, რომ მიყვარს!

— იმისათვის რომ ტანჯვები იყოს საჭირო, არ მიიღებ ამას?..

თამარმა ამაზე არაფერი უპასუხა.

ყუთიდან პუდრი ამოიღო და ცხვირზე წაისვა...

ამ დროს გიორგი შემოვიდა ოთახში. ლევანი გაწითლდა. დაიბნა.

ახლა გიორგი მისი უფროსი იყო და ამავე დროს მეგობარიც. ერთ ადგილს ტორტმანი იწყო. არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი: როგორც უფროსთან, თუ როგორც მეგობართან. უფროსის წინაშე მოკრძალებამ დასძლია და დამნაშავე შეგირდივით გაყუჩებული იდგა.

გიორგი კი თამარს მიუახლოვდა.

— თქვენი მაგიდა სწორედ არ დგას. აი, აქეთ არ სჯობია? სინათლეც მეტი გექნებათ და სითბოც! ალექსი!.. — დაუძახა დარაჯს. — აბა, ეს მაგიდა იქით მიდგი! ჰო, ასე!.. ხომ ასე სჯობია, ქალბატონო თამარ? ახლა ეს ქაღალდი დამიბეჭდეთ, მე თვითონ გიკარნახებთ!.. — და ლევანს შეხედა.

ლევანმა იგრძნო, რომ წასვლა იყო საჭირო და დასჯილი შეგირდივით ნელა მიტრიალდა, კარი გააღო და გავიდა.

მერე, რა მოხდა? რათ მოაწვა ლევანს გესლი და ბოღმა გულში?

მძიმე ნაბიჯით თავის მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე დაბნეული ქაღალდები აქეთ-იქით დააწყო, იდაყვებს დაეყრდნო და თვალები ერთ წერტილს მიაშტერა.

არა, დღესვე მოსთხოვს თამარს უკანასკნელ პასუხს. გარკვეულს და დაბეჯითებულს. მაშ, როდემდის უნდა იყოს ასეთ გაურკვევ მდგომარეობაში? მერე, რატომ ასე მუდამ ხელიდან უსხლტება თამარის პასუხი! თითქო აი, მისია თამარი, მას უღიმიან თვალები, ეალერსებიან... თითქო ისე მახლობელია, რომ ლევანს აღარაფერი დარჩენია თავისათ იგულისხმებდეს მას... მაგრამ იმავე დროს, თითქო შორეულია, მიუწდომელი და ხელშეუკარებელი.. არა, დღესვე შეეკითხება და გაიგებს მის გულის პასუხს...

მალე სამსახური გათავდება. ლევანი კიბეს ჩაირბენს და გასავალ კართან გაჩერდება. აქ ჩამოივლის თამარი.

მის წინ გაივლიან მოსამსახურენი: ქალები და ვაჟები. მიდიან. მიეშურებიან. გასავალ კარის წინ მდგარ ავტომობილს გვერდს აუვლიან, ქუჩას გადასჭრიან და ზოგი აქეთ, ზოგი იქით ტროტუარს გაჰყვებიან.

მოუთმენლობით ათრთოლებული ლევანი კიბეს გასცქერის და უცბად მის თვალში ორი სახე აიბეჭდება. მკლავში მკლავ გაყრილი თამარი და გიორგი, ნელი ნაბიჯით მოდიან კიბეზე და ორი წყვილი ფეხი მწყობრად უკან სტოვებენ კიბის განიერ საფეხურებს.

შეკრთება ლევანი. უცნაურად დაიხევს. ერთ ადგილს შეტორტმანდება. ფეხის გადადგმა სურს, მაგრამ დამძიმებია იგი თითქო და წასვლას ვეღარ ახერხებს. ან სად წავიდეს, უკვე მიუახლოვდენ მას... შეკრთება თამარიც... მხოლოდ გიორგი არ დაიბნევა და ლევანს შეეკითხება:

— რაღას უცდი, ლევან? რატომ არ წასულხარ სახლში?

— აქ ერთ ვინმეს ვუცდი! — ძლივს წაილუღლუღებს და მიმავალ თამარს თვალს გააყოლებს.

გიორგის გასვლისთანავე ავტომობილი კრუხივით აქოთქოთდება. მაშინ გიორგი მკლავში ხელს მოკიდებს თამარს და ავტოში ჩასვამს. გვერდით მოუჯდება. ავტომობილი დაიხრიალებს, უკან დაიწევს, მერე მოსხლტება ალაგიდან და გაექანება.

ლევანის თვალები ავტოს ბორბლებს და მტვერს შეაცქერდება.

დიდ ხანს ასე დგას გაშეშებული. მერე ნელი ნაბიჯით ქუჩას გაჰყვება თავჩაღუნული. მხრები დამძიმებული აქვს და ფეხებზე — წისქვილის ქვები.

რამდენიმე ქუჩას შეუმჩნევლად გაივლის, მერე ტროტუარის პირად სარდაფის კიბეს ჩაივლის.

საჭმელების ოხშივარი, საინების ჩხარა-ჩხური, გაძახილი, სიმღერა და ჟრიამული მის სმენას შეაკრთობს.

მოჭუტული თვალებით მოძებნის სუფრას. სადილს მოითხოვს.

იქვე მახლობელ სუფრასთან ვინმე ნაცნობის სახეს შეამჩნევს. პაპიროსის ბოლისაგან და ოხშივარისაგან ნახევრად დაბნელებულ სარდაფის სივრცეში ნაცნობის სახე გაიღიმებს. მერე საინს და ბოთლს მოჰკიდებს ხელს, წამოდგება და ლევანის სუფრასთან დაჯდება.

ლევანი ფიქრებიდან ამოცურდება, როგორც წყალში ჩაყვინთული იხვი. ნაცნობს მიესალმება.

— ლადოს გაუმარჯოს, ლადოს!..

— სხვა, კაცო! როგორა ხარ, რას შვრები, რას აკეთებ! რატომ არსად ჩანხარ! — შეეკითხება ახლად მოსული.

— რას უნდა ვაკეთებდე! ვმსახურობ!

— ხომ არ გაბალშევიკებულხარ, კაცო!

— განა სამსახური გაბალშევიკებას ნიშნავს?

— არა, მაგრამ... რა ჯანდაბა გინდა მაგათთან! მაგათი დღენი დათვლილია!.. მუშაობაა საჭირო, მუშაობა!..

— რა უნდა ვიმუშაოთ, რა უნდა გავაკეთოთ!..

ლადომ ახლოს მისწია სკამი ლევანისკენ. მიიხედ-მოიხედა და ერთნაირი იდუმალი ხმით, როგორც განდობის დროს, ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი.

მის საუბრიდან ლევანი მიხვდა, რომ დაარსებულია კომიტეტი, რომ კომიტეტში ცნობილი პირები შედიან. ამ კომიტეტს საზღვარ-გარეთთან აქვს დამოკიდებულება. მთელ საქართველოშიც ქსელია გაბმული და მუშაობაა გახურებული. ამიტომ საჭიროა, ისიც მიეწეროს რომელიმე რაიონს და ამნაირად კავშირი იქონიოს კომიტეტთან და მისი დავალებანიც შეასრულოს.

ამხანაგის ლაპარაკიდან ისიც გაარკვია ლევანმა, რომ ახლა პარტიაში უფრო მეტად ფიქრობენ საქართველოზე, ვიდრე ოდესმე და მოაგონდა გიორგის სიტყვები: „წინად არც შენ ხედავდი საქართველოს, მხოლოდ ახლა დაინახე იგი!..“ ტკივილი იგრძნო გაურკვევი და ბოლმით გაივლო გულში — მართალი იყო გიორგი, მართალი!..

ამხანაგს არაფერი უთხრა. დაჰპირდა კიდევ შეხვედრას, მოფიქრებას და პასუხის მიცემას. მისი მისამართი დაიტოვა და გარეთ გამოვიდა.

ქუჩაზე მიდიოდა აბნეული, მძიმე ფიქრებით. ფეხს მიადგამდა, როგორც მიწის ძვრის დროს, როცა არ იცი, ფეხს რომ დაადგამ, დასაყრდნობი დაგხვდება, თუ აქანებული მიწა გაიპობა და ჩავარდები ნაპრალში.

წყეული კითხვები არ ასვენებდენ.

„მერე, რა არის საქართველო?“ — ფიქრთა მორევში ამოცურდებოდა კითხვა, გახურებული შამფურივით.

„მტკვარი. შოთა. ურმული“... — გრძელდებოდა ფიქრი.

„თუ საქართველო არის დახეული ფარაჯა?..“

ფიქრი წვეტიანი ბურღივით სჩხვლეტდა მას...

გაურკვეველი აზრი გამოიცქირებოდა ღიათ, როგორც მიტოვებული სახლის ჩამტვრეული კარ-ფანჯარა.

და უცბად ყველაფერი გაქრა. ფიქრები გაიფანტა და თითქო ეხლა მოაგონდა ტანჯვების მიზეზი — გაუკვირდა, რომ რამდენიმე წუთით თამარი მიივიწყა.

მერე?.. რა მოხდა? ვთქვათ, თამარს უყვარდა იგი! ახლა?.. მსწრაფლ წარმოუდგა კიბეზე ხელი-ხელ გაყრილი ორი სახე და გაქროლებული ავტომობილი...

კვლავ აირია ფიქრები, ქარისგან აბნეული ნამქერივით.

მიდიოდა მძიმე ნაბიჯით მხრებ ჩამოშვებული, თითქო სიმძიმე ლოდებისა დასწოლოდეს მას...

IV

დღეები მიცოცავდენ, როგორც შემოდგომის ღრუბლები.

რუსთაველის ტროტუარი მუდამ სავსე იყო უსაქმოთ დარჩენილი ხალხით. აქ ხვდებოდენ ერთმანეთს ძველი მეგობარ-ნაცნობები და ჭორების და ახალი ამბების გავრცელებაში ერთმანეთს ეცილებოდენ.

ჯგუფთან გამოივლიდა რომელიმე ხანში შესული. შეჩერდებოდა.

— გაიგეთ ახალი ამბავი? — ყველა ყურს სცქვეტდა. ჯგუფი მჭიდროვდებოდა. ახალ მოსულს გარს შემოეხვეოდა. სულგანაბული ყურს უგდებდა.

— ხომ იცი, ჩემს სიძეს ძმა ჰყავს იტალიაში, — განაგრძობდა მოსული, — იმისგან წერილი მოვიდა, რომ გადაწყვეტილია საქართველო იტალიის პროტექტორატს გადასცენ...

— მართალია, მართალი! აი, ხომ გითხარით! ამ წუთში ვეუბნებოდი ამათ, რომ იტალიის საკონსულო გაწვეულია საჩქაროთ და ორ დღეში მიემგზავრებიან კიდეც!.. — ჩაურთავს ვინმე გახარებული ჯგუფიდან.

— აი, კაცო, თუ არ გჯერა, ჰკითხე დოდეს!..

— მე კიდევ ერთმა დიდმა ბოლშევიკმა მითხრა, ჩვენი საქმე ვერ არის კარგათო. მაგრამ ეს ისე მითხრა, საიდუმლოთ!..

ყველა ცდილობს, რამენაირათ დაასაბუთოს, რომ ბოლშევიკები მალე დასტოვებენ საქართველოს, რომ მალე დაბრუნდება ნამდვილი მთავრობა და საქმესაც მალე ეშველება.

გულს მოიფხანენ. დამშვიდდებიან და ნელნელა დაიშლებიან...

ლევანიც ხშირად ერია ასეთ ჯგუფში და როცა თამარს შეხვდებოდა, იმასაც უზიარებდა გაგონილ ამბებს. მაგრამ ახლა თამარს თითქო ნაკლებად სჯეროდა ამ თქმების.

ლევანი კი გახურებული გულით მიდიოდა მასთან, არწმუნებდა სინამდვილეში, და რამდენადაც მეტად ცდილობდა თავისი აზრი ან დებულება ჩაენერგა მისთვის, იმდენად თამარი კერპდებოდა და უმნიშვნელო საუბრათ ჩაუგდებდა ნალაპარაკევს.

ლევანი ნერვიულობდა. თამარს ედავებოდა, ჰყვიროდა, ბრაზობდა. რაღაც უფლების ძალით მოსთხოვდა გარკვეული პასუხი მიეცა მისთვისაც გაურკვევ კითხვაზე. ეჩხუბებოდა, რაღაცას უმტკიცებდა. თამარი კი სრულიად დამშვიდებული სხვა რამეზე ფიქრობდა და ლევანის ატაცებულ მსჯელობას, სხვა გზით მიმართავდა.

მალე ლევანი ისევ მოდუნდებოდა. მოლბებოდა, ახლა ბოდიშით, სიყვარულით სავსე თვალებით — თამარს უღიმოდა.

დამშვიდებული ლევანი ისევ სამსახურის მოვალეობას აგრძელებდა. ხოლო ეს სამსახურიც არ იყო მტკიცე და ურყევი! ხმა იყო გავრცელებული, რომ მალე მოსამსახურეთა წმენდა დაიწყებოდა. ვის დაითხოვდენ და ვინ დარჩებოდა, არავინ იცოდა.

მოსამსახურენი ნერვიულობდენ. არ იცოდენ, რა გზისთვის მიემართათ, რომ უმუშევრად არ დარჩენილიყვნენ. ერთმანეთს ეკითხებოდენ, თუ რა კითხვაზე იქნებოდა საჭირო პასუხის გაცემა, როცა გაწმენდის კომისია მოვიდოდა.

ეს მოხდა სრულიათ მოულოდნელათ. კომისიის დაკითხვის შემდეგ ლევანს სამსახურიდან დათხოვნა გამოუცხადეს.

— რათა? რისთვის? — შეეკითხა.

— იმიტომ, რომ თქვენ კონტრრევოლიუციონერი ხართ!.. — იყო პასუხი.

— მე?!?

— დიაღ, რევოლიუცია მოხდა და თქვენ წინააღმდეგი ხართ!..

— მე — წინააღმდეგი რევოლიუციის?

— დიაღ, თქვენ ჩვენთან არა ხართ!

— მერე, მე რომ...

— ეგ ჩვენ არ ვიცით! დადგენილება გვაქვს და იმას ვასრულებთ!..

ეს სიტყვა მის სხეულს შუბის წვეტებათ ესობოდა. ხორცს ჰკაწრავდა. გულს ცულის ყუასავით ხვდებოდა.

შეუცნობი რამ ხდებოდა მის თავს. ვერ მიმხვდარიყო, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის გარშემო, ანთებული ახალგაზდები რევოლიუციის სახელით მას სამსახურიდან ითხოვდენ და ისროდენ გარეთ, როგორც უვარგის ნივთს..

მოუსვენარი ფიქრები თავს ევლებოდენ.

მერე, მე რომ... მე... რევოლიუციის წინააღმდეგი?..

როგორც მორევში ჩავარდნილი მცურავი, ტრიალებს ერთ ალაგს, ტალღების სრბოლით უკუქცეული და კვლავ ეშურება, რომ გასცუროს ნაპირისკენ — ისე მისი ფიქრები უვლიდენ ერთ ალაგს და გასავალს ვერ ჰპოებდენ...

მოულოდნელი მდგომარეობა მის ნებისყოფას ადუნებდა.

უცბად ფიქრი შეწყდა და თამარის სახე აიმართა გონებაში... თამარი?.. ისიც დაითხოვეს?

მოწყდა ალაგს. თამარის ოთახისკენ გასწია. კი არ შევიდა, შევარდა... და სახტად დარჩენილი იქვე კარებთან გაშეშდა.

მის თვალებში, როგორც ბურანში ისახებოდა თამარის აბნეული თმა, გაწითლებული სახე და მის გვერდით კი სულ ახლო მასთან, დაბნეული გიორგი ამღვრეული თვალებით...

ოთახის კედლები გადმოიზნიქა და შექანდა. ლევანიც ისე ათრთოლდა, როგორც მიწის ძვრის დროს, როცა არ იცი, რომელი კედელი ჩამოწვება და მოექცევი ნამსხვრევში.

თვალთ დაუბნელდა. გაბრუებული ერთ ხანად ადგილზე ტორტმანებდა...

უცბად გონს მოვიდა. შუბლზე ხელი გადისვა. გასწორდა. გადმოკაკლული თვალებით თამარს შეხედა. თითქო უნდა დაეყვირა, ებღავლა, ელმუვლა... მაგრამ ყელში ბურთი მოადგა, თითქო დახრჩობას უპირებსო, სუნთქვა შეუკრა... იძალავა — დაჭრილი მხეცის ხმით დაიღრიალა და მოსხლეტილი გარეთ გავარდა.

კი არ მიდიოდა — მირბოდა, სად — თითონაც არ იცოდა. თავჩაღუნული, დამძიმებული აფორიაქებული ფიქრებით — უკან სტოვებდა გამვლელებს, დუქნებს, ქუჩებს.

მიეშურებოდა და თითქო თან მისდევდა — კედლები, ფაიტონები, ავტომობილები, ტელეფონის ბოძები და ტრამვაები...

სული ეხუთებოდა. პირში ნერწყვი უშრებოდა. ფეხები უმძიმდებოდა...

უცბად ყური მოჰკრა ნაცნობ სიმღერას:

„მხოლოდ ჩვენ მშრომელთ მთელი ქვეყნიიის,
გვეკუთვნის ვფლობდეთ სამყა

შორს სადღაც მიტოვებულ ალაგს ამღერდა სიმი, იწყო ღაღადი. მოვარდნილ ხმებს აჰყვა, როგორც აჰყვება ხოლმე მთის ხმაურს გამოძახილი.

„... ინტერნაციონააალში
ჰპოვებს შვებას ყველა�ა...“

ელექტრონის ძალით ტოკავდა სხეული.

სიმღერასთან ერთად მწკრივი ნაბიჯის ხმა ყრუდ გაისმა ქუჩის ქვაფენილზე. მის წინ აიმართა ლურჯ ხალათიანთა რიგები.

წინ გაუშვა ამართული წითელი დროშა. მესერივით ჩამწკრივებული რიგები. სივრცეში მიმართული თვალები.

კანკალი კი არა — ერთნაირი ათრთოლება იგრძნო.

გული გაეკაწრა.

სიმღერა თანდათანობით შორს მიწყდა. კედელს მოეფარა.

ის კი აქანდაკებული იდგა, თვალში ცრემლმორეული, როგორც მოადგება ხოლმე სასიკვდილოდ დაჭრილ ნადირს, როცა მონადირე ყელში დანას გაუყრის (მაშინ თვალები სევდით და უსაზღვრო მწუხარებით სავსეა).

კედლის იქით ისმოდა გუგუნი რევოლიუციონური სიმღერისა, კედლის აქეთ დარჩა ლევანი დაბნეული, მოდუნებული, წყეული კითხვებით სავსე...

დავით სულიაშვილი

უღელტეხილზე

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ი. ჭავჭავაძე

მე ჯერ პატარა ვიყავი მაშინ...
ეხლა სიზმარში მომეჩვენება.
მიყვარდა მარწყვის დაკრეფა მთაში
და მინდვრიანზე ჯოხის ჭენება.

ვიკარგებოდით ტყეში უგეშოდ
მე და თოლია, მე და ხბორები.
ზოგჯერ კი დედის გამთბარ უბეში
მქონდა ლოყები ნაამბორები.

როს შუაღამე მხრებზე მეხურა,
და ქოხს გრიგალი კვნესით ზარავდა,
დედას ვეკვროდი, როგორც ბელურა,
მეგონა, ვინმე მომიპარავდა.

მაგრამ დღეები ლხენა ნარევი
გაჰქრა, — ცხუნარე მზე რომ უვლიდა,
და სიხალისე დილის ზარივით
აღარა რეკავს ეხლა გულიდან.

აღარც ბიჭები ფეხშიშველები,
აღარც ხბორები, აღარც თოლია,
მოვიდა კაცი რკინის ხელებით
და სულ სხვა გზაზე გამიყოლია.

მხრებზე დამეცა წლების სიმძიმე
და ძვალ-მაგარი ვიგრძენ ვაჟობა.
ბავშობის დღეებს შუქ-მოციმციმეს,
დაღარულ სახის ჟამმა აჯობა.

უიმედობის ჯვარზე გაკრული,
გაუვალ გზებზე ბევრჯელ დავეცი...
ბევრჯელ მქონია გული ნაკლული
და ბევრჯელ განცდა უუკვდავესი.

მაგრამ რა არის ისე ცხოვრება,
არ ჰქონდეს ჟინი მოუსვენარი...
გადვიქცეოდით მაშინ მძორებათ
და შეგვიჭამდა სხეულს კბენარი.

ეშხი იქ არის, სადაც ქარია,
ქარი, რომ მკერდი მკერდზე გვიგალოს.
სიცოცხლეც, გულიც, ლექსიც მკვდარია,
უქარიშხალო და უგრიგალო.

ველოდებოდი, შევხვდი არიფებს,
ძმებო, კარგია დოღში ზმანება!
ჩვენ — პოეზიის ცეცხლით ღარიბებს,
შაირებს ვესვრით ხელთათმანებად.

წარსულს საჩვენო პირი უგავდა, —
ეს საუკუნეც ჩვენი ღვიძლია...
და საქართველოს მზე არ მბუგავდეს,
მე ისე მღერა არ შემიძლიან.

ნანატრი დიდხანს ვერ შევისრულე,
თავქვე დავქანდი, ბედი მწირავდა...
ბევრი წაგება, ბევრი კისრული,
და მიწის ღერძი გადაყირავდა.

ელვის ღრუბლები აენთო ქარზე,
ცეცხლმა დაიწყო ცაში გაჩენა
და საუკუნის შენგრეულ კარზე
წითელი რაში შემოაჭენა.

გადასულ წარღვნებს ძლივს გადაურჩი,
ეხლაც გუგუნებს მთებში გრიგალი...
იმდენ გრგვინვაში, იმდენ ხმაურში,
მიკვირს, რომ თავი არ მოვიკალი.

გულო, დარდები კიდევ გდევნიან,
თითქოს შენ მიზნებს ვინმე ურევდეს...
მე ჩემი ქვეყნის მზე მირჩევნია,
მწვავდეს, მანთებდეს, მანადგურებდეს.

საით წავიდე — ავცდე უკუნეთს,
გულო, გატეხილ ბედის ნაჭერო,
რომ ეს გრიგალიც, ეს საუკუნეც,
ჩემს თავზე წყევლით არ შევაჩერო.

რა ოხრად მინდა, ლექსის მადნებად
ვზიდო გრძნობები, როგორც მირონი,
თუ კი კვლავ მხრებზე არ დამადნება
მთაწმინდის ღამე და საფირონი.

რა ვქნა, არ დამრჩე უკმაყოფილო,
ჩემო ქვეყანავ, ვიყავ გულღია...
ვითომ ეს გული ქვისა ყოფილა
და ეს ლექსებიც ქარს წაუღია.

აღარც ბიჭები ფეხშიშველები,
აღარც ხბორები, აღარც თოლია,
მოვიდა კაცი რკინის ხელებით
და თავის გზაზე გამიყოლია...

ილო მოსაშვილი

მაისი, 1927, ტფილისი

ბოლშევიკი

— ნახშ-უგლეეე! აბა, კაი ნახშირი იყიდეთ, ნახშირი!

ამ ხმაზე ანიკოც დაფაცურდა. მაშინათვე გაიქცა სვიმონთან და...

— გენაცვალე, სვიმონ. ბარემ შენვე იყიდე ნახშირიც და... ისე წადი სამსახურში. აგერა ჰყვირის ჩვენ წინ. გადი, ჩემო კარგო! მე არა მაქვს იმათთან ვაჭრობის თავი!

— ნახშ-უგლე, უგლეეე! — გაისმის ისევ ქუჩაში.

სვიმონი გადის აივანზე.

— ეე, ძმობილო, ნახშირო!

— ნახშ-უგლეეე, უგლეეე! — ისევ გაჰკივის შეუჩერებლივ მენახშირე.

სვიმონს თითქოს გულიც მოუვიდა:

— ეე, ძმობილო, კარგი, გაჩუმდი! ახლა სხვისაც გაიგე და! არ გეყურება, რომ გეძახი?!

— რა გინდა, ამხანაგო, ეგრე რო მიყვირი კიდევაც?

— რა მინდა ახლა, რჩევა უნდა გკითხოთ — თუ როგორი ნოტა გაუგზავნოთ ინგლისსა.

— რაღას დამცინი, შე კაი კაცო!

მენახშირემ მწვავეთ შემოკრა სახედარს სახრე და ისევ გაუდგა გზას — ვითომ და ნაწყენიაო.

სვიმონი უფრო ბრაზობს.

— კაცო, არ გესმის შე ოჯახ-ქორიანო! სადღა მიდიხარ ეგრე დაბარებულივითა?

მენახშირე ძალაუნებურად შეჩერდა.

— რა გინდა, ამხანაგო? რას ჩამომეკიდე?

— კაცო, არ გინდა გაჰყიდო ე ნახშირია თუ რაღაცა?

— მერე, რო უნდა გავყიდო?

— ჰო და მოიტა აქა, მე რაღა ჯანდაბისათვის გეძახი!

მენახშირე კისერს იქექავს.

— ვერა, ამხანაგო, შენ ამას ვერ იყიდი.

— რატომ ვერ ვიყიდი? რას ლაპარაკობ?

— რატომა და — ძვირია.

— ბაჯაღლო ოქრო ხომ არ არის. ნახშირია რაღა. როგორ თუ ვერ ვიყიდი!

— აბა, მა რას იძლევი?

— მოიტა, შე ოჯახქორიანო, ახლო და ისე დამელაპარაკე ადამიანურად.

— ეი, რას ჩამომეკიდე, ამხანაგო! ჩემ მეტი აღარავინა ყიდის ნახშირსა?

სვიმონი უფრო ენთება.

— შენ, ჩემო ძმაო, ან ჭკუაზე ვერა ხარ, ან რაღაცა არის შენს თავსა.

— შენ ეხლა გიჟათაც გამომიყვან, მე როგორც ვატყობ.

მენახშირე ზანტად აბრუნებს სახედარს.

— აჰა, აბა, რას იძლევი? ვიცი, არ მომცემ ფასსა და...

— სთქვი ერთი, რა ღირს! შენ ისე გამიჯანჯლე საქმე, თითქოს თამამშევის ქარვასლას გევაჭრებოდე და არა ვირის საპალნე ნახშირსა.

— რვა მანეთი ღირს, ახლა!

სვიმონი გაკვირვებულია.

— ქუდი დასდე და სამართალი ისე ჰქენიო. აბა, რვა მანეთად ჯერამ სად გაყიდულა ორი ტომარა ნახშირი, რომ შენ გაჰყიდო ეხლა?

— აკი ვსთქვი, შენა მუშტარი არა ხარ მეთქი.

— შე უხათრულო, მუშტარი როგორ არა ვარ! ექვს მანეთს მოგცემ და ეს ხომ ზედმეტიც არის, არამცთუ ღირებული.

მენახშირემ სახედარი შეატრიალა.

— არა, ამხანაგო, შენ ამის მყიდველი არა ხარ. ტყვილა მაწვალებ რაღა საწყალ გლეხკაცსა.

ამ სიტყვებზე სვიმონი აენთო. თავმოყვარეობაც შელახულად იგრძნო და მკვახეთ მიაძახა:

— რახან ეგრე იძახი, მოტრიალდი მაშა! ვყიდულობ!

— რვა მანეთს იძლევი?

— ჰო, რვას ვიძლევი, რვასა! მოტრიალდი, რაღას უყურებ!

მენახშირე ჭოჭმანობს:

— ჰე, იაფად მოგეცი! შენ მომატყუე, ამხანაგო!

სვიმონმა უკვე მოთმინება დაჰკარგა.

— ჩქარა მოტრიალდი, შემოიტანე ეზოში, თორემ ამ წუთს კომისარიატში გატკუცინებ თავსა. შენ გლეხი კი არა, ვიღაცა ციგანი ჩარჩი ყოფილხარ. აბა, კრინტი აღარ დამაძვრევინო, ჩქარა!

მენახშირვემ ნახა, რომ მეტი ჩარა აღარ ჰქონდა და ზანტად შეაგდო სახედარი ეზოში.

აივნის მოაჯირთან გადმოდგა ანიკო და ჩასძახის!

— ზევით ამოიტა კაცო, ზევით, თუ შეიძლება!

მენახშირე იშმუშნება.

— თქვენა ახლა მოსამსახურეთაც მომინდომებთ, როგორც ვატყობ!

აქ ისევ სვიმონის მკვახე ხმა ისმის:

— ამოიტანე ჩქარა! ნუღარ ლაპარაკობ ბევრსა! ნეტავ, რა სოფელში გაიზარდე ეგეთი უჯიშო ვინმე!

მენახშირე რაღაცას ბურტყუნებს და უგულოთ, ზლაზვნით მოაქვს ნახშირი მაღლა.

დასცალა ერთი ტომარა. დასცალა მეორე.

ანიკო სახლში შედის ფულისათვის.

სვიმონი იქავე სდგას.

მენახშირე ქვევით მიდის.

— დაიცა, ფული წაიღე და მერე წადი!

— ძირს ჩამომიგდეთ! ავკრეფავ, არა უშავს რა!

— აზირ აქა ხარ და შენ თვითონვე წაიღო! ე რა ახირებული და უცნაური კაცი ყოფილა, ხალხო! სადაური, ხარ ძმობილო?

მენახშირე ცალგვერდელათ აძლევს პასუხს:

— მე?

— ჰო, შენა!

— მე აიქაური ვარ, აი, ქსნის იქიდანა!

— მოტრიალდი და ისე მიპასუხე ადამიანურადა!

— ...ქსნის იქიდანა ვარ კაცო, რას ჩამაცივდი!

სვიმონი თავის გუნებაში რაღაცას არკვევს და ვერ გაურკვევია.

— რა გვარი ხარ?

— ...მეე? გოგინაშვილი!

სვიმონი თვალებში აკვირდება.

— ...არა სტყუი?

მენახშირე თითქოს შეკრთაო. სვიმონმა სწრაფად აართვა ალღო ამ ფერიცვალობას.

— ...სტყუი! შენ გოგინაშვილი არა ხარ!

— ...მა შენ ჩემზე კარგადა გცოდნია — ვინცა ვარ...

— ...შენ... ჩაჩანო ხარ... ხომ-ლე-ლი.

მენახშირემ ბრძოლა წაგებულივით ამოიხვნეშა და გაუწოდა ხელი:

— რაკი მიცანი — მაშ, სალამი სვიმონს!

— სალამი ჩაჩანოს!

ორივე ადამიანი თითქოს შეირყენ თავიანთ არსებაში. რაღაც უცნაური ზვავათ ჩამოწვენ ერთმანეთის წინაშე და გვერდიც ვეღარ აუხვევიათ ამ ზვავისათვის.

— მე არ ველოდი, ჩაჩანო, შენს ასეთ შეხვედრას!

— არც მე ველოდი. რა ღმერთი გამიწყრა და გამოვიარე ამ თქვენ ქუჩაზე!

— აბა, უყურე! რამდენიმე ასი კაცი დღე და ღამ მოუსვენრად დაეძებს ჩაჩანო ხომლელს და ის კი ასე თავისუფლად ნახშირსა ჰყიდის ქალაქის ქუჩებში!

— პირველივე დაძახებაზე შეგამჩნიე, ჩემო სვიმონ, მაგრამ რომ ვეღარ დაგახწიე თავი. ეხლა კი შენ ხელში ვარ. თუ გინდა, ამ წუთშივე შეატყობინე ჩეკას და გამწირე სამუდამოთ. თუ არადა, აბა, გამიშვი, წავიდე ჩემს გზაზე.

მოულოდნელობაში დაკარგული სვიმონი კიდევ უფრო მეტად იკარგება. სიტყვას ამბობს მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმე არ შეიძლება. რაღაცა უნდა უთხრას პასუხად.

— წამო, ჩაჩანო. წამო ჩემთან ოთახში! აქ უხერხულია ასე დგომა და ლაპარაკი!

— არა, ოთახში რაღა მინდა! შენ მხოლოდ ეს მითხარი, სვიმონ: ჩვენ მოსისხლე მტრები ვართ ეხლა თუ — ისევ ის თავდადებული მეგობრები, როგორიც ვიყავით ჩვენ ოდესღაც, უწინ?

— ...ერთიცა ვართ და მეორეც...

— ეგ შეუძლებელია!

— წამო ჩემ კაბინეტში! აქ ნუ ვდგევართ!

ჩაჩანო მისდევს უგულოდ.

აგერ ანიკოც გამოვიდა ფულით ხელში.

— რა ვქნა! ამნაირ უკმეხი სიტყვა-პასუხის პატრონს — ეხლა კაბინეტშიაც იპატიჟებ!

— ჩვენი მხრელია გენაცვა და მინდა გამოვკითხო რამე სოფლის ავკარგზე.

— აჰა, მაშ ფულიცა და როგორც გინდათ, ისე მორიგდით. მე თქვენთვის აღარა მცალია.

ანიკო თავისთვის წავიდა. სვიმონი და ჩაჩანო კი შევიდენ ცალკე — კაბინეტში.

— დაჯექი, ჩაჩანო, დაჯექი, დაისვენე!

ჩაჩანო ორწყალშუა გრძნობს თავს:

— სვიმონ! თუ გულში ბოროტი არა გიძევს-რა, გამიშვი, წავიდე მშვიდობით!

— დაიცა, კაცო! ერთი-ორი სიტყვა აღარ ვუთხრათ ერთმანეთს?

ჩაჩანო უგულოდ ჯდება. სვიმონი — არსება შეშფოთებული დადის კუთხიდან კუთხეში. სცდილობს — გარეგნულად მაინც არ გამოჰხატოს ეს სულიერი აფორიაქება, მაგრამ...

— ჩაჩანო, საქართველოში რომ ბრუნდებოდი, რას ელოდი?

— როგორც გამარჯვებას, ისე დამარცხებას...

— შენ მოხვედი, რომ უხელმძღვანელო საიდუმლო მუშაობას და ხელსაყრელ დროს აჯანყებაც მოაწყო ჩვენი ხელისუფლების დასამხობად...

— ცხადია!

— ეს ყველაფერი დაწვრილებით ვიცით.

— მჯერა.

— შენ ხელში ჩასაგდებათ არ არის დაზოგვილი არც ერთი საშუალება.

— რასაკვირველია, ეგრე იქნება!

— ჩვენ ვიცით ყოველივე შენი განზრახვა, ყოველივე შენი ნაბიჯი. დამალული თითქმის არაფერია ჩვენთვის.

— მე ვიყავ მხოლოდ დამალული და აგერ ეხლა ხელში გეყოლებით — თუ მოისურვებთ. შენ როგორც თვალსაჩინო კომუნისტი, ალბად, თავს მოვალედ ჩასთვლი, ხელიდან აღარ გამიშვა და ყურადღებას არ მიაქცევ იმას, რაც წინედ ვიყავით ერთმანეთისათვის...

ჩაჩანო გულთამხილავის თვალით მისჩერებია სვიმონს. უნდა გამოიცნოს: ძველი მეგობარი უფრო ძლიერია მასში თუ კომუნისტი.

სვიმონი კი... ოო, დაბადების დღიდან არას დროს არ ყოფილა მსგავს განსაცდელში.

ორ ჩაუნელებელ ცეცხლზე იწვის იმისი სული. ორ უძირო უფსკრულზე გადაკიდულან მისი ფიქრები. შემთხვევით მის წინ ამოწვდილი ბასრი მახვილი ორ მოუნელებელ ტკივილად ჰკვეთავს იმის არსებას.

რა არის სისწრაფე ელვისა, ზარი მეხისა, საშინელება ჯოჯოხეთისა მასთან შედარებით, რაც ხდება ეხლა სვიმონის გულში!

გასცეს ჩაჩანო?

მერე? ის ხომ სიყრმის მეგობარია. ერთად მოინათლენ რევოლიუციის განთიადზე ბრძოლის ემბაზში. როცა ძველმა ქვეყანამ დაიწყო ტორტმანი, ისინი ხელიხელ ჩაკიდული ერთად მიდიოდენ საიერიშოთ. რამდენი საიდუმლო სტამბა მოუწყვიათ სხვადასხვა ჯურღმულებში. რამდენი თავგანწირული საქმე ჩაუდენიათ იმ პირველ აღგზნების ხანაში. განა რკინის გზის სახელოსნოებშიაც ერთად არ გაისვარეს ხელი ჯაშუშისა და გამცემის სისხლში! იმ ბრძოლის ნატვრით, იმ გამარჯვების რწმენით აშლილ ხანაში იგინი სიცოცხლეს ნატრობდენ თითქოს ერთმანეთის სანაცვლად, ერთმანეთის სამსხვერპლოდ. და ეგრეც უნდა ყოფილიყო. განა იმათ ბადალი მეგობრები კიდევ დადიოდენ სხვები დედამიწაზე!

მაშ არ გასცეს ჩაჩანო?

მაგრამ... საბჭოთა სახელმწიფო დღეს სათავეში უდგია დაჩაგრულთა და უფლება შელახულთა საკაცობრიო ბრძოლას. აქედან ამოდის მზე უდიდესი ეპოქალურ განთიადისა. ამას კარგათა გრძნობენ მპყრობელნი და მბრძანებელნი ამა ქვეყნისა. ამიტომ შემოურტყავთ გაურკვეველი ალყა ჩვენს გარშემო. აქავე უნდა ჩააქრონ ხანძარი მსოფლიო რევოლიუციისა. გვებრძვიან და ვებრძვით. არ გვზოგავენ და არ ვზოგავთ. მოსპობას გვემუქრებიან და მოსპობით ვემუქრებით. ამ მსოფლიოს შემარყეველ სამკვდრო-სასიცოცხლო შეკვეთებაში ჩაჩანო მოქცეულია საბჭოთა მოწინააღმდეგე ლაშქარში და იბრძვის თავგანწირულად ჩვენს მოსასპობად.

მაშ გასცეს ჩაჩანო?

მერე? როგორ ჩაანელოს თავის გულის სიღრმიდანვე აღმომსქდარი საყვედური მეგობრობისა? როგორ დაივიწყოს გმირული თავდადებანი ჩაჩანოსი, რის წყალობითაც დღეს იგი ცოცხალი დაიარება? მრავალი საიდუმლო საბუთებით ქუჩაში რომ დაატყვევეს იგი, ვინ იხსნა? ამ საბედისწერო ჟამს განა ჩაჩანო არ იყო, თვითვე განსაცდელში მყოფი ჩაჩანო — რომ გადმოეშვა მეხივით, ორივე პოლიციელი სასიკვდილოთ დასჭრა და იხსნა იგი უმძიმესი ხიფათისაგან? ან საზღვარ გარედ ვინ გააპარა? ვინ შეუგროვა გროშობით ფული? და თვით უცხოეთში სასოწარმკვეთ სიმშილობის დროს განა ისევ ჩაჩანო არ ევლინებოდა გაჭირვების ტალკვესად? თვითონ სვიმონს როგორ დაავიწყდება, სანამ პირში სული უდგია: თავისი ერთად-ერთი მეგობრის წყალობით რამდენჯერ დაუღწევია თავი გაჭირვებისათვის? რამდენჯერ აქვს ნაპოვნი სიცოცხლე იმის მეოხებით?

მაშ არ გასცეს ჩაჩანო?

მაგრამ ყველაფერი ეს კარგი იყო თავის დროზე. მაშინ სვიმონი და ჩაჩანო ერთნი იყვნენ, განუყოფელნი. ეხლა ხომ განხორციელდა ის, რისთვისაც იბრძოდენ ორივე მეგობარი. მოისპო ხალხის მონობა და ჩაგვრა. დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. თავგანწირული და გიგანტური ბრძოლებით უკვე გაარღვიეს გზა ახალი ქვეყნიერების შესაქმნელად. მაგრამ აქ ჩაჩანო ჩამოშორდა ჭეშმარიტ სოციალისტობას და რევოლიუციონერობას. მან უღალატა იმ დიად საქმეს, რისთვისაც წინათ იბრძოდა ისე უანგაროთ. ჩვენ მოსისხლე მტრებთან ერთად ის სცდილობს დღეს — აღგაოს პირიდან დედამიწისა ერთად-ერთი სახელმწიფო პროლეტარულ დიქტატურისა. და რომ შესრულდეს ეს ზრახ-

ვა მისი, მაშინ რამდენი ხნით უნდა დასამარდეს მსოფლიო რევოლიუციის შესაძლებლობა, საიდანაც უნდა წარმოიშვას ახალი ადამიანი, ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება!

მაშ, გასცეს ჩაჩანო?

მერე? განა შეიფერებს ამას სინიდისი, ადამიანობა? რატომ თვით იგი არ გასცა ჩაჩანომ თავის დროზე? როცა ჩაჩანო მინისტრის მოადგილე იყო მეშნევიკობისას, განა მასთან არ იმალებოდა სვიმონი? ის სვიმონი, რომელიც ბოლშევიკური პირდაპირობით და დაუზოგაობით ებრძოდა მენშევიკურ ხელისუფლებას? იმ სასტიკ დევნისა და განკითხვის ხანაში რათ შეიფარა ჩაჩანომ იგი? რატომ არ გასცა? განა ის ნაკლები მოსისხლე მტერი იყო მენშევიკების, ვიდრე დღეს ჩაჩანოა ბოლშევიკების?

მაშ არ გასცეს ჩაჩანო?

მაგრამ სადღაა სასტიკ ბრძოლებში გამოკვერილი ის ბოლშევიკი, ის კომუნისტი, რომელიც რევოლიუციის საზიანოთ შეეპოვება რაღაც სინიდისის ქეჯნას, მეგობრობას, ადამიანობას?

სვიმონში ასე გრძელდება გააფთრებული, სასტიკი და გამანადგურებელი ბრძოლა..

რევოლიუცია თუ მეგობრობა?

სინიდისის ქეჯნა, თუ რევოლიუციონური მოვალეობა? ეს რა დევ-გმირები შეეჯახნენ ერთმანეთს სვიმონის არსებაში!

მთა ხომ დარწმუნებულია თავის სიმძიმეში?

მზე კიდევ თავის ბრწყინვალებაში?

ეგრეევეა სვიმონი დარწმუნებული, რომ ვერას გზით ვერ უღალატებს რევოლიუციას, მაგრამ მეგობრობას? მეგობრობას კი უღალატებს?

დრო წუთებით იზომება. უნდა გადაწყდეს რაღაც.

რა ბედნიერ მდგომარეობაშია ჩაჩანო!

რა საშინელია განსაცდელი სვიმონისა!

მას იხსნის ან მოულოდნელი მეხი ან მიწისძვრა...

— ოხ, ჩაჩანო, რატომ არ გამეცი, როცა მე შენ ხელში ვიყავი თქვენი ხელისუფლებისაგან სასიკვდილოდ დევნილი. რატომ არ გამეცი?

ჩაჩანო კლდესავით უძრავათ ზის. და ამ კლდისაგან სცვივიან ცივი და მძიმე სიტყვები:

— ეხლაც რომ ჩამვარდნოდი ხელში, მაინც ვერ გაგცემდი.

სულგამწარებულ სვიმონს თითქოს ახალი ლახვარი დაესო გულში. და ეს ლახვარი უფრო ბასრია, უფრო მწვავია — ვიდრე სხვა მისი წინამორბედი.

— რა კარგი იქნებოდა, ჩაჩანო, რომ გაგეცი მაშინ.

— ...რომ შენ ეხლა სამაგიერო გადაგეხადა არა?

— თქვენ, მენშევიკებს, ზოგჯერ გასაოცრათ გეხერხებათ თქვენივე მოსისხლე მტრების ხელის მომართვა. მაგ მხრივ ბოლშევიკები უფრო დაუზოგავი ვართ და პირდაპირი...

— ...და ეხლა შენც გინდა იყო დაუზოგავი? მერე ვინ გიშლის?

და ჩაჩანო მისჩერებია რაღაც გესლიანი, დამცინავი ღიმილით.

სვიმონმა რაკი იგრძნო ბოლშევიკური სიმტკიცის შერყევა, თითქოს ეკარგება ნიადაგიც, აზრიც. მას ეზიზღება თავის თავი ამ ორჭოფ მდგომარეობაში და შეშფოთებული დადის ოთახში.

— კაცო, სვიმონ, რა ნახე მაგ მენახშირესთან ეგეთი გაუთავებელი საქმე? გამოდი, კარგი!

ეს ანიკოს ხმა იყო.

სვიმონი ერთი წუთით მაინც იგრძნობს რაღაცა შვებას და გავიდა ანიკოსთან.

ჩაჩანო? რაღას ფიქრობს ეხლა ჩაჩანო? ის ვეღარ ენდობა სვიმონსა. მეგობრული გრძნობა მას უკვე დამარცხებულად ეჩვენება ბოლშევიკური შეგნებისა და მოვალეობისაგან. თუ ჩაჩა-

ნოც ჩავარდა ეხლა — მაშინ კარგა ხნით სულ დაიღუპა მუშაობის ხელმძღვანელობა და აჯანყების შესაძლებლობაც. თუ სვიმონი მართლა არ დაინდობს, მაშინ ხსნას აღარსაიდან აღარ მოელის. რომ გაექცეს, ვერ გაასწრებს. თანაც ასეთი ქცევით სვიმონში აღშფოთებას გამოიწვევს და გაანთავისუფლებს იმ სინიდისის ქეჯნისაგან, რომელიც ეხლა ხელებს უბორკავს გასაცემად. ერთად ერთი ხსნა ისევ სვიმონის სინიდისზე შეგდება არის. მაგრამ ჩაჩანოს თითქმის დაეკარგა რწმენა ამ ხსნაშიაც. რა ქნას? როგორ შეაჩვენოს თავისი ბედი, რომ ესე ულაზათოდ უნდა ჩავარდეს? ეს ხომ მეხის დაცემა იქნება მთელი მენშევიკური მუშაობისათვის საქართველოში! ნუ თუ სვიმონში გაიმარჯვებს მეგობრული გრძნობა? თითქოს აღარა სჯერა. მაგრამ მცირე იმედი კიდევ ბჟუტავს გადარჩენისა — სანამ მეხი საბოლოოთ არ დასცემია!

აგერ სვიმონიც შემოვიდა. ცოტა ხანს დადის რაღაცას ეძებს. იპოვის კი?

— ...მაშ, ეგრე ჰა, ჩაჩანო! მენახშირეობასაც ისევე ადვილად იფერებ, როგორც მინისტრობას! მაგმხრივ ისევ ძველი ხარ, ძველი.

— სვიმონ შენცა სცდები და მეცა. მოდი წავალ, თორემ ჩემს ვირსაც მოეწყინება უჩემოთ. ეგებ კიდევაც გაიპარა საითმე...

სვიმონმა კიდევ გაიარ-გამოიარა და რაღაც გადაწყვეტილებით გაჩერდა ჩაჩანოს წინ.

— ჩაჩანო! ერთ რამეს გეტყვი: მეგობრულს — შენთვის და სასიკეთოს — ჩვენი ქვეყნისათვის...

ჩაჩანო გასწორდა. თითქოს ამგვარად უთხრა:

— სთქვი, გისმენო.

სვიმონი თვალებში უცქერის, თითქოს წინასწარად უნდა აღმოიკითხოს პასუხიო...

— ...ჩაჩანო, უნაყოფოა ყოველივე თქვენი ცდა! თქვენი მუშაობა დამღუპველია საქართველოსათვის, რომლის ვითომდა განთავისუფლებაც თქვენა გსურთ. თქვენი შეუჩერებელი წინააღმდეგობით მხოლოდ აფერხებთ რევოლიუციის წინსვლას, მაგრამ შეჩერებით კი ვერ შეაჩერებთ! ადრე თუ გვიან თქვენ ყველანი გაიჭყლიტებით ამ ბრძოლაში. ნუ თუ არ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ვერავითარი ჩუმი პარტიული მუშაობანი ვერ დაამარცხებს? საბჭოთა ხელისუფლება ისე ძლიერ და მტკიცე მოვლენათ გადაიქცა, რომ მისი გამარჯვებაც და დამარცხებაც შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით და არა რაღაცა მენშევიკური ჩხირკედელაობით...

— მოკლედ მითხარი, რის თქმაც გინდა!

— მაშ, მოკლედ გეტყვი! მოდი, გაანებე ამ უნაყოფო მუშაობას თავი! ამ გვარად შენც თავიდან აგცილდება მრავალი უსიამოვნება, ჩვენც... და ქვეყანაც მოგებული დარჩება...

ჩაჩანოს ისევ გესლიანად ეღიმება:

— როდესაც შენ — ჩვენი ხელისუფლებისაგან დევნილი — შეგიფარევი ჩემთან, როგორც უბადლო მეგობარი ოდესღაც, უწინ — განა მე ეგეთი მსხვერპლი მოგთხოვე თავშესაფარში? განა მე მოგეცი წინადადება — გაანებე შენ რწმენას თავი და ამგვარად იპატიე სიცოცხლე მეთქი? განა არ იცი, რომ მე ან მოვკვდები ამ გზაზე ან უნდა გავიმარჯვო?

— ისევ გაუტეხავი ხარ ძველებურად!

— აგრე ვშობილვარ, აგრე მოვკვდები.

— ...მაშ, რა ვუყოთ, ჩაჩანო?

— რა უნდა ვუყოთ? მე წავალ ჩემთვის — მორჩა და გათავდა.

— მერე?

— მერე რა? თუ გინდა, დამაჭერინე!

— რა ადვილად ლაპარაკობ, კაცო!

— მაშ, წავალ...

აქ ჩაჩანოს თითქოს რაღაცა მოაგონდაო. მიიხედ-მოიხედა ოთახში.

— შენ ამის მეტი ტელეფონი არ გაქვს, სვიმონ?

— რათ გინდა?

— ისე...

— მაქვს საძილო ოთახშიაც. მერე რა?

ჩაჩანომ ენაზე იკბინა.

— ...არაფერი. ისე ვიკითხე.

სვიმონი თითქოს აღელდა.

— მიგიხვდი, რადაც მეკითხები. შენ გგონია, იქიდან დავურეკე ჩეკაში?

— დიაღ.

— ...ეხ, ჩაჩანო, ჩაჩანო, ძალიან ცუდათ შევხვდით ერთმანეთს!

— ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა, მოდი, დათავებულად ჩავთვალოთ, სვიმონ! მე მივდივარ, მშვიდობით!

ჩაჩანომ გამოაღო კარი და მტკიცედ გასწია ეზოსაკენ.

სვიმონი სახტად არის დარჩენილი. გამოდის და აივნიდან უცქერის კიბეზე ჩამავალ ჩაჩანოს.

კიდევ რამდენიმე წუთიღა დარჩა მოსაფიქრებლად.

გაუშვას თუ არ გაუშვას ხელიდან ჩაჩანო?

რევოლიუციის ინტერესები თუ მეგობრობა?

არა, რევოლიუციას არას გზით არ უღალატებს. მაშ?.. მაშ?..

წისქვილის ქვები ატრიალდენ სვიმონის თავში. გავარვარებული შანთებით ისერება იმისი გული.

აჰა, ჩაჩანო უკვე აპირებს გასვლას.

— სვიმონ, რას სჩადიხარ! ჩქარა, ჩქარა უნდა გადავარდე შენ წინ დანთებულ ერთ-ერთ ვულკანში!

— არა! ჩაჩანო არ გაიშვება ხელიდან, თორემ...

ეს რა ამბავია?..

ეზოში საგანგებოდ შემოდის სამი პირი. სამივე ჩაჩანოს შემოერტყმიან გარშემო და უბრძანებენ:

— თქვენ დაპატიმრებული ხართ. არავითარი წინააღმდეგობა არ გაბედოთ!

ჩაჩანომ საშინელი ყინვა იგრძნო მთელ სხეულში. გაშრა. გაცივდა.

ის გაკავებული მიჰყავთ ქუჩაში მდგარ ავტოსაკენ.

ეზოდან გასვლისას თვალი შეავლო მაღლა ქვის მსგავსად გაშეშებულ სვიმონს და გესლიანათ შესძახა:

— ეს არის შენი მეგობრობა, სვიმონ?

ჩაჩანოს კვალისთვის უკვე რამდენიმე დღეა მიეგნო საგანგებო კომისიას, მაგრამ ხელში ჯერ ვერ ჩაეგდო. სვიმონთან შეხვედრის წინ კი გარკვევით შეევლოთ თვალი და ფეხდაფეხ მიჰყოლოდენ. ბოლოს აკი ჩაიგდეს კიდეც ხელში.

ყველაფერი ეს მოხდა სვიმონის უნებურად, იმის მონაწილეობის გარეშე.

მაგრამ ამითი სვიმონს ვერავითარი მყუდროება ვერ მიენიჭა. ჩაჩანოს სახით იმის გულში შეიჭრა რაღაცა ჭია და ღრღნის მოუსვენრად.

სვიმონს ხომ ხელიც არ გაუნძრევია და ჩაჩანო ისე ჩავარდა. მაგრამ იგი მაინც დარწმუნებულია, რომ სვიმონმა გასცა.

— არა, სვიმონი აქ უდანაშაულოა. მაგრამ რას ნიშნავს უდანაშაულო! განა დანაშაულია, რომ გასცე მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაქცეველი და მოღალატე? მაგრამ

მაინც ხომ სვიმონს არ გაუცია? ის ხომ უბრალო და უმწიკვლოა ამ საქმეში? ჩაჩანოს კი ჰგონია, რომ უეჭველად სვიმონმა დაუგო მახე. არა! სცდება! სვიმონი მართალზედაც მართალია ამ საქმეში. მხოლოდ როგორ გააგებინოს ჩაჩანოს, რომ იმას არავითარი ბრალი არ მიუძღვის მის დაღუპვაში.

— მაგრამ ამას რას ამბობს! რას ამბობს ბოლშევიკურ ფოლადის რიგებიდან გამოსული მებრძოლი! ბოდიშს იხდის ვის წინაშე! თუ იმან ვერ მოასწრო ჩაჩანოს დაპატიმრება, განა ეს კარგია? ის ხომ მოვალე იყო, გაეცა გამცემი და მოღალატე ამდენი მსხვერპლით მოპოებულ მშრომელთა ხელისუფლებისა? რომ გაეშვა თავისუფლად, პირიქით ეს იქნებოდა გამოუსყიდავი დანაშაული მშრომელ ხალხისა და ქვეყნის უწმინდეს მოვალეობისადმი.

დიაღ, ასე რომ არ მომხდარიყო, სვიმონს უნდა გაეცა ჩაჩანო! უნდა გაეცა სიყრმის მეგობარი და თანამებრძოლი. უნდა გაეცა მრავალ გზით მისი მხსნელი და სიცოცხლის მომპოებელი. რევოლიუცია და ისიც მსოფლიო რევოლიუცია — ეს ისეთი ღვთაებრივი ხანძარია, რომელიც მოითხოვს უთვალავ მსხვერპლს. დაე, ჩაჩანოც შეეწიროს მსხვერპლად ამ დიად მსვლელობას თუ გაზმორებას კაცობრიობაში! დაე, მეც შევეწირო მსხვერპლად. მეგობრობაც და სინიდისის ქეჯნაც.

მაგრამ უკანასკნელად ის რა შხამიან ანდერძივით დაუტოვა ჩაჩანომ:

— ეგ არის შენი მეგობრობა, სვიმონო?

— ოო, ეს სიტყვები რკინის სოლივით ჩაერჭო სვიმონის ფიქრებში და შუაზედ აპობენ მის ბოლშევიკურად გამოკვერილ მთლიან არსებას.

მტკიცე ბოლშევიკმა და კომუნისტმა ყველაფერი უნდა ანაცვალოს მშრომელთა ბრძოლას, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას, კომუნისტურ სულთასწრაფვას. ამის გარეშე არ არის ზნეობა, არ არის შეგნება, არ არის მოქმედება ამ ათასნაირად გათიშულ ქვეყანაში.

მაგრამ ამ რწმენითა და მოქმედებით მკვრივად შეკრულ ბოლშევიკურ არსებაში რად გაისმის ეგრე მწარედ, ეგრე მწველად ჩაჩანოს მიერ ნასროლი საყვედური:

— ეგ არის შენი მეგობრობა, სვიმონო?

ჩაჩანო მაგრად არის ჩაბღუჯული ლომურ კლანჭებში.

მასთან ერთად იმარხება მთელი მებრძოლი მენშევიკების საქმიანობა რამდენიმე ხნით.

და ვინ დაღუპა იგი? ვინ ჩააგდო ამ მოუნელებლ ცეცხლში?

— სვიმონმა! მასთან მეგობრობით გაფიცულმა სვიმონმა!

რატომ შხამად არ შეერგება ჩაჩანოს ამაგი და თავდადება მრავალ განკითხვის წამში!

უკანასკნელად მაინც რად დაინდო? რად შეიფარა თავისთან როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეძებდენ მას? მეგობრობის სახელით რად მოევლინა მფარველ ანგელოზად დაუდეგარ მტერსა და მოსისხლეს ქვეყნიურ საქმეში.

ოო, სვიმონს ეხლა ერჩია — გააფთრებულ ნადირს ჩავარდნოდა კლანჭებში. ან გადავარდნილიყო ანთებულ საკირეში, ან... ვიდრე მოხვედრილიყო ჩაჩანოს ხელში. და რა არის მეგობრობა, თავდადება, სიყვარული — თუ არ ნიავი იმ მტრობის ქარიშხალთან შედარებით, რომელმაც უნდა აღგაოს პირიდან დედამიწისა შენი მოსისხლე!

რა არის სიკეთით აღსავსე დასანანი წარსული — ბოროტების მანთხევარ დაუზოგავ აწმყოსთან შედარებით!

ჩაჩანოს აგონდება, სომეხ-თათართა უგუნურ ჟლეტის დრო. ერთმა თათარმა როგორ დალია მოკლული სომხის სისხლი — და შეებრალა ადამიანი.

ოო, ეხლა ისიც დალევდა სვიმონის სისხლს, ისიც დალევდა. გული მიიღებდა უეჭველად, თუ პირი შესძლებდა იმის დალევას.

ნუ თუ ისე უნდა მოკვდეს, რომ შური არ იძიოს — სვიმონზე მაინც!

არა! რადაც უნდა დაუჯდეს — სვიმონს უნდა შეანანოს ეს გამცემლობა.

თუ დაუზოგავი იყო მეგობრობა მისი, უფრო დაუზოგავი იქნება მტრობა.

და თუ ეს შური მაინც იძია, მხოლოდ მაშინ მოისვენებს ცოტაოდენათ. არა... მაშინ სიკვდილსაც კი ადვილად შესძლებს.

და ჩაჩანომ აამუშავა თავისი მდიდარი გამოცდილება საიდუმლო მიწერ-მოწერისა და ქსელის გაბმისა.

გარედ დარჩენილ თავის ამხანაგებთან რაღაც განსაცვიფრებელ მოხერხებით ისევ აღადგინა კავშირი და ყველაფერი თავის ზრახვანიც გააცნო დაწვრილებით.

მაშ, ეხლა ყველაფერი დროზეა დამოკიდებული და ჩაჩანოც ელის, ელის, ხან კი გაჰ-კრავს უნებლიე იჭვი:

— ნუ თუ არ ეღირსება, რომ გაიხაროს შურისძიებით!

* * *

ღამის პირველი საათია.

ხანგრძლივ სხდომაზე დაქანცული სვიმონი ნება-ნება ბრუნდება შინისაკენ.

აგერ კიდევაც შეუხვია თავის ქუჩაზე. რა ეჯავრება ეს კუთხე: აქ მუდამ ბნელა. და სიბნელეში კი ადამიანი თავსა გრძნობს მუდამ დაკარგულად. თან უმწეოა, უიარაღო. ყოველ გლახას შეუძლიან შეაშინოს და შეარცხვინოს ვაჟკაცი.

ჰა! ეს რა მოხდა?

სვიმონი მოულოდნელად გააკავეს ორივე მხრიდან რკინის მკლავებმა. ორივე გვერ-დშიც იგრძნო გაალმასებულ დანის წვერი და ყურში კი:

— ოდნავი ხმის ამოღება, ან წინააღმდეგობა და აქავე გააპნევ სულს! მოგვყე — რო-გორც მუნჯი!

სვიმონი შეირხა, მაგრამ წამსვე ფერდებში იგრძნო დანის წვერი და უნებურად და-მორჩილდა ბედის განკითხვას.

იმის უკანაც გაჩნდა ვიღაცა პირქუში ადამიანი იარაღით მომარჯვებული.

წინაც გაუძღვა მეოთხე ვინმე და მიდიან.

— სად? ვისთან? რისთვის?

ნუ თუ დაჰკრა უკანასკნელმა ჟამმა სვიმონისათვის?

ამას უეჭველად კავშირი აქვს ჩაჩანოს დატყვევებასთან.

მაგრამ რომ იცოდეს ქვეყანამ, რა უდანაშაულოა სვიმონი ამ საქმეში.

მაინც თავი უნდა ეჭიროს როგორც ღირსეულ მებრძოლს და მტკიცე ბოლშევიკს.

ყველაზე უარესი ის არის — ვაჟკაცს რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩააგდებენ. შეგარცხვენენ. დაგამარცხებენ.

რას უმზადებს ბედი?

რას ფიქრობს ეხლა ანიკო ან იმის ოთხი წლის გოგონა?

გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე.

— მითხარით, სად მიგყევართ?

— ეს ჩვენ ვიცით. შენი საქმე კი სიჩუმეა მხოლოდ!

— ...მაშ...

— ჩუმად, კრინტი არ დასძრა!

და სვიმონმა წამსვე იგრძნო დანის წვერები როგორ მიიწევენ მის წიბოებისაკენ.

რა ქნას? ასე დანებდეს? თუ სიკვდილი არ ასცილდება, ბარემ შეაკლას თავი წინააღ-მდეგობაში, მაგრამ... ეგები...

აჰა, მივიდნენ, სადღაც განმარტოებულ სახლთან.

შეაღეს ეზოს კარი და სვიმონი სწრაფად გააქანეს ქვევით სარდაფისაკენ.

ვაჟკაცს ჟრუანტელმა დაჰკრა. თმები აებურძგნენ. გული შეუქანდა.

ეხ, სიმუხთლევ! სვიმონსაც სცოდნია — რა არის შიში.

შევიდნენ. კარი მაგრა მოჰკეტეს.

სანთელი ინთება უშნოთ გაჩორკნილ მაგიდაზე.

იქვე სკამია ხისა.

სვიმონი გაჩხრიკეს. გასაოცარია: იარაღი არ ჰქონია. ეგეც ბედი ამათი და უბედობა სვიმონისა.

დასვეს მაგიდასთან. ერთი თავზე დაადგა გამზადებული ხანჯალა დანით. სამნი კი აქეთ-იქით კედელს აეყუდნენ სიბნელეში იარაღით მომარჯვებული.

ეტყობა ამათში უფროსი — თავზე მდგომია.

— ბატონო სვიმონ! გირჩევნიათ თავშიც კი არ გაივლოთ მცირეოდენი წინააღმდეგობა! თვალის დახამხამებაზევე ეს ხანჯალა დანა მოგიღებთ ბოლოს!

და უფრო მოიმარჯვა გაალმასებული დანა — თითქოს დასაკლავ ხარს ადგეს თავზეო.

როდის დასრულდება ეს საშინელება? ან რითი დასრულდება?

— რა გინდათ ჩემგან?

— რა გვინდა? განა არ იცი? რათ გაეცი ჩაჩანო?

— მე არ გამიცია.

— სტყუი!

— ბოლშევიკებს ტყუილი არ ეხერხებათ.

— ვერ დაგვაჯერებ! ჩაჩანო შენი გაცემულია.

— არა მეთქი, მაგრამ, რომ გამეცა კიდევაც არ ვინანებდი.

— რატომ?

— იმიტომ რომ მე კომუნისტი ვარ — შვილი არსებულ საბჭოთა ხელისუფლებისა და ის ჩვენი მოსისხლე მტერია.

— ეგეთი გულახდილობაც დიდ გამბედაობათ ჩაგეთვლება. კარგი, ხომ იცი ჩაჩანოს დაღუპვა ძვირად დაგიჯდება, შენი სიცოცხლეც კი არა კმარა მის გამოსასყიდლად. მაგრამ მაინც გაპატიებთ სიცოცხლეს. მხოლოდ ერთის პირობით.

— გისმენთ.

— ჩვენ ვიცით, რომ შენზეა მონდობილი ხელმძღვანელობა იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობისა მენშევიკებს შორის. შენ ხელთ არის ყველა საიდუმლო ქსელი ამ მუშაობისა. ჩამოგვითვალე ყველა ის მენშევიკები, ვინც თქვენთან თანამშრომლობენ ჩუმად. აგრეთვე, ვისგან ვინ არის გაცემული და ან რა საქმე. თუ სავსებით შეასრულებ ამ წინადადებას — ეგები გეპატიოს სიცოცხლე. დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ძვირფას ღირებულებას წარმოადგენს შენი ჩვენება. საამისოდ გეძლევა მხოლოდ თხუთმეტი წუთი. შემდეგ...

თავზე მდგომი აწვდის ქაღალდს და ეძებს ფანქარს.

სვიმონი დაასწრებს.

— ფანქარი მე თვითონაც მაქვს.

— კარგი, აბა დრო მუშაობს აქედან.

სვიმონმა მოიმარჯვა ქაღალდიც, ფანქარიც და...

რა უნდა დასწეროს?

ის აქედან ცოცხალი ვეღარ გავა.

ეხლა მხოლოდ იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ მოკვდეს ღირსეულად.

მოკვდესო?

ნუ თუ ასეთი დასასრული ეწერა თავისი სიცოცხლისა?

განა ეს ყოფილა ცხოვრება ადამიანისა, მეტი არაფერი?

ნეტავ როგორი იყო უკანასკნელი შეხვედრა ანიკოსი ან თავის კოხტა გოგონასი? რათ დაავიწყდა?

გასცეს კომუნიზმისა და რევოლიუციის ხელის მომართავნი? და ამ გვარად ეგებ ეპატიოს სიცოცხლე.

აქ დაინგრევა იალბუზის მთა, ძირთამდის დაშრება შავი ზღვა. მაგრამ სვიმონი კი გამცემლად ვერ გადიქცევა.

რა უმწეოდ ფანფალებს დედამიწა.

რა უშნოთ იღრიჯება ცხოვრების სახე.

რა საზარელია ეს წუთები.

მაგრამ ნუ თუ ამაზე მეტი შიში ვერ შესძლებია სიკვდილის მოახლოვებას?

ამაზე მწვავე განსაცდელი ნუ თუ არასდროს არ შეხვედრია მთელ სიცოცხლეში?

მაგრამ, როგორ არა.

ჩაჩანოსთან, ჩაჩანოსთან! უკანასკნელ შეხვედრისას!

მაშინ უფრო საშინელი იყო წამება სვიმონისა, რადგან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ეხლა კი იცის. გადაწყვეტით იცის.

ვერავის გასცემს.

და მოკვდება კიდეც.

მოკვდებაო?

განა ეგრე ადვილია სიკვდილი?

მერე? მშვენიერ ანიკოსთან ნეტარება? გოგონას სიცელქე? მზე? დედამიწა? და რაღაც ანდამატიური ჟინი სინათლისა, სუნთქვისა?..

ან ის დიადი საქმე სახალხო და საკაცობრიო, რომლითაც ითრობოდა მთელი სიცოცხლე?

მაგრამ სწორედ ეს საქმე არ მოითხოვს ეხლა სიკვდილს?

ან პირველი შემთხვევაა, როცა იგი მზად ყოფილა სიკვდილისათვის?

მაგრამ ესე ახლო, ესე ფხიზლად, ესე უკან დაუხევლად არასდროს არ უგრძვნია სიკვდილის ზარი.

არა, მაინც ჩაჩანოსთან შეხვედრა უფრო საშინელ წამებას წარმოადგენდა.

ეხლა სიკვდილი მაინც არის.

მაშინ კი აღარც სიცოცხლე იყო, აღარც სიკვდილი.

ყველა იმის ამხანაგებს ან სძინავთ ეხლა, ან მუშაობენ, ან ქეიფობენ.

მხოლოდ სვიმონია ამ დღეში. ამ უკანასკნელ დღეში.

მის ანიკოსაც ალბად მშვიდად სძინავს და არ იცის, თუ რა განსაცდელშია მისი სვიმონი.

მაგრამ მუხთალია ცხოვრება. ვინ იცის, რა ჩქარა დაივიწყოს სხვასთან ალერსში.

საკაცობრიო ომს ბოლო არ უჩანს.

ბრძოლანი ბრძოლას მისდევენ.

მსხვერპლი მსხვერპლს ემატება.

მტრისა და მოყვრის მტლედ დადებას რიცხვი არა აქვს.

დღეს ჯერი მიდგა სვიმონზე.

მაშ, იგიც უნდა მტლედ დაედოს რაღაცა დიადს, რაღაცა ძლიერს, საკაცობრიოს.

ის ხომ კომუნისტია.

ის ხომ ბოლშევიკია.

მუდამ მტკიცე.

მუდამ მებრძოლი.

მუდამ სიკვდილისათვის განმზადებული.

ლაჩრობა რომ იხსნიდეს სიკვდილისაგან, მაშინაც კი არ ღირს თავის შერცხვენა.

მაშ რაღა დარჩენია, თუ არ მედგარი შეგებება განკითხვის წამთან.
ვინმემ მაინც იცოდეს, თუ როგორ კვდება.
ვინმემ მაინც იცოდეს, რომ ლაჩრად არ კვდება.
მაგრამ რად უნდა ვისმეს ცოდნა?
მებრძოლი ვაჟკაცი მუდამ თავის თავში ჰპოვებს კმაყოფილებას.
— დრო გადის, შენ კი არაფერსა სწერ!
— ეხლავე!
და სვიმონი შეუდგა წერას.
სწერს, სწერს და თან...
ოო, ეს ბავშვობა.
დარდიმანდობა — სიგიჟენი.
სოფელი და ქალაქი.
თავბრუს დამსხმელი გატაცებანი.
ბრძოლანი, ბრძოლანი.
ჩაჩანოსთან ერთად, დიაღ, ჩაჩანოსთან!
დამარცხება და გამარჯვება.
მრავალჯერ განსაცდელი სიკვდილისა, მაგრამ არცერთხელ ასეთი მწვავე.
მსოფლიო.
ხანძარი.
სისხლის ღვრა.
დაუზოგაობა.
სიკვდილი.
და სიცოცხლე? სიცოცხლე?
მტკიცე კომუნისტობა?
შეუპოვარი ბოლშევიკობა?
— გავიდა თხუთმეტი წუთი!
— მეც გავათავე!
ქაღალდი იქით გადასდო სვიმონმა და...
თავზე მდგომი დასწვდა იმ ქაღალდს. ძლივს არჩევს ნაწერს სანთლის მიბნედილ შუქზე და კითხულობს გარკვეული ნელი ხმით:
(იარაღით მომარჯვებული სამი აჩრდილიც შეირხა სმენად).
„ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ“.
„სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.
ამ დროს სვიმონი ეძგერა მეთაურის ხელში მომარჯვებულ იარაღს.
ერთი წუთით გაჩაღდა სასტიკი და თავგანწირული ბრძოლა... მაგრამ...
გაალმასებული დანით გულ-გაპობილი სვიმონი მძიმე ბელტივით დაეცა ძირს.
გაისმის მომაკვდავის საზარელი გმინვა და თავზე მდგომთა შეშფოთებული ჩურჩული.
ერთი წუთი.
ორი წუთი.
და სვიმონიც...

სიბნელით მოპირქუშებულ ქუჩაზე სხვადასხვა მხარით მიდის ოთხი აჩრდილი და ყველას გულში ისმის რაღაც მოუშორებელ გამოძახილად:
„ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ“.
„სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.

ლევან მეტრეველი

სემიდა

I

ქალაქი მთებში ჩაძირულა. მარცხნივ ჩაუდის მდინარე. ატბორებულნი მოჰქუხან ტალღები დიდი მთებიდან, თავგამეტებით აწყდებიან კლდოვან ნაპირებს, თავაწყვეტილი ულაყებივით მიექანებიან ბარისაკენ და მიაქვთ თან მძიმე ლოდები.

მარჯვნივ მთის კალთებს მიჰყვება გზა. გზის ერთი ბოლო მთებში იკარგება, მეორე კი ბართან აერთებს პატარა ქალაქს.

შარა მუდამ სავსეა მგზავრებით. ქარავნები ნელის ტაატით მიიზლაზნებიან ბაზრობისაკენ. ისმის ყვირილი მეაქლემის და მძიმე შოლტის ტყლაშა-ტყლუში. ქარავნებს მიაქვთ ათასი რამ: სპარსული ნოხები, ფაიფური, ფარჩა, ქიშმიში და ზეთის ხილი.

ქალაქი სავსეა ვიწრო ქუჩებით. ჭუჭყიანი შუკები, ორმოებს ჩამოჰგავს. კუთხეებში ამართულან თაღნაქარგი მინარეთები. ეკლესიის გუმბათებზე ოქროს ფერი ჯვრები ლივლივებენ. მილეთი ხალხი ირევა ქუჩებში. ჰაერში გამდგარა სუნი დამპალი ატმისა და ახლად დაკრეფილი ხახვის. მზე ულმობელად სწვავს ქალაქის ზურგს. დამწვარი ხორცის და ოფლის სუნი აბრუებს თავს.

თათრები და სპარსელები ყავახანაში ნარდს თამაშობენ. სვამენ ცხელ ჩაის ფინჯნებზე დასხმულსა და ავარვარებულს. ოფლში სველდება წითელი წვერები ჯილაგდაკარგული სპარსელისა. ვიწრო თვალები ილულებიან. ზანტად სწვდებიან ძვლის ფერ კოლოფს ხმელი ხელები. მალვით იღებენ ხაშხაშის მოლურჯო ცომს, ნაღველას რომ ჰგავს და თვალდახუჭულნი სწუწნიან. ტუჩებზე ნეტარი ღიმილი იღვრება. ალიბრედებული ყავახანა ნელი ნანაობით მიექანება არყოფნისაკენ.

თარის ხმა ზანტად აწვება ყურს და სადღაც უხილავ ექსტაზში სწყდება. სდუღს ატბორებული ზმანება. ტკბილი ნექტარი ედება ტანს.

სადღაც სივრცეში შავდება წერტილი. იზრდება ნელა, როგორც ჩრდილი ვერხვისა მთვარიან ღამეში. წერტილი იშლება ლოტოსის მსგავსად. შლის გულ-დაფარულ საიდუმლოებას. ასული ნებივრობს ლოტოსის ფოთლებში. მთვარე დაჰყურებს დედოფლის გულს. მისი ტანი ჩანჩქერის ქაფის ფერისაა. თმები გველივით ეხვევა ბროლს. ზმანება თრთის და იმსხვრევა კიდევ ათასფერ ნაკადათ.

— ალაჰ ილ ალაჰ! — გაჰყვირის მოლლა და მისი ხმა ლახტივით ზუის ჩრდილით დაფარულ კუთხეებში. მლოცველები უახლოვდებიან მიზგითის დარბაზს, დაფარდაგებულს ძვირფასი ხალებით. ცივი დარბაზი გაუთბია მათ ალმურს და მლოცველთა ლოცვა შენახულა მათი ქარგის ნაზ ხვეულებში.

„ალაჰ!“ — სწვდება ყურს.

ჩრდილში მოხუცი ნიზამ ჩამომჯდარა: ტკბილადა სთვლემავს. თეთრი წვერები ნელა ირხევიან და ოფლში ბზინავენ. ბუზები ერთხმად დაჰბზუიან საზამთროს ქერქს, სცოცავენ ნიზამის ხმელ ხელებზე და მწარედ ჰკბენენ. ნიზამ ილანძღება და სთვლემს.

მზე ხვდება მთის კალთებს. საღამოვდება.

ნიზამის დუქანს ნელის ნაბიჯით უახლოვდება ვიღაც უცნობი.

ნიზამ ზანტად ახელს თვალებს.

— სალამი, მოხუცო ნიზამ! — ამბობს უცნობი და ბურანში წასულს, მხარზე ხელს ადებს.

— სალამი, ომარ ხანს! — ნამძინარევი ხმით უპასუხებს ნიზამ და მოსულ სტუმარს მიესალმება.

— ომარ ხანი საქმისთვის მოვიდა შენთან, მოხუცო ნიზამ. — ეუბნება სტუმარი და ქონიან პირზედ საიდუმლო ღიმილს ათამაშებს.

— სტუმარი ღვთისაა, ომარ ხან, ბაღში მობრძანდით. — იპატიჟებს ნიზამ და ბაღისკენ მიჰყავს.

ჩამავალი მზე ჯერ კიდევ ეთამაშება ხის მწვერვალებს, ესვრის უკანასკნელ სხივებსა და უღიმის მათ. შორიდან ისმის მდინარის შხუილი და თავგასული ტალღების ბრძოლა.

ნიზამ უძახის ბიჭს. ბიჭს ვერცხლის ხელადით მოაქვს შარბათი და სდგამს მათ წინ. ნიზამ ასხამს. ომარ ხანი სვამს. ერთ ხანს სასმელი აქარწყლებს სიჩუმეს, უხერხულად გამეფებულსა და ურჩს. შემდეგ სიჩუმე უფრო აუტანელი და საშიში ხდება. ნიზამ კრიალოსანს ატრიალებს ხელში და უცდის. ომარ ხანი ყოყმანობს, რაღაცას ზმუკუნებს გაურკვევსა და უშინაარსოს.

ბოლოს მაინც სტუმარი იწყებს. სახე ივსება ტკბილი ღიმილით და ოფლი წვეთებათ იღვრება გულზე.

— მაშ ასე, ნიზამ. თანახმა ვარ, ოცი ოქრო მოგცე სემიდში. მართალია, ცოტა ბევრია, მაგრამ... — ომარ ხანი აღარ ათავებს. ჯიბიდან გატენილ ქისას იღებს და ხელში ათამაშებს.

ნიზამ ცასავით იღრუბლება. თვალებში გამოუცნობი სევდა წვება, ცრემლით ევსება. ხელი უკანკალებს. მაგრამ ეს ერთ წუთს, ვიდრე ნიზამ თვალს მოჰკრავდეს ომარ ხანის სავსე ჭიქას.

ომარ ხანი ქისას ისევ ჯიბეში აბრუნებს და ნიზამს უბრუნდება.

— ეხლა ცუდი დროა, მოხუცო ნიზამ. ჩვენში პატრონი აღარ არის. ხან მთიულები გვიკლებენ და ხან კი სპარსელები, ამდენმა ომებმა ათასგვარი ავადმყოფობა მოგვიტანა. შენც დაბერდი, ნიზამ და შრომა აღარ შეგიძლიან. ალაჰმა უწყის, ხვალ რა მოხდება.

— რად ამბობ ამას, ომარ ხან! განა არ ვიცი, რომ ჩემ სემიდას პატრონი უნდა. ვიცი ომარ-ხან, ვიცი! ამბობს ნაღვლიანად ნიზამ და ჩამავალი მზის სხივებს გაჰყურებს.

— მოხუცო ნიზამ, მაშ მომე ხელი და ოქრო წაიღე!

ნიზამ ყოყმანობს.

— რა ვქნა ომარ ხან! სემიდა ურჩია. ვიღაც სხვა ჰყავს ამორჩეული.

სტუმრის სახე ეშმაკური ღიმილით ივსება.

— ნუ გეშინია, ნიზამ. ვიცი ვინც არის. ყმაწვილი კარგია, მაგრამ ღარიბია და უთვისტომო. ის ხუთსაც ვერ მოგცემს.

— მაძლევს, ათს მაძლევს. — თითქოს თავისთვის ამბობს ნიზამ.

— შენი ნებაა. ქალი შენია, მისი ბედიც შენ გეკუთვნის, კარგად იფიქრე. მე კიდევ დავიცდი.

ბაღში დუმილი ისადგურებს. ცა ვარსკვლავებით იჭედება. მთვარე მთებიდან ისე მოსცურავს, როგორც ხომალდი იალქნებ-აშვებული. ვერხვის ფოთლები შრიალებენ და იდუმალებით ავსებენ ბაღს.

ნიზამ უახლოვდება ომარ ხანს და ჩუმად ეუბნება:

— მე თანახმა ვარ.

ომარ ხანის გაბადრულ სახეზედ მედიდური ღიმილი ათამაშდა, ნიზამმა ოქროს დაუწყო თვლა. ორჯელ გადათვალა, ჩაყარა ქისაში და ჯიბეში ჩაიდო. მერე ომარ ხანს მიუბრუნდა და ჩურჩულით უთხრა:

— ის ყმაწვილი უნდა მოვიშოროთ, მერე ქალიც ჩქარა დაგვნებდება.

ომარ ხანის სახე კვლავ საიდუმლოდ ამეტყველდა.

— ვიცი, მოხუცო, ნიზამ, ნუ გეშინია, ყველაფერს მოვაწყობ. — უპასუხა მოხუცს სტუმარმა და დაემშვიდობა. ნიზამმა ნაღვლიანად გააყოლა თვალი ჩრდილში მიმალულ ომარ ხანსა და სახლში შევიდა.

II

უფსკრულთან ჭაბუკი სდგას. შორს, ცის გუმბათზე ვარსკვლავები თეთრად კიაფობენ. მათი სიმრავლე გულს უხარებს. ცა თითქოს ზღვის ფსკერია, ლამაზი კენჭებით მოქარგული. ქვევიდან მონადენი ნელი და მწყობრი ზარების ხმა ამხნევებს. ნიავი ტკბილი ალერსით ედება თმებს და ოდნავ ათრთოლებს. სულში სიმშვიდე იღვრება და ატოკებული გული მედგრადა სძგერს. აღტაცებით აღვსილან ჭაბუკის ფართედ გაჭრილი თვალები. შავი თვალების ელვარება თითქოს ეჯიბრება უფსკრულის სიშავეს, სიღრმე მათი — უფსკრულის სიღრმეს. წერწეტი ტანი არ ირხევა. მშვიდად გაჰყურებს ცას და აცახცახებული უსმენს ზარების ხმას.

იალქნებ-აშვებული მთვარე ნელა მიაპობს ცას. ბარში ავარდნილი ზარების ხმა ნელი ნელ სწყდება. უფსკრულისაკენ დაგორებული ლოდი ხარხარით ეშვება. ჭაბუკის ტანი ნელა ირხევა. ჭაბუკი ნელა შორდება უფსკრულს, მოხდენილი ნახტომით გადადის ლოდებზე. ხვეული ბილიკით უახლოვდება დაძირულ ქალაქს და მტკიცე ნაბიჯით მიილტვის წინ.

ვაჟი ნაზიმის სახლთან ჩერდება. ფრთხილად აღებს ბაღის კარებს და ბუჩქების ჩრდილში იმალება. ბაღში ნელი სტვენა მოისმის. ედება ბუჩქებს, მიჰყვება ნიავს და სიჩუმეში იძირება. ვაჟი ბანს უახლოვდება. უცდის.

მდინარის შხუილი თითქოს ვერ არღვევს ღამის უძირო მყუდროებას. მწვანე ფოთლები ოდნავ შრიალებენ. სადღაც, ქალაქის ბოლოში, ძაღლი გულ-ამოსკვნილი ქალივით შესტირის სახე გადახსნილ მთვარეს. ბაღში ფანტასტიური ჩრდილები იზრდება.

ფრთხილად გამოდის სემიდა სახლიდან. ბუჩქებს უახლოვდება. ვაჟი გულგაშლილი ხვდება მას და მათი ტანი რბილ ბალახებში იძირება.

სემიდა თრთის და ბავშვივით ლუღლუღებს. ბედნიერება თითქოს აღარ ეტევა სემიდას პატარა გულში. თვალები სიხარულის ცრემლით ივსება და ქალი სტირის.

— ძვირფასო ჯემალ... ჩემო კარგო... არ გაჯავრდე, ეს სიყვარულის ცრემლებია. გულში არ ეტევა სიხარული, ჯემალ...

სიტყვა მხურვალე ალერსში გადადის. გულუბრყვილო სიყვარული ვნების ქვესკნელში იძირება. მაგრამ...

— სემიდა, მეგობარო, დამიგდე ყური... სემიდა... — აქ სიტყვა სწყდება. ჯემალის ხმას თრთოლვა ეტყობა. სემიდა შეშინებული უყურებს ვაჟს. ქალი რაღაცას ჰგრძნობს და აკანკალებული, ვაჟის მკერდს ეკვრის.

— რა იყო, ჯემალ, სთქვი! — ამბობს შეშინებული ქალი და თვალებში უცქერის.

ჯემალ თავს იკავებს. იცინის.

— არაფერია, სემიდა. მე.... მე ხვალ სათათრეთს უნდა გავიდე.

სემიდა გაკვირვებულია.

— რათა, ჯემალ?!

ჯემალ განაგრძობს.

— ყური დამიგდე, სემიდა. მამაშენმა შენი თავი ოცი ოქრო დამიფასა. მე კი ოცი გროშიც არ მაბადია. იქ ფულის შოვნაც უფრო ადვილია. ბარში ვაპირები, მაგრამ ბედმა გამიღიმა. იმ დღეს ომარ ხანმა მიხმო და მთხოვა ცხენები გავუყიდო სათათრეთში. წავალ ორი თვით და მერე... — აქ ვაჟმა აღარ დაათავა, მიიზიდა შემკრთალი ქალი და ტუჩებში აკოცა.

სემიდა გაუსხლტა ჯემალის მკლავებს და ათრთოლებული ხმით შეჰყვირა:

— არა, ჯემალ, შენ არსად არ წახვალ!

ვაჟი გაოცდა.

— რატომ? არ გინდა, თავი დავაღწიოთ ქურდულ სიყვარულს?

— არა, ჯემალ, მე უფულოდაც შენი ვიქნები, ოღონდ ნუ წახვალ. ნუ დამტოვებ!

ქალი მუხლებზე დაეცა მის წინ. შემოეხვია. გაშმაგებით დაუწყო კოცნა.

ჯემალ გაკვირვებული უცქერდა სემიდას. მერე ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა:

— აკი, შარშანაც ვიყავი ბარში, ხომ ჩქარა დავბრუნდი!

სემიდამ წამოიწია. ვაჟს ხელები ყელზედ შემოჰხვია, მიიკრა გულზედ და ყურში ჩასჩურჩულა:

— მაშ, მეც წამიყვანე სათათრეთში. ერთად წავიდეთ.

ჯემალ შეკრთა. ცოტა გაჯავრდა.

— პატიოსანი მაჰმადიანი ცოლს ქურდულად არ იპარავს.

სემიდა ატირდა. გულაჩუყებული ვაჟი მიუახლოვდა ქალს და ალერსი დაუწყო. ქალი ნაზად მიყუჩდა ჯემალის მკერდზე და ბურანში ჩაეფლო.

ჩუმი ალერსი ათრობდა ბაღს. მთვარე ეხლა ღრუბლებში სცურავდა. ღრუბლები ნელა მიიზლაზნებოდნენ, როგორც ქარავნები ცხელ უდაბნოში. იდგა სუნი გამხმარი თივის და სადღაც გადაღმა მდინარე შხუოდა.

III

ჯემალ, ძლივს მოსწყდა ქალის ტუჩებს. დაღუნა თავი და რომ სემიდას მისი ცრემლი არ დაენახა, სწრაფად გავიდა ბაღიდან შარაზე.

სემიდა იქვე ბუჩქებთან დარჩა. უაზროთ დააშტერდა ახლად აკიაფებულ ცისკარს, მთვარე მკრთალად ღა სჩანდა მთის დასავალზე. ღამის ბურუსი დილის ცვარში იცრიცებოდა. საგნები ნაცრის ფრად იფერებოდნენ და მაღალი მიზგითები ოდნავ მოსჩანდნენ ცის სიღრმეში.

სემიდა თითქოს გამოაფხიზლა რიჟრაჟის სიგრილემ. ქალი ნელა წამოდგა და შემკრთალი თვალები წინ გაწოლილ შარას დააშტერა. მერე გულში უფსკრულისებური სიცარიელე იგრძნო და შეკრთა.

— ჯემალ, ჩემო საყვარელო. — მოსწყდა ტუჩებს ჩუმი ლოცვა და დილის სიოს აედევნა. შორიდან მრისხანედ გადმოვარდნილი ჩანჩქერის შხუილი მოიტანა ნიავმა და სემიდას ყურთან დაამსხვრია.

საშინელი ობლობა და უთვისტომობა ზვავივით ჩამოწვა სემიდას გულში. სემიდა ათრთოლდა. შიში თანდათან გაიზარდა. უცნაურად მოედო გულს.

„უნდა დაბრუნდეს, ჯემალ უკან უნდა დაბრუნდეს“. — გაუელვა სემიდას ფიქრმა და იმედი მოჰფინა. „ჩქარა სემიდა, ჩქარა“. — უკბინა კვლავ აზრმა და ადგილს მოსწყვიტა. ქალი დაუფიქრებლათ კარში გავარდა და შარას გაჰყვა.

მირბის სემიდა. გადაიარა თხემი. ქალაქი დიდიხანია თვალს მიეფარა. სემიდა ეხლა გაუვალ ტყეშია. გული საშინლად უცემს. თავბრუ ესხმის. ფეხი ეკვეთება. მაინც მირბის. ფლოსტები სადღაც ჭაობში დაჰკარგა. ტყის ნარეკალმა კაბა დაუფლითა, ეხლა ის ძონძებად ჰკიდია ტანზედ. ფეხის გულებს კენჭები უსერავს და სტკივა, საშინლად სტკივა წელი და თავი, მაგრამ მაინც მიილტვის წინ. ღონემიხდილი მიბობღავს კლდეებზე, რომ დიდი გზა მოკლედ გადასჭრას. ფეხი უსხლტება, ეცემა ქვებზე. იკრებს ძალას, დგება და კვლავ მირბის.

— ჯემალ!.. ჯემალ!.. ჯემალ!.. — ისმის ქალის სასოწარკვეთილი ყვირილი ტყეში და ამ ძახილს ტყე იმეორებს. და სწვდება სემიდას ყურს ძვირფასი სახელის მედგარი მოძახილი.

— ჯემალ!.. ჯემალ!.. ჯემალ!..

მთის ჩანჩქერი უგზოუკლოდ მიექანება. ჩიტები კამარას სტყორცნიან ცაში. დილის ცვარი მწარე ცრემლივით ეცემა მიწაზე, აღვიძებს მას.

ღონემიხდილ ქალს თვალთ უბნელდება. უახლოვდება ჩანჩქერს. უნდა დასერილი ფეხის გულები წყალში განბანოს. მაგრამ რა არის ეს — ცეცხლი თუა, ან და კუპრი ადუღებული? რად არის ასეთი ცხელი ეს ბროლივით თეთრი წყალი მდინარისა? ან და თავი ასე რად დამძიმებულა? რათა სცემენ განუწყვეტლივ ჩაქუჩებს თავის ქალას და რად ისმის განუწყვეტლივ საქრისტიანო ზარების ხმა? სად იძირება სემიდას გული?

სემიდა მოწყვეტილი ტოტივით ეშვება. თვალებში ცეცხლის რგოლები ბზრიალებს. სემიდა ჩანჩქერის ტალღებს უღიმის. ჯემალ! ძვირფასო მეგობარო, — ამბობენ ტუჩები. — და ესმის სემიდას, როგორ გუგუნებს ტყის მოძახილი. ესმის, როგორ ეცემა ცვარი მიწაზე და როგორ თრთის ცრემლი თვალებში.

IV

ნიზამ დაღონებული გაჰყურებს მოედანს. მოხუცის თვალები უფრო დაწვრილებულა და გრძელი წვერები კიდევ უფრო გასთეთრებია. ხელში კვლავ ქარვის კრიალოსანი უჭირავს და იმით იქარვებს დარდს.

თოვლი თეთრად მოსდებია მთის მწვერვალებს. პატარა ქალაქი სთვლემს. აჭაობებულა ვიწრო ქუჩები და სახლები, სოკოებს რომ ჰგვანან, ნესტით აღვსილან. ქარავნები აღარ სჩანან შარა გზაზედ, დაცარიელებულან დიდი მოედნები, დაობლებულან პატარა ქარვასლები.

სევდა დასწოლია ნიზამის გულს. კარში თოვლი ბარდნის და წვიმა სცრის. თეთრი თრთვილით იფარება ფოთოლ დაცვენილი ხის შტოები. ნიზამ ზანტად უახლოვდება ვიწრო ფანჯარას და ბიჭს უძახის.

— სემიდას დამიძახე! — ამბობს უგულოთ და ისევ ცარიელ შარას გაჰყურებს.

შემოდის სემიდა. ნაბიჯი დინჯი აქვს და დარბაისლური. სახეზედ გამქრალა გულუბრყვილო ღიმილი და ფართედ გაჭრილ თვალის კაკლებში გულგრილობა და ტკივილი ჩაწოლილა. ტუჩებს ბავშური ნებივრობა დაუკარგავთ და მწარე ღიმილი აჰკვრიათ, თითქოს დამცინავი, თითქოს მკაცრიც.

სემიდა მამას უახლოვდება. მოწიწებით მიესალმება. ნიზამ ცივი და ხანგრძლივი გამოხედვით უყურებს ქალს. მერე მტკიცე და გადამწყვეტი ხმით ეუბნება.

— ომარ ხანი კიდევ მწერს ბარათს. მთხოვს, საქმე ჩქარა მოვათავოთ და მივიღო საჩუქრები, რომლებიც შენთვის გამოუგზავნია. სემიდა სდუმს. ნიზამ განაგრძობს:

— შენი მოლოდინი არ გამართლდა. ორი თვის ვადა დიდიხანია გავიდა. ოთხი თვეა რაც ომარ ხანმა თავისი ცხენების ფული მიიღო. მას შემდეგ ჯემალის არა ისმის რა. ვინ იცის, რა მოუვიდა, იქნებ სულაც აღარ დაბრუნდეს. — ნიზამ კვლავ შესდგა. ქალმა დუმილით უპასუხა. ნიზამმა განაგრძო:

— ეგეც არ იყოს, იგი ამდენ ფულს ვერასოდეს ვერ იშოვიდა. მე კი ეხლა ფული მჭირდება. წადი, მოემზადე. მეტი ლოდინიც აღარ შეიძლება.

სემიდა უსიტყვოთ შორდება მოხუცს. ნელი ნაბიჯით მიდის. კარებთან ჩერდება. დაშტერებით უყურებს მამას. მერე ტუჩებს ვედრების მსგავსი სიტყვა მოსწყდება. თვალებში ცრემლი გამოჩნდება.

— მამა! — ძლივს ამბობს ქალი და ეშინია სიტყვის მაგიერ კვნესა არ აღმოხდეს.

გაბრაზებული ნიზამ კარებს უჩვენებს. სემიდა გადის. ზანტად უახლოვდება თავის ოთახს. მერე საწოლს, სქელი ნოხებით და ფარჩით დაფარდაგებულს და დაფარულს. ეფლობა შიგ და მთელის სხულით თრთის. ვიწრო ფანჯრების ჭრელი შუშები ოთახს ნაცრის ფერ სინათლეს აწვდის. წვიმის წვეთები განუწყვეტლივ დასტირიან სემიდას დარდს. იღვრება წვეთები სემიდას გულში როგორც შხამი. მძიმე ტკივილი აწვება გულს და სულს უხუთავს.

— ჯემალ, სადა ხარ, ჯემალ! — ლუღლუღებს ქალი უმწეო ბავშვივით. თვალები ევსება ცრემლით. ტვინს მჭრელი ფიქრები სერავენ. გულში ხან ეჭვია, ხან დარდი, ხან ტკივილი.

იქნებ ჯემალ აღარც კი ფიქრობს სემიდაზე? იქნებ ჯემალ მოკვდა? იქნებ ჯემალ ავად არის? იქნებ... იქნებ... და ცეცხლი ედება თავს. ცეცხლი გულს უწვავს. და წვიმის წვეთების ნელი კაკუნი შხამით ავსებს გულსა და ფიქრს.

V

ომარ ხანი აღტაცებულია. მსახურნი რთავენ დიდ დარბაზებს. ფარჩა და ატლასი კიაფობს ყველგან. აუზებში ოქროს ფერი თევზები სცურავენ. შადრევნები თავმომწონედ მოჩხრიალობენ. ომარ ხანის დარბაზებში სითბო და სიხარული გამეფებულა. სემიდა უგემურად ათვალიერებს ქმრის სიმდიდრეს. არ იზიდავს მას არც ატლასი, არც ფარჩა. ქალი გულგრილად უყურებს ყველაფერს. თითქოს დაძირული გული სამუდამოდ დაჰღუპა სევდამ. ზიზღით დასცქერის თავის საწოლს, მდიდრულად მორთულსა და მოკაზმულს. გულს გაურკვევი შიში იპყრობს. ღამის მოლოდინი აკრთობს, აშინებს. ბოროტებითა და სიცივით დაჰყურებენ ეს მძიმე კედლები. ქალი გაურბის ქმარს. სემიდა დადის და ათვალიერებს დარბაზების მძიმე კარებს. აბეზარი ფიქრი თავს დასტრიალებს, არ ასვენებს. უნდა გაიქცეს. მაგრამ სად? — მდინარეში? ჰო, მდინარეში. იქ ტალღები უფრო თბილია ამ კედლებთან შედარებით. იქ მთიდან მოხეთქილი ჩანჩქერიც უფრო ალერსიანია და კეთილი.

ფიქრობს სემიდა. ათასი აზრი უელავს თავში. დაძრწის მოუსვენრად, ადგილს ვერ ჰპოულობს. უახლოვდება ვიწრო ფანჯრებს და საათობით გასცქერის ცას. შავი ჩრდილები წვებიან ოთახში. ცივი დარბაზები დამუნჯებულან. გულშემზარავი სიჩუმე გამდგარა. სწვდება სიჩუმე სემიდას გულსაც. ფეხი ეკვეთება და შიშით ჰკანკალებს. უახლოვდება ურდულ-გაყრილ მძიმე კარებს. ებრძვის. მერე ისევ ვიწრო ფანჯარას უბრუნდება ღონემიხდილი და კვლავ უმწეოდ უყურებს ცას. უყურებს როგორ ეფინება ღამის თალხი მთის თეთრ კალთებს. გრძნობს, როგორ იცრიცება დღის სინათლე და როგორ კვდება დღესთან ერთად მისი გულიც.

— ალლაჰ! შენ უშველე უმწეო სემიდას. იხსენ უბედური! — სემიდა ლოცულობს, ელის სასწაულს. მაგრამ სად არის სასწაული!

კარები ნელის ჭრიალით იღება. ოთახში ფრთხილად შემოდის ომარ ხანი, უახლოვდება ქალს.

ჟინ მორეული ჩაჰყურებს თვალებში.

სემიდა კანკალებს.

ომარ იმედიანად იღიმება.

VI

ხანი გაბრაზებულია. თვალებში მხეცური ცეცხლი უღვივის. გოროზი თავი მხრებში ჩაჰვარდნია. მსუქანი კისერი ოფლს დაუღარავს. სქელი თითები უშნოდ დასცურავენ ქალის გულმკერდზედ. სემიდა ღონე-მიხდილი ჰგდია ტახტზე. ტანზე კაბა შემოჰხევია, მარცხენა მკლავზე სისხლი მოსჩანს, სახეზე ტანჯვა ასახულა, თვალებში — შიში, ლოყაზე — ცრემლი.

ომარ ხანი სულს ძლივს იბრუნებს: ქშინავს, ილანძღება, ხელებს აფათურებს. ქალი იმრიზება და ჰკვნესის.

ომარ დაჭრილი დათვივით ღრიალებს.

— შენ ჩემი ცოლი ხარ... მე შენი თავი ოც ოქროთ მიღირს, გესმის?!

ქალის თვალები ზიზღით ივსება, ხელიდან უსხლტება და გარბის კუთხეში. ომარ გიჟდება, თვალების ბრიალით უახლოვდება.

სემიდას თვალები ფართოვდება. მუხლები აღარ ემორჩილება. ღონე-მიხდილი ეყრდნობა კედელს და ისევ შიში წვება თვალებში. გონება წასული. ემორჩილება გააფთრებული ხანის ნებას...

ქალი გონს მოდის. ნაკბენი მკლავი უხურს და სტეხს. ომარ ხანის ხვრინვა აყრუებს სმენას.

სემიდა უაზროდ გაჰყურებს ჭერს.

კედელზე ოქროს რგოლები იხატება და ისევ ჰქრება და ესმის სემიდას შორეული ზარების ხმა. ივსება ოთახი მოლლას ყვირილით. მიზგითის თაღებზე მზე კიაფობს.

VII

გაზაფხული ახარებს ქალაქს. მოედნები სავსეა ხალხით. შარაზე მოისმის სიცილ-ხარხარი. მოქალაქენი იმედიანი ღიმილით ხვდებიან ერთმანეთს. გუშინ ქალაქში ხმა მოვიდა: ბრბო, რომელიც სცარცვავდა ქარავნებს, ქალაქიდან წასულ მხედრებს შეუპყრიათ.

ეს ბრბო ქალაქს დაღუპვას უქადდა. პატარა ქალაქი მუდამ სიმშვიდით ამაყობდა. მისი მცველები მუდამ მზად იყვნენ დაჰხმარებოდნენ მგზავრებს და ქარავნებს. დიდი ხანია ყაჩაღობა მოსპო ქალაქმა და შარა გზა გაასუფთავა. მაგრამ ამ გაზაფხულზე გამოჩნდა ბრბო ვიღაც ყმაწვილის მეთაურობით. ბრბო მოსვენებას არ აძლევდა არც ერთ ქარავანს. ამას წინად ნიზამის დიდი ქარავანი სულ ერთიანად გაიტაცეს. მერე კიდევ გზად მიმავალი მგზავრები დახოცეს.

შეირყვნა პატარა ქალაქის სახელი. დაფიქრიანდნენ მოქალაქენი. უცნაური ხმები გავრცელდა. ამბობდნენ, თითქოს სათათრეთიდან გადმოხვეწილი კეთროვანთა ბრბო ყოფილიყოს, რომელსაც აქაური მცხოვრები ვინმე ჯემალ მეთაურობსო. მოქალაქეებს არა სჯეროდათ. ჯემალს ყველა კარგად იცნობდა. ბევრი სხვა ხმებიც დადიოდა უბან და უბან. ქალაქი რაზმებს რაზმებზედ ჰგზავნიდა. დღემდე კეთილი არა ისმოდა რა. მხოლოდ დღეს მოვიდა შიკრიკი მთებიდან. სასიხარულო ამბავი მოიტანა. მახარობელი დააჯილდოვეს. სახლის ბინები ხალხით აივსო. ჟრიამული მოედო ქუჩებს.

გაზაფხულის მზეც თითქოს იზიარებს სიხარულს, ათბობს ქალაქს. შმორიან ქუჩებს ორთქლი ასდის. მოხუცები გაყინულ ძვლებს მზეზე ითბობენ.

საღამოვდება.

აღელვებული ნიზამ უახლოვდება ომარ ხანის სახლს. ომარ ხანი ბანზე იპატიჟებს, ნიზამ მიესალმება.

— მომილოცნია, მოხუცო ნიზამ, შენი ყაჩაღები დაუჭერიათ. — ამბობს ომარ ხანი და ჩვეულებრივად იღიმება.

— დაუჭერიათ, ომარ ხან, დაუჭერიათ. — უპასუხებს ნიზამ და ხმაზე ეტყობა როგორ უხარია.

— ვინ უნდა იყვნენ? — ჰკითხულობს ომარ ხანი.

— სათათრეთიდან წამოსული კეთროვანთა ბრბო.

ომარ ხან გაკვირვებულია.

— ბელადი ვინღაა?

მოხუცი ნიზამ ამ კითხვაზე ცივად იცინის და თავს ასავსავებს.

— იცი, ვინ?

— ვინ?

— ჯემალ!

ომარ ხანს ყვითელი ფერი გადაჰკრავს.

— საიდან იცი ეს ამბავი, მოხუცო ნიზამ?

ნიზამ კვლავ იცინის. ბოროტი სიცილით იცინის ნიზამ და ხელში ბარათს ათამაშებს.

— უსტარი მივიღე ჯემალისგან.

ომარ ხან კანკალებს. ძლივს ღა ეკითხება:

— რაო, რასა გწერს?

— ოცი ოქრო ვერ ვიშოვე და ამ გზას იმიტომ დავადექიო. სემიდას მთხოვს და ქარავნის უკან დაბრუნებას მპირდება.

ომარ ხანი კბილს კბილზედა სცემს. ათრთოლებული ლუღლუღებს.

— ეხლა რას იზამს მოხუცი ნიზამ?

ნიზამ გესლიანად ხითხითებს და სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს.

— რაღა უნდა ვქნა! სულ ყველანი დაუჭერიათ. ჯემალიც, სხვებიც, ხვალ მოედანზე გაიყვანენ, ტივზე დააკრავენ და წყალში ჩაუშვებენ.

ომარ-ხანი სდუმს.

უკანასკნელი მზის სხივები მთის ფერდობებს ეალერსება. დასავლეთი ვარდისფერდება და უხვი მზე მთებში იძირება.

VIII

სემიდა მოედანს უახლოვდებოდა. შავი ჩადრი ჰფარავდა სახეს. მხოლოდ თვალები უცქერდნენ მზეს, ქუჩებსა და ხალხს, რომელიც თავგამეტებით აწყდებოდა ქალაქის მოედანს.

ქალს აკვირვებდა ხალხის სიმრავლე, მხიარული ჟივილ-ხივილი, ჭრელი ქუჩა. მხოლოდ გული უტოკავდა უცნაურად და თითონაც თითქოს სიმშვიდეს გრძნობდა.

ცნობის მოყვარეობამ სძლია სემიდას. გზად მიმავალი ბიჭი შეაჩერა და ჰკითხა:

— სად მიდიხარ, პატარა ბიჭო?

ბიჭმა შეხედა ქალს გაკვირვებით.

— მოედანზე, სემიდა-ხანუმ. — მოკლედ უპასუხა და წასვლა დააპირა.

— რა გინდა იქ? რა ამბავია? — კვლავ ჰკითხა სემიდამ.

ბიჭის გაკვირვება უფრო გაიზარდა.

— კეთროვანები უნდა ტივზედ დააკრან და წყალში ჩაუშვან.

სემიდა შეკრთა. ბიჭმა ეჭვის თვალით შეხედა და სწრაფად მოჰკურცხლა.

ქალი გაურკვევმა წინათგრძნობამ მიიზიდა მოედნისაკენ. აზრ მიუცემლად გაჰყვა ხალხს. ხალხის ცქერა თვალს ართობდა. გულის სიღრმეში ჩაძირულს ტკივილებს წუთით აყუჩებდა. ნათელი მზე კი მოდუნებულ ძარღვებს უთბობდა. სემიდას გულში ლოდისებური სიმშვიდე სუფევდა — მძიმე სიმშვიდე. თითქოს გული გაჰყროდა დარდებს. მხოლოდ სადღაც შორს, სიღრმეში, მოუსვენრად ჰკვნესოდა ჭრილობა და იყო ტკივილი დაჩლუნგებული და უპირო.

მოედანზე მილეთი ხალხი ირეოდა. ბრბო ფუტკარივით ბზუოდა და ეხეთქებოდა ხან ერთ ნაპირას, ხან მეორეს. ბოლოში, სადაც მოედანს მდინარე ჩაუდიოდა, ხალხი ტალღასავით ბობოქრობდა. იყო განუწყვეტელი სიცილ-ხარხარი, ლანძღვა-გინება და ორომტრიალი. მზე ცხელი შამფურივით დაღავდა ხორცს. ალმურ მოდებული დედამიწა თითქო მტვრად ქცეულიყო და კორიანტელის დიდი სვეტები გადაჰფაროდა მოედანს და ხალხს.

როგორც ტალღას ნაფოტი, ისე მიჰქონდა სემიდა ხალხს. სუნთქვა ეკროდა. მტვერი და ბუღი თვალებს უვსებდა, უნდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ ხალხი აღარ უშვებდა. ბოლოს სემიდა ხალხის ტალღამ მდინარის პირას გარიყა და თავი დაანება.

მდინარეში ბოძებზედ მიბმული ტივი ირწეოდა. შორი-ახლოს ბრბო ყაყანებდა და ილანძღებოდა.

— მოჰყავთ!.. მოჰყავთ!.. — გაისმა ხალხში და ეს ძახილი გრგვინვასავით მოედო მთებს.

სემიდაც თითქოს ამ ძახილმა გამოაფხიზლა. შეხედა ტივს, მერე ბრბოს. მოაგონდა პატარა ბიჭის ნათქვამი და ყველაფერს მიხვდა.

ხალხი შუად გაიპო. გამოჩნდნენ წყვილ-წყვილათ გადაბმული კეთროვნები.

კეთროვანთა ბრბო ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. თავჩაღუნულნი მოსდევდნენ გზას. წინ ვიღაც ბებერი მოუძღოდა, ხალხს ამშვიდებდა და რაღაცას ჰყვიროდა.

სემიდა ერთ ხანს გაშტერებული უყურებდა. მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილს და მოხუცისკენ გაექანა. უნდოდა ეყვირნა. უნდოდა თითქოს თავისი ყვირილით საშინელება შეეჩერებინა. მიუახლოვდა მოხუცს და გველნაკბენივით უკანვე გადახტა. იცნო მოხუცი ნიზამ.

მოხუცს უკან წყვილები მოსდევდნენ. ტიტველნი ტანნი იარებით იყო დასერილი. მძორის სუნი სდიოდა მათ სხეულს.

მათ უკან მოსდევდნენ უფრო ჯანსაღი კეთროვანები. მათი ხორცი არ იყო დაშლილი. მაგრამ იარები მაინც ამხელდნენ საშინელ სენს.

სემიდას თავბრუ ესხმოდა. გული ერეოდა. სუნთქვა ეკვროდა და მუხლები უკანკალებდა. გამოჩნდა უკანასკნელი განწირულიც. მის დანახვაზე ბრბომ დაჰქუხა და გაინაბა.

განწირული მიუახლოვდა სემიდას და თითქოს წუთით შეჩერდა მის წინ. ფიქრ-მიუცემლად შეხედა სემიდამ და შეჰკივლა.

— ჯემალ!

— ااااჰ! — შეჰღრიალა ბრბომ და განწირული მამაკაცი გაშორდა ადგილს.

და უნებურათ მოსწყდა სიტყვები სემიდას ტუჩებს:

— თან წამიყვანე, ჯემალ! ერთად წავიდეთ!

ჯემალ მოტრიალდა და უარის ნიშნად თავი გააქნია. სემიდას თავში უცნაურმა აზრმა გაიელვა, აეკრა გულს. ჩადრი მოიხსნა, მოსწყდა ადგილს და ჯემალის მკერდს მიეწება.

ბრბო შეინძრა, უკან დაიხია და მედგრად დასჭექა:

— ტივზე როსკიპი! ტივზე სემიდა!

სემიდამ ნეტარი ღიმილით უპასუხა ბრბოს.

IX

გაწყვიტეს თოკები. დაიძრა ტივი. ატბორდა ტალღა მდინარისა, აანანავა მძიმე ტივი და ნელა წაიღო.

ტივზე სხედან კეთროვანები. იარებიდან შავი ჩირქი სწვეთს.

ტივის ნაპირზე ქალია მიბმული მკერდ-გადახსნილი, თმა-გაშლილი. ბედნიერი ღიმილი თამაშობს ტუჩებზე. თვალებში ცეცხლია, სიხარული და სიამაყე. გვერდით ვაჟი უდგას, ისიც სიხარულით ასხივებული და ბედნიერი.

ნაპირზედ მოხუცი ნიზამ მიღოღავს და ისმის მისი მწარე ღრიალი:

— სემიდა!.. სემიდა!.. სემიდა!..

ძახილი მძლავრად ასკდება მთის კალთებს, იმსხვრევა მტვრად და წყლის ტალღებში იძირება.

მიხეილ მრევლიშვილი

მკერდშებოლილი მერცხალი

I

ჩადის ციხეს

თურმე კავკასიონის მწვერვალებს ღა შერჩათ თოვლი. ქედებს ცოტა ხნით მოსწყდა ნისლი და ჩადის ციხის მთას გამოეფინა ხალხი.

დაბლა მიბორგავს არაგვი და ჩამონარეგვ გოხებს მიაგორებს. ჩადის ციხის მთიდან ჩამორევია ფშაური სიმღერა დაღლილ მთიბავისა და არაგვს აფორიაქებს — არაგვს თავგზას აკარგვინებს. თითქოს ცელის ცელქი შრიალი ისმის ბალახში მოსისინე გველივითა და ფერდზე გადმომდგარა ჯანდამჯდარი მთაკაცი ხვედიაი.

ხვედიამ ლიტრა რცხილის ჯაგს მიაბა ჩამოქნილ წნელითა — წყლით სავსე ლიტრა რომ არ დაჰგორებოდა და მისი თვალი მოიტაცა ძირს გაწოლილმა სოფელმა. მის თვალთა წინ წამოტუზულიყო სოფლის კოშკი. მგონია, სოფლის ამბავიც გადაითვალა:

იყო სოფელი დოლი ხორბალივით ფერდას გაშლილი ტყე შემოჰხვევიყო — ხვედიაის თვალის წამწამებივით ხშირი და გაუვალი. სოფლისათვის სახელი არავის მიეცა, სოფელი განმარტოებით დაყუდებულიყო. კოშკი ხომ აუცილებელი იყო იმ ხანს, ოდეს ლეკები აწიოკებდნენ ქვეყანასა, ოდეს ლეკთა ბრბო ბალღებსაც აღარ ინდობდა. ლეკებმა ვერ მიაგნეს სოფელს, ლეკებს გადაურჩა სოფელი. უთუოდ უსახელობა შველოდა, უთუოდ!..

ერთ დღეს სოფელი შეიხიზნა კოშკში, ცხვარ-ძროხით, ავლა-დავლათითა. სოფელს მოეკალიავნენ ლეკნი, სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. შეხიზნებულებთან იყო ხვედიაი თავის პელაითა და პირმშო თორელითა, ეხლა წყალით სავსე ლიტრას რომ მისჯდომია, ხოლო მაშინ ძუძუს ებრძოდა, ძუძუს ეძალებოდა.

ხელთჩაერთვნენ სოფლად გადმობუნაგებული მთიულები და ლეკები. გაჩნდა კვნესა და ცეცხლი. ხვედიამ ამოიმიზნა ბელადი მტრისა და მისმა ყირიმულმა იგი შავეთს დაამზგავსა.

მოიღუნნენ ლეკები, განახევრდნენ, დაფრთხნენ.

ქოსა და მოხრილი ლეკი აეტუზა ბეჭსა და კარგად, ძალიან კარგად გამოზომა ხვედიაის მხარბეჭი, დაიხსომა, ყველაფერი გულს დაიკერა. ქოსალებს აუცახცახდა დახლეჩილი ტუჩები და ზედა ტუჩს აქა-იქ ამოგინგლილი ბალანი, ულუაშის მაგივრობას რომ უწევდა.

და ვიდრე მის საფარსაც არ მიაგნო მთიულთა ტყვიამ, ადგილიდან არ დაიძრა. შევიწროვდა და შეწუხდა ქოსალები, აიგუდა-ნაბადავა თოფ-იარაღი:

— რას სჩადის ციხე!! — დაიღრიალა და კუდამოძუებული გაჰყვა ბრბოს ნამცვრევსა.

კვლავ თვალთ წინ გიდგას ქოსალები, ხველიავ, წინ გიდგას და ჰფიქრობ:

— კი არ აიღოს მაგიერი?! — იქნება აიღოს, იქნება! მაშ, ლეკი რის ლეკია, თუ არ აისრულა დანამუქრი!

— ხვედიავ, ბალღი სად არის?! — გითხრა პელამა. შეკრთი, მთაკაცო, გული მოგეწურა ცეცხლწაკიდებულ ხოკერივითა.

— თორელი დაბმული ლიტრისაკენ წავიდა, თორელი აღარსადა სჩანს — ბუზღუნებს პელაი.

— ბალღი სად არის?! — იმეორებ, ხვედიავ და გარბიხარ ლელისაკენ: იქ არის ლიტრა, იქვე იქნება ბალღიცა. თითქოს თვალთ ჩამოგიბნელდა, ადამიანო, თითქოს ქოსა ლეკი თან დაგდევს. აღარ გასვენებს, აღარ გასვენებს!

— თორელო, თორელო...ო!! — ყვირის ხვედია! პასუხი არ არის. სიჩუმეა.

დედამ ქვითინი თივის ბულბულებთან დასტოვა და სოფლისაკენ დაეშო. ჩამოარეკინა ზარებსა და მდებარი ვიწრო ბილიკებით არაგვის ხევში გაიბანდა.

— ვინღა დაანთებს კერას?! — ღმუის ხვედია და ფეხშიშველა ფეხებს ღრმა ღელეებში დაახეტებს.

თორელი ჩაიყლაპა. გეში არსადა სჩანს, კვალი არ არის.

და თეთრი ღამე ჩამოდგა დედის ბოღმით გალესილი. მთვარე დასდევს არაგვს — ლომისის მთიდან ჩამოღვრილ რძის მდინარესა. ჩადის ციხეს ძაღლიც არა სჩანს. მანდილოსნები სათიბებთან მოსთქვამენ. თორელს ეძებენ, თორელს დედის ერთას, ცამეტი წლისას.

დედამ პირი დაიმიწა და თივის ბულულები ზენაქარს გაატანა დაცრემლილი და დამძიმებული.

ბალღი უგეშოთ დაიკარგა.

II

თორელი

და გარბოდი ლიტრისაკენ, თორელო, გაგისხლტა ფეხი და ხევში ჩაიჩეხე. თავს ნაბადი დაგეცა. პირი ხარის გინგლის ბურთით ამოგივსეს და ოდეს გონს მოხვედი, ორი ლეკი მიგაქროლებდა თოვლიან-ყინულიან მთისაკენ. ჰხედავ: გარბის მიწა შენს ფეხთა ქვეშ. ჰხედავ: გასცდი მლეთასაც. ქედიდან კვლავ გადაჰხედე არაგვს, არაგვის პირულ ჯაგებს, ერთხელ მწყრებს რომ დაუნგრიე ბუდე.

შეჰხედე ლეკსა. თითქოს გეცნო. ხვედიამ გიამბო ჩადის ციხის ამბავი. დაგახსოვდა ქოსა ლეკი. ის არის! ის არის!

მიჰქრიან ლეკები და თავს ესხმით ძანძახი.

ტყე რომ ჩამოიზნიქა კავკასიონიდან, წამოვიდა ზვავი და დაიტანა ია — ბნელ ხევში ამოტყორცნილი, დიდი ჭანდარი რომ ჰფარავდა. მაშინ დაიძრა ლაშარიდან გველის მჭამელი მინდიაი, მაშინ გადმოდგა ლომისის წვერიდან ვარდანიანთ გოგიაიცა. ალბად გული აუტოკდათ, ალბად!

გაგიტაცეს ლეკებმა და წინ აგიდარაბეს თოვლ-დანაბარდნი მთა-გრეხილი. გამოგამწყვდიეს, ბალღო თორელო, შუა ლეკეთს ყრუ ანდიასა.

დინჯმა ბელადმა აბულმა გადმოგხვია ხელი, კეთილმა მამობილმა აბულმა და ქოსას გაულალა საფასე — ცხვარ-ძროხა. და შეჰხვდი ლეკურ სიტყვას და შორს გასტყორცნე, ვითა კლდემ. კლდემ, რომელსაც მდინარე დაეჯახა გზის ძებნაში. ჰკვნესოდი, თორელო, უღვთოდა ჰკვნესოდი! არსად იყო საშველი, არსად სითბო!

თანატოლი მუსა დაიახლოვე. თანატოლი ლეკი შეითვისე — გულკეთილი, ნათელ თვალებიანი. სხვა არავინ, სხვა არავინ!

ერთხელ აბულმა ჩამოგიტკბილა სიტყვა!

— ისწავლე, შვილო, ლეკური სიტყვა, ისწავლე. ხომ იცნობ მოხუც ახუნდის? შენსავით ბალღი გამოიტაცეს გურჯისტანიდან. ჰხედავ, სოფლის ბოლოს მოხრილი ლეკი რომ მიიკაკვება? რა იცი, რომ იმასაც ქართული სისხლი არ უდუღს? ნუ დაერიდები, ბალღო.

დიახ, რა იცი, რომ ყველა ლეკს ქართული ჯანი არა აქვს? ეგებ თვით აბულიც ქართული თვალებით უმზერს ქვეყანასა? მაშ, რათა აქვს ხანდოველის იერი, რად?!

დიახ, რა იცი, რომ კეთილ მუსას დედაც ტყვე ქალი იყო შილდიდან?

ალბად, შეეგუები ლეკეთს, თორელო, ალბად!

დღეს კვლავ გასცქერ კავკასიონს და მინდა დაგითვალო ხვედიაის და პელაის ამბავი, ცეცხლწაუკიდებლივ რომ ჩაიფერფლნენ ჩადის ციხეს.

ხალხი დაგროვილიყო ჩადის ციხეს:

— ეგებ ავმა ქარმა გაიტაცა?..

— ხევში სადმე იქნება ჩამღვრჩალი.

— თუ ლეკებმა გაიტაცეს, მდევარს რამ დაუბა თვალები, რით ვერ მიაგნეს გზა-კვალსა?

— უჩვეულო ამბავია, საკვირველი! — გაიძახოდნენ.

ქვეყანა შეაჯერა მოხრილმა ხვედიამ. არ ასვენებდა ქოსა ლეკის ყბები და დაღესტანსაც რამდენჯერმე ესტუმრა; მაგრამ გამოიტირა ოჯახი და ჩასაქრობად ამტყდარი სისხლი. დარბაზში ღმუოდა პელაი და დარბაზისავე დედაბოძი. ყოველ დღე პელაის ღრიალი იკლებდა კოშკის კედლებს. ადვილია, ცამეტი წლის ნაამაგარის დაფუშვა?!

გაიარეს დღეებმა, ტანჯვამ თვეები დაიკონა და თითქოს მონელდა თორელის დაკარგვის ამბავიც. სოფლად კი მინელდა, მაგრამ დედის ძუძუ დაჭიმული იყო, დედის თვალი კი არაგვივით ჩამომდინარე. ხანდახან პელაის კვნესას ასდევდა ჩადის ციხეცა და არაგვი ცრემლებათ იღვრებოდა სურამის ციხიდან გამომდინარ წყაროსავითა.

ჩამოხმა ხვედიაი. უწილოდ რჩებოდა, დაკარგა იმედი და საფლავში ჩაიყოლა ბოღმა და ქვითინი. ეგებ გადარჩეს თორელი? და თუ გადარჩეს, ჩამოიტიროს მამის საფლავი; მაშინ დამშვიდდება ხვედიაის სული, ხანდახან სამარის მიწას რომ შეატოკებს ხოლმე.

ტრიალებენ დღეები შენი დაკარგვის შემდეგ, თორელო და ანდიიდან გასცქერი კავკასიონს, გასცქერი კავკასიონსა და აგითვალე ხვედიაის ამბავიცა.

ბნელ ხევში მოსული ია ზვავებმა დახარეს შენი წარბივით. ეგებ წელში გაიშალოს ია, გაზაფხულის მზეს რომ იხილავს, ეგებ შენც გაიხარო.

III

ალექსანდრე ბატონიშვილი

ერთხელ ლეკები შეიყარნენ აბულის კარს. დერეფანში იჯდა შუატანის კაცი — არწივისთვალება, ცხვირ კეხიანი. მის თვალებს მოლეშვა ეკვროდა, მის თვალებს ხანძარი დაენთო. შეიყარნენ ანდიელნი და კაცმა დაიწყო:

ხალხნო და ჯამაათნო! ტყეები დაიზნიქნენ გურჯისტანისა, მიწას თითქო ფერი გადაეცალა. გურჯისტანს, გიაურთა ურდოები დაეცნენ. გურჯისტანი დაინებიეს. ლეკეთს უკეთესი ტყეები აქვს, გურჯისტანის ახლოა. მალე ალბად აქაც მოვლენ და აბულის წვერს შეჰმურავენ, აბულს დოლბანდს ჩამოაცლიან, სპეტაკი აბრეშუმის დოლბანდს. თქვენ შემორკალული ხართ გიაურებისაგან, გაუხედნავ კვიცივითა, ველათ რომ გავარდა და ხალხი გარს მოერტყა ქამანდებით. საჭიროა სიფხიზლე და რაშივით ყალყზე დგომა, რათა გარს შემოხვეულმა მტერმა ქამანდით არ დაგინებიოს. მალე ქართველები შეჰმუსრავენ გიაურებს და თქვენი სილაღე, თქვენი სიამაყე უნდა გადმოაჩინოთ გერგეტიდან. თვალი გააგუშაგეთ, თვალი დაგეშეთ, რომ ტყე არ წაიბილწოს, რომ მიწას ცეცხლი არ გაუჩნდეს უდროოდ.

— მართალს ამბობს ალექსანდრე, მართალსა!! — იგრიალეს ლეკებმა.

— დღეს მთიულეთში აჯანყება აფორიაქებს ხეობებს, დღეს ხევებს მოსდევს და მალე ხანძარი გარესჯის უდაბნოდანაც დაიწყება. გულს დაუნთეთ სანთელი. გული ხანჯლებით დაისერეთ: ეგებ იხილოთ მზე და ზენაქარი — დაასრულა კაცმა და მიყუჩებული გული აუფორიაქა ლეკებს.

დერეფანშია თორელი, აქვეა კეთილი მუსაც.

— ვინ არის მუსავ?! — ჰკითხა თორელმა.

— ალექსანდრე ბატონიშვილი! — დიახ, საბრალო თორელო, მოღრუბლული ადამიანი ალექსანდრეა. ეხლა კი გეშველა, ალბად გურჯისტანში წაგიყვანს! შეეხვეწე ბალღო, შეეხვეწე!

უცებ ალექსანდრე წამოდგა, გაარღვია ხალხი და ღობესთან რომ ბალღი იდგა, გულხელდაკრეფილი, მიმინოს მზგავსი და დაფიქრებული მაღლა აიტაცა და გულში ჩაიკრა.

ბალღის დედამ პირბადე აიფარა და ღობეს გასცდა.

— შამილსა ჰკოცნის, მეგოდრის შვილსა.

— მეგოდრისა კი არა, მისი შვილია...

— ვერ ატყობ, როგორ დამსგავსებია?!

— მეგოდრე ხომ ცვედანი იყო, იმთავითვე, უშნო და უგვანი...

— ჩამოაჭკნო მშვენიერი ქალი, ქალს სიცოცხლე უნდოდა და...

— ამ ხუთი წლის წინად გადმოხვეწილი ალექსანდრე შეიყვარა და შეიჩვია.

— ჯან-ღონით სავსე ალექსანდრემ აჩუქა სისხლდაწმენდილი ვაჟი თავისავით დაუდეგარი...

— დედა იძახის: გურჯის სისხლი არ ასვენებს, გურჯის სისხლი ყოველთვის სულს უტოკებსო...

— იმ დღეს შამილმა ცეცხლი წაუკიდა მეგოდრის თივის ზვინებსა და ალეწილს ხანძარს გულმშვიდათ უმზერდა ბანიდან...

ხნიან ადამიანივით შუბლ დანაოჭებული და გულხელ დაწყობილია... ჩურჩულობდნენ ლეკები.

ალექსანდრემ მოიხსნა შანა და შამილს დაჰკიდა. რაღა მიეკარება ნეტა?! არაფერი, არავინ!

მაშინ-კი გაბედე მისვლა, თორელო, ალექსანდრესთან!

— წამიყვანე ჩადის ციხეს... დამიხსენი გადაგვარებიდან, შემარჩენინე სახე. — შეჰღაღადე.

— ვინა ხარ, ბალღო?!

— ქართველი... მთიული... ჩადის ციხიდან... — ალექსანდრე მიუბრუნდა ლეკებსა და დაიძახა:

— ვისთან არის ბალღი?

წინ წამოდგა დინჯი აბული, ქედი დაჰხარა.

— თორელი ჩემთან არის! — უპასუხა.

— თორელმა მოგაგონოს ჩემი სახე, თორელი შენი თვალის ჩინი იყვეს.

— თორელი შვილია ჩემი. ჩემი სახელი მაგისია, ჩემი სახლკარი თორელმა გაახაროს, ავლა-დავლათი თორელმა ზიდოს.

* * *

საღამოთი ხალხი დაიშალა და ალექსანდრემ გადალახა აბულის კარიბჭე. კარს შემოუსხდნენ ხნიანი ლეკები. დერეფანში ააბღავლეს ცხვარი და საკიდელიდან ჩამოიზიდა სახინკლე ქვაბი. ფანდურმა ჩამოიარა ხნიან ლეკთა ხელში და ანდიას გაიშალა ქება-დიდება ძველ გმირთა.

ალექსანდრემ მოგიხმო, თორელო, და წაგჩურჩულა:

— საქართველოში წაგიყვან, სახე შეგრჩება. შენ გარეთ გავარდი. იქ მუსა გელის.

— მუსავ, წამიყვანს; კვლავ დავეწაფები არაგვს. პელაი ჩამიკრავს გულში — ეჭიკჭიკებოდი მუსასა. იგი სდუმდა და ფიქრობდა.

მეორე დღეს ლეკებმა ალექსანდრე სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ეგებ შეასრულოს დანაპირები.

IV

მერცხალი ერდოდან

და ცხრა წელიწადი შესრულდა, რაც ლეკეთსა ხარ, თორელო! წელში ქოფაკი ლეკივით მოჰხრილხარ. სახეს გიმშვენებენ: ხვედიაისებური ცხვირი და ამონავარდებული ულვაშები.

მუსა ყვავილმა მოგიკლა, ძვირფასი ჭაბუკი, და კვლავ მარტო ხარ, კვლავ ჰკვნესი. მუსა სიკვდილმა შეითვისა.

გაზაფხულით მოხუც ახუნდის მიჰყიდეს ტყვე თათარი, ბეჭებ გამდგარი, სახე დაღრეჯილი, ცალთვალა.

ტყეში ხართ შენა და თათარი, ავდარი და წვიმა ადნობს თოვლს. ნისლი ჩამობუნაგდა ხევში და ცას აწვდილ წიფლებს ებრძვით, წიფლებსა სჭრით.

შენ აებღატე ქედს ამოზიდულს წიფელსა, ობოლსა და განცალკევებულსა და ჩამოაჩეხე წვერი. ეგებ წმინდა ხე იყო, ეგებ ხატის ნიში! მაშ, რად მოგისხლტა ფეხი! მაშ, რათ გაიშალე თათრის წინ ცოცხალ-მკვდარი!

თათარი დაგეცა ძერასავით, საბრალო თორელო! თათარმა ჩაგიტანა აბულთან. შეშფოთდა მამობილი, მოლა აყვირდა ჯამედან და მოხუცმა ახუნდიმ ლოცვა გადაგითვალა შუბლთან. მაშინ კი გაახილე თვალი. თავს გედგა თათარი, ჩამომდნარი, შემკრთალი. ეგებ შენ უფრო ახლო იყავი იმის გულთან, ეგებ შენ უფრო შეგითვისა ამ თოვლიან-ყინულიან მთებში, ვიდრე სხვა ვინმე?!

— ვინა ხარ? — ჰკითხა თათარსა.

— შენსავით ტყვე.

— სახელი?

— თუმბოლ.

— შენ ძმა იქნები ჩემი, თუმბოლ, ჩემი ძმადნაფიცი!

ახუნდიმ ლოცვა დაიწყო და ორი ტყვე დაეცა მუხლთ. ძმად გაიფიცნენ. ფიცვერცხლი სჭამეს.

ახუნდიმ ნება მოგცა გარეთ გასვლისა, ბანს გადასჯექი და დააცქერდი ანდიის მოედანს.

ჰხედავ! გამოგმანდა დერეფნიდან თულუხიანი ქალი. წყალისთვის თუ მიდის? რათ შესცქერ გაკვირვებული? ქალი მოგიახლოვდა, თვალთ ხელი დაიჩრდილა.

— თორელო! ჩვენ ბაკთან ჩამოხვიდოდე, მთვარის ამოსვლამდის. — გითხრა ქალმა და გაქრა დილის ცისკარივითა.

შეხვდი შინ. უმზერ ერდოს. თითქოს იქ არის მაჰმუდის ქალი. ცხვრის თვალებს ანათებს. მკერდს ლეკური ყველი დაულაგებია. ხტის ყველი მკერდიდან და შენც სცახცახებ. ქალი იცინის და ბაგეთა იქით ფერდას აკრეფილ ღრიანჭველებს აჭრიალებს. წარბებათ ხუთი წლის ბალღის შოლტი გადაუჭიმავს და უღვთოდ იცინის, გკოდავს.

უცებ მოფრინდა მერცხალი, თქვენს ერდოს რომ შემოეჩვია. მერცხალი მხარს დაგაჯდა და ჟღურტულებს.

დაუყარე ქერის მარცვალი და მაინც ჟღურტულებს.

აბული ეწვია დარბაზსა — მოხუცი და მოხრილი. მერცხალი ერდოში ასრიალდა.

— რამ დაგაფიქრა? — კითხულობს აბული. მხრები ღა აიჩეჩე, თორელო! პასუხის თავი აღარა გქონდა.

მერცხალი ერდოდან გაფრინდა.

V

დეი

ბარის ლეკეთს მოაწყდნენ გიაურები, ბარის ლეკეთს ყაზახებმა გადაირბინეს. განა ედგომებოდა ღა ლეკს ბარათ? და დაიძრა ურმები შუა ლეკეთსა, ანდიისა მიყრუებულ ხეობებისაკენ. ლეკს უნდოდა სილაღე და იალაღებს მიატანა... აბუნაგდნენ მთაში და ხმალი ალესეს ლეკური ჯიხვის ქონითა და რისხვად მოევლინნენ მოსულ გიაურებს. ლეკთა განავარდება ელვა იყო, მათი ბრძოლა — ჭექა-ქუხილი.

და დაატოვებინეს თემირხანშური მაჰმუდსაც. ეწვია ანდიასა უკვე მეორე წელიწადია, ეწვია თავის მშვენიერი ქალითა და სოფელს თვალი დაუყენა.

სოფლის ბოლოს გაიჭიმა ციხე-დარბაზი მაჰმუდისა. ღელიპირას გადადგა დიდი ფარეხი და მოტვლეპილ მთას გადაიჭიმა მისი ნახირი და ცხვრის ფარა.

ერთ საღამოთი მის ფარეხთან აიჩრდილნენ თორელი და მაჰმუდისავე ქალი. ქვევით ნაკადული ხმაურობს, ღელის ბოლოს ცხვარი იცოხნის. ფარეხი სდუმს, სდუმს თორელიც. როდემდის გასტანს დუმილი, როდემდის? არ არის სიტყვა საკმარისი, არც ძალა შესწევს.

— რა გქვიან, ქალო?! — უცებ მიახალა ვაჟმა.

— დეი! — უპასუხა ქალმა: — სიდან ჩამოვარდნილხარ. გული გტკიებია. მოგიკვდეს ჩემი თავი, მომლელი არა გყოლია...

— ...რას დაგიჭყეტია თვალები? აბა დახუჭე... ჰო, ეგრე, ეგრე, ხა!-ხა!-ხა! — კისკისებს დეი.

— დეი!! დეი!! — იძახის ვაჟი და გულში ჩაიკრავს დეის, თვალებს ცხელი ტუჩებით უკოცნის.

ქალიც ეკვრის, ქალიც ეხვევა.

— დეი! მარტო ვარ, კერა დაბნელებული. წამოდი ჩემთან, აბული ელის ჩემს ბედს, ვითა შვილისასა, დეი, წამოდი ჩემთან. აბული გაგვიღებს კერასა. დეი, დედობა გასწიე.

ღელედან გამოჩნდა ქეჩი ცხვრისა. ღელედან ძაღლები იყეფებიან.

— კმარა... ცხვარი მოუდის ჩემს ძმასა. გესმის ძაღლები იყეფებიან? — სთქვა ქალმა, არაგვულ კალმახივით გასხლტა და სიბნელეს ჩაეკრა.

სახლში თორელს თუმბოლი დახვდა.

— აბული სად არის, თუმბოლ?!

— მაჰმუდს ეწვია. გიაურებს ჟლეტას უპირებენ, ბარში სალაშქროდ მიდიან.

— თუმბოლ! უნდა იცოდეს ყველაფერი, თუმბოლ, ძმად ნაფიცო!..

— მითხარი...

— მაჰმუდის ქალი მიყვარს. დეი ჩემთვის ფიქრობს, დეი ჩემი უნდა გახდეს. უნდა მიშველო რამ. აბულს დაყოლიება უნდა, თუმბოლ! აბულს მოლბობა უნდა.

— თორელო, რათ დაგეკარგა ზომა და მანძილი?!

ქართველი ხარ და...

— მოვიტაცებ... აბული მთაში გაგვისტუმრებს ცხვართან. ქალი თანახმა არის.

თუმბოლი მოიღუშა და ჩაილაპარაკა:

— ნუთუ დაგავიწყდა ხვედიაი, ნუთუ არ გესმის საღამოობით პელაის კვნესა? მაშ დაიხიე უკან. დაიხიე, ჭაბუკო! გადაჰხედე შენს არაგვის ხეობას...

— ჩემ თვალთა წინ ყინულიანი მთა არის, ჩემი გული დათოვლილია, სახე გადაგვარებული.

— გავიდა თორელის ადამიანი აბეზარი, აბეზარი ძმადნაფიცი.

თუმბოლი ფიქრობს:

— თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის, შველა ადრევე უნდა შემოვახვიო თავს; თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის.

VI

თუმბოლი

თუმბოლი შორეულ სამხრეთიდან არის. ლეკებს ცხვირ დახრილმა კაცმა მიჰყიდა — კი არ მიჰყიდა, ხელში შეაჩეჩა ნახევარ ფასად. ეგებ თავი მოაბეზრა ცალთვალა თუმბოლმა? ცალი თვალი უფრო რომ გაჰშავებია? სიშავეს ნათელი მოუსპია შენთვის, ძვირფასო თუმბოლ! ხოლო გული დათვალიანებული გაქვს, გული — შორს მზირალი.

ერთხელ კერი-პირას გამოეხმაურა აბულსა:

— აბულ! ოჯახს მოვლა, ოჯახს სიცოცხლე უნდა.

— დიდიხანია ჩემ კერას გაუწყდა პატრონი. დიდიხანია ჩემ სტუმარს აღარა ჰყავს დამხვედრი. სად არის საშველი? სად არის? — უპასუხა აბულმა.

— თორელი შვილობილია შენი, თორელი შვილობას გაგიწევს, იმას თანატოლი უნდა, შენს კერას კი გაღვიება.

— თორელის ბედი მეც მაფიქრებს... თორელი მართლაც შვილია ჩემი. — განაგრძობს აბული.

აბულ! სიცოცხლით მოვა დეი შენს ოჯახში. აბულ, თორელის მკერდი დეისათვისაა.

მაჰმუდის დეი მშვენიერია, მაჰმუდის დეი დედა იქნება ძვირფასი.

— მაჰმუდი შენს წვერს არ შეურაცყოფს. მაჰმუდი გამოგეგებება.

მეორე დღიდან გააჩაღეს მითქმა-მოთქმა. გადაილალა საურვადე — ცხვარ-ძროხა და აბულის ბუხრიდან კვამლმა იმატა. დეი დაუტრიალდა ოჯახს, დეიმ თორელს მოუტანა მკერდს ჩალაგებული ლეკური ყველი და უბიწო ტანი.

და გაიხმო თორელი ღელისაკენ თუმბოლმა.

— დეი სად არის?

— მამის სახლში. — უპასუხებს თორელი.

— უნდა წავიდეთ აქედან. უნდა გავიპაროთ. უკვე შეგეშალა სახე და სხვა ლეკივით ალბად მალე ჟღურტულსაც დაიწყებ. წავიდეთ თოვლისა და ყინულის იქით, იქით, ჩადის ციხეს, ხვედიაის მზესთან, პელაის ცრემლებთან.

ჩუმათ არის თორელი, დაღვრემილია. გაორებული აქვს გული.

ჰხედავს: გაიჩეჩა მიწა და თითქოს დეი ამოძვრა. ჯადოსავით გადაეხვია და დეის ნასახმა უთხრა თორელს:

— შვილი მიიღე, თორელო, შვილი...

გამოერკვია თორელი და ამბობს:

— დეის რაღა ვუყო, შვილს რა ვუწამლო?..

— დასტოვე დეი.

— მემრე?..

— წინ უფსკრული გაქვს, ჩაიჩეხები, დაიღუპები.

— თუმბოლ, დეის ვეტყვი ყველაფერს, დეი გამომყვება საქართველოში.

და სდუმს თუმბოლ, ბრმა თვალი დაუხუჭავს, ზომავს რაღაცასა. შემდეგ თორელმა გადასჭრა:

— ჩვენ ვერსად წავალთ.

— არსად წავალ? — ჰკითხა თორელმა.

— დიახ, დავრჩებით ლეკეთში. დღევანდელი ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს. გულს დაიმარხე. დეი ქალია, დეისთან კრინტი არ დასძრა. დიახ, დავრჩებით ლეკეთში. ფიცი, თორელო, ფიცი დასდევი.

— ვფიცავ ხვედიაის სისხლსა, ხმა ჩამიწყდება. გითხრა და სამარადისოთ დაიმარხა გულს ყველაფერი, სამუდამოთ.

ღამეა. სწუხს, თუმბოლ, შენი სული, სწუხს. ვერ დასტოვებ ძმადნაფიცს, თორელი გინდა ლეკეთს გააცილო, ეგებ ფიცი გაქვს?!

სწუხხარ და სწუხს დავით გურამიშვილის სულიც — ღამე ლეკეთის ხევებს რომ ჩამოუვლის ხოლმე. ჩამოუვლის ქარიშხალსავით და კვნესის. კვნესის გურამიშვილის სული და კვნესის მერცხალიც, ერდოს რომ შეეჩვია, თორელის მეგობარი მერცხალიც.

VII

მკერდშებოლილი მერცხალი

სუსხი ჩამოვიდა მთებიდან. ზამთარია. ყინვამ ხალხი სახლებში შელალა, და გაატკბო უკბილო ბუხარი და ზღაპრები. ლეკები ბარში არიან. მუსრს ავლებენ გიაურებს. ბარშია თუმბოლიც. მარტო არიან თორელი და დეი.

პატარა ბალღი ახმაურებს დარბაზს. ვაჟია პირმშო — ხვედიაის დანაფერები. თუმბოლმა ბიწალაი დაარქვა. ხმაურობს ბიწალაი და კვნესის მერცხალი. „ის“ მერცხალი ამ ზამთარს ანდიას დარჩა. თოვლმა და სუსხმა ერდოს ჩააცილა და ეხლა ხარიხას აზის, კერის თავს რომ ჩამოუკიდიათ სველი ტანსაცმელის გასაშრობად.

ხარიხასთან თბილა. ძირს კერა ღვივის, ძირს კერა ბოლავს. კერა ბოლავს და ჰბოლავს ხარიხას, ჰბოლავს მერცხალსაც.

— ჩღჟ! — ჟღურტულებს მერცხალი.

— ნეტა რად დარჩა? — ამბობს თორელი — რატომ არ უნდოდა ჰინდუსტანის ხილვა?

ბოლავს კერა და უშავდება თეთრი მკერდი მერცხალსა. ბოლავს კერა და რძის ფერ მკერდს, გულს ეკარგება სახე.

გადაფერდა მერცხალი. მკერდშებოლილი დასჭიკჭიკებს ხან თორელსა, ხან ბიწალასა.

ძვირფასო მერცხალო! შეგბოლია გულმკერდი და ჰკვნესი. იწიწკნი გულს, არა ეშველარა, მაინც იმჭვარტლება, ეხლა თორელთან მიჰფრინდი, მარცვალსა ჰკენკავ.

— ჩიტო პატარავ! რად აირჩიე ბინად ქვეყანა თოვლისა და ყინულისა?! ნუთუ თვალმილულული იყავი და ჩამორჩი მეგობრებს? ეგებ მეგობრებმა თვითონ დაგტოვეს? მაშ, რად დარჩი აქ? მაშ, რად გებოლება გულმკერდი? — ჩაგძახის თორელი.

— ალაჰ, ალაჰ! — იძახის დეი და ატატიავებს ბიწალასა.

— ტაატი! ტაატი! — ისმის დარბაზში დეის ხმა. შენ დააფრინდები ხოლმე დეისა და ჰკორტნი. სახეს აწიწკნი.

თორელი სდუმს, თორელი გივლის, ძვირფასო მერცხალო! მკერდშებოლილო, გაყორნებულო, ჩიტო პატარავ!

VIII

როგორ ჩამოაცალა სისხლმა მერცხლის გულმკერდს მჭვარტლი

ანდიასაც ეღირსა გაზაფხული. ანდიიდან თოვლი ჩამოიხვეტა.

თორელი ბანს ჩამომჯდარა, ქალამნებს ასხამს. ზვავებმა ღელე ამოავსეს, ზვავებმა აიკლეს ანდია. გამოტირება არის თოვლისა.

უცებ იგრიალეს მერცხლებმა და ასკილს დაესივნენ, ასკილს, ბანის გვერდით რომ ამოუხეთქია. ჟღურტულებენ მერცხლები და შესცქერს თორელი. იქვე არის მკერდშებოლილი მერცხალიც, საბრალო და ბეჩავი.

გაუცალკევებიათ. მგონია სდევნიან.

— გული მჭვარტლმა შემომჭვარტლა! — ჟღურტულებს მკერდშებოლილი მერცხალი.

დასჭყივიან თეთრგულა მერცხლები, ჰინდუსტანიდან ეხლახან მოსულები. არა სჯერათ, რომ ისიც მერცხალია. იქნება სჯერათ, მაგრამ სძულთ მკერდშებოლილი მერცხალი.

რა ვიცით?

თავი დაჰკიდა მკერდშებოლილმა მერცხალმა. კვნესის მერცხალი და კვნესის ასკილიცა.

კვლავ იგრიალეს ზვავებმა და ჩახერგეს ღელე. დეიმ წყაროსაკენ ჩაირბინა თულუხითა. თორელის წინ კი დაეცა მკერდშებოლილი მერცხალი — ყელგამოღადრილი. მერცხალმა თავი მოიკლა. პაწაწა პწკარებით ყელი გამოიღადრა.

ღვარად წავიდა სისხლი. გადადიოდა შებოლილ მკერდზე, გადადიოდა სისხლი და თან მიჰქონდა მჭვარტლი, და სისხლმა, უბიწო სისხლმა მკერდი გადაუთეთრა.

უმზერ თორელო! უმზერ და გული გიტირის. დასწვდი მერცხალსა და შევარდი დარბაზში. მერცხალმა თავი მოიკლა და ზვავებმა მოუმატეს ჭექასა. ღრუბლები გადაიკრიფნენ კავკასიონიდან. თუმბოლ, თუმბოლ, რად დაეკარგე თორელს?! მერცხალმა თავი მოიკლა. ეხლა უნდა შველა. ეხლა ოდეს სული აუფორიაქდა.

ტახტზე იწვა აბული. გულს დაესვა ბიწალაი, ემასხარავებოდა, ართობდა.

— ეგრე ნუ!.. ბალღო, ეგრე ნუ! — ეუბნებოდა ბიწალასა, თორელო, შენ კი კარებთან იდექი მერცხლითა — მკვდარ მერცხლითა.

ჰხედავ, ბალღი წვერს აწიწკნის. ბალღმა სახე დააგაზა აბულსა.

— დალახვროს ალაჰმა, გიაურის თვალები უსხედს! — ამბობს აბული.

— გიაურ!.. გიაურ! — იკივლა, ოდეს ბალღმა მთელი მუჭა წვერი გამოაბდღვნა. — წყეულიმც იყავ, წყეულიმც, გურჯო მოუსვენარო!.. — ჩაიბურტყუნა აბულმა, დაახეთქა ტახტზე ბიწალაი და კარიბჭეს გასცდა.

დეი მოვიდა წყაროდან. მიაგებე მკვდარი მერცხალი.

— დეი, ძვირფასო, დეი! მერცხალმა თავი მოიკლა — შეჰკვნესე. დეის ქვითინი წასკდა. არასოდეს ესე არ ამოსჯდომია გული. იქნება მისმა გულმაც იგრძნო რამ?

— დეი, უნდა წავიდეთ აქედან! მერცხალი მიღრღნის გულს, დეი, აქედან უნდა წავიდეთ. მთებს იქით არაგვია. აქ კი სიკვდილი, ან სახის დაკარგვა. ბიწალაის ჩაიკრავს პელაი, დეი, ჩვენ წავალთ აქედან.

— გონს მოდი, თორელო! დაგვიწყებია, რომ დეი ლეკია. — გიპასუხა დეიმ:

— დეი, სახე დამეკარგება ძვირფასო, დამტანჯავს მკერდშებოლილი მერცხლის სისხლი, გულს რომ დამეცა.

— ჯერ ისევ ტყვეთა ხარ. ჯერ ისევ მონა. — გეუბნება დეი. დეი ჯიქურ პასუხს გაძლევს.

— გავიპაროთ, ქალო! აბული ღრძოა, აბულმა წყევლა და გესლი დაალოცა ჩემს შვილს.

— გურჯისტანში გიაურები აღრჩობენ აჯანყებას. გურჯისტანმა თვითონ დაჰკარგა სახე. იქ რაღას ეძებ? — ამბობს დეი.

— მართალს ამბობ, დეი. გურჯისტანში გიაურები არიან. — უთხარი და მიეგებე ძმადნაფიცს, გულხელდაკრეფილი რომ მისდევდა დარბაზს.

— თუმბოლ, თუმბოლ! მიშველე. სახე დავკარგე... სული წამერთო. მერცხალის სისხლით გადაჰრეცხილი გული აღარ მომასვენებს.

თუმბოლი დაიხარა. ბიწალაი დაჰკოცნა და ბრმა თვალით რომ გაზომა დეი, დაიძახა:

— შენ ვერსად წახვალ.

ორივე დადუმდით.

IX

თმებგაშლილი დედა

და იმ ღამესვე, ოდეს ღრუბლებს იქით გატყდა მთვარე, აბულის კარს აჭიხვინდნენ ცხენები.

— დეი მამის სახლშია.

— თორელო! — დაიძახა თუმბოლმა. მერმე დადუმდა და ძლივს ღა გაბედა:

— ბალღი დასტოვე, თორელო. — უთხრა თუმბოლმა და წარმოუდგა: თმებგაშლილი დეი, გაუბედურებული დედა; ლომი უდაბნოდან მოტაცებულ ლეკვს რომ მისდევს გადასარჩენათ. — ბალღის წაყვანა სახიფათოა: შემდეგ დაუმატა:

— მაგრამ არა. ბალღს უნდა სახე, ბალღი უნდა წავიყვანოთ.

თორელმა ცხვრის ტყავში გახვია ბალღი და ცხენები უკვე ულრანს ტყეში მიაგელებდნენ ტყვეებს. ძირს დამპალ ტოტებს ძლივს უქცევდნენ და მაღლა ჩამოწოლილ ხეებს.

— თუმბოლ! — შესძახა თორელმა.

— სთქვი! — უპასუხა თუმბოლმა.

— დეი იქ დარჩა... დეი საბრალო დედა არის. — თითქოს დაიკარგა თორელის ნათქვამი. ტუჩებთანვე ჩაწყდა.

მიჰქრიან ტყვეები ტყეში. ბიწალაი მამას ეხვევა.

ჰხედავენ, თითქოს ანდიას ცეცხლი წაეკიდა; ძაღლების ღმუილმა ღელეები გამოაყრუეს.

იმ დროს დეი მამასთან იყო.

— ეგებ შენცა გსურს გურჯისტანს წასვლა? — უთხრა მაჰმუდმა საბრალო დეის და დაუმატა:

— მაშინ წადი, შვილო. — ალბათა სცდიდა მაჰმუდი? იმიტომ თუ ურჩია წასვლა.

— ჩუმად, მამი, ჩუმად! ლეკეთს იქით ჩემი ფეხი გახმება, თვალი დაბრმავდება, გულს ჭია ამოსჭამს. — უპასუხა დეიმ! მაჰმუდი ჩუმად იყო. ნეტარი ღიმილი დასდევდა მის თვალებს.

— დღეს გიაურები და ქართველები ერთნი არიან. ჩვენთვის ორივე მტერია, გიაურივით უნდა გვძულდეს ქართველიცა. დეი, შვილო, შენ გაუბედურდი, მაგრამ გვიანღა არის, თორელმა დაგვასწრო და შეგიუღლა, აბულმა დამახათრა.

— თორელი რომ გაიპაროს? — უცებ შეეკითხა ქალი.

— ვერ გაიპარება, შვილო, ვიდრე ანდიის მდინარეებს გასცდებოდეს უმალ მოსპობენ შენი ძმები.

— ოჰ! — გული აუკვნესდა დეის.

— ეგებ გეძნელება თორელის დათმობა! — ან ბალღისა, რომელსაც გურჯის სისხლი არ ასვენებს.

მაშინ გავარდა გარედ გულდაკოდილ ძუ ლომივითა და ხალხს მიაშურა.

— ეგებ გაიტაცოს ბალღი? ან როგორ დასთმობს, თორელი ტკბილი მამა არის, ჩუმი უფროსი ოჯახისა — ჰფიქრობს და მიჰქრის.

— ეგებ შეიცვალა თორელი. ეგებ მკერდშებოლილმა მერცხალმა გადატეხა. მაშ, რად შეშფოთდა ისე ძალიან? რად?!

ღამე წამოსწოლია ანდიას. ღრუბლებს იქით მთვარე მაინცა წვალობს. ხანდახან იელვებს! გვალვის ელვა თუ არის. დეი გარბის და შფოთავს.

თუ ბალღი გაიტაცა, მაშინ გააფთრდება, აედევნება დეი და დაჰგლეჯავს თორელის საყვარელ ღაწვებს.

სახლში ბნელა, აბულიც არ არის.

— თორელო!.. ბიწალავ!.. — ჰკივის ქალი. სიჩუმეა, გადაატრიალე დარბაზი. ბალღი არ არის, თორელი გაჰქრა.

— თორელო, ჰაი, თორელო! სად დაიკარგე? ჰა, სად დაიკარგე?!

სიჩუმეა. გარეთ მაინცა ელავს. მთვარე მაინცა წვალობს ღრუბლებს იქით. ქარიც ამოგრიალებულა და, უბედურო დედავ, გარეთ გაიტანე გაშლილი თმები.

— ბიწალო, შვილო! — არემარე თითქოს უდაბნოთ გადაქცეულა.

და შუაღამისას გაისმა სოფლად თმებგაშლილი დედის წივილი. სოფელი შეშფოთდა. მოედანს მაშხალები დაანთეს და მდევარი აედევნა დაკარგულებს.

დაგრეხილ ბილიკებს გამოჩნდა, თმებგაშლილი დედა თავაწყვეტილ რაშითა.

დეი სდევნიდა თორელს. დედა მდევარით მისდევდა შვილის გამტაცებლებს.

ძაღლების ღმუილმა თითქოს ღელეები გამოაყრუა.

X

თუმბოლის თითები

და კავკასიონი აიწოდა ძმად ნაფიც ტყვეთა წინ. — კავკასიონი — თოვლიან-ყინულიანი. არსად არ არის გზა. გადასავალი დახშულია. ერთადერთი უღელტეხილი იზიდავს ტყვეებს. გადასავლელია: კლდე — უძირო უფსკრული. ძირს სიკვდილია. წინ გადასაჩეხი. კლდეს ნაბილიკარის მზგავსი ზოლი მისდევს. ზოლი დიდრონ ლოდებისა — ალბად ჯიხვთა სანავარდო.

უკან — თმებგაშლილი დედა და მდევარი მიჰქრის. უკან — ღრძო ლეკის ქალი დეია.

არ არის ხსნა. არ არის საშველი.

— უნდა გავხოხდეთ კლდეზე. იქით ხსნა არის, იქით არაგვის სათავეებია. — ეუბნება თუმბოლ. თორელი გარინდებულია, თორელი ბალღს დასცქერს.

— ჩავიჩეხებით ხევში. ბალღიანათ ჩავიჩეხებით.

— დავბრუნდეთ ანდიას. — უპასუხა თორელმა. ენანება შვილი. თვითონაც ვერ გაჰბედავს კლდის გადასვლასა. დაშინებული არის. ტყეში ხიდან რომ ჩამოვარდა, მაშინ თუ დაშინდა? დიახ, მაშინ დაშინდა! თუმბოლმა დაგანახვა ბილიკი, თორელო — ბილიკი, სადაც შავ ზოლად მისდევდა მდევარი და თმებგაშლილი დეი.

— უკან სიკვდილი მოგდევს, თორელო! — გითხრა თუმბოლმა.

— შვილი დაიღუპება...

— ლაჩარი ყოფილხარ, უშნო და უნებო. მერცხალმა თვით მოიკლა თავი და სახე შერჩა — შენ საიმისო ძალაც არა გაქვს. დეი მოგკლავს უსახურსა და ბეჩავსა: წადი წინ, თუ გინდა სახე. — გითხრა თუმბოლმა. შენ დაეცი მიწას და დიდხანს ჩაჰღმუოდი. ოდეს მაღლა აიხედე, თავს დაგდგომოდა თუმბოლი. ბალღი უკვე გაეყვანა სამშვიდობოს.

— აიხვიე თვალები! — გითხრა, და შენც აიხვიე თვალები, შემკრთალი და შეშინებული თვალები.

მაშინ აგზიდა თუმბოლის მარჯვენამა და ზურგს წამოგიკიდა. მიბორძიკობს ძმად-ნაფიცი და ზურგსა ჰკიდია ადამიანი, მხდალი და უნებო. ბორძიკობს უფსკრულის პირას თუმბოლი, კინაღამ ჩაიჩეხა ხევში, ქუჩმა ბენტერამ უშველა, ქუჩმა ბენტერამ ტოტი გაუწოდა.

და ოდეს სამშვიდობოს გახვედით და თვალები აიხსენი, შენ წინ იდგა სახემკრთალი, ხელებდასისხლიანებული თუმბოლი. თითებს წვერები წაჰგლეჯოდა, თითებიდან ფრჩხილები დასძრომიყო, ოდეს თუმბოლი დაოთხილი მიხოხავდა კლდის პირას, ოდეს თუმბოლს ძმადნაფიცი ეკიდა ზურგს.

თუმბოლმა გაჰხედა გამოვლილ გზასა და დაინახა, რომ სისხლის წვეთები და თითებიდან წაგლეჯილი ხორცის ნაგლეჯები გაზოლიანებული გზასავითა.

— დეე, გზად დარჩეს ჩვენნაირ ტყვეთათვის. — ჩაილაპარაკა.

განა მიეკარებაღა წვიმა და ავდარი თუმბოლის სისხლსა?! ალბად, საუკუნოთ დარჩება? დიახ, საუკუნოთ.

კლდეს უკვე მოადგა თმებგაშლილი დეი და მდევარი. კლდემ გული გაუპო და შეაჩერა. ორი დღე იდგნენ კლდის პირასა და დაბრუნდნენ უკან.

კლდესთან დარჩა დედა, უბედური და თმებგაწეწილი. შვიდი დღე იდგა კლდისპირასა და მეშვიდე დღეს გადაიჩეხა უფსკრულში. თმები დაახვია ბენტერა ქუჩსა და გული ქვა ლოდსა, ქუჩთანვე რომ დაყუდებულა.

ტყვეები დაეშვნენ პირთაქვე. ქვევით სითბოა, ქვევით არაგვია.

XI

საღამოთი შემოჯდა ეორანი

ერთ ალიონისას, განაწამებ ალიონისას თუმბოლმა გაიწოდა საჩვენებელი თითი:

იქით მოსჩანდა არაგვი. გაღმა მთის წვერს წამომდგარიყო ლომისის ძლევამოსილი ტაძარი, ძირს — მლეთა, ქვეშეთი, ნაღვარევი.

— ჰხედავ?! თორელო, ჩადის ციხე ძლივს მოსჩანს. და აღსდგნენ ბალღობის დღეები შენ თვალთა წინ. მიხვალთ პირთაქვე და გული საგულეს აღარ არის.

ეხლა უფრო უფრთხილდები ბიწალასა. გულში იხუტებ მკერდშებოლილ მერცხალსაც — ანდიიდან რომ წამოიღე.

გაღმიდან ფშაური ღრეობა ისმოდა და არაგვის პირას შეგეხეჩათ წელმოქნილი და სახე დაღარილი მოხუცი.

— ვინ არის თუმბოლ? მოხუცი, ვინ არის? ჰკითხე თუმბოლსა.

— ხევის ბერია, ვარდანიანთ გოგიაი — მთიულთ სიამაყე!

მაშინ გადაეღობე წინ, თორელო და აუძრახე:

— თუმბოლს დაგლეჯილი აქვს თითები, თუმბოლს მოვლა უნდა, მთის ფერდას შავი ბალახი დაიდო და დაუსივდა. ეგებ შენი ჩამომჭკნარი ხელი მალამოთ იქცეს. — გოგიამ მალამო ამოიღო და შენ დაჰკუწე აბრეშუმის ახალუხი — დეის ნაოსტატარი — ძვირფასი სახსოვარი და შეუხვიეთ ჭრილობები თუმბოლს. თუმბოლი ამეტყველდა:

— მოხუცო მთიულო, ჩაიბარე თორელი. ჩაიბარე და აჩვენე ხვედიაი, ჩაიბარე და აჩვენე პელაი, თორელი ჩადის ციხიდან არის, მე კი ვეწვევი ჩემ კერასა და ადამიანს, რომელმაც ლეკებს მიმაჩეჩა იმისთვის, რომ თორელი დამეხსნა ტყვეობიდან, რომ თორელს სახე შერჩენოდა. ვეწვევი იმ კაცსა, რათა დაუმშვიდო სინდისი.

— უჩვეულო ადამიანო! მითხარი, ვინ გამოგგზავნა?! — ეკითხები თორელო. — და სიტყვა ამოუშო მისმა ბაგემ და სიტყვა იგი ასრულებულ არს. ალექსანდრე ბატონიშვილმა სიტყვა შეასრულა. ალექსანდრე ელის ჩემ დაგლეჯილს ხელებს. — გიპასუხა თუმბოლმა და დააცხრი მის ხელებს და ბაგენი სისხლით შეიღებე.

— თუმბოლ, ხვედიაის კერა შენც მიგიღებს: დარჩი ძმადნაფიცთან, დარჩი ჩადის ციხეს.

— კერა მელის, მელის ფიცი და ალექსანდრეს დავალიანებული სინდისი. — სთქვა თუმბოლმა და გასცდა მთიულებს.

მიხვალ ფიცისაკენ და მკლავი მაინც გისივდება. მგონი, ცალი მხარეც დასივდა. თვალებს ბინდი ერევა, ბრმა თვალსაცა და საღსაც. ნისლებში ეხვევი, თუმბოლ! მოკაკულხარ ვარდანიანთ გოგიაისავით; ეხლა კი ვეღარ მიხვალ, არამედ მიხოხავ.

წყალი გინდა, წყალიც გაწყდა ამ ქედობას. ქვევით არაგვი მაინც გოხებს მირეგვავს, — ამ ქედობას კი წყალიც გაწყდა.

ჩოხა ჯაგს გამოედო. და რომ გაიზიდე — ფლატემ ჩაიფინა შენი განატანჯი სხეული. ალბად, სისხლი მოგეშხამა უთუოდ, უთუოდ შავმა ბალახმა მოგიწამლა სხეული: თითქოს გაშავდა შენი სახეც. ყურში შორულ ზარებსა რეკავენ. მაგრამ რა კლდის სიკაჟე გადმოსახლებულა შენთან? ეხლა შენ ებრძვი სულსაცა და თვალამომშრალ სიკვდილსაც.

და ოდეს მზე ჩაესვენა, ლომისის მთის იქით განუტევე სული, ძვირფასო ადამიანო!

თავით იდგა ობოლი რცხილა, თითქმის ჩამომხმარი. საღამოთი შემოჯდა ყორანი და მისმა ყრანტალმა აიკლო მიდამო.

ჩადის ციხის მთიდან წამოვიდა ჩურჩული:

— ვინ არის პატრონი?! ვისია მკვდარი? ამბობენ: ჯაგებში ჩაიფერფლებოდა თუმბოლის მძორი შეშლილს პელას რომ არ მიეგნოო. თორელმა ჩამოასვენა და დაიტირაო.

ნაბოლარად

თორელმა დედას ბიწალაი ჩაუგორა, ჩადის ციხის კოშკთან დაასვენა მკერდშებოლილი მერცხალი და კალთა გაშალა ოჯახისათვის.

მამის საფლავიც დაიტირა და ოდეს ქართველთა ჯარი შეიყარა, რათა დაღესტანს ელაშქრნათ გიაურებთან ერთად, ერთერთ ჯგუფს შეუერთდა.

— თორელს რაღა უნდა, ლეკეთს რას დაეძებს? — იკითხა ვიღაცამ.

— დეი მინდა ვნახო! — უპასუხა.

— დიახ, დეი გინდა ჰნახო, თორელო! ხანდოს ხევთან პელაი დაგახვედრებს მკერდშებოლილ მერცხალსა და უთუოდ დაგაბრუნებს უკან.

დეის ვეღარა ნახავ, ვეღარა ნახავ!

ბასილ მელიქიშვილი
1927, მთიულეთი

თავადის ქალი მაია

შავი ზღვის მიმართულებით, „ერგეტას“ გზაზე, სამეგრელოში, მარიამობისთვის შუადღის სიცხეში გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს.

ფერდებჩავარდნილ ხარებს კარგა დაწინაურებული ყმაწვილი გლეხი მიუძღვის, ფეხშიშველი და მუხლებამდის აკაპიწებული. მას გაცვეთილი მოკლე ახალუხი აცვია, უქამრო, მკერდზე შეხსნილი. ქამარ-ხანჯალი ხურჯინივით მხარზე გადაუგდია: წინ რევოლვერი, უკან ხანჯალი. იღლიაში კი გრძელი სახრე ამოუჩრია. ზანტად მიიმართება. განიერ ბეჭებს მიარხევს. მზისაგან შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამაშებს.

გზა ტყიანი ჭაობით მიიკლაკნება. მარჯვნით და მარცხნით გზის კიდეებს ლაყვებში ჩამდგარი წუმპე ლოშნის. შორი-ახლო, ლიანებით დახლართულ ღრუებში, თხმელის მოწითალო ფესვები და მათი გველის მსგავსი ლანდები ლაღლაღებენ. ჭორღა-ზურგიანი ბაყაყების მთელი ხროვა ხავსის ზედაპირზე ყრუ ყიყინით მიმობნეულა. აქა-იქ გუბეებიდან ამოჩრილ ძელებზე კუზიანი თავწვრილა კუები უძრავად შესკუპულან.

ჰაერი შმორის სუნითა და სიცხის ბოლით გაგუდულა. ციების მთქნარებით გაორთქლულ გარემოს ნაადრევი ზრობის ფერი გადაჰკვრია და ზედ ძირს დაშვებული ცის გობი გადახურვია.

სული ეხუთება მეურმეს. თითქოს გადადგამს ნაბიჯს თუ არა, ქვეყანაც მყისვე გათავდებაო, წინ ჰორიზონტი არა აქვს. ეჩვენება: მიდის, მაგრამ არაფერს არ უახლოვდება. უკან რომ მოიხედავს, ჰგონია: არაფერს არ შორდება. სულ იგივეა, რაც იყო: არც ფერი იცვლება, არც სახე.

სულ ასეთია გზა. სულ ასეთია გარემო.

— მოოჰო... — შესძახა ბოლოს ყმაწვილმა გლეხმა ხარებს, შესდგა და ურმისკენ პირი მოიბრუნა.

სახეზე ოფლი ხვითქით გადმოუდის და გადაღეღილ მკერდის ფიცარზე ეღვენთება. მძიმედ სუნთქავს. გამოხედვა ფოლადიანი აქვს, აღნაგობა — კაჟიანი.

— მოოოჰ!.. ჩელა, ნუ ჩამორჩი! — აუწია ხმას, როცა ხარები დაუახლოვდნენ და ნამიანი თვალები ურმის კოფოზე შეისროლა.

ფარდაგ-გადმოფარებულ კოფოზე თავწაკრული ხნიერი ქალის სახე შეჰქანდა, და მუთაქას მკლავებით დაყრდნობილ ღია მკერდზე კანმოშვებული ხორცის სიმჭკნარე ჩამოეკიდა.

გუნდა ლახოსტაკით შეფერილ წარბ-წამწამებით შავმა თვალებმა გამოანათეს და ხანდაზმულობის უმარილით შეფერფლილ სახეზე მოუთმენლობის ლანდები მიმოაბნიეს.

— კიდევ არ სჩანს ეს ოხერი ზღვა?.. ხარებთან მოდი, ბიჭო, ამბაკო... ბუსკასაც შესძახე ერთი, სახრე გადაჰკარ... გული მიღონდება, ბიჭო, და თავის ტკივილი მკლავს... რა გზა ყოფილა ეს დასაქცევი!..

გაისმა ქალის დამჟღრეული ხმა აკივლებით და ურმის ჭრიალს ისე შეეკიდა, როგორც მოულოდნელი უცხო რამ მოძახილი.

სთქვა და ურემში შეწოლილი ტანი მოხდენით ისე მოიმარჯვა, რომ მუთაქაზე ჩამოჯდა. თავსაკრავი მოიხსნა, დაფერთხა, ხელახლად დაკეცა და კვლავ შუბლის გასწვრივ შემოიკრა.

მარცხენა ხელის თითებზე მომსხო-თვლიანი ბეჭდები აუბრჭყვიალდნენ, ხოლო მარჯვენაზე ფართე სამაჯურის ბრინჯაოს ფერმა გაიკიაფა.

— ჰე, მაია უბედურო, რა დრო დაგიდგა?.. ბიჭო, ამბაკო, მითხარი მაინც, ეს ზღვა ასე შორს ბალშევიკებს ხომ არ გაუწევიათ?.. შენ გეცოდინება... საიდუმლო გამანდვე, ნუ დამიმალავ!..

მეურმემ ლმობიერად ჩაიღიმა.

„ბალშევიკებს ხომ არ გაუწევიათ!“ — გაიმეორა მან ჩუმი დაცინვით და მოახლოვებულ ურემს ცოტა განზე გაწევით წინ დაუდგა.

— ვითომ რათ უნდა გაეწიათ?

— ჩემი ჯინისთვის... აქაო და, თავადის ქალს მაიას სული არ ამოხდა, და, იქნება, ამ გზამ მაინც ბოლო მოუღოსო... მაშ!.. განა არ ვიცი, რაც ბრძანდებით.

— ამას კი არავინ არ დაიჯერებს და...

ჩაიცინა ამბაკომ და, ურემი რომ გაუთანასწორდა, თავადის ქალსა და კოფოზე ჩამოწეულ ფარდაგს შუა ცალი თვალი მალვით ურმის სიღრმეში შეაცურა.

თვალი შეასწრო მაიამ.

— ნუ გეშინია, შე უბედურო: აქ არის... ნურც გერიდება: ორივე თვალით შეხედე და გაიხარე... აი... — და ქალმა ზედატანი ისე დახარა, რომ ურემში შესახედი ადგილი გაანთავისუფლა.

მეურმის თვალებმა ერთდროულად აღბეჭდეს: წინ, პირველ რიგზე, კოფოზე გადმოხრილი მაიას ღია მკერდის გაცვეთილი სამკაულები, მის უკან კი — შავი ვარსკვალვივით ანთებული ყმაწვილი ქალის გამწყრალი თვალების ელვარება.

— გაიხარე, აი... — გაიმეორა თავადის ქალმა და ორაზროვანი ხმის უსირცხო კილოს ისეთი ავხორციანი გამოხედვა დაატანა, რომ გლეხი ვერ მიხვდა, მეორედ წარმოთქმული „გაიხარე, აი“ რას ეკუთვნოდა: მაიას გულისპირით უცაბედად გადმოშლილ უტევნო, დაწურულ მკერდს, თუ ურმის სიღრმეში შემალულ შავგვრემან გოგონას — ამბაკოს ნამდვილ ცოცხალ სამკაულს.

— დაფინო გოგო, გამოიხედე... ამბაკოს უნდა დარწმუნდეს, რომ უვნებელი ხარ... ეჩვენე-მთქი ახლავე!

— რა მინდაო? ხომ არ გაგიჟდა, ნეტავი?.. ვაი, უბედური! — იყო მეურმისკენ მიმართული, შეკავებული წყრომის სიმებზე აწყვეტილი დაფინოს მორცხვი პასუხი.

ამ დროს ხარებმაც ჩაიარეს. ამბაკო მათ გვერდით მიჰყვა, ურემს კოფოს პირდაპირ აედევნა.

— ამბაკო, მითხარი: ძალიან გიყვარს ჩემი დაფინო? — ახლა ცბიერმა ცნობისმოყვარეობამ გაუთამაშა თვალებში მაიას. — ძალიან თუ გიყვარს, სულ ძალიან, ძალიან, მაშინ... — და თავადის ქალმა თვალები მინაბა... — თუმცა მოიცა... მერე გეტყვი... ჯერ პაპიროსი მოვსწიოთ... დაფინო, მოგვაწოდე პაპიროსი... ამბაკოსაც გაუკეთე... მაგრამ მას მსხვილად, იცოდე... მე კი — ჩვეულებრივზე უფრო წვრილი... თავი მტკივა, არ შემიძლია... ჩქარა... ჰოდა, იმას ვამბობდი... ძალიან გიყვარს-მეთქი, ბიჭო, დაფინო?.. ა? მაგრამ ბალშევიკი რომ ხარ? ღმერთი არ გწამს და ეკლესია, გაგიწყრათ ორივეს მადლი... არც გვირგვინი გწამს ხომ?.. და როგორ გინდა ახლა? ვერა, ვერ მოგცემ, ძამია, ჩემს დაფინოს... ტყუილი იმედი გაქვს.

ჩაიხირხილა ამაზე ამბაკომ, ვითომ ხუმრობა არისო, რასაც მაია ამბობდა.

— მართლა ვამბობ, კი არ გეხუმრები... მაგრამ... ამოდი, ბიჭო, ურემზე... აქ დაჯექი... და მოვილაპარაკოთ... დავეტევით, ნუ გეშინია... ხარებსაც აქედან უკეთ გარეკავ და არც დაიღლები... კისერი მეღრძობა მგონია, რომ ასე გელაპარაკები... ამოდი, ამოდი... დაფინოც ხომ ახლოს გეყოლება... საქმე გავათავოთ.

დაფინომ ნემსისოდნად დახვეული, მაგრამ დაუწებებელი პაპიროსი გამოაწოდა მაიას.

— ამბაკოს?

— იმას ღვთის წყრომა, ქალბატონო... თვითონ გაიკეთოს, თუ მოწევა უნდა.

— გაუკეთე-მეთქი, გიბრძანებ...

— არ გავუკეთებ, ქალბატონო... ყალიონი აქვს.

— მაშ, მომეცი აქ ქისა... თუ არ შეგრცხვება, მე გავუკეთებ...

მაგრამ აქ ამბაკოც ჩაერია დავაში.

— ტყუილა შეწუხდები: მე მართლა ყალიონი მირჩევნია... შენი თუთუნი გამხმარი ბაიას ყვითელ ყვავილს ჰგავს და უძალოა. — ყალიონი ამოიღო, დაფერთხა, კბილებში გაირჭო. — მე ეს მირჩევნია... შენი გოგო მართალია... ოღონდ ცეცხლი კი მომაწოდოს, აი, ეს უბრძანე!..

— შენ არ იცი, ამბაკო, ჩემმიერ დახვეული პაპიროსის გემო. ჩემი ხელიდან არ მოგიწევია... სცადე ერთი... შიგ ტვინში იცის შესისინება და გულზე ისე ტკბილად დაგეხვევა, როგორც ფიქრი ჩემს დაფინოზე... აჰა... მოსწიე მეთქი.

გამოართვა მაინც ამბაკომ. ყალიონი ჯიბეში ჩაიდვა.

გააბოლა მაიას პაპიროსი და ჯერ შეღრანჯვით კომლს გაეთამაშა, მერე დაფინოსკენ გაიხედა თვალების შეუფერებელი, ვითომდა ეშმაკური ახამხამებით.

— არ მოგწონვარ, გოგო? — და ისეთი სახე უჩვენა, თითქოს უთხრაო: შენ თუ არა, შენს ქალბატონს, ხომ ხედავ, რომ მოვწონვარო.

— მიწა კი გაგისკდა... — ესროლა დაფინომ ურმის სიღრმიდან და თვალები აარიდა.

გამარჯვებულივით თავმომწონე ამბაკომ თვალები მოსწყვიტა უკადრის გოგოს და მაიაზე გადაიტანა. მაია კი, თითქოს მონადირე უცხო ნადირს თოფს უმიზნებსო, ისე დასცქეროდა კოფოდან მეურმეს და მისი არშიყობის უშნო ხერხებს უთვალთვალებდა.

გლეხი შეფეთდა, ეს რომ დაინახა. სახეზე ღიმილი უნებლიეთ ჩამოსცილდა. არ მოელოდა: თავადის ქალის თვალებიდან ყველა ხვეულით გამომზირალი, ყოველი მოკრძალებისაგან გაძარცული ნდომის ურცხვი ქარი პირდაპირ სახეში უბერავდა.

შერცხვა მეურმეს. ნაბიჯი შეანელა. მერე ურემსაც ჩამორჩა.

ფარდაგს მიეფარა მაიას სახე.

„ჰო, რა კაპუეტია! გამიგონია, სისხლი უყვარსო!“ — მძიმედ წარმოსთქვა ახალგაზრდა გლეხმა, როცა ურემს უკან მარტოდ დარჩა.

წინ კი, კოფოზე, თითქოს ურმის დანჟღრეული უსაპნო ბორბლის მორგვის შიგნით გაისმაო, ქალის ხმამ ყრუდ დაიჭრიალა:

„უბედურო თავადის ქალო მაია, ეს რა დროება დაგიდგა!“

* * *

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, და მგზავრებს სინესტის სიომ შემოუქროლა.

შორი-ახლო, გზის პირად, აქა-იქ გაბნეული ჯარგვლის სახლები გამოჩნდნენ და შემოღობილი ეზოების წინ მაღალი ალვის ხეების რიგებმა ჩაიშრიალეს.

ურმიდან კარგა დაშორებით წინ მიმავალ ამბაკოს მგლის ფერი ძაღლები ყეფით დაესივნენ.

უცებ ერთი მხრით, გზის ლარის გაყოლიებაზე, შორს, ტყის ფარდა გადაიშალა და დაქანებული ცის თვალმიუწვდომელ კიდურს ქვემოდან ლურჯი არშია უეცარი ალივლივებით შეეფინა.

— გათავდა, მგონი, ჩვენი ტანჯვაც, დაფინო... აბა, ერთი დააკვირდი, ზღვის არშია არის რომ მოსჩანს, თუ არა?

დაფინო მუხლებზე წამოდგა. ფარდაგიდან თავი გამოჰყო, და გრძლად გაწვდილი ხელის გულით კოფოზე მდებარე მუთაქაზე დამყარებულმა წინ გადაშლილი ჰორიზონტი ნიშანში ამოიღო.

ტუჩებს ზევით, საულვაშოზე, მოშავო ფიფქი ებნია და ოდნავ აფეთქილ ღაწვებზე ჯერ უჩინარი ეშხის კამკამა რთვილი მირონივით ეპკურა.

— ზღვაა, ქალბატონო... — უეცარი გახარებით წარმოსთქვა და მოულოდნელმა სიწითლემ სახე აულეწა.

მაიამ უნებლიეთ ყურადღება მიაქცია დაფინოს უეცარ გახარებას. ჯერ მთელ ტანზე უსიტყვოდ თვალები შეავლო მას და მერე სახეში შეაცქერდა.

— მოვედით, მადლობა ღმერთს! — თავისთვის ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაფინომ და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მაიამ განაგრძო მისი დაზვერვა.

მერე თითქოს შორეულმა ეჭვმა გულის ყურში უცებ უთქმელი რამ საიდუმლო წასჩურჩულაო, სახე მოკუმა და შეტევით ჰკითხა:

— დაფინო, შენს გულს ასე რა გაუხარდა?

არ მოელოდა დაფინო ასეთ შეკითხვას. თვალები ასწია და გაუბედავი გაკვირვებით შეხედა ქალბატონს.

— ის, რომ მოვედით, ქალბატონო! — უპასუხა მორჩილებით.

მაიამ თითქოს არ დაუჯერაო, თვალები უფრო შეაცივა გოგოს.

და ამნაირად ერთი ხნით მძიმე სიჩუმე ჩამოაგდო.

— უკანასკნელად ბონდო რომ ნახე, რა დამაბარაო, მითხარი... მომაგონე: კარგად არ მახსოვს... — თვალები საცდელად დაიპატარავა სიჩუმის შემდეგ მაიამ და ნელი, შემპარავი ხმით შეეკითხა შემკრთალ დაფინოს.

— ან იქ დაგხვდებითო... კოსტა-ნადიაკვნარის კარავში ვიქნებიო... ან მეორე-მესამე დღეს მაინც უთუოდ ჩამოვალო... ასე მითხრა მაშინ.

— ასე სთქვა: დაგხვდებითო, თუ... დავხვდებიო?.. კარგად მოიგონე!

— დავხვდებიო, ქალბატონო. შემეშალა.

— მეტი რა გელაპარაკა?

— მეტი არაფერი...

და დაფინო სახეზე ახლა უფრო შეწითლდა.

— სულ, სულ არაფერი?

— არაფერი, ქალბატონო.

— პირისპირ გელაპარაკა ხომ?

— კი...

— მერე?

დაფინო გაჩუმდა.

— არ წაგხუმრებია?

— ბატონ ბონდოს ხუმრობა უყვარს, ქალბატონო.

— ჰოდა, როგორ წაგეხუმრა-მეთქი?

— აქ ორი თითი წამითათუნა.. — და დაფინომ ნიკაპს ქვეშ ოდნავ მოხაზულ ღაბაბზე თითი მორცხვად მიიდვა.

სული ვერ მოითქვა მაიამ. სიტყვაც გაუწყდა უცებ. თითქოს თვალებშიც დაუბნელდა.

მაგრამ არ შენძრეულა, სახეც არ შეუცვლია, ისე ნელა, მოდუნებით ამართა ხელი და სალოკი თითი ნიკაპს ქვეშ მოისვა.

თითქოს რაღაცა მოინახულა და ვერ კი იპოვნაო, გულდაწყვეტილად ხელი ისევ ძირს დაუშვა.

— მაჩვენე, აბა, შენი... — მიმართა მერე ჩუმი ხმით გოგოს.

დაფინომ შინაური შველის ნუკრივით ქალბატონს ყელმოღერებული სახე გაუწვდინა.

სწრაფი შეხებით, ელვის ხაზივით, გაითამაშა მაიას თითმა დაფინოს ღაბაბზე.

— ბედნიერი ხარ, გოგო, რომ ახალგაზრდა ხარ... — სთქვა და თვალები დაფინოს მიღმით სადღაც შორს სივრცეში შეაჩერა. უცნაურმა სევდამ სახე დაუჩრდილა.

— ოჰ და, მერე რა მოხდა, როცა ასე მოგეალერსა... რა გითხრა მაშინ? — იდუმალი ხმით ჰკითხა დაფინოს სიჩუმის შემდეგ.

— იხუმრა, ქალბატონო.

ახლა უცებ შეიცვალა მაია...

— ჰო, ვიცი... სიტყვები მითხარი ჩქარა... — შეუპოვრად მიმართა გოგოს და თითქოს ხანჯლის გალესვას შეუდგაო, ისეთი სახე მიიღო.

— „ის გლეხის წუნკალი ბიჭი... ამბაკო რომ ჰქვიან... ზღვაზედაც თუ დავინახე, უთუოდ შემომაკვდებაო“... ეს მითხრა მხოლოდ...

მაია ჯერ შეკავებული სიჩუმით შეხვდა ამ განცხადებას.

— შენი აზრით, რა უნდოდა, რომ ამით ეთქვა? — ჰკითხა მერე და თვალებში ნალესი ხანჯლის პირმა გაუელვა.

— მე რა ვიცი, ქალბატონო? — უპასუხა შეშინებულმა დაფინომ და თავი ძირს დაჰხარა.

— სტყუი, გველის წიწილავ! — ერთი წამით მოთმინება დაჰკარგა მაიამ. სახე რისხვამ მოუქცია და შიშველი მკერდის ნაფერფლი კანი გულით ნაწურმა სისხლმა ლურჯად დაუდაღა.

მაგრამ მეორე წამშივე საკვირველად გამოიცვალა: თითქოს ორმა, სრულიად მოწინააღმდეგე, ფიქრმა მის თავში ელვის სისწრაფით გაიბრძოლაო და ერთმა მეორის ადგილი დაიჭირაო. გაუგონარი თავისმორევით მოთმინების ძალა მოიკრიბა მან და აფეთქებული რისხვის ტყვიები აზრის გაკრთომის უმალესად უჩინარ ადგილს მიჰმალა.

ახლა სულ სხვა სახით შეხედა გოგოს და ისევ გაუცინა, თითქოს ამასწინანდელი გაწყრომა ხუმრობად მოაჩვენაო.

— ვერ მიმხვდარხარ, სულელო გოგო, თუ ბონდო ასე რატომ გეხუმრა... მე კი მივხვდი, რა აზრი ჰქონდა მის სიტყვებს, თუმცა იმ დროს იქ არ ვყოფილვარ... მითხარი მართალი, დაფი: ბონდო მოგწონს თუ არა?.. შენი მოყვარული ქალბატონისთვის, აბა, რა დაგიმალავს, რომ ეს დაუმალო!.. გულზე ხელი დაიფარე... აი, ასე... თვალებში პირდაპირ შემომხედე... აი, ასე... და სთქვი, რაც მაგ პაწია გულში საიდუმლო დამარხული გაქვს...

სახე დაუახლოვა თავადის ქალმა დაფინოს, თვალი თვალთან მიუტანა, და ეს სიტყვები როგორც გველმა ისე შეუსისინა.

მისმა ხმამ ჟრუანტელივით დაუარა მთელ ტანში დაფინოს: მაიას ხმა ლბილად ისმოდა, ალერსიანად, მაგრამ რაღაც ფარული კილო ახლდა გამოუცნობი, როგორც სიკვდილის დაუნდობელი მოალერსება.

— რატომ გაჩუმდი?.. მითხარი მეთქი, გოგო: ის წყეული ვაჟი მოგწონს თუ არა?

— რას ბრძანებ, ქალბატონო!

— რატომ? შენ უკვე დიდი ხარ, დაფი... ჩემს ხელში გაიზარდე და აი, ამოტელა გახდი... მე ვიცი, შენ უკვე სიყვარულზე ოცნებობ... მე ვიცი ეს, რადგანაც შენი ვარდი გაშლილია და ვაჟის ალერსის ნამი სწყურია... გინდა, ბონდოს უდიდესი საიდუმლო გაგანდო?.. შენ მას მოსწონხარ, ჩემო ლამაზო... და მოსწონხარ ისე, როგორც არავინ... ა?.. რატომ შეკრთი?.. შეგეშინდა?.. ეს ხომ სიყვარულის ნიშნებია, ჩემო გოგონავ, და სიყვარულის ამბებს მე ისე ვიცნობ, როგორც ჩემს თითებს ორსავე ხელზე...

— რა სიტყვებს ამბობ, ქალბატონო!.. რატომ გნებავს, ასე მეხუმრო?.. მე ხომ შენი მოსამსახურე ვარ... — და დაფინოს წამწამებზე ცრემლმა გაიციალა.

— მაშ, დავიჯერო, ამბაკოზე ხარ შეჩერებული?

— ხომ სიტყვაც მიმაცემინე...

გაჩუმდა მაია, თითქოს თავში ერთი აზრი უცებ გაუწყდა და მეორემ, უცხომ, გაუელვაო.

მერე ასე დიდხანს უცქირა მტირალ დაფინოს.

რაღაც სათუთი და მოულოდნელი, რაღაც წმინდა და შორეული, ძლივს შესამჩნევი ზოლის სახით თვალებში კრთომით შეეფინა და ცოდვის დაღებით დასერილ სახეზე უმარილს შიგნიდან გადაეფარა...

უცებ მთრთოლვარე ხელი გაშალა, დაწვდა დაფინოს ხელს და ისეთი სახით ჩაიკრა გულში, თითქოს მიუწვდომელი განძი მოიტაცა და გულთან დაიმალაო.

— საბრალო ჩემო გოგონავ... მაპატიე... დამნაშავე ვარ...

* * *

შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში. ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული ჰორიზონტების.

საღამოს მოახლოვება. ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯივე ცა და ამავე ფერის ტყეები. შორს კიდევ ზმორვით გადმომცქირალი მთების ნისლიანი ლანდები და მათ შორის დაკარგული ზღაპრების ლურჯი ზმანება.

ზღვის პირად ნააბანოებ მოაგარაკეთა ერთი ჯგუფის მიწურული დღის სითალხეში გახვეული მდუმარება. ორიოდე ბალღი ქვიშაზე და მოშორებით ფინია, რომელიც სადღაც გართხული ღრუბლის უცნაურ სახეს უყეფს.

შორი-ახლო ოციოდე გვიმრით გადახურული წკნელის კარავი. აქა-იქ, კარვებს წინ აყირავებულ ურმებს ქვეშ ბჟუტავი ცეცხლი და ბებრების ნელი ფუსფუსი.

სოფლის მხრიდან კარვებში შემომავალი გზის თავში, ახოვანი ვაჟკაცი სდგას და გზის გაყოლებას გასცქერის. „წყლის“ ფერი ჩოხა აცვია და გულის-პირით თეთრი ახალუხი უჩანს. „დარაიას“ თეთრი ყაბალახი მხარზე გრძლად აქვს გადაგდებული. ხელები ხანჯალზე უწყვია.

ლარივით სწორია მისი ტანი, შუაში წელთან გადანასკვნილი.

სდგას და ჩონგურის კილოზე რომელსაღაც ნელ მოტივს უფსტვენს. დროთ კიდევ იმავე მოტივზე თავისთვის ჩაიღიღინებს.

უდარდელია.

მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ უცებ შესწყვეტს ფსტვენას და ღიღინს: — ანაზ-დად გზაზე მოახლოვებული ურმის ჭრიალი გაისმა და ხეების დაზნექილი ტოტების სიმწ-ვანეში შეცურებული ნაცნობი ფარდაგის სიჭრელე გამოჩნდა.

— აჰა, ახლანდელი ტახტრევანიც ჩემი დიდი დედოფალისა... — ჩაილაპარაკა გაღი-მებით ვაჟმა და ურმის შესაგებებლად დინჯი ნაბიჯით გაემართა.

— მოვედით... დააყენე ხარები, ამბაკო... ჩამოსვლა მინდა! ახლა ფეხითაც გავივ-ლი... — გაისმა კოფოზე მაიას ხმა.

— ჩემი სალამი, თავადის ასულო... მომილოცავს მშვიდობით ჩამოსვლა...

— აჰა, ბონდო... ჩემო მშვენიერო ყმაწვილო... შენც აქა ხარ!.. მადლობელი ვარ შენი.. მოდი, მომეხმარე, ჩამომსვი...

გამოცდილი იყო ბონდო: ძალა და საქმის ცოდნა შესწევდა. მსუბუქად ჩამოსვა თავა-დის ქალი და ისიც მოახერხა: სანამ მიწაზე ფეხს დაადგმევინებდა, ორსავე ხელზე აკოცა.

მერე როცა მაიას უკან გადმოსახტომათ გამზადებული დაფინო დაინახა, გახარებუ-ლი თვალები მისკენ გასტყორცნა.

— დაიცა, ჩემო ლამაზო... მოგეხმარები...

მაგრამ მაიას ხელები ისე შემოეკვრენ მკლავებზე ბონდოს, რომ ფეხი ადგილიდან არ მოაცვლევინეს.

ბონდომაც, ვითომ უნებლიე შეკვირვებით, დაფინოსაგან თვალები მაიაზე გადაიტა-ნა: ეს რას ნიშნავსო.

და როცა შეხედა...

ჩუმად, შემღიტინებლად გაუცინა, თითქოს აგრძნობინა: ეჭვს მიგიხვდი და ეს რა შე-ნი საკადრისიაო.

მაიამ პასუხად იგი თავისკენ მიიზიდა.

— ბონდო... — ძლივს გასაგონად უთხრა მხოლოდ.

დაფინო კალმახივით ჩამოსხლტა ურმიდან და თავის ქალბატონს უკან დაუდგა.

ურემს ჩაუარეს.

ამბაკო ამ დროს ხარებს ედგა წინ, ჰაერში შემართული სახრით ხელში.

— შენთვის მუშტარი მყავს, ბიჭო, ამბაკო: ერთი ნაცნობი უკან ბრუნდება. კარგ ფულს მოგცემს, თუ ხვალ დილითვე წაიყვან... შენც ხარები არ გაგიცდება... ბარგი კი ცოტა აქვს. პასუხი ამ საღამოსვე შემატყობინე... თუ არა, სხვა მეურმეებიც არიან... — სალამის მი-უცემლად უთხრა ყმაწვილ გლეხს ბონდომ, როცა გაუპირდაპირდა.

— მე არ მცალია... — მოკლედ ესროლა ამბაკომ პასუხი და ხარებს სახრე გადაუტყ-ლაშუნა. — მე არ მცალია და... — მიუკარებლობის გამომხატველი ხმით გაიმეორა და მიმავალთ ზურგი შეაქცია.

მწარე ღიმილი ფარულად მოსწყდა მაიას ტუჩებზე.

— ამბაკო ჩემთან დარჩება... ამბაკო ჩემთან დარჩება ბოლომდის, ბონდო...

თითქოს იერიშს იგერიებსო, ისე წარმოსთქვა მან და ნაბიჯს აუჩქარა.

ტუჩზე იკბინა ბონდომ.

ასე ჩაუარეს ურემს.

უკან მომავალმა დაფინომ კი ურემთან შეაგვიანა, სადაც ამბაკო იდგა.

* * *

წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია.

წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია, მაგრამ, ნეტავი, არ დაჩვეოდა ზღვის აბანოებს, როცა მდიდარი იყო და მართლა თავადობდა. ახლა მაიასთვის კურორტები არ არსებობენ, და გაყაჩაღებულმა ცხოვრებამ მას ყველა გზები შეუკრა, რომლებითაც წინად დადიოდა.

ცხოვრებას ხანიც აჰყვა — ეს მეორე ყაჩაღი. და... აჰა, გაძარცულია თავადის ქალი ყოველნაირად.

ჰყავს მხოლოდ ერთი მოახლე და აქვს მხოლოდ ერთი ნუგეში. პირველი არის მისი გაზრდილი ობოლი გოგო დაფინო, ხოლო მეორე — ოდესღაც შმაგი მისი მიჯნური, განთქმული არშიყი ბონდო თავადი — უკანასკნელი სიყვარული და მიზანი მაიას ცხოვრების.

— აჰა, ზღვა... დიდი, ლურჯი ზღვა!.. ჩემი საყვარელი ზღვა... და შენც ჩემთან ხარ, ბონდო, ჩემო გიჟო ყმაწვილო... აჰა, წელსაც ზღვაზე ვარ, და შენც ჩემთან ხარ... ხომ ჩემთან ხარ, ბონდო, შენი ჭირიმე... და სხვასთან არავისთან?.. რატომ გაჩუმდი და მოიწყინე?.. წამოდი, დავსხდეთ ზღვის პირად. სული მომათქმევინე. დამამშვიდე. მომეალერსე. ხომ ჩემი გულისთვის ხარ აქ მოსული... ჩემი სიყვარულისთვის... რომ იცოდე, რამდენი ტანჯვა გამოვიარე, რამდენი რა გადავიტანე... მაშ, ასე: ზღვაზე ვარ, და შენც ჩემთან ხარ... ასე ვიყოთ მარტო, სულ ერთად, ბონდო: ზღვა, რომელიც დიდია და ლურჯი, შენ, რომელიც მზე ხარ ჩემი ცხოვრების, და მე, რომელსაც სწყურია შენი სითბო! ასე ვიყოთ სამნი: ზღვა, შენ და მე.

— თავადის ასულო, დაგავიწყდა სათვალავში ერთიც ჩაგეგდო და... შეგეშალა. კიდევ არის ვინმე, რომელიც გამოგრჩა...

— ვინ? რას ამბობ, ბონდო? რას ამბობ-მეთქი, ბონდო?

და მაიას თვალებს უცებ დაფინოს სახე მოელანდა.

ამ მოლანდებას ბონდომაც მოჰკრა თვალი.

— ვინ და, ამბაკო მეურმე, ჩემო ბატონო... აი, ის, ჩემთან ბოლომდის აქ დარჩებაო, რომ მიბრძანე... სხვა ვინ იქნებოდა, რომ გაიკვირვე!

სიხარულის ღიმილმა დააფრთხო დაფინოს ლანდი მაიას სახეზე. ბონდოს სიტყვებმა გაახარეს თავადის ქალი.

— მე მაინც წამსვლელი ვარ... და ის ჩასთვალე... დეე, ის იყოს!.. რა გაეწყობა!

— როგორ თუ წამსვლელი? სად? რატომ? — და მაიას თვალები ისე დიდრონი გაუხდა, თითქოს ზღვას გადაწვდაო.

შეაგვიანა პასუხი ბონდომ. თავი ცივად დაიჭირა.

— „რევკომს“ ჩემი ცხენუნაგირი ჰყავს თვეზე მეტია... შემატყობინეს, დაბრუნებას აპირობენო... ახლა უნდა მივაკითხო...

— ჩემზე იყოს რჩეული ცხენუნაგირი, ბონდო... ოღონდ ახლა ნუ წახვალ...

— აუცილებელი არ უნდა იყოს ჩემი აქ ყოფნა... ისევ დავბრუნდები თქვენი აქედან წასვლის დროისთვის... ახლა კი უთუოდ უნდა წავიდე...

ბონდომ ძალიან მტკიცე სახე მიიღო. ოღონდ თვალებიდან, როცა ამ სიტყვებს ლაპარაკობდა, ორაზროვნების ცბიერი სხივი ანკესივით ისე გადმოისროლა, რომ თავადის ქალის მიხვედრა ზედ უთუოდ წამოგებოდა.

მაგრამ მაიას ანკესი არ სჭიროდა. მან ისედაც იცოდა, თუ რა აწუხებდა მის არშიყს ბონდოს და რატომ იყო ასე გამწყრალი.

დაფინოს გზაზე ნაამბობის შემდეგ მაიასთვის ცხადი იყო: ბონდოს ამბაკოს ხარების გაცდენა კი არ აინტერესებდა, რომ მეურმის უკან დაბრუნება ასე ფიცხლად მოიწადინა.

— არა, შენ არ წახვალ აქედან, ბონდო.

— ჩემო დედოფალო, მაპატიე, მაგრამ არ შეიძლება... უთუოდ უნდა წავიდე... ხვალ დილითვე გზას გავუდგები... შენაპირები ხომ აგისრულე: დაგხვდები-მეთქი და დაგხვდი კიდეც. აქედან წასვლას რომ დააპირებ, ისევ ჩამოვალ და გაგაცილებ... ამის სიტყვა მომიცია...

— შენ ხუმრობ, ბონდო...

— არა, ჩემო თავადის ასულო.

შეუვალი იყო ბონდოს ხმა. მის გადაწყვეტილებასაც თითქოს ბეჭედი აზისო, ისე დაანახვა იგი მაიას.

— მართალია, მე ის არა ვარ, ბონდო, რაც ვიყავი... მაგრამ ჯერ კიდევ არ მოვხუცებულვარ და ჩემი სიყვარული ახლა უფრო მძაფრია, ვინემ ოდესმე იყო... თუ ჩემი ტანის სურნელი აღარ გაგონებს ახლად მოწველილი, გაუწურავი რძის სურნელს, რომელიც ოდესმე ასე გხიბლავდა, სამაგიეროდ მას ხომ ძველი ღვინის ძალა აქვს ახლა, რომელიც ნამდვილი ვაჟკაცის სასმელია, ვაჟკაცის ნამდვილი დამათრობელი... თუ ჩემი პირის ბაგე ვარდის მორცხვი კოკორივით არ ფშინავს, მას ხომ, სამაგიეროდ, მოუკლავი ნდომის ძალა აქვს შემატებული, რომელიც ყოველი მორცხვობის საზღვრის გადამლახველია და ისეთი ვნების აღმძვრელი, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს მიჯნავს. თუ ჩემს ალერსს მოკრძალება არა აქვს, როგორც ტანგადმოშლილ სავსე მთვარეს, თუ მან გამოუცდელობის აცახცახება არ იცის და ვაჟის წინაშე თვალთა მინაბვაც მისთვის უცნობია, — სამაგიეროდ მოურიდებელია იგი და ყველა წესის დამრღვევი, როგორც უკანასკნელი ტრფიალის გიჟური წყურვილი და ხორცის აღტკინება ვნების მიწურვის წინ... არა, ბონდო, შენ კიდევ არ იცი ძალა ჩემი სიყვარულის, თორემ ასე ადვილად მას ვერ დასთმობდი... მითხარი, ხომ არსად არ წახვალ, ვიდრე მე აქ ვარ და შენი სიყვარული მწყურია...

— კარგი, მაშ, მხოლოდ სამი დღით წავალ... ამისი ნება კი უთუოდ უნდა მომცე.

— არც ერთი დღით, ბონდო!

— ცხენუნაგირი დამეკარგება, ჩემო საყვარელო ქალბატონო...

— ჩემზე იყოს!.. აკი გითხარი...

— ის დრო სად არის, თავადის ქალო, როდესაც გეშოვებოდა... კარგი, ორ დღეში უკან დავბრუნდები, შენს მზესა ვფიცავ!

— ჰო, რით დაგაკავო ჩემთან, ბონდო, რომ აღარ ვიცი!.. რა გსურს, რა გინდა?

კენჭებზე მოკლედ გაიარა. ხელებზე თითები დაიმტვრია. თითქოს მხოლოდ ახლა იგრძნოო, რომ ბეჭდები ჰქონდა, თითების შეხებით მოინახულა. მერე ზედ დახედა. წაიძრო ერთი ლალის თვლიანი. ხელის გულზე შეათამაშა.

ბონდო მალვით თვალს ადევნებდა მაიას. მიუხვდა, რაც განზრახვა გულში აღეძრა. მივიდა, ბეჭდიანი ხელი დაუჭირა. ჯერ ზედ აკოცა. მერე ბეჭედი გამოართვა და ისევ თითზე წამოაცვა.

— შენი სიყვარული ყველა საჩუქარს მირჩევნია, მაია... — წასჩურჩულა ალერსით.

— მაშ, არ წახვალ ხომ? ახლავე მითხარი...

— ორი დღით... და ნუ გამიჯავრდები. შენი მოღალატე ვიყო, თუ დროზე არ დავბრუნდი...

— რომ არ დაბრუნდე?

ბონდომ ხელი შეუშვა მაიას. მოხდენილად დასწვდა ქვიშაზე ერთ კენჭს. აიღო, ჰაერში შეისროლა, მერე მარჯვედ დაიჭირა. მხარგაშლით შეტრიალდა, მკლავი შურდულივით მოიქნია და ასე ზღვაში შეისროლა.

— შენი მოღალატე ვიყო მეთქი, გითხარი... — დაუჯერებლად უპასუხა შემდეგ მაიას და ისევ მიუახლოვდა, ხელი დაუჭირა, ორაზროვანი თვალები გაუსწორა.

— ბონდო, — სულ ჩუმად, იდუმალ მიმართა მას მაიამ, — ბონდო, მომიახლოვდი, ყური მათხოვე... მინდა რაღაც გითხრა.

ბონდო ცერზე შესდგა, თავი ოდნავ დახარა და გამახვილებული სახით ყური პირთან მიუტანა მაიას.

— დარჩი მეთქი... და... დარჩი მეთქი და... გინდა, აგისრულო, მალულად გულში რომ სურვილს ატარებ?.. გინდა, აგისრულო მეთქი, შე საძაგელო?

— ყურს უთხარი... მე არა... აი, ყურს, თავადის ასულო...

— მაშ, აჰა... დარჩი და დაფინო დამითმია...

უცნაური რახრახიანი სიცილი ასტეხა უცებ ბონდომ. კბილები მთელ ნაპირზე თეთრ რაზმებად გაშალა. ველური ხმები აყვირა. მერე მოგონილი გაოცების ამოძახილი დაუფარავი გახარების ჭიხვინში არია და მიწყნარებული ლურჯი გარემოს სიმშვიდეში დიდი ხნით შეკავებული აღტკინების თოფები დასცალა.

— ეს რა დაგიწამებია ბონდოსთვის, თავადის ასულო?!. არა გრცხვენია?.. ეს რა დაგიწამებია ბონდოსთვის, ყველა საიდუმლოების დედოფალო, თავადის ქალო მაია!

თავადის ქალი მაია კი გაუცინებლად იღიმოდა და ისე შესცქეროდა აჭიხვინებულ ვაჟკაცს, როგორც შურით ამღვრეული თვალები სასიკვდილოდ გამეტებულ მტერს.

* * *

მარიამობის წინაღამის თევა იყო ზღვის პირად გამართული.

შეღამდა თუ არა, მახლობელი სოფლებიდან ხალხმა თავი იქ მოიყარა, სადაც გაშლილი სააგარაკო ადგილი მდებარეობდა.

ჩამოსული მოაგარაკეებიც ადგილობრივ ხალხს შეუერთდნენ. სოფლის წესისებრ, ბოროტი სულების დასაფრთხობად ამათაც თავიანთი კარვების წინ ჯვრიანი ჭოლოკები ამართეს და კოცონები ააბრიალეს.

ღამის მთეველი ხალხის ყურადღებას მოაგარაკეთა შორის ჩამდგარი თავადის ქალი მაია იპყრობდა მისი მოახლეთურთ, დაფინოთი, და მათი შორიახლო ლანდივით მოლასლასე შავ ნაბადში ჩაყურსული უცხო ვინმე ვაჟკაცი, რომელიც იყო ბონდო, მაიას არშიყი.

თავადის ქალი მაია ტრადიციული პატივისცემით იყო გარემოცული. ათასი გაკვირვებული თვალი რიგ-რიგობით ნიშანში იღებდა მის ჩაცმულობას, ტანადობას, თავდაჭერილობას, სახეს, თვალებს, ხელებს და კოცონების ალზე აბრჭყვიალებულ მისი თითების ბეჭდებს სამაჯურითურთ.

მოდიოდნენ. უახლოვდებოდნენ. ნიკაპზე თითებს მიიწყობდნენ და შორი-ახლო შედგომით ათვალიერებდენ. ეს იყვნენ სოფლის დედაკაცები.

— თავადის ქალი მაია... — გაისმოდა გაოცებული ჩაჩურჩულება. — ხედავ, თავადის ქალი მაია!

— ბატონიშვილის ქალი მაია!.. რას მოვესწარით!.. არ გიკვირთ, სად მოსულა?

— ა? როგორი ყოფილა!.. უცქირე, უცქირე: რა გული უნდა ჰქონდეს, რომ კიდევ იცინის ეს სასიკვდილე და სახე მხიარული აქვს. გამიგონია, თითქოს მის კვალზე სიკვდილი დაიარებაო...

— ახალ კანონს თურმე ყველაფერი ჩამოურთმევია... აღარაფერი გააჩნიაო.

— არაფერი გააჩნიაო, ამბობ? ხელის თითებზე დააკვირდი ერთი... ან ვერ ამჩნევ, რა შალი აქვს მოსხმული? ყველას გვიყიდის!

— ვინ სთქვა, მოხუცდაო! რომ არ ეტყობა?

— ისეთ წამლებს ხმარობს თურმე... და, როგორც ამბობენ, თილისმაც უნდა ჰქონდეს ხნიერობის წინააღმდეგ... თორემ რა ხნისაა! დედაჩემისაგან გამიგონია: მე იმ წელიწადს გამათხოვესო, როცა სააფხაზოდან მაგის მამას მთავრის შვილმა მოციქულები მიუგზავნა, შენი ქალი მომათხოვეო...

— უი, რას ამბობ?..

ღამის თევა კი თავის წესით მიდიოდა.

ტყისა და ზღვის ნაპირის გასწვრივ დანთებული კოცონები მალე გაღვივდა და ცის ტატნობს ალის ენები შეეკიდა.

ჩაჰქრნენ ვარსკვლავები.

კოცონების გარშემო უჩვეულო როკვა გაიმართა და გაგიჟებულ ფერხულში თავდაუზოგველად ჩაება ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

ჯვრით დადაღული ვაჟები ცეცხლის ალში გაეხვივნენ.

თმებში სანთელ-შეწეპებული გოგო-ბიჭების წივილ-კივილმა ტყის სიღრმეში შემალული ღამის საშიშ მდუმარებას გასაფანტავად წვრილი კენჭები დაუშინა შუილით.

ალაგ-ალაგ საცეკვაო წრეებიც შეიკრა და „რაშარერას“ ათამაშებულმა ხმებმა კიდით-კიდემდე მიმოაბნიეს ცეკვის რითმის ეჟვნები.

წესიერებისათვის მახლობელი თემის „რევკომიც“ ჩამოსულიყო — ახლად დამყარებული მთავრობა, — და შეიარაღებული ძალის — ორი მილიციონერის — თანხლებით კარვებს შორის მეთვალყურეთ ჩამდგარიყო, შეუპოვარი გამომეტყველებით.

მეურმე ამბაკო, „მობალშევიკე“ ყმაწვილი გლეხი, რევოლვერით წელზე „რევკომს“ გვერდით ამოსდგომოდა სამხედრო ყარაულივით, და ცალი თვალი ფარულად იმ წრეში შეემართა, სადაც ფერად შალში გახვეული დაფინო იდგა თავის ქალბატონთან და მისგან დაშორებით, რაღაც საეჭვო განცალკევებით, მაღალი შავი ლანდი მიმოდიოდა ღამესავით გულჩათხრობილი.

შუაღამემაც მოაწია.

ახლა სოფლის მამაკაცობა — თავკაცების მეთაურობით — ღამის თევას სათავეში ჩაუდგა.

გაიმართა „მხარ-და-მხარ“-ის მდევური ცეკვა და ჰაერი ხალხის კრებულის მეხურმა დაგუგუნებამ შეაზანზარა:

„ჰოი, ძაბრა, ძაბრალე...“

მხარბეჭებითა და მკლავებით ერთმანეთს გადაეჭდო გლეხობა და ჯაჭვივით შეკრული წრე ცოცხალ ციხეს დაემსგავსა. ერთი კაცივით, მაგრამ მძიმე მთასავით, შეჰქანდა იგი და დაიძრა ადგილიდან.

„ჰოი ძა-ბრა, ძა-ბრა-ლე-ე-ე!..
აშო მო-მი-სარ-გა-ლე-ე-ე...“

აქუხდა ხალხი მაღლა ჰაერში შეხტომითა და მუხლების ტანზეით შესროლით.

რამდენსაც მაღლა აუწევდა ხმას ხალხი, იმდენს უფრო მაღლა შეხტებოდა და მუხლებს ჰაერში შეისვრიდა.

ამ გუგუნისა და როკვისაგან ბოლოს მიწა შეინძრა და ტყეში ხეები წამოსაქცევად შეჰქანდენ.

დაფრთხენ „კუდიანები“, „მზაკვრები“ და „მესიაკონები“. ტყის მეორე განაპირას გაიქცნენ ღამის მთავართან — დიდ „მენცართან“. მოახსენეს ხალხის სიფხიზლისა და სიმტკიცის ამბავი.

უმბელო მგელზე იჯდა „მენცარი“ და „კუდიანების“ ფერხულს მმართავდა.

ათასი ხელის ჩხირზე დამყარებულ ასკოკიან საწნეხელზე თმაგაშლილი უკბილო „როკაპი“ ვაჟკაცივით გადამჯდარიყო ასკილის შოლტით შეიარაღებული.

ხელების ჩხირებზე საწნეხელი ისე ტრიალებდა, როგორც წყალმიშვებული დოლაბი. მის გარშემო ათასი ხმა რაღაც ქაჯურს და გაუგებარს გაჰკიოდა.

ყველაზე მაღლა საწნეხელზე გადამჯდარი როკაპის ხმა გაისმოდა:

„ტაბაკონაშა! აბა, ტაბაკონაშა“...

მგელზე იჯდა „მენცარი“ და ყველაზე უფრო მაღალი ხის წვერს შეჰყურებდა მოუთმენლად. ხის წვერზე ერთი ვინმე „მესიაკონი“ შესკუპულიყო და ბუს თვალებით გასცქეროდა ზღვის პირად ციხედ შეკრული ხალხის მოძრაობას.

ის დრო იყო, როცა მიწა შეინძრა „ძაბრალეს“ ქუხილისაგან და ხეზე შესკუპული „მესიაკონიც“ ძირს ჩამოვარდა, მგელზე შემჯდარ „მენცარს“ თავს დაეცა.

„ტაბაკონაშა, აბა, ტაბაკონაშა!“

დასჭექა მაშინ „მენცარმა“. კუდიანების შიშის ზარდაცემული მაყრიონი ფსტვენითა და კივილით მოსწყდა თავის ადგილს.

„როკაპმა“ შოლტი გაატყლაშუნა.

„ტაბაკონაშა!“

დასჭყივლა მან უკანასკნელად და ფერხულიც ტაბაკონასკენ დაიძრა უკანმოუხედავად.

— კუდიანების ღამეა ეს ღამე, ბონდო... შენც ისე გიჭირავს თავი, თითქოს „როკაპმა“ სასიკვდილოდ დაგდაღაო... კუდიანების ღამეა ეს ღამე, რაინდო, და სთქვი, რა გსურს, რომ აგისრულო... ასე ნუ მოგიწყენია... ამ ღამეს ყველაფერი შესაძლებელია და მოსალოდნელიც... სთქვი, სანამ „როკაპი“ ტაბაკონას წავიდოდეს და „მენცარის“ მეუფებას ბოლო მოეღებოდეს... სთქვი და აგისრულებ...

— მე თავი მტკივა, თავადის ასულო, უქეიფოდ ვარ. მომეცი ნება, წავიდე კარავში და დავისვენო... არ შემიძლია!

— ვიცი, რაც სატკივარი გაწუხებს... გინდა, მოგარჩინო, უბედურო ჩემო არშიყო?

— ხუმრობის გუნებაზე ვერ ვარ, თავადო...

— უნდა შენი პირით გათქმევინო, რაც ასე გაწუხებს! სანამ მიმალავ? ხომ გითხარი, ამ ღამეს ყველაფერი შესაძლებელია-მეთქი!

— გარდა ერთი რამისა, ჩემო ქალბატონო...

— რას გულისხმობ ამ ერთ რამეში?... მითხარი: ჩემს დაპირებას ხომ არა? სთქვი, ნუ გერიდება... მინდა, რომ გასიამოვნო... ძალიან მინდა, რომ გაგახარო...

— ღამე მშვიდობისა... უნდა წავიდე. ავად გახლავარ... არ შემიძლია...

ნაბადზე აეკრა ბონდოს მაია. ხალხს აარიდა, განზე გაიყოლია. თვალი თვალში გაუყარა და გულამდის ჩააწვდინა.

მერე უცებ შესდგა და ერთი ნაბიჯით დაიწინაურა...

— ბონდო, მობრუნდი, შემომხედე.

ბონდო მობრუნდა. თვალები აახამხამა და შეხედა, მერე ბავშვივით გაიბუტა და სახე აარიდა... განზე გადგა.

— წადი, ბონდო... ჩემს კარავში წადი, ნება მომიცია... ჩემს ლოგინში დაწექი... ჩემს ლოგინში დაწექი და... მომვლელს გამოგიგზავნი... მოგარჩენს, შიში ნუ გაქვს... უკვდავების წამალს დაგალევინებს. მაშინ მაინც მიხვდი, მაშინ მაინც გაზომე, გულქვაო ვაჟო, თუ რა დიდია მაიას სიყვარული შენდამი... წადი... ლოდინი არ დაგჭირდება.

* * *

მარტო რომ დარჩა, მაიამ დაფინოს გასძახა. ნაცნობთა წრიდან გამოიხმო.

გიჟური ანთებით იმზირებოდნენ თავადის ქალის თვალები.

სახეზე ღრაკნილი ელვის ხაზები მიმოუქროდნენ, დაწყვეტილები.

მკერდიდან დაგლეჯილი სუნთქვის ხრიალი სცვიოდა.

მიუწვდომელი, დაფარული განზრახვის ცეცხლი მთელ ტანზე შეჰკიდებოდა და ბედის ცდის სურვილს ისე შეეპყრო, როგორც სიკვდილს.

— მცივა, დაფინო... შენი შალი უფრო თბილია... მომეცი ჩქარა... შენ კი ჩემი წაიღე... ჩქარა-მეთქი... ასე... ახლა წადი და იქ, კოცონთან, მამიცადე... არსად წახვიდე!

დაფინოს შალი ისე მოისხა, რომ თავზედაც გადაიხურა. სახეც შიგ დაიმალა. მერე ხელი უბიძგა მოახლეს, თავიდან მოიშორა: უკან, ისევ ნაცნობთა წრეში, დააბრუნა.

თვითონ კი სირბილით კარავს მიაშურა...

კართან შესდგა. სული მოითქვა.

მერე ყურები დაცქვიტა და მიაყურა. ნელა შეაღო კარი, კვლავ მიაყურა და მყისვე ტანი ბნელ კარავში ქურდივით შეასრიალა.

მაგრამ ზედ კართან მოულოდნელად თრთოლვით ატანილმა ხელმა მკლავზე თითები მარწუხის კბილებივით შემოაკრა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაიტაცა, როგორც ქორმა წიწილი.

ეს იყო ის, რისთვისაც ბედს სცდიდა თავადის ქალი მაია.

თითქოს დავიწყებული ქალწულობა დაუბრუნდა და პირველი სიყვარულის გაუმეორებელი ტკბობის წუთები გაუცხოველდაო, ისე მიჰყვა იგი ვაჟკაცის ხელებს, ფოთოლივით მსუბუქი და დარხეული.

— დაფი, შენს ხელშია ჩემი სიცოცხლე: გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ...

ბნედა შეკიდებულ ხმაზე უჩურჩულებდა ბონდო მქშინავ მკერდზე მიკრულ მაიას.

დეე, იყოს მოტყუილებით გამოწვეული ეს ვაჟკაცური გახელება... დეე, იყოს სხვისადმი მიმართული ეს ნდომა მამაკაცური, ოღონდ მაიას ტანმა ერთი წამით მაინც იგრძნოს ეს ცეცხლი ალესილი ვნებისა, ეს ძალოვანი ლტოლვა სქესური ნებისყოფისა.

მაგრამ უცებ, თითქო მეხი გავარდა და ბონდოს გული გაუპოო, ისე შეჰქანდა ვაჟი, გულზე მიკრული ქალი ხელის ძლიერი კვრით მკერდიდან მოიგლიჯა და ჩვარივით განზე გაისროლა, კუთხეში მიაგდო.

— ჰო, საზიზღარო, ეს რა მიყავი? მომშორდი-მეთქი, ახლავე! — დაიყივლა მან და გულიდან შხამიანი ზიზღი გადმოანთხია.

მაია კედელს მიეხეთქა, შალი გადაძვრა. თავზე თმა აეშალა.

და ბნელ კარავში უცებ სიჩუმე დამყარდა.

მერე სიჩუმეში ბონდოს ქშინვა გაისმა.

თავადის ქალი მაია კი, თითქოს სადღაც გაჰქრაო, ხმას არ იღებდა, სულსაც კი არ ითქვამდა.

მაგრამ უცებ გიჟური სიცილი გაისმა კარავში, და მაიას ლანდი მსუბუქი რხევითა და კისკისით, თითქოს იქ არაფერიც მომხდარაო, ბონდოს მიუახლოვდა.

— ეს ხუმრობა იყო, ბონდო... და შენ რად გეწყინა ასე საშინლად?.. სულელო, გეხუმრე... გეხუმრე-მეთქი...

— არ მომეკარო, გთხოვ... მე ასეთი ხუმრობა არ მწამს!

მაიას სიცილი ისევ ისე უცბად შესწყდა, როგორც გაისმა.

— გეხუმრე-მეთქი, სულელო... — დაიწყო მან ახლა სულ სხვა კილოზე — შენ კი შეურაცჰყავ თავადის ქალი მაია, რომელმაც პატიება არ იცის... შენ შეურაცჰყავ სიყვარული, ბონდო!

გაბზარული ზარის ხმაზე დაასრულა მან და ბონდოს წინ შესდგა.

— ნუ მელაპარაკები ასე, მაია... არ შემიძლია! — ბრაზით შეუტია ბონდომ.

მაია დადუმდა.

— კარგია, რომ ბნელა კარავში და შენ სახეს ვერ ვხედავ, ბონდო...

— მე კიდევ შენსას, ქალბატონო...

თითქოს ერთმანეთი ტყვიით დასჭრესო და მერე იარა გაისინჯესო, ისე დადუმდნენ.

— შენ ჩემთვისაც გითქვამს: „გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ!“

— მერე?

— თავადის ქალს მაიას შენამდე სხვებისაგანაც ქონებია ეს უფლება მინიჭებული... და მით უსარგებლია კიდევაც!

მორიელივით დაჰკბინეს ამ სიტყვებმა ბონდო.

— ჩემთან კი ვერ ისარგებლებ მაგ უფლებით: დაგაგვიანდა... დრო გადასულია...

— განწირვისათვის ყველა დრო ერთია... მაგრამ ეს იმან იცის, ვისაც ნამდვილად გაუწირავს!.. უბედურო, ამღამინდელი ღამე მზაკვრების ღამეა: შეურაცყოფილი ქალის გულის იარას ნუ აღიზიანებ!.. გამათენებინე, იქნება, დღემ ჭრილობა მომიშუშოს...

— მე ის გოგო მიყვარს... რა დღეს, რა ხვალ — ჩემი იქნება! აი, გეუბნები, შენი მზაკვრობის არ მეშინია!

უცებ გაშიშვლდა სიძულვილი ორივე მხრივ, და ბნელ კარავში ყვითელი ფერის ვარსკვლავები დაენთნენ.

მაგრამ მაიამ მაინც გონება შემოინახა.

გარინდებული დუმილის შემდეგ, მან მოულოდნელად ხმა შეალბილა და სიტყვები სულ სხვა ჰანგზე მომართა, რომლის მიღმით, ბონდოსთვის უჩინრად, საბედისწერო განაჩენის მოქნეული ხმლის ლანდი ელვარებდა...

— კარგი, ნუ ღელავ... ჩემო რაინდო. ჩემს ბედს შევრიგებულვარ: მიშორებ — წავალ. ვხედავ აღარ გსურს ჩემი სიყვარული... პატიოსანი... უკანასკნელი იყოს ჩვენი შეხვედრა. მაგრამ არ მინდა იფიქრო, რომ მე სიტყვის პატრონი არ ვარ, და დანაპირები არ შეგისრულე, სანამ ერთმანეთი გვიყვარდა... ჩემი თავისთვის არ მიღალატნია და ახლაც არ მინდა მას მოღალატე გავუხდე... იმისთვის, რაც ჩვენს შორის აქამდე იყო, მომეცი ნება, ისეთი ჯილდო მოგართვა, რომელიც სიყვარულის დედოფალს, თავადის ქალს მაიას შეჰშვენის... დეე, ასრულდეს, რაც ბედისწერისაგან განაჩენია: ჩემი ადგილი ამ ღამიდან დაფინოსათვის დამითმია... ოღონდ, ბონდო, როცა ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის საათი დარეკავს და შენ მას გაიგონებ, ან იგრძნობ, ან დაინახავ, მომიგონე მე — მაია, თავადის ქალი, შენი განწირული სიყვარული, და ეს საშინელი ამაღამინდელი ამბავი, რომელიც აქ, ამ კარავში, ჩვენს შორის მოხდა...

* * *

ღამის თევა გრძელდებოდა. კვლავ ენთო კოცონები ზღვის პირად და „ძაბრალეს“ ხმა კიდით კიდემდე გმინავდა ცამდის აწვდენილი.

თავადის ქალი მაია დინჯი ნაბიჯით დაუბრუნდა ნაცნობ მოაგარაკეთა წრეს, სადაც დაფინოც იმყოფებოდა.

მისმა სანახაობამ გაკვირვება გამოიწვია. ყველა გააოცა, რომ თავადის ქალი უშალოდ იყო.

ჰკითხეს, თუ სად ბრძანდებოდა, შალი რა უყო, ან სადმე ხიფათს რასმე თუ გადაეყარა.

დაფინომ შალი მიაწოდა თავის ქალბატონს.

— მადლობელი ვარ, დაფინო... მე შენი შალი კარავში დამრჩა, ლოგინზე... ნუ დაიზარებ, ჩემო მშვენიერო, გაიქეცი, მომირბენინე...

დედოფალივით მშვიდი იყო მაია. თავაზიანობის თავადური ღიმილი ფარულად აჯდა ტუჩებზე.

— ახლავე, ქალბატონო... მანამ კი ეს მოიხურე.

და დაფინომ წასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

მაგრამ მაიამ უცებ ხელი დასტაცა მკლავზე დაფინოს. შეაყენა, არ გაუშვა.

— გითხარი თუ არა, რომ ლოგინზე დამრჩა-მეთქი? — ჰკითხა და სახეში შეხედა გოგოს.

თითქოს ჯოჯოხეთს თავიდან ბოლომდის გალავანი ახსნაო, — ისე დააბრიალა შავი თვალები.

— კი, ქალბატონო... ახლავე მოვიტან.

მაიამ ხელი მაინც არ შეუშვა მკლავზე დაფინოს.

შეაგვიანა. მერე უცებ:

— მაშ, კარგი, გაიქეცი...

და ხელი მოსხლიტა. გაუშვა. ხოლო როცა დაფინო წავიდა, თითები ჰაერში ისე გაასავსავა, თითქოს რაღაც გაუგებარი ნიშნები დაადევნაო: ისევ უკან უხმობს და არც ჰსურს, რომ დაბრუნდესო.

— ჰო, წადი... ასეა გადაწყვეტილი! — ჩაილაპარაკა თავისთვის და უმალვე განშორდა ნაცნობთა წრეს.

მთვარეულივით გაექანა იქითკენ, სადაც ამბაკო მეურმე ეგულებოდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მოულოდნელად თვითონ ამბაკო წინ შეეჩეხა.

— ამბაკო ხარ, ბიჭო, მართლა?.. თუ მეჩვენება?..

— მაშ, ამბაკო ვარ, ვერ მიცანი? „მენცარი“ ხომ არ გეგონე ამ კუდიანების ღამეში, რომ შეგეშინდა!

უცნაურად შეაშტერდა მაია მეურმეს.

„საიდან გაჩნდა აქ ეს მეურმე? როგორ მოხდა ეს სასწაული?“

აათვალ-დაათვალიერა.

— ეს რა არის, რომ ჰკიდია? — ჰკითხა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ და რევოლვერზე მიუთითა.

— რევოლვერი...

— რად გინდა?.. ნამდვილი ხომ არ არის?

— მაშ, ხისას ხომ არ დავიკიდებდი? — გაეცინა ყმაწვილ გლეხს.

— ტყვიები მაინც არ გექნება... ალბად ცალიერია...

— ხუთივე შიგ ზის, თავის ალაგზე... რატომ დაეჭვდი?

— მაინც რად გინდა? კაცს ვერ მოკლავ... ვერ გაიმეტებ...

— კაცს არა... მტერი კი არ გადამირჩება...

— ააცილებ... გლეხს სროლა საიდან გეცოდინება?

— ნასალდათარიც რომ არ ვიყვე, თვალი არა მაქვს, გული თუ ხელი?

— მტერმა რომ დაგასწროს?

— ეს შემთხვევაზე ჰკიდია... გამარჯვება მართლა დასწრებაზეა...

— გამოცდილი ყოფილხარ... ეს ამბავი გცოდნია.

— უცნაურ კითხვებს მაძლევ... მეც საკითხავად მოვდიოდი შენთან... დაფინო კოცონთან იდგა მთელი ღამე... ახლა სადღაც წავიდა. იქ ვერ ვხედავ... სად არის შენი გოგო, რომ ვერ დავინახე...

— ჰო, რა დაწყობილია ბედისწერის კანონები, ამბაკო.. შენ რომ დაფინოსთვის თვალი გიდევნებია, ძალიან მომწონს... ამ დროს რომ მოიკითხე, ეს უკვე განგება არის.. მაგრამ ამას შენ ვერ გაიგებ... დროზე მოსულხარ ჩემთან, სწორეა... დაფინო ავად შეიქმნა და კარავში წავიდა... კარგს იზამ, რომ მიაკითხავდე. იქნება, რამე სჭირია...

— მართლა? — შეიცხადა ამბაკომ. — ალბად გაცივდებოდა... ვაი, ჩემო თავო! — და შეყვარებული მეურმე სწრაფად გაიჭრა მაიას კარავისაკენ. — მივდივარ... ამ წუთში იქ ვარ...

მაია კი ცერებზე შესდგა და ოდნავ აკივლებულ, მაგრამ წამქეზებელ ხმაზე კვალ-დაკვალ დაადევნა მიმავალს:

— ივარგე, ჩემო ამბაკო!.. ივარგე, ბიჭო, იცოდე!..

მაიას კარავში ზედიზედ სამჯერ გავარდა ერთი და იგივე რევოლვერი...

შეირყა ღამის დაწყობილი თევა ზღვის პირზე. დაირღვა ფერხული, დაიშალა საცეკვავო წრეები. დიდი და პატარა თავადის ქალის მაიას კარავს მიაწყდა, საიდანაც მოულოდნელი სროლა გაისმა.

სულ მცირე ხანში ყველამ გაიგო, რომ ყმაწვილმა გლეხმა ამბაკომ სამი ტყვიით მოჰკლა თავადის ქალის მაიას არშიყი, უცხო ვაჟკაცი, ამ კუთხის უცნობი ვინმე, ყოფილი თავადი...

ალვის ხესავით ტანავარდნილი. წელში ვიწროდ გადანასკვნილი, ზღვაზე სატრფიალოდ ჩამოსული თავის საყვარელთან.

დილამდის არ შეწყვეტილა მისვლა-მოსვლა, ბჭობა, გამოძიება.

გათენებულზე მოკლულის გვამი ნაბადში გახვიეს, საკაცეზე დაასვენეს და მახლობელ თემის „რევკომის“ კანცელარიისკენ წაასვენეს.

დააპატიმრეს მეურმე ამბაკო, და ორი მილიციონერის თანხლებით იმავე გზით გაისტუმრეს...

შუადღისათვის იმავე კანცელარიაში, გამომძიებლის ჩამოსვლის დროისთვის, მთავარ მოწმეებად დაიბარეს დაფინო და

თავადის ქალი მაიაც...

* * *

დილის მზემ მთელი ორი მხარის სიგრძის ოღე გაშალა საქვეყნოდ და დედა-მიწას ნისლით შეკრული სახე გაუხსნა.

განვლილი ღამის ნაფეხურებში სიცხადე ჩადგა ხმალამოწვდილი.

დასავიწყი სიზმრის კოშმარებს ცის მნათობმა უკანასკნელი თვალები ამოსწვა...

დროს ბრუნვას ზურგს უკან ამოეფარა წუხანდელი ამბები...

დადგა დღე მშვიდი და პატიოსანი.

ოდნავ დარწეული ლურჯი ზღვის ზედაპირზე ვერცხლის ქოჩრები აიშალნენ და რაზმებად დაწყობილნი ნელი შუილით ნაპირს მოაწყდნენ. სადაფის შუბები ამართეს და გარემო ლურჯი თვალებით დაზვერეს.

— ვინ არის აქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვესო! — იკითხეს.

ნაპირზე, სააბანო ადგილას, თეთრი ტილო იყო კენჭებზე გაშლილი. ტილოზე იწვა თავადის ქალი მაია, ცალ გვერდზე, პირით ზღვისაკენ მიბრუნებული. გახდილ ტანზე ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

თავთან პერანგამარა დაფინო უჯდა და თმას უვარცხნიდა.

მოთენთილი სახე ჰქონდა თავადის ასულს და მოუკაზმავი. უძილობით დაფლეთილ კანზე ნაოჭები ეყარა და განაცრებული უმარილის დაღები აჯდა.

თვალებში ნაღველის ფერი ჩასდგომოდა და მის მიღმით კიდევ სხვა რაღაც ფერი შეუცნობელისა და შორეულის, რომელიც სიკვდილის ლანდს ჰგავდა.

— ვინ არის იქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვეს? — იკითხეს მეორედ ზღვის ზვირთებმა და მაიას რომ თვალი მოჰკრეს, გაოცებით შესდგნენ და წამით სული განაბეს.

მერე შეცხადებისავით ერთი დაიწივლეს გულამოსკვნილად და ბრილიანტებათ დაიმსხვრნენ იქვე ნაპირთან.

„უბედური თავადის ქალი მაია“... — თითქოს ფიქრი დაასრულაო, ისე წარმოსთქვა თავისთვის მაიამ.

და დაფინომაც მალულად ჩაისლოკინა.

— დაფი, დაანებე თავი თმას, მოდი აქ, წინ დამიჯექი...

— აქ ვიყო, ქალბატონო...

— არა... მოდი-მეთქი...

დაფინო მუხლებზე წამოდგა, მაიას წინ დაუჯდა.

— არა, ასე არა, დაფინო... ზღვას მინდა ვუცქირო, შენც პირი ზღვისკენ მიიბრუნე... და ასე დაჯექი.

ხელი მოჰკიდა მოაბრუნა, მუცელთან დაისვა და მკლავი გადახვია...

— შენც ისე უთხარი, როცა ჰკითხონ... როგორც მოხდა. ერთი სიტყვა ტყუილია არა სთქვა. მე გაგაგზავნე კარავში. კარავში ვიღაც დაგხვდა და... ამ დროს შენი საქმროც... ნამდვილი საქმრო, არ დაგავიწყდეს... იქვე გაჩნდა და შენი დაცვა რომ მოინდომა... თუ როგორ იყო? ახლა მითხარი... შემოვიდა თუ არა, მაშინვე ესროლა ამბაკომ?

— მე არც გამიგია მისი მოსვლა... ის იყო დამიჭირა თუ არა ბონდომ...

— მოიცა: იქ, თუ გინდა, სთქვი მისი სახელი... ჩემთან ნუ ამბობ... განაგრძე.

— მე კიდევ მეგონა, რომ მეხუმრებოდა... ამ დროს ვიღაცამ ხელი დაჰკრა და... მიწაზე დაანარცხა. „ახლა კი არ გადამირჩები!“ — შეჰყვირა. ხმაზე ვიცანი, რომ ამბაკო იყო... რა მექნა, არ ვიცოდი... და როცა იგი წამოდგა იატაკიდან... უცებ სამჯერ გავარდა რევოლვერი და...

— წამოდგა იმისთვის, ალბად, რომ ამბაკო მოეკლა... ხომ?.. და შენც ასე სთქვი...

უცებ ორივე დადუმდა.

დაფინო სტიროდა.

— ამბაკოს მალე გაანთავისუფლებენ... შეიძლება, როცა დაგკითხავენ, გამოგაყოლონ აქეთ კიდევაც... თუ არა, და დააგვიანეს, იცოდე, მის ხარებს მოუარე... დროზე აჭამე, დროზე გარეკე... დროზე დააბი... რა მამულ-დედულის პატრონები ხართ: ამ ხარებმა უნდა გარჩინონ...

უცებ წამოდგა თავადის ქალი მაია... მეორე მკლავიც მოხვია დაფინოს და გულში ჩაიკრა. სახე თმაში ჩაუმალა და ჩუმი ქვითინი დაიწყო გულამოსკვნილი...

ასე კარგა ხანმა გაიარა.

მერე ისევ უცებ ხელი შეუშვა ერთგულ გოგოს.

— შუადღეც მალე მოაწევს... არ დაგაგვიანდეს: წასასვლელი ხარ... დროა, მაბანაო, ჩემო დაფინო.

ადგნენ. მაიამ ზეწარი მოიხვია.

— მომეხმარე, კენჭებზე ვერ დავდივარ...

დაფინო შეებჯინა.

ზღვის პირთან ქვიშაზე შესდგა მაია. დაფინოს მთელი ტანით დაეყრდნო.

კიდევ ჯარად აიშალნენ ზღვის ვერცხლის ზვირთები. მწყობრად წამოვიდნენ და ნაპირზე გამოიფანტნენ შუბებით.

მაიას წინ ყალყზე შესდგნენ.

— ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს? — კვლავად იკითხეს.

— ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფი... მეჩვენება, თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას... და როგორც ზღვა ისე დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი... ნეტავი შემეძლოს მისი გული მოვიგო?.. რა შევწირო, ან რა აღუთქვა, რომ არ მაშინებდეს?.. რა გამაჩნია?!. აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური!!. მათ თვლებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია აღბეჭდილი და... სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭდები მაქვს და სამაჯური...

— ამ სამაჯურით მე დავინიშნე სულ პირველად, დაფინო, როცა... შენი ხნისა ვიყავი... აფხაზი იყო ჩემი პირველი საქმრო, სახელად ჰაიდბეი და გვარად ჩაჩბა, მთავარის შთამომავალი... მე მას არ ვიცნობდი. არ მენახა, ამბობდნენ, ღამით მთვარეს ჰგავს და დღით მზე-

საო... მოციქულები გამოუგზავნა მამას. როცა თანხმობა მიიღო, ძღვენი მოართვა: მის მორთმეულ ოცდახუთ ცხენში ორი წმინდა არაბული ერია, ახალი თოვლივით თეთრები და ჭკუიანები, როგორც ადამიანი. თავადის პირველ ძღვენს ასი ქალი და კაცი მოჰყვებოდა მისი უფროსი დის მეთაურობით, რომელმაც ეს სამაჯური გადმომცა ძმის სახელით. მითხრა, აფხაზეთის შვიდი დედოფლის ნაქონი არისო და ისეთი ძველი, როგორც ჩვენი ქვეყანაო, და ისე ნაკვეთი და ისე მშვენიერი, როგორც იგივე ჩვენი ქვეყანა არისო... და ასი რჩეული, დინჯი და ზრდილი აფხაზი თავადის ასულს სიტყვას უდასტურებდა. დრო დაინიშნა ქორწინებისა... წამოვიდა ჰაიდმბეი, ბრწყინვალე ჩაჩბა. ოდიშისაკენ... მაგრამ, დაფინო, ყური დამიგდე... მე ის, როგორც მანამდე, შემდეგშიც არ მინახავს... ზამთარი იყო, ინგურზე ფონით გადმოდიოდნენ... და როგორ მოხდა, არავინ იცის: ხუთასი კაცის თვალ წინ მდინარეში დაიღუპა ჩემი თავადი ჰაიდბეი ჩაჩბა... და ეს მისი სამაჯურია... მე მას ამიერიდან ზღვას ვწირავ! შეხედე კარგად: მიიღებს თუ არა ზღვა ამ ჩემს შესაწირავს?..

— უიმე, ქალბატონო...

— სუ... აი, ზღვა როგორ დაწყნარდა... დაყუჩდა. შევსდგათ შიგ ფეხი... გამთბარა კიდევაც... მომყევი, დაფი... ჰო, და მერე ჩემი ცხოვრება გამოიცვალა, ჩემო პატარავ. მამა მომიკვდა... მერე დედაც... დავრჩი გაუთხოვარი... ეს ბეჭედი, დაფინო, ოდიშის თავადს ეკუთვნის, ვეფხი ჩიჩუას... მე ის მიყვარდა. მაგრამ მე სხვას ვუყვარდი და იმ სხვამ არ მოითმინა, რომ მე თავადი ვეფხი მიყვარდა... და მოჰკლა... აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს: იშვიათი ლალია, დიდი ოჯახის საგვარეულო განძი!.. დააკვირდი: შეიწირა თუ არა შესაწირავი ზღვამ?.. ჰა, უფრო დაწყნარდა ზღვა... წელამდის გვიწევს წყალი, მაგრამ... მუდამ ალერსით სავსე ჩემი ვეფხი ჩიჩუას ტრფიალს მაგონებს მისი შეხება... მომყევი, ჩემო ერთგულო გოგო... ნუ გეშინია... ის „სხვა“, რომელმაც ჩიჩუა მოკლა-მეთქი, ნამდვილად სხვა კი არ იყო, — არამედ ჩემიანი... ნათესავი. მე ის მძულდა, გარწმუნებ, დაფინო... მის სახელსაც არ ვიტყვი, რადგანაც ახლაც მძულს... და ეს ბეჭედი ძველი ალმასით დამშვენებული, ეხლაც რომ მკითხო, ვერ მოგცემ პასუხს, თუ მას ამდენ ხანს რად ვატარებდი?.. აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს, ჩემო დაფინო... იგი მოჰკლა ჩვენმა ახალმა მოურავმა, უბრალო ლაკადელმა აზნაურმა, ჩემი სიყვარულისთვის. ჯოტო იყო მოურავის სახელი... მისგან მე არაფერი დამრჩენია გარდა მისი უერთგულესი სიყვარულის მოგონებისა... მაგრამ მის უბედურ სიკვდილს შენც მოსწრებიხარ, დაფი...

— ქალბატონო, ძალიან შორს მიდიხარ: ზღვის სიღრმე აქ საშიშია... გნებავს, დავბრუნდეთ...

— მეც სიღრმეს ვეძებ, დაფინო... ზღვის სიღრმეს, რომელსაც შეუძლია ისე დამმალოს... ისე დამფაროს... რომ ეს ჩემი ტანი...

— დაბრუნება ჯობია, ქალბატონო...

— რატომ? აქ ხომ კარგია!.. მაგრამ თავსაკრავი რომ არ წამომიღია!.. ეს როგორ მოხდა?.. შენი ბრალია... უნდა გაგიწყრე! ტკივილი ვიცი, თუ თავი შეხვეული არა მაქვს. დაბრუნდი, დაფი, თავსაკრავი მომირბენინე... ახლავე... როგორ გაბედე და დაგავიწყდა! მალე-მეთქი, გიბრძანებ... გესმის? თავსაკრავი მჭირია!

შეშინებული დაფინო სწრაფად წამოვიდა ნაპირისაკენ.

აჩქარებისაგან ფეხი ეშლებოდა. წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირთან მოაწია, უკან მოუხედავად გაიქცა. დასტაცა ხელი მაიას თავსაკრავს და უმალვე ისევ უკან გაბრუნდა.

გაიხედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია...

ლეო ქიაჩელი
1927

უსათაურო

არიფებო! თქვენგან დავალებული მაქვს რაიმე გიამბოთ.

რა გიამბოთ?

ჩვენი ცხოვრების დუხჭირობა თუ სიკეთე? გიამბოთ, რომ საქართველოს ახალი კულტურის სათავე იქ ჩაისახა, სადაც ძველი აღმოცენდა? გიამბოთ, რომ ახალი სვეტიცხოველი ძველ სვეტიცხოველში აინთო?

ეს ხომ დამასწრეს კიდეც.

რას ჩაგეცინა, ილავ! შენი ლექსი გეცნო? რა ვქნა?! ამას მარტო შენ ხომ არა ჰფიქრობ? არიფები ყველა ასე ვფიქრობთ. ასე უწერია შალვას ა. თ. ე.-ში.

აკი ვთქვი დამასწარით-მეთქი.

ჩვენი დუხჭირობა გიამბოთ? ესეც დამასწრო ჩვენმა მიხეილმა. დამპატიჟე — ჩვენი ცხოვრების დუხჭირობაა. მაგრამ იმედიანი ხარ, მიხეილ. გრწამს, რომ ეს პატარა დუხჭირობა მალე გამოსწორდება.

მაშ, რა ვქნა?

დამასწარით. ყველას ჩამოგრჩით!.. არა უშავს რა. თქვენ წადით წინ. მეც მოგყვებით და ყველანი წინ ვიქნებით.

ჰა? მაინც და რა გიამბოთ?

ვასოსავით პეიზაჟები არ მეხერხება. არც შეგეცილები, ჩემო ვასო!

არც მოლექსე ვარ და არც ფილოსოფოსი, თქვენსავით, კონსტანტინეებო, რომ ლექსი გავმართო ან სიბრძნის უფსკრულში ჩავიხედო.

მაშ, ისევ ისევ ზღაპარს გეტყვით.

პატარაობისას, თქვენსავით, მეც მიყვარდა ზღაპრები. მერე რომ იცოდეთ, რამდენი ვიცოდი! უთვალავი. დღე ღამეს რომ მობმოდა და მეამბნა, ჩემს ცოდნას ვერ დავლევდი. არც დაღლა ვიცოდი. ეხლა კი?.. შვილები რომ ჩამაცივდებიან ხოლმე, მამავ, ზღაპარი გვიამბეო, ერთიც ვეღარ მაგონდება. მაგრამ თქვენ კი გეტყვით ზღაპარს. ზღაპარს მოგონილს, ლამაზს, მაგრამ სისხლიანს.

იყო და არა იყო რა...

ბრძენთა ბრძენი და განთქმული ექიმი ნიშამი თავჩაღუნული, გულხელდაკრეფილი და დაფიქრებული მიდიოდა.

მისი ნაბიჯი დინჯი იყო, ისეთი, ბრძენს რომ შეშვენის. ისე მიდიოდა, თითქოს მისი მარტო თავი კი არა, ფეხებიც კი ჰფიქრობსო. ფიქრის ნაბიჯი დაემძიმებინა და ნიშამი ფეხს ისე ადგამდა, თითქოს დედამიწის ჩაზნექვა ჰსურსო.

ფიქრში გართულს ეტყობოდა, ვერას ამჩნევდა. არც კი იცოდა, საით მიდიოდა. ბრძენის გრძელი და თეთრი ტანისამოსი უდაბურ ტყის სიშავეში და ლარივით სწორ, ნაცარა გზაზე დინჯად მიირხეოდა.

ტყეში დუმილი იყო. ათასწლოვან მუხების ტოტები მდევების მკლავებივით იყო გაშლილი და ისედაც გაშავებული ცა უფრო იბურებოდა.

ბნელოდა. ღამე ხეებს შუა ჩაჭრილიყო, მუხებს შემოჰხვეოდა, დედამიწას აწვებოდა.

ეს იყო დიდი მუხები, ხალხის სალოცავი, ღმერთების სამყოფელი.

აქ მოვიდა ბრძენი ნიშამი, სასახლის ექიმი.

აქვეა კერპი. გზის ბოლოს, შუა ტყეში, კვარცხლბეკზე ზის. პირქუში, მრისხანე, უძრავი.

ღმერთის წინ შეჩერდა ბრძენი. თავი ასწია და კერპს შეხედა. ალბად არ ელოდა, რომ ფიქრი აქ მოიყვანდა, საკუთარ სათავესთან, ექიმი ხომ ამ ღმერთის ნათქვამმა დააფიქრა!

ბატონობის, მრისხანების და დაუნდობლობის იერი ჰქონდა ამ ღმერთს. ლალის თვალები ესხა. ხელში ოქროს კვერთხი ეჭირა. თეთრში მოსილი, თმა გაშლილი ქალწული სამსხვერპლოს წინ პირქვე დამხობილი ლოცვაში იყო გართული, ცეცხლის ფარეში.

შეხედა ნიშამმა ღმერთს და კვლავ გაიფიქრა:

— განიკურნება თუ არა სიბერე უძლური?

ბრძენია და ექიმი. ამ ხელობაში დააბერა თავი. მუდამ უფიქრია ეს საფიქრებელი, მაგრამ პასუხი ვერ უპოვნია. დღეს კი უფრო მტანჯველი გახდა ეს ფიქრი.

— შესძლებს თუ არა ადამიანი მისცეს ჭაბუკობა სიბერეს?

მის თვალს არა შორდება უძლური და ბებერი მეფე. საწოლზე იწვა მპყრობელი და ჭაბუკ სისხლს გაშმაგებით სწუწნიდა.

დიდი ხანია დაბერდა და დაუძლურდა მეფეთ-მეფე და სარეცელს დაეკრა. ვეღარც ნადირობა შეეძლო, ვეღარც ნადიმობა, ვეღარც მეომრობა და სიყვარული. თავის ჭაბუკობას რომ იგონებდა — სანატრელი უხდებოდა. ვეფხვივით იცოდა ხტომა. იმის მახვილს მის მეტი ვერავინ ასწევდა. იმის მერანს მის მეტი ვერავინ იმორჩილებდა, გაფრენილ პეპელას ისარს არ ააცდენდა. ამ სიჭაბუკით დაიპყრო ქვეყნები. მრავალი მეფე გაიხადა მოხარკეთ და უთვალავი ხალხი მონად. ათასი ცოლი ჰყავდა, ქვეყნიერებაში დარჩეული — ულამაზესნი. მათთან ერთად ღამის გატარება უყვარდა და თავი სამოთხეში ეგონა ხოლმე. კიდით კიდიდან მოსდიან საჩუქრად დარჩეული ლამაზები ცოლებათ... მაგრამ ეხლა უძლურია. ხორცი მოუდუნდა. სისხლი აღარა სჩქეფს სხეულში, მხოლოდ დაძრწის ძარღვებში უშნოდ, უნდილად. ქვეყანა კი არ დაბერდა. მზე ისევ ცხარედ ანათებს, მთვარე ისევ ნაზია, ქალები უკეთესნი გახდნენ. ცოლთა კრებულში ისევ არიან მზეთუნახავნი, მისთვის გამზადებულნი ქალწულნი, რომელთაც ვეღარ შეეხებია. ამაოა ყველაფერი. მხოლოდ თვალი ჰხედავს.

და მოისურვა მპყრობელმა ჭაბუკობა.

— ნახევარი სამეფო იმას, ვინც ჭაბუკობას მომცემს. მთელი სალარო იმას, ვინც ჯანში სისხლს ამიჩქეფებს. უარს ვამბობ მეფობასა, დიდებასა, სიმდიდრესა, ყველაფერზე რაცა მაქვს, რაც ჩემს მტერსა და მოყვარესა ჰშურს, ყველაფერზე ავიღებ ხელს, ოღონდ მომეცით ჭაბუკობა.

შეინძრა სასახლე და მასთან ერთად მთელი სამეფოც. სიბერის წამალს დაუწყეს ძებნა, ჭაბუკობის მომცემს.

მილეთის ექიმები მოიყვანეს, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ისპაჰანიდან, აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ცივი და ცხელი ქვეყნებიდან. სადაც კი კაცის ხმა მისწვდებოდა, ყველგან ეძიეს წამალი და ექიმი... მაგრამ უკურნებელ სენის სამკურნალო რამ ვერსად იხილეს.

სათუთ და მრისხანე მეფის სხეული დნებოდა და ძრწოდა სასახლე, ძრწოდა სამეფო.

ჭაბუკობა ჰსურდა მეფეს. არა ჰსურდა სიკვდილი და ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი მიეცა. ვინ დასთვლის, რამდენ ექიმს მოსჭრეს თავი, რამდენი შიკრიკი ჩამოაცვეს სარს წამლის დაგვიანებისათვის. ბევრი კარისკაცი ჩაუგდეს ხაროში მხეცებს, რადგანაც განრისხებულ, დარდიან, იმედ გაცრუებულ და დაბერებულ მეფეს რაღაცა არ ესიამოვნა. ბევრი მსხვერპლი შეეწირა ღმერთებს, მაგრამ მბრძანებელი ვერ იკურნებოდა. შიშმა შეიპყრო ქვეყანა. გლოვა და ზარი დადგა სამეფოში.

ყვავილთ ბაღიც — ცოლთა კრებული — ჰგლოვობდა მეფის დაძაბუნებას და მის სიკვდილს გულისფანცქალით ელოდა, რათა ახალ მბრძანებლის დამატკბობელნი გამხდარიყო. ცოლები იმ ძაძებზე ჰფიქრობდნენ, მეფის სიკვდილზე რომ ჩაიცვამდნენ და თვალით ჰზომავდნენ იმ დიბა-აბრეშუმს, ახალ პატრონის წინაშე რომ გაიხდიდნენ.

ბოლოს მეფეთ-მეფემ უხმო ქურუმთ-ქურუმს და უბრძანა:

— იქნებ მიშველოს მუხათა ღმერთმა. შენ ამბობ ხოლმე, ძლიერიაო. გასწი. ილოცე. იმკითხავე მის წინაშე. იმარხულე. მის სამსხვერპლოს მსხვერპლს ნუ მოაკლებ. გახსენ ჩემი საჭურჭლენი და წაიღე, რაცა გსურდეს. ოღონდ ღმერთს გამოჰკითხე ჩემი სიბერის წამალი.

ამ ბრძანების შემდეგ, აი, ამ ტყეში, ამ კერპის სამლოცველოში, სადაც ეხლა ბრძენი ნიშამი სდგას, შეიქნა ქურუმობის ლოცვა და მარხულობა. იყო კიჟინა, თრობა და მსხვერპლთა სისხლის ღვრა. ლოცვაში გატაცებულნი ქურუმნი მიწაზე გორაობდნენ, გუნდრუკს აკმევდნენ და დიდ ღმერთს წამალსა სთხოვდნენ. მრავალი მსხვერპლი დაიკლა. ბევრი საკმეველი დაიწვა, მრავალი გუდა ოქრო და თვალმარგალიტი მოვიდა სასახლიდან ღმერთისათვის ქრთამად და ქურუმების სარდაფები გაავსო.

ერთი კვირის ლოცვით, ფხიზლობით, ღვინით და გუნდრუკით დამთვრალ ქურუმთ-ქურუმს დაეძინა და ძილში ღმერთმა უთხრა წამალი.

ქედ მოხრილი შევიდა ქურუმთ-ქურუმი მეფის საწოლში და სასიხარულო ამბავი მოახსენა:

— დიდია ღმერთი და სახელი შენი ძლიერი. ძვირფასი იყო მსხვერპლი შენი ღმერთისადმი შეწირული და ძილში, სიზმრად გვასწავლა წამალი. წამალია იმ ქალწულის სისხლი, რომელსაც ძუძუსთავზე სამყურა ხალი აქვს.

— რასაც დაპირებული ვარ, ის მიმიცია, ვინც მიპოვნის ასეთ ქალს! — გასცა ბრძანება მეფემ.

ეს ამბავი მთელს ქვეყანას მოედო. გაფრინდნენ მკვირცხლნი, მალემსრბოლნი, დაგეშილ ძაღლებსავით დასდევდნენ ქალებს. მთელს ქვეყანას დაუწყეს ჩხრეკა. მრავალი ქალი გააშიშვლა უხეშმა ხელმა, მრავალ უმანკო სახეს გადაჰკრა სირცხვილის სიწითლემ. მრავალს აუკანკალა გული შიშმა. ვერც დიდებულის ოჯახი გადარჩა, ვერც მონისა, ვერც ღარიბისა, სამყურა ხალიანი ქალი კი მაინც ვერსად იპოვნეს. მეფე უფრო მრისხანებდა. აქამდის თუ არ იცოდა წამალი, მისი არც შოვნა შეიძლებოდა. ეხლა კი იცის წამალი და შოვნა კი შეუძლებელი გახდა.

ნუთუ მთელს დუნიაზე არ მოიპოვება ასეთ ნიშნიანი ქალი? და ყოველი შიკრიკი, რომელიც ხელცარიელი ბრუნდებოდა, სარზე იყო ჩამოცმული.

გავარდა ხმა — ბევრმა დამალა ქალიო. შეიქნა დამალულთა ძებნა. შურით თუ მტრობით დასმენა, ხოცვა, წამება. საპყრობილეები გაივსო უდანაშაულოებით. მთებს, ტყეებს, უღრანებს მოედვნენ მეფის კაცები და ჯაშუშები: ქვეყანა შიშით და გლოვით გაივსო. საპოვნელს კი ვერა ჰპოულობდნენ.

ჭაბუკი მწყემსი მოლზე იჯდა და თავი ქალის მუხლებზე ედო. ტყე შრიალებდა. მწყემსი მშვენიერ ნაას თავის გულის მეფეს, თვალებში შესცქეროდა. ამათ ორ წყვილ თვალში ჭაბუკთა უმანკო სიყვარული სჩქეფდა, მაგრამ ქალის თვალებს ნაღველი ჰქონდა გადაკრული.

— გულის სწორო! გინდა იპოვნო სამყურა ხალიანი ქალი და მეფე გახდე? მბრძანებელი ხომ — ნახევარ სამეფოს არის დაპირებული?

— ჰო, მინდა. მაგრამ მეფედ მე არ გავხდებოდი. მე კი ისევ შენი მონა დავრჩებოდი.

ნაა წყნარად წამოდგა, გულის პირი გაიხსნა და სატრფოს ძუძუს თავი დაანახვა.

მწყემსს თვალთ დაუბნელდა. სიმდიდრე, დიდება და მეფობა იყო მის წინ. ხელში ეჭირა ყველაფერი ესა.

— წადი, უთხარ მეფეს ეს ამბავი. მეფე გახდები.

— ჩემისთანა მრავალი ეყოლება! — უთხრა ქალსა ვაჟმა და თვალებში ჩააცქერდა.

ტყუილია. ბიჭს არც მეფობა ჰსურს, არც სიმდიდრე, არც სხვა რამ ბედნიერება თავის ნაას მეტი. მხოლოდ სიყვარულია ბედნიერება ქვეყნად. ვერვის დაუთმობს თავის ნაას, ვერვის მისცემს სიყვარულს.

მთვარიან ღამეში რაშები მიჰქრიან უღრან მთებში. ჭაბუკმა გაიტაცა თავისი დედოფალი. გაექცა სიმდიდრეს, მეფობას. შორს ჰსურს წაიყვანოს თავისი გულის დედოფალი, მოაშოროს სიკვდილს, იხსნას სიყვარული.

მეფის საწოლში შიკრიკი შეფრინდა. სახე მხიარული, გაბედული. წესისამებრ პირქვე უნდა დამხობილიყო და მეფისთვის ისე უნდა მოეხსენებინა ამბავი. სიხარულმა კი ეს წესი დაავიწყა.

— ვიპოვნეთ, მეფეო! ვიპოვნეთ წამალი. მოჰყავთ სამყურა ხალიანი ქალწული. ლამაზია ვით ამომავალი მზე და ნაზი ვით დილის ნიავი. მოჰყავთ. გაიხარე უძლეველო. მოგეცა ჭაბუკობა.

— სად არის? სად იპოვნეთ?

— საღამომდის აქ იქნება, თქვენს ფეხთა ქვეშ უღრან მთა-ტყეში ვიპოვნეთ. ვიღაც მონა ჭაბუკს მიჰყავდა დასამალავად. მაგრამ შენს ერთგულთ ვერ გამოეპარათ. დაიჭირეს და მოჰყავთ.

— ვინ გაჰბედა და მომპარა საკუთრება. განა რაც ჩემს სახელმწიფოშია — ჩემი არ არის?! ვინ მომპარა წამალი. ვინ გაიტაცა სამყურა?

— ჭაბუკია ჩვენთვის უცხო, ლამაზი და მოხდენილი. მწყემსია ალბად. ისიც შებორკილი წარმოსდგება შენს წინაშე. მსჯავრი შენი იქნება.

გამხიარულდა მეფეთ-მეფე. დიდი საჩუქარი მისცა შიკრიკს. გამხიარულდა სასახლეც. ყველამ თავისულად ამოისუნთქა. გაჰქრა შიში. ყველა ერთმანეთს ულოცავდა მშვიდობით გადარჩენას.

მეფემ ლხინის გადახდა ბრძანა. გაიმართა ნადიმი. მოიწვიეს სტუმრები. სასახლე ოქრო-ქსოვილით და ყვავილებით მორთეს. გუნდრუკი დააკმიეს და მაშხალები აანთეს. მემუსიკენი და მგოსნები სახლის ყოველ კუთხეში უკრავდნენ და მღეროდნენ და ძლიერს ქებას უგალობდნენ. დარბაზებში დიდი შადრევნები მოუშვეს და წყალმა ჩუხჩუხი დაიწყო. ასე უნდა აჩუხჩუხდეს მეფის სისხლი. მოცეკვავე ქალები მოხუც მეფის წინ ცეკვავდნენ. ნელ-ნელა შორდებოდა მათ სხეულს თხელი ბურსეული და გახარებულ მეფის წინაშე შიშველი ქალები ცეკვის ექსტაზში ითვრებოდნენ. მეფის სხეულში ჩამკვდარი ძალა უნდა გაეღიზიანებიათ, რომ მას ეხლავე განეცადნა ის სიტკბოება, რომელსაც გაჭაბუკება შესძენდა.

მეფის მასხარა მოცეკვავე ქალთა ფეხებ შორის გორაობდა და იცინოდა:

— ეგ წამალი ახალი არ არის მეფევ! ქურუმებმა არ მოგატყუონ, რაც ქვეყნიერება არსებობს, კაცი კაცის სისხლსა სვამს და ისე სცხოვრობს. მეორედ შობილი კი არავის უნახავს.

მთვარემ სასახლეში შეანათა, როცა მეფის საწოლთან ხელებ შეკრული მშვენიერი ნაა დააყენეს და იატაკზე კი შებორკილი ჭაბუკი დააგდეს.

ქალის სინაზე შიშის და სიკვდილის მოლოდინს გაემრავლებინა.

თრთოლვამ აიტანა, როცა გულისპირი გაუხსნეს, მკერდი გაუშიშვლეს და სამყურა ხალი დაანახვეს მეფეს.

კანკალებდა ქალი და შველივით იცქირებოდა.

სასიკვდილოდ მოიყვანეს აქ და მუსიკით, გუნდრუკით, ცეკვით და სიმღერით დაუხვდნენ. სიბერისთვის უნდა დაღუპულიყო ჭაბუკობა და სიყვარული. მეფისთვის არ შეუხედნია მზეთუნახავს. თავჩაღუნული დასცქეროდა სატრფოს, მის წინ რომ ეგდო შებორკილი.

როცა მეფე ქალის ცქერით დატკბა, დაჰხედა ჭაბუკს და ბრძანა:

— საპყრობილეში ჩააგდეთ! ჯურღმულში!

ეხლა ამისთვის არა სცალიან. ეხლა მას თავისი უძლური სხეული აქვს საფიქრებელი, დალევს წამალს. გაჭაბუკდება და შემდეგ მოიცლის მოღალატე მონისთვის. ეხლა კი:

— ჩქარა! მასვით ჭაბუკი სისხლი!

ნაას გაუხსნეს მაჯა. უძლური მეფე წითლად მჩქეფარე სისხლს დაეწაფა და სმა დაუწყო. ხარბად სვამდა სისხლს მეფე, სიხარულით, დაუღალავად. მძლავრად მოსჩქეფდა ჭაბუკს სისხლი და მეფეს პირში უგუბდებოდა. უძლური ვერ ასწრობდა მომდინარე სისხლის სმას და ეღვრებოდა. ულვაშებსა და წვერებს წითელი ზოლები ჩამოჰყვა და ჭაღარა შეღება. ფარჩის ლოგინს ეწვეთა.

კანკალით დასცქეროდა ქალი თავის სისხლის მბრძანებლის ჯანში გადასვლას. მეფე სმას რომ ვერ ასწრობდა და იატაკზე იღვრებოდა. ცრემლები თან მისდევდა სისხლს. ჰსურდა ნაას გაქცევა, ეძებდა მხსნელს, მხსნელი კი საპყრობილეში იყო, იკარგებოდა სიჭაბუკე, სიყვარული, სიცოცხლე. სისხლის წვეთებად ეპკურებოდა ნახატ მარმარილოს იატაკს და ზედ ახალ-ახალ ყვავილებს ჰქარგავდა. მეფეს კი სისხლი ახრჩობდა. უძლური ვერ ასწრობდა ახალგაზრდა მჩქეფარე სისხლის სმას და სული ეხუთებოდა.

აგერ გადაგორდა სისხლის ერთი წვეთი, იატაკის ცივ ქვაზე მოიკუმშა და შედედდა. მასთან მეორე წვეთი მიგორდა... უეცრივ გააპო ცივი ქვა და სისხლის ამ წვეთებში ვარდი ამოვიდა: ნაზი, ლამაზი, სურნელოვანი, ჭაბუკი და სისხლივით წითელი. კიდევ დაგუბდა სისხლი. კიდევ აღმოცენდა ვარდი, გადაეჭდო პირველს და ორი ვარდი ერთ ვარდად იქცა. რაც მეტი სისხლი იღვრებოდა იატაკზე, ნაა მით უფრო სუსტდებოდა და სიკვდილს უახლოვდებოდა. მაგრამ მისი სისხლი, იატაკზე დანთხეული, წამსვე ვარდად იქცეოდა და წინანდელ ვარდს უერთდებოდა. იზრდებოდა ერთი ვარდი, დიდი, ჭაბუკობისა და სიყვარულის სისხლზე ამოსული.

ნაა კვდებოდა, ვარდი იზრდებოდა, მეფეს კი სიხარბე ახრჩობდა.

ფარდაგი გადიწია და დარბაზში ექიმთ-ექიმი, ბრძენთ-ბრძენი შევიდა.

— მოველ, მეფეო, გითხრა, რომ ქურუმების ნასწავლები წამალი ნამდვილი წამალი არ არის. ერთი კვირაა ვფიქრობ ამას და ეხლა მივხვდი. ჭაბუკი მუდამ ჭაბუკია, მოხუცი კი მუდამ მოხუცი...

უკვე გვიან იყო. სისხლისაგან დაცლილი ნაა სავარძლიდან გადმოვარდა და მის სისხლზე ამოსულ ვარდის ძირას დალია სული. მეფე უკვე მკვდარი იყო.

ჭაბუკ მწყემსს შეეძლო გაეცა ქალი და მეფე გამხდარიყო. მაგრამ მან სიყვარული ამჯობინა მეფობას. ამის ჯილდოთ ხალხმა მწყემსი საპყრობილიდან გამოიყვანა და მეფედ დასვა. ახალმა მეფემ ტახტი საყვარლის სისხლზე ამოსულ ვარდთან დაიდგა და უცოლობის აღთქმა დასდო. მან დალეწა ის კერპი, რომელმაც სისხლის სმა ასწავლა ადამიანს. როცა მეფე ტახტზე ავიდოდა ხოლმე, ვარდი თავსა ჰხრიდა და მუხლებზე ეხვეოდა.

ვარდმა იმდენ ხანს იცოცხლა, რამდენიც იცოცხლა მწყემს-მეფემ, მისმა სატრფომ. ვარდი მეფის სიკვდილის წუთს დასჭკნა და თავისით მოსწყდა.

იოსებ ტატიშვილი

ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია[1]

ვეფხის-ტყაოსანის ეგრედწოდებული ვახტანგისეული რედაქციის საკითხი კარდინალური საკითხია ვეფხის-ტყაოსანის პრობლემაში. ამ საკითხის სწორი გადაჭრა დიდ სინათლეს შეიტანს რუსთაველის სახელის გარშემო გამეფებულ წყვდიადში. ვახტანგისეული რედაქცია ეწოდება ვეფხის-ტყაოსანის იმ ტექტს, რომელიც დაბეჭდა **ვახტანგ მეფემ 1712 წელს** და რომელიც რადიკალურად განსხვავდება პოემის ყველა უძველესი ხელნაწერების ტექსტისაგან. შემდეგი დროის ბეჭდვითი გამოცემები, გარდა ს. კაკაბაძის პირველი გამოცემისა, ემყარებიან ვახტანგისეულ რედაქციას, ასე რომ ფართო მკითხველი საზოგადოება ვეფხის-ტყაოსანს იცნობს დაახლოვებით იმ სახით, რა სახითაც ის ამ რედაქციაშია წარმოდგენილი.

წიგნის ამ ნაწილში მე შევეცდები დავამტკიცო ჩემი შემდეგი დებულება: **ვახტანგისეულ რედაქციას აკლია ნამდვილად რუსთაველის მიერ დაწერილი ცალკე ტაეპები სხვადასხვა ადგილას და მთელი თავები ბოლოში.** დავიწყოთ ცალკე ტაეპებიდან.

1 მაგალითი. პოემის თავი „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა“ პირველ ორ ტაეპში („ნახეს უცხო მოყმე ვინმე“... და „მას ტანსა კაბა ემოსა“...) აგვიწერს წყალის ნაპირას მჯდომარე ტარიელს. ამ ტაეპებს ვახტანგისეულ რედაქციასა და ყველა მასზე დამყარებულ ბეჭვდით გამოცემებში, გარდა ს. კაკაბაძის უკანასკნელი გამოცემისა, მისდევს ტაეპი — „წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად“. ეს ყოვლად შეუძლებელია, მონა ვერ წავიდოდა, თუ ის არავინ გაჰგზავნა, თუ მას არავინ უბრძანა წასვლა. ასეთი მნიშვნელოვანი მომენტის გამოტოვებას არა თუ ენაწყლიანი ეპიური პოეტი, არავინ არ დაუშვებდა. მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერებში ორ პირველ ტაეპს მისდევს შემდეგი ტაეპი, რომლის აუცილებლობა პოემის ტექსტისათვის დღესავით ნათელია:

მეფემან ბრძანა, ვინ არის უცხო პირად და ტანადო,
უბრძანა ერთსა მონასა წადი ფიცხლად და ჯანადო;
გიბრძანებს, უთხარ, ვერ გიცნობ ჩვენთა ლაშქართა თანადო;
ვინცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩემგან მონაყვანადო.

აი, ამ ტაეპის შემდეგ უკვე სრულიად ბუნებრივია ტაეპი — „წავიდა მონა საუბრად...“

2 მაგალითი. როსტევანი უამბობს თინათინს უცხო ყმის გადამალვის ამბავს. ვახტანგისეულ რედაქციასა და მასზე დამყარებულ ბეჭვდით გამოცემებში აქ ტაეპს „მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა...“ უშუალოდ მოჰყვება ტაეპი — „ტკბილნი **მისნი** წყალობანი ბოლოდ ასე გამემწარნეს“... სრულიად გაურკვეველია, თუ ვის ჰგულისხმობს აქ ნაცვალსახელი „მისნი“, რომლის შესახებ არაფერი წინა ტაეპში ნათქვამი არ არის. მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, თუ ამ ადგილს ზოგიერთ ხელნაწერებში წავიკითხავთ, სადაც შენახულია ტაეპი:

აწ ესე მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე დარული;
მან დამიხოცა ლაშქარი სისხლი ადინა ღვარული;
კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისე თვალთაგან ფარული;
უცილოდ **ღმერთსა** მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.

ამის შემდეგ სავსებით ნათელია ტაეპი „ტკბილნი მისნი წყალობანი...“, რომელშიაც როსტევანი უჩივის ღმერთს. მოვიყვან შესადარებლად ამ ტაეპის პირველ სტრიქონის გვერდით სხვა სტრიქონს პოემიდან და მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ ორივე ერთ ავტორს ეკუთვნის:

1. ეს წერილი ამოღებულია კონსტ. ჭიჭინაძის დაუბეჭდავი წიგნიდან „ვეფხის-ტყაოსანის გარშემო“.
რედ.

აწ ასე მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე დარული.

ტარიელი ამბობს მის მიერ ნახული რიდის შესახებ:

ვერა შევიგენ რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.

3 მაგალითი. ნესტან-დარეჯანი მიმართავს ტარიელს: „წა შეები ხატაელთა...“ ამ ტაეპს, რომელიც მთლიანად ნესტან-დარეჯანის სიტყვებს წარმოადგენს, ვახტანგისეულ რედაქციაში მოსდევს ტაეპი — „აწ რასაცა მე მაღირსებ ხორციელი არვინ ღირსა...“ მკითხველს ჰგონია თითქო აქ ისევ ნესტან-დარეჯანი განაგრძობს ლაპარაკს, მაგრამ ნათქვამის აზრიდან სჩანს, რომ ეს ტარიელის პასუხია. ვინც ვეფხის-ტყაოსანის დიალოგის წყობას იცნობს, მისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ აქ რაღაც გამოტოვებულია. როდესაც სიტყვა მეორე პირზე გადადის, რუსთაველი ყოველთვის ამბობს — „მიუგო“, „უთხრა“, „მოახსენა“, „უბრძანა“ ან „მოვახსენე“, „ვუბრძანე“ და სხვა. მართლაც, ხელნაწერების უმეტესი ნაწილიდან სჩანს, რომ სიტყვა ტარიელმა აიღო. იქ იმ ორი ტაეპის შუა ასეთი ტაეპი იკითხება:

მოვახსენე. არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად,
მაგრა რადგან დამარჩინე, არ გამოჩნდი ჩემად მკვლელად,
შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად,
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად.

ამის შემდეგ ტარიელი განაგრძობს: „აწ რასაცა მე მაღირსებ...“ და სხ.

4 მაგალითი. ტარიელმა რომ ხატაელებზე გაიმარჯვა, მას სასახლეში ნადიმი გაუმართეს და დიდათ დააჯილდოვეს. მეფე-დედოფალი მიმართავენ მას:

აწ ვითა გმართებს შემოსვა, ვის მორჭმით მოგივლენიან,
არ შეგმოსთ მაგა კაბითა, არ აგხდით — ტურფად გშვენიან;
აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქი მოგიფენიან,
თვით შეიკერე, რაცა გწადს, ჩვენგან ნუღარა გრცხვენიან.

ამას ვახტანგისეულ რედაქციაში მოჰყვება ტაეპი — „კვლაცა **დაჯდა** მხიარული, მოიმატა სმა და მღერა...“

ვინ დაჯდა? ვისი „კვლაცა“ დაჯდომის შესახებ არის ლაპარაკი, როდესაც ადგომის შესახებ არაფერი გაგვიგია?

მაგრამ ვეფხის-ტყაოსანის ხელნაწერებში დაცულია რუსთაველის უდავო ტაეპი, რომელიც აქარწყლებს ამ გაუგებრობას; იქ ზემოთმოყვანილ ტაეპს მისდევს არა „კვლაცა დაჯდა...“, არამედ შემდეგი ტაეპი:

მომართვეს ასი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;
თაყვანი ვეც და დავლოცე დავლანი მათთა სვეთანი;
მაკოცეს, **ადგეს** ორნივე თვით იგი მზენი მზეთანი;
რა გასცეს ზომნი, ვით გითხრენ ლაშქართა სისავსეთანი.

ამის შემდეგ უკვე სრულიად გასაგებია ტაეპი „კვლაცა დაჯდა...“, ვინაიდან წინა ტაეპში ლაპარაკია მეფე-დედოფლის ადგომის შესახებ.

5 მაგალითი. ტარიელი უამბობს ავთანდილს ნესტან-დარეჯანის დაკარგვას:

მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა;
თავსა უთხარ: ნუ მოკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,
გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა,
აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა.

ამის შემდეგ ვახტანგისეულ რედაქციაში მიდის ტაეპი: „ნავსა ჩავჯე, ზღვასა შეველ...“ ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსთაველს ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად დაეწყო ლაპარაკი ნავში ჩაჯდომის შესახებ. ის ჯერ უეჭველად იტყოდა რამეს ზღვის, ნავის ან მენავის გარშემო. მართლაც, აი, ასეთი შინაარსის შემცველი ტაეპი არსებობს ზოგიერთ ხელნაწერებში:

შეველ, ფიცხლა შევეკაზმე, ცხენსა შევჯე შეკაზმული;
ას სამოცი კარგი მოყმე ჩემსა თანა ხანდასმული
წამომყვა და წამოვედით კართა გარე დარაზმული;
ზღვის პირს მიველ, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზმული.

აი, ამის ნამდვილ გაგრძელებას წარმოადგენს ტაეპი „ნავსა ჩავჯე, ზღვასა შეველ“...

ესეც არ იყოს, განა ამ ტაეპის პირველი სტრიქონი ერთი და იმავე თავსართის ოთხკეცი ჩამორეკით და სიტყვის განმეორებით:

„**შე**ველ, ფიცხლა **შე**ვეკაზმე, ცხენსა **შე**ვჯე **შე**კაზმული“, იოტის ოდენ ეჭვსა სტოვებს იმაში, რომ ის რუსთაველს ეკუთვნის?

ეს ხუთი მაგალითი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ, ერთის მხრით, რამდენად შორს არის ვახტანგისეული რედაქცია პირველი დედნისაგან და, მეორეს მხრით, რამდენად ელემენტარული და ყოველგვარ დაკვირვებას მოკლებული იყო ამ რედაქციაზე დამყარებული ბეჭდვითი გამოცემების რედაქტორთა მიერ კრიტიკული შესწავლა პოემის ტექსტისა.

ეხლა გადავიდეთ ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების განხილვაზე.

როგორც ამ წიგნის თავში იყო აღნიშნული, ვახტანგისეული რედაქცია მთელი ათი თავით უფრო მოკლეა ვიდრე ხელნაწერებში წარმოდგენილი ვეფხის-ტყაოსანი. პოემის მკვლევარებს ეს ათი თავი ერთხმად შემდეგ საუკუნეებში (XIII-XVI) სხვადასხვა ყალბის მქმნელების მიერ დამატებულ ნაწილებად მიაჩნიათ. ჩემი შეხედულება კი ამის შესახებ სრულიად სხვა არის.

მე შევეხები ჯერ გაგრძელების სამ პირველ თავს, ვინაიდან მათი ორგანიული კავშირი მთელ პოემასთან გაცილებით უფრო ნათელია და, გარდა ამისა, ისინი პოემის ნამდვილ დაბოლოებას წარმოადგენენ.

ეს თავები უთუოდ რუსთაველს ეკუთვნის. აი ამ თავების სახელწოდება: 1) „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“, 2) „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება“ და 3) „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“. ამ უკანასკნელი თავიდან მექანიკურად არის ამოღებული ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოება დაწყებული ტაეპიდან „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი...“ და გათავებული ტაეპით „ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს...“, ესე იგი სულ 22 ტაეპი.

უკანასკნელ წელს მწვავე კამათი გაიმართა ვახტანგისეული რედაქციის გარშემო. პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ ქვაკუთხედს წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ ვახტანგისეული რედაქცია პოემის დედანის ყველაზე უფრო ძველი და ნაკლებად დამახინჯებული პირია. ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე პ. ინგოროყვას გამოეკამათა პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ვახტანგისეული რედაქცია წარმოადგენს ვახტანგის მიერ პოეტის ტექსტის კრიტიკულ გამოცემას.

უწინარეს ყოვლისა, საინტერესო და საკითხავი აქ შემდეგი გარემოება არის:

რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც კ. კეკელიძეს ვახტანგისეული რედაქცია ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის შემოკლებულ გამოცემად მიაჩნია? თავის წიგნში — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, **ის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებას ამტკიცებს.** გადაშალეთ ამ წიგნის 217 გვერდი, სადაც მოთავსებულია თავი „ვეფხის-ტყაოსანის დამატებანი“. აი, რასა სწერს სხვათა შორის ის ამ თავში:

„ჯერ ერთი ამ პოემას დამატებია პროლოგი და ეპილოგი, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი თვით პოემის მიმოხილვისას. უფრო მეტი და თვალსაჩინო დამატებანი ჩვენ გვაქვს პოემის ბოლოში; აი, ეს დამატებანი:

„1) არაბეთიდან ტარიელ-ნესტანი გამოემართენ ინდოეთისაკენ; ერთ ტაეპში მოკლედ აღწერილია მათი მგზავრობა (1527 ტ., ს. კაკაბაძის გამოცემით) და მერე უცბად იწყება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“ (1527) ესე იგი, როგორ გამეფდნენ ისინი. ვიღაც მელექსეს აღძვრია სურვილი შეეთხზა ამბავი იმის შესახებ, რა პირობებში გამეფდა ტარიელი. ცოცხალნი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი. ამ მიზნით მას ჩაურთავს აღნიშნული ტაეპების შუა თავები: „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“, „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება“, და **ზოგიერთი დეტალები** (ხაზი ჩემია — კ. ჭ.) ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში“.

ამ ადგილს პროფ. კ. კეკელიძე უკეთებს შენიშვნას, რომელშიაც ნომრებით აღნიშნულია ვითომც ამ „ვიღაც მელექსის“ მიერ ჩამატებული ტაეპები. აი, ეს შენიშვნა:

„ს. კაკაბაძის გამოცემა. ტაეპ. 1528—1584, 1589—1594, 1596, 1602, 1609“.

თუ ზემოაღნიშნული 3 თავიდან ამოვიღებთ ამ ტაეპებს, ჩვენ უცვლელად მივიღებთ ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოებას და მაშასადამე, ამ დაბოლოებას პროფ. კეკელიძე სთვლის ნამდვილ დაბოლოებად. „მნათობში“ კი ის, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად საწინააღმდეგო აზრს ამტკიცებს. აი, რასა სწერს იგი იქ: „ამ გამოცემაში (ლაპარაკია ვახტანგის გამოცემაზე. კ. ჭ.) ჩვენ ვხედავთ 22 ტაეპს (1568—1589), რომელთა გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ისინი ამოღებულია ამ დანართი ეპიზოდიდან“. საკვირველი ამბავია! პროფ. კეკელიძე ერთი მხრით გვიმტკიცებს, რომ ვახტანგისეული რედაქციის ეს 22 ტაეპი „ვიღაც მელექსეს“ თავის სამთავიან დამატებაში შეუტანია, მეორე მხრით ის გვარწმუნებს, რომ ვახტანგს ეს 22 ტაეპი ამოუღია „ვიღაც მელექსის“ მიერ დამატებული სამი თავიდან. ვის ეკუთვნის ბოლოს და ბოლოს ეს 22 ტაეპი და ვინ ვისგან გადაიღო ისინი?! ჩვენ ვიცით, თუ როგორ გულმოდგინეთ ააშკარავებდა პროფ. კ. კეკელიძე ნამდვილად არარსებულ წინააღმდეგობებს პოემის პროლოგში, მისი სიყალბის დამტკიცების მიზნით, და შემდეგ ჰკითხულობდა — „რომელს დაუჯეროს კაცმა?-ო“ („ქართ. ლიტ. ისტ.“, გვ. 91). ეხლა ჩვენ შეგვიძლია შევეკითხოთ მას: რომელს დაუჯეროს კაცმა — „ქართული ლიტერატურის ისტორიას“ თუ „მნათობში“ მოთავსებულ წერილს? ერთი მათგანი უთუოდ ყალბისმქნელის დაწერილი იქნება. თუ პროფ. კეკელიძემ თავისი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ გამოიცვალა შეხედულება ამ საკითხის გარშემო, დამოუკიდებლად ან ვინმეს გავლენით, მაშინ რატომ არაფერს ამბობს ის ამის შესახებ?[1]

ეხლა გადავიდეთ იმის მტკიცებაზე, რომ ვახტანგისეული რედაქცია არის ნამდვილად ხელოვნურად შემოკლებული პოემის ტექსტი, სულ ერთია ვისგან — ვახტანგის მი-

1. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ პროფ. კეკელიძეს პირდაპირი პასუხი გაეცა ყოველივე იმაზე, რასაც მე ვსწერ მის კვლევა-ძიების შესახებ ვეფხის-ტყაოსანის გარშემო აქ და ჩემს პირველ წიგნში, თორემ ვინ დაიჯერებს მის განცხადებას, თითქო მე მეტად „ბუნდოვანი წარმოდგენა“ მქონდეს ალიტერაციაზე (მნათობი, №2, 1927 წ.). ჩემი წიგნი „ალიტ. ქართ. შაირში“ საკმაოდ მარტივად არის დაწერილი, მაგრამ არც იმდენად, რომ ის ბუნდოვანად არ მოსჩვენებოდა ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთ ისეთ მკვლევარს, რომელიც რუსთაველის სრულიად სადა l'art poétique-შიაც კი ვერ გარკვეულა. სამაგიეროდ, როგორც პროფ. კეკელიძე გადმოგვცემს, ალიტერაციაზე ნათელი წარმოდგენა ჰქონია ი. აბულაძეს; ეს ალიტერაცია მას თურმე ჯერ კიდევ შეგირდად ყოფნის დროს შეუმჩნევია ვეფხის-ტყაოსანში. აბულაძის „პოეტიკა“ ჩვენ პროფ. კეკელიძისათვის დაგვითმია, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია გულწრფელად არ ურჩიოთ მას, რომ მოერიდოს ის ამგვარი წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით პოეტიკის ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას და, მით უმეტეს, კამათს. არსებობს ამ თემაზე გაცილებით უფრო ახალი და სანდო წყაროები, რომელთა ცოდნა მხოლოდ ქართველი ფილოლოგებისთვის არ ყოფილა სავალდებულო.

ერ, როგორც ეს უფრო საფიქრებელია, თუ რომელიმე წინამორბედი რედაქტორისაგან, როგორც ამას ს. კაკაბაძე ფიქრობს თავის უკანასკნელ გამოცემაში.

ჯერ საერთო მოსაზრება. ჩვენს მუზეუმებში დაცულია პოემის მრავალი ძველი ხელნაწერი. **ვახტანგისეულ რედაქციაზე უმალ შესრულებული ყველა ხელნაწერები შეიცავენ ყველა ზედმეტ თავებს.** როგორ მოხდა, რომ საქართველოში, სადაც ვეფხის-ტყაოსანი მეორე სახარებად იყო გადაქცეული, ყალბისმქნელების მიერ ბოლოწამატებული ტექსტისაგან დარჩა რამდენიმე ათეული ასლი, ხოლო ნამდვილისაგან კი არცერთი? მეორე: თუ ეს ათი თავი სხვადასხვა დროს სხვადასხვა გადამწერთაგან არის წამატებული, როგორც ამას პოემის მკვლევარები აღნიშნავენ ერთხმად, — რატომ არ წარმოგვიდგენენ გადარჩენილი ხელნაწერები ტექსტის განვითარების ეტაპებს, ესე იგი რათ არის ყველა ხელნაწერებში სუყველა ათი თავი მოცემული? ძველ საქართველოში, სადაც ბეჭვდითი სიტყვა არ არსებობდა, ხელნაწერები ვრცელდებოდა ალბად კუს ნაბიჯით. როგორ მოხდა, რომ ამ ათი თავიდან მეტად სუსტი ლექსით დაწერილი უკანასკნელი რამდენიმე თავი, რომლის წამატებას მკვლევარები ძალიან ნაგვიანევ ამბავად სთვლიან, ისე მალე გავრცელდა და, რაც უმთავრესია, ისე დაკანონდა ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილ ტექსტზე აღზრდილი მკითხველების თვალში, რომ ეს თავები უკვე მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულისა და მეჩვიდმეტე საუკუნის ყველა ხელნაწერებში მოექცნენ?

თუ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს მივმართავთ, მით უმეტეს მიუღებელი ხდება ის პრიორიტეტი, რომლითაც სარგებლობს ვახტანგისეული რედაქცია ძველ ხელნაწერებთან შედარებით. ვეფხის-ტყაოსანის სრული დაბოლოების სინამდვილეში ეჭვები აქვს შეტანილი არჩილ მეფეს, მაგრამ იმაზე გაცილებით უფრო ძველი მწერლები, როგორიც იყვნენ „ომანიანის“ ავტორი და თეიმურაზ მეფე ამ თავებს უცქერიან როგორც ვეფხის-ტყაოსანის განუყოფელ ნაწილს. მაგალითად, თეიმურაზი „ვეფხის-ტყაოსანის“ გმირების შესახებ სწერს შემდეგს:

ბოლოდვეც განვლეს საწუთრო, სოფლის საქმენი არ ესა,
იგ უსახონი ქალ-ყმანი მიწასა მიაბარესა.

პროფ. კეკელიძე სწერს: „პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები არსად არ გადაწყვეტილა და ვერც ჩვენში გადაწყდება“. პროფ. კეკელიძე რომ აბულაძის შეგირდული ლიტერატურული კვლევა-ძიების ნაცვლად თანამედროვე რუსეთისა და უცხოეთის ფილოლოგიურ ნაშრომებს გასცნობოდა, თუნდაც ზერელედ მაინც, მაშინ ამას აღარ დასწერდა. მაგალითად, სახელგანთქმული გერმანელი მკვლევარი ფორმალისტი **სივერსი,** ეგრეთწოდებული ალიტერაციონული ლექსის შესწავლის გზით, არკვევს ძველ-გერმანული უსახელო პოემების ავტორიანობის საკითხს. რა არის ეს თუ არა პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაჭრა? აი, რასა სწერს ცნობილი თანამედროვე რუსი ფილოლოგი **ჟირმუნსკი** ჩვენთვის მეტად საინტერესო საკითხის შესახებ: „Í î âåéø àÿ òåî ðèÿ ï ðî èñõî æäåí èÿ ãåðì àí ñêî ãî ýï î ñà, âû äâèí óòàÿ À. Ãåéñëåðî ì (Andreas Heusler) í åï î ñðåäñòâåí í î î ñí î âû âàåòñÿ í à èçó÷åí èè ì î ðô î ëî ãèè ýï è÷åñêî é ô î ðì û“ (ï î ýòèêà №2 გვ. 23). განა ეს პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაჭრა არ არის?

პროფ. კეკელიძე მიკიჟინებს, ნეტარ ვითომ ჩემგან მოყვანილი მაგალითები „უხეიროდ“ დაბეჭდილი სახელმძღვანელოებიდან მქონდეს ამოკრეფილი. ეს არ არის მართალი, ვინაიდან ჩემს წიგნში მოყვანილი მაგალითების უდიდესი ნაწილი ამოღებულია ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ვეფხის-ტყაოსანიდან; მაგრამ, თუნდაც მართალი იყოს, ნუ თუ ეს სახელმძღვანელოები იმდენად უნიჭოდ არის შედგენილი, რომ იქ მოყვანილი ნიმუშები დამახინჯებულია? საერთოდ, ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები ლაპარაკობენ ჩემს შესახებ, ვითომც მე პოემის ხელნაწერებს არ ვიცნობდე; არც ეს არის მართალი — მე ვიცნობ ამ ხელნაწერებს მათივე, განსაკუთრებით ს. კაკაბაძის, ნაშრომებით (წმინდა ინფორმაციული ხასიათის ცნობები) და ეს სრულიად საკმარისია პოემის ტექსტზე იმ მეთოდებით მუშაობისათვის, რომლებსაც მე ვემყარები. მართალია, შეიძლება მე არ ვიცოდე, თუ რომელ წიგნთსაცავში რომელი ხელნაწერია მოთავსებული, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიცი ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა პოეტური ნაწარმოების გასაგებად და რაც არ იციან ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარებმა, და, გარდა იმისა რომ არ იციან, სრულ გარანტიასაც იძლევიან იმისას, თავიანთი უკანასკნელი ნაშრომების მიხედვით, რომ არც მომავალში ეცოდინებათ იგი.

ფსიქოლოგიურად სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ვახტანგის მიერ 1712 წელს შემოკლებით დაბეჭდილმა ვეფხის ტყაოსანმა თანდთან დაახრჩო ძველი ხელნაწერები და დაუკარგა მათ ნდობა მკითხველი საზოგადოების თვალში. საქმე იმაშია, რომ დაბეჭდილი წიგნი რაღაც თილისმურ გავლენას ახდენს განსაკუთრებით იმაზე, ვინც ბეჭდვითი საქმეს ახლოს არ იცნობს. არა თუ მკითხველის, ხშირად თვით ავტორის თვალშიაც კი მეტი წონისა და მეტი ღირებულებისა ხდება ნაწარმოები მას შემდეგ, როცა ის დაიბეჭდება. მით უფრო მეტი უცდომელობის დაღით იქნებოდა აღბეჭდილი ვახტანგის მიერ დასტამბული პოემის ტექსტი იმდროინდელი ქართველების წარმოდგენაში, რომლებსაც დაბეჭდილი წიგნი არც კი ენახათ მანამდე. თუ დღეს ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი შეუდარებლად მეტი ღირს, ვიდრე დაბეჭდილი, მაშინ სრულიად წინააღმდეგ მოვლენას ექნებოდა ადგილი. ამას უნდა დაუმატოთ ის მოსაზრება, რომ წმინდა ესტეტიური თვალსაზრისით (რაც ფილოლოგიური კვლევა-ძიების დროს სახელმძღვანელოდ არ გამოდგება) ვახტანგის მიერ შემოკლებული პოემა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შემოკლება უნდა შეხებოდა არა ათს, არამედ შვიდ თავს, გაცილებით უკეთესია, ვიდრე ხელნაწერების სრული ტექსტი.

დავანებოთ თავი საერთო მოსაზრებებს და დავავიწროვოთ უფრო ვახტანგისეულ რედაქციაზე მიტანილი იერიშის რკალი.

ვახტანგისეული რედაქციის პრიორიტეტობის დამცველთა შორის მხოლოდ პ. ინგოროყვას მოჰყავს რეალური მოსაზრებანი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. ის არ ზოგავს თავის ძალ-ღონეს ამისათვის, რაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან მისივე თქმით: „თუ ვახტანგის დედანი არის ხელოვნურად შემუშავებული რედაქცია, ცხადია, მას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის გენეალოგიის გამოსარკვევად“.[1] ამ სიტყვებს, ჩვენის მხრით, შეგვიძლია დაუმატოთ, რომ მაშინ „რუსთველიანას“ გამოეცლება მთავარი საფუძველი, ვინაიდან მკვლევარის ერთ სისტემაში ჩამოსხმული კონცეპცია ვეფხის-ტყაოსანის შესახებ თითქმის სავსებით იმ აზრს ემყარება, რომ ვახტანგისეული რედაქცია ჩამოყალიბებულია მეცამეტე საუკუნეში და ყველაზე უფრო უახლოვდება პირველ დედანს.

განვიხილოთ პ. ინგოროყვას მიერ მოყვანილი საბუთები ამ საკითხის გარშემო. წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ეს საბუთები მეტისმეტად სუსტია, მაგრამ ეს მკვლევარის ბრალი არ არის, ვინაიდან საკითხის ობიექტიური მდგომარეობა მას არ აძლევს არც ერთ სერიოზულ საბუთს.

1. პ. ინგოროყვა გადმოგვცემს, რომ ვახტანგის ტექსტების მსგავსი რედაქცია შენახულა წერა-კითხვის მუზეუმის ერთ ხელნაწერში. ამ ხელნაწერის შესახებ მკვლევარი სწერს შემდეგს: „მართალია, ეს ხელნაწერი გადაწერილი არის ვახტანგის გამოცემის შემდეგ, მაგრამ“... მეტის თქმა საჭირო აღარ არის. პირველი მოსაზრება თავისთავად იხსნება. აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ ვახტანგისეული რედაქციის წარმოშობის საკითხში რაიმე მნიშვნელობა მივანიჭოთ მის შემდეგ შესრულებულ ხელნაწერს, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი.

2. პ. ინგოროყვა სწერს: „ვახტანგის გამოცემის ბეჭდვის ბევრად უფრო წინ, ასეთივე რედაქცია ხელში ჰქონიათ ორს მე-XVII საუკუნის მწერალს, რომელთაც შეუსრულებიათ ხელნაწერები B და C (№5006 და 4988). საკმაოა, ამ ორი ხელნაწერის შედარება სხვადასხვა ვარიანტებთან, რომ დავრწმუნდეთ შემდეგში: გადამწერნი ხელმძღვანელობენ ორი დედნით: ერთია ვახტანგის დედნის მსგავსი, ხოლო მეორე ვრცელი ხელნაწერი მე-XVII საუკუნის ტიპისა. ძირეული ტექსტი პოემისა გადმოწერილია ვახტანგის მსგავსი დედანიდან, ხოლო პოემის დამატებანი და გაგრძელებანი ამოღებულია მეორე ვრცელი ხელნაწერიდან“.[2]

1. რუსთველიანა. გვ. 12.
2. რუსთველიანა. გვ. 13.

მკვლევარის მსჯელობა აქ მე მაგონებს მარჯვენა ხელით მარცხენა ყურის ჩვენებას. მართლაც, დაუშვათ, რომ ხელნაწერებს №5006 და 4988 ახლო მსგავსება აქვთ ვახტანგისეულ რედაქციასთან (რაც ნამდვილად სწორი არ არის). ნუ თუ ამ შემთხვევაში მხოლოდ ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, როგორიც პ. ინგოროყვას გამოაქვს? ვიღაც ორი გადამწერისა და რომელიღაც ორი ხელნაწერის მაგიერ უფრო მოხერხებული და საღ ლოღიკურ მსჯელობასთან დაახლოვებული არ იქნება წარმოვიდგინოთ ამ მსგავსების ასახსნელად, რომ ვახტანგს, პოემის ტექსტის შემოკლების დროს, უსარგებლნია ზემოთ დასახელებული ხელნაწერების ტიპის ერთ-ერთი ხელნაწერით?

3 და 4. პ. ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ ვახტანგს არ შეუტანია არავითარი ცვლილება პოემის დედანში, ის სწერს: „ვახტანგს არ შეუცვლია არა თუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი...“

კეთილი, დაუჯეროთ მკვლევარს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ის დიდ წინააღმდეგობაში ვარდება ამით. ზოგიერთ ხელნაწერებში ვეფხის-ტყაოსანი იწყება ტაეპით — „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ ეს ტაეპი ვახტანგის გამოცემაში არ არის. ამიტომ პ. ინგოროყვას შეეძლო ის გადაეტანა მეორე ან მესამე პლასტში; მაგრამ საქმე იმაშია, რომ მკვლევარს ეს ტაეპი განსაკუთრებით ესაჭიროება პირველი პლასტის, ე. ი. ვახტანგისეული დედანისათვის, რომელიც, მისი აზრით, მე-XIII-XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა; ესაჭიროება იმიტომ, რომ ამ ტაეპში ის ხედავს „ტენდენციურ დამატებას-“, პოლემიკას რუსთაველთან, მისი პოემის „შინაგანი გაყალბების მიზნით“. გამოდის ასეთი წინააღმდეგობა: მკვლევარი გვარწმუნებს, ვახტანგს თავის გამოცემაში ტაეპების რიცხვიც კი არ შეუცვლიაო, და ნამდვილად კი მას **პირველივე** ტაეპი უარუყვია. პ. ინგოროყვა ცდილობს თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობას, ის ერთგან (გვ. 54) წვრილი შრიფტით შენიშნავს ორიოდე სიტყვას ამის გამო. აი, ეს შენიშვნა:

„ეს სტროფი, როგორც ირკვევა, შემთხვევით არის გამორჩენილი ვახტანგისეულ დედანში, რადგან იგი თავისი რეალიებით უფრო არქაიულია, ვიდრე ვახტანგისეული დედნის მე-16 სტროფი“.

„როგორც ირკვევა“ — საიდან ირკვევა? — მხოლოდ იქედან, რომ ის ვახტანგისეულ რედაქციაში არ არის. „შემთხვევით“ ამ ტაეპის გამორჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო. ვახტანგი დიდის ამბით შეუდგა უდიდეს საქმეს — ვეფხის-ტყაოსანის დაბეჭდვას, და უცებ შემთხვევით გამორჩა ამ პოემის **პირველივე** ტაეპი — ეს ხომ დაუჯერებელი ამბავია! შემთხვევით შესაძლებელია გამორჩენოდა სხვა რომელიმე ტაეპი ტექსტში, მაგრამ **პირველი კი არასოდეს.**

შემთხვევით კი არ გამორჩენია, ვახტანგმა სრულიად შეგნებულად არ შეიტანა ის თავის გამოცემაში და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან ეს ტაეპი არც რუსთაველს ეკუთვნის და არც ყალბისმქნელს — ეს არის ვიღაც გადამწერის მიერ შეთხზული უბრალო **წინა-მინაწერი,** რომელსაც ხშირად წაუმძღვარებდნენ ხელნაწერს გადამწერები, არა მისი გაყალბების მიზნით, არამედ გადაწერის თარიღის, გადამწერის ვინაობის ან ნაწარმოების ღირსების აღსანიშნავად. ეს **წინა-მინაწერი** ტაეპი სრულიად ბუნებრივად შემდეგ გადაწერათა დროს პოემის ტექსტში შესულა და დაუჭერია იქ პირველი ადგილი.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავავიწროვოთ კრიტიკის რკალი და გადავიდეთ ვახტანგისეული რედაქციის ხელოვნურობის მაჩვენებელ პირდაპირ ნიშნებზე.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ ვეფხის-ტყაოსანის შინაარსი, მისი სიუჟეტიური კომპოზიცია, და ვნახოთ თუ რამდენად შესაძლებელია, რომ პოემა დასრულდეს ისე, როგორც ის დასრულებულია ვახტანგის გამოცემაში. აქ, ზოგიერთ შემთხვევაში, მე მომიხდება უკვე ჩემს პირველ წიგნში ნათქვამის განმეორება, მაგრამ ეს საკითხი იმდენად კარდინალურია ვეფხის ტყაოსნის პრობლემაში, რომ დასაშვებია, ნათქვამი ვიმეოროთ მანამდე, სანამ მოწინააღმდეგენი მას ან არ გააბათილებენ და ან არ მიიღებენ.

აი, ვეფხის-ტყაოსანის მოკლე, სქემატიური შინაარსი:

არაბეთის მეფეს როსტევანს ტახტზე აჰყავს, თავისი მოხუცებულობის გამო, მისი ერთად-ერთი მემკვიდრე თინათინი. ამ ზეიმს სხვა დიდებულებთან ერთად ესწრება არაბეთის სპასპეტი, თვით როსტევანის მიერ აღზრდილი და თინათინის ფარული მიჯნური ავთანდილი. მეფე და ავთანდილი ზეიმის დროს შეეცილებიან ერთმანერთს პირველობაში, როგორც მსროლელნი, და ამის გამო ეწყობა შესაჯიბრებელი ნადირობა. ნადირობის დროს მონადირენი წააწყდებიან ვიღაც უცხო ჭაბუკს, რომლის შეპყრობას ისინი უნაყოფოდ ლამობენ. ეს უცხო ჭაბუკი გაუსხლტება მათ ხელიდან და უკვალოდ გადაიკარგება. ამით შეწუხებული როსტევანი ჰგზავნის კაცებს ყოველი მხრით ჭაბუკის ამბავის გასაგებად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაგზავნილი კაცები უკან ბრუნდებიან და ეუბნებიან მეფეს, რომ მათ ვერაფერი ვერ გაიგეს. ამის შემდეგ უცხო ყმის საძებნელად, თინათინის დავალებით, მიემგზავრება ავთანდილი. მას დადებული აქვს სამი წლის ვადა. დიდი ხეტიალის შემდეგ ის მიაგნებს უცხო ჭაბუკს, ტარიელს, ერთ გამოქვაბულში, გაეცნობა და მალე დაუმეგობრდება მას. ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის თავგადასავალს. ტარიელი ყოფილა ინდოეთის ერთ-ერთი მეფის სარიდანის შვილი, ფარსადან მეფის შვილობილი და მთელი ინდოეთის ამილბარი. ის იზრდება ფარსადანის სასახლის კარზე. ფარსადანის ერთად ერთ ასულს ნესტან-დარეჯანს და მას ერთმანეთი შეუყვარდებათ. თავისი მიჯნურის დავალებით ტარიელი შეებრძოლება ხატაელებს და დაამარცხებს მათ. ნესტან-დარეჯანის მშობლებმა არ იციან, თუ ტარიელს მათი ქალი უყვარს, და მისივე თანდასწრებით აწყობენ ბჭობას იმის შესახებ, თუ ვინ მოიწვიონ ინდოეთში თავიანთი ასულის ქმრად და ტახტის მემკვიდრედ. მათი არჩევანი ხვდება წილად ხვარაზმელ უფლისწულს. ეს უკანასკნელი დიდი ამალით შემოდის ინდოეთში, როგორც სასიძო. ნესტან-დარეჯანის მოთხოვნით ტარიელი მოჰკლავს მას მძინარეს და გადაუდგება ამის გამო განრისხებულ ფარსადანს. ნესტან-დარეჯანის აღმზრდელი, ფარსადანის და, დავარი, როდესაც შეიტყობს, რომ მკვლელობა მისი გაზრდილის დავალებით არის ჩადენილი, გააატანს მას გადასაკარგავად ორ მონას, ხოლო თვითონ კი თავს მოიკლავს. ტარიელი რომ გაიგებს ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ამბავს, საჩქაროდ გაიჭრება მის საძებნელად, მაგრამ ვეღარსად ნახულობს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლობით დახეტიალობს ყველგან, სადაც კი ფეხი მიუწვდება. ავთანდილი დაეხმარება ტარიელს დაკარგული მიჯნურის ძებნაში. ამიერიდან ამ ძებნის მთელი სიმძიმე ავთანდილზე გადადის. ავთანდილი აგნებს ნესტან-დარეჯანის კვალს, რომელიც ჯერ ზღვათა მეფის კარზე ყოფილა, ხოლო შემდეგ კი ქაჯეთის ციხეში მოხვედრილა. ტარიელსა და ავთანდილს ჰყავთ მესამე მეგობარი ფრიდონი. სამივენი მცირედი ჯარით გაილაშქრებენ ქაჯეთის ციხეზე, აიღებენ მას და გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს. შემდეგ ისინი განუწყვეტელი ქორწილითა და ზეიმით გამოივლიან ზღვათა მეფის კარზე, ფრიდონის სამეფოზე, ქვაბთან, სადაც ტარიელი ცხოვრობდა, და მივლენ არაბეთში; აქ მოხდება ავთანდილისა და თინათინის დაქორწინება. ქორწილის შემდეგ სამივე გმირი ნესტანითურთ გაემგზავრებიან ინდოეთში. მათ თან ახლავს ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი არაბთა ლაშქარი.

აქ თავდება ვეფხის-ტყაოსანის ამბავი ვახტანგისეულ რედაქციაში; ამის შემდეგ იქ მოთავსებულია, გარდა ხუთ ტაეპიანი ეპილოგისა, კიდევ ის 22 ტაეპი, რომელიც უცვლელად მეორდება, მხოლოდ სხვა დალაგებით, მესამე ზედმეტ თავში. რომ ეს 22 ტაეპი გაგრძელების მესამე თავიდან არის ამოკრეფილი — ეს მოსაზრება უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს; ამ შეხედულებას ადგანან, როგორც დავინახეთ, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძეც. მაგრამ მათი აზრით გამოდის, რომ ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილ დედანთან შედარებით ვახტანგისეული რედაქცია არის არა შემოკლებული, არამედ გაგრძელებული ტექსტი. სარგის კაკა-

ბაძის აზრით, რუსთაველს თავისი პოემა როსტევანის მიერ თინათინისა და ავთანდილის დალოცვით გაუთავებია, რაც სჩანს მის მიერ უკანასკნელად გამოცემული პოემის ტექსტიდან.[1] კეკელიძე კი, რამდენადაც შესაძლებელია გავიგოთ მისი მეტად აბნეული შეხედულება ამ საკითხის გარშემო, უნდა ფიქრობდეს ამ ჟამად, რომ ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილი ტექსტი თავდება თინათინისა და ავთანდილის ქორწილით. მოკლედ რომ ითქვას, ამ მკვლევარების შეხედულებით, ვახტანგისეული რედაქცია შემოკლებულია ვრცელ ხელნაწერებთან შედარებით, ხოლო რუსთაველის ხელიდან გამოსულ ტექსტს თუ მივიღებთ მხედველობაში, ის **გაგრძელებულია** ყალბი ტაეპებით. ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების ხელოვნური შეკოწიწება იმდენად აშკარაა, რომ მისი უცვლელად მიღება ყოვლად დაუშვებელია. აქ, მართლაც, შესაძლებელია მხოლოდ ორი მოსაზრება: პოემის ნამდვილი დაბოლოება უნდა იქნეს მოძებნილი ან ვახტანგისეული რედაქციის **შიგნი,** როგორც ზემოაღნიშნული მკვლევარები ფიქრობენ, და ან მისი ფარგლების **გარეშე,** როგორც მე ვფიქრობ.

ეხლა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ რუსთაველს თავისი პოემა ავთანდილისა და თინათინის დალოცვით ან მათი ქორწილით გაეთავებიოს. უეჭველია, რომ ვეფხის-ტყაოსანში უმთავრესად ინდოეთის ამბავია აწერილი. არაბეთი იქ არის ერთი მთავარი ეპიზოდი მხოლოდ, და მას პოემის სიუჟეტურ კომპოზიციაში უჭირავს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონანტის ადგილი. პოემის მთავარი გმირებიც ტარიელი და ნესტან-დარეჯანი — ინდოელები არიან. ვეფხის-ტყაოსანის ამბავი იწყება არა არაბეთში, როგორც ეს მკითხველს პირველი შეხედვით ეგონება, არამედ ინდოეთში, ტარიელისა და ნესტანის ბავშვობისა და შემდეგ მათი გამიჯნურების აღწერით. არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ პოემა არაბეთის ამბავით იხსნება — მწერალს შეუძლია თავისი ნაწარმოებისათვის აღებული ამბავის მოთხრობა დაიწყოს თავიდან, შუაგულიდან და, ასე გასინჯეთ, ბოლოდანაც კი; ეს დამოკიდებულია ნაწარმოების იმ კომპოზიციაზე, რომელიც ავტორს უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევია. ამრიგად, რაკი ვეფხის-ტყაოსანის ამბავი ინდოეთისაა და ინდოეთში იწყება, ის არაბეთში კი არა, ინდოეთში უნდა გათავდეს. ნუ თუ შესაძლებელია რომ რუსთაველს, ვინაც ისე დაწვრილებით გვიშლის თავისი რომანის ყველა პერიპეტიებს, არ აეწერა ბოლოს, თუ რა მდგომარეობაში იყო ინდოეთი, რომელიც მისმა გმირებმა ათი წლის წინად დასტოვეს და რომელსაც ისინი ახალი მბრძანებლების სახით უნდა მოევლინონ, ან რა ბედი ეწვიათ ნესტან-დარეჯანის მშობლებს, ვისი ადგილიც ამიერიდან ტარიელმა და ნესტანმა უნდა დაიკავონ? თუ ფარსადანი ცოცხალი იყო, დაუთმობდა თუ არა ის თავის ტახტს ტარიელს, რომელმაც იმდენი მწუხარება მიაყენა მას? თუ ცოცხალი აღარ იყო, მის ნაცვლად სხვა ვინმე გამეფდებოდა და ეს გარემოება მით უფრო გაუძნელებდა ტარიელს ინდოეთის ტახტზე ასვლას. გარდა ამისა, რუსთაველმა არ გაუშვა პოემაში მოხსენებული არც ერთი ქვეყანა ისე, რომ იქ მრავალ-ტანჯული მიჯნურებისათვის ბრწყინვალე ქორწილი არ გადაეხადნა, და ნუ თუ წარმოსადგენია, რომ მას თავისი პოემის ამბავი ტარიელისა და ნესტანის სამშობლო ინდოეთში გადახდილ ქორწილამდე არ მიეყვანა?

აი, ამ საკითხებს ეხება სწორედ ის სამი თავი, რომლებიც მკვლევარებს ერთხმად პოემის გაგრძელების პირველ, დამოუკიდებელ ნაწილად მიაჩნიათ. წავაბათ ზემოთ მოყვა-

1. თუ გაგრძელების მაგიერ საერთოდ როგორ მოკლდებოდა ვეფხის-ტყაოსანის ტექსტი საუკუნეთა განმავლობაში, ამის ბრწყინვალე დადასტურება მოხდა აგერ ჩვენი თვალის წინ: ს. კაკაბაძემ თავის შარშანდელ გამოცემაში შეამოკლა პოემის უმოკლესი (ვახტანგისეული) რედაქცია თითქმის ორმოცდაათი ტაეპით. ეს წიგნი რომ იმავე პირობებში გამოცემულიყო, რა პირობებშიაც ვახტანგისეული დედანი გამოიცა, მომავალი საუკუნეების ფილოლოგს შეეძლო ეფიქრნა, რომ ს. კაკაბაძეს ხელთა ჰქონდა პოემის რაღაც უძველესი დედანი, თუმცა კი ნამდვილად, როგორც ეს ჩვენ კარგად ვიცით, მის მიერ მოხდენილი ათეტიზაცია წარმოადგენს ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა სუბიექტიურ მოსაზრებებზე დამყარებულ თვითნებობათა იშვიათ ნიმუშს.

ნილ ვეფხის-ტყაოსანის შინაარსს ამ თავების შინაარსი, ისე როგორც ეს პოემის ხელნაწერშია, და ჩვენ დავინახავთ, რომ ამბავი შესანიშნავი დალაგებით და აუცილებელი გზით მიმდინარეობს.

ინდოეთისაკენ დიდი ლაშქრის თანხლებით მიმავალ რაინდებს წინ შემოეყრება შავებით შემოსილი ვაჭართა ქარავანი. ისინი გამოელაპარაკებიან ამ ვაჭრებს. ეს ვაჭრები ინდოეთში სავაჭროდ წასული ეგვიპტელები ყოფილან და ეხლა სახლში ბრუნდებიან. არაბულ ენაზე უამბობენ ტარიელსა და მის მხლებლებს, რომ შავები აცვიათ მათ იმ წესის გამო, რომელიც ეხლა შემოღებულია ინდოეთში, ვინაიდან ამ ქვეყანას უდიდესი უბედურება დასტეხია თავს. ვაჭრები სქემატიურად უამბობენ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს მათსავე ამბავს: ინდოეთის ძლევამოსილ მეფეს ფარსადანს ჰყვანდა ქალი „მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი“. ამ ქალსა და ინდოეთის ამილბარს ერთმანერთი შეუყვარდათ. „ამილბარმან სიძე მოჰკლა“ და ამას მოჰყვა მთელი უბედურება. ქალი გადაჰკარგა გრძნეულმა მამიდამ და თვითონ თავი მოიკლა. „ცნა ამილბარმან, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად“. ორივენი დაიკარგნენ უკვალოდ, რამაც უდიდეს მწუხარებაში ჩააგდო მეფე ფარსადანი:

მეფე გაშმაგდა მათისა უღონო ქნილი ძებნისა;
შავად შესცვალა ინდოეთს ხმა წინწილისა, ებნისა;
ცოტასა ხანსა გავესძლო დება სახმილთა გზნებისა,
აწ თვითცა მოკვდა შეიქნა ბოლო სრისა და ტკეპნისა.[1]

ამ სიტყვების გაგონებაზე ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა მოთქმა დაიწყეს: „ნარგისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა, თოვლი გადნა“. ვაჭრები შეკრთნენ და დაიბნენ ასეთი სურათის დანახვაზე. მაგრამ მათ აცნობეს, თუ რაში იყო საქმე, და სთხოვეს ეამბნათ ინდოეთის დანარჩენი ამბავი. ვაჭრებმა უპასუხეს, რომ ინდოეთში ამ ჟამად დიდი ომია ატეხილი. ინდოეთს თავს დასხმიან ხატაელები, სწორედ ის რამაზ მეფე, რომელიც ისე სასტიკად დაამარცხა ოდესღაც ტარიელმა. ინდოეთი განადგურების პირზე ყოფილა მისული. რაინდები თავიანთი ლაშქრით სასწრაფოდ გაეშურებიან წინ — „ეჯა სამ დღე წასავალი ერთსა დღესა წაიარა“. ტარიელი, ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმით, დაამარცხებს ხატაელებს და ძლევამოსილი მიუახლოვდება სასახლეს, საიდანაც მის შესახვედრად გამოდიან სიხარულით და მწუხარებით ატირებული ქვრივი დედოფალი და დიდებულები. დედოფალი გასცემს ბრძანებას შავების ახდის შესახებ და გაიმართება დიდი ზეიმი და ქორწილი.[2]

აი, ეს არის ვეფხის-ტყაოსანის ამბავის ბუნებრივი დასრულება, აქ ყველაფერი ახსნილია, ყველაფერი ნათლად სჩანს, მოთხრობის რკალი ბოლომდეა მიყვანილი და მტკიცედ შეკრული.

მაგრამ სიუჟეტის გაშლისა და განვითარების შესახებ კიდევ შეიძლება კამათი. ამიტომ მე შევეცდები მოვიყვანო აქ ისეთი სრულიად ობიექტიური ხასიათის საბუთი, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე დააყენებს იმ აზრს, რომ ეს სამი თავი პირდაპირ რუსთაველიდან მომდინარეობს.

მკითხველს მოვაგონებ ამ წიგნის მეორე თავიდან ერთ ადგილს: დიდმა ალექსანდრიელმა ფილოლოგმა არისტარხმა იმ აზრის გასაბათილებლად, თითქო „ილიადა“ ერთ ავტორს ეკუთვნის, ხოლო „ოდისეა“ მეორეს — შემდეგი დროის პოეტს, სცადა „ილიადაში“ აღმოეჩინა ისეთი ადგილები, რომლებიც წინასწარ ჰგულისხმობენ „ოდისეის“ დაწერას.

საკითხისადმი უფრო ობიექტიური მიდგომა შეუძლებელია. ამიტომ მივბაძოთ ამ ძველ მეცნიერს და ვნახოთ, ხომ არ არის ვეფხის-ტყაოსანის ძირითად, უდაო ნაწილში

1. ვინც ამ ტაეპში რუსთაველს ვერ იცნობს, ის არ იცნობს რუსთაველს.
2. ამ ქორწილის აღწერიდან არის ამოღებული ვახტანგისეული რედაქციის ხსენებული 22 ტაეპი.

ისეთი ნიშნები, რომლებიც უთუოდ ჰგულისხმობენ ამ სამი თავის დაწერას მთლიანად ან ნაწილობრივად? ასეთი ნიშნები უეჭველად არსებობს. პოემის ძირითად ტექსტში რამოდენიმე ადგილიდან აშკარად სჩანს, რომ ინდოეთი დიდ განსაცდელში იმყოფება, მას მტერი დასხმია თავს და, ვიდრე ეს მტერი დამარცხებული არ იქნება, ზედმეტია ლაპარაკი ტარიელის გამეფებაზე იქ. გავყვეთ ამ ადგილებს.

ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანი სწერს ტარიელს:

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა...

ინდოეთის გაჭირვებაზე აქ პირდაპირაა ლაპარაკი.

ტარიელის გამეფება ინდოეთში რომ ისე ადვილად არ მოხდება, როგორც ეს ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების შემკოწიწებელსა ჰგონია („ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“...), ნათლად სჩანს ავთანდილის სიტყვებიდან, ფრიდონის კარზე, ქორწილის გადახდის შემდეგ. აქ კამათი იმართება ტარიელსა და ავთანდილს შუა ფრიდონის მოციქულობით. ტარიელის სურვილია წავიდნენ არაბეთში და დააქორწილონ ავთანდილი და თინათინი; ავთანდილი კი ინდოეთში მოითხოვს წასვლას და აი, რა მოსაზრებით — ის უთვლის ტარიელს ფრიდონის პირით:

ვარ მუცლიდგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, **ვირ მეფე იყო ცნობილი.**

და შემდეგ:

ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე,
ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომსა ზედან მჯდომარე,
გვერცავე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე!

ტარიელს გააქვს თავისი. გმირები, მიემგზავრებიან არაბეთში, სადაც იმართება ავთანდილისა და თინათინის დიდი ქორწილი. ხანგრძლივი ზეიმის შემდეგ ტარიელი გაიწევს ინდოეთისაკენ, და აქ სავსებით ირკვევა თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ეს უკანასკნელი. აი, ეს ადგილი:

ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად:
ავთანდილ როსტანს წინაშე გაგზავნა დასათხოველად,
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი, მუნ შიგან მძოველად.

უცებნი მოსრნის მცოდნეთა ცოდნამან ხელოვნებამან,
ვეჭვ, მოგცეს თქვენცა დაღრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან;
წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან,
ადრე კვლა გნახე მორჭმულნი, ინებოს ღმრთისა ნებამან“.

ამაზე როსტევანი უპასუხებს:

როსტევან ჰკადრა: „მეფეო, რად ხარ რასაცა რიდითა,
რაცა გიჯობდეთ, იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდიდითა,
ავთანდილ თანა წამოგყვეს **წადით ლაშქრითა დიდითა,**
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდითა!“

ამის შემდეგ:

ავთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოვლგნით მისთანა წვევასა.

აი, როგორ ლაშქარს მოუყარა მან თავი:

შეჰყარნა სპანი არაბეთს — აღარა ხანსა ზმულია —
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია —
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია.
არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაღველ-ჭმულია.

შემდეგ:

გაემართეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა,
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა.
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა.
მივლენ სამნივე გულითა ერთმანეთისა მარგითა.

რისთვის გაიყოლა ტარიელმა თან ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი — საცეკვაოდ, სარიკაოდ თუ მაყრულის სამღერლად? რა თქმა უნდა მხოლოდ იმისთვის, რომ შებრძოლებოდა თავის მტერს, ხატაელებს, და გამოეხსნა ინდოეთი განსაცდელისაგან, რაც ნამდვილად აწერილია, როგორც დავინახეთ, „გაგრძელების“ მეორე თავში და რის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოებაში. იქ მხოლოდ მესამე თავიდან აშკარად ამოღებულ ტაეპში ვკითხულობთ შემდეგს:

სრულნი ჰინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოდიან.
„თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი“, მართ ამას მოიტყოდიან.

რაც გაუგებარია ვახტანგისეულ რედაქციაში, ხოლო ხელნაწერებში კი სავსებით გასაგები, ვინაიდან ამ სიტყვებს ინდოელები იქ ეუბნებიან ავთანდილსა და ფრიდონს იმ დიდი ღვაწლის გამო, რომელიც მათ დასდეს ინდოეთის განთავისუფლების საქმეს.

საკითხავია ერთი რამ, საიდან გაიგო ნესტან-დარეჯანმა თავისი სამშობლოს უბედურება? ამ კითხვას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ისე კი ძალიან საინტერესოა. ქაჯეთი შედარებით უფრო ახლოს მდებარეობდა ხატაეთსა და ინდოეთთან, ვიდრე ის სახელმწიფოები სადაც პოემის სხვა გმირები იმყოფებოდნენ მაშინ. ქაჯეთში ალბად გავარდნილი იყო ხმა იმ დიდი ომის შესახებ, რომელიც მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის გაიმართა; ეს ხმა ნესტანის ყურამდეც მიაღწევდა. მაგრამ აქ შეიძლება კიდევ ასეთი კითხვა დაისვას: თუ ნესტან-დარეჯანმა იცოდა ინდოეთის დიდი გაჭირვება, რატომ მაშინავე გარკვეულად არ აცნობა ეს ტარიელსა და მის მეგობრებს, როდესაც მათ გაანთავისუფლეს ის ტყვეობიდან? ეს შეუძლებელი იყო, და აი, სწორედ აქა სჩანს რუსთაველის ბრწყინვალე ნიჭი პოემის ფაბულის დამუშავებაში. საქმე იმაშია, რომ ინდოეთის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ აშკარად ცნობების მიწოდება ტარიელისათვის ქაჯეთში, სრულიად დაარღვევდა პოეტის მიერ შემუშავებულ იმ გეგმას, რომლის მიხედვითაც პოემის შემდეგი თავები იშლება. მართლაც, როგორ შეეძლო ტარიელს გაუთავებელი ზეიმითა და ქორწილებით ქაჯეთიდან შორეულ არაბეთში გამობრუნებულიყო, თუ კი მას აშკარად (თვითონ ავტორის დადასტურებით) ეცოდინებოდა, რომ მისი სამეფო ფეხით გაუთელავს მტერს? ნესტან-დარეჯანს, როგორც ეტყობა, უამბნია ყველაფერი მისი მხსნელებისათვის, მაგრამ რუსთაველი **განზრახ** არას ამბობს ამის შესახებ, რათა მკითხველმა ინდოეთის უბედურება მთლად გამორკვეულ ფაქტად არ მიიღოს და ამის გამო შეუფერებლად არ ჩასთვლოს ის უდარდელი ლხინი და ზეიმი, რომელსაც რაინდები ეძლევიან ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ. მაგრამ აქ შეიძლება კითხვა ასე შეტრიალდეს კიდევ: თუ რუსთაველს არ სურდა დაერღვია საზეიმო განწყობილება ინდოეთის ამბით, მაშინ რაღა საჭირო იყო ეჭვების აღძვრა ამის გამო, მას შეეძლო სრულებით არაფერი ეთქვა ინდოეთის მდგომარეობის შესახებ. არა, არც ეს შეიძლებოდა, რადგან საჭირო იყო

პოეტს გაემართლებია ჯარის წაყვანა არაბეთიდან ინდოეთში, ვინაიდან მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა ამხელა მანძილზე ასეთი დიდი ლაშქრის წაყვანა (დაახლოვებით ამდენი ლაშქარი გაჰყავდა იმდროინდელ საქართველოს თავის უდიდეს ბრძოლებში). აქ რუსთაველი ისე მოხერხებულად იქცევა, რომ მკითხველი ერთი მხრით, თითქმის სრულებით არ აქცევს ყურადღებას ცნობებს ინდოეთის მდგომარეობის შესახებ და, მეორე მხრით, არც სახტად რჩება, როდესაც ტარიელს ოთხმოცი ათასი ჯარისკაცი გაჰყვება არაბეთიდან ინდოეთში. ეს ძალიან ჩამოჰგავს იმ გასაოცარ სიფრთხილეს, რომელსაც რუსთაველი იჩენს დაკარგული ნესტან-დარეჯანის თავგადასავალის აღწერის დროს, სადაც ის ყოველ ღონეს მიმართავს, რომ დაასაბუთოს მკითხველის თვალში ნესტან-დარეჯანის შეუბღალავი გადარჩენა.[1]

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ისეთი ადგილი ტექსტიდან, რომელიც სავსებით ნათელყოფს ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების ხელოვნურობას. ამ რედაქციაში ზემოხსენებული ოცდაორი ტაეპის წინ არის ასეთი ტაეპი:

სამთავე ვლეს, — ღმერთმან მათებრ სხვა ნურა ნუ დაჰბადოსა,
მოეგებნიან; მტერობა ვერავინ დაიქადოსა.
მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა ჰმართებდა, პურობდეს, ღვინოსა სვემდეს არ დოსა.

ამის შემდეგ უშუალოდ მიდის: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი...“ და სხვა. ერთი ვიკითხოთ — რა შუაშია აქ ზემოთმოყვანილი ტაეპი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ტარიელი თავისი მხლებლებით მინდორს ჩამოხტა სასადილოდ? სამი თვის მგზავრობის დროს ისინი ალბად ყოველდღე ჩამოხტებოდნენ სადილის საჭმელად, მაგრამ რუსთაველი ამაზე არას ამბობს; სჩანს, რაღაც მიზეზის გამო დასჭირდა მას მგზავრების შეჩერება ამ ადგილას, რასაც ვახტანგისეული ტექსტიდან ვერა ვტყობილობთ. მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ამ ადგილს ხელნაწერებში წავიკითხავთ, სადაც ეს ტაეპი აბოლოებს ერთ თავს, და შემდეგ მიდის სხვა თავი, სახელდობრ „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“. ეს უკანასკნელი თავის შემდეგი სტრიქონებით იწყება:

ქედსა რასმე გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი,
კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! რუსთაველმა თავისი გმირები იმიტომ ჩამოახტუნა მინდორზე სასადილოდ, რათა **მოაწყოს მათი შეხვედრა და გამობაასება ინდოეთიდან მომავალ ქარავანთან, რომელმაც მათ ინდოეთის ამბავი უნდა აცნობოს.** ვისთვისაც ნათელი არ არის, რომ, თუნდაც სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტი ააშკარავებს ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების ხელოვნურობას და მომდევნო თავების აუცილებლობას, იმას თამამად შეუძლია პოეტურ ნაწარმოებთა კვლევა-ძიებით მომავალში მაინც აღარ შეიწუხოს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი უკვე სავსებით გამორკვეულია, მე მაინც განვიხილავ ხსენებულ სამ თავს აქ რუსთაველის ლექსის ფორმალური ნიშნების მიხედვით, ეგრეთწოდებული **ინდივიდუალური კრიტიკის (ბეკის** თერმინი) თვალსაზრისით, და ვსთხოვ მკითხველს ამ განხილვის შედეგი მიიღოს მხოლოდ როგორც ზედმეტად დამაჯერებელი მასალა, როგორც დამატება ზემოთ წარმოდგენილი სრულიად ურყევი ობიექტიური საბუთებისა.

1. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. „ალიტ. ქართ. შაირში“, გვ. 101.

ჩვენ ვიცით, რომ რუსთაველს ახასიათებს ბგერათა წყობის განსაკუთრებული მუსიკალობა. რუსთაველის ლექსის დაკვირვებულ მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ეცეს მთელი სიტყვების ან მათი თავსართების თუ სუფიქსების ხშირი განმეორება ევფონიური მიზნით.

სიტყვებისა და თავსართების განმეორებაზე ხშირად მქონია მსჯელობა როგორც ამ წიგნში, ისე პირველში. აქ კი მოვიყვან საინტერესო სტატისტიკურ ცნობას ერთი სუფიქსის განმეორების შესახებ. ავიღოთ ნათესაობითი ბრუნვის სრული დაბოლოება „სა“. ძალიან ხშირია როდესაც რუსთაველის სტრიქონში ერთი ამგვარად დაბოლოებული სიტყვა იწვევს სხვა სიტყვებს ასეთივე დაბოლოებით. მაგალითად:

ალაფობდეს საჭურჭლე სა მის სა, ვითა ნათურქალ სა,
მას ტაიჭსა არაბულსა ქვეყანაბან სა ნასუქალ სა.

მოვახდინოთ ამ მხრით რუსთაველის შედარება სხვა ძველ პოეტებთან. ამისათვის საჭირო იქნება ერთგვარი სტატისტიკური ანგარიში, რასაც, უნდა ითქვას საერთოდ, დიდი მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე ლიტერატურულ კვლევა-ძიებაში. ეს ანგარიში შესაძლებელია ამგვარად მოვაწყოთ. ჩავათვალიეროთ ტექსტი რითმებზე ყურადღების მიქცევით და შევჩერდეთ ისეთ ტაეპებზე, რომელთა რითმის უკანასკნელი მარცვალი არის ეს ნაწილაკი „სა“. წავიკითხოთ ასეთი ტაეპის ყოველი სტრიქონი და დავითვალოთ, თუ რამდენჯერ მეორდება შიგ ეს დაბოლოება რითმის უკანასკნელი მარცვალის ჩათვლით. ხოლო ისეთ სტრიქონში, რომელშიაც ეს ნაწილაკი არ მეორდება, უკანასკნელ მარცვალსაც ნუ ვიანგარიშებთ. ავიღოთ მაგალითისათვის შემდეგი ტაეპი და გაუსვათ ხაზი დაბოლოებას „სა“-ს ყველა იმ სტრიქონებში, გარდა მეორისა, სადაც ეს დაბოლოება განმეორებული არ არის:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსები **სა** ტკბილი **სა** = 2
ქება წარბთა და წამწამთა თმათა და ბაგე კბილისა = 0
ბროლ ბალახში **სა** თლილი **სა** მიჯრით მიწყობილი **სა** = 3
გასტეხს ქვასაცა მაგარ **სა** გრდემლი ტყვიი სა ლბილი **სა** = 3

სულ ტაეპში 8

ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში, რომლის მიხედვით მე ჩემს სტატისტიკურ ანგარიშს ვაწარმოებ საერთოდ, ვინაიდან მხოლოდ ამ გამოცემაშია ზედმეტი თავები წარმოდგენილი, ასეთი დაბოლოებით გვაქს სულ 287 ტაეპი ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებში (შეიძლება შემთხვევით რამდენიმე ტაეპი გამომრჩა, რასაც მნიშვნელობა არა აქვს). ვიანგარიშოთ ყველა ტაეპებში, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, ნაწილაკი „სა“. რომ ჩვენ მოზრდილ და, მაშასადამე, შედარების დროს უფრო თვალსაჩინო რიცხვთან გვქონდეს საქმე, ეს 287 ტაეპი დავყოთ ათეულ ტაეპად და ავიღოთ ნაწილაკი „სა“-ს განმეორების ჯამი ყოველ ასეთ ათეულში.

მაგალითად:

I ათეული — 5+5+7+3+2+4+9+5+5+3=48.
II ათეული — 7+7+9+2+7+8+8+6+4+4=62.
III ათეული — 5+7+7+8+8+7+8+8+6+7=71.
IV ათეული — 5+0+2+9+10+6+4+6+4+6=52.
და სხვ.

აი, ყველა 28 ათეულისა და ერთი შვიდეულის ჯამები: 48, 62, 71, 52, 35, 40, 40, 54, 47, 56, 53, 53, 70, 64, 40, 64, 40, 61, 60, 44, 53, 57, 50, 51, 49, 67, 69, 52 და 22 (შვიდ უკანასკნელ

ტაეპში). აქედან საშუალო რიცხვი ყოველ ათეულ ტაეპში ხსენებულ დაბოლოებით ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებისათვის იქნება 54.

ავიღოთ ეს საშუალო რიცხვი და შევადაროთ ზოგიერთი სხვა ძველი პოემების ასეთსავე საშუალო რიცხვებს:

ვახტანგიანი 25
საამიანი (შაჰ-ნამე) 28
ლეილ-მეჯნუნიანი 29
იოსებ ზილიხანიანი 35
როსტომიანი (შაჰ-ნამე) 37
საამიანი (შაჰ-ნამე) 42
ბარამ-გურიანი 47
ვეფხის-ტყაოსანი . . . . . 54[1]

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსთაველის ლექსში დაბოლოება „სა“ მეორდება უფრო მეტჯერ, ვიდრე სხვა რომელიმე ზემოთ დასახელებულ პოემაში.

ეხლა მოვახდინოთ ასეთი ანგარიში ვეფხის ტყაოსანის გაგრძელების იმ სამ თავში, რომლის წარმოშობის საკითხიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. იქ არის სულ შვიდი ისეთი ტაეპი, სადაც რითმების უკანასკნელი მარცვალი არის „სა“. შვიდი ტაეპის ჯამი უდრის 41-ს. ამ შვიდი ტაეპის ჯამი რომ ათი ტაეპის ჯამამდე ავიყვანოთ პროპორციონალური გადიდებით ($41 : {}^{7}/_{10}$) მივიღებთ 60-ს. არც ერთი ზემოთ დასახელებული პოემა, ვეფხის-ტყაოსანის გარდა, ამხელა რიცხვს არ იძლევა. ეს ფაქტი უსათუოდ ყურადღების ღირსად უნდა ჩაითვალოს.

ავიღოთ მეორე ფაქტი. ამ წიგნის იმ ნაწილში, სადაც „რუსთაველიანას“ ვიხილავ, მე შემთხვევა მქონდა ორიოდე სიტყვა მეთქვა **დაყრდნობილი** რითმის, ესე იგი ისეთი რითმის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შეტანილია ეგრეთ წოდებული **დასაყრდენი თანხმოვანი**, რაც სავალდებულო არ არის თვით კლასიკურ რითმაშიაც კი.[2] დაყრდნობილი რითმა განსაკუთრებით ხმიერია, მაგრამ მისი გატარება შაირით დაწერილ ტაეპში, სადაც ოთხი სტრიქონი ერთ რითმაზეა აგებული, დიდ სიძნელეს წარმოადგენს. აი, დაყრდნობილი რითმით დაწერილი ტაეპი ვეფხის-ტყაოსანიდან, სადაც დასაყრდენი თანხმოვანი არის ბგერა **ზ:**

წესია ამა ქალაქსა დღესა მას ნავრო**ზ**ობასა,
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გ**ზ**ობასა,
ყველაი სწორად დავიწყებთ კა**ზ**მასა ლამა**ზ**ობასა,
დიდსა შეიქმნენ მეფენი პურობა დარბა**ზ**ობასა.

1. ზოგიერთ აქ ჩამოთვლილ, შედარებით პატარა ზომის, პოემებში ანგარიშისათვის აღებულია მთელი ტექსტი, ზოგშიაც კი ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

2. რითმის პრობლემას ვრცლად შევეხები ცალკე წერილში. ეს საკითხი სრულიად დაუმუშავებელია ქართულ ლიტერატურაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში და საზღვარგარეთ, ალბად, არითმეტიკულ ამოცანათა კრებულების შემდგენელები უფრო ვალდებულად სთვლიან თავიანთ თავს იცნობდნენ ვერსიფიკაციის სხვადასხვა საკითხებს, ვიდრე ჩვენი კრიტიკოსები და ფილოლოგები. კერძოთ, მეტად უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები, პ. ინგოროყვას გამოკლებით, როდესაც მათ ლექსთაწყობის ამა თუ იმ საკითხზე უხდებათ სიტყვის ჩამოგდება. მაგალითად, პრ. კეკელიძეს თუ რითმა მოეწონა, ეს უეჭველად „დახვეწილი რითმა“ იქნება, თითქოს რითმა ცხენის ძუაფაფარი იყოს და არა მეცნიერების მიერ კარგად შესწავლილი პოეტური ხერხი. ი. აბულაძე ასეთი სიტყვებით იწყებს თავის წერილს „პოემის ენის ხალხურობა“ (ვეფხ.-ტყაოს., გვ. 321): „რითმისა და ლექსთწყობის საჭიროებით არის გამოწვეული“... ამას ემგვანებოდა, მაგალითად, რომ ვინმე მათემატიკოსმა ასე დაიწყოს წერილი: „ტრიგონომეტრიისა და მათემატიკის საჭიროებით არის გამოწვეული“.. ან ექიმმა რომ დასწეროს: „ტერაპიისა და მედიცინის საჭიროებით არის გამოწვეული“... ცხადია, აქ საქმე გვაქვს ელემენტარულ გაუგებრობასთან.

ასეთი რითმა შედარებით ხშირია ვეფხის-ტყაოსანში, მაშინ როდესაც ის ზოგიერთ ძველ პოემაში სრულებით არ გვხვდება (მაგალითად, უზარმაზარ შაჰ-ნამეში მე ის არც ერთხელ არ შემხვედრია), ზოგიერთში კი ძალიან იშვიათად (ბარამ-გურამიანის პირველ ას ტაეპში მხოლოდ ორი ტაეპი იძლევა დაყრდნობილ რითმას). რუსთაველს ამ მხრივ უახლოვდება რითმის ისეთი ვირტუოზი მხოლოდ, როგორიც არის დავით გურამიშვილი.

ავიღოთ ეხლა იმ სამი „ზედმეტი“ თავიდან ერთი შესანიშნავი ადგილი, სახელდობრ, ტარიელის შეხვედრა დამარცხებული ინდოეთის დედოფალსა და დიდებულებთან. მე მოვიყვან ოთხს ერთი-ერთმანეთის მიმდევნო ტაეპს, რომელთა შორის სამი დაწერილია დაყრდნობილი რითმით და, გარდა დასაყრდენი თანხმოვანებისა, ხაზს გაუსვამ გამეორებულ სიტყვებს:

ტარიელ მიდგა, უყივლა: მე მოველ მეფე თქვენიო,
თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენიო;
ჩვენ მოგვცა **მაღლით მაღალმან** აწღა ორბისა ფრთენიო;
გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩვენგან მოუთმენიო.
მაშინ-ღა იცნეს ტარიელ, მათგან მიდამო სრ**ბ**ანია;
სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და **ბანის ბანია:**
ხმა მაღლად **ხმობდეს,** იზახდეს: „მოგვშორდეს სალმობანია,
აქამდის რისხვა მაღალმან, აწ მოგვცა წყალო**ბ**ანია!“

კარნი **გაახვნეს,** გამოჩნდეს, **მოიხვნეს** მათ კლი**ტ**ენია,
ერთობ ფლასითა მოსილნი უმზერდეს მუნ მჭვრე**ტ**ელნია;
ტირან ორნივე ქალ-ყმანი, ვარდისა ბაღსა **ტ**ენია,
ზახილით თავსა იცემდეს, ყორნის თმა ბროლს ატენია.

ვითა **გამზრდელსა** მართებდა **გაზრდილი** აგრე **ხ**ელია,
რომე სდის ცრემლი თვალთაგან ცეცხლთაგან უფრო ც**ხ**ელია,
თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულფიც**ხ**ელია,
გიშრისა ტევრსა **მოფოცხა** ბროლისა **საფოცხელია.**

მე შემიძლია გადაჭრით განვაცხადო, რომ **მთელს ქართულ პოეზიაში არ მოინახება მეორე ისეთი ადგილი, სადაც ოთხი შაირით დაწერილი ტაეპიდან სამში დაყრდნობილი რითმა იქნება მოცემული.** ჩემის აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ფაქტსაც.

ანგარიშ გასაწევია ის გარემოებაც, რომ ზემოთ მოყვანილ ოთხ ტაეპში ჩვენ გვხვდება ექვსი სიტყვის განმეორება, რომლის მეორე მაგალითს, **რუსთაველის გარდა, ვერცერთ ქართველ პოეტს ვერ მოუნახავთ.**

მრავალია ამ სამ თავში რუსთაველისათვის უაღრესად დამახასიათებელი პოეტური ფიგურები, მაგალითად, მეტაფორები. როგორ შეიძლება დავიჯეროთ რომ რუსთაველს არ ეკუთვნის, მაგალითად, ასეთი შესანიშნავი მეტაფორა:

გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.[1]

რუსთაველი მეტაფორის უდიდესი ოსტატია; ხოლო მეტაფორის შესახებ აი, რასა სწერს არისტოტელე თავის პოეტიკაში:

„განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეტაფორებში დახელოვნებას, ვინაიდან მხოლოდ ამისი გადმოღება არ შეიძლება სხვისაგან, და ეს ნიჭი მაჩვენებელია ტალანტის. კარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების შენიშვნის ნაყოფია“.

1. ეს სიტყვები შეეხება მამის გარდაცვალების გამო ატირებულ ნესტან-დარეჯანს. გიშრის ტევრი თმებია ნესტანის, ბროლის საფოცხელი კი მისი ხელი.

დიახ, არცერთ ყალბისმქნელს არ შეეძლო გადმოეღო რუსთაველისაგან ის მეტაფორები, რომლებიც ამ სამ თავში გვხვდება.

ამის გარდა, აქ არის მრავალი **პასტიჩიო** ისეთი სტრიქონების, ცალკე ფრაზებისა და სიტყვათა წყობის, რომელიც ჩვენ ვეფხის-ტყაოსანის უდაო ნაწილში გვხვდება. აი, ამ პასტიჩიოების ნიმუშები:

გაგრძელების სამი თავიდან:	**ვახტანგისეული რედაქციიდან:**
გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.	ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.
სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და ბანის ბანია.	ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, ტყე, კაპანია.
	სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი.
ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი.	ქედსა რასმე გარდავადექ მინდორს მტვერი დავინახე.
მათ ჰკადრეს: „ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა“.	რა მოვა ჩემთვის განგება. ზეცით მოსრულნი ზენანი.
	განახელმწიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმან ზენამან.
გავს, თუ ტყუბნი მარგალიტნი სხენ ბროლისა ხარხაჩოსა.	შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუპები.
დადუმდი, სული დაიღე ჩემგან ამისგან მსმენელმან.	დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთა შავმან გიშრისა დანამან.

ამ პარალელურად წარმოდგენილ სტრიქონებში უეჭველად სჩანს ერთი ავტორის შემოქმედებითი აზრის მუშაობა.

მე აღარ შევჩერდები აქ ცალკე სიტყვებზე. განსაკუთრებით კი ბგერათა შერჩევასა და სიტყვათა განმეორებაზე, რომელიც იოტის ოდენ ეჭვს არა სტოვებს იმაში, რომ ეს სამი თავი რუსთაველს ეკუთვნის.

მართალია, აქ არის სუსტი ადგილები, მაგრამ არ არის ისეთი, რომელზე სუსტი პოემის უდაო ნაწილში არ მოიძებნებოდეს. ეს თავები, პოეტს საბოლოო რედაქციაში — ჩემის აზრით, მესამეში — მეორე რედაქციიდან უნდა ჰქონდეს შეტანილი გადაუმუშავებლად, ისე როგორც ბევრი სხვა ადგილები (მაგალითად, ავთანდილის პირველი წასვლა ტარიელის საძებნელად და მომდევნო თავები), რომელთა პოეტური ღირსება ამ თავებზე მაღლა არა სდგას. კერძოთ, არ განირჩევა ამ თავებისაგან ღირსებით ვახტანგისეული რედაქციის უკანასკნელი რამდენიმე ათეული ტაეპი (ქორწილი თინათინ-ავთანდილისა და მომდევნო ტაეპები).

ასეთ აუცილებელ დასკვნამდე მივყევართ ვეფხის-ტყაოსანის **ტექსტუალურ კრიტიკას,** რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ფილოლოგიურ კვლევა-ძიებაში. ფილოლოგიური კვლევა-ძიება, **შლეიერმახერის** აზრით, სრულიად განსხვავებულ კრიტიკულ დისციპლინას წარმოადგენს საერთო კრიტიკაში; მისი მთავარი მიზანია დოკუმენტის სინამდვილის დამტკიცება, და, მაშასადამე, ამ დოკუმენტის ტექსტის ყოველმხრივი შესწავლა. აი, რასა სწერს თანამედროვე რუსი ფილოლოგი **ვინოკური** სხვადასხვა კრიტიკული თვალსაზრისის შესახებ: „ესტეტიური კრიტიკა იტყვის: ეს ნამდვილია, მაგრამ ლა-

მაზი არ არის. ისტორიული კრიტიკა იტყვის: ეს ნამდვილია, მაგრამ სწორი არ არის. ხოლო ტექსტუალური კრიტიკა უპასუხებს: ეს არც ლამაზია, არც სწორი, მაგრამ ნამდვილია“.

ვასრულებ რა ვახტანგისეული რედაქციის კრიტიკას, მე საჭიროდ მიმაჩნია კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ლექსის ფორმალური ნიშნების განხილვა წარმოდგენილია აქ როგორც ზედმეტად დამადასტურებელი მასალა იმისა, რაც უეჭველად გამომდინარეობს ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი სხვა უფრო ობიექტიური ხასიათის საბუთებიდან. აი, სახელდობრ რა გამომდინარეობს იქიდან:

I. ვახტანგისეული რედაქცია არის ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, წინააღმდეგ პ. ინგოროყვასა და ი. აბულაძის შეხედულებისა.

II. ვახტანგისეულ რედაქციაში მოცემულია პოემის თავდაპირველი ტექსტი შემოკლებით და არა გაგრძელებით, როგორც ეს ს. კაკაბაძეს და პროფ. კ. კეკელიძეს წარმოუდგენიათ.[1]

კონსტანტინე ჭიჭინაძე

მიმოქცევის იდეა

ორგანოტროპიზმის სისტემიდან

ინტელექტუალიზმის უარეოფა

მიმოქცევის იდეას დიდი წარსული აქვს: ეკლეზიასტი — აღმოსავლეთში, ანაქსიმანდრი და პითაგორი — საბერძნეთში, ლუკრეციუსი კარა — რომში, ფრიდრიხ ნიცშე — ახალ ევროპაში სამყაროს მიმოქცევას ქადაგებდენ. ჩვენ მიმოქცევის საკითხი გადმოგვაქვს ბიოსოციალურ სფეროში: უსაზღვროების არეზე დაუსრულებელი სახეცვლილებაა; ჯიშები ბიოლოგიურ სამყაროში ისე მეორდებიან, როგორც სოციალური არეები ისტორიაში; ფორმები ორგანიული ყოფისა ისე ტრიალებენ, როგორც ზაფხული და ზამთარი, შემოდგომა და გაზაფხული. მობრუნების იდეას ასაბუთებს თითქმის ყოველი დარგი მეცნიერებისა, დაწყებული გეოლოგიიდან, დამთავრებული ფიზიოლოგიით, გეოლოგიურ ნაკეცებში სჩანს მიმოქცევის პროცესი, როგორც სისხლის მოძრაობაში, ადამიანისა და ცხოველის ტანში. გეოლოგიური ფენები თითქმის ყოველგან შეიცავენ ცხოველთა სამყაროს გაქვავებულ ფორმებს; კაცობრიობა თავის ლაბორატორიებით და აკადემიებით, დიდი ქალაქების მოძრაობით დგას დღეს უთვალავ არსთა დაღუპულ სასაფლაოზე. თვით ოკეანების ფსკერი წარმოადგენს დაღუპული ჯიშების ნალეკს: როდესაც გაყავდათ პირველად ატლანტიის ოკეანის სატელეგრაფო კაბელი, გაგზავნეს საგანგებო ექსპედიცია ზღვის ფსკერის შესასწავლად; აღმოჩნდა, რომ ორი ათასი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ათას-ხუთას კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ოკეანის ფსკერი წარმოადგენს დაღუპული ორგანიზმების ქვიშნარს; ეს დასანახავად ადვილი ფორმა ოკეანის ფსკერისა იწვევს ჩვენს აზროვნებაში საკითხს: ვინ იცის, რაოდენი მირიად ჩვენთვის უხილავი ფორმებისა დალეკილია და ჩაძირული სამყაროს

1. ამ წერილში წარმოდგენილი ძირითადი მოსაზრებანი გამოქვეყნებული იყო 1927 წ. თებერვალში ავტორის მიერ რუსთაველის თეატრსა და მუშფაკში წაკითხული მოხსენებების დროს.

უფსკრულში? ვინ იცის, რაოდენი რიცხვი სხვადასხვა ცხოველებისა და მცენარეებისა შელესია გეოლოგიურ ფენებს, ოკეანეთა უფსკრულებს, ჩვენ პლანეტის ხეობებსა და ოღრო-ჩოღრო ადგილებს? იქ, სადაც ეხლა დასრიალებენ ავტომობილები, ტრამვაები, მოტოციკლეტები, მატარებლები, იქ, სადაც ეხლა აშენებულია გრანდიოზული სასახლეები სატახტო ქალაქებისა, იქ სადაც კაცობრიობას დღეს გაშლილი აქვს სავაჭრო მოედნები და სოციალური კულტურის დარბაზები, — ოდესღაც მიმოდიოდენ არსებობის სხვა ჯიშები და ფორმები, სხვა სახეები ევოლიუციისა; მაგრამ მათი ყოფა და წარსული სამარადჟამოდ დახურულია ჩვენთვის: ევოლიუციის ნახტომმა არსებობა ჩვენი გადაისროლა სხვა კუთხეში და ვერავითარი გონება ვერ შეიცნობს იმ პერიოდს არსებობისა, რომლის ფორმა ორგანიულად დამთავრდა როგორც ერთი რგოლი ორგანოტროპიული მომენტისა: განა დიდი განსხვავებაა ევოლიუციის ორგანიულისა და არაორგანიულ ფორმათა შორის? რა არის ორგანო? — გამრავლება უჯრედებისა და პროტოპლაზმების უჯრედებში, ესე იგი გადიდება რიცხვის ცოცხალი არსებისა; როგორ და რის საშუალებით იზრდება სხეული? განა სხეულს საჭმელი არ ზრდის? განა პროტოპლაზმა და უჯრედები არ შეიცავენ ცილებს, მარილებს, სიმჟავეებს? მარილები, სიმჟავეები, სხვადასხვა სახის ქიმიური ელემენტები სხეულისა ხომ ისაა, რასაც ჩვენ არაორგანიულ ბუნებას ვეძახით? როგორ ხდება, რომ ცოცხალი ორგანიზმის ზრდა „მკვდარი“ მარილებით მიმდინარეობს? რატომ არის, რომ სულის ძლიერება დამოკიდებულია კვებისაგან? განა „უსულო“ მატერიაში აქ არ ჩანს **ენერგია** ისეთი, როგორც ელექტრონი ან რადი? კვების პროცესიდან სხეულის ენერგიის მიღება თვალსაჩინო ფორმაა მატერიის მიმოქცევისა: საინტერესოა, რომ რომელიმე ნატრი, თავისთავად უმნიშვნელო როგორც **მატერიული** ფორმა არსებობისა, მოხვდება თუ არა სხეულისა და უჯრედების არეში, იწვევს მთელს ცვლილებებს **ორგანიული ხასიათისას;** საინტერესოა ისიც, რომ სხვადასხვა სახის მარილები ადამიანის სხეულში სხვადასხვა მიმართებით მოქმედებენ: ექიმებმა იციან, რომ რომელიმე ნატრი გამოწერილი სხეულის ავადმყოფი ნაწილებისათვის, სრულებით არ მოქმედებს, ან სუსტად მოქმედებს და ხშირად უარყოფითაც სხეულის სხვა ნაწილებზე. მიმართება ბიოქიმიური ელემენტებისა ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებისაკენ განა უდიდესი ორგანოტროპიული ფაქტი არ არის? განა ეს მიმართება არ გვიჩვენებს იმას, რომ არის რაღაც კავშირი **ბიოდინამიური ხასიათისა** მინერალური სამყაროსა და ორგანიული ცხოვრების შორის?

მართალია, ცოცხალ ორგანიზმებსა და მინერალებს შორის ისეთი მანძილია, რომ მეცნიერებამ დღემდე ვერ მოახერხა ლაბორატორული წესით ვერც ერთი ცოცხალი ორგანიზმის გაკეთება, თუმცა კარგად იციან ორგანიზმის ქიმიური შემადგენლობა; მეცნიერება ცდილობს უსაზღვროების ფორმულის გამონახვას (ნიუტონი, აინშტაინი) და დღემდე ბუზის გაკეთებაც ვერ მოუხერხებია; გერმანელმა ქიმიკოსმა **ლიბიხმა** დაახლოებით ასი წლის წინად თავის ლაბორატორიაში შარდის მსგავსი სითხე მიიღო; ქიმიური ფაქტი შარდის ხელოვნური მიღებისა დიდი მნიშვნელობისაა: წინად ამბობდენ — ორგანიული ნივთიერება მხოლოდ ორგანიზმში მზადდებაო. ორგანიზმის შემადგენელი ელემენტები მიმოფანტულია მთელს ბუნებაში, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის გაკეთება შეუძლებელი ხდება ხელოვნურად იმიტომ, რომ სამყაროში გაჰქრა პირობები, რომლებშიაც ცოცხალი ორგანიზმი ქიმიურად ჩნდებოდა; ამ პირობებთან ერთად უნდა გამქრალიყო სიცოცხლე, რომ **ორგანოტროპიზმის** პრინციპი არ არსებობდეს სამყაროში.

საყურადღებოა ბიოლოგიურად, რომ ქიმიური პროცესი გამრავლებისა ახასიათებს ბაქტერიებს განსაკუთრებით: მათი ჩქარი დაყოფა გამრავლების სახით ერთგვარი ფორმაა ქიმიური განწვალებისა; მატერიას შეუძლია არსებობა სამყაროში მხოლოდ **ორგანოტროპიული** წესით — მდგომარეობასთან **შეგუებით** და **შეფარდებით,** სხვა გზით მა-

ტერია დაიშლება. ბაქტერიებს აქვთ ერთგვარი თვისება ცუდ მდგომარეობაში გაიკეთონ თვითდაცვისათვის გარსი (სპორი); ამ გარსში გახვეული ბაქტერია იტანს ცხოვრების ცუდ პირობებს, მაღალ და დაბალ ტემპერატურას, და ბოლოს თვით იღებს ამ გარსის ფორმას. სამყაროს უძველესი პერიოდი იყო ბაქტერიების პერიოდი: მეცნიერები პოულობენ ბაქტერიების უძველეს ფორმათა ნაშთებს პრეისტორიულ ეპოქათა გეოლოგიურ კვლევაძიების დროს; ამ ნაშთებიდან ირკვევა, რომ ბაქტერიები არიან უდიდესი ქიმიკოსები სამყაროში; ისინი ხელს უწყობენ ორგანიული ევოლიუციის პროცესში მატერიის მიმოქცევას; კაცობრიობას ააყროლებდა სასაფლაოები, რომ ბაქტერიების ქიმიურ მუშაობას არ ჰქონდეს ადგილი; ბაქტერიები აწარმოებენ ქიმიორგანოტროპიზმის სისტემიდანურ დაშლას სხეულებისას, იწვევენ წვას, აორთქლებენ და ანიავებენ, ცრეცენ და ანაწილებენ..

ამრიგათ, ერთი ნაწილი ყოვლობის მატერიისა ჩამოყალიბდა ბაქტერიულ სამყაროს სახით, ხოლო მეორე ნაწილი — სქესის ფორმით. სქესობრივი ფორმა მატერიის არსებობისა ერთგვარი **ორგანოტროპიული** ხერხია თვითდაცვის იმ დროს, როდესაც გაჰქრა ობიექტიური პირობები სხვა სახის არსებობისა; ასე რომ ორგანიული ევოლიუციის თვალთხედვით სასაცილოა მეტაფიზიკური მტკიცება სქესის ღვთაებრივი და მარადიული არსებობისა; სქესი დროული ხერხია ორგანიული ევოლიუციის გაგრძელებისა და არსებობის პირობები თუ საგრძნობლად შეიცვალა, მატერიასაც სხვა ფორმა ექნება არსებობის გაგრძელებისათვის.

ბაქტერია და სქესი ერთმანეთის მონათესავე არიან: ბაქტერიის შემოჭრა სხეულში ისეთივე დაავადების გრძნობას იწვევს, როგორც სქესის გაღვიძება. სიყვარული ერთგვარი ფორმაა ავადმყოფობის; შეიძლება ბიოლოგიურად შემთხვევითი მოვლენა არ იყოს ის, რომ დიდი ნაწლავის ერთი მხრით ხდება სქესობრივი აქტი და ჩასახვის ემბრიონალური პროცესი, ხოლო მეორე მხრით არის ბაქტერიების მთავარი სადგური; inter faces et urinas nassimur — ამბობს ერთი საშუალო საუკუნის მეცნიერი; ჰეგელიც გაკვირვებული იყო იმით, რომ მამაკაცის ერთი და იგივე სასქესო ორგანო შარდის გამოშვებას და სქესობრივი მოთხოვნილების დიდ საქმეს — ორივეს ასრულებს. ეს ერთგვარი ეკონომიის რეჟიმია ბუნებაში, გამოწვეული ორგანიული ევოლიუციის აუცილებლობით. სამაგიეროდ, იმავე აუცილებლობით ბუნებას ეკარგება აუარებელი შესაძლებლობანი ჩასახვისა: ყოველ შემთხვევაში ადამიანის გამრავლება განსაზღვრულია ბიოლოგიურად. თუ ამას მიუმატებთ მონოგამიის პარადოქსალურ ჩვეულებას კულტურულ ქვეყნებში, სქესობრივი ფორმა ორგანიული ევოლიუციისა მეტად ვიწროა.

ამ ვიწრო ფორმაში ეტევა მაინც გენეტიური სული შემოქმედებითი ევოლიუციისა და მატერიის მიმოქცევის პროცესი: ჩასახვა და გარდაცვალება ორი დიდი სადგურია, სადაც ისვენებს მოხეტიალე მატერია. ჩასახვიდან გარდაცვალებამდე და გარდაცვალებიდან ხელახლა ჩასახვამდე მატერიის მიმოქცევის პროცესია; ხოლო მიმოქცევის პროცესი აქ ინდივიდუალურია და შედის ის, როგორც ერთგვარი შენაკადი, გენეტიური მიმოქცევის პროცესში. ამ მიმოქცევათა დენაში ინდივიდუალური სახე დროულია და როგორც ასეთი იგი ატარებს წარსულის განცდებს დროულ ფორმაში; ინდივიდუალურ მიმღეობაში წარსულის განცდები წარმოადგენენ ერთგვარ აპრიორულ სქემებს; მაგრამ აქ **აპრიორული** სრულებით არ ნიშნავს აბსოლუტურს, ზეემპირიულს: **აპრიორულია** ის იმდენად, რაოდენად გენეტიურია, ხოლო რაც **გენეტიურია,** ის განსაზღვრულია, ის მოქცეულია აუცილებლობაში პირობებისა და მათთან შეგუებისა.

მატერია მდგომარეობაში იჩენს თვისებებს: ერთგვარ პირობებში (მოქცეული) მატერია თავის ორგანულ ცხოვრებას აწყობს ისე, რომ შეეგუოს პირობებს; ყოველი ცხოველის ჯიში იმდენ ხანს სცოცხლობს, რაოდენად ეწყობა არსებულ პირობებს, რაოდენად გამოი-

ჩენს უნარს, თვისებებს, ხერხს შეწყობისას: ინდივიდუალური შეწყობის თვისებები ხელსაყრელ პირობებში გადადის მემკვიდრეობით და ეს ჯიშურ-მემკვიდრეობითი თვისებები არის ის, რასაც ეგრე აზვიადებენ ინტელექტუალისტები, რაზედაც ისინი აშენებენ კათეგორიებსა და იმპერატივებს და რასაც ბიოლოგები ეძახიან შეწყობით რეფლექსებს.

შეწყობითი რეფლექსების ურთიერთობა შეადგენს გენეტიურად, თანდათანობით, წვალებით, შეგუებითა და ჩვევით **ინსტინქტს.** ცოცხალი ორგანიზმი ჩვევათა კომპლექსია და რაოდენად ავტომატიურად ერთი ჩვევა მეორე ჩვევას უკავშირდება, იმდენად ვითარდება შეწყობითი რეფლექსი; შეწყობით რეფლექსებიდან მომდინარეობს ორგანიულად ინსტინქტი; ყოველი ჯიში გენეტიური თანდათანობით თავისებურად ეგუება ცხოვრების პირობებს და შეგუებაში თავისებური შეწყობით რეფლექსებს იძენს; ამიტომ ყოველ ჯიშს აქვს საკუთარი ფორმა ინსტინქტისა, როგორც ერთგვარი იარაღისა არსებობისათვის ბრძოლაში; რეფლექსებისა და ინსტინქტის წყაროა ორგანიული ჩვევა და თუ ჩვევის პროცესი შეიცვალა, ფორმა რეფლექსებისა და ინსტინქტისა იცვლება; ინსტინქტი უძველესი ფორმაა ორგანიული ევოლიუციისა; გონება ინსტინქტის შემდეგ წარმოიშვა დაგვიანებით და ინსტინქტის ხარჯით: რაოდენად ძლიერია ინსტინქტი ცხოველში, იმდენად სუსტია გონება ცხოველისა; ცნობიერება ახასიათებს როგორც ინსტინქტს, ისე გონებასაც; მაგრამ ინსტინქტის ცნობიერება მიმართებითია, ინტელექტის შეფარდებითი; ინსტინქტის ცნობიერება მიხვედრითი და **კათეგორიულია,** ინტელექტის — **ჰიპოთეტიური;** ინსტინქტი არის შობილი ცნობიერება, მუდამ ფარული, გააზრებას მოკლებული. გონების მთავარი დამახასიათებელი თვისება არის **გააზრება** (Verstand, ðàçñóäî ê) და გააზრებიდან გამომდინარე კოროლარიები; რაოდენად ინსტინქტი იცრიცება და სუსტდება, იმდენად ძლიერდება გონება, წარმოსახვა (Vernunft, ðàçôì). ინსტინქტი გამოსახავს ჯიშის ორიენტაციას არსებობისათვის ბრძოლაში, გონება **ანთროპომორფიულ** (და არა ანთროპოლოგიურ, როგორც ზოგიერთს ეჩვენება) ორიენტაციას სამყაროში.

გონება არ არის **თვითარსებითი** მოვლენა, იგი შედეგია ორგანიული ვითარების, შეგუებითი წვალების, ნერვიულ უჯრედიული ენგრამების სისტემატიურად დაჯგუფების: ანტიურ ქვეყნებში ყოველგვან ელლინისტური პერიოდის დაწყებამდე აზროვნების მთავარ სადგურად, გააზრების პროცესის ლაბორატორიად ითვლებოდა არა **თავი,** არამედ გული და ნერვიული სისტემა; მეტად საინტერესოა უძველეს ხალხთა შეხედულება იმის შესახებ, თუ სად იმყოფება აზრი; როგორც ვიცით, დღეს არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ აზრის მთავარი სადგური არის თავი; კანტმა, მართალია, უარჰყო დოგმატიური მეტაფიზიკა (რაციონალური ფსიქოლოგია, რაციონალური კოსმოლოგია, რაციონალური თეოლოგია), მაგრამ ტრანსცენდენტალური აპპერცეპციაში რესტავრაცია გაუკეთა რაციონალიზმს სრული ინტელექტუალიზმის სახით: გააზრების კათეგორიები მიიღო როგორც აპრიორული პრინციპები აზროვნების მიმართებათა და ამით ფეოდალური არისტოკრატიის თეოლოგიური რაციონალიზმი მხოლოდ გადაასხვაფერა: ეს კი კოპერნიკისებური საქმე კი არ იყო — არამედ მხოლოდ იდეოლოგიური ფერისცვალება, რომელსაც მოითხოვდა დიდი ქალაქების ინდივიდუალიზმი: როგორც ნაპოლეონის მოვლენა მსოფლიო ისტორიაში იყო ქალაქური კულტურისა და ბურჟუაზიული უმეტრიკო ინდივიდუალიზმის ძლიერების დემონსტრაცია, ისე კანტის კრიტიციზმი თავის ლისანსებით და კომპრომისებით ემპირიზმისა და სოციალური პრაქტიკის მიმართ იყო თავისებური რეფლექსოლოგიური რეზონანსი სოციალურ განცდათა წნევისა: მანქანური კულტურის გავლენა, რომელიც მიერეკებოდა წარსულში ნატურალურ მეურნეობას ფეოდალური სტატიზმით და რაინდული პათოსით, ჰქმნიდა ბურჟუაზიული კულტურის ადეკვატურ იდეოლოგიას **კრიტიციზმისა** და **იმმანენტიზმის** სახით. ამ იდეოლოგიის შინაგანი წყობა კრიტიციზმით რესტავრაცია ჰქმნილი რაციონალიზმია; გონება აპრიო-

რული იდეებით მთავარი საზომია ჭეშმარიტებისა, ღირებულების და სიკეთის. შორეულ წარსულში — აღმოსავლეთურ ქვეყნებში გონებას ჰქონდა ხასიათი მიხვედრისა, **გრძნობითი ტონისა** და მოთავსებული იყო არა თავში, როგორც ეხლა ფიქრობენ ინტელექტუალისტები და კრიტიცისტები à la Kant, არამედ გულში; საინტერესოა, ლიტერატურული საბუთები რას ამბობენ უძველეს ქვეყანათა სოფლგაგების შესახებ? სად იყო მთავარი სადგური აზრისა და შემეცნების აღმოსავლეთისათვის? მთავარი სადგური აზრისა და გონების, როგორც ვთქვით, იყო გული; მოსე წინასწარმეტყველი ეუბნება ებრაელებს: „ღმერთმა არ მოგცათ თქვენ გული, რომ ჭკუა გქონოდათ“ (მეორე წიგნი, 29, 4). „ადამიანის გული მოიფიქრებს მომავალს თავისას“ (სოლომონი, 16, 1, 9); „შენ რომ იცოდე გააზრებანი გულისა შენისა“, ეუბნება წინასწარმეტყველი დანიელი მეფე ნობოხოდონოსორს (წინასწარ. დანიელი, 2, 30); „გულმა **იცის** ტანჯვა სულისა თავისა“ (სოლომონ, 14); გული მაშასადამე, ებრაელების გაგებით იყო აზრის სადგური, სულის-კი — სისხლი: „მივაპყრობ სახეს ჩემსას მას, ვინც დალევს **სისხლს,** რადგან ხორცის სული **სისხლში** არის; მე თქვენ გინიშნავთ მას სხვერპლისათვის, რომ დაიწმინდოს სული თქვენი, რადგან სისხლი ესე სულს სწმენდს; ვინც დაიჭერს ცხოველს ან ფრინველს, რომლის ჭამა შეიძლება, მან უნდა სისხლი გამოადინოს და დაასხას მიწაზე: **სული ყოველი ხორცისა არის სისხლში** (ლევ, 17, 17, 10—14).

ინდოეთის გაგებითაც გული არის აზრის სადგური. „ცოდნის მზე ამოდის გულის ეთერში“ — სპარსელების თქმით; ჰომეროსის გმირი ნესტორი ამბობს: „ეხლა მე თქვენ გეტყვით, რაც არის ჩემთვის უკეთესი; ფიქრი იმაზე უმჯობესი, რასაც მე გულში ვატარებ, სხვას არავის ექნება“. (სიმღერა IX, 203—205). მხოლოდ პლატონისა და არისტოტელის შემდეგ იწყება ეპოქა რაციონალიზმისა და აზრის ადგილს პოულობენ თავში; საყურადღებოა, რომ ახალი ევროპის რაციონალიზმის დიდი მოძღვარი დეკარტი ამბობს: „თუმცა სული შეერთებულია ხორცთან, მაგრამ არის განსაკუთრებული ადგილები, სადაც სული სხვანაირად მოქმედებს; ჩვეულებრივად ფიქრობენ ეს ადგილი ტვინია, შეიძლება **გული** იყოს“. გენეტიური ფსიქოლოგიისა და თვით შემეცნების ბუნებისათვის მეტად საინტერესოა ასეთი ხასიათის ლიტერატურული საბუთები, საინტერესოა იმით, რომ ყოველგვარი საფუძვლები ინტელექტუალიზმისა ისპობა და ჭეშმარიტების პრობლემა განცდის პრობლემად იქცევა; გონება ჩამოდის ფიზიოლოგიამდე და აზრის შინაარსი იცვლება გაგების და წარმოშობის ფორმასთან ერთად; ბერნარდო ბოლცანო, რომელმაც წამოაყენა პრობლემა ჭეშმარიტებისა, მიუხედავათ იმისა, რომ თეოლოგი იყო, არც ერთხელ არ დაფიქრებულა იმაზე, რასაც ჩვენ ზემოთ ვამბობდით; პირიქით, ებრძოდა კათოლიკებსა და იეზუიტებს იმიტომ, რომ **კათოლიკური რელიგიისათვის** ჩამოეშორება ემოციონალური ხასიათის რიტუალები; სახარების სიტყვები: „მიიღეთ და სჭამეთ ესე არს ხორცი ჩემი, ესე არს სისხლი ჩემი“ თვით ბოლცანოს ცუდად ესმოდა; ჩვენი განმარტების შემდეგ ცხადია, რომ სისხლის დალევით ღვინის სახით სულს სვამდენ, რადგან სული არის სისხლში. ასეთია ისტორიულ-ფსიქოლოგიური გაგება აზრის დამოკიდებულებისა განცდასთან, კუნთებრივ-ნერვიულ ცხოვრებასთან; დღევანდელი ენით რომ ვილაპარაკოთ, ასეთია აზრის დამოკიდებულება ბიოლოგიურ სამყაროსთან.

განა ეს ისტორიული ფსიქოლოგია ლიტერატურული საბუთებით არ ამტკიცებს ჩვენს ძირითად დებულებას, რომ აზრის სადგური და საფუძველი პირვანდულად უნდა ვეძიოთ განცდაში და არა ლოგიურ-ალეთოლოგიურ სქოლასტიკაში? განა ეს უდიდესი ისტორიული საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ სანამდე აზრის **ლოგიური** ბუნება განსახიერდებოდა ისე, როგორც ეს აქვთ წარმოდგენილი კანტს, კოჰენს, ჰუსსერლს, რუსეთში ვედენსკის, მანამდე შემეცნება უშუალოდ დაკავშირებულ იყო გრძნობის ცენტრთან — გულსა და ნერვიულ სისტემასთან; ჩვენ ორგანოტროპიზმის საფუძვლებში კათე-

გორიულად ვამბობთ, რომ აზრი, გონება, იდეა **გამონაჟურია** კუთხებრივი განცდის ორგანოტროპიული შეფარდების, ბიოლოგიურ სამყაროს დაცრეცის და წვალების; **აზრი მატერიის დერივატივია** (გამონაკადი, ნაშედეგარი). მაშასადამე, ჭეშმარიტების პრობლემის გარკვევა მარტო ლოგიკით და მსჯელობით ყოვლად შეუძლებელია: აზრის ბუნება ირკვევა მხოლოდ განცდის არეში. აზრის ანალიზი ძირეულად, პრინციპიულად ყოველთვის განცდამდე მიგვიყვანს; გონების იდეური წყობა გამომდინარეობს ბიოლოგიურ სამყაროდან და შემდეგ ავტომატიურად ისევ განცდას უბრუნდება. გონების ბუნება ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი კანტს და კიდევ უფრო ყალბად აქვთ წარმოდგენილი ნეოკანტიანელებს: გონების სტრუქტურა არ არის უძრავი, მუდამ ღწური, ექზაკტი; გონება შეუძლებელია იყოს უშინაარსო და შინაარსი გონებისა არის ის, რაც შეადგენს **არსებობის საჭიროებისა და კუთხებრივი განცდის საგანს.** ყველა მოვლენა და თვით იდეები კანტმა á priori განსაზღვრა ტრანსცენდენტალური ცნობიერებით, ხოლო ტრანსცენდენტალურ ცნობიერებას მისცა უნივერსალური ხასიათი და ამით თითქო დასძლია ილლიუზიონიზმი; მაგრამ ამ „დაძლევაში“ იყო რაღაც ნომინალური, ფორმალური, **„ლოგიური“** მხოლოდ: თვით რეალური შინაარსი — ყოფა საერთოდ ისე, როგორც მიმდინარეობს — sein überhaupt — მომენტებით და შინაგანი წყობით, გრძეობით და განცდებით, ცვლილებებით და რენესანსებით, ვერ განსახიერდა ტრანსცენდენტალურ ცნობიერებაში; ცნობიერება საერთოდ — Bewusstein überhaupt რჩება შემეცნების იდეალად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მის შინაარსს შეადგენს მხოლოდ ის, რაც მოთავსებულია ყოვლობის კუთხებრივ წყობაში და ამ წყობის ორგანოტროპიულ განცდაში; ცნობიერების სტრუქტურის ფიქსაციას იძლევა კუთხებრივი განცდის ემოციური გამახვილება და შეხვედრა აზრის ფაქტიური წყობისა აზრის გარედ მდებარე საგანთან იმდენად ადეკვატურია, რაოდენად სოციალური საჭიროებით და არსებობის ორგანოტროპიული ინტერესით საგანი **გადმოტანილია** ანთროპომორფიული განცდის არეში. თვით იდეალური არსობრივობა ინტელექტის — essentia mentis გამომდინარეობს გენეტიურად, **ბიოლოგიურად, ფსიქოლოგიურად** ადამიანობის არსობრივობიდან d’essetia hominis: შემეცნების მძლეობა მოქცეულია ანთროპომორფიზმისა და გარემყარობის შეფარდებაში; დაძლევა ამ კორელიაციის შეიძლება მხოლოდ ანტროპომორფიზმისა და ანთროპოლოგიზმის დაძლევით; სანამ ეს დაძლევა არ მომხდარა შემოქმედებითი ევოლიუციის პროცესში, მანამდე **წყობა და კავშირი იდეათა ერთმანეთთან ყოველთვის ისეთი იქნება, როგორიცაა წყობა და კავშირი საგანთა** — ordo et connexio idearum idem est acordo et conexio rerum. ხოლო საგანთა წყობას იძლევა **სოციალური კულტურის ევოლიუცია:** აღმოსავლეთში საგანთა წყობა ისეთი იყო გეოგრაფიულ-ინდუსტრიულ თავისებურობაში, რომ ტირანია გამოსახავდა ამ თავისებურობის შინაგან სიმართლეს, ჭეშმარიტებასა და ლოგიკას; საბერძნეთში საგანთა წყობა ისეთი სოციალური მოდუსისა და გეოგრაფიულ-ინდუსტრიული ხასიათისა იყო, რომ მხოლოდ არისტოკრატიას შეეძლო მისი ლოგიურ-ფსიქოლოგიური მძლეობის განსახიერება; საშუალო საუკუნეებში ევროპიული ფეოდალიზმის სტრუქტურაში რაინდობისა, გულის დამისა და კათოლიკების ფსიქოლოგიური კოორდინატები იდეალურად ეფარდებიან ამქრობის ინდუსტრიას და ფეოდალის სუპერინდივიდუალიზმს. დიდი ქალაქების წარმოშობით და მაშინური კულტურის ამყოლეობით იცრიცება მეტრიკული და წოდებრივი ინდივიდუალიზმი; ამის ფსიქოლოგიური მიღწევა იყო ნაპოლეონის კულტი და წოდებრივ კასტიური უნივერსალიების უარყოფა სქოლასტიკის გადანაშთებით. ნაპოლეონი და მისი კოსმიური რბენა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის სიმბოლოა: საფრანგეთის რევოლიუციამ უარყო საშუალო საუკუნებრივი სული წოდებრივი პრივილეგიებისა და ამით გზა გაეხსნა დიდი ქალაქების ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს, მის ჭეშმარიტებას და ლოგიკას, მის სურვილებსა და იდეებს.

ხოლო ოქტომბრის რევოლიუციამ აღმოსავლეთიდან ისეთივე ომი გამოუცხადა ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს, როგორც ოდესღაც ევროპის დიდ ქალაქებმა გამოუცხადეს ომი ნაპოლეონის სახით საშუალო საუკუნეთა გადანაშთების დამცველ მეფეებს: ოქტომბრის რევოლიუციიდან შეიცვალა სოფლმხედველობის წყობა და ღირებულებათა გადაფასებაში იდეა ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა, სიკეთისა და ბოროტებისა, ადამიანობისა და სიმართლისა ორგანიულად გადაუკავშირდა იმ კლასის კუთხებრივ განცდებს, რომელმაც მოახდინა რევოლიუცია და დაიწყო დირიჟორობა ისტორიის; ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება, სიმართლე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კორელიატებია პროლეტარიატის ინტერესებისა და განცდების.

ამრიგად, სოციალური კულტურის **განცდათა თავისებურობა** შეადგენს იმ დიდ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას, სადაც იდეები და ღირებულებანი სახიერდებიან **ინტერესებისა და საჭიროების** მიხედვით და რომლის გარეშე სამყაროში არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტება თავისთავად, არავითარი ღირებულება... მას შემდეგ, რაც ქვეყნად არსებობს ადამიანი, აზრი ყოველთვის სოციალურ საჭიროებას ემსახურებოდა და სოციალურ საჭიროებიდან გამომდინარეობდა.

ის, რასაც კანტი ეძახის შემეცნების აპრიორულ ფორმებს, არის ძველი სოციალური საჭიროების კოორდინატები და შეადგენენ **გენეტიურ ჩვევათა კომპლექსებს.** მთელი გონების პროცესი შენდება ამ კომპლექსებზე შეწყობითი რეფლექსების სახით. გონების სტრუქტურა **სოციომორფიულია** და რაოდენად სოციომორფიულია, იმდენად ისტორიულია: **ისტორიული დაწყობა ნივთებისა და ფაქტების ამზადებს განცდებს იდეებისა და ზნეობრივი კათეგორიების დასაწყობად;** ასე რომ გონება და მისი გააზრების პროცესი მომდინარეობენ ბიოდინამიურ სფეროდან. გონების სტრუქტურაში აღსანიშნავია ორი მთავარი მხარე — **კონსტრუქტიული და ავტომატიური;** კონსტრუქტიული მხარე გულისხმობს თანდათანობით გაფართოებას გონების შინაგან წყობისას ან როგორც ჩვენ ვეძახით, **სივრცით წარმოსახვას.**

კონსტრუქტიული მხარე ფაქტიურად შეიცვას გონების აწყობას, **ორგანიზაციის** მომენტებს: გონების კონსტრუქციის პროცესი თავისთავად ორ წყაროდან მომდინარეობს: ერთი არის მემკვიდრეობითი ხასიათის რეფლექსები, მეორე ინდივიდუალური განცდები: ინდივიდუალური განცდები ეთვისებიან და ორგანიულად ერთვიან მემკვიდრეობის გენეტიურ განცდებს და ამ განცდებიდან გამომდინარე ინსტინქტებს; რასაც მემკვიდრეობითი თვისებები ჰქმნიან ადამიანთა სამყაროში, იმას ცხოველთა სამყაროში ჰქმნის ჯიშის თვისებები: ბატის კვერცხიდან ახლად გამოჩეკილი ჭუკი უკვე მზად არის ცურვისათვის; მაგრამ ქათმის წიწილი ცურვას ვერ შესძლებს. ცხადია, რომ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში თანშობილი რეფლექსები ისე გარკვევით და მარჯვედ მოქმედებენ, როგორც მემკვიდრეობითი თვისებები და ჩვევანი; ამ მემკვიდრეობით დამზადებულ ჩვევებსა და რეფლექსებში ჩნდება პირველად ადამიანის საქმიანობის და ნიჭის ესა თუ ის ფორმა; ნიჭიერება უსათუოდ გენეტიკური წვრთნის და ჩვევების საქმეა: ინდივიდუალური ნიჭის საფუძველი ყოველთვის უნდა ვეძიოთ წინაპართა პროფესიულ ფსიქოლოგიაში; მათემატიკური, ან მეტყველებითი ნიჭი ადამიანისა წინასწარ მზადდება წინაპრების ჩვევათა კომპლექსებით; ის, რაც ცხოვრების საჭიროებამ ტანჯვით, წვალებით სხეულს შეათვისებია, განცდათა ენგრამების სახით გადადის მოდგმაში და იძლევა ფსიქოლოგიურ საფუძველს ბავშის **სულიერ განხრისა** ამა თუ იმ მიმართულებით: ისეთი დიდი ფორმები შემეცნებისა, როგორიცაა ყურადღება და მეხსიერება მემკვიდრეობის თვისებათა გადაცემის გარეშე გაუგებარი და შეუძლებელია: ყურადღება და მეხსიერება ხომ აპერცეპციის საფუძვლებია და რა იქნებოდა შემეცნების პროცესი, რომ აპერცეპციის შესაძლებლობა არ იყოს ფსიქოლოგიურად.

ასე რომ ინდივიდუალური შემეცნება შესაძლებელია იმიტომ, რომ არსებობს მემკვიდრეობითი ხასიათის თვისებები და ამ თვისებებზე შენდება პროცესი აპერცეპციის შეფარდებით ბიოსფერიულ წყობასთან.

რა სახისაა ზრდა ინდივიდუალური შემეცნებისა? ცხოველისა და ადამიანის ცხოვრება დაბადებიდან შეიცავს ერთგვარ რთულ პროცესს გაღიზიანებათა და რეაქციებისა: ყოველგვარ გაღიზიანებას სხეულისას მოსდევს საპასუხო რეაქცია; ახლად დაბადებული ბავშის საპასუხო რეაქცია არის მემკვიდრეობითი თვისებისა და გენეტიკური მიმართებისა; რასაც ბეხტერევი და პავლოვი მარტივ მემკვიდრეობით რეფლექსებს ეძახიან, ის თავისთავად წარმოადგენს ურთულეს შედეგს მრავალ მოდგმათა **ორგანოტროპიულ** განცდებისას. მემკვიდრეობით რეფლექსებს ეძახიან მარტივ რეფლექსებს; ინდივიდუალური შეწყობის რეფლექსები შენდებიან ფსიქოლოგიურად ამ „მარტივ“ რეფლექსებზე და ვითარდებიან იმ მიმართებით, რა მიმართებით მიჰყავს ცხოვრებას სხეული: ბავში წოვს ძუძუს და თითს ერთნაირად; ეს მემკვიდრეობითი აწყობილი რეფლექსია; დედა რომ განაგრძობს ძუძუს მიცემას, ბავშის შეგრძნობაში იქმნება შეფარდება ძუძუს წოვასთან და დედის დანახვაც აწყნარებს; დროს განმავლობაში შეფარდების არე ფართოვდება და ბავში ხშირად ცნობილობს დედის ფეხის ხმასაც; ამრიგად, ცნობიერების არე თანდათანობით, სისტემატიურად ვითარდება განუწყვეტლივ შეფარდებაში რომელიმე საგანთან, ადამიანთან, ან სხვა რაიმესთან: ცნობიერების განვითარება ფაქტიურად ორგანიზაციული პროცესია და საჭიროებს ნორმალური მიმდინარეობისათვის კარგად აწყობილ სოციალურ არეს; სულისა და გონების აღზრდისათვის უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს გარემოს აწყობას: რა სახისაა გარემოს წყობა, ბოლოს და ბოლოს ისეთი სახის იქნება წყობა სულისა და გონების; ამაშია ორგანოტროპიზმის საფუძველი და პრინციპი: ცნობიერებისა და გონების სტრუქტურა ორგანოტროპიზმის თვალთახედვით ეწყობა მხოლოდ ჩვევათა და შეფარდეაბთა კომპლექსებით; არავითარი აპრიორული იდეები არავითარი კათეგორიები, არავითარი დამოუკიდებელი ბუნება სულიერ და გონებრივ ცხოვრებას არ აქვს: სული არის ნერვიული სისტემის ფუნქცია და გონება ჩვევათა კომპლექსებიდან მომდინარე შეწყობა გარემოსთან, ბიოსფერულ არესთან.

როგორია პროცესიული დენა სხეულის შეწყობისა ბიოსფეროსთან? პროტოპლაზმის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ის, რომ ყოველი გაღიზიანების და ცვლილების კვალი მას შეუძლია განაახლოს; განახლებისათვის საჭირო არ არის პირვანდელი სიძლიერე გაღიზიანების, საკმარისია გაცილებით უფრო სუსტი გაღიზიანება და საპასუხო რეაქცია იწყება. ერთხელ გაწყობილი ბიოქიმიური პროცესი ადვილად მოძრაობს განმეორებით, თითქო კვლავყოფდება; ის ცვლილება სხეულში, რომელიც დარჩა ბიოქიმიური პროცესის დროს როგორც შედეგები პირვანდელი გაღიზიანებისა, არის ბიოქიმიური ნაკვალევი. ფსიქოლოგიაში ამ ნაკვალევს ეძახიან **მეხსიერებას,** მაგრამ მეხსიერება არ არის ფოტოგრაფია დანახულის ან გაგონილის: ის ორგანიულ-ქიმიური ცვლილების შედეგია და შეადგენს ერთგვარ საწყობს ნერვიულ-კუნთებრივ ჩვევათა კოორდინატებისას. როდესაც ჩვენ გვაქვს გარკვეული წყობა ჩვევათა გარკვეულ პირობებში, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ცნობიერების არე **ფართოვდება, იზრდება** კორელიატიურად ჩვევათა გამრავლებისა. ჩვევათა პროცესის ევოლიუცია მექანიზაციის გზით თანდათანობით გარკვეულ სახეს იძლევა მოძრაობისა, სმენისა, მხედველობისა; მთელი შინაგანი წყობა ინდივიდუალობისა, მისი სხეულისა და გონების, მისი გააზრებისა და მეხსიერების, მისი აპერცეპციებისა და იდეების მხოლოდ ჩვევათა პროცესიდან მომდინარეობს.

ავიღოთ მაგალითისათვის წერის პროცესი: ჩვენ ვამბობთ „მშვენიერი წერა იცისო“. განა წერის ცოდნა მექანიზაციის პროცესი არ არის? გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ჩვენ

პირველად ვიწყებდით წერას; რაოდენი კალამი გავტეხეთ, როგორ მაგრად გვეკავა კალმის ტარი, როგორ გვქონდა დაჭინთული კუნთები არა მარტო ხელისა, არამედ ფეხისაც? ხშირად ენაც გვქონდა გამოტანილი ნიშნად განსაკუთრებული მონდომებისა; მაგრამ თანდათანობით ინახებოდა ჩვევათა ენგრამები სხეულში, ხდებოდა ამ ენგრამების გადაადგილება ხელის თითებში და დღეს წერითი პროცესი ჩვენთვის არა მარტო ინტელექტუალური პროცესია, არამედ ერთგვარად მექანიკურიც. საერთოდ, შემეცნებისა და ცნობიერების პროცესი არ არის მარტო **ინტელექტიური** პროცესი; გონების გააზრება მხოლოდ განცდას მიყვება და განცდის შემდეგ გონების **გააზრებითი პროცესი** ავტომატიურ პროცესში გადადის: როდესაც ჩვენ პირველად დავდივართ რომელიმე ქალაქის ქუჩებში, გვესაჭიროება ხანგრძლივი გააზრება, რომ ქუჩები არ შეგვეშალოს; მაგრამ ჩვევათა ენგრამების დაგროების შემდეგ ჩვენ ხშირად ავტომატიურად მივდივართ და მოვდივართ; არის მაგალითები ძალიან ხშირი, როდესაც ადამიანი გაივლის ქუჩების მთელს რიგს ავტომატიურად, ისე რომ გააზრება (ðàçñóäî ê) არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს სხეულის მოძრაობაში და სხეული ავტომატიურად სწორად დადის; გავიხსენოთ, როდესაც ჩვენ ავდივართ კიბეზე: არის მომენტები, ჩვენ არ ვანგარიშობთ საფეხურებს, მაგრამ ფეხებს მაინც არ ეშლებათ; დაგროვილი ენგრამები იძლევიან კუნთებრივ შემეცნებას მოძარობისას. ამრიგად, შემეცნების პროცესი უაღრესად ორგანიული ხასიათისაა: ენგრამების დაგროვება ჩვევათა პროცესში ჰქმნის გონების სტრუქტურას და გააზრებას; ხოლო გარკვეული ფორმა ჩვენი გონებისა ისევ ჩამოდის ავტომატიზმისა და ქვეცნობიერების არეში; გააზრების პროცესი არის მიმოქცევის პროცესი; განცდითი ჩვევა გადადის გააზრების მექანიზაციის გზით და გააზრება გადადის ქვეცნობიერებაში ავტომატიურად. სტრუქტურა გონების არ არის სტატიური: იგი ქცევადი და ცვალებადია განცდასთან ამყოლეობით.

რა აზრი აქვს ამის შემდეგ კანტის ტრანსცენდენტალურ აპერცეპციას, მის აპრიორულ ფორმებს? ან რაოდენად სქოლასტიურია ყოველგვარი ლოგიურ-ალეთოლოგიური წვალება გონებისა შედარებით ჩვენ გარკვეულ სისტემასთან, რომელიც აშენებულია ბიოლოგიისა და რეფლექსოლოგიის საფუძვლებზე და რომელსაც წმინდა მატერიალისტური ფილოსოფიის ხასიათი აქვს.

წმინდა გონება თავის იდეებით და კათეგორიებით ჩვენ ჩამოგვყავს ბიოლოგიურ სამყაროში — ორგანოტროპიულ ჩვევათა არეში: ჩვევათა აწყობა გააზრებითი პროცესია, გონება დამთავრებული მოდუსია ამ პროცესისა, რომლის შემდეგ იწყება ავტომატიზაცია და ქვეყნიერებაში ჩამოსვლა.

ამრიგად, შემეცნების პროცესი ქვეცნობიერების ერთ ფორმათაგანია: ცხოვრება საერთოდ ქვეცნობიერებითი პროცესია, აზრი მხოლოდ ერთი გაალებაა დაუსრულებლობის ბნელ ღამეში მატერიის შინაგან წვისა.

შემეცნებისა და გააზრების ფორმები, ოდესღაც ქვეცნობიერების სფეროდან განცდათა ენგრამების სახით ამოწყობილნი, ისევ ბრუნდებიან ქვეცნობიერების არეში და იღებენ სექსუალური პოტენციის ხასიათს: ჩვევათა ენგრამები წინად რომ თანდათანობით იკრიბებოდენ, ჯგუფდებოდენ **არსებობის საჭიროებათა** მიხედვით, ეხლა ავტომატიური დეგრადაციის გზით, ცხოვრების ბიოსფერიული და კუთხებრივი განცდებით დაძენძილნი, ფსიქონევროტიული საფეხურებით გადადიან ქვეცნობიერების სექსუალურ ფორმაში; ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო მოძრაობდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც ერთგვარი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენთან, ყველაფერი, რაც განცდათა ენგრამების სახით ინახებოდა და ვითარდებოდა ჩვენში, შემდეგ ეწყობა და ილესება მემკვიდრეობით მიღებულ თვისებებში, როგორც ეროტიული გრძნობა. ინტელექტუალურ სამყაროს **„გარდაცვალება“** თავდება გენეტიური ეროსით: რაც ინდივიდუალურად გონებისა და სულის

სახით არსებობს, ის მემკვიდრეობით სექსუალური გრძნობის ფორმაში ინახება; ცნობილია ლიტერატურაში ფაქტები, გონებისა და ეროტიულ განცდასთან ერთგვარი შეფარდების მაჩვენებელი; ძლიერ ეროტიულ განცდასთან ჩვენ თითქმის ყოველთვის გვაქვს გონებისა და შემოქმედებითი წარმოსახვის რთული სტრუქტურა: სქესობრივი გრძნობის აქტიური ფორმა ფაქტიურად არის გონების დატყვევება; გონების აქტიური ფორმა ყოველთვის სექსუალურ წყაროდან იღებს ენერგიას; ინტელექტი და ეროსი ორი დიდი პოლიუსია ბიოლოგიური ენერგიის შემოქმედებითი მიმოქცევისა; ხან ინტელექტია თვლემარე ფორმაში, ხან ეროსი. ეროტიული წვა იძლევა ინტელექტიურ ასხივოსნებას; ინტელექტიური დაგუბება ნერვიული **წარტყვენის** სახით ეროტიულ განცდაში ილეკება; სიყვარული უდიდესი და უმშვენიერესი ფორმაა შემეცნებისა და იქ, სადაც სიყვარული არ არის, შემეცნების სურვილიც ჰქრება მალე; იქ არის მხოლოდ სქოლასტიკა და სიტყვათა უშინაარსო ფარიკაობა ცრუმეცნიერებისა და ცრუაზროვნების სახით: ყველა ფორმა სიყვარულის სხვადასხვა მიმართებით სექსუალობიდან გამომდინარეობს, ხოლო თვით სექსუალობა არის პლანტარული ყოფის მემკვიდრეობით განცდათა დალეკილი სული; სიყვარული ცხოველთა სამყაროში ინსტინქტის სახით ინახავს მემკვიდრეობის სულს, ადამიანში იგი ცხადი დემონსტრაციაა განცდათა და იდეათა გენეტიური მიმოქცევისა; დღემდე საიდუმლოებით მოცული, გემოვნებისა, მოწონებისა და სქესის ობიექტის შერჩევის საკითხი ნათელი და გარკვეული იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში ორგანოტროპიულ **განცდათა ენგრამების** დაგროვებას წინაპართა სულის ევოლიუციაში: ადამიანს ქვეყნად ისეთი სახე მოსწონს, რომელიც ატარებს **თვისებებს** მის წინაპართა **კუთხებრივი და კლასობრივ-პროფესიული ფსიხოლოგიის თავისებურობისას:** სილამაზის იდეაში ასხივოსნებულია კუთხებრივ ჩვევათა გამონაკადი; „ლამაზი სახე“ იმდენადაა ლამაზი, რამდენადაც იგი წარმოადგენს მსგავსებას, როგორც ორგანიული წყობა, წინაპართა გარემოს ათვისებისა და კუთხებრივი ჩვევის სახეობისას.

ამიტომ მშვენიერების იდეის განაპირება საგნობრივობიდან პლატონიზმისა და კანტის ფილოსოფიის სახით შეიცავს შინაგან სიყალბეს: იდეა სილამაზისა, ისე როგორც ჭეშმარიტების იდეა, საგანთა წყობით ითარგება; ყველა ეპოქას ისტორიაში აქვს ისეთი იდეები სილამაზისა და ჭეშმარიტების, როგორც საგანთა წყობა; სილამაზის და ჭეშმარიტების იდეა შეიცავს არა ნეგატივს ან პირველ სახეს საგნისას, არამედ საგნის საგანთან შეფარდების **ანთროპომორფიულ** ასახვას; ხოლო საგნის საგანთან შეფარდებას იწვევენ ქვეყნად არსებობის **საჭიროება** და **ინტერესი.** ამრიგად, იდეა სახიერდება კორელიაციის საშუალებით და აზრი წარმოადგენს საგანთა შორის სხეულის წვალებათა **ლოგარითმს.**

ჭეშმარიტებისა და მშვენიერების იდეა გულისხმობს ადამიანის კულტურას: უკულტურო ადამიანი ისეთია, როგორც გაუთლელი ხე; კულტურა ესაჭიროება ადამიანობის ყველა მხარეს; ტანი გამოსახულებაა სულისა, ტანის კულტურასთან ვითარდება სულის სხვადასხვა ფორმა. მთელი რიგი ინდივიდუალური დეფექტებისა — ყალბ მსჯელობათა, ცუდი ეფექტებისა, გამომდინარეობს უსათუოდ იქიდან, რომ ადამიანის სხეული მოკლებულია პროფესიულ წვრთნას, გენეტიურ კულტურას: ადამიანის „მე“ ყველა თავის ქცევაში იძლევა მთელს სახიერებას წინაპართა კულტურულ განცდებისას; ადამიანის ხასიათი აწყობილია სოციალურ არეში და გონების მდიდარი წყობა გულისხმობს ყოველთვის საერთოდ ინდივიდუალობის მდიდარ კულტურას; ხოლო ინდივიდუალობის კულტურა საჭიროებს გარემოს სისტემატიურ და სწორხაზობრივ ევოლიუციას: იმ ეპოქებში, როდესაც ქაოტიურია სოციალური წყობა, ქაოტიურია ადამიანის სული და გონებაც; გადატეხის პერიოდი ისტორიაში ყოველთვის ტრაგედიული განცდების პერიოდია; სოციალური არე რეგულიატორია ადამიანის სულისა და გონების, ნებისყოფისა და განცდების, ქცე-

ვისა და ხასიათის, სურვილებისა და იდეალების; რა სახისაა გააზრება ადამიანისა? რას შეიცავს გონება? გააზრება გონების მხოლოდ ერთი პროცესთაგანია და ეს პროცესი შეიცავს მოქმედებას შედარებისა საგანთა საერთო თვისების გამონახვისათვის; მაგრამ ვინ ხელმძღვანელობს გააზრების პროცესში საგანთა საერთო თვისებების გამონახვას? რატომ ასეთი მიმართულებით მიდის გააზრება და არა სხვა გზით? რა მიზეზია, რომ კულტურის სხვადასხვა ეპოქაში გააზრებითი პროცესი სხვადასხვა მიმართულებას იღებს? როდესაც ქვეყანა ირღვევა, აზრისა და მორალის ნორმები იშლებიან, ტრადიციით გამტკიცებული სინიდისი და პატიოსნება სამარადჟამოდ იძირებიან დავიწყების ხანაში, სადღა არის მაშინ ჭეშმარიტებისა და მშვენიერების იდეა, რომელსაც ქადაგებენ ყველა დროის მეფეები, ეპისკოპოსები, ლოგიკის კომენტატორები და კათედრათა მაძიებელი დოცენტები?

ბოლოს და ბოლოს მთელი ჩვენი კულტურა განა სცილდება თავის გამოსახულებებში ანთროპომორფიზმის საზღვარს? განა უდიდესი ფორმა გონებრივი წარმოსახვისა შეადგენს საზომს სამყაროისას? განა ჩვენი არსებობა და არსებობა, თუ გნებავთ მთელი ჩვენი პლანეტისა მისი გეოლოგიური ეპოქებით, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებით, ადამიანთა დაღუპული იმედებით არ წარმოადგენს საცოდავ შემთხვევას უსაზღვრობაზე მოსრიალე სამყაროთა ისტორიაში? რას ნიშნავს ლოგიკა, სილოგიზმები და სასაცილო ტრაბახი უკულტურო და უნიჭო კომენტატორების სამყაროთა უთვალავ სიმრავლეს წინაშე? რა არის ის, რასაც მეშჩანური გულუბრყვილობით ეძახიან ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, კულტურასა და მეცნიერებას? — მხოლოდ დროულ-სივრცეული **ფორმულა,** აწყობილი ცივილიზაციის ყველა ხერხით სოციალურ **საჭიროებათა არეში.** პირვანდელი ფსიქოლოგიური ფორმა ცივილიზაციის იყო ფეტიშიზმი: სული ადამიანისა ფეტიშიზმის ეპოქებში იყო დაკავშირებული ცალკეულ მოვლენასთან; ამ პერიოდის სული ვერ არის სავსებით გარკვეული კუთხებრივ ყოფაში; ბუნების ძალთა წარმოებითი ორგანიზაცია ადამიანს ვერ მოუხერხებია და ამიტომ სული მისი თითოეული მოვლენის წინაშე თავისებურ გაოცებაშია. ფეტიშის კულტი გრძელდება ყველა ხალხის კულტურის ევოლიუციაში მანამდე, სანამ ადამიანი სოციალურ საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით გადააკავშირებს ერთმანეთთან ბუნების მოვლენებს; ხოლო, როდესაც ადამიანი გაეცნობა საკმაოდ გარემოს, მის კუთხებრივ თავისებურობისა, და გეოგრაფიულ-ეკონომიურ ფორმებს, ადამიანის წარმოდგენაში ეწყობა ერთგვარი კათეგორიული შეხედულება იმის შესახებ, თუ რა ხდება გარშემო და რა დამოკიდებულება აქვს მას, პირადად როგორც ადამიანს ამ გარემოსთან. სულიერი ცხოვრება ჩვევათა ევოლიუციაში ეგუება ბუნების მოვლენების კუთხებრივ წყობას და ადამიანს ეჩვენება, რომ არსებობის აზრი, სამყაროს შინაგანი სიმართლე განსახიერებულია იმაში, რაც მის გარშემო ხდება: იწყება ადამიანის წარმოდგენაში სიმბოლიზაცია ღვთაებრივობისა, სიმართლისა. ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა, სიკეთისა და ბოროტებისა ამ ცხოველთა და მცენარეთა თვისებებით, რომელთანაც დაკავშირებულია არსებობისათვის ბრძოლის პროცესში ადამიანი; მცენარე, ცხოველი, ან გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც წარმოადგენს წყაროს არსებობისას ან რომელსაც აქვს რაიმე დიდი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანს ეჩვენება როგორც ღვთაება და მშვენიერება, როგორც სიკეთე, ყოვლობისა და უსაზღვროების გამომსახველი. აქედან გამომდინარეობს არამც თუ მორალური კულტი და პრინციპები, არამედ მეტყველებისა და აზრის ფორმებიც; ეგვიპტელისათვის ნილოსის ჭალები იყო განსახიერება სიკეთისა, ხარი აპისი — აზრი ცხოვრების, რადგან ეგვიპტელის არსებობა მთლიანად მიმდინარეობდა მიწის დამუშავებაში; ავსტრალიისა და დიდი ოკეანის კუნძულებზე მობინადრე ტომები თავიანთ გვარებს გამოსახავენ ან იმ თევზის სახელით, რომლითაც განსა-

კუთრებით იკვებებიან, ან მცენარის, რომელსაც ხმარობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა საგნებზე უფრო ხშირად. ანთროპოლოგია ამტკიცებს, რომ ხარი, ლომი, არწივი, გველი გამოსახავენ ადამიანის აზროვნებისა და მორალის თვისებებს იმდენად, რაოდენად ეს ცხოველები ხვდებიან ადამიანს არსებობისათვის ბრძოლის კუთხებრივ პირობებში: სოციალურ საჭიროებიდან გამომდინარეობს ამეტყველებისა და გააზრების ყველა ფორმა, იდეისა და სიკეთის ყველა სახე; სიმბოლიზაციას მოითხოვს საჭიროების ესთეტიური განსახეობის სურვილი, მაგრამ ხერხი და შემოქმედებითი წარმოსახვა ადამიანისა ტრაგედიულად მოქცეულია ზოომორფიულ და ანთროპომორფიულ კუთხეში. ამიტომ არის, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ყველა სახალხო ეპოქის შინაარსს წარმოადგენს ადამიანის ურთიერთობა ცხოველთა სამყაროსთან; არა მარტო ლიტერატურა, მეცნიერებაც დღემდე შებოჭილია **ზოომორფიული ტოტემიზმის ჩვევათა აზღუდებით;** განყენებული მეცნიერება ასტრონომია თავის მათემატიკურ კოორდინატებს და ფორმულებს აშენებს ზოომორფიულ სიმბოლიკაზე; კოსმიურ იდეათა სახეებს მეცნიერება დღესაც ტოტემისტურად გამოსახავს: კირჩხიბის ტროპიკი (òðî ï èê ðàêà), თხის რქის ტროპიკი (òðî ï èê êî çåðî ãà), დიდი დათვის ხომლი (áî ëüø àÿ ì åäâåäèöà), პატარა დათვის ხომლი (ì àëàÿ ì åäâåäèöà) და სხვა.

ირანის უძველეს გადმოცემებით, პირველი ადამიანები იყვნენ მცენარეები, ისინი გავდენ ხეებს; აქედან წარმოიშვა კულტი მცენარეთა: ქართულის უძველესი ფორმა დარჩენილი მეგრულ თქმაში — ჭყონი — ხე-მუხა (სპარსული) — ირანიდან გადმოსული ცნებაა. ძველი ბერძნებიც ამბობდენ: ადამიანები ქვებიდან წარმოიშვენო; ცა არიელ ტომთა გადმოცემებით დასახლებული იყო ცხოველებით; მრავალი ვარსკვლავი და პლანეტა დღესაც ატარებს დედამიწის ცხოველთა და მცენარეთა სახელებს, ხოლო ეს სახელები, როგორც უკვე ვამბობდით, წარმოიშვენ სოციალურ საჭიროებათა ამყოლეობით; ამრიგად, ანთროპომორფიზმის ევოლიუცია შეიცავს მთავარ პერიოდში **ანთროპოლოგიზმის ზოომორფიულ სახეს:** წარმოების ნატურალური ფორმა აკავშირებდა ადამიანს ცხოველებთან; მანქანური კულტურის არეში განცდა ადამიანისა აწყობს სხვა სახის იდეებსა და იდეალებს.

ცხოვრების მოუსვენარი ქარიშხალი, გამოსახული არსებობისათვის ბრძოლაში, თავისებურად არღვევს და თავისებურად მიათრევს ყოფის სხვადასხვა ფორმას, არსთა და მოვლენათა დაჯგუფებას, ცვლილებათა მსხვრევას, დასაფლავებისა და აღდგენის მომენტებს. ყოველი წუთი არსებობის წინააღმდეგობის დაძლევაა ახალ წინააღმდეგობაში გადასასვლელად; ინტელექტის ფუნქცია არის განსაკუთრებით სტატიური ხასიათისა: წინააღმდეგობიდან წინააღმდეგობაში გადასვლის **პროცესი** შეუმჩნეველი რჩება; გონება ამჩნევს არა **ცვლილებებს** და მოქმედებებს, არამედ მხოლოდ შეფარდებას საგნებისას და ამ შეფარდების ისეთ მომენტს, სადაც **უძრაობაა** განსახიერებული: ავიღოთ რომელიმე სახლი ან მაგიდა, რომელიც დგას გარკვეულ ადგილას: სახლი ყოველთვის ორმაგ არსებობაშია: ერთი ფორმა არსებობის ყოველთვის ისეთია, როგორც ესახება გონებას ჩვენს, მეორეს ჩვენი გონება და მისი ფანჯრები — გარეგან გრძნობათა ორგანოები სრულებით ვერ ამჩნევენ; ეს მეორე ფორმა არის თვით საგანში მიმდინარე **დინამიური პროცესი** — პროცესი შინაგან ცვლილებათა, რომელნიც ერთ მშვენიერ დროს თავდება კატასტროფით: მაგიდა, რომელიც მაგრად დგას ეხლა, ვთქვათ ათასი წლის შემდეგ დაიშლება და წაიქცევა; თვით წაქცევა, რომელსაც ამჩნევს ჩვენი ინტელექტი, ფაქტიურად არის შედეგი შინაგან ცვლილებათა, რომელთაც ვერ ამჩნევს გონება, მისი ლოგიურ-სტატიური წყობა. აქაც ჩვენ გვაქვს მეტად თვალსაჩინო მაგალითი საგანთა და არსთა მიმოქცევის პროცესისა. ამ მიმოქცევის პროცესის დინამიური მიმდინარეობა იმ ქვეცნობიერების ადეკვატია, სადაც მცენარეულ-ცხოველური ფორმა გონებისა — ინსტინქტი და ანთროპომორფიული ლოგოსი იცვლიან

ადგილებს: ლოგოსი ავტომატიურად — ჩვევათა გზით გადადის ქვეცნობიერებაში, ქვეცნობიერება ორგანოკუნთებრივ წვალებათა ენგრამებით ისევ ჩვევათა პროცესში გადმოდის და სახიერდება ინტელექტის ფორმით; ინსტინქტი ეფარდება ცხოვრების დინამიურ პროცესს, ინტელექტი ამ დინამიური პროცესის მხოლოდ **დამყარების უძრავ** მომენტს ხედავს; არსებობა თავისთავად დენა და **პროცესია;** გონება მხოლოდ საგნობრივ წყობას ამჩნევს და ისიც იმდენად, რაოდენად საგნობრივობის თვისებებს ააშკარავებს **საჭიროება** და **ინტერესი** ბიოსოციალური მყარობისა.

ბიოლოგიური **არსებობა** და სოციალური არე ზღუდავენ მატერიულ-ფსიქიური მიმოქცევის პროცესს. წარსულის გენეტიური ენერგია კუნთებისა და სულიერ მოვლენათა სახით ინახავენ არსებობის შესაძლებლობას — ტანისა და იდეის განსახიერების პირობებს; ეს პირობები მომდინარე წარსულის ბიოდინამიურ მღელვარებიდან, დაწყობილი შერჩევის აუცილებლობით მრავალ წყობათა დაშლის პროცესში, შეადგენენ სინთეტიურ ბიოსფეროს მატერიული არსებობის ყოველი ფორმისა და გონების ყოველი გააზრებისა; ამ პირობებს აქვთ აპრიორული, მაგრამ **არა ტრანსცენდენტური** ხასიათი: ყველაფერი აპრიორული მხოლოდ გენეტიურია და რაოდენად გენეტიურია, იმდენად კუთხებრივი და ბიოსფერიულია.

ცნების ბუნებას იძლევა საჭიროებით გამოწვეული განცდა და არც ერთი ლოგიური დებულება არ არის ისეთი რამ, რასაც ჰქონდეს ღირებულება ყველა პირობებისათვის ერთნაირი: განა ცნება „ადამიანი“ ერთიდაიგივე შინაგან ტევას შეიცავდა საბერძნეთსა და საშუალო საუკუნეებში, ლუი მეთოთხმეტეს სასახლესა და საფრანგეთის რევოლიუციის დროს? განა ცნება „სიკვდილი“ ერთი და იგივე შინაგანი ტევისაა ბრძოლის ველზე და საკუთარი ოთახის მყუდროებაში? განა ცნება „სიყვარული“ ტრუბადურების აპერცეპციაში ისეთი მოცულობისა და სტრუქტურის იყო, როგორიცაა ჩვენი დროის ცნება „სიყვარული“, დაცრეცილი ბიოლოგიზმით და ბაქტერიოლოგიზმით? განა საშუალო საუკუნის ორგანიული განცდის ეროტიული აორთქლება რომანტიული მშვენიერების ბურუსით არ ეხვეოდა ცნებას „სიყვარული“, რომლის ობიექტს წარმოადგენდა ხშირად რომელიმე ჩაგოდრებული ალდონსა ჭუჭყიანი საცვლებით? განა ბიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის კოშმარული წარმოსახვანი არ ცრეცენ დღეს ჩვენი სულის სიყვარულის იდეას? გონება არ არის მყუდროებაში და კათეგორიებს, უძრავად და მარადიულად მიჩნეულს, ათამაშებს და აწვალებს თავისებურად ყოველ კუთხეში არსებობის მოუსვენარი ქარიშხალი — **საგანთა და მოვლენათა წნევა;** ორი დიდი წყარო ცნობიერებისა — გრძნობიერება და გააზრება გამომდინარეობს გენეტიურ განცდათა ოკეანიდან მხოლოდ იმდენად, რაოდენად საჭიროება და ინტერესი მიიმართებიან განსაკუთრებული გზით; ფორმალური პირობა ემპირიული ცნობიერებისა ყოველთვის ემყარება იმას, რასაც იძლევა გენეტიურ ჩვევათა კომპლექსი შეწყობითი რეფლექსების სახით. ამიტომ რაც აპრიორულია სულისა, მატერიისა და გააზრების პროცესში, ის ყოველთვის მოქცეულია არსებობის საჭიროებისა და ინტერესის აუცილებლობით მიმდინარეობაში.

არც გრძნობიერების, არც გააზრების და არც გონების წმინდა საჭიროებისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებელი სახე არ არსებობს. ყოველი ცნება წარმოიშობა პირვანდულად არსებობის კონკრეტულ პირობებში და შემდეგ, ავიწყდებათ რა პირვანდელი მიზეზი ცნების წარმოშობისა, ადამიანები იწყებენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ აზრისა და სულის ფორმები შეადგენენ **წმინდა ხილვის** ან ჭვრეტის ფორმებს, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ შეგრძნობის ემპირიულ, რეალურ მიზეზებთან.

კონსტანტინე კაპანელი

პლატონი.

კრიტონი

(დიალოგი)

1

სო. რად მოსულხარ, კრიტონ, ეგრე ადრე? თუ არც ისე ადრეა?
კრ. რასაკვირველია, ადრეა.
სო. მაინც რა დროა?
კრ. განთიადია[1].
სო. მიკვირს, როგორ დაითანხმე საპატიმროს დარაჯი, რომ კარი გაეღო შენთვის.
კრ. ის ხომ ჩემი მეგობარია, სოკრატ, მე აქ ხშირად მოვდივარ ხოლმე და გარდა ამისა მომადლიერებულიცა მყავს.
სო. ეს არის ეხლა მოხვედი, თუ დიდი ხანია?
კრ. კარგა ხანია.
სო. მერე მაშინვე რად არ გამაღვიძე, რომ დამჯდარხარ დადუმებული?
კრ. არა, სოკრატ, ვფიცავ ზევსს, თვით მეც არ ვისურვებდი (და მაშასადამე არც შენ გისურვებ) ესოდენ ტანჯვასა და უძილობას; მით უფრო განცვიფრებული გიცქერი კარგა ხანია, ეგრე ტკბილად რომ გძინავს, და განზრახ არ გაგაღვიძე, რომ მეტის სიამით განევლო შენთვის დროს. მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში შენი ხასიათისათვის უწინაც ხშირად გადიდებდი, მაგრამ განსაკუთრებით გადიდებ ეხლა, რაც ეს უბედურება თავს დაგატყდა: როგორ ადვილად და მშვიდათ ითმენ.
სო. განა უმართებულო არ იქნებოდა, კრიტონ, ჩემისთანა მოხუცი ბედს ემდუროდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა მოკვდეს.
კრ. სხვებსაც, სოკრატ, შენისთანა მოხუცებს ემართებათ ასეთი ხიფათი, მაგრამ ხნიერება სრულიად არ უშლის მათ ბედს ემდურონ.
სო. ესეც მოხდება, მაგრამ ასე ადრე მაინც რამ მოგიყვანა?
კრ. ცუდი ამბავი მომაქვს, სოკრატ, — შენთვის კი არა, არამედ, როგორც მე მგონია, ყველა შენი მეგობრისათვის, — ცუდი და სამწუხარო ამბავი და ამის ატანა, ვფიქრობ, ყველაზედ უფრო მე მიმძიმს.
სო. რა ამბავია. ხომ არ დაბრუნებულა დელოსიდგან ხომალდი, რომლის მოსვლისთანავე მე უნდა მოვკვდე?[2]
კრ. არა, არ დაბრუნებულა, მაგრამ ვფიქრობ დღეს უნდა მოვიდეს, როგორც იტყობინებიან სუნიონიდგან[3] მოსულნი, რომელთაც იქ დაუტოვებიათ იგი. აქედან ცხადია, რომ ხომალდი დღეს დაბრუნდება და, მაშასადამე, ხვალ, სოკრატ, ბოლო უნდა მოუღო შენს სიცოცხლეს.

2

სო. მშვიდობა მის მოსვლას, კრიტონ! თუ ღმერთებს ეგრე ჰნებავსთ, დე ეგრე იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის დღეს არ დაბრუნდება.
კრ. რატომ გგონია?
სო. აი, გითხრა. მე ხომ მეორე დღეს უნდა მოვკვდე ხომალდი რომ დაბრუნდება?
კრ. ეგრე ამბობენ ხელისუფალნი.[4]

სო. მაშ, მე ვფიქრობ, რომ ხომალდი ხვალ მოვა და არა დღეს. ამას მაფიქრებინებს ერთი სიზმარი, რომელიც დიდი ხანი არ არის ვნახე ამ ღამით, და მგონია, კარგი ჰქენი, რომ უდროო დროს არ გამაღვიძე.

კრ. რა სიზმარი იყო?

სო. მესიზმრა, თითქო მოვიდა ჩემთან ვიღაც ქალი, მშვენიერი, თვალადი, თეთრად მოსილი, დამიძახა და მითხრა: „სოკრატ, **ამიერითგან მესამე დღესა ნაყოფიერსა ფთიასა მოხვალ“.**[5]

კრ. უცნაური სიზმარია, სოკრატ.

სო. ყოველ შემთხვევაში, კრიტონ, სულ ადვილი ასახსნელი მგონია.

3

კრ. ოღონდაც ძალიან ადვილი ასახსნელია, მაგრამ, საკვირველო სოკრატ, ეხლა მაინც გამიგონე და თავს უშველე, ვინაიდგან შენ რომ მოკვდე, ჩემთვის ეს განა ერთი უბედურება იქნება. გარდა იმისა, რომ დავჰკარგავ ისეთს მეგობარს, როგორსაც ვერაოდეს ველარ შევიძენ, ბევრი, ვინც მე და შენ კარგად ვერ გვიცნობს, იფიქრებს, რომ მე შემეძლო შენი ხსნა, თუ მოვისურვებდი ფულის დახარჯვას, მაგრამ არ ვიზრუნე, და განა იმაზედ უფრო საძრახი რამე იქნება, როცა ხმა გავარდება, რომ ჩვენ ფული მეგობრებს გვირჩევნია. ხალხი ხომ არ დაიჯერებს, რომ თვით შენ არ მოისურვე აქედგან გასვლა, თუმცა ჩვენ ძლიერ ვცდილობდით.

სო. მერე ჩვენ, საყვარელო კრიტონ, ეგრე რად უნდა გვედარდებოდეს, თუ რას ჰფიქრობს უმრავლესობა. რიგიანი ხალხი, ვინც უფრო ღირსია ყურადღებისა, იტყვის — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხდაო.

კრ. მაგრამ ხომ ხედავ, სოკრატ, რომ უმრავლესობის აზრსაც აუცილებლივ უნდა ვათხოვოთ ხოლმე ყური. თვით აწინდელი მდგომარეობა განა ნათლად არ გვიჩვენებს, რომ უმრავლესობას შეუძლია მცირე რამ ხიფათი კი არა მხოლოდ, არამედ უდიდესი განსაცდელიც შეამთხვიოს იმას, ვინც მის თვალში ცილ-დაწამებულია.

სო. ო, კრიტონ, ნეტავი კი შეეძლოს უმრავლესობას უდიდესი განსაცდელის დამართება, რომ მეორეს მხრით მასვე შეეძლოს უდიდესი სიკეთის მინიჭებაც — ეს ხომ კარგი იქნებოდა. ეხლა კი მას არც ერთი შეუძლია და არც მეორე, ვინაიდგან მას არ ძალუძს ადამიანს მიანიჭოს ან წაართვას გონიერება და მოქმედებს ისე, როგორც შეემთხვევა.

4

კრ. დე, ეგრე იყოს. მაგრამ აი, რა მითხარი, სოკრატ: ნუ თუ შენ ჩემთვისა და სხვა მეგობრებისათვის ჰშიშობ, რომ, თუ შენ აქედგან გაიპარები, სიკოფანტები[6] ჩვენ აგვიტეხენ დავიდარაბას, თითქო ჩვენ გაგაპარეთ აქედგან, და ან მთელს ჩვენს ქონებას ჩამოგვართმევენ, ან დიდ ფულს გადაგვახდევინებენ, ან და კიდევ რამე სხვა ფათერაკს შეგვამთხვევენ. თუ ასეთი რამე გაშინებს, დაივიწყე ეგ შენი შიში. განა სამართლიანი არ იქნება გიხსნათ შენ და თვით ჩვენ კი ჩავცვივდეთ ამ ხიფათში და, თუ საჭირო იქნება, უარესშიც. დაიჯერე ჩემი და სხვანაირად ნუ მოიქცევი.

სო. დიაღ, კრიტონ, სწორედ ეგ მაშინებს და კიდევ ბევრი რამე სხვაც.

კრ. ამისი ნუ გეშინია-მეთქი. არც ისე ბევრ ფულსა თხოულობენ შენი აქედგან დახსნისა და გაპარებისათვის. მერე განა შენ არ იცი, თუ რა იაფი ხალხია ეგ სიკოფანტები და რა ცოტა ფულია მათთვის საჭირო. ჩემი ქონება ხომ შენს განკარგულებაშია და მგონია საკმარიც არის და, ეგეც რომ არ იყოს, თუ შენ ჩემთვის ჰზრუნავ და არ გინდა, რომ ჩემი ფული დაიხარჯოს, აქ ხომ უცხოელნი არიან, ისინიც მზად არიან გაიღონ ხარჯი. ერთს იმათგანს სწორედ ამ საქმისათვის კიდეც მოუტანია საკმაო ფული — მაგალითად სიმია[7] თებელს. მზად არის კებეტიც[8] და აგრეთვე ბევრი სხვაც. ამიტომ გეუბნები, ნურც ამისი გეშინია და ხელს ნუ აიღებ შენი თავის ხსნაზედ და ნურც ის გარემოება გაფიქრებს, სასამართლოში რომ ამბობდი, თითქოს აქედგან გაპარულს არ გეცოდინება, თუ სად შეაფარო თავი. განა მრავალ სხვა ადგილს, სადაც კი მიხვალ, სიყვარულით არ შეგიტკბობენ. თუ თესალიაში მოისურვებ წასვლას, იქ მე მეგობრები მყავს, რომელნიც დიდათ დაგაფასებენ და დაგიცავენ საშიშროებისაგან, ასე რომ თესალიაში შენ არავითარი ფათერაკი არ მოგელის.

5

გარდა ამისა, სოკრატ, მე მგონია, შენი განზრახვა არც სამართლიანია აგრეთვე: შენ გინდა თავი გასწირო, თუმცა შესაძლებელია ხსნა, და მოწადინებული ხარ ის აუტეხო შენს თავს, რასაც შენი მტრები ნატრულობდნენ და აკი ნამდვილ შეისრულეს თავიანთი წადილი, შენი დაღუპვა რომ განიზრახეს. ამასთანავე შენ, ჩემის აზრით, შენს შვილებსაც ჰღუპავ, თუმცა შეგიძლია გამოჰკვებო კიდევაც ისინი და კიდევაც აღზარდო, და შენ კი მათ ღვთის ანაბარად სტოვებ, და შენი ბრალი იქნება, თუ ისინი ისე იცხოვრებენ, როგორც შეემთხვევათ. მათ კი ბუნებითად დაემართებათ ის, რაც ჩვეულებრივ ემართებათ ობლებს ობლობაში. მართლაც, ან სულ არ უნდა გააჩინო ბავშვები ან და ბოლომდის იშრომ-იღვაწო მათი აღზრდისა და განათლებისათვის. შენ კი, მე მგონია, დიდ დაუდევრობას იჩენ. საჭირო კია ის აირჩიო, რასაც აირჩევდა კეთილი და მამაცი ადამიანი, განსაკუთრებით, როცა ამტკიცებს, რომ მთელი სიცოცხლე სათნოებისათვის ზრუნვას შესწირა. მე კი მაინცა და მაინც მრცხვენია შენთვისაც და ჩვენთვისაც, შენი მეგობრებისათვის, ვაი თუ ვინმემ იფიქროს, რომ ყველაფერი, რაც შენ შეგემთხვა, მოხდა რაღაც ჩვენი სილაჩრის გამო, და ის გარემოება, რომ საქმე შეტანილ იქნა სამსჯავროში ან როგორ იქნა შეტანილი,[9] თუმცა შეიძლებოდა არ ყოფილიყო შეტანილი, თვით გასამართლებაც, როგორც ის სწარმოობდა, და ეს დასასრულიც,[10] თითქო საქმის გაბიაბრუება, იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ყველაფერი ეს თვალსა და ხელს შუა გამოგვეპარა ჩვენი უვარგისობისა და სიმხდალის წყალობით, ვინაიდგან ჩვენ არ გიხსენით შენ და არც შენ იხსენი შენი თავი, თუმცა ეს შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო. სოკრატ, დაუფიქრდი ამას, რათა შენცა და ჩვენც უბედურებასთან ერთად სირცხვილიც არ დაგვემართოს. აბა, მოისაზრე ეს, მაგრამ ფიქრის დროც აღარ არის, დრო არის საქმეს შევუდგეთ. მარტოოდენ ერთი საშუალებაა: უახლოესი ღამით ყველაფერი ეს უნდა გათავდეს, ხოლო თუ კიდევ დავაგვიანეთ, უკვე შეუძლებელი და მოუხერხებელი იქნება. ამიტომ, სოკრატ, უთუოდ გამიგონე და არას გზით სხვანაირად არ მოიქცე.

6

სო. შენი თავდადება, საყვარელო კრიტონ, ფრიად ძვირფასი იქნებოდა, სამართლიანობაზედ რომ იყოს ცოტაოდენ მაინც დამყარებული, — უამისოდ რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო სამძიმოა. ამიტომ მოვისაზროთ, უნდა ეგრეთ მოვიქცეთ თუ არა. მე მხოლოდ ეხლა კი არა, არამედ ყოველთვის ისეთი ვარ, რომ მთელს ჩემს აზროვნებაში მარტოოდენ იმ საბუთს ვემორჩილები, რომელიც საუკეთესოდ მიმაჩნია. ეხლა, ეს უბედურება რომ თავს დამატყდა, მე ვერ უკუვაგდებ იმ საბუთს, უწინ რომ ვაღიარებდი, ვინაიდგან ეს მოსაზრება მე თითქმის იმნაირადვე მიმაჩნია და დღესაც ისე ვსცემ პატივსა და ვეთაყვანები, როგორც უწინ. თუ ჩვენ ამ ჟამად არ ძალგვიძს უკეთესი რამ მოვისაზროთ, კარგად იცოდე, მე არას გზით არ დაგეთანხმები, თუ გინდ უმრავლესობის ძლიერებამ მოიწადინოს კიდევ უფრო ჩვენი შეშინება, როგორც ბავშვებისა, ვიდრე ამ ჟამად გვაშინებს, როცა გვივლენს ბორკილებს, სიკვდილსა და ქონების ჩამორთმევას.

მაშ, როგორ განვიხილოთ ეს საქმე უმართებულესად? იქნება თავდაპირველად ის დებულება განვიხილოთ, შენ რომ აღნიშნე სხვისი აზრების შესახებ — მართალს ვამბობდით თუ არა ყოველთვის, რომ „ზოგიერთის აზრს უნდა მიაქციო ყურადღება და ზოგიერთისას კი არა“. ან იქნება ეს კარგი ნათქვამი იყო მაშინ, როცა მე სიკვდილი არ მომელოდა, ეხლა კი აღმოჩნდა, ისე გვითქვამს, რომ რამე გვეთქვა, ნამდვილად კი სახუმაროდ და სალაყბოდ. კრიტონ, მე მსურს შენთან ერთად განვიხილო — შეიცვალა თუ არა რაოდენადმე ჩემი აზრი მას შემდეგ, რაც ამ მდგომრეობაში ჩავვარდი, თუ იგივე დარჩა, დავგმოთ ის, თუ დავემორჩილოთ მას? მე მგონია, ხალხი, რომელიც ჰფიქრობს, რომ ის საფუძვლიანს რასმე ამბობს, ყოველთვის თითქმის იმასვე ამბობდა, რაც ეხლა მე ვსთქი: იმ აზრებში, ხალხს რომა აქვს, ზოგს დიდათ უნდა ვაფასებდეთ, ზოგს კი არა. გაფიცებ ღმერთებს, კრიტონ, განა ეს მართებულად არ იყო ნათქვამი? და რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ადამიანთა საქმეები განვსაჯოთ, — შენ ხომ ხვალ სიკვდილი არ მოგელის და არც რამე უბედურება გჭირს, თავ-გზას რომ გიბნევდეს, — მაშ, განსაჯე: როგორ გგონია, კარგად არის თუ არა ნათქვამი, რომ „ხალხის ყველა აზრს კი არ უნდა სცემდე პატივსა, არამედ ზოგს უნდა სცემდე პატივს და ზოგს კი არა?“ (და არც ყოველ ადამიანს, არამედ ზოგიერთს კი და ზოგიერთს არა?) რას იტყვი? განა სწორი ნათქვამი არ არის?

კრ. სწორია.

სო. მაშასადამე, კარგი აზრი უნდა ვიწამოთ და ცუდი კი არა?

კრ. დიაღ.

სო. და კარგი აზრი ხომ კეთილგონიერთა აზრია, ცუდი კი — უგუნურთა?

კრ. ეგრე უნდა იყოს.

7

სო. აბა, როგორ განვსაჯოთ ასეთი შემთხვევა. ტან-მოვარჯიშე კაცმა, ამ საქმეს რომ მისდევს განსაკუთრებით, ყოველი ადამიანის ქებას, კიცხვასა და აზრს უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ მარტოოდენ იმ ერთისას, ვინც მკურნალია ან პედოტრიბი?[11]

კრ. მხოლოდ იმ ერთისას.

სო. მაშ, მარტოოდენ იმ ერთი ადამიანის კიცხვა უნდა გვაშინებდეს და ქება კი გვახარებდეს და არა ხალხის უმრავლესობისა?

კრ. ცხადია.

სო. მაშასადამე, უფრო ხომ ისე უნდა ვსაქმობდეთ, ვვარჯიშობდეთ, ვჭამდეთ და ვსვამდეთ, როგორც საჭიროდ მიაჩნია საქმის ხელმძღვანელსა და მცოდნეს, და არა როგორც ყველა სხვას?

კრ. ეგრეა.

სო. კეთილი. მაშ, თუ ვინმე იმ ერთს არ გაუგონებს და ყურს არ ათხოვებს მის აზრსა (და ქებას) და იჯერებს უმრავლესობის აზრს, საქმის რომ არა გაეგება რა, რამე ფათერაკი ხომ არ შეემთხვევა მას ამის გამო?

კრ. როგორ არა.

სო. მერე რა არის ეს ფათერაკი? საითკენ არის მიმართული და რომელ მხარეს ეხება ურჩისას?

კრ. აშკარაა სხეულს, ვინაიდგან ბოროტება სწორედ სხეულს არღვევს.

სო. მშვენიერად ლაპარაკობ და განა, კრიტონ, ყველაფერი ეგრე არ არის, რომ არ ჩამოვთვალოთ ყველა შემთხვევა — შესახებ სამართლიანობისა და უსამართლობისა, სისაძაგლისა და მშვენიერებისა, კეთილისა და ბოროტისა და მის შესახებაც, რისთვისაც ჩვენ ეხლა თათბირი გვაქვს. ჩვენ უმრავლესობის აზრს უნდა მივსდიოთ და მისი გვეშინოდეს, თუ ერთისას, როცა იგი შეგნებული ადამიანია, და მისი უფრო უნდა გვრცხვენოდეს და გვეშინოდეს, ვიდრე ყველა სხვისი? თუ არ შევუდექით მას, ხომ წავახდენთ და გავაფუჭებთ იმას, რაც სამართლიანობით უმჯობესდება და უსამართლობით კი იღუპება? ან იქნება ეს არაფერია?

კრ. მეც ეგრე ვფიქრობ, სოკრატ.

8

სო. ჰო და, თუ ჩვენ ყურს ვათხოვებთ შეუგნებელთა აზრსა და მოვსპობთ მას, რაც სისაღისაგან უმჯობესდება და ავადობისაგან კი ირღვევა, ღირს ღა ჩვენთვის სიცოცხლე, თუ ის დაიღუპება — მე სხეულისას გეუბნები — თუ არა ღირს?

კრ. დიაღაც არა ღირს.

სო. უვარგისი და დარღვეული სხეულით კი ღირს ჩვენთვის სიცოცხლე?

კრ. არას გზით.

სო. ან კი რად ღირს ჩვენთვის სიცოცხლე, თუ დარღვეულია ის, რასაც უსამართლობა ჰვნებს და სამართლიანობა კი ჰრგებს? ან იქნება ჩვენ სხეულზედ უფრო მდარედ მიგვაჩნია ის, რაც შეადგენს ჩვენი არსების იმ მხარეს, უსამართლობასა და სამართლიანობასთან რომ კავშირი აქვს?

კრ. არაოდეს.

სო. მაშ, უფრო ძვირფასად მიგვაჩნია?

კრ. ფრიად ძვირფასად.

სო. მაშასადამე, უსაყვარლესო, სრულიად არ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, თუ რას იტყვის ჩვენზედ უმრავლესობა, არამედ — რას იტყვის ის, ვისაც შეგნებული აქვს სამართლიანობა და უსამართლობა, ის ერთი მხოლოდ და თვით ჭეშმარიტება. ამგვარად შენს წინადადებაში მართალი არ არის უწინარეს ყოვლისა, თითქო ჩვენ იმისათვის უნდა ვზრუნავდეთ, თუ რა აზრის არის უმრავლესობა შესახებ სამართლიანობისა, მშვენიერებისა, სათნოებისა და იმისა, რაც ყველა ამას ეწინააღმდეგება. მაგრამ იქნება ვინმემ სთქვას — უმრავლესობას ხომ შეუძლია თქვენი მოკვდინებაო.

კრ. ესეც აშკარაა, შესაძლებელია სთქვან, სოკრატ.

სო. მართალს ამბობ, მაგრამ, ჰოი საკვირველო, ის დებულება, ეხლა რომ განვიხილეთ, ამჟამადაც კიდევ ისე მიმაჩნია, როგორც უწინ. და კვლავ განსაჯე, შერჩა თუ არა რამე საფუძვლიანობა იმ დებულებას, რომ უაღრესად მისაჩნევი ის კი არ არის, რომ იცხოვრო, არამედ ის, რომ იცხოვრო სათნოდ?

კრ. ოღონდაც შერჩა!

სო. და მერე აქვს თუ არა ძალა დებულებას, რომ კარგი, მშვენიერი და სამართლიანი ერთი და იგივე ცნებაა?

კრ. დიაღაც აქვს.

9

სო. მაშ, ჩვენ მიერ აღიარებულ დებულებათა მიხედვით უნდა განვიხილოთ საკითხი: სამართლიანი იქნება თუ უსამართლო, რომ ვცადო აქედგან გაპარვა ათინელთა ნებადაურთველად? და თუ აღმოჩნდება, რომ ეს სამართლიანი იქნება, შევეცადოთ, თუ არა და თავი დავანებოთ. შენი მოსაზრება კი შესახებ ფულის ხარჯისა, უმრავლესობის აზრისა და ბავშვების აღზრდისა — ეს ხომ იმათივე მოსაზრებაა, ვინც ეგრე ადვილად სრულიად უაზროდ ჰხოცავს ხალხს და, რომ შეეძლოს, გააცოცხლებდა კიდეც, ე. ი. უმრავლესობისა. ჩვენ კი, თუ გულისხმიერებას მივჰყვებით, მხოლოდ ის უნდა განვსაჯოთ, რაზედაც ეხლა ვლაპარაკობდით და სხვა არაფერი — სამართლიანობა იქნება განა, რომ სასყიდელი და მადლობა მივაგოთ იმათ, ვინც მე აქედგან გამიყვანს და თვითვე ვიყვეთ გამყვანნიც და გაყვანილნიც, თუ ყველა ამის მომქმედნი ჭეშმარიტებას შევბღალავთ? და თუ აღმოჩნდება, რომ ასეთი ღონისძიება უსამართლო იქნება, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, რომ თუ აქ დავრჩებით და გულმშვიდათ ვიქნებით, ჩვენ მოგვაკვდინებენ ან სხვა რასმე დაგვმართებენ, ოღონდ უსამართლობა კი არ ჩავიდინოთ.

კრ. ჩემის აზრით, სოკრატ, შენ მშვენიერად ლაპარაკობ, მაგრამ აბა მოისაზრე, რა მოვიქმედოთ?

სო. ერთად მოვისაზროთ, ჩემო კეთილო, და თუ შენ საკამათოდ გაქვს რამე სათქმელი, სთქვი და მოგისმენ, თუ არა და, ჩემო ძვირფასო, თავი დაანებე და ერთსა და იმასვე ნუ იმეორებ, რომ მე აქედგან უნდა გავიდე ათინელთა ნებადაურთველად, ვინაიდგან ჩემთვის ფრიად საგულისხმოა ამ შემთხვევაში ყველაფერი მოვიქმედო შენთან თანხმობით და არა შენი სურვილის წინააღმდეგ. ჩაუფიქრდი მსჯელობის დასაბამს. თუ იგი შენ გაკმაყოფილებს, ეცადე რაც შეიძლება უკეთესად მომიგო ჩემს კითხვებზედ.

კრ. ვეცდები.

10

სო. ვამტკიცებთ ჩვენ თუ არა, რომ არავითარს შემთხვევაში არ შეიძლება უსამართლოდ მოქმედება, ან იქნება ერთს შემთხვევაში შეიძლება უსამართლოდ მოქმედება, მეორეში კი არა? და შემდეგ, რომ უსამართლობა არაოდეს არ არის არც სათნო და არც მშვენიერი, როგორც მრავალჯერ აღგვიარებია? მაშ, ნუ თუ (ეხლა რომ ვბაასობთ) ყველა ჩვენი უწინდელი აღსარება ამ რამდენსამე დღეში გაიფანტა და ჩვენ, კრიტონ, ასეთ დროულ კაცებს, ურთიერთ შორის გაბმულ ხანგრძლივს ბაასში სულ გვავიწყდება ჩვენი თავი და აღარაფრით განვირჩევით ბავ-

შვებისაგან! ან და კიდევ შეიძლება საქმის მდგომარეობა ისეთია, როგორც ჩვენ მაშინ ვამბობდით, ე. ი. ამტკიცებს თუ არ ამტკიცებს უმრავლესობა, უნდა განვიცადოთ თუ არ უნდა განვიცადოთ კიდევ რამე უფრო მძიმე ან უფრო ადვილი, უსამართლოდ მოქმედება იმისათვის, ვინც უსამართლოდ მოქმედებს, საზიზღრობა და ბოროტებაა ყოველ შემთხვევაში. ვამტკიცებთ ამას თუ არა?

კრ. ვამტკიცებთ.

სო. მაშ, ხომ არაოდეს არ უნდა მოვიქცეთ უსამართლოდ?

კრ. ნამდვილია.

სო. მაშასადამე, წინააღმდეგ უმრავლესობის აზრისა, არ არის მართებული უსამართლობისათვის უსამართლობისვე მიგება, ვინაიდგან უსამართლოდ არაოდეს არ უნდა ვმოქმედებდეთ?

კრ. ცხადია, რომ არ არის მართებული.

სო. კეთილი. მართებულია, თუ არა, კრიტონ, ბოროტის-ყოფა?

კრ. რასაკვირველია, არა, სოკრატ.

სო. ხომ ეგრე? ბოროტისათის ბოროტის მიგება კი, როგორც ამტკიცებს უმრავლესობა, სამართლიანია თუ უსამართლო?

კრ. ოღონდაც უსამართლოა.

სო. ვინაიდგან — ბოროტად მოეპყრობი ადამიანს, თუ უსამართლოდ — არავითარი განსხვავება არ არის.

კრ. ჭეშმარიტებას ამბობ.

სო. მაშასადამე, არც უსამართლობის მიგებაა (უსამართლობისათვის) მართებული და არც ბოროტის-ყოფა ვისთვისმე ადამიანთაგან, თუ გინდ რამე სატანჯველიც განვიცადოთ მისგან. დაფიქრდი, კრიტონ, თუ დამეთანხმები ამაზედ, შენი რწმენის საწინააღმდეგოდ არ დამეთანხმო. მე ხომ ვიცი, რომ მრავალნი ამ რწმენას არც იზიარებენ და არც გაიზიარებენ, და როცა ერთნი ასე ჰფიქრობენ, მეორენი კი სხვანაირად, საერთო აზრი მათ არა აქვსთ და ამიტომ აუცილებლივ სძულსთ ერთმანერთი, ურთიერთის აზრები რომ იციან. და შენც ამას კარგად ჩაუფიქრდი, იზიარებ თუ არა ჩემს რწმენას, შენც ასე ჰფიქრობ თუ არა და შეგვიძლია თუ არა თათბირი იმ დებულებით დავიწყოთ, რომ არაოდეს არ შეიძლება მართებული იქნეს არც უსამართლო მოქმედება, არც უსამართლობის მიგება (უსამართლობისათვის) და არც ბოროტის წამკიდებელთათვის ბოროტის-ყოფა და ბოროტისვე მიზღვევა, ან იქნება შენ უარსა ჰყოფ ამ დებულებას და აღარ მეთანხმები? მე ხომ უწინაც ამ აზრისა ვიყავი და ეხლაც ასე ვფიქრობ, შენ კი თუ სხვა აზრისა ხარ, სთქვი და მასწავლე, ხოლო თუ შენც უწინდელი აზრისა ხარ, მომისმინე შემდეგიც.

კრ. დიაღ, უწინდელი აზრისა ვარ და გეთანხმები, ოღონდ ილაპარაკე.

სო. შემდგომ ამისა მე კვლავ ვიტყვი ანუ უმჯობესია გკითხავ: თუ რამე სამართლიანობად გვაქვს აღიარებული, უნდა შევასრულოთ, თუ უნდა განვერიდოთ?

კრ. უნდა შევასრულოთ.

11

სო. ამ თვალსაზრისით განსაჯე ყურადღებით. ჩვენ რომ აქედგან გავიდეთ სახელმწიფოს ნებადაურთველად, ბოროტს შევამთხვევთ თუ არა ვისმე, ვისთვისაც ბოროტის-ყოფა სრულიად არ არის მართებული? და შეგვრჩება თუ არა რწმენა, რა ვაღიარეთ სამართლიანობად?

კრ. მე ვერ გიპასუხებ, სოკრატ, შენს კითხვაზედ, რადგან ვერ გავიგე.

სო. მაშ, ასე გასინჯე: როცა ჩვენ დავაპირებთ გაპარვას, ან რაც გინდა უწოდე ამას, რომ მოვიდნენ კანონები და სახელმწიფო, გაჩერდნენ და გვკითხონ: „მითხარი, სოკრატ, რა გაქვს გუნებაში? შენ რომ საქმე გაგიზრახავს, ხომ არ ჰფიქრობ, იმით დაგვღუპო ჩვენ, კანონები, და მთელი სახელმწიფო, რამდენადაც ეს შენზედ ჰკიდია? ან იქნება შენ გგონია, რომ შეუძლია იარსებოს და იღორძინოს იმ სახელმწიფომ, სადაც სამსჯავროს მიერ დადგენილ განაჩენს აღარავითარი ძალა აღარა აქვს, ვინაიდგან კერძო პირნი აუქმებენ და აბათილებენ მას?“ რას ვუპასუხებთ, კრიტონ, ამაზედ და ამნაირ კითხვაზედ. განა ყველას და განსაკუთრებით კი რიტორს[12] ბევრი არ ექნება სათქმელი იმ კანონის დასაცავად, რომელსაც ჩვენ ვჰქელავთ და რომელიც ჰბრძანებს, რომ სამსჯავროს მიერ დადგენილ განაჩენს უნდა ჰქონდეს ძალა, ან შეიძლება ჩვენ კანონებს მივუგოთ, რომ „სახელმწიფო უსამართლოდ მოგვექცა და უსამართლო განაჩენი დაადგინა?“ ამას ვუპასუხებთ, თუ სხვა რასმე?

კრ. ვფიცავ ზევსს, სოკრატ, სწორედ მაგას.

12

სო. მერე კანონებმა რომ გვითხრან ამაზედ: „სოკრატ, შენთან განა ასეთი პირობა გვქონდა დადებული, თუ ჩვენ შევთანხმდით, რომ დავემორჩილოთ იმ განაჩენს, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი?“ და თუ ჩვენ გაგვაკვირვებდა ეს სიტყვები, მათ შეიძლება ეთქვათ: „სოკრატ, ნუ გაკვირვებს ჩვენი ნათქვამი, არამედ გვიპასუხე, — შენ ხომ ჩვეულებრივ კითხვა-პასუხს ჰხმარობ ხოლმე,[13] — აბა, გვითხარი, რა ბრალსა გვდებ ჩვენ და სახელმწიფოს, ჩვენი დაღუპვა რომ მოგიწადინებია? უწინარეს ყოვლისა განა ჩვენ არ გაგაჩინეთ ქვეყნად, ვინაიდგან მამა შენმა ჩვენი დასტურით შეირთო ცოლად დედა შენი და გშვა შენ? სთქვი, ჰგმობ თუ არა იმ ჩვენს კანონებს უვარგისობისათვის, ქორწინებას რომ შეეხება?“ არა ვჰგმობ-მეთქი, ვუპასუხებდი მე. ან იქნება შენ ჰგმობ იმ კანონებს, დაბადებულთა აღზრდასა და სწავლას რომ შეეხება, — სწავლას, რომელიც შენცა გაქვს მიღებული? განა ცუდათ განუკარგავსთ საამისოდ შექმნილ კანონებს, როცა უბრძანებიათ მამაშენისათვის, რათა მოეცა შენთვის სამუზო და საგიმნასტიკო განათლება?“[14] კარგად-მეთქი, ვუპასუხებდი მე. „კეთილი. შემდეგ იმისა, რაც შენ დაიბადე, აღიზარდე და განისწავლე, შეგიძლია თუ არა უწინარეს ყოვლისა სთქვა, რომ შენ ჩვენი შვილი და მონა არა ხარ, თვით შენ და შენი წინაპარნი? თუ ასეთია მდგომარეობა, ხომ არ ჰფიქრობ, რომ შენც ისეთივე უფლება გაქვს, როგორიც ჩვენ, და სამართლიანად მიგაჩნია გვეურჩო იმაში, რაც ჩვენ შენთვის გაგვიმზადებია? ან და, ვსთქვათ, შენ რომ მამა და ბატონი გყავდეს, იმათ მიმართ შენ არ მიიკუთვნებდი თანასწორს უფლებას, — ასე რომ, თუ გინდ მათგან შეგმთხვევოდა რამე, ურჩობას ვერ გაუწევდი, ვერც გინებისათვის გინებით მიუგებდი, ვერცა ცემისათვის ცემით და სხვა კიდევ ბევრი რამ. კანონებისა და სამშობლოს მიმართ კი შენ ამ უფლებას იკუთვნებ და, მაშასადამე, თუ ჩვენ განვიზრახეთ შენი დაღუპვა და ეს სამართლიანად მიგვაჩნია, შენც გაგიზრახავს, რამდენადაც ძალგიძს, დაგვღუპო ჩვენ, კანონები და სამშობლო, და ამის მომქმედი კიდევ იტყვი, რომ შენ სამართლიანად იქცევი, შენ, რომელიც ჭეშმარიტად სათნოებისათვის ჰზრუნავ? თუ შენი სიბრძნე ისეთია, რომ დაგავიწყდა,

რომ სამშობლო უფრო ძვირფასია, ვიდრე დედა, ვიდრე მამა და ყველა სხვა წინაპარი; რომ იგი უფრო სათაყვანოა, უფრო წმინდაა და უფრო დიადია წინაშე ღმერთთა და წინაშე გონიერ ადამიანთა; რომ როცა სამშობლო მრისხანებს, მას უნდა თაყვანისცე, მას დაემორჩილო, მას აამო უფრო, ვიდრე მამას; რომ ან შენი უნდა შეასმინო ან შეასრულო ის, რასაც ის გიბრძანებს; რომ უდრტვინველად უნდა მოიჭირვო ის, რის მოჭირვებასაც გავალებს, — გვემა იქნება თუ საპყრობილე, — თუ გინდ მიგავლინოს ომში სისხლის დასანთხევად და სასიკვდილოდ, ყველაფერი უნდა შეასრულო, ვინაიდგან ეს სამართლიანია; რომ მტერს არც უნდა დაჰნებდე, არც უნდა გაექცე, არც შენი რაზმი დასტოვო, არამედ ომშიც, სამსჯავროშიც და ყველგან მართებულად უნდა აღასრულო ის, რასაც სახელმწიფო და სამშობლო გიბრძანებს, ან და უნდა შენი შეასმინო, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს; ძალადობა კი დედისა ან მამის მიმართ უსჯულოებაა და სამშობლოს მიმართ კი ხომ უაღრესად უარესია?“ — რას ვიტყვით ამის პასუხად, კრიტონ? მართალს ამბობენ კანონები, თუ არა?

კრ. მე მგონია.

13

სო. „აი, განსაჯე, სოკრატ“, იქნება მითხრან აგრეთვე კანონებმა: „მართალს ვამბობთ თუ არა, რომ შენ განზრახული გაქვს უსამართლოდ მოგვექცე? ჩვენ ხომ შენ გშობეთ, გამოგკვებეთ, აღგზარდეთ, მოგანიჭეთ, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს, ყოველგვარი მშვენიერება, რაც ჩვენ ხელთ გვქონდა, და ამასთანავე ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ყოველ ათინელს, ვინც კი მოიწადინებს, ვაძლევთ უფლებას, დოკიმასიას[15] რომ ჩააბარებს, შეისწავლის სახელმწიფო საქმეებს და გაგვეცნობა ჩვენც, კანონებს თუ ჩვენ არ მოვწონვართ, წაიღოს თავისი ქონება და წავიდეს, სადაც ჰნებავს. და არც ერთი ჩვენგან, კანონთაგან, არავის არ უშლის და არ უკრძალავს, თუ ვისმე თქვენში არ მოვწონვართ ჩვენა და სახელმწიფო, გაემგზავროს სურვილისამებრ ახალშენში, ხოლო თუ სხვა სახელმწიფოში ჰსურს გადასახლება, აიღოს თავისი ქონება და წავიდეს იქ, სადაც ენებება. ის კი, ვინც რჩება და ჰხედავს, თუ რა წესით ვაწარმოებთ ჩვენ სამართალს და საერთოდ, როგორ განვაგებთ სახელმწიფოს, — ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ მასთან პირობა გვაქვს დადებული, რომ ის საქმით აღასრულებს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვუბრძანებთ. ხოლო ვინც ჩვენ გვეურჩება, ის, ვამბობთ ჩვენ, ერთი სამად უსამართლოდ გვეპყრობა, ვინაიდგან არ გვემორჩილება ჩვენ, მშობლებსა და აღმზრდელებს, და, თუმცა პირობა აქვს ჩვენთან დადებული, რომ დაგვემორჩილება, არც გვემორჩილება და არცა ჰსურს შეგვასმინოს, თუ ცუდათ ვაკეთებთ რასმე. ჩვენ სრულიად მკაცრად არ ვბრძანებთ, — ჩვენ მხოლოდ ვურჩევთ აღასრულოს, რაც ნაბრძანები აქვს, მაგრამ ჩვენ ნებასა ვჰრთავთ ორში ერთი აირჩიოს — ან შეგვასმინოს ან შეასრულოს ჩვენი ბრძანება, — ის კი არც ერთს ასრულებს და არც მეორეს“.

14

„ასეთი ბრალი, ვამბობთ ჩვენ, შენც დაგედება, სოკრატ, თუ შეასრულებ იმას, რაც განზრახული გაქვს, და შენ არა ნაკლები, ვიდრე ათინელთ, არამედ უფრო მძიმე“. და მე რომ მეთქვა: „რატომა-მეთქი?“ ისინი სამართლიანად გამამტყუვ-

ნებდნენ და მეტყოდნენ, რომ ათინელთა შორის უპირატესად მე შევკარი მათთან ასეთი პირობა. ისინი მეტყოდნენ: „სოკრატ, ჩვენ გვაქვს უცილობელი საბუთი, რომ შენ ჩვენც გიყვარდით და სახელმწიფოც. სხვა ათინელთა შორის შენ განსაკუთრებით არ დარჩებოდი შენს ქვეყანაში, უაღრესად რომ არ მოგწონდეს იგი; შენ ჯერ კიდევ არაოდეს არ გასულხარ ქალაქიდგან თეორიაზედ[16] (მხოლოდ ერთხელ იყავი ისთმოსზედ), არც სადმე სხვაგან, თუ ლაშქრობას არ ჩავთვლით; სხვების მსგავსად შენ არაოდეს არ მოშორებიხარ სამშობლოს,[17] არც კი აღგძვრია სურვილი გაგეცნო სხვა სახელმწიფო და სხვა კანონები, რადგან ჩვენ და ჩვენი სახელმწიფო საკმაო ვიყავით შენთვის. ეგრე დიდათ გვამჯობინებდი და თანახმა იყავი, რომ ჩვენ განვაგებდით სახელმწიფოს; შენ ხომ ბავშვებიც კი გაიჩინე ამ სახელმწიფოში, ვინაიდგან მოგწონდა იგი. შემდგომ თვით გასამართლების დროს შენ შეგეძლო სასჯელად გაძევება აგერჩია, რომ გსურვებოდა, და რაც ეხლა განზრახული გაქვს სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ, მაშინ მისი დასტურით მოგეცემოდა. შენ ხომ მაშინ ზვიადობდი და არც სჯავრობდი, რომ თანამდებ-იყავი სიკვდილისა, არამედ გაძევებას, როგორც განაცხადე, სიკვდილი ამჯობინე. ამ ჟამად კი შენ არც იმ შენი სიტყვებისა გრცხვენია და არც არაფრად გვაგდებ ჩვენ, კანონებს, განადგურებას გვიპირებ, მოქმედობ ისე, როგორც იმოქმედებდა უსაძაგლესი მონა, და განზრახული გაქვს გაპარვა წინააღმდეგ პირობისა და შეთანხმებისა, რომელიც ვალდებულგყოფს ჩვენი გამგებლობის ქვეშ იცხოვრო. მაშ, თავდაპირველად გვიპასუხე, მართალს ვამბობთ თუ ვსცდებით, როცა ვამტკიცებთ, რომ შენ შეგვითანხმდი ჩვენი გამგებლობის ქვეშ გეცხოვრა საქმით და არა მარტოოდენ სიტყვით? — ამის საპასუხოდ რა გვეთქმის, კრიტონ? ხომ მართალია, რომ უნდა დავეთანხმოთ?

კრ. აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ, სოკრატ.

სო. „და ამნაირად“ — მეტყვიან ისინი — „შენ არღვევ ჩვენთან დადებულ პირობასა და შეთანხმებას, რომელიც დადებული გაქვს არა ძალდატანებით, არცა შეცდომით და არც იძულებული ყოფილხარ მოკლე ხანში მოგეფიქრებინა, არამედ სამოც-და-ათი წლის განმავლობაში, სანამ შეგეძლო წასულიყავი, თუ არ მოგწონდით და პირობა უსამართლოდ მიგაჩნდა, შენ ხომ არც ლაკედემონი ამჯობინე, არც კრეტი, რომელთა შესახებ შენ მუდამ გაიძახოდი — კარგი კანონები აქვსთო — და არც ერთი სხვა სახელმწიფო არც ელლადისა და არც ბარბაროსული და აქაურობას უფრო იშვიათად განშორებიხარ, ვიდრე კოჭლნი, უსინათლონი და სხვა ხეიბარნი. ამნაირად, სხვა ათინელთა შორის სახელმწიფო და ჩვენ, კანონები, განსაკუთრებით მოგწონდით (ცხადია რატომ: აბა, ვის მოეწონება სახელმწიფო უკანონებოთ). და მაშ, ეხლა შენ არღვევ ჩვენთან დადებულ პირობას? გირჩევნია კი, სოკრატ, დაგვემორჩილო და სახელმწიფოდგან გაპარვით თავი არ გაიმასხარავო“.

15

„განსაჯე ესეც, ყველა ამის დამრღვევმა და შემცოდემ რა უნდა მოიპოვო კარგი შენთვის ან შენი მეგობრებისათვის? შენი მეგობრები ხომ განსაცდელში ჩასცვივდებიან, შენებრ იქნებიან გაძევებულნი და დაჰკარგავენ სამშობლოს ან სულ უკანასკნელი — მათ წაერთმევათ ქონება — ეს თითქმის ცხადია. შენ კი, თუ უწინარეს ყოვლისა წახვალ ერთ-ერთს უმახლობელეს ქალაქს, თებას ან მეგარას — ორივე ქალაქი ხომ კარგად არის განკანონებული[18] — მტრად მიევლინები, სოკ-

რატ, იმათ წესწყობილებას, და ვინც ჰზრუნავს თავისი სახელმწიფოსათვის, ალმაცერად დაგიწყებს ცქერას, როგორც კანონების დამთრგუნველს, და შენს მსაჯულებს შენ სახელს გაუთქვამ — ვინაიდგან ყოველი დამრღვევი კანონებისა სულ ადვილად შეიძლება ყმაწვილკაცობის და უგუნურ ხალხის გამრყვნელად იქნეს მიჩნეული. ან იქნება შენ მოერიდები ქალაქებს, რომელთაც კარგი კანონები განაგებს, და ადამიანთ შორის კი — უსათნოესთა. ღირს კი მაშინ შენი სიცოცხლე? შენ დაუახლოვდები ამ ხალხს და ნუ თუ არ შეგრცხვება მასთან საუბრისა? მერე რა უნდა უთხრა, სოკრატ? ის ხომ არა, რასაც აქ ამბობდი — სათნოება და სამართლიანობა, კანონიერება და კანონები ხალხისათვის ყველაფერზედ უძვირფასესიაო? ნუ თუ შენ არ ჰფიქრობ, რომ ეს სათაკილოა სოკრატის საქმისათვის? ოღონდაც (სათაკილოა). მაგრამ აი, შენ შორდები ამ ქვეყანას და მიემგზავრები თესალიას კრიტონის მეგობრებთან. ცნობილია, რომ იქ უსაშინელესი უწესოება და გარყვნილება მეფობს[19], და შეიძლება სიამოვნებით მოგისმინონ, თუ როგორ სასაცილოდ გაიპარე საპატიმროდგან, თან წაიღე ტყავი ან რამე სხვა, რითიც ჩვეულებრივ იკაზმებიან გაპარულები და გამოიცვალე შენი გარეგნობა. და შენ, მოხუცებულ კაცს, სულ ცოტა ყავლი ღა რომ დაგრჩენია სიცოცხლისა, რაც ბუნებრივია, რომ ჰბედავ და ეგრეთ სამარცხვინოდ ებღაუჭები სიცოცხლეს მას შემდეგ, რაც უაღრესი კანონები დასთრგუნე, შენ კი არავინ გეტყვის არაფერს? შესაძლებელია, თუ არავის შეეხები. თუ არა და, სოკრატ, ბევრ რასმე მოისმენ, რაც არ დაგიმსახურებია, და გაატარებ შენი სიცოცხლის დღეებს (მონობაში და) პირმოთნეობაში ყველას წინაშე. ან კი რა უნდა გააკეთო თესალიაში, თუ არ ინადიმე, თითქო თესალიას სანადიმოთ გადასახლებულხარ? შენი საუბარი და სამართლიანობისა და სხვა სათნო საგანთა შესახებ — რა ვუყოთ მას? — მაგრამ შენ შვილებისათვის გინდა იცოცხლო, რომ გამოჰკვებო და აღზარდო ისინი. მერე? თესალიას რომ წაიყვანო, გამოჰკვებო და აღზარდო, ხომ დაუკარგავ მათ სამშობლოს, რომ ბარემ ესეც იგემონ (შენგან)? ან იქნება შენ ასე არ მოიქცევი და თუ ისინი შენს სიცოცხლეში აქ იზრდებიან, განა უკეთესად არ აღიზრდებიან და განისწავლებიან, როცა შენ მათთან არ იქნები? შენი მეგობრები ხომ ზრუნვას არ მოაკლებენ მათ? ან შეიძლება იზრუნავენ, თუ თესალიას გადასახლდები, ხოლო თუ ჰადესში გადასახლდები, აღარ იზრუნავენ? დიაღაც, თუ მოსალოდნელია რამე ხეირი იმათგან, ვისაც შენ მეგობრად მოაქვს თავი?

16

„მაგრამ გაგვიგონე, სოკრატ, ჩვენ, შენს აღმზრდელებს, და სამართლიანობას ნურც შვილები გირჩევნია, ნურც სიცოცხლე და ნურც სხვა რამე, რომ ჰადესში მისვლისას იქაურ ხელისუფალთა წინაშე თავის გასამართლებლად სათქმელი გექნეს, ვინაიდგან ასეთი შენი საქციელი, როგორც არც აქ იქნება უკეთესი, უფრო სამართლიანი, უფრო კეთილსათნო შენთვის და შენიანთათვის, აგრეთვე არც იქ, როცა იქ მიხვალ. მაგრამ ამ ჟამად შენ წახვალ, თუ წახვედი, უსამართლოდ დასჯილი არა ჩვენგან, კანონების მიერ, არამედ ხალხის მიერ, ხოლო თუ შენ ასე სამარცხვინოდ სამაგიერო უსამართლობასა და ბოროტებას ჩაიდენ, თუ შენ დაარღვევ ჩვენთან დადებულ პირობასა და შეთანხმებას და ბოროტად მოეპყრობი იმათ, ვისაც ეს ყველაზედ ნაკლებად ეკადრება — შენს თავს, მეგობრებს, სამშობლოსა და ჩვენ, — სანამ ცოცხალხარ, ჩვენ გრისხავთ და იქაც ჩვენი მოძმენი, ჰადესის კანონები, არ შეგიწყნარებენ, ვინაიდგან ეცოდინებათ, რომ შენ ჩვენი

დაღუპვა გქონდა განზრახული, რამდენადაც შეიძლებდი. ამიტომ გიჯობს უფრო ჩვენ გაგვიგონო, ვიდრე კრიტონს, რომელიც გარწმუნებს ისე მოიქცე, როგორც ის გეუბნება?

17

მერწმუნე, საყვარელო მეგობარო (კრიტონ), ასე მგონია, თითქო მესმოდეს ეს სიტყვები, როგორც ბორგნეულ კორიბანტებს[20] ჰგონიათ, ვითომც იმათ სალამურის ხმები ესმოდესთ, და ამ სიტყვებისაგან ისეთი შუვილი მაქვს ყურებში, რომ ღონე აღარ შემწევს სხვა რასმე ვათხოვო ყური. მაგრამ იცოდე — ასეთია მაინც ჩემი აწინდელი რწმენა — თუ შენ ამის საწინააღმდეგოდ რასმე იტყვი, ამაო ლაპარაკი იქნება, ხოლო თუ ჰფიქრობ, რომ კიდევ რასმე გაჰხდები, სთქვი.

კრ. არა, სოკრატ, მე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

სო. მაშასადამე, კრიტონ, მოვიქცეთ ისე, როგორც გვარიგებს ღვთაება.

ბერძნულით თარგმნილი პეტრე ქავთარაძის მიერ

განმარტებანი

1) ბერძნებმა არ იცოდნენ დროჲს გაყოფა საათებად და დროს ჰსაზღვრავდნენ ცისკრისა და მზის მიხედულებით, ასხვავებდნენ შუადღემდე და ნაშუადღევს. ღამეს კი ჰყოფენ სამ ნაწილად ანუ სამხედრო წესისამებრ სამ დარაჯობად. გარდა ამისა დროჲს მიახლოვებით განსაზღვრისათვის ჰხმარობდნენ საყოველდღეო სიტყვებს: როცა მოედანი გაჭედილია ხალხით, როცა აინთება ლამპრები და სხ.

2) კრეტის მეფე **მინოსი** გაურისხდა ათინელებს, რომელთაც მოუკლეს მას ვაჟი **ანდროგე,** და შურის ძიებით აღძრულმა მან ალყა შემოარტყა ათინას. ილაჯ-გაწყვეტილნი ათინელნი შეურიგდნენ მინოსს პირობით, რომ ყოველ რვა წელიწადში მათ უნდა ეგზავნათ ხოლმე კრეტზედ მსხვერპლად **მინოტავრისათვის** შვიდი ქალი და შვიდი ვაჟი. ორგზის ათინელებმა გაგზავნეს ეს მსხვერპლი. მესამეჯერ კი სამსხვერპლოდ განწირულ თოთხმეტ ახალგაზრდას გაჰყვა მეფის წული **თეზე,** რომელმაც მინოტავრი მოჰკლა და სამშობლო სისხლოვანი ხარკისაგან იხსნა. თეზეს რომ ჰგზავნიდნენ კრეტზედ, ათინელებმა აღთქმა დასდვეს, თუ თეზე გაიმარჯვებდა, წელიწდეულად ეგზავნათ ე. წ. **თეორია** ანუ საზეიმო დესპანობა აპოლონის ტაძარში **დელოსზედ** და მას შემდეგ ათინაში არსებობდა ასეთი ადათი: მთელი იმ ხნის განმავლობაში, ამ დესპანობის გამზადებას რომ შეუდგებოდნენ, სახელმწიფო „წმინდა“ უნდა ყოფილიყო და არ შეიძლებოდა ვინმე დასჯილიყო სიკვდილით იმ დრომდე, ვიდრე ხომალდი არ მიაღწევდა დელოსს და არ დაბრუნდებოდა ათინას. მოხდებოდა, რომ ამასობაში ბევრი დრო გაივლიდა, თუ მოგზაურებს ქარიშხალი მოუსწრებდა. დასაწყისად ამ საზეიმო დესპანობისა ითვლებოდა ის მომენტი, როცა აპოლონის ქურუმი ხომალდის ბოლოს გვირგვინით შეამკობდა. დესპანების გამგზავრება მოხდა სწორედ სოკრატის პროცესის წინა დღით, და აი, ამ მიზეზით სოკრატმა დიდხანს დაჰყო საპყრობილეში, სახელდობრ, პროცესის დასაწყისიდგან გარდაცვალებამდე (იხ. პლატონის „ფედონი“, I).

3) **სუნიონი** კონცხია ატტიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც აგებული იყო **ათინას** სახელგანთქმული ტაძარი და სადაც უნდა გამოევლო დელოსიდგან მომავალ ხომალდს.

4) საპყრობილეთა ზედამხედველობა-მეთვალყურეობა და აგრეთვე მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯა მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ პირთ, რომელთაც წელიწდეულად კენჭის ყრით ირჩევდნენ.

5) სოკრატს აქ მხედველობაში აქვს, რომ მოახლოებულია მისი გარდასვლა სხვა უკეთეს სამყოფელში, და იგონებს **ახილესის** სიტყვებს, რომელმაც გამოუცხადა **ოდისეს,** რომ აგამემ-

ნონის მიერ შეურაცხყოფილს მას განზრახული აქვს **ფთიაში,** თავის სამშობლოში დაბრუნება, სადაც იმედი აქვს მესამე დღეს მივიდეს (ილიადა, IX, 363).

6) თავდაპირველად **სიკოფანტები** იმათ ეწოდებოდა, ვინც აბეზღებდა **სოლონის** მიერ გასაზიდავათ აღკრძალულ ნაყოფთა და მათ რიცხვში ლეღვის (სიკა ფაჲნონტეს) ატტიკიდგან გამზიდველთ; შემდეგ ამ სახელწოდებით დადაღულნი იყვნენ ის დაქრთამულნი მაბეზღარნი, საჯაროდ გამოსულნი ცილისმწამებელნი, რომელნიც დავაქრობდნენ, ეჩრებოდნენ საქმეებში, ჰსთხზავდნენ პროცესებს პირადი ნივთიერი სარგებლობისათვის და აშინებდნენ ხალხს, სამსჯავროთი, რათა ამ ხერხით გასამცლელო წაეგლიჯათ ან ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის ქონების ნაწილი ხელთ ეგდოთ, და ამნაირად პატივმოყვარენი და მეშუღლენი ხშირად მათ იარაღათ ჰხმარობდნენ. სიკოფანტების ასეთი ბინძური ხელობა, საზიზღრად იყო მიჩნეული საყოველთაოდ, ვინაიდგან ისინი კერძო პირთაც და სახელმწიფოსაც ფრიად ჰვნებდნენ. არისტოკრატი-ოლიგარხები, რომელნიც ვერ შერიგებოდნენ ხალხის მონაწილეობას მმართველობაში, სიკოფანტს უწოდებდნენ ყველას, ვინც სახელმწიფო დანაშაულს ვისმე დააბრალებდა.

7 და 8) **სიმია** და **კებეტი** თებელნი იყვნენ, **ფილოლა პითაგორელის** მოწაფენი.

9) ბრალდებულს, თუ მას გამართლების იმედი არ ჰქონდა, კანონი გაქცევის უფლებას აძლევდა; გარდა ამისა შესაძლებელი იყო მოდავეთა მორიგება როგორც სამსჯავროში საქმის აღძვრამდის, ისე აღძვრის შემდეგაც.

10) კრიტონი ჰფიქრობს, რომ სოკრატს შეეძლო და იგი ვალდებულიც იყო სხვანაირად დაეცვა თავი სამსჯავროს წინაშე. მართლაც, შეუძლებელია მოიძებნოს მეორე მაგალითი, რომ ბრალდებულისათვის მიეცათ ნება ისეთი სიტყვის წარმოთქმისა, როგორც სოკრატმა ათინის ნაფიც მსაჯულთა სამსჯავროს წინაშე წარმოსთქვა: ეს დაცვა კი არ იყო, არამედ ბრალდება და დარიგება მსაჯულთა მიმართ (იხ. პლატონი — სოკრატის აპოლოგია).

11) ახალგაზრდა ბერძნებს გიმნასტიკას ასწავლიდნენ განსაკუთრებული მასწავლებლები (გიმნასტაჲ) მათი უახლოესი თანაშემწენი (პაჲდოტრიბაჲ) და მკურნალები (იატროჲ). ამათში პირველნი გიმნასტიკურ ვარჯიშობას მძღვანებლობდნენ და სხეულის გამშვენიერებისა და გაღონიერებისათვის ჰზრუნავდნენ; უკანასკნელნი კი, როგორც სამკურნალო მეცნიერების მცოდნენი, მოვარჯიშეებს ფარეზს უნიშნავდნენ (დიაჲტეტიკე). შესაძლებელი იყო ორივე ფუნქციის ერთს პიროვნებაში შეერთებაც.

12) ათინაში იმ კანონის დამცველად, რომლის გაუქმებას ვინმე მოითხოვდა, ინიშნებოდა განსაკუთრებული ადვოკატი.

13) სოკრატის დიალეკტიკის ჩვეულებრივი მეთოდი.

14) სამუზო აღზრდა ანუ, განათლება-განათლება, რომელსაც მუზები მფარველობენ, ე. ი. სულიერი აღზრდა-განათლება წინააღმდეგ გიმნასტიკური-ფიზიკური-აღზრდისა.

15) ძველი ატტიკური კანონით ათინელი ჭაბუკი, როცა მას თვრამეტი წელი შეუსრულდებოდა, მოწიფულად და სრულწლოვანად მხოლოდ განსაკუთრებული გამოცდის შემდეგ ითვლებოდა (დოკიმასია ეჲს ანდრას). ეს გამოცდა აძლევდა მას საზოგადოებრივი სამსახურისა და წარჩინების უფლებას და იმაში მდგომარეობდა, რომ არკვევდნენ მის შთამომავლობასა და გვარტომობის კანონიერებას და აგრეთვე იკვლევდნენ მის ცოდნას სახელმწიფო დაწესებულებათა და საერთოდ, კეთილისა და ბოროტისას. ჭაბუკნი, რომელნიც მოიხდიდნენ ამ „მოწიფულობის გამოცდას“ (დოკიმასთენტეს), ჩაიწერებოდნენ ე. წ. ლექსიარხის ნუსხაში (ლექსიარხიკონ გრამმატეჲონ).

16) იგულისხმება სახალხო დღესასწაულები, სახელდობრ **ოლიმპიის, ნემეის, ისთმოსის და პითიის** ასპარეზობა. თეორია ნიშნავს ა) დღესასწაულს, ბ) აგრეთვე დესპანობას, რომელსაც საბერძნეთის სახელმწიფონი ოლიმპიის, ისთმოსის, ნემეისა და პითიის ასპარეზობაზედ დასასწრებად ჰგზავნიდნენ ხოლმე და გ) საღვთო დესპანობას, რომელიც ათინელთაგან დელოსზედ იგზავნებოდა ხოლმე (იხ. განმარტება 2).

17) სოკრატს არა თუ არაოდეს არ უმოგზაურნია, არამედ ქალაქიდგანაც კი თითქმის არაოდეს არ გასულა (პლატონის მოწმობა).

18) **თებასი** და **მეგარას** სახელმწიფოებრივი წესწყობილება ზომიერ-ოლიგარხიული იყო (ოლიგარხია ისონომოს). ბუნებითად ორივე ეს ქალაქი არისტოკრატიულ **სპარტას** თანაუგრძნობდა და ემხრობოდა.

19) **თესალიის** დიდებულნი განთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრით და სტუმართმოყვარეობით და აგრეთვე ბედოვლათობით და თავდაუჭერლობით.

20) **კორიბანტები** (კორიბანტეს) ფრიგიის ქალ-ღმერთის **კიბელეს** ქურუმნი და მხლებელნი იყვნენ. ამ ღმერთისათვის მოწყობილ ორგიების დროს იმართებოდა ველური როკვა და განგაშიანი ძნობა წინწილთა, ბობღანთა, ბუკთა და განსაკუთრებით ფრიგიული გასაგმირალი სალამურისა (ავლოს), რომლის გულმომწყვლელი ხმა ისე აგზნებდა და არეტიანებდა ბორგნეულ კორიბანტებს, რომ შეწყდომის შემდგომც ქურუმთა ყურებში კიდევ დიდხანს გასწიოდა. სალამურის ხმის ასეთს დამარეტიანებელ მოქმედებას ადარებს სოკრატი იმ გავლენას, რომელიც მოახდინა მასზედ კანონების სიტყვებმა.

(პროფ. ს. ჟებელ-ჯოვისა და ა. პოსპიშილის განმარტებათა მიხედულებით)

არიფიონი ჰერეთში

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

დიდათ მოხარული ვარ რომ რუსთველის ხეივანში გხვდები ღვინობისთვის ამ მზიან დღეს. თქვენი არიფიონის დაარსებამ სიბრძნის მოყვარულ ახალგაზრდობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. რაღაც ახალს სიტყვას ელიან ამ დაჯგუფებიდან. ყველანი კითხულობენ. არიფიონი რათ გქვიათ ან რას აკეთებთ? მე პირადათ მაინტერესებს თქვენი უკანასკნელი მოგზაურობის ამბავი, ვაქირში რომ წახველით. დრო როგორ გაატარეთ ან გზათ რა ნახეთ?

არიფიონელი

მეგობარო, ჩვენ კომუნიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ. შვიდი თუ ათი წელი შორის გზით მიმავალი ერისთვის შეიძლება დიდი მანძილი არ იყოს, მაგრამ ჩვენში მან წარსული საუკუნეების მოგონებანი გააღვიძა. თემობრივმა გრძნობამ დაიცვა ქართველი ხალხი გადაგვარებისა და გადაშენებისგან: უმისოთ ჩვენი წინაპრები ვერ გაუძლებდნენ უცხო ნათესავის შემოსევას, შეუჩერებელ ომებს, სიღატაკეს, ვერ აიტანდნენ მსოფლიო იმპერიების სიმძიმეს, ვერ გაუმკლავდებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, მონგოლ დამპყრობელებს, სპარსეთის შაჰებს, რუსის მეფეებს. თემის ინტერესი და თემის ბრძანება ქართველ კაცისთვის უზენაესი კანონი იყო. თვით ქალაქებშიც ჩვენ თაობამდე მოაღწია საშუალო საუკუნეების კორპორატიულმა სულმა: გუშინ კიდევ თფილისისა, სიღნაღისა და გორის ქუჩებში ამქრები დადიოდნენ მრავალფერადი დროშებით. თუმც ახალგაზრდა ხარ, მაინც გეხსოვნება, რომ სიტყვა ერთობა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ყველაზე საყვარელი სიტყვა იყო ქართველი გლეხისთვის.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

მაინც არ მესმის რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას არიფიონთან? და თუ ჩვენ რევოლუციისა და კომუნიზმის ხანაში ვცხოვრობთ — საშუალო საუკუნეები რაღა მოსატანია?

არიფიონელი

ჩემო კარგო, არც ოქტომბრის რევოლუცია, არც კომუნიზმი არ არის მწიგნობრული სიბრძნის ნაყოფი, ერთიც და მეორეც იმ კულტურის საფუძველზე შენდება, რომელსაც ევროპაში დღეს ევრაზიულ კულტურას უწოდებენ. ევრაზია არც ევროპაა და არც აზია, ერთიც არის და მეორეც. ჩვენ ევრაზიელები ისეთივე ახალგაზრდები ვართ, როგორც ევროპიელები საშუალო საუკუნეებში იყვნენ, ჯერ კიდევ ახლო ვდგევართ ბუნებასთან: მაგრამ ჩვენში ძლიერია უძველესი კულტურის მოგონებანი; განსაკუთრებით საქართველოს მიწაწყალზე, სადაც ბერძნის ახალშენებიც ყოფილან, რომაელთ ლეგიონებიც, არაბი მხედრებიც და ფრანკთა ჯვაროსნებიც. გადაჭარბებულ პატრიოტობაში ნუ ჩამომართმევ თუ ვიტყვი, რომ როგორც ევრაზიას ძველი მატერიკის შუაგული უჭირავს, ისე საქართველოს ევრაზიის შუაგული უჭირავს და მუდმივ ჭაღარა და მუდმივ ახალგაზრდა ტფილისის კედლებს ძველი და ახალი ქვეყნის ტალღები ეხეთქებიან როგორც ოკეანეს მიქცევა და მიმოქცევა.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

მაშ, გამოდის, რომ რევოლუციას რაღაც უკან დაბრუნება მოუხდენია, რაღაც გაახალგაზრდავება, როგორსაც ევროპაში უდროოთ დაბერებულ ადამიანებზე სქესობრივი ჯირყვლების განახლებით ახდენენ. და თუმცა თქვენ არიფიონელები, როგორც ვიცი, არც ხანში შესული ხალხი ხართ და არც უნაყოფო, მაინც, ალბათ, წინდახედულათ საშუალო საუკუნეების ალქიმიკოსებივით ცხოვრების ელექსირს ეძებთ, რათა დაუმჭკნარი ვაჟკაცობა შეინარჩუნოთ და ფილოსოფიურ ქვას, რათა ყოველივე თქვენი ნაწარმოები ოქროს ზოდათ აქციოთ.

არიფიონელი

შენი ირონიული შენიშვნა გონებამახვილობას მოკლებული არ არის. ჩვენ მართლაც ერთგვარი მაგიური ქიმიის მომხრენი ვართ: მაგრამ სიცოცხლის წყაროსა და ფილოსოფიურ ქვას მეგობრობასა და თანამშრომლობაში ვხედავთ. ხომ გახსოვს, რა მნიშვნელობით იხმარება სიტყვა არიფი ძველ ქართულ მწერლობაში? მოიგონე „ვეფხის ტყაოსნის“ ტაეპი:

> უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმათ მჯდომელი.
> წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.
> უსენ არიფი მეფისა და მეფე მისი მდომელი.
> აწ ნახო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწფელი, მსწრობელი.

არიფი თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი შეზარზოშებული ადამიანების კავშირია. მაგრამ ჩვენ ვითრობით არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებით. მოიგონე რგვალი მაგიდა, რომელსაც საშუალო საუკუნეებში კელტების მისტიური მეფე არტური და თორმეტი რაინდი უსხდნენ და ერთმანეთს „პარსიფალის“, „ტრისტანისა და იზოლდას“ ან „ლანსელოტის“ თავგადასავალს უამბობდნენ: მოიგონე პლატონის მიერ აღწერილი ნადიმი, სადაც სოკრატე და მისი მეგობრები სიყვარულის იდეას არკვევდნენ. არც ჩვენ გვინდა, რომ სუფრაზე ჯდომა მარტო ჭამასმასა და ღვინით დათრობას ნიშნავდეს. საქართველოში, სადაც როგორც უკვე გითხარი, ასე ძლიერია კლასიკური კულტურისა და საშუალო საუკუნეების რაინდობის ტრადიციები, მეგობრული სუფრა შემოქმედებისა და დახვეწილი გემოვნების დასაწყისშია და ბევრს ჩვენს მწერალს არგებს, თუ ის განმარტოებული კაბინეტიდან ან მტვრიანი წიგნთსაცავიდან ხანდახან გაშლილ სუფრას დაუბრუნდება.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

მაშ, თქვენ გინდათ პიროვნების როლი მოსპოთ ხელოვნებაში?

არიფიონელი

არა, ეს შეუძლებელიც არის და თუნდ შესაძლებელი ყოფილიყო — მავნებელი იქნებოდა. შემომქმედი პიროვნება კამკამა წყაროს ჰგავს, რომელიც უზრუნველათ გადმოსჩუხჩუხებს მთის მკერდიდან. მაგრამ, თუ მას სხვა პატარა ნაკადულები არ შეუერთდნენ, თუ მწვანე კორდებმა შესაფერი კალაპოტი არ მისცეს, ხოლო ხეების შტოებმა მზის სხივების მხურვალებისაგან არ დაიცვეს, იგი დაშრება ან უმნიშვნელო რუთ დარჩება, რომელიც ვერც ველს გაანაყოფიერებს, ვერც წყურვილს მოჰკლავს. პიროვნების გადაჭარბებულმა კულტმა გამოიწვია ხელოვნების კრიზისი ევროპაში. ევროპიელი ხელოვანი რომელიც გოტიურ ტაძრებს და კოშკებს აშენებდა და რაინდულ პოემებს მღეროდა, როცა უსახელო კოლექტივის შთაგონებასა და თანამშრომლობას იყენებდა, დღეს პიროვნების გაღმერთების ხანაში ულაზათო და უფორმო ყაზარმას აშენებს ან მოსაწყენ რომანს სწერს, სადაც დაუსრულებლივ ცოლქმრის ღალატისა ან შეყვარებულთა ავხორცობის ამბავია მოთხრობილი. ყოველ დიდ ხელოვნურ ნაწარმოებს რაღაც ზეპიროვნული ნიშანი აზის, უდიდეს შემოქმედებით პათოსს ყოველთვის კოლექტივის თანამშრომლობა და თანაგრძნობა იწვევდა. სხვათა შორის, ეს გავიფიქრეთ ჩვენ — არიფიონელებმა, როცა მაღაროს მაღლობებიდან სიღნაღის ციხე-გალავანს გადავხედეთ.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

განა ვაქირში მაღაროსა და სიღნაღის გზით წახვედით?

არიფიონელი

ჰო, ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ, ერთი იმიტომ, რომ არ გვინდოდა დიდხანს დავრჩენილიყავით უსუფთაო და უჰაერო მატარებელში და მეორეც, რათა სიღნაღის გორაკებიდან გვეგემნა სანახაობა, რომელიც განუმეორებელია თავისი მშვენიერებით. ტემპერამენტისა და გონებრივი ინტერესების თანახმათ ამ სურათმა სხვა და სხვა აზრთა მიმდინარეობა გამოიწვია ჩვენს შორის. პოეტები და მხატვრები განცვიფრებულნი იყვნენ ფერადების სიმდიდრით, მთის კონტურების სიმკვეთრით და ჰაერის გამჭვირვალობით, მონადირეები ლაპარაკობდნენ ალაზნის ტყეში მობინადრე ხოხობსა, შველსა და ტახზე, ღვინის მოყვარულები საუცხოოთ დამუშავებული ვენახების არშიას შეხაროდნენ, ხოლო სოციალური და ისტორიული ინტერესით გამსჭვალული არიფიონელები მოხიბლული იყვნენ სიღნაღის ციხე-გალავნის და კოშკების სიდიდითა, აღნაგობითა და სიმტკიცით. როგორ მოახერხა ასეთმა პატარა პროვინციამ ასეთი სიმაგრის აგებაო, იკითხა ერთმა არიფმა, რომელიც სიღნაღში პირველათ იყო. საყოველთაოდ ის აზრი გამოითქვა, რომ საშუალო საუკუნეებში საუცხოოთ სცოდნიათ საზოგადოებრივი შრომის დაწყობა და გამოყენება, და თუ ქართველი ერი დღემდე გადარჩა, ამას უნდა ვუმადლოდეთ არა მარტო ხმლითა და შუბით აღჭურვილ მხედარს, არამედ ჩაქუჩიან მამაკაცსაც და იმ უბრალო, უსახელო ბრბოს, რომელიც ალაზნის ან იორის ნაპირიდან გომბორის მთის კალთებამდე მწკრივდებოდა და ქვას ქვაზე ადებდა, რათა ის გმირთნაკვეთი გალავნები აეგო, რომელიც უჯარმას, თელავს და სიღნაღს გარს ეკროდა და თუ მტერი შემოიჭრებოდა, მთელი ჰერეთისა და კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას დაიტევდა.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

მაშ, გამოდის, რომ გარეგნული სხვა და სხვაობის მიუხედავათ რაღაც შინაგანი კავშირი ყოფილა ძველ არისტოკრატიულ საქართველოსა და თანამედროვე სოციალისტურ საქართველოს შორის. დღესაც ხომ იმას ვსცდილობთ, რომ ეროვნული შრომის ორგანიზაცია რაც შეიძლება გონიერათ მოვაწყოთ და უმცირესი ენერგიის დახარჯვით უდიდეს შედეგებს მივაღწიოთ?

არიფიონელი

ოღონდაც. თაობა თაობას მისდევს და კულტურის საგნობრივი გარემო ახლდება, მაგრამ იდეები აგრე რიგათ როდი იცვლებიან. სწორეთ მაღაროსთან, რომელიც ზემოდან გადასცქერის სიღნაღის კლდეებსა, ალაზნის ჭალებსა და შირაქის ველს, მეჩვიდმეტე საუკუნეში ორი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, რომელიც როგორც ყოველი ნამდვილი ომი, იდეათა შეჯახებაც იყო. კახეთის მეფე, სახელოვანი თეიმურაზ I სპარსეთის შეურიგებელი მტერი იყო და დამოუკიდებლობის იდეას იცავდა, ქართლის მეფე როსტომი, რომელიც შაჰის კარზე იყო აღზრდილი, იმ აზრს ადგა, რომ იმ დროის საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი იყო ძლიერი მეზობლის — სპარსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა. პირველათ მაღაროსთან თეიმურაზ მეფემ გაიმარჯვა. მაგრამ გავიდა სამიოდე წელი და იმავე მაღაროსთან როსტომის ჯარმა საბოლოოდ დაამარცხა კახთ ბატონი. ქართველობა პოლიტიკურათ მაშინ გათიშული იყო. ერთი ნაწილი თეიმურაზის მხარეზე იდგა. მეორე კი როსტომის ჯარში იბრძოდა სპარსელების გვერდით. მაგრამ მაჰმადიანური რწმენისა და სპარსული სიმპატიების მიუხედავათ, როსტომ მეფე ნაღდი მამულიშვილი და გონიერი მმართველი იყო და მან ბევრი გააკეთა ჩვენი ქვეყნის დამშვიდებისა და ეკონომიური აღორძინებისთვის. და როცა მასთან მაღაროს ბრძოლის შემდეგ კახეთის დედოფალი ხორეშანი მივიდა და ალყაშემორტყმული თეიმურაზ მეფის გაშვება სთხოვა, „არჩილიანის“ სიტყვებით რომ ვსთქვათ „მხევლის ნაშობმა მეფემან საქმე ჰქმნა ბედაურისა“ და მან თავის მოწინააღმდეგის მეუღლეს რაინდულათ ხუთასი თუმანი და ხუთასი ჯორცხენი აჩუქა, რათა კახეთის მეფე-დედოფალი ტაძრეულითა და ამალით იმერეთს გადასულიყო.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

მაშ, თქვენი აზრით, ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ ორიენტაციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც ეროვნული ენერგიის შენარჩუნებას და კულტურული ტრადიციის ჯაჭვის შეუწყვეტელობას?

არიფიონელი

თავის თავათ ცხადია. ბევრ მტერს გადაუთელავს ალაზნის ველი. როცა ამ უზარმაზარ ველს ზევიდან უცქერი, თითქო საკუთარი თვალით ხედავ ყიზილბაშ მხედრების წითელ ქუდებს და გესმის ლეკთა თარეშების ველური ყიჟინი. მაგრამ დღეს სადღა არიან შაჰაბასები, ნადირშაჰები, ხუნძახის ბატონები? აქ უცხო თესლი მოისრნა, მათ იერიშების ზღუდე დაედო, მათ მიერ გაშენებული დაბები გავერანდა, კახელი ქალების ძუძუები კი დღემდე არ დაშრეტილა და დღესაც ლალისა და ქარვის ფერი ღვინითაა სავსე კახეთის და ჰერეთის ქვევრები. და როცა ჩვენ სიღნაღიდან ვაქირში ჩავედით და ჩვენი არიფი მასპინძლის ეზოში შევსდგით ფეხი, დიასახლისებმა თავდაპირველათ ძველი ჩვეულების თანახმათ მარანში მიგვიპატიჟეს, რათა სავსე ჯამებით ოჯახი დაგველოცნა და პირველი შესაწირავი მიგვეძღვნა კერის ღმერთებისთვის.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

შეიძლება ეს ჩვეულება წარმართობის დროიდან მომდინარეობდეს?

არიფიონელი

მგონია, ასე უნდა იყოს. თუმცა კახეთი და ჰერეთი ყოველთვის მრავალფერად კულტურულ გავლენათა ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა მის ნოყიერ მინდვრებს და მზიან ფერდოებს მრავალ საუკუნის განმავლობაში ამუშავებენ, თუმცა აქ უძველესი ციხე-კოშკები და ტაძრებია აგებული, მაგრამ ალაზნის ჭალა დღესაც ისეთივე ხელუხლებელია, ხოლო კავკასიონის ვერცხლის სარტყელი დღესაც ისეთივე ქალწულებრივია, როგორც ქვეყნის გაჩენის დღეს. მონგოლების დაუჭედელმა ცხენებმა, სპარსელების ჯარებმა შარა გზები გასტკეპნეს, მაგრამ ვერ მოსდრიკეს და ვერ გასთელეს ქართველი ვაჟკაცის სული და იმ დროს, როცა ყარაღაჯში ან ბაზარში გამაჰმადიანებული მეფეები და სპარსელი ხანები ისხდნენ, კახელები გომბორისა და კავკასიონის მიუვალ კლდეებში იყვნენ შეხიზნულნი და აქედან ესხმოდნენ მტრებსა და მოღალატეებს. ამიტომ კახელმა და ქიზიყელმა გლეხმა დღემდე შეინარჩუნა უჯიათობა და ველური ენერგია, რომელიც, სტრაბონის მოწმობით, ძველ იბერიელებს ჰქონდათ. ალაგ-ალაგ მთებში დღესაც ცხვრის ტყავს ან რკინის ჯავშანს იცვამენ და მუზარადს იხურავენ. და ბოლოს, რა არის მათი ეგრეთ წოდებული დაცული ტყეები, მათი მუხნარები, თუ არ იგივე კლასიკური დროის ღვთაებრივი ჭალები და რა არის ღამის თევა, თეთრი გიორგის კულტი და ბატკნის მსხვერპლი, თუ არ წარმართობის ნაშთი? მგონია, არსებითათ შენობის სტილიც კი არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში. ამ მზიან ქვეყანაში ალბათ ყოველთვის ბანისებური სახურავები უყვარდათ, როგორც საბერძნეთსა და რომში და შენობას ალბათ ყოველთვის ფართო აივანს უკეთებდნენ სტუმრის მისაღებათ და მეგობრული სუფრის გასაშლელათ.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

უეჭველია, თქვენი სუფრაც აივანზე გაიშლებოდა. თამადათ ვინ აირჩიეთ ან საუბრის მთავარი ტემა რა იყო?

არიფიონელი

ვინ უნდა აგვერჩია თამადათ თუ არ ჩვენი ჰერეთელი მგოსანი, რომელმაც საუკეთესო ლექსები მიუძღვნა ქართული წარმართობის პანთეონს და რომელსაც ემარჯვება არა მარტო კალმის, არამდე ყანწის ხელში დაჭერაც? და რა უნდა ყოფილიყო ჩვენი საუბრის მთავარი საგანი თუ არ ქართული მწერლობის ბედი და აგრეთვე ოქტომბრის რევოლუცია, რომლის ათი წლის თავი კარზე გვადგა.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

ნუ თუ თქვენ ერთნაირათ გაინტერესებთ მწერლობა და პოლიტიკა?

არიფიონელი

მეგობარო, ჩვენ ერთმანეთში არ ვსთიშავთ კულტურის სხვა და სხვა დარგს, ჩვენ ვოცნებობთ იმ ჰარმონიულათ დამთავრებული ადამიანის მოსვლისთვის, რომელიც დილეტანტობის საზღვრებს გადალახავს, მაგრამ ყოველმხრივი ინტერესით იქნება გამსჭ-

ვალული, როგორც მაგალითათ კლასიკური დროის ბერძენი ან რენესანსის დროის იტალიელი იყო. გაიხსენეთ ჩვენი ძველი გამოჩენილი მწერლები. „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი დიდი მხედართმთავარი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მწიგნობარი იყო; დავით გურამიშვილი იყო არა მარტო რელიგიური და ისტორიული ინტერესით გამსჭვალული პოეტი, არამედ ზნეობის რეფორმატორიც და მისი ტრაგიკული პიროვნება ისევე დამახასიათებელია მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისთვის, როგორც მისი შემოქმედება. იგივე ითქმის მის უფროს თანამედროვესა, საბა სულხან ორბელიანზე, რომელიც ჩვენი კულტურის ისტორიაში დარჩება არა მარტო როგორც „სიბრძნე-სიცრუის“ ავტორი, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და მოგზაური. ამ ადამიანების მნიშვნელობა სცილდება მათი სამწერლო მოღვაწეობის ფარგლებს. და ჩვენ ქართული მწერლობის ტრადიციების საფუძველზე ვდგევართ, როცა ვამბობთ, რომ შეუძლებელია ცოცხალი ადამიანის განკვეთა, მისი გადაქცევა მანქანის ბორბლათ ან მისთვის რაღაც ეტიკეტის მიწებება. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღათ ვაქციოთ. ამ მხრით დიდათ განვსხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონური ოდების წერაში. ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ, თანადროულობა იმაში მდგომარეობას, რომ გაუხედნელი კვიცივით მისდიო და უჭიხვინო რევოლუციის ეტლს. მაგრამ ჩვენ არც იმ მუდამ პირქუშ ცრუმამულიშვილებს ვგევართ, რომელნიც იმავე ეტლს წყევლითა და ლანძღვით მისდევენ, თითქო რომაელი სატრიუმფო მსვლელობის სიკოფანტები იყვნენ.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

ნუთუ ოქტომბრის რევოლუციის დაფასებაში თქვენს შორის სრული თანხმობაა?

არიფიონელი

ჩვენ არ წარმოვადგენთ პოლიტიკურ შეჯგუფებას, მაგრამ ვფიქრობთ, მწერალი დღეს პოლიტიკის გარეშე ვერ დარჩება. ის მცირეოდენი განსხვავება, რომელიც ამ დარგში არიფიონელებს შორის არსებობს, შეიძლება უფრო ტემპერამენტისა და მგრძნობიარობის სხვა და სხვაობიდან გამომდინარეობდეს, ვიდრე აზროვნებისა ან მსოფლმხედველობიდან. როცა ჩვენს ნადიმზე პირადი სადღეგრძელოები გათავდა, როცა ჩვენმა ახალგაზრდა არიფმა მასპინძელმა, რომელმაც თითქო ორი სახელოვანი ქართველის — ვაქირელი იოანე ხელაშვილის და თავის ბიძის — ვაჟა ფშაველას სულიერი მემკვიდრეობა მიიღო, თავისი უკანასკნელი ლექსები წაგვიკითხა, საუბარმა თან და თან უფრო განყენებული ხასიათი მიიღო და ბოლოს ბუნებრივათ პოლიტიკის დარგს მიადგა. და ერთმა არიფმა, რომელიც ჩვენ შორის სკეპტიციზმით არის ცნობილი, რევოლუციის პერსპექტივების შესახებ ცოტა არ იყოს პესიმისტური სიტყვა წარმოსთქვა. — არიფებო, — სთქვა მან, — გაიხსენეთ თქვენი პირველი სიჭაბუკის ხანა, როცა ყველანი რევოლუციის ენტუზიასტები გავხდით. დღეს ძნელია იმ სულიერი კატასტროფის, იმ ძველ ღირებულებათა გადაფასების და ჩაშვავების გაგება, რომელიც ეგრეთ წოდებულმა მეცნიერულმა სოციალიზმმა მოახდინა საქართველოში. სხვაგან ყველგან, თვით დასავლეთ ევროპაში, სადაც ეს მსოფლმხედველობა წარმოიშვა და შემუშავდა, თვით რუსეთში, სადაც მან განსაკუთრებული ძალა მოიპოვა, მისი გავლენა უფრო იდეოლოგიური იყო, ჩვენში კი თითქო ატმოსფერო შესცვალა. ეს ნამდვილი რელიგიური კრიზისი იყო, ბევრმა თქვენგანმა ალბათ ეს კრიზისი პირადათ მწვავეთ განიცადა. ამ ფხიზელი აზროვნების წყალობით გაქრა საუცხოვო მოჩვენებათა ქვეყანა, რომელიც ქრისტიანობამ და ბუნების რელიგიამ შეჰქმნა, ჩვენ დავ-

კარგეთ რწმენა ღმერთების, ეშმაკების და კუდიანების, დავკარგეთ რწმენა, რომ გარდაცვლილ მეგობრებს შევხდებით სხვაგან, უნისლო ქვეყანაში. ეს სოფელი დაცალიერდა და საშინელი სიზმრის ხილვას დაემსგავსა, რაღაც მთვარის ლანდშაფტს, სადაც არც მწვანეა, არც ჰაერი და არც წყალი, სადაც მხოლოდ თეთრი, პირდაღებული, ჩამქრალი ვულკანებია. ჩვენ ველოდით, კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა და ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: ერთი რომ აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. და შემდეგ რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია. ამ გზით არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის დამარცხება და გადახალისება, ეს ყოველივე იქ უკეთ არის მოწყობილი. ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწვა ძველი ილუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნოებისაკენ: მაგრამ სული დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება.

ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა არიფებზე. მაგრამ ყველანი ვგრძნობდით, რომ მას მაინც დამაჯერებელი ძალა აკლდა. ჩვენი სკეპტიკოსი არიფი გულგატეხილი იყო რევოლუციით, მაგრამ სხვა გზა ვერ ეჩვენებინა, რადგან უკან დასახევი ხიდები ჩატეხილათ მიაჩნდა. ამიტომ დიდის ყურადღებით მოვისმინეთ რევოლუციის დასაცავი სიტყვა, რომელიც მის საპასუხოთ, მისმა ანტიპოდმა, ჩვენმა რომანტიკოსმა მეგობარმა წარმოსთქვა. მან უწინარეს ყოვლისა ნახევრათ სერიოზული, ნახევრათ სახუმარო ტონით ქება შეასხა გარეულ ფრინველთა მეფეს ხოხობს, რომელიც ლანგარზე იდო სუფრის შუა ადგილას, შემდეგ მანდილოსნებს, რომელთაც ეს ფრინველი ასე საუცხოვოთ მოამზადეს. მეგობრებო, სთქვა მან, მე მგონია მართალია ერთი გერმანელი მატერიალისტი, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი არის ის, რასაც იგი სჭამსო. ხოხობი კულტუროსანმა კაცობრიობამ პირველათ ჩვენს ქვეყანაში გაიცნო, იგი ევროპაში ფაზისის ფრინველათ არის ცნობილი. თუ იბერიის და კოლხეთის ქალები ისევე მშვენიერნი არიან, როგორც ტყის პირათ წამოფრენილი ხოხობი, ეს იმით აიხსნება, რომ ისინიც მასავით მაყვლით, შინდით და თავთუხის ხორბლით იკვებებიან და მასავით დილის ცვარს და კამკამა წყაროს სვამენ. როგორც არ უნდა დავაფასოთ საბოლოოდ მატერიალისტური ფილოსოფია, ამ მსოფლმხედველობას დიდ დამსახურებათ ჩაეთვლება, რომ მან ამოავსო გარდაუალი უფსკრული, რომელიც ებრაულმა და ქრისტიანულმა აზროვნებამ ადამიანსა და ბუნებას შორის გასთხარა. ადამიანი ხელახლა გრძნობს, რომ იგი მონაწილეა დიდი რიტმისა, რომელიც ამოძრავებს სამყაროს. აქედან მთელი ბუნების გაცხოველებამდე, მისი ღვთაებრივი დასაწყისის შეგრძნობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. მაგრამ თქვენ გინდათ რევოლუციამ ათი წლის მანძილზე გააკეთოს ის, რაც სხვაგან მთელი საუკუნეების განმავლობაში კეთდებოდა. ფარაონები თავიანთი ძეგლების აგებას გამეფებისთანვე იწყებდნენ, მაგრამ ვერ ასწრებდნენ და როგორც პირამიდებსა, ისე ნილოსის არხებს მათი მემკვიდრეები და მემკვიდრეთა მემკვიდრეები ამთავრებდნენ. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, რამდენიმე თაობამ იმუშავა ჯვრის მონასტრის შენობაზე, რომელიც მცხეთას გადაჰყურებს ზემოდან და მის კედელზე სამი აღმშენებლის, სამი იბერიელი მთავრის — სტეფანოზის, დემეტრეს და ადარნესეს ბარელიეფი უნდა იყოს გამოქანდაკებული. ამიტომ რა გასაკვირალია, თუ ეს შენობა მხატვრული თვალსაზრისით უფრო მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე იქვე მტკვრის პირას აგებული ელექტრონის სადგური? შემოქმედებას წყნარი ფიქრი სჭირდება, ეს შეუძლებელი იყო რევოლუციის ქარიშხლის დროს. მაგრამ რევოლუციამ საძირკველი მოამზადა ახალი ძეგლების ასაგებათ. საბჭოთა ქვეყ-

ნის მოწინააღმდეგეები ხშირათ ამტკიცებენ, რომ რუსის კომუნისტები წარმოშობითა და ინსტინქტებით უფრო მონგოლები არიან, ვიდრე სლავიანები და, როგორც ჩინგის ყაენის და ბათო ნოინის შთამომავალთ, მათ უფრო დანგრევა ემარჯვებათ, ვიდრე აღმშენებლობაო. ჰო, რუსის კომუნისტები გაშლილი ტრამალების შვილები არიან, მათ ძარღვებში შეიძლება, მართლაც, ერიოს მონგოლური სისხლი, შეიძლება ლენინის პროფილი მართლაც, გვაგონებდეს რომელიმე ნოინის პროფილს, მაგრამ ამას ნაკლათ მიიჩნევს მხოლოდ ის, ვინც ინდო-გერმანული რასიული ზვიადობითაა გამსჭვალული. ამაშია სწორეთ ლენინისა და მისი მიმდევრების სიძლიერე, რომ მათ გულუბრყვილო და გაუტეხელი ბუნების შვილების თვალით შეხედეს უაზროთ გართულებულ და დახლართულ ცივილიზაციას და, თუმცა მათი ტემპერამენტი რამდენიმეთ მოთვინიერდა ჟენევის თუ პარიზის წიგნთსაცავებში მუშაობის დროს, მაგრამ ბურჟუაზიული ევროპის წინააღმდეგ უფრო მძაფრი იერიში მიიტანეს, ვიდრე მტრის წინააღმდეგ ოდესმე რომელიმე მონგოლ დამპყრობელს მიუტანია. მაგრამ ნგრევის პერიოდი დამთავრდა და იწყება აღმშენებლობის პერიოდი. და დიდათ ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თან და თან ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ. ეს როდია გასაკვირალი. საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით. ამასგარდა დღევანდელი ქართველობა ისეთივე შეუდრეკელობას იჩენს რევოლუციის მემკვიდრეობის დაცვაში, როგორსაც ჩვენი წინაპრები სარწმუნოების და ეროვნული თავისებურობის დაცვაში იჩენდნენ. ეს თუ გნებავთ, ერთგვარი რელიგიური ექსტაზია. მე მწამს, რომ საქართველოს უღრან ტყეებიდან და სუროიან ციხე კოშკებიდან გამოსული ადამიანები ძლიერ ნაკადს შეიტანენ ახალი რწმენის შემუშავებასა და ახალი კულტურის დამყარებაში. მართალია, ჩვენი პლანეტა დიდია, ახალი რელიგიის მიმდევარნი კი ჯერ მცირე რიცხოვანნი არიან, მაგრამ განა განახლება ყოველთვის რჩეულ უმცირესობას არ დაუწყია? ყველგან დედამიწის ზურგზე — ევროპასა, ინდოეთსა, ჩინეთში, ახალმატერიკებზე ჩნდებიან წელმაგარი და ფესვგადგმული არისტოკრატიული ჯიშის წარმომადგენლები, რომელნიც ერთმანეთს უყივიან ღამის გუშაგებივით, რათა, როცა დრო მოვა, მწყობრათ დაირაზმონ და მაკედონელ ფალანგებივით, ჯვაროსან რაინდებივით ან თავმოპარსულ არაბ მხედრებივით მტრის ბანაკის თხრილებში შეიჭრნენ...

ამ სიტყვების შემდეგ, რომელიც ჩვენმა რომანტიკოსმა მეგობარმა წარმოსთქვა, ხანგრძლივი დუმილი დამყარდა. უკვე შუაღამე ახლოვდებოდა. ეზოდან წისქვილის ხრიალი მოისმოდა, ვეებერთელა ბორბალი ნელა ტრიალებდა ბნელი კედლის ფონზე, ხოლო შორს, ჭიაურის ტყის მახლობლათ, მთვარის შუქზე ალაზნის რკალი ლაპლაპობდა.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა

უკან როგორღა დაბრუნდით?

არიფიონელი

კარგათ არც კი მახსოვს. ჩვენ შეზარხოშებული ვიყავით უფრო ნახულითა და განცდილით, ვიდრე ღვინით, ჩვენი ვაგონი მაჭრის სუნით იყო გაჟღენთილი, კედლებზე ყურძნის აკიდოები ეკიდა; როცა გათენებისას მთვრალი კახეთის მატარებლის ბარბაცი შესწყდა, ჩვენ უკვე ტფილისში ვიყავით.

გერონტი ქიქოძე

ავტორთა საძიებელი

ა. ნაქერალელი (კობახიძე გრიგოლ) — 53, 213
აბრამია პოლიო — 525
აბულაძე ბიძინა, ბ. ა., ბ. შ., ა-ბ-ი — 285, 330, 361, 366, 379, 380, 431, 448, 450, 507
აგარელი (ციცქიშვილი) გობრონ — 44, 64, 75, 76, 77, 130, 212, 239
ალხაზიშვილი შალვა — 287, 288, 290, 332, 372, 425, 455, 498
ასათიანი ლევან, ლ. ა-ნი — 473, 505
აუშტროვი ანტონ — 62

ბააზოვი გერცელ — 187, 240
ბაბილინა (ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილი ბაბილინა) — 47, 50, 51, 77
ბელიაშვილი აკაკი — 290, 292, 295, 386, 463
ბოჭორიშვილი მიხეილ, ადონისი, მირბახ — 15, 63, 111, 140, 149

გაბესკირია ალექსანდრე — 526, 528
გაროკური ედმონ — 111
გარრიკი (ვაჩნაძე) ვახტანგ — 73, 210, 226, 250, 254
გაჩეჩილაძე დავით — 389, 390, 451
გაჩეჩილაძე კონსტანტინე — 242
გაწერელია აკაკი — 428, 479
გერგესელი ნ., ნ. გე-ლი (კვერნაძე ნიკოლოზ) — 91, 145, 248
გველესიანი ლადო — 520
გოგოხია რაუდ — 521, 522
გორგაძე ვასო — 570
გუნია ვალერიან — 147

დადიანი შალვა — 552
დარვიში ყარა — 62
დე-ლილ-ადან ვილე — 107
დემეტრაძე შალვა — 529
დოლიძე სიმონ — 396, 499
დონდუა ვარლამ — 61, 84, 107, 135, 190, 218, 245

ებრალიძე კონსტანტინე (კოკი) — 523, 525
ელიაშვილი ივანე — 125
ერთაწმინდელი (ბატკუაშვილი) სეზმან — 79, 100
ესაკია ლეო — 499

ვადაჭკორია პ. — 195
ვართაგავა იპოლიტე — 27

ზდანევიჩი კირილ — 192
ზედგინიძე ნ. — 31

თაგორი რაბინდრანათ — 209
თეო იანელი (კეკელიძე თეოფილე) — 209, 227
თუში — 131

ია ეკალაძე (ცინცაძე იაკობ) — 20
იასამანი (კინწურაშვილი მიხეილ) — 12
ინდო სოსანიშვილი (ჩხენკელი) — 257
იოსელიანი სეიფოლა — 80

კაკაბაძე დავით — 459
კალატოზიშვილი მიხეილ — 481, 500
კაპანელი (ჭანტურია) კონსტანტინე — 669
კასრაძე სტეფან — 404, 489
კეჭაღმაძე ნ. — 235, 255
კვაჭაძე გ. — 532

ლ. ნაზისი (მეგრელიძე ლიდია) — 268

მ. რონელი (პიასეცკისა ბარბარე) — 102
მალაქიაშვილი ვ. (ხუროძე ვარლამ) — 206
მანწკავა ისიდორე — 258
მარსდეანი დ. — 515
მაღულარია ალექსანდრე — 54, 240
მგელაძე საფო (გიგინეიშვილი სოფიო) — 15, 53, 185
მელიქიშვილი ბასილ — 617
მეტრეველი ლევან — 595
მთვალავი — 149
მირიანაშვილი პეტრე — 275
მოსაშვილი ილო — 46, 47, 583
მრევლიშვილი მიხეილ — 604
მღვიმელი (ქუჩუკიშვილი) შიო — 45

ნ. ელიანი (საყვარელიძე პავლე) — 92
ნარკანი (კურდღელაშვილი ნიკო) — 82
ნემსაძე კაპიტონ — 534
ნოზაძე პავლე — 295

პავლიაშვილი დავით — 95, 261
პალლადინი — 277
პლატონი — 670

ჟურული ვარლამ — 460
ჟღენტი ბესარიონ, ბ. ჟ. — 307, 340, 377, 438, 440, 447

რ. ი. (ინგილო-ივანიცკი რაფიელ) — 36
რომანიშვილი შალვა — 33
რუხაძე ვარლამ — 11
რუხაძე ილია — 196

ს. რემონიძე (თავართქილაძე სილიბისტრო) — 157
სანდრო რიმანელი (ყანჩელი ალექსანდრე) — 14
სიდოშვილი ევგენი (ბაკურაძე ლადო) — 214, 237
სირანო (ქვარიანი სიმონ) — 271
სიხარულიძე თომა — 273
სულიაშვილი დავით — 581

ტაბიძე გალაკტიონ, NN, სპონდეჲ– 9, 19, 43, 75, 99, 126, 127, 130, 146, 184, 185, 212, 267, 268, 276
ტატიშვილი იოსებ — 639
ტერენტი გრანელი (კვირკველია) — 131
ტოფაძე ირაკლი, ი. ტ. — 10, 93, 141
ტრეტიაკოვი სერგეი — 500
ტუქსიშვილი (ჩოხელაშვილი) ვასო — 238

უზნაძე მ. — 55
ურუშაძე სამსონ — 16, 48, 50

ფლორელი ვალ. — 214

ქავთარაძე პეტრე — 681
ქავჟარაძე ირودიონ — 183, 232
ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ) — 634
ქიქოძე გერონტი — 690
ქნარი (გვანცელაძე იოსებ) — 14, 54, 101
ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი — 13

ღვინიაშვილი ანა — 156, 260
ღოღობერიძე დავით — 94
ღოღობერიძე ნუცა — 500

ყანჩელი ირაკლი — 19, 49, 102, 215, 241
ყიფიანი იოანე — 267

შანშიაშვილი სანდრო — 539, 540
შენგელაია დემნა — 66, 70, 154, 316, 358, 412, 439, 485
შენგელაია ნიკოლოზ — 309, 398, 399, 400, 501

ჩაჩავა ნიკოლოზ — 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 326, 357, 405, 406, 407
ჩიქოვანი სიმონ, ს. ჩ., ს-ჩ-ი — 303, 304, 306, 319, 349, 414, 415, 416, 421, 437, 493, 495, 506
ჩხიკვაძე ნოე — 12

ცეცხლაძე გრიგოლ — 513, 518, 519
ცისკარელი ავთანდილ — 187

ძიძიგური ლავროსი — 13, 232

წეველი (გაჩეჩილაძე) სიმონ — 17
წერეთელი დავით — 115
წერეთელი მიქელ — 516, 529, 530
წილოსანი ვლადიმერ — 29, 32, 65

ჭიჭინაძე კონსტანტინე — 554, 555, 657
ჭყონია ალექსანდრა — 186

ხინველი ისაკ — 17, 55
ხომლელი (ფანცხავა რომანოზ) — 23

ჯავახიშვილი მიხეილ — 568
ჯანაშვილი მოსე — 278
ჯანბერიძე შალვა — 56, 57, 58

სარჩევი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 3 დეკემბერი, №1

გალაკტიონ ტაბიძე 9
ირაკლი ტოფაძე — გალაკტიონი 10
ვარლამ რუხაძე — მე კვლავ თქვენთან ვარ 11
ნოე ჩხიკვაძე — დაუბეჭდავი ლექსი 11
იასამანი — ბედი პოეტის 12
გიორგი ქუჩიშვილი — „ლექსი ანდერძიდან“ 13
ლავროსი ძიძიგური — გალაკტიონ ტაბიძეს 13
ქნარი — გალაკტიონ ტაბიძეს 13
სანდრო რიმანელი — ენტუზიაზმი 14
ადონისი — ფანტასმაგორია 14
საფო მგელაძე — პრელ«უდიები 15
სამსონ ურუშაძე — უცხო ჩვენებას 16
სიმონ წეველი — მავრა 16
ისაკ ხინველი — „საღამოს ლოცვები“-დან 17
გალაკტიონ ტაბიძე — ალზიორა 17
ირაკლი ყანჩელი — ანელებული ლეგენდა 19
ია ეკალაძე — ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს 20
ხომლელი — გალაკტიონ ტაბიძე 20
იპოლიტე ვართაგავა — ვასილ ბარნოვი 23
ვლადიმერ წილოსანი — ექსკურსია მცხეთაში 27
ნ. ზედგინიძე — ძეგლები ტფილისში 30
ბიბლიოგრაფია 31
რ. ი. — დადაისტები 33
მატიანე 37
ფოსტა 39

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 10 დეკემბერი, №2

გალაკტიონ ტაბიძე 43
გობრონ აგარელი — შორეული ფიქრები წვიმაში 44
შიო მღვიმელი — ნატვრა 45
ილო მოსაშვილი — ჩემი გზა ვრცელი 45
ილო მოსაშვილი — ალილო ღამეს 46
ილო მოსაშვილი — ღამე ჩემს სოფელში მუდამ ერთნაირი 47
ბაბილინა — * * * „რაკი უცეცხლოდ...“ 47
სამსონ ურუშაძე — * * * „ამეღამ მთვარეს...“ 48
ირაკლი ყანჩელი — როლი ნიაღვარში 48
სამსონ ურუშაძე — კაენი 49
ბაბილინა — მსხვრევა 50
ბაბილინა — * * * „ახ, ამცდებოდა უბედურობა...“ 51
საფო მგელაძე — პრელიუდიები 51
ა. ნაქერალელი — ელეგია 53

ალექსანდრე მაღულარია — შუაღამე ქალაქში 54
ქნარი — ჩემი წამება იწყება ღამე 54
ისაკ ხინველი — შემოდგომის ფრაგმენტი 55
მ. უზნაძე — ღამურა 55
შალვა ჯანბერიძე — ნესტიან ოთახიდან 56
შალვა ჯანბერიძე — ო, ანგელოსნო, იყავით დები 57
შალვა ჯანბერიძე — ჰედის დღეობა 57
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 58
ყარა დარვიში (ანტონ აუშტროვი) — ვინ ვარ მე 62
მიხეილ ბოჭორიშვილი — საუბარი ძაღლთან 62
გობრონ აგარელი — უხილავი საქართველო 63
ვლადიმერ წილოსანი — ექსკურსია მცხეთაში 64
დემნა შენგელაია — იაკობ ნიკოლაძე 65
დემნა შენგელაია — გალაკტიონ ტაბიძე 66
ვახტანგ გარრიკი — ხელოვნება და წამება 70

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 17 დეკემბერი, №3

გალაკტიონ ტაბიძე — ეფემერა 74
გობრონ აგარელი — თეთრი რონდელი 75
გობრონ აგარელი — სიჩუმის დღეებიდან 76
გობრონ აგარელი — სინანული ჩემზე 76
გობრონ აგარელი — მკრთალი მელანქოლია 77
ბაბილინა — * * * „შენსკენ ვისწრაფი...“ 77
სეზმან ერთაწმინდელი — პოემიდან: „მარაბდა“ 78
სეოფილა იოსელიანი — სამშობლოს ხილვით აღტაცებული 79
ნარკანი — ჩემს მაესტროს 80
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 82
ნ. გერგესელი — სამრეკლო უდაბნოში 85
ნ. ელიანი — მწერლობისათვის 92
ი. ტ. — სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი 92
დავით ღოღობერიძე — ცახელი 93
დავით პავლიაშვილი — ორი პორტრეტი 94
მატიანე 95

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 24 დეკემბერი, №4

გალაკტიონ ტაბიძე — ისევ ეფემერა 98
სეზმან ერთაწმინდელი — იქიდანვე 100
ქნარი — ღამე 101
ირაკლი ყანჩელი — იშვიათი ხილვა 101
მ. რონელი — განახლების გზით 102
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 103
ვილიე-დელილ ადან (მიხეილ ბოჭორიშვილი) — ბრბოს მოუთმენლობა 107
ე. გაროკური (დავით წერეთელი) — შურისძიება 111

ივანე ელიაშვილი — უკვდავების ხე 116
მატიანე 125

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 1 იანვარი, №5

გალაკტიონ ტაბიძე 126
გალაკტიონ ტაბიძე — საახალწლო ეფემერა 126
გალაკტიონ ტაბიძე — ზღვის ეფემერა 128
გობრონ აგარელი — უეცარი სინაზე 130
ტერენტი გრანელი — შორეული ყვავილები 131
თუში — გალაკტიონ ტაბიძეს 131
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 132
მირბახ — 1922 წ. ლიტერატურულ კრიტიკის მიმოხილვა 135
ირაკლი ტოფაძე — მხატვრობა საქართველოში 1922 წ. 140
ნ. გე-ლი — ჩვენი თეატრი 141
სპონდეი — სიტყვა-კაზმული მწერლობა 145
ვალერიან გუნია — ვალერიან გუნიას სიტყვა არტურ ლეისტის იუბილეიზე 147
მთვალავი — ხელოვნების სასახლე 1922 წ. 148
მიხეილ ბოჭორიშვილი — ახალი წელი 149
დემნა შენგელაია — ზღვა 150
ანა ღვინიაშვილი — დაქვრივებული სასახლე 154
ს. რემონიძე — გალოცვა 156
ირრადიონ ქავჟარაძე — ჩვენი ნაცნობები 157
რედაქციისგან 183

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 7 იანვარი, №6

გალაკტიონ ტაბიძე — ეფემერა 184
გალაკტიონ ტაბიძე — მშობლიური ეფემერა 185
საფო მგელაძე — N-ს 185
(ალექსანდრა ჭყონია) — ყვავილნი ჩემი სიყვარულისა 186
გერცელ ბააზოვი — მესსია 186
ავთანდილ ცისკარელი — * * * „შემთხვევა მწყალობს...“ 187
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 188
კირილე ზდანევიჩი — მხატვრების პროფილები 191
პ. ვადაჭკორია — ხელოვნება 192
ილია რუხაძე — პირველი სისხლი 195
ვ. მალაქიაშვილი — ბაბილონის გოდოლი 197
თეო იანელი — ღამის ლანდები 207
რაბინდრანატ თაგორი (ვახტანგ გარრიკი) — მებაღე 209

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 14 იანვარი, №7

გალაკტიონ ტაბიძე — ქალაქში 211
გობრონ აგარელი — ლანდების აგონია 212
ა. ნაქერალელი — შემოღამების ესკიზი 213

ევგენი სიდოშვილი — ნანა 213
ვალ. ფლორელი — ეპიტაფია წაგებულს სულს 214
ირაკლი ყანჩელი — ღამე შურისძიების 215
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 215
ვახტანგ გარრიკი — სულის მოგზაურობა 219
თეო იანელი — წამების წელი 226
ირრადიონ ქავჟარაძე — კურტან-ქვეშ 227
ლავროს ძიძიგური — რაბინდრანატ თაგორიდან 232
ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა — მიმართვა ქართველ მხატვრებს . 233
ნ. კეჭაღმაძე — ცისა და დედამიწის შუამავალი 234

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 4 თებერვალი, №8

საიუბილეო კომიტეტი — შალვა დადიანი 236
ევგენი სიდოშვილი — ლანდი 237
ვასო ტუქსიშვილი — კოცნა მთის ეშხზე 237
გობრონ აგარელი — წვიმა თვალებში 238
გერცელ ბააზოვი — ლეგენდებიდან: სამი მგოსანი 239
ალექსანდრე მაღულარია — ილიუზია 240
ირაკლი ყანჩელი — რკალიდან: ღამეებში 241
კონსტანტინე გაჩეჩილაძე — გადახრილი ხაზები 241
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (ვარლამ დონდუა) — ჰერმან და დოროთე 242
ნ. გერგესელი — შალვა დადიანი 246
ვახტანგ გარრიკი — გალაკტიონ ტაბიძე 248
ვახტანგ გარრიკი — მუნე-სიულლი 251
ნ. კეჭაღმაძე — ქართული ლხინი 254
ინდო სოსანიშვილი — თეთრი ღამის ზღაპრებიდან 255
ისიდორე მანწკავა — ახალი საუკუნის დასაწყისი 258
ანა ღვინიაშვილი — * * * „ის იდგა ტყის პირას...“ 259
დავით პავლიაშვილი — სულის ნობათი შალვა დადიანს 260
შალვა კარმელი 261

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 12 აგვისტო, №9

გალაკტიონ ტაბიძე — გრიგალი 264
იოანე ყიფიანი — ტირილი ღამეში 267
ლ. ნაზისი — საღამო 268
NN — ცისფერი 268
სირანო — დოლორესა 269
თომა სიხარულიძე — მონუმენტალური თეატრი 272
პეტრე მირიანიშვილი — აბესალომ და ეთერი 273
NN — სახელგამომცემლობა 275
პალლადინი — ქართული პოლემიკა 276
მოსე ჯანაშვილი — ბიბლიოგრაფია 277
მატიანე 278

„ლიტერატურა და სხვა“, 1924-1925, №1

ბიძინა აბულაძე — მელანხოლია 285
შალვა ალხაზიშვილი — პოემიდან: ლენინიადა 286
შალვა ალხაზიშვილი — 100■ 287
შალვა ალხაზიშვილი — * * * „სახე დათუთქული...“ 289
აკაკი ბელიაშვილი — ლექსი რაღაცას შესახებ 290
აკაკი ბელიაშვილი — * * * „გადავწყვიტე რომ...“ 291
აკაკი ბელიაშვილი — კონსტრუქციები 292
პავლე ნოზაძე — მელანხოლია მეცამეტეჯერ 295
ნიკოლოზ ჩაჩავა — ხისმანდური 296
ნიკოლოზ ჩაჩავა — ჰაეროდრომზე■ 296
ნიკოლოზ ჩაჩავა — მონადირეთა 296
ნიკოლოზ ჩაჩავა — შელოცვა მთვარისეულებს 297
ნიკოლოზ ჩაჩავა — შანდი და შროშანა 297
ნიკოლოზ ჩაჩავა — კონტრასტები 297
ნიკოლოზ ჩაჩავა — აბრეშუმი თირისტარზე 298
ნიკოლოზ ჩაჩავა — ხელხვავი 299
ნიკოლოზ ჩაჩავა — მზეთუნახავი ხაო 299
ნიკოლოზ ჩაჩავა — ზღაპარი ცხრამთასიქით 300
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლირიკა 302
სიმონ ჩიქოვანი — რევოლიუციონურ მინდვრების შესახებ 303
სიმონ ჩიქოვანი — მეკამეჩეების ურმული 303
სიმონ ჩიქოვანი — წინა დღეები■ მოსკოვი 304
სიმონ ჩიქოვანი — პრიმიტივი სიმღერის მასალა „ცირა“ 305
ბესარიონ ჟღენტი — პლასტო პოემა 306
ნიკოლოზ შენგელაია — გაგრძელება 308
ნიკოლოზ შენგელაია — ნეგატივი 309
დემნა შენგელაია — „ხვითო“ 309
სიმონ ჩიქოვანი — მყინვარი 317
ნიკოლოზ ჩაჩავა — ინციდენტები 322
ბიძინა აბულაძე — უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში 327
შალვა ალხაზიშვილი — პოეზია nec plus ultra 330
ბესარიონ ჟღენტი — 1. თვით პოეტიკაზე 332
2. ფორმა და შინაარსი 333
3. პასსეიზმი და ფუტურიზმი 334
4. ღმერთიდან — ნივთამდე 334
5. ნივთი 334
6. სიუჟეტი 335
II „ცისფერი ყანწები“ 336
III პროლეტარული პოეზია 339
სიმონ ჩიქოვანი — ახალი ხელოვნების ფაქტები 341
ნიკოლოზ ჩაჩავა — ბგერათა ორიენტაციის საკითხი 350
დემნა შენგელაია — Comentaria de bello Galico 357
ბ. შ. — „ხელოვნების დროშა“, „დროშა“ 359
ბ. ა. — მნათობი 361

მემარცხენეობა, 1927, №1

მემარცხენეობა 369
შალვა ალხაზიშვილი — ბანზაი შანხაი 371
ბესარიონ ჟღენტი — მემარცხენეობის საზღვრები 372
ბიძინა აბულაძე — ტფილისის მზეზე 377
ბიძინა აბულაძე — ბუტაფორა 379
აკაკი ბელიაშვილი — რომანიდან: ავადმყოფი რასსა 380
დავით გაჩეჩილაძე — ზელიმხანი 387
დავით გაჩეჩილაძე — მგოსანი და სიკვდილი ბულბულისა 389
სიმონ დოლიძე — გუშინდელი დილა პროვინციალურ დაბაში 390
ნიკოლოზ შენგელაია — მონადირე 398
ნიკოლოზ შენგელაია — მზის ჩასვლა 398
ნიკოლოზ შენგელაია — პოემიდან: გარემოება 399
სტეფან კასრაძე — ამბავი: მეჯინიბე 400
ნიკოლოზ ჩაჩავა — ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ 404
ნიკოლოზ ჩაჩავა — თოლიგეს სიმღერა 405
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლაპარაკი შოფერთან პოეტების გასაგონად 406
დემნა შენგელაია — რომანიდან: მუხა 407
სიმონ ჩიქოვანი — პოემიდან: ჩემი დანაშაული 413
სიმონ ჩიქოვანი — მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს 414
სიმონ ჩიქოვანი — ქარბორია 416
სიმონ ჩიქოვანი — ახალი ყოფა და ახალი პოეზია 417
შალვა ალხაზიშვილი — მემარცხენე მხატვრობის პერსპექტივები 421
აკაკი გაწერელია — დემნა შენგელაია 425
ბ. ა. — „ქართული მწერლობა“ 428
ს. ჩ. — „პროლეტარული მწერლობა“ 432
ბ. ჟ. — „საბჭოთა ხელოვნება“ 437
დემნა შენგელაია — ნიკოლო მიწიშვილი — „თებერვალი“ 438
ბესარიონ ჟღენტი — მუშათა თეატრი 439

„მემარცხენეობა“, 1928, №2

მემარცხენეობა 442
ბესარიონ ჟღენტი — დღევანდელობის დირექტივები 443
ბიძინა აბულაძე — ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის 447
ბიძინა აბულაძე — საარაკო ბრძოლა წყალდიდობასთან ხაშურში და ლენინაკანში 449
დავით გაჩეჩილაძე — გუთანი 451
შალვა ალხაზიშვილი — ახალი ხელოვნების კვალიფიკაცია 452
დავით კაკაბაძე — დღევანდელი ჩვენი არხიტექტურა 455
ვარლამ ჟურული — პატრიოტიზმის დასასრული 459
აკიკი ბელიაშვილი — ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია 461
ლევან ასათიანი — პოეზია და ზაუმი 464
აკაკი გაწერელია — ახალი ლექსალობის შესახებ 473
მიხეილ კალატოზიშვილი — კინო-მასალის ჩვენების მეთოდები 480
დემნა შენგელაია — თეთრი დღეები 481

სტეფანე კასრაძე — ურთიერთობა 485
სიმონ ჩიქოვანი — ბედი — რესპუბლიკა 489
სიმონ ჩიქოვანი — ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე 493
შალვა ალხაზიშვილი — დავით კაკაბაძის მხატვრობა 495
ლეო ესაკია, ს. დოლიძე — კინო-სურათ „სამანი“-ს დადგმა 498
სერგეი ტრეტიაკოვი — მტერს ნუ დავეხმარებით 499
მიხეილ კალატოზიშვილი, ნუცა ღოღობერიძე — სურათი კინო-ქრონიკა 500
ნიკოლოზ შენგელაია — რამოდენიმე წინასწარი შენიშვნა სურათ „ელისოს“ შესახებ 501
ლ. ა-ნი — „მემარცხენეობის“ შენიშვნების კუთხე 501
ს-ჩ-ი — უვიცობა ახალგაზრდობის სახელმძღვანელოდ 505
ა-ბ-ი — ამოცანები 507
„მემარცხენეობის“ რედაქცია — ნაწყვეტი სახელგამის საქმიანობიდან 507
მემარცხენე ფრონტის კინო-მუშაკთა პირველი თათბირი 19 თებერვალს, 1928 წ. 508

„მოქმედება“, 1927, №1

გრიგოლ ცეცხლაძე — მოქმედებისათვის 511
დ. მარსდეანი — ხელოვნება და ფილოსოფია 513
მიქელ წერეთელი — ნახაზები 515
გრიგოლ ცეცხლაძე — როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთაგორებს 517
გრიგოლ ცეცხლაძე — მაზანდამანის შაქარი 519
ლადო გველესიანი — ათასი ფიქრი თავში ფეხს შემოდგამს 520
ლადო გველესიანი — მე და შენი სიყვარული 520
რაუდ გოგოხია — აკტრისა 521
რაუდ გოგოხია — სპორტი 521
რაუდ გოგოხია — დუელი 522
რაუდ გოგოხია — რომანტიკოსი 522
კოკი ებრალიძე — წიგნიდან „ეპოქის ხმა“ 523
კოკი ებრალიძე — ცხრაას ხუთის გურია 524
პოლიო აბრამია — გასეირნება მთაში 525
ალექსანდრე გაბესკირია — ლექსი საკუთარ თავზე 526
ალექსანდრე გაბესკირია — მატარებლით 526
შალვა დემეტრაძე — ნაქარგი ღამე 528
მიქელ წერეთელი — მიწა 529
მიქელ წერეთელი — სისხლი ჯანსაღი მიტანების 530
გ. კვაჭაძე — რომანიდან: ღამის ეკლოგა 530
კაპიტონ ნემსაძე — რომანიდან: ზღვაური 532

„არიფიონი“, 1928, №1

სალიტერატურო განცხადება 537
სანდრო შანშიაშვილი — შოთას ბეჭედი 538
სანდრო შანშიაშვილი — ცაგო მღერის შაირებს 540
შალვა დადიანი — ათე 541
კონსტანტინე ჭიჭინაძე — პრეისტორია 553
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ორბი 554

კონსტანტინე ჭიჭინაძე — გზები 554
მიხეილ ჯავახიშვილი — დამპატიჟე 556
ვასო გორგაძე — მარელისი 569
დავით სულიაშვილი — კედელი 570
ილო მოსაშვილი — უღელტეხილზე 581
ლევან მეტრეველი — ბოლშევიკი 584
მიხეილ მრევლიშვილი — სემიდა 596
ბასილ მელიქიშვილი — მკერდშებოლილი მერცხალი 605
ლეო ქიაჩელი — თავადის ქალი მაია 617
იოსებ ტატიშვილი — უსათაურო 635
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია 640
კონსტანტინე კაპანელი — მიმოქცევის იდეა 657
პლატონი (პეტრე ქავთარაძე) — კრიტონი 670
გერონტი ქიქოძე — არიფიონი ჰერეთში 683

ავტორთა საძიებელი 691